ირაკლი იმედაძე

# ფსიქოლოგიის ისტორია

გამომცემლობა „მწიგნობარი“

თბილისი - 2008

სამეცნიერო რედაქტორები: აკადემიკოსი შოთა ნადირაშვილი
პროფესორი ზურაბ ვახანია

ტექნიკური რედაქტორი: აკაკი ჭილიტაშვილი

დიზაინი: გიორგი ცინცაძე

ISBN 978-9941-9019-8-0

© ირაკლი იმედაძე 2008
© გამომცემლობა „მწიგნობარი“ 2008

# წინასიტყვაობა

ამ წიგნის წერა თხუთმეტი წლის წინ დაიწყო, როდესაც პირველად წავიკითხე კურსი ფსიქოლოგიის ისტორიაში და ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმდინარეობებში. ამ კურსების მომზადებისას ნათელი გახდა, რომ საჭირო იყო სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავდა ფსიქოლოგიური აზრის განვითარების ძირითად ტენდენციებს მისი ადრეული ფორმებიდან დღევანდლამდე. უცხოეთში ამგვარი წიგნები იბეჭდება, თუმცა მათი რაოდენობა არც ისე დიდია. შეიძლებოდა ერთ-ერთი მათგანი გვეთარგმნა და თავი აგვერიდებინა იმ კოლოსალური სამუშაოსთვის, რასაც ასეთი ნაშრომის დაწერა გულისხმობს. მიუხედავად ამისა, ჩვენთვის თავიდანვე ცხადი იყო, რომ უნდა შექმნილიყო ქართველ მკითხველზე ორიენტირებული ორიგინალური სახელმძღვანელო, რომელშიც, სხვა თუ არაფერი, სათანადოდ აისახებოდა ქართული ფსიქოლოგიური აზრის ისტორია და დიმიტრი უზნაძის სკოლის მონაპოვარი. თუმცა, მთავარი მაინც სხვაა. ფსიქოლოგია არ არის ჩამოყალიბებული პარადიგმატული დისციპლინა. რეალურად იგი განსხვავებული და ხშირად დაპირისპირებული თვალსაზრისების ან მეცნიერული მიმდინარეობების ერთობლიობად წარმოგვიდგება. ფსიქოლოგიის უველა ისტორიკოსი, რაგინდ ობიექტურიც არ უნდა იყოს, რომელიმე თეორიულ ორიენტაციას მიეკუთვნება. ფსიქოლოგიის ისტორიის წერისას კი ავტორის კონცეპტუალური პოზიცია აუცილებლად განსაზღვრავს იმას, თუ როგორ შეირჩევა ემპირიული მონაცემები ან განსახილველი თეორიული სისტემები. ავტორის თეორიული ორიენტაცია მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ფსიქოლოგიური სისტემების ინტერპრეტაციაზე, აქცენტებზე და შეფასებებზე; ამ მხრივ არც განწყობის ფსიქოლოგიაა გამონაკლისი. თავად უზნაძემ მხოლოდ ძალიან ზოგადი მონახაზი დაგვიტოვა იმისა, თუ როგორ შეიძლებოდა შეფასებულიყო ფსიქოლოგიის განვითარების პროცესი განწყობის კონცეფციის გადასახედიდან. ამავე პოზიციიდან უნდა განხორციელდეს თანამედროვე სისტემების ანალიზიც. უზნაძის სკოლაში ამ მიმართულებით სერიოზული მუშაობა ჩატარდა. საკმარისია დავასახელოთ ე. აბაშიძის, ნ. ადამაშვილის, ა. ბოჭორიშვილის, ი. ბჟალავას, ვ. კაკაბაძის, ვ. ნორაკიძის, ო. ტაბიძის, ა. ფრანგიშვილის, ა. შეროზიას, ზ. ხოჯავას და სხვათა ნაშრომები, სადაც სხვადასხვა დროის, მათ შორის თანამედროვე კონცეფციებია განხილული. მიუხედავად ამისა, ჩვენში კვლევებს ფსიქოლოგიის ისტორიაში არ ჰქონია სისტემატური ხასიათი. ამ მხრივ გამონაკლისია ა. ბოჭორიშვილისა და ა.

ფრანგიშვილის ისტორიულ-ფსიქოლოგიური ნაშრომები, რომლებიც სისტემურობით გამოირჩეოდა, მაგრამ ვერ ფარავდა ფსიქოლოგიის ისტორიის მთელ საგნობრივ სივრცეს. ყოველივე ამის გათვალისწინებით გადავწყვიტეთ შეგვექმნა ნაშრომი, რომელშიც აისახებოდა ფსიქოლოგიური აზრის განვითარების მეტ-ნაკლებად სრული ისტორია უძველესი დროიდან დღემდე.

მუშაობის პროცესში დადგა პრიორიტეტების საკითხი: უფრო აქტუალური გასდა ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმდინარეობების ანალიზი. ამის გათვალისწინებით დაიწერა და 2004 წელს გამოიცა წიგნი "XX საუკუნის ფსიქოლოგიის საფუძვლები", რომელიც დ. უზნაძის სახელობის სახელმწიფო პრემიით აღინიშნა. მასალები ამ ნაშრომიდან შეკვეცილი და ადაპტირებული სახით შევიდა წინამდებარე წიგნში, როგორც მისი ერთ-ერთი ნაწილი. მთლიანად წიგნი მკითხველთა საკმაოდ ფართო წრეზეა ორიენტირებული. იგი სასარგებლო იქნება როგორც სტუდენტების, ისე მეცნიერებისთვის, ფსიქოლოგებისა და მომიჯნავე სპეციალობის წარმომადგენლებისთვის, ყველა იმათთვის, ვისაც სურს იცოდეს, თუ როგორ იცვლებოდა წარმოდგენები ფსიქიკური ცხოვრების შესახებ ან როგორ მიმდინარეობდა ფსიქოლოგიის სხვადასხვა დარგის ფორმირების პროცესი.

დასასრულს, მსურს აღვნიშნო, რომ ეს წიგნი მკითხველამდე ვერ მიაღწევდა, რომ არა ის დახმარება, რომელიც გამიწია ჩემმა მეუღლემ და კოლეგამ ნანა კენჭაძემ. იგი თავიდან ბოლომდე მონაწილეობდა ამ ნაშრომის შექმნის ყველა ეტაპზე, დაწყებული მასალის შეგროვებიდან და ორგანიზებიდან, დამთავრებული მისი ანალიზითა და გაფორმებით. აღარაფერს ვამბობ იმ საოჯახო კლიმატზე, რომელიც მან, როგორც მეგობარმა შემიქმნა. მის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა ასეთ ხანგრძლივ შრომასთან დაკავშირებული სიძნელეების გადალახვა.

ირაკლი იმედაძე

# სარჩევი


**თავი 1. ანტიკური ფსიქოლოგია ..... 7**

1.1. ანტიკური ხანის პირველი ფსიქოლოგიური შეხედულებები ..... 7

1.2. კლასიკური პერიოდის ფსიქოლოგიური შეხედულებები ..... 11

1.3. ელინიზმის ხანის ფსიქოლოგია ..... 42

**თავი 2. შუა საუკუნეების ფსიქოლოგია ..... 72**

2.1. არაბული ფსიქოლოგია ..... 73

2.2. ფსიქოლოგია გვიანდელ შუა საუკუნეებისა და რენესანსის ეპოქაში ..... 79

**თავი 3. ფსიქოლოგიური აზრის განვითარება ახალი დროიდან ფსიქოლოგიური მეცნიერების დაფუძნებამდე ..... 89**

3.1. ფსიქოლოგიური აზრი ახალ დროში ..... 89

3.2. ემპირიული და რაციონალური ფსიქოლოგია მეთვრამეტე საუკუნეში ..... 115

3.3. ემპირიული ფსიქოლოგიის განვითარება მეცხრამეტე საუკუნეში ..... 147

**თავი 4. ფსიქოლოგიის დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბების საბუნებისმეტყველო წინამძღვრები ..... 177**

4.1. თავის ტვინის, ნერვული სისტემის და გრძნობის ორგანოთა ფიზიოლოგია ..... 177

4.2. ფსიქოფიზიკა ..... 188

4.3. ფსიქომეტრია ..... 193

**თავი 5. ფსიქოლოგიის როგორც დამოუკიდებელი დისციპლინის პირველი თეორიული სისტემები ..... 196**

5.1. ცნობიერების შინაარსების ფსიქოლოგია ..... 196

5.2. სტრუქტურული ფსიქოლოგია ..... 213

5.3. ინტენციონალურ-ფენომენოლოგიური ფსიქოლოგია ..... 217

5.4. ცნობიერების ნაკადის ფსიქოლოგია ..... 228

5.5. ფუნქციონალური ფსიქოლოგია ..... 240

5.6. ჰორმული ფსიქოლოგია ..... 247

5.7. აღწერითი და გაგებითი ფსიქოლოგია ..... 253

**თავი 6. ფსიქოლოგიის დარგების განვითარება ..... 272**
6.1. ზოგადი ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის განვითარება ..... 272
6.2. დიფერენციალური ფსიქოლოგიის განვითარება ..... 295
6.3. ბავშვისა და პედაგოგიური ფსიქოლოგიის განვითარება ..... 309
6.4. ზოოფსიქოლოგიის განვითარება ..... 342
6.5. სამედიცინო ფსიქოლოგიის განვითარება ..... 356

**თავი 7. სიღრმის ფსიქოლოგია და მისი განვითარება ..... 390**
7.1 კლასიკური სიღრმის ფსიქოლოგია ..... 390
7.2. პოსტფროიდიზმი ..... 421

**თავი 8. ბიჰევიორიზმი და მისი განვითარება ..... 444**
8.1. კლასიკური ბიჰევიორიზმი ..... 444
8.2. ნეობიჰევიორიზმი ..... 456
8.3. ოპერანტული ბიჰევიორიზმი ..... 468

**თავი 9. გეშტალტფსიქოლოგია და მისი განვითარება ..... 480**
9.1. კლასიკური გეშტალტფსიქოლოგია ..... 480
9.2. ველის თეორია ..... 494

**თავი 10. ჰუმანისტურ-ეგზისტენციალური მიმდინარეობა ..... 512**
10.1. ჰუმანისტური ფსიქოლოგია ..... 512
10.2. ეგზისტენციალური ფსიქოლოგია ..... 534

**თავი 11. კოგნიტური ფსიქოლოგია ..... 547**
11.1. კოგნიტივიზმი როგორც შემეცნების პროცესების ფსიქოლოგია ..... 547
11.2. ქცევითი კოგნიტივიზმის ფსიქოლოგიური სისტემები ..... 554

**თავი 12. ფსიქოლოგია საქართველოში ..... 592**
12.1. ფსიქოლოგიური აზრი საქართველოში უზნაძემდე ..... 592
12.2. უზნაძე და მისი სკოლა ..... 633

# თავი 1. ანტიკური ფსიქოლოგია

## 1.1. ანტიკური ხანის პირველი ფსიქოლოგიური შეხედულებები

შეხედულებები სულის შესახებ გაცილებით აღრე გაჩნდა, ვიდრე ცივილიზაცია და მისი თანმდევი კულტურული ფენომენები – ფილოსოფია და მეცნიერება. პირველყოფილი ადამიანების ხანაში ანიმისტური შეხედულებები იყო გავრცელებული. მათ მიხედვით, არსებობს რაღაც სულიერი ძალა (*ანიმა* ლათინურად ნიშნავს: "სული"), რომელიც ზემოქმედებს ბუნების საგნებსა და მოვლენებზე და განსაზღვრავს მათ აღმოცენებასა და მიმდინარეობას. მაგალითად, მასზე დამოკიდებული ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენები, როგორიცაა ამინდი, მოსავალი, წარმატებული ნადირობა და ა.შ. ცხოველებთან და ადამიანებთან მიმართებაში ის ერთგვარი სასიცოცხლო ძალის სახეს იღებს და განაპირობებს სხეულებრივ პროცესებს (მათ შორის ავადმყოფობას), მოძრაობას და განცდებს (ტკივილი, შიმშილი და სხვა). ორგანიზმის ფუნქციონირების დროებითი (ძილი, გულყრა, ტრანსი) ან მუდმივი შეწყვეტა (სიკვდილი), სულის სხეულთან დროებითი ან სამუდამო განშორების შედეგია. მაგიური რიტუალები, ტაბუები და ა.შ. სულებთან დაკავშირებას ემსახურება, რათა მან ადამიანების სასარგებლოდ წარმართოს გარე და შიდა პროცესები.

რაკი ორგანიზმში სასიცოცხლო ძალა სულის სახით შემოდის და გადის, პირველყოფილთა წარმოდგენაში ის ყველაზე მეტად სუნთქვასთან არის დაკავშირებული (თუმცა სხვა სახის ასოციაციებსაც იწვევს, მაგალითად, ღრუბლის, ბოლის, ჩრდილის და სხვა). ნიშანდობლივია, რომ სულის კავშირი ჰაერთან, როგორც სუბსტანციასთან და სუნთქვასთან, როგორც პროცესთან, უძველესი ცივილიზაციების მითოლოგიურ-რელიგიურ შეხედულებებშიც აისახა. მაგალითად, ძველ ჩინურ წარმოდგენებში აქტივობის საწყისი ("იანი") მოცემულია სუნთქვის ან სასიცოცხლო ენერგიის ("ჩი") სახით. ძველინდურ ვედებში სიცოცხლის ძირითადი თვისება სუნთქვას ("პრანა") უკავშირდება. სუნთქვის საშუალებით ხასიათდება სულიერი ძალა ან სასიცოცხლო ენერგია ("ბა") ძველი ეგვიპტის პაპირუსებში. ჰომეროსთან პირველად ვხვდებით სულის აღმნიშვნელ ტერმინს "ფსიქე", რომელიც ბოლო ამოსუნთქვის, სასიცოცხლო ძალასთან განშორების მნიშვნელობით იხმარება (ქართველები ვამბობთ, სული განუტევაო), ხოლო თანდათან ამ ტერმინს დაუმკვიდრდა ძირითადი მნიშვნერლობა – "სული".

სხვათა შორის, ძველი ბერძნების ღმერთები არსებითად ამ სულიერი ძალის ფუნქციებს ინაწილებენ და გარე თუ შიდა სამყაროს მოვლენების მიზეზებად გვეველინებიან. ბერძნული ცივილიზაციის კლასიკურ ეპოქაში მითოლოგიურ-რელიგიური წარმოდგენების გვერდით და ხშირად მათ ნაცვლად ჩნდება ფილოსოფიური შეხედულებები, მიმართული სინამდვილის მოვ-

ლენების, მათ შორის ადამიანის შინაგანი სამყაროს რაციონალურ ახსნამდე. დღევანდელი მეცნიერების ძირები ანტიკური პერიოდის ფილოსოფიურ-მეცნიერულ შეხედულებებშია მოცემული. ეს ეხება ფსიქოლოგიასაც. სათავე ფსიქოლოგიური მეცნიერებისა იმ ფორმით, რომლითაც ამჟამად არსებობს, ანტიკურ ხანაში უნდა ვეძებოთ. ფსიქოლოგიური წარმოდგენები იმ ფილოსოფიური სისტემების შემადგენელი ნაწილი იყო, რომლებიც ძველმა ბერძენმა სწავლულებმა შექმნეს ბუნების, საზოგადოებისა და ადამიანის ფუნქციონირების კანონზომიერებათა ასახსნელად.[1]

ბერძნული ფილოსოფია ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნეში იღებს სათავეს. მისი საწყისი ფორმა იყო ე.წ. *ნატურფილოსოფია.* ნატურფილოსოფოსები ცდილობდნენ გაეგოთ ბუნება (*ნატურა* ლათინურად ბუნებაა) გონებაჭვერეტის გზით და ამისთვის ეძებდნენ მის ნივთიერ პირველსაწყისს, რომლიდანაც ყოველივე წარმოიქმნა და რომლისგანაც ყველაფერი შედგება. პირველ ბერძენ ფილოსოფოსს, თალესს ასეთად წყალი ჰქონდა წარმოდგენილი, ანაქსიმენს – ჰაერი, ჰერაკლიტეს – ცეცხლი. ემპედოკლე ამ ნივთიერებებს მიწას უმატებდა და საგანთა მრავალგვარობა ოთხი ძირიდან გამოპყავდა. ფსიქოლოგიის ისტორიისთვის აქ მნიშვნელოვანი ის არის, რომ სამყაროს ეს მატერიალური საფუძვლები, გარკვეული აზრით, სულიერი ბუნებისანი იყვნენ, ვინაიდან, საყოველთაოდ გავრცელებული თვალსაზრისით, ყველაფრის აქტიურ საწყისად სწორედაც სული იყო მიჩნეული. ანაქსიმენი, მაგალითად, ასე გამოხატავს ამ თვალსაზრისს: "როგორც ჩვენი სული, რომელიც არის ჰაერი, გვიჭერს და გვაერთიანებს, ისე სუნთქვა და ჰაერი მოიცავს მთელს სამყაროს". მაშასადამე, ანტიკური ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის საწყის ეტაპზე გაბატონებული იყო დოქტრინა, რომლის მიხედვით სული ყველგან და ყველაფერშია მოცემული, ანუ სამყარო განსულიერებულია. ამ შეხედულებას *პანფსიქიზმი* ეწოდება, ხოლო მის ანტიკურ ვარიანტს – *ჰილოზოიზმი.*

სულის აქტიურობა ყველაზე მეტად ადამიანის სხეულთან მიმართებაში იჩენს თავს. სული სხეულის ფუნქციონირების საფუძველია. პირველი, ვინც ეს მოსაზრება მკაფიოდ გამოთქვა, ჰერაკლიტე (540-480 ძვ.წ.) იყო. ჰერაკლიტეს მიხედვით, საწყისი სუბსტანცია, რომლიდანაც ყველაფერი წარმოიქმნა, არის ცეცხლი. სული თავის ნამდვილ ბუნებას მაშინ აელენს, როცა ცეცხლისებურია. ის იწვევს სხეულის მოძრაობას, ორგანიზმულ პროცესებს, ვინაიდან ცეცხლი და წვა არის აქტივობა, მხურვალება და ენერგია. ამ გაგებით "ცეცხლოვანი სული" სიცოცხლის პირობაა. სულის დაკარგვა იგივეა, რაც ცეცხლის ჩაქრობა ანუ სიკვდილი. ჰერაკლიტე იყო პირველი დიდი დია-

[1] ანტიკური ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ბევრი დებულება შეესაბამება აღმოსავლური ფილოსოფიურ-რელიგიური სისტემების შეხედულებებს. ესაა პირველსაწყისების ძიება და წარმოდგენა სულზე, როგორც სხეულის მამოძრავებელ ძალაზე, პანფსიქიზმი, სულის გადასახლების რწმენა და სხვა. მაგრამ ფილოსოფიური და მეცნიერული პრობლემების ფორმულირება და თვით აზროვნების სტილი დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურებს ძალზე განსხვავებული აქვს. თანამედროვე მეცნიერების სახე ანტიკური სიბრძნიდან წამოსულ დასავლურ ინტელექტუალურ ტრადიციას ეფუძნება.

ლექტიკოსი. იგი ამტკიცებდა, რომ ყოველივე არსებული მუდმივად ცვალებადობს, "ყველაფერი მიმდინარეობს". ეს ადამიანს და მის სულსაც ეხება. სულის ცვალებადობა შეიძლება მატებისა და განვითარების, ან კლებისა და დეგრადაციის მიმართულებით ხორციელდებოდეს. ჰერაკლიტე ალბათ პირველი იყო ანტიკურ ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ აზროვნებაში, ეინც სცადა გაეანალიზებინა ადამიანის ცვალებადობა დაბადებიდან სიკვდილამდე და ის სულის ცეცხლოვანების დონის აწევ-დაწევას დაუკავშირა. ამ თვალსაზრისით, ოპტიმალური დონე მოზრდილობაში მიიღწევა, ხოლო ბავშვობასა და სიბერეში სული "ნესტიანია" და, მაშასადამე, ნაკლებ აქტიური და პროდუქტიული. მაგრამ, ყველა შემთხვევაში ცვალებადობა იქნება არა შემთხვევითი მოელენა, არამედ საერთო კანონის, ე.წ. ლოგოსის გამოელენა, რომელსაც მთელი ბუნება ემორჩილება. ადამიანი ბუნების ნაწილია, ამიტომ მისი ქცევა, მასში მიმდინარე პროცესები აუცილებელი ხასიათისაა, ე.ი. *დეტერმინირებულია.* ადამიანს შესწევს უნარი, გაარკვიოს ამ დეტერმინაციის ბუნება, ანუ შეიმეცნოს კანონზომიერება, წესრიგი, ლოგოსი. ამისთვის მას შემეცნების ორი ორგანო აქვს: შეგრძნება (აღქმა) და გონება (აზროვნება). შემეცნება იწყება გრძნობადი აღქმით, რომელიც სწორად ასახავს სინამდვილეს, მაგრამ ბევრი რამ მისგან დაფარული რჩება. მაგალითად, შეგრძნებაში მხოლოდ საგნის აწმყო მდგომარეობაა მოცემული და არ არის გათვალისწინებული წარსული და მომავალი. რაც მთავარია, შეგრძნება კონკრეტულ მოელენებს ეხება, ზოგადი კი მხოლოდ აზროვნებისთვისაა მისაწვდომი. ამრიგად, შემეცნება ორსაფეხურიანი პროცესია; მას ორი ძირითადი კოგნიტური ფსიქიკური ფუნქცია განსაზღვრავს — *შეგრძნება და აზროვნება.* ფსიქოლოგიისთვის ფრიად მნიშვნელოვანია, რომ ადამიანს თავისი თავის, საკუთარი გონების შემეცნებაც შეუძლია. "მე ვეძებდი ჩემსავე თავს" და "ყველა ადამიანს შეუძლია თავის თავის შეცნობა და გონიერად ყოფნა", ამბობდა ჰერაკლიტე.

საყოველთაო დეტერმინიზმის პოზიციაზე იდგა ძველი დროის უდიდესი მატერიალისტი და ატომისტი **დემოკრიტე** (460-370 ძვ.წ.). ყველაფერი, რაც ხდება სამყაროში და ადამიანის ცხოვრებაში, მკაცრად არის განსაზღვრული და გარკვეულ კანონზომიერებას ემორჩილება. შემთხვევითობა არ არსებობს, ის ადამიანებმა მოიგონეს მოელენათა ნამდვილი მიზეზების უცოდინრობის გამო. ყოველივე არსებული შედგება უმცირესი განუყოფელი ნაწილაკებისაგან — *ატომებისაგან.* ატომები ერთმანეთისაგან განსხვავდება ზომით, ფორმით და სიმაგრით. საგანთა მრავალფეროვნებას განაპირობებს ის, თუ რა სახის ატომები ჭარბობს მათში და როგორაა ისინი განლაგებული. საგნების წარმოშობა და მოსპობა არის ატომების გაერთიანება და ამ მთლიანობის დაშლა, რაც მოძრაობას გულისხმობს. თავის მხრივ, მოძრაობის პირობა სიცარიელეა. ამრიგად, დემოკრიტეს ფილოსოფიური სისტემა სამი ცნების საფუძველზეა

აგებული, ესენია ატომი, სიცარიელე და მოძრაობა.

დემოკრიტეს შეხედულება სულის შესახებ სწორედ ამ სამი ცნებიდან ამოდის. სული სხეულის მოძრაობის მიზეზია. სულიც მატერიალურია და შედგება ატომებისაგან. ისინი განსაკუთრებულად მოძრავი, პატარა და მრგვალი ატომებია. სხეულის დაშლისას სულის ატომები ტოვებს მას, ე.ი. სხეულთან ერთად სულიც მოკვდავია. სუნთქვისას ჩვენში შემოდის სულის შემადგენელი ატომები, ამოსუნთქვისას ორგანიზმიდან სულის ნაწილიც ამოდის, ანუ იგი მუდმივი განახლების პროცესშია. საბოლოო ჯამში ყველა ფიზიკურ სხეულს, ქვას, მცენარეს, ცხოველს, მკვდარ ადამიანსაც კი აქვს სულის ატომების მცირე რაოდენობა და, ამ აზრით, აქვს სული. როგორც ვხედავთ, დემოკრიტეც პანფსიქიზმის თვალსაზრისს იზიარებს.

ავადმყოფობა ატომების პროპორციის დარღვევაა, დაბერება – სულის მოძრავი ატომების რაოდენობის კლება. მძიმე და მსუბუქი ატომების ყველაზე კარგი თანაფარდობა ტვინშია. იგი შემეცნების ორგანოა, გული – მაღალი გრძნობების, ღვიძლი – დაბალი ვნებების, გრძნობის ორგანოები კი – შეგრძნებისა. ასეთია სხეულში სულის ლოკალიზაცია.

დემოკრიტეს მიხედვით, სულსა და სხეულს შორის თვისებრივი განსხვავება არ არის. ფსიქიკური და მატერიალური პროცესები ერთმანეთისაგან სულის ატომების რაოდენობით განსახვავდება. ეს არის სულის მატერიალიზაცია. აღნიშნული მტკიცების არგუმენტაცია ასეთია: თუ სული სხეულს ამოძრავებს, ისიც მატერიალური უნდა იყოს, ვინაიდან მოძრაობა მხოლოდ მატერიალურმა შეიძლება გადასცეს მატერიალურს. მოძრაობის ფაქტი ატომების დაჯახების შედეგია. სხეულის ორ ატომს შორის სულის ერთი ატომია მოთავსებული და ამის საშუალებით ამოძრავებს სხეულს.

გრძნობის ორგანოებში მოთავსებული სულის ატომები ზედაპირისკენ მოძრაობს და იქ ხვდება რეცეპტორში შეღწეული საგნების მიკროსკოპულ ასლებს, "სურათებს", ე.წ. *ეიდოლებს.* საგნებიდან მუდმივად გამოდიან მათი უმცირესი "სახეები" და ჰაერში მოძრაობენ. გრძნობის ორგანოში შეღწევისას ეიდოლები შეეხება სულის ატომებს და წარმოიქმნება შეგრძნება. ასე ეცნობა სული პირველად გარე სამყაროს (ე.წ. *გამოდინების თეორია*). შემეცნება შეგრძნებიდან იწყება. მართალია, შეგრძნება საგნის ასლებს "იჭერს", მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის აბსოლუტურად სწორად ასახავს სინამდვილეს. შეგრძნება არც თუ იშვიათად ცდება. ამას სხვადასხვა მიზეზი აქვს. ერთი ისაა, რომ სულის ატომებთან დაჯახებისას საგნის სრულყოფილი ხატი, ეიდოლა შეიძლება დამახინჯდეს. ასევე, შეცდომა მოსალოდნელია, თუ ეიდოლა შეაღწევს არა გრძნობის ორგანოში, არამედ სხეულის იმ ნაწილებში, სადაც სულის ატომების კონცენტრაცია ნაკლებია და ისინი არაა შეგრძნებაზე სპეციალიზებული. მცდარი აღქმა, ილუზია მაშინაც ჩნდება, როცა ქარი ეიდოლებს წაიღებს შორს იმ საგნებიდან, რომელთა სახეებსაც ისინი წარმოადგენენ. ამ დროს ადამიანი ხედავს იმას, რაც მის წინ სინამდვილეში არ არის (მირაჟი). დემოკრიტე სიმშარსაც მძინარე სხეულში ეიდოლების მოხვედრით ხსნის.

თავი რომ დავანებოთ იმას, რომ შეგრძნებები ზოგჯერ დეზინფორ-

მაცის წყაროცაა, გრძნობადი აღქმის საშუალებით მიღებული ცოდნა მაინც შეზღუდულია აქ და ამჟამად არსებული საგნებისა და მოვლენების თვალსაჩინო მოცემულობით. ბევრი რამ მისთვის დაფარული რჩება. ამიტომ გრძნობად შემეცნებას დემოკრიტე "ბნელს" უწოდებს. სამაგიეროდ, აზროვნება ნათელი შემეცნებაა; იგი ნათელყოფს იმას, რაც შეგრძნებისთვის დაფარული დარჩა. მაგალითად, უხილავი ატომების შემეცნება შეგრძნებით შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელია მათი მოაზრება გონების საშუალებით. ამდენად, შეგრძნება და აზროვნება, როგორც კოგნიტური ფსიქიკური ფუნქციები, შემეცნების პირველი და მეორე საფეხურებია.

## 1.2. კლასიკური პერიოდის ფსიქოლოგიური შეხედულებები

პირველი სწავლულები, ვინც რადიკალურად შემოაბრუნა ფილოსოფიური აზრი გარესამყაროს მოწყობიდან შინაგანი სამყაროს გაშუქებისკენ, ალბათ, სოფისტები იყვნენ. ფსიქოლოგიის ისტორიკოსების შეფასებით, ამ ფილოსოფიური სკოლის ყველაზე სახელგანთქმული წარმომადგენელი **პროტაგორა** (480-410 ძვ.წ.) შეიძლება ჩაითვალოს *სუბიექტურის* ცნების აღმომჩენად. თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს ფსიქოლოგიისთვის, თავისთავად ცხადია. პროტაგორას სუბიექტივიზმი ნათლად გამოვლინდა მის საყოველთაოდ ცნობილ გამონათქვამში: "ადამიანი არის საზომი ყველა საგნისა: არსებულებისა, რომ ისინი არსებობენ და არარსებულებისა, რომ ისინი არ არსებობენ". ამდენად, მთავარია არა ობიექტური სინამდვილე, არამედ ის, თუ როგორ აღიქვამს და აფასებს მას სუბიექტი. არ არსებობს აბსოლუტური ჭეშმარიტება და ობიექტური ღირებულებები. ყველაფერი შეფარდებითია და დამოკიდებულია კონკრეტული ინდივიდის მდგომარეობასა და უნარზე. საზომი ინდივიდუალურია: ერთისთვის საგანი მძიმეა, მეორისთვის — მსუბუქი, ერთისთვის — ლამაზი, მეორისთვის — უშნო; იგივე ითქმის მორალურ შეფასებებზე, სიკეთისა და ბოროტების ცნებებზე. "ავადმყოფობა არის ბოროტება მომაკვდავისთვის, მაგრამ სიკეთეა დაკრძალვისთვის საჭირო ნივთების გამყიდველისთვის და მესაფლავისთვის". შეფასება ერთი და იმავე ინდივიდის ფარგლებშიც ცვალებადობს, რასაც მისი მდგომარეობა განაპირობებს: მარცხენა ფეხზე ამდგარი კაცი ყველაფერს მუქ ფერებში ხედავს, მარჯვენაზე — ნათელში. მაშასადამე, ყოველგვარი შემეცნება — თეორიული, ესთეტიკური თუ ეთიკური, პირობითია და სუბიექტური. ამ თვალსაზრისს *რელატივიზმი* ეწოდება.

ბუნებრივია, რომ სოფისტების ინტერესების ცენტრში შემმეცნებელი სუბიექტი ექცევა, პირველ რიგში კი მისი აღქმის, აზროვნებისა და მეტყველების უნარები. ბერძნულ ფილოსოფიაში პროტაგორამ გადადგა პირველი ნაბიჯები დასკვნის ხერხების სისტემატიზაციის მიმართულებით. სხვა სოფისტების მიერ საკმაოდ დეტალურად განიხილებოდა ლოგიკური მსჯელობის ხერხები. სოფისტები ცნობილი იყვნენ, როგორც უბადლო მოკამათეები და ორატორული ხელოვნების პროფესიონალი მასწავლებლები. ამიტომ ბუნე-

ბრივია, რომ ენასთან და შეტყველებასთან დაკავშირებული პრობლემატიკა მათი კელევის საგანი გახდა. პროტაგორა შეისწავლიდა სიტყვათცვალებადობის კატეგორიებს და წინადადების სინტაქსს, სხვები – კავშირებს, სინონიმებს და ა.შ. ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა სოფისტმა გორგიამ (480-380 ძვ.წ.) შკაფიოდ დააყენა საკითხი სიტყვის, აზრისა და აღქმული საგნის ურთიერთმიმართების შესახებ. როგორ შეიძლება რაიმე გადმოვცეთ ენის მეშვეობით, კითხულობს იგი, თუ მის ბგერებს არაფერი აქვს საერთო იმ საგანთან, რომელსაც ისინი აღნიშნავენ? (თანამედროვე ფსიქოლინგვისტიკაში ეს საკითხი სახელდების პრობლემატიკის ფარგლებში შეისწავლება). რაც შეეხება შეგრძნებებს, გრძნობად აღქმას, მის მნიშვნელობაზე პროტაგორას ასეთი გამონათქვამიც მიუთითებს: "გრძნობათა (ანუ შეგრძნებათა – ი.ი.) გარეშე არავის სული არ არსებობს". საგანი ისეთია, როგორიც აღქმას აღუბეჭდავს სუბიექტის სულში. თავად სული, როგორც ცნება, აერთიანებს სხვადასხვა ფსიქიკურ მდგომარეობებს (გრძნობები, სურვილები, შეგრძნებები) და მთლიანად მათზე დაიყვანება. ამ მდგომარეობათა მიღმა არ არსებობს რაიმე სულიერი სუბსტანცია.

ფსიქოლოგიის ისტორიის თვალსაზრისით სულიერი სფეროს ასეთ დახასიათებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. შეიძლება ითქვას, რომ სოფისტებმა, სახელდობრ კი პროტაგორამ, პირველი ნამდვილი *სენსუალისტური* შეხედულება წარმოადგინეს. ამ ტერმინით აღნიშნული მოძღვრების მიხედვით, ფსიქიკური ცხოვრების საფუძველი გრძნობადი შთაბეჭდილებებია. პროტაგორასთან შეგრძნების (გრძნობადი აღქმის) პრიორიტეტი, სხვა სულიერ უნარებთან შედარებით საკმაოდ ნათლად არის გამოხატული. ამდენად, იგი წინაპარია ბერკლის, ჰიუმისა და შემდგომდროინდელი ემპირიული ფსიქოლოგიის, კერძოდ, ასოციაციონიზმის სენსუალიზმისა. კიდევ შორს რომ წავიდეთ, პროტაგორას მოძღვრება ვუნდტის, სტრუქტურალიზმისა და სხვა მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური სისტემების წინამორბედადაც შეიძლება მივიჩნიოთ. ამ სისტემებში აქცენტი ცნობიერების თვალსაჩინო-წარმოდგენით შინაარსებზე კეთდება. მათ ბატონობას ფსიქოლოგიაში წერტილი მხოლოდ ვიურცბურგის სკოლამ (XX საუკუნის დასაწყისი) დაუსვა. ასე რომ, აღნიშნულმა თეზისმა ფსიქოლოგიის ისტორიაში არა პირდაპირი, მაგრამ ფრიად შორსმიმავალი გავლენა იქონია.

სოფისტების შემდეგი თვალსაზრისი სულის არასუბსტანციურობას ეხება. შინაგანი სამყარო ცნობიერების ფენომენების ერთობლიობაა – ეს დებულება, ლოკიდან დაწყებული, მთელი ემპირიული ფსიქოლოგიის გავლითა და ვუნდტისა და ბრენტანოს ჩათვლით, უპირისპირდება დეკარტე-ლაიბნიცის სულის სუბსტანციონალობის თეზისს და ფსიქოლოგიის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ძირეულ თეორიულ-მეთოდოლოგიურ კოლიზიას ქმნის (იხ. 3.1.).

სოფისტების მსგავსად, **სოკრატეს** (470-399

ძვ.წ.) ფილოსოფიური ინტერესი ადამიანზეა მიმართული, მაგრამ არა იმდენად მის შინაგან, სულიერ სამყაროზე, რამდენადაც მის ზნეობრივ ქმედებაზე. სოკრატე მეცნიერული ეთიკის დამაარსებელია. სოკრატეს მიერ სული განიხილება, როგორც ზნეობრივი ქმედების და არა უბრალოდ სხეულის აქტიობის საფუძველი, რასაც აღრინდელი ფილოსოფოსები ამტკიცებდნენ (ჰერაკლიტე, დემოკრიტე და სხვა). სული ინდივიდის ფსიქიკური იერსებაა. მისი ძირითადი ნიშანია გონიერება, რაც ადამიანს ზნეობრივი იდეალების შესაბამისი ქმედების განხორციელების საშუალებას აძლევს. ადამიანი არა იმდენად ბუნების, რამდენადაც მორალურ კანონებს ემორჩილება. თავად სოკრატეს სიცოცხლეც და სიკვდილიც ამ ზნეობრივი იდეალების განხორციელებაა.

ამავე დროს, სოკრატე კატეგორიულად ეწინააღმდეგება სოფისტების სუბიექტივიზმსა და რელატივიზმს, რაც მათ მიერ აბსოლუტურ და ყველასთვის სავალდებულო ჭეშმარიტებათა უარყოფაში მდგომარეობს. სოფისტები დიდი შემართებით ამტკიცებდნენ ამას. სოკრატე აჩვენებს, რომ ამ მტკიცებას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუ ის ზოგადი მნიშვნელობის მქონეა, ანუ ყველასთვის სავალდებულოა. ეს კი თავისი თავის უარყოფის ტოლფასია. მართლაც, ვთქვათ, ყოველგვარი აზრი თანაბრად მართებულია. მაშინ თვით ამ მტკიცების საწინააღმდეგო აზრიც მართებული ყოფილა, და, შესაბამისად, პროტაგორას თეალსაზრისი – მცდარი. ამრიგად, სოფისტების შეხედულება გაღაულასავ შინაგან წინააღმდეგობას შეიცავს. მაგრამ ამ შემთხვევაში სოკრატე იმდენად მსჯელობის ლოგიკურ სიმწყობრეზე არ ზრუნავს, რამდენადაც ეთიკური პრინციპებისა და შესაბამისი ზნეობრივი ქცევის მართებულობის დამტკიცებაზე. თუ ყველაფრის საზომი ადამიანია, მაშინ ჩვენი წარმოდგენები სამყაროზე და ზნეობაზე შეფარდებითია. თავის გნოსეოლოგიურ და ეთიკურ შეხედულებებში სოკრატე იქიდან ამოდიოდა, რომ ყოველგვარ ცოდნაში, მისი შეფარდებითობის მიუხედავად, არსებობს უცვლელი და საყოველთაო ჭეშმარიტების მარცვალი, რომელიც ყველასთვის საერთოა. თუ ეთიკის ნორმები არ შეიცავს ყველასთვის სავალდებულო და არაფარდობით ჭეშმარიტებას, თითოეულს შეუძლია ისე იმოქმედოს, როგორც მოესურვება და თავისი ქმედება საესებით გამართლებულად მიიჩნიოს. საზოგადოებას მისი გაკიცხვისა და დასჯის უფლება არ ექნება, რასაც სრული ქაოსი და, საბოლოოდ, მთელი საზოგადოების, სახელმწიფოს, ცივილიზაციის ნგრევა მოჰყვება.

ჭეშმარიტება და ცოდნა ცნებების სახითაა მოცემული. ეს ეხება ყველა სფეროს, მათ შორის მორალს. ქმედების შეფასება ზნეობრიობის თვალსაზრისით გულისხმობს იმის ცოდნას, თუ რა არის სიკეთე და რა – ბოროტება. აქედან გამომდინარე, ზნეობა უშუალო კავშირშია ცნებასთან, გარკვეული ნორმების ცოდნასთან და მის შესაბამისად მოქმედებასთან. თუ ადამიანმა იცის, როგორ უნდა მოიქცეს საფრთხის პირობებში და მოქმედებს ამ ცოდნის შესაბამისად, იგი შეიძლება მამაცად ჩაითვალოს. თუკი კაცი ბოროტად მოქმედებს, ამის მიზეზი, სოკრატეს აზრით, ისაა, რომ მან არ იცის, რა არის ნამდვილი სიკეთე. ამიტომ, პირველ რიგში, ადამიანს სათანადო ცოდნა უნდა

მივცეთ, ვაჩვენოთ განსხვავება კარგსა და ცუდს შორის და მხოლოდ ამის შემდეგ შევაფასოთ მისი საქციელი. ცოდნა უკვე თავისთავად სიკეთეა.

ამ კონტექსტში დაისმის *აუცილებლობისა და თავისუფლების* საკითხი. ანტიკური ხანის ავტორები ამ საკითხის განხილვისას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ მოქმედების გამომწვევი შინაგანი მიზეზების (ჩვენ ვიტყოდით, მოტივების) ფსიქოლოგიურ და ზნეობრივ სახიათს. დაბალი, გრძნობადი მისწრაფებებისადმი დამორჩილება არის ადამიანისთვის უკადრისი მონობა, ხოლო უნივერსალური გონის მიერ შთაგონებული ნორმებისადმი ცნობიერი დამორჩილება ნამდვილი თავისუფლებაა. თუმცა, ამ დამორჩილებიდან ღირსეული და კეთილი საქციელი ისეთივე აუცილებლობით გამომდინარეობს, როგორც უაზრო ენებებისადმი დამორჩილებიდან – ცუდი და უგუნური ქმედება. სოკრატეს მისედვით, დაბალი აუცილებლობიდან მაღალზე, ანუ გონიერ თავისუფლებაზე გადასვლა ჭეშმარიტი ცოდნით არის გაპირობებული. ყველა აუცილებლად ეძებს თავისთვის სიკეთეს, მაგრამ არ იცის, რაშია ეს სიკეთე. ვინც ეს ნამდვილად იცის, მას ჭეშმარიტი სიკეთე სურს და კიდეც აღწევს ამას. ახორციელებს კიდეც. უცოდინარი კი, პირიქით, მიიჩნევს რა ცრუ სიკეთეს, როგორც ჭეშმარიტს მიემართება მისკენ და აუცილებლად ცდება, ცუდ საქმეებს ჩადის. ნამდვილი „ცოდნით ცუდს არავინ ჩაიდენს" – ამბობს სოკრატე.

ყოველივე ეს უუჭი და შეუძლებელი იქნება, თუ არ იარსებებს საყოველთაო, ზოგად ცნებებში გამოსატული, აბსოლუტური ჭეშმარიტებები. ჭეშმარიტება ობიექტურად არსებობს, თუმცა მის შესახებ ცოდნის მატარებელი თვით სუბიექტია. ის დაბადებიდან არის მოცემული ყოველ ადამიანში, მაგრამ სულში გაუცნობიერებელი ჩანასახის ფორმით არსებობს; მას განვითარება ესაჭიროება. ჩვენში მთელემარე ცოდნა აქტუალური უნდა გახდეს. აქედან მომდინარეობს ცნობილი თეზისი: "შეიცან თავი შენი". საკუთარი თავის შემეცნებაში სოკრატე საკუთარ განცდებზე დაკვირვებას (ანუ თვითდაკვირვებას) არ გულისხმობს. ამიტომ იგი არ უნდა მიეიჩნიოთ შემდგომდროინდელი ფსიქოლოგიის ძირითადი მეთოდის – ინტროსპექციის აღმომჩენად. თუ ცოდნა თავდაპირველად არაცნობიერად არის მოცემული, მას უშუალოდ ვერც დავაკვირდებით (ცნობიერებისა და არაცნობიერის ცნებებს სოკრატე, ცხადია, არ იცნობდა). საკუთარი თავის შეცნობაში სოკრატე გულისხმობს სხვადასხვა ქმედებების, მორალური შეფასებებისა და ნორმების ანალიზსა და გააზრებას. მაგრამ ამ ამოცანის შესრულება ადამიანს დამოუკიდებლად უჭირს. თავისი ფილოსოფიური მოღვაწეობის დანიშნულებას სოკრატე სწორედ იმაში ხედავს, რომ დახმარება გაუწიოს ადამიანებს ამ ცოდნის აღმოჩენაში, აქტუალიზაციასა და ფორმირებაში. მოხდენილი და დროული კითხვების დასმით იგი მოსაუბრის აზრს საჭირო მიმართულებით წარმართავდა და, საბოლოო ჯამში, ჭეშმარიტ აზრამდე მიჰყავდა; სოკრატესთან დიალოგის შედეგად, ბუნდოვანი წარმოდგენები იცვლებოდა განსასჯელი თემების (სიკეთე, სამართლიანობა, სათნოება და ა.შ.) მკაფიო და გამართული გაგებით. კითხვა-პასუხის გზით ნამდვილ ცოდნამდე მისვლის ამ მეთოდს *დიალექტიკა* ან *სოკრატისეული საუბარი* ეწოდა. თვითონ სოკრატე

თავის საქმიანობას ხუმრობით „მაიევტიკას" ანუ ბებიაქალობის ხელოვნებასაც არქმევდა, რაშიც იმას გულისხმობდა, რომ მოკამათეს ეხმარებოდა, საკუთარი სულიდან ეშვა ჭეშმარიტება. ფსიქოლოგიის ისტორიკოსების შეფასებით, ეს იყო, ფაქტობრივად, პირველი მცდელობა ევრისტიული და პრობლემური სწავლების მეთოდის შემუშავებისა, ვინაიდან აქ მოსწავლის წინაშე მართლაც დაისმის პრობლემა და მისახველრებელი კითხვების წყების საშუალებით იგი სწორ პასუხამდე მიჰყავთ – ნაცელად მზამზარეულ ჭეშმარიტებათა მიწოდებისა.

სოკრატემ საფუძველი ჩაუყარა ახალ მიმართულებას სულიერი სამყაროს გაგებაში. ეს მიმართულება გააგრძელა და გააღრმავა ანტიკური ხანის ერთ-ერთმა უდიდესმა ფილოსოფოსმა პლატონმა.



**პლატონის** (427-347 ძვ.წ.) ნამდვილი სახელი არისტოკლე იყო. პლატონი (პლატოს – ფართო) მისთვის არაჩვეულებრივად ფართო მხარბეჭისთვის დაურქმევიათ. პლატონი დაიბადა ათენში, მდიდარ არისტოკრატულ ოჯახში. მან მიიღო იმ დროისთვის საუკეთესო და მრავალმხრივი განათლება. განსაკუთრებით გატაცებული იყო პოეზიით. ოცი წლისა სასწავლებლად მიაბარეს სოკრატეს, რამაც განსაზღვრა მისი, როგორც მომავალი ფილოსოფოსის, ორიენტაცია. სოკრატეს სიკვდილის შემდეგ პლატონი იწყებს მოგზაურობას სხვადასხვა ქვეყანაში თავისი მეცნიერული ცოდნის კიდევ უფრო გაფართოების მიზნით. ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში პლატონი სამჯერ ესტუმრა სიცილიას, სადაც ცდილობდა თავისი პოლიტიკური შეხედულებების გატარებას. ეს მისია სრულიად წარუმატებელი გამოდგა, ერთხელ კი კინაღამ ტრაგიკულად დამთავრდა – რაღაცაზე განრისხებულმა სირაკუზელმა ტირანმა დიონისემ პლატონი მონად გაყიდა, საიდანაც მეგობრებმა გამოისყიდეს. 40 წლის პლატონი ათენში ბრუნდება და აარსებს თავის სახელგანთქმულ სასწავლებელს – აკადემიას, რომელსაც გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა. პლატონის თხზულებები ძირითადად დიალოგების ფორმაშია დაწერილი და აზრის სიღრმის გარდა უდაოო ლიტერატურული ღირსებებითაც გამოირჩევა.

პლატონის ფსიქოლოგიური შეხედულებები ერთიან, მწყობრ სისტემას არ ქმნის, თუმცა მის დიალოგებში გაბნეულია მრავალი მოსაზრება ამა თუ იმ ფსიქოლოგიურ თემასთან დაკავშირებით.

პლატონის პოზიცია სულის რაობის, მისი ზოგადი ბუნების თაობაზე, არსებითად, მეტაფიზიკურია და ეიდოსების („იდეების") შესახებ მისი ცნობილი თეორიის კონტექსტში უნდა იქნეს განხილული. პლატონის თანახმად, ნამდვილი არსებობა, ყოფიერება აქვს მხოლოდ საგანთა არასხეულებრივ "ფორმებს", "სახეებს" ანუ "იდეებს". იდეები უხილავია, უცვლელი და მუდმივი; ისინი წარმოადგენენ საგანთა არსს, მათ სრულყოფილ ნიმუშებს, ერთგვარ ეტალონებს ან, როგორც თვითონ უწოდებს, "პროტოტიპებს". იდეების

საპირისპიროდ, მატერიას არა აქვს საგნობრივი გარკვეულობა; იგი, თავისთავად, უფორმოა და ამორფული. იდეასთან შეერთების გზით მატერია შეიძლება გადაიქცეს ნებისმიერ საგნად ან მოვლენად. გრძნობადი სინამდვილე იდეებისა და მატერიის ასეთი გაერთიანებით ჩნდება. ამ პროცესში იდეას ულავო პრიორიტეტი ენიჭება. მატერიას კონკრეტულ საგნად მასში ამ საგნის პროტოტიპის (იდეის) ჩართვა აქცევს. პირიქით, იდეასთან განშორება ამ საგანს სპობს. გრძნობადი სამყარო მხოლოდ იდეების სამყაროს ასლია. მისი საგნები სივრცესა და დროშია მოცემული და, ამდენად, წარმავალია და შეუარდებითი. ყველა ბუნებრივი საგანი, ან ადამიანის მიერ შექმნილი ნივთი, ყოველი არსება, თვისება, ყოფიერების უმთავრესი ღირებულებები – ჭეშმარიტება, სიკეთე, მშვენიერება, სამართლიანობა არსებობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც არსებობს მისი შესაბამისი იდეა. იდეის არსებობა რეალურია და ობიექტური (პლატონი ობიექტური იდეალიზმის უფემდებელია): იდეები ქმნიან თავიანთ სამყაროს, რომელიც ჩვენთვის უხილავია. ადამიანს შეუძლია გონების საშუალებით (გონებაჭვრეტით) სწვდეს იდეათა სამყაროს, როგორც ეს თვით პლატონმა გააკეთა, მაგრამ მისი სრული შეცნობა მხოლოდ ღმერთს შეუძლია.

ფსიქოლოგიისთვის მთავარია იმის გარკვევა, თუ რა არის სული. პლატონის ფილოსოფიურ სისტემაში ეს საკითხი საკმაოდ ბუნდოვანია და არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციებს წარმოშობს, განსაკუთრებით სულისა და იდეის ცნებათა მიმართების კუთხით. სულის ძირითადი მახასიათებლები ასეთია: ის არის ერთგვარი საწყისი, რომელიც აშუალებს იდეებისა და გრძნობადი საგნების მიმართებას. ეს, როგორც ჩანს, იმაში ვლინდება, რომ სული შეიმეცნებს იდეებს და მათ შესახებ ცოდნის ერთადერთი მატარებელია. პლატონის მიხედვით, არსებობს ე.წ. "მსოფლიო სული", რომელიც მთელ სამყაროს მოიცავს. ამ აზრით, ყოველივე ცოცხალია ანუ სულიერი. ადამიანის სული ენათესავება მსოფლიო სულს, მისგან მომდინარეობს, მისი ნაწილია. სული სხეულამდე არსებობს, რომელიც მის გარეშე არც არის სხეული ცოცხალი ორგანიზმის მნიშვნელობით; იგი უფორმო ორგანული მატერიაა. მატერია-სხეული თავის გარკვეულობას მასში სულის ჩასახლების შედეგად იძენს. ამაშია სულის პრინციპული მსგავსება იდეასთან, ისინი ერთნაირ ფუნქციას ასრულებენ – შეუერთდნენ მატერიას და აქციონ იგი გრძნობადი სამყაროს მოვლენად (შესაბამისად, ეს იქნება სულიერი სხეული ან უსულო ნივთი). ეიდრე ეს მოხდება, სული ბეციურ სამყაროში იმყოფება იდეებთან ერთად და მათ უშუალოდ აკვირდება (შეიმეცნებს). ამით ის მოიპოვებს ჭეშმარიტ ცოდნას, რადგან იდეები განასახიერებენ საგანთა გვაროვნულ არსს, მათ ზოგად ცნებებს. სული, თავის მხრივ, სხეულის არსია და, როგორც ასეთი, ღვთაებრივია, არამატერიალურია, უცვლელია, წარუვალია, უკვდავია. ამის საპირისპიროდ, სხეული მიწიერია, ცვალებადი, სრწნადი და მოკვდავი. სიკედილი სულთან დაშორების შედეგია. სხეული უსულოდ ნადგურდება, ისევე როგორც საგანი – უიდეოდ.

ბევრი მსგავსების მიუხედავად, სული არ არის იდეა (ეიდოსი), თუნდაც იმიტომ, რომ ის ჯერ აკვირდება იდეებს, შეიმეცნებს მათ, სოლო სხე-

ულში მოხვედრისას ამ ცოდნას აღადგენს (ქვემოთ ამაზე საგანგებოდ ეი-საუბრები). გამოდის, რომ იდეები სულის შინაარსს შეადგენენ; იდეასა და სულს შორის მიმართება ისეთივეა, როგორც შესამეცნებელსა და შემ-მეცნებელს შორის. სხეულში მოხვედრილი სულის აქტიობა სხვადასხვა ფსი-ქიკური ფენომენის სახით იჩენს თავს. მეცნიერული ფსიქოლოგიის გულის-ყური მათკენ არის მიმართული. ამაკე დრის, თვით სული არ არის ემპი-რიული მოელენა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას თავისი შესატყვისი იდეა უნდა ჰქონოდა (ემპირიული მოელენები ხომ ყოველთვის იდეების განსორციელებას წარმოადგენენ). ამიტომ პლატონი სულის იდეის არსებობას არც უშვებს. იდეაც და სულიც მეტაფიზიკური სამკვიდრის წარმომადგენ-ლები არიან.

სხეული სულის დროებითი საადგური, მისი საპყრობილეა. სხეულის მიმართ უდავო პრიორიტეტის მიუხედავად, სული ამ უკანასკნელის მექანიკურ ბრძოლებს განიცდის. სული იდეების სამყაროშია თავისუფალ და ღად მდგომარეობაში. მაგრამ ცოცხალი ორგანიზმი, ბოლოს და ბოლოს, სხეულისა და სულის ერთიანობაა. ამიტომ ოპტიმალური ვითარებაა, როცა მათ შო-რის შესატყვისობა არსებობს. სხეულისა და სულის განვითარებაში წინასწორობა უნდა იყოს შენარჩუნებული, რათა მათ შორის თანაზო-მიერება არსებობდეს.

სხეულისა და სულის ურთიერთკავშირი ყველაზე მკაფიოდ იჩენს თავს პლატონის მიერ სულის ნაწილებისა და სხეულთან მაიი მიმართების სა-კითხის დამუშავებისას. პლატონის მიხედვით, სულს სამი ნაწილი აქვს. პირვე-ლი *გონიერი სულია* და მოთავსებულია თავში; მეორე *კეთილშობილ სწრაფვებს* მოიცავს და მკერდის არეში იმყოფება; მესამე *ბრმა ენებებსა და სურვილებს* გამოხატავს და მუცელშია განთავსებული. ეს უკანასკნელი სუ-ლის ყველაზე უგუნური და უმართავი ნაწილია. ის საერთოა ადამიანისა და ცხოველისთვის. სულის ამ ნაწილში ისეთი სურვილები წარმოიქმნება, რომელთაც დღეს ვიტალურ, ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს ვუწოდებთ: შიმ-შილი, წყურვილი, სექსუალური ლტოლვა და სხვა. როგორც ჩანს, სწორედ მაიოთან დაკავშირებულ განცდებსა და სხეულებრივ პროცესებზე დაკვირვე-ბამ განაპირობა პლატონის მიერ სულის ამ ნაწილის განთავსება დიაფრაგ-მის ქვევით. მკერდში არსებული სულის გამოვლინებებია ენერგიულობა, სიმამაცე, ვინი, მიზანსწრაფვა და ა.შ. ისეთ ემოციებზე დაკვირვება, როგო-რიცაა შიში, სიბრაზე, აღტაცება და სხვა, ნათლად აელენს მათ კავშირს სუნთქვის სიხშირესა და გულისცემის რიგმზე, რაც, სავარაუდოდ, სულის ამ ნაწილის გულმკერდის არეში ლოკალიზაციის მიზეზი გახდა. თავი სხეულის უმთავრესი ნაწილია და გამოყოფილია ტანიდან, სადაც სულის ირაციონა-ლური ნაწილები იმყოფება; ამასთან, ის ზემოთ არის და, ამდენად, ყველაზე ახლოს ზეცასთან, საიდანაც მომდინარეობს რაციონალური უკვდავი სული[1]. როგორც ეხედავთ, სხეულში სულის სხვადასხვა ნაწილების ლოკალიზაციის პრინციპები განსხვავებულია. ზოგი მათგანი ემპირიულ ფაქტებს ეფუძნება –

[1] სხვათა შორის, ერთ-ერთ დიალოგში ("ტიმეოს") პლატონი პირდაპირ ამტკიცებს, რომ ტანში მოთავსებულ ირაციონალურ სულს უკვდავების ნიშანი არ გააჩნია.

ასეთებია, მაგალითად, სხეულებრივი და ფსიქიკური პროცესების კავშირის დამადასტურებელი მონაცემები, ზოგი ეფუძნება მეტაფიზიკურ დაშვებებს – ასეთია, ვთქვათ, მარადიულ იდეათა სამყაროსთან სიახლოვე, ზოგიც ეთიკურ მოსაზრებებს – იმ სულიერ ძალას ან თვისებას, რომელიც მეტად ფასეულია, სხეულის უფრო საპატიო ადგილი ეთმობა.

მოქმედების ზნეობრივი შეფასების პრინციპი განმსაზღვრელია, აგრეთვე, სულის *რაციონალური და ირაციონალური* ნაწილების ურთიერთმიმართების საკითხის განხილვისას. აქ პლატონი შედარებებსა და ალეგორიებს მიმართავს. ერთ დიალოგში ("ფედროს") სულის სტრუქტურა გამოხატულია საომარი ეტლის სახით, რომელშიც ორი ცხენია შებმული – შავი და თეთრი. შავი ცხენი ირაციონალური სულის ენებით ნაწილს განასახიერებს. ის არ ემორჩილება ბრძანებებს და მუდმივ კონტროლს საჭიროებს, ვინაიდან სულ ცდილობს ეტლის გადატრიალებას ან უფსკრულში გადაჩეხვას. თეთრი ცხენი ირაციონალური სულის კეთილშობილ-სწრაფვით ნაწილს გამოხატავს. ის ძირითადად სწორად მოძრაობს, მაგრამ ყოველთვის თვინიერი არ არის და მაინც მოითხოვს მუდმივ კონტროლს. სულის გონიერი ნაწილი გაიგივებულია მეეტლესთან, რომელიც განსაზღვრავს მოძრაობის მიმართულებას და მართავს ცხენებს. ამრიგად, სულის სტრუქტურა ეთიკური თვალსაზრისით კარგი და ცუდი ნაწილების ერთობლიობად განიხილება.

სხვა დიალოგში ("სახელმწიფო"), სული შედარებულია ცხვრის ფარასთან, რომელსაც მწყემსი და ძაღლი პატრონობენ. ენებითი სული უაზრო ცხვრების მსგავსია. ამ ცხვრებს ბრმა სურვილები ამოძრავებს და შეიძლება ისეთ ხიფათს გადაეყარონ, რომ დაიღუპონ. სულის სწრაფვით ნაწილს ძაღლი განასახიერებს. მისი მოქმედება პრინციპში სასარგებლოა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის მწყემსს ანუ გონიერ სულს ემორჩილება.

ამრიგად, რაციონალური სულის პრიორიტეტი ირაციონალური სულის ნაწილების მიმართ აშკარაა; გონიერი და ზნეობრივი მოქმედება მხოლოდ მისგან მომდინარეობს. ამასთან, იდეალურ ვარიანტში სულის ნაწილებს შორის ჰარმონიული კავშირი უნდა იყოს, რომელსაც უბრუნველყოფს შინაგანი ორგანოები და სისხლი. სამწუხაროდ, რეალური ადამიანის სულში ამგვარი ჰარმონია იშვიათობაა. აქ უფრო მეტად სულის სხვადასხვა ნაწილების კონფლიქტს ვხედებით. სხვათა შორის, ფსიქოლოგიის ისტორიკოსები ერთხმად მიუთითებენ ამ მდგომარეობის მსგავსებაზე იმასთან, რაც ფსიქოანალიზშია აღწერილი. ზოგჯერ იმასაც ამბობენ, რომ ფროიდის ძირითადი იდეები პლატონის მიერ იყო შემზადებული. ეს, ცოტა არ იყოს, გაზვიადებული შეფასებაა, მაგრამ თავისი საფუძველი აქვს. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ გავეცნობით პლატონის შეხედულებას სიზმრების შესახებ, რომელშიც, არსებითად, ძილში მიმდინარე სულიერი ცხოვრების კოლიზიებია აღწერილი.

ძილისთვის დამახასიათებელია სხეულის მოწყვეტა გარეგანი გავლენებისგან. ძილის დროს, როგორც დახუჭული თვალია მოწყვეტილი სინათლეს, ასევე სულია თავის თავში ჩაკეტილი, ამბობს პლატონი. მიუხედავად ამისა, ძილში გარემოდან სრული იზოლაცია არ ხდება და, რაც მთავარია,

შენარჩუნებულია სულის შინაგანი მოძრაობა. *სიშმარი*, პლატონის მიხედვით, უკავშირდება სულის ყველაზე დაბალი, ლტოლვითი ნაწილის აქტივობას. ლაპარაკობს რა სიშმრის მორალურ სახეზე, ავტორი მას იმ სურვილების გამოხატულებად მიიჩნევს, რომლებიც, ჩვეულებრივ, ღვიძილში დათრგუნულია (ფსიქოანალიზთან მსგავსება აქ თვალში საცემია. იხ. 7.1.). ყოველდღიურ ცხოვრებაში კარგი ადამიანის მოვალეობაა წინ აღუდგეს დაბალი სურვილების თვითნებობას. გამოდის, რომ კარგი კაცი სიშმარში ხედავს იმას, რასაც ცუდი სიფხიზლისას აკეთებს.

ასეა თუ ისე, ცხადია, რომ სიშმარი უნებურად მიმდინარე სულიერი პროცესია. ასეთივეა *შეგრძნებაც*, რომელიც თავისთავად აღმოცენდება გრძნობის ორგანოზე საგნის ზემოქმედებისას. ეს შესაძლებელი ხდება იმიტომ, რომ საგანიც და გრძნობის ორგანოც, როგორც სხეულის ნაწილი, ერთი და იმავე მატერიალური ელემენტებისაგან შედგება. გრძნობის ორგანოში საგნით გამოწვეული მოძრაობა აღწევს სულამდე და იწვევს შეგრძნებას. შეგრძნების ხასიათი დამოკიდებულია სხეულში მიმდინარე მოძრაობის რაგვარობაზე. პლატონი საკმაოდ ღეტალურად აღწერს მხედველობის, სმენის, გემოს, ყნოსვის და ე.წ. საერთო შეგრძნებებს (საერთო შეგრძნება, შესების გარდა, იძლევა სითბო-სიცივის, რბილ-მაგარის, მძიმე-მსუბუქისა და გლუე-ხორკლიანის გარჩევის შესაძლებლობას). შეგრძნებათა მოღალობების პლატონისეულ დახასიათებაში შეიძლება მოინახოს კიდეც ზოგი რამ საყურადღებო, მაგრამ მთლიანობაში, თანამედროვე მეცნიერების თვალსაზრისით, ის არცთუ ღირებულია. საილუსტრაციოდ საკმარისი იქნება, გავეცნოთ მხედველობის შეგრძნების დახასიათებას. მას იწვევს საგნებიდან მომდინარე განსხვავებული სიდიდის ნაწილაკების თვალზე ზემოქმედება. ამასთან, კონკრეტული ფერის შეგრძნება დამოკიდებულია, ერთი მხრივ, ნაწილაკებისა და თვალის გუგის სიდიდის ურთიერთმიმართებაზე და, მეორე მხრივ, თვით ნაწილაკების ურთიერთზემოქმედებაზე. მაგალითად, გუგის ტოლი სიდიდის ნაწილაკები არ შეიგრძნობა, მასზე დიდი ნაწილაკები თეთრად განიცდება, ხოლო მცირე – შავად. რუხი ფერი თეთრისა და შავის შესატყვისი ნაწილაკების შერევის შედეგია; წითელი ფერი ღია ყვითლისა და რუხის ნარევია, მწვანე – წითლისა და შავის და ა.შ.

საზოგადოდ, გრძნობად მონაცემებს (შეგრძნებებს) პლატონი ცოდნის სანდო წყაროდ არ მიიჩნევს. ამაზე მეტყველებს თუნდაც მისი შემდეგი დაკვირვება: თუ მარჯვენა ხელს ჩავყოფთ ჭურჭელში, სადაც ცივი წყალია, მარცხენას ისეთში, სადაც ცხელი წყალია, ხოლო შემდეგ ორივე ხელს ჩავყოფთ ჭურჭელში, სადაც ასხია ნელთბილი წყალი, მარჯვენა ხელი სითბოს იგრძნობს, ხოლო მარცხენა – სიგრილეს. ამით პლატონი აჩვენებს, რომ ჩვენი შეგრძნების მონაცემები შეფარდებითია. ეს გარემოება გვაიძულებს გავიდეთ არასანდო შეგრძნებათა მიღმა და წარვიმართოთ ტემპერატურის ჭეშმარიტი იდეისკენ, რომელიც რეალურია, მუდმივი და არ ცვალებადობს გრძნობის ორგანოების მიერ განცდილი ტემპერატურის შესაბამისად.

იდეის წვდომა გრძნობადი აღქმით არ შეიძლება. იდეას მხოლოდ გონება სწვდება და ცნებებით გამოხატავს. გრძნობადი აღქმა მხოლოდ საბაბია,

გარეგანი სტიმულია იდეის შემეცნებისთვის. მაგრამ შემეცნების მთელი ეს პროცესი სხვა არაფერია, თუ არა მოგონება. რეალურ და ჭეშმარიტ ცოდნას სული ზეციურ სამყაროში იღებს იდეათა პირისპირ ჭვრეტისას. ადამიანის სხეულში ჩასახლების შემდეგ სულს ადაპტაცია ესაჭიროება, ის შეცბუნებას (ჩვენ ვიტყოდით, სტრესს) განიცდის და ამ ცოდნას იეიწყებს. ამით აიხსნება, რომ პატარა ბავშვის სულში ცოდნა აქტუალურად არ არის წარმოდგენილი, თუმცა პოტენციურად იქ იმყოფება. აქედან გამომდინარე, შემეცნების პროცესი არსებითად *მოგონების პროცესია*, გონებაში იმთავითვე, გაუცნობიერებლად მოცემული ცოდნის გაცნობიერების პროცესი.

მოგონება *მეხსიერების* ფუნქციის გამოვლინებაა. აქედან იკვეთება მეხსიერების განსაკუთრებული როლი შემეცნების პროცესში. თვითონ მეხსიერებაში ცოდნა ისევე შემოინახება, როგორც "ცვილზე ინახება ბეჭდის კვალი", ამბობს პლატონი. მაგრამ გასარჩევია მეხსიერება, როგორც გრძნობადი აღქმის პასიური შემონახვა (რაც ცხოველსაც ახასიათებს) და მოგონება, როგორც აქტიური პროცესი, რომელიც ნამდვილი ადამიანური შემეცნების საფუძველია. როგორც ითქვა, მოგონების წყალობით, ცოდნა ლატენტური (გაუცნობიერებელი) მდგომარეობიდან მანიფესტურ (ცნობიერ) მდგომარეობაში გადადის. ამ პროცესს პლატონი *ანამნეზისს* უწოდებს. ის დაწერილებით არის აღწერილი დიალოგში "მენონი", სადაც ავტორი უჩვენებს, როგორ აქტუალიზდება ყმაწვილი მონის სულში მათემატიკის ცოდნა, რომელიც პოტენციურად მასში მანამდეც არსებობდა, მაგრამ გაცნობიერებული სახე მხოლოდ სპეციალური საუბრის შედეგად მიიღო.

მიუხედავად ამისა, პლატონი თვლის, რომ მეხსიერება შემეცნების პროცესის მხოლოდ შუა ეტაპია, რომელიც გრძნობად აღქმას მოჰყვება. შემეცნების დამაგვირგვინებელი და, მაშასადამე, მთავარი კოგნიტური პროცესი აზროვნებაა. *აზროვნება* ცნებებით ოპერირებს და მეტყველების ფორმაში მიმდინარეობს. აზროვნება ამჩნევს შეუსაბამობას აღქმაში და, გრძნობად მონაცემებზე დაყრდნობით, მსჯელობის გზით მიდის ზოგად ცნებამდე. ეს პროცესი პლატონთან *დიალექტიკის* ტერმინით არის აღნიშნული და განიხილება დიალოგის სახით, რომელსაც მოაზროვნე სუბიექტი შინაგნად აწარმოებს უხილავ მოსაუბრესთან. "აზროვნებისას სული მსჯელობს ისე, რომ ეკითხება და პასუხობს, უარყოფს და უმტკიცებს რასმე თავის თავს". აქ ცხადად იკვეთება პარალელი მისი მასწავლებლის, სოკრატეს საუბრის მეთოდთან. მაგრამ, ვინაიდან ეს დიალოგი შინაგან პლანში ვითარდება, შეიძლება ითქვას, რომ პლატონმა მეცნიერული აზროვნების ისტორიაში პირველად დასვა საკითხი *შინაგანი მეტყველების* შესახებ, საკითხი, რომელსაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე გენეტიკურ და კოგნიტურ ფსიქოლოგიაში. და მაინც, აზროვნების, როგორც შემეცნებითი ფსიქიკური პროცესის რეალური მნიშვნელობისა და ფუნქციის გარკვევა პლატონის სისტემაში საკმაოდ რთულია. აქ პრინციპული ხასიათის წინააღმდეგობა იჩენს თავს. არ არის ნათელი, რა უნდა აღმოაჩინოს აზროვნებამ, ან რა ახალი ცოდნა მოიპოვოს, თუ მთელი ჭეშმარიტი ცოდნა უკვე მანამდეა მოცემული სულში და მხოლოდ აღდგენას საჭიროებს. აღდგენა, ანუ მო-

გონება კი მეხსიერების საქმეა. მაშინ გაუგებარი ხდება არა მხოლოდ ის, თუ რატომ არის აზროვნება უმაღლესი კოგნიტური ფუნქცია, არამედ საერთოდ მისი დანიშნულება.

პლატონი თავადაც აღიარებს, რომ ლოგიკური აზროვნება ვერ მოგვცემს საგნის შესახებ ნამდვილ ცოდნას, ვინაიდან ეყრდნობა გარემოდან მომდინარე ცნობებს, რომლებიც რეალურად ვერ ჩაითვლება. ავტორი ამ ვითარებას ალეგორიულ ფორმაში გადმოგვცემს, როცა ჩვენს ცხოვრებას გამოქვაბულში გამომწყედეული ტუსაღების ყოფას ადარებს. ისინი ხედავენ მხოლოდ გარეთ მოძრავი ადამიანების, საგნებისა და საკუთარი თავის ჩრდილებს გამოქვაბულის კედელზე, შემდეგ კი ამ არასრულყოფილი ასლების მიხედვით ცდილობენ შეიქმნან რეალური სამყაროს სურათი. ამ პირობებში ყველაზე სრულყოფილი აზროვნებაც უძლურია გადაწყვიტოს ეს ამოცანა. მაგრამ, განაგრძობს პლატონი, ადამიანს მაინც აქვს საშუალება დაეუფლოს ჭეშმარიტ ცოდნას, მივიდეს საგანთა არსამდე. ამას ემსახურება აზროვნების უმაღლესი ფორმა – "მიხვედრა". ქრისტიანულ ნეოპლატონიზმში მას უწოდეს ლათინური ტერმინი "ინტუიცია". მას ახასიათებს უშუალობა და აქვს უცაბედი წვდომის ხასიათი. XX საუკუნის ფსიქოლოგიაში ამ მოელენის აღსანიშნავად შემოიღეს ტერმინი "ინსაიტი" (იხ. 9.1.). მაგრამ, როგორი მსგავსებაც არ უნდა იყოს პლატონის მიერ აღწერილ *ინტუიციურ აზროვნებასა* და ინსაიტს შორის, ისინი არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც პროცესუალური, ისე შინაარსეული თვალსაზრისით. პლატონისეული უცაბედი მიხვედრა, პრინციპში, არ არის ახლის წვდომა; იგი უკვე არსებული ცოდნის გაცნობიერებაა. ნამდვილი აზროვნება კი ყოველთვის ახალი ამოცანის გადაწყვეტაა. ძველი ცოდნის აქტუალიზაცია და რეპროდუქცია მეხსიერებაა და არა აზროვნება. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ პლატონის შემეცნების თეორია არ გვაძლევს ამ ორი კოგნიტური ფსიქიკური პროცესის განსხვავების მკაფიო და სანდო კრიტერიუმებს. აზროვნება, ფაქტობრივად, იმას აკეთებს, რაც მეხსიერების ფუნქციაა.

პლატონი *რაციონალისტია.* მისთვის პირველ პლანზე ადამიანის გონიერი საწყისი დგას, ხოლო ემოციების როლსა და მნიშვნელობას არც თუ მაღალ შეფასებას აძლევს. ყოველ შემთხვევაში, იგი კატეგორიულად უარყოფს *ჰედონისტურ* შეხედულებას, რომლის თანახმად ადამიანის ცხოვრების უმაღლესი ღირებულება სიამოვნების მიღებაა. ერთ-ერთ დიალოგში ("ფილები") ერთობ მეტყველ პასაჟს ეპოულობთ ამის თაობაზე. ავტორი ამბობს: "სიამოვნებას არ ეკუთვნის პირველობა სულის თვისებებს შორის, რამდენიც გინდა ამტკიცოს ეს ყველა ხარმა, ცხენმა თუ სხვა ცხოველმა მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ თვითონ ისინი სულ სიამოვნების ძიებაში არიან". ადამიანის სულის სტრუქტურაში წამყვანი გონიერი სულია. რაც შეეხება სიამოვნება-უსიამოვნებას, ეს სულის სტუქტურული ნაწილებისა და, აგრეთვე, სხეულისა და სულის ჰარმონიული ან არაჰარმონიული მდგომარეობის გამომხატველია. შესაბამისად, გამოიყოფა სხეულებრივი და სულიერი გრძნობები. სულიერ გრძნობებში შედის დაბალი (ირაციონალურ სულთან დაკავშირებული) და მაღალი (რაციონალურ სულთან დაკავშირებული)

გრძნობები. სიამოვნება, რომლის საფუძველია ცოდნა, უმაღლესი სიამოვნებაა.

პლატონი პირველი დიდი *ნატივისტია*. სულიერი ცხოვრების ანალიზისას იგი გადამწყვეტ მნიშვნელობას თანდაყოლილ ასპექტებს ანიჭებს. ეს ნათლად გამოისაგა მის თვალსაზრისში სწავლისა და აღზრდის შესახებ. ორივე მათგანს პლატონი დიდ ყურადღებას უთმობს. განათლების, სწავლისა და სწავლების საკითხი მას, როგორც პროფესიონალ პედაგოგს (აკადემიის ხელმძღვანელს) აინტერესებს. ამ საკითხს პლატონი, ცხადია, შემეცნების საკუთარ თეორიასთან მიმართებაში განიხილავს. ცოდნა, ამბობს იგი, არ შეიძლება ჩაიდოს სულში ისევე, როგორც ორნამენტი უკეთდება ნივთს. გამომდინარე იქიდან, რომ ცოდნა თავიდანვე სულში იმყოფება, სწავლება ისეთი პროცესია, რომელიც სელს უწყობს მის აქტუალიზაციას, ეხმარება მოსწავლეს რაც შეიძლება მოკლე და სწორი გზით მივიდეს მასში ჩანერგილი ცნების ჩამოყალიბებამდე.

პლატონს აღზრდის პროცესიც პრაქტიკული, კერძოდ, სახელმწიფოს მოწყობის თვალსაზრისით აინტერესებს. სახელმწიფოში მკაცრად უნდა იყოს გამიჯნული მისი წევრების ფუნქციები. ეს ფუნქციები სამ მთავარ წოდებას შორის ნაწილდება, ესენია: დემოსი ანუ ხალხი (მიწათმოქმედები, ხელოსნები, ვაჭრები), მეომრები (მცველები) და მმართველები. ადამიანების წოდებებად დანაწილება იმ უნარების და თვისებების მიხედვით უნდა ხდებოდეს, რომლითაც ისინი იბადებიან. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ამ ბუნებრივი მონაცემების გამოელენაზე რაც შეიძლება ადრეულ ასაკში, ხოლო შემდეგ ხელი შეუწყოს მათ მაქსიმალურ სრულყოფას იმ მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც სახელმწიფოში ამ ადამიანების მომავალი სტატუსით არის განსაზღვრული. თანამედროვე ტერმონოლოგიით, პლატონი მკაფიოდ აყენებს პროფშერჩევისა და პროფმომზადების ამოცანას. მაგალითად, სამხედრო პირები საგანგებოდ უნდა იყვნენ შერჩეული და აღზრდილი. მცველი უნდა იყოს გულადი, ფიზიკურად ძლიერი, გონიერი, გამახვილებული გრძნობის და ფიცხი ხასიათის. ამ თანდაყოლილი თვისებების განვითარება მთელ რიგ აღმზრდელობით ღონისძიებებს ითვალისწინებს. მათ შორის უპირატესია ტანვარჯიში (სხეულის სრულყოფისთვის) და ხელოვნება, განსაკუთრებით მუსიკა (სულის აღზრდისთვის). უნდა შეიზღუდოს ყოველგვარი ზემოქმედება (ინფორმაცია), რომელიც დააქვეითებს მომავალი მეომრის სიმამაცეს და ამასთან, მიეცეს ისეთი საკითხავი, საყურებელი თუ მოსასმენი, რაც ხელს შეუწყობს მასში გონიერებისა და სამართლიანობის განვითარებას.

პლატონი დიფერენციალური ფსიქოლოგიის საკითხებსაც ეხება. მისი აზრით, ქალებს, მიუხედავად იმისა, რომ ბუნებით მამაკაცებზე სუსტები არიან, შეუძლიათ ისეთივე საზოგადოებრივი დავალებების შესრულება, რაც მამაკაცებს. აქედან გამომდინარე, სათანადო სათნოების ჩამოყალიბებისთვის ქალებისთვისაც აუცილებელია ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდა. ქალებს აქვთ უნარი, იყვნენ არა მხოლოდ სამხედროები, არამედ სახელმწიფოს მმართველებიც. პლატონის ეს მოსაზრებები ერთობ მოუთბობს გულს თანამედროვე ფემინისტებს და იმათაც დააინტერესებს, ვინც სერიოზულად იკვლევს გენდერის ფსიქოლოგიის საკითხებს.

**არისტოტელე** (384-322 ძვ.წ.) დაიბადა ქალაქ სტაგირში, ჩრდილოეთ საბერძნეთში. ბავშვობა გაატარა მაკედონიაში, სადაც მამამისი მეფის კარის ექიმად მსახურობდა. მამამ მისცა არისტოტელეს პირველადი საექიმო და საბუნებისმეტყველო განათლება. ჩვიდმეტი წლისა არისტოტელე ჩადის ათენში და ირიცხება პლატონის სახელგანთქმულ აკადემიაში. აქ იგი ოც წელს დაპყოფს, ჯერ მოწაფედ, შემდეგ კი მასწავლებლად. პლატონის სიკვდილის მერე არისტოტელე ათენიდან მიდის და მცირე აზიის სხვადასხვა ქალაქებში ცხოვრობს. ერთხანს იგი მაკედონიაშია და ასწავლის ახალგაზრდა ალექსანდრეს. 335 წელს არისტოტელე ბრუნდება ათენში, სადაც აარსებს სკოლა-ლიცეუმს. აქ მისი სახელი, როგორც გამოჩენილი სწავლულისა, მწვერვალს აღწევს. მიუხედავად ამისა, ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ ათენში ანტიმაკედონური განწყობილების მომძლავრების გამო, არისტოტელე იძულებული ხდება დატოვოს ათენი. იგი გადასცემს ლიცეუმის მართვას თავის ყველაზე ერთგულ და გამოჩენილ მიმდევარს, თეოფრასტეს და სახლდება ღედამისის სამშობლოში, კუნძულ ევბეიზე. არისტოტელე გარდაიცვალა კუჭის დაავადებით, რომელიც მთელი ცხოვრება აწუხებდა.

არისტოტელე არა მხოლოდ ძველბერძნული მეცნიერების კორიფეად, არამედ ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს მოაზროვნედ არის მიჩნეული. მან განმსაზღვრელი, ფუძემდებლური წელილი შეიტანა ცოდნის სხვადასხვა დარგის განვითარებაში. განუზომელია მისი ღვაწლი ფსიქოლოგიაშიც. მოსაზრებები ამა თუ იმ ფსიქოლოგიურ საკითხზე გაბნეულია არისტოტელეს ნაწარმოებებში მეტაფიზიკის, ლოგიკის, ბიოლოგიის, ეთიკის, ესთეტიკის შესახებ. მაგრამ ძირითადია არისტოტელეს ტრაქტატი "პერი ფსიქე" ანუ "სულის შესახებ". დასავლურ ცივილიზაციაში ესაა პირველი წმინდა ფსიქოლოგიური გამოკვლევა. მასში გადმოცემულია წინარე ავტორების შეხედულებები ფსიქიკური რეალობის შესახებ, რომლებზეც რიგ შემთხვევებში, არაფერი გვეცოდინებოდა. სწორედ მათი საფუძვლიანი კრიტიკული განხილვის, საკუთარი დაკვირვებებისა და ანალიზის საფუძველზე არისტოტელემ შექმნა ფაქტობრივად პირველი მწყობრი ფსიქოლოგიური სისტემა. მასში დამუშავებული საკითხების კომპლექსი დღემდე რჩება ე.წ. ზოგადი ფსიქოლოგიის ძირითად შინაარსად: სულის რაობა და სულის სახეები (ანუ, დღევანდელი გაგებით, ფსიქოლოგიის საგანი); სულის გამოვლინებები ან თვისებები – შეგრძნება, წარმოსახვა, მეხსიერება, აზროვნება, გრძნობები, სურვილები, ნებისყოფა (ანუ ფსიქიკური პროცესები), და ბოლოს, ხასიათი (ანუ პიროვნების თვისებები). ამ და სხვა ე.წ. მცირე ფსიქოლოგიურ თხზულებებში ("შეგრძნების შესახებ" "მეხსიერების შესახებ", "სიზმრების შესახებ") და ბიოლოგიურ ტრაქტატში – ("ცხოველთა ნაწილების შესახებ"), განხილულია ისეთი თემებიც, რომლებიც ფსიქოლოგიისა და ფიზიოლოგიის მიჯნაზე იმყოფება: ძილი და ღვიძილი, სიცოცხლის ხანგრძლიობა, მისი ეტაპები ან პერიოდები, სიცო-

ცხლე და სიკვდილი, კვება და მოძრაობა. ის გარემოება, რომ არისტოტელე მათ სულის მოქმედების სფეროს მიაკუთვნებს, აღასტურებს, რომ მისთვის საესებით მისაღები იყო ბიოლოგისტური ორიენტაცია. ეს არც არის გასაკვირი მკვლევარისაგან, ვისაც "ორგანულის აღმომჩენს" უწოდებენ: ყოველ შემთხვევაში, ზოოლოგიის ფუძემდებლად აღიარებული არისტოტელე იმდენად მჭიდროდ აკავშირებს სიცოცხლისა და სულის (ფსიქიკის) ცნებებს, რომ ფაქტობრივად აიგივებს მათ.

სხეულს ცოცხალ არსებად სული აქცევს. სხვა შემთხვევაში იგი უბრალო მატერიალური ნივთი იქნებოდა. ამდენად, სული ცოცხალი სხეულის არსია, ანუ ის, რის გარეშეც სხეული არ არის ის, რაც არის. სხეულისა და სულის მიმართების პრობლემა პლატონთან, როგორც ზემოთ ვნახეთ, საგნისა და იდეის მიმართების ანალოგიით არის გადაწყვეტილი. საგანი (მათ შორის ცოცხალი სხეული), იქმნება მატერიის გაერთიანებით მის მიღმა სამყაროში არსებულ იდეებთან, რომლებიც, ფაქტობრივად, საგნების არსი, მათ არქეტიპები ანუ "პირველსახეებია". არისტოტელე მკაცრად ილაშქრებს ასეთი გაგების წინააღმდეგ. იდეა (ეიდოსი) საგნის არსია და როგორ შეიძლება, რომ არსი და ის, რისი არსიც არის, ცალ-ცალკე არსებობდნენ? ამიტომ არისტოტელე საგნობრივ ბუნებას განიხილავს ერთმანეთისაგან იმთავითვე დაუშორებელი მატერიისა და ეიდოსის ანუ ფორმის ერთობლიობად. მატერია არის სუბსტანცია, ანუ ის მასალა, რისგანაც საგანი შედგება; ფორმა საგნის არსია, მისი რაობაა, ანუ ის არის, რასაც საგანი წარმოადგენს, რატომაც და რისთვისაც საგანი არსებობს. აქ ფორმის ცნება ნეგულებრივი მნიშვნელობით არ იხმარება. ფორმა საგნის უბრალო გარეგანი მოყვანილობა ან რაიმეს შინაარსის გარეგამოელინება კი არ არის, არამედ აქტიური საწყისი. საგნის დანიშნულება, მისი ფუნქცია და "მიზანია". სხვანაირად, მატერია არის მხოლოდ პოტენცია, შესაძლებლობა, ფორმა კი აქტიურობა. იგი უსახურ და პასიურ მატერიას ანიჭებს გარკვეულობას, სახეს, ანუ აქცევს არსებულად. ქმნადობის, განხორციელების ამ პროცესის აღსანიშნავად არისტოტელეს შემოაქვს უმნიშვნელოვანესი ცნება *ენტელექია*. მატერია უფორმოდ წმინდა პოტენციაა, ის არაფერია, თუმცა, ამავე დროს, შეიძლება გახდეს ყველაფერი. იგი ისეთივეა, როგორიც გამდნარი მეტალი, რომელსაც ჯერ არ მიუღია გარკვეული ფორმა, მაგრამ მისგან ცულის ჩამოსხმაც შეიძლება და მახვილისაც. ამ რომელიმე ფორმიდან გამომდინარე, ის კონკრეტული მიზნის მატარებელი გახდება.

აღწერილ კონსტრუქციას არისტოტელე პირდაპირ იყენებს სხეულისა და სულის მიმართების პრობლემის ანალიზისას. სული სხეულის ფორმაა; მამასადამე, ის ახორციელებს იმ ფუნქციებს, რაც ცოცხალი ორგანიზმისთვის არის დამახასიათებელი. სულისა და ორგანული სხეულის ურთიერთობა თვალისა და მხედველობის ურთიერთობის ანალოგიურია. თვალი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ამბობს ავტორი, მისი სული მხედველობა იქნებოდა. მხედველობა ხომ თვალის არსია. თუ თვალმა მხედველობა დაკარგა, ის ისპობა, როგორც ორგანო. იგივე ითქმის მოლიანად სხეულის შესახებაც. იგი მხოლოდ მაშინაა ორგანიზმი, როდესაც ახორციელებს თავის ფუნქციას – სი-

ცოცხლეს: ხოლო სიცოცხლის, როგორც შესაძლებლობის განხორციელება (ენტელექია), სულია დამოკიდებული. მაშასადამე, სრულიად უეჭველია, რომ არ შეიძლება სულის გაითიშვა სხეულისაგან. სხეული და სული ერთიანობაში შეადგენს ცოცხალ არსებას. უფრო ზუსტად, სული აქცევს მატერიას ცოცხალ ორგანიზმად. სიცოცხლის ყოველი გამოვლინების სპეციფიკა მასთან დაკავშირებული სულის სპეციფიკის ნიშნით არის აღბეჭდილი. ცოცხალი არსება ისეთია, როგორიცაა მისი სული.

არისტოტელე სიცოცხლის სამ მთავარ ფორმას გამოყოფს: მცენარეულს, ცხოველურს და ადამიანურს. ისინი იერარქიას ქმნიან. მცენარეები ყველაზე პრიმიტიული არსებებია, ადამიანები – ყველაზე რთული. შესაბამისად, განიხილება სულის სამი სახე. რომლებიც მისი განვითარების სამ დონეს ქმნიან. ულაბლეს საფეხურს *მცენარეული ანუ ვეგეტატიური სული* შეადგენს. მისი წყალობით ორგანიზმი ახორციელებს სასიცოცხლოდ აუცილებელ ფუნქციებს, ესენია: კვება, ზრდა, გამრავლება. შემდეგ საფეხურზე ცხოველებისთვის დამახასიათებელი *შემგრძნობი სული* იმყოფება. სულის უმაღლესი ფორმაა *მოაზროვნე სული*, ე.წ. "ნუსი" (გონი), რომელიც მხოლოდ ადამიანისთვისაა სპეციფიკური.

ვეგეტაციურ სულთან დაკავშირებული ფუნქციები დანარჩენ ორ მაღალ დონეზეცაა, რადგან მათ გარეშე სიცოცხლე შეუძლებელია. ცხოველური სული ატარებს ვეგეტაციურის ნიშნებს და, ამასთან, მგრძნობელობის უნარიც აქვს. მოაზროვნე სული ორივეს მოიცავს. სულის ყოველი შემდგომი საფეხური წინა საფეხურის უნარებს შეიცავს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ, ვთქვათ, ცხოველში ორი სახის სული (ვეგეტაციური და შემგრძნობი) ერთი მეორის გვერდით არსებობს. ცხოველის სულში მოხსნილი სახით შენახულია ვეგეტაციური სული, ისევე როგორც ადამიანის სულში – შემგრძნობი და ვეგეტაციური სული. ავტორის თქმით, აქ ვითარება დაახლოებით ისეთივეა, როგორიც უსულო საგნების, თუნდაც გეომეტრიული ფიგურების შემთხვევაში. ყოველ მომდევნოში შესაძლებლობის სახით მოცემულია წინამორბედი; მაგალითად, ოთხკუთხედი პოტენციურად შეიცავს სამკუთხედს ისევე, როგორც შეგრძნების უნარი – ვეგეტაციურს.

ამგვარად, ყოველგვარ ცოცხალ არსებაში ერთი და მხოლოდ ერთი სული არსებობს. ის ერთიანია და განუყოფელი. მას არა აქვს ნაწილები, როგორც თუნდაც პლატონი ფიქრობდა, მაგრამ შემგრძნობი და მოაზროვნე სული შეიცავს წინარე სულის ნიშნებს. ვეგეტაციური სული არის, ასე ვთქვათ, "სული – მინიმუმი", რომელიც უთუოდ ახლავს ყოველ ორგანიზმს. ამავე დროს, იგი არ არის საკმარისი უფრო მაღალი დონის არსებებისთვის, სადაც სხვა უნარები იჩენს თავს. ბუნება კი, არისტოტელეს ბრძნული შენიშვნისა არ იყოს, ტყუილ-უბრალოდ არაფერს ქმნის. შემგრძნობი სულის გამართლება ის არის, რომ მოძრავი სხეულისთვის შეგრძნების უნარია აუცილებელი. ამ უნარის გარეშე იგი დაიღუპება. ვერც ადამიანი განახორციელებს თავის ზნეობრივ-სოციალურ ფუნქციას გონების გარეშე.

ამის შემდეგ არისტოტელე იწყებს სულის თითოეული სახეობის ანალიზს, რაც, არსებითად, მათი ძირითადი უნარებისა თუ თვისებების დახასი-

ათებაში მდგომარეობს. ამასთან, ყველგან გატარებულია პრინციპი – ყოველი სულიერი მოქმედების კელეეა მისი შესატყვისი ობიექტის შესწავლით უნდა იწყებოდეს: ვეგეტაციურისა – საჭმლის, შეგრძნებისა – შესაგრძნობი ობიექტით, აზროვნებისა – აზროვნების საგნით. სულის მოქმედების საგანი იმიტომ უნდა მოინახოს, რომ მის გარეშე თვითონ სულიც არ არსებობს; სული მხოლოდ ორგანიზმის მოქმედებაში მყლავნდება, რაც უთუოდ გულისხმობს რაიმე საგნისადმი მიმართებას.

ვეგეტაციური სულის დახასიათებისას გამოიყოფა მისი სამი მხარე: ის, რაც იკვებება, რითაც იკვებება და რაც კვებავს. მკვებაეი არის პირველი სული. ის, რაც იკვებება და რაც სულის მატარებელია, არის სხეული, ხოლო რითაც იკვებება, ეს საკვებია. (არისტოტელე საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს კვების "უიზიოლოგიას" და გამოთქვამს ზოგიერთ საინტერესო მოსაზრებას. ამაეე დროს აღნიშნავს, რომ ეს საკითხი უფრო სრულად შემდგომში უნდა გაშუქდეს. არისტოტელეს ინტერპრეტატორების აზრით, მას სპეციალური ტრაქტატი უნდა ჰქონოდა ამ თემაზე.)

საკუთრივ ვეგეტაციური სულის რაგვარობის შესახებ ავტორი ძალიან ცოტას ლაპარაკობს. კერძოდ იმას, რომ ვეგეტაციური სული სიცოცხლის საწყისია, რომ ის კვებავს სხეულს. უფრო ამომწურავი დახასიათება მოცემული არ არის. ამ სახის სულის წმინდა ფსიქოლოგიურ რაობას არისტოტელე არ აღწერს, რაც ჩვენთვის უფრო გასაგები უნდა იყოს, ვიდრე მისი თანამედროვეებისთვის. საქმე ისაა, რომ დღეეანდელი გადასახედიდან ვეგეტაციური სული არც არის ფსიქოლოგიური კელეეის საგანი, ის ბიოლოგიური მოვლენაა. არისტოტელესეული ფსიქოლოგიისთვის მისი მნიშვნელობა იმით ამოიწურება, რომ საძირკველია ყოველი შემდეგი საფეხურის სულისთვის. კვება, ზრდა, გამრაველება სიცოცხლის მახასიათებლებია, ხოლო სიცოცხლე სულიერებასთან არის გაიგივებული. თანამედროვე მეცნიერების თანასმად, ცოცხალი და სულიერი (ფსიქიკური) იდენტური არ არის. ყოველი ფსიქიკური ცოცხალია, მაგრამ ყოველი ცოცხალი არაა ფსიქიკური. მცენარეები ცოცხალი ორგანიზმებია, მაგრამ მათ არა აქვთ ფსიქიკა, რომელიც პირველად მხოლოდ ცხოველებში იჩენს თავს და ე.წ. მგრძნობელობით (ანუ, არსებითად, შეგრძნებით) ხასიათდება. ეს შეხედულება შეიძლება მიეიღოთ ან არა, მაგრამ ამ ანალიზის ფარგლებში მთავარი ის კი არ არის, თუ ორგანული ეეოლუციის რომელ საფეხურს მივაწერთ ფსიქიკას, არამედ ის, რომ დღეს არსებითად სხვაგვარად დგას საკითხი – ფსიქიკა ცოცხალი ბუნების განვითარების რომელიღაც შედარებით მაღალ საფეხურზე იჩენს თავს. არისტოტელესთვის კი სიცოცხლე სულია, რომელიც ყოველ ცოცხალ არსებას აქვს. თანამედროეე წარმოდგენებით ბუნება სამ დიდ კლასად იყოფა: არაორგანულად, ორგანულად და ფსიქიკურად, არისტოტელესთან იგი მხოლოდ ორ ჯგუფს მოიცავს – არაორგანულს და სულიერს ანუ ორგანულს.

როგორც აღინიშნა, სულის მეორე სახეობას არისტოტელე შემგრძნობ სულს უწოდებს. მაგრამ სულის ამ ფორმის ბუნება არ ამოიწურება იმით, რომ ვეგეტაციური სულის უნარებს ემატება კიდეე ერთი – შეგრძნების უნარი. ანალიზიდან ჩანს, რომ სინამდვილეში მეორე დონის სული სხვა ფსი-

ქიკური უნარებითაც ხასიათდება. არისტოტელე პირდაპირ ამბობს, რომ "ეისაც შეგრძნება აქვს, ექნება აგრეთვე სიამოვნებისა და ტანჯვის განცდის უნარი და, მაშასადამე, ეცოდინება, თუ რა არის სასიამოვნო მოელენა და რა – უსიამოვნო. ვინც ამას ფლობს, მას სურვილიც ექნება, ვინაიდან სიამოვნება იგივე სწრაფვაა". ავტორი აქ აშკარად მიუთითებს ემოციურ და მოტივაციურ პროცესებზე, თუმცა მათ მკაფიოდ ვერ მიჯნავს ერთმანეთისაგან. შემდგომ ირკვევა, რომ სულის მოცემულ ფორმას მეხსიერებისა და წარმოსახვის უნარიც ახასიათებს. მათი ანალიზისას დაერწმუნდებით, რომ აღნიშნული ფსიქიკური პროცესები არისტოტელესთან ცხოველური სულის ყოველგვარ გამოელინებას მიეწერება, თუმცა ზოგიერთი ფორმა მხოლოდ უმაღლესი დონის, გონიერი ადამიანური სულის სპეციფიკას წარმოადგენს. მაშინ რატომ უწოდებს ავტორი სულის მეორე სახეობას შემგრძნობ სულს? აქ ერთი რამ არის საფიქრებელი: არისტოტელე ინტუიციურად მართებულად ხედება, რომ სწორედ შეგრძნების უნარი ქმნის თვისობრივ ფსიქოლოგიურ განსხვავებას მცენარეულ და ცხოველურ ორგანიზმებს შორის, ხოლო სულის აღნიშნული თვისებები მეორადია შეგრძნებასთან მიმართებაში. მართლაც, როგორ შეიძლება რაიმე გაიხსენო ან წარმოისახო, თუ მანამდე, შეგრძნების უნარის მეშვეობით არ შემოვიდა გარკვეული მასალა, ე.წ. გრძნობადი შინაარსი?

ამგვარად, სულის მეორე სახეობასთან დაკავშირებულ ფსიქიკური უნარ-თვისებების კომპლექსში გამორჩეული ადგილი შეგრძნებას უკავია. ის არის მათი წინაპირობა და მთელი შემეცნების პროცესის სათავე. ამიტომ სულის შესახებ ტრაქტატის ავტორი მას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს.

*შეგრძნება* არის განცდა. ის წარმოიქმნება გარე ზემოქმედებით გრძნობის ორგანოზე, რომელიც გადაეცემა სულს. საბოლოო ჯამში, შეიგრძნობს სული გრძნობის ორგანოს მეშვეობით. ამ პროცესის სათავე საგნებშია, გარედან მოქმედ აგენტებში. ამრიგად, დღევანდელი ენით რომ ვთქვათ, შეგრძნების სრულყოფილი შესწავლა გულისხმობს ფიზიკური გამღიზიანებლის ბუნების გარკვევას, ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესების გარკვევას და შეგრძნების განცდისეულ რომელობათა დახასიათებას. ქვემოთ ვნახავთ, რომ ბუნებისმეტყველებამ შეგრძნების ინტენსიური კვლევა XIX საუკუნეში სწორედ ამ სქემით დაიწყო. არსებითად ამავე სქემას მიყვებოდა არისტოტელე ორ ათასწლეულზე მეტი ხნის წინ! გამღიზიანებლების ფიზიკური (ოპტიკური, აკუსტიკური თუ სხვა) ბუნებისა და გრძნობის ორგანოს ანატომიურ-ფიზიოლოგიური მოწყობილობის არისტოტელესეული წარმოდგენები თანამედროვე მეცნიერებისთვის არაა საინტერესო, რასაც ვერ ვიტყვით იმ მოსაზრებებზე, რომლებიც შეგრძნების ფსიქოლოგიურ მხარეს ეხება. აქ მხოლოდ იმ ძირითად მომენტებზე შევჩერდებით, რომლებიც ამჟამინდელი გადასახედიდანაც საყურადღებოა.

როგორც აღინიშნა, შეგრძნება სათანადო ორგანოზე გამღიზიანებლის ზემოქმედებას გულისხმობს. მაგრამ, როგორია ამ ზემოქმედების ბუნება? ეს ხომ არ ნიშნავს მატერიალური ობიექტის შეღწევას გრძნობის ორგა-

ნოში? პირდაპირი მნიშვნელობით, ობიექტი ორგანიზმში კვების შემთხვევაში შედის. შეგრძნება კი სულის განსასვავებული, ვეგეტაციურზე უფრო მაღალი დონის თვისებაა. მიჯნავს რა ერიმანეთისაგან მატერიასა და ფორმას, არისტოტელე ამ საკითხის მოხდენილ გადაწყვეტას პოულობს: "შეგრძნება არის შესაგრძნობი საგნის ფორმის მიღება მისი მატერიის გარეშე". გრძნობის ორგანო ისევე განიცდის საგნის ზემოქმედებას, როგორც ცვილი იღებს ბეჭდის გამოსახულებას მისი მასალის – ოქროს ან სპილენძის გარეშე. ეს, ცხადია, ვერ მოხდება, თუ გრძნობის ორგანოს არ გააჩნია უნარი მატერიისა და ფორმის გამიჯვნისა და ფორმის ცალკე შეთვისებისა, ან მოკლედ, შეგრძნებითი უნარი. ობიექტის ზემოქმედების შედეგად შეგრძნების აქტში ეს პოტენცია სინამდვილედ (შეგრძნების განცდად) გადაიქცევა. აქ მიმართება ისეთივეა, როგორც შეშის, წვისა და ცეცხლის შემთხვევაში. შეშას წვის უნარი აქვს, რომლის რეალიზაციისთვის მასზე ცეცხლის ზემოქმედებაა საჭირო.

შემდეგ არისტოტელე სვამს საკითხს, თუ როგორ მოქმედებს გრძნობის ორგანოზე საგანი – უშუალოდ თუ გაშუალებულად? იგი აპრიორულად გამოთქვამს მოსაზრებას, რომ შეუძლებელია, ობიექტი უშუალოდ მოქმედებდეს გრძნობის ორგანოზე და იწვეედეს შეგრძნებას (თვალს რომ საგანი მივადოთ, ვერაფერს დავინახავთ). ამიტომ ყველა შეგრძნებისას არსებობს გამაშუალებელი გარემო, მედიუმი, რომელიც საგანს ორგანოსთან აკავშირებს. მხედველობის, სმენისა და ყნოსვის შემთხვევაში, ეს არის ჰაერი და წყალი, გემოსა და შეხების შემთხვევაში – ენა და ხორცი. მედიუმს საგნებიდან გადმოაქვს მოძრაობა და გადასცემს მას გრძნობის ორგანოს, რომელშიც ეს მოძრაობა გრძელდება რამდენადმე შეცვლილი სახით. მაგალითად, ფერი ამოძრავებს გამჭირვალე შუალედურ გარემოს (ჰაერს) და ამით მოძრაობაში მოჰყავს თვალი. მაგრამ რა ხდება შემდეგ, სად წარმოიქმნება საბოლოო ჯამში შეგრძნება – თვალში თუ სადმე სხვაგან? არისტოტელეს მიხედვით, შეგრძნება, ისევე როგორც ყველა სხვა განცდა თუ სულიერი პროცესი, აღმოცენდება სულის ცენტრალურ ორგანოში. გრძნობის ორგანო, მაგალითად, თვალი, მხოლოდ მოძრაობის მიმღებია; აქედან ის მიემართება გულისკენ, რომელიც სულის ცენტრალური ორგანოა. მართალია, თვითონ სული არამატერიალურია, მაგრამ სხეულში არსებობს მისი მოძრაობის გადამტანი ორგანული ეთეროვანი ნივთიერება, ე.წ. *პნევმა*, რომელიც სისხლთანაა შერეული და მისი მიმოქცევის საშუალებით უკავშირდება გრძნობის ორგანოებს.

ამ საერთო მექანიზმით მოქმედებს ხუთი გრძნობის ორგანო. შესაბამისად, გამოიყოფა ხუთი სახის შეგრძნება: მხედველობა, სმენა, ყნოსვა, გემო და შეხება. ეს უკანასკნელი ძირეულია იმ თვალსაზრისით, რომ ის აქვს ყველა ცხოველურ ორგანიზმს. ეს გამოწვეულია შეხების მჭიდრო კავშირით კვებასთან (კვება საკვებთან შეხებას გულისხმობს). შეხება და მისი ერთგვარი გაგრძელება – გემო, ბიოლოგიურად უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ასრულებს. ეს მოსაზრებები ეთანხმება თანამედროვე შედარებითი ფსიქოლოგიის შეხედულებას, რომლის მიხედვითაც სხვადასხვა შეგრძნების

მოდალობები გამოიყო თავდაპირველი საერთო მგრძნობელობიდან და ამ რიგში ყველაზე აღრეული შეხება და გემოა.

შეხების შეგრძნების შიგნით გამოიყოფა მისი ქვესახეები: თბილი – ცივი, მშრალი – ნოტიო, მაგარი – რბილი და სხვა. ღღეს ზოგი მათგანი შეგრძნების ცალკე მოდალობად არის მიჩნეული, ზოგი კი – შეხების შეგრძნების რომელობად. ასევე თუ ისე, არისტოტელე გამოკვეთს შეგრძნების შიგნით არსებულ რომელობით განსხვავებებს და მათ ე.წ. "საპირისპირო თვისებების" (თანამედროვე ტერმინოლოგიით, კონტრასტული წყვილების) სახით წარმოგვიდგენს. გემოში ესენია: ტკბილი – მწარე, ტკბილი – ცხიმოვანი, მწარე – მლაშე, მჟავე – მწკლარტე; სმენაში უნდა გავარჩიოთ არა მარტო მაღალი და დაბალი, არამედ ძლიერი და სუსტი, რბილი და ტლანქი და ა.შ. ცხადია, არც ფერების სიმრავლე დარჩენია მკვლევარს უყურადღებოდ. შავ-თეთრის დაპირისპირების გარდა იგი ლაპარაკობს ფერების მეტნაკლებ სიმუქეზე, სიმაძღრეზე და სხვა. არისტოტელემ ისიც შეამჩნია, რომ გარკვეულ რომელობათა ერთმანეთში შერევა ახალ რომელობას წარმოშობს. იგი აღწერს ფერთა შერევისა და გემოების შერევის რამდენიმე მაგალითს.

რაკი შეგრძნებათა ზოგად თვისებებზე ვსაუბრობთ, მიზანშეწონილი იქნება იმ საკითხსაც შევეხოთ, რომლის ემპირიული კვლევიდანაც ფაქტობრივად დაიწყო ექსპერიმენტული ფსიქოლოგია XIX საუკუნეში. მხედველობაში გვაქვს შეგრძნების ზღურბლებისა და საზოგადოდ ფსიქოფიზიკის პრობლემატიკა, რომელიც ძველმა ბერძენმა გენიოსმა საესებით ნათლად დასვა. შეგრძნება ვერ აღმოცენდება კონკრეტული ობიექტის გრძნობის ორგანოზე ზემოქმედების გარეშე. მაგრამ, განა ყოველთვის ჩნდება შეგრძნება ობიექტის ზემოქმედებისას? არისტოტელეს პასუხი ამ კითხვაზე წარმოადგენს ზღურბლის შესახებ მოძღვრების ძირითად დებულებას: შეგრძნება ჩნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამღიზიანებელი გარკვეული საშუალო ძალით მოქმედებს გრძნობის ორგანოზე. მეტისმეტად სუსტი გამღიზიანებელი არ იწვევს შეგრძნებას, ზედმეტად ძლიერი კი გრძნობის ორგანოს აზიანებს. ზომაზე დიდი ინტენსიობა აიძულებს გრძნობის ორგანოს ფორმასთან ერთად საგნის მასალაც მიიღოს, ანუ, ფაქტობრივად, შეასრულოს ვეგეტაციური ფუნქცია, რაც მისთვის არაბუნებრივია და ორგანო ზიანდება. ქვედა ზღურბლის შესახებ კი არისტოტელე აღნიშნავს, რომ თვალს ბუნებრივად აქვს მხედველობის უნარი, მაგრამ მან შეიძლება ეს უნარი ვერ გამოავლინოს, ვინაიდან "ფერი ძალიან ცუდია", ე.ი. სუსტია. შეხებასთან დაკავშირებით კი პირდაპირ მიუთითებს, რომ ჩვენ ყოველგვარ შეხებას ვერ შევიგრძნობთ, მაგალითად, ჰაერის შეხებას. მაგრამ შეხებისთვის გადაჭარბებულიც არ არის საწვდომი, მაგალითად ის, რაც არღვევს თვით ორგანოს. აქ არისტოტელე, ფაქტობრივად, ზღურბლქვედა და ზღურბლზედა გამღიზიანებლებზე ლაპარაკობს.

მკვლევარის მახვილ მზერას არ გამოპარვია შეგრძნების ისეთი ზოგადი თვისებაც, როგორიც ადაპტაციაა. ორგანო რომ გამღიზიანებელს უნდა შეეგუოს, მისთვის ფაქტია. ამ ფაქტის ახსნას იგი მართებულად ეძებს ორგა-

ნოს აგებულებაში, თუმცა, ფიზიოლოგიური ცოდნის შეზღუდულობის გამო, მისი მსჯელობა ამ მიმართულებით ჩვენთვის, რბილად რომ ვთქვათ, გულუბრყვილოდ ეღერს.

შეგრძნებებზე მსჯელობისას არისტოტელე მიდის ფუნდამენტური მნიშვნელობის პრობლემებამდე, რაც სცილდება საკუთრივ შეგრძნების ფსიქოლოგიის ფარგლებს. პირველ რიგში ეს არის *აღქმის* პრობლემა. ავტორი ხედავს, რომ გრძნობაღი შემეცნება არ ამოიწურება იმ ცნობებით, რასაც სუფი გრძნობის ორგანო გვაწვდის. ყველა მათგანი საგნის ამა თუ იმ, თავისთვის სპეციფიკურ თვისებას აფიქსირებს (ფერი, გემო და სხვა). მაგრამ, როგორ ხდება ე.წ. ზოგადი თვისებების აღქმა, ისეთების, როგორიცაა მოძრაობა, უძრაობა, ფორმა, სიდიდე, ერთიანობა? ეს თვისებები არც ერთ ცალკეულ გრძნობის ორგანოს არ ახასიათებს. არ არსებობს რაიმე სხვა, მეექვსე გრძნობის ორგანო, რომელიც მათ შესახებ ინფორმაციას მოგვაწვდის. ბუნებრივად დგება საკითხი, თუ როგორ მიიღება სხვადასხვა შეგრძნებიდან საგნების ზოგადი თვისებების, ან თვით საგნის, როგორც ასეთის, მთლიანი განცდა. თუ გავიხსენებთ, რამდენ ხანს და რა რთული გზით მიდიოდა ფსიქოლოგია ცალკეული შეგრძნებებიდან საგნის აღქმის მთლიანი ხატის პრობლემის გადაჭრამდე, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ არისტოტელემ აღქმის რეალური მექანიზმი ვერ გაარკვია. იგი მიუთითებს სულის ცენტრალურ ორგანოზე და ერთგვარ "საერთო მგრძნობელობაზე", რომელიც "კიდეც აზროვნებს და კიდეც შეიგრძნობს" და სინამდვილის აღქმის შესაძლებლობას ქმნის. ერთი სიტყვით, არისტოტელე გრძნობს განსხვავებას შეგრძნებასა და აღქმას შორის, თუმცა მათ გასამიჯნად სპეციალური ტერმინი არ შემოაქვს. მიუხედავად ამისა, აღქმის პრობლემის მხოლოდ დასმაც არისტოტელეს დიდი დამსახურებაა, მით უმეტეს, რომ მოაზროვნე ინტუიციურად მიხვდა: შეგრძნებას რაღაც ინტელექტუალური ძალა უნდა დაემატოს, რათა მოხდეს მთლიანი საგნის აღქმა.

არსებითად იგივე ითქმის *ცნობიერების* პრობლემაზეც, რომელიც არისტოტელეს წინაშე შეგრძნებათა კვლევის პროცესში დადგა. იგი მკაფიოდ ხედავს ცნობიერების არსებობის ფაქტს (თანამედროვე მნიშვნელობით): ჩვენ არა მხოლოდ შევიგრძნობთ რასმე, არამედ ვგრძნობთ კიდეც, რომ შევიგრძნობთ. ჩვენთვის ერთდროულად არის მოცემული შეგრძნების ობიექტიც და თვით შეგრძნების აქტიც. არისტოტელე მსჯელობს იმაზე, თუ როგორ არის ეს შესაძლებელი. მისი აზრით, შეგრძნებას თვითონვე რომ არ შესძლებოდა თავისი თავის გაცნობიერება, უნდა არსებულიყო რაღაც მეორე რიგის შეგრძნება, რომელსაც, ასევე, ან თავისი თავი უნდა შეეგრძნო (ანუ გაეცნობიერებინა), ან რაღაც მესამე რიგის შეგრძნება გაჩენილიყო, რომელიც მას გააცნობიერებდა. მაშასადამე, მივიღებდით შეგრძნებათა უსასრულო რიგს, რომლის ბოლოს მაინც მოგვიწევდა ისეთი შეგრძნების დაშვება, რომელიც თავის თავს გააცნობიერებდა და ამ რიგს დაასრულებდა. აქედან გამომდინარე, "თვითცნობიერების" უნარი პირველივე რიგის შეგრძნებას უნდა მიეწეროს. ყოველ შეგრძნებაში მოცემულია საკუთარი თავის გაცნობიერების უნარი. ქვემოთ დავინახავთ, რომ არისტოტელეს შემოქმედების

ერთ-ერთმა უდიდესმა თაყვანისმცემელმა და მცოდნემ, ფ. ბრენტანომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ყველა ფსიქიკურ აქტს მიაწერა როგორც გარე სამყაროს, ისე საკუთარი თავის "ხილვის" თვისება და ამით ცნობიერების უნიკალური ფსიქოლოგიური დახასიათება მოგვცა (იხ. 5.3).

სამყაროს თვალსაჩინო ასახვის შემდგომი საფეხური, *ფანტაზია* წარმოდგენის და წარმოსახვის სახით არის მოცემული. ძველ მოაზროვნეებში არისტოტელე ალბათ პირველი იყო, ვინც მისი საგანგებო დახასიათება სცადა. ფანტაზია მოჰყვება აღქმას და მას ეფუძნება. ისიც საგნის ან მისი თვისების თვალსაჩინო სურათის გვაძლევს, ოღონდ ამ შემთხვევაში ობიექტი სუბიექტზე უშუალოდ არ ზემოქმედებს. უფრო მეტიც, ეს ობიექტი შესაძლებელია რეალურად საერთოდ არ არსებობდეს. აქედან ჩანს, რომ "შეგრძნება – აღქმის" მსგავსად, ტერმინი "ფანტაზია" არ არის სათანადოდ დიფერენცირებული; იგი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე წარმოსახვის ან წარმოდგენის ცნება ღღევანდელი გაგებით და ორივეს ერთდროულად მოიცავს. ეს ართულებს ავტორის აზრის გაგებას, რადგან ფანტაზიაზე მსჯელობისას, იგი ზოგან ერთს გულისხმობს, ზოგან მეორეს, ზოგჯერ კიდევ სულ სხვა რაიმეს.

ასეა თუ ისე, იქ, სადაც საუბარია საგნის ხატზე, რომელიც შეგრძნებებთან უშუალო კავშირში იმყოფება, საქმე გვაქვს გრძნობად "ფანტაზიასთან", ანუ *წარმოდგენასთან.* წარმოდგენა, პრინციპში, შეიძლება ყოველგვარი მოდალობის შეგრძნებიდან მომდინარეობდეს, მაგრამ უპირატესობა მხედველობით შეგრძნებებს ენიჭება, რომლებიც დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. გარდა ამისა, ხატები მართლაც მხედველობითია. გასაკვირი არ არის, რომ ტერმინ "ფანტაზიის" ძირი ბერძნულად სიტყვა "სინათლიდან" მომდინარეობს. ასეთი ფანტაზია, არისტოტელეს მიხედვით, ყველა ცხოველს გააჩნია, ვინაიდან ვისაც შეგრძნება ახასიათებს, უთუოდ აქვს ფანტაზიაც. ფანტაზიის როლი იმდენად დიდია, რომ ის მხოლოდ ცხოველებს კი არ უწევს გონების მაგივრობას, არამედ ზოგჯერ ადამიანებსაც, კერძოდ მაშინ, როდესაც მათ გონება ეკარგებათ აფექტების, ავადმყოფობისა ან ძილის გამო. სხვათა შორის, ძილში სიზმრისეული ფანტაზიის გასაოცარი და არარეალური ხასიათი ერთ-ერთი მიმანიშნებელია იმისა, რომ ფანტაზიის ხატები მხოლოდ შეგრძნებების ასლებით, გამეორებებით ანუ წარმოდგენებით არ შემოიფარგლება. ფანტაზია ისეთ თვალსაჩინო სურათებსაც გვაძლევს, რომელთა საფუძველში სათანადო საგნობრივი რეალობა არ დგას, ანუ იმას, რასაც ამჟამად *წარმოსახვის ხატებს* ვუწოდებთ. ამაზე მიანიშნებს ერთ-ერთი პასაჟიც სულის შესახებ ტრაქტატიდან, სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ ფანტაზიის მოქმედების დროს ჩვენ ისეთივე მდგომარეობაში ვიმყოფებით, როგორც რაიმე სამიში ან სანუკვარი სურათის დათვალიერებისას, ე.ი. ჩვენ ვიცით ფანტაზიის ხატის ობიექტური არარსებულობა.

ამ მიმართულებით არისტოტელე მსჯელობას არ ავითარებს და უფრო მეტად იმის გარკვევა აინტერესებს, თუ საიდან მომდინარეობს ფანტაზიის (ფართო გაგებით) შეცდომები. ფანტაზია შემეცნების აუცილებელი საფეხურია. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ის საფუძველს უქმნის თვით რაციონალურ შემეცნებას, სადაც უზოგადესი და საბოლოო ჭეშმარიტებები დგინდება. მაგ-

რამ ეს არ ნიშნავს, რომ თვით წარმოდგენის ხაგი აუცილებლად ჭეშმარიტების შემცველია, რომ ის არასდროს არ ცდება. პირიქით, ფანტაზია საკმაოდ ხშირად არის შეცდომის წყარო, მაშინაც კი, როცა იგი შეგრძნებებს ემყარება; შეგრძნებები კი ყოველთვის ნამდვილ, უეჭველ ცნობებს გვაწვდიან. ავტორი პირდაპირ ამბობს – "შეგრძნებები ყოველთვის ჭეშმარიტია, წარმოდგენების უმრავლესობა კი მცდარი". აქ იგი ერთგვარ წინააღმდეგობაში ექცევა. შესაბამისი ანალიზი გვარწმუნებს, რომ სინამდვილეში ეს ასე არ არის. საქმე ისაა, რომ ამ შემთხვევაში არისტოტელე შეგრძნებაში "საერთო მგრძნობელობას" გულისხმობს, რომელიც აღიქვამს ე.წ. საერთო ნიშნებს, მაგალითად მოძრაობასა და სიდიდეს; ყველაზე მეტი შეცდომები კი სწორედ მათი შეგრძნების (აღქმის) დროს გვხვდება. ფერის, ხუნის, გემოს, ანუ სპეციფიკური თვისებების განცდისას (შეგრძნებისას) ილუზიები იშვიათია, სამაგიეროდ, ზოგადი ნიშნების შემთხვევაში ისინი ძრაველადაა. ყველაზე მეტად სივრცის, დროისა და მსგავსება-განსხვავების ილუზიებია გავრცელებული. არისტოტელე ასეთი ილუზორული აღქმის მაგალითსაც კი აღწერს, როდესაც "მზე შეიძლება მოგვეჩვენოს ერთი ტერფის სიდიდის მქონედ, თუმცა დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ის დედამიწაზე უფრო დიდია". საყოველთაოდ ცნობილია ე.წ. "არისტოტელეს ილუზია", როდესაც ერთი ობიექტის შეგრძნება გადაჯაჭვულია საშუალო და სანივესებელი თითების მეშვეობით ორი ობიექტის განცდას იძლევა. სამაგიეროდ, მხედველობა გვიდასტურებს, რომ ობიექტი მხოლოდ ერთია. ამდენად, მოცემული განცდის ილუზიად ცნობა აღქმაში შეგრძნებათა თანამონაწილეობას გულისხმობს.

შეგრძნება-აღქმით მიღებული შთაბეჭდილებები ინახება ცენტრალურ ორგანოში, რაც უკვე *მეხსიერებაა*. მეხსიერება სამი სახისაა: მარტივი ან დაბალი მეხსიერება ყველა ცხოველთან გვხვდება და შთაბეჭდილების ასლების სახით მოცემული წარმოდგენების უბრალო შენახვას გულისხმობს. მეხსიერების უფრო მაღალ დონეზე ხდება წარმოდგენების წარსულისადმი მიკუთვნება. ეს ფორმა მხოლოდ იმ ცხოველებთან გვხვდება, რომელთაც აქვთ დროის აღქმის უნარი. უმაღლესი დონის მეხსიერება ადამიანის პრეროგატივაა, ვინაიდან იგი მსჯელობას გულისხმობს. ამ დროს ხდება შემონახულის აქტიური აღდგენის, მოგონების პროცესი. ეს კი ნიშნავს მოსაგონარის მოძიებას, შემონახულთან მის გაიგივებას, სხვა წარმოდგენებისაგან გამიჯვნას, ერთი სიტყვით, გარკვეულ გონებრივ მუშაობას – მსჯელობას. იმისთვის, რომ ადამიანმა რაიმე მოიგონოს, საჭიროა ამჟამად მოცემული შთაბეჭდილება ერთგვარად დაუკავშირდეს უკვე არსებულ წარმოდგენას. ახლანდელი სულიერი ფაქტები ძველს მაგონებს, ვინაიდან მათი შესაბამისი საგნები ერთმანეთის მსგავსია, ან პირიქით – ერთმანეთის კონტრასტულებია, ან ოდესღაც ერთდროულად ან ერთმანეთის გვერდით იყვნენ მოცემული. ორი ათასი წლის შემდეგ ამ მოვლენას *ასოციაცია* დაარქვეს და იგი დიდი ხნის განმავლობაში ფსიქიკური ცხოვრების უმთავრეს ამხსნელ მექანიზმად მოიაზრებოდა. ამრიგად, მეხსიერების პროცესის დახასიათებისას არისტოტელემ ფაქტობრივად მიაგნო ასოციაციის ფსიქოლოგიურ მექანიზმს და

გამოყო ასოციაციის ოთხი სახე, რომლებმაც ასოციაციურ ფსიქოლოგიაში კანონების სახე მიიღო. ესენია: *დროში ან სივრცეში მეზობლობის, მსგავსებისა და კონტრასტის კანონები.*

შემეცნებითი პროცესების მწვერვალი *აზროვნებაა.* არისტოტელე დიდ ადგილს უთმობს აზროვნების პრობლემატიკის განხილვას თავის გნოსეოლოგიურ, ლოგიკურ და ფსიქოლოგიურ ნაშრომებში. მათში ჩამოყალიბებულმა მოსაზრებებმა მნიშვნელოვნად განსაზღვრა ამ პრობლემატიკის დამუშავების შემდგომი განვითარება. აქვე აღსანიშნავია, რომ აზროვნებაზე არისტოტელესეულ შეხედულებებში ყველაზე მეტია ბუნდოვანება, გვხვდება წინააღმდეგობებიც, რაც მრავალი განსხვავებული ინტერპრეტაციის წყარო გახდა როგორც ფილოსოფიის, ისე ფსიქოლოგიის ისტორიაში.

დაიწყოთ იმით, თუ რა მიმართებაა შეგრძნება-აღქმას, წარმოდგენასა და აზროვნებას შორის. ყველაზე მარტივი იქნებოდა გვეთქვა, რომ ისინი შემეცნების საფეხურებია. გარკვეული აზრით, არისტოტელეც ასე ფიქრობს. იგი პირდაპირ ამბობს, რომ "ვისაც შეგრძნება არა აქვს, ის ვერც ვერაფერს შეისწავლის და ვერც გაიგებს". წარმოდგენები შეგრძნება-აღქმის შედეგად იქმნება, ხოლო "სული არასოდეს აზროვნებს წარმოდგენების გარეშე". თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ შეგრძნებები უშუალოდაა სხეულთან დაკავშირებული (შეგრძნების ორგანოებით), მაშინ თითქოს აშკარა უნდა იყოს აზროვნების კავშირიც სხეულთან. მაგრამ არისტოტელე ბევრგან ამბობს, რომ სულის მოაზროვნე ნაწილი არ არის სხეულთან დაკავშირებული, რომ გონება თავისუფალია ყველაფრისაგან და, პირველ რიგში, სხეულისაგან. უფრო მეტიც, გონება (ე.წ. ნუსი) სხეულის გარეშეც არსებობს. როგორ უნდა გავიგოთ ეს ყოველივე?

თანამედროვე ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, აზროვნება ზოგადსა და არსებითს სწვდება, ხოლო შეგრძნება-აღქმა და წარმოდგენა, როგორც აღქმულის ასლი, ყოველთვის კონკრეტულს ეხება. ნამდვილი აზროვნება მხოლოდ ცნებებით (ე.ი. ზოგადით) ოპერირებს და მსჯელობისა და დასკვნის საშუალებით კიდევ უფრო ღრმა და ფართო ცოდნამდე მიდის, ზოგადის (ცნების) აღქმა კი შეუძლებელია. მაშინ რაღა საჭიროა აზროვნებისთვის გრძნობადი აღქმა და საერთოდ, საიდან მოდის ცოდნა? სწორედ ამ პუნქტში ემიჯნება ერთმანეთს ე.წ. ემპირიზმისა და რაციონალიზმის პოზიციები. პირველის მიხედვით, ზოგადის წვდომა კონკრეტულ-საგნობრივი სინამდვილის გრძნობადი მონაცემების განზოგადების შედეგად ხდება. მეორის მიხედვით, გრძნობადი მონაცემები საუკეთესო შემთხვევაში სტიმულატორის როლს ასრულებენ გონებაში იმთავითვე (აპრიორულად) მოცემული ცოდნის (ზოგადი იდეების) აქტუალიზაციისთვის.

ფილოსოფიის, სახელდობრ შემეცნების თეორიის თვალსაზრისები იმდენად მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა ფილოსოფიის წიაღში შექმნილ ფსიქოლოგიის სახეს, რომ, ახალი დროიდან მოყოლებული, ფსიქოლოგიის განვითარება, არსებითად, *ემპირიული და რაციონალური* ფსიქოლოგიის პაექრობად იყო გადაქცეული. ამაში ჩვენ მომდევნო თავებში დავრწმუნ-

ღებით. არისტოტელე კი მერყეობს ემპირიზმსა და რაციონალიზმს შორის. ზოგან ამბობს, რომ ზოგადს ინდუქციის საშუალებით ეწვდებით, ე.ი. ემპირიული გამოცდილებიდან მომდინარე კერძო შემთხვევების განზოგადებით. მაგალითად, ჩვენ შეგვიძლია მრავალი ერთეული ცხოველის აღქმის საშუალებით მივიღეთ ცოცხალის ზოგად წარმოდგენამდე (ცხებამდე). ეს ერთგვარი გარდამავალი საფეხურია გრძნობადი შემეცნებიდან აზროვნებამდე ან აზროვნების ე.წ. დაბალ ფორმამდე, რომელიც უფრო ეარაუდების სახით არის მოცემული და არ შეიცავს კატეგორიულ და უეჭველ მტკიცებებს რაიმეს შესახებ. ემპირიულ-ინდუქციური გზით მიღებული "შესედულებები" არ არის სარწმუნო. აზროვნების მაღალი ფორმები კი ყოველთვის გულისხმობს სარწმუნო მტკიცებას. მათი უმაღლესი გამოვლინება, ე.წ. დედუქციური აზროვნება, მოიცავს არა მხოლოდ ზოგადს, არამედ აუცილებელსაც; მას მივყავართ საბოლოო ჭეშმარიტებამდე, მოელენების საფუძველებისა და მეცნიერების უმაღლესი პრინციპების გაგებამდე, რაც შეუძლებელია ინტუიციური წვდომის გარეშე.

სწორედ ინტუიციასთან მიმართებაში იჩენს თავს მთელი ძალით არისტოტელეს ფსიქოლოგიის რაციონალისტური ყღერადობა. აქ ძირითადია ცოდნის თანდაყოლილობის, აზროვნების სხეულისაგან დამოუკიდებლობისა და გონიერი სულის მარადიულობის თეზისები. ეს დებულებები მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. მცენარეული და ცხოველური სული უშუალოდ არის დაკავშირებული სხეულთან და მასთან ერთად სწყვეტს არსებობას. რამდენად შეიძლება ამაეეს თქმა გონიერ სულზე? აქაც რომ ასე იყოს, მასში არსებული ცოდნა ადამიანის სიკვდილთან ერთად უნდა ქრებოდეს. მაგრამ არისტოტელეს მთელი გამოცდილება, მისი პედაგოგიური და მეცნიერული საქმიანობა უდავოდ მეტყველებდა იმაზე, რომ შეუძლებელია ადამიანის არსებობა კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნის გარეშე. ინდივიდმა შეიძლება თავად შექმნას ან აღმოაჩინოს ახალი, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში მას გარედან ეძლევა სხვების გამოცდილება (ცოდნა). საკითხავია, როგორ, რა გზებით ეუფლება ადამიანი სხვის მიერ მოპოვებულ ცოდნას?

არისტოტელეს მასწავლებელი პლატონი და ამ უკანასკნელის მასწავლებელი სოკრატე ფიქრობდნენ, რომ ცოდნა იმთავითვე არსებობს ადამიანის სულში, ხოლო სწავლა (მის სხვადასხვა გამოვლინებაში) მხოლოდ ამ თანდაყოლილი ცოდნის აქტუალიზაციას ემსახურება. შემეცნება მოგონებაა, ამბობდა პლატონი. იმდროინდელ მეცნიერებას არ შეეძლო სათანადოდ გაეაზრებინა ინდივიდს მიღმა მოცემული ცოდნის (იდეების) არსებობის ფორმა, ონტოლოგიური სტატუსი. იგი ვერც მისი შეთვისების ფაქტს ხსნიდა. დასწავლის, ინტერიორიზაციისა და თანამედროვე ფსიქოლოგიაში ცნობილი სხვა მექანიზმები და კანონზომიერებები იმ ეპოქაში გააზრებული არ ჰქონდათ. ამიტომ შეხედულება ცოდნის თანდაყოლილობის თაობაზე სავსებით ბუნებრივად გამოიყურებოდა. გასაგებია, რომ არისტოტელეც ამ შეხედულებას იზიარებს. მოაზროვნე სულის ერთი ნაწილი (ე.წ. ნუსი) საყოველთაო გონის სახით არსებობს, როგორც განსაკუთრებული ზეგრძნობადი (მეტაფიზიკური) არსი. მასში ადამიანის სიკვდილის შემდეგაც ინახება მისი გონიერი სული

და, ამდენად, მთელი ის გამოცდილება, რაც კაცობრიობამ დააგროვა. ნუსი შედის ახალშობილის სხეულში და ეგეგეტაციურ და შემგრძნობ სულთან ერთიანობას ქმნის. მაშასადამე, აღამიანი თავიდანვე აღჭურვილია ცოდნით, ოღონდ ეს არის პოტენციური, არაცნობიერი ცოდნა. მიხეედრა (ამჟამინდელი "ინტელექტუალური ინტუიცია"), როგორც აქტიური სააზროენო პროცესი, მის აქტუალიზაციას ახდენს და, რიგ შემთხვევებში, ინდივიდის მიერ მოპოვებულ ჭეშმარიტებებს ამატებს. მთელი ეს ცოდნა სიცოცხლის დასრულების შემდეგ უერთდება მარადიულ თეიოჭერეტაში მყოფ ნუსს, რის შედეგადაც, როგორც "საყოველთაო გონი" (ახლა ვიტყოდით – კულტურა), მუდმივად მდიდრდება და იცვლება. ამდენად, ყოველი შემდგომი თაობა უფრო მაღალი ნიშნულიდან იწყებს თავის გონებრივ მოღვაწეობას. ამ გაგებით არის მოაზროვნე სული უკვდავი და მარადიული, სხეულისაგან დამოუკიდებელი და თანდაყოლილი. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ აზრის საგნები, იდეების სახით, გონებაში, პოტენციურად არსებობს, მაგრამ აზროვნების პროცესის დაწყებამდე გონება "იმავე მდგომარეობაშია, როგორც საწერი დაფა, რომელზეც ჯერ არაფერი დაწერილა გამომჟღავნებული სახით". არისტოტელეს ეს პასაჟი არ ნიშნავს, რომ გონების შინაარსები (აზრები, იდეები) მხოლოდ გრძნობადი მონაცემებიდან მომდინარეობს და მათ გარეშე გონიერი სული არის tabula raza (სუფთა დაფა), როგორც ამას ზოგიერთი ინტერპრეტატორი ფიქრობს (ბორინგი). სინამდვილეში, არისტოტელეს მოძღვრებაში ემპირისტული და რაციონალისტური მომენტები თანაარსებობს.

აზროვნების დაბალი და მაღალი დონეების გარდა, არისტოტელე გამოყოფს თეორიულ და პრაქტიკულ გონებას. ისინი განსხვავდებიან როგორც ფუნქციით, ისე შინაარსით, საგნით. თეორიული გონების დანიშნულება ცოდნის მოპოვებაა, ცოდნისა არსებითის შესახებ. მისი მუშაობა თავისუფალია ყოველგვარი გარეგანი მომენტისაგან და შეზღუდულია მხოლოდ ლოგიკის კანონებით. ამიტომ თეორიული აზროვნება მეცნიერების საფუძველია. პრაქტიკული აზროვნება ქმედების მართვას ემსახურება. შესაბამისად, ის შეიმეცნებს მოქმედების პრინციპებსა და ხერხებს. თეორიული აზროვნება პრაქტიკულზე უფრო მაღლა დგას; მათ შორის მიმართება ისეთივეა, როგორიც ფილოსოფიურ-მეცნიერულ ცოდნა-მოღვაწეობასა და ყოფით-პრაქტიკულ გამოცდილება-მოქმედებას შორის. ეს განსხვავება ნათელია, თუმცა, თუ თანამედროვე შესედულებებით ვიხელმძღვანელებთ, ყოველგვარი აზროვნების, მათ შორის თეორიულის, ერთ-ერთი ძირითადი სათავე პრაქტიკულ მოქმედებაშია. აზროვნება წარმოიქმნება და ვითარდება რეალური მოქმედებიდან და მოქმედებისთვის. არისტოტელე, ცხადია, საკითხს ასე არ სვამს. მიუხედავად ამისა, მის მიერ პრაქტიკული აზროვნების გამოყოფას ადამიანური ქცევის ფსიქოლოგიური ბუნების გაგებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ნებელობის განხილვისას ამ საკითხს კელავაც შევეხებით.

არისტოტელე არ იფარგლება შემეცნებითი პროცესებით და სულიერების *ემოციურ* მხარესაც განიხილავს. მისი არაერთი დაკვირვება აქაც არაჩვეულებრივი სიმახვილით გამოირჩევა. გრძნობა ახლავს ორგანიზმის

ყოველგვარი ფუნქციის მოქმედებას, როგორც სულიერის, ისე სხეულებრივის. თუ ფუნქციონირება ნორმალურად მიმდინარეობს, მას სიამოვნება ახლავს, თუ არა – უსიამოვნება. ბუნებრივად და დაუბრკოლებლად მიმდინარე ყოველგვარი აქტივობა უკვე თავისთავად სასიამოვნოა; სიამოვნება ფუნქციონირებას ხელს უწყობს და ახალგრძლივებს. უსიამოვნება ფუნქციის დარღვევისა და სათანადო აქტივობის შეფერხების შესახებ გვამცნობს და ხელს უშლის მის ამგვარი სახით გაგრძელებას (ჩვენ ვიტყოდით, რომ გრძნობას აქვს სასიგნალო და რეგულატორული ფუნქცია). ეს არ ნიშნავს, რომ ორგანიზმის აქტივობას მხოლოდ ემოციები მართავს. ტონებას შეუძლია გრძნობაც გააცნობიეროს და მოქმედებაც საჭირო მიმართულებით წარმართოს. როცა ეს ასე ხდება, მაშინ გრძნობები მხოლოდ ტონიერი მოქმედების ემოციურ ფონს ქმნის.

გრძნობებს გარკვეული თვისებები აქვთ. ისინი შეიძლება იყვნენ ძლიერი ან სუსტი (დღევანდელი ტერმინოლოგიით – გრძნობის ინტენსივობა); შეიძლება არსებობდნენ "შერეული გრძნობები", რომლებიც მოიცავენ როგორც სიამოვნებას, ისე უსიამოვნებას (დღევანდელი ტერმინოლოგიით – გრძნობის ამბივალენტობა). თუმცა, საბოლოო ჯამში, შერეულ გრძნობაში მაინც ან სიამოვნება ჭარბობს, ან უსიამოვნება, რაც, ზოგადად, ამგვარი გრძნობების სწორი აღწერაა.

არისტოტელე ყურადღებას აქცევს გრძნობების კავშირს სხეულებრივ პროცესებთან, რასაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თანამედროვე ფსიქოლოგია. არისტოტელე იმასაც ამბობს, რომ ემოცია, მაგალითად შიში, მაშინაც წარმოიქმნება, თუ სხეული ისეთ მდგომარეობაშია, რომელიც შიშისთვის არის დამახასიათებელი, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ამ დროს შიშისთვის რაიმე მიზეზი რეალური საფრთხის სახით. ემოციებისთვის სპეციფიკური სხეულებრივი პროცესების, ანუ ემოციების ფიზიოლოგიის შესახებ არისტოტელესეული წარმოდგენა იმდროინდელი ცოდნის დაბალი დონით არის შეზღუდული და ორგანიზმის (განსაკუთრებით, სისხლის) ტემპერატურის ცვალებადობას უკავშირდება (მაგ., გულმოსულობა არის სისხლის დუღილი გულის გარშემო, ხოლო შიში – შინაგანი მხურვალების შემცირება და ა.შ.).

სხეულებრივი პროცესები განსაკუთრებით აფექტების დროს აქტიურდება. ჩვეულებრივი გრძნობებისაგან განსხვავებით, *აფექტი* არის ყველაზე ძლიერი და მკვეთრად გამოხატული ემოციური მდგომარეობა. იგი ნაკლებად ან სულ არ ექვემდებარება რაციონალურ კონტროლს; ამავე დროს, თითქმის ყოველთვის იწვევს სპონტანურ აქტივობას ან განზრახული მოქმედების შეცვლას, რის გამოც დიდ რისკს შეიცავს ადამიანის ქცევის მიზანშეწონილების კუთხით. შეფასებითი თვალსაზრისით, აფექტი არც დადებითი მოვლენაა და არც უარყოფითი. ადამიანს აფექტებისთვის არ განსჯიან – არც აძაგებენ, არც აქებენ. არისტოტელეს აფექტების დათრგუნვა მართებულად არ მიაჩნია. მათ გარეშე არ არსებობს სრულფასოვანი ცხოვრება, შეუძლებელია გმირული ქმედება და ხელოვნებით ტკბობა. აქ მთავარი ის არის, რომ აფექტის ძალა შეესატყვისებოდეს მის გამომწვევ მიზეზებსა და გარემოებებს.

ასეა თუ ისე, აფექტი პოტენციური საფრთხის შემცველი, "ტანჯვითი" მდგომარეობაა. მან შეიძლება გადაახვევინოს ადამიანს გონიერი მოქმედების გზიდან. ამიტომ ემოციური სფეროს რეგულაცია აქტუალური ამოცანაა. როცა აფექტი მოქმედებს, მასთან გამკლავება ძნელია, მაგრამ შესაძლებელია მისი თავიდან აცილება, დაგროვილი ემოციური დაძაბულობისაგან განწმენდა, რათა აფექტი არ აღმოცენდეს. ასეთი პრევენციის, განმუხტვის ყველაზე ეფექტურ საშუალებად ხელოვნება გვევლინება. ხელოვნების ესთეტიკურ ზემოქმედებას მიეყავართ კათარზისამდე, ანუ განწმენდამდე. არისტოტელე ავითარებს *კათარზისის თეორიას.* თვით ცნება "კათარზისი" მან ჰიპოკრატესაგან ისესხა, რომლისთვისაც ავადმყოფობა ორგანიზმში მავნე სითხეების დაგროვების შედეგი იყო; შესაბამისად, მკურნალობა ითვალისწინებდა ამ სითხეების ორგანიზმიდან გამოყვანას, ანუ განწმენდას. არისტოტელეს მიხედვით, აფექტის კათარზისი ხდება ხელოვნების ნაწარმოებით აღძრული განცდის მეშვეობით. მაგალითად, მუსიკა ზემოქმედებს ადამიანზე და იწვევს მის თავისებურ განწმენდას, ანუ ანიჭებს მას "ტკბობასთან დაკავშირებულ შვებას". განსაკუთრებით ეფექტურია ამ მხრივ დრამატული ხელოვნება. "ტრაგედია თანაგრძნობისა და შიშის გზით ახდენს აფექტისაგან განწმენდას". თეატრალური წარმოდგენის ხილვისას მაყურებელი საკუთარ თავს პერსონაჟებთან აიგივებს, ხარობს და დარდობს მათთან ერთად, განიცდის მათ პრობლემებს. კათარზისია, როდესაც, გმირთან თანაგანცდის გამო, პიესით გამოწვეული სიხარულისა თუ დარდის ცრემლები ამცირებს ადამიანის ემოციურ დაძაბულობას. შეიძლება ითქვას, რომ არისტოტელესთან პირველად გაიკვლევა მკაფიოდ აზრმა ხელოვნების ფსიქოთერაპიული მნიშვნელობის შესახებ.

არისტოტელე მრავალ ემოციურ მდგომარეობას აღწერს: სურვილი (მისწრაფება), რისხვა, ბრაზი, შიში, გულადობა, გულშემატკივრობა, შური, სიძულვილი, სიყვარული, დარდი. მისი დაკვირვებები ამ შემთხვევაშიც ძალიან საინტერესოა, ზოგან კი ზედმიწევნით ზუსტი. მათზე აქ არ შევჩერდებით; მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ემოციების სიაში სურვილი-მისწრაფებაა მოთავსებული. ეს გარემოება ფრიად ნიშანდობლივია, და იმაზე მიუთითებს, რომ მკლევარი ემოციურ და მოტივაციურ პროცესებს არ ანსხვავებს. ეს არც არის გასაკვირი, რადგან რაგინდ უცნაურიც არ უნდა იყოს, სულიერ მოვლენათა ამ ორი კლასის სისტემატური და მკაფიო გამიჯვნა, ფაქტობრივად, მხოლოდ XVIII საუკუნეში მოხდა. ასეა თუ ისე, არისტოტელე ითვალისწინებს მისწრაფებების, სურვილების, ლტოლვების (ანუ მოტივაციური ტენდენციების) როლს ქცევის შესახებ თავის ფსიქოლოგიურ შეხედულებებში.

*ქცევა* სულში მიმდინარე პროცესების გარეგამოვლინებაა და მოძრაობის სახით ხორციელდება. ამიტომ არისტოტელე ხშირად ქცევასა და მოძრაობაზე სინონიმური მნიშვნელობით ლაპარაკობს. იგი აღნიშნავს, რომ მოძრაობის (ქცევის) საწყისი მისწრაფებაა. მისწრაფების გარეშე შეუძლებელია მოძრაობის განხორციელება. თავის მხრივ, მისწრაფება-სურვილის აღმოცენების წინაპირობას შეგრძნება წარმოადგენს. "სადაც არის შეგრძნება, იქ არის სიამოვნება და უსიამოვნება, ხოლო, სადაც ეს არის, იქ არის ვნებაც"

(იგულისხმება მისწრაფება). მაშასადამე, შეგრძნებიდან ქცევამდე სულიერი პროცესების უწყვეტი ჯაჭვია. ქცევის საწყის მიზეზს თუ ჩაეძიებით, იგი შეგრძნებით იქნება გამოწვეული (ბიჰევიორისტული ფსიქოლოგია იტყოდა, ქცევა არის რეაქცია სტიმულზე). თუ ქცევის უშუალო მიზეზით დაეინტერესდებით, ვნახავთ, რომ იგი მისწრაფებით აღიძვრება. ცხოველებთან სურვილი ყოველთვის პირდაპირ იწვევს ქცევას; ზოგჯერ ადამიანთანაც ასე ხდება, მაგრამ არა ყოველთვის. არისტოტელე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ თავშეკავებულ ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ რაიმეს გაკეთების სურვილი და მისწრაფება, მაგრამ არ აკეთებენ ამას, ვინაიდან მიჰყვებიან არა სურვილს, არამედ გონების კარნახს. *ნებელობის უნარი* სწორედ ამაში ელინდება. უნებლიე ქცევის დროს მისწრაფებას უშუალოდ მოჰყვება მოძრაობა. ნებელობითი ქცევის შემთხვევაში სურვილს დაერთვის გონება, რომელიც უკარნახებს მისწრაფებას ასეთ თუ ისეთ მოძრაობას. არისტოტელესთვის ცხადია, რომ მხოლოდ გონება, მისწრაფების გარეშე, ვერ აამოძრავებს სხეულს. ნებელობა ის უნარია, რომელიც მიმართავს მისწრაფებას გონების კარნახის შესაბამისად. ამიტომ სადაც არ არის გონება (ცხოველი, მცირეწლოვანი ბავშვი, შეშლილი), იქ არ არის ნებისყოფაც.

მაგრამ რა გონებაგვა საუბარი? ცხადია, პრაქტიკულზე. ზემოთ უკვე აღინიშნა პრაქტიკული და თეორიული აზროვნების განსხვავება. ამ ეკანასკნელის ფუნქცია შემეცნებაა, ხოლო პირველისა – პრაქტიკული მოქმედების მომსახურება. პრაქტიკული გონება არკვევს მიზნის საკითხს – რამდენად მიღწევადია იგი ადამიანისთვის, და განსაზღვრავს ამ მიზანზე მიმართული ქცევის შედეგების ავკარგიანობას. ნებისყოფა შეფასებასა და არჩევანს ემყარება, რაც აზროვნების გარეშე წარმოუდგენელია. ამგვარად, ნებელობით ქცევას ორი სულიერი უნარი განსაზღვრავს: მისწრაფება და გონება. ამავე დროს, აშკარაა გონების პრიორიტეტი. მისწრაფება ყველგანაა, სადაც არის მოძრაობა (ქცევა), მაგრამ ნებელობით ქცევად მას გონება აყალიბებს. ნებისყოფის სპეციფიკას მოტივაციური პროცესების თავისებურება კი არ ქმნის, არამედ ქცევაში აზროვნების მონაწილეობა. მაშასადამე, არისტოტელე ნებელობის ინტელექტუალისტურ გაგებას გვთავაზობს.

აფექტები წარმავალი სულიერი მდგომარეობებია. მათ უპირისპირდება *ხასიათი*, როგორც ადამიანის თვისებების მდგრადი სისტემა. ხასიათი გამოხატავს ცალკეული ადამიანის თავისებურებას, მის ზნეობრივ სახეს, რომლის შესაბამისადაც მოქმედებს (ჩვენ ვიტყოდით: ხასიათი არის ნებისყოფის დისპოზიცია და საფუძველი). ხასიათი (ზნეობრიობა) არ არის აღამიანის ბუნებრივი თვისება. იგი ცვალებადობს ასაკის, საზოგადოებრივი მდგომარეობის, პროფესიისა და სხვა ცხოვრებისეულ ვითარებათა შესაბამისად. ხასიათი ცხოვრების პროცესში ყალიბდება. სოკრატესა და პლატონისაგან განსხვავებით, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ადამიანები არაზნეობრივად იმის გამო იქცევიან, რომ არ იციან, რა არის სიკეთე და რა არის ბოროტება, არისტოტელეს მიაჩნია, რომ სიკეთისა და ბოროტების ცოდნა საჭიროა, მაგრამ საკმარისი არ არის. საჭიროა, რომ ადამიანი ხშირად ხედებოდეს რთულ სიტუაციებში, სადაც ამა თუ იმ ზნეობრივი თვისების გამოვლენა სჭირდება.

მაშინ ხდება ადამიანი გულადი, კეთილშობილი და სხვა. მან არათუ უბრალოდ ისწაელა, რა არის კარგი, არამედ, აგრეთვე ჩვეეა ჩამოუყალიბდა, რომ სათანადოდ მოიქცეს რთულ სიტუაციებში (თანამედროვე უსიქოლოგია იტყოდა, რომ ხასიათთბრივი თვისებების გამომუშავება, დასწაელა-ფორმირება აქტიური ქმედების საშუალებით ხდება).

არისტოტელემ ხასიათის გარკეეული ტიპების აღწერაც მოგვცა, მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებით გაითქვა სახელი მისმა საყვარელმა მოსწაელემ, თეოფრასტემ, რომელმაც სპეციალურ ტრაქტატში ხასიათის ტიპების შესანიშნაეი ლიტერატურული პორტრეტები დახატა. ამ დახასიათებებში ადამიანის ერთი რომელიმე თვისებაა წინ წამოწეული (მაგ., ამპარტავნობა, მლიქვნელობა, სიმხდალე, სიძუნწე და სხვა). ეს პიროვნული ნიშან-თვისება ელინდება პერსონაჟის სხვადასხვა ქმედებაში, რომელსაც იგი განსხვაეებულ სიტუაციებში ახორციელებს. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ არისტოტელე და მისი სკოლა *ქარაქტეროლოგიის* სათაეეებთანაც იდგა (იხ. 6.2.).

როგორც ითქვა, ხასიათი, რომელიც ბნეობრიობის კუთხით უასდება, ადამიანის შეძენილი თვისებაა. საჭიროა ბავშვობიდანვე საგანგებო ბრუნვა მის აღზრდაზე, რაც სიკეთესა და ბოროტებაში გაითვითცნობიერებასა და ბნეობრივ ქცევაში ვარჯიშს გულისხმობს. ასეთი ზემოქმედება ყველაზე ეფექტური ჭაბუკობის ასაკშია. საბოგადოდ კი, არისტოტელე ბავშვობას სამ პერიოდად ყოფს: 7 წლამდე, 7-დან 14-მდე და 14-დან 21-მდე. ეს პერიოდიზაცია, არსებითად, დამყარებულია აეტორის თვალსაზრისზე სულის სამი ფორმის შესახებ. პირველ პერიოდში უმთავრესია ვეგეტაციური სულის ჩამოყალიბება; ამიტომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სწორ კვებას, ჰიგიენას, დღის რეჟიმს. ცხოველური სული მოტორული და ფსიქიკური უნარებით ხასიათდება. აქედან გამომდინარე, მეორე პერიოდში ყურადღება უნდა მიექცეს სხეულის მოქნილობის განვითარებას, ასევე შეგრძნებების, ფანტაზიის, მეხსიერების გაეარჯიშებას. ამგვარად, სულის განვითარების იდეა არისტოტელესთან რეალიზებულია არა მხოლოდ ფილოგენეზში, არამედ ონტოგენეზშიც (სულის განვითარების სამი პერიოდი ბავშვობაში). ამასთან, პირველი გარკეეულად განსაზღვრავს მეორეს, რაც მონახაზად შეიძლება იქნეს მოაზრებული უსიქოლოგიაში ე.წ. ბიოგენეტიკური თვალსაზრისისა (რომ ონტოგენეზი იმეორებს ფილოგენეზს (იხ. 6.3.).

ჩვეულებრივი სულიერი ცხოვრების გარდა, არსებობს სულიერი მოვლენების ისეთი სფერო, სადაც განცდების აღმოცენება და მიმდინარეობა განსხვაეებულია. არისტოტელე ყურადღებას აქცევს იმასაც, რასაც თანამედროვე უსიქოლოგია ცნობიერების შეცვლილ მდგომარეობებს უწოდებს. ამ მდგომარეობებიდან არისტოტელე საგანგებოდ ჩერდება *სიზმრების* ფენომენის დახასიათებაზე. სიზმრები წარმოდგენებია, რომლებიც ძილის დროს აღმოცენდება, თუმცა არსებობს უსიზმრო ძილიც. ძილი სხეულის მდგომარეობაა და ორგანიზმის დასვენებას ემსახურება. ძილი, ფიზიოლოგიურად, ტვინისა და გულის ურთიერთქმედების შედეგია. ტვინი ორგანიზმის ტემპერატურის დამწეეი ორგანოა. როდესაც მისგან წამოსული სიგრილე აღწეევს სულის ცენტრალურ ორგანომდე – გულამდე, მისი მოქმედება იზღუდება

და ორგანიზმი იძინებს. ეს იწვევს შეგრძნებათა აქტივობის მკვეთრ შესუსტებას. მას იყენებენ შედარებით სუსტი წარმოდგენები, რომლებიც, ჩვეულებრივ, დღის განმავლობაში ირგუნებიან აქტუალურ ამოცანებთან დაკავშირებული უფრო ძლიერი წარმოდგენებით. ეს სუსტი წარმოდგენები აქტუალიზდება და სიზმრის სახით გამოვლინდება. ისინი ქაოტურად მოძრაობენ, ეჯახებიან ერთმანეთს, იცვლებიან, ერთიანდებიან და შედეგად წარმოქმნიან მრავალფეროვან შინაარსებს. სიზმრისეული ხედვების უცნაურობისა ან უაზრობის მიუხედავად, სიზმარში ნანახი სინამდვილედ განიცდება, ვინაიდან ძილში ფონების კრიტიკულობა დაქვეითებულია. ამავე დროს მთლიანად არ არის გაწყვეტილი კავშირი გარე სამყაროსთანაც. სიზმრის შინაარსში ზოგჯერ თავისებურად აისახება "მივლემარე" გარე შეგრძნებათა მასალა. მაგალითად, სუსტი ხმა შეიძლება მეხის ხმად იქნეს განცდილი, ოღნავ მოტკბო სისველე ტუჩებზე თაფლის გემოდ და ა.შ. ეს იმიტომ ხდება, რომ ამ შეგრძნებას სხვები არ უწევენ მეტოქეობას და მისი ზემოქმედებაც გაღაჭარბებულად განიცდება.

ძველ საბერძნეთში გავრცელებული შეხედულებებისაგან განსხვავებით, არისტოტელე სიზმრებს რაიმე ზნეობრივ ან წინასწარმეტყველურ მნიშვნელობას არ მიაწერს. მართალია სიზმარმა შეიძლება გვამცნოს მოახლოებული ავადმყოფობა, მაგრამ აქ არაფერია ზებუნებრივი ან ღვთაებრივი. უბრალოდ, ავადმყოფობა თანდათანობით ეთარგება და დაწყებით სტადიაზე არა აქვს ღვიძილის ცნობიერებისთვის შესამჩნევი სიმპტომები. სამაგიეროდ ძილში, გარეგამღიზიანებელთა უმოქმედობის პირობებში, უმნიშვნელო პათოლოგიურ პროცესებთან დაკავშირებული განცდებიც სიზმრის შინაარსში აისახება. შეძლება ითქვას, რომ სიზმარი გვატყობინებს იმას, რაც ჯერ კიდევ არ იცის ღვიძილის ცნობიერებამ. მაგრამ ეს მაინც იშვითობაა და შეიძლება გამონაკლისად ჩაითვალოს. ჩვეულებრივ, სიზმრები წარმოდგენების შემთხვევითი კომბინაციებია. ეს შეხედულება საკმოდ ჰგავს თანამედროვე კოგნიტივისტურ წარმოდგენებს და არსებითად განსხვავდება ფსიქოანალიზური თვალსაზრისისაგან, რომელიც გარკვეულად ენათესავება პლატონის მოსაზრებებს სიზმრის შესახებ.

ადვილი შესამჩნევია, რომ არისტოტელეს მსჯელობები სიზმრის შესახებ თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია ემპირისტული, შეიძლება ითქვას, ბუნებისმეტყველური სულისკვეთებით. სიზმარი განიხილება, როგორც ფსიქიკური ფენომენი, განცდა, რომელიც დაკავშირებულია სხეულებრივ მდგომარეობასთან, კერძოდ, ძილთან. ამავე პოზიციიდან უდგება იგი შეგრძნებებს, ფანტაზიას, მეხსიერებას, აფექტებს, მოკლედ, სულიერი მოვლენების უმრავლესობას. ამიტომ ბუნებრივია, რომ არისტოტელეს ფსიქოლოგიური მოძღვრების შეფასებისას თითქმის ყველა მკვლევარი ხაზს უსვამს მის აშკარად ემპირისტულ ხასიათს. ზოგი კი, უფრო მეტიც, მიიჩნევს, რომ არისტოტელე ემპირიული ფსიქოლოგიის შემქმნელია. ამგვარი შეფასება თითქოს ეწინააღმდეგება ფსიქოლოგიის ისტორიის ტრადიციულ პერიოდიზაციას, სადაც ემპირიული ფსიქოლოგია ახალი დროის ფილოსოფიას უკავშირდება, ხოლო ყველა მანამდე არსებული შეხედულება მეტაფიზიკური ფსიქოლოგიის სა-

ხელწოდებით ერთიანდება. ეს, არსებითად, მართებული შეფასებაა, მაგრამ, ჯერ ერთი, იგი სწორად უნდა გაიგოთ და მეორე, გაეითეალისწინოთ ისეთი თეორიული სისტემების არსებობაც, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად არ ეთავსდება მოცემულ სქემაში; ისინი თითქოს შეუთავსებელს ითავსებენ. მეტაფიზიკური და ემპირიული ფსიქოლოგიის ნიშნებს ერთდროულად ატარებენ (ის. 3.1. 3.2.).

*მეტაფიზიკური ფსიქოლოგიის* ხანაში ყველაზე თვალსაჩინო გამონაკლისი აღნიშნული სქემიდან უთუოდ არისტოტელეს სისტემაა. მას ვერ მივიჩნევთ ცალსახად მეტაფიზიკურ ფსიქოლოგიად. რა გვაძლევს ამის თქმის საფუძველს? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია ნათლად გავიაზროთ, რას ნიშნავს მეტაფიზიკური ფსიქოლოგია. ტერმინი "მეტაფიზიკა", სხვათა შორის, სწორედ არისტოტელეს თხზულებათა სისტემატიზაციის დროს იქნა შემოტანილი ანდრონი როდოსელის მიერ. მან ასე უწოდა არისტოტელეს ტრაქტატების წყებას კონკრეტული საგნების პირველწყაროსა და უმაღლესი მიზეზის შესახებ ანუ იმას, რასაც თვით არისტოტელე "პირველ ფილოსოფიას" უწოდებდა. "მეორე ფილოსოფიისაგან" განსხვავებით, რომელიც ბუნების მოვლენებს ეხება, "პირველი ფილოსოფია" განიხილავს ყოფიერებას თავისთავად, მატერიისა და ფორმის კონკრეტული გაერთიანების გარეშე. მას შემდეგ "მეტაფიზიკა" ეწოდება სწავლებას ემპირიული სინამდვილის ზეგრძნობადი, ე.ი. ცდისეული შემეცნებისთვის მიუღწეველი და მხოლოდ *გონებაჭვრეტით* მისაწვდომი პრინციპებისა და საწყისების შესახებ. მეტაფიზიკა – ესე იგი, "ფიზიკის" ანუ ბუნების ზემორე.

ანტიკურ ფსიქოლოგიაში სული გაგებულია, როგორც უშუალოდ მოცემული სხეულებრივი და "საკუთრივ სულიერი" (ფსიქიკური) პროცესების არსი და საწყისი მიზეზი. თავად სული კი ამ სინამდვილეს არ ეკუთვნის და მის გარეთ არსებობს. ეს არაემპირიული სული შეიძლება მატერიალურადაც იქნეს გაგებული და იდეალურადაც. დემოკრიტეს ატომების სამყარო, არსებითად, ისევე დაუკვირვებადი (უხილავი), შეუმეცნებადი და მარადიულია, როგორც პლატონის იდეების სამყარო. მაშასადამე, ანტიკური ფსიქოლოგია, არსებითად, მეტაფიზიკურია. ძველი ბერძენი მოაზროვნეები, არისტოტელემდე და მის შემდეგაც, შეძლებისდაგვარად შეისწავლიდნენ სულიერების ემპირიულ ფორმებს, სულიერ ფენომენებს (შეგრძნებას, აზროვნებას, გრძნობას და ა.შ.), მაგრამ ყველგან, ამ მოვლენებს მიღმაც და მათ საფუძველშიც, იგულისხმებოდა არადაკვირვებადი, სუბსტანციური სული, რომელსაც უნდა აესხნა მათი თვისებები და მოქმედების წესი, ხოლო თვითონ პრინციპულად აუხსნელი რჩებოდა.

როგორც ზემოთ დავრწმუნდით, არისტოტელეს მიერ გამოყოფილი სულის პირველი ორი ფორმა, ვეგეტაციური და შემგრძნობი სული, საკუთარი ემპირიული მოცემულობით ხასიათდება. მათი შემეცნება დაკვირვების მონაცემების ანალიზის გზით ხორციელდება; ის აელენს მათ თვისებებს, ასევე კავშირებს გარესამყაროსეულ, სხეულებრივ და ფსიქიკურ მოვლენებს შორის და არ საჭიროებს მათ მიღმა არსებული საწყისებისა და ძალების მომველიებას. ამ კონტექსტში ნიშანდობლივია არისტოტელეს მითითე-

ბა იმაზე, რომ სულიერ მოვლენებს, ეთქვათ, ემოციურ განცდებს, ორი ტიპის მკვლევარი ესაჭიროება – ბუნებისმეტყველი და დიალექტიკოსი. "დიალექტიკოსი ბრაზს განსაზღვრავს, როგორც შეურაცხყოფის საპასუხო მოქმედებას ან რაიმე ამგვარს. ბუნებისმეტყველი კი მას განსაზღვრავს, როგორც სისხლისა და სითბოს ჩქროლვას გულის არეში". ჩვენთვის სრულიად ნათელია, რომ ბუნებისმეტყველება ამ შემთხვევაში სულიერი მოვლენის (ემოციის) ბიოლოგიური მექანიზმის დადგენას ნიშნავს, ხოლო დიალექტიკა – ფსიქოლოგიურის, ანუ იმის გაგებას, თუ რით არის მოტივირებული სათანადო ქმედება და რა უუნქციას ასრულებს ესა თუ ის განცდა (ფსიქიკური პროცესი). მეტაფიზიკური მსჯელობები აქ საჭირო არ არის. სულის ანალიზის ამ დონეზე ტერმინი "სული" ზოგადი ცნების მნიშვნელობით ისმარება, რომელიც მოიცავს ზოგიერთ ბიოლოგიურ და ფსიქიკურ უუნქციას (შეგრძნება, აღქმა, უანტაზია, მეხსიერება, ემოცია-მისწრაფება) არსებითად ისევე, როგორც ფსიქიკის ზოგადი ცნება დღევანდელი გაგებით. არისტოტელეს ფსიქოლოგიის ემპირისტული მიმართულობა მის შეცდომებშიც იჩენს თავს. მაგალითად, არისტოტელე არ მიიჩნევდა ტვინს ფსიქიკის ორგანოდ, თანაც, არა გონებაჭვერეტითი მოსაზრებებიდან გამომდინარე, არამედ მის მიერვე დადგენილი უაქტიდან, რომ ტვინის ჰემისფეროების ზედაპირს არ გააჩნია მგრძნობელობა.

განსხვავებული ვითარებაა გონიერი სულის შემთხვევაში. მისი ერთი მხარე, სახელდობრ პრაქტიკული გონება, ისეთივე ემპირიული მეთოდოლოგიით შეისწავლება, როგორითაც სულის სხვა ფორმები. ხოლო გონების იმ მხარეს, რომელიც თეორიულ აზროვნებას განსაზღვრავს და შეიცავს ცოდნას ზოგადისა და პირველსაფუძვლების შესახებ, არისტოტელე მეტაფიზიკურად ახასიათებს – ეს არის ნუსი, თვითკმარი "ფორმის ფორმა", თვითშემეცნებადი, სხვულისაგან განცალკევებული, მარადიული და ღვთაებრივი. არისტოტელემ ვერ დაძლია პრობლემა ცოდნის ზოგადობისა და საყოველთაობის შესახებ. ყველა სულიერ პროცესს (ფუნქციას) მის გარეთ რაიმე ობიექტი უნდა შეესაბამებოდეს. გრძნობად შემეცნებას თუ ემოციურ განცდას ეს ობიექტი რეალობაში ეძლევა კონკრეტული საგნების სახით. თეორიული აზროვნება ზოგადზეა მიმართული, რომელიც ემპირიულ სინამდვილეში არ არის მოცემული. ამდენად, საჭირო ხდება მის გარეთ, მეტაფიზიკურ სამყაროში გასელა. იქ არსებული ცოდნა თეორიულ გონებაში აპრიორულად არის მოცემული, ნუსი თავიდანვეა დაპროგრამებული. ამგვარად, არისტოტელეს პოზიცია გაორებულია; მის ფსიქოლოგიურ სისტემაში სულიერი მოვლენების უმეტესობა საკუთრივ ბუნებისმეტყველურად და ემპირისტულად არის გაგებული, ნაწილი კი ამკარად მეტაფიზიკურად და ირაციონალურად.

## 1.3. ელინიზმის ხანის ფსიქოლოგია

ანტიკური საზოგადოების განვითარების მომდევნო ეტაპს ელინურს უწოდებენ, რადგან ის უკავშირდება ბერძნული კულტურისა და მეცნიერების გავრცელებას რომის იმპერიაში შემავალ და მის მომიჯნავე ქვეყნებში

ევროპის, აზიისა და აფრიკის კონტინენტებზე. გაჩნდა ფილოსოფიისა და მეცნიერების კერები რომში, ალექსანდრიაში, მცირე აზიის ქალაქებში, გაფართოვდა და გაღრმავდა კავშირები აღმოსაელურ კულტურებთან, არაჩვეულებრივად გაიზარდა ინტერესი ადამიანის მიმართ. კვლევა ძირითადად წარიმართა ადამიანის ორგანიზმის (მედიკო-ბიოლოგიური ასპექტი) და პიროვნების ქცევის, მოტივაციისა და ცხოვრების წესის (ფილოსოფიურ-ეთიკური ასპექტი) შესწავლის მიმართულებით.



**ეპიკურე** (341-270 ძ.წ.) საკუთრივ ფსიქოლოგიურ იდეებს ძირითადად ცხოვრების აზრისა და წესის ეთიკურ შეხედულებებთან დაკავშირებით გამოთქვამდა. სწორედ ეს საკითხებია მისი მოძღვრების ცენტრში. იგი აანალიზებს ბუნების მოწყობისა და შემეცნების თეორიის საკითხებსაც, თუმცა, საბოლოო ჯამში, მათაც მორალის ფილოსოფიის საჭიროებას უქვემდებარებს.

ეპიკურე დაიბადა და გაიზარდა კუნძულ სამოსზე. 18 წლისა ჩავიდა ათენში და სწავლა განაგრძო აკადემიაში, რომელსაც მაშინ პლატონის მოწაფე ქსენოკრატე ხელმძღვანელობდა. 306 წელს ათენში იყიდა სახლი დიდი ბაღით, სადაც გახსნა თავისი სკოლა (აქედანაა სახელწოდება "ბაღის ფილოსოფოსები"). სკოლის შესასვლელში ასეთი წარწერა იყო: "უცხოელო, აქ შენ მშვენიერად იგრძნობ თავს; აქ უმაღლესი სათნოება – მხიარულებაა". ეს წარწერა კარგად გამოხატავს როგორც ეპიკურეიზმის მორალური ფილოსოფიის არსს, ისე სკოლაში არსებულ ატმოსფეროს. ეპიკურესთვის უმაღლესი ღირებულება მეგობრობა და სულიერი ურთიერთობა იყო. ამიტომ სკოლაში მასწავლებლებისა და მოწაფეების დამოკიდებულებას უფრო საერთო იდეებითა თუ ინტერესებით შეკრული მეგობრებისა და თანამზრახველების ურთიერთობის სახე ჰქონდა.

ეპიკურე ატომისტია. იგი დემოკრიტეს ხაზს აგრძელებს. ამ უკანასკნელის მსგავსად, მისი მატერიალიზმი იმდენად შორს მიდის, რომ სულსაც უფაქიზესი და ძალიან მოძრაი უსილაი ნაწილაკებისაგან შემდგარ მოელენად განიხილავს. ეს ნაწილაკები მთელს სხეულშია გაფანტული და მის მოქმედებას განაპირობებენ. სული რომ სხეულზე ზემოქმედებდეს და სხვა ზემოქმედებასაც განიცდიდეს, იგი მატერიალური უნდა იყოს, ვინაიდან მოძრაობა მხოლოდ მატერიალურიდან მატერიალურს შეიძლება გადაეცეს, ამბობს ეპიკურე. ამავეს ამტკიცებდა დემოკრიტეც – სულის ატომები ეჯახებიან სხეულის ატომებს და იწვევენ ორგანიზმის მოქმედებას. ამავე მოსაზრებას ანვითარებდა ეპიკურეს ყველაზე სახელგანთქმული მიმდევარი ლუკრეციუსი. გამოდის, რომ ადამიანის მოქმედება მხოლოდ ატომების მოძრაობის ბუნებრივი ტრაექტორიით არის დეტერმინირებული და ადამიანი თავისი მოქმედების განსაზღვრაში არ მონაწილეობს. ასეთი მექანისტური დეტერმინიზმისაგან თავის დასაღწევად და თავისუფალი ნების არსებობის დასასაბუთებლად (რის გარეშეც ქცევის ზნეობრივი შეფასება აზრს კარგავს), ეპიკურე არღ-

ვეეს დემოკრიტეს მიერ შექმნილ მკაცრი მიზეზობრიობის სურათს და უშვებს ატომების მოძრაობის სპონტანურ და შემთხვევით ცვლილებებს. ამით იგი ადამიანის ქცევის თვითდეტერმინირებულობის ფსიქოლოგიურ იდეას გარკვეულ მეთოდოლოგიურ ნიადაგს უქმნის: თუ თავისი განსხვავებული წონის გამო ატომებს შეუძლია მოძრაობის კანონზომიერი ტრაექტორიის შეცვლა, მაშინ ადამიანსაც აქვს უნარი შეცვალოს თავისი ქმედება, და საბოლოო ჯამში, განსაზღვროს საკუთარი ბედი.

ატომისტურ-მატერიალისტური თვალსაზრისის შესაბამისად, ეპიკურე უარყოფს სულის უკვდავების თეზისსაც. თუ სულის შემადგენლობა ისეთივეა, როგორც სხეულისა, სიკვდილის შემდეგ მასაც იგივე ბედი ელის, რაც სხეულს – იშლება ატომებად, რომლებიც იფანტებიან სივრცეში, ანუ სული, როგორც ორგანიზებული ერთიანობა, ისპობა. სულის უკვდავება, ტრანსცენდენტული სულის არსებობა და მსგავსი მეტაფიზიკური იდეები ეპიკურესთვის მითოლოგიის სფეროს მიეკუთვნება.

ასეთია ზოგადი, პრინციპული თეორიული მოსაზრებები სულის ბუნებისა და მოქმედების წესის შესახებ. მაგრამ ეპიკურესთვის მთავარია პრაქტიკული ფილოსოფია, რომელიც კონკრეტული ადამიანის რეალური ცხოვრების რაობისა და დანიშნულების გაგებას, საბოლოო ანგარიშით კი მის გაუმჯობესებას, ანუ ბედნიერების მიღწევას ემსახურება. მთავარი დებულება, რომელსაც მთელი მისი სისტემა ეფუძნება, აბსოლუტურად *ჰედონისტური* ხასიათისაა – ადამიანი სიამოვნების მიღებისთვის ცხოვრობს, სიამოვნებაა ბედნიერების არსი. ამდენად, ეპიკურეს ფილოსოფიაში ცენტრალურ ადგილს იკავებს ისეთი ფსიქოლოგიური კატეგორია (და შესაბამისი მოელენა), როგორიცაა *გრძნობა* ("აფექტი") და მასთან დაკავშირებული *მისწრაფება*. პლატონთან და არისტოტელესთან უმთავრეს ფსიქიკურ ფუნქციად გონება (აზროვნება) ითელებოდა, ეპიკურესთან კი წამყვანი როლი ემოციას ეკუთვნის. გონება, ცხადია, უარყოფილი არ არის, მაგრამ ადამიანის მოქმედების განსაზღვრაში წამყვანია გრძნობად-მოტივაციური საწყისი.

როგორც მთელ ანტიკურ ფილოსოფიაში, ისე ეპიკურესთანაც ემოცია და მოტივაცია არ არის ერთამანეთისაგან მკაცრად გამიჯნული. სურვილი, სწრაფვა და სიამოვნება-უსიამოვნება ერთიანობაში განიხილება. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ანალიზის ერთეული თავისთავად სიამოვნება კი არ არის, არამედ სწრაფვა სიამოვნებისკენ, რაც, ეპიკურეს თქმით, სიცოცხლის მუდმივი თანმხლებია, ადამიანის ბუნებრივი თვისებაა. მთავარი საკითხია ის, თუ რისკენ არის მიმართული სწრაფვა, ანუ რაში ხედავს ან რისგან იღებს ადამიანი სიამოვნებას.

არსებობს გრძნობა-სურვილების სამი სახეობა: 1) ბუნებრივი და აუცილებელი; 2) ბუნებრივი, მაგრამ არააუცილებელი და 3) არაბუნებრივი და არააუცილებელი. სურვილების ეს უკანასკნელი სახეობა დახასიათებულია, როგორც ფუჭი, ამაო, უქმი; ისინი იწვევენ შფოთვასა და სულიერ დაბნეულობას და ამიტომ უნდა ვეცადოთ მათგან გათავისუფლებას. პირიქით, ბუნებრივი და აუცილებელი სურვილები (მაგ., ჭამის სურვილი) უთუოდ და სრულად უნდა დაკმაყოფილდეს. რაც შეეხება ბუნებრივ და არააუცილებელ

სურვილებს (მაგ., ფუფუნებისკენ სწრაფვა) მათი დაკმაყოფილება გონივრულ ფარგლებში, ზომიერად უნდა ხდებოდეს.

ეპიკურემ სიამოვნების მიღების ორი შექანიზმი განიხილა. ერთ შემთხვევაში სიამოვნება იმიტომ ჩნდება, რომ ადამიანი რომელიმე სურვილს იკმაყოფილებს; ე.ი. სიამოვნება პოზიტიური გამღიზიანებლის მოქმედების შედეგია. მეორე შემთხვევაში სიამოვნებას უსიამოვნებისაგან, ტანჯვისაგან, შიშისაგან გათავისუფლება იწვევს. დასწავლის თანამედროვე ფსიქოლოგიაში, სკინერის შემდეგ, ამას დადებითი და უარყოფითი განმტკიცების მექანიზმს უწოდებენ (ის. 8.3.).

როდესაც სიამოვნების განცდის აღმოცენების პირველ წესზე ესაუბრობთ, აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა საქმიანობის განხორციელება ან რა ობიექტის დაუფლება იწვევს მას. ეპიკურეს და მის მიმდევრებს ხშირად საყვედურობენ, რომ ისინი სხეულებრივი ტკბობის, ხორციელი სიამოვნების კულტს ამკვიდრებდნენ. გვიანდელი, რომაული პერიოდის ეპიკურეიზმში ამ ტენდენციამ მართლაც იჩინა თავი, მაგრამ თვით ეპიკურე, მისი უშუალო მიმდევრები და ლუკრეციუსი კატეგორიულად უარყოფდნენ ამ ბრალდებას და ხაზგასმით ამტკიცებდნენ, რომ ჭეშმარიტი სიამოვნება მხოლოდ სულიერ ტკბობას მოაქვს და არა გრძნობად სიამოვნებასა და აეხორცობას. სულიერი სიამოვნება მუდმივი და გარდაუვალი ხასიათისაა, სხეულებრივი სიამოვნება კი დროებითია და შეიძლება თავისი საპირისპირო სახით, ანუ უსიამოვნებით შემოგვიბრუნდეს. ეუხემა და ნოყიერმა ეახშამმა შეიძლება ისე დაგვამძიმოს, რომ ვერ დავიძინოთ, მეტიც, შეიძლება თავი ან კუჭი აგვატკიოს; უცხო ქალთან კონტაქტის შემდეგ შეიძლება ცუდი დაავადება შეგვეყაროს; წიგნებთან და მეგობრებთან ურთიერთობას კი მუდამ სიხარული მოაქვს. გარდა ამისა, სულიერი სიამოვნება უკავშირდება როგორც აწმყოს, ისე წარსულს და მომავალს, ხოლო სხეულს მხოლოდ ამჟამად მისაღები სიამოვნება აღელვებს.

სულიერი ტკბობა არა მხოლოდ "სასიამოვნო" და "სასარგებლოა", არამედ მნეობრიეიც. ეპიკურე ეთანხმება პლატონსა და არისტოტელეს იმაში, რომ მნეობა არის ადამიანის ცხოველისაგან განმასხვავებელი ძირითადი თვისება, მაგრამ უარყოფს მათ მოსაზრებას, რომ მნეობრივი მხოლოდ გონებაზე დაფუძნებული ქცევაა. როგორც ითქვა, ეპიკურეს სისტემის ცენტრალური ცნება არის გრძნობა. ამიტომ მნეობრივი ქცევის კრიტერიუმიც ემოციის სფეროშია მოცემული. ქცევას გრძნობა იწვევს და არა გონება. ქმედება ბუნებრივად მიმართულია სიამოვნების მიღებისკენ და უსიამოვნების არიდებისკენ. თავის მხრივ, სიამოვნებისა და უსიამოვნების მომგვრელი საგნებისა და ვითარებების გარჩევა გარკვეულ ცოდნას, სიტუაციის გააზრებას მოითხოვს. ამ პუნქტში გრძნობა და გონება ერთმანეთთან თანამშრომლობენ. ამასთან, უპირველესი ყოველთვის სიამოვნებაა. ეს ჰედონისტური განწყობა, ეპიკურეს მიხედვით, სულაც არ ეწინააღმდეგება ქცევის მნეობრიობის მოთხოვნას. "არ შეიძლება იცხოვრო სასიამოვნოდ და არ იცხოვრო ამავე დროს გონივრულად, მნეობრივად და სამართლიანად; და პირიქით, არ შეიძლება იცხოვრო გონივრულად, მნეობრივად და სამართლიანად, თუ ცხოვ-

რობ სიამოვნების გარეშე". შოკლედ, სიამოვნება თავისთავად ბნეობრივია, თუ ის სულიერია; ასევე ბნეობრივია გონებით ბლეარდადებული სხეულებრივი სიამოვნებაც.

როგორც ითქვა, სიამოვნების მიღწევის მეორე წყარო არის ტანჯვისაგან თავის არიდება, შიშისაგან განთავისუფლება. პირველ ყოველისა, ეს ეხება ღვთაებათა და სიკვდილის შიშს. ეპიკურე ამ შიშებს ებრძვის. ის არ უარყოფს ღვთაებათა არსებობას, მაგრამ გამორიცხავს მათ უნარს, ჩაერიონ ადამიანის ცხოვრებაში. ეპიკურე ღვთაებებს მხოლოდ კოსმოსის წესრიგის დამყარების ფუნქციას მიაწერს და განარიდებს მათ მიწიერი, ქმედითი სამყაროსგან. ადამიანი თავისუფალია ღმერთების მიერ დადგენილი ბედისწერისაგან და, შესაბამისად, არ უნდა გრძნობდეს მათდამი შიშს, რიდსა თუ მორჩილებას, არ უნდა ელოდოს მათგან არც დახმარებას და არც სასჯელს. თავის ქცევაში ადამიანი მხოლოდ საკუთარ სურვილებსა და ბნეობრივ კრიტერიუმებს უნდა ექვემდებარებოდეს.)

(სიკვდილის შიშის დაძლევა თითქოს უფრო ძნელია, რადგან, თუ ღმერთების ყოფნა-არყოფნა ან ძლევამოსილება, ასე თუ ისე, საკითხავია, სიკვდილს ვერავინ გაექცევა. მიუხედავად ამისა, ეპიკურეს რწმენით, ამ შიშის დაძლევაც საესებით შესაძლებელია. აქაც, ისევე როგორც ღვთაებათა შემთხვევაში, სიკვდილის რაობის გარკვევაა საჭირო. ამისთვის ეპიკური ისევ და ისევ ატომისტიკას მიმართავს. სული სხეულივით ატომებისაგან შედგება. სიკვდილის მომენტში ეს ატომები სამყაროში იფანტება. ამიტომ მის დადგომას ჩვენ ვერ შევიგრძნობთ, "ვინაიდან ყველაფერი, კარგიცა და ცუდიც, შეგრძნებას ემყარება, სიკვდილი კი შეგრძნების აღკვეთაა". ამდენად, თუ სიკვდილის ბუნებას ჩავუკვირდებით, აღვილად დავინახავთ, რომ ჩვენი სიცოცხლის გზაზე ის არ გვხვდება, ჩვენს არსებობასთან შეხება არა აქვს და, მაშასადამე, მისადმი შიში უსაფუძვლოა. "სანამ ჩვენ ვართ, სიკვდილი არ არის, ხოლო როცა სიკვდილი მოვა, მაშინ ჩვენ აღარ ვიქნებით".

ამ შიშების გარდა, ადამიანს ბევრი სხვა შიში და შფოთვა აწუხებს. სიამოვნება გულისხმობს "სხეულის გათავისუფლებას ტანჯვისაგან და სულისა – შფოთვისაგან". ყველაზე დიდი ნეტარება ე.წ. *ატარაქსიაში*, ანუ სულიერ სიმშვიდეში, უშფოთველობაშია. მისი მიღწევის გზა არის აზროვნება, ჭეშმარიტი მსჯელობა, სიბრძნის ძიება. ამისთვის კი საჭიროა იცხოვრო შენთვის, განერიდო აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას, პოლიტიკას, ფუჭ პაექრობას იმათთან, ვინც შორს არის მეცნიერული აზრისაგან. მხოლოდ განმარტოებული ფიქრი ან ახლობელი მეგობრების წრეში მსჯელობა იძლევა ნამდვილ ნეტარებას, სრულ ატარაქსიას და მას მიეყავართ ჭეშმარიტ შემეცნებამდე.

აქედან გასაგებია, რომ ეპიკურე გვერდს ვერ აუვლიდა შემეცნების თეორიის პრობლემატიკას და, კერძოდ, შემეცნების ჭეშმარიტების კრიტერიუმის საკითხს. იგი გადაჭრით ამტკიცებს, რომ "ჭეშმარიტების კრიტერიუმი შეგრძნებებშია". შემეცნების პროცესის სათავე შეგრძნებაა და მასშიევა მოცემული იმის გარანტია, რომ სამყაროს ჩვენს მიერ შექმნილი სურათი უტყუარია. შეგრძნების აღმოცენება დემოკრიტეს მსგავსად არის გაგებული.

საგნები გამოყოფენ თავიანთ სახეებს, უმცირეს ანაბეჭდებს (ე.წ. ეიდოლებს). შეგრძნება წარმოიქმნება ეიდოლების შეღწევით გრძნობის ორგანოში. ეიდოლები ფორმითაც და მასალითაც საგნების ასლები არიან, შეგრძნება საგნის შესახებ სრულყოფილ ცნობებს გვაძლევს. ეს იმიტომაც არის ასე, რომ თვით შეგრძნების პროცესი აბსოლუტურად პასიურია; ის არაფერს არ ცვლის და მხოლოდ ასახავს.

მეხსიერება ინახავს შთაბეჭდილებებს ისე, როგორც შეგრძნებაში იყო მოცემული. ეს ნიშნავს, რომ მეხსიერების წარმოდგენებიც მართებულია. უბუსტობა, დამახინჯება ან შეცდომა შეიძლება მაშინ გაჩნდეს, როცა აზროვნება, როგორც აქტიური კოგნიტური პროცესი, იწყებს შეგრძნებისა და მეხსიერების შთაბეჭდილებებით მანიპულირებას, მათ შორის კავშირების დამყარებას, ურთიერთშედარებას და ა.შ. ამ გზით აზროვნება მრავალი კონკრეტული შთაბეჭდილების საერთო ნიშნებს გამოყოფს, ანუ ცნებას აყალიბებს. ეს პროცესი, ერთი მხრივ, მეცნიერული შემეცნების აუცილებელი პირობაა, ხოლო მეორე მხრივ, იგი პოტენციურად შეიცავს შეცდომის საშიშროებას. შეცდომის არიდება შესაძლებელია, თუ დადგინდება აზროვნების პროდუქტის (ცნების) მიმართება იმასთან, რასაც დასაბუთება არ სჭირდება, ანუ თავის პირველწყაროსთან, შეგრძნებასთან. მოკლედ, შემეცნების პროცესის თავიც და ბოლოც შეგრძნებაშია. ამიტომაც ეპიკურე აღიარებულია, როგორც პირველი თანმიმდევრული *სენსუალისტი* ანტიკურ ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიაში. სენსუალისტურმა ტენდენციამ, როგორც ენახეთ, უკვე სოფისტებთან იჩინა თავი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ანტიკურ აზროვნებაში მას სხვა დასაყრდენიც ჰქონდა, მაგრამ ეპიკურესთან რადიკალური ხასიათი შეიძინა.

ეპიკურემ შექმნა ისეთი ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელმაც მთელი შემდგომი ანტიკური ხანის განმავლობაში იარსება. მის მიმდევრებს შორის ყველაზე სერიოზული მოაზროვნე უთუოდ ტიტუს კარუს ლუკრეციუსი (99-55 ძვ.წ.) იყო. მან დახვეწილი და სრული ფორმა მისცა ეპიკურეს ფილოსოფიურ სისტემას, თუმცა ბ. რასელის შეფასებით, მასში რაიმე არსებითი სიახლე არ შეუტანია. მიუხედავად ამისა, ფსიქოლოგიის ისტორიის კუთხით, ლუკრეციუსის შემოქმედებაში ისეთმა თემებმაც გაიელვერა, რომლებიც ეპიკურესთან არ გვხვდება ან, შესაძლოა, ჩვენამდე ვერ მოაღწია. ასეთია, მაგალითად საკითხი ძილისა და სიზმრის შესახებ, რომელსაც ლუკრეციუსი საკმაოდ დაწვრილებით განიხილავს.

ძილის მდგომარეობა აღმოცენდება იმის გამო, რომ სულის ნაწილები მთელ ორგანიზმში იფანტება, ხოლო ზოგიერთი სხეულის გარეთ გამოდის. შედეგად, სასიცოცხლო ტონუსი ქვეთდება. ძილში სხეულის მოთენთილობა და შედარებითი უძრაობა თავისი მააქტივირებელი საწყისის, სულის ნაწილის დაკარგვით აიხსნება. ძილში აღმოცენებული სიზმრების შინაარსს ორი რიგის ფაქტორები განაპირობებს. ერთია ადამიანის გამოცდილება, მისი პირადი და საქმიანი ცხოვრების შინაარსი. მაგალითად, სამხედროს ესიზმრება ბრძოლა, რომელშიც თვითონაც მონაწილეობს, ვექილს – სასამართლო პროცესი და ა.შ. თავის თავზე ლუკრეციუსი ამბობს, რომ ის სიზმრებში ხე-

დაეს, როგორ შეისწავლის ბუნებას და თავისი კელეეის შელეგებს პოეტურ ფორმაში გადმოსცემს (ლუკრეციუსი გამოჩენილი რომაელი პოეტი იყო, მისი ფილოსოფიური თხზულება "საგანთა ბუნებისთვის" ბრწყინვალე პოემაა). ღვიძილში ადამიანი ხშირად ურთიერთობს გარკვეულ საგნებთან და მოვლენებთან. მართალია, ძილში ისინი ადამიანზე უშუალოდ არ მოქმედებენ, მაგრამ მათი შესატყვისი სატებისთვის გზა უკვე გაკვლეულია ფონებისკენ და ისინი სიზმრის წარმოდგენების სახით ჩნდებიან. მეცნიერი ძილშიც მზად არის, მიიღოს ბუნების კელეესთან დაკავშირებული სატები. მეზღვაური ნაოსნობასთან დაკავშირებულ სატებს ხედავს და ა.შ. სიზმრის შინაარსის განმსაზღვრელი მეორე ფაქტორი მოთხოვნილებაა. სიზმარში ხშირად ჩნდება ისეთი სურათები, რომლებიც ძილის მდგომარეობაში არსებულ ძლიერ მოთხოვნილებას გამოხატავს. მწყურვალს წყალი ესიზმრება, სქესობრივად აღტკინებულ ყმაწვილს – ქალის სხეული და სხვა.

ლუკრეციუსი უყურადღებოდ არ ტოვებს ტემპერამენტისა და ხასიათის საკითხსაც. ცხოველიც და ადამიანიც თავისებური მიღრეკილებებით იბადებიან: ზოგი ადვილად ღიზიანდება, ზოგი მშიშარაა, ზოგიც ზედმეტად მშვიდი ან აპათიური. ამგვარი ძლიერ მიღრეკილებათა აღმოფხვრა ადამიანის ბუნებიდან აღზრდას არ შეუძლია, მაგრამ ნაკლებად გამოხატულ ხასიათობრივ თავისებურებათა რეგულაცია, შესაფერისი ცხოვრების წესისადმი მიჩვევით, სავსებით შესაძლებელია.

ეპიკურეიზმის პარალელურად ათენში შეიქმნა ძლიერი ფილოსოფიური სკოლა სტოიციზმი. ეს სახელწოდება წარმოდგება სიტყვა "სტოა"-დან, რაც გადახურულ გალერეას, პორტიკს ნიშნავს. თავდაპირველად სწორედ აქ ქადაგებდა სკოლის დამაარსებელი **ძენონი** (336-264 ძვ.წ.). მის უშუალო მოწაფეთაგან ყველაზე ცნობილია ქრიზიპოსი (281/277-208/205 ძვ.წ). სტოიციზმმა მრავალი საუკუნე იარსება. რომის იმპერიის ეპოქაში სტოელებიდან ყველაზე მეტად გაითქვეს სახელი სენეკამ (5-65 ჩვ.წ), ეპიქტეტემ (50-140 ჩვ.წ) და იმპერატორმა **მარკუს ავრელიუსმა** (121-180 ჩვ.წ.).

ეპიკურეიზმის მსგავსად, სტოიციზმის ფილოსოფია და ფსიქოლოგია მატერიალისტურია, მაგრამ არ არის ატომისტური. სული, ისევე როგორც სხეული, მატერიალურია. მისი საწყისია *პნევმა*. ეს არის სამყაროს აქტიური ელემენტების, პაერისა და ცეცხლის გარკვეული ერთიანობა ("თბილი სუნთქვა"). ყოველივე მისგან წარმოიქმნება, მოძრაობს და ცოცხლობს. მთელი სამყარო ამ მაფორმირებელი ძალით არის გამსჭვალული. პნევმა სულია, ვინაიდან ის აქტივობის წყაროა. გამომდინარე იქიდან, რომ პნევმა ყველგან იმყოფება, მთელი სამყარო განსულიერებულია. ამდენად, სტოელების ნატურფილოსოფია ჰილოძოიზმის სახეს იღებს. როგორც უკვე ითქვა, ეს არის პანფსიქიზმის ძველბერძნული ნაირსახეობა, რომლის თანახმად სული ყოველივე არსებულში იმყოფება, მაგრამ სხვადასხვა ოდენობით. განსხვავებულია პნევ-

მის თვისებრივი მახასიათებლებიც – რაც უფრო თხელი და წმინდაა ამა თუ იმ საგნის პნევმა, მით მეტია მისი "ტონუსი" და მით უფრო მეტადაა იგი ცოცხალი და სულიერი. ადამიანის სული ამ სუბსტანციის ყველაზე დახვეწილი ფორმაა.

სულის ბუნებაზე ასეთი ნატურფილოსოფიური და მეტაფიზიკური სპეკულაციების გარდა სტოელები საყურადღებო მოსაზრებებს გამოთქვამენ კონკრეტული ფსიქიკური მოვლენების შესახებ. განსაკუთრებული გულისყურით არის შესწავლილი ადამიანის ემოციური სფერო. მათი ეთიკურ-ფსიქოლოგიური შეხედულების ცენტრალური პუნქტია გონებისა და გრძნობის დაპირისპირება და ემოციისთვის (აფექტისთვის) მკვეთრად უარყოფითი როლის მიწერა. ეპიკურელებისა არ იყოს, ფსიქოლოგიური პრობლემატიკის დიდ ნაწილს სტოელებიც მორალური ფილოსოფიის კუთხით განიხილავდნენ. ამ კონკურენტი სკოლების შეხედულებებში არის მსგავსებაც და განსხვავებაც. გარდა სულისადმი ერთნაირი მატერიალისტური მიდგომისა, მათ აერთიანებთ საერთო პრაქტიკული მიმართულება იმაზე, რომ ადამიანი ბედნიერი გახადონ. მათი აზრით, ფილოსოფიის (რომელიც მაშინ ფსიქოლოგიასაც მოიცავდა) დანიშნულება სწორედ ესაა. პრაქტიკულმა ფილოსოფიამ უნდა უზრუნველყოს ადამიანის ოპტიმალური და მშვიდი განწყობილება. მაგრამ ეპიკურელებისთვის ნამდვილი ბედნიერება ნიშნავს გონებიდან მომდინარე მაღალი სულიერი განცდებით ტკბობას, ხოლო სტოელები ბედნიერებას გრძნობების სრულ აღკვეთასა და გონიერ ცხოვრებაში ხედავენ. ეპიკურელები ჰედონიზმს ქადაგებდნენ და ადამიანის ცხოვრების აზრს სიამოვნებაში ეძებდნენ. სტოელები ე.წ. *რიგორიზმს* (სიმკაცრეს) ემხრობოდნენ, ანუ მიიჩნევდნენ, რომ ადამიანის ბედნიერებაც და ზნეობაც ვალდებულებათა და მოვალეობათა შესატყვის ცხოვრების წესშია ჩადებული. ცხოვრების ასეთი წესის განხორციელების ძირითადი ფსიქიკური ინსტრუმენტი გონებაა, ხოლო მთავარი საფრთხე გრძნობებიდან (აფექტებიდან) მომდინარეობს.

ყოველი ცოცხალის პირველადი და ძირეული სწრაფვა თვითშენახვაში ვლინდება. ეს ბუნებასთან შეთანხმებულ არსებობას, მასთან მიზანშეწონილ ურთიერთობას გულისხმობს. ცხოველიც და ადამიანიც იმას ემორჩილება, რასაც ბუნების კანონები ჰკარნახობს. ეს კანონები ჩვენზე არაა დამოკიდებული, არამედ "მსოფლიო წესრიგის" გამოვლინებაა. საზოგადოებრივი ცხოვრების მოწყობა (მათ შორის პოლიტიკური სისტემა) ამ მსოფლიო წესის შემადგენელი ნაწილია. მასაც თავისი კანონები აქვს. ისინი იმ ნორმებისა და წესების სისტემაშია ასახული, რომლებიც საზოგადოებაშია დამკვიდრებული. რა მიმართულებით უნდა იაროს ადამიანმა თავისი წუთისოფლის გზაზე, იმთავითვეა განსაზღვრული. მან ის როლი უნდა შეასრულოს, რომელიც ცხოვრების პიესაში მიაკუთვნეს. ადამიანი არც პიესას ირჩევს და არც როლს. მას მხოლოდ როლის კარგად ან ცუდად შესრულება შეუძლია, ვინაიდან ბუნების კანონებსა და თავის ბედისწერას ვერ შეცვლის; მათ წინაშე ადამიანი უძლურია, რაც აიძულებს მასზე დაკისრებული ტვირთი ზიდოს. მთავარი აქ ის არის, თუ როგორ გააკეთებს ამას. ძენონის თქმით, საცოდავი სანახავია ის ადამიანი, ვინც განუწყვეტლივ მოთქვამს, ვინაიდან

არ ესმის თავისი მიზანი. სულ სხვაგვარად გამოიყურება ცხოვრების გზაზე ამაყად და ღირსეულად მიმავალი ადამიანი, რომელმაც იცის, საით მიდის. ბელს მიყავს ის, ვისაც ეს სურს და მიათრევს მას, ვისაც ეს არ სურს — ამბობდა სენეკა.

აქედან ჩანს, რომ სტოელების წინაშე მთელი სიმძაფრით დადგა ადამიანის *თავისუფლების პრობლემა.* ისინი აღიარებდნენ, რომ პიროვნება თავისუფალია და გულისხმობდნენ, რომ ის თავისუფალია შინაგნად, ანუ თავისუფალია მისი სული (ე.წ. შინაგანი თავისუფლება). ამავე დროს, ადამიანი არ არის თავისუფალი თავის ქმედებაში (ე.წ. გარეგანი თავისუფლება). როგორც ითქვა, იგი ვერ ირჩევს პიესას და როლს. მისი ნება ვრცელდება მხოლოდ იმაზე, თუ როგორ იქნება ეს როლი შესრულებული. სტოელები იმასაც ამტკიცებდნენ, რომ ბედისწერას შეუძლია ადამიანს წაართვას შესაძლებლობა იცხოვროს ისე, როგორც სურს, მაგრამ ვერ წაართმევს სიკეთილის უფლებას. ამაყ, დაუმორჩილებელ ადამიანს ყოველთვის აქვს არჩევანი: არ შეურიგდეს პირადი ღირსებისა ან თავისუფლების ბედისწერით განსაზღვრულ დაკარგვას და თავისი ნებით წაეიღეს ცხოერებიდან (სენეკა, მაგალითად, ასეც მოიქცა). ცხოვრებაში თავისი დანიშნულებისა თუ სვეღრის გაგება და ამის შესაბამისად მოქცევა ადამიანს თავისუფლების განცდას უჩენს, რაც, ფაქტობრივად, სხვა არაფერია, თუ არა შეცნობილი აუცილებლობა. თავისუფლების პრობლემის ასეთი ფორმულირება მხოლოდ სპინოზას შემდეგ გახდა პოპულარული სხვადასხვა ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ შეხედულებებში.

აქედან გამომდინარე, გასაგები ხდება, თუ რატომ მიეწერება ასეთი მნიშვნელობა იმას, რომ, ცხოველისაგან განსხვავებით, ადამიანი გონებით არის დაჯილდოებული. ცხოველი ინსტინქტურად მიჰყვება "ბუნების მიწერილობებს", ხოლო ადამიანი მათ აცნობიერებს, გაიაზრებს და შეგნებულად აქცევს თავისი ცხოერებისა თუ მოქმედების წესად. სტოელები ამტკიცებდნენ, რომ ვინც ხალისით ემორჩილება ბრძანებებს, თავიდან ირიდებს მონობის ყველაზე უსიამოვნო მხარეს — აკეთოს ის, რაც არ სურს. უბედური ის კი არ არის, ვინც სხვის ბრძანებას ასრულებს, არამედ ის, ვინც ამას თავისი ნების გარეშე, იძულებით ასრულებს. გამოსავალი ერთია — ვიყოთ შინაგნად მზად იმის გასაკეთებლად, რასაც გარემოებანი გვკარნახობს. ასეთი პოზიციის გამომუშავებას ორი რამ ესაჭიროება — საყოველთაო აუცილებლობის გაცნობიერება (საკუთარი თავისა და ბედისწერის რაციონალური შეფასება) და იმ წინააღმდეგობის დაძლევა, რომელსაც გრძნობები და სურვილები უქმნის მართებულ ქცევას. საბოლოო ჯამში, ადამიანი ორივე მათგანს პიროვნული წრთობით აღწევს.

პედაგოგიური დოქტრინა, რომელსაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ გვიანდელი სტოელები — სენეკა, მარკუს ავრელიუსი და სხვები, გულისხმობდა ბავშვებზე აღრეული ასაკიდან მიზანმიმართულ ზემოქმედებას მათში აქტიური ცხოვრებისეული პოზიციისა და გონების შესაძლებლობებში დარწმუნებულობის გამომუშავებისთვის. ადამიანმა ბავშვობიდანვე უნდა ირწმუნოს, რომ ყველაფრის გაგებისა და დაძლევის უნ-

არი აქეს. პირველ რიგში ეს აფექტებზე ვრცელდება. სტოელების რწმენით, სწორედ აფექტები უქმნიან ყველაზე დიდ საფრთხეს იმას, რომ ადამიანმა გონიერულად იცხოვროს და თავისი ნებით მიიღოს ბედისწერის მიერ დადგენილი ცხოვრების წესები.

სტოელები აფექტების ოთხ ნაირსახეობას გამოყოფენ. მათი დაჯგუფება დროის პრინციპის შესაბამისად ხდება: მწუხარება (დარდი) და ზღვარგადასული სიამოვნება აწმყოს უკავშირდება, ძლიერი სურვილი და შიში კი – მომავალს. პირველადი და ძირითადია სურვილისა და შიშის აფექტები, ხოლო მწუხარება და სიამოვნება მეორადია და მათგან გამომდინარეობს. სიამოვნება მაშინ ჩნდება, როცა ვისრულებთ სურვილს ან თავიდან ვიცილებთ იმას, რაც არ გვსურდა (ეს საკმაოდ წააგავს იმას, რასაც სიამოვნების გენეზისზე ამბობდნენ ეპიკურელები). მწუხარების აფექტიც იმის შედეგად წარმოქმნება, რომ ვერ მივაღწიეთ სასურველს ან შეგვემთხვა ის, რისიც გვეშინოდა.

განმარტების თანახმად, *აფექტი* არის გონების მიერ დადგენილი საზღვრის გადალახვის შედეგად წარმოქმნილი უბრალოდ მხურვალე, ძლიერი სულიერი მიდრეკილება, მიზიდულობა. მარკუს აერელიუსი აფექტს იმ სიტუაციას აღარებს, როცა ადამიანი რაიმე მიზნისკენ მირბის, მაგრამ მისი მიღწევის შემდეგაც თავს ვერ იკავებს და სირბილს განაგრძობს. აფექტი, თავისთავად, უმართავი სტიქიაა. მაგრამ მას შეიძლება გონების ძალა დავუპირისპიროთ, რომელიც აფექტს ან სულ აღკვეთს, ან საგრძნობლად შეზღუდავს მის დამანგრეველ მოქმედებას.

გონებისა და აფექტის ურთიერთმიმართება რთული და ორმხრივი ხასიათისაა. სტოელებისთვის აფექტი არასწორი მსჯელობის საფუძველია. ამავე დროს, აფექტი მხოლოდ აზროვნების დამახინჯების მიზეზი არ არის; თვითონ არასწორი მსჯელობაც, ანუ "გონების შეცდომაც", შეიძლება აფექტად ჩაითვალოს (ქრიზიპოსი). ეს ლოგიკურად მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მსჯელობის გამოსწორებით აფექტიც მოიხსნება. ე.ი., არსებითად, გონებასთან აფექტის კავშირი მისი რაციონალური მართვის საშუალებას იძლევა. თუ გონება ძლიერია, ის ზღუდავს ან აფერხებს მისწრაფების გადაზრდას აფექტში. პირიქით, სუსტი, ცრურწმენებით დაბინდული გონება სათანადო წინააღმდეგობას ვერ უწევს აფექტის განვითარებას.

აფექტის განვითარებაში სამი სტადია გამოიყოფა. თავდაპირველად, გარეგანი გამღიზიანებლის ზემოქმედების შედეგად, ორგანიზმში გარკვეული ფიზიოლოგიური პროცესები იწყება. სტოელებს კარგად ჰქონდათ შესწავლილი ემოციები, სახელდობრ აფექტები და ნათლად ხედავდნენ, რომ გამომხატველი მოძრაობებისა თუ შინაგანი ორგანული ცვლილებების გარეშე აფექტი არ არსებობს. ეს ცვლილებები ავტომატურად, უნებლიეთ წარმოიქმნება. შემდეგ სტადიაზე ასევე უნებლიეთ ჩნდება აფექტის ფსიქიკური კომპონენტი. ეს კომპონენტი თავის თავში აერთიანებს აზრს (წარმოდგენას) იმის შესახებ, რომ მოხდა რაღაც მნიშვნელოვანი და, ასევე, მომხდარზე გარკვეული რეაგირების სურვილს, ტენდენციას. აფექტის განვითარების მესამე, ნებელობითი სტადია მაშინ დგება, როცა მის მსვლელობაში გონება ჩაერთვება. ამ დროს სულის რაციონალური მხარე ემოციურს უპირისპირ-

დება და ადამიანი ღებულობს ზომებს აფექტის აღსაკვეთად ან, თუნდაც, მის შესარბილებლად.

სტოელებმა შეიმუშავეს აფექტებთან ბრძოლის მეთოდები. ისინი მოიცავს აფექტების წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებათა და ღონისძიებათა ერთობლიობას. მაგალითად, რეკომენდებულია მაქსიმალურად შეიზღუდოს აფექტის გარეგანი (სამოძრაო ან სხეულებრივი) გამოვლინება. ეს ბევრად ადვილებს მის მოთოკვას; სასურველია, არ დავამძიმოთ აფექტი ჩვენი ფანტაზიით; გამოვიყენოთ ჩვენი გამოცდილება და აღვადგინოთ მეხსიერებაში აფექტის საწინააღმდეგო ქმედების სურათები (მაგ., შიშის დროს გავიხსენოთ თავშეკავებისა და სიმამაცის გამოვლენის ფაქტები); გავაანალიზოთ აფექტური მოქმედების სავალალო შედეგები; სასურველია, შეძლებისდაგვარად გავასანგრძლიოთ აფექტის მოქმედებაში გადასვლის დრო (მაგ., დავითვალოთ ათამდე) და სხვა. ერთი სიტყვით, სტოელებმა გამოიმუშავეს *თვითრეგულაციის* საკმაოდ ეფექტური სისტემა, რომლის გამოყენებაზე არც თანამედროვე ფსიქოლოგია ამბობს უარს.

ეს სისტემა სტოიციზმის მიერ შემუშავებული აღზრდის დოქტრინის ნაწილია. ბავშვს თავიდანვე უნდა ეასწავლოთ გონების ძალით აფექტის შეზღუდვა, ვინაიდან ცხადია, რომ უფრო ადვილია აფექტის პრევენცია, ვიდრე ძალაში შესულ აფექტთან გამკლავება. სტოელებმა შექმნეს ბრძენი ადამიანის იდეალი, რომელიც აფექტებისაგან სრულად თავისუფალია, რადგან ბუნებასთან შესაბამისობაში ცხოვრობს, კმაყოფილია თავისი ბედით, ბრუნავს თავისი დანიშნულების რეალიზაციაზე და აღჭურვილია ნებელობით ("გონიერი აგზნებით"), რომელიც შეუსაბამო სურვილებს უპირისპირდება. ბრძენი თავისუფალია ვნებებისაგან, მშვიდია და თავშეკავებული. მარკუს ავრელიუსი ამას უწოდებდა "აუმღვრეველი".

აფექტების მოქმედების დესტრუქციულ მხარეს სხვა ფილოსოფოსებიც კარგად ხედავდნენ. არისტოტელეს მიმდევრები და ინტერპრეტატორები, ე.წ. პერიპატეტიკოსები მოითხოვდნენ აფექტების შერბილებას და გრძნობების ზომიერებას (ე.წ. "მეტროპათია"). ეპიკურელების "ატარაქსიაც" ხომ უშფოთველობას ნიშნავს. სტოელები ამით არ კმაყოფილდებიან. მათ ეთიკურ-ფსიქოლოგიურ მოძღვრებაში შემოდის *აპათიის* ცნება, რაც გულგრილობას, სრულ სიმშვიდეს გულისხმობს. აქ ნათლად იკვეთება აღმოსავლური რელიგიურ-ფილოსოფიური სისტემების, სახელდობრ, ბუდიზმის გაელენა. გავიხსენოთ ბუდიზმის მოძღვრება ნირვანაზე – ადამიანის უმაღლეს სულიერ მდგომარეობაზე, რომელიც ხასიათდება სრული სიმშვიდით, თვითმკმარობითა და განდგომით. ეს უკანასკნელი მახასიათებელი ნაკლებ ესადაგება სტოელების მოძღვრების სულისკვეთებას, ვინაიდან, იმავე ეპიკურელებისაგან განსხვავებით, ისინი მიმდევრებს აქტიური სასიცოცხლო პოზიციისკენ მოუწოდებდნენ.

ძნელი შესამჩნევი არ უნდა იყოს, რომ სტოელების ეთიკურ-ფსიქოლოგიური სწავლების ზოგადი მიმართულება, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, ფსიქოთერაპიულია. ეპიკურელების მსგავსად, სტოელებიც ცდილობენ, დაძლიონ ან შეარბილონ კონკრეტული ადამიანის რეალური ფსიქოლოგიური

სირთულეები, ასწავლონ მას "სწორი" ცხოვრება და მიიყვანონ ისეთ სულიერ მდგომარეობამდე, როცა თავს ბედნიერად იგრძნობს. ეპიკურელებისა და სტოელების გაელენით, ანტიკური ფილოსოფოსები სულ უფრო ემსგავსებოდნენ სულის მკურნალებს, ე.ი. ნაწილობრივ მაინც ასრულებდნენ იმ ფუნქციას, რომელიც შემდგომში, ქრისტიანულ ეპოქაში, მთლიანად სასულიერო პირების პრეროგატივა გახდა.

თეორიულ ჭრილში სტოიციზმმა ვერ შეძლო ბუნებრივი კანონზომიერებისა და მორალური თავისუფლების მიმართების პრობლემის გადაჭრა (თუმცა, ეს ვერც შემდგომდროინდელმა მეცნიერებამ შეძლო). ადრინდელი სტოიციზმი საბოლოოდ აშკარად გამოსატულ *ფატალიზმამდე* მიეიდა. მაგრამ გვიანდელმა სტოიციზმმა, თავისი ზნეობრივი დარიგებებითა და ცხოვრებისეული წესების ფორმულირებით, თეორიული პრობლემა პრაქტიკულ ჭრილში გადაიყვანა. ცნობილი კანადელი ფსიქოლოგიის ისტორიკოსის, გ.ბრეტის ბუსტი შეფასებით, სტოელები თავისუფლების შესაძლებლობის ახსნაში დამარცხდნენ, მაგრამ თავისუფლად ყოფნის თვალსაზრისით საკმაოდ წარმატებულნი აღმოჩნდნენ.

სტოელების მიხედვით, ემოციებს გონება მართავს. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ სტოიციზმის პოზიცია მკვეთრად რაციონალისტურია. გონება წამყვან როლს ასრულებს მთელ ფსიქიკურ ცხოვრებაში და, კერძოდ, ადამიანის კოგნიტურ აქტივობაში. შემეცნება, ზოგადად, მოიცავს შეგრძნებას, მეხსიერებას, წარმოსახვას და აზროვნებას. თავად აზროვნებას ორი ფორმა აქვს – შინაგანი და გარეგანი. ეს უკანასკნელი მეტყველების პროცესთან არის გაიგივებული. ზოგადად კი აზროვნება შემეცნების მთელ პროცესს გამსჭვალავს და ყველა ფუნქციის მუშაობაში მონაწილეობს. აზროვნების გარეშე შეგრძნებაც არ იქნებოდა ადექვატური და ყველასთვის თვალსაჩინო. ნამდვილი ცოდნა მხოლოდ აზროვნებას მოაქვს და შეგრძნებაც მისი წყალობით არის უტყუარი. ეპიკურელების სენსუალიზმი გულისხმობს, რომ შეგრძნება სინამდვილის უტყუარ სურათს იძლევა და, ამდენად, ჭეშმარიტების კრიტერიუმად გვევლინება. სტოელების რაციონალიზმის თანახმად კი თვით შეგრძნებათა უტყუარობას ან მცდარობას მათში აზროვნების ჩართულობის დონე განაპირობებს. იგივე ხდება მეხსიერებისა და წარმოსახვის შემთხვევაში, ანუ შემეცნების პროცესის ყველა საფეხურზე. ამგვარი პოზიცია ესმიანება თანამედროვე კოგნიტური ფსიქოლოგიის მიდგომას, რომლის მიხედვით შემეცნების ფსიქოლოგიური პროცესი სხვადასხვა დონის კოგნიტურ სტრუქტურებში ინფორმაციის გადამუშავების სახით არის წარმოდგენილი. დღეს უკვე საკმაოდ დიდი ცოდნა დაგროვდა იმის შესახებ, თუ რა ხდება სინამდვილეში კოგნიტური ფუნქციონირების სხვადასხვა დონეზე და როგორია ეს პროცესი მთლიანობაში. სტოელების გულუბრყვილო და ინტუიციურ მიხვედრებთან შედარებით ეს, რა თქმა უნდა, ცა და დედამიწაა, მაგრამ, თუ კარგად ჩავუკვირდებით, დავინახავთ, რომ სწორედ სტოელებმა მოგვცეს შემეცნების ფსიქოლოგიური პროცესის ერთიანი სურათი და გამოყვეს მისი საფეხურები. გარკვეული აზრით, ისინი დღევანდელი კოგნიტური ფსიქოლოგიის შორეულ წინაპრებადაც შეიძლება მივიჩნიოთ, თუმ-

ცა, რაიმე სახის პირდაპირ მემკვიდრეობაზე ლაპარაკიც ზედმეტია.



**პლოტინი** (204/5-270) დაიბადა ეგვიპტეში, სწავლობდა მეცნიერების იმდროინდელ ცენტრში, ალექსანდრიაში, და მოღვაწეობდა ძირითადად რომში, სადაც გარდაიცვალა. მისი მოძღვრება წინაქრისტიანული პერიოდის ფსიქოლოგიის განვითარების ბოლო წერტილია. მან ბევრი რამ აიღო პლატონიდან და თავის სწავლებას *ნეოპლატონიზმი* უწოდა. პლატონზე არანაკლებ, მის ნააზრევში არისტოტელეს და სტოიციზმის გავლენაც იგრძნობა. ეს ძირითადად პლოტინის ემპირიულ ფსიქოლოგიას ეხება, მაგრამ თავისი სულისკვეთებით პლოტინის მთელი ფსიქოლოგიური სისტემა უდავოდ *მეტაფიზიკურია* და, არსებითად, პლატონის მეტაფიზიკის განვითარებაა. პლოტინთან მთავარია *მსოფლიო გონი*, როგორც ყველაფრის საწყისი. ამ ცნებასთან მიმართებაში ხდება სულის ღვთაებრიობისა და უკვდავების დასაბუთება. ემპირიული ფსიქოლოგიაც, უაქტობრივად, ამას ემსახურება.

ნამდვილი არსებობა ახასიათებს მსოფლიო გონს (იმავე სულიერ სუბსტანციას). მასში მოცემულია ჭეშმარიტი ცოდნა, რომელსაც ის ასხივებს, როგორც მზე სინათლეს. ის მოთავსებულია სამყაროს ცენტრში, სამყარო კი, რამდენიმე ფენის სახით, გარშემო ერტყმის მას. ეს ფენები ხილული სინამდვილის იერარქიას ქმნის და, არსებითად, ამ ცენტრალური და უმაღლესი რეალობის გამოელინებას, გამოსსივებას, ჩამოდინებას ან, პლოტინის ტერმინებში *ემანაციას*, წარმოადგენს. რაც უფრო ახლოა მსოფლიო გონის აბსოლუტურ სრულყოფილებასთან სინამდვილის ესა თუ ის საფეხური, რეალობისა და არსებობის მით უფრო მაღალ ფენას (დონეს) მიეკუთვნება ივი. ინდივიდუალურ სულს (ე.ი. ემპირიული ფსიქოლოგიის შესასწავლ საგანს) ემანაციაში შუა პოზიცია უკავია. ხოლო ემანაციის ყველაზე ქვედა საფეხურს მატერიალური სხეულები, ცოცხალი და არაცოცხალი ბუნება ქმნის.

პლოტინის ემანაციის თეორია პლატონის იდეების თეორიის შემდგომ დამუშავებად და კონკრეტიზაციად შეიძლება მიეიჩნიოთ, მაგრამ მათი კვლევის ამოსავალი წერტილი განსხვავებულია. პლატონი თავის კვლევა-ძიებას იწყებს გრძნობადი აღქმის მონაცემების ანალიზით, აღგენს მათ არასანდოობას და ეძიებს ცოდნის უფრო სრულყოფილ (ზოგად და ჭეშმარიტ) ფორმას, რასაც იდეაში (იდეების სამყაროში) პოულობს; გრძნობადი მონაცემები იდეების ("ეიდოსების") ასლებია. პლოტინი იწყებს არა კონკრეტული მოვლენებიდან, არამედ ზოგადი და სრულყოფილი ფორმიდან, რომელსაც წარმოგვიდგენს ზებუნებრივი, მისტიკური, ყოელადერთიანი და ერთადერთი ჭეშმარიტი ყოფიერების სახით. მთელი ხილული და რეალური სამყარო, მათ შორის სულიერი, მისი ემანაციაა. სულიერი მოვლენები მსოფლიო გონიდან არის ნაწარმოები. მით უფრო ეს ითქმის ცოცხალი სხეულისა და, საზოგადოდ, საგნობრივი სამყაროს მიმართ.

პლოტინის ფსიქოლოგიაში დიდი ადგილი ეთმობა სულის აბსოლუტური არამატერიალურობისა და სხეულისაგან პრინციპული განსხვავებულობის თეზისის დასაბუთებას. ავტორს მრავალი არგუმენტი მოაქვს სულის მატერიალისტური (ნატურფილოსოფიური თუ ატომისტური) თეორიების საწინააღმდეგოდ. საბოლოო ანგარიშით, პლოტინს სულის სუბსტანციონალობის დამტკიცება სურს. ამიტომ იგი უარყოფს ყველა შეხედულებას, რომელიც სულის სხეულისაგან დამოუკიდებლობის იდეას ეწინააღმდეგება. თუ სული არამატერიალური სუბსტანციაა, მას არ ექნება მატერიალურის ძირითადი ნიშანი – სივრცულობა. სივრცულობის გამო ყველა სხეული დანაწევრებადია, ხოლო სული განუყოფელი მთლიანობაა. სული სხეულის ყველა ნაწილში იმყოფება და, ამავე დროს, მთლიანობაა.

პლოტინი იმ თვალსაზრისსაც უარყოფს, რომლის მისედვით სული მატერია არ არის, მაგრამ გაგებულია როგორც სხეულის ენტელექია, მისი ფორმა, რაც მათ განუყრელ კავშირს გულისმობს (არისტოტელე და მისი მიმდევრები). სული რომ სხეულის ენტელექია ყოფილიყო, ის მუდამ მასთან იქნებოდა. არადა პლოტინის მიხედვით სული სიცოცხლეშიეე სშირად შორდება სხეულს და შემდეგ კელაე უბრუნდება (მაგ., ძილის დროს). სხეული ამ დროს ცოცხალი რჩება, თუმცა თავის ენტელექიას (სულს) მოკლებული სხეული ცოცხალი ვერ იქნება. გარდა ამისა, სული რომ სხეულის ფორმა იყოს, მათ შორის სრული ჰარმონია უნდა სუფევდეს, რაც ასევე არ შეესაბამება რეალობას. სხეულს მრავალად აქვს ისეთი მიდრეკილებები, რომლებსაც სული ებრძვის, სულს კი ისეთი მისწრაფება, რომელიც სხეულის მოთხოვნილებებს ეწინააღმდეგება.

სხეული არ არის სუბსტანცია, ვინაიდან ის იქმნება და ცვალებადობს. ხოლო სული ნამდვილი *სუბსტანციაა*, ის ყოველგვარი მოძრაობის დასაბამია, სხვას ამოძრავებს, სიცოცხლეს ანიჭებს, თავად კი არც მოძრაობს და არც სიცოცხლეს იძენს საიდანმე. მას სხვა არ სჭირდება და თავის თავში შეიცავს ყოველგვარ არსებობას. ცხოველებისა და ადამიანის სულები მისგან არის ნაწარმოები. კონკრეტული ინდივიდუალური სული, თავის მხრივ, სხეულს უკავშირდება და სიცოცხლეს შთაბერავს. სხეულსა და სულს შორის ისეთივე მიმართებაა, როგორიცაა მუსიკოსს (დამკვრელს) და ქნარს (ინსტრუმენტს) შორის, ანუ სხეული სულის ორგანოა, იარაღია. სული თავის დანიშნულებას სხეულის მეშვეობით ასრულებს. ამასთან, ის შეიძლება კიდეც დასცილდეს სხეულს, თუ აღმოჩნდება, რომ ეს უკანასკნელი სათანადოდ ვეღარ მუშაობს. როგორც მუსიკოსი მოიშორებს უვარგის ინსტრუმენტს, სულიც შეარჩევს თავისთვის ახალ ორგანოს. აქედან მომდინარეობს სულის გადასახლების იდეა, რომლის რეალობაში პლოტინს ეჭვი არ ეპარება. ცხადია ეს აზრი ინდური რეინკარნაციის გავლენით ჩამოყალიბდა (პლოტინს უმოგზაურია ინდოეთში და ამიტომ მის ნააზრევში საკმაოდაა აღმოსავლური გავლენა).

ინდივიდუალური სულის აქტიურობა მიმართულია ან ზემოთ, მსოფლიო გონისკენ, ან ქვემოთ, გრძნობადი მატერიალური სინამდვილისკენ, ან თავის თავზე, საკუთარ მოქმედებაზე, რომელიც გარედან უხილავია. იგი აკვირდე-

ბა თავის მუშაობას და ფსიქიკური ცხოვრების ერთგვარ "სარკედ" იქცევა. სულის აქტიურობის ეს ექტორი პლატონთან არ გეხვდება და პლოტინის უმნიშვნელოვანეს ორიგინალურ მიგნებად უნდა შეფასდეს.

სულის აქტიურობის აღნიშნული სამი მიმართულება განსხვავებული ცოდნის წყაროდ გვევლინება. სხეულზე მიმართული სული მის შესახებ ცნობებს იძლევა; ამაევ გზით ხდება ბუნების მოელენების, გარესამყაროს შემეცნება. განსაკუთრებულ როლს ამ მხრივ შეგრძნება, გრძნობადი აღქმა თამაშობს. მისი საშუალებით ჩვენ ვიძენთ ახალ ცოდნა-გამოცდილებას. როდესაც ინდივიდუალური სული მიიმართება მსოფლიო გონისკენ, ამ უკანასკნელში მოცემული ცოდნა მასში გადადის. ფსიქოლოგიის ზოგიერთი ისტორიკოსი ფიქრობს, რომ ცოდნის მიღების ეს გზა პქონდა მხედველობაში პლატონსაც. მაგრამ, თუ გაეიხსენებთ, რას გულისხმობს პლატონის ანამნეზისის თეორია, დავინახავთ რომ ასეთი პარალელის გავლება არ უნდა იყოს მართებული. პლატონს მიაჩნდა, რომ ინდივიდუალური სული იმთავითვეა იდეების სამყაროში მიღებული ჭეშმარიტი ცოდნის მატარებელი. ამიტომ პლატონთან ჭეშმარიტების შემეცნება სუბიექტის მიერ მხოლოდ ამ დავიწყებული ცოდნის განახლებაა (ანამნეზისი). ხოლო პლოტინის მისედვით, ცოდნის მიღების ყველა გზა მართლაც ახალი ცოდნის მოპოვებაა ინდივიდუალური სულის მიერ, რომელსაც მანამდე ეს ცოდნა არ გააჩნდა. იგივე ვითარებაა ინდივიდუალური სულის მსოფლიო გონთან ურთიერთობისას.

პლოტინი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას ამ პროცესის თავისებურებაზე და ხაზს უსვამს აღნიშნული ურთიერთობის უშუალო ხასიათს, რასაც განაპირობებს სულის განსაკუთრებული მდგომარეობა, ე.წ. *ექსტაზი.* ექსტაზში მყოფი სული განიცდის მსოფლიო გონთან ერთიანობას, მას ერწყმის და იქ არსებულ ჭეშმარიტ და უმაღლეს ცოდნას სწვდება. ამ მეტაფიზიკურ ბურანში ძნელია, ნათლად გაიგო კაცმა, თუ რა რეალური ფსიქიკური პროცესი იმალება გონისა და სულის აღნიშნული ურთიერთობის მიღმა. სამწუხაროდ, ეს განმარტებული არ არის, მაგრამ საფიქრებელია, რომ აქ საქმე მოგონებასთან არ უნდა გექონდეს. ეს დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ პლოტინის მოსაზრებებიდან მეხსიერების შესახებ. მისი ბუნება საკმაოდ თავისებურად და არც თუ დამაჯერებლად არის გახსნილი. მართლაც, პლოტინი კატეგორიულად ილაშქრებს ანტიკურ ფსიქოლოგიაში გავრცელებული კვალის თეორიის წინააღმდეგ. მის თანახმად, მეხსიერება შთაბეჭდილების ანაბეჭდის შემონახვაში მდგომარეობს. მოგონება ვერ იქნება ამ კვალის აღდგენა, რადგან კვალი სულში არც არსებობს. თუ აღნიშნული მოსაზრება მართებულია, ანაბეჭდებისა და, შესაბამისად, მოგონებების რაოდენობა სუბიექტის გამოცდილების პროპორციული უნდა იყოს. მაგრამ ეს ასე არ არის. უეჭველი ფაქტია, მაგალითად, რომ ახალგაზრდებს უფრო მეტი მოგონება აქვთ, ვიდრე მოხუცებს. გარდა ამისა, თუ მოგონება კვალის აღდგენაა, გაუგებარი რჩება ის ძალისხმევა, რომელიც შთაბეჭდილების რეპროდუქციას ახლავს, ვინაიდან, კვალი რომ არსებობდეს, ის მუდამ აქტუალური და, მაშასადამე, ჩვენთვის ცნობილი უნდა იყოს. სხვათა შორის, ამ შემთხვევაში დავიწყება სულ არ უნდა ხდებოდეს. გაუგებარი იქნება გამეორებათა საჭირო-

ებაც, რადგან სრულყოფილ კვალს ცვილზე ბეჭდის ერთჯერადი დაჭერაც იძლევა. საბოლოოდ, პლოტინი ასეთ ზოგად ფორმულირებას გვთავაზობს: კვალის თეორია არასწორია, ვინაიდან ის ყურადღების მიღმა ტოვებს სულის აქტიურ ბუნებას და მას შთაბეჭდილებების პასიური მიმღების როლს აკუთვნებს.

ბუნებრივად იბადება კითხვა: თუ შთაბეჭდილება კვალს არ ტოვებს, რა ისახება და რისი აღდგენა ხდება მეხსიერებაში? სათელ პასუხს ამაზე პლოტინი ვერ იძლევა. იგი მსჯელობს სულის აქტიურობაზე და მის უნარზე, სურვილისამებრ დააყენოს თავისი მზერის წინაშე ის, რასთანაც მას ოდესღაც ჰქონია საქმე. ინტერპრეტატორების თქმით, პლოტინი მეხსიერების ინტელექტუალიზაციას ახდენს – ყოველი მოგონება ამ მოგონების შესახებ აზრს ნიშნავს ან შეიცავს. ეს შესაძლოა ასევე იყოს, მაგრამ იმისთვის, რომ შთაბეჭდილებაზე აზრი გქონდეს, ის უნდა არსებობდეს, ხოლო თუ მას სულში კვალი არ დაუტოვებია, ვერც გაიმეორებ (ე.ი. მნემურ აქტივობას ვერ განახორციელებ) და ვერც გაიაზრებ.

ასეა თუ ისე, პლოტინის ემპირიული ფსიქოლოგიის ეს სირთულე იმას აღასტურებს, რომ მსოფლიო გონიდან ცოდნის მიღება ინდივიდუალურ სულში მისი ანაბეჭდის აღდგენის სახით ვერ განხორციელდება. ექსტაზი არ არის ანამნეზისი, თუმცა თვით ექსტაზის, როგორც შემეცნებაში ჩართული ფსიქიკური მდგომარეობის, ბუნებაც გაუხსნელი რჩება. თანამედროვე ფსიქოლოგიას შეუძლია თქვას, რომ პლოტინს მხედველობაში აქვს ცნობიერების შეცვლილი მდგომარეობა, რომელიც აღწერილია მრავალ დასავლურ და, განსაკუთრებით, აღმოსავლურ ფილოსოფიურ-რელიგიურ სწავლებაში. ეს არის მდგომარეობა, როცა ინდივიდუალური ცნობიერება აბსოლუტთან ერთიანდება და ნამდვილ ცოდნას სწვდება. დღეს ასეთი მდგომარეობების ინტენსიური კვლევა მიმდინარეობს, მაგრამ ჯერ-ჯერობით მეცნიერებისთვის უცნობი რჩება სულის ექსტაზურ (ან მის მონათესავე) მდგომარეობაში მოპოვებული ჭეშმარიტი ცოდნის შინაარსიც (თუ ასეთი რამ საერთოდ არსებობს) და მისი მიღების მექანიზმიც.

სამაგიეროდ, ცოდნის მოპოვების მესამე გზა, რომელზეც პლოტინმა მიუთითა, ფსიქოლოგიური მეცნიერებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი და პროდუქტიული აღმოჩნდა. როგორც ითქვა, ამ შემთხვევაში ადამიანის სული თავის თავზეა მიმართული და ამგვარად იღებს ცოდნას საკუთარი ფსიქიკური ცხოვრების შესახებ. გამოცდილების მიღების ეს გზა შესაძლებლობას იძლევა, დავაკვირდეთ შინაგან სამყაროს და შევიქმნათ გარკვეული აზრი საკუთარ თავზე. მრავალი საუკუნის შემდეგ, ადამიანის უნარს აღიქვამ, წარმოიდგინოს, გაიაზროს, იგრძნოს, ისურვოს და ამავე დროს იცოდეს ამ განცდების არსებობისა და რაგვარობის შესახებ, *რეფლექსია* ეწოდა. რეფლექსია, როგორც "თვითცნობიერების მექანიზმი", ემპირიული ფსიქოლოგიის საფუძველია და მისი კვლევის ძირითადი მეთოდის – *თვითდაკვირვების* პირობაც. შემეცნების ამ მესამე გზის ჩვენებით, რომელსაც *თვითცნობიერებამდე*, სუბიექტური სამყაროს შესახებ ცოდნის სისტემის შექმნამდე მივყავართ, პლოტინმა შემოიტანა ფუნდამენტური მნიშვნელობის იდეა, რომლის გარეშე ფსიქო-

ლოგიის შემდგომი განვითარება წარმოუდგენელი იქნებოდა. ამის გამო ფსიქოლოგიის ვერც ერთი ისტორიკოსი გვერდს ვერ აუვლის პლოტინის შემოქმედებას.

როგორც დასაწყისში აღინიშნა, პლოტინის ფსიქოლოგია ძირითადად მეტაფიზიკურია. მიუხედავად იმისა, რომ თვითცნობიერებაზე მითითებით მან, მეტ-ნაკლებად მაინც, გზა გაუხსნა ემპირიულ ფსიქოლოგიას, მისი დაკვირვებები და მსჯელობები რეალური ფსიქიკური მოვლენების შესახებ სისრულით და სარისხით საგრძნობლად ჩამოუვარდება არისტოტელეს ნააზრევს. ამის მაგალითად მეხსიერების ზემოთ მოყვანილი დასასათებაც კმარა. მეხსიერება, წარმოსახვასა და აზროვნებასთან ერთად, ე.წ. მაღალი სულიერი პროცესების ჯგუფში შედის. დაბალ ფსიქიკურ მოვლენებს მიეკუთვნება ხორციელი გრძნობები, სურვილები, მისწრაფებები და გარე გრძნობები. ეს უკანასკნელი იგივე შეგრძნებებია და თუმცა ისინი დაბალ პროცესებად განიხილება, მათი სტატუსი ამ მხრივ ბოლომდე არ არის გარკვეული. ამის მიზეზი ალბათ ის არის, რომ პლოტინის მიერ დაბალი და მაღალი პროცესების განსხვავებისთვის შემოღებული კრიტერიუმები ფსიქიკური პროცესების გამიჯვნის საშუალებას არ იძლევა. "მაღლებად" მიჩნეულია ისეთი ფუნქციები, რომლებიც მხოლოდ ადამიანს ახასიათებს და ცხოველებს არ გააჩნიათ. შემდეგი ნიშანია ამ ფუნქციების სხეულისაგან დამოუკიდებლობა. თუ კონკრეტული სულიერი მოელენა სხეულის რაიმე ორგანოს ჩართულობას გულისხმობს, ის უკვე დაბალ ფსიქიკურ პროცესად ითვლება. თუ ამ კრიტერიუმების მიხედვით ვიმსჯელებთ, შეგრძნება მართლაც დაბალ ფსიქიკურ ფუნქციად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ის ცხოველსაც აქვს და მისი აღმოცენებისთვის აუცილებელია გრძნობის ორგანო. მიუხედავად ამისა, შეგრძნებას, გარკვეული აზრით, ორმაგი ბუნება აქვს. მართალია, ის გრძნობის ორგანოზეა დამოკიდებული, მაგრამ, მეორე მხრივ, შემეცნებასაც ემსახურება, კოგნიტური ფსიქიკური პროცესია; შემეცნებითი სულიერი მოელენები კი მაღალ განცდებს მიეკუთვნება, ვინაიდან ინდივიდუალური სულის მთავარი და განსაკუთრებული ფუნქცია კოგნიტური სასიათისაა. ეს ფუნქციაა შემეცნების სამივე სახის უზრუნველყოფა. მისი საშუალებით ადამიანი ცოდნას იძენს ბუნებიდან, მსოფლიო გონიდან და საკუთარი თავიდან. შეგრძნება ჩართულია ამ პროცესში, ყოველ შემთხვევაში, ბუნების მოვლენების შემეცნებისას მაინც. მოკლედ, შეგრძნების (ანუ გარეგანი გრძნობის) სტატუსი ბოლომდე ნათელი არ არის – ის, ერთდროულად, დაბალი ფუნქციაც არის და მაღალიც.

შეგრძნების აღმოცენების ზოგადი სქემა ასეთია: გარე ობიექტი ზემოქმედებს გრძნობის ორგანოზე; აქ აღმოცენებული შთაბეჭდილება გადაეცემა სულს, რომელიც გრძნობის ორგანოს მონაცემების გათვალისწინებით ქმნის ობიექტის თვისებებს, მის ტექსტურას – ფერს, სუნს, გემოს, ტემპერატურას, სიმკვრივეს და ა.შ. ფაქტობრივად, სუბიექტის მიერ შეიგრძნობა (აღიქმება) არა თვით ობიექტი, არამედ მისი ფსიქიკური რეპრეზენტაცია. აღქმა გარე რეალობის ფსიქიკური ასახვა კი არ არის, არამედ აქტიური სულის მიერ წარმოებული განცდაა. ფსიქოლოგიის ცნობილი მეთოდოლო-

ვისა და ისტორიკოსის, ნოელ სმიტის შეფასებით, აღქმის ასეთ დახასიათებას თანამედროვე ფსიქოლოგიაში დამცველებიც ჰყავს და მოწინააღმდეგეებიც.

კოგნიტურ აქტივობაში შეგრძნების შემდგომ საფეხურს წარმოდგენა (ფანტაზია) ქმნის. რაკი შემეცნება ადამიანური სულის გამორჩეული თვისებაა, წარმოდგენა თითქოს ცალსახად მაღალ ფუნქციად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ, შეგრძნების მსგავსად, აქაც გაორებული და ერთგვარად წინააღმდეგობრივი მდგომარეობა იკვეთება. პლოტინი ორი სახის წარმოდგენას გამოყოფს. ერთი რაიმე საგნის ან ვითარების თვალსაჩინო სურათს იძლევა, გრძნობის ორგანოზე მისიზემოქმედების გარეშე და, გარკვეული აზრით, ინსტინქტს უახლოვდება. ასეთი წარმოდგენა ცხოველის მიზანშეწონილი ქცევის შესრულებაშიც მონაწილეობს. თუ ეს მართლაც ასეა, იგი დაბალი რიგის განცდა ყოფილა. მაგრამ არსებობს სხვაგვარი წარმოდგენაც, რომელშიც თვალსაჩინო ხატის გარდა, მოცემულია მეტ-ნაკლები დარწმუნებლობა. ამით ის უახლოვდება აზროვნებას, დასკვნას, ოღონდ, ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, წარმოდგენის დარწმუნებულობა დასაბუთებული არ არის, ის, ასე ვთქვათ, უშუალო ხასიათისაა. ასეთი წარმოდგენა ინტელექტუალური განჭერეტის უნარს იძენს და, მაშასადამე, მაღალ ფსიქიკურ პროცესად გვეელინება.

ფსიქოლოგიურად ძალიან მნიშვნელოვანია, რომ წარმოდგენითი ჭვრეტა შეიძლება ყველა მხარეს იყოს მიმართული. იგი გრძნობადი აღქმის სურათს იმეორებს და, ამდენად, გარე სამყაროს წარმოგვიდგენს. ამავე დროს, ის გვაწვდის ცნობებს თვით ჩვენი სულიერი აქტივობის მიმდინარეობის თაობაზე. მათი გაცნობიერება საფუძველს უქმნის შინაგანი სამყაროს შესახებ ჩვენს ცოდნას. ამრიგად, ადამიანის ფსიქიკურ პროცესებს ახლავს *შინაგანი წარმოდგენა* და მისი გაცნობიერების უნარი. პლოტინი სავსებით მართებულად აღნიშნავს, რომ ამ უნარს ბავშვობიდანვე სჭირდება განვითარება.

შემეცნებითი ფსიქიკური აქტივობის ბოლო პუნქტი საკუთრივ აზროვნებაა. აზროვნების პროცესუალური მხარე რაიმეს დასაბუთებას გულისხმობს, მაგრამ თავის უმაღლეს საფეხურზე, რომელსაც მოგვიანებით *ინტუიცია* უწოდეს, აზროვნება ჭეშმარიტებას პირდაპირ სწვდება. ყველა კრიტერიუმის მიხედვით, აზროვნება უმაღლეს ფსიქიკურ ფუნქციად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან იგი შემეცნების პროცესის მწვერვალია, ადამიანის სულის ექსკლუზიური კუთვნილებაა და სხვულზე არ არის დამოკიდებული. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ დღევანდელი მეცნიერების გაგებით, პლოტინის ემპირიული ფსიქოლოგიის ყველა ეს კრიტერიუმი პირობითად და არასანდოდ გამოიყურება. თანამედროვე ფსიქოლოგია კოგნიტური ფუნქციონირების ელემენტებს ფილოგენეზის საკმაოდ დაბალ საფეხურებზეც აფიქსირებს, ხოლო წარმოდგენისა და აზროვნების ჩანასახოვანი ფორმების არსებობას უმაღლეს ცხოველებში საკმაოდ სავარაუდო უაქტად მიიჩნევს. რაც შეეხება სხვულისაგან დამოუკიდებლობის კრიტერიუმს, მისი სერიოზულად განხილვა არც შეიძლება, რადგან ნერვულ სისტემას მოწყვეტილი აზროვნება, ან საერთოდ რაიმე ფსიქიკური პროცესი ამყამინდელი მეცნიერების თვალ-

საზრისით ნონსენსია.

აღნიშნული სირთულეები თავს იჩენს აგრეთვე პლოტინის მიერ მოტივაციური პროცესების დახასიათებისას. როგორც ითქვა, სურვილები და მისწრაფებები დაბალი სულიერი მოელენებია და ხშირად სხეულებრივ საჭიროებებს გამოხატავენ; ისინი ცხოველებთანაც გვხვდება. მაგრამ, სომ არსებობს ისეთი მისწრაფებებიც, რომლებიც მხოლოდ ადამიანისთვის არის დამახასიათებელი და უმაღლეს ინტელექტუალურ, ეთიკურ თუ ესთეტიკურ განცდებს უკავშირდება. ამას პლოტინიც ხედავს. იგი იმასაც ამტკიცებს, რომ ყოველი ემოციური განცდა (აფექტი) სხეულის მონაწილეობას გულისხმობს და საჭიროებს. ეს ეხება საკუთრივ ადამიანურ მისწრაფებებს და გრძნობებსაც. მაშინ ჩნდება კითხვა, თუ როგორია მათი კავალიფიკაცია სიმაღლე-სიდაბლის თვალსაზრისით. ამაზე პასუხი პლოტინთან არ ჩანს. და მაინც, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ პლოტინის ემპირიული ფსიქოლოგიის ამ ხარვეზების მიუხედავად, თვითცნობიერების იდეის შემოტანით მან მწვანე შუქი აუნთო "წმინდა" ემპირიულ ფსიქოლოგიას. თუმცა, სანამ ფსიქოლოგიური აზრი ამ მიმართულებით დაიწყებდა მოძრაობას, ძალიან დიდი დრო გავიდა. მაგრამ, როცა ეს მოხდა, პლოტინისა და აგუსტინეს გამოცდილება ფრიად სასარგებლო აღმოჩნდა.

ამრიგად, საბოლოო რეზიუმეს სახით შესაძლებელია ითქვას, რომ დასაწყისში ანტიკური პერიოდის ფსიქოლოგიური წარმოდგენები ემყარებოდა სხეულისა და სულის, მატერიალურისა და იდეალურის განუყოფლობის და, აქედან გამომდინარე, ბუნების საყოველთაო განსულიერების პანფსიქისტურ იდეას. შემდგომში, განვითარების კვალდაკვალ, მოხდა მატერიალურისა და იდეალურის მკაფიო დიფერენციაცია. გამოიკვეთა სულის პრიორიტეტული როლი სხეულთან მიმართებაში. თავდაპირველად სული სხეულის მამოძრავებელ ძალად ითვლებოდა, ხოლო შემდგომში – მის არსად და ყველა ფუნქციის მაორგანიზებელ საწყისად. სულიერ მოელენებში გამოიყო შეგრძნება, აზროვნება და გრძნობები. მათ თანდათან დაემატა სხვა ფსიქიკური ფუნქციები: აღქმა, მეხსიერება, წარმოსახვა, ნებისყოფა. ისინი არსებითად გაიმიჯნა ერთმანეთისაგან და განსხვავებულმა თეორიულმა სისტემებმა სხვადასხვა მათგანს მიანიჭა უპირატესობა, ზოგმა შემეცნებითს, ზოგმა ემოციურს, ზოგმა კი ნებელობითს. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით ანტიკურ ხანაშივე გაჩნდა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისი. ერთი, შეზღუდულ ფორმაში, მაგრამ მაინც უშვებდა ნების თავისუფლებას. მეორე ამას პრინციპულად უარყოფდა და იცავდა პოსტულატს ბუნებისა და სულიერი მოელენების სრული განსაზღვრულობის, ანუ დეტერმინიზმის შესახებ.

ანტიკურ პერიოდში დაისვა ძირეული მნიშვნელობის პრობლემები, რომლებიც ფსიქოლოგიას მისი მთელი არსებობის განმავლობაში გაყვნენ და *მუდმივ პრობლემებად* იქცნენ. ესენია: სულისა და სხეულის ურთიერთმიმართების პრობლემა, ფსიქიკის შინაარსისა (ცოდნის) და თვისებების თანდაყოლილობა-შეძენილობის პრობლემა, შემეცნების პროცესში ემპირიულისა (გრძნობადის) და რაციონალურის (გონებრივის) მიმართების პრობლემა,

ქცევის თავისუფლება-დეტერმინირებულობის პრობლემა და ბოლოს, ადამიანის ფსიქიკის სპეციფიკურობის პრობლემა.

ანტიკურ ეპოქაში საფუძველი ჩაეყარა ფსიქოლოგიის კატეგორიალურ სისტემას. გამოიყო და გარკვეულ დონეზე დამუშავდა ზოგიერთი ძირითადი ცნება: განცდა, ქცევა, პიროვნება, ცნობიერება, ხატი და სხვა. მათი ურთიერთკავშირის განხილვისას გამოიყო სულის განსხვავებული ფორმები და დონეები და, საბოლოო ჯამში, ხორცი შეესხა სულის განვითარების იდეას, როგორც ფილოგენეტურ, ისე ონტოგენეტურ ჭრილში.

ანტიკურ ფსიქოლოგიას უმიაერესად მეტაფიზიკური და გონებაჭვრეტითი ხასიათი ჰქონდა, თუმცა, ყველა კონცეფციას გარკვეული ემპირიული საყრდენი გააჩნდა, რაც ზოგიერთ სისტემაში განმსაზღვრელიც იყო. საზოგადოდ კი, რასელის თქმით, ელინურ ფილოსოფიას ეჭვი ეპარებოდა, რომ თვით მეტაფიზიკა და კოსმოლოგია შეიძლება შეიქმნას მრავალჯერადი მსჯელობისა და დაკვირვებების შეთავსების გზით. მოგვიანებით, შუა საუკუნეების ეპოქაში, გონებაჭვრეტითმა მსჯელობებმა იმდენად იმძლავრა, რომ ემპირიული საწყისი თითქმის ჩრდილში მოაქცია. სამაგიეროდ, ახალი დროიდან ფსიქოლოგიის (ისევე როგორც მთელი მეცნიერების) განვითარების ძირითადი ტენდენცია მყარად დაუკავშირდა სულიერი (ცნობიერების) მოვლენების დაკვირვების მონაცემებს. ეს მნიშვნელოვანი ბიძგი იყო ემპირიული ფსიქოლოგიის განვითარებისთვის, რამაც, საბოლოოდ, ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიამდე მიგვიყვანა.

**ავრელიუს ავგუსტინეს** (357-430) შემოქმედება ანტიკური ტრადიციიდან ქრისტიანულ მსოფლმეხედველობაზე გადასვლის აღმნიშვნელია. მან პლოტინის თვითცნობიერების დოქტრინა გააღრმავა და თვითანალიზის დონემდე აიყვანა. ამით თითქოს შინაგანი სამყაროს შესწავლა პრინციპულად ახალ საფეხურზე ავიდა და გაიხსნა პირდაპირი გზა ემპირიული ფსიქოლოგიისკენ. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს ასე. თუ მის ნააზრევს ჩავუკვირდებით, დავინახავთ, რომ ავგუსტინეს მთელი შემოქმედება მხოლოდ ღმერთის ცნების დამკვიდრებას ემსახურება. მისთვის მთავარია რწმენა და მისი დასაბუთება. ყოველგვარი ცოდნა მეორადია რწმენასთან მიმართებაში. ცოდნისკენ მიმავალი გზა რწმენაზე გადის. ეს ეხება ფსიქოლოგიურ ცოდნასაც, სულიერი მოვლენების კვლევას; ფსიქიკურ ცხოვრებაზე დაკვირვებას და თვითანალიზს, რომლის შესანიშნავი ნიმუში მოცემულია ავგუსტინეს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებში "აღსარება", ავტორისთვის თავისთავადი მნიშვნელობა არა აქვს და მხოლოდ და მხოლოდ სამყაროს, მათ შორის შინაგანი სამყაროს, ღვთაებრივი შექმნისა და მოწყობის დასაბუთებას ემსახურება. მით უფრო ითქმის ეს მეტაფიზიკურ ფსიქოლოგიურ მსჯელობებზე სულის წარმოშობისა და რაობის, მისი უკვდავებისა და თავისუფლების შესახებ. ეს აგრეთვე ეხება

მის წმინდა ფილოსოფიურ დებულებებს ცოდნის წყაროებისა და ჭეშმარიტების კრიტერიუმების შესახებ. აღარაფერს ვამბობთ საკუთრივ თეოლოგიურ მსჯელობებზე; ავგუსტინე ხომ ქრისტიანული თეოლოგიის ერთ-ერთი ნიშანსვეტია. სამაგალითო თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობის გამო იგი მართლმადიდებლობაში ნეტარ ავგუსტინედ მოიხსენიება, კათოლიკობაში – წმინდა ავგუსტინედ.

ავგუსტინე  დაიბადა ქალაქ თაგასტაში (ნუმიდია, ახლანდელი ალჟირი), თავისუფალი ცხოვრების მომხრე წარმართი პატრიციელი მამისა და ღვთისმოსავი ქრისტიანი დედის ოჯახში. რიტორიკასა და სამართალს დაეუფლა კართაგენში, რომსა და მილანში. შემდგომში აქვე მასწავლებლობდა. ავგუსტინემ სხვადასხვა ფილოსოფიურ და რელიგიურ მიმდინარეობათა გავლენა განიცადა. ათ წელს მისდევდა მანიქეველობას (მცირე აზიაში გაჩენილი და იმ დროს ძალიან გავრცელებული რელიგიურ-ფილოსოფიური სწავლება, რომელიც აერთიანებს ზოროასტრიზმის, ბუდიზმისა და ქრისტიანობის ელემენტებს). მოგვიანებით გატაცებული იყო სტოიციზმით, ე.წ. "ახალი აკადემიის" სკეპტიციზმით და ბოლოს, ნეოპლატონიზმით. ამ უკანასკნელის გავლენა ავგუსტინეს შემოქმედებაზე განსაკუთრებით შესამჩნევია. ავგუსტინეს მსოფლმსედველობრივი მრწამსის რადიკალური შემობრუნება ქრისტიანობისკენ მოხდა 387 წელს, როცა იგი მოინათლა. ამიერიდან მთელი მისი ცხოვრება ეკლესიის სამსახურს ეძღვნება. თავის მშობლიურ ქალაქში ის აყალიბებს ბერების თემს, 391 წელს იკურთხება ხუცესად, ხოლო 395 წელს აქვე ხდება ეპისკოპოსი და სიკვდილამდე მღვდელმთავრად მოღვაწეობს.

მიუხედავად უდიდესი სიყვარულისა და პატივისცემისა დედისადმი, რომელიც სულ ცდილობდა, შვილი ქრისტიანობისკენ მოექცია, ავგუსტინე თავდაპირველად მამის კვალს გაჰყვა. მისივე თქმით, იგი ვნებებითა და უგუნურობით სავსე ცხოვრებას ეწეოდა. ამავე დროს, უკვე სკოლაში სწავლისას გაუჩნდა რელიგიური გრძნობები. 33 წლამდე მისი შინაგანი სამყარო ღმერთისადმი სიყვარულისა და სხეულებრივი ლტოლვების მძაფრი დაპირისპირებით იყო გამსჭვალული. ეს შინაგანი კოლიზიები გასაოცარი გულწრფელობით და გამჭრიახობით არის გადმოცემული "აღსარებაში", რომელსაც ყველა მკვლევარი თვითანალიზის შედევრად აღიარებს. ეს ნაშრომი განსაკუთრებულ ინტერესს ფსიქოანალიტიკოსებში იწვევს, რომლებიც მასში თავიანთი მრავალი იდეის დადასტურებას ხედავენ. კერძოდ, ეს არის ადამიანში ისეთი ლტოლვების არსებობა, რომელთაც ის ვერ აცნობიერებს; ეს არის ფსიქიკის არსებითად ანტისოციალური, ეგოისტური ხასიათი. ავგუსტინეს თქმით, ე.წ. "ბუნებრივი ადამიანი" იმდენად სუსტია, და მანკიერია, რომ მისი გადარჩენა მხოლოდ ღმერთის მადლს შეუძლია. ადამიანის ეს უარყოფითი ბუნება ბავშვობიდანვე იჩენს თავს – ადამიანი დაბადებიდან ცოდვილია. ავტორი აანალიზებს თავის ბავშვობისდროინდელ მოგონებებს, სხვა ბავშვებზე დაკვირვებებს და აჩვენებს, რომ უარყოფითი, ცოდვილი ზნე იმთავითვეა გამოხატული. აღსარების მთელი თავი იმის მტკიცებას ეთმობა, რომ თოთო ბავშვიც კი ღორმუცელობის, ეჭვიანობისა და სხვა ცოდვების მორევშია ჩაძირული. მოზრდილები ამას ან უბრალოდ არ იმჩნევენ, ან ერ-

თობ შემწყნარებლურნი არიან, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ დროთა განმავლობაში ეს გაიელის. სიცრუე, ეშმაკობა, მზაკერობა, რაც საძაგელი და ყოველად მიუღებელი ლტოლვების ასრულებისთვის გამოიყენება, ადამიანს იმთავითვე თან ახლავს. ინფანტილური სექსუალობისა და დესტრუქციულობის იდეით გამსჭვალული ფსიქოანალიზისთვის ავგუსტინეს მოსაზრებები საკმაოდ მიმზიდველი აღმოჩნდა. დიდი სურვილის შემთხვევაში, ავგუსტინეს გამოირჩეულად თბილი ურთიერთობაც დედასთან შეიძლება ოიდიპოსის კომპლექსად იქნეს ინტერპრეტირებული, ხოლო ფსიქოანალიტიკოსებს, როგორც ცნობილია, ასეთი სურვილები არ აკლიათ.

აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ ერთ-ერთი წამყვანი ფსიქოანალიტიკოსი და, ამავე დროს, ფსიქოლოგიისა და ფსიქიატრიის ისტორიის მკვლევარი, ჟ. ალექსანდერი, ავგუსტინეს ფსიქოანალიზის წინამორბედად მოიხსენიებს. იგი მიიჩნევს, რომ პლატონისა და არისტოტელეს აბსტრაქტული კონცეფციებისაგან განსხვავებით, ავგუსტინეს "აღსარებაში" ფსიქოლოგია უფრო რეალური, კონკრეტული და სისხლსავსე ხდება. თავის მეორე დიდ ნაწარმოებში, "ღვთიური ქალაქი", ავგუსტინემ გამოთქვა მოსაზრება, რომ იდეალური ქვეყანა უნდა მართონ დესტრუქციული იმპულსებისაგან თავისუფალმა, ჰარმონიული სულის ადამიანებმა. სულის ჰარმონიას ტექნოლოგიითა და პოლიტიკით ვერ მიიღებ. ამისთვის საჭიროა შინაგან ღირებულებათა შეცელა, რაც ეკლესიისკენ შემობრუნებით მიიღწევა. ალექსანდერს მიაჩნია, რომ ნეტარი მამის ეს პოზიცია ფსიქოლოგიის როლის უეჭველ აღიარებას ნიშნავს და მის ნააზრევს აქტუალურსა და თანამედროვეს ხდის. ამ ძალზე მაღალ შეფასებაში არის გარკვეული სიმართლე, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ავგუსტინე ეკლესიას ემსახურებოდა და არა ფსიქოლოგიას. შინაგანი ღირებულებების შეცელა ერთმნიშვნელოვნად გულისხმობდა საზოგადოების ტოტალურ გაეკლესიურებას და ქრისტიანული რწმენით გამსჭვალვას, რაც ავგუსტინესთვის კეთილშობილებისა და სულიერი სიმშვიდის სინონიმი იყო. ეს უკვე თეოკრატიული პოზიციაა და არა ფსიქოლოგიური. მოცემულ კონტექსტში მთავარი ისაა, რომ იგი არსებითად ეწინააღმდეგება ფროიდის თეორიულ შეხედულებებს, ხოლო ფსიქოანალიზის პრაქტიკას მთლიანად თამაშგარე მდგომარეობაში ტოვებს.

ავგუსტინეს ძირითადი დოქტრინა ის არის, რომ მთელი სამყარო, ადამიანი, მისი სხეული და სული ღმერთის შექმნილია. სული სხეულზე უფრო "მაღალი" დონის ქმნილებაა, ვინაიდან ის ღვთიურ სუნთქვას უკავშირდება, რომლის ჩაბერვითაც ადამიანს სიცოცხლე მიენიჭა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამით ადამიანში ღმერთის ნაწილი შევიდა. სული ღმერთისაგან მომდინარეობს, მაგრამ ღმერთის სუბსტანციის მატარებელი არ არის. სული არაფრიდან არის შექმნილი და აბსოლუტურად არამატერიალურია. მიუხედავად ამისა, ისეთი ელემენტები, როგორიცაა სინათლე და ჰაერი, სულთან უფრო ახლოსაა. ამიტომ სულის მიერ სხეულის მართვა (რაც მისი ძირითადი დანიშნულებაა), გარკვეულწილად ამ ელემენტებთან არის დაკავშირებული. ნერვები ჰაერითაა სავსე; მისი მოძრაობა კიდურებს გადაეცემა, თავად კი სულის ნებას ემორჩილება.

სულის ყოფიერება, ავგუსტინეს მიხედვით, შვიდ გრადაციას ანუ სტადიას შეიცავს. სულის პირველი, უმარტივესი დონე ადამიანს და მცენარეს საერთო აქვთ. ის უბრუნველყოფს ორგანიზმის მთლიანობას, მის ცოცხლად ყოფნას და პასუხისმგებელია კვებასა და გამრავლებაზე. სულის მეორე საფეხური ადამიანს საერთო აქვს ცხოველებთან. ის "შეიგრძნობს" და "ხედავს სიზმრებს". მესამე სტადიაზე სულს ემატება მეხსიერების, მეტყველებისა და პრაქტიკული გონების უუნქციები. მეოთხე სტადიაზე სული საკუთარი თავისკენ შემობრუნდება, იწყებს თავისი თავის, როგორც სხეულისაგან განსხვავებულის და მასზე ამაღლებულის შეფასებას და ეძიებს ღმერთს თავის ბუნებაში. მეხუთე დონეზე სული უკვე განწმენდილია სიკეთილის შიშისაგან და ჭეშმარიტებისკენ მიმავალ გზას ადგას. მეექვსე სტადიაზე სული მთელი თავისი არსითა და გონების ძალით მიიმართება ღმერთისკენ, ანუ ერთადერთი ჭეშმარიტებისკენ. მეშვიდე სტადიაზე სული ჭეშმარიტებას სწვდება, ვინაიდან მთლიანად ღმერთითაა მოცული.

ავგუსტინეს ამ თეორიულ კონსტრუქციაში ფსიქოლოგიის ზოგი ისტორიკოსი სულის სახეების არისტოტელესეული კლასიფიკაციის გაელენას ხედავს. ეს ალბათ მხოლოდ პირველი სამი სტადიის მიმართაა მართებული, ვინაიდან მათი დახასიათებისას ავტორი მყარ ემპირიულ ნიადაგზე დგას. შემდგომი სტადიების დახასიათებისას კი მისტიკური ელემენტი სულ უფრო მატულობს და საბოლოოდ იმდენად მეტაფიზიკურ სახეს იღებს, რომ თითქმის მიუწვეველი ხდება მეცნიერული ანალიზისთვის. თუმცა ერთი რამ მაინც შესაძლებელია: უმაღლესი, მეშვიდე სტადიის განცდისეული მხარის შედარება პლოტინის მიერ აღწერილი ექსტაზის მდგომარეობასთან. თუ ეს ანალოგია მართებულია, მაშინ მის შესახებ იმავეს თქმა შეიძლება, რაც ზემოთ პლოტინისეული ექსტაზის თაობაზე ითქვა, ჭეშმარიტების წვდომისა და ნამდვილი ცოდნის მიღებასთან დაკავშირებით. ამგვარი რამ, პლოტინის მიხედვით, ექსტაზის მდგომარეობაში ხდება. აღვილი დასანახია, რომ სულის აღნიშნული სახეები, იმავდროულად, ჭეშმარიტებასთან (იმავე ღმერთთან) დაახლოების სტადიებია. ამდენად, გნოსეოლოგიური პრობლემა ნათლად გამოხატულ ფსიქოლოგიურ ხასიათს იძენს. ეს გასაგებიცაა, ეინაიდან შემეცნების შესაძლებლობაზე საუბარს, აღრე თუ გვიან, აუცილებლად მივყავართ ამ პროცესის ფსიქოლოგიური უზრუნველყოფის საკითხთან. ეს მით უფრო ბუნებრივია ავგუსტინესთანა მოაზროვნისთვის, რომელიც ჭეშმარიტ ცოდნას ღმერთში ათავსებს, თვით ღმერთს სულში უჩენს ადგილს, ხოლო მასთან მისასვლელ გზას სულის მიერ საკუთარი თავის შეცნობაში ხედავს.

პლატონის მსგავსად, ავგუსტინეს ფსიქოლოგიურ სისტემაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისეთი შემეცნებითი ფსიქიკური ფუნქცია, როგორიც მეხსიერებაა. ავგუსტინეს მიხედვით, სწორედ მასშია განთავსებული მთელი ცოდნა და მის მოსაპოვებლად საჭირო არაა სულის გარეთ გასვლა, ბუნების კვლევა – საკმარისია საკუთარი თავის შესწავლა. შემეცნება *თვითშემეცნებით* ხორციელდება – ეს თეზისი მისი ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური მოძღვრების ლეიტმოტივია.

მეხსიერება წმინდა სულიერი აქტივობაა, ის სულში არსებულის ნათელ-

ყოფაა. მეხსიერება ორი სახისაა: გრძნობადი და ინტელექტუალური. გრძნობადი მეხსიერება დაკავშირებულია გრძნობის ორგანოებთან. შესაბამისად, ჩვენ გვაქვს შეხებითი, სმენითი, მხედველობითი და ა.შ. მეხსიერება. მეხსიერება სულიერების სფეროა და არა უბრალოდ ცნობების შესანახი ადგილი. ადამიანს არ შეუძლია შეინახოს იდეა მისი განცდის ან გააზრების გარეშე. ამავე დროს, საეჭვოა, რომ ადამიანი ყოველთვის აცნობიერებდეს იმას, რაც იცის. აქედან გამომდინარე, ადამიანს აქვს ისეთი ცოდნაც, რომელიც პოტენციურად ცოდნად უნდა ჩაითვალოს და რომელიც მოგონების აქტს საჭიროებს. ავგუსტინე იმ პირობებზეც საუბრობს, რომლებიც პოტენციური ცოდნის ცნობიერებაში აღდგენას უწყობს ხელს. ესენია: შთაბეჭდილების სიძლიერე, მისი გამეორება, მასალის მოწესრიგებულობა, მასზე ყურადღების ან ნებისყოფის მიმართვა, გონების გავარჯიშება და სხვა. გარდა ამისა, ავგუსტინეს თქმით, მოგონება ბუნებრივად არის დაკავშირებული ერთი იდეის მიერ მეორის აღდგენის ხელოვნებასთან. აქ იგი ნათლად აყალიბებს ადგილის, დროისა და მსგავსების ასოციაციის პრინციპებს. შეიძლება ითქვას, რომ გრძნობადი მეხსიერების დახასიათებაში ავგუსტინე ძირითადად აგრძელებს არისტოტელეს ხაზს, იყენებს საკუთარ ემპირიულ დაკვირვებას და დღევანდელი გადასახედიდანაც კი საკმაოდ დამაჯერებელია.

რაც შეეხება ე.წ. ინტელექტუალურ მეხსიერებას, მისი ანალიზი მთლიანად მეტაფიზიკური ფსიქოლოგიის ფარგლებში მიმდინარეობს. აქ ავგუსტინე არსებითად პლატონის ხაზს მიჰყვება და ცდილობს მის შეთანხმებას ქრისტიანულ დოქტრინასთან. პლატონის შემეცნების, როგორც გახსენების თეორია, დავიწყების თეორიაცაა. ავგუსტინეს აზრით, მთელი ცოდნა ღვთაებრივი და მარადიულია. ინდივიდუალურ ცნობიერებაში ამ ცოდნის ამოტანა ჩვენი სულიერი ბუნებისა და ღმერთის არსების ერთიანობას ეფუძნება. სულს აქვს თეითცნობიერება და ამიტომ მან ყოველთვის იცის, რომ ის უმაღლესი აზრის მატარებელია, მაგრამ ყოველთვის არ აცნობიერებს საკუთრივ ამ აზრს, ანუ ჭეშმარიტ ცოდნას. ავგუსტინეს თქმით, სული ჰგავს ამოუწურავ მაღაროს, საიდანაც მას თეითონვე ამოაქვს მზის სინათლეზე აზრის ძვირფასი ქვები. ჭეშმარიტების გამოგონება კი არ ხდება, არამედ მისი აღმოჩენა საკუთარ გონებაში. აქედან გამომდინარე, სწავლა გახსენებაა და ვინაიდან მთელი ცოდნა შინაგანია, სწავლის პროცესიც ამ შინაგანის გამომზეურებაა. მასწავლებელი იმაზე მეტს ვერ მოგცემს, რაც შენში იყო. ის მხოლოდ საუკეთესო პირობებს ქმნის სულის სათანადო აქტივობისთვის, რასაც ცოდნის ექსპლიკაცია მოჰყვება. ცოდნა და სწავლა იწყება ღმერთით (წინასწარჩანერგილი ცოდნა) და თავდება ღმერთით (მისი შემეცნება). ცოდნის ზრდა, ფაქტობრივად, არის ღმერთის შესახებ ცოდნის ზრდა.

ადვილი დასანახია, რომ ამ კონცეფციაში ფსიქოლოგიისთვის ძალიან მნიშვნელოვანი თემებია გაერთიანებული (შემეცნების პროცესი, მეხსიერება, სწავლა და სწავლება, თანდაყოლილი და შეძენილი). ამავე დროს, ფსიქოლოგია და მეტაფიზიკა ერთმანეთშია შერეული, ხოლო მეტაფიზიკას მეცნიერული კრიტერიუმებით ვერ შეაფასებ. მართლაც, სულის როგორი გაგე-

ბაა უკეთესი – როგორც ზოგადი ცნებების (იდეების) თანაზიარი მოელენისა (პლატონი) თუ ღმერთის მიერ არარადან შექმნილი ფაქტისა (ავგუსტინე)? ეს რწმენისა და ფილოსოფიის განსჯის საგანია, რადგან მეცნიერება ვერც ღმერთის განზრახვაში შეაღწევს და ვერც იდეათა სამყაროში. თუმცა ამ უკანასკნელის შესახებ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ის არსებობს ინდივიდუალური ცნობიერების მიღმა, მისგან დამოუკიდებლად და ყოველი ადამიანი ცოდნის მოპოვებისა და ჭეშმარიტების წედმომისას ეზიარება მას. ამ შემთხვევაში იდეათა სამყარო გაგებულია, როგორც სულიერი კულტურის სინამდვილე, რომელიც დაფიქსირებულია მის გრძნობად მატარებლებში, პირველ ყოვლისა, ენაში, მეცნიერულ და ლიტერატურულ ტექსტებში. ეს არის ობიექტური ღირებულებებისა და იდეალების, აბსტრაქტული ცნებების სამყარო, სადაც მოცემულია საგნებისა და მოვლენების არსებითი ნიშნები, მათი არსი. პლატონის იდეათა სამყარო კოსმიურ-მეტაფიზიკური სფეროდან მიწაზე ჩამოტანის შემდეგ სავსებით ემპირიულ მნიშვნელობას შეიძენს. ამგვარი ინტერპრეტაცია არსებით შეცდომას არ უნდა შეიცავდეს. ისიც ცხადია, რომ ავგუსტინეს ზეციური მეტაფიზიკის ასეთი "დამიწება" ძნელად წარმოსადგენია. მიუხედავად ამისა, შეეცადოთ გავაანალიზოთ წარმოდგენილი შეხედულება ფსიქოლოგიის ისტორიისა და, შეძლებისდაგვარად, თანამედროვე ფსიქოლოგიის თვალსაზრისით.

ეს კონცეფცია, არსებითად არის პლატონისა და ნეოპლატონიზმის გაგრძელება და ღმერთის იდეასთან დაახლოება. პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ, არისტოტელესაგან განსხვავებით, პლატონსა და ავგუსტინეს მეხსიერების ფუნქცია დავიწყება-აღდგენის განზომილებაში აქვთ გააზრებული. ამას მეხსიერების ცნების რეალური ემპირიული შინაარსის დავიწროებამდე მივყავართ, რადგან მის გარეთ რჩება დამახსოვრების პროცესი, რომელიც, შემონახვისა და აღდგენა-დავიწყების პროცესებთან ერთად, მეხსიერების ფუნქციის ძირითადი მახასიათებელია. არისტოტელესთან დამახსოვრების პროცესი გათვალისწინებულია. იმდენად, რამდენადაც მისთვის მეხსიერება ახალი ინფორმაციის მიღებით იწყება, ის გრძნობადი აღქმის გაგრძელებაა, რომელიც შემოინახება და, საჭიროების შემთხვევაში, აღდგება. პლატონი დამახსოვრებაზე მხოლოდ მისტიკური აქტის მნიშვნელობით ლაპარაკობს, როდესაც სული, იდეების სამყაროში ყოფნისას, უშუალოდ ჭვრეტს ამ იდეებს და ახალი ცოდნით "ივსება". ავგუსტინესთან კი დამახსოვრებას მთლიანად ეკარგება სულის განსაკუთრებული მნემური აქტიეობის სახე და ღმერთის მიერ ინდივიდუალურ სულში ცოდნის ჩადების აქტად წარმოგვიდგება. ამ მხრივ ეს ერთგვარი უკუსვლაა არისტოტელეს პოზიციიდან.

შენახვასთან დაკავშირებით იგულისხმება, რომ მეხსიერებაში (ამ შემთხვევაში იგივეა, რაც სულში), მთელი ცოდნა თავიდანვე რაღაც ფორმით არის შემონახული და ადამიანის განეითარება (სწავლა) მხოლოდ მისი ცნობიერებაში ამოტანაა. მოკლედ, ცოდნა თანდაყოლილია. ახლანდელი მეცნიერების თვალსაზრისით ასეთ გაგებას არც თეორიული და არც ემპირიული გამართლება არა აქვს. თანდაყოლილობის პრობლემა ფსიქოლოგიამ მემკვიდრეობით მიიღო ფილოსოფიისაგან და მის მუდმივ პრობლემებს

მიეკუთვნება. ასეთი პრობლემები ფსიქოლოგიას ახლავს მთელი მისი არსებობის გზაზე. მოგეიანებით დაერწმუნდებით, რომ ე.წ. თანდაყოლილი იდეების პრობლემა რაციონალური და ემპირიული ფსიქოლოგიის უმწვავესი დაპირისპირების საგანი გახდა და, გარკვეული აზრით, ახალი დროის ფსიქოლოგიაში ამ ორი მიმდინარეობის წყალგამყოფადაც იქცა. ამ პრობლემის ფესვები ანტიკურ ფილოსოფიაში და, შესაბამისად, ფსიქოლოგიაშია და უკავშირდება ჭეშმარიტი ცოდნის არსებობის დასაბუთებას. ემპირიულ სინამდვილეში მხოლოდ კონკრეტული საგნები და მოვლენებია. ამავე დროს, მათი გრძნობადი აღქმაც და მასზე დამყარებული აზროვნებაც შეცდომების წყაროა. მიუხედავად ამისა, ჩვენ გვაქვს ზოგადი ცნებები და მათში დაუჯეჯილი ჭეშმარიტი ცოდნა. ამის ასახსნელად მოაზროვნეთა ნაწილი ჭეშმარიტი ცოდნის თანდაყოლილობის პოსტულატს იღებდა. ამ პრობლემის ფილოსოფიური ასპექტების, განსილეა ჩვენი მიზანი არ არის; უბრალოდ მიეუთითებთ, რომ ასეთია პლატონ-აუგუსტინეს ხაზი.

თანამედროვე მეცნიერების მონაცემებით, არ არსებობს სერიოზული საუძველი იმის მტკიცებისთვის, რომ ადამიანში დაბადებიდანვე რაიმე სახით არის მოცემული ცოდნა ფაქტებისა ან კანონზომიერებათა შესახებ. ის, რომ 2×2=4, ან რომ დედამიწა მრგვალია, არ არის თაავიდანვე ჩაწერილი არც ნერვულ და არც უსიქიკურ სისტემაში. ადამიანი ამ ცოდნის მატარებელ არსებად არ იბადება. ეს ცოდნა ცხოერების პროცესში, სწავლით შეიძინება და ფიქსირდება. ეს ურთულესი პროცესი მრავალი მეცნიერების, მათ შორის ფსიქოლოგიის შესწავლის საგანია და მასთან დაკავშირებით უკვე დიდი მასალაცაა დაგროვილი. მართალია, გასარკვევი კიდევ ბევრია, მაგრამ ერთი რამ ცხადია – სწავლა ახლის შეძენაა და არა ძველის აღდგენა. ეს ითქმის ყოველგვარ ცოდნაზე. ჩვენ თავიდან არ ვიცით, რომ შაქარი ტკბილია, ხოლო წიწაკა – მწარე, ან ის, რომ ინცესტი დაუშვებელია. ყოველივე ამას შემდგომში, საკუთარი გამოცდილებით ან სხვების დახმარებით ვიგებთ. მაგრამ ჩამოთვლილ მოვლენებთან მიმართებაში ზოგი რამ თანდაყოლილიც არის. ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი დარგის, ევოლუციური და გენეტიკური ფსიქოლოგიის მონაცემებით ადამიანები თავიდანვე ანიჭებენ მეტ-ნაკლებ უპირატესობას სხვადასხვა გემოს (მაგ., მოსწონთ ტკბილი და არ მოსწონთ მწარე); მათ უფრო ადვილად უმუშავდებათ შიშის რეაქცია სტიმულთა გარკვეული კლასის (მაგ., გველების) მიმართ. იგივე ითქმის ინცესტუალურ ტაბუზეც. ამ მორალურ ნორმასაც, როგორც ჩანს, თავისი მემკვიდრეობითი ძირები აქვს – ინცესტის მიუღებლობა ჩვენს ბიო-ფსიქიკურ კონსტიტუციაშია მოცემული. არსებობს სხვა ასეთივე თანდაყოლილი მიდრეკილებაც. აქ შეიძლება ჯერ კიდევ ბევრი რამ იყოს გამოსარკვევი და საკამათო, მაგრამ თითქმის აღარავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ არაერთი ფსიქიკური მიდრეკილება და უნარ-თვისება დიდწილად თანდაყოლილია. ასეთია ადამიანის ტემპერამენტი, ინტელექტი, ზოგიერთი პიროვნული თვისებაც კი. მაგრამ ეს არ არის ცოდნა მოვლენების, მათი კავშირების, ნიშნების, იდეების ან ღირებულებების შესახებ, რომელიც იმპლიციტურად არსებობს ფსიქიკაში, შენახულია მის რაიმე სტრუქტურაში, კერძოდ მეხსიერებაში და

ცხოვრების მსვლელობაში თავისით თუ სხვების დახმარებით გამოიმგეურ-დება, ექსპლიციტური ხდება. ენის შეთვისების უნარი (ე.წ. ენობრივი ნი-ჭიერება) ადამიანის მემკვიდრეობითი და ყველა სხვა ცოცხალი არსებისა-გან გამორჩეული თვისებაა. ის, პირველ რიგში, დედაენის ძალზე ადრეულ და ძალზე ადვილ ათვისებაში ელინდება, მაგრამ ეს, ცხადია, არ ნიშნავს, რომ ენა, როგორც ნიშანთა კონკრეტული სისტემა გვაქვს თანდაყოლილი. ასევე, ადამიანს თანდაყოლილი აქვს ზოგად ცნებათა გააზრების უნარი და, უფრო მეტიც, განზოგადების ძირითადი მიმართულებებისკენ მიდრეკილება, მაგრამ არა – თვით ზოგადი ცნებები.

თუ დავუბრუნდებით ავგუსტინეს მიერ მეხსიერების დახასიათებას, შეი-ძლება ითქვას, რომ მისი ნაწილი, მაგალითად, ე.წ. გრძნობადი მეხსიერების აღწერა, უალტებისა და მეცნიერული დაკვირვების საფუძველზეა შესრულე-ბული. რაც შეეხება თანდაყოლილ ცოდნასთან დაკავშირებულ ე.წ. ინტელექ-ტუალურ მეხსიერებას, აქ მისი მსჯელობა გონებაჭვრეტით ხასიათს იღებს და მეცნიერებისთვის მიუწვდომელი ხდება.

დაახლოებით ასეთივე სურათი გვაქვს ნებისყოფის შემთხვევაშიც. მეხ-სიერების მსგავსად, ამ ფსიქიკურ ფუნქციაშიც ორი სახეობა გამოიყოფა. პირველი, ნებისყოფის დაბალი ფორმა მიმართულია ყოფით მოქმედებაზე ემპირიულ სამყაროში, მართავს ამგვარ მოქმედებაში ჩართულ ფსიქიკურ და სხეულებრივ პროცესებს. უფრო მეტიც, იგი სხეულებრივ პროცესებსაც ფსიქიკურად აქცევს. მაგალითად, გრძნობის ორგანოებში მოცემული საგ-ნების სხეულებრივი ანაბეჭდებიდან ქმნის მათ ფსიქიკურ ხატებს, ხოლო ამ ხატებიდან – გრძნობადი მეხსიერების მოგონებებს. ნებისყოფის ამ სახეობამ შეიძლება მორალურად მანკიერი საქციელი გამოიწვიოს. ეს ცოდვილი ადა-მიანის ნებაა, რომელიც მის მისწრაფებებში ელინდება. "ჩემში თითქოს ორი ნება იბრძვის, ამბობდა ავგუსტინე, და მათ დაპირისპირებაში იგლიჯება სული ჩემი". აქედან ჩანს, რომ ნებისყოფის დაბალი ფორმა არც არის ნების-ყოფა, როგორც ასეთი, ის უფრო სურვილი ან მოთხოვნილებაა. მას ებრძვის ნებისყოფის ის ფორმა, რომელიც ამაღლებული და ზნეობრივი ქცევისკენ წარმართავს ადამიანს. ამ უკანსაკნელს ავგუსტინე სულიერ ნებისყოფას უწოდებს და ისე წარმოგვიდგენს, რომ მას, უალტობრივად, დაკარგული აქვს რეალური ფსიქიკური პროცესის ნიშნები. სულიერი ნებისყოფა ღვთაებრივი ნების განმახორციელებელი მისტიკური ძალის სახეს იღებს და მისი წვდომა მხოლოდ გონებაჭვრეტით შეიძლება.

სხვათა შორის, სწორედ ასეთი ვოლუნტარისტულ-მისტიკური შინაარსის გამო, XX საუკუნის ფსიქოლოგიამ ერთხანს თითქმის ამოაგდო თავისი კატე-გორიებიდან ნებისყოფა. ახლა იგი კვლავ ბრუნდება მეცნიერებაში, მაგრამ სავსებით ემპირიული შინაარსით – თვითრეგულაციის ისეთი პროცესების ან უნარების სახით, რომლებიც ექვემდებარებიან ფორმირებას, კორეგირე-ბას, გაზომვას და მოდელირებას. სიტყვამ მოიტანა და აღვნიშნავთ, რომ იმ მოძღვრების სათავესთან, რომელსაც შემდგომში *ვოლუნტარიზმი* ეწოდა, სწორედ ნეტარი ავგუსტინე დგას. ეს ფილოსოფიური მიმართულება მთელი ყოფიერების და სულიერი ცხოვრების საწყისად ნებისყოფას აცხადებს. მარ-

თლაც, ავგუსტინესთან სინამდვილის შემოქმედი პირველსაწყისი ღვთაებრივი ნებაა. ფსიქოლოგიური კუთხით კი ნებისყოფა ყველა სულიერ ფუნქციაზე მაღლა დგას. ავტორი იმასაც ამბობს, რომ ადამიანი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც მხოლოდ ნებისყოფა. ყოველ შემთხვევაში, ავგუსტინეს მახედვით, ფსიქიკურ პროცესებს განაგებს არა გონება, როგორც ამას მისი წინამორბედების უმრავლესობა თვლიდა, არამედ ნებისყოფა. ნებისყოფა მთელ სულს გამსჭვალავს, იგი მთავარი სულიერი ძალაა. თუ ამას ისე გავიგებთ, რომ მოტივაციურ-ვოლიტური სფერო მთელ ფსიქიკას მოიცავს და მის გარეშე არავითარი სულიერი ცხოვრება არ არსებობს, ავგუსტინეს ეოლუნტარიზმი საკვანძოთ გამართლებული იქნება. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ნათელია: ისევე, როგორც ყველა ფუნქციას, უმაღლეს კოგნიტურ ფუნქციასაც, აზროვნებასაც წარმმართველი ძალა ესაჭიროება. ადამიანი ჯერ გადაწყვეტილებას იღებს და შემდეგ იწყებს შემეცნებას. მაგრამ ეოლუნტარიზმი, ნების უზენაესობასთან ერთად, ნებისყოფის თავისუფლებას, მის შეუზღუდავობასაც გულისხმობს.

ამ პუნქტში იჩენს თავს ავგუსტინეს ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისის ძირეული წინააღმდეგობა. იგი ნებისყოფის თავისუფლებას ქადაგებს და, ამავე დროს, მას არსებითად ზღუდავს. ავგუსტინეს აზრით, ადამიანი თავისუფალია იმდენად, რამდენადაც ღვთაებრივ ნებას ემორჩილება. იგი არ არის ბოლომდე ავტონომიური. ასეთი იყო პირველი ადამიანი — ადამი. თავისი დაცემის შემდეგ ადამიანთა მოდგმა ცოდვისა და ბოროტებისკენ მიმავალ გზაზე გახდა თავისუფალი, ხოლო კეთილი საქმე მხოლოდ ღმერთის უშუალო ჩარევით სრულდება. თავისუფლება მხოლოდ უსიტყვო და უყოყმანო რწმენაშია. ამ თვალსაზრისში თავისუფლება იმაზე ნაკლებია, ვიდრე სტოელებთან, ვისთანაც თავისუფლება აუცილებლობისადმი დამორჩილებაა.

ადამიანის შეუზღუდავ თავისუფლებას ქადაგებდა პელაგიუსი, რომელსაც მკაცრად დაუპირისპირდა ავგუსტინე. პელაგიუსი თვლიდა, რომ ადამიანი შთამომავლობითი ცოდვის მატარებელი არ არის და არც პასუხს აგებს ადამისა და ევას ცოდვაზე. ამიტომ მას თავად შეუძლია სიკეთის კეთება საკვანძოთ თავისუფალი არჩევანის საფუძველზე. ავგუსტინეს მიაჩნდა, რომ ადამიანთა მოდგმის ყველა უბედურების წყარო პირველი ცოდვაა, რომელშიც ცალსახად ევაა დამნაშავე. ამიტომ იგი ზიზღით უყურებდა სქესობრივ ცხოვრებას და ყოველმხრივ ადანაშაულებდა ქალებს. ალბათ კომენტარს არ საჭიროებს ის, თუ რამდენად მართებული ან ბუნებრივია ეს პოზიცია ღღევანდელი შეფასებით, მაგრამ იგი საუკუნეების მანძილზე ბატონობდა და არცთუ დიდი ხანია, რაც შეიცვალა.

ნებისყოფის თავისუფლების შეზღუდულობის პოსტულატი ჩვენს დროშიც საკვანძოთ მართებულად გამოიყურება. საპირისპირო დებულება ნების აბსოლუტური თავისუფლების შესახებ უფრო დამაჯერებელია, თუნდაც იმიტომ, რომ ყოველი "თავისუფალი" არჩევანი ან გადაწყვეტილება აუცილებლად რაიმე საფუძველს ემყარება, რომელიც მას განსაზღვრავს. მაგრამ სრულიად გაუგებარი და მიუღებელია მოსაზრება, თითქოს ნება მხოლოდ

"ცუდი" ქცევის მიმართულებითაა გასსნილი და თავისუფალი, ხოლო სიკეთისკენ მიმავალ გზაზე მას ღმერთის ნებართვა სჭირდება. ეს ის შემთხვევაა, როცა ემპირიული ფსიქოლოგიის მოსაცემები მსხვერპლად ეწირება რელიგიურ დოგმატს.

საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ შინაგან სამყაროში ჩაღრმავება ღმერთისკენ აღმასვლისთვის ქრისტიანული მრწამსის უუძემდებლური ნორმაა. ავგუსტინე შეეცადა არა მხოლოდ თეორიულად, არამედ პრაქტიკულად ეჩვენებინა სულის ასეთი მოძრაობის სიკეთე. ავგუსტინე კარგად ხედავს ფსიქიკური სამყაროს სიღრმესა და მრავალფეროვნებას და სხვებსაც მოუწოდებს, შემობრუნდნენ საკუთარი სულისკენ: "ადამიანები სამოგზაუროდ მიეშურებიან, რათა მთის მწვერვალებით და ზღვის ზვირთებით დატკბნენ. მათ ხიბლავს ფართო, მჩქეფარე მდინარეები, ოკეანის გაშლილი სივრცეები და ვარსკვლავთა გზები, თავის თავს კი ივიწყებენ და არ აკვირვებთ საკუთარი შინაგანი ცხოვრება". ავგუსტინეს *თვითანალიზი* პლოტინის თვითცნობიერების იდეის რეალური ფსიქოლოგიური ხორცშესხმაა. ადამიანის შინაგან სამყაროზე ასეთმა ინტელექტუალურმა კონცენტრაციამ (რა საბოლოო მიზნებსაც არ უნდა ისახავდეს იგი), არ შეიძლება უკვე თავისთავად არ შეგვძინოს ცოდნა ფსიქიკური მოვლენების შესახებ და, ამდენად, ხელი არ შეუწყოს ფსიქოლოგიის წინსვლას. აქედან გამომდინარე, ავგუსტინე, პლატონთან და არისტოტელესთან ერთად, ფსიქოლოგიის ისტორიის საწყისი ეტაპის ყველაზე გამოჩენილ ფიგურად უნდა მივიჩნიოთ. მისმა მოძღვრებამ მნიშვნელოვანი გაკვლენა მოახდინა შუა საუკუნეების თეოლოგიურ, ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ აზროვნებაზე.

*ლიტერატურა*


1. ავგუსტინე. აღსარებანი. თბილისი, 1996.
2. არისტოტელე. სულის შესახებ. თბილისი, 2001.
3. ბოჭორიშვილი ა. ფსიქოლოგიის ისტორია (მასალები). თხზულებები. ტ.I. გამოკვლევები ფსიქოლოგიაში. თბილისი, 1991.
4. ბრეგვაძე ბ. თხზულებები და თარგმანები: ორ ტომად. თბილისი, 2006.
5. მარკუს ავრელიუსი. ფიქრები. 1972.
6. თევზაძე გ. ანტიკური ფილოსოფია. თბილისი, 1995.
7. ლუკრეციუსი. საგანთა ბუნებისათვის. ქუთაისი, 1958.
8. ჭელიძე მ. ელინიზმის ფილოსოფია. თბილისი, 1992.
9. წერეთელი ს. ანტიკური ფილოსოფიის ისტორია. თბილისი, 1968.
10. Александер Ф., Селесник Ш. Человек и его душа: познание и врачевание от древности до наших дней. М., 1995.
11. Аристотель. Сочинения: В 4т. М., 1975.
12. Гусейнов А.А. История этических учений. М., 2003.
13. Дессуар М. Очерк истории психологии. СПб., 2003.
14. Ждан А.Н. История психологии. М.. 1990.
15. Марцинковская Т.Д. История психологии. М., 2001.

16. Палмер Д., Палмер Л. Эволюционная психология. Секреты поведения Homo Sapiens. СПб., 2003.
17. Платон. Сочинения: В 4-х т. М., 1990.
18. Плотин. Эннеады. В 2т. Киев, 1995-6.
19. Рассел Б. История западной философии. Ростов н/Д., 1998.
20. Реале Д., Антисери Д. Западная философия от истоков до наших дней: Античность. т.1. СПб., 1994.
21. Соколова Е.Е. Тринадцать диалогов о психологии. М., 1997.
22. Ярошевский М.Г. История психологии. 1996.
23. Brett G.S. History of psychology. (Ed. and abridged by R.S.Peters). London: Unvin LTD, 1953.
24. Klein D.B. A history of scientific psychology. New York – London, 1970.
25. Leahey T.H. A history of psychology: main currents in psychologycal thought. New Jersey: Prentice Hall, 1992.
26. Robinson D.N. An intellectual history of psychology. The universisty of wisconsin press, 1986.

# თავი 2. შუა საუკუნეების ფსიქოლოგია

შუა საუკუნეებში (V-XIIIს.) ფსიქოლოგიის საერთო განვითარება შეფერხდა, ზოგჯერ უკუსვლითაც წავიდა. ცხადია, ფსიქოლოგიური აზრის სტაგნაცია გამოხატავდა იმდროინდელი ფილოსოფიისა და მეცნიერების განვითარების ზოგად ტენდენციას. ანტიკური ცივილიზაცია რომის დაცემასთან ერთად (476წ.) საბოლოოდ დაშალა. მანამდე მოპოვებული ცოდნა თანდათან იკარგებოდა. ერცელდებოდა და მკვიდრდებოდა ქრისტიანობა, რომელიც, ცდილობდა რა, დაემტკიცებინა თავისი ძალა და უნიკალობა, ებრძოლა ყველა სხვა პოზიციის გამოვლინებას და, პირველ ყოვლისა, წარმართიულ მითოლოგიურ და ფილოსოფიურ შეხედულებებს. ქრისტიანული თეოლოგიური აზრის განვითარების პირველ ეტაპზე ეკლესიის მამები (თუნდაც იგივე ავგუსტინე) ცდილობდნენ ძირითადი ძველბერძნული ფილოსოფიური სკოლების ნააზრევის ასიმილაციას, მაგრამ შემდგომში ერთხანს გამეფდა ყოველივე არაქრისტიანულისადმი სრული შეუწყნარებლობა. ანტიკური მეცნიერებისადმი მომთმენი დამოკიდებულება საბოლოოდ დასრულდა, როცა 529 წელს იმპერატორმა ავგუსტინემ გააუქმა ათენის ყველა ფილოსოფიური სკოლა და წერტილი დაუსვა მათი განვითარების ცხრასაუკუნოვან ისტორიას.

შუა საუკუნეების დასაწყისი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მატერიალური და სულიერი კულტურისა და მოსახლეობის ათხრებისა და განადგურების ხანაა. სხვადასხვა ხალხების (გოთები, ვანდალები, ვიკინგები, დანები, ანგლები, საქსები და სხვ.) განუწყვეტელმა შემოსევებმა, საგარელმა შიმშილობამ, ეპიდემიებმა და სრულმა განუკითხაობამ გააპარტახა ყველაფერი. მოისპო რომის ცივილიზაციის ნაშთები, ცივილიზაციისა, რომლის დროსაც სუფევდა წესრიგი და დოვლათი, მოსახლეობის მეტ-ნაკლებად შეძლებულმა ნაწილმა იცოდა წერა-კითხვა, არსებობდა საერო განათლების ხელმისაწვდომი კერები, ხოლო მეცნიერება და მეცნიერები დიდ პატივში იყვნენ. დამდგარ შავბნელ ხანაში ერთადერთი საზოგადოებრივი ინსტიტუტი, რომელიც უზრუნველყოფდა რაღაც სტაბილურობას და ასულდგმულებდა ცივილიზაციას, ეკლესია იყო. მონასტრები აძლევდნენ თავშესაფარს დევნილ, ულუკმაპუროდ დარჩენილ და ავადმყოფ ადამიანებს. იქ არსებობდა სულიერება, ინახებოდა წიგნები, ისწავლებოდა წერა-კითხვა. საზოგადოებაში, რომლის უმაღლეს წრეებშიც უვიცობამ დაისადგურა, ერთადერთ მეტ-ნაკლებად განათლებულ ფენას საეკლესიო პირები წარმოადგენდნენ. ამავე დროს, ეკლესია კატეგორიულად ვერ ეგუებოდა რაიმე კონკურენციას, განსაკუთრებით მეცნიერების მხრიდან. ქრისტიანული რელიგია თითქოს ამძაფრებდა სულიერი სამყაროსადმი ინტერესს, მაგრამ არა კვლევა-ძიების, არამედ მარტოოდენ რწმენის მიმართულებით. ეკლესია მთლიანად დაეპატრონა ადამიანების სულს და ფსიქოლოგიისთვის ადგილი არ დატოვა. იმავდროულად გაიფურჩქნა მისტიკა და კაბალისტიკა, ალქიმია და ასტროლოგია.

VI-X საუკუნეები "ბნელ საუკუნეებად" მიიჩნევა. ამ პერიოდში დასავ-

ლეთ ევროპის სულიერ კულტურას თითქმის არაფერი შემატებია, მაშინ როცა ბიზანტიასა და მუსლიმანურ სამყაროში საქმიანი და შემოქმედებითი ცხოვრება წინ მიდიოდა. შუა საუკუნეებში ფსიქოლოგიის წინსვლა ყველაზე მეტად სწორედ არაბულ ფილოსოფიასა და მეცნიერებას უკავშირდება. რაც შეეხება დასავლეთ ევროპას, ბნელი საუკუნეების შემდეგ, თანდათან ინტელექტუალური კლიმატის გარკვეული გაუმჯობესება დაიწყო. გაიხსნა უნივერსიტეტები, ყველაზე ადრე – სოლერნოში, სადაც ინტენსიურად მიმდინარეობდა მედიცინის სწავლება და კვლევა, 1088 წელს – ბოლონიაში. საუკუნის მერე – პარიზში, კემბრიჯში, ოქსფორდში, შემდეგ კი ევროპის სხვა ქალაქებში. ამან უდავოდ შეუწყო ხელი ცოდნის შენახვას, სისტემატიზაციას და, რიგ შემთხვევაში, მის გაღრმავებასაც, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში შუა საუკუნეების სასწავლო და სასულიერო ცენტრებში დოგმატური სულისკვეთება სუფევდა. სწორედ ამ დროს წარმოიშვა სქოლასტიკა (ე.წ. "სასკოლო ფილოსოფია"), რომელიც ცდილობდა ქრისტიანული რწმენის რაციონალურ დასაბუთებას, ანტიკური სანის ავტორების ფილოსოფიური ტექსტების კომენტირებისა და მათი სარწმუნოებრივი დოგმებისადმი მისადაგების გზით. თავდაპირველად სქოლასტიკა დადებით როლს თამაშობდა, რადგან ხელს უწყობდა დაკარგული ცოდნის აღდგენას, ორგანიზაციას და შენახვას, მაგრამ საკმაოდ მალე თავი იჩინა მისმა უარყოფითმა მხარეებმა: ჯერ ერთი, ის იყო არაპროდუქტიული – იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ ხდებოდა ახალი ცოდნის გენერაცია და პირიქით, იზღუდებოდა ნოვატორული იდეების აღმოცენება-გაერცელება; მეორე, ის იყო დეზორიენტაციის შემომტანი – კათოლიციზმის პოზიციებიდან ძველი ავტორების (პირველ რიგში, პლატონისა და არისტოტელეს) ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის შესატყვისი ინტერპრეტაცია ხშირად მათი ნააზრევის რეალური შინაარსის გაღარიბებასა და დამახინჯებას იწვევდა.

## 2.1. არაბული ფსიქოლოგია

მეცნიერების ისტორიკოსების შეფასებით, კურიოზულ ისტორიულ ფაქტად შეიძლება მიეიჩნიოთ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ევროპაში მეცნიერების დაბრუნების თვალსაზრისით ითამაშეს არაბებმა – მათ შეინახეს და საფუძვლიანად დაამუშავეს ანტიკურ ხანაში მოპოვებული ცოდნა. მის შესახებ ინტელექტუალურ ლეთარგიაში მყოფ კათოლიკურ ევროპას წარმოდგენაც არ ჰქონდა. ესპანეთიდან არაბების განდევნის მერე ევროპელებმა აღმოაჩინეს უამრავი ანტიკური ტექსტი არაბულ ენაზე და მათი მაღალ დონეზე შესრულებული კომენტარები. ყოველივე ეს სასწრაფოდ ითარგმნა ლათინურად, რაშიც უდიდესი წელილი შეიტანეს მავრიტანიაში მცხოვრებმა ორივე ენის მცოდნე ებრაელმა მწიგნობრებმა. თავად არაბებმა თავდაპირველად ათენის ფილოსოფიური სკოლების განადგურების მერე, მცირე აზიაში გაქცეული ნეოპლატონიკოსებისაგან, შემდეგ კი სხვა გზებით მოიპოვეს ანტიკური ფილოსოფიური ხელნაწერების დიდი ნაწილი, თარგ-

მნეს და გაიაზრეს იგი, რითაც საფუძველი დაუდეს არაბულ ფილოსოფიას და ფსიქოლოგიას.

ინდოეთიდან ესპანეთამდე გადაჭიმულ ხალიფატში, საკმაოდ სტაბილურ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში, VIII-XII საუკუნეებში კულტურული და ინტელექტუალური ცხოვრება ჩქეფდა. ბაღდადში, ბუხარაში, დამასკოში, კორდოვაში, სევილიასა და ქაიროში იყო უნივერსიტეტები, სადაც არ იკრძალებოდა ისლამისაგან განსხვავებულ რელიგიურ-ფილოსოფიურ მოძღვრებათა შესწავლა. რომაელების მსგავსად, ფილოსოფიის სფეროში არაბები ძველი ბერძენი ავტორების, განსაკუთრებით პლატონისა და არისტოტელეს თხზულებების კომპილაციითა და კომენტირებით იყენენ დაკავებული. სამაგიეროდ, მათ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს კონკრეტული მეცნიერების სფეროში, კერძოდ, ფიზიკა-მათემატიკაში, ქიმიაში, ასტრონომიაში, გეოგრაფიასა და მედიცინაში. ეს ძალიან წაადგა ფსიქოლოგიას, რადგან სულის შესწავლისას არაბულენოვანი მეცნიერები არ იზღუდებოდნენ თეორიულ-ფილოსოფიური მსჯელობებით, არამედ აქტიურად იყენებდნენ ბუნებისმეტყველების, პირველ რიგში, მედიცინის მონაცემებს.

ცნობილი არაბი მეცნიერი, ნატურალისტი და მათემატიკოსი **იბნ-ალ-ჰაისამი (ალღაზენა)** (965-1039) ფსიქოლოგიის ისტორიაში შევიდა, როგორც აღქმის ფსიქოფიზიოლოგიის მკვლევარი. მისი აღმოჩენები უმთავრესად მხედველობითი სისტემის ფუნქციონირებას უკავშირდება, რის შესწავლაშიც მან რეფლექსური ცვლილებები მოახდინა. ისტორიულად მხედველობის ფუნქციის ახსნა ე.წ. "გამოდინების" თეორიის შესაბამისად ხდებოდა: საგნებიდან გამოედინება მათი უმცირესი ასლები (მაგ., ეიდოლები), რომლებიც აღიბეჭდებიან თვალზე, მაგრამ ჩვენი მხედველობა უშვებს უამრავ შეცდომას, რომელთა ახსნა შეუძლებელია, მარტო საგნის ასლები რომ ხედებოდნენ თვალში. ამიტომ დაშვებული იყო მეორე სახის "გამოდინება", თვალიდან საგნისკენ მიმდინარე რაღაც ნივთიერი სუბსტრატის (მაგ., პნევმის) სახით. მთელი ეს ახსნითი კონსტრუქცია ოპტიკის კანონებისა და თვალის ფიზიოლოგიის უცოდინარობის მაჩვენებელი იყო. ალღაზენამ პირველმა სცადა ეჩვენებინა, თუ როგორ იქმნება თვალში გარემდებარე საგნის ხატი ოპტიკის კანონების შესაბამისად. ამ პირველად და უშუალო ფიზიკურ ეფექტებს ემატება ფსიქიკური აქტები ანუ ერთგვარი "გონების მუშაობა", რომელიც არაცნობიერად მიმდინარეობს. ამით ალღაზენამ, ფაქტობრივად, წინასწარ განჭვრიტა ჰელმჰოლცის "არაცნობიერი დასკვნის თეორია" (იხ. 4.1.). საგნების მოყვანილობის, სიდიდის, მოცულობისა და ა.შ. აღქმა ფიზიკური და ფსიქიკური პროცესების ურთიერთქმედების შედეგია.

ალღაზენამ ექსპერიმენტულად შეისწავლა ისეთი მოვლენები, როგორიცაა ბინოკულარული მხედველობა, ფერთა შერევა და სხვა. მან აგრეთვე აჩვენა, რომ ობიექტების სრულყოფილი აღქმისთვის აუცილებელია თვალის მოძრაობა. ამის წყალობით ავტომატურად ხორციელდება ფსიქიკური ოპერაციები, რომელთა შედეგად იკვეთება საგნების ადგილმდებარეობა, დაშორებულობა თუ ურთიერთმიმართება. მან გაარკვია, თუ რა მნიშვნელობა აქვს მხედველობითი აღქმის ხანგრძლივობას. ხანმოკლე აღქმისას თვალი

მხოლოდ საცნობი ობიექტების აღქმას ასწრებს. ამ ფაქტიდან გაკეთდა შორსმიმავალი დასკვნა იმის თაობაზე, რომ მხედველობითი სტიმულის ფორმირებაში, ოპტიკური გამღიზიანებლის უშუალო ეფექტის გარდა, მონაწილეობს გამოცდილება, რომელიც ნერვულ სისტემაში წინარე აღქმებიდან მიღებულ შთაბეჭდილებათა კვალის სახითაა მოცემული.

განსაკუთრებულია **იბნ-სინას (ავიცენას)** (980-1037) წვლილი ფსიქოლოგიაში. ავიცენა იყო უნივერსალური მეცნიერი, ფილოსოფოსი და ექიმი. მისი "წიგნი განკურნებისა" ოერამეტტომიანი ენციკლოპედიაა და ეხება ლოგიკას, ფიზიკას, მათემატიკასა და მეტაფიზიკას. სახელგანთქმული "მედიცინის კანონი" კი სამედიცინო ენციკლოპედიაა, რომელშიც ავტორის საკუთარ გამოცდილებასთან ერთად განზოგადებულია ბერძენი, რომაელი, ინდოელი, შუააზიელი ექიმების ცოდნა. XVI საუკუნემდე აზიასა და ევროპაში "კანონი" სამედიცინო ბიბლიის როლს თამაშობდა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ავიცენა ფსიქოსომატური მედიცინის სათავეებთან დგას. იგი უდიდეს ყურადღებას აქცევდა სხეულებრივი და ფსიქიკური პროცესების ურთიერთმიმართებას ავადმყოფობის აღმოცენებისა და მკურნალობის პროცესში. ცნობილია, მაგალითად, როგორ განკურნა უიმედოდ დაგანჯული პაციენტი: ავიცენას ეჭირა მის პულსზე ხელი და სთხოვდა, გაეხსენებინა სხვადასხვა პროვინციის, რაიონის, ქალაქის, ქუჩისა და ადამიანის სახელი. გარკვეულ სახელწოდებათა დასახელებისას პულსის შეცვლის მიხედვით, ავიცენამ გაარკვია, რომ პაციენტი უსაზღვროდ შეყვარებული იყო, გაარკვია ქალიშვილის სახელიცა და მისამართიც. პაციენტმა ყურად იღო დიდი სწავლულის რჩევა, მოიყვანა ცოლად ქალიშვილი და განიკურნა. ავიცენას მიერ გამოყენებულ ხერხს დღეს "ასოციაციურ ექსპერიმენტს" უწოდებენ. მასვე მიეწერება ცდა, რომელიც, ფაქტობრივად, ექსპერიმენტული ნევროზის კვლევას წარმოადგენს: ორი ცხვრიდან ერთი ნორმალურ პირობებში იკვებებოდა, მეორე კი – იქვე მიბმული მგლის თანდასწრებით. იგი საკმარისად ჭამდა, მაგრამ სწრაფად იკლებდა წონაში და მალე მოკვდა. დადასტურდა სტრესის მიერ ღრმა სომატური ცვლილებების გამოწვევის ფაქტი.

საზოგადოდ, ავიცენა სულის პრობლემატიკას ფილოსოფიის ჭრილშიც განიხილავდა. იგი ორგვარი ფსიქოლოგიის მომხრე იყო. იგი ყოველთვის მიჯნავდა სულის სამედიცინო ანუ საბუნებისმეტყველო და ფილოსოფიურ გაგებას და ხაგგასმით აღნიშნავდა ექიმის პოზიციის თავისებურებას. ამგვარად, ავიცენა შეგნებულად ავითარებს ორი სახის ფსიქოლოგიას – საბუნებისმეტყველოსა (სამედიცინოს) და თეორიულს (ფილოსოფიურს). ორგვარი ფსიქოლოგია, ემპირიული და მეტაფიზიკური ფსიქოლოგიის სახით, სხვა მეცნიერებთანაც იყო წარმოდგენილი, მაგრამ მათთან ეს გარემოება სათანადოდ ექსპლიცირებული არ იყო.

აქ მოკლედ შეეხებით ავიცენას თეორიულ შეხედულებას სულის სახეებისა და თვისებების შესახებ. იგი ძველი ბერძნული ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის, ძირითადად არისტოტელეს გავლენით არის ჩამოყალიბებული, თუმცა ბევრ საინტერესო ორიგინალურ ნიუანსსაც შეიცავს. ავიცენას თანახმად, არსებული სინამდვილე ან მატერიალურია, ანდა სულიერი ანუ სპირიტული. პირველს შეისწავლის ფიზიკა, მეორეს – მეტაფიზიკა. ინდივიდუალური სული შუალედურია მატერიალურ და სპირიტულ სამყაროებს შორის, უფრო ზუსტად, ესაა მარადიული მატერიის (სხეულის) და აბსოლუტური გონის (პირველსაწყისის) ურთიერთქმედების ნაყოფი. მისი წარმოქმნა აიხსნება ტრადიციული ნეოპლატონური ემანაციის საფუძველზე.

ავიცენა გამოყოფს მენტალური ძალების (თვისებების, უნარების) სამ ჯგუფს: *ვეგეტაციური, ცხოველური და რაციონალური.* ვეგეტაციური ძალები, იმის მიხედვით, თუ რა ფუნქციას ასრულებს, სამი სახისაა: გენერაციული (გამრავლება), ოგმენტაციური (ზრდა) და ნუტრიტული (არსებობის შენარჩუნება, კვება). არისტოტელეს მსგავსად, აქაც სიცოცხლის ფიზიკური მხარის ანალიზი კეთდება, რასაც ემატება მოსაზრება, რომ ვიტალური პროცესები არა მარტო მატერიის ფუნქციაა, არამედ მატერიასთან ერთიანობაში მყოფი სულისაც. ფსიქოლოგიის ისტორიკოსის თქმით, ამ თვალსაზრისს შეიძლება "ვიტალიზმის არაბული ფორმა" დაერქვას (ბრეტი).

ცხოველური სული ფსიქიკური მოვლენების ორ კლასს აერთიანებს – თანამედროვე ტერმინებით: *მოტივაციურს და კოგნიტურს.* პირველი სურვილსა და მოქმედების იმპულსს მოიცავს, ხოლო მეორე მის შესრულებას განაპირობებს. კოგნიტური სფერო გარე და შიდა ძალებად თუ უნარებად იყოფა. გარე უნარებს ხუთი შეგრძნება მიეკუთვნება. მათ ემატება შეხებაში შემავალი ოთხი თვისების გარჩევის უნარი (ცივი-ცხელი, მშრალი-სველი, მაგარი-რბილი, უხეში-ნაზი). ავიცენა კონკრეტულ შეგრძნებებს საკმაოდ დეტალურად ახასიათებს, იმ დროისთვის ბუნებისმეტყველებასა და, კერძოდ, მედიცინაში დაგროვებული ახალი ცოდნის გამოყენებით.

შიდა უნარები ადამიანის ცხოველური და ღვთიური ბუნების საზღვარზეა. აქ ხუთი შემეცნებითი უნარი გამოიყოფა: პირველი, *მოგადი გრძნობა.* ის იღებს, აერთიანებს და ცნობიერად აქცევს ცალკეული შეგრძნებებიდან წამოსულ შთაბეჭდილებებს. ჩვენ ამ ფსიქიკურ პროცესს აღქმას ვუწოდებთ. ამ აღქმული შინაარსის შენარჩუნებას შემდგომი გახსენებისა ან განსჯისთვის სული ახდენს მეორე კოგნიტური შინაგანი უნარის – *შემნახველი წარმოსახვის* მეშვეობით. იგი აჯამებს აწმყოსა და წარსულის მონაცემებს და ინახავს მათ, რითაც მეხსიერებას ემსგავსება. ამავე დროს იგი გრძნობად შინაარსს გარდაქმნის წარმოსახულ ფორმად ანუ იმ ფსიქიკურ ხატად, რომლის ხელმეორე აღდგენა შესაძლებელია საგნის უშუალო ზემოქმედების შემდეგაც. ჩვენ ასეთ განცდას მეხსიერების წარმოდგენას ვუწოდებთ. მესამე შინაგანი უნარი *კომპოზიციური წარმოსახვაა.* ის ერთმანეთთან აკავშირებს შემნახველი წარმოსახვით ფიქსირებულ მენტალურ ხატებს და ქმნის ისეთ კომპოზიტებს, როგორიცაა, მაგალითად, კენტაური. ცხოველებთან ეს პროცესი ასოციაციურია, ადამიანთან – შემოქმედებითი.

მეოთხე უნარი არის *შეფასება*. ეს შეფასება ეხება საგნების სუბიექტურ ფასეულობას და მათთან მოპყრობის წესს. იგი დაახლოებით იმის ეკვივალენტია, რასაც ცხოველთან ეუწოდებთ ინსტინქტს, ხოლო ადამიანთან – ვარაუდს. მაგალითად, ძაღლი გაურბის ჯოხს, ვინაიდან "შეაფასა" მისი დამსჯელი ძალა, მელა ეძებს კურდღელს, რადგან "იცის", რომ ის იჭმევა, ხოლო ადამიანი, როცა ბაეშვს ხელავს, გრძნობს, რომ მას ნაზად უნდა მოეპყრო. ეს ისეთი შეფასებაა, რომელშიც შეფასების მიზეზები არ არის გაცნობიერებული და რომლის შემუშავებაში ინტელექტუალური პროცესები არ მონაწილეობს. თანამედროვე ფსიქოლოგია ასეთ პროცესს დასწავლის განპირობების მექანიზმებით ხსნის. ცხოველური სულის მეხუთე და ბოლო უნარი არის *მეხსიერება და გახსენება*. მასალა, რომელსაც ინახავს ეს უმაღლესი დონის მეხსიერება და აღადგენს გახსენება, არ არის ობიექტების უბრალო ასლები. მათთან საქმე აქვს შემნახველ და კომპოზიტურ წარმოსახვას. ეს მასალა წარმოადგენს შედარებით მარტივი, მაგრამ აბსტრაქტული იდეების ან ზოგადი დასკვნების სისტემას, რომელიც გამომდინარეობს გამოცდილებიდან, მაგრამ არ მოიცავს უნივერსალიებს, ვინაიდან უნივერსალიების შექმნის უნარი აქვს მხოლოდ ადამიანის გონებას.

ვეგეტაციური და ცხოველური უნარები ორგანული ძალებია იმ გაგებით, რომ ისინი განსაზღვრულ მიმართებაში იმყოფებიან ორგანიზმის გარკვეულ ნაწილებთან და სხეულისა და სულის ერთიანი მოქმედების შედეგად ვითარდება. მაგალითად, მხედველობის უნარი კონკრეტულად უკავშირდება ორგანიზმის ერთ ნაწილს – თვალს. მას აქვს კონკრეტული სხეულებრივი ლოკალიზაცია. გრძნობის ორგანოში სწორედ ერთ-ერთი უნარია ლოკალიზებული. სამაგიეროდ, ტვინი ყველა უნარის ცენტრალური ორგანოა. ავიცენამ გამოყო ტვინის სხვადასხვა უბანი, რომლებიც შუბლის წილიდან კეფის წილამდე განალაგა და თითოეულს გარკვეული ფსიქიკური უნარი შეუფარდა. XVI საუკუნემდე ასეთი იყო მედიცინის სტანდარტული შეხედულება.

ვეგეტაციური და ცხოველური სულის ფუნქციების გარდა, არსებობს წმინდა სულიერი აქტივობა, რომელიც სხეულზე არ არის მიბმული. მის შესახებ *რაციონალური სულის ან ინტელექტის* დოქტრინაშია საუბარი. არისტოტელეს მსგავსად, ავიცენა მიჯნავს პრაქტიკულ და თეორიულ (მისი ტერმინოლოგიით, განსჯით) ინტელექტს. *პრაქტიკული ინტელექტი* რაციონალური სულის უფრო დაბალი ფორმაა და ადამიანის ყოველდღიური საქმიანობით არის დაკავებული. ის ახდენს სხეულის რეგულაციას, განაპირობებს მიზანშეწონილ ქცევას და განსჯით ინტელექტს თვითრეალიზაციის პირობებს უქმნის. *განსჯითი ინტელექტის* თვითგანხოციელება გრძნობადი გამოცდილებისაგან აბსტრაპირებული უნივერსალური ცოდნის შექმნაში მდგომარეობს. განსჯითი ინტელექტის დახასიათებისას ავიცენას შემოაქვს პასიური და აქტიური გონების გამიჯვნის პრინციპი. განსჯითი ინტელექტი იწყება პასიური გონებიდან, ერთგვარი სიცარიელის მდგომარეობიდან, რომელიც პოტენციის სახით წინ უსწრებს ყოველგვარ აქტივობას. მის საპირისპირო მხარეს არის წმინდა ინტელექტუალური აქტიეობა. განსჯითი ინტელექტი აღ-

მავალი გზით მიემართება წმინდა პოტენციურობიდან, შუალედური ეტაპის გაელით, სადაც უკვე მოცემულია ცნებითი ცოდნა ანუ იდეების სისტემა, წმინდა აქტუალიზაციამდე. ეს ბოლო წერტილი მთლიანი თვითგანხორციელებაა და ნიშნავს "სუბიექტისაგან ტრანსცენდენტური, იდეალური ფორმების შემეცნებას" ან, სხვანაირად, "უზენაესი ინტუიციური ცოდნის წედომას", რასაც ძალიან ცოტანი, უმეტესად მოციქულები და წმინდანები აღწევენ. ავტორი ამ თეორიულ კონსტრუქციას მარტივი მაგალითით ნათელყოფს: ბავშვი თავდაპირველ ეტაპზე შეიძლება განვიხილოთ იმ არსებად, რომელსაც წერის უნარი აქვს, მაგრამ თვითონ წერა არ შეუძლია; სწავლების შედეგად იგი შეძლებს წერას გაღაწერის მნიშვნელობით, საბოლოოდ კი მას ექნება უნარი წეროს საკუთარი გონების კარნახით.

არაბული ფილოსოფიის და მეცნიერების მეორე უდიდესი წარმომადგენელი **იბნ-რუშდი (ავეროესი)** (1126-1198) ცხოვრობდა სალიფატის მეორე ბოლოში, ესპანეთსა და მაროკოში. ავეროესი ამტკიცებდა, რომ რელიგია შეიძლება განვიხილოთ როგორც სისტემა, რომელიც მასებისთვის გასაგებ ფორმაში, ქარაგმულად გადმოსცემს ჭეშმარიტებას, რომელსაც ფილოსოფია მხოლოდ გამორჩეულთათვის მისაწვდომი სახით აყალიბებს. ფორმალურად, აქადან გამომდინარეობს, რომ ჭეშმარიტება ერთია, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულადაა ასე. ფილოსოფიის ისტორიკოსების აზრით, სინამდვილეში ავეროესი შინაგანად დარწმუნებული იყო ე.წ. "ორგვარი ჭეშმარიტების თეორიის" სისწორეში და მხოლოდ ისლამური თეოლოგიის დეენისაგან თავის დასაღწევად გააკეთა ისეთი მოსერხებელი ფორმულირება, რომელიც, ფაქტობრივად, კარს ღიად უტოვებდა ამ თეორიას[1]. მის მიხედვით, დაშვებულია წინააღმდეგობა ფილოსოფიის (რაციონალური შემეცნების) და თეოლოგიის (რელიგიური პოსტულატების) ჭეშმარიტებას შორის. ისინი, პრინციპში, შეიძლება ერთმანეთს გამორიცხავდნენ, მაგრამ ვინაიდან ასეთ ურთიერთგამომრიცხავ ფორმაში ორი ჭეშმარიტების დაშვება ლოგიკურად ძნელი გასამართლებელია (ჭეშმარიტება, თუ ის მართლაც ჭეშმარიტებაა, მხოლოდ ერთი უნდა იყოს), ამიტომ ამ თეორიის ყველაზე მისაღები ფორმულირება ის არის, რომ ფილოსოფიას საქმე აქვს მოვლენების ბუნებრივ მსვლელობასთან და იყენებს რაციონალურ გონებას, ხოლო თეოლოგიას საქმე აქვს ირაციონალურთან და ეყრდნობა რწმენასა და გამოცხადებას – და არა ლოგიკას.

ასეა თუ ისე, ავეროესიდან წამოსული ეს დოქტრინა პრინციპულად გზას უხსნიდა რწმენის დოგმებით შეუზღუდავ მეცნიერულ კვლევას. ფსიქოლოგიისთვის ამას ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან ადამიანის ფსიქიკური ცხოვრება თეოლოგიის საგანგებო ინტერესისა და მეცნიერებისადმი ეჭვიანობის საგანი იყო. ყველაზე მართებუ-

[1] ისლამურ ღვთისმეტყველებთან ავეროეს რთული ურთიერთობა ჰქონდა, ვინაიდან იგი, ფაქტობრივად, ართმევდა მათ უფლებას ემსჯელათ რაციონალური ცოდნის (ე.წ. ფიზიკისა და მეტაფიზიკის) შესახებ და მოუწოდებდა, მთელი გულისყური მიემართათ ყურანის ალეგორიული ინტერპრეტაციისკენ, მისი ზნეობრივ-აღმზრდელობითი მნიშვნელობის გამოსავლენად.

ლი დასკვნა, რომელიც ფსიქოლოგიას შეუძლია გააკეთოს ამ თეორიიდან, არის ის, რომ მას აქვს კელეების საკუთარი სფერო, რომლის შესწავლა საკუთარი მეთოდებით შეუძლია ისე, რომ არ შეეხოს და არ შეეწინააღმდეგოს რელიგიურ პოსტულატებს. თუმცა ამ შესაძლებლობის ხორცშესხმა ფსიქოლოგიამ თანდათან მხოლოდ ახალი დროიდან დაიწყო.

ავეროესმა გამოთქვა მოსაზრებები, რომლებიც შეუთავსებელი იყო ყურანთანაც და ბიბლიასთანაც და რამდენიმე საუკუნის განმავლობაში უკიდურესად მძაფრი იდეოლოგიური დაპირისპირების საბაბად იქცა. მაგალითად, არისტოტელეს თავისებური ინტერპრეტაციის საფუძველზე ავეროესი განასხვავებდა ინდივიდუალურ მოკვდავ სულს და უნივერსალურ უკვდავ გონებას. ინდივიდუალური სულის ფუნქციები განუყრელია ორგანიზმისაგან (პირველ რიგში ე.წ. გრძნობიერება) და მასთან ერთად ისპობა. გონება ღვთიური წარმოშობისაა და ინდივიდუალურ სულში გარედან შედის იმის მსგავსად, როგორც მზე უგზავნის სხივებს გრძნობის ორგანოს. მაგრამ თვალს, ეს სხივები რომ დაინახოს, სპეციფიკური უნარი უნდა ჰქონდეს. ინდივიდუალური სულის ეს უნარი – მიიღოს უნივერსალური გონება – გრძნობიერების სახითაა წარმოდგენილი. სხეულისა და ინდივიდუალური სულის დაღუპვის მერე არსებობას განაგრძობს უნივერსალური გონების ნაწილი, რომელიც ისევ უერთდება თავის პირველწყაროს ინდივიდის ცხოვრებაში მიღებულ გამოცდილებასთან ერთად. ეს ნიშნავს, რომ ადამიანი ღმერთის მსგავსია, მაგრამ მისი სული მოკვდავია. ეს თეზისები მიუღებელი იყო რელიგიისთვის ისევე, როგორც ორგვარი ჭეშმარიტების თეორია. სქოლასტიკურ ფილოსოფიაში ამ საკითხების გარშემო მიმდინარე ამრთა ჭიდილი ფსიქოლოგიური პრობლემების ფორმულირებაზეც ახდენდა გავლენას.

## 2.2. ფსიქოლოგია გვიანდელ შუა საუკუნეებისა და რენესანსის ეპოქაში

გვიანდელი შუა საუკუნეების ფილოსოფია სქოლასტიკური აზროვნების დომინირების ნიშნით ვითარდებოდა. ცხადია, ეს არ ნიშნავდა სხვადასხვა პრობლემებზე განსხვავებული თვალსაზრისის არსებობას, მათ შორის ისეთებზე, რომლებიც ან უშუალოდ ეხებოდა სულიერ სფეროს, ანდა ქმნიდა მისი გააზრებისა და შესწავლის მსოფლმხედველობით საფუძველს. ასეთებს, ცოდნისა და რწმენის მიმართების პრობლემასთან ერთად (ორმაგი ჭეშმარიტების თეორია), მიეკუთვნება უნივერსალიების (ზოგადი ცნებების) ონტოლოგიური სტატუსის პრობლემა. ეს პრობლემა ეხება იმას, არსებობს თუ არა უნივერსალიები რეალურად და როგორია, საზოგადოდ, ზოგადის მიმართება კერძოსთან.

დისკუსია უნივერსალიების გარშემო, ფაქტობრივად, ეხებოდა შემეცნების ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ცენტრალურ თეორიულ პრობლემას: რა არის პირველადი – გრძნობადად მოცემული საგანი თუ იდეა; როგორ მიმდინარეობს ადამიანის შემეცნების პროცესი: კონკრეტული აღქმიდან

ზოგადი ცნებისკენ თუ პირიქით – ცნებიდან კერძო საგნისკენ. უკვე ანტიკურ ფილოსოფიაში საკმაოდ ნათლად გამოიკვეთა ამ პრობლემის გადაჭრის ორი ძირითადი ვარიანტი. ერთი ჩამოაყალიბა პლატონმა, რომელიც იდეების პირველადობას ამტკიცებდა, მეორე კი – მის საპირისპიროდ კინიკოსებმა და სტოელებმა, როდესაც ასაბუთებდნენ, რომ იდეები რეალურად არ არსებობს და მხოლოდ გონებაში იმყოფება.

შუა საუკუნეების სქოლასტიკურ ფილოსოფიაში ეს მიდგომები შესაბამისად *ნომინალიზმის და რეალიზმის* სახელწოდებით განვითარდა. მკვეთრად გამოხატული ნომინალიზმის მიხედვით, რეალურად არსებობს მხოლოდ ცალკეული კერძო საგნები მათთვის ნიშნეული ინდივიდუალური თვისებრიობით. ზოგადი ცნებები ამ საგნების შესახებ ჩვენი გონების შექმნილია. ისინი არა თუ არ არსებობენ ამ საგნებისაგან დამოუკიდებლად, არამედ არც კი ასახავენ მათ თვისებრიობას. უნივერსალიები მხოლოდ "ხმის მოძრაობაა", ანუ ისეთი სახელებია ადამიანთა შორის ურთიერთობის გასაადვილებლად, რომლებიც მსგავსი საგნების ჯგუფებს მოსაზღვრავენ. ამ ავტორთა შორის, ვინც ამ თვალსაზრისს იზიარებდა, ყველაზე ცნობილნი არიან დუნს სკოტი (1265-1308) და უილიამ ოკამი (1285-1349). ნომინალიზმის შერბილებულ ფორმაში, რომელსაც *კონცეპტუალიზმი* ეწოდება, უარყოფილია ღებულება, რომ უნივერსალიები ქმნიან დამოუკიდებელ ონტოლოგიურ რეალობას. ამასთანავე, დაშვებულია, რომ საგნებში არსებობს რაღაც საერთო, რაც სიტყვით აღნიშნული და გონებაში მოცემული კონცეპტის (ცნების) საფუძველი ხდება. მოკლედ, სიტყვა ცარიელი ბგერა არ არის, ის საერთო მნიშვნელობას შეიცავს და საგნებისა თუ მოვლენების სახელწოდებათა სახით გაღაეცემა ადამიანებს. ასე ფიქრობდა, მაგალითად, ცნობილი თეოლოგი პიერ აბელიარი (1079-1142).

რეალიზმი კი ამტკიცებდა, რომ უნივერსალიები რეალურად არსებობენ და წინ უსწრებენ ცალკეული საგნების არსებობას. რეალიზმის ორიეე ფორმა სქოლასტიკურმა ფილოსოფიამ ანტიკური ფილოსოფიისაგან მემკვიდრეობით მიიღო. პირველი (უკიდურესი რეალიზმი) თავის სათავეს პლატონის იდეების თეორიაში იღებს, რომლის მიხედვითაც იდეები საკუთარ სამყაროს ქმნიან, არსებობენ კონკრეტულ საგნებამდე და მათ ორგანიზებას ახდენენ.

მეორე (ზომიერი რეალიზმი) არისტოტელესაგან მოდის, რომელიც თვლიდა, რომ ზოგადი განუყრელ კავშირშია ცალკეულთან და საგნის არსს ანუ ფორმას წარმოადგენს.

შუა საუკუნეების უდიდესი სქოლასტიკოსი, წმინდა **თომა აქვინელი** (1225-1274), რომლის მოძღვრება "თომიზმის" სახელწოდებით საბოლოოდ კათოლიციზმის ოფიციალურ ფილოსოფიად გამოცხადდა, უფრო ზომიერი რეალიზმისკენ იხრებოდა. თომიზმი შეიძლება შეფასდეს, როგორც არისტოტელეს, ავიცენას და ქრისტიანული თეოლოგიის იდეების ერთგვარი სინთეზი. ეს თვალსა-

ჩინოდ გამოჩნდა მის პოზიციაში უნივერსალიების პრობლემასთან დაკავშირებით. თომა აქვინელის მიხედვით, არსებობს სამი სახის უნივერსალია: "ცალკეულ საგნებამდე" ღვთიურ გონებაში, როგორც მათი იდეები, პირველსახეები; "თვით საგნებში", როგორც მათშივე მოცემული არსი, ანუ ზოგადი ცალკეულში და "საგნების შემდეგ", მათ შემმეცნებელ ადამიანურ გონებაში, როგორც განზოგადების გზით მიღებული ზოგადი ცნებები. ამით თომა აქვინელი შეეცადა მიეღწია კომპრომისისთვის ნომინალიზმსა და რეალიზმს შორის. ასეთივე განწყობით უდგებოდა იგი ორგვარი ჭეშმარიტების თეორიასაც. თომა ყოველთვის ცდილობდა, ეჩვენებინა არისტოტელეს ფილოსოფიის ძალა. მაგრამ იგი, მაინც, განასხვავებდა ფილოსოფიასა და თეოლოგიას და მიიჩნეოდა, რომ მათი დაპირისპირების შემთხვევაში უპირატესობა რწმენას უნდა მიენიჭოს.

სამაგიეროდ, თომა აქვინელის პოზიცია სრულიად უკომპრომისო იყო სულისა და გონების გამიჯვნისა და ინდივიდუალური სულის მოკედავობის პოსტულატების მიმართ, რომელთაც ავეროესისტები იცავდნენ. მას მიაჩნდა, რომ გონიერება სულის იმანენტური და აუცილებელი თვისებაა, რომლის გარეშე ის არც არსებობს. ამიტომ აზრს მოკლებულია იმის მტკიცება, რომ სული კვდება, ხოლო გონება უკვდავია. თომა ქადაგებდა *მონოფსიქიზმს* – გონება ყველასთვის საერთოა და სულთან მჭიდრო კავშირში იმყოფება; ღვთიური (ზოგადი) და ადამიანური (ინდივიდუალური) მენტალობა ერთიანობას ქმნის. ეს მენტალური მონიზმი სულის უკვდავების დოგმის გამართლებას ემსახურება და აძლიერებს სქოლასტიკური ფსიქოლოგიის სპირიტუალისტურ ტენდენციას. ამავე დროს, ის ხაზს უსვამს ფსიქოფიზიკურ დუალიზმს, სულსა და სხეულს შორის არსებულ დისტანციას (სხეულს არაფერი აქვს საერთო გონებასთან). ცდილობს რა თავის ფსიქოლოგიაში ამ დაპირისპირების შერბილებას, თომა სერიოზულ სირთულეებს აწყდება. მართლაც, არისტოტელეს მსგავსად, იგი გამოყოფს ადამიანის სულიერებაში ისეთ ძალებს ან უნარებს, რომლებიც სხეულთან უშუალო კავშირში იმყოფებიან და სხეულის გარეშე ვერ იარსებებენ. ვეგეტაციურ ფუნქციებზეც რომ არაფერი ვთქვათ, ასეთია შეგრძნების ნამდვილად ფსიქიკური, შემეცნებითი უნარი. თავის მხრივ, გონებასთან წილნაყარი ინტელექტი წმინდა მენტალური უნარია, ამიტომ არ უნდა უკავშირდებოდეს არც ვეგეტაციურ, არც სენსორულ თვისებებს და, საზოგადოდ, ორგანიზმს.

ამასაც რომ თავი დავანებოთ, თომა პატივს სცემს როგორც საკუთარ ემპირიულ გამოცდილებას, ისე არისტოტელეს და ავიცენას მტკიცებას სხეულის და სულის (მათ შორის მისი გონიერი, ინტელექტუალური ნაწილის) განუყრელი ერთიანობის შესახებ. ავტორი ამბობს: სხეული არც აკლდამა ან ციხეა, არც თოჯინა, რომელსაც სული მართავს. ადამიანი გონებისა და სხეულის ერთიანობაა. მიუხედავად იმისა, რომ გონიერი სული ტრანსცენდენტურია, მისი ბუნებრივი ადგილი არის სხეული, რომელსაც ის ავსებს და რომლითაც თავად ივსება. მაშასადამე, ის შეგრძნების მასალას იყენებს, სენსორული ხატები კი სხეულში (გრძნობის ორგანოში) არიან წარმოქმნილი. ამგვარი "სხეულნარევი" ხატების ცნებებად გარდაქმნა შეგრძნების სფე-

როდან ინტელექტის (ანუ წმინდა მენტალობის, გონების) სფეროში გადასვლას ნიშნავს, მაგრამ არსად არის ნათქვამი, თუ გრძნობითი ფორმიდან როგორ წარმოიქმნება აზროვნების შინაარსი. შეგრძნება ვერასდროს გახდება ინტელექტი, როგორც სხეული ვერ გახდება სული და პირიქით. წმინდა მენტალური წარმოშობის ინტელექტი არსებითად განსხვავდება "ნახევრად მატერიალური" შეგრძნებისაგან. მეორე მხრივ, შეგრძნება ინტელექტის გარეშე ვერასდროს გახდება უნივერსალური, ხოლო ინტელექტი ვერ იმოქმედებს გრძნობით შინაარსზე დაყრდნობის გარეშე. მათი საბოლოო ერთიანობის ასსნა ემპირიულ დონეზე ვერ ხერხდება და ისევ ღმერთში, როგორც ყველაფრის შემოქმედსა და ამსსნელში, უნდა იყოს მონახული. სული ყოველგვარი მედიატორის გარეშე ერთიანდება სხეულთან. ინტელექტს აქვს ობიექტის არსის უშუალო წვდომის უნარი, რაც აგრეთვე ღმერთისგანაა. შესამეცნებელი არსი და ინტელექტი შექმნილია ერთმანეთისთვის ღმერთის მიერ. ასეთია წმინდა თომა აქვინელის საბოლოო პასუხი.

ფსიქიკური პროცესების იერარქიის უკიდურესი წევრების (შეგრძნება და ინტელექტი) ერთმანეთთან დაკავშირება ძველ სწავლულს იმიტომ უჭირს, რომ მათი მიმართება სხეულისა და სულის ერთიანობას გულისხმობს, ხოლო ამ ერთიანობას ის უშლის ხელს, რომ სული უკვდავ ღვთაებრივ გონებასთან ანუ წმინდა მენტალობასთან არის გაიგივებული. ამასთანავე, თომამ სხვა ფსიქიკური პროცესების საკმაოდ საინტერესო ანალიზი მოგვცა. იგი ძირითადად ეყრდნობოდა ზემოთ განხილულ სულის უნარების ავიცენასეულ კლასიფიკაციას, მაგრამ დასვეწა და განავრცო ეს სისტემა ადამიანის სულის სპეციფიკის ხაგგასმით. ამ სპეციფიკას გონიერი სულის ორი არსებითი ნიშანი ქმნის, მისი ინტელექტუალურობა და ნებელობითობა. ყველაზე მეტად ამგვარი მიდგომა დაეტყო შეფასებისა და მოტივაციის უნარების ანალიზს. ავიცენასაგან განსხვავებით, თომა აქვინელი ორი ტიპის შეფასებას განიხილავდა. ერთი ჩვეულებრივი შეფასებაა, რომელიც ცხოველსაც აქვს და ნების კონტროლის გარეშე მიმდინარეობს: ბატკანი თავისთავად გაურბის მგელს, რადგან მას საფრთხის შემცველად აღიქვამს (აფასებს). შეფასების მეორე სახე მხოლოდ ადამიანს ახასიათებს და რაციონალურ-ნებელობითი კონტროლის საშუალებით ხორციელდება: ჩვენ შეგვიძლია გავექცეთ მგელს ან, საჭიროების შემთხვევაში, მასთან მიახლოება გადავწყვიტოთ. ადამიანი მსჯელობს და ირჩევს იმის ნაცელად, რომ ბრმად, ინსტინქტურად მოახდინოს რაიმეზე რეაგირება. ამიტომ მისი შეფასებითი უნარი ნებელობით იმართება.

ასევე არსებობს ორი ტიპის მოტივაცია. პირველის გამოხატულებაა სიამოვნების შემცველი ობიექტებისკენ სწრაფვისა და უსიამოვნების მომგვრელი ვითარებებისაგან განრიდების ბუნებრივი და უნებლიე ტენდენცია. ამავე დროს ადამიანს აქვს სხვაგვარი სახის, ინტელექტუალური და ნებელობითი მოტივაცია, რომელიც ეძებს საუკეთესოს გონების კარნახით. ცხოველმა მხოლოდ სიამოვნება და უსიამოვნება "იცის", ადამიანმა კი იცის, რა არის სწორი და რა – არასწორი.

თომა აქვინელმა კორექტივები შეიტანა ავიცენას მიერ განხილული

სხვა უნარების ანალიზშიც. სახელდობრ, მან გააუქმა კომპოზიტური წარმოსახვა, ვინაიდან იგი მიიჩნია შემნახველი წარმოსახვისა და რაციონალური აზროვნების ზედმეტ დანამატად. გარდა ამისა, აღამიანური შეფასების ცნების შემოღებით, რომელიც მოქმედების მიზანშეწონილობის განსაზღვრის რაციონალურად წარმართულ უნარს გულისხმობს, მოიხსნა პრაქტიკული აზროვნების ცნების საჭიროება. დაბოლოს, თომა აქვინელმა გაამთლიანა გონება, იმით, რომ დაუბრუნა აქტიური ინტელექტი აღამიანის სულს. ცოდნა არის აღამიანის აქტიური აზროვნების პროდუქტი და არა ღვთიურად გასხივოსნებული საჩუქარი, მაგრამ, ვინაიდან ინდივიდუალური სული ორგანულად უკავშირდება უნივერსალურ გონებას, მისი ანალიზი, მიუხედავად გამოხატული ემპირისტული სულისკვეთებისა, მაინც მეტაფიზიკური ნისლით რჩება დაბინდული.

ამ ვიოარების საილუსტრაციოდ გამოდგება ნების თავისუფლების პრობლემის ანალიზი. უღაეთა, რომ ნების პარამეტრის შემოტანით თომა აქვინელმა სწორი მიმართულებით განავითარა სულის უნარების ავიცენასეული გაგება. ნებელობა არის ემპირიულად არსებული ფსიქიკური ფუნქცია და, ასე თუ ისე, ყველა სულიერ ძალას უკავშირდება. მაგრამ თვით ნებელობის დახასიათებისას თომა თანმიმდევრული არ არის და ბოლომდე ვერ ინარჩუნებს ემპირიულ სინამდვილესთან შესაბამისობის პოზიციას. ჯერ ერთი, იგი ახდენს ნების უკიდურეს ინტელექტუალიზაციას, აცხადებს მას გონების მიმართ მეორეულ ფუნქციად, რითაც, ფაქტობრივად, სპეციფიკას უკარგავს. გონების პრიორიტეტი ნებაზე კატეგორიულად არის განცხადებული: არ შეიძლება ისურვო ის, რაც არ არის აღიარებული გონების მიერ, გვეუბნება თომა, თუმცა თავადვე ხედავს, რომ ხშირად შემეცნებისკენ აღამიანს სწორედ ნებისყოფა აღძრავს. უფრო მეტიც, ყოფითი თვალსაზრისით, აღნიშნავს იგი, ღმერთისკენ ნებელობითი სწრაფვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი გონებრივი შემეცნება. მიუხედავად ამისა, საბოლოო ჯამში, აღამიანის თავისუფალი გადაწყვეტილების წყარო არც მისი ნებაა და არც მისი ინტელექტი, არამედ ღმერთი, რომელმაც ერთადერთმა იცის, რა არის ჭეშმარიტება. ამდენად, თავისუფალი ნება ღვთიურ ცოდნაზე დამყარებული აუცილებლობაა. უფრო მეტიც, თვით ღვთიური ნებაც, ამბობს ავტორი, ღვთაებრივ გონებაზეა დამოკიდებული. ასეთი უკიდურესი მეტაფიზიკით დაგვირგვინდა მყარი ემპირიული ნიადაგიდან აღმოცენებული ანალიზი.

თომა აქვინელის მიერ დამუშავებული ერთი ცნება უაღრესად ნაყოფიერი გამოდგა და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ფსიქოლოგიაში. ეს ცნება არის *ინტენციონალობა.* სულიერი მოვლენების შინაარსეული მხარის განხილვისას თომა აღნიშნავდა, რომ შეუძლებელია, გქონდეს რაიმე აღქმა ობიექტის გარეშე ან აზრი შინაარსის გარეშე. სული (ცნობიერება, ნებელობა) ყოველთვის მიმართულია რაიმეზე და ეს მიმართულობა არის ინტენციონალობა. ინტენციონალობა მრავალმხრივია. თავდაპირველად სული მიმართულია გარე ობიექტისკენ, რის შედეგადაც ვიღებთ აღქმის ხატს ან გარკვეული საგნის ცნებას (ე.წ. "პირველადი ინტენციონალობა"). შემდეგ სული მიიმართება არა გარეშე საგნისკენ, არამედ თავად იმ აქტისკენ, რომელსაც

ის აწარმოებს. ამით სული სწვლება ლოგიკის კანონებს, რომელთა შესაბამისად მიმდინარეობს ინტელექტუალური აქტი და უნივერსალიებს, როგორც ამ აქტის პროდუქტს (ე.წ. "მეორეული ინტენციონალობა"). ბოლოს სულს შეუძლია დაუბრუნდეს თავისთავს და გააცნობიეროს არა ობიექტი ან აქტი, არამედ საკუთარი თავი, როგორც უნიკალური არსი. XIX საუკუნის ბოლოს, როცა ფსიქოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი ემპირიული მეცნიერების, საგნის პრობლემა განსაკუთრებული სიმძაფრით დაისვა, ფრანც ბრენტანომ ინტენციონალობაში დაინახა ცნობიერების სპეციფიკური ნიშანი, რომელიც არსებითად განასხვავებს მას ფიზიკური მოელენებისაგან. ინტენციონალობა მხოლოდ ცნობიერებას ახასიათებს, რის გამოც იგი სპეციალური მეცნიერების, ფსიქოლოგიის საგნად გვეელინება (იხ. 5.3.).

შუა საუკუნეებს აგვირგვინებს აღორძინების პერიოდი. რენესანსმა მოიტანა არნახული აღმაელობა მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში. ფართოდ გავრცელდა ჰუმანიზმის იდეები. ადამიანის ღირსებისა და უფლებების პატივისცემა, პიროვნების განვითარების, მისი შესაძლებლობების გამოელენისა და ცხოვრების საკუთარი გზის არჩევის თავისუფლება, ყოველგვარ ფანატიზმთან შეურიგებლობა და თავისუფალი, არადოგმატური აზროვნების დამკვიდრება – ამას ქადაგებდნენ ამ ეპოქის უდიდესი ჰუმანისტები: დანტე ალიგიერი, ფრანჩესკო პეტრარკა, ჯოვანი ბოკაჩო, თომას მორი, ერაზმ როტერდამელი, ფრანსუა რაბლე, მიშელ მონტენი, უილიამ შექსპირი, მიგელ სერვანტესი და სხვები. გამაოგნებელ სიმაღლეებს მიაღწია ხელოვნებამ, განსაკუთრებით ფერწერამ. საკმარისია დავასახელოთ ლეონარდო, მიქელანჯელო, რაფაელი, ტიციანი, ბოტიჩელი, ტინტორეტო, დიურერი, კრანახი, ბრეიგელი, ბოსხი, ვან-დეიკი, ელ გრეკო და მრავალი სხვა. რენესანსის ერთ-ერთი ტიტანი ლეონარდო და ვინჩი უნივერსალური გენიოსი იყო. მასში გაერთიანებული იყო ხელოვანისა და მეცნიერის ნიჭიერება. იგი იყო მხატვარი, არქიტექტორი, პოეტი, მუსიკოსი, ამავე დროს ფილოსოფოსი, ბიოლოგი, მექანიკოსი, ქიმიკოსი, ინჟინერი. სერიოზულად იკვლევდა ადამიანის სხეულის აგებულებას და მხედველობის ფსიქოფიზიოლოგიას. მეტ-ნაკლები უნივერსალიზმი აღორძინების ხანის სხვა მხატვრებისთვისაც იყო დამახასიათებელი. ამის გამო, მეცნიერების ისტორიკოსების თქმით, ისინი გამოხატავდნენ ახალი ტიპის მეცნიერებას, რომელიც იქმნებოდა არა უნივერსიტეტებში, სადაც უფრო მეტად ძველი ტექსტების კომენტირებით იყვნენ დაკავებულნი, არამედ მხატვრისა თუ გამომგონებლის სახელოსნოში, სადაც მეცნიერული აზრი ბუნების შემეცნებისა და გარდაქმნისკენ იყო მიმართული. რა თქმა უნდა, მიმდინარეობდა აკადემიური კვლევაძიებაც. გაკეთდა არაერთი ფუნდამენტური აღმოჩენა მეცნიერების სხვადასხვა დარგში: ასტრონომიაში, მათემატიკაში, ფიზიკაში (ნიკოლაი კოპერნიკი, გალილეო გალილეი, ჯორდანო ბრუნო, იოჰანეს კეპლერი და სხვა). გადატრიალების ტოლფასი ძვრა მოხდა ბიოლოგიურ და სამედიცინო მეცნიერებაში. აქ უნდა გამოიყოს ანდრეს ვეზალიუსის ნაშრომი "ადამიანის სხეულის აგებულება". მან რევოლუცია მოახდინა ანატომიაში და საფუძვლიანად შეცვალა მანამდე საყოველთაოდ გავრცელებული გალენის შეხედულებები,

რომელიც ადამიანის აგებულებაზე მეტწილად ცხოველების ანატომირების შედეგებით მსჯელობდა. მედიცინის სფეროში განსაკუთრებით გაითქვა სახელი ა.ერეოლ პარაცელსმა.

აღორძინების ხანის კულტურის საერთო სულისკვეთება სამყაროს დემისტიფიკაციისკენ იყო მიმართული. რენესანსის ჰუმანისტების და ნოვატორების დიდი ნაწილი მკვეთრად აკრიტიკებდა ალქიმიას, ასტროლოგიას, ქირომანტიას და ა.შ. მაგრამ სამყაროს განსულიერების ტენდენცია მაინც მძლავრად იყო ფესვგადგმული. მათ შორის არაერთი პროგრესული მოაზროვნის ცნობიერებაში. მაგალითად, პლანეტების მოძრაობის კანონების აღმომჩენი კეპლერი ასტროლოგიას მიმართავდა, შარლატანობასთან სასტიკად მებრძოლი რაბლე ჰოროსკოპებს აგგენდა, ავადმყოფობის ბუნებრივი მიზეზების დაულალავი მაძიებელი პარაცელსი სერიოზულად იყო დაკავებული ალქიმიითა და ასტროლოგიით.

ძლიერ გაერცელდა ქირომანტია და ფიზიოგნომიკა. მიუხედავად იმისა, რომ ამ საეჭვო პრაქტიკით დასაქმებული ადამიანების აბსოლუტური უმრავლესობა შარლატანი იყო, მათ შორის ისეთიც გამოერეოდა, რომელიც საკმაოდ სერიოზულად ეკიდებოდა პიროვნების ხასიათის ინდივიდუალური თვისებების გამოვლენის საკითხს (ე.ი., უაქტობრივად, ფსიქოდიაგნოსტიკას) და აღვიქვებდა ინტერესს სხეულისა და სულის ურთიერთმიმართების პრობლემის (ანუ ფსიქოლოგიის ერთ-ერთი მუდმივი პრობლემის) მიმართ. ზოგიერთი მკვლევარი, მაგალითად, ესპანელი ექიმი ხუან უარტე, ფსიქიკური თვისებების ინდივიდუალური განსხვავებულობის საკითხის შესწავლას წმინდა მეცნიერული პოზიციებიდან ცდილობდა და ადამიანთა პროფესიული ვარგისიანობის პრაქტიკულ ამოცანებს უკავშირებდა (იხ. 6.2.). მეორე ცნობილი ესპანელი ექიმი სუან ლუის ვივესი (1492-1540) თავის წიგნში "სულისა და ცხოერების შესახებ" პირდაპირ მოუწოდებდა მეცნიერებს სულიერ პროცესებზე მსჯელობისას დაყრდნობოდნენ არა აბსტრაქტულ მოსაზრებებს, არამედ დაკვირვებისა და ექსპერიმენტის მონაცემებს. თავად იგი სისტემატურად აკვირდებოდა თავის პაციენტებს, რის საფუძველზეც ძალზე ზუსტად აღწერა სხვადასხვა ემოციური მდგომარეობა და ამ ემოციების რეგულაციის სავსებით რეალისტური მექანიზმები. ამ მონაცემების პრაქტიკული გამოყენების ძირითად სფეროდ მას ბავშვის სწორი აღზრდა მიაჩნდა. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ იმ ეპოქის უდიდესი პედაგოგი იან ამოს კომენსკი თავისი აღზრდის მოძღვრების დასაბუთებისას ვივესის მონაცემებს ეყრდნობოდა.

რენესანსის ეპოქაში პირველად წარმოიქმნა ჰუმანისტური ფილოსოფია (და, მის ფარგლებში ჰუმანისტური ფსიქოლოგია – რომელმაც დიდი მნიშვნელობა შეიძინა მეოცე საუკუნეში), ჰუმანისტური პედაგოგიკა, გამოითქვა საყურადღებო ეთიკური და სოციოლოგიური მოსაზრებები. ამკვიდრებდნენ რა აქტიური, სიცოცხლითა და ღირსებით სავსე ადამიანის კულტს, ჰუმანისტები ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ პიროვნების სხვადასხვა უნარების (ფიზიკური, გონებრივი, მხატვრული, ნებელობითი) მრავალმხრივ, ჰარმონიულ განვითარებას. დაბოლოს აუცილებელია აღინიშნოს, რომ

XVI საუკუნეში ფსიქოლოგიის ისტორიის თვალსაზრისით მოხდა ძალიან მნიშვნელოვანი რამ – გაჩნდა თვით ტერმინი "ფსიქოლოგია". 1590 წელს გერმანელმა სქოლასტმა რ. გოკლენიუსმა გამოაქვეყნა პირველი ნაშრომი ამ სათაურით, მეორე კი 1594 წელს მისმა მოწაფემ – ო. კასმანმა.

ახალ ეპოქაში სულის შესწავლა მეტაფიზიკური გონებაჭვერეტიდან ემპირიული კვლევის კალაპოტში უნდა გადასულიყო, მაგრამ ამის რეალური განხორციელება გაცილებით უფრო ძნელი იყო, ვიდრე ბუნებისმეტყველებაში, ვინაიდან სულის სფერო ჯერ კიდევ სქოლასტიკური აზროვნების მარწუხებში იმყოფებოდა. მიუხედავად ამისა, აღორძინების ხანამ საჭირო ინტელექტუალური ფონი შექმნა და, ამდენად, მძლავრი ბიძგი მისცა ემპირიული ფსიქოლოგიის განვითარებას ახალ დროში.

ამ საქმეში ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვის გვიანდელი რენესანსის გამოჩენილ ინგლისელ ფილოსოფოსს, **ფრენსის ბეკონს** (1561-1626). ბეკონი დაჟინებით მოითხოვდა მეცნიერული ცოდნის ცდისეულ, ემპირიულ საფუძველზე დამყარებას. ამასთან, სამყაროს ემპირიული შესწავლა მასთან ახალ შინაარსს იძენს. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ბეკონი ანიჭებს არა უბრალოდ გრძნობად აღქმას, არამედ ექსპერიმენტის სახით ორგანიზებულ დაკვირვებას, რომელიც იყენებს სხვადასხვა ხელოვნურ საშუალებებს, ხელსაწყოებს, დანადგარებს. შიშველი ხელი იარაღის გარეშე სუსტია; ასევე გონებას ესაჭიროება იარაღები, რომლებიც განუზომლად აფართოებენ მის შესაძლებლობებს. ცოდნა არ არსებობს გამზადებული სახით, საჭიროა მისი აღმოჩენა, ცდისეული მოპოვება. მეცნიერისთვის ბუნება წარმოდგენილია, როგორც სარბიელი, სადაც იგი ატარებს ცდებს, აწარმოებს დაკვირვებებს და გამოთვლებს სხვადასხვა ხელსაწყოს საშუალებით (მიკროსკოპი, ტელესკოპი, ბარომეტრი, თერმომეტრი). ნიშანდობლივია, რომ ბეკონი ხორცის გაყინვასთან დაკავშირებული ექსპერიმენტების ჩატარებისას გაცივდა, რის შედეგადაც გარდაიცვალა. მაგრამ, შემეცნების მთავარი იარაღი არის ახალი მეთოდი – მეცნიერული ინდუქცია. ბეკონი შეეცადა ინდუქციისთვის, როგორც კერძოდან ზოგადზე გადასვლის მეთოდისთვის, მეცნიერული შემეცნების ზოგადი თეორიის სახე მიეცა. ინდუქცია მოწოდებულია დაადგინოს მოვლენათა მიზეზები. ამისთვის, ბეკონის აზრით, ცდისეული კვლევისას უნდა შეიქმნას ცხრილები, რომლებშიც შევა შესასწავლი მოვლენები და, სავარაუდოდ, მათი გამომწვევი თანმხლები გარემოებები. ამ ცხრილების მონაცემებს შორის არსებული შესაბამისობის შემთხვევაში ჩვენ შევძლებთ დავადგინოთ მოვლენათა შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირები, რის გამოც ისინი "აღმოჩენების ცხრილებად" მოგვევლინებიან.

ფსიქოლოგიის ისტორიის კუთხით მთავარი ისაა, რომ კვლევის მთელი ეს მეთოდოლოგია ვარგისია არა მხოლოდ ბუნების მოვლენების, არამედ ფსიქიკურისთვისაც. "ჩვენ ვადგენთ ... აღმოჩენების ცხრილებს, როგორც სით-

ბოსა და სიცივისთვის, როგორც სინათლისთვის ... ასევე რისხვისთვის, შიშისთვის, პატივისცემისთვის და ა.შ., აგრეთვე საგოგადოებრივი მოვლენებისა და სულიერი მოძრაობებისთვის – მეხსიერებისთვის ... მსჯელობისთვის და სხვა". ბეკონმა მეცნიერებათა მთელი სისტემა გაიაზრა და მასში ფსიქოლოგიას, როგორც სულიერი მოვლენების შემსწავლელ დისციპლინას (ავტორი არ ხმარობს ტერმინს "ფსიქოლოგია"), საპატიო ადგილი მიუჩინა. ის შედის ერთიან სწავლებაში ადამიანის შესახებ, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება. ერთი განიხილავს ადამიანს, როგორც ასეთს და მას "ადამიანის ფილოსოფია" ეწოდება, ხოლო მეორე ადამიანს განიხილავს საგოგადოებასთან მიმართებაში და "სამოქალაქო ფილოსოფიის" სახელწოდებით აღინიშნება. ვინაიდან ადამიანი სხეულისა და სულისაგან შედგება, ადამიანის ფილოსოფიაც, თავის მხრივ, შეიცავს დისციპლინებს სულისა და სხეულის შესახებ. ამ უკანასკნელთ მიეკუთვნება მედიცინა, კოსმეტოლოგია, ფიზიკური კულტურა და სხვა. სწავლება სულის შესახებ (ანუ ფსიქოლოგია) ორ ნაწილად იყოფა. ერთი გამოიკვლევს სულის არსებას და ბუნებას, მეორე – შესაბამის უნარებსა და ფუნქციებს (შეგრძნებას, აღქმას, მეხსიერებას, წარმოსახვას, გონებას, აფექტებს, მისწრაფებებს, ნებას). აქ ბეკონს, არსებითად, მხედველობაში აქვს რაციონალური და ემპირიული ფსიქოლოგია, რომლებიც ამ სახელწოდებას მხოლოდ XVIII საუკუნეში შეიძენენ (იხ. 3.2.).

ბეკონმა ყურადღება გაამახვილა ისეთ საკითხებზეც, რომლებიც სხეულსა და სულს ერთნაირად მოიცავს. ეს არის სწავლება პიროვნების შესახებ და სწავლება სულისა და სხეულის კავშირის შესახებ. პირველ შემთხვევაში ისტორიული პერსონაჟების მაგალითებზე განიხილება ადამიანურ შესაძლებლობათა ღირსშესანიშნავი გამოვლინებები – უნიკალური მეხსიერება, გამორჩეული გონება, უმტკიცესი ნება და სხვა. მეორე შემთხვევაში საუბარია ისეთი პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხებზე, როგორიცაა სხეულის ავადმყოფურ მდგომარეობათა გავლენა სულიერ მოქმედებაზე, სულიერ მდგომარეობათა სხეულებრივი გამოხატულება (ფიზიოგნომიკა), სიზმრების ახსნა და სხვა.

როცა ბეკონი ფსიქიკურ უნარ-თვისებათა წარმოქმნაზე მსჯელობს, იგი აღარ გამოიყურება თანმიმდევრულ ემპირისტად და უფრო ნატივისტური თვალსაზრისისკენ იხრება. ბეკონი დარწმუნებულია, რომ ყოველი ინდივიდი შეიძლება დახასიათდეს რამდენიმე თანდაყოლილი უნარისა და ტემპერამენტის საშუალებით. ადამიანის ფსიქიკა მემკვიდრეობის წარუშლელი გავლენის ნიშნით არის აღბეჭდილი. ამიტომ მისი ქცევის თავისებურებანი, წარმატებები თუ ბნეობრივი სახე, გარე პირობების გავლენას ნაკლებად ექვემდებარება. მიუხედავად ამისა, ბეკონი მიიჩნევს, რომ ჩვევას და ცხოვრებისეულ გამოცდილებას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან, უსულო მატერიისაგან განსხვავებით, ადამიანური ქცევა "თავისუფლების" გარკვეულ ხარისხს შეიცავს.

საბოლოდ კი შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად ფ. ბეკონის ემპირიზმის არათანმიმდევრულობისა, მან მაინც გაკვალა გზა შუა საუკუნეების მეტაფიზიკურ-სქოლასტიკური ფსიქოლოგიიდან ახალი დროის ემპირიულ ფსიქოლოგიამდე.

## ლიტერატურა


1. გოგიბერიძე მ. ფილოსოფიის ისტორია. რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი. ტ.3. თბილისი, 1972.
2. თევზაძე გ. შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია. თბილისი, 1996.
3. Бэкон Ф. Сочинения: В 2т. М., 1971.
4. Дессуар М. Очерк истории психологии. СПб., 2003.
5. Ждан А.Н. История психологии. 1990.
6. Марцинковская Т.Н. История психологии. М., 2001.
7. Ибн Сина. Канон врачебной науки. Кн.1. Ташкент, 1954.
8. Ибн Сина. Избранные философские произведения. М., 1980.
9. Избранные произведения мыслителей стран Ближнего и Среднего востока IX-XIV вв. М., 1961.
10. Рассел Б. История западной философии. Ростов н/Д., 1998.
11. Реале Д., Антисери Д. Западная философия от истоков до наших дней: Средневековье. т.2. СПб., 1994
12. Ренан Э. Аверроэс и авероизм. Киев. 1903.
13. Соколова Е.Е. Тринадцать диалогов о психологии. М., 1997.
14. Ярошевский М.Г. История психологии. 1996.
15. Brett G.S. History of psychology. (Ed. and abridged by R.S.Peters). London: Unvin LTD, 1953.
16. Klein D.B. A history of scientific psychology. New York – London, 1970.
17. Leahey T.H. A history of psychology: main currents in psychologycal thought. New Jersey: Prentice Hall, 1992.
18. Robinson D.N. An intellectual history of psychology. The universisty of wisconsin press, 1986.

# თავი 3. ფსიქოლოგიური აზრის განვითარება ახალი დროიდან ფსიქოლოგიური მეცნიერების დაფუძნებამდე

## 3.1. ფსიქოლოგიური აზრი ახალ დროში

ახალი დრო მეცნიერული რევოლუციით აღინიშნა. სამყარო გალილეისა და ნიუტონის იდეების მიხედვით იქნა გააზრებული. ნიუტონის მექანიკის კანონების მიხედვით შესაძლებელი გახდა ყოველი ფიზიკური სხეულის მოძრაობისა და აღგილმდებარეობის გამოთვლა-პროგნოზირება. ეს იყო კაუზალური პრინციპის, კერძოდ მექანიკური დეტერმინიზმის ტრიუმფი. სამყარო მექანიზმია, რომელიც მექანიკის კანონების მიხედვით მოქმედებს. ეს მსოფლმხედველობა ახალი დროის ფსიქოლოგიის წინაშე მწვავე საკითხებს სვამდა: არიან თუ არა ცოცხალი არსებები, მათ შორის ადამიანები, მექანიზმები? რა აღგილი უკავია სამყაროს ფიზიკურ სურათში სულს? მიეკენება თუ არა მას საბუნებისმეტყველო-ემპირისტული მეთოდოლოგია? ამის გათვალისწინებით დეკარტეს როლი ფსიქოლოგიის ისტორიაში სრულიად განსაკუთრებულია. მის მოძღვრებაში ცნობიერების შესახებ მოცემულია მეტაფიზიკური სულისაგან ფსიქიკური სინამდვილის გამოყოფის კრიტერიუმი. ფსიქიკა არის რეალობა, ემპირია, შინაგანი სამყარო, რომელსაც საკუთარი ცნობიერი, თვითდაკვირვებისთვის მოცემული არსებობა აქვს. იგი უპირისპირდება ყოველივე მატერიალურს თავისი არსებობის საკუთარი წესით.

**რენე დეკარტე** (ლათინიზირებული რენატუს კარტეზიუს, აქედან სახელწოდება – კარტეზიანული ფილოსოფია) (1594-1650) ძველი ფრანგული არისტოკრატული გვარის წარმომადგენელი იყო. განათლება მიიღო იეზუიტთა კოლეჯში, სადაც დაეუფლა კლასიკურ ენებს, ისტორიას, ლიტერატურას, ლოგიკას, მათემატიკას, ფიზიკას, მეტაფიზიკას და ეთიკას. სწავლის დასრულების შემდეგ დეკარტემ იმსახურა ჯარში და იმოგზაურა რამდენიმე ევროპულ ქვეყანაში, რამაც საშუალება მისცა, დაემყარებინა პირადი კონტაქტები იმ დროის ბევრ გამოჩენილ მეცნიერთან და ინტელექტუალთან. საკმაოდ მხიარულად გატარებული ახალგაზრდობის მერე დეკარტემ გადაწყვიტა თავი მეცნიერებისთვის მიეძღვნა. იგი გადასახლდა ჰოლანდიაში, სადაც ოცი წლის განმავლობაში განმარტოებით ცხოვრობდა და ქმნიდა თავის ნაწარმოებებს. დეკარტეს კორესპონდენტებს შორის იყო შვედეთის განსწავლული დედოფალი ქრისტინე, რომელმაც საბოლოოდ დაითანხმა იგი, გამხდარიყო მისი ფილოსოფიის მასწავლებელი. ცხოვრების ყაიდის შეცვლა დამღუპველი აღმოჩნდა: სულ მალე დეკარტე აეად გახდა ფილტვების ანთე-

ბით და გარდაიცვალა. მრავალმხრივმა განათლებამ, ახლის ძიების მუდმივმა წყურვილმა და მრავალფეროვანმა ნიჭიერებამ დეკარტეს საშუალება მისცა, ძალა მოესინჯა მეცნიერების სხვადასხვა დარგში: იგი იყო უდიდესი ფილოსოფოსი და გამოჩენილი მათემატიკოსი, მუშაობდა ფიზიკასა და ფიზიოლოგიაში. რაც შეეხება დეკარტეს ფსიქოლოგიურ მოძღვრებას, ის გადმოცემულია როგორც მის ძირითად ფილოსოფიურ ტრაქტატებში, ისე სპეციალურ შრომებში, რომელთა შორის აღსანიშნავია წიგნი "სულის ვნებათა შესახებ" (1649).

დეკარტეს ფილოსოფიაში საკვანძოა ცოდნის ჭეშმარიტების პრობლემა. დეკარტე ეძებს ჭეშმარიტების კრიტერიუმებს და ეჭვი შეაქვს ყველა დებულებაში. ესაა მეთოდოლოგიური სკეპტიციზმი, რომლის საშუალებითაც ფილოსოფოსი იმედოვნებს, მიაგნოს ისეთ დებულებას, რომელშიც აღარ შეიძლება ეჭვის შეტანა. ის იქნება საფუძველი, რომელზეც დედუქციურად აიგება ახალი მეცნიერება. დეკარტეს დაეჭვება, პირველ რიგში, შეგრძნებათა სფეროს ეხება, რამდენადაც ყველაფერი ეყრდნობა აღქმებს (გრძნობად მონაცემებს), ხოლო ისინი არცთუ იშვიათად გვატყუებენ. ჩვენ მაშინაც ვატყუვებით, როდესაც რაიმე აღქმისა ან მოქმედების ცხადი განცდა გვაქვს, მაგრამ ირკვევა, რომ ეს მხოლოდ სიზმარი ყოფილა. ასევე გვატყუებს გრძნობები: მარტო ის რად ღირს, რომ განიცდი ტკივილს ამპუტირებულ კიდურში (ე.წ. უანტომის ეფექტი). ჩვენი მსჯელობები, მათემატიკური მტკიცებებიც კი, ეჭვის საფუძველს აჩენს, ვინაიდან, თუ ღმერთმა ადამიანი არასრულყოფილად შექმნა, მისი მსჯელობებიც შეიძლება შეცდომებს შეიცავდეს.

ამრიგად, ყველაფერში შეიძლება ეჭვის შეტანა, მაგრამ ეს საყოველთაო ეჭვი, ამავე დროს, ერთი ეუჭველი დებულების მაჩვენებელიცაა: სხვა რომ არაფერი არ არსებობდეს, თვით დაეჭვება ხომ სახეზეა, ის ხომ როგორც ფაქტი არსებობს. დაეჭვება აზროვნების გამოელინებაა, რაკი ეეჭვობ, ე.ი. ვაზროვნებ. აქედან კი აუცილებლობით და უტყუარად გამომდინარეობს, რომ არსებობს ამ ეჭვის, ანუ აზროვნების მატარებელი მოაზროვნე სუბიექტი, "მე". Cogito ergo sum – ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ – ეს არის ჭეშმარიტი ამოსავალი დებულება. იგი გულისხმობს რაციონალური საწყისის პრიორიტეტს შემეცნებაში (დეკარტე რაციონალიზმის ერთ-ერთი მთავარი სახეა). მაგრამ Cogito მხოლოდ აზროვნების ფილოსოფიური პრინციპი არ არის, იგი აზროვნების სუბიექტურად განცდილი პროცესიცაა, რომლისაგანაც ვერ გამოაცალკევებ მოაზროვნე სუბიექტს. მასში, შეიძლება ითქვას, შერწყმულია შემეცნება (გნოსეოლოგია) და ყოფიერება (ონტოლოგია). არა მხოლოდ შემეცნების შესაძლებლობაზე, არამედ გარკვეულ ფსიქიკურ რეალობაზეც არის მითითება. Cogito ფსიქოლოგიური დებულებაცაა, ვინაიდან მასში აზროვნების (ცნობიერების) არსებობისა და რაობის ცხადყოფა ხდება.

მაგრამ რა არის თავად აზროვნება? დეკარტე იმდენად აფართოებს ამ ცნების შინარსს, რომ, არსებითად, აიგივებს მას ცნობიერებასთან, თუმცა არ იყენებს ტერმინს "ცნობიერება": "აზროვნება არის ყველაფერი ის, რაც ჩვენში ხდება და თანაც ისე, რომ ამას უშუალოდ აღვიქვამთ (განვიცდით); ამიტომ აზროვნება ნიშნავს არა მხოლოდ გაგებას, არამედ სურვილს, წარ-

მოსასვლას, გრძნობას". აზროვნება ყოფილა მთელი ჩვენი სულიერი ცხოვრება, რომლის არსებობის შესახებ ჩვენ "ეიცით", რომელიც "მოხანს" ჩვენს *შინაგან აღქმაში.* აზროვნება არ არის მხოლოდ ამოცანის გადაწყვეტის ინტელექტუალური პროცესი, როგორც დღევანდელი ფსიქოლოგია იტყოდა. ის მოიცავს ყველა ფსიქიკურ მოელენას, რომელიც უშუალოდ განიცდება, ანუ ცნობიერდება. აზროვნება სულის უმთავრესი ნიშანია (თვისებაა) და, არსებითად, სულის მიერ თავისი არსებობის დადასტურების, ასახვის, *თვითცნობიერების* ტოლფასია.

ამრიგად, არსებითად, დეკარტემ ჩამოაყალიბა ის პოსტულატი, რომელზეც ახალი დროის ფსიქოლოგია აიგო. მას უფრო დაზუსტებული ფორმა მისცა ჯ. ლოკმა და ამით ემპირიულ ფსიქოლოგიას ჩაუყარა საფუძველი. რაციონალისტ დეკარტეს და ემპირისტ ლოკს ის აერთიანებს, რომ ორივე *ცნობიერების ფსიქოლოგიას* ქმნის. მათთვის ამოსავალი ცნობიერების არსებობის დადასტურებაა. პირველი, რასაც ადამიანი თავის თავში აღმოაჩენს, მისი საკუთარი ცნობიერებაა. ფსიქოლოგიის ამოცანა ცნობიერების მდგომარეობათა და შინაარსების ანალიზია. ცნობიერების ფსიქოლოგიის სხვადასხვა ვერსიებში, რომლებიც ახალი დროიდან მოყოლებული XX საუკუნის დასაწყისამდე ბატონობდნენ ფსიქოლოგიაში, განსხვავებული შეხედულებები არსებობდა იმაზე, თუ რას წარმოადგენს ეს შინაარსები, საიდან ჩნდება ისინი და როგორ უნდა ხდებოდეს მათი შესწავლა. რაციონალური (დეკარტესეული) და ემპირისტული (ლოკისეული) ფსიქოლოგია ამაში საფუძვლიანად უპირისპირდება ერთმანეთს, თუმცა ორივე ცნობიერების ფსიქოლოგიაა. ამასთანავე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რაციონალური ფსიქოლოგია მეტაფიზიკურ საკითხებს ანიჭებს პრიორიტეტულ მნიშვნელობას.

როგორ აქვს წარმოდგენილი ცნობიერება დეკარტეს? ამ კითხვაზე პასუხი სუბსტანციების შესახებ მოძღვრებაშია მოცემული. დეკარტემ დაუშვა, რომ ბუნებისა და ფსიქიკის კონკრეტული მოელენების მიღმა და მათ საფუძველში არსებობს *მატერიალური და სულიერი სუბსტანცია.* სუბსტანცია არის "ის რაც არსებობს და რომელსაც თავისი არსებობისთვის არაფერი ესაჭიროება, გარდა თავისთავისა". საკუთრივ სუბსტანციის არც დანახვა შეიძლება და არც წარმოდგენა; მას მხოლოდ აზროვნება სწვდება. ეს კონკრეტულად მის არსებით, განუყოფელ თვისებას, ანუ *ატრიბუტს* ეხება. მატერიალური სუბსტანციის ერთადერთი ატრიბუტია განფენილობა, ხოლო სულიერი სუბსტანციისა — აზროვნება (ცნობიერება). მაშასადამე, ცნობიერება სულის ისეთი ნიშანია, რომელიც მას ყოველთვის ახლავს და რომლის გარეშე ის ვერ მოიაზრება. ეს იმას ნიშნავს, რომ სული ყოველთვის აზროვნებს, ანუ შიგნიდან აღიქვამს თავის ფსიქიკურ შინაარსს, ხედავს და აცნობიერებს მას. დეკარტეს მიაჩნია, რომ არაცნობიერი ფსიქიკა, არაცნობიერი სულიერი მოვლენა არ არსებობს. სულიერი მხოლოდ ცნობიერი შეიძლება იყოს.

განფენილობის ნიშნის მქონე მატერიალური სუბსტანციის ყველა გამოვლინებას აქვს სიგრძე, სიგანე, მოცულობა, ფორმა; ის დანაწევრებადია, აქვს მოძრაობის უნარი და ა.შ. ასეთია მთელი ბუნება, ციური და დედამი-

წაზე არსებული სხეულები, მათ შორის ცხოველებისა და ადამიანების სხეულებიც. სულ სხვაა არაგანუფენილი და მოაზროვნე სული. ის არის ერთიანი და განუყოფელი. სული მარტივია – ამბობს დეკარტე და ამით უარყოფს ძველ ატომისტურ (მატერიალისტურ) შეხედულებებს სულზე. უფრო მეტიც, იგი ემიჯნება არისტოტელესაც, ეისი მოსაზრებებიც ლომინირებდა მანამდე არსებულ ფსიქოლოგიაში. არისტოტელემ უარი თქვა წინამორბედი ბერძნული ფსიქოლოგიის გულუბრყვილო პილოზოფიზმზე, ანუ მთელი ბუნების განსულიერებაზე. მან მკაცრად გამიჯნა არაცოცხალი და ცოცხალი ბუნება. სულიერი რეალობა ამ უკანასკნელს დაუკავშირა და, რიგ შემთხვევებში, გააიგივა კიდეც მასთან (არისტოტელემ დაუშვა ე.წ. ვეგეტაციური სულის არსებობა, რომლის თვისებები ზრდისა და გამრავლების ბიოლოგიური ფუნქციებით შემოიფარგლება). დეკარტემ შემდეგი ნაბიჯი გადადგა – მან მკაფიო საზღვარი გააკეთა ცოცხალსა და სულიერს შორის. ცოცხალი სხეული მატერიალურია, მაშასადამე განუფენილი და დანაწევრებადია. სული არის *მოაზროვნე, არასხეულებრივი, მთლიანი, განუყოფელი.*

სულის ერთიანობისა და განუყოფლობის აღიარება არ ნიშნავს იმას, რომ სულს არა აქვს სხვადასხვა გამოვლინება, რომ არ არსებობს განსხვავებული სულიერი მოქმედებები. დეკარტე ცნობიერების შინაარსების ორ კლასს გამოყოფს: ერთი შემეცნებას ემსახურება და *იდეების* სახით არსებობს, მეორე კი მოქმედებას უდევს საფუძველად და *ნებელობით* აღინიშნება. თავის მხრივ იდეების სამი სახეობა გამოიყოფა. პირველი – გარეგან, გრძნობადი აღქმის გზით, გამოცდილებით მიღებული იდეებია. ასეთი *შეძენილი იდეები* შეიძლება ორგვარი იყოს – სუბიექტის ინდივიდუალური გამოცდილების შედეგი (ჩემი საკუთარი წარმოდგენები საგნებზე, მოვლენებზე და მათ თვისებებზე) და სხვა ადამიანთა მიერ განზოგადებული იდეები (სწავლით, კითხვით თუ სხვებთან ურთიერთობით მიღებული ცოდნა). პირველი ტიპის იდეები ხშირად შეიცავს შეცდომას, ვინაიდან გრძნობადი გამოცდილება ცოდნის სანდო წყარო არ არის. მეორე შემთხვევაში იდეები უფრო ადეკვატური და სრულყოფილია, ვინაიდან ისინი სხვადასხვა და, როგორც წესი, განსაკუთრებით უნარიანი ხალხის განზოგადებულ გამოცდილებას ემყარება. მიუხედავად ამისა, არც მათი მეშვეობით შეგვიძლია ვწვდეთ ნამდვილ ჭეშმარიტებას, გარე თუ შიდა სამყაროს მოვლენების არსს.

შეძენილი იდეების გარდა, არსებობს ჩვენ მიერ *შექმნილი იდეები.* ისინი მოცემული ელემენტების თავისუფალი კომბინირების, ფანტაზიის გზით მიიღება (მაგალითად, კენტაური, სირინოზი, ქიმერა და ა.შ.). დაბოლოს, ჩვენ გვაქვს ე.წ. *თანდაყოლილი იდეები.* ისინი არც გარე გამოცდილებით მიღებულ იდეებს გვანან, და არც წარმოსახვით გაჩენილ მითოლოგიურ წარმოდგენებს. ასეთი იდეები იმთავითვე იმყოფება სულში და საგნების, მოვლენებისა თუ აზროვნების კანონების შესახებ ჭეშმარიტი ცოდნის ერთადერთ წყაროდ გვეველინება. თანდაყოლილ იდეებს მიეკუთვნება იდეა ღმერთის, "მე"-ს, რიცხვის, სრულყოფილების, უსასრულობის, მიზეზობრიობის და სხვათა შესახებ. ასეთი ზოგადი ცნებები პირდაპირ ეძლევა გონებას და არ საჭიროებს გრძნობის ორგანოებით მიღებულ ფამატებით ცნობებს ან დედუ-

ქციურ მტკიცებებს. თანდაყოლილი იდეის უტყუარობაში "გონების სინათლე", ე.წ. *რაციონალური ინტუიცია* გვარწმუნებს. თანდაყოლილი ცოდნის ჭეშმარიტების კრიტერიუმი მის უშუალოდ მოცემულ სინათლესა და გარკვეულობაშია.

სხეული, ცხოველისა იქნება ის თუ ადამიანის, ემორჩილება ფიზიკის, კერძოდ მექანიკის კანონებს, იგი ავტომატია. სხეული შეიძლება შეეადაროთ საათს, რომელიც, თუ კარგად არის აწყობილი და შესაბამისი მატერიალური პირობები აქვს სათანადო მოქმედების შესასრულებლად, უნაკლოდ მუშაობს. დეკარტე იძლევა ამ ავტომატის – სხეულის აღწერას იმჟამად არსებულ ცოდნაზე დაყრდნობით. მან იცოდა ზოგი რამ სისხლის მიმოქცევის, საჭმლის მონელების, კუნთების ანატაგონისტური მოქმედების და სხვა ფიზიოლოგიური პროცესების შესახებ. ესმოდა ისიც, რომ შეგრძნებები და მოძრაობები ნერვებთან არის დაკავშირებული. ნერვების მოქმედებას დეკარტე მატერიალისტურად ხსნის, თუმცა იყენებს ძველებურ ცნებას, *ცხოველური სულები*. ისინი ძალიან მცირე ზომის და სწრაფად მოძრავი მატერიალური ნაწილაკებია, რომლებიც მოძრაობის უშუალო მიზეზად გვევლინება. მოძრაობა, ფიზიოლოგიის თვალსაზრისით, ერთი კუნთის შეკუმშვასა და მეორის გაჭიმვაში მდგომარეობს. შეკუმშვას იწვევს ცხოველური სულები, შეკუმშული კუნთი კი ამოძრავებს სხეულის სათანადო ნაწილს. ეს პროცესი ნერვების საშუალებით ხორციელდება. ნერვი კი არის მილაკი, რომელიც ორივე მიმართულებით ატარებს ცხოველურ სულებს. ნერვული მილების შიგნით მოთავსებულია ნერვული ძაფები. ერთი ბოლოთი ისინი უერთდებიან ტვინის შესაბამის არეს, ხოლო მეორით – სხეულის გარკვეულ ნაწილს. როდესაც ვამღიზიანებელი სხეულის სათანადო ნაწილზე მოქმედებს, ნერვული ძაფი იჭიმება და აღებს სარქველს ტვინში. ტვინიდან ნერვულ მილებში გამოდიან ცხოველური სულები, აღწევენ კუნთამდე და ჭიმავენ მას.

ეს არის ე.წ. *რეფლექტორული რკალის* პირველი აღწერა მეცნიერებაში. ასე ხორციელდება ადამიანის ყველა უნებლიე, მექანიკური მოძრაობა ანუ ის მოძრაობა, რომელიც სრულდება ადამიანის ცნობიერების, განზრახვის გარეშე, გარე ზემოქმედების შედეგად. რაც შეეხება ცხოველს, მისი ყველა მოძრაობა ასეთია, ვინაიდან მას საერთოდ არა აქვს უკვდავი სული, აზროვნება და თავისუფალი ნება. ცხოველები მთლიანად მატერიალური სამყაროს (სუბსტანციის) გამოვლინებაა. დეკარტე მათ მანქანებს, ავტომატებს უთანაბრებს. ცხოველები ზოგ რაიმეს, შესაძლოა, ჩვენზე უკეთაც აკეთებენ, მაგრამ ეს მხოლოდ იმაში გვარწმუნებს, რომ "ისინი მოქმედებენ იმავე მიზეზების გავლენით, რითაც საათის მექანიზმის ზამბარები და კბილანები, მექანიზმისა, რომელიც გაცილებით ზუსტად ზომავს დროს, ვიდრე ეს ჩვენი მსჯელობის საშუალებით შეგვიძლია გავაკეთოთ". მაგრამ, თუ ცხოველი სულიერ სუბსტანციას არ მიეკუთვნება, მას ცნობიერებაც არა აქვს, ე.ი. ვერაფერს გრძნობს. ამიტომ იყო, რომ დეკარტე და იმ დროის სხვა მკვლევარები, მეცნიერული მიზნებით, აუღელვებლად ატარებდნენ ცხოველების ვივისექციას და ყურადღებას არ აქცევდნენ ტანჯული არსებების კონვულსიებს და ხმებს, რამდენადაც ეს მხოლოდ მანქანის ვიბრაციად ან ჰიდრავ-

ლიკური მექანიზმის ხმაურად იყო მიჩნეული.

ეს ყოველივე მართლდება სხეულისადმი მკაცრად მექანიცისტური მიდგომის ფარგლებში. ადამიანზე ეს, ცხადია, ვერ გავრცელდება, ვინაიდან ადამიანი არის განსულიერებული სხეული. ადამიანის სხეული სულის სამყოფელია, ანუ, სხვანაირად, მოაზროვნე სხეულია. ამდენად, სხეულის მოქმედება მხოლოდ მექანიკის კანონებით ვერ აღიწერება. სული სხეულში არსებობს და მასთან ერთად მოქმედებს. გამოცდილება, თვითდაკვირვება ადასტურებს სულისა და სხეულის უმჭიდროეს კავშირს. მოთხოვნილებები, შეგრძნებები, გრძნობები სხეულისა და სულის ერთობლივი პროდუქტია. აზროვნებისა და ნებელობის მქონე ცნობიერი სული უნდა ზემოქმედებდეს სხეულზე და განიცდიდეს მის უკუქმედებას. სულის განზრახვა, სურვილი გადაადგილდეს სივრცეში, სრულდება სხეულის კუნთების, მყესებისა და ნერვების მეშვეობით. ზუსტად ასევე, როცა სხეულზე ზემოქმედებს რაიმე გამღიზიანებელი (სინათლე, ხმა, სუნი და ა.შ..) მისი დაფიქსირება, გრძნობადი მონაცემების დამუშავება და საპასუხო მოქმედებაზე გადაწყვეტილების მიღება ადამიანის გონების, ცნობიერების მეშვეობით ხდება.

იმისთვის, რომ განფენილი სხეულისა და მოაზროვნე სულის ეს კავშირი განხორციელდეს, მათი ურთიერთზემოქმედება შედგეს, აუცილებელია მათ შორის კონტაქტში არსებობდეს. მაგრამ აქ ორი კითხვა ჩნდება: სად და როგორ? პირველ მათგანზე პასუხი ასეთია – კონტაქტი სულსა და სხეულს შორის მყარდება პატარა ჯირკვალში, ე.წ. ჯანღუბისებრ სხეულში (ეპიფიზში), რომელიც ტვინის არაწყვილეული ნაწილია. დეკარტეს მიაჩნდა, რომ ტვინი განსაკუთრებულ როლს თამაშობს ფსიქიკური პროცესებისა და მოქმედებების პროდუცირების საქმეში: გრძნობის ორგანოებიდან იმპულსები ტვინისკენ მიემართება, და მისგანვე მოდის სამოძრაო იმპულსები. ამასთან, რადგან სული ერთიანია და განუყოფელი, მას არ შეუძლია სხვადასხვა პუნქტებში იმოქმედოს სხეულზე; აქედან გამომდინარე, ურთიერთზემოქმედების წერტილად დეკარტემ სწორედ ტვინის ერთადერთი არაწყვილეული ორგანო აირჩია. თვით ურთიერთზემოქმედება კი დეკარტემ მექანიცისტურად გაიაზრა. ჯანღუბისებრი სხეული ძალიან მგრძნობიარე ორგანოა და ცხოველური სულების ყოველგვარ მოძრაობას "იჭერს". ამ მოძრაობათა რაგვარობა დამოკიდებულია იმაზე თუ რა საგანმა და რა ვითარებაში აღძრა ისინი. ცხოველური სულების განსხვავებული მოძრაობები აისახება ჯანღუბისებრ სხეულში სხვადასხვა სულიერი განცდების – აღქმებისა და აფექტების სახით. თავის მხრივ, სულმა (გონებამ, ნებელობამ) შეიძლება გამოიწვიოს ჯირკვლის აქეთ-იქით მოძრაობა, რაც წარმართავს ცხოველურ სულებს. ისინი მიემართებიან ტვინის სარქველებისკენ და იქიდან, ნერვების გავლით, ხვდებიან კუნთებში. ასე იწვევს სული ნებისმიერ, განზრახულ მოქმედებას. იგივე მეორდება მოგონებებთან და წარმოდგენებთან დაკავშრებით. მაგალითად, როდესაც სულს რაიმეს გახსენება სურს, იგი ამოძრავებს ჯირკვალს, რომელიც აგზავნის ცხოველურ სულებს ტვინის სხვადასხვა ნაწილებში. ისინი იქამდე მოძრაობენ, ვიდრე არ მოხვდებიან ტვინის იმ ნაწილში, სადაც დარჩენილია გასახსენებელი საგნის კვალი და სადაც მოთავსებუ-

ლია ამ საგნის აღქმისას გამოყენებული სარქველი.

დეკარტეს ეს შეხედულება ისე არ უნდა გაიგოთ, თითქოს სული ჯანღუბისებრ სხეულშია მომწყვდეული, როგორც ბოგჯერ ფიქრობენ ხოლმე. ჯირკვალი მხოლოდ გაშუალების, ურთიერთდაკავშირების ფუნქციას ასრულებს. იმისთვის, რომ განუფენელმა სულმა განფენილ სხეულზე იმოქმედოს, საჭიროა არსებობდეს წერტილი, სადაც ეს ზემოქმედება განხორციელდება – სწორედ ასეთი წერტილია ჯანღუბისებრი სხეული. ზოგადად კი სულის სამყოფელი მთელი სხეულია. აქ შეიძლება გაჩნდეს კითხვა – რაკი სული მთელ სხეულთან არის დაკავშირებული, რატომ არ შეუძლია მას, იმოქმედოს სხეულის თითოეულ ნაწილზე და, შესაბამისად, მისგან განიცადოს გავლენა? დეკარტესთვის ასეთი ვარიანტი მიუღებელია, ვინაიდან ამ შემთხვევაში სხეული აღარ იქნება ის სრულყოფილი მექანიზმი, რომელიც მის წარმოდგენაში არსებობს – ადამიანის სხეულიც სომ კარგად აწყობილი მანქანაა. ცხოველის ფიზიოლოგია გასაგებია, აქ არ არის სული და ყველაფერი ფიზიკურზე დაიყვანება. სულს რომ ყოველ პუნქტში შეეძლოს სხეულზე ზემოქმედება, ადამიანის ფიზიოლოგია ბუნებისმეტყველური, *მექანიცისტური დეტერმინიზმის* მიღმა დარჩება.

დეკარტეს ემპირიული "აღმოჩენები" ცხოველურ სულებთან და ჯანღუბისებრ ჯირკვალთან დაკავშირებით მის ეპოქაშიც არ იყო სერიოზულად აღქმული (მაგალითად, ის საკმაოდ კრიტიკულად შეაფასა სპინოზამ). მაგრამ ფსიქოფიზიკური პრობლემის დეკარტესეულმა გააზრებამ მრავალ სწავლულს გაუჩინა თავსატეხი. იგი გახდა კარდინალური ხასიათის სირთულეების წყარო, და ფსიქოლოგიას მთელი შემდგომი განვითარების გზაზე გაპყვა. ეს პრობლემა, თავისთავად, ახალი არ იყო. ის, თუ რა მიმართებაშია ერთმანეთთან ფსიქიკური და ფიზიკური, სულიერი და მატერიალური (*ფსიქოფიზიკური პრობლემა*), ან, უფრო კონკრეტულად, ფსიქიკური და ფიზიოლოგიური, სული და სხეული (*ფსიქოფიზიოლოგიური პრობლემა*), ანტიკურ მკვლევარებსაც აინტერესებდათ. დეკარტემ ამ პრობლემის ფორმულირება ე.წ. *დუალისტური* თვალსაზრისის კონტექსტში სცადა. მან მკვეთრად დაუპირისპირა ერთმანეთს მატერიალური და სულიერი სუბსტანცია, დაახასიათა ისინი აბსოლუტურად განსხვავებული ატრიბუტებით და ამით ლოგიკურად გამორიცხა მათი გავლენა ერთმანეთზე. მეორე მხრივ, ასეთი ურთიერთგავლენის შესახებ უამრავი ემპირიული ფაქტი მეტყველებს (მაგალითად, სხეულებრივი პროცესების დარღვევა ფსიქიკური პროცესების აშლილობას იწვევს, სხეულზე მომქმედი გარკვეული ნივთიერებები, ვთქვათ ნარკოტიკები, აღძრავს სპეციფიკურ სულიერ მოვლენებს და ა.შ. თავის მხრივ, სულიერი კომფორტი ან დისკომფორტი სათანადოდ აისახება ორგანიზმზე და იწვევს მოძრაობას, ანუ ფიზიოლოგიურ პროცესს და ა.შ.).

დეკარტე, როგორც ბუნებისმეტყველი, გვერდს ვერ უვლის ემპირიულ გამოცდილებას და მის საფუძველზე აყალიბებს ე.წ. *ურთიერთზემოქმედების თეორიას*. იგი დღესაც ფსიქოფიზიკური პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი უმთავრესი ვარიანტია. ეს კონცეფცია უშვებს სულიერი და სხეულებრივი პროცესების ერთმანეთზე ზემოქმედების შესაძლებლობას, რითაც ეწინააღმ-

ლეგება ღუალისტურ თეალსაზრისს: სულისა და სხეულის სუბსტანციონალობა, მაგრამ კატეგორიული გამიჯვნა თეორიულ ლონეზე გამორიცხავს ამ ორი სუბსტანციის ურთიერთზემოქმედებას. ამას განმარტებაც აღასტურებს, რომლის თანახმად, სუბსტანციას არსებობისთვის საკუთარი თავის გარდა არაფერი ესაჭიროება. ესეც რომ არ იყოს, მოელენები, რომელთაც არც ერთი საერთო ნიშანი არა აქვთ, ერთმანეთზე ვერ იმოქმედებენ. აქ იმ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც თეორიული დებულება და ფაქტობრივი ვითარება ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდიან. დეკარტემ თავის სისტემაში ვერ მოახერხა მეტაფიზიკური ჰიპოთეზების შეთანხმება ემპირიულ დაკვირვებებთან. იგი თავადაც გრძნობდა ამ სირთულეს და ბოლოს ერ პირდაპირ ლაპარაკობდა სულისა და სხეულის ურთიერთზემოქმედების შეუმეცნებადობაზე. ერთ ადგილას, მაგალითად, დეკარტე ამბობს: რადგან არსებობს სხეულის თვლაც ერთი წერტილი, სადაც სული და სხეული პირდაპირ ეხება ერთმანეთს, ეს ნიშნავს, რომ იქ, იმ პუნქტში ან სული იძენს განუზომლობას და მატერიალიზდება, ან სხეული იძენს აზროვნების უნარს და განსულიერდება.

დეკარტეს ეკუთვნის საკმაოდ ცნობილი მოძღვრება გრძნობების შესახებ. მისი აზრით, *გრძნობას (ენებას)* ორმაგი ბუნება აქვს. ის შეიცავს როგორც სხეულებრივ კომპონენტებს, ისე აზრს საგნის შესახებ. სხეულებრივი საწყისი გრძნობას უმართავ, უნებლიე სასიათს ანიჭებს, ხოლო აზროვნებასთან კავშირი მას მართვად და აღზრდად მოელენად აქცევს. დეკარტე ასხვავებს გრძნობის მიზეზსა და წყაროს. გრძნობის მიზეზია ცხოველური სულები, რომლებიც სხეულებრივ ცვლილებებს იწვევენ. იგი აღწერს გრძნობების ფსიქოფიზიოლოგიას (პულსი, სუნთქვა და ა.შ.). რაც შეეხება გრძნობის წყაროს, ის მრავალგვარია, მაგრამ მთავარი მაინც გარე საგანთა ზემოქმედებაა. დეკარტე ასევე გამოყოფს ე.წ. *პირველად და მეორად* გრძნობებს. პირველადია ექვსი გრძნობა: გაკვირვება, სურვილი, სიყვარული, სიძულვილი, სიხარული, დარდი. მათი დანიშნულებაა სხეულისთვის იმის შეტყობინება, თუ რა არის მისთვის სასარგებლო ან საზიანო. მეორადი გრძნობები მათგანაა წარმოებული. გრძნობების მნიშვნელობა დიდია, "ისინი ასწავლიან სულს ისურვოს ის, რაც ბუნების მიხედვით სასარგებლოდ არის ცნობილი". ეს, ფაქტობრივად, გრძნობების შეგუებითი, ადაპტაციური თვალსაზრისია, რომელმაც მნიშვნელოვანი განვითარება პპოვა შემდგომდროინდელ ფსიქოლოგიაში და დღესაც ემოციის ბუნების გაგების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია.

საინტერესოა, აგრეთვე, დეკარტეს შეხედულება გრძნობების აღზრდაზე. ეს საკითხი იმის გამო დგება, რომ გრძნობები ხშირად გვატყუებენ და სიკეთე არ მოაქვთ. არის მრავალი საზიანო რამ, რაც არ იწვევს დარდს, პირიქით, გვახარებს კიდეც. ასევე, ბევრი რამ სასარგებლოა, მაგრამ უსიამოვნოდ განიცდება. მაშასადამე, გრძნობები უნდა აღიზარდონ. აქ ადამიანს ბევრი რამ შეუძლია, მაგრამ არის სირთულეც: უშუალოდ გრძნობაზე ვერ იმოქმედებ, შიშს სურვილისამებრ ვერ გააქრობ და მამაცი ვერ გახდები. არასასურველ გრძნობებთან, ენებებთან ბრძოლის საშუალებებია გონება და ნე-

ბელობა. პირველი ცხოვრებისეულ სიბრძნეს გვაგიარებს, გვაწვდის ცოდნას სასარგებლოსა და მავნეს შესახებ, ხოლო მეორე საშუალებას იძლევა, გაემიჯნოთ აზრი საგანსგან მის მიერ გამოწვეული ცხოველური სულებისაგან და დაუკავშიროთ ისინი მეორე აზრს საგნის შესახებ. ნებელობა აბრკოლებს ენებებით აღძრულ მოძრაობებს. მაგალითად, თუ რისხვა დასარტყმელად გვაწვევინებს ხელს, ნებელობა აკავებს მას, ან თუ შიში გასაქცევად გვიბიძგებს, ამასაც ნებელობა აღუდგება წინ.

საკითხი, თუ რა აძლევს ნებელობას ასეთ ძალას, დეკარტეს სისტემაში ღიად რჩება. ერთი რამ ცხადია. მექანიკურ დეტერმინიზმს, რომელიც გვეხსნის სხეულებრივი პროცესების მიზეზსა და მიმდინარეობას, აქ ძალა ეკარგება. ნებისყოფა წარმოდგენილია მეტაფიზიკურ ძალად, რომელიც თავისუფლად ერევა ფსიქოფიზიკურ პროცესებში და მათ ენებების საწინააღმდეგო მიმართულებით წარმართავს. *ნება ან ნების თავისუფლება*, ამბობს დეკარტე, არის ერთადერთი იმ უნართაგან, რომელიც, ჩემი გამოცდილებით, იმდენად ძლიერია, რომ მეტის წარმოდგენა შეუძლებელია. ეს ის უნარია, რომელიც თავს ღმერთის დარად მაგრძნობინებს. მაგრამ ადამიანი ღმერთს ვერ გაუტოლდება! იგი ხომ ღმერთის ქმნილებაა. დეკარტეს ტერმინებითვე რომ ვილაპარაკოთ, ადამიანი მოაზროვნე სხეულია, ხოლო სული და მატერია პირველადი, "ღვთაებრივი სუბსტანციის" მიმართ მეორადი, ანუ "შექმნილი სუბსტანციებია". ამიტომ, საკითხი ადამიანის ნების თავისუფლებისა თუ განსაზღვრულობის შესახებ პრინციპულ მნიშვნელობას იძენს არა მხოლოდ ფილოსოფიური ან თეოლოგიური თვალსაზრისით, არამედ ფსიქოლოგიური კუთხითაც, ვინაიდან ნებელობითი ქცევა ფსიქიკური აქტიობის სახეობაა და, ამდენად, ფსიქოლოგიის კელევის საგანი.

დეკარტე რამდენჯერმე უბრუნდება ამ საკითხს, მაგრამ დამაჯერებელ პასუხს ვერ პოულობს. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ნებელობითი ქცევის თავისუფლების პრობლემა ფსიქოლოგიის "მუდმივ პრობლემებს" მიეკუთვნება. მართლაც, როგორ შეიძლება მოქმედება გარეგანი და შინაგანი უაქტორებით იყოს განსაზღვრული და, ამასთანავე, თავისუფლების ნიშნითაც სასიათდებოდეს? ზემოთ მოყვანილი გამონათქვამიდან ჩანს, რომ დეკარტე თავის უშუალო გამოცდილებას ანუ განცდათა მონაცემებს ეყრდნობა, რომლებიც მას უეჭველად უდასტურებენ თავისუფალი ნების ძალას რაიმე სახის განსაზღვრულობის გარეშე. "ჩვენი ნებისყოფის თავისუფლების წედმა ხდება დასაბუთების გარეშე, მხოლოდ ჩვენი შინაგანი გამოცდილებით". თვითცნობიერების ეს გამოცდილება (განცდა) ყველა ადამიანს აქვს და, ამდენად, ნების თავისუფლება უაქტია, ფიქრობს დეკარტე. ამით ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიაში შემოაქვს ნების თავისუფლების დასაბუთების ფენომენოლოგიური არგუმენტი, რომელსაც ამის შემდეგ ყველა ინდეტერმინისტი მიმართავდა. მაგრამ როგორია ადამიანის თავისუფლების მიმართება ღმერთის ნებასთან? არც თვითდაკვირვება და არც რაციონალური ინტუიცია არაფერს გვეუბნება იმაზე, ახდენს თუ არა ღმერთი ჩვენი თავისუფალი ქცევის დეტერმინაციას. ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ისტორიკოსის ზუსტი შეფასებით, დეკარტემ ვერ დაძლია ეს დილემა: "ან ღმერთის ყოველადშემძლეობა და

ყოველიეს საფუძველობა უნდა შერყეულიყო, ან ადამიანის თავისუფლება უნდა უარყოფილიყო. დეკარტეს ერთ-ერთი ფორმულა – ადამიანი ერთი მხრივ დამოკიდებულია ღმერთზე, ხოლო მეორე მხრივ არა – როგორც ჩანს, თვით დეკარტეს არ აკმაყოფილებდა" (ა. ბოჭორიშვილი).

სულ სხვაგვარად დაისვა თავისუფლებისა და ფსიქოფიზიკური პრობლემები სპინოზას ფილოსოფიურ სისტემაში. **ბარუხ (ბენედიქტ) სპინოზა** (1632-1677) დაიბადა ამსტერდამში, შეძლებული ებრაელი ვაჭრის ოჯახში.

რელიგიურ სასწავლებელში იგი უდიდესი ნიჭიერებით გამოირჩეოდა, მაგრამ ვერ შეეგუა ბიბლიისა და თალმუდის დოგმატურ განმარტებებს და თავისი ინტერესი მათემატიკის, ბუნებისმეტყველების, მედიცინისა და ფილოსოფიის შესწავლისკენ მიმართა. თავისუფალი აზროვნებისთვის იგი ამსტერდამის ებრაული თემიდან მოკვეთეს, რის შემდეგაც სოფელში დასახლდა. აქ იგი ინტენსიურ სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდა, საარსებო სახსრებს კი ლინზების დამუშავებით შოულობდა. სპინოზას ძირითადი ნაშრომი "ეთიკა" მისი სიკვდილის მერე დაიბეჭდა. ნაშრომი გეომეტრიის მსგავსად არის აგებული და შედგება განსაზღვრებების, აქსიომების, თეორემებისა და მტკიცებულებებისაგან.

სპინოზა იმ დებულებიდან ამოდის, რომ არსებობს მხოლოდ ერთი სუბსტანცია, რომელსაც იგი ღმერთს ან ბუნებას უწოდებს. ბუნება ღმერთთან არის გაიგივებული იმ აზრით, რომ ის, როგორც სუბსტანცია, აბსოლუტურად დამოუკიდებელია, არაფრით არის განსაზღვრული, არ არის შექმნილი და მარადიულია. ბუნება (სუბსტანცია) თავისთავით იხსნება. აქ სპინოზა პრინციპულად უპირისპირდება დეკარტეს დუალიზმს და *მონისტურ* თვალსაზრისზე დგება. ბუნება უსასრულოა და, ამდენად, უსასრულო რაოდენობის ატრიბუტი ახასიათებს. ადამიანის გონება მათგან მხოლოდ ორს სწვდება: განფენილობას და აზროვნებას. ის, რაც დეკარტესთან ორი სუბსტანციის სახით იყო წარმოდგენილი, სპინოზასთან ერთი სუბსტანციის ორი ატრიბუტის სახით არის გააზრებული. ერთიანი და განუყოფელი სუბსტანციის ყოველი კონკრეტული გამოვლინება (ანუ მოდუსი), განხილული განფენილობის კუთხით, არის ობიექტური საგანი, ხოლო აზროვნების ატრიბუტის თვალსაზრისით – ამ საგნის იდეა ან მისი სულიერი მხარე. მაგალითად, ბუნებაში არსებული მართკუთხედი და ამ მართკუთხედის იდეა არის ერთი და იგივე რამ, მაგრამ სხვადასხვაგვარად გამოხატული. შეიძლება ითქვას, რომ ისინი ერთი რეალობის ორ მხარეს წარმოადგენენ. შესაბამისად, ბუნებისა და საკუთარი თავის შემეცნებისას ჩვენ შევისწავლით ერთსა და იმავე მიზეზობრივ კავშირს, ერთსა და იმავე კანონზომიერებას, ოღონდ სხვადასხვა კუთხით. ამაზე მიუთითებს სპინოზას ცნობილი თეზისი, რომელიც განსხვავებული ინტერპრეტაციის საგანი გახდა: "იდეათა წესრიგი და კავშირი იგივეა, რაც საგანთა წესრიგი და კავშირი". ეს დებულება არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ საგნებს იდეები განსაზღვრავს; ისინი ერთმანეთზე არ

ზემოქმედებენ, ერთმანეთს არ იწვევენ. ისინი ერთმანეთს შეესაბამებიან.

იგივე ითქმის ადამიანის სულისა და სხეულის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. სხეული და სული ერთიანობაა, ერთი ინდივიდია, მოაზროვნე სხეულია, რომელიც ხან ერთი ატრიბუტით ხასიათდება, ხან მეორით. არც სხეულს შეუძლია სულში აზროვნება გამოიწვიოს და არც სულს – აამოძრაოს სხეული, ამბობს სპინოზა. ამით იგი პრინციპულად უპირისპირდება დეკარტეს ურთიერთზემოქმედების თეზისს. სული და სხეული განცალკევებულად არ არსებობენ, ისინი ჩართული არიან ბუნების ერთსა და იმავე წესრიგში და ერთიანი სუბსტანციის კონკრეტული მოღუსის, სახელდობრ, ცოცხალი ადამიანის ორ გამოვლინებაა. ამიტომ ისინი კი არ განსაზღვრავენ, არამედ შეესაბამებიან ერთმანეთს.

სულის დახასიათება სპინოზას სისტემაში მჭიდროდ უკავშირდება მის თვალსაზრისს ფსიქოფიზიკური პრობლემის შესახებ. თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, სპინოზა, არსებითად, ორი სახის სულიერ (ფსიქიკურ) პროცესზე საუბრობს: *შემეცნებითზე* და *მოტივაციურ-აფექტურზე*. ამასთან, პრიორიტეტი პირველს ენიჭება (სპინოზა რაციონალიზმის ხაზის გამგრძელებელია). სულის არსი შემეცნების უნარშია, რაც მის მიერ ცნებების ან იდეების პროდუცირებაში ვლინდება. სპინოზა გამოყოფს სამი სახის იდეებს და, შესაბამისად, შემეცნების პროცესის სამ საფეხურს. პირველს ეწოდება *შეხედულება ან წარმოსახვა*. ესაა გრძნობად გამოცდილებაზე დაფუძნებული ცოდნა კონკრეტული საგნების შესახებ. ასეთი გზით მიღებული იდეები ბუნდოვანია და უწესრიგო. ისინი არ შეესაბამებიან საგნებისა და მოვლენების ნამდვილ ბუნებას – არც სულიერს, არც მატერიალურს. მეორე საფეხურის შემეცნებას ეწოდება *განსჯა ან გონება*. ის გვაძლევს მსჯელობის გზით მოპოვებულ ზოგად ცნებებს, ნათელ და აღექვატურ იდეებს. მათი ნაკლი კონკრეტული საგნის ინდივიდუალობის გაუთვალისწინებლობაა. მესამე, ე.წ. *ინტუიციურ შემეცნებაში* ეს ნაკლიც მოხსნილია. მასში გახსნილია საგნის ჭეშმარიტი ბუნება, რაც ხორციელდება როგორც არსებითი, ისე ინდივიდუალური თვისებების ერთდროული ინტუიციური წვდომის საფუძველზე.

სპინოზა აყალიბებს დასრულებულ მოძღვრებას *აფექტების* შესახებ. აფექტების გაგებაში ყველაზე მკაფიოდ აისახა მისი პოზიცია ფსიქოფიზიკურ პრობლემასთან დაკავშირებით. აფექტი ბუნებრივი მოვლენაა. მას სხეულებრივი მხარეც აქვს და სულიერიც. ზემოთ განხილული განფენილობის ატრიბუტის კუთხით აფექტი სხეულის მდგომარეობად შეიძლება მივიჩნიოთ, ხოლო აზროვნების ატრიბუტის კუთხით ის სულიერ მოვლენად წარმოგვიდგება. დღევანდელი ენით რომ ვთქვათ, აფექტი ფსიქოფიზიკური ფენომენია. შემთხვევითი არ არის, რომ ფსიქოლოგიის ისტორიკოსები ბევრ საერთოს პოულობენ სპინოზას შეხედულებებსა და ჯეიმს-ლანგეს ემოციების ორგანიზმულ თეორიას შორის.

სპინოზა გამოყოფს აფექტების სამ სახეობას. პირველია *ენებები*. ისინი გამოხატავენ ყოველი არსების ბუნებრივ სწრაფვას თვითშენარჩუნებისკენ. გაცნობიერებულ ენებას სურვილი ეწოდება. აფექტის მეორე და მესამე

სახეობაა *სიამოვნება და უსიამოვნება*. აფექტის ყველა დანარჩენი გამოვლინება ამ პირველადი აფექტებიდან არის წარმოებული. ყოველი აფექტი, პრინციპში, გამოხატავს ადამიანის დამოკიდებულებას საგნების მიმართ. აქედან გამომდინარე, ყველაფერი, რაც ხელს უწყობს თვითშენახვას, იწვევს სიამოვნებას და პირიქით. სასიცხოველო გრძნობები აადვილებენ ადამიანის ცხოვრებას. ისინი სხეულს მოქმედებისკენ უბიძგებენ, ხოლო სულს – აზროვნებისკენ. უარყოფითი გრძნობები ირგუნაენ მათ. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ყველა აფექტი, განსაკუთრებით კი ენებები, აშკარად გამოხატულ მოტივაციურ ფუნქციას ასრულებენ.

აფექტი ორგანიზმის მამოძრავებელი ძალაა. ქცევას ყოველთვის აქვს ესა თუ ის აფექტური ტონალობა, რაც გარდაუვალია, ვინაიდან ადამიანი ბუნების ნაწილია და ბუნების კანონებს ექვემდებარება. ენებას, როგორც მოტივაციურ ფაქტორს, დიდი ძალა აქვს. ადამიანის ქცევა ენებებით (აფექტებით) არის დეტერმინირებული. მაგრამ, ვინაიდან თვითონ აფექტები სუბიექტის გარეგან საგნებზე დამოკიდებულებას გამოხატავენ, საბოლოო ჯამში ადამიანის ქცევის მიზეზი მათში კი არა, არამედ გარეთ ყოფილა საძებნი. ადამიანები საკუთარ სურვილებს აცნობიერებენ და არა მათი ქმედების ნამდვილ მიზეზებს. ამიტომ, სპინოზას აზრით, *ნების თავისუფლება* ფიქციაა, ის რეალურად არ არსებობს.

სპინოზას მიხედვით "თავისუფალი" ისეთ საგანს ეწოდება, რომელიც მხოლოდ თავისი საკუთარი ბუნების აუცილებლობით არსებობს და მხოლოდ თავისთავით განსაზღვრავს საკუთარ მოქმედებას. აუცილებელი, ან, უკეთ რომ ვთქვათ, იძულებითი, ეწოდება ისეთ საგანს, რომლის არსებობა და მოქმედება რაიმე სხვით არის განსაზღვრული". სპინოზა უდიდესი *დეტერმინისტია* და ფიქრობს, რომ ადამიანი ბუნებას ვერ გამოეყოფა, იგი ბუნების ნაწილია და მისი კანონებით არის განსაზღვრული. "ჩვენ სხვადასხვაგვარად აღვიგზნებით გარეგანი მიზეზებით და ვმღელვარებთ, როგორც საპირისპირო ქარებით მიმართული ზღვის ტალღები, ისე რომ არ ვიცით ჩვენი გამოსავალისა და ბედის შესახებ". საგნები აფექტების (ენებების) საშუალებით და მაშასადამე, იძულებით წარმართავენ ადამიანის მოქმედებას. ხოლო თვით აფექტების წინაშე ადამიანი უძლურია, მას არ შეუძლია წინ აღუდგეს თავის ენებებს, შექმნას ან აირჩიოს ისინი თავისი ნებით, მაროთს იდეების საშუალებით. ეს იმიტომ ხდება, რომ ენება, აფექტი არ არის მხოლოდ იდეალური, იგი სხეულებრივი პროცესიცაა, რომელზეც სულიერი ვერ ზემოქმედებს.

მიუხედავად ნების თავისუფლების უარყოფისა, სპინოზა მაინც პოულობს ადგილს თავისუფლებისთვის ადამიანის ქცევაში. რაციონალისტი სპინოზა თავისუფლებას ადამიანის აზროვნების უნარს უკავშირებს. მისი აზრით, კი არ უნდა ვიცინოთ ან ვიტიროთ (არადა, სწორედ ასე რეაგირებენ ადამიანები თავის განცდებზე), არამედ უნდა გაეიგოთ. გეომეტრი ხომ აბსოლუტურად უგრძნობია თავისი მსჯელობისას. ასევე უნდა მოეეპყრათ ჩვენს ენებებს, ამბობს სპინოზა, ანუ საჭიროა ავხსნათ, თუ როგორ წარმოიქმნებიან და რატომ ქრებიან ისინი. მართალია, ჩვენ არ შეგვწევს უნარი უშუალოდ ვიმოქმედოთ აფექტებზე, მაგრამ შეგვიძლია შევიმეცნოთ ჩვენი მდგომარე-

ობები, აესსნაი მათი მიზეზი და ამით არაპირდაპირ, გონებრივი გაშუალებით, მოვიპოვოთ მაიზე ძალაუფლება და ამ აზრით გაეხდეთ თავისუფალი. არ შეიძლება ‍ეუხდე იმაზე, რისი აუცილებლობაც იცი. ჩვენ ვხვდებით თავისუფალი იმდენად, რამდენადაც გავიგებთ, სად გადის ჩვენი შესაძლებლობების საზღვარი. გავარკვევთ გარეგანი (ანუ საგნებიდან მომდინარე) და შინაგანი (ანუ აფექტებიდან მომდინარე) იძულების ბუნებას და მიზეზებს. მოკლედ, სპინოზას მისეული, თავისუფლება, არსებითად, *შემეცნებული აუცილებლობაა.* "ეთიკის" ბოლო თავს ასევე ეწოდება: "გონების ძალაუფლება, ანუ ადამიანური თავისუფლების შესახებ".

სპინოზამ დეკარტეს მოძღვრება გრძნობების შესახებ გაამდიდრა, გააღრმავა და მას გამოკვეთილად მოტივაციური ხასიათი მისცა. ეს უთუოდ ‍ეინ გადადგმული ნაბიჯი იყო, თუმცა სპინოზაც, როგორც ყველა რაციონალისტი, გონების პრიორიტეტიდან ამოდიოდა. რაც შეეხება ფსიქოფიზიკური პრობლემას მისი გააზრება სპინოზას მიერ ძირეულად განსხვავდება დეკარტესაგან, ვინაიდან ეს უკანასკნელი მას დუალისტური თვალსაზრისით განიხილავს. მატერიალურისა და იდეალურის, სულისა და სხეულის ურთიერთობა მაშინ იქცევა პრობლემად, თუ დაშვებულია სამყაროში ორი თანაბარმნიშვნელოვანი, დამოუკიდებელი და ერთმანეთზე დაუყვანადი საწყისის, სუბსტანციის არსებობა. მონისტური თვალსაზრისის ფარგლებში, ეს პრობლემა ერთი სუბსტანციისა და მისი თვისებების მიმართების საკითხად ტრანსფორმირდება. ასეა სპინოზას შემთხვევაშიც.

აქედან გამომდინარე, სპინოზას პოზიცია განსხვავდება არა მხოლოდ დეკარტეს პოზიციისაგან, არამედ ამ უკანასკნელის მიმდევრის, ნიკოლა მალბრანშის (1638-1715) შესედულებისგანაც. მალბრანში ფიქრობდა, რომ ვინიდან სული და სხეული აბსოლუტურად დამოუკიდებელი არსებია (სუბსტანციებია), მათი ურთიერთზემოქმედება პრინციპში შეუძლებელია. რაც შეეხება მათ *ურთიერთშესაბამისობას,* ეს ემპირიული ფაქტია და ღმერთის ჩარევით აიხსნება. ამ თვალსაზრისს *ოკაზიონალიზმი* (occasio-შემთხვევა, საბაბი) ეწოდება. მის მიხედვით, ის, რაც სულიერი პროცესის (აზრის ან ნების) სხეულებრივ მიზეზად გვეჩვენება, სინამდვილეში არის მხოლოდ საბაბი. ნამდვილად მოქმედი მიზეზი მხოლოდ ღმერთია. ღმერთი არეგულირებს მათ მიმართებას, იგი ყველა კერძო შემთხვევაში ქმნის სხეულში სულის შესაბამის მდგომარეობას და პირიქით. სწორედ აქედან, და არა სპინოზასაგან იღებს სათავეს ე.წ. *ფსიქოფიზიკური პარალელიზმის კონცეფცია.* პარალელიზმი ფსიქოფიზიკური პრობლემის გადაწყვეტის მეორე ვარიანტია. პირველი ვარიანტი *ურთიერთზემოქმედების თეორიაა.* ორივე მათგანს XVII საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი. პირველი დეკარტეს სახელს უკავშირდება, ხოლო მეორე – ლაიბნიცს.

უნდა აღინიშნოს, რომ დავა ფსიქოფიზიკური პრობლემის გარშემო ფსიქოლოგიური აზროვნების მთელ ისტორიას გასდევს და ფსიქოლოგიის ერთ-ერთი მუდმივი პრობლემაა. XIX საუკუნის მიწურულში, როცა ფსიქოლოგია ბოლოსდაბოლოს გამოეყო ფილოსოფიას და დამოუკიდებელი მეცნიერება გახდა, ბევრი წამყვანი მეცნიერი, ფაქტობრივად, ძველ არგუმენ-

ტებს იმეორებდა, კერძოდ იმას, რომ სხეულებრივი და ფსიქიკური პროცესები ქმნიან ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და ერთმანეთის პარალელურად მიმდინარე მიზეზშედეგობრივი მოვლენების რიგს (ვუნდტი, ტიჩენერი, ებინჰაუზი, რიბო და სხვა). იყვნენ ისეთებიც, ვინც ურთიერთზემოქმედების თვალსაზრისზე იდგა (კიულპე). XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ფსიქოლოგის, ჟ. პიაჟეს თქმით. საკითხი დღესაც ასე დგას: "ან ცნობიერებასა და შესაბამის ნერვულ პროცესებს შორის არსებობს ურთიერთზემოქმედება, ან ლაპარაკია მოვლენათა ორ პარალელურ რიგზე, რომელთა განსხვავებულობა გამორიცხავს მათი ერთმანეთზე ზემოქმედების შესაძლებლობას". ამ უკანასკნელ თვალსაზრისს გაფორმებული სახე მისცა ლაიბნიცმა.,

**გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცი** (1646-1716) დაიბადა ლაიფციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორის ოჯახში. სწავლობდა ლაიფციგისა და იენის უნივერსიტეტებში. ლაიბნიცს ენციკლოპედიური განათლება და ფართო მეცნიერული ინტერესები ჰქონდა. მათემატიკასთან ერთად (იგი იყო დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვის ერთ-ერთი აღმომჩენი, ნიუტონთან ერთად) ლაიბნიცის კვლევითი და პრაქტიკული ინტერესების სფეროში შედიოდა ისტორიის, ენათმეცნიერების, გეოლოგიის, ფიზიკის, ეკონომიკის, ფინანსებისა და პოლიტიკის საკითხები. ლაიბნიცი იყო ბერლინის აკადემიის დამაარსებელი და პირველი პრეზიდენტი, მონაწილეობდა ანალოგიური ცენტრების ორგანიზებაში სხვა ქვეყნებშიც (მას ეკუთვნის სანკტ-პეტერბურგის აკადემიის პროექტიც). ლაიბნიცს, კანტამდე, ბადალი არ ჰყავდა გერმანულ ფილოსოფიაში. მის ფილოსოფიურ სისტემაში, ე.წ. მონადოლოგიაში, სულთან დაკავშირებულ ფსიქოლოგიურ პრობლემატიკას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

ლაიბნიცი მკაცრი *პარალელიზმის* პოზიციაზე იდგა. ოკაზიონალისტებისაგან განსხვავებით, მან უარყო ღმერთის ჩარევა ყოველ ცალკეულ ფსიქოფიზიკურ აქტში და ღმერთს სულსა და სხეულს შორის *წინასწარ დაწესებული ჰარმონიის* შექმნა დააკისრა. სული და სხეული აუტონომიურად მოქმედებენ თავიანთი შინაგანი წესებისა და კანონების შესაბამისად, მაგრამ, ვინაიდან ზუსტად და ურთიერთშეთანხმებულად არიან აწყობილი, იქმნება მათი ერთმანეთზე დამოკიდებულების შთაბეჭდილება. ეს ისეთივე შეცდომაა, როგორც ორი საათის შემთხვევაში, რომლებიც ერთნაირი სიზუსტით მუშაობენ და, მაშასადამე, ერთნაირ დროს აჩვენებენ, თუმცა სრულიად დამოუკიდებლად მოქმედებენ. ცხადია, რომ საუბარი მათ ურთიერთზემოქმედებაზე ყოველგვარ აზრს მოკლებულია. ამგვარად, ამ საკითხში დეკარტესა და ლაიბნიცის პოზიციები კარდინალურად განსხვავებულია. განსხვავებულია ისინი ცნობიერების გაგებასთან დაკავშირებითაც. ამ საკითხში ლაიბნიცი ასევე უპირისპირდება თავისი დროის კიდევ ერთ უდიდეს მოაზროვნეს, ლოკს, რომელთან ხანგრძლივ და მწვავე პოლემიკას მის შემო-

ქმედებით ბიოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

სწორედ ლოკთან კამაიში ჩამოაყალიბა ლაიბნიცმა ბევრი საყურადღებო დებულება ფსიქოლოგიისთვის. ასეთია, თუნდაც, *ფსიქიკის უნივერსალური აქტიურობის პრინციპი.* ლოკის მიხედვით, მარტივი იდეების შემეცნების, ანუ იმავე შეგრძნების პროცესში გონება პასიურია და მთლიანად საგნობრივი სინამდვილის ზემოქმედებით არის განსაზღვრული. ხოლო ლაიბნიცის თანახმად კი სულიერი "აქტიურობა შეგრძნებებშიც არსებობს, ვინაიდან ისინი უფრო მკაფიო აღქმებს უბრუნველყოფენ და, მაშასადამე, გვაძლევენ საბაბს ზოგი რამ შევამჩნიოთ და განვიცალოთ". აზრი იმის შესახებ, რომ სულიერი სამყარო მუდმივი განვითარებისა და გართულების პროცესშია, წითელ ზოლად გასდევს ლაიბნიცის მთელ ფსიქოლოგიას. განვითარება კი აქტიურობას გულისხმობს. ამიტომ სულიერი მოელენები არ ამოიწურება შემეცნებითი (აღქმები, წარმოდგენები) ფენომენებით. მათთან ერთად არსებობს აქტიურობის, ნების გამომხატველი მოელენები, ანუ ე.წ. *მისწრაფებები.* ფსიქიკის შემეცნებით და ნებელობით მხარეს შორის უმჭიდროესი კავშირია. ისინი, არსებითად, ერთმანეთს დაუშორებელი მოელენებია. მისწრაფების ობიექტი წარმოდგენაა, ხოლო წარმოდგენის გაჩენის ძალა მისწრაფებაშია. ლაიბნიცი ასეც ამბობს: "იმ შინაგანი პრინციპის მოქმედებას, რომელიც ერთი წარმოდგენის მეორეში გადასვლას იწვევს, შეიძლება მისწრაფება ეუწოდოთ". აღსანიშნავია, რომ ფსიქიკის აქტიურობა, მისი მისწრაფებულობა, მართლაც უნივერსალურია და ვრცელდება ყველა სულიერ შინაარსსა თუ განცდაზე, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ცნობიერების სხვადასხვა ღონეზე შეიძლება არსებობდნენ.

ეს ბოლო მომენტი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ლაიბნიცმა პირველმა შემოიტანა ფსიქოლოგიისთვის კარდინალური მნიშვნელობის ცნება *არაცნობიერისა.* იგი გამოდის დეკარტესა და ლოკის თვალსაზრისის წინააღმდეგ, რომლის მიხედვით ფსიქიკა და ცნობიერება გაიგივებულია. ლაიბნიცის აზრით, კარტეზიანელები ცდებოდნენ, როცა ამტკიცებდნენ, რომ არაცნობიერი აღქმა შეუძლებელია. იგი წერს: "რწმენა იმისა, რომ სულში არსებობს მხოლოდ ისეთი აღქმები, რომელთაც ის აცნობიერებს, უღიდესი შეცდომის წყაროა".

არაცნობიერის იდეა შემოტანილია ე.წ. *თანდათანობის ან უწყვეტობის კანონის* გასამართლებლად. ლაიბნიცის მიხედვით, სამყაროში ყველაფერი ამ კანონს ემორჩილება: არაორგანული და ორგანული, მცენარე და ცხოველი, ცხოველი და ადამიანი მხოლოდ საფეხურებია, რომლებიც უწყვეტი პროგრესიით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. ეს კანონი ძალაშია სულიერი ცხოვრების მიმართაც. ემპირიული გამოცდილება არ გვიდასტურებს იმას, რომ სული მუდმივად და უწყვეტად ცნობიერ მდგომარეობაშია. მაგრამ მაშინ უნდა არსებობდნენ არაცნობიერი ფსიქიკური მდგომარეობები, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი გახდება, საიდან აღმოცენდება ახალი ცნობიერი შინაარსები, თუ უშუალოდ მათ წინ სხვა ცნობიერი შინაარსები არ იყო მოცემული. შეუძლებელია, რომ არაფრიდან რაიმე აღმოცენდეს. სიცარიელე და წყვეტა ვერ იარსებებს ფიზიკური ან სულიერი მოელენების სფე-

როში. "ერთბაშად არაფერი წარმოიქმნება, არც აზრი და არც მოძრაობა". მეორე მხრივ, სულიერის მიზეზი, პარალელიზმის დოქტრინის შესაბამისად, მხოლოდ სულიერი შეიძლება იყოს და არა სხეულებრივი. აქედან გამომდინარე, სულიერი ცხოვრების სფეროში ცნობიერ, შესამჩნევ, ან, ლაიბნიცის ტერმინოლოგიით, *აპერცეპტირებულ* განცდებთან ერთად, უნდა არსებობდეს ცნობიერების უფრო დაბალი ხარისხები ანუ ნაკლებად შესამჩნევი ან სულაც შეუმჩნეველი ფსიქიკური შინაარსები. მათ ლაიბნიცი *მცირე განცდებს* (*მცირე პერცეფციებს*) უწოდებს.

ამრიგად, ცნობიერების აღმოცენების ასახსნელად ლაიბნიცი ცნობიერების მიღმა გაღის, მაგრამ რჩება სულიერ (ფსიქიკურ) სინამდვილეში. იგი აფართოებს ფსიქიკურის ცნების შინაარსს და მასში, ცნობიერი მოელენების გარდა, არაცნობიერი ფენომენებიც შეყავს. ეს არაცნობიერი განცდები მაშინაც არსებობენ, როცა ადამიანი უსიზმრო ძილშია ან ცნობიერება აქვს დაკარგული. ჩვენ მათ ვერ "ვხედავთ" შინაგანი მზერით, ვერ ვამჩნევთ, მაგრამ ვასკვნით მათი არსებობის შესახებ იმ შედეგების მისედვით, რომლებიც მათი ზემოქმედებით არის გამოწვეული. ამ აზრის საილუსტრაციოდ ლაიბნიცი მიმართავს ზვირიცემის მაგალითს: ჩვენ გვესმის ზვირთცემის გუგუნი, მაგრამ ცალკეული ტალღის მოძრაობა თითქოს არ იწვევს ჩვენში რაიმე შთაბეჭდილებას. მეორე მხრივ, ჩვენზე რომ თითოეული ტალღის მოძრაობა არ მოქმედებდეს, მაშინ ასეულობით ათასი ტალღის მოძრაობაც არ გამოიწვევდა რაიმე შთაბეჭდილებას, ვინაიდან რამდენი არარაც გინდა შეეჯამოთ, ის ვერ შეადგენს რაიმე სიდიდეს.

მცირე განცდები უდიდეს როლს თამაშობენ სულიერ სამყაროში. უნებლიე მოქმედებათა უმრავლესობა მათ მიერ არის განსაზღვრული. ისინი აპირობებენ ჩვენს გემოვნებას, მათგანვე გამომდინარეობს სურვილები და ენებები. მცირე განცდები ვერ ცნობიერდება მათი სისუსტის გამო, მაგრამ ჩვენ თავისუფლად შევძლებდით მათ გაცნობიერებას (აპერცეფციას), ისინი რომ ასე მრავალრიცხოვანი არ იყვნენ, არ იორგუნებოდნენ უფრო ძლიერი შთაბეჭდილებებით, ან კიდევ არ იყვნენ იმდენად ერთგვაროვანი, რომ გეჭირს მათი განცალკევება ერთმანეთისაგან.

ხშირად პირიქითაც ხდება. ცნობიერი შინაარსი, მისი ერთგვაროვნების გამო, იწვევს შეჩვევას და აჩლუნგებს ჩვენს ყურადღებას. შედეგად, ამ განცდას ეკარგება ცნობიერობის ნიშანი და არაცნობიერ განცდად გადაიქცევა. სწორედ ამიტომ, წისქვილთან ან ჩანჩქერთან ახლოს მცხოვრები ადამიანი ვეღარ ამჩნევს მათ ხმაურს, თუმცა ისინი განაგრძობენ მასზე ზემოქმედებას. აქედან ჩანს, რომ სულში მუდმივად ხორციელდება გადასვლები ცნობიერებიდან არაცნობიერში და პირიქით. ეს, პირველ ყოვლისა, იმიტომ არის შესაძლებელი, რომ არაცნობიერი და ცნობიერი განცდები თვისებრივად და შინაარსობრივად კი არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, არამედ მხოლოდ რაოდენობრივად. რაოდენობრივი განსხვავება შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ ცნობიერი განცდა არაცნობიერზე ძლიერია, ინტენსიურია და იმასაც, რომ ცნობიერი განცდა უფრო რთულია; იგი მარტივი არაცნობიერი ელემენტების გაერთიანების შედეგად წარმოიქმნება, როგორც ეს ზვირთ-

ცემის მაგალითშია. ასეა თუ ისე, ყველა შემთხვევაში – არაცნობიერი განცდა გადადის ცნობიერში თუ ცნობიერი იქცევა არაცნობიერ განცდად – განსხვავება მათ შორის მხოლოდ რაოდენობით მხარეს ეხება და არა შინაარსობრივს. მართლაც, ψსიქეილის ხმა, განცდის შინაარსის თვალსაზრისით, ერთი და იგივეა მაშინაც, როცა ის გვესმის, ანუ ცნობიერია და მაშინაც, როცა არ გვესმის, ანუ არაცნობიერია.

მოძღვრებას არაცნობიერი ფსიქიკურის შესახებ ლაიბნიცი იყენებს ლოკთან მისი პოლემიკის ძირითადი საგნის თაობაზე მსჯელობისას – ესაა საკითხი *თანდაყოლილი იდეების* შესახებ. აღნიშნული საკითხი ემპირიზმისა და რაციონალიზმის დაპირისპირების ერთ-ერთი მთავარი პუნქტი გახდა. ემპირისტებს (პობსი, ლოკი) მიაჩნდათ, რომ შემეცნების, იდეების ერთადერთ პირველად ψყაროს გამოცდილება, ცდა, გრძნობადი აღქმა შეადგენს. რაციონალისტები უიქრობდნენ, რომ ინდივიდის გრძნობადი გამოცდილება არ არის საკმარისი შემეცნებისათვის, მისგან შეუძლებელია აბსტრაქტული და საყოველთაო ცოდნის მიღება. ამას ვონება უბრუნველყოფს და ამდენად, ყველა რაციონალისტი ვონების პრიორიტეტიდან ამოდის. მაგრამ აქ ორი ხაზია გასარჩევი. დეკარტე თვლიდა, რომ ჭეშმარიტი შემეცნების ψყარო თანდაყოლილ იდეებშია, რომლებიც მზამზარეული სახითაა მოცემული ცნობიერებაში. ასეთია, პირველ რიგში, ღმერთის იდეა, აგრეთვე იგივეობის, მიზეზობრიობის, ψინააღმდეგობისა და სხვა ე.ψ. აბროვნების (ვონების) ძირითადი კანონები. ლაიბნიცს კი მიაჩნდა, რომ სულში არსებობს მხოლოდ მიდრეკილებები, რომელთაგანაც შესაძლებელია გამოვიყვანოთ არაგამოცდილებისეული ჭეშმარიტებები.

ლაიბნიცი არ უარყოფს ცდას, ემპირიული გამოცდილების მნიშვნელობას. ეს ყველაფერი აუცილებელია ნამდვილი ცოდნის მისაღψევად, მაგრამ არ არის საკმარისი, ვინაიდან აღქმა გვაძლევს ცოდნას მხოლოდ ცალკეულის, კერძოს, ინდივიდუალურის შესახებ. კონკრეტული მაგალითების საფუძველზე, რაც არ უნდა მრავალრიცხოვანი იყვნენ ისინი, ვერ დავადგენთ ჭეშმარიტების საყოველთაო და აუცილებელ ხასიათს. იქიდან, რომ რაღაც მოხდა, არ გამომდინარეობს, რომ ის ყოველთვის მოხდება. ის გარემოება, რომ ყოველ 24 საათში დღეს ღამე მოჰყვება, არ ნიშნავს იმას, რომ ეს ყოველთვის ასეა (სხვა განედებზე სხვანაირადაა, მაგალითად, ჩრდილოეთში ψლის ერთი ნახევარი სულ დღეა, ხოლო მეორე ნახევარი – ღამე. მეტიც, მომავალში მზე და დედამიψა შეიძლება სულაც მოისპოს). ამიტომ აუცილებელი ჭეშმარიტებანი (მაგ., როგორც მათემატიკაშია) არ გამოიყვანება გრძნობადი აღქმის მონაცემებიდან, თუმცა, მათ გარეშე ამგვარ ჭეშმარიტებებზე არც ვიფიქრებდით. ლაიბნიცის თქმით, გრძნობადი გამოცდილება, არსებითად, მხოლოდ "საბაბია თანდაყოლილი იდეების გამოღვიძებისთვის".

თანდაყოლილი იდეების არსებობის ψინააღმდეგ ლოკს შემდეგი არგუმენტი მოაქვს: თუ იდეა სულშია მოცემული, ის აუცილებლად გაცნობიერებულია. ბავშვმა არ იცის მათემატიკის კანონები, მას არ ესმის მათი შინაარსი. ამ კანონების შესახებ იდეები თანდაყოლილი რომ ყოფილიყო, მას ისინი

იმთავითვე ეცოდინებოდა. ლაიბნიცი არღვევს ამ მსჯელობას თავისი კონცეფციით არაცნობიერის შესახებ. მისი აზრით, იდეების თანდაყოლილობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი იმთავითვე ცნობიერი სახით არიან მოცემული სულში. სულში ბევრი ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი წარმოდგენა არსებობს, რომელთაც ჩვენი გონება დროთა განმავლობაში აცნობიერებს. ამის შედეგად ჩვენ ვრწმუნდებით, რომ ისინი თანდაყოლილი ყოფილან, რომ სული არ არის "სუფთა დაფა", როგორც ამას ლოკი ამტკიცებდა. ლაიბნიცი სხვა მეტაფორას იყენებს. იგი სულს მარმარილოს ქვას აღარებს, რომლის "ძარღვები" მომავალ ქანდაკებას შეესაბამება; მასში უკვე თავიდანვე მოცემული მომავალი ფიგურის კონტურები. მოქანდაკე სარგებლობს ამ მინიშნებებით, აცილებს ქვას იმას, რაც ზედმეტია და ასე ქმნის მისგან ქანდაკებას. ასევე, თანდაყოლილია იდეები, რომლებიც მიდრეკილების ან წინასწარი განწყობილების სახით არის მოცემული. ისინი არ არსებობენ სულში ჩამოყალიბებული და აქტუალური ფორმით; ეს იდეები მხოლოდ პოტენციალურია. თანდაყოლილი იდეა არ გულისხმობს იმთავითვე ნათლად და გარკვეულად შემეცნებას, ის მხოლოდ ჩანასახია, შესაძლებლობაა, რომლის განხორციელება გონების აქტიური მოქმედების საშუალებით ხდება. ამრიგად, სული არც სუფთა დაფაა, მაგრამ არც მზამზარეული დებულებების ფორმით წარმოდგენილი ცოდნის სისტემა. აქტივობის ჩახერგილი უნივერსალური უნარის მეშვეობით პოტენციალური ცოდნა გამოკვეთილი იდეის სახეს იღებს.

ლაიბნიცმა საკმაოდ დიდი წელილი შეიტანა ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიის დამუშავებაში. მან დასრულებული სახე მისცა პარალელისტურ კონცეფციას. მანვე ჩამოაყალიბა მოსაზრება თანდაყოლილი იდეების შესახებ, რომელშიც ბევრი რამ არის საგულისხმო შეძენილი და მემკვიდრეობითი თვისებებისა და, კერძოდ, ნასახებისა და მიდრეკილებების ფსიქოლოგიის თვალსაზრისით. ლაიბნიცმა შემოიტანა მეცნიერებაში არაცნობიერი ფსიქიკურის ცნება, რომელიც შემდგომში ჰერბარტისა და, განსაკუთრებით, ფროიდის წყალობით, ფსიქოლოგიის ფუნდამენტურ კატეგორიად იქცა. ამ მხრივ ლაიბნიცის კონცეფციამ გაელენა დ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებაზეც მოახდინა. ლაიბნიცი იყო პირველი, ვინც ცნობიერების ხარისხებისა თუ დონეების დახასიათება სცადა. მის მიერ შემოთავაზებული ტერმინი "აპერცეფცია", როგორც ქვემოთ ენახავთ, გამოყენებულ იქნა კანტის, ჰერბარტისა და ვუნდტის სისტემებში. ფსიქოლოგიის ისტორიკოსები ლაიბნიცს, არცთუ უსაფუძვლოდ, მიიჩნევენ ე.წ. აქტივობის ფსიქოლოგიის წინამორბედად. მის მიერ წინა პლანზე წამოწეულმა აქტივობის პრინციპმა განვითარება პოვა ბრენტანოს, შტუმფის, ჯეიმსის, კიულპეს, მაკ-დაუგოლისა და სხვათა შემოქმედებაში. თანამედროვე ფსიქოლოგიასთვის, მისთვის აქტივობა, ქცევის ფორმაში მოცემულობა, ფსიქიკის არსებით ნიშნად არის აღიარებული.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ლაიბნიცის მთავარი ოპონენტი ლოკი იყო. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან რაციონალიზმს ფილოსოფიაში (და ფსიქოლოგიაშიც) ემპირიზმი უპირისპირდება, ხოლო ახალი დროის უდიდესი ემპირისტი

ლოკი იყო. ეს ემპირიზმი გრძნობად გამოცდილებას ცოდნის უპირველეს და უმთავრეს წყაროდ მიიჩნევს და ამტკიცებს, რომ ყოველგვარი ცოდნა ემპირიული გამოცდილებით საბუთდება. ემპირიზმმა და მასთან დაკავშირებულმა ასოციაციურმა კონცეფციამ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ფსიქოლოგიის განვითარებაზე. საბოლოოდ, ითვლება, რომ ემპირისტულ-ასოციაციონისტური აზროვნება ფსიქოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი ექსპერიმენტული მეცნიერების ფილოსოფიურ-მეთოდოლოგიური საფუძველია.

სულიერი მოვლენების ანალიზის ეს მეთოდოლოგია ბრიტანეთში ჩაისახა. მის სათავეებთან იდგა დეკარტეს თანამედროვე გამოჩენილი ფილოსოფოსი, **თომას ჰობსი** (1588-1679). ჰობსის ემპირიული ფსიქოლოგიის ძირითადი დებულებები გადმოცემულია მის მთავარ ნაშრომში "ლევიათანი" (1651) და ტრაქტატებში "მოქალაქის შესახებ", "სხეულის შესახებ", "ადამიანის შესახებ". ჰობსი ილაშქრებს დეკარტეს შეხედულების წინააღმდეგ ორი სუბსტანციის შესახებ. იგი უარყოფს გონიერი სულის, როგორც დამოუკიდებელი სუბსტანციის არსებობას. სუბსტანცია მხოლოდ მატერიალურია, სხეულებრივია. "უსხეულო სუბსტანცია" უაზრო გამოთქმაა, ისევე როგორც "უსხეულო სხეული". აზროვნებს



მატერია და არა სულიერი სუბსტანცია. მეცნიერება შეისწავლის სხეულს, რომელიც განისაზღვრება სივრცის, დროის, რაოდენობისა და მოძრაობის თვისებებით. მოძრაობა არის სამყაროს უნივერსალური პრინციპი. მას მატერიალური სხეულებიც ემორჩილება, და ადამიანის ცნობიერებაც.

ადამიანი არის სხეული, რომელიც, სხვა მატერიალური სხეულების მსგავსად, მექანიკის კანონებს ემორჩილება. დეკარტეს მექანიკურ დეტერმინიზმს ჰობსმა დასრულებული სახე მისცა. ადამიანი წარმოდგენილია, როგორც მექანიზმი, რომელშიც "გული არის ზამბარა, ნერვები – ძაფები, ხოლო სასსრები – ბორბლები, რომლებიც ამოძრავებენ ადამიანის სხეულის მთელ მანქანას". ჰობსმა მექანიკური დეტერმინიზმის პრინციპი უნივერსალურ პრინციპად გამოაცხადა და მას დაუმორჩილა ადამიანის მთელი ფსიქიკური ცხოვრება. ეს უკანასკნელი – სხეულებრივი პროცესის თანამდევი მოვლენა, ე.წ. *ეპიფენომენია*, რომელსაც რეალური მნიშვნელობა არა აქვს. რეალურად არსებობს სხეული და მისი მოძრაობა. ცნობიერება ამ მოძრაობის პარალელურად აღმოცენდება ისევე, როგორც წარმოიქმნება შეგრძნება: "შეგრძნების მიზეზი გარეგანი სხეულია (ობიექტი), რომელიც ან უშუალოდ აწვება ყოველი შეგრძნების შესაგებელის ორგანოს (როგორც გემოსა და შეხების დროს), ან გაშუალებულად (როგორც მხედველობის, სმენისა და ყნოსვის შემთხვევაში). ეს დაწოლა, რომელიც სხეულის შიგნით გრძელდება და ნერვების საშუალებით ტვინამდე და გულამდე აღწევს, იწვევს წინააღმდეგობას, უკუგეწოლას, ანუ გულის მცდელობას, გათავისუფლდეს. ვინაიდან ეს მცდელობა გარეთ არის მიმართული, იგი ისეთ რამედ გვეჩვენება, რომელიც გარეთ არსებობს. სწორედ ეს არის ის მოჩვენება ან აჩრდილი, რასაც

ხალხი შეგრძნებას უწოდებს". მაშასადამე შეგრძნება, ყველა სხვა განცდის მსგავსად, არის გარეგანი საგნის მიერ სხეულში გამოწვეული პროცესების გვერდითი ეფექტი (აჩრდილი), რომელსაც მათზე უკუზემოქმედების მოხდენა არ შეუძლია ისევე, როგორც არფის სიმებიდან მომდინარე მელოდია ვერ იმოქმედებს მათი რხევის სიხშირეზე ან ფეხით მოსიარულეს ჩრდილი ვერ იმოქმედებს მისი მოძრაობის სიჩქარეზე. ამდენად, ფსიქიკური მოკლებულია რაიმე რეალურ მნიშვნელობას და დაიყვანება პროცესებსა თუ მოვლენებზე (ეპიფენომენებზე), რომლებიც პასიურად მიჰყვებიან რეალურ და ფუნდამენტურ მატერიალურ (სხეულებრივ) პროცესებს. ამჯერად თვალსაზრისს *ეპიფენომენალიზმი* ეწოდება.

ეპიფენომენური სამყაროს საფუძველს შეგრძნებები ქმნიან. ფსიქიკა ხატებისაგან (წარმოდგენებისაგან) შედგება. წარმოსახვა გაფერმკრთალებული შეგრძნებაა, ხოლო მეხსიერება წარსულთან დაკავშირებული წარმოდგენა. აზროვნება წარმოდგენების ისეთი დაკავშირებაა, რომელსაც შემდგომში ასოციაცია დაერქვა. ჰობსმა არ იცის ეს ტერმინი, მაგრამ ისე ახასიათებს ასოციაციის პროცესს, რომ იგი წარმოდგენების დაკავშირების უნივერსალური პრინციპის სახეს იღებს. იქაც, სადაც წარმოდგენები თითქოს უსისტემოდ მიჰყვებიან ერთმანეთს, სპეციალური ანალიზი აღმოაჩენს მათ კავშირს, წარმოდგენები შემთხვევით არ აღმოცენდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სპინოზასთან ასოციაციის კანონი უფრო მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული. იგი წერს: თუ ადამიანის სხეულზე ერთიდროულად რამდენიმე ობიექტი მოქმედებს, შემდგომში ისე ხდება, რომ სული, წარმოიდგენს რა ერთ-ერთ მათგანს, მაშინვე გაიხსენებს სხვებსაც. შეიძლება ითქვას, რომ ჰობსთან მხოლოდ ერთგვარი მინიშნება კეთდება ასოციაციურ მოძღვრებაზე, როგორც წარმოდგენათა კავშირზე. ასევე იკვეთება აზრის სენსუალისტური მიმართულება, ანუ განსხვავებული ფსიქიკური შინაარსების გრძნობად გამოცდილებაზე (შეგრძნებაზე) დაყვანა, რაც განსაკუთრებით ლოკის ფსიქოლოგიისთვის გახდება დამახასიათებელი.

სენსუალისტურ-ემპირისტული პოზიციიდან უპირისპირდება ჰობსი დეკარტეს სწავლებას თანდაყოლილი იდეების შესახებ. "არ არსებობს ადამიანის გონებაში არც ერთი ცნება, რომელიც პირველადად, მთლიანად ან ნაწილობრივ არ იყო აღმოცენებული შეგრძნების ორგანოებში". არ არსებობს არა მხოლოდ თანდაყოლილი იდეები, არამედ თანდაყოლილი ნიჭიერებაც კი. ადამიანები ერთნაირი შესაძლებობებით იბადებიან. მათ შორის გონებრივი განსხვავება ცხოვრების პროცესში ყალიბდება. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება გამოცდილებას, რომლის შეძენა შეიძლება არაორგანიზებული ცხოვრებისეული პრაქტიკის ან სისტემატური სწავლების გზით. ერთნაირ პირობებში ერთნაირი გონება ვითარდება. მაგრამ ფსიქიკური ცხოვრების სფეროში არსებობს ისეთი ერთი ფაქტორი, რომლითაც ადამიანები ძალზე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ეს ფაქტორი ენებებია. სწორედ ენებები განაპირობებენ იმას, რომ ზოგი ადამიანი აქტიურია და ინიციატივიანი, ზოგიც პასიური და ინდიფერენტული. ეს გონებრივ აქტივობაზეც აისახება: "გონებრივ განსხვავებათა მიზეზები ენებებში უნდა ვეძებოთ".

ჰობსი მკაცრი დეტერმინისტია და, სპინოზას მსგავსად, პრინციპულად უარყოფს ნების თავისუფლებას, რომელსაც ქმედების მიზეზების არცოდნით გამოწვეულ ილუზიად მიიჩნევს. მათრახით დატრიალებულ ბზრიალასაც შეეძლო ჩაეთვალა თავისი მოძრაობა საკუთარი ნებით გამოწვეულად, ამბობს ჰობსი. ამასთანავე, იგი ცდილობს, რომ აუცილებლობის კატეგორიასთან ერთად თავისუფლების კატეგორიასაც შეუნარჩუნოს აღგილი, თუმცა ძალიან შეზღუდული მნიშვნელობით. აღამიანის ქცევა, ამბობს იგი, შეიძლება შეეადაროთ მდინარეს, რომლის წყალი მიედინება თავისუფლად და, ამავე დროს, აუცილებლად თავისი კალაპოტის გაყოლებით. ადამიანის ქცევა ყოველთვის დეტერმინირებულია გარე პირობებით და ამ აუცილებლობას ვერსად გაექცევი. მაგრამ ასეთი აუცილებლობის ჩარჩოებშიც ადამიანი გარკვეულად თავისუფალია თავისი მოქმედების არჩევაში. თუმცა მისი თავისუფლება აქაც შეზღუდულია იმ შინაგანი მოტივაციური ძალებით, ან, ავტორის თქმით, მოძრაობის დამწყები "ძალისხმევით", რომელსაც არსებითად ორი გამოვლინება აქვს – ძალისხმევა რაიმესკენ, რაც *ლტოლვაა (მისწრაფება)* და ძალისხმევა რაიმესაგან, რაც არის *ზიზღი* სიყვარული იგივე ლტოლვაა, სიძულვილი კი – ზიზღი. ლტოლვის ობიექტი "კარგად" მიიჩნევა, ზიზღის ობიექტი – "ცუდად". ჩვენ უნდა გავერკვეთ იმაში, თუ რისკენ მივისწრაფით და რა იწვევს ზიზღს, რომელი მოქმედებაა კარგი და რომელი – ცუდი. ამ კოლიზიას, რასაც დღეს მოტივთა ბრძოლას ვუწოდებთ, ჰობსი აზროვნებისა და მოუიქრების სახელს არქმევს. ამ პროცესის შედეგად იქმნება მოტივაციური მდგომარეობა (დადებითი ან უარყოფითი ტენდენცია), რაც შეიძლება ნებელობად მივიჩნიოთ. ჰობსი თვლის, რომ მხოლოდ ამ აზრით და ამ ფარგლებში შეიძლება ვილაპარაკოთ ნების თავისუფლებაზე. საბოლოო ჯამში, მოქმედება განსაზღვრულია გარეგანი და შინაგანი მიზეზების წყებით და "ყველასთვის, ვინც შეძლებს დაინახოს ამ მიზეზთა კავშირი, ცხადი გახდება, რომ ყოველგვარ ადამიანურ ნებელობით მოქმედებას მაინც აუცილებლობა განაპირობებს".

ჰობსი ფსიქოლოგიისთვის მნიშვნელოვან მრავალ საკითხს შეეხო. მიუხედავად ამისა, მისი გავლენა ფსიქოლოგიაზე მაინც შედარებით სუსტი იყო. ეპიფენომენალიზმი აუფასურებს მის ზოგიერთ საინტერესო მიგნებას ფსიქოლოგიის სფეროში. ჰობსი, ისევე როგორც სპინოზა, მონიზმის პოზიციიდან უდგება ფსიქოფიზიკურ პრობლემას. მაგრამ ამ მიდგომებს შორის პრინციპული განსხვავებაა. სპინოზა სულს და სხეულს, მატერიალურს და იდეალურს ერთი არსის (ბუნების) გამოვლინებებად თვლის. მისთვის აზროვნება და განფენილობა ერთი სუბსტანციის ორი, თანაბარი მნიშვნელობის მქონე თვისებაა. ჰობსთან ნამდვილ რეალობად მხოლოდ მატერიალური სუბსტანცია და მისი თვისებები განიხილება. ფსიქიკური პროცესები სხეულებრივი პროცესების თანმდევი აჩრდილებია, რომლებსაც არ გააჩნია დამოუკიდებელი მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში. ფსიქიკური ფენომენები (იგივე ეპიფენომენები) კიდეც რომ არ არსებობდნენ, ამით ფაქტობრივად არაფერი შეიცვლება. ისინი არავითარ მონაწილეობას არ იღებენ ცხოველქმედების პროცესში და არ წარმოადგენენ ამ პროცესის აუცილებელ რგოლს – ქცევა

მათ გარეშეც მშვენიერად განსორციელდება. თავი რომ დავანებოთ იმას, თუ რამდენად ეწინააღმდეგება ეს ყოველივე საღ აზრს და ადამიანთა ცხოვრებისეულ გამოცდილებას, დგება პრინციპული ხასიათის მეცნიერული საკითხები: საზოგადოდ, რატომ და რისთვის წარმოიქმნა ფსიქიკა, როგორ უნდა აიხსნას ფსიქიკის მუდმივი განვითარება ფილოგენეზში და უაღრესად ინტენსიური განვითარება ონტოგენეზში ან, თუნდაც, ცნობიერების ისტორიული ფორმების ცვალებადობა. სათელია, რომ ფსიქოლოგიისთვის ამ საკითხებზე პასუხს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ეპიფენომენოლოგიური მიდგომის ფარგლებში კი ეს შეუძლებელია. ამიტომ ემპირიული ფსიქოლოგიის საფეხურად ჰობსის კი არა, მისი თანამემამულის, ლოკის მოძღვრებაა მიჩნეული.

**ჯონ ლოკი** (1632-1704) დაიბადა ბრისტოლის მახლობლად, ადვოკატის ოჯახში. განათლება მიიღო ლონდონის უინძორის სკოლაში და ოქსფორდის უნივერსიტეტში, სადაც მომდევნო წლებში ასწავლიდა ფილოსოფიას, ბერძნულს და ლიტერატურას. ეწეოდა კვლევით მუშაობას ექსპერიმენტულ ქიმიაში, მეტეოროლოგიასა და მედიცინაში. 1668 წელს იგი აირჩიეს ლონდონის სამეფო საზოგადოების (ანუ ინგლისის მეცნიერებათა აკადემიის) წევრად. ამ დროიდან იწყება მისი მეგობრული და, ამასთანავე, საქმიანი ურთიერთობა ლორდ ეშლისთან, რესტავრაციის ხანის გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწესთან. ლოკი უშუალოდ იყო ჩართული პოლიტიკურ საქმიანობაში, როგორც ინგლისის მეფის ოპოზიციის ლიდერის მდივანი და ნდობით აღჭურვილი პირი. კარლ II-ს წინააღმდეგ წარუმატებელი შეთქმულების შემდეგ ლოკი იძულებული გახდა, გაპყოლოდა თავის მეგობარს და პატრონს ემიგრაციაში, ჯერ საფრანგეთში, მოგვიანებით კი ჰოლანდიაში. 1689 წლის რევოლუციისა და მეფის შეცვლის შემდეგ ლოკი სამშობლოში დაბრუნდა. მომდევნო წლებში დაასრულა და გამოაქვეყნა ტრაქტატები სახელმწიფო მართვისა და აღზრდის საკითხებზე, ასევე თავისი ძირითადი ფილოსოფიური (და ფსიქოლოგიური) ნაშრომი "ნარკვევები ადამიანის გონების შესახებ" (1690), რომელიც ოცი წლის განმავლობაში იწერებოდა და ავტორის სიცოცხლეში ოთხჯერ გამოიცა.



ამ ნაწარმოების სათაურიც მიუთითებს იმაზე, რომ ლოკის ფილოსოფია, არსებითად, შემეცნების თეორიაა (გნოსეოლოგიაა). მას აინტერესებს შემეცნების სანდოობისა და საზღვრების პრობლემა. ამიტომ პირველ რიგში სვამს საკითხს ადამიანის ცნობიერებაში მოცემული იდეების წარმოშობის შესახებ. საიდან ჩნდებიან ისინი, რა გზებით, რა საშუალებებით? აქ ლოკი, ცხადია, ყველრს ვერ უვლის საკითხს იდეების თანდაყოლილობის შესახებ. იდეათა (ცოდნის) თანდაყოლილობის თვალსაზრისი ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში არსებობდა (სოკრატე, პლატონი, არისტოტელე და სხვა); ის გაბატონებული იყო შუა საუკუნეების სქოლასტიკაში, ხოლო ახალი დროის

ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ აზროვნებაში იგი დეკარტემ დაამკვიდრა. ეს თეალსაზრისი ეყრდნობა ჭეშმარიტების გამომხატველი იდეების (ცნებების) მოგაღლობისა და საყოველთაოობის არგუმენტს. ჩვენ გვაქვს მოგაღი იდეები, მაგრამ მოგაღი იდეა არასდროს აღქმაში (გამოცდილებაში) არ არის მოცემული, ე.ი. ის თანდაყოლილია.

ლოკი აანალიზებს ასეთი მოგაღ იდეებს, მაგალითად, იგივეობის იდეას, რასაც სხვაგვარად "დამტკიცების გონებაჭვრეტითი პრინციპი" ეწოდება (რაც არის, ის არის, ან შეუძლებელია, რომ ერთი და იგივე საგანი არსებობდეს და არ არსებობდეს). ეს იმდენად მიღებული დებულებაა, რომ მის საყოველთაოობაში თითქოს ეჭვის შეტანა შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, ამტკიცებს ლოკი, ეს დებულება კაცობრიობის დიდი ნაწილისთვის არ არის ცნობილი და მიღებული. ბავშვებისთვის, იდიოტებისთვის და ბევრი სხვა ადამიანისთვის ეს იდეა უცხოა. თანდაყოლილობის შემთხვევაში ეს ასე არ უნდა ყოფილიყო. ჩვენ ვიცით ამ საბუთზე ლაიბნიცის პასუხი: იდეები გამზადებული სახით არაა ჩაღებული ახალშობილის გონებაში, ისინი არაცნობიერად არსებობენ და გონების შინაგანი ძალების მეშვეობით მხოლოდ მაშინ გაცნობიერდებიან, როდესაც ინდივიდი აზროვნებას დაიწყებს. მაგრამ ლოკი კატეგორიულად უარყოფს არაცნობიერი სულიერი მდგომარეობის არსებობას. როგორ შეიძლება რაიმე იყოს გონებაში და მან არ იცოდეს ამის შესახებ. ეს იგივეა, რომ რაიმე იყოს გონებაში და ამავე დროს არ იყოს მასში. "მე წინააღმდეგობის ტოლფასად მიმაჩნია იმის მტკიცება, თითქოს არსებობენ სულში აღბეჭდილი იდეები, რომელთაც ის არ აცნობიერებს და რომლებიც არ ესმის, ... ვინაიდან რაიმეს აღბეჭდვა სულში გაცნობიერების გარეშე ნაკლებ გასაგებად მეჩვენება" -- აღნიშნავს აეტორი (ფსიქოლოგიის შემდგომმა განვითარებამ უარყო ფსიქიკის ასეთი დახასიათება).

მოგზაურებისა და მისიონერების ჩანაწერებზე დაყრდნობით, ლოკი ამტკიცებს, რომ არ არსებობს არც საყოველთაო და, შესაბამისად, არც თანდაყოლილი მორალური პრინციპები. განა ზოგიერთ ქვეყნებში არ მარხავენ ახალშობილებს მშობიარობას გადაყოლილ დედებთან ერთად? – კითხულობს იგი; განა არ ისტუმრებენ მათ იმქვეყნად, თუ ე.წ. ასტროლოგი იტყვის, რომ ისინი უბედურ ვარსკვლავზე დაიბადნენ? განა ზოგიერთ ადგილას. ყოველგვარი სინდისის ქეჯნის გარეშე, არ ტოვებენ ბედის ანაბარა ან, სულაც, არ კლავენ გარკვეულ ასაკს მიღწეულ მშობლებს? ზოგან ჭამენ საკუთარ შვილებს, ზოგიერთ ველურ ტომს არა აქვს სიტყვა "ღმერთი", არა აქვს რაიმე რელიგია, კულტი. მაშასადამე, თვით ღმერთის იდეაც არ არის საყოველთაო და თანდაყოლილი (არსებობს სხვადასხვა რელიგიები და, ასევე განსხვავებული წარმოდგენები ღმერთზე ერთი რელიგიის ფარგლებში). მაგრამ თუ სულში იდეები ღმერთმა ჩაგვინერგა, იგი პირველ რიგში თავის იდეას ჩანერგავდა. აქედან დასკვნა: თანდაყოლილი იდეები საერთოდ არ არსებობს, სული არის "სუფთა დაფა", "თეთრი ფურცელი" ან "ცარიელი ოთახი". იდეათა ერთადერთი წყარო არის ემპირიული გამოცდილება.

გამოცდილების ორი სახე არსებობს: *გარეგანი და შინაგანი.* გარეგანი გამოცდილება არის გრძნობადი აღქმა, შეგრძნება. მისი ობიექტი გარეგანი

სამყაროა, თავისი მატერიალური საგნებით. შეგრძნების შინაარსს საგნების "გრძნობადი თვისებები" შეადგენს. მაგრამ ადამიანს აქვს ცოდნა საკუთარი სულიერი ცხოვრების შესახებაც. ამ ცოდნას ჩვენ ვიღებთ შინაგანი გამოცდილების, ე.წ. *რეფლექსიის* (ლათინურად "უკან მიმართვა") საშუალებით. რეფლექსია, არსებითად, თვითდაკვირვების უნარია, რომელიც გვაწვდის ცნობებს ჩვენი გონების მოქმედებათა თაობაზე (აღქმა, აზროვნება, მოგონება, ეჭვი, რწმენა, სურვილი, მისწრაფება). მისი საშუალებით მიღებული იდეები შინაარსის მხრივ არსებითად განსხვავდება გარეგანი გამოცდილებით მიღებული იდეებისაგან. ამავე დროს, ორივე მათგანი *ცნობიერების* სამსჯავროს წინაშე წარდგება, რამდენადაც "ცნობიერება არის იმის აღქმა, რაც ხდება ადამიანში, მის საკუთარ გონებაში". ლოკის ეს კლასიკური განმარტება გულისხმობს, რომ ცნობიერება შეიძლება მიმართული იყოს როგორც ობიექტურ სინამდვილეზე (ჩვენ "ვიცით", რა სენსორული თვისებები აქვს საგანს, რომელსაც ახლა აღვიქვამთ), ასევე სუბიექტურზე (ჩვენ "ვიცით", რომ ახლა გონება სწორედ აღქმითაა დაკავებული). რეფლექსია სულის ოპერაციების გაცნობიერებაა. ამგვარად, გარეგანი აღქმა (შეგრძნების უნარი) ობიექტურზეა მიმართული, ხოლო შინაგანი აღქმა (რეფლექსია) – სუბიექტზე. პირველი – საგნის ჩვენზე ზემოქმედების შედეგია, მეორე – ამ შედეგზე სულის მუშაობის გაცნობიერება.

შემეცნების ორი გზის დაშვება ე.წ. გნოსეოლოგიური დუალიზმია. მას შორს მიმავალი მეთოდოლოგიური შედეგები მოჰყვება. შემეცნების ორ გზას ორი სახის "ობიექტი", შინაარსი შეესაბამება. ემპირიული გამოცდილების ორად გაყოფა (გარეგანი და შინაგანი), თავის მხრივ, საფუძველად ედება ბუნებისმეტყველებისა და ფსიქოლოგიის საგნის დასაბუთებას: გარეგან გამოცდილებას შეისწავლიან ბუნების მეცნიერებანი, ხოლო შინაგანს – ფსიქოლოგია. აქედანვე გამომდინარეობს ფსიქოლოგიური კელევის მეთოდური თავისებურებაც. საკუთარ თავში დახშული ცნობიერების სამყაროში შეღწევის ერთადერთი გზა *თვითდაკვირვება, ინტროსპექციაა*. "თუ მე ვაზროვნებ, მაგრამ ამის შესახებ არ ვიცი, სხვამ არავინ არ შეიძლება ეს იცოდეს". ფსიქოლოგიური კელევისთვის ღია მხოლოდ საკუთარი ცნობიერებაა. ეს თეზისი გახდა განმსაზღვრელი ინტროსპექციული ფსიქოლოგიისთვის.

ლოკი შეგრძნებასაც და მის ასლსაც (წარმოდგენას) *იდეას* უწოდებს. მათი გამიჯვნა და ტერმინ "იდეის" ამ უკანასკნელთან დაკავშირება შემდგომი ეტაპის ასოციაციურ ფსიქოლოგიაში მოხდა. ასეა თუ ისე, ყველა იდეა ერთი ან მეორე სახის გამოცდილებიდან მომდინარეობს. ლოკი მათ განასხვავებს, მაგრამ ერთმანეთს არ უპირისპირებს. იგი მიუთითებს, რომ შინაგანი გამოცდილება, მაინც, გარკვეულწილად დამოკიდებულია გარეგანზე, ვინაიდან პირველადი მასალა ყოველთვის შეგრძნებათა გზით მიიღება. რეფლექსია მის შემდგომ და მის საფუძველზე ამოქმედდება და "იდეების იდეებს" ქმნის. მაშასადამე, ყოველგვარი ცოდნის პირველწყარო არის შეგრძნება. არაფერია გონებაში ისეთი, რაც მანამდე არ იყო შეგრძნებაში – ესაა სენსუალისტური თეზისი, რომელიც ჰობსიდან და გასენდიდან მოდის, მაგრამ ლოკთან უფრო სერიოზულად არის დასაბუთებული. ამრიგად, ორი სახის

გამოცდილების გამოყოფით ლოკმა, არსებითად, საფუძველი ჩაუყარა *ინტროსპექციულ ემპირიულ ფსიქოლოგიას*, როგორც მეცნიერებას შინაგანი გამოცდილების შესახებ და, აგრეთვე, ამ ფსიქოლოგიისთვის დამახასიათებელ *სენსუალისტურ ტრადიციას*.

შეგრძნების გზით მიღებული იდეების ანალიზს ლოკი მიუყავს იდეისა და მისი შინაარსის შესაბამისობის საკითხამდე. იდეები სულში არსებობენ. მათ გარკვეული თვისებები შეესატყვისება, რომლებიც თითქოს საგნებს უნდა ახასიათებდნენ. მაგრამ ლოკის ანალიზი სხვა სურათს წარმოგვიდგენს. მისი აზრით, არსებობს თვისებათა ორი სახეობა. *პირველადი თვისებები* საგნების რეალური თვისებებია, ისინი ობიექტურად ახასიათებენ საგანს იმის მიუხედავად, აღიქმება იგი ჩვენ მიერ თუ არა. ეს თვისებებია: სიმკვრივე, მოცულობა, ფიგურა, მოძრაობა, უძრაობა, რაოდენობა და ა.შ. ამ თვისებების შესაბამისი იდეები მათ ზუსტად ასახავენ. *მეორადი თვისებები* არაა მოცემული საგნებში, მათი წარმოშობა და რაგვარობა შეგრძნების ორგანოს სპეციფიკაზეა დამოკიდებული. ესენია: ფერი, ბგერა, გემო, სუნი, ტემპერატურა და ა.შ.

ამ კონცეფციის საილუსტრაციოდ ლოკი მარტივ ცდას მიმართავს. მარჯვენა ხელს ეყოფთ ცივ წყალში, მარცხენას – ცხელში. შემდეგ ორივე ხელს ეანავსებთ ნელთბილ წყალში. აღმოჩნდება, რომ ერთი ხელი წყალს თბილად შეიგრძნებს, მეორე – გრილად. ცხადია, რომ სითბო-სიგრილის განცდა ჩვენი აღქმის თავისებურებით არის გაპირობებული.

ლოკიდან მომდინარეობს მთელი ემპირიული ფსიქოლოგიისთვის, განსაკუთრებით კი ასოციაციონიზმისთვის, დამახასიათებელი *ელემენტარიზმი*. ფსიქიკური მოვლენების განხილვის ეს ტრადიცია იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მან თავი იჩინა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბებულ ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიაშიც (ვუნდტი, ტიჩენერი, ებინჰაუზი და სხვა). იგი მომდინარეობს ლოკის მიერ ორი სახის იდეების, კერძოდ, *მარტივი და რთული იდეების* გამოყოფიდან. მარტივი იდეები არ იშლება, არ იყოფა, ისინი რთული იდეების ელემენტებია. ეს არის მასალა, რომლისაგანაც გონების რთული შინაარსები იქმნება (სწორედ ამას ეწოდება "ელემენტარიზმი"). მარტივ იდეებს წარმოშობს როგორც შეგრძნება, ისე რეფლექსია. ლოკი ასდენს მარტივი იდეების კლასიფიკაციას: 1) მარტივი იდეები, რომელთა საფუძველია ერთი რომელიმე გარეგანი გრძნობა (შეგრძნება) (მაგ., ფერი, გემო, სუნი და სხვა); 2) მარტივი იდეები, რომლებიც გამოწვეულია რამდენიმე გარეგანი გრძნობით (მაგ., ერცეულობის ან ფიგურის განცდა აღმოცენდება მხედველობისა და შეხების თანამონაწილეობით); 3) მარტივი იდეები, რომელთა საფუძველია რეფლექსია (მაგ., გახსენება, მსჯელობა, რწმენა, ნებელობის აქტი და სხვა); 4) მარტივი იდეები, რომლებიც აღმოცენდება გარეგანი და შინაგანი გამოცდილების ერთდროული მოქმედებით (მაგ., სიამოვნება, უსიამოვნება, ერთიანობა, თანმიმდევრობა და სხვა). ამ კლასიფიკაციიდან ჩანს, რომ მარტივ იდეებს შორისაც არსებობს სირთულის სხვადასხვა ხარისხი.

მარტივ იდეებთან დაკავშირებით აღსანიშნავია ლოკის მოსაზრება იმის

შესახებ, რომ ასეთი იდეები პასიურ სუბიექტს გულისხმობენ. გონება პასიურია მარტივი იდეების აღქმისას, "მას არ შეუძლია არ მიიღოს ისინი ისევე, როგორც სარკეს არ შეუძლია არ მიიღოს, შეცვალოს ან წაშალოს მის წინ დაწყობილი საგნების გამოსახულება". ამავე დროს, თუ გონებაში უკვე არსებობს მარტივი იდეები, მას შეუძლია მათი შედარება, შეერთება და ამით ახალი, რთული იდეების შექმნა.

თუ მარტივი იდეების მიმართ გონება პასიურია, რთული იდეების შემთხვევაში ის საკმაო აქტიურობით გამოირჩევა. რთული იდეები წარმოიქმნება მარტივი იდეების გაღამუშავების საუუძველზე მათზე გარკვეული გონებრივი მოქმედებების ჩაგარების გზით. გონება მარტივი იდეების კომბინირებას ახდენს: გამოყოფს ერთმანეთისაგან, აღარებს ერთმანეთს, აერთიანებს მათ. გონებრივი მოქმედებებია: განყენება, შედარება და შეჯერება, შეერთება და შეჯამება. ლოკმა მოგვცა მარტივი იდეიდან ან ცალკეული საგნიდან რთული ან *ზოგადი იდეის (ცნების)* მიღების კლასიკური სქემა. ეს ხორციელდება ცალკეულში (კერძოში) ზოგადის მონახვის გზით. ზოგადი იდეა უნდა შეიქმნას, ეინაიდან რეალურ სინამდვილეში არსებობს მხოლოდ ინდივიდუალური, კონკრეტული საგნები, ხოლო ზოგადი სინამდვილე არ არსებობს. ჩვენ ერთმანეთს ვადარებთ საგნებს, აღმოვაჩენთ მათში მსგავს და განსხვავებულ ნიშნებს, შემდეგ ვახდენთ განყენებას დანარჩენი ნიშნებისაგან და ვტოვებთ მხოლოდ მსგავს ნიშნებს. მსგავსი ნიშნების ერთობლიობა, რომელიც ჩვენმა გონებამ გამოყო ცალკეული საგნებიდან და შემდეგ შეაერთა, არის ის, რასაც ზოგადს (ცნებას) ეუწოდებთ.

რთული იდეების წარმოქმნის ერთ-ერთ მექანიზმს ლოკმა *ასოციაცია* უწოდა. ეს ტერმინი მან მხოლოდ "ნარკვევების" მეოთხე გამოცემაში შემოიტანა, 1700 წელს. ამან, თავისთავად, ბევრი ვერაფერი შესძინა ლოკის მოძღვრებას, მაგრამ გაჩნდა ტერმინი, რომელმაც დაიპყრო შემდგომი დროის ფსიქოლოგია. ლოკი ასოციაციის შემთხვევაშიც იდეების დაკავშირებისა და კომბინირების შესახებ საუბრობს, მაგრამ მასთან ამ ტერმინს მაინც სპეციფიკური მნიშვნელობა აქვს. ლოკი ერთმანეთს უპირისპირებს იდეების გონისმიერ და ასოციაციურ კავშირებს. ეს უკანასკნელი არასასურველი კავშირებია; ასოციაციური კავშირები იდეებს შორის არასწორი, არაბუნებრივი კავშირებია. ლოკი ერთ ადგილას მათ სიგიჟის სახეობადაც კი ნათლავს. ისინი შემთხვევითობის ან ჩვეულებისაგან მომდინარეობენ და აბრიანი საფუძველი არა აქვთ. ასოციაციები მაშინ ჩნდება, როდესაც "იდეები, რომლებიც თავისთავად სულაც არაა მონათესავე (მსგავსნი), ზოგიერთი ადამიანის გონებაში ერთმანეთს ისე უკავშირდება, რომ მათი გაყოფა ძალზე ძნელი ხდება. ისინი ყოველთვის თან სდევენ ერთმანეთს და როგორც კი ერთი იდეა შემოდის გონებაში, მაშინვე ჩნდება მასთან დაკავშირებული სხვა იდეა". ამგვარი ასოციაციური კავშირებით ხსნის ლოკი სხვადასხვა ცრურწმენებს, ჩვენს სიმპათია-ანტიპათიებს, ფილოსოფიურ თუ პოლიტიკურ მიმდინარეობებს შორის არსებულ წინააღმდეგობებს და გაუგებრობებს. ერთი სიტყვით, ასოციაციები ყოველგვარი შეცდომის მიზეზად გვეველინება, რის გამოც ლოკი პედაგოგებს მათთან ბრძოლისკენ მოუწოდებს. აღზრდის ამოცანა იმაშია,

რომ წინ გადაეღობოს იდეათა შორის არასასურველი კავშირების შექმნას (ლოკი პედაგოგიკის ერთ-ერთი უდიდესი თეორეტიკოსია და, ასევე, ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის ერთ-ერთი წინამორბედი (იხ. 6.3.).

ასოციაციის ასეთმა შეზღუდულმა გაგებამ ფეხი ვერ მოიკიდა. პირიქით, ასოციაცია იდეების დაკავშირების საყოველთაო და უნივერსალურ პრინციპად გამოცხადდა. ამან საფუძველი ჩაუყარა *ასოციაციონიზმს*, როგორც ემპირიული ფსიქოლოგიის ყველაზე მძლავრ მიმდინარეობას. ლოკის დამსახურება კი, ძირითადად, "ასოციაციის" ძალზე სასარგებლო ტერმინის შემოტანაა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასოციაციებზე მსჯელობისას მან ხაზი გაუსვა ჩვევის როლს და ამით წინასწარ განჭვრიტა ე.წ. განმეორების კანონი, რომელსაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა გეიანდელ ასოციაციონიზმში და ბიჰევიორიზმში მიენიჭა.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ ლოკისაგან ფსიქოლოგიამ ბევრი რამ მიიღო: ინტროსპექციული ემპირიული ფსიქოლოგიის საგნისა და მეთოდის დასაბუთება, როგორც მეცნირებისა შინაგანი გამოცდილების (ცნობიერების) შესახებ, რომელიც რეფლექსიის (თვითდაკვირვების) გზით შეიმეცნება, ატომიზმი, ელემენტარიზმი, რომელიც ამტკიცებს ცნობიერების მარტივი შინაარსების (იდეების) პირველადობას მათგან წარმოებული რთული ფსიქიკური ფენომენების მიმართ, განზოგადების პროცესის სქემა, დაბოლოს, ტერმინი "ასოციაცია".

ფსიქოლოგიურ აზროვნებაზე საკმაოდ დიდი გავლენა მოახდინა ლოკის შესედულებამ პირველადი და მეორადი თვისებების შესახებ. მის კვალს ეხვედებით თითქმის ყველგან, სადაც საკითხი დაისმის სენსორული პროცესის სუბიექტური და ობიექტური მხარის ურთიერთმიმართების შესახებ. XIX საუკუნეში ფორმულირებული გრძნობის ორგანოთა სპეციფიკური ენერგიის ცნობილი კანონიც მის შორეულ გამოძახილად შეიძლება ჩაითვალოს (იხ. 4.1.). ლოკის ამ კონცეფციის შემდგომმა გააზრებამ და ინტერპრეტაციამ გარკვეულად განსაზღვრა XVIII საუკუნის ემპირიული ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის რამდენიმე მნიშვნელოვანი სისტემის, მათ შორის ფრანგი სენსუალისტების (კონდილიაკი, ჰელვეციუსი, დიდრო და სხვა) და ბრიტანელი სუბიექტური იდეალისტების (ჰიუმი, ბერკლი და სხვა) სისტემების სახეა.

## 3.2. ემპირიული და რაციონალური ფსიქოლოგია მეთვრამეტე საუკუნეში

ასოციაციონიზმი, როგორც ემპირიული ფსიქოლოგიის განსაკუთრებული და ყველაზე მძლავრი მიმართულება XVIII საუკუნეში ჩამოყალიბდა. ის ცარიელ ადგილას არ წარმოქმნილა, წინა საუკუნეში იგი სპინოზამ, ჰობსმა და ლოკმა შეამზადეს. ამ უკანასკნელმა შემოიტანა ტერმინი "ასოციაცია", ე.წ. ასოციაციის კანონები კი ჯერ კიდევ არისტოტელეს მიერ იყო დამუშავებული. სწორედ ასოციაციონიზმის განვითარებამ მოამზადა ნიადაგი იმისთვის, რომ ფსიქოლოგიას ფილოსოფიური ორიენტაცია თანდათან კვლევით-მეცნიერულით შეეცვალა და XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან

სრულფასოვანი დამოუკიდებელი დისციპლინის სახით დამკვიდრებულიყო. XVIII საუკუნის ბრიტანული ასოციაციური ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებაში ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა პიუმმა და, განსაკუთრებით, ჰერტლიმ. ხოლო იმ დროის ერთ-ერთმა უდიდესმა ბრიტანელმა ფილოსოფოსმა ბერკლიმ, მართალია ნაკლები გავლენა მოახდინა ემპირიული ფსიქოლოგიის ასოციაციურ მოძღვრებაზე, მაგრამ აღქმის ფსიქოლოგიის ზოგიერთი საკითხის დასმასა და გააზრებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

**ჯორჯ ბერკლი** (1685-1753) დაიბადა ირლანდიაში, იქვე მიიღო განათლება. მან ბევრი იმოგზაურა, იყო საკმაოდ გაელენიანი ფილოსოფოსი



და რელიგიური მოღვაწე (ეპისკოპოსი). ახალგაზრდობაშივე დაწერა ორი ნაშრომი, რომლებიც საინტერესოა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ესენია: "ესსე მხედველობის ახალ თეორიაში" (1709) და "ტრაქტატი ადამიანური შემეცნების პრინციპების შესახებ" (1710).

ბერკლის ფილოსოფია სუბიექტური იდეალიზმია. დეკარტელან მომდინარე დუალისტურ თვალსაზრისს ორი განცალკევებული სამყაროს შესახებ, ბერკლიმ დაუპირისპირა "ახალი პრინციპი", რომლის თანხმად, სუბიექტისაგან დამოუკიდებლად არსებული საგნების სამყაროზე ლაპარაკი აზრს მოკლებულია: საგანთა არსებობა (ყოფიერება) არის მათი აღქმა, აღქმულობა (Esse est percipi).

მატერიის ცნება, როგორც სუბსტანციისა, საგანთა მიღმა მყოფი არსისა, უაზრობაა. იგი შემეცნებისთვის არ გამოდგება, ვინაიდან არაფერს მატებს საგანთა თვისებებს იმაზე მეტს, რაც შეიძლება მოგვცეს გრძნობადმა აღქმამ. მატერია უზოგადესი ცნებაა, რომელიც ინდივიდუალურ საგნებში არ არსებობს. ცოდნა ინდივიდუალური საგნებზე უნაშთოდ იშლება მის გრძნობად თვისებებად (ის მათი ჯამია). აქ მატერიისთვის. როგორც დამატებით მოცემული სუბსტანციისთვის, ადგილი არ რჩება, ის არც აღიქმება და არც მოიაზრება. ბერკლი ნომინალისტია – იგი ზოგადის რეალურ არსებობას უარყოფს, სოლო თუ არ არსებობს ზოგადი, მაშინ არც მატერია არსებობს.

რეალურად არსებობს მხოლოდ იდეები. წარმომობის თვალსაზრისით ისინი ოთხ ჯგუფად იყოფა: 1) შეგრძნებებით მიღებული იდეები; 2) იდეები, რომლებიც სულის მოქმედების ან მდგომარეობის საფუძველზე აღმოცენდება (განცდები); 3) წარმოსახვის საფუძველზე შექმნილი იდეები და 4) იდეები, რომლებიც ზემოთ დასახელებული იდეების შეერთების შედეგად წარმოიქმნება. ამგვარად, გონებას შეადგენენ შეგრძნებები, სულიერი განცდები და მათ საფუძველზე შექმნილი წარმოდგენები.

ამოსავალი ყველა იდეისთვის არის შეგრძნება, გრძნობადი აღქმა. ბერკლი სენსუალისტია, რაც თავისთავად ბუნებრივია იმ მოაზროვნისთვის, რომელიც საგანთა არსებობას მათ აღქმადობასთან აიგივებს. ერთადერთი, რისი მოცემულობის შესახებაც ადამიანმა ნამდვილად იცის, მისი შინაგანი გამოცდილებაა, პირველ ყოვლისა, შეგრძნებით მიღებული იდეებია. ადამი-

ანი დარწმუნებით ვერაფერს იტყვის საგნებისა და მათი თვისებების ობიექტური, სუბიექტისაგან დამოუკიდებელი არსებობის თაობაზე. "მაგიდა, რომელზეც მე ვწერ, არსებობს. ეს იმას ნიშნავს, რომ მე მას ვხედავ, მე მას ვეხები. მე რომ ჩემს სამუშაო ოთახში არ ვყოფილიყავი, ვიტყოდი: მაგიდა არსებობს ოთახში და ვიგულისხმებდი, რომ ოთახში რომ ვყოფილიყავი, მე მას აღვიქვამდი ან რომელიმე სხვა სული აღიქვამდა მას". თუ ავტორის ამ მაგალითს გავეცნებით, შეიძლება ვთქვათ, რომ მაგიდას, პრინციპში, შეუძლია აღძრას ფორმის, მოცულობის, სიმკვრივის, ფერის, სუნის, ტემპერატურისა და სხვა შეგრძნებები მათი შესაბამისი იდეებით. ლოკის მიხედვით, ზოგი მათგანი ამ საგნის ობიექტურ თვისებას ასახავს ანუ თვით ობიექტის კუთვნილებაა (პირველადი თვისება), ზოგიც მხოლოდ სუბიექტის, დამკვირვებლის, მისი გონებისა თუ სენსორული აპარატის უნარებს გამოხატავს (მეორადი თვისება).

ავითარებს რა ლოკის აზრს, ბერკლი ფიქრობს, რომ პირველადი და მეორადი თვისებების განცალკევება არ შეიძლება; პირველადი თვისებები დაკავშირებულია მეორადთან (მაგ., შეუძლებელია ფიგურას არ ჰქონდეს რაიმე ფერი, თუნდაც თეთრი ან შავი). ამიტომ თუ მეორადი თვისებები გონებაშია (გონების პროდუქტია), რა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ პირველადი თვისებებიც არაა ასეთი "წარმოშობისა"? მით უფრო, რომ შეხედულება პირველად თვისებებზე ეყრდნობა რწმენას განფენილი მატერიალური სუბსტანციის არსებობის შესახებ (საგანთა პირველადი თვისებები განფენილობიდანაა წარმოებული); ამ რწმენის უსაფუძვლობაში კი ბერკლის ეჭვი არ ეპარება.

რამდენადაც საგნების თვისებების დამადასტურებელი შეგრძნებები გონებაშია, თვით საგნებიც სხვა არაფერია, თუ არა ამ შეგრძნებათა შესატყვისი იდეების კრებადობა. ისინი, როგორც წესი, მყარ კომბინაციებს ქმნიან, მათ ერთ სახელს ეუწოდებთ და, ამიტომ, ერთ საგნად მივიჩნევთ. მაგალითად, აღვიქვამთ რაიმე ფერს, გემოს, სუნს, ფორმას, კონსისტენციას, რაც ერთდროულადაა მოცემული და ამას ეუწოდებთ "ვაშლს". იდეათა სხვა კრებული არის ქვა, ხე, წიგნი, სახლი და ა.შ. შეგრძნებათა ეს ერთიანობები იწვევენ სიხარულს ან მწუხარებას იმის მიხედვით, სასიამოვნოა ისინი ჩვენთვის თუ უსიამოვნო. თითოეული შეგრძნებიდან მომდინარე იდეა სხვა იდეებისაგან გამიჯნული და განსხვავებულია, მაგრამ, ვინაიდან ისინი ყოველთვის ერთდროულად გვეძლევა, ერთი საგნის იდეად ერთიანდებიან. ამ იდეათა შეკავშირების მექანიზმი, არსებითად, ასოციაციურია (მეზობლობის ასოციაცია), თუმცა ის ბერკლისთან ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ ექსპლიცირებული და ფორმულირებული.

ბერკლის მოძღვრების მთავარი პრინციპი გულისხმობს საგნის არსებობის დაყვანას მის აღქმადობაზე. აქედან გასაგებია, რომ აღქმის, პირველ ყოვლისა, მხედველობითი აღქმის საკითხს იგი საგანგებო ყურადღებას აქცევს. მისი ერთ-ერთი მთავარი თეზულება მხედველობითი აღქმის ახალი თეორიის აგების მცდელობაა. მასში მართლაც არის მრავალი სიახლე, განსაკუთრებით, სივრცის აღქმის გააზრების თვალსაზრისით. მანამდე თვალიდ-

ნენ, რომ საგნების სივრცით თვისებებს – სიდიდეს, დაშორებულობას, ფორმას, ადგილმდებარეობას და სხვას – ჩვენ უშუალოდ ვხედავთ, ისევე როგორც ფერებს. ბერკლის მართებულად მიაჩნია, რომ ასეთი გაგება არ არის აღეკვატური. თავის მტკიცებებში ბერკლი ძირითადად ეყრდნობა თვითდაკვირვებას, რამდენადაც "ყოველი თვითონ არის საუკეთესო მსაჯული იმისა, რას აღიქვამს და რას არა". ბერკლი არ კმაყოფილდება თვითდაკვირვებით და, ლოგიკურ მსჯელობასთან ერთად, იყენებს არსებულ დაკვირვებებს დაბადებიდან ბრმა ადამიანებზე, რომელთაც თვალი აეხილათ. ეს მის არგუმენტაციას უფრო დამარწმუნებელს ხდის. ჯერ ერთი, მანძილი არ აღიქმება უშუალოდ თვალით თუნდაც იმიგომ, რომ მანძილი რაიმე ობიექტამდე არის თვალის მიმართ პერპერდიკულარული ხაზი, რომელიც პროექციაში იძლევა მხოლოდ წერტილს. აქ მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა მანძილია ობიექტამდე. მეორეც, ის უსინათლოები, ვისაც მხედველობა დაუბრუნდა, უშუალოდ სივრცეს ვერ ხედავენ და მხოლოდ თანდათან ეჩვევიან ამას. ეს განსაკუთრებით მესამე განზომილების აღქმას ეხება.

მაშასადამე, განფენილი სხეულები სამ განზომილებაში მხოლოდ მხედველობით არ აღიქმება. ამაში უდიდეს როლს ასრულებს შეხებითი და თვალის მოძრაობასთან დაკავშირებული კუნთური შეგრძნებები, რომლებიც უკავშირდებიან მხედველობით შეგრძნებებს. მათ შესაბამის იღეებს შორის ასოციაციური კავშირი გამეორებათა სიხშირის გამო მყარი ხდება. ამრიგად, ის, რასაც ჩვენ სივრცის მხედველობით აღქმას ვუწოდებთ, სინამდვილეში წარმოადგენს მხედველობის, შეხებისა და კუნთური შეგრძნებების კომბინაციას. როგორც ვხედავთ, მინიშნება აქაც ასოციაციის მექანიზმზე კეთდება.

ბერკლი გამოყოფს და განიხილავს რამდენიმე ფაქტორს, რომლებიც განაპირობებენ სივრცის აღქმის სიზუსტეს. მათ შორის გადამწყვეტია ე.წ. "მანძილი გუგებს შორის", რომელიც ცვალებადობს ობიექტის დაშორების შესაბამისად (დღევანდელი ტერმინოლოგიით, ეს არის კონვერგენცია ანუ თვალების ღერძების კოორდინირებული შებრუნება შიგნით) და ე.წ. "თვალის დაძაბვა" (დღევანდელი ტერმინოლოგიით, ეს არის აკომოდაცია ანუ ბროლის ჩაზნექა და ამომნექა საგნის დაშორების შესაბამისად). თანამედროვე შეხედულების მიხედვითაც, მხედველობითი აპარატის ამ მოძრაობებთან დაკავშირებული კუნთური შეგრძნებები, საკუთრივ ოპტიკურ შთაბეჭდილებასთან ერთად, უდიდესწილად განსაზღვრავენ სივრცის (განსაკუთრებით, რელიეფის, სიღრმის) აღქმას, ამიტომ მათ პირველად ფაქტორებს უწოდებენ. გამოიყოფა, აგრეთვე, ე.წ. მეორადი ფაქტორები. უნდა აღინიშნოს, რომ ბერკლი იყო პირველი, ვინც ზოგიერთ მათგანზე მიუთითა. მაგალითად, მან აღნიშნა, რომ მანძილის შეფასების სიზუსტე მატულობს, თუ აღმქმელსა და საგანს შორის სხვა ობიექტებიც არის განლაგებული (დღეს ამას სივრცის შევსებულობა ჰქვია); ბერკლიმ იმასაც მიაქცია ყურადღება, რომ მანძილის მატებასთან ერთად ობიექტის გამოსახულება ბუნდოვანი ხდება და ადამიანი ამ გამოცდილებას მანძილის შეფასებისას ითვალისწინებს (დღეს ამას ჰაერის პერსპექტივის ფაქტორის ზემოქმედებით ხსნიან). ერთი სიტყვით, ბერკლიმ საკუთრივ მართებულად მიუთითა სივრცის აღქმის ფაქტორებზე,

თუმცა, ცხადია, არ ესმოდა აქ მოქმედი ფიზიკური, ფიზიოლოგიური და ფსიქიკური მექანიზმების ბუნება. ეს მხოლოდ მომდევნო საუკუნეებში გაირკვა. ბერკლი სწორად მიხვდა იმასაც, რომ სიერციის აღქმა უპირატესად შეძენილი უნარია (ამას შემდგომში *გენეტიზმი* ეწოდა). მან ასევე, მართებულად მიანიშნა, რომ სიერციის აღქმა რამდენიმე შეგრძნების გაერთიანებული მოქმედების შედეგია, ანუ *ინტერმოდალური* ხასიათისაა. ბერკლის ხაზი მეცხრამეტე საუკუნის ასოციაციონიზმში განაგრძო ა. ბეინმა, რომელიც სპეციალურად აღნიშნავდა კუნთური შეგრძნების როლს სიერციის აღქმაში.

შემდეგი ბრიტანელი, რომელმაც ფსიქოლოგიაზე კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა, ეიდრე ბერკლიმ, იყო **დევიდ ჰიუმი** (1711-1766). ჰიუმი დაიბადა ედინბურგში. ერთხანს სწავლობდა იქვე უნივერსიტეტში, შემდეგ კი განათლების მიღება განაგრძო საფრანგეთში. ინგლისში დაბრუნების შემდეგ თავი მრავალ სფეროში გამოსცადა: მუშაობდა ბიბლიოთეკარად, აღეოკატად, დიპლომატად, ბავშვის მასწავლებლად მდიდარ ოჯახში. დაწერა არაერთი პუბლიცისტური ესსე და ინგლისის რვატომიანი ისტორია. ჰიუმის მთავარი ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური თხზულებებია "ტრაქტატი ადამიანის ბუნების შესახებ" (1739) და "გამოკვლევა ადამიანის შემეცნების შესახებ" (1748).

ჰიუმის ფილოსოფიაში ფსიქოლოგიურ პრობლემატიკას დიდი ადგილი უკავია. ეს გასაგებიცაა. როგორც თანმიმდევრული სუბიექტური იდეალისტი, იგი სრულებით უარს ამბობს ობიექტური სამყაროს შესახებ მსჯელობაზე და მთლიანად სუბიექტური სინამდვილის ანალიზით იყარგლება. ჰიუმი, ლოკის მსგავსად, აღასტურებს მარტივი და რთული იდეების არსებობას და ამ უკანასკნელთა წარმოქმნის ასოციაციურ პრინციპს უფრო ჩამოყალიბებულ სახეს აძლევს. ასევე, მეტი ადექვატურობით გამოირჩევა ცნობიერების შინაარსების ჰიუმისეული ანალიზიც. მთელ შინაგან გამოცდილებას, ცნობიერების მდგომარეობათა ერთობლიობას მან *პერცეფცია* უწოდა და ორ კლასად დაყო: *შთაბეჭდილებებად და იდეებად*. "შთაბეჭდილებებში" იგულისხმება შეგრძნებები, გრძნობები და ვნებები. "იდეები" კი არის შთაბეჭდილებათა მკრთალი სურათები ან ასლები ჩვენს გონებაში. ამგვარ გამიჯვნას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. მისი წყალობით, როგორც თვითონ ავტორი აღნიშნავს, სიტყვა "იდეამ" თავდაპირველი მნიშვნელობა დაიბრუნა, რომელიც მას ლოკმა დაუკარგა, ვინაიდან შეგრძნებებსაც იდეებს უწოდებდა. იდეა არის ისეთი განცდა, რომელიც არსებობს მისი შესაბამისი საგნის სუბიექტზე უშუალო გემოქმედების გარეშე. ფსიქოლოგიის თვალსაზრისით ის იგივეა, რაც წარმოდგენა. ეს ტერმინი დღესაც ამ მნიშვნელობით იხმარება, რასაც ვერ ვიტყვით ტერმინ "შთაბეჭდილების" ჰიუმისეულ გაგებაზე.

შთაბეჭდილება და იდეა განცდის ორი სახესხვაობაა. მათი გამიჯვნის ძირითადი კრიტერიუმი არის განცდის სიცხოველე: შთაბეჭდილებები უფრო ძლიერი, გამოკვეთილი და ცხადია. ეს განსხვავება მართლაც ადვილად გამო-

იკვეთება შინაგან გამოცდილებაში. მაგრამ მთავარი ის არის, თუ როგორია ამ განსხვავების საფუძველი, მხოლოდ რაოდენობრივი, როგორც ჰიუმს მიაჩნდა, თუ თვისებრივიც. ალბათ ძნელია იმის უარყოფა, რომ ზოგიერთი იდეა უფრო ძლიერი და მკაფიოა, ვიდრე რაიმე სუსტი შთაბეჭდილება. ქუხილის იდეა, მაგალითად, აშკარად უფრო ინტენსიურია, ვიდრე საათის ტიკტიკის ოდნავ შესამჩნევი შეგრძნება. ისეთი მახვილი ოვითდაკვირვების უნარის მქონე მკვლევარს, როგორიც ჰიუმი იყო, არ შეიძლებოდა ეს არ შეემჩნია. იგი პირდაპირ მიუთითებს ისეთ მდგომარეობებზე (სიზმარი, ტრანსი და ა.შ.), როდესაც იდეის ინტენსიობა უტოლდება ან აჭარბებს კიდეც შთაბეჭდილების ძალას. მიუხედავად ამისა, ავტორს არ უჩნდება კითხვა, თუ რატომ უნდა ვუწოდოთ მაშინ ასეთ სუსტ ფსიქიკურ შინაარსს შთაბეჭდილება, ხოლო უფრო ძლიერს – იდეა. აქ საქმე მხოლოდ ინტენსიობაში არ უნდა იყოს. შთაბეჭდილებასა და იდეას შორის განსხვავება ჰიუმმა ემპირიულად დაადგინა. უშუალო გამოცდილების ფარგლებში ეს იმდენად აშკარაა, რომ აღნიშნული სირთულის მიუხედავად, მეცნიერებამ იგი მაინც მიიღო. მაგრამ, ამ განსხვავების სიცხადე მათ შორის არსებულ უფრო მნიშვნელოვან განსხვავებაზე მიანიშნებს; იგი მხოლოდ განცდების ძალითა და სიცხოველით კი არ ამოიწურება, არამედ თვისებრივ, რომელობით განსხვავებას ეხება. ფაქტია, რომ გრძნობადი აღქმა იმდენად თვალსაჩინოდ განსხვავდება მეხსიერების ან წარმოსახვის განცდებისაგან, რომ იშვიათად ხდება მათი აღრევა (მაშინაც კი, როცა მათი ინტენსიობა, სიცხოველე თანაბარია). ეს ფსიქიკურ მასალაში პირველადი, რომელობითი განსხვავების არსებობაზე მიუთითებს. აქ იმის მსგავსი განსხვავებაა, რომელიც არსებობს, ვოქვათ, ფერისა და გემოს განცდებს შორის.

შთაბეჭდილებები იყოფა *შეგრძნების* შთაბეჭდილებად (ანუ უბრალოდ შეგრძნებებად) და *რეფლექსიის* შთაბეჭდილებებად. ეს უკანასკნელნი იდეის მიერ აღძრული შთაბეჭდილებებია და, ფაქტობრივად, ვნებებსა და ემოციებს აღნიშნავენ. მათი წარმოქმნა შემდეგნაირად ხდება: ჩვენ განვიცდით სიცივეს, შიმშილს, ტკივილს და სხვა შეგრძნებებს, ისინი იწვევენ სათანადო იდეებს, ამ იდეებს კი შეუძლიათ ახალ შთაბეჭდილებათა გამოწვევა, მაგალითად, მისწრაფების, იმედის, შიშის, ზიზღის და სხვა. მათი პირველადი საფუძველი ამ შემთხვევაშიც შეგრძნებებია.

რაც შეეხება იდეებს, მათში გამოიყოფა *მეხსიერებისა და წარმოსახვის* იდეები. მეხსიერების იდეები უფრო შთაბეჭდილებებს გვანან და მეტი სიმკვეთრით და სიცხოველით ხასიათდებიან. უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის მონაცემები არ აადასტურებენ ჰიუმის ამ მოსაზრების მართებულობას. ჰიუმის მიხედვით, შთაბეჭდილებები, ისევე როგორც იდეები, შეიძლება იყოს *მარტივი ან რთული.* მარტივი იდეა უთუოდ ჰგავს მარტივ შთაბეჭდილებას, მაგალითად, წითელი ფერის იდეა – ანალოგიური შინაარსის შეგრძნებას. მარტივ შთაბეჭდილებებსა და იდეებს არა აქვთ ნაწილები, ხოლო რთული იდეები განსხვავებული ნაწილების ან თვისებების ერთობლიობას წარმოადგენენ. მაგალითად, ეამლის აღქმაში ან იდეაში განვასხვავებთ ფორმას, ფერს, გემოს და ა.შ. რთული იდეები შინაარსის

მხრივ ასევე შეესაბამებიან რთულ შთაბეჭდილებებს (აღქმებს), მაგრამ, არსებობენ ისეთი რთული იდეებიც, რომლებიც არ გვანან არაეითარ აღქმით შთაბეჭდილებას და მარტივი იდეების ახლებური შეერთებით წარმოიქმნებიან.

როგორც ზემოთ ითქვა, რთული (ზოგადი) იდეების წარმოქმნა, ლოკის მისხედვით, უპირატესად, გონებრივ მოქმედებათა (შედარება, განყენება, შეერთება და სხვა) საშუალებით ხორციელდება. ამ საკითხის განხილვისას ჰიუმი ბევრად უფრო თამამად საუბრობს ასოციაციის მექანიზმზე, ვიდრე მისი წინამორბედნი, თუმცა ამ ტერმინს თავადაც არ ხმარობს დარწმუნებით. იგი ასე მსჯელობს: პრინციპში ყველა მარტივი იდეა შეიძლება განცალკევდეს სხვა იდეებისაგან და ნებისმიერად, წარმოსახვის უნარის გამოყენებით ყოველსაირი კომბინაციით ხელახლა დაუკავშირდეს სხვადასხვა იდეებს. ჩვენ შეგვიძლია დავუკავშიროთ ერთმანეთს ცხენის ტანი ადამიანის თავს და ასე შევქმნათ კენტავრის იდეა. მაგრამ ეს კავშირი ბუნებრივი არ არის. ამიტომ უნდა არსებობდეს მუდმივი დამაკავშირებელი უნივერსალური პრინციპი, რომელიც ყველგან და ყოველთვის მოქმედებს. იგი საშუალებას იძლევა, მარტივი იდეები გაერთიანდნენ რეალურად ერთსა და იმავე კომპლექსებში ისე, რომ ერთმა იდეამ ბუნებრივად გამოიწვიოს მეორე, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე. ასეთი პრინციპია ასოციაცია. ასოციაცია გაგებულია, როგორც მიზიდულობა იდეებს შორის, მათი დამაკავშირებელი ძალა. ასოციაცია არ არის რაღაც აუცილებელი კანონი, რომლითაც იდეები ერთმანეთს უკავშირდება. როგორც ითქვა, წარმოსახვის საშუალებით იდეების ყოველგვარი დაკავშირებაა შესაძლებელი. ასოციაცია ის მუდმივმოქმედი პრინციპია, რომელიც ქმნის უფრო ხშირ, "როგორც წესი" არსებულ კავშირებს. ჩვეულებრივი ობიექტების ან მიმართებების შესახებ ჩვენში მოცემული რთული იდეები სწორედ ასოციაციის მექანიზმის მოქმედების შედეგადაა აღმოცენებული.

თავდაპირველად ჰიუმმა გამოყო ასოციაციის სამი კანონი: *მსგავსების, მეზობლობის (დროსა ან სივრცეში) და მიზეზ-შედეგის.* შემდგომში, ეს უკანასკნელი, ფაქტობრივად, მეზობლობაზე იქნა დაყვანილი. ჰიუმი არჩევდა *ერთდროულ (სიმულტანურ) და თანმიმდევრულ (სუქცესიურ)* ასოციაციებს. იგი მიუთითებდა აგრეთვე ე.წ. *გაშუალებულ* ასოციაციებზე, როდესაც ორი ობიექტი ერთმანეთს უკავშირდება არა იმის გამო, რომ ისინი ერთმანეთის მსგავსია ან ერთმანეთის მეზობლად მდებარეობს, არამედ იმიტომ, რომ მათ შორის მოთავსებულია მესამე ობიექტი, რომელიც თითოეულ მათგანთან ერთ-ერთი ამ მიმართებით არის დაკავშირებული.

ასოციაციის ყველა ეს ვარიანტი თუ კანონი გვხვდება როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ისე მეცნიერულ აზროვნებაში. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ კაუზალური მიმართების ჰიუმისეულ ანალიზში ჩანს. იდეა იმის შესახებ, რომ რაიმე მოვლენას (მიზეზს) აუცილებლად მოჰყვება სხვა მოვლენა (შედეგი), ე.ი. რომ ერთი იწვევს მეორეს, არის ილუზია. აქ ყველაფერი მოვლენათა, უფრო ზუსტად კი, შთაბეჭდილებათა და შესაბამის იდეათა მეზობლობაზე დაიყვანება. სინამდვილეში ერთ იდეას, როგორც წესი, მოჰყვე-

ბა მეორე. ასეთი თანხვედრის სიხშირის გამო ჩვენ გვიჩნდება რწმენა, რომ ერთი მეორის მიზეზია. მაგრამ ის, რომ მოვლენები ერთმანეთიდან გამომდინარეობს, აღქმაში არ გვეძლევა, ამის შესაბამისი შთაბეჭდილება არ არსებობს. ჩვენ განვიცდით მხოლოდ მოვლენათა (შთაბეჭდილებათა) თანმიმდევრობას. მაგალითად, ელვას ქუხილი მოსდევს, მაგრამ თანმიმდევრობიდან მიზეზობრიობაზე დასკვნის გამოტანა ლოგიკური შეცდომაა: post hos, ergo popter hos (ამის შემდეგ, მაშასადამე ამის გამო). თუკი მიზეზობრიობა, როგორც რეალური მიმართება არ აღიქმება, მაშინ არც შესაბამისი იდეა შეიძლება არსებობდეს, ვინაიდან იდეაში უნდა იყოს მხოლოდ ის, რაც შთაბეჭდილებაში იყო მოცემული. მაშასადამე, მიზეზობრიობის იდეა, რომელიც კაუზალურ კავშირს, როგორც რეალობას სახავს, დროში მოსაზღვრეობის ასოციაციის გზით ყალიბდება და სინამდვილეში მხოლოდ ჩვეულებას ან სუბიექტურ რწმენაზე დაფუძნებულ ილუზიას (ჰიუმის გამოთქმით, ქიმერას) წარმოადგენს.

ამრიგად, ჩვენ ვერაფერს ვამბობთ ობიექტური სამყაროსა და იქ მოქმედი კაუზალური კავშირების რეალურ არსებობაზე. რეალურად არსებობს მხოლოდ შთაბეჭდილებათა და იდეათა ჩვეულად ქცეული კომპლექსები. მათ, მოსახერხებლობის გამო, ერთ სახელს ვუწოდებთ და რეალური არსებობის რწმენით ვაჯილდოვებთ. მაგრამ, იმავე ლოგიკით, თუ არ არსებობს რეალური ობიექტი, არ არსებობს რეალური სუბიექტიც. *სუბიექტის*, "*მე*"-*ს* ცნება ზუსტად ასევეა კონსტრუირებული ჩვენ მიერ. "მე" არის ჩვენი ცნობიერების შინაარსების კავშირი, კომპლექსი: "როცა საკუთარ მე-ში ვლრმავდები, ყოველთვის ვაწყდები ამა თუ იმ ერთეულ პერცეფციას – სიყვარულს ან სიძულვილს, ტანჯვას ან სიამოვნებას, და ვერასოდეს ვიჭერ ჩემს "მე"-ს, პერცეფციისაგან დამოუკიდებლად". ცნობიერების ამ მდგომარეობათა კრებადობას მხოლოდ ჩვეულების გამო ვუწოდებთ "მე"-ს, მაგრამ ამ კომპლექსის რეალური არსებობის შესახებ დანამდვილებით არაფრის თქმა არ შეგვიძლია. პიროვნება, "მე", როგორც ასეთი, დაკვირვებას არ ექვემდებარება და, ამდენად, ფსიქოლოგიურ ილუზიად, ქიმერად უნდა ჩაითვალოს. თუმცა, ჰიუმი აქვე აღიარებს, რომ კარგად არ ესმის, თუ რა შემადგენლობისაა "მე"-ს იდეა და როგორ არის კონსტრუირებული. სამაგიეროდ, ზუსტად განმარტავს კიდევ ერთი "ქიმერული იდეის", სახელდობრ, ღმერთის იდეის სტრუქტურას, რომელიც, მისი აზრით, ყოვლისმცოდნეობის, ყოვლისშემძლეობისა და მშობლიური სიყვარულის იდეათა გაერთიანებაა.

იქიდან, რაც "მე"-ს შესახებ ითქვა, შეიძლება დავასკვნათ, რომ სწორედ ჰიუმის "დამსახურებით" დარჩა ფსიქოლოგია კარგა ხანს, ასე ვთქვათ, უსუბიექტო მდგომარეობაში. სულიერი ცხოვრების ანალიზში "მე"-ს, პიროვნების კატეგორიები არ ფიგურირებდა. ფსიქიკა გაგებული იყო, როგორც სცენა, რომელზეც ცნობიერების სხვადასხვა შინაარსი ჩნდება, ცოცხლობს და ქრება. ჰიუმი პირდაპირ ამბობს: "სული თეატრს ჰგავს, რომელშიც ერთმანეთის მიყოლებით გამოდიან სხვადასხვა პერცეფციები". სხვათა შორის, თეატრთან შედარებას დეკარტეს ფსიქოლოგიურ შეხედულებათა მიმართაც ხშირად იყენებდნენ. მათ "კარტეზიანელ თეატრს" უწოდებდნენ და გულისხ-

მიბდნენ, რომ სული სხეულის შიგნით ბის და უყურებს თეატრალურ სცენას, რომელზეც გარე და შინაგანი სამყაროს ამსახველი იდეები გამოდიან. ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ისტორიკოსის ბუსტი შეფასებით, ჰიუმმა გამორიცხა სული (ანუ "მე", სუბიექტი) კარტეზიანული თეატრიდან და ფსიქოლოგიური რეალობის სახით მხოლოდ მისი სცენა დატოვა (თ. ლიხი).

ასეთია ჰიუმის ფსიქოლოგიური წარმოდგენები, რომლებიც უკიდურესი ემპირიზმის ნიშანს ატარებს: მხედველობაში უნდა მიეიღოთ მხოლოდ ის, რაც გამოცდილებაშია (ცნობიერებაშია) მოცემული. ამ გამოცდილების პირველადი მასალა კი შეგრძნებებიდან მიიღება. ამიტომ მეცნიერებამ შეიძლება მხოლოდ დაკვირვებად მოვლენებზე იმსჯელოს. ეს პოზიცია მომდევნო საუკუნეში გაგრძელდება და განვითარდება პოზიტივისტურ ფილოსოფიაში და საკმაოდ დიდ გავლენას მოახდენს ფსიქოლოგიური აზროვნების ფორმირებაზე. მიუხედავად თავისი უკიდურესობისა და ცალმხრივობისა, განვითარების სწორედ ეს ვექტორი მიიყვანს ფსიქოლოგიას ექსპერიმენტამდე და, საბოლოო ჯამში, ფილოსოფიისაგან დამოუკიდებელი ემპირიული მეცნიერების დამკვიდრებამდე.

ჰიუმის ფილოსოფია ყველაზე უფრო ფსიქოლოგიზირებული მოძღვრებაა. მასში პირდაპირ არ არის ნათქვამი, მაგრამ საკმაოდ ნათლად არის მინიშნებული, რომ ფსიქოლოგიურ ცოდნას გამორჩეული მნიშვნელობა აქვს მეცნიერებათა მთელი სისტემის დაფუძნების თვალსაზრისით. "ყველა მეცნიერება, ამბობს იგი, ადამიანის ბუნებას ეხებოდეს და ერთადერთი საძირკველი, რომელსაც ისინი შეიძლება ეყრდნობოდნენ, ესაა მეცნიერება ადამიანის ბუნების შესახებ". ამასთან მასალა, რომლის გათვალისწინებითაც შესაძლებელია ადამიანის ბუნების შესწავლა, პერცეფციებით ანუ ფსიქიკური შინაარსებით ამოიწურება. მაშასადამე, სუბიექტური სინამდვილის შესახებ ცოდნის სისტემა ყოველგვარი ცოდნის საფუძველია. ტერმინი "ფსიქოლოგია" იმ ხანად კიდევ ეს-ესაა იკიდებდა ფეხს სამეცნიერო ლექსიკონში. ამიტომ, მართალია ამ კონტექსტში ფსიქოლოგია ჰიუმის მიერ არაა ნახსენები, მაგრამ ის დანამდვილებით არის ნაგულისხმევი.



**დევიდ ჰერტლი** (1705-1757) არაა ისეთი მასშტაბის მოაზროვნე, როგორსაც მისი თანამედროვე და თანამემამულე ბერკლი ან ჰიუმი წარმოადგენდნენ. მაგრამ მან უდაოდ უფრო დიდი როლი ითამაშა იმდროინდელ ფსიქოლოგიაში, ვინაიდან შექმნა პირველი, დასრულებული სახის ასოციაციონისტური სისტემა. მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მეხსიერებაში წარმოდგენათა შორის კავშირის დამყარების პროცესი გარკვეულ კანონებს ემორჩილება, ჯერ კიდევ არისტოტელემ გამოთქვა. იდეებს შორის კავშირებზე (ასოციაციებზე) აგრეთვე მიუთითებდნენ სპინოზა, ჰობსი, ლოკი (ტერმინი "ასოციაცია" სწორედ ლოკს ეკუთვნის). უფრო თამამად საუბრობდა ასოციაციის პრინციპზე ბერკლი, ჰიუმმა კი ის ფსიქიკური შინაარსების გაერთიანების ყველაზე გავრცელებულ

პრინციპად მიიჩნია. ჰერტლი კიდევ უფრო შორს წავიდა. მან ასოციაცია ცნობიერების მუშაობის არა უბრალოდ ყველაზე გავრცელებულ, არამედ ერთადერთ პრინციპად გამოაცხადა. ჰერტლიმ გამოიყენა წინამორბედთა იდეები, დაუმატა საკუთარი მოსაზრებები, გააერთიანა ისინი და შემოაყალიბა ერთი მთლიანი ფსიქოლოგიური კონცეფცია. ჰერტლისთან მთელი ფსიქიკური ცხოვრება ასოციაციის პრინციპის საფუძველზეა გაანალიზებული.

ჰერტლის ოჯახი მაღალ საზოგადოებას მიეკუთვნებოდა. მამამისი მინისტრი იყო. ჰერტლის თავდაპირველად უნდოდა, სასულიერო პირი გამხდარიყო, მაგრამ შემდგომში გეგმები შეცვალა და თეოლოგიურ განათლებას სამედიცინოდ დაუმატა. იგი დიდად ერუდირებული ექიმი იყო, რაც აისახა მის მთავარ თხზულებაში: "ფიქრები ადამიანზე, მის აგებულებაზე, მოვალეობებსა და იმედებზე" (1749). მის შექმნაზე ჰერტლი 18 წელს მუშაობდა. "ფიქრები", პირველ ყოვლისა, ადამიანის სულიერ სამყაროზეა მიმართული. ჰერტლი ფსიქოლოგიის სისტემას ქმნის, მაგრამ ისეთი ფსიქოლოგიისა, რომელსაც მედიკოსისთვის დამახასიათებელი მატერიალისტურ-სხეულებრივი საფუძველი აქვს. სულზე საუბრისას იგი არასდროს იყენებს სხეულს. ჰერტლის მთავარი საფიქრალი სწორედ მათი ურთიერთობის გარკვევაა.

ამ საკითხის გააზრებისას ჰერტლი ცდილობს, ერთმანეთის დაუკავშიროს ლოკის და მისი მიმდევრების იდეათა ასოციაციის მოძღვრება და ნიუტონის ე.წ. ვიბრაციების თეორია. ჰერტლის აზრით, ის კანონზომიერებანი, რომლებსაც ემორჩილება სულის იდეები და სხეულის ვიბრაციები, ძალიან ჰგავს ერთმანეთს, მაგრამ ისინი მხოლოდ პარალელურია და არა იდენტური. სხეული და სული სხვადასხვა რეალობას, სუბსტანციას მიეკუთვნება. ამრიგად, ჰერტლი დუალისტია და პარალელისტი. მისი პარალელიზმი ფსიქოფიზიოლოგიურია, იგი სხეულისა და სულის ურთიერთმიმართებაზე ფიქრობს. ეს საკითხი დეკარტესთვისაც მნიშვნელოვანი იყო, თუმცა მათ პოზიციებს შორის კარდინალური განსხვავებაა. როგორც ცნობილია, დეკარტე ფსიქოფიზიკურ პრობლემას ურთიერთზემოქმედების თეორიის თვალსაზრისით განიხილავდა. ჰერტლი მკაფიოდ გამოყოფს სხეულის იმ ნაწილებს, რომლებთანაც სულია დაკავშირებული, ანუ "სულის ადგილსამყოფელია". ასეთი ნაწილი, პირველ რიგში, თავის ტვინია, აგრეთვე, ზურგის ტვინი და მათგან გამომავალი ნერვები. ნერვული სისტემის ფუნქციონირებას, ჰერტლის აზრით, ნერვული სუბსტრატის უმცირესი ნაწილაკების ვიბრაციული მოქმედება განაპირობებს. ეს შეხედულება უპირისპირდება ნერვული მექანიზმის დეკარტესეულ გაგებას, რომელიც გულისხმობს ნერვებში "ცხოველური სულების" გადაადგილებას. ჰერტლის თანახმად, ნერვები მილაკები კი არა, შევსებული სტრუქტურებია და მათში ვიბრაციული პროცესი მიმდინარეობს. მაგრამ ვინაიდან მისი სტიმულირება ეთერის ვიბრაციით ხდება, ეს პროცესი გრძნობის ორგანოებში და კუნთებშიც მიმდინარეობს. ამრიგად, ჰერტლი ვიბრაციის ტერმინებში ახასიათებს რეფლექტორულ რკალს, რომელიც პირველად დეკარტემ აღწერა: გარემოდან მიღებული ვიბრაცია გრძნობის ორგანოს გადაეცემა და, ტვინის გაელით, ნერვების საშუალებით აღწევს სამოძრაო აპარატამდე.

სხეულში განვითარებული ვიბრაციული პროცესები ერთმანეთისაგან ოთხი ნიშნით განსხვავდება: ხარისხით, რაგვარობით, ადგილმდებარეობით და მიმართებით. ხარისხი რხევის ამპლიტუდას ანუ ძალას ნიშნავს, რაგვარობა – რხევის სიხშირეს, ადგილმდებარეობა ლოკალიზაციაზე მიუთითებს, ხოლო მიმართებას განსაზღვრავს ის, რომ ვიბრაციები სხვადასხვა ნერვებით გადაეცემა ტვინს. ხარისხის, ანუ ძალის მიხედვით, ვიბრაციების ორი სახეობა გამოიყოფა: ხშირულებრივი, ანუ ყრძნობადი ვიბრაციები, რომლებიც შეგრძნებებს შეესაბამება და ამ უკანასკნელთა განმეორებით გამოწვეული კიდევ უფრო მცირე ვიბრაციები ტვინში. მათ ვიბრაციუნკულები ან მინიატურები ეწოდება და ისინი იდეებს შეესაბამებიან.

ჰერტლი ასე მსჯელობს: "ვინაიდან შეგრძნებების ხშირი გამეორების შედეგად იდეები აღმოცენდება, იმ ვიბრაციებისაგანაც, რომლებიც თან სდევენ შეგრძნებებს, რაიმე უნდა აღმოცენდეს ... ეს კი სხვა ვერაფერი იქნება, გარდა უფრო სუსტი ვიბრაციებისა". აქედან ჩანს, რომ სულიერი მოელენები (შეგრძნება და იდეა) გამეორების შედეგად იწვევენ ერთმანეთს. ანალოგიური ვითარებაა სხეულებრივი მოელენების შემთხვევაშიც (ყრძნობადი ვიბრაცია და მინიატურა). მოელენათა ეს ორი რიგი ერთმანეთის პარალელურად მიმდინარეობს, ერთმანეთს თან სდევს, როგორც საგანი და მისი ჩრდილი. წარმოდგენილი მსჯელობა პიუმის იმ მოსაზრების ერთგვარ ფიზიოლოგიურ დასაბუთებასაც შეიცავს, რომლის მიხედვითაც იდეები შეგრძნებების მკრთალი ასლებია. იდეების შესაბამისი მინიატურებიც ხომ მხოლოდ ძალით განსხვავდებიან შეგრძნებების სხეულებრივი კორელატებისაგან – ყრძნობადი ვიბრაციებისაგან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჰერტლის ვიბრაციულ-ფიზიოლოგიური წარმოდგენები საკმაოდ შორს იყო ჭეშმარიტებისაგან. ისინი გამოხატავდნენ XVIII საუკუნის ცოდნას, უფრო ზუსტად, რეალური ფიზიოლოგიური პროცესების შესასებ ცოდნის არარსებობას. მაგრამ, როგორც ფსიქოლოგიის ისტორიკოსები მუთითებენ, მათში მაინც აისახა მკვლევარის პროგრესული ბუნებისმეტყველური სწრაფვა, გამოეელინა ფსიქიკური პროცესების ობიექტური დინამიკა ისე, რომ არ მიემართა სულისთვის, როგორც ამხსნელი ცნებისთვის.

სულიერი სამყაროს აგებულებაში, ჰერტლის მიერ გამოიყოფა სამი უმარტივესი ელემენტი: *შეგრძნებები* (სენსეციები), *იდეაციები* (შეგრძნების იდეები ანუ გამეორება საგნის რეალური მოცემულობის გარეშე) და *აფექტაციები* (სიამოვნება-უსიამოვნება). ეს არის ის მასალა, რომლისაგანაც ასოციაციის მექანიზმის მეშვეობით მთელი ფსიქიკური ცხოვრება შენდება. ამასთან, სხეულებრივი (ნერვული) და ფსიქიკური პროცესები სრულ შესაბამისობაშია, ამიტომ, არსებითად, ასოციაციის ორი მექანიზმისა და, შესაბამისად, ორი პროცესის შესახებ უნდა ვისაუბროთ. მათგან ერთი სხეულში ხორციელდება, მეორე – სულში.

სულში მოქმედ ასოციაციის კანონზე ჰერტლი წერს: "თუ გარკვეული შეგრძნებები (A,B,C და სხვა) საკმარისად ხშირად დაუკავშირდება ერთმანეთს, ისეთ ძალას შეიძენენ შესატყვის იდეებზე (a,b,c და სხვა), რომ რომელიმე მათგანი (A) განცალკევებული მოქმედებისას სულში დანარჩენ

შეგრძნებათა იდეებს (b.c და სხვა) აღძრავს". სხეულში პარალელურად მიმდინარე ასოციაციური პროცესის ფორმულირება აღწერილის ანალოგიურია იმ განსხვავებით, რომ შეგრძნების ნაცვლად ლაპარაკია გრძნობად ვიბრაციაზე, ხოლო იდეის ნაცვლად – მინიატურულ ვიბრაციაზე. ეს არის კანონი, რომლის საფუძველზეც მყარდება ასოციაცია შეგრძნებასა და იდეას შორის. რაც შეეხება იდეებს შორის ასოციაციას, მისი შესაბამისი პროცესი ტვინში ასე აღიწერება: როცა ორი მინიატურული ვიბრაცია ტვინში ერთიდროულად მიმდინარეობს, შესატყვისი ზონებიდან აგზნების პროცესი ყველა მიმართულებით ვრცელდება და ისინი ერთმანეთზე ზემოქმედებენ; ზონებს შორის მით უფრო მჭიდრო კავშირი მყარდება, რაც უფრო ხშირად ხდება ეს. ამიტომ, როდესაც შემდგომში ერთი ვიბრაცია აღმოცენდება, ის გამოიწვევს მეორეს. ეს შეესაბამება ერთი იდეის მიერ მეორის გამოწვევის პროცესს.

მიუხედავად იმისა, რომ ასოციაციურ პროცესებთან დაკავშირებით და სხვაგანაც ჰერტლი აფიქსირებს თავის პარალელისტურ პოზიციას, ის მაინც არ არის მტკიცე და თანმიმდევრული. ეს გარემოება მისი მოძღვრების ამ ასპექტის განსხვავებული ინტერპრეტირების მიზეზად იქცა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჰერტლისთვის, რომლის სისტემა უდავოდ მექანისტური დეტერმინიზმის სულისკვეთებით არის გამსჭვალული, უფრო შესაფერისი იქნებოდა იმის თქმა, რომ ფიზიოლოგიური პროცესები განსაზღვრავენ ფსიქიკურ პროცესებს, რომ ნერვული მექანიზმი იწვევს სულიერ მოვლენებს. მართლაც, განა ჩრდილს საგანი არ იწვევს? არა და სწორედ ამ მაგალითს აღწერს ჰერტლი იმის საილუსტაციოდ, რომ ფსიქიკური და ფიზიოლოგიური პროცესები ერთმანეთის შესაბამისად და პარალელურად მიმდინარეობენ უფრო მეტიც, ასოციაციის სხეულებრივ მექანიზმზე მსჯელობისას ჰერტლი პირდაპირ აღნიშნავს, რომ "ვიბრაციები უნდა შეიცავდნენ საკუთარ თავში ასოციაციას, როგორც თავის შედეგს, ხოლო ასოციაცია უნდა მიუთითებდეს ვიბრაციაზე, როგორც თავის მიზეზზე". აზრი სრულიად ნათელია: ვიბრაციები (სხეულიებრივი პროცესი) იწვევენ ასოციაციებს (ფსიქიკური პროცესი). მოკლედ, ჰერტლის თვალსაზრისი ფსიქოფიზიკურ პრობლემასთან დაკავშირებით არც გამართულია და არც არაწინააღმდეგობრივი.

როგორიც არ უნდა იყოს ფსიქიკური ასოციაციის მიმართება ნერვულ სუბსტრატთან, ასოციაცია შეიძლება დამყარდეს შეგრძნებებს, იდეებსა და მოძრაობებს შორის. მოძრაობის შემოტანა აქ მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ეს საშუალებას იძლევა ასოციაციის მექანიზმი გავრცელდეს მოტორული მოქმედების სფეროზე, რაც თითქმის ორი საუკუნის შემდეგ განხორციელდა ბიჰევიორიზმში. თვით ჰერტლი მოძრაობათა ორ ჯგუფს გამოყოფს: ავტომატიზმებს და ნებისმიერ მოძრაობებს. ავტომატიზმები სხეულებრივი მექანიზმებიდან მომდინარეობს და გრძნობად გამღიზიანებელზე უშუალო რეაქციას წარმოადგენს. ადამიანი იბადება ე.წ. *პირველადი ავტომატიზმების* გარკვეული მარაგით. ნებელობითი მოძრაობები ამ ავტომატიზმების სხვადასხვა ფსიქიკურ მიზეზებთან (იდეები, აფექტები, ენებები) ასოციაციური დაკავშირების გზით ყალიბდება. მაგალითად, ახალშობილი ბავშვის ხელის-

გულზე შეხება იწვევს თითების უნებლიე შეკუმშვას, ანუ ტაცების პირველად ავტომატიზმს. ეს მოძრაობა შეიძლება დაუკავშირდეს სხვადასხვა შეგრძნებებსა თუ იდეებს, ეოქვათ, საყვარელი სათამაშოს დანახვას, რომლის ტაცებას და დაჭერას ბავშვი თანდათან სწავლობს ასოციაციის კანონების შესაბამისად. ამავე ლოგიკით, სიტყვები: აიღე, დაიჭირე, რომლებიც ბავშვს ესმის უფროსებისაგან, უკავშირდება სათანადო მოძრაობებს და მას სამოქმედოდ აღძრავს. ეს უკვე *ნახევრად ნებელობითი* მოძრაობაა. მოძრაობა *მთლიანად ნებელობითი* გახდება მაშინ, როდესაც "ის იდეა ან სულის მდგომარეობა, რომელსაც ჩვენ შეგვეძლია ვუწოდოთ ტაცების სურვილი და რომელსაც, გარკვეულად, შინაგანი ბრძანების სასიათი აქვს, ისე ძლიერად დაუკავშირდება სათანადო მოძრაობას, რომ ეს უკანასკნელი პირველის გაჩენისთანავე აღმოცენდება". *ნებელობა* სწორედ "სულის მდგომარეობაა", რომელიც წინ უსწრებს ჩვენ ძიერვე გამოწვეულ სულიერ (მოგონება, წარმოსახვა) თუ სხეულებრივ (მოძრაობა) აქტებს. ხშირი განმეორების, ვარჯიშის შედეგად ნებელობითი მოძრაობები შეიძლება გადაიქცეს ე.წ. *მეორად ავტომატიზმებად*, ანუ ჩვეულებად და ჩვეულებებად. ისინი ნებელობად წოდებული "სულის მდგომარეობით" აღარ არიან გაშუალებული, თითქოს თავისთავად აღიძვრებიან და მიმდინარეობენ. მაშასადამე, პირველადი ავტომატიზმებიდან ასოციაციის მექანიზმის საშუალებით წარმოიქმნება ნახევრად ნებელობითი, ნებელობითი აქტები და მეორადი ავტომატიზმები.

აღზრდის პროცესში ასოციაციის ასეთივე მექანიზმით ყალიბდება აფექტები და ვნებები (თავისი წინამორბედების მსგავსად, ჰერტლიც ვერ განასხვავებს დაბეჯითებით ემოციურ და მოტივაციურ სფეროებს; მაგალითად, ძლიერ აფექტს იგი სურვილს უწოდებს). ვნება წარმოიქმნება საგნის წარმოდგენის ანუ იდეაციის და აფექტაციის დაკავშირების გზით. თავიდან ბავშვისთვის უცხოა შიში. მას რაღაც უნდა დაუშავდეს, რაიმე ზიანი მიადგეს, რის შემდეგაც მეხსიერებაში შემორჩენილი ამ უარყოფითი ემოციის იდეა ასოცირდება იმ პირობების იდეასთან, რომლებმაც გამოიწვიეს ზიანი და შესაბამისი ემოცია.

თვით ასოციაციის პრინციპის გააზრებაში ჰერტლის ბევრი ახალი და საყურადღებო ნიუანსი შემოაქვს. ასოციაციის პირობებიდან თუ ფაქტორებიდან იგი მსგავსებას გამორიცხავს, ტოვებს *მეზობლობას* და უმატებს *გამეორებას*. ეს ხდება იმის გათვალისწინებით, რომ ფსიქიკურ ასოციაციას საფუძველად უდევს ფიზიოლოგიური (ვიბრაციული) ასოციაცია. ამიტომ ასოციაციური კავშირის შექმნა არ შეიძლება იყოს დამოკიდებული სუბიექტურ და სუბიექტიდან გამომდინარე წინაპირობებზე (მსგავსება, მაგალითად, ასეთი ფაქტორია, ვინაიდან მსგავსია თუ არა საგნები და მოვლენები – სუბიექტი ადგენს). ამდენად ჰერტლი აგრძელებს ჰიუმისეული უსუბიექტო მექანიცისტური ფსიქოლოგიის ხაზს. პოზიტიური აქ ის არის, რომ ჰერტლი ასოციაციის ფაქტორებს დაბეჯითებით უმატებს გამეორებას. "შეგრძნებები, იდეები და მოძრაობები საკმაოდ ხშირად უნდა დაუკავშირდნენ ერთმანეთს", ამბობს იგი და ამით ხაზს უსვამს გამეორების ფაქტორს. მისი უდიდესი მნიშვნელობა მხოლოდ XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე გახდა ნათელი (ებინჰაუსი,

თორნდაიკი და სხვა) და ის დასწავლის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად იქცა.

ფსიქოლოგიის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით ჰერტლის ასოციაციური მოძღვრების სხვა მხარეებიც საინტერესოა. მან საგანგებო მსჯელობის საგნად აქცია *სიმულტანური და სუქცესიური* ასოციაციების არსებობის ფაქტი (რომელზეც ჰიუმმა მხოლოდ მიანიშნა) და ამით მკვეთრად გააფართოა ასოციაციის გამოყენების არე. ის ეარგისიანი გახდა როგორც თანმიმდევრული პროცესების (მეხსიერება, აზროვნება), ისე მარტივი იდეების კომპლექსებად შერწყმის ასახსნელად (აღქმა). სიმულტანური ასოციაციების დამვება ნაბიჯია ჯ.ს. მილის "სულის ქიმიისკენ", ანუ ცნობიერების რთულ წარმონაქმნებში ისეთი კავშირების გააზრებისკენ, საღაც შემადგენელი ელემენტები ახალ თვისობრიობას ქმნიან (ის. 3.3). ასოციაციონისტური მოძღვრების განვითარებას, როგორც შემდგომში დაერწმუნდებით, ლოგიკურად მივყავართ ცნობიერების მოვლენების ასეთ ანალიზამდე. ამის ნიშნები უკვე ჰერტლისთან არის მოცემული. რასაც აღასტურებს თუნდაც შემდეგი გამონათქვამი: "შეგრძნების მარტივი იდეები უნდა ერთიანდებოდნენ ჯგუფებად და კომბინაციებად. ასოციაციების მეშვეობით თითოეული მათგანი მრავალი შემადგენელი ნაწილის დაახლოებისა და შერწყმის გზით ერთ დიდ რთულ იდეად შეიზრდება. დაკვირვება იმასაც გვიჩვენებს, რომ მრავალი ინტელექტუალური იდეა, როგორიცაა მშვენიერების, ღირსების, ზნეობრივი თვისებებისა და სხვა, ფაქტობრივად არიან ისეთი ნაწილებისაგან შემდგარი იდეები, რომლებიც თანდათან შეიზარდნენ ერთ რთულ იდეად".

ყველა რთული სულიერი მოვლენა მარტივი ფსიქიკური მასალიდან აიგება ასოციაციის მეშვეობით. აფექტები და ენებები, როგორც ითქვა, შეგრძნებების, სიამოვნება-უსიამოვნების ან მათი იდეების ასოციაციური გაერთიანებაა. აღქმები მიიღება საგნის გრძნობადი თვისებების ამსახველ შეგრძნებათა შეერთების გზით. მეხსიერება ასოციაციურად დაკავშირებული იდეების აღდგენაა იმ თანმიმდევრობითა და მიმართებით, როგორც შეგრძნებაში იყო მოცემული. წარმოსახვაც იდეების დაკავშირებაა, ოღონდ თავდაპირველი წესისა და თანმიმდევრობის გარეშე (მაგ., სიზმარი). აზროვნებაზე ჰერტლი პირდაპირ არ ლაპარაკობს; იგი მხოლოდ სიტყვით გამოთქმული შინაარსის გაგების პროცესს განიხილავს. სიტყვა ბგერათა ჯამია, მნიშვნელობა კი გრძნობადი თვისებების კომპლექსი, რომლითაც საგნები ერთმანეთს გვანან. მაგალითად, სიტყვა "სითეთრის" მნიშვნელობა მრავალი საგნის (თოვლი, ქაღალდი, რძე და ა.შ.) მუდმივი გრძნობადი თვისების გამოყოფის შედეგად მიიღება. აღზრდისა და სწავლის პროცესში ხდება ასოციაციური კავშირის დამყარება სათანადო ბგერით კომპლექსსა და საგნის გრძნობად თვისებათა ერთობლიობას შორის. სიტყვის მნიშვნელობის გაგებაც ამას ნიშნავს. პირინციპში, ასეთივე გზით მიმდინარეობს ცნების ფორმირება – აქ ჰერტლი, ფაქტობრივად, ლოკის მოსაზრებებს ეყრდნობა.

ჰერტლის შრომამ საგრძნობი ზეგავლენა არა მარტო ფსიქოლოგიაზე, არამედ სხვა დარგებზეც მოახდინა; მაგალითად, ეთიკაზე, ლოგიკაზე, პედაგოგიკაზე. ჰერტლის იდეების პოპულარიზაციაში განსაკუთრებული წვლილი

შეიტანა მისმა მოწაფემ, ლონდონის სამეფო საზოგადოების, პარიზისა და სანკტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიების წევრმა ჯოზეფ პრისტლიმ (1733-1804). იგი ახერხებდა წარმატებით შეეთავსებინა ერთმანეთთან თეოლოგიური (იყო მღვდელი) და ბუნებისმეტყველური (იყო ქიმიკოსი, ეანგბადის აღმომჩენი) ინტერესები. როგორც გაელენიანი ფილოსოფოსი, იგი სწორედ ბუნებისმეტყველების პოზიციიდან განიხილავდა ფსიქიკურ სინამდვილეს. ფსიქიკური პროცესები ფიზიოლოგიური პროცესებით აიხსნება, შესაბამისად, მეცნიერება სულიერი ცხოვრების შესახებ (ფსიქოლოგია) არის "ნერვული სისტემის ფიზიკა". მოკლედ, პრისტლიმ მოხსნა პერტლისთვის დამახასიათებელი ორაზროვნება სხეულებრივი და სულიერი პროცესების ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით. ყველა ფსიქიკური პროცესი ასოციაციური წარმოშობისაა, მაგრამ ასოციაციის მექანიზმის ბუნება ნერვულ სუბსტრატში უნდა ვეძებოთ.

ემპირიული ფსიქოლოგიის განვითარება მიმდინარეობდა საფრანგეთშიც, თუმცა მისი გაელენა შემდგომი დროის ფსიქოლოგიაზე ნაკლები იყო, ვიდრე ინგლისური ასოციაციონიზმისა. XVIII საუკუნის ფრანგული ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური აზროვნება ძირითადად ემპირიზმის განვითარებისა და რაციონალიზმის კრიტიკის ნიშნით ხასიათდება. ფრანგული ემპირიული ფსიქოლოგიის წარმომადგენლები ემყარებოდნენ ლოკის სენსუალისტურ თეზისს გრძნობადი (შეგრძნებითი) გამოცდილების პრიორიტეტის შესახებ და ფსიქიკის განვითარებაში მთავარ ძალად გარემოს მიიჩნეველნენ. ცნობიერების ფორმირება სოციალურ გარემოში მიმდინარეობს, სადაც გადამწყვეტ როლს აღზრდა-განათლება ასრულებს. ამიტომ განათლების პროცესის სწორი ორგანიზაცია პირველი რიგის ამოცანაა. ამ მიზნით, დიდროს თაოსნობით, გამოიცა ენციკლოპედია, რომელშიც თავმოყრილი იყო განათლებული ადამიანისთვის აუცილებელი ცოდნა. ამიტომ„ ამ ეპოქის ფრანგი სწავლულების დიდ ნაწილს განმანათლებლებს და ენციკლოპედისტებს უწოდებენ. ფრანგული ემპირიული ფსიქოლოგიის კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანი არის ის, რომ შემეცნებით და ემოციურ პროცესებთან ერთად, მასში წარმოდგენილია მოტივაციური სფეროს, კერძოდ, მოთხოვნილებათა საყურადღებო დახასიათება.

**ეტიენ ბონო დე კონდილიაკი** (1715-1780) საფრანგეთის აკადემიის წევრი, დიდროსთან დაახლოებული ენციკლოპედისტი, ცდილობს კიდევ უფრო გააძლიეროს ლოკის ემპირიზმი. ეს უკანასკნელი გამოცდილების შეძენის ორ წყაროს უშვებდა: შეგრძნებებს და რეფლექსიას. ის, რაც ლოკთან რეფლექსიიდან, ხოლო დეკარტესთან სულის ოპერაციებიდან და თანდაყოლილი იდეებიდან მომდინარეობდა (ანუ ფსიქიკური მოქმედება), კონდილიაკს სურს ახსნას შეგრძნებების საშუალებით. კონდილიაკი, თანმიმდევრული სენსუალისტი, თავის მთავარ ნაშრომში "ტრაქტატი შეგრძნებების შესახებ" (1754), ცდილობს ყველა ფსიქიკური უნარი და პრო-

ცესი შეგრძნებიდან გამოიყვანოს. თუ ძირითადი ფსიქიკური უნარების – მეხსიერების, აზროვნების, ფანტაზიის, ნებისყოფის და ა.შ. ჯამს გონებას ვუწოდებთ, შეიძლება ითქვას, რომ კონდილიაკის მიხედვით, ადამიანი თავდაპირველად მოკლებულია გონებას. "ტრაქტატის" მიზანია გვიჩვენოს, თუ როგორ შეიქმნა ადამიანური შეგრძნებებიდან გონება.

აქ ავტორი მიმართავს ე.წ. მარმარილოს ქანდაკების მოდელს, რომელიც გარეგნულად ადამიანის მსგავსია. დავუშვათ, ეს ქანდაკება ცოცხალია, სულიერია, მაგრამ არც ცოდნა და არც სხვა ფსიქიკური თვისება, შეგრძნების გარდა, არ გააჩნია. მისი სულიერება, უაქტობრივად, შეგრძნების უნარში მდგომარეობს. კონდილიაკი გვთავაზობს ჩავატაროთ ასეთი გონებაჭვერეტითი ექსპერიმენტი: მივანიჭოთ ქანდაკებას ყნოსვის შეგრძნების უნარი და ამ დაშვებიდან გამოვიყვანოთ ყველა იდეა თუ სულის თვისება. ყნოსვის შეგრძნება შემოხვევით არ არის შერჩეული; ავტორი თვლის, რომ ის ყველაზე დაბალი რანგის შეგრძნებაა. შეგრძნებათა რანგები, საზოგადოდ, კლასიფიცირებულია მათი შემეცნებითი ღირებულების მიხედვით და ასეთი რიგით არიან განლაგებული: 1. შეხება, 2. მხედველობა, 3. გემო, 4. სმენა, 5. ყნოსვა. შეხების შეგრძნება ყველაზე მეტად უწყობს ხელს შემეცნებას და, რაც მთავარია, იგი ერთადერთია, რომელიც ქანდაკებას უქმნის რწმენას ობიექტური სამყაროს არსებობის შესახებ. ამასთან, შეხება ყველაზე ინტენსიურ ემოციას აღძრავს ქანდაკებაში.

საზოგადოდ, ყოველ შეგრძნებას, მათ შორის ყნოსვის შეგრძნებას, რომელიც ქანდაკებას მივანიჭეთ, აუცილებლად ახლავს ერთგვარი გრძნობითი ტონი, სიამოვნების ან უსიამოვნების განცდა. სიამოვნება-უსიამოვნება, კონდილიაკის თანახმად, შეგრძნების ერთ-ერთი დახასიათებაა, მისი იმანენტური ნიშანია. შეგრძნების მეტ-ნაკლები ინტენსივობა თანმხლები გრძნობითი ტონის განსხვავებული სიძლიერით გამოიხატება. შეგრძნების მეორე თანმდევი განცდა ყურადღების განცდაა. ყურადღება ყოველგვარი განცდის აუცილებელი პირობაა, ფონია, რომელზეც ფსიქიკური მოელენები (ე.ი. შეგრძნებებიც) გამოისახება. ამრიგად, ქანდაკებამ, რომელსაც სუნის შეგრძნების უნარი გაუჩნდა, იმავდროულად შეიძინა *მგრძნობელობისა და ყურადღების* თვისებებიც. დანარჩენი ფსიქიკური უუნქციები ამ უნარ-თვისებების ამოქმედებისა და გარდაქმნის შედეგად წარმოიქმნება. პირველი მათ შორის მეხსიერებაა. ის ყურადღების უუნქციონირებას მოჰყვება. ქანდაკების მიერ განცდილი სუნი არ ისპობა გამღიზიანებლის ზემოქმედების შეწყვეტასთან ერთად. ყურადღება, რომელიც ქანდაკებამ სუნს მიაპყრო, კიდევ ერთ ხანს ინახავს მას, ტოვებს სულში გარკვეული შთაბეჭდილების სახით. ამიტომ სუნის განმეორებისას ქანდაკება მას იცნობს. ესაა *მეხსიერება*. ორი შეგრძნების ერთდროული არსებობა, ან აწმყოში მოცემული სუნის წარსული სუნის იდესათან შედარება მსჯელობას გვაძლევს, ეინაიდან, ავტორის მტკიცებით, მსჯელობა ორ შესადარებელ მოვლენას შორის მიმართების აღქმაა. ასე იძენს ქანდაკება *აზროვნების*, შემეცნების უნარს. *მოთხოვნილება* აქტიობისა და განვითარების პირობაა, მაგრამ ის ვერ გაჩნდებოდა გრძნობებისა და მეხსიერების გარეშე. შეგრძნებას სიამოვნება-უსიამოვნების ნიშანი

რომ არ პქონოდა, ქანდაკება ვერ განვითარდებოდა და ლეთარგიული ძილის მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, რადგან ის არ იქნებოდა დაინტერესებული, მიეღო ერთი ან განრიდებოდა მეორეს, ანუ არ ექნებოდა სათანადო სურვილი. ამავე დროს, მოთხოვნილება მეხსიერებასაც გულისხმობს, ვინაიდან ის არის სწრაფვა უკეთესი (სასიამოვნო) წარსული მდგომარეობისკენ. მოთხოვნილების ნიადაგზე აღმოცენდება *წარმოსახვა*, როგორც ტენდენცია სასურველი ხატის აღდგენისა. წარმოსახვა მომავლის გათვალისწინების უნარს იძლევა, ხოლო მისი გაერთიანება შეფასების აზროვნებით უნართან და მოთხოვნილებასთან წარმოქმნის იმას, რასაც *ნებისყოფა* ეწოდება.

ამრიგად, ჩვენი ქანდაკება ყველა ძირითადი ფსიქიკური ფუნქციით აღიჭურვა. ახლა, თუ შევიტანთ სხვა შეგრძნებებს – სმენას, გემოს, მხედველობას, არსებითად არაფერი შეიცვლება. მდგომარეობას პრინციპულად ცვლის მხოლოდ შეხებითი შეგრძნება, რომელიც გვაძლევს სხვა სხეულის სიმკვრივის, წინააღმდეგობისა და, აქედან გამომდინარე, მისი არსებობის განცდას. ამ მომენტამდე ჩვენი შეგრძნებები განიცდებოდა მხოლოდ შინაგან მდგომარეობებად, ახლა ისინი იქცევიან საგნის თვისებებად, საგნისა, რომელიც სუბიექტისაგან დამოუკიდებლად არსებობს. ამდენად, ობიექტის განცდასთან ერთად და მასთან დაპირისპირებაში ჩნდება თავად სუბიექტის განცდაც. *"მე"-ს ცნობიერებაც*. ერთი სიტყვით, მთელი შინაგანი სამყარო სრული სახით გამოიყვანება შეგრძნებებიდან. თანამედროვე მეცნიერების თვალსაზრისით, მთელი ეს თეორია უსაფუძვლო ხელოვნური კონსტრუქციაა.

**ჟიულ ოფრე დე ლამეტრიც** (1709-1751) სენსუალისტია, მაგრამ მისი ყურადღების ცენტრში სხვა საკითხი, სახელდობრ, სხეულისა და სულის მიმართების საკითხი იყო. ლამერტიმ სამედიცინო განათლება პარიზში მიიღო და სტაჟირება ჰოლანდიაში, ცნობილ მკურნალ ბურხაესთან გაიარა. სამხედრო ექიმად მუშაობისას იგი დააკვირდა იმ ვითარებას, რომ ავადმყოფობა (ვთქვათ ციება) არა მარტო ფიზიკურად ასუსტებს ადამიანს, არამედ მის გონებრივ შესაძლებლობებსაც აქვეითებს. აქედან ლამეტრი მიეიდა დასკვნამდე, რომ სულიერი მოქმედება გაპირობებულია სხეულებრივი ორგანიზაციით. ამ იდეით შეპყრობილმა მან ზედიზედ დაწერა ორი ნაშრომი "სულის ბუნებრივი ისტორია" (1745) და "ადამიანი მანქანა" (1748), რომლებიც დაწვეს, როგორც ერეტიკული ტრაქტატები. ამ ნაწარმოებებმა მის ავტორს სკანდალური პოპულარობა მოუტანა და მისი სიცოცხლე საფრთხის ქვეშ ჩააგდო, რის გამოც იგი იძულებული გახდა სიცოცხლის ბოლო წლები ბერლინში გაეტარებინა, სადაც განთლებული მონარქის, პრუსიის მეფის, ფრიდრიხ II-ის მიწვევით ჩაეიდა.

ლამეტრიმ უარყო დეკარტეს ღუალიზმი: არსებობს მხოლოდ ერთი

მატერიალური სუბსტანცია, რომელსაც, სხვა დანარჩენი თვისებების გარდა, შეგრძნებისა და აზროვნების უნარიც გააჩნია. ეს მატერიის (ტვინის) გარკვეული ორგანიზაციის შედეგია. *ორგანიზაციის* კატეგორია წამყვანია ლამეტრის მსჯელობაში. ადამიანი ბუნების ნაწილია. მცენარე, ცხოველი, ადამიანი – უწყვეტი კიბის საფეხურებია. მათ შორის განსხვავება სხეულის სხვადასხვა ორგანიზაციით არის გაპირობებული. აქ ლამეტრიმ წინასწარ განჭვრიტა უფრო გვიანდელი ევოლუციონისტების იდეები. ეპოქაში, როცა მეცნიერება დარწმუნებული იყო მცენარეებისა და ცხოველების სახეობათა უცვლელობაში, ლამეტრიმ გაბედა გამოეთქვა მკრეხელური აზრი იმის თაობაზე, რომ ცოცხალი სხეულების, მათ შორის ადამიანის ორგანიზაცია, არის სახეობათა ხანგრძლივი ევოლუციის პროდუქტი. სიცოცხლის სხვადასხვა ფორმა ერთმანეთისაგან ორგანიზაციის სირთულით განსხვავდება. ცხოველის მსგავსად, ადამიანიც კარგად აწყობილი, თვითმართველი მანქანაა. "თუ სულის ყველა უნარი იმდენადაა დამოკიდებული ტვინისა და მთელი სხეულის ორგანიზაციაზე, რომ ისინი არსებითად, სხვა არაფერია ამ ორგანიზაციის შედეგის გარდა, მაშინ ადამიანი შეიძლება ჩაითვალოს ფრიად განსწავლულ მანქანად". ცხადია, სიტყვა "მანქანა" აქ პირდაპირი მნიშვნელობით არ იხმარება. ის მხოლოდ მეტაფორის სახით გამოიყენება და გულისხმობს მატერიალურად დეტერმინირებულ სისტემას. მისი დახმარებით ავტორი ცდილობს ბუნებისმეტყველების პოზიციებიდან ახსნას ადამიანის ყველა ურთულესი უნარის, მათ შორის ცნობიერების ფუნქციონირება და განვითარება. ადამიანის, როგორც "განსწავლული მანქანის" უპირატესობას სწავლებისა და აღზრდის პროცესები უზრუნველყოფს.

სულიერი ცხოვრების სპეციფიკის დახასიათებისას ლამეტრიმ საგი გაუსვა *მოთხოვნილებათა* მნიშვნელობას. მოთხოვნილება ორგანული, სასიცოცხლო პროცესებიდან გამოიყვანება, მაგრამ სულიერი ცხოვრების ფეტერმინაციაში იმდენად დიდ როლს თამაშობს, რომ გარკვეულად ფონებასაც უთანაბრდება. არსებები, რომლებიც მოკლებული არიან მოთხოვნილებებს, მოკლებული არიან ფონებასაც. ასეთებია, მაგალითად მცენარეები. ცხოველი შეიძლება ჩაითვალოს მოძრავ მცენარედ, მაგრამ ის უკვე სრულიად სხვაგვარი არსებაა, ვინაიდან გაღააღგილების უნართან ერთად აქვს მოთხოვნილებები და, შესაბამისად, შეგრძნების, გრძნობისა და აზროვნების უნარი. რაც მეტი მოთხოვნილება აქვს ორგანიზებულ სხეულს, მით მეტი საშუალებები აქვს ბუნებისაგან ბოძებული მათ დასაკმაყოფილებლად. ეს საშუალებები ფონიერების სხვადასხვა ხარისხთან არის დაკავშირებული და ცხოველებთან ინსტინქტის, ხოლო ადამიანთან სულის სახით ვლინდება. რაც ნაკლები მოთხოვნილება აქვს ორგანიზმს, მით უფრო ადვილია მისი გამოკვება და გაზრდა, მით ნაკლებად არის მასში ჭანვითარებული ფონებრივი უნარები.

როგორც ეხედავთ, ლამეტრიმ მოქმედების მანქანური (მექანიკური) პრინციპი სხეულიდან (დეკარტეს "სხეული – მანქანა") სულზეც, ფსიქიკურ ცხოვრებაზეც გააერცელა და ამით ადამიანის ქმედების სხვადასხვაგვარი მექანიცისტური (თუნდაც ბიპევიორისტული) ინტერპრეტაციისთვის ერთ-

გვარი ინტელექტუალური ფონი შექმნა.

ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსის **კლოდ ადრიან ჰელვეციუსის** (1715-1771) ინტერესის მთავარ საგანს შეადგენდა ადამიანების ფსიქიკური წყობის, კერძოდ კი გონებრივ შესაძლებლობათა, ნიჭიერების განსხვავებულობის საკითხი. თავისიმოსაგრებები ამასთან დაკავშირებით მან გაღმოსცა ორ მთავარ თხზულებაში: "გონების შესახებ" (1758) და "ადამიანის შესახებ" (1769), რომლებიც, ერეტიკულობის ბრალდებით, ოფიციალურად აკრძალეს.

ჰელვეციუსიც სენსუალისტია. იგი მიჰყვება კონდილიაკს და თვლის, რომ დაბადებიდან ადამიანს აქვს *შეგრძნება* და მისი შემონახვის უნარი – *მეხსიერება*. მეხსიერება "ხანგრძლიობის მქონე, მაგრამ შესუსტებული შეგრძნებაა". აზროვნებაც შეგრძნებებს უკავშირდება და მათი კომბინირების უნარად არის წარმოდგენილი. მაგრამ ადამიანთა ინტელექტუალურ უთანაბრობას არც შეგრძნებები განსაზღვრავს და არც მათგან წარმოებული ფსიქიკური უნარები. თითქმის ყველა ადამიანს აქვს საკმარისი შეგრძნებათა სიმახვილე და მეხსიერება, რომ გააკეთოს დიდი აღმოჩენა. ამაში არავითარ როლს არ თამაშობს გეოგრაფია, რასა, კვება, ტემპერამენტი თუ სხვა ფაქტორები. ჰელვეციუსი საბოლოოდ ორ მიზეზს აღნიშნავს, ეს არის სხვადასხვა *მდგომარეობები* და *ვითარებები*, რომლებშიც შემთხვევითობის წყალობით სვდება ესა თუ ის ადამიანი, და, აგრეთვე, *დიდების კენ მისწრაფების* მეტ-ნაკლებობა. ჰელვეციუსი საჭიროდ თვლის შეეისწავლოთ ყველა ფაქტორი, რომლებმაც ხელი შეუწყო დიდ აღმოჩენებს, რათა მათი გათვალისწინებით მიზანდასახულად აღვზარდოთ თვალსაჩინო პიროვნებები. ჰელვეციუსი დარწმუნებულია *აღზრდის* გადამწყვეტ როლში: "ჭკვის უთანაბრობა შეიძლება აღზრდით აიხსნას", "აღზრდა გვაქცევს ჩვენ იმად, რაც ვართ", თუმცა, იმასაც აღნიშნავს, რომ აღზრდა ვერ აქცევს საზოგადოების ყველა წევრს გამოჩენილად. საქმე ისაა, რომ ყველა ერთნაირ აღზრდას ვერ მიიღებს, ვინაიდან თითოეული ინდივიდის აღმზრდელად გვეველინება როგორც მმართველობის ფორმა, რომელშიც იგი ცხოვრობს, ისე მეგობრები, საყვარელი ადამიანები, გარშემომყოფი ხალხი, წაკითხული წიგნები, დაბოლოს *შემთხვევა*, ანუ ის უამრავი მოვლენა, რომელთა მიზეზებსა და კავშირებს ჩვენ ვერ მივუთითებთ. მიუხედავად ამისა, აღზრდას ძალუძს გაზარდოს გენიალური ადამიანები, ხოლო დანარჩენები აქციოს გონიერებად და ჭკვიანებად.

შემოქმედების მოტივაციასთან დაკავშირებით, ჰელვეციუსი აღნიშნავს, რომ გონება შეიძლება განვიხილოთ როგორც მანქანა, რომელიც არ მოქმედებს, სანამ ვნებები არ აამუშავებს მას. ვნების ძალა და ხასიათი ყველასთან განსხვავებულია, მაგრამ ეს არ არის თანდაყოლილი თვისება, ვინაიდან ადამიანები იბადებიან არა მხოლოდ იდეების, არამედ ვნებების გარეშეც. გონების მსგავსად, ვნებებიც უნდა აღვზარდოთ. ამისთვის დიდებასთან და სახელთან დაკავშირებული ვნებები უნდა დავუკავშიროთ სხვადასხვა-

ვვარ სხეულებრივ სიამოვნებას, რომლებიც ყოველგვარი მაღალი მისწრაფების ფორმირების პირობას წარმოადგენენ. დიდება და მისგან გამომდინარე მატერიალური უზრუნველყოფა პედონისტური განცდების მიღების საშუალებაა. დიდების წყურვილი მხოლოდ სხეულებრივ სიამოვნებათა მიღების შენიღბული სურვილია. მოტივაციის გაგებაში ჰელვეციუსი, ლამეტრის მსგავსად, ბიოლოგისტურ პოზიციაზე დგას.

ჰელვეციუსის ფსიქოლოგიური წარმოდგენები ამართლებს მის მსოფლმხედველობრივ პოზიციას ადამიანთა საყოველთაო თანასწორობის შესახებ – უთანაბრობა და ინდივიდუალური განსხვავებები მთლიანად ინდივიდების სოციალური მდგომარეობისა და აღზრდის განსხვავებულობით აიხსნება. ჰელვეციუსის ინტერპრეტატორები აღნიშნავენ, რომ ასეთ მიდგომას უატალიზმამდე მივყავართ. ეს ერთი შეხედვით უცნაურია, ვინაიდან უატალიზმს, როგორც წესი, უკავშირებენ საწინააღმდეგო შეხედულებას, რომლის თანახმად ადამიანის ფსიქიკური წყობა დამოკიდებულია თანდაყოლილ შინაგან ფაქტორებზე. ისინი ფატალურად განსაზღვრავენ მის უნარ-თვისებებს და, საბოლოოდ, ცხოვრების გზასაც. მაგრამ ჰელვეციუსის თვალსაზრისითაც უატალიზმამდე მივდივართ: ადამიანი ბედის სათამამშოდ, შემთხვევითობის მსხვერპლად წარმოგვიდგება, რომელიც, მოათავსებს რა მას ამა თუ იმ გარემოში, განსაზღვრავს მის სოციალურ მდგომარეობას, სწავლა-აღზრდის პირობებს და, მაშასადამე, მისი ცხოვრების სცენარსაც. თანდაყოლილ თვისებურებათა უარყოფასთან ერთად ჰელვეციუსი უარყოფს ადამიანის პასუხისმგებლობას საკუთარი უნარ-თვისებების, ცოდნა-ჩვევების ჩამოყალიბებისა და, საბოლოოდ, ცხოვრების სტილისა და შინაარსის წინაშე.

ასეთ მიდგომას არ იზიარებდა იმდროინდელი საფრანგეთის ერთ-ერთი უდიდესი სწავლული, ფრანგული ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი **დენი დიდრო** (1713-1784). მან დაწერა სპეციალური ნაშრომი: "თანმიმდევრული უარყოფა ჰელვეციუსის წიგნისა "ადამიანის შესახებ". როგორც ემპირისტი და მატერიალისტი, დიდრო გარემოს წამყვან როლს აღიარებს, მაგრამ, მისი აზრით, გარემოს მნიშვნელობა განსხვავებულია ინდივიდისთვის და საზოგადოებისთვის. ამ უკანასკნელის გონებრივ მდგომარეობას მთლიანად განაპირობებს სოციალური და პოლიტიკური სიტუაცია. კანონები, წეს-წყობილება, განათლების სისტემა და ა.შ. განსაზღვრავს განსხვავებებს ხალხებს შორის. საზოგადოებრივ განათლებას შეუძლია გაათანაბროს მხოლოდ ადამიანთა დიდი მასები, მაგრამ არა ერთეული ინდივიდები. დიდრო ასე უსვამს საკითხს ჰელვეციუსს: წარმოიდგინეთ, რომ მოინდომოთ ხუთასი ახალშობილის აღზრდა თქვენი შეხედულებისამებრ. რამდენ მათგანს აქცევდით გენიოსად? რატომ ხუთასიანს არა? დაფიქრდით და დარწმუნდებით, რომ საბოლოოდ ბავშვების შინაგანი, ბუნებრივი ორგანიზაციის განსხვავებულობამდე მიხვალთ. ის არის სიზარმაცის, ქარაფშუტობის, სიჯიუტისა და სხვა მანკიერებათა პირველწყარო, მაგრამ, ის *თანდაყოლილი ნიჭებისა და უნარების* წყაროცაა.

ვინაიდან არსებობს ინდივიდუალური, თანდაყოლილი გონებრივი უნარები, ყველაფრის გადაბრალება გარემოებებსა და შემთხვევითობაზე არაა

მართებული. გენიოსობა, ამბობდა ჰელვეციუსი, არის შემთხვევითობის პროდუქტი. სწორედ შემთხვევა ათავსებს ჩვენს თვალწინ გარკვეულ საგნებს, რითაც განსაკუთრებით საინტერესო აზრებს იწვევს და ზოგჯერ დიდ აღმოჩენებამდე მივყავართ. ამაზე დიდრო კითხულობს: ნუთუ გგონიათ, რომ შემთხვევამ მიიყვანა ნიუტონი ჩამოვარდნილი ვაშლიდან მთვარის მოძრაობამდე, მთვარის მოძრაობიდან კი მთელი სამყაროს სისტემამდე? თვითონ ნიუტონი სხვაგვარად ფიქრობდა. როცა ეკითხებოდნენ, როგორ მივიდა აღმოჩენამდე, იგი პასუხობდა: "ფიქრის გზით". ამიტომ მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ შემთხვევა მხოლოდ პირობებს ქმნის კონკრეტული აღმოჩენის განვითარებისთვის, მაგრამ შეძლებს თუ არა იგი ამ შემთხვევის გამოყენებას, და როგორ – ეს მის ინდივიდუალურ უნარებზეა დამოკიდებული. მაშასადამე, პიროვნება არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, ვინაიდან ის თვითონ წყვეტს, რა გამოიყენოს გარემოებათა შემოთავაზებიდან და რა – არა.

ასევეა დიდებისკენ მისწრაფების შემთხვევაშიც. ეს მისწრაფება ტალანტებს ქმნისო, წერდა ჰელვეციუსი. დიდრო აღიარებს ამ მოტივაციის მნიშვნელობას, მაგრამ თვლის, რომ თავისთავად სურვილი ან მისწრაფება ვერ შექმნის ნიჭიერებას იქ, სადაც ის არ არის. არსებობს უამრავი რამ, რაც იმდენად აღემატება ჩემს ძალებსა და შესაძლებლობებს, რომ ვერაფერი მაიძულებს მათკენ ვისწრაფოდე, არც სამეფო ტახტის მიღების იმედი და არც საკუთარი სოციცხლის გადარჩენის სურვილი. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ შეჯიბრი, დიდებისკენ მისწრაფება თუ სხვა მოტივაცია ნიჭიერების გამოვლენის შესაძლებლობას ქმნის და არა თვით ნიჭიერებას.

დიდროს ნატივისტური პოზიცია არ შეიძლება ტიპურად ჩაითვალოს XVIII საუკუნის ფრანგული ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური აზროვნებისთვის. როგორც ითქვა, აქ გაბატონებულია ემპირიზმი და მისი უკიდურესი გამოვლინება – სენსუალიზმი, რომლის თანახმად ყოველგვარი სულიერი შინაარსის, მდგომარეობისა თუ პროცესის პირველწყარო არის შეგრძნებების მიერ მიღებული გამოცდილება. ყველაფერი, რაც სულშია მოთავსებული, ამ გზით არის შეძენილი. სულიერი მოვლენების ქმნადობის ყველაზე გააზრებული მექანიზმი ინგლისურმა ემპირიულმა ფსიქოლოგიამ ასოციაციის მექანიზმის სახით შემოგვთავაზა. ასოციაციური კავშირები მექანიკურად მყარდება შეგრძნებებისა თუ წარმოდგენების მეზობლობის, მსგავსების, განმეორების ან სხვა პირობების არსებობის შემთხვევაში.

სულიერი სინამდვილის განხილვის ასეთი წესი XVIII საუკუნეში ყველაზე გავრცელებული იყო, მაგრამ არა ერთადერთი. მას უპირისპირდებოდა ნაკლებ გავრცელებული და ნაკლებ გავლენიანი მიმართულება, რომლის სათავეები ემპირიზმის ფილოსოფიურ ანტაგონისტში, სახელდობრ, რაციონალიზმში ძევს და მას *ნიჭთა ფსიქოლოგია* ეწოდება. ის ჩაისახა გერმანიაში, სადაც იმხანად ემპირიზმმა ფეხი ვერ მოიკიდა. აქ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ქრისტიან ვოლფი.

**ქრისტიან ვოლფი** (1673-1754) ლაიფციგის, მარბურგისა და ჰალეს უნივერსიტეტების მეტად ავტორიტეტული ფილოსოფიის პროფესორი იყო.

ეოლფი ლაიბნიცის დიდ გაელენას განიცდიდა და მისი შემოქმედების თვალსაჩინო სისტემატიკოსად და პოპულარიზატორად ითვლებოდა. ცხადია, ისიც პარალელიზმის პოზიციაზე იდგა, მაგრამ, ლაიბნიცისაგან განსხვავებით, იმდენად მატერიისა და სულის მიმართება კი არ აინტერესებდა, რამდენადაც მიმართება სხეულსა და ფსიქიკას შორის. შესაბამისად, მისი პარალელიზმი, პერტლის მსგავსად, ფსიქოფიზიოლოგიურია.

ეოლფი არ უგულებელყოფდა არც ემპირიულ და არც რაციონალურ ფსიქოლოგიას. ამაზე მეტყველებს ის, რომ ამ სახელწოდებებით, 1732 და 1734 წლებში, მან გამოსცა ორი წიგნი, რის შემდეგაც სიტყვა "ფსიქოლოგია" ევროპაში საყოველთაოდ მიღებული გახდა. ფსიქოლოგიის ამ ორი სახეობის ურთიერთმიმართებაზე მსჯეობისას ეოლფი აღნიშნავდა, რომ ყოველი მოვლენა, მათ შორის სულიერი, შეიძლება შეიმეცნო როგორც გამოცდილების, ისე გონების საშუალებით და განიხილო როგორც გარეგანი თვისებების, ისე არსის მხრივ. პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს ემპირიულ ფსიქოლოგიასთან. ის, გარკვეული აზრით, საფუძველად ედება რაციონალურ ფსიქოლოგიას, რომელიც ამოსავალ პუნქტად იღებს რაიმე ცდისეულ მოცემულობას, მაგალითად, სხეულებრივ და სულიერ ცვლილებათა თანხვედრის ფაქტს, სოლო შემდეგ ცდილობს მის ახსნას. ეს ახსნა ჰიპოთეტურ ხასიათს ატარებს, რაც სავსებით ბუნებრივია ისეთი ჭეშმარიტად ფილოსოფიური, მეტაფიზიკური დისციპლინისთვის, როგორიც რაციონალური ფსიქოლოგიაა. ემპირიული ფსიქოლოგია პრაქტიკულადაც სასარგებლოა, ვინაიდან "ლოგიკის კანონები" და "მორალის წესები" საჭიროებს დაფუძნებას რაიმე ისეთზე, რაც თავისთავად ცხადია. ასეთი კი შეიძლება იყოს მხოლოდ ცდისეული ცოდნა სულის შესახებ. მიუხედავად ამ განცხადებებისა, ეოლფის ემპირიულმა ფსიქოლოგიამ, რომელიც ცნობიერების მოვლენების აღწერას შეიცავდა, ახალი ვერაფერი შესძინა მეცნიერებას სულის შესახებ (გარდა ზოგიერთი ფრთხილად გამოთქმული მოსაზრებებისა ფსიქიკური მოვლენების გაზომვის შესაძლებლობასთან დაკავშირებით). სამაგიეროდ, რაციონალური ფსიქოლოგია, გარდა აბსტრაქტული მსჯელობებისა სულის არსზე, ადგილმდებარეობაზე, თავისუფლებასა თუ უკვდავებაზე, შეიცავდა თეორიულად საინტერესო მოსაზრებებს სულის ბუნების შესახებ.

სულიერი მოვლენების ამხსნელ ფაქტორად *ნიჭის* ცნება დასახელდა. ამასთან ერთად, განვითარდა ლაიბნიციდან მომდინარე იდეა *სულის სპონტანური აქტივობის* შესახებ. ეს სპონტანური, ყოველგვარი გარეშე ზემოქმედებისაგან დამოუკიდებელი აქტივობა, სულის მთავარი მახასიათებელი გახდა. ეს აქტივობა აქცევს ქმედითად ფსიქიკურ პროცესებს, პირველ რიგში, შემეცნებითს. სწორედ ამიტომ, სულს როგორც გრძნობადი, ისე გონებრივი შემეცნების შემთხვევაში, შეუძლია მასში ჩანერგილი წარმოდგენები საგნების შესახებ გააძლიეროს და განავითაროს. სულში ორი სახის ნიჭი

(პროცესები) არსებობს – შემეცნებითი (წარმოდგენები) და ლტოლვითი (მისწრაფებები). აქტიური ბუნების გამო წარმოდგენები არ არის სტატიკური. რომელიმე ობიექტის ან მოვლენის წარმოდგენას უკავშირდება მისგან მომდინარე სიამოვნება და აზრი მის ღირსებათა შესახებ, რასაც მოჰყვება მისკენ სწრაფვა ან, როგორც ვოლფი იტყოდა – *აპეტიტი*.

პოსტულატი ჩანერგილი უნარების, პრინციპებისა თუ ნიჭების შესახებ, რომლებიც სულის საკუთარ, სპონტანურ აქტივობას გამოხატავენ, ამოსავალია ნიჭთა ფსიქოლოგიის სხვადასხვა განშტოებისთვის. ერთ-ერთი ასეთი ვარიანტია ბრიტანული ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის მიმართულება, რომელიც შოტლანდიელი პროფესორების მიერ შეიქმნა და ამიტომაც *შოტლანდიური სკოლა* ეწოდება. ამ სკოლის ფუძემდებელია **თომას რიდი** (1710-1796) აბერდინის უნივერსიტეტიდან, სოლო ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია დიუგალტ სტიუარტი (1753-1828) ედინბურგის უნივერსიტეტიდან. შოტლანდიური სკოლა ინგლისურ ემპირიზმსა და ასოციაციონიზმს (ბერკლი, ჰიუმი, ჰერტლი) ე.წ. *საღი აზრის თეორიის* პოზიციიდან ეწინააღმდეგება. "საღ აზრში" იგულისხმება როგორც ფონების განსაკუთრებული ინტუიციური უნარი ან ძალა, ისე პირველადი და ამოსავალი პრინციპებისა და დებულებების ერთობლიობა. ისინი ადამიანთა ფონებაში ღმერთის მიერ არიან ჩანერგილი და "ადამიანური ბუნების" ნაწილს წარმოადგენენ. მათი საშუალებით ჩვენ ზუსტად შეეიმეცნებთ სამყაროს და ვმოქმედებთ ზნეობრივი პრინციპების შესაბამისად. ეს პრინციპები წინ აღუდგებიან შემეცნებით სკეპტიციზმსა და ცხოვრებისეულ ნიჰილიზმს, განსაზღვრავენ საღად აზროვნებასა და საღად მოქმედებას. ნაშრომში "ნარკვევები ადამიანის ინტელექტუალური უნარების შესახებ" (1785) რიდი თორმეტ ასეთ პრინციპს ჩამოთვლის, მათ შორისაა ღმერთისა და გარე სამყაროს არსებობის რწმენა, დებულება ჭეშმარიტისა და მცდარის გარჩევის შესაძლებლობის შესახებ, მიზეზობრიობისა და ინდუქციის პრინციპები, პირადი იდენტობის ცნება და აშ.

რიდმა პირველმა განაცალკევა ტერმინოლოგიურად შეგრძნება და აღქმა. შეგრძნება უბრალო მგრძნობელობაა, სუბიექტში მოცემული მდგომარეობაა; აღქმა გარე ობიექტის სტია, ის საგნობრივია და მასში მოცემულია რწმენა ამ ობიექტის ჩვენგან დამოუკიდებელი, რეალური არსებობის შესახებ. ეს რწმენა ერთ-ერთი იმ თანდაყოლილი ნიჭის (პრინციპის) გამოვლინებაა, რომლებზეც რიდი საუბრობს. პერცეფცია სამი ელემენტისაგან შედგება: აღმქმელი სუბიექტი, აღქმის აქტი და რეალური ობიექტი. აღქმის აქტი პირდაპირ კონტაქტშია საგანთან და არა მასთან დაკავშირებულ იდეასთან. ამ პუნქტში რიდი უპირისპირდება ბერკლისა და ჰიუმის სკეპტიციზმამდე მიმყვან "იდეიზმს", რომლის მიხედვით სამყარო უშუალოდ არ შეიცნობა; გამოცდილებას და შემეცნებას საქმე აქვს მხოლოდ საგნების სტებთან, იდეებთან. ამის საპირისპიროდ, რიდი ამტკიცებს, რომ ჩვენ პირდაპირ, გაშუალების გარეშე შევიცნობთ საგნებს. ჩვენი პერცეფცია იმთავითვე საგნობრივია, საგნობრივი მნიშვნელობის მქონეა. ამიტომ მისით მოპოვებული გამოცდილება საგნობრივი სინამდვილის ამსახველია. იდეები იმის

მენტალური რეპრეზენტაციაა, რაც რეალურად არსებობს.

აღქმის საგნობრიობის საგანთან შოტლანდიური სკოლა ებრძვის არა მხოლოდ სკეპტიციზმს, არამედ სენსუალიზმსაც. გამოცდილება არ არის მარტივი შეგრძნებების უბრალო კომბინაცია. პირველადი გამოცდილება რთული, "კომპლექსური შთაბეჭდილებაა". ის შეიძლება ანალიზის გზით დაყვანილ იქნეს მარტივ, ერთეულ შეგრძნებებამდე, მაგრამ, საგნობრივი მნიშვნელობის მქონე კომპლექსის წარმოქმნა არ ხდება შეგრძნებითი ელემენტების მექანიკური ასოციაციური დაკავშირებით. როგორც მოგვიანებით მთლიანობის ფსიქოლოგია იტყვის, სამკუთხედი სამი ხაზისაგან შედგება, მაგრამ ჩვენს გამოცდილებაში ის ყოველთვის წარმოდგენილია, როგორც ორგანიზებული, საგნობრივი მნიშვნელობის მქონე მთელი – სამკუთხედი (და არა როგორც სამი ხაზის ნაერთი). ამდენად, პერცეპტული კომპლექსის დაყვანა ერთეულ შეგრძნებებზე შეუძლებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ეკარგება მისთვის ძირეული რამე – საგნობრივი მნიშვნელობა. აშკარაა, რომ ამ მსჯელობით შოტლანდიურმა სკოლამ ბევრად გაუსწრო იმ ეპოქაში გავრცელებულ ელემენტარისტულ-სენსუალისტურ წარმოდგენებს. მან პირველმა გამოხატა ნათლად მთლიანობის ფსიქოლოგიის სულისკვეთება, რომელმაც დასრულებული სახე მხოლოდ მეოცე საუკუნის დასაწყისში, გეშტალტფსიქოლოგიაში მიიღო (იხ. 9.1.).

ნიჭთა ფსიქოლოგიის ტრადიცია გერმანიაში გააგრძელა **იოჰან ნიკოლას ტეტენსმა** (1736-1807). მან პირველმა მკაფიოდ გამოთქვა მოსაზრება *სულის ტრიქოტომიის* შესახებ (ცნობიერების მოვლენათა დაყოფა სამ კლასად – შემეცნებითად, ემოციურად და ნებელობითად), რაც ფსიქოლოგიის კლასიკად იქცა და დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. ტეტენსი უაღრესად განსწავლული, მათემატიკის, ფიზიკისა და ფილოსოფიის პროფესორი იყო. იგი კარგად იცნობდა წინა საუკუნის კლასიკურ სისტემებს, მაგრამ, რაც მთავარია, ბედმიწევნით კარგად იყო ინფორმირებული მისი თანამედროვე ბრიტანული (ბერკლი, ჰიუმი, რიდი, სტიუარტი, ჰერტლი, პრისტლი), ფრანგული (კონდილიაკი, ჰელვეციუსი, რუსო, ბიუფონი) და გერმანული (ვოლფი და მისი სკოლა) მენტალური ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის შესახებ. უფრო მეტიც, იგი ცდილობდა ამ განსხვავებულ შეხედულებათა ერთგვარი სინთეზი მოეხდინა. ეს ნიშნავდა ემპირიული და რაციონალური ფსიქოლოგიის სისტემურ დაკავშირებას. ნიჭების (ფსიქიკური პროცესების) დახასიათებისას, ტეტენსი დაკვირვებას, უფრო ზუსტად, თვითდაკვირვებას ეყრდნობოდა, მაგრამ, ამავე დროს, მიიჩნეოდა, რომ ეს ემპირიული მონაცემები სრულყოფილი ანალიზისთვის საკმრისი არ არის. ამისთვის აუცილებელია სულის სუბსტანციონალობასთან დაკავშირებული მეტაფიზიკური დაშვებები. ტეტენსმა არ შექმნა სკოლა და მისი გავლენა არ იყო დიდი, თუმცა ამ მეცნიერის კაპიტალურ ნაშრომს "ფილოსოფიური ცდები ადამიანის ბუნებასა და განვითარებაზე" (1777) მაღალ შეფასებას აძლევდნენ გერმანელი სწავლულები, კერძოდ, კანტი. სხვათა შორის, ფსიქოლოგიის ზოგიერთი ისტორიკოსი სწორედ კანტის გავლენას მიაწერს იმას, რომ ტეტენსმა ვერ მოიპოვა აღიარება. კანტის "კრიტიკული პერიოდის" პირველ ნაშრომს ტეტენ-

სის ტრაქტატის გამოქვეყნებიდან სულ ოთხი წელი აშორებს. გერმანიის მთავარი ინტელექტუალური ძალები მის განხილვაზე წარიმართა, ამიტომაც ტეტენსის ნაშრომი სათანადო ყურადღების გარეშე დარჩა (ვ. ვასილიევი).

XVII და XVIII საუკუნეების ფსიქოლოგიის განვითარების ზოგადი ტენდენციების რეზიუმირება ძალზე სქემატურად ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ისტორიკოსის შემდეგი სიტყვებით შეიძლება: "დეკარტედან მოყოლებული, მსჯელობა ფსიქიკური ცხოვრების შესახებ ორი მიმართულებით ვითარდებოდა, თუმცა ეს მიმართულებები უკვე ანტიკური ფილოსოფიის დროიდან გახდა კლასიკური. ერთი მათგანი, რომელიც ეხებოდა ჩვენს წარმოდგენებს და მათი შეერთების კანონებს, აქცენტს აკეთებდა ემპირიულ გენეზისზე და ასოციაციებზე, რომელთა ძირითადი ფაქტორები იყო მეზობლობა და გამეორება; მეორე მიმართულება წინა პლანზე აყენებდა ცნობიერების აქტივობის პრინციპს" (პ. ფრესი). მაგრამ ეს განხილვა სრული არ იქნება, თუ მოკლედ მაინც არ შეეხებით ი. კანტის სისტემას, რომლის ერთმნიშვნელოვანი კვალიფიკაცია მოცემული სქემის საფუძველზე საკმაოდ რთულია, ვინაიდან მისი მოძღვრება, არსებითად, ანტიფსიქოლოგიური სასიათისაა. მიუხედავად ამისა, თუ გავითვალისწინებთ იმ გაელენას, რომელიც კანტზე ვოლფმა და ტეტენსმა მოახდინეს, აგრეთვე თვით კანტის სისტემის თავისებურებებს, შესაძლებელია ვისაუბროთ მის კავშირებსა თუ მიმართებებზე აქტივობისა და ნიჭთა ფსიქოლოგიასთან.

**იმანუელ კანტის** (1724-1804) მოძღვრების შეფასება ფსიქოლოგიის ისტორიის თვალსაზრისით არც ისე იოლია. ფსიქოლოგიის ისტორიის ზოგიერთი მკვლევარი საგგასმით აღნიშნავს კანტის როლს ფსიქოლოგიაში, ზოგი კი, ფაქტობრივად, უგულვებელყოფს მას. ალბათ ორივე პოზიციის გამართლება შეიძლება. კანტის გიგანტური ფიგურა ისეთი მასშტაბისაა, რომ მას უბრალოდ არ შეეძლო ზეგავლენა არ მოეხდინა შემდგომი დროის იმ მოაზროვნეებზე, რომლებიც სულიერ სამყაროზე ფიქრობდნენ. ეს განსაკუთრებით ითქმის გერმანელ მკვლევარებზე. ამავე დროს, კანტის აშკარა ანტიფსიქოლოგიზმი გასაგებს ხდის იმათ პოზიციასაც, ვინც დიდ ყურადღებას არ უთმობს შესედულებას, რომლის მიხედვითაც ფსიქოლოგიას, საზოგადოდ არ ძალუძს რამდენადმე სარწმუნო მეცნიერული ცოდნის მოცემა. კანტი კი სწორედ ასე ფიქრობდა. იგი საგანგებოდ და სერიოზულად მუშაობდა როგორც ემპირიული, ისე რაციონალური ფსიქოლოგიის კრიტიკის მიმართულებით.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ასეთი პოზიცია დამახასიათებელია კანტის ფილოსოფიური მოღვაწეობის მეორე, ე.წ. "კრიტიკული პერიოდისთვის". ამ პერიოდის ნაშრომებში ჩამოყალიბდა მისი ცნობილი ფილოსოფიური სისტემა, "ტრანსცენდენტული" ან "კრიტიკული" იდეალიზმი. "წინაკრიტიკულ" პერიოდში კანტი ლოიალურად იყო განწყობილი ფსიქოლოგიის

მიმართ. იგი წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციების კურსს ფსიქოლოგიაში, რომლის შინაარსი ცნობილია. ამ კურსს ვოლფის ფსიქოლოგიის სერიოზული გავლენა ეტყობა. ვოლფის მსგავსად, კანტი ასხვავებს *ემპირიულ და რაციონალურ ფსიქოლოგიას.* პირველი, თავისი ემპირიზმის გამო, არ არის მეტაფიზიკური დისციპლინა. მისი მთავარი მიზანია სულის "ნიჭების" (სულიერი მოვლენების) დასასიათება და კლასიფიკაცია. ამ მონაცემების საფუძველზე რაციონალური ფსიქოლოგია იწყებს სულის არსის აპრიორულ გამოკვლევას.

კანტი იმასაც ცდილობდა, რომ გაერკვია ფსიქოლოგიის ადგილი მეცნიერებათა სისტემაში. ფსიქოლოგია მოთავსებულია ფიზიოლოგიაში, როგორც ბუნების შესახებ კრებით სწავლებაში. შესაბამისად, ფიზიოლოგია კონკრეტდება, ერთი მხრივ ფიზიკად, ანუ მეცნიერებად იმ საგნების შესახებ, რომლებიც გარეგან გრძნობაშია მოცემული, და, მეორე მხრივ, ფსიქოლოგიად, რომელიც შეისწავლის იმას, რაზეც შინაგანი გრძნობაა მიმართული, ანუ სულს. ამ მეცნიერებათაგან თითოეული, თავის მხრივ, შეიძლება იყოს რაციონალური ან ემპირიული. კანტთან სხვა სქემასაც ეხვდებით: თეოლოგია – მეცნიერება საგნების პირველსაწყისის შესახებ, კოსმოლოგია – მათი ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ და ფსიქოლოგია – მომავლის, ან, უფრო ზუსტად, სულის მომავლის შესახებ. აქედან გამომდინარეობს ამ უკანასკნელის ძირითადი თემაც – სულის უკვდავება. ადვილი შესამჩნევია, რომ ეს სქემა ფსიქოლოგიის მთელ შინაარსს ვერ ფარავს, ვინაიდან სულის უკვდავება რაციონალური ფსიქოლოგიის ექსკლუზიური საკითხია და ემპირიული ფსიქოლოგია ამ სისტემაში ვერ მოიაზრება.

"კრიტიკულ პერიოდში" კანტის პოზიცია შეიცვალა. ჩამოყალიბდა უაღრესად სკეპტიკური განწყობა ემპირიული ფსიქოლოგიის შესაძლებლობების მიმართ. კანტი აკრიტიკებდა ვოლფს, უარყოფდა მათემატიკის გამოყენების შესაძლებლობას სულის ემპირიული შესწავლის პროცესში და ამით, თავისთავად, უარყოფდა სულიერი მოვლენების გაზომვის იდეას. კანტის უნდობლობას ემპირიული ფსიქოლოგიის მონაცემების მიმართ ისიც აძლიერებდა, რომ ამ უკანასკნელს არ შეუძლია ბუნებისმეტყველების მთავარი იარაღის, ექსპერიმენტის გამოყენება. საქმე ისაა, რომ ვერც საკუთარი თავის და ვერც სხვების შემთხვევაში, ჩვენ ვერ ვენდობით დაკვირვებას, მეცნიერული კვლევის რომელ ფორმამიც უნდა მიმდინარეობდეს იგი. განუყოფელი და ერთიანი სულის დანაწევრება, მისი ნაწილების შენახვა და შემდეგ შეერთება შეუძლებელია. ამის გარეშე კი სულიერი მოვლენების ექსპერიმენტული შესწავლა, პრინციპში, ვერ განხორციელდება; თავის მხრივ, ინტროსპექციის სირთულე ის არის, რომ შინაგანი დაკვირვება, როგორც ფსიქიკური მოვლენა, ზედ ედება დასაკვირვებელ სულიერ მდგომარეობას და ცვლის მას. ბუნებრიობა ეკარგება სხვა ინდივიდის ქცევასაც, როცა მას აკვირდებიან.

მიუხედავად იმისა, რომ ემპირიული ფსიქოლოგია, კანტის აზრით, ძალზე არასანდოა და შეზღუდული, ის მაინც შეიძლება განვიხილოთ, როგორც "ისტორიული მოძღვრება" სულის მოვლენების შესახებ, რომელიც ვერ ადის

ნამდვილი ბუნებისმეტყველების ღონემდე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ემპირიული ფსიქოლოგია არის აღწერითი და არა ახსნითი დისციპლინა. ის თავს უყრის და აწესრიგებს გარკვეულ დაკვირვებებს ფსიქიკურ მოვლენებზე, მაგრამ ვერ გვითვალისწინებს მათი წარმოშობისა თუ ფუნქციონირების კანონზომიერებებს.

ფსიქოლოგიის ასეთი სახე წარმოადგინა კანტმა თავის "ანთროპოლოგიაში" (1798), რომელშიც ბოვი რამ შეეიდა წინაკრიტიკული პერიოდის ლექციებიდან ემპირიულ ფსიქოლოგიაში. ეს ნაწარმოები ეხება ადამიანს საზოგადოდ და არა მხოლოდ მის ფსიქიკას, თუმცა ფსიქოლოგია მის საკმაო ნაწილს იკავებს. თანაც, დახასიათებულია არა მხოლოდ ინდივიდის ფსიქიკური წყობა, არამედ ადამიანთა დიდ გაერთიანებათა სხვადასხვა თავისებურებანი, მათ შორის ფსიქიკურიც. ლაპარაკია სქესის, ერისა და რასის დახასიათებაზე. აქ კანტი იშველიებს მრავალი წყაროდან მომდინარე მონაცემებს (ისტორია, ლიტერატურა, მოგზაურთა ჩანაწერები და სხვა).

რაც შეეხება ინდივიდის ფსიქოლოგიას, აქ მოცემულია არაერთი ბუსტი დაკვირვება და სერიოზული განზოგადება. მათ შორის უნდა აღინიშნოს ზემოთ ნახსენები "სულის ტრიქოტომია", რომელიც სწორედ კანტის გაელენით გადაიქცა საყოველთაოდ მიღებულ კლასიფიკაციად. კანტი საკანგებოდ განასხვავებს სულის შემეცნებით უნარს მგრძნობელობითი და მისწრაფებითი უნარებისაგან. ფსიქიკური ფენომენი, რომლითაც შემეცნებითი პროცესები ოპერირებენ, *წარმოდგენებია*. წარმოდგენების ცნობიერებაში შეკავება ყურადღების ფუნქციას უკავშირდება, მაგრამ კანტი არ შემოსაზღვრავს სულიერ სფეროს მხოლოდ ცნობიერი მოვლენებით. წარმოდგენა შეიძლება იყოს იმდენად სუსტი და მკრთალი, რომ, ფაქტობრივად, შეუმჩნეველი დარჩეს სუბიექტისთვის. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არაცნობიერი განცდები შეგვაველენას არ ახდენენ ჩვენზე: "საკმაოდ ხშირად ბუნდოვანი წარმოდგენები ჩვენით თამაშობენ". მათი გაველენით ხან მოუფიქრებლად ვმოქმედებით, ხან რაიმეს განვსჯით. ამ კონტექსტში კანტი ერთ პრაგამტულ რჩევას აძლევს მწერლებს: თქვენი იდეები ცოტა ბუნდოვნად წარმოადგინეთ; როცა მკითხველი მაოში გაერკვევა და სინათლეს შეიტანს, მას თავისი თავი უფრო ჭკვიანად მოეჩვენება. საზოგადოდ, თუ ჩაეუკვირდებით იმას, რაც ვიცით, აღმოვაჩენთ, რომ ბუნდოვანი წარმოდგენები ნათელზე მეტია. კანტის სიტყვებით, ჩვენი გონება უზარმაზარ რუკას ჰგავს, სადაც მხოლოდ რამდენიმე ადგილია განათებული. უნდა აღინიშნოს, რომ კანტის მიერ *არაცნობიერის* დაშვება, თუნდაც ბუნდოვანი წარმოდგენის სახით, ლაიბნიცის ხაზის გაგრძელებაა. ლოკიდან წამოსული ემპირიული ფსიქოლოგიისთვის ეს ცნება სრულიად მიუღებელი იყო. ამ მხრივ გერმანული ფსიქოლოგია, როგორც ისტორიამ აჩვენა, თავიდანვე უფრო სწორი მიმართულებით ვითარდებოდა.

მიუხედავად ამისა, ნამდვილი ადამიანური აქტივობა შემეცნებისა თუ პრაქტიკის სფეროში, *ცნობიერებას და გონიერებას* უკავშირდება. ამიტომ კანტი საკანგებოდ გამოკვეთს ყველა იმ ფაქტორს, რომელიც ხელს უშლის თავისუფალ და გააზრებულ ქცევას. ასეთებს შორის უმნიშვნელოვანესია

*აფექტები და ვნებები.* კანტი ამ მოცულობების თავისებურ კლასიფიკაციას გვთავაზობს იმის მიხედვით, თუ რამდენად აფერხებენ ისინი გადაწყვეტილების მიღებას და განხორციელებას. ამ მხრივ ვნებები უფრო დიდ საფრთხეს შეიცავს. "აფექტისაგან ადამიანს მხოლოდ დროებით ეკარგება თავისუფლება და საკუთარი თავის ფლობის უნარი, ვნება კი სრულიად უარს ამბობს მათზე; იგი თავის სიამოვნებასა და დაკმაყოფილებას მოინურ სულში პოულობს".

ზოგადად მისწრაფებით უნარები კი მოიცავენ სურვილებს, რომელთა სათავე სიამოვნების ობიექტის წარმოდგენაში უნდა ვეძებოთ; მაგრამ სულში, ასეთ სურვილებთან ერთად, არსებობენ აუცილებელი ბნეობრივი მოთხოვნები. ისინი მორალური კანონის გამოვლინებებია. ეს კანონი აპრიორულ ფორმაში მოცემული უპირობო ბრძანებაა, ე.წ. *კატეგორიული იმპერატივია*, რომელიც აღგენს ყოველგვარი ქცევის ბნეობრივ ქმედებად შეფასების კრიტერიუმს. ნებისყოფა (*პრაქტიკული გონება*) მორალური კანონის შესრულების უნარს განასახიერებს. ასეთი ნებისყოფა თავისუფალია ყოველგვარი ემპირიული განსაზღვრულობისაგან, რაც პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის მის დახასიათებას რეალურ ფსიქიკურ პროცესად. ნებისყოფისა და თავისუფლების ცნებები იმდენად მჭიდროდ უკავშირდება კანტის მორალურ შეხედულებას ("პრაქტიკული გონების კრიტიკა"), რომ მათ ერთმანეთისაგან ვერ დააშორებ. მხოლოდ თავისუფალ არსებას შეუძლია არ დაექვემდებაროს ბუნებაში მოქმედ მიზეზობრიობის კანონს და, საკუთარი ნებით, იხელმძღვანელოს ბნეობრივი კანონით. აქედან გამომდინარე, ნებისყოფა დეტერმინაციის გარეშე მყოფ უნუქციად გვევლინება, რომლის შესწავლა მეცნიერების, კერძოდ ემპირიული ფსიქოლოგიის ფარგლებში შეუძლებელია.

კანტი ახასიათებს თითქმის ყველა შემეცნებით ფსიქიკური პროცესს. იგი არ ასხვავებს *აღქმასა და შეგრძნებას* და იფარგლება არისტოტელესეული ხუთი შეგრძნების გარჩევით. აქ უფრო საინტერესოა მსჯელობა ზოგადად მგრძნობელობის უნარზე მოქმედ ფაქტორებზე. ზოგი ფაქტორი ამ უნარს აძლიერებს (კონტრასტი, სიახლე, ცვალებადობა), ზოგიც ასუსტებს ან საერთოდ თრგუნავს (სიმთვრალე, ძილი, გულყრა, ასფიქსია). *მეხსიერება და წარმოსახვა* წარმოდგენის, როგორც საგნის უშუალო ზემოქმედების გარეშე ცნობიერებაში აღმოცენების უნარის გამოვლინებებია. წარმოდგენების დაყოფა ტემპორალური ნიშნით შეიძლება – ზოგი წარმოდგენის შინაარსი წარსულს უკავშირდება, ზოგის – აწმყოს, ზოგისაც – მომავალს. აქ რამდენადმე მნიშვნელოვან სიახლეს ვერ ეხვდებით. მხოლოდ იმის აღნიშვნა შეიძლება, რომ კანტმა შედარებით მკაფიოდ გამიჯნა წარმოსახვის ფუნქციის ორი გამოვლინება. პირველია უნებლიე, რეპროდუქტიული წარმოსახვა, რომელსაც ფანტაზიას უწოდებს (მაგ. სიზმარი) და მეორე – ნებელობითი, პროდუქტიული წარმოსახვა, რაც შემოქმედების უნართან არის დაკავშირებული. იგი აგრეთვე მსჯელობს ფანტაზიის მასტიმულირებელ ფიზიკურ ზემოქმედებებზე, სახელდობრ, ნარკოტიკულ საშუალებებზე და ფანტაზიის კონტექსტში განიხილავს იმას, რასაც დღეს ფსიქოლოგიაში ცნობიერების შეცვლილ მდგომარეობებს უწოდებენ. ეს, პირველ ყოვლისა, *სიზმრებს* ეხება. ყურადღებას

იმსახურებს კანტის მოსაზრება სიზმრის აუცილებლობისა და სარგებლიანობის შესახებ, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოსაზრების დასაბუთებისას იგი საკმაოდ გულუბრყვილო ფიზიოლოგიური არგუმენტაციით იფარგლება.

რადგან ცნობიერების შეცვლილი მდგომარეობები ვახსენეთ, ისიც უნდა ითქვას, რომ "ანთროპოლოგიაში" საკმაოდ ერცელი მასალაა წარმოდგენილი სულიერი აშლილობების შესახებ. ამ თემის სერიოზული დამუშავება სათანადო კლინიკური პრაქტიკის გარეშე ძალზე რთულია. კანტი კაბინეტური მეცნიერი იყო, ამიტომ მისი "ანთროპოლოგიური" მოსაზრებები ფსიქიკური დარღვევების შესახებ ფსიქიატრიისა და ფსიქოპათოლოგიის შემდგომ წინსვლაზე არ აისახა. იგივეს ვერ ვიტყვით ამაევ ნაწარმოებში მოცემულ მსჯელობებზე ინდივიდუალური ხასიათის პრობლემატიკასთან დაკავშირებით. ეს შეიძლება ნაშრომის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და ღირებული ნაწილი იყოს. კანტის გავლენა *ქარაქტეროლოგიის* განვითარებაზე უეჭველია. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სწორედ კანტმა მისცა დასრულებული ფორმა *ტემპერამენტის* კლასიკურ ტიპოლოგიას (ის. 6.2).

ასეთია ძალიან მოკლედ კანტის მოსაზრებები ემპირიული ფსიქოლოგიის შესახებ, რომელსაც იგი არასრულყოფილ, მაგრამ მაინც რეალურ მეცნიერებად თვლის. სამაგიეროდ, ე.წ. *რაციონალურ ფსიქოლოგიას* კანტი მთლიანად უარყოფს. ამ უკანასკნელში მას ესმის მეცნიერება სულის (ცნობიერების) არსისა და უზოგადესი პრინციპების შესახებ, რომელიც დაფუძნებულია კარტეზიანულ დებულებაზე – ეაზროვნებ, ესე იგი ვარსებობ, – აქედან გამომდინარე ყველა მტკიცებით. ეს მტკიცებები ეხება სულის სუბსტანციურობას, სიმარტივეს, დაუნაწევრებადობას, არამატერიალურობას. კანტის მიხედვით, ისინი ლოგიკურ შეცდომებია (ე.წ. პარალოგიზმებია), ვინაიდან არასწორი საფუძვლიდან გამომდინარეობენ. საქმე ისაა, რომ სული (ცნობიერება, cogito) ზღვრული ცნება და ყოველგვარი შემეცნების პირობაა. როგორც ასეთი, ის ემპირიული გამოცდილების მიღმა, ტრანსცენდენტალურად არსებობს და ვერ გადაიქცევა მეცნიერული აზროვნების საგნად, რადგანაც ეს უკანასკნელი თვით მას ეფუძნება. "მე ვაზროვნებ" არის რაციონალური ფსიქოლოგიის ერთადერთი დებულება, რომლიდანაც მან უნდა გამოიყვანოს მთელი თავისი სიბრძნე, ამბობს კანტი. მაგრამ, როგორც კი მეცნიერული შემეცნების ეს ლოგიკური პირობა თვით გახდება მეცნიერების საგანი, დაგეჭირდება ამ პირობის ახლიდან მონახვა, რათა შემეცნება შესაძლებელი შეიქმნას. სულიერი ცხოვრების წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ემპირიული დაკვირვების გზით, იმ სირთულეების გათვალისწინებით, რასაც ეს დაკვირვება შეიცავს. დაუკვირვებადზე, ტრანსცენდენტურზე მეცნიერება ვერ იმსჯელებს. სულის სუბსტანციურობა, არამატერიალურობა და სხვა, რაციონალური ფსიქოლოგიის, როგორც კონკრეტული მეცნიერების საქმე არ არის. მის ფარგლებში ეს დებულებები ვერც დამტკიცდება და ვერც მათი უარყოფა მოხდება. ამიტომ, კანტის დასკვნით, რაციონალური ფსიქოლოგია მთელი თავისი შინაარსით უნდა შევიდეს ფილოსოფიაში, სახელდობრ, შემეცნების თეორიაში ("გონების კრიტიკა"), რომელიც ეხება საზოგადოდ ცოდნის წინაპირობებს, *ცნობიერების აპრიორულ ფორმებს.* ისინი წინ უსწრებენ

ყოველგვარ გამოცდილებას, მისგან არ გამომდინარეობენ და მასზე არ დაიყვანებიან.

თეორიული ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, კანტის სისტემაში ყველაზე საინტერესოა მოძღვრება ცნობიერების აპრიორულ ფორმებზე. აპრიორული ფორმები ჩვენი სულის იმთავითვე მოცემული უნარებია. ისინი უნდა განვასხვავოთ, ერთი მხრივ, ე.წ. *ნოუმენებისაგან*, ანუ ცნობიერების მიღმა ობიექტურად არსებული საგნებისაგან (ნივთები თავისთავად) და, მეორე მხრივ, ჩვენი ცნობიერების წარმოდგენებისა თუ განცდებისაგან, რომლებსაც კანტი *მოვლენებს* უწოდებს. ნოუმენები, რომელია ობიექტური არსებობის სახე ჩვენთვის ყოველთვის ღაფარული დარჩება, მოქმედებს მგრძნობელობაზე და იწვევს შეგრძნებებს. ეს მასალა თავიდანვე გადამუშავდება ცნობიერების აპრიორული ფორმების მიერ და მიიღი ჩვენი ცოდნა ამ უნარების მოქმედების შედეგად მიიღება. რამდენადაც შემეცნება აღქმიდან იწყება და აბროვნებით გრძელდება, აპრიორული ფორმები ორივეგან უნდა ვიგულისხმოთ. აღქმის (მგრძნობელობის) აპრიორული ფორმებია *სივრცე და დრო*. პირველი მხოლოდ გარე მგრძნობელობას ეხება, მეორე – გარესაც და შინაგანსაც (ლოკის მსგავსად, კანტიც ე.წ. შინაგან აღქმაზე ლაპარაკობს, რომელიც მიმართულია ჩვენს საკუთარ სულიერ მდგომარეობებსა და ქცევებზე). ის, რაც არსებობს სივრცეში, არსებობს დროშიც, მაგრამ არა პირიქით. სულიერ მოვლენებს სივრცული მახასიათებლები არ გააჩნია. ამიტომ დრო ყველაფრის, ხოლო სივრცე მხოლოდ ბუნების მოვლენების *ჭვრეტის აპრიორული ფორმაა*. აქ იგულისხმება სწორედ ჭვრეტის ფორმა, სქემა, "აპრიორული წარმოდგენა" და არა ემპირიულად მოპოვებული წარმოდგენა ან ცნება. ჭვრეტის ამ ფორმების აპრიორულობა იმით მტკიცდება, რომ ისინი ლოგიკურად წინ უსწრებენ მოვლენების წარმოდგენას. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ არავითარი სივრცე და დრო არ არსებობს, თუმცა საკმაოდ შესაძლებელია სივრცისა და დროის მოაზრება მათში საგნების არსებობის გარეშე. ამდენად, ისინი გამოცდილების პირველადი და აუცილებელი პირობებია. მაგალითად, ჩვენი ცნობიერება თავიდანვე ისე აწესრიგებს სივრცულ გამოცდილებას, რომ სამყარო სამგანზომილებიანი წარმოგვიდგება. მაგრამ, როგორც თანამედროვე კოგნიტური ფსიქოლოგია იტყოდა, ეს მხოლოდ ინფორმაციის ორგანიზაციისა და გადამუშავების პირველი ეტაპია.

ჭვრეტის აპრიორულ ფორმებში ღალაგებული მონაცემების ურთიერთდაკავშირება, კანონზომიერი, აუცილებელი და საყოველთაო კავშირების დადგენა გონების (აზროვნების) მეშვეობით სდება. ამისთვის გამოიყენება ე.წ. *განსჯის აპრიორული ფორმები* ან *კატეგორიები*. ჩვენი გონების მიერ მოვლენები ფასდება, როგორც მიზეზი და შედეგი, ერთიანობა და სიმრავლე, არსებული, შესაძლებელი, აუცილებელი და სხვა. მაგალითად, ადამიანის ცნობიერების წინასწარ მოცემული წყობა სამყაროს ისე წარმოგვიდგენს, რომ ყოველ მოვლენას აუცილებლად უნდა გააჩნდეს თავისი მიზეზი. განსჯის კატეგორიები აწესრიგებენ გამოცდილებას, ახორციელებენ ემპირიულად მიღებული მრავალფეროვანი მასალის, ქაოტური წარმოდგენების

სინთეზს. მათი საშუალებით გადამუშავებული მონაცემები იძენენ სტრუქტურას და მნიშვნელობას, ხოლო მეცნიერული ცოდნა – საყოველთაო და აუცილებელ ხასიათს.

ეს, ცხადია, არ ნიშნავს, რომ თეით განსჯის ფორმები ან კატეგორიები თანდაყოლილი იდეებია, მზამზარეულ ცოდნაა. კანტის სისტემის ფსიქოლოგიური ანალიზისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ განსჯის აპრიორულ კატეგორიებში რაიმე ცნებები, შინაარსი კი არ იგულისხმება, არამედ, საზოგადოდ, აღამიანის ცნობიერების მოწყობისა და ფუნქციონირების ფორმა, ცოდნის ორგანიზაციის ხერხი, გონების მასინთეზირებელი მოქმედება. სწორედ ამ აქტიეობას უწოდებს კანტი *აპერცეფციას.* აპერცეფცია ორი სახისაა იმის მიხედვით, თუ რაზეა ის მიმართული – თვითცნობიერებაზე (განაპირობებს ცნობიერების ერთიანობას, რის გარეშე შემეცნება ვერ განხორციელდება), თუ ობიექტზე (განაპირობებს სხვადასხვაგვარი შთაბეჭდილების ერთ ობიექტად გაერთიანებას).

ფილოსოფიური რეფლექსია აღმოაჩენს, რომ ადამიანის ცნობიერებას გარკვეული სტრუქტურა აქვს და, ასევე, გარკვეული ორგანიზაციით ხასიათდება. სამყაროს სურათი, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია და რომელსაც მეცნიერება შეისწავლის, ადამიანის ცნობიერების აპრიორული ფორმებით არის განსაზღვრული. ფსიქოლოგიისთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს საკითხს ამ ფორმების არსებობის წესისა და ბუნების შესახებ. ისინი არ იქმნებიან ფსიქიკური ცხოვრების შედეგად და, როგორც სულის თანდაყოლილი უნარ-თვისებები, შეადგენენ ყოველგვარი გამოცდილების პირობას. კანტის თქმით, მათ ახასიათებთ "ემპირიული რეალობა", ანუ ისინი ნამდვილად არსებობენ შემმეცნებელ სუბიექტში სხვა წარმოდგენებისა თუ განცდების მსგავსად, თუმცა, ცხადია, არ ცნობიერდებიან და ფსიქიკის სიღრმივ სტრუქტურას ქმნიან. მაგრამ თუ სულიერი განცდები ასე თუ ისე ექვემდებარება მეცნიერულ შესწავლას ემპირიული ფსიქოლოგიის ჩარჩოებში, სულის აპრიორული ფორმების შესახებ მეცნიერება ვერ იარსებებს. ამიტომ რაციონალური ფსიქოლოგია, როგორც კონკრეტული მეცნიერება, შეუძლებელია, თუმცა მისი შინაარსი ძალზე მნიშვნელოვანია და უნდა დამუშავდეს ფილოსოფიის ფარგლებში.

უკვე აღინიშნა, რომ კანტის როლი ფსიქოლოგიის განვითარებაში ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად არ არის განსაზღვრული. კანტს ეშლებოდა, როცა ემპირიულ ფსიქოლოგიას მეთოდური იმპოტენციის დიაგნოზი დაუსვა. კანტის გარდაცვალებიდან რამდენიმე ათეულ წელიწადში, ფსიქოფიზიკისა და ფსიქომეტრიის განვითარებამ დამაჯერებლად აჩვენა, რომ მისი შეფასებები არ იყო მართებული (იხ. 4.2. 4.3. 6.1.). ფსიქოლოგია წარმატებით დაეუფლა ექსპერიმენტსაც, გაზომვასაც და, საზოგადოდ, კელევის საბუნებისმეტყველო ტექნოლოგიას. კანტის მიერ რაციონალური ფსიქოლოგიის კრიტიკის მართებულობასაც არ მიიჩნევენ სარწმუნოდ. ამასთან დაკავშირებით სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ "კანტმა სულის ცნებას ის ფუნქციაც წაართვა, რაც აქვს სამყაროს იდეას ბუნების შემეცნების პროცესში. არ არის ნაჩვენები, თუ რატომ არ შეიძლება სულმა ზღვრული ცნების როლი შეასრულოს

და სულიერი მოვლენების შეუჩერებელ შემეცნებას საფუძველად დაედოს" (ა. ბოჭორიშვილი). ასე რომ, ფსიქოლოგიის კანტისეულ კრიტიკას ფსიქოლოგიის სისტემის შენებისთვის პოზიტიური არაფერი გაუკეთებია.

მეორე მხრივ, ფსიქოლოგიის ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ კანტის მოძღვრება საფუძვლად უდევს მთელ რიგ სერიოზულ ფსიქოლოგიურ კონცეფციას (აღწერითი და გაგებითი ფსიქოლოგია, ვუნდტის სისტემა, ვიურცბურგის სკოლა, გეშტალტფსიქოლოგია). ამის თაობაზე უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში მხოლოდ გარკვეულ გავლენებზე შეიძლება იყოს საუბარი და ისიც არაპირდაპირზე, ვინაიდან აღნიშნული კონცეფციები სინამდვილეში ზოგადფსიქოლოგიური კვლევის სისტემებია, ანუ იმას, რასაც კანტი ფაქტობრივად უარყოფდა.

ამავე დროს, კანტმა პირდაპირი გავლენაც მოახდინა ფსიქოლოგიურ და ფსიქოფიზიოლოგიურ კვლევაზე აღქმის სფეროში (ი. მიულერი. ე. ჰერინგი და სხვა). სივრცის აღქმის მიმართ ე.წ. ნატივისტური თეალსაზრისი მჭიდროდ უკავშირდება კანტის მოსაზრებებს აღქმის აპრიორული (თანდაყოლილი) ფორმების შესახებ. იოჰანეს მიულერმა ამ ფორმების ფიზიოლოგიზაცია მოახდინა, და სივრცის კონსტრუირების უნარი თვალის ბადურას მიაწერა. ნატივიზმი, როგორც ცნობილია, სივრცის აღქმას თანდაყოლილ თვისებად მიიჩნევს. ამდენად, ის შეესაბამება კანტის შეხედულებას. მაგრამ იმავეს ვერ ვიტყვით თანამედროვე ფსიქოლოგიის წარმოდგენებზე სივრცის აღქმის შესახებ. ღღეს უკვე ემპირიულად დამტკიცებულად ითვლება, რომ სივრცის აღქმის უნარი ნაწილობრივ თანდაყოლილია და ნაწილობრივ შეძენილი. ორგანზომილებიან სივრცეს, ანუ განუვნილობას ადამიანი დაბადებიდან აღიქვამს, ხოლო მესამე განზომილების ანუ სიღრმის აღქმის უნარი თანდათანობით, გამოცდილების კვალდაკვალ ეითარდება. ამრიგად, სამგანზომილებიანი სივრცის აღქმა არ წარმოადგენს აღქმის აპრიორულ ფორმას კანტისეული გაგებით, ე.ი. ცნობიერების თანდაყოლილ, გამოცდილებამდელ და უცვლელ სტრუქტურას.

იგივე ითქმის განსჯის აპრიორული ფორმების ან კატეგორიების მიმართაც. თანამედროვე კოგნიტური ფსიქოლოგიის მონაცემების მიხედვით, ყოველგვარ გამოცდილებას და ქცევას კოგნიტური სქემები და სტრუქტურები აშუალებს. ამიტომ, არ არის გასაკვირი, რომ თავის წინამორბედებზე ლაპარაკისას კოგნიტივისტები კანტის სახელს საკმაოდ ხშირად ახსენებენ. თითქმის უდავო ფაქტად არის მიჩნეული, რომ გონებრივი სტრუქტურები აქტიურად გარდაქმნიან გრძნობად გამოცდილებას და იმასაც განსაზღვრავენ, თუ როგორ წარიმართება გარემოსთან ურთიერთობა, ადაპტაციური მოქმედება. ამ აზრით, კოგნიტური სქემები ასტრუქტურებენ მთელ ჩვენს ცოდნას სამყაროს შესახებ. მაგრამ ეს სტრუქტურები აპრიორულ მოცემულობას არ წარმოადგენს ისინი ცვალებადობენ და ვითარდებიან ასაკისა და გამოცდილების მატებასთან ერთად. გონებრივი განვითარება სულ უფრო სრულყოფილი ინტელექტუალური სქემების თანმიმდევრული ცვალებადობაა. ეს პროცესი დაწერილებით შეისწავლა ერთ-ერთმა უდიდესმა ფსიქოლოგმა, გენეტიკური ეპისტემოლოგიის ფუძემდებელმა, ჟან პიაჟემ. პიაჟეს მიხედ-

ვით, შემეცნებითი სტრუქტურების გენეზისი ონტოგენეზში ოთხ სტადიას გაიელის. თითოეულ სტადიაზე ინტელექტი თვისობრივად სხვადასხვაგვარია, ანუ განსხვავებულია ბავშვის გონებრივი წყობა და, შესაბამისად, მის მიერ შექმნილი სამყაროს სურათიც (იხ. 11.2.). მაშასადამე, ლაპარაკი გონებრივ სტრუქტურებზე, როგორც თანდაყოლილზე (აპრიორულზე) და უცვლელზე, უსაფუძვლოა.

კანტი გენეზისის საკითხს საერთოდ არ განიხილავდა და განვითარების ფაქტს მხედველობაში არ იღებდა. იგი ამოდიოდა უკვე არსებული მეცნიერული ცოდნიდან და ცდილობდა მისი საფუძვლებისა და წინაპირობების დადგენას. მეცნიერული ცოდნის განვითარებამ გარკვეული ეჭვები წარმოქმნა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად უნივერსალურია ეს წინაპირობები (ცნობიერების აპრიორული ფორმები). მაგალითად, რა აპრიორული ფორმებით სელმძღვანელობენ თანამედროვე ქვანტურ ფიზიკაში ან არაევკლიდურ გეომეტრიაში, სადაც სულ სხვა წარმოდგენებია დროზე, სივრცეზე, მიზეზობრიობაზე და ა.შ. ეს საკითხი კანტის შეხედულებათა დღევანდელი მეცნიერების მონაცემებთან შესაბამისობის პრობლემაა და მოცემული ანალიზის ფარგლებს სცილდება, მაგრამ ერთი რამ უდავოა: თუ კანტის მიერ დახასიათებული ჭვრეტისა და განსჯის აპრიორული ფორმები "ემპირიული რეალობის" მქონე "სულის თვისებებია", მათი ანალიზი გენეტიკური მიდგომის გარეშე დამარწმუნებელი ვერ იქნება.

საზოგადოდ კი შეიძლება ითქვას, რომ ფსიქოლოგიამ, ერთგვარად, "სამაგიერო" გადაუხადა კანტს მისი ანტიფსიქოლოგისტური პოზიციისთვის. ფსიქოლოგია არა მხოლოდ შედგა, როგორც სრულყოფილი მეცნიერება, არამედ მან წარმატებით, ემპირიულად იკვლია სწორედ ის სფერო, რომლის დახასიათების ექსკლუზიური უფლება კენიგსბერგელმა სწავლულმა თავის შემეცნების თეორიას და, შესაბამისად, გონებაჭვრეტას მიანიჭა. გარდა ამისა, განა ნიშანდობლივი არ არის, რომ კანტი, ერთ-ერთი უდიდესი ანტიფსიქოლოგისტი, ძალზე საფუძვლიანად გაება ფსიქოლოგიზმის ბადეში. მართლაც, შემეცნების წინაპირობები – ჭვრეტისა და განსჯის აპრიორული ფორმები – ხომ არსებითად ფსიქიკის სტრუქტურებია, სულის უნარებია. აპერცეფციაც, როგორც სულის მასინთეზირებელი უნარი, "არის ადამიანის ფსიქიკის კანონზომიერება, ხოლო ფსიქიკური კანონზომიერებით შემეცნების პროცესის ახსნა ისევ ფსიქოლოგიზმსა და, რადგან ეს კანონზომიერება ადამიანურის კანონზომიერებაა, ანთროპოლოგიზმს წარმოადგენს" (კ. ბაქრაძე).

## 3.3. ემპირიული ფსიქოლოგიის განვითარება მეცხრამეტე საუკუნეში

ჩვენ დავრწმუნით, რომ XVIII საუკუნის ფსიქოლოგიის პროგრესი, პირველ რიგში, ბრიტანულ ემპირიულ ფსიქოლოგიასთან არის დაკავშირებული. ასოციაციონიზმი, როგორც იმ დროისთვის ყველაზე პროგრესული

მოძღვრება, ჰერტლისთან უკვე ჩამოყალიბებულია. ახლა ჩვენ ვნახავთ, რომ მომდევნო საუკუნის პირველ ნახევარში ის თავისი განვითარების მწვერვალს მიაღწევს, შემდეგ კი დაიწყებს ტრანსფორმაციას. ბრიტანული ემპირიზმი და ასოციაციონიზმი ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის თეორიულ-მეთოდოლოგიური მომზადებაა. ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევარში აღმოცენდება, თავის თეორიულ ნაწილში დიდწილად სწორედ მას ეფუძნება. ფსიქოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების, წარმოქმნის მეორე საფუძველი ბუნებისმეტყველების, პირველ ყოვლისა, ფიზიოლოგიის მიღწევები გახდება, რასაც მომდევნო თავში გავეცნობით.

მაგრამ სანამ ბრიტანული ემპირიული ფსიქოლოგიის განვითარების ბოლო ეტაპის შესახებ ვისაუბრებთ, შევჩერდეთ იმდროინდელ გერმანულ ფსიქოლოგიაზე. ბოლოს და ბოლოს, მეცნიერული ფსიქოლოგიის აკვანი ხომ გერმანიაში დაირწა, რაც შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო გერმანული ემპირიული ფსიქოლოგია. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ემპირიზმის იდეების გავრცელება გერმანიაში გაძნელდა და გაჭიანურდა. აქ ბატონობდა აპრიორისტული რაციონალიზმი – შეხედულება გონების იმანენტურ ფორმებზე, თანშობილ ნიჭებზე, რომლებიც საფუძვლად ედება ემპირიულად მოცემულ მთელ ფსიქიკურ ცხოვრებას (ვოლფი, ტეტენსი, კანტი). ეს მეთოდოლოგიური პოზიცია ჰერბარტმა დაარღვია. სწორედ მან ჩამოაყალიბა გერმანული ემპირიული ფსიქოლოგია. აქედან პირდაპირი გზა გაიხსნა ექსპერიმენტული ფსიქოლოგიისკენ, რომელზეც ჰერბარტმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა, თუმცა თვითონ უარყოფდა ექსპერიმენტს ფსიქოლოგიაში.

**იოჰან ფრიდრიხ ჰერბარტი** (1776-1841) საკმაოდ გავლენიანი ფილოსოფოსი იყო. ამავე დროს, იგი ცნობილია როგორც "მამა" მეცნიერული პედაგოგიკისა, რომელიც ფსიქოლოგიაზეა დაფუძნებული. ჰერბარტის მეცნიერული მოღვაწეობა გიოტინგენსა და კენიგსბერგში მიმდინარეობდა. კენიგსბერგის უნივერსიტეტში იგი სათავეში ჩაუდგა კანტის კათედრას, რაც თავისთავად მეტყველებდა მის ავტორიტეტზე. ჰერბარტის ორი ძირითადი ფსიქოლოგიური ნაშრომი: "ფსიქოლოგიის სახელმძღვანელო" (1816) და "ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება ახლად დაფუძნებული გამოცდილებასა, მეტაფიზიკასა და მათემატიკაზე" (1824-1825), სწორედ აქ დაიწერა.

ბორინგის თქმით, ამ უკანსკნელი წიგნის სათაური უკვე მიგვანიშნებს იმაზე, თუ როგორ ესმოდა ფსიქოლოგია მის ავტორს. მართლაც, პირველ რიგში, მასში აღნიშნულია, რომ ფსიქოლოგია მეცნიერებაა. ამ აზრის დადასტურება ნამდვილად მნიშვნელოვანი იყო იმ დროს, როდესაც ფსიქოლოგია უპირატესად ფილოსოფიის წიაღში ვითარდებოდა. ცხადია, ჰერბარტის ფსიქოლოგიაც მჭიდროდ არის დაკავშირებული ფილოსოფიასთან. მაგრამ ფსიქოლოგია მაინც ემპირიული მეცნიერებაა და არა ფილოსოფიის

თუმცა, როგორც სათაურიდან ჩანს, ის მეტაფიზიკაზეა დაფუძნებული. ჰერბარტის მისედვით, ეს ნიშნავს რომ ფსიქოლოგიურ სისტემას უნდა ჰქონდეს თავისი არაემპირიული, ფილოსოფიური წანამძღვრები. მათ შორის ერთ-ერთი ძირითადია იმის მტკიცება, რომ სულში არაფერი არ არის წინასწარ მოცემული. ამ პუნქტში ჰერბარტი ემიჯნება ნიჭთა ფსიქოლოგიას და უკავ-შირდება ასოციაციონიზმს. ამავე დროს, იგი ძალაში ტოვებს სულის ცნებასაც, რომლის გარეშე ვერც ფსიქიკის ერთიანობაზე ვილაპარაკებთ და ვერც მისი აქტივობის პირველწყაროს დავადგენთ. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ სული შეუმეცნებელი არსია. ამიტომ მასზე მსჯელობა, არსებითად, მეტაფიზი-კური ხასიათისაა. ის სცილდება მეცნიერების საზღვრებს, რომლის საგანიც ყოველთვის ემპირიული ფაქტები და მოვლენებია.

ამგვარად, ფსიქოლოგიას, მეტაფიზიკურ მტკიცებათა სახით, ფილო-სოფიური საფუძველი აქვს, მაგრამ საკუთრივ ფსიქოლოგია ემპირიული მეც-ნიერებაა. ეს ვითარება დაფიქსირებულია ჰერბარტის თხზულების სათაურ-ში, სადაც მითითებულია, რომ ფსიქოლოგია გამოცდილებას ემყარება, თუმ-ცა ეს არ ნიშნავს, რომ იგი ექსპერიმენტული დისციპლინაა. ფსიქოლოგია არ შეიძლება ექსპერიმენტული იყოს სულის ერთიანობის გამო. კანტის მსგავ-სად, ჰერბარტიც უარყოფს ფსიქოლოგიაში ექსპერიმენტის გამოყენების შესა-ძლებლობას: "ფსიქოლოგიას არ შესწევს უნარი ადამიანებზე ექსპერიმენ-ტირებისა და არ გააჩნია ამისთვის რაიმე ხელოვნური ხელსაწყოები". ფსიქო-ლოგიამ უნდა გამოიყენოს ინტროსპექცია, სხვათა დაკვირვება და ქცევის პროდუქტების ანალიზი. ეს ყოველივე ემპირიული კვლევის მეთოდებია, რი-თაც ჰერბატი კანტის აპრიორიზმს უპირისპირდება. ასევე უარყოფილია კან-ტის დებულება იმის შესახებ, რომ ფსიქოლოგიას მათემატიკა ვერ მიესადა-გება. ფსიქოლოგია მათემატიკას ეფუძნება – ამტკიცებს ჰერბარტი. ამით ფსიქოლოგიას საშუალება ეძლევა, არ დარჩეს მხოლოდ აღწერით მეცნიერე-ბად და შეიმუშაოს ფსიქიკურ მოვლენათა ურთირთკავშირის რაოდენობრი-ვად გამოსატული კანონები, უზრუნველყოს მათი სიზუსტე და შემოწმება. ცხადია, რომ აქ მინიშნებულია ფსიქიკური მოვლენების აღრიცხვისა და გა-ზომვის შესაძლებლობაც, რაც მოგვიანებით ფსიქოფიზიკაში განხორციელ-და.

ამავე დროს, ჰერბარტის ფსიქოლოგია არ არის ფიზიოლოგიური. მას ნაკლებად აინტერესებდა ფიზიოლოგია და არ უიქრობდა, რომ ფიზიოლო-გიური პარამეტრების შესწავლა მნიშვნელოვან სარგებლობას მოუტანდა ფსიქოლოგიას. ეს, ნაწილობრივ, მისი ანტიექსპერიმენტალისტური ორიენტა-ციით აიხსნება. პირველ ფსიქოლოგიურ ლაბორატორიებში, რომლებიც ჰერ-ბარტის გარდაცვალების შემდეგ ამოქმედდა, უხვად გამოიყენებოდა ფიზი-ოლოგიური კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდიკა. შემთხვევითი ხომ არ არის, რომ ვუნდტის ე.წ. "ფიზიოლოგიური ფსიქოლოგია", ფაქტობრივად, ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის სინონიმი იყო (იხ. 5.1.). მიუხედავად ამისა, ჰერბარტი ხედავდა სხეულსა და სულს შორის არსებულ მიმართებას და მიუთითებდა მათი ურთიერთკავშირის ოთხ ფორმაზე: 1) სხეულებრივმა პირობებმა შეიძლება შეაფერხონ წარმოდგენების აღმოცენება (მაგ. ძილ-

ში); 2) სხეულებრივმა პირობებმა შეიძლება დააგვიანონ, დროში გადაწიონ ან სულაც ჩაახშონ წარმოდგენა (მაგ., სიმთვრალის ან ძლიერი ენების შემთხვევაში); 3) შესაძლოა, რომ სხეულებრივმა პროცესებმა გააძლიერონ წარმოდგენა (მაგ., ნარკოტიკულ ნივთიერებათა ზემოქმედების დროს); 4) სულსა და სხეულს შორის შესაძლებელია თანამშრომლობა (მაგ., ემოციისა და გამომხატველ მოძრაობათა ურთიერთმიმართება).

ჰერბარტის მიხედვით, ფსიქოლოგიური კვლევის ამოსავალი პუნქტი ცნობიერების ფაქტებია. რა მოვლენებს და პროცესებს აღმოვაჩენთ აქ, რას გვაძლევს ცნობიერების ანალიზი? ამ საკითხში ჰერბარტის პოზიცია ერთგვარად წინააღმდეგობრივია. ერთი მხრივ, იგი აღნიშნავს, რომ ფსიქოლოგია არ შეიძლება იყოს ანალიზური – სული ერთიანია და, ამდენად, მის შემადგენელ ნაწილებზე ლაპარაკი სწორი არ იქნება. მეორე მხრივ, იგი გამოყოფს ცნობიერების აშკარად გამოკვეთილ ელემენტს, რომელსაც *წარმოდგენას* უწოდებს. ამ ტერმინის ქვეშ გაერთიანებულია შეგრძნება და იდეა, რაც მათი დაპირისპირების მოხსნის ერთგვარი მცდელობაა (ლოკი – ჰიუმი). წარმოდგენა სულის პირველადი ელემენტია. მას გაჩნია *თვისობრივი* (რომელობითი) და *რაოდენობრივი* (ენერგეტიკული) მხარე. წარმოდგენები უამრავ რომელობით სახესხვაობას ქმნიან. ყოველი კონკრეტული წარმოდგენა რომელობითად უცვლელია. რომელობითი ცვლილება ახალი წარმოდგენის გაჩენას ნიშნავს. სამაგიეროდ, თვისობრივად ერთი და იგივე წარმოდგენა შეიძლება ცვალებადობდეს *ხანიერებისა* და *ძალის* მხრივ. ძალა და ინტენსივობა, სუბიექტურად, წარმოდგენის სიმკვეთრე-სიცხოველეში მეღავნდება.

წარმოდგენები, როგორც დინამიკური ძალები, ერთმანეთთან ურთიერთობენ. ამ ურთიერთობას საკმაოდ ხშირად დაპირისპირების, კონფლიქტის სახე აქვს; ყოველი მათგანი ცდილობს "დაიცვას თავისი თავი" და არ განიდევნოს ცნობიერების ველიდან, რომლის მოცულობა შეზღუდულია. აქ ადგილს მხოლოდ ძლიერი წარმოდგენები იკავებენ. წარმოდგენების ურთიერთზემოქმედების შედეგად იცვლება მათი რაოდენობრივი მხარე – ისინი ერთმანეთს ძალას უკარგავენ. ცნობიერება, უაქტობრივად, წარმოდგენების ბრძოლის ასპარეზია. ფსიქოლოგიის მთელი მათემატიკური მხარე დაპირისპირებული წარმოდგენების ინტენსიობის გამოთვლაში მდგომარეობს. ასეთმა გამოთვლებმა, ჰერბარტის აზრით, ცნობიერების ზუსტი სურათი უნდა მოგვცეს. მართალია, მან რეალურად ვერ შეძლო ფსიქიკური მოვლენების ინტენსიობის გამოთვლა და მათემატიკის ენაზე გამოხატვა, მაგრამ მნიშვნელოვანი ის არის, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში დააყენა და ამით გზა გაუკაფა ფეხნერს.

ჰერბარტის ფსიქოლოგია ორი ნაწილისაგან შედგება: სულის სტატიკა და სულის დინამიკა. პირველი გულისხმობს წარმოდგენათა ძალის დადგენას წონასწორობის (სიმშვიდის) მდგომარეობაში. მეორე შეისწავლის წარმოდგენების მოძრაობის კანონზომიერებებს ცნობიერებაში. წარმოდგენებს შორის, საზოგადოდ, ორი ტიპის ურთიერთობა არსებობს: წინააღმდეგობრივი და არაწინააღმდეგობრივი. წინააღმდეგობრივი წარმოდგენები აფერ-

ხებს და ასუსტებს ერთმანეთს, არაწინააღმდეგობრივი წარმოდგენები კი ერთიანდება და ძლიერდება. ამ შემთხვევაშიც ორი ვითარება გამოიყოფა: ა) როცა წარმოდგენებს შორის წინააღმდეგობა არ არის და, ამავე დროს, ისინი ერთისა და იმავე მოდალობას ეკუთვნიან. მათი გაერთიანების შემთხვევაში ჰერბარტი *შერწყმაზე* ლაპარაკობს (მაგ., წითლისა და ლურჯის გაერთიანება გვაძლევს ისფერის წარმოდგენას); ბ) როცა არაწინააღმდეგობრივი წარმოდგენები სხვადასხვა მოდალობებს მიეკუთვნება. მათ გაერთიანებას *კომპლიკაცია* ეწოდება (მაგ., სიყვითლისა და სიმქაცის წარმოდგენები ერთიანდება ლიმონის ხაგში). წარმოდგენების კავშირის მოძღვრებით ჰერბარტი, არსებითად, ასოციაციური თეორიის ხაშს განაგრძობს, თუმცა არ იყენებს მის ტერმინებს (მაგ., ტერმინს "სიმულტანური ასოციაცია"). შერწყმისა და კომპლიკაციის ცნებები თავის სისტემაში აქტიურად გამოიყენა ვუნდტმა.

რაც შეეხება წარმოდგენათა შორის წინააღმდეგობრივ, კონფლიქტურ მიმართებას, მას ასოციაციური ფსიქოლოგია, ფაქტობრივად, არ ეხება, ჰერბარტი კი საგანგებოდ და დაწვრილებით აანალიზებს. ამ შემთხვევაში წარმოდგენები არ სპობენ ერთმანეთს. აქ ხდება მხოლოდ წარმოდგენების ძალის, ინტენსიურობის ან, რაც იგივეა, სინათლის შემცირება. ამ კონტექსტში ჰერბარტი აკეთებს შეხედულებას ცნობიერების ღონეებისა თუ საფეხურების შესახებ და აქტიურად იყენებს არაცნობიერის ცნებას. სინათლის ხარისხის მიხედვით გამოიყოფა: 1) *ნათელი ცნობიერება*, რომელიც ცხადი და მკაფიო წარმოდგენებისაგან შედგება; 2) *ბუნდოვანი ცნობიერება*, რომელშიც თავმოყრილია ნაკლებად ნათელი და მკაფიო წარმოდგენები; და 3) *არაცნობიერი*, რომელიც ბნელი, სხვა წარმოდგენების მიერ განდევნილი, დაუძლურებული წარმოდგენებისაგან არის შეკვეთილი.

ჰერბარტის შეხედულებაში ცნობიერების ხარისხებისა და არაცნობიერის შესახებ, ლაიბნიცის დიდი გავლენა იგრძნობა. წარმოდგენების განაწილება ცნობიერების ღონეების მიხედვით არ არის მუდმივი – ერთი და იგივე წარმოდგენა დროის სხვადასხვა მონაკვეთში შეიძლება ცნობიერების განსხვავებულ საფეხურზე იმყოფებოდეს. სულიერი ცხოვრება – ესაა წარმოდგენების გამუდმებული მოძრაობა ცნობიერიდან არაცნობიერისკენ და პირიქით. საზღვრებს ფსიქიკის სხვადასხვა ღონეებს შორის ჰერბარტი ზღურბლს უწოდებს. ნათელ ცნობიერებასა და ბუნდოვან ცნობიერებას შორის საზღვარს *ნათელი ცნობიერების ზღურბლი* ჰქვია, ხოლო ბუნდოვან ცნობიერებასა და არაცნობიერს შორის – *ცნობიერების ზღურბლი*.

ზღურბლის ცნება შემდგომში ფეხნერმა გამოიყენა. ჰერბარტისა და ფეხნერის ზღურბლის ცნებასა და მისი დადგენის მექანიზმს შორის განსხვავება ისაა, რომ ჰერბარტი ცდილობდა გამოეთვალა, თუ რა ძალის უნდა ყოფილიყო წარმოდგენა, რომ უფრო ძლიერ წარმოდგენასთან ურთიერთობისას ზღურბლს ზევით დარჩენილიყო. ფეხნერი კი ადგენდა მიმართებას ფიზიკურ გამღიზიანებელსა და შეგრძნების ინტენსიობას შორის (იხ. 4.2.). ასევე თუ ისე, ცნობიერება, ჰერბარტის მიხედვით, არის სცენა, ეკრანი, რომელზეც ურთიერთდაპირისპირებული წარმოდგენები ცვლის ერთმანე-

თის სინათლის სარისხს, გადააღგილდება ცნობიერების ერთი ღონიდან მეორეში ან იძირება ზღურბლს ქვეეით. ამასთან, არაცნობიერი წარმოდგენა არაფერით განსხვაეღება ცნობიერისაგან გარდა იმისა, რომ მოცემულ მომენტში სუბიექტის მიერ არ აღიქმება. არავითარი სსეა შინაარსობრივი თუ თვისებრივი ნიშნით ის არ განსხვავედება ფენომენოლოგიურად მოცემული წარმოდგენისაგან. არაცნობიერი წარმოდგენა ინარჩუნებს მეტ-ნაკლებ ძალას, ამიტომ, შესაბამის პირობებში, ის შეიძლება დაბრუნდეს ცნობიერების არეში.

ფსიქოლოგიის ისტორიკოსები ხშირად მსჯელობენ იმაზე, მოახდინა თუ არა ჰერბარტმა გაელენა ფროიდზე. ფროიდის არაცნობიერის კონცეფციაში, ისევე როგორც წარმოდგენების განლევნის მექანიზმებში, შესელულებაში კომპლექსებზე (წარმოდგენათა გაერთიანებებზე), რომლებიც არ ცნობიერღებიან, მაგრამ მაინც მოქმეღებენ ცნობიერების პროცესებზე (სათანადო პირობებში კი შეიძლება გაცნობიერღნენ კიდეც), მართლაც შეიმჩნევა ერთგვარი მსგავსება ჰერბარტის მოსაზრებებთან წარმოდგენათა დინამიკის შესახებ. ეჭვს გარეშეა, რომ ფროიდი მათ კარგად იცნობდა.

ჰერბარტის მისედვით, როგორც ზემოთ აღინიშნა, სათანადო პირობების არსებობისას არაცნობიერმა (ან სულაც ახალმა) წარმოდგენამ შეიძლება გადალახოს ცნობიერების ზღურბლი და შევიდეს ცნობიერების არეში. რა პირობები იგულისმება აქ? პირველ ყოელისა, ეს არის წარმოდგენის ძალა, შემდეგია წინააღმდეგობის უქონლობა ან მისი სიმცირე. ყოველი წარმოდგენა უნდა შეესაბამებოდეს ცნობიერების ერთიანობას. ვითარება ისეთია, თითქოს ცნობიერი წარმოდგენები არაცნობიერში სპეციალურად არჩევენ ისეთ წარმოდგენას, რომელიც მათ შეესატყვისება. ახალი წარმოდგენა ცნობიერებაში ვერ გაჩნდება და იქ ადგილს ვერ დაიმკვიდრებს, თუ ის ძველ წარმოდგენებს არ დაუკავშირდა, მათთან საერთო არ მონახა. ლაიბნიცის მიერ შემოტანილ ტერმინს "აპერცეფცია" ჰერბარტი სწორედ ამ მნიშვნელობით იყენებს. ლაიბნიცთან ხდება ყოველი იდეის აპერცეფცია, რომელიც ცნობიერებაში შემოდის. აპერცეფცია, არსებითად, გაცნობიერებასთან არის გაიგივებული. ჰერბარტთან ამ ცნების შინაარსი მეტს გულისხმობს, ვინაიდან ვერცერთი ცნობიერი წარმოდგენა ვერ აღმოცენდება ისე, თუ გარკვეული ადგილი არ დაიკავა ცნობიერებაში ამჟამად მოცემული წარმოდგენების მთლიანობაში. მაშასადამე, აპერცეფცია მხოლოდ წარმოდგენის გაცნობიერება არ არის, იგი მისი ასიმილაციაა ცნობიერების წარმოდგენათა მთლიანობის (გამოცდილების) მიერ. წარსულ შთაბეჭდილებათა ამ მთლიანობას ჰერბარტი *მააპერცირებელ მასას* უწოდებს, ხოლო ახალი წარმოდგენების წარსულ გამოცდილებასთან შეერთების პროცესს — *აპერცეფციას.*

ფსიქოლოგიის ისტორიაში მიჩნეულია, რომ ჰერბარტის მოძღვრება აპერცეფციამე უფრო პროგრესულია, ვიდრე ლაიბნიცისა და კანტის შეხედულებები. ყოველ შემთხვევაში, აპერცეფციის ცნებას ჰერბარტთან ემპირიული შინაარსი აქვს. ლაიბნიცთან აპერცეფცია მოკლებულია ემპირიულ გარკვეულობას. ესაა სულის რაღაც ძალა, რომელიც უერთდება პერცეფ-

ციას და რეფლექსიის დონეზე აპყავს იგი. კანტის ტრანსცენდენტური აპერცეფცია გულისხმობს გრძნობადი გამოცდილების გაერთიანებას, პირველსინთეზს; ესაა "წმინდა ცნობიერება", რომელიც ახლავს ჩვენს ყველა განცდას და აბრს აძლევს "ემპირიული ცნობიერების" ცვალებად მონაცემებს. კანტის აპერცეფცია ცნობიერების აპრიორულ ფორმებში რეალიზდება, ის გამოცდილებამდე არსებობს და განსაზღვრავს მას. ჰერბარტის "მააპერცირებელი მასა" კი ემპირიულად არის გამოცდილებაში შესული და ცნობიერების ჩვეულებრივი წარმოდგენებისაგან შედგება.

"მააპერცირებელი მასა" შეიძლება მიჩანდასახულად იქნეს ფორმირებული პედაგოგიურ პროცესში. ცოდნის შეძენის პროცესი რეგულაციას ექვემდებარება, თუ ვიცით ის ფსიქოლოგიური კანონზომიერებები, რომელებიც მას განსაზღვრავენ. მოძღვრება წარმოდგენათა შეერთებაზე, აპერცეფციაზე, ჰერბარტმა გამოიყენა თავის პედაგოგიურ სისტემაში და პედაგოგიკის გამოჩენილი თეორეტიკოსის სახელიც მოიპოვა. პედაგოგიკის ისტორიაში იგი შევიდა, როგორც სწავლებისა და აღზრდის შესახებ პირველი მეცნიერული სისტემის შემქმნელი, როგორც გზის გამკვალავი იმ საქმიანობისა, რომლის შედეგიც სულიერი ცხოვრების კანონზომიერებებთან სწავლების პროცესის შესაბამისობაში მოყვანა იყო.

ჰერბარტმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მეცნიერული ფსიქოლოგიის ფორმირებაზე. ფსიქოლოგიაში მათემატიკის გამოყენების, ფსიქიკური მოვლენების გაზომვის, ზღურბლის იდეების გარეშე ვერ გაჩნდებოდა ფსიქოფიზიკა, რომლის როლის გადაჭარბებული შეფასება ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის დამკვიდრებაში ძნელია. ბევრი სასარგებლო აიღო ჰერბარტისაგან მეცნიერული ფსიქოლოგიის პატრიარქმა ვუნდტმა (შერწყმა, კომპლიკაცია, აპერცეფცია). გვერდს ვერ აუვლით ჰერბარტის მოსაზრებათა გავლენას ფსიქოანალიზის ჩამოყალიბებაზეც (ცნობიერებისა და არაცნობიერის დინამიკური ურთიერთობა).

ჰერბარტმა დატოვა ძლიერი სამეცნიერო სკოლა. მის მოწაფეთა და მიმდევართა შორის გამორჩეული ფიგურა იყო ლოგიკოსი, მათემატიკოსი, ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი მ. დრობიში (1802-1896). მან ბევრი რამ გაიკეთა ჰერბარტის ფსიქოლოგიური იდეების პოპულარიზაციისთვის. სწორედ დრობიშმა მიიწვია ვუნდტი ლაიფციგში, სადაც ამ უკანასკნელმა პირველი ფსიქოლოგიური ლაბორატორია დააარსა. ტ. ვაიტცი (1821-1864), მ. ლაცარუსი (1824-1903) და გ. შტაინტალი (1823-1899) თავიანთ მდიდარ მეცნიერულ შემოქმედებაში უფრო ეთნოგრაფიული ინტერესებით სელმძღვანელობდნენ და ეთნოფსიქოლოგიის ფუძემდებლებად ითვლებიან. ვუნტმა თავის "ხალხთა ფსიქოლოგიაში" განაგრძო კელეების ეს საზი. ვ. ფოლკმანი ცნობილია ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოთი (1856), რომელიც გერმანიაში ვუნდტის "ფიზიოლოგიური ფსიქოლოგიის" გამოქვეყნებამდე საუკეთესოდ იყო აღიარებული.

ჰერბარტის მოწაფეთა თაობას ეკუთვნის გერმანული ემპირიული ფსიქოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენელი **რუდოლფ ჰერმან ლოტცე** (1817-1881). მისი გავლენა ფსიქოლოგიაზე გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ჰერ-

ბარგისა, მაგრამ რამდენიმე მომენტი უთუოდ უნდა გამოიყოს. 1852 წელს გამოიცა მისი თხზულება "სამედიცინო ფსიქოლოგია", რომელმაც ხელი შეუწყო ფსიქოლოგიის გამდიდრებას ფიზიოლოგიური ცოდნით. წიგნის სათაური კარგად გამოსახავს მის შინაარსს – ესაა "ფიზიოლოგიური ფსიქოლოგია" (ეს ტერმინი სწორედ ლოტცემ შემოიტანა), რომელიც მოიცავს სულისა და სხეულის ურთიერთობებს, შეგრძნებათა ფსიქოფიზიოლოგიას, მათ შორის ვებერიდან მომდინარე საკითხს გამღიზიანებლისა და შეგრძნების ძალის პროპორციულობის შესახებ, ასევე სამედიცინო ფსიქოლოგიას: ცნობიერების მდგომარეობანი, სულიერი ცხოვრების განვითარების პირობები და სულიერი ცხოვრების დარღვევები. წიგნში მოცემულია დიდძალი ფაქტობრივი მასალა და იგი უფრო სასელმძღვანელოა, ვიდრე ორიგინალური კვლევა. მასში ყველაზე საყურადღებოა თავის დროზე საკმაოდ გასმაურებული კონცეფცია სიერცის აღქმისა, ე.წ. *ადგილობრივი ანუ ლოკალური ნიშნის თეორია.*

ლოტცეს აზრით, შეგრძნებებს აქვს მხოლოდ ინტენსიურობა და რომელობა. ერცეულობა არ არის შეგრძნების პირველადი ნიშანი, ის შეძენილი თვისებაა. ჩვენ იმთავითვე უშუალოდ ვერ აღვიქვამთ სივრცეს (ეს უდავოდ ემპირისტული პოზიციაა). შეხება და მხედველობა ის შეგრძნებებია, რომლებიც გარკვეული მექანიზმის მეშვეობით აყალიბებენ სივრცის აღქმას. მეორე მხრივ, იმისთვის, რომ ეს მექანიზმი ამოქმედდეს და ჩვენმა სულმა სივრცე იმაში შეიგრძნოს, რაშიც თავისთავად სივრცე არ არის (იგულისხმება მხედველობისა და შეხების მასალა), უნდა დავუშვათ სულის თანდაყოლილი უნარის არსებობა – ერცეულად განალაგოს თავისი პირველადი შინაარსები. ამ პირობის წამოყენებით კონცეფცია ერთგვარ ნატივისტურ ყღერადობასაც იძენს.

საკუთრივ სივრცის აღქმის მექანიზმი კი დამყარებულია გარკვეულ სხეულებრივ ფაქტორებზე, რომლებიც, თანამედროვე ფიზიოლოგიის თვალსაზრისით, არაა უნივერსალური. კერძოდ, ლოტცე მიიჩნევს, რომ ბადურისა და კანის ყოველი წერტილი საკმაოდ განსხვავდება მეორე წერტილისაგან და ყველა მათგანი სპეციფიკურად შეიგრძნობს ერთი და იგივე გამღიზიანებელს. ეს განსხვავება ძირითადად შეგრძნების ინტენსიობის ხარისხში გამოიხატება და "ლოკალური ნიშანი" ეწოდება. მაგალითად, კანი ზოგან მკვრივია, ზოგან – რბილი, ზოგ ადგილას კანქვეშ ვენებია, ხოლო ზოგან კუნთები, სახსრები ან მყესები. ყოველივე ამის შესაბამისად შეხების სახეობა განსხვავებულია. აქ თავისთავად ერცეულობა კი არ არის მოცემული, არამედ შეგრძნებათა ინტენსიობის სხვადასხვაობა. იმისთვის, რომ ამ მასალიდან სივრცის ცნობიერება შეიქმნას, საჭიროა კიდევ ერთი რამ – მოძრაობა. მოძრავი გამღიზიანებელი სხეულის სხვადასხვა ადგილზე მოქმედებს, რის გამოც ლოკალური ნიშანი ცვალებადობს – ერთს მეორე, მეზობელი ადგილის ნიშანი ცვლის. თუ ჩვენ საკმაო რაოდენობის ლოკალური ნიშანი მოგვეპოვება და ყველა მეზობელ ნიშანს ვიცნობთ, მაშინ ჩვენ შეგვიძლია გარკვეულად გავითვალისწინოთ უწყვეტი სივრცე. ყველა ლოკალური ნიშნის ურთიერთმიმართებაში მოყვანის გზით სული ქმნის ფსიქოლოგიურ

სიერცეს. სულის ამ ტენდენციით (ვრცელულად განალაგოს თავისი შინაარსები) აიხსნება ის, რომ შეგრძნებებით მიღებული შთაბეჭდილებები სიერცული თვისების მატარებელი ხდება.

გერმანული ემპირიული ფსიქოლოგიის მოკლე დახასიათების შემდეგ გადავინაცვლოთ ბრიტანეთში და განვიხილოთ, თუ როგორ ვითარდებოდა იქ ასოციაციური ფსიქოლოგია XIX საუკუნეში. ჩვეულებრივ ვიცით, რომ ბრიტანული ასოციაციონიზმი XVII საუკუნეში დაიწყო ჰობსიდან და ლოკიდან. XVIII საუკუნეში ის ბერკლიმ და ჰიუმმა განავითარეს, ხოლო ჰერტლიმ მას ჩამოყალიბებული სახე მისცა. XIX საუკუნის ასოციაციონიზმი განაგრძობს განვითარებას და კიდევ ორ ეტაპს გაიელის. პირველ ეტაპზე ბრაუნისა და, განსაკუთრებით, ჯ. მილის შემოქმედებაში ასოციაციური მოძღვრება კლასიკურ და დასრულებულ ფორმას იღებს. მეორე ეტაპზე, ძირითადად ჯ.ს. მილის, ბეინისა და სპენსერის ნაშრომებში, ხდება კლასიკური ასოციაციური ფსიქოლოგიის მთელი რიგი ღებულებების გადასინჯვა, რაც, არსებითად, ამ მიმართულების კრიზისის გამოხატულებად უნდა ჩაითვალოს. პირველი ეტაპი, როგორც ითქვა, ბრაუნით და ჯ. მილით არის წარმოდგენილი. ეს მეცნიერები ძირითადად XIX საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწეობდნენ.

**თომას ბრაუნი** (1778-1820) ედინბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორი, ერთი შეხედვით, არც უნდა ჩაითვალოს ორთოდოქსულ ასოციაციონისტად. იგი ედავება ჰერტლის ასოციაციონიზმს და იქამდეც მიდის, რომ ტერმინს "ასოციაცია" ცელის ტერმინით *სუგესტია*. ამ ეტაპის ასოციაციონიზმისთვის, საზოგადოდ, დამახასიათებელია უარის თქმა ფსიქიკურ მოელენათა კავშირების ფიზიოლოგიური საფუძვლების ძიებაზე. ასოციაციის მექანიზმი იმანენტურ-ფსიქიკურ თვისებად არის მიჩნეული. ჰერტლის ფიზიოლოგიურ-მატერიალისტურმა ასოციაციონიზმმა გარკვეული ეერისტიული როლი ითამაშა, მაგრამ ბრაუნის მოღვაწეობის პერიოდისთვის უკვე ცხადი გახდა მისი ფიზიოლოგიის არარეალურობა (მაგ., ნერვებში მიმდინარე ვიბრაციები).

ბრაუნი საერთოდ მიჯნავს ფსიქიკურ მოელენებს ტკინისაგან და მიზნად ისახავს შეისწაელოს მათი შინაგანი კანონზომიერებანი, რომელთა შემეცნება მხოლოდ თვითდაკვირვებას შეუძლია. ისინი, ბრაუნის აზრით, ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ჰერტლის წარმოედგინა. ჰერტლის ასოციაციები, საბოლოო ჯამში, მატერიალურ პროცესებზე დაყავს. მისთვის მთავარია მეზობლობის ფაქტორი. ერთი მატერიალური პროცესი გადადის მეორეში მათი სიერცითი თანხვედრის გამო. ასევე ასოცირდება შესატყვისი იდეებიც. მაგრამ, ბრაუნის რწმენით, სულიერი პროცესების დინამიკა, მათი დაკავშირება და ამ კავშირების გამოელენა მხოლოდ მეზობლობით, ანუ მექანიკურად ვერ აიხსნება. სულიერი პროცესებისთვის დამახასიათებელი აზრობრივი კავშირები, ან კავშირები კონტრასტის და მსგავსების გამო, ვერ დაიყვანება სიერცით მეზობლობაზე.

მეთვრამეტე საუკუნის ბრიტანული ასოციაციონიზმი (განსაკუთრებით კი ჰერტლი) გატაცებული იყო ნიუტონის მექანიკით და ცდილობდა მისი

კანონები ფსიქოლოგიაზე გაავრცელებინა. ამით ფსიქოლოგია ფიზიკისთვის დამახასიათებელ წინასწარმეტყველების მაღალ უნარს შეიძენდა. თავის ძირითად თხზულებაში "ლექციები ადამიანის გონების ფილოსოფიის შესახებ" (1820), ბრაუნი ამტკიცებს, რომ შემოქმედების პროცესი პოეზიასა (იგი საკმაოდ თვალსაჩინო პოეტიც იყო) და მეცნიერებაში სხვაგვარ ახსნით პრინციპს საჭიროებს. დასახელებულ წიგნში ასეთი მეტყველი პასაჟიცაა: ნიუტონის ფიზიკაზე დაყრდნობილი კლასიკური ასოციაციური ფსიქოლოგია ვერ ახსნის თვით ნიუტონის ინტელექტუალურ მოქმედებას, რომელმაც ეს ფიზიკა შექმნა. ნიუტონის აზრის მსვლელობა ვაშლის მიწაზე დაცემის აღქმიდან სამყაროს აგებულების ძირეულ პრინციპებამდე ასოციაციით კი არა, სუგესტიით უნდა აისსნას. წარმოდგენები მექანიკურად კი არ დაუკავშირდნენ ერთმანეთს, არამედ ერთმა წარმოდგენამ სუგესტიის, შთაგონების გზით აღმოაცენა მეორე.

ასოციაცია-სუგესტიებისთვის *პირველადი კანონებია* მეგობლობა, მსგავსება და კონტრასტი. ცნობიერების მოვლენების ურთიერთდაკავშირება უპირატესად ამ კანონების მოქმედებით აისსნება. მაგრამ მხოლოდ ისინი არაა საკმარისი იმის გასაგებად, თუ რატომ წარმოიქმნება ცნობიერებაში ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სწორედ ეს აზრი, წარმოდგენა ან სურვილი. ამის დასადგენად, ბრაუნის აზრით, ასოციაციის (სუგესტიის) პირველად კანონებს უნდა დაემატოს *მეორადი კანონები* (ფაქტორები): ძალა, სიხშირე, სიახლოვე, სანგრძლიობა, სიასლე, ინდივიდის კონსტიტუციური თვისებები, ბუნებრივი უნარები, ჯანმრთელობის მდგომარეობა და ა.შ.

როგორც ვხედავთ, ბრაუნი თითქოს აკრიტიკებს კლასიკურ ასოციაციურ შეხედულებას და ახალ ტერმინსაც კი ხმარობს, მაგრამ ამ ტერმინში ფსიქიკური მოვლენების დაკავშირების რაიმე ახალი მექანიზმი არ იგულისხმება. ბრაუნი, ფაქტობრივად, ავითარებს ასოციაციონიზმს, ავსებს მას პირველადი და მეორადი კანონებით, ანუ დამატებითი ფაქტორებით.

ჯეიმს მილი (1773-1836) ისტორიკოსი და ეკონომისტი იყო, მაგრამ ფსიქოლოგიის საკითხებზეც მუშაობდა. ამის გამოხატულებაა წიგნი "ადამიანის სულიერ მოვლენათა ანალიზი". ის 1829 წელს გამოიცა და, ჰერტლის წიგნის შემდეგ, უმნიშვნელოვანეს ასოციაციონისტურ ნაშრომად ითვლება. მასში გადმოცემული სისტემა მიჩნეულია ასოციაციონიზმის, როგორც სულიერ მოვლენათა მექანიკური შეერთების პრინციპის, ყველაზე პირდაპირ და უკომპრომისო რეალიზაციად.

ჯ. მილი თვლიდა, რომ "ელემენტების მკაფიო ცოდნა სრულიად აუცილებელია, რათა შევიქმნათ ნათელი წარმოდგენა მთელზე, რომელიც მათგან შედგება". ჰიუმისა და ჰერტლის მსგავსად, მასაც მიაჩნია, რომ ფსიქიკური ელემენტების ძირითად კლასებს შეგრძნებები და იდეები შეადგენს. ამასთან, იგი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც შეეცადა ნათლად განესხვავებინა შეგრძნება და აღქმა (ამ საქმეში პრიორი-

ტეტი ალბათ მაინც რიდს ეკუთვნის). აღქმა შეგრძნებათა ერთობლიობაა. ფსიქოლოგიამ უკვე კარგა ხანია დაძლია აღმისაღმი ასეთი ელემენტარისტული მიდგომა, მაგრამ ჯ. მილი, იმ დროის ინტელექტუალური სულისკვეთების შესაბამისად, ელემენტარისტულად და მექანიცისტურად აზროვნებდა. ამიტომ აღქმათა მრავალფეროვნების ასახსნელად იგი შეეცადა გაეფართოებინა აღქმის ელემენტების, ანუ შეგრძნებების არისტოტელესეული სია. ეს ტენდენცია უკვე ბრაუნთან გამოიკვეთა, რომელმაც ტრადიციულ ხუთ შეგრძნებას ე.წ. კუნთური შეგრძნება დაუმატა. ჯ. მილი უფრო შორს წავიდა და რვა შეგრძნება გამოყო. ხსენებულ კუნთურ შეგრძნებასთან ერთად იგი განიხილავს სხეულის რომელიმე ნაწილის აშლილობის შეგრძნებას (მაგ., ქავილი, ღიტინი და ა.შ) და საყლაპავი არხის შეგრძნებას, რომელიც დღეს ორგანული შეგრძნებების კლასშია მოთავსებული. ჯ. მილი, როგორც ემპირისტი, შეგრძნებათა პრიორიტეტს ქადაგებს, სოლო როგორც ასოციაციონისტი, ცდილობს მონახოს რაც შეიძლება მეტი ელემენტი, რომელთა დაკავშირება გასაგებს გახდის აღქმებისა და რთული იდეების მრავალფეროვნებას. ამაში მდგომარეობს ასოციაციური ფსიქოლოგიის სენსუალიზმი და ატომიზმი.

ჰიუმისაგან განსხვავებით ჯ. მილი არ თელის, რომ მარტივი იდეები შეგრძნებებზე უფრო მკრთალი წარმოდგენებია. იდეა შეგრძნების ასლია, მაგრამ სინათლის ხარისხით ზოგჯერ შეიძლება აღემატებოდეს კიდეც მას. არსებითი განსხვავება მათ შორის ისაა, რომ არავითარი იდეა არ წარმოიქმნება, თუ გამოცდილებაში წინასწარ არ არსებობდა მისი შესატყვისი შეგრძნება. ამიტომ, შეგრძნებათა სახეების შესაბამისად, არსებობს რვა მარტივი იდეა.

ცნობიერება ასოციაციური ბუნებისაა. ადამიანში განუწყვეტლივ წარმოიქმნება შეგრძნებები, ისინი "აღვიძებენ" მათ შესატყვის იდეებს, რომლებიც, თავის მხრივ, იწვევენ მათთან დაკავშირებულ სხვა იდეებს და ა.შ. მილი შემდეგნაირად აღწერს ამ ვითარებას: "მე ვხედავ ცხენს – ეს შეგრძნებაა, და ამავე წუთს მე ვფიქრობ მისი პატრონის შესახებ – ეს იდეაა. ცხენის პატრონის იდეა ამ უკანასკნელის თანამდებობაზე მაფიქრებინებს. იგი მინისტრია – ეს უკვე მეორე იდეაა. მინისტრის იდეა მაფიქრებინებს საზოგადოებრივ საქმეებზე და მე პოლიტიკურ იდეათა მდინარებას მივყვები. ამ დროს სასადილოდ მეძახიან – ეს უკვე ახალი შეგრძნებაა...". ამრიგად, მთელი ჩვენი ცნობიერება სხვა არაფერია, თუ არა ურთიერთდაკავშირებული შეგრძნებებისა და იდეების წყება. თანაც, ასოციაციური კავშირის შექმნაც და ცნობიერებაში მისი რეალიზაციაც ავტომატურად, სუბიექტის ჩაურევლად ხდება. გონება, არსებითად, მანქანაა, ის მექანიზმივით მოქმედებს. ამიტომ ჯ. მილის ფსიქოლოგიურ სისტემას *სულის მექანიკა* ეწოდება.

ჯ. მილი აშკარად უარყოფს ჰიუმის ასოციაციის სამ კანონს (ფაქტორს) და ამაში სრულიად გარკვეული ლოგიკა ჩანს. ჯერ ერთი, მიზეზშედეგობრიობის კანონი თვით ჰიუმმა ახსნა თანხვედრის სიხშირით, ანუ, არსებითად, მეზობლობაზე დაიყვანა. ხოლო მსგავსების კანონი, მილის აზრით, მოქმედებს მხოლოდ მაშინ, თუ მსგავსი იდეები ხშირადაა ერთად მოცემული.

მაშასადამე, მსგავსების კანონის რეალური საფუძველიც იდეათა მეზობლობა ყოფილა. ასე მოხდა მილის ორთოდოქსულ ასოციაციონისტურ სისტემაში არისტოტელეს ასოციაციის ოთხი კანონის დაყვანა ერთზე – *სივრცეში მეზობლობაზე* (დროში მეზობლობა უკვე მანამდე იყო ჩათვლილი სივრცეში მეზოლობის კერძო გამოვლინებად).

ჯ. მილის მისეულით, ასოციაციური კავშირის ორი სახე არსებობს: სიმულტანური და სუქცესიური. პირველი უფრო აღქმისთვის არის დამახასიათებელი, მეორე – მეტყველებისა და მსჯელობის, ანუ აზროვნებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ფსიქიკურ მოვლენათა ერთდროული (სიმულტანური) დაკავშირების პრინციპი თავისთავად ასალი არ იყო (გავიხსენოთ თუნდაც ჰერტლი ან ბრაუნი), ჯ. მილთან მან ასალი ელერადობა შეიძინა. სწორედ მან დააყენა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ ერთიანდება ასოციაციურად ერთ მთლიანში სხვადასხვა ფსიქიკური შინაარსები (იდეები). როდესაც ამაზე მსჯელობს, ჯ. მილი, პირველ ყოვლისა, შეგრძნებათა მასალას აანალიზებს: მაგალითად, ყველა სპექტრალური ფერის ერთმანეთთან შერწყმის შედეგად თეთრი ფერი მიიღება. ამ შემთხვევაში, უაქტობრივად, სხვადასხვა შეგრძნებებიდან ასალი შეგრძნება წარმოიქმნება. რაკი მარტივი იდეები შეგრძნებებს იმეორებენ, ლოგიკურადაც და რეალურადაც იდეების სფეროში ასეთივე კანონზომიერება უნდა მოქმედებდეს. ჯ. მილის თანასმად, ეს ასეც არის. ნებისმიერი ობიექტისა თუ მოვლენის იდეა უფრო მარტივი იდეების გაერთიანებით (შერწყმით) წარმოიქმნება. მაგალითად, ქვის იდეა ფერის, ფორმის, სიმძიმისა და ა.შ მჭიდრო შეკავშირების შედეგია. თავად სიმძიმის იდეაც მარტივი გვეჩვენება, თუმცა ის თავის თავში შეიცავს წინააღმდეგობის იდეას (რომელიც, თავის მხრივ, შეიცავს კუნთურ იდეას) და მიმართულების იდეას (რომელიც, სულ მცირე, სამი იდეის – განვითარების, ადგილისა და მოძრაობის იდეების შერწყმის შედეგია). მაგრამ, თუ ეს ითქმის ქვისა და სიმძიმის ერთი შეხედვით მარტივი იდეების მიმართ, რატომ არ შეიძლება უფრო შორს წაიიდეთ და იგივე ვთქვათ უფრო რთული იდეების მიმართ? ჯ. მილი ასეც იქცევა და, საბოლოოდ, აბსურდამდე მიდის. მაგალითისთვის მისი შემდეგი მსჯელობა გამოდგება: "ერთი რთული იდეა არის აგური, ქვითკირი არის მეორე რთული იდეა. ეს იდეები მდებარეობისა და რაოდენობის იდეებთან ერთად ქმნიან კედლის იდეას. ჩემი იდეა კედლისა, არის რთული იდეა. რთულია ფიცრის იდეა, ძელის იდეა, ლურსმნის იდეა. ეს იდეები, იმავე მდებარეობისა და რაოდენობის იდეებთან შეერთებისას, შეადგენენ იატაკის უფრო რთულ იდეას. ამგვარადვე, მინის, ხისა და სხვა რთული იდეები შეადგენენ ფანჯრის უფრო რთულ იდეას. ეს უფრო რთული იდეები ერთიანდება და იქმნება სახლის იდეა, რომელიც სხვადასხვა რთული იდეების მიერ არის შედგენილი. რამდენი რთული თუ მეორადი იდეაა გაერთიანებული ავეჯის იდეაში? რამდენად მეტია იმ იდეაში, რომელსაც "ყველაფერს" ვუწოდებთ?".

ამ კითხვებზე პასუხი არ არსებობს, ვინაიდან ისინი აბსურდულია. აქამდე შეიძლება მივიღეს თეორიული ფსიქოლოგია, რომელიც ფაქტობრივ მონაცემებს, რეალურ დაკვირვებას ნაკლებად ემყარება. თუ ემპირიული ფსიქო-

ლოგია კვლევის სათანადო მეთოდური აპარატით არ იქნება აღჭურვილი, ის შეიძლება უაზრობის წყარო გახდეს. მართლაც, მხოლოდ ლოგიკის საშუალებით ვერ დაასაბუთებ იმას, რომ ვთქვათ "სამყაროს" ან "ყველაფრის" იდეა არ შეიცავს ყველა არსებული საგნისა თუ მოვლენის ასოციაციურ კავშირს. მაგრამ რა ემპირიული საფუძველი არსებობს იმის მტკიცებისთვის, რომ ცნობიერებას ზოგადად ან, მით უფრო, მის ერთ-ერთ მოვლენას – იდეას, შეუძლია განუსაზღვრელი რაოდენობის შინაარსი დაიტიოს? ჯ. მილმა პრინციპული მნიშვნელობის საკითხი დასვა, მაგრამ მისი გადაწყვეტა ვერ შეძლო. მისი შვილის, ჯ.ს. მილის შემოქმედებაში ეს საკითხი უფრო მაღალ დონეზეა გააზრებული.

**ჯონ სტიუარტ მილს** (1803-1873) არასოდეს უსწავლია სკოლაში ან უნივერსიტეტში. მიუხედავად ამისა, იგი უთუოდ იყო თავისი ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი სწავლული. ჯ.ს. მილის ერთადერთი მასწავლებელი მამამისი იყო, რომელიც აღრეული ასაკიდანვე მკაცრად ხელმძღვანელობდა შვილის განათლების პროცესს. ჯ.ს. მილის აღრეული განვითარების ამბავი საყოველთაოდ არის ცნობილი. სამი წლიდან ბერძნულის შესწავლა დაიწყებინეს, შვიდი წლისთვის წაკითხული ჰქონდა ევროპეს იგავები, ჰეროდოტე, პლუტარქე, ზოგი რამ პლატონიდან, აგრეთვე "რობინზონი", "დონ-კიხოტი", "1001 ღამე" და ბევრი სხვა. პარალელურად ითვისებდა მათემატიკას, გეოგრაფიას, პოლიტეკონომიას, ლათინურს და სხვა ენებს. თორმეტი წლისთვის იგი განათლებით ყველა თანატოლს აღემატებოდა. თეითონ ამის შესახებ არაფერი იცოდა, ვინაიდან მოკლებული იყო ბავშვებთან ურთიერთობას, თამაშის შესაძლებლობას და ყველაფერს, რასაც ნორმალური ბავშვობა ჰქვია. მკაცრი პედაგოგიური ექსპერიმენტის მონაწილე მამა-შვილს შორის არ სუფევდა გულითადი დამოკიდებულება. მიუხედავად ამისა, ჯ.ს. მილი ეთაყვანებოდა მამას და ერიდებოდა მისთვის წინააღმდეგობის გაწევას. ეს იმაშიც გამოიხატა, რომ თავისი კარგა სნის დასრულებული წიგნი "ლოგიკის სისტემა", რომელშიც უფროსი მილისაგან განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული, მან მხოლოდ მამის გარდაცვალებიდან შვიდი წლის შემდეგ გამოაქვეყნა. ჯ.ს. მილი ოცდახუთ წელს მსახურობდა ოსტ-ინდურ კომპანიაში, სადაც, არსებითად, დიპლომატიური საქმიანობით იყო დაკავებული, ასევე ჩართული იყო პოლიტიკაშიც, როგორც პარლამენტის თემთა პალატის წევრი.

ჯ.ს. მილი XIX საუკუნის ბრიტანელი ასოციაციონისტების მეორე თაობას ეკუთვნის. მისი ფსიქოლოგიური მოძღვრება გადმოცემულია უკვე ნახსენებ ტრაქტატში ლოგიკის სისტემის შესახებ, რომელმაც ავტორს მთელ ევროპაში გაუთქვა სახელი, როგორც გამოჩენილ ფილოსოფოსსა და ლოგიკოსს. წიგნი კლასიკური გახდა უპირატესად იმიტომ, რომ მასში წინ არის წამოწეული და დამუშავებული მეცნიერული კვლევის მეთოდოლოგიის საკითხები პოზიტივიზმისა და ინდუქციური ლოგიკის პოზიციებიდან. ამასთან,

ჯ.ს. მილი არ შეიზღუდა ლოგიკის, როგორც ფორმალური დისციპლინის განხილვით და დასვა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ რეალიზდება ლოგიკური კანონები ინდივიდის სუბიექტურ სამყაროში. მისი ლოგიკა ფსიქოლოგისტურია. საზოგადოდ, ჯ.ს. მილი ფსიქოლოგიზმისკენ ისრება – ეკონომიკა, მორალი, პოლიტიკა, სამართალი, პედაგოგიკა და ა.შ. განიხილება ფსიქოლოგიური კანონების მოქმედების გამოვლინებად. პირველ რიგში ეს ითქმის ლოგიკაზე, როგორც მეცნიერებაზე "აზროვნების ტექნიკის" შესახებ. ამ სფეროს შემეცნება გვერდს ვერ აუვლის იმ საკითხს, თუ როგორ ვლინდება ცნება, მსჯელობა თუ დასკვნა ცოცხალი აზროვნების პროცესში, რა ფსიქოლოგიური კანონზომიერება უდევს ამ პროცესს საფუძველად. რაკი აზროვნებისა და სხვა ფსიქიკური მოქმედების მთავარი კანონი ასოციაციაა, ჯ.ს. მილიც, ბუნებრივია, ასოციაციის პრინციპის დამუშავებას ჰკიდებს ხელს.

უნდა ითქვას, რომ თავისთავად ფსიქოლოგიზმში ორიგინალური არაფერია, თუმცა, ჯ.ს. მილის მოსაზრებები ფსიქოლოგიზმის მკაფიო გამოვლინების ერთ-ერთი პირველი პრეცენდენტია. სამაგიეროდ, ასოციაციის მექანიზმის დამუშავებაში ამ მკვლევარმა არსებითი სიახლე შეიტანა. ფსიქიკურ მოვლენებს, ემპირიული ფსიქოლოგიის თანახმად, შეგრძნებები და იდეები შეადგენს. მათი კავშირის ბუნება უმცროს მილთან ფიზიკის მოდელის მისედვით კი არ არის გააზრებული, როგორც უფროს მილითან (რომელიც "მენტალურ ფიზიკაზე" ან "სულის მექანიკაზე" ლაპარაკობდა), არამედ ქიმიის მოდელის შესაბამისად. აქედან მოდის მისი სისტემის სახელწოდება: *სულის ან მენტალური ქიმია*. სულის ქიმიის მომენტები ბრაუნთანაც გვხვდება, მაგრამ ჯ.ს. მილთან ის ჩამოყალიბებულ სახეს იღებს. სულიერი ელემენტების გაერთიანების წესი ისეთივეა, როგორიც ქიმიური ელემენტებისა. ქიმიური რეაქციის შედეგად სრულიად ახალი ნივთიერება მიიღება. ასეთივე ვითარებაა ფსიქიკაშიც. ჰერბარტისა და ჯ. მილის მიერ აღწერილ ფსიქიკური ელემენტების შერწყმის მოვლენას, თანმიმდევრული და სწორი გააზრების შემთხვევაში, სულის ქიმიამდე მივყავართ. აქ ჯ.ს. მილმა დაძლია ის სირთულე, რომლის წინაშე მამამისი აღმოჩნდა ამ ფენომენის ანალიზისას. როგორც ითქვა, ამ უკანასკნელმა დაუშვა უსასრულოდ რთული შენაერთების არსებობა, რომლებიც მოიცავენ თეორიულად დასაშვებ ყველა შესაძლო ელემენტს. აქედან გამომდინარე, დაისვა კითხვა "სამყაროს" ან "ყველფრის" იდეების შემადგენლობის სირთულის შესახებ, რომელიც უპასუხოდ დარჩა.

ჯ.ს. მილმა საბოლოოდ უარი თქვა ამ რთული იდეების შემადგენელი უთვალავი იდეის ძიებაზე. მან მართებულად მიიჩნია, რომ ისინი არც მოიაზრებიან რთული იდეის შემადგენლობაში. სამყაროს იდეა, ყველა სხვა ფსიქიკური შენაერთის (რთული იდეის) მსგავსად, თავისთავადი, ახალი ფსიქიკური ფაქტია და არა ნაწილების მექანიკური ჯამი. აქ ვითარება ისეთივეა, როგორც, მაგალითად, წყლის შემთხვევაში, რომელიც არც წყალბადია, არც ქანგბადი და არც მათი უბრალო ჯამი. თუ ქიმიური რეაქციის პროდუქტების მიხედვით არ შეიძლება მსჯელობა ამოსავალ ელემენტებზე, ვერც ფსიქიკური მთლიანობის კანონებს გამოვიყვანთ ნაწილთა კანონებიდან. ელემენტებიდან ვერ გაიგებ მთელს, ხოლო მთელიდან, ანუ შერწყ-

მის პროდუქტიდან. ვერ იმსჯელებ შემადგენელი ელემენტების თვისებებზე. ორივე უშუალოდ და ემპირიულად უნდა შეეისწაელოთ. აი, როგორ მსჯელობს ამაზე ავტორი: " ... სპექტრის ფერების სწრაფი მონაცელეობის დროს ვიღებთ თეთრი ფერის შეგრძნებას ... ამ უკანასკნელ შემთხვევაში უფრო მარტივებულია ითქვას, რომ სპექტრის შვიდი ფერი წარმოქმნის თეთრ ფერს, ... ზუსტად ასევე, რთული იდეის შესახებაც ... უნდა ითქვას, რომ ის გამომდინარეობს უფრო მარტივი იდეებისაგან, ან წარმოქმნილია მათ მიერ და არა ის, რომ მათგან შედგება ... ესაა სულის ქიმიის შემთხვევები: მათში მარტივი იდეების ერთობლიობა რთულ იდეებს კი არ შეადგენს, არამედ წარმოქმნის მათ".

აზრი სრულიად ნათელია: ფსიქოლოგიამ უნდა შეისწაელოს მარტივი იდეებიდან რთული იდეების წარმოქმნის პროცესი. მაგრამ როგორ? ყოველი რთული იდეის შემთხვევაში საკმარისი არ არის მსჯელობა იმაზე, თუ როგორ შეიძლება ის წარმოქმნილიყო. ეს პროცესი უეჭველად ემპირიული გზით, ექსპერიმენტულად უნდა იქნეს შესწავლილი. ეს ერთი ამოცანაა, მაგრამ არის მეორეც. საქმე ისაა, რომ მაშინაც, როცა შესწავლილია ამა თუ იმ რთული იდეის წარმოქმნის პროცესი, ჩვენ არ შეგვიძლია მხოლოდ ლოგიკის საშუალებებით გამოვიყვანოთ მისი კანონები. ეს კანონებიც უნდა დადგინდეს უშუალოდ ამ იდეების ექსპერიმენტული შესწავლის გზით. იმის ცოდნა, თუ როგორ წარმოიქმნება ერთი სახის ფსიქიკური მოელენებიდან მეორენი (სულის ქიმია), "ვერ მოსსნის წარმოქმნილი მოელენის ექსპერიმენტული შესწავლის აუცილებლობას; ისევე, როგორც ჟანგბადისა და გოგირდის თვისებების ცოდნა ვერ გამოდგება იმისთვის, რომ სპეციალური დაკვირვებისა და ცდის გარეშე გამოვიყვანოთ გოგირდმჟავას თვისებები".

ჯ.ს. მილი ფილოსოფოსი და ლოგიკოსი იყო და არა ბუნებისმეტყველი. მიუხედავად ამისა, ასოციაციური შენაერთების მოძღერებას მან მკაფიოდ გამოხატული ექსპერიმენტალისტური ელერადობა შესძინა. ჯ.ს. მილის შეხედულებებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა პირველი ფსიქოლოგიური ლაბორატორიების მუშაობის პროგრამებზე. ეს პროგრამები იმაზე იყო მიმართული, რომ ფსიქიკური მოვლენების ექსპერიმენტული ანალიზის გზით გამოეყოთ ცნობიერების ელემენტები და ქიმიური ელემენტების ტაბულის მსგავსი რამ შეექმნათ. ამ მხრივ გერმანიაში შექმნილი ექსპერიმენტული ფსიქოლოგია უფრო მეტად არის დავალებული ბრიტანული ასოციაციონიზმისაგან, ვიდრე გერმანული ემპირიული ფსიქოლოგიისაგან, და თვით პერბარტისაგანაც კი, რომელიც უკრძალავდა ფსიქოლოგიას ექსპერიმენტის გამოყენებას.

აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ ექსპერიმენტული ფსიქოლოგია თავისი განვითარების საწყის ეტაპზე საკმაოდ ფიზიოლოგიზირებული იყო. ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან, მეთოდური თვალსაზრისით, ის ძირითადად ფიზიოლოგიიდან აღმოცენდა. საზოგადოდ ჯ.ს. მილის პოზიციაც საკმაოდ ფიზიოლოგისტურად გამოიყურება. უფრო მეტიც, მისი თვალსაზრისი გამოხატული ფიზიოლოგიური რედუქციონიზმის ნიშნებს ატარებს. იგი ამტკიცებს, რომ თავად ცნობიერების მოვლენები და მათი ასოციაციური მიმდინარეობა ტვი-

ნის მუშაობის გამოელინებაა. ამიტომ სულიერი ფენომენების შესწავლა არ არის დამოუკიდებელი მეცნიერების საქმე. ისინი ფიზიოლოგიური პროცესების გამოხატულებას წარმოადგენენ და "თავის ტვინის ნამდვილი ფიზიოლოგიის" დამსმარე მასალად უნდა განიხილებოდნენ. მაგრამ ვინაიდან იმჟამინდელი ფიზიოლოგია ძალიან არასრულყოფილი იყო იმისთვის, რომ აეხსნა ფსიქიკური მოვლენების თანმიმდევრობა და კავშირები, ეს ამოცანა, მილის აზრით, დროებით თავის თავზე უნდა აელო სპეციალურ მეცნიერებას – ფსიქოლოგიას. ჯ.ს. მილი მიიჩნევს, რომ ფსიქოლოგიამ პირდაპირ და უშუალოდ უნდა შეისწავლოს ცნობიერების მოვლენათა თვისებები და მათი ურთიერთმიმართების კანონზომიერებანი.

ძნელი დასანახი არ არის, რომ ჯ.ს. მილთან უცნაურადაა შეთავსებული ფსიქოლოგიზმი და რედუქციონიზმი. ფსიქოლოგიზმი, საბოგადოდ, არ გამორიცხავს რედუქციონიზმს. ფსიქოლოგიზმის ანტაგონისტი ანტიფსიქოლოგიზმია, რომელიც მოვლენათა ფსიქოლოგიურ ახსნაზე პრინციპულად უარს ამბობს. მიუხედავად ამისა, ფსიქოლოგიზმი და რედუქციონიზმი არათავსებად მეთოდოლოგიურ ტენდენციებს გამოხატავს, რაც ნათლად იჩენს თავს, თუ ისინი ერთი თეორიული სისტემის ფარგლებში არიან მოცემული. *ფსიქოლოგიზმი* სხვა მეცნიერებათა საფუძვლების ფსიქოლოგიური კანონზომიერებებით ახსნაა. *რედუქციონიზმი* კი ფსიქიკის საკუთარ კანონზომიერებათა უარყოფა, მისი არაფსიქიკური მოვლენებით ახსნა და ფსიქოლოგიის სხვა მეცნიერებებზე დაყვანაა (შესაბამისად, როგორც ამას პიაჟე აკეთებს, გამოიყოფა სამი სახის რედუქციონიზმი: სოციოლოგიური, ფიზიკალისტური და ორგანული). ჯ.ს. მილის შეხედულებათა სისტემაში ამ მეთოდოლოგიური მიდგომების თანაარსებობა ნიშნავს, რომ ესა თუ ის მოვლენა (მაგ., ლოგიკის კანონები) ფსიქოლოგიური, კერძოდ, ასოციაციური კანონზომიერებებით კი არ აიხსნება (ფსიქოლოგიზმი), არამედ ფიზიოლოგიურით, ვინაიდან ფსიქოლოგია, თავის მხრივ, ფიზიოლოგიაზე დაიყვანება (რედუქციონიზმი). საეჭვოა, რომ ჯ.ს. მილი ლოგიკისა და კულტურის სფეროების ასეთ ბიოლოგიზაციას დათანხმებოდა.

მიუხედავად არც თუ თანმიმდევრული პოზიციისა ფსიქოლოგიის სხვა მეცნიერებებთან დამოკიდებულების თაობაზე, ჯ.ს. მილს ეჭვი არ ეპარება, რომ ფსიქოლოგია სრულყოფილ მეცნიერებად შედგება და თავის კუთვნილ ადგილს დაიმკვიდრებს სხვა პოზიტიურ დისციპლინებს შორის. ამ საკითხში ჯ.ს. მილი დაუპირისპირდა პოზიტივიზმის ფუძემდებლის, ოგიუსტ კონტის (1798-1857) პოზიციას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯ.ს. მილი, სპენსერთან ერთად, პირველი ეტაპის პოზიტივიზმის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია ბრიტანეთში. *პოზიტივიზმის* ფილოსოფიურმა მიმდინარეობამ, რომელიც XIX საუკუნის ოცდაათიან წლებში გამოჩნდა ევროპის ინტელექტუალურ ასპარეზზე, უზარმაზარი გავლენა მოახდინა საზოგადოდ მეცნიერების და კერძოდ, ფსიქოლოგიის განვითარებაზე. ეს გასაგებია – პოზიტივიზმი ხომ, არსებითად, მეცნიერების ფილოსოფიაა. მისი უპირველესი მიზანი შემეცნების თეოლოგიური, ტელეოლოგიური და მეტაფიზიკური ტენდენციებისაგან განთავისუფლება და ნამდვილი (პოზიტიური), ემპირიული მეცნიერული ცოდ-

ნის დამკვიდრებაა. პოზიტივიზმი თავისი არსით უკიდურესი ემპირიზმია, მისთვის ყოველგვარი ცოდნა არასპეკულატური, ემპირიული ხასიათისაა. ამიტომ ბუნებრივია, რომ პოზიტიური ცოდნის სფეროდან გამოირიცხა რაციონალური ფსიქოლოგია თავისი გონებაჭვრეტითი სპეკულაციებით. კონტი უფრო შორს წავიდა და ნამდვილ მეცნიერებათა სიიდან ემპირიული ფსიქოლოგიაც ამოაგდო.

ცოდნის სხვადასხვა დარგის მეცნიერული სტატუსით დაინტერესებული პოზიტივისტები სერიოზულ ყურადღებას აქცევდნენ მეცნიერული დისციპლინების კლასიფიკაციას. სწორედ ამ კონტექსტში დაიწყო სისტემატური მსჯელობა ფსიქოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების, ბუნებისა და მისი ადგილის შესახებ მეცნიერებათა სისტემაში. კონტის ე.წ. წრფივ კლასიფიკაციაში ექვსი ძირითადი დისციპლინა შემდეგნაირად განლაგდა: მათემატიკა-ასტრონომია-ფიზიკა-ქიმია-ფიზიოლოგია(ბიოლოგია)-სოციოლოგია (სოციალური ფიზიკა). როგორც ვხედავთ, კონტმა ფსიქოლოგიას პოზიტიურ მეცნიერებათა შორის ადგილი არ დაუტოვა. მას მიაჩნდა, რომ მეცნიერება, თუ იგი მეცნიერებაა, დაკვირვებად მოვლენებს უნდა შეისწაელიდეს. იმდროინდელი ემპირიული ფსიქოლოგია მხოლოდ თვითდაკვირვებას იცნობდა, რომელიც კონტს შეუძლებლად მიაჩნდა. ობიექტური დაკვირვების აუცილებელი პირობა დაკვირვების ობიექტისა და დამკვირვებელი სუბიექტის განცალკევებულობაა, რაც ვერ იქნება დაცული თვითდაკვირვებაში. ამიტომ იგი განუხორციელებელია ისევე, როგორც შეუძლებელია ოთახის ფანჯარასთან მდგომმა ადამიანმა იხილოს, თუ როგორ მისეირნობს იგი ქუჩაში, ან თვალმა დაინახოს საუთარი თავი. კონტი ძალიან უარყოფითად იყო განწყობილი ფსიქოლოგიური მეცნიერების მიმართ და მას ასტროლოგიის მსგავს ანტიმეცნიერებად თვლიდა. ფსიქოლოგიის საკელევი სინამდვილე (სულიერი მოვლენები), მისი აზრით, ფრენოლოგიას (მეცნიერება ტვინის შესახებ) და სოციოლოგიას უნდა გაუნაწილდეს.

ჯ.ს. მილი არსებითად საპირისპირო პოზიციაზე იდგა. მისი აზრით, ფსიქიკური ცხოვრების შესწაელა ნამდვილი მეცნიერებისთვის დამახასიათებელი მეთოდოლოგიით არა თუ შესაძლებლია, არამედ აუცილებელიც. იგი კატეგორიულად აყენებს საკითხს ფსიქოლოგიისთვის დამოუკიდებელი, სრულფასოვანი მეცნიერების სტატუსის მინიჭების შესახებ და თავის კლასიფიკაციაში მას ბოლოს წინა ადგილს, ბიოლოგიასა და სოციოლოგიას შორის აკუთვნებს. ეს კი ნიშნავს, რომ ჯ.ს. მილი ფსიქოლოგიას ურთულეს მეცნიერებად მიიჩნევს, ვინაიდან, როგორც აღინიშნა, მეცნიერებათა პოზიტივისტურ კლასიფიკაციებში დისციპლინები ერთმანეთისაგან სირთულის ხარისხით განსხვავდება, რომელიც მატულობს თავიდან ბოლოსკენ. ამასთან, ფსიქოლოგია ნაკლები სიზუსტითაც გამოირჩევა და ვერ შეედრება სხვა მეცნიერებებს ბუნების შესახებ. მიუხედავად ამისა, ფსიქოლოგიას შეუძლია და უნდა დანერგოს თავის კვლევაში მათი მეთოდოლოგია. ამდენად, ჯ.ს. მილის რწმენით, ფსიქოლოგიას განვითარების დიდი პოტენციალი აქვს, რაც, პირველ რიგში, ექსპერიმენტული მეთოდის დანერგვასთან არის დაკავშირებული.

ჯ.ს. მილის უმცროსი მეგობარი **ალექსანდრე ბეინი** (1818-1903) უფრო ჩახედული იყო ბიოლოგიის საკითხებში და ცდილობდა, რეალურად დაეახლოვებინა ფსიქოლოგია ფიზიოლოგიასთან. იგი მკაფიო ფსიქოფიზიოლოგიური პარალელიზმის პოზიციებზე იდგა და თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში ფიზიოლოგიის შთამბეჭდავ წარმატებებს მოესწრო. ამიტომ იგი უსვამდა ყურადღებას ფიზიოლოგიურ მონაცემებს, როგორც შესატყვის ფსიქოლოგიურ პროცესებზე მიმანიშნებელ სიმპტომებს. ბეინი თვითონ ფსიქოლოგიაშიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ისეთ მოვლენებს, რომლებსაც ძალზე მჭიდრო კავშირი აქვთ სხეულებრივ ორგანიზაციასთან: რეფლექსები, ჩვევები, ინსტინქტები და საერთოდ ქცევა, ემოციები. ეს განასხვავებს მას ტრადიციული ასოციაციური ფსიქოლოგიისაგან, რომელიც, უპირატესად, წმინდა ცნობიერების ფარგლებში რჩებოდა.

ბეინი, აბერდინის უნივერსიტეტის პროფესორი და რექტორი, ცნობილია, როგორც ფსიქოლოგიის ფართო სისტემატური კურსის ავტორი, რომელიც ორ წიგნად გამოიცა: "შეგრძნებები და ინტელექტი" (1851) და "გრძნობები და ნებელობა" (1859). ეს თხზულება ბევრჯერ გამოიცა და მრავალი წლის განმავლობაში ფსიქოლოგიის ძირითად სახელმძღვანელო იყო ბრიტანეთში. ბეინის სახელთან არის დაკავშირებული, აგრეთვე, 1876 წელს მსოფლიოში პირველი ფსიქოლოგიური ჟურნალის დაარსება, სახელწოდებით "Mind". იმ ფსიქოლოგიური ჟურნალებისაგან განსხვავებით, რომლებიც სულ მცირე დროის შემდეგ მრავლად გამოიცა ევროპასა და ამერიკაში, ამ ჟურნალში არა ექსპერიმენტული, არამედ უფრო ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური პრობლემატიკა ჭარბობდა.

როგორც ითქვა, ბეინი სერიოზულად იყო დაინტერესებული ქცევასთან დაკავშირებული პრობლემატიკით. მას სურდა დაეძლია ის დაპირისპირება, რომელიც ტრადიციულად არსებობდა უნებლიე და ნებელობითი ქცევების დახასიათებაში. მათ შორის არსებული უფსკრულის ამოვსების მიზნით, მან გამოთქვა იდეა აქტივობის ისეთი სახეობის არსებობის შესახებ, რომელიც არც წმინდა რეფლექსურია, არც წმინდად განზრახული ბუნებისაა და *ცდისა და შეცდომის* პრინციპს ემორჩილება. ეს არის მოქმედება, რომლის მიზანი ნაბიჯ-ნაბიჯ, თანდათანობით მიიღწევა. ადამიანი უცებ არ გადადის გაუცნობიერებელი, სპონტანური მოქმედებიდან გონიერ, ნებელობით მოქმედებაზე. აქ მნიშვნელოვანია ე.წ. *სპონტანურ მოქმედებაზე* მითითება, რომელიც, რეფლექსური და ინსტინქტური მოქმედებისაგან განსხვავებით, თავისთავად, გარეგანი სტიმულირების გარეშე აღმოცენდება. მისი წყარო ორგანიზმშია, ნერვული სისტემის აგებულებაში. ზოგიერთი ასეთი მოქმედება შემთხვევით, ცდებისა და შეცდომების წყების შედეგად, შეიძლება გარემოში ასოციაციურად დაუკავშირდეს საგნებსა თუ მოვლენებს, დაფიქსირდეს და ჩამოყალიბდეს ადამიანის მიზანშეწონილ მოქმედებად — *ჩვევად*.

საყურადღებოა, რომ აქ მნიშვნელობა აქვს არა უბრალოდ გარემოდან მომდინარე გამღიზიანებლების, ანუ შეგრძნებისა და მოძრაობის მექანიკურ თანხვედრას (როგორც ეს ჰერტლისთანაა), არამედ მოძრაობის თანხვედრას სიამოვნების გრძნობასთან. "თუ ესა თუ ის მოძრაობა შეუღლებულია სიამოვნებასთან, იგი ხელს შეუწყობს და გააძლიერებს მოძრაობას". უსიამოვნება საპირისპირო შედეგს იწვევს. ეს კანონზომიერება, ბეინის სიტყვებით, "თვითშენახვის დიადი კანონის" მოქმედების გამოვლინებაა. თანამედროვე ბიჰევიორისტული ენით რომ ვთქვათ, სასარგებლო მოქმედების მისაღებად მხოლოდ სტიმულისა და რეაქციის თანხვედრა არ არის საკმარისი. საჭიროა მათ შორის კავშირის განმტკიცება. როგორც ქვევით დავრწმუნდებით, ბეინის იდეები ცდისა და შეცდომის გზით ახალ მოქმედებათა შეძენისა და მათი სიამოვნებასთან შეუღლებით ფიქსაციის შესახებ, მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ფსიქოლოგიისთვის. ამიტომ ბეინს ზოგჯერ დასწავლის ბიპევიორისტული თეორიის წინამორბედადაც მიიჩნევენ. საფიქრებელია, რომ რაიმე სახის პირდაპირ გავლენაზე ლაპარაკი ამ შემთხვევაში საფუძველს მოკლებულია. მაგრამ იმის აღნიშვნა კი შეიძლება, რომ ბეინის შეხედულება საგრძნობლად განსხვავდება ორთოდოქსული ასოციაციონიზმისაგან, სადაც კავშირის განმსაზღვრელ ფაქტორებად მეზობლობა და სიხშირე ითვლებოდა, სოლო თანმხლები გრძნობის მნიშვნელობა სულ არ განიხილებოდა.

კლასიკური ასოციაციური ფსიქოლოგიის პრინციპები ბეინს არც შემოქმედებითი პროცესის განხილვისას აკმაყოფილებს, სადაც სრულებით ახალი, ჯერ არარსებული პროდუქტი იქმნება. საქმეს არც "სულის ქიმია" შველის, რომელიც მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ უმარტივესი ფსიქიკური ელემენტებიდან მიიღება თვისებრივად ახალი მენტალური პროდუქტი. ეს არ არის საკმარისი, ვინაიდან აქ ყველაფერი მაინც გამოცდილებაში არსებული ცნობიერების მოვლენების კომბინირების ფარგლებში ხდება. შემოქმედება კი სხვა, ახალ უნარზე მიგვანიშნებს; ეს არის სრულიად ახალი მენტალური პროდუქტის შექმნის უნარი, რომელიც, მთლიანობაში, არ შეიძლება წარსული გამოცდილებიდან და შთაბეჭდილებებიდან გამომდინარეობდეს. ბეინი ამას ხედავს, მაგრამ ასოციაციონიზმთან კავშირს მაინც ვერ წყვეტს და ლაპარაკობს ე.წ. *კონსტრუქციულ ასოციაციებზე*, როგორც მეცნიერული აღმოჩენებისა და მხატვრული შემოქმედების ფსიქოლოგიურ მექანიზმზე. რა მნიშვნელობასაც არ უნდა დებდეს ამაში ავტორი, იგი, არსებითად, ასოციაციონიზმის ფარგლებს გარეთ გადის, ვინაიდან რეალური ასოციაცია არ შეიძლება იყოს იმაზე მეტი, ვიდრე წარსულში მიღებული შთაბეჭდილებების კომბინაცია თუ კავშირი. ამგვარად, ბეინთან აშკარად იჩენს თავს ასოციაციის, როგორც ცნობიერების მოვლენების უნივერსალური მექანიზმის არასაკმარისობა და ასოციაციონიზმის, როგორც ზოგადფსიქოლოგიური მიმდინარეობის რღვევის პროცესი.

ასოციაციურ ფსიქოლოგიას სრულიად ახალი ჟღერადობა მისცა გამოჩენილმა ინგლისელმა ფილოსოფოსმა პოზიტივისტმა და სოციოლოგმა **ჰერბერტ სპენსერმა** (1820-1903). მან ჩამოაყალიბა ე.წ. *ევოლუციური ასოციაციონიზმი* და, ეპოქის მოთხოვნების შესაბამისად (როცა უზარმაზარი რეზო-



ნანსი ჰქონდა დარვინიზმს), ფსიქოლოგია ბიოლოგიური ევოლუციის მოძღვრებასთან დააახლოვა. ფსიქიკა პირველად იქნა განსაზღვრული ახალ ასპექტში, როგორც ბიოლოგიური აღაპტაციის გამოვლინება. სპენსერი ავტორია "სინთეტური ფილოსოფიის" ათტომეულისა. "ფსიქოლოგიის საფუძვლები" მისი შემადგენელი ნაწილია. ამ შრომის პირველმა გამოცემამ (1855) ჯეროვანი ყურადღება ვერ დაიმსახურა და შეფასდა, როგორც რიგითი ასოციაციონისტური გამოკვლევა. მასში ვერ შენიშნეს მნიშვნელოვანი ახალი მომენტები. მაგრამ მას შემდეგ, რაც კაცობრიობის ინტელექტუალურ სიერცეში მეხიერით გაავარდა დარვინის "სახეობათა წარმოშობა ბუნებრივი შერჩევის გზით" (1859) და დაიწყო დარვინისტული რევოლუცია, სპენსერის "ფსიქოლოგიის საფუძვლების" ახალმა ორტომეულმა (1870-72) უდიდესი ინტერესი გამოიწვია. მისი ავტორი ერთხმად აღიარეს ევოლუციონიზმის ერთ-ერთ მოციქულად და ახალი მიმართულების – ევოლუციური ასოციაციონიზმის შემქმნელად.

სპენსერმა ჩამოაყალიბა ევოლუციის საერთო კანონი, რომელიც მთელ სამყაროში მოქმედებს: ფიზიკურში, ორგანულში და სოციალურში. ამ კანონის თანახმად, განვითარება ყველგან და ყოველთვის გულისხმობს მოძრაობას გაფანტულისაგან – ინტეგრირებულისკენ (კონცენტრაცია), ერთგვაროვნებისაგან – მრავალგვაროვნებისკენ (დიფერენციაცია) და გაურკვევლობისაგან – გარკვეულობისკენ (ინდივიდუალიზაცია). ფსიქიკაც განვითარების კანონშია ჩართული. ის სიცოცხლის ერთ-ერთი გამოვლინებაა, ხოლო სიცოცხლე – შინაგანის გარეგანთან მუდმივი შეგუება. ფსიქიკაც შეგუების გარკვეული ფორმაა. მის არსებობას სხვა აზრი და დანიშნულება არა აქვს; ამის გარეშე ფსიქიკის წარმოშობისა და განვითარების ფაქტი გაუგებარი დარჩება. ფსიქიკა ემსახურება სიცოცხლის შენარჩუნებას, თავად კი ემორჩილება ბუნებრივი შერჩევის კანონზომიერებას. ამგვარად, ფსიქიკა სპენსერის მიერ განიხილება ორგანიზმსა და გარემოს შორის აღაპტაციური ურთიერთობის თვალსაზრისით. მოგვიანებით ასეთი მიდგომა ამერიკული ფსიქოლოგიის (ფუნქციონალიზმი, ბიჰევიორიზმი) ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება გახდა. შემთხვევითი არ არის, რომ სპენსერი ამერიკაში უფრო პოპულარული იყო, ვიდრე თავის სამშობლოში.

სპენსერი წარსულის ასოციაციურ ფსიქოლოგიას იმას საყვედურობს, რომ ცნობიერების მატერიალურ პროცესებთან დამოკიდებულების საკითხის განხილვისას ის, ასე ვთქვათ, ორგანიზმის შიგნით იკეტებოდა – შეისწავლიდა კავშირს ფსიქიკურ და ნერვულ პროცესებს შორის. ამისაგან განსხვავებით, ავტორი მოითხოვს ფსიქიკის განხილვას გარემოსთან მიმართებაში. ფსიქიკის ფუნქცია ორგანიზმისა და გარემოს კავშირის შესწავლისას დგინდება. ამ შემთხვევაში, ცნობიერების ფენომენების ანალიზი სხვა კუთხით წარიმართება – არა შიდასხეულებრივ პროცესებთან, არამედ გარემოს ფაქტორებთან მიმართებაში. სპენსერი ამაში ხედავს ფსიქოლოგიის საგნის სპეციფი-

კას: "ფსიქოლოგია არ შეისწავლის მიმართებებს შინაგან მოვლენებს შორის, არც მიმართებებს გარეგან მოვლენებს შორის; იგი ამ მიმართებათა შორის არსებულ მიმართებებს შეისწავლის". ამრიგად, სპენსერი აფართოვებს ასოციაციური ფსიქოლოგიის საგნის გაგებას და მასში მოიაზრებს არა მსოლოდ ასოციაციებს შინაგან ფაქტორებს შორის (ასეთია კავშირები ცნობიერების მოვლენებს შორის, ცნობიერებასა და სხეულებრივ მოვლენებს შორის), არამედ კავშირებს ცნობიერებასა და გარე სამყაროს შორის.

ფსიქიკა შინაგანის გარეგანთან შეგუების პროცესში წარმოიქმნება, როგორც ახალი რეალობა თავისი ყველა ნაირსახეობითა თუ გამოვლინებით. ფსიქიკა ვითარდება ორგანულისთვის დამახასიათებელი *გაღიზიანებადობის* თვისებიდან. მისი პირველადი ერთეულია *შეგრძნება*. ის ობიექტურად მოცემული ნერვული იმპულსის სუბიექტურ მხარეს გამოხატავს. შეგრძნებიდან წარმოიქმნება მთელი ფსიქიკური ცხოვრება. ის ერთმანეთთან უმჭიდროესად დაკავშირებული ორი საგით ვითარდება: 1) ქცევით პლანში – რეფლექსები, ინსტინქტები, ჩვევები; 2) განცდისა და ცნობიერების პლანში – აღქმა, გრძნობა, მეხსიერება, აზროვნება, ნებელობა. ისინი, არსებითად, შეგუების თანდათანობითი გართულებისა და სპეციალიზაციის ფორმები ან სტადიებია. ამასთან, რთული პროცესები უფრო მარტივიდან აღმოცენდება. როდესაც შეგუებისთვის აღარ კმარა აქტივობის რეფლექსური ან ინსტინქტური ფორმები, ვითარდება მეხსიერება და ინტელექტი; მოქმედების აეტომატიზმის დარღვევა იწვევს გრძნობისა და ნებელობის გაჩენას. ასე ყალიბდება ფსიქიკურ პროცესთა იერარქია.

ფსიქიკური ცხოვრება, როგორც შინაგანის გარეგანთან შეგუების პროცესი, ასოციაციის პრინციპს ემორჩილება. გარეგანი მიმართებები ასოციაციურად იწვევენ შინაგან მიმართებებს. ეს კავშირები სულ უფრო რთულდება და მთელ ინდივიდუალურ გამოცდილებას ქმნის. მაგრამ არსებობს აგრეთვე მემკვიდრული (სახეობრივი) გამოცდილება. ასოციაციის კანონების მოქმედება ვრცელდება ფილოგენეზზე და ანთროპოგენეზზე. ხშირი გამეორების შედეგად ასოციაციები მემკვიდრეობითი ტენდენციის სახეს იღებენ და მომდევნო თაობების ნერვულ სისტემაში ფიქსირდება როგორც *თანდაყოლილი ასოციაციები*. ესენია რეფლექსები, ინსტინქტები, ზოგიერთი ცოდნა-ჩვევები და უნარ-თვისებები. მათ მიეკუთვნება, აგრეთვე, ცნობიერების ისეთი ფორმები, როგორიცაა სივრცე და დრო. საკითხი მათი წარმოშობის შესახებ ერთ-ერთი უძველესია ფსიქოლოგიაში. როგორც ცნობილია, აქ ერთმანეთს დაუპირისპირდა ემპირისტული და აპრიორისტული შეხედულებები. ისინი ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ჩამოყალიბდნენ. პირველი ლოკიდან იწყება, XVIII საუკუნეში ბერკლისთან ვითარდება და XIX საუკუნეში ე.წ. გენეტიკური თეორიის სახეს იღებს. მეორეს სათავე დეკარტე-ლაიბნიცის სწავლებაშია, რომელიც, კანტის გავლით, ე.წ. ნატივისტურ კონცეფციად ჩამოყალიბდა.

სპენსერის შეხედულება, არსებითად, ამ ორი თვალსაზრისის გაერთიანებაა. ემპირიზმი არ არის მართებული, ვინაიდან ფსიქიკა ინდივიდუალურად შეძენილი გამოცდილებით არ ამოიწურება; ის არ წარმოდგენს

სუფთა დაფას და მოიცავს თანდაყოლილ ასოციაციურ ცოდნა-გამოცდილებას, მათ შორის სივრცისა და დროის თაობაზე. ემპირიზმი არ ითვალისწინებს მემკვიდრეობის ფაქტს. არც ორთოდოქსული აპრიორიზმია ბოლომდე მართებული. სწორია ის, რომ ადამიანები იბადებიან გარკვეული ცოდნით, სქემებით სივრცისა და დროის შესახებ. მაგრამ არ შეიძლება იმის უგულებელყოფა, რომ ცნობიერების ეს "აპრიორული ფორმები" ფსიქიკის სანგრძლივი ფილოგენეტური და ისტორიული გავითარების შედეგია. ამდენად, მათი აპრიორულობა, თანდაყოლილობა შედარებითია და არა აბსოლუტური და პრინციპული, როგორც ამას თუნდაც კანტი ამტკიცებდა.

უფრო ფართო კონტექსტში, ყოველგვარი აპრიორულობა, დაწყებული "თანდაყოლილი იდეებიდან", ვიდრე "განსჯის კატეგორიებამდე", სპენსერთან ემპირისტულ-პოზიტივისტური აზრისთვის მისაღებ სახეს იღებს. მას ნაწილობრივი სინათლე მაინც შეაქვს აქამდე სქელ თეოლოგიურ და მეტაფიზიკურ ნისლში გახვეულ საკითხში გონების თანდაყოლილი შიგთავსის წარმოშობის შესახებ. სპენსერის მიხედვით, ის, რაც მთელ სახეობაში ემპირიულად არის შეძენილი, ინდივიდში თანშობილია. მენტალური გამოცდილების შექმნის, განმტკიცების, შენახვისა და გადაცემის მექანიზმი ასოციაციურ-ევოლუციონისტურია. სპენსერის მთელი სისტემა პოზიტივიზმის, ასოციაციონიზმისა და ევულუციონიზმის თავისებური გაერთიანებაა: "თუ ევოლუციის დოქტრინა მართებულია, გარდუვალია დასკვნა, რომ გონების გაგება შესაძლებელია მხოლოდ იმაზე დაკვირვებით, თუ როგორ ევოლუციონირებს იგი". ევოლუცია კი გულისხმობს ინდივიდუალურად შეძენილი სასარგებლო თვისებების შენაძენების გადაქცევას სახეობის კუთვნილებად ანუ მემკვიდრეობით გადაცემას. საბოლოო ჯამში, ემპირისტული და აპრიორისტული მიდგომების სირთულეები მემკვიდრეობის კანონის გაუთვალისწინებლობით არის გამოწვეული.

სპენსერის ეს მსჯელობა უდავოდ შეიცავს ჭეშმარიტების მარცვალს. მაგრამ, ისიც უდავოა, რომ სსენებული კანონი მაინც ბიოლოგიურია, რის გამოც ფსიქოლოგიის ისტორიკოსები ხშირად საყვედურობენ სპენსერს ფსიქოლოგიის ბიოლოგიზაციას. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება გამოდგეს სპენსერის მოსაზრება, რომ კულტურულ და პრიმიტიულ ადამიანს შორის არსებული ფსიქოლოგიური განსხვავებულობანი იმით არის გამოწვეული, რომ ევროპელს პაპუასზე 20-30 დუიმით დიდი ტვინი აქვს, რის გამოც "ცივილიზებული ადამიანის ნერვული სისტემა უფრო რთული და ჰეტეროგენულია, ვიდრე არაცივილიზებულისა". უნდა ითქვას, რომ თანამედროვე მეცნიერების მონაცემების მიხედვით, ამ მტკიცებას არავითარი ფაქტობრივი საფუძველი არ გააჩნია.

გამოკვეთილად ბიოლოგისტურ-ნატურალისტური დაღი აჩნია სპენსერის შეხედულებებს საზოგადოების აგებულებისა და მასში მიმდინარე სოციალური თუ სოციალურ-ფსიქოლოგიური პროცესების შესახებ. საზოგადოების მოწყობას იგი ბიოლოგიურ ორგანიზმს ადარებდა და მიიჩნევდა, რომ საზოგადოების სტრუქტურები ორგანიზმის ცალკეული ნაწილის ანალოგიურია. სპენსერმა გამოყო ორგანოთა სამი სისტემა (სოციალური ინსტიტუტე-

ბი) – საყრდენი (წარმოება), გამანაწილებელი (კომუნიკაცია) და მარეგულირებელი (მართვა). იმისთვის, რომ გადარჩეს, საზოგადოება გარემოს ახალ პირობებს უნდა შეეგუოს. ასე ხორციელდება ბუნებრივი შერჩევა. შეგუების პროცესში ხდება საზოგადოების ცალკეული ნაწილის სულ უფრო ძლიერი სპეციალიზაცია. ამის შედეგად საზოგადოება, ორგანიზმის მსგავსად, შედარებით მარტივი ფორმებიდან უფრო რთულისკენ ევოლუციონიერებს.

როცა ადამიანის ფსიქიკაში სოციალურ განზომილებას აანალიზებდა, სპენსერი ხაზს უსვამდა იმას, რომ ადამიანი, ცხოველისაგან განსხვავებით, არსებობს არა მხოლოდ ბუნებრივ, არამედ ე.წ. "ორგანულზედა", ანუ სოციალურ-კულტურულ გარემოში და იძულებულია, მასაც შეეგუოს. სოციალური ეოლუცია ზოგადად ევოლუციის ნაწილია. ამიტომ სოციალური გარემოსადმი ადამიანის შეგუების მექანიზმები და ხერხები არსებითად ისეთივე რჩება, რაც ცხოველურ სამყაროშია. განსხვავება აქ რაოდენობრივია და არა თვისებრივი. ადაპტაციის პროცესი რთულდება დამატებითი ფაქტორების გაჩენით (ენა, წარმოება, სახელმწიფო, ზნეობა, ხელოვნება, მეცნიერება და ა.შ.), მაგრამ მისი არსი იგივე რჩება – ევოლუცია საზოგადოებაშიც "არსებობისთვის ბრძოლა" და "ბუნებრივი შერჩევაა". ამ დოქტრინას "სოციალური დარვინიზმი" ეწოდა, თუმცა სპენსერმა ის დარვინამდე შეიმუშავა. იგი თვლიდა, რომ ევოლუციის "კოსმოსური" პროცესი ადამიანის სოციალური ცხოერების მსელელობაშიც მიმდინარეობს და მას თავისუფალი განხორციელების შესაძლებლობა უნდა მიეცეს. ამიტომ, სახელმწიფო სელოვნურად არ უნდა ერეოდეს მასში, არ უნდა ეხმარებოდეს სუსტებს, უსუსურებსა და უქონლებს. ბუნებრივი შერჩევა სპობს სუსტებს და, შესაბამისად, მათ მემკვიდრულ უვარგის თვისებებს. ეს პრინციპი კაცობრიობის სრულყოფასაც ემსახურება. მარცხიანი და წარუმატებელი ადამიანებისთვის დახმარების გაწევა ნიშნავს სახეობის დეგრადაციისთვის ხელის შეწყობას, ვინაიდან მათ ამით საშუალება ეძლევათ, გამრავლდნენ და მემკვიდრეობით გადასცენ თავიანთი სოციალური უუნარობა.

სპენსერის დამსახურება ფსიქოლოგიის წინაშე ძალზე დიდია. მან პირველმა განიხილა ფსიქიკა ევოლუციონისტური თვალსაზრისით და ამით, ჯერ ერთი, მყარად დააფიქსირა განვითარების პრინციპი ემპირიული ფსიქოლოგიის ფარგლებში; მეორე, შეარბილა ასოციაციონიზმის ემპირისტული ცალმხრივობა თანდაყოლილი ასოციაციების იდეის შემოტანით; მესამე, ხაზი გაუსვა ფსიქიკის ადაპტაციურ, შეგუებით ფუნქციას. ფსიქიკის ამ კუთხით განხილვა შემდგომდროინდელი ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი გახდა.

ვიდრე ასოციაციური ფსიქოლოგიის შეფასებაზე გადავიდოდეთ, მოკლედ შევაჯამოთ ნათქვამი. ასოციაციონიზმი ემპირიული ფსიქოლოგიის ყველაზე მძლავრი მიმდინარეობაა. ამიტომ ემპირიული ფსიქოლოგიის მთავარი ნიშნები მასზეც ვრცელდება. პირველ ყოვლისა, ეს ის თავისებურებებია, ემპირიულ ფსიქოლოგიას მეტაფიზიკურისაგან რომ განასხვავებს. მისი საგანი ცნობიერების ფაქტებია, მათი წარმოშობისა და არსებობის მიზეზები, პირობები და კანონზომიერებები. ახალი დროის ემპირიული ფსიქოლოგია

მხოლოდ ფსიქიკური ცხოვრების მოვლენებს ეხება. იგი არ ცნობს სულს, როგორც მეცნიერული კვლევის ობიექტს და საკითხს მისი ბუნების შესახებ მთლიანად მეტაფიზიკას უტოვებს. გონებაჭვრეტითი მსჯელობა რაციონალური ფსიქოლოგიის ფარგლებში მიმდინარეობს, რომელიც ემპირიული ფსიქოლოგიის პარალელურად ვითარდება. ემპირიული ფსიქოლოგია ჯერ კიდევ არ ფლობს ექსპერიმენტულ მეთოდს. მისი ფაქტოლოგია, უპირატესად, არასისტემატური თვითდაკვირვების გზით არის მოპოვებული. ამავე დროს, მისთვის უცხო არც გენეტიკური და შედარებითი კვლევის მეთოდოლოგიაა.

იზიარებს რა ემპირიული ფსიქოლოგიის ამ ნიშნებს, საკუთრივ ასოციაციონიზმი იმის რწმენას ემყარება, რომ ცნობიერების მოვლენების შესწავლა უნდა იწყებოდეს ანალიზით და სრულდებოდეს სინთეზით. ამიტომ მთელი მისი მცდელობა იმაზეა მიმართული, რომ ერთი მხრივ, გამოყოს ცნობიერების უმარტივესი ელემენტები, ხოლო მეორე მხრივ, აჩვენოს მექანიზმი, რომელიც განაპირობებს მათ გაერთიანებას რთულ ფსიქიკურ წარმონაქმნებში. ამ ამოცანების შესაბამისად, შეგრძნების ფენომენის სახით, გამოიყოფა ფსიქიკის პირველადი, სხვა რაიმეზე დაუყვანადი ფაქტი. ყველა ფსიქიკური მოვლენა შეგრძნებიდან არის წარმოებული, და, ამ გაგებით, მეორადია. დადასტურებულია შეგრძნების შვიდი სახეობის არსებობა. არისტოტელესეულ ხუთ შეგრძნებასთან ერთად ესენია კუნთური და ორგანული შეგრძნებები. სულიერ მოვლენებში მოქმედ უზოგადეს კანონს ასოციაციის კანონი წარმოადგენს. ის შეიძლება შეეადაროთ მიზიდულობის კანონს ფიზიკურ სამყაროში.

ასოციაციური მოძღვრების ორსაუკუნოვანი განვითარების პროცესში იცვლებოდა წარმოდგენები იმაზე, თუ რა სახისაა ასოციაციური კავშირები და რა ფაქტორები განაპირობებენ მათ შექმნასა და გამოვლენას. თანდათან დამკვიდრდა შეხედულება ერთდროული (სიმულტანური) და თანმიმდევრული (სუქცესიური) ასოციაციების არსებობის შესახებ. ისინი განსხვავებულ როლს თამაშობენ სხვადასხვა ფსიქიკური მოვლენებისა თუ პროცესების განსაზღვრაში. მაგალითად, აღქმის ფაქტები სიმულტანური ასოციაციის შედეგია, მეხსიერებისა – სუქცესიურის. აზროვნების სფეროში ცნება წარმოდგენათა ერთდროული ასოციაციური კავშირის გამოხატულებაა, ხოლო მსჯელობა – თანმიმდევრულის. რაც შეეხება თვით ასოციაციური კავშირების წარმოქმნის პირობებს (მათ სან ასოციაციის კანონებს, ხანაც ფაქტორებს უწოდებენ), ისინი სხვადასხვა ავტორებთან განსხვავებულად არის მოაზრებული. არისტოტელეს მიერ გამოყოფილ ოთხ კანონს (მეზობლობა სივრცესა და დროში, მსგავსება და კონტრასტი) ზოგჯერ უმატებენ თანხვედრის სიხშირეს და სხვა მეორად ფაქტორებს (ძალა, ხანგრძლივობა, სიახლე და სხვა), ზოგჯერ კი იმდენად კვეცავენ, რომ მხოლოდ ერთ ფაქტორზე, სახელდობრ, სივრცულ მეზობლობაზე დაჰყავთ (ე.წ. ასოციაციის კანონების რედუქცია).

ასეთია ასოციაციური ფსიქოლოგიის ძირითადი პოზიციები. მისი შეფასება, პირველ რიგში, ფსიქოლოგიის შემდგომი განვითარების გადასახე-

ღიდან უნდა ხდებოდეს. აქედან აღვილი დასანახია, რომ სწორედ ამ მოძღვრებამ მოამზადა ფილოსოფიური ფსიქოლოგიის მხრიდან იმის ნიადაგი, რომ გაჩენილიყო ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, როგორც ღამოუკიდებელი მეცნიერული დისციპლინა. ასოციაციონიზმმა ღიდწილად განსაზღვრა ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის პირველი კონცეპტუალური პროგრამების არსებითი თავისებურებანი.

საკითხი ფსიქიკური მოვლენების ექსპერიმენტული შესწავლის აუცილებლობის შესახებ თანდათანობით მწიფდებოდა. გეიანდელ ბრიტანულ ასოციაციონიზმში იკი მეტ-ნაკლებად გამოიკვეთა. პირველ ეტაპზე ექსპერიმენტული კვლევის წესი და შინაარსი მნიშვნელოვნად იყო განსაზღვრული ასოციაციური ფსიქოლოგიისთვის დამახასიათებელი *ელემენტარიზმითა და სენსუალიზმით.* ეს გამოიხატა იმაში, რომ ექსპერიმენტირების პროცესი, უპირველეს ყოვლისა, ცნობიერების ელემენტების გამოვლენაზე იყო მიმართული, შესწავლის ყველაზე პოპულარულ ობიექტს კი შეგრძნებები წარმოადგენდა (იხ. 5.2.). თეორიულ პლანშიც ფსიქიკის სენსორულ ბუნებაზე კეთდებოდა აქცენტი. ცნობიერება თვალსაჩინო შინაარსების – შეგრძნებებისა და წარმოდგენების ასოციაციური კავშირების სახით იქნა გააზრებული. ყველაზე მკვეთრად ეს ტიჩენერის "სტრუქტურულ ფსიქოლოგიაში" გამოჩნდა, რომელიც ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის პატრიარქის, ვუნდტის ხაზს აგრძელებდა. თუმცა, როგორც ქვევით დავრწმუნდებით, ვუნდტი გრძნობის სახით ცნობიერების არასენსორულ ელემენტსაც აღიარებდა, ხოლო ასოციაცია მისთვის სულიერი ცხოვრების მხოლოდ ერთ-ერთი მექანიზმი იყო, აპერცეფციასთან ერთად (იხ. 5.1). ეს უკანასკნელი მის სისტემაში გერმანული ემპირიზმის, კერძოდ პერბარტის გავლენით გაჩნდა.

ორთოდოქსული ასოციაციონიზმი *მექანიკისტურიც* იყო, ვინაიდან ცნობიერების მოვლენებში მათი შემადგენელი ერთეულების ჯამს, მექანიკურ გაერთიანებას ხედავდა. ბრაუნის, ჯ.ს. მილისა და ბეინის მცდელობა, დაეძლიათ ეს მეთოდოლოგიური პრინციპი, ფსიქოლოგიური დეტერმინაციის ახლებური გააზრების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია. ეს ტენდენცია აისახა ვუნდტის, ჯეიმსის, დილთაის და სხვათა სისტემებში. "სულის ქიმიის" თუ "კონსტრუქციული ასოციაციების" გარეშე არ ჩამოყალიბდებოდა ვუნდტის "შემოქმედებითი სინთეზის" პრინციპი, რომელიც ფსიქიკური წარმონაქმნების შემადგენელ ნაწილებზე დაუყვანადობის იდეას გამოხატავს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ "სულის ქიმიის" მსგავსი კონცეპტები უაქტების აღწერის დონეს არ სცილდება. ასოციაციური სქემა არ იძლევა იმის გაგების საშუალებას. თუ რატომ აქვს ახალ მთლიანობას ნაწილებისაგან განსხვავებული და მათგან გამოუყვანადი თვისებები. ქიმიასთან ანალოგია, ცხადია, საქმეს ვერ შველის, ვინაიდან გაუგებარი რჩება, თუ რა რეალური კანონზომიერების გამოხატულებაა ეს უაქტი.

ბრიტანულმა ასოციაციურმა ფსიქოლოგიამ თავისი განვითარების ბოლო ეტაპზე უთუოდ საგრძნობი ნაბიჯი გადადგა წინ, როცა დასვა საკითხი რთული ფსიქიკური მოვლენის შინაარსობრივი განსხვავებულობის შესახებ ელემენტების უბრალო ჯამისაგან. მანამდე, ჯეიმს მილისთვისსაც კი

ყოველი ფსიქიკური წარმონაქმნი (იდეა) მარტივი იდეების უბრალო კრებადობას წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, გეიანდელ ასოციაციონიზმშიც მთელი მაინც რჩება სინთეტურ, მეორად მოვლენად, ეინაიდან იგი ისევე ელემენტების შეერთების (თუმცა არა მარტივი დაჯამების) გზით მიიღება. ელემენტი კვლავ პირველად ფსიქიკურ მოცემულობად გეეელინება.

ასოციაციური ფსიქოლოგიის შეგზეულობა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მან ელემენტებზე გაამახვილა ყურადღება. ანალიზი და რთულის ნაცვლად ჯერ მარტივის შესწავლა საზოგადოდ მეცნიერული შემეცნების მოუცილებელი მომენტია. ფსიქოლოგიური მეცნიერებაც აქედან იწყება. გავიხსენოთ თუნდაც არისტოტელე, რომელიც სულის ერთიანობას და განუყოფლობას აღიარებდა, მაგრამ მაინც იძულებული გახდა, სულის სამი სახეობა გამოეყო. ემპირიული ფსიქოლოგიაც, რომლისთვისაც ბუნებისმეტყველების წარმატებები იდეალად იქცა, ცდილობდა გაერკვია ცნობიერების ფენომენების შემადგენლობა და იქ ბუნების მოვლენების მსგავსი რამ მოენახა. ატომის აღმოჩენა ფიზიკაში, ელემეტების პერიოდული სისტემის შექმნა ქიმიაში, ორგანიზმის უჯრედული აგებულების დასასიათება ბიოლოგიაში — სტიმულს აძლევდა სულიერი ცხოერების უმარტივესი ერთეულების ძიების პროცესს. ემპირიული ფსიქოლოგიის მიერ შეკრძნებისა და წარმოდგენის სახით მიგნებული და გამოყოფილი ცნობიერების ელემენტები მეცნიერების უდავო მონაპოვარია. ექსპერიმენტულმა ასოციაციონიზმმა მათ ე.წ. მარტივი გრძნობებიც დაუმატა. ასოციაციონიზმის წარმომადგენლები იმასაც მიხედნენ, რომ მთელს ამ ელემენტებისაგან განსხვავებული თვისებები აქვს. მაგრამ ასოციაციური ფსიქოლოგია ვერ მივიდა იმ დებულებამდე, რომ რთული ფსიქიკური წარმონაქმნები მსოლოდ ახალი თვისებებით კი არ განსხვავდება შემადგენელი ელემენტებისაგან, არამედ გენეზისის თვალსაზრისითაც არ გამოიყვანება მათგან. ცნობიერების რთული წარმონაქმნების თავისებურების დადასტურებას თან უნდა დართოდა ფსიქიკური მთლიანობის პირველადობის აღიარება. ფსიქოლოგიური აზროვნების მაშინდელ დონეზე ასეთი გარღვევა ვერ მოხდებოდა. მთლიანობის იდეა უნდა მომწიფებულიყო. ამ პროცესმა ბრენტანოს, ჯეიმსის, დილთაისა და ერენფელსის გავლით, გეშტალტ-ფსიქოლოგიამდე მიგვიყვანა, რომელმაც ელემენტარიზმი საბოლოოდ დაასამარა.

ასოციაციურმა კონცეფციამ საკმაოდ დეტალურად აღწერა საკუთრივ ასოციაციის პროცესი. ამან უდავო დახმარება გაუწია ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიას, როდესაც მან XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში ხელი მოჰკიდა დასწავლის მეხსიერების კანონზომიერებათა კვლევას (ებინჰაუზი, გ.ე. მიულერი და სხვა). გარკვეული თვალსაზრისით, ეს თვით ასოციაციის მოვლენის შესწავლას ნიშნავდა, რომლის პირდაპირი კვლევაც ექსპერიმენტულმა ფსიქოლოგიამ ამავე პერიოდში დაიწყო. ეს იყო ე.წ. "ასოციაციური ექსპერიმენტი", რომლითაც, თავდაპირველად, განსხვავებულ შინაარსებთან დაკავშირებული ასოციაციის დრო იზომებოდა (იხ. 6.1.). შემდგომში ასოციაციური მეთოდი სხვადასხვა ფიზიოლოგიური პარამეტრების გაზომვასთან დააკავშირეს, რაც პრაქტიკულად გამოიყენეს სამედიცინო და იურიდიულ

ფსიქოლოგიაში. იგი ეფექტური საშუალება გახდა განდევნილი ან დაფარული ემოციური კომპლექსების გამოსავლენად.

ის გარემოება, რომ ასოციაცია თვითონვე გახდა ექსპერიმენტული შესწავლის ობიექტი, თავისთავად მიანიშნებს ასოციაციური ფსიქოლოგიის ძირითად ნაკლოვანებაზე. ამ კონცეფციის მიხედვით, ასოციაცია ფსიქიკის მოქმედების ერთადერთ მექანიზმად არის წარმოდგენილი. არსებითად კი, ასოციაცია მხოლოდ გარკვეული მოვლენის, სახელდობრ, იდეების კავშირის აღწერაა; იგი არ არის ამხსნელი მექანიზმი. მას, როგორც კერძო მოვლენას, თვითონ ესაჭიროება ახსნა, ე.ი. დაყვანა ფსიქიკის ნამდვილად ფუნდამენტურ კანონებსა და მექანიზმებზე, რასაც სუბიექტთან, პიროვნებასთან მიეყავართ. ასოციაციური პროცესი უნებლიე, სპონტანური ხასიათისაა. მისი მთავარი პირობა სუბიექტის მაქსიმალური პასიურობაა. მიუხედავად ამისა, პიროვნების აქტიურობის მთლიანი გამორიცხვა არც აქ არის შესაძლებელი. საქმე ისაა, რომ ყოველგვარ ფსიქიკურ მოქმედებას, მათ შორის ისეთს, რომელიც წარმოდგენათა დაკავშირებას ან მათი კავშირის რეალიზაციას ეხება, საბოლოო ჯამში პიროვნება ახორციელებს.

ეს გარემოება ასოციაციურ ფსიქოლოგიაში მთლიანად იგნორირებულია. აქ გავრცელებული რწმენით, ცნონიერების ფენომენები ისევე ზემოქმედებენ ერთმანეთზე, როგორც ბუნების მოვლენები. ანუ მექანიკური მიზეზობრიობის ანალოგიურად – პირდაპირ და უშუალოდ. როგორც უზნაძემ აჩვენა, მთელი ტრადიციული ფსიქოლოგია და, პირველ რიგში, ასოციაციონიზმი, ასეთ "უშუალობის პოსტულატზეა" აგებული (იხ. 12.2.). მართლაც, ძნელი არ არის იმის შემჩნევა, რომ "ასოციაციის კანონებს უდაოდ უშუალობის პრინციპი უდევს საფუძვლად: ერთი წარმოდგენა მეორეს უკავშირდება პირდაპირ, უშუალოდ, ყოველი შუაწევრის გარეშე, და ერთი წარმოდგენა მეორეს რეპროდუქციას ახდენს ასევე პირდაპირ და ასევე უშუალოდ" (უზნაძე). ამ შემთხვევაში აქტივობის სუბიექტისთვის, პიროვნებისთვის ადგილი არ რჩება. არ ჩანს ადგილი ფსიქიკური პროცესების ავტორისთვის, რომლის მოთხოვნილებების, ინტერესებისა და განწყობების გათვალისწინების გარეშე წარმოდგენებსა და მათი კავშირებს საერთოდ აზრი ეკარგება. გამოდის, რომ ასოციაციის პროცესი მთლიანად იმით განისაზღვრება, თუ რამდენად ხშირია თანხვედრა ამა თუ იმ იდეას შორის, ან იმით, თუ რამდენად ჰგვანან ისინი ერთმანეთს და ა.შ. სინამდვილეში კი სწორედ საწინააღმდეგო ვითარებაა: ყველა ცალკეულ ფაქტორს (ე.წ. ასოციაციის კანონს), მსგავსებას თუ მეზობლობას, მხოლოდ იმდენად აქვს ფაქტორის ღირებულება, რამდენადაც მას სათანადო განწყობა უდევს საფუძვლად, მართებულად აღნიშნავს უზნაძე. მაშასადამე, ასოციაციის პროცესი უშუალოდ ასოციაციის კანონებით კი არა, პირველ ყოვლისა, მათ საფუძვლადმდებარე პიროვნული ფაქტორებით არის განსაზღვრული. სადღეისოდ ფსიქოლოგიას მდიდარი ემპირიული მასალა მოეპოვება იმის დასამტკიცებლად, რომ შთაბეჭდილებათა დაკავშირებაც და ამ კავშირის რეალიზაციაც იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად მნიშვნელოვანია იგი პიროვნებისთვის. აქედან გამომდინარე, ერთ შემთხვევაში შეიძლება ისე იყოს, რომ წარმოდ-

გენები მხოლოდ ერთხელ მოხვდნენ ერთად და მათ შორის უმტკიცესი კავშირი დამყარდეს, ხოლო სხვა შემთხვევაში იდეათა მრავალჯერადი თანხვედრაც არ აღმოჩნდეს საკმარისი ასოციაციის შესაქმნელად. არსებული ასოციაციებიდანაც ის აქტუალიზდება და ის ჩაერთვება ქცევაში, რომელიც სუბიექტის აქტუალურ განწყობას შეესაბამება.

ასოციაციური ფსიქოლოგიის ისტორიული მნიშვნელობის შეფასებისას მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ის, მართალია, წმინდაწყლის ცნობიერების ფსიქოლოგიას წარმოდგენდა, მაგრამ არც თუ იშვიათად სხეულებრივ, ნერვულ პროცესებთან მიმართებასაც აანალიზებდა (პერტლი, ბეინი). ამიტომ ბუნებრივია, რომ ვუნდტის "ფიზიოლოგიურმა ფსიქოლოგიამ" ბევრი რამ აიღო მისგან, ხოლო საკითხი ფსიქიკის ორგანიზმული საფუძვლების შესახებ შემდგომდროინდელი ფსიქოლოგიის ერთერთი პრინციპული საკითხი გახდა.

რაც შეეხება გარემოსა და ფსიქიკის მიმართებას, ასოციაციურ ფსიქოლოგიაში ის, არსებითად, ყურადღების გარეშე დარჩა. გამონაკლისი იყო სპენსერი, რომელმაც აღნიშნულ კავშირს საგანგებოდ გაუსვა ხაზი. დღეს ფსიქოლოგიის წარმოდგენა ამ უმნიშვნელოვანესი მიმართების კელევის გარეშე შეუძლებელია; ფსიქოლოგიისთვის ის ცენტრალურია. ნიშანდობლივია, რომ ფსიქოლოგია, როგორც დამოუკიდებელი ექსპერიმენტული მეცნიერება, თავიდანვე მასზე იყო ორიენტირებული. ეს გარემოება შეამზადა XIX საუკუნის ბუნებისმეტყველ დისციპლინებში მიმდინარე კელევებმა. მაგალითად, ჰელმჰოლცი, გრძნობის ორგანოთა ფიზიოლოგიის კელევის პროცესში, ბუნებრივად დადგა იმის გარკვევის აუცილებლობის წინაშე, თუ როგორ ჩნდება ცნობიერებაში საგნის პერცეპტული სატი სენსორული მონაცემებიდან. საკითხი, არსებითად, იმას ეხებოდა, თუ როგორ ვასხვავებთ ერთმანეთისაგან გარემოში არსებულ საგნებს და როგორ ვმოქმედებთ მათ მიმართ ადექვატურად. ინტენსიური მუშაობა ე.წ. ფსიქოფიზიკაში პირდაპირ გარეგანისა და შინაგანის მიმართებაზე იყო ორიენტირებული, კონკრეტულად კი იმაზე, თუ როგორია კავშირი გამღიზიანებლისა და შეგრძნების ინტენსიობას შორის. ამავე კონტექსტში მიმდინარებოდა ასტრონომების მიერ ინიციირებული რეაქციის დროის კელევაც; მას უნდა გამოეელინა მიმართება სტიმულის მახასიათებლებსა და საპასუხო მოქმედების სისწრაფეს შორის. ერთი სიტყვით, საბუნებისმეტყველო აზროვნების წინაშე სშირად დგებოდა საკითხი იმ მიმართებათა შესახებ, რომლებიც არსებობს სუბიექტურ, ცნობიერ მოვლენებსა და ობიექტურ ცვლადებს შორის. მომდევნო თავში სწორედ იმ წინაპირობებზე ვისაუბრებთ, რომლებმაც ემპირიულ (პირველ რიგში ასოციაციურ) ფსიქოლოგიასთან ერთად, საფუძველი ჩაუყარეს ფსიქოლოგიის დამოუკიდებელ ექსპერიმენტულ დისციპლინად ჩამოყალიბებას.

*ლიტერატურა*

1. ბაქრაძე კ. ახალი ფილოსოფიის ისტორია. თბილისი, 1969.
2. ბოჭორიშვილი ა. ფსიქოლოგიის ისტორია (მასალები). თხზულებები. ტ.1. გამოკვლევები ფსიქოლოგიაში. თბილისი, 1991.

3. გოგიბერიძე მ. ფილოსოფიის ისტორია. რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი. ტ.3. თბილისი, 1972.
4. ნათაძე რ. ზოგადი ფსიქოლოგია. თბილისი, 1977.
5. თევზაძე გ. იმანუელ კანტი. თბილისი, 1974.
6. უზნაძე დ. განწყობის თეორიის ძირითადი დებულებები. თბილისის სახ. უნ-ტის შრომები, ტ.19. 1941.
7. უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია. შრომები, ტ.3-4. თბილისი, 1964.
8. უზნაძე დ. ლაიბნიცის petites perceptions-თა ადგილი ფსიქოლოგიაში. შრომები, ტ.9. თბილისი, 1986.
9. Английские материалисты XVIII века. В 3т. М., 1968.
10. Бен А. Психология. В кн.: Ассоциативная психология. М., 1998.
11. Беркли Дж. Сочинения. М., 1978.
12. Васильев В. История философской психологии. Занадная эвропа – XVIII век.
13. Выгодский Л.С. Учение об эмоциях. Историко-психологическое исследование. Собрание сочинений, т.6. М., 1984.
14. Гартли Д. Избранные сочинения. М., 1934.
15. Гельвеций К.А. Сочинения: В 2т. М., 1973-4.
16. Гербарт И.Ф. Учебник психологии. СПб., 1895.
17. Герберт И.Ф. Избранные произведения. М., 1938.
18. Гоббс Т. Сочинения: В 2т. М., 1964.
19. Декарт Р. Сочинения: В 2т. М., 1989.
20. Дессуар М. Очерк истории психологии. М., 2003.
21. Ждан А.Н. История психологии от античности до наших дней. М., 1990.
22. Жучков В.А. Из истории немецкой философии XVIII века. М., 1996.
23. Кант И. Сочинения: В 6т. М., 1963-6.
24. Кондильяк Э.Б. Сочинения: В 3т. М., 1982.
25. Ламетри Ж.О. Сочинения. М., 1983.
26. Лейбниц Г.В. Сочинения: В 4т. М., 1982-4.
27. Локк Дж. Сочинения: В 3т. М., 1985.
28. Марцинковская Т.Н. История психологии. М., 2001.
29. Миль Дж. Ст. Система логики. М., 1914.
30. Олпорт Г. Продуктивные парадоксы Уильяма Джеймса. В кн.: Личность в психологии. М., 1998.
31. Олпорт Г. Индивидуальная и социальная психология Дьюи. В кн.: Личность в психологии. М., 1998.
32. Рассел Б. История западной философии. Ростов н/Д., 1998.
33. Реале Д., Антисери Д. Западная философия от истоков до наших дней: Новое время. т.3. СПб., 1996.
34. Рибо Т. Современная английская психология. М., 1889.
35. Рибо Т. Современная немецкая психология. СПб., 1995.
36. Соколова Е.Е. Тринадцать диалогов по психологии. М., 1997.
37. Спенсер Г. Основания психологии. В кн.: Ассоциативная пси*хология. М., 1998.*

38. Шульц Д., Шульц С.Э. История современной психологии. СПб., 1998.

39. Юм Д. Сочинения: В 2т. М., 1965.

40. Ярошевский М.Г. История психологии. 1996.

41. Boring E.G. A history of experimental psychology. New York: Appleton-Century-Crofts. 1950.

42. Brett G.S. History of psychology. (Ed. and abridged by R.S.Peters). London: Unvin LTD, 1953.

43. Klein D.B. A history of scientific psychology. New York – London, 1970.

44. Leahey T.H. A history of psychology: main currents in psychologycal thought. New Jersey: Prentice Hall, 1992.

45. Robinson D.N. An intellectual history of psychology. The Universisty of Wisconsin Press, 1986.

# თავი 4. ფსიქოლოგიის დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბების საბუნებისმეტყველო წინამძღვრები

## 4.1. თავის ტვინის, ნერვული სისტემის და გრძნობის ორგანოთა ფიზიოლოგია

როგორც წინა თავში ვნახეთ, XIX საუკუნის ფილოსოფოსებში, რომელთა სახელებსაც უკავშირდება ემპირიული ფსიქოლოგია, გამოკვეთილად გაისმა თეზისი ფსიქოლოგიის დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბების შესახებ. ამ თეზისს ამყარებდა ბუნებისმეტყველებაში მიმდინარე კვლევა - ძიება. აღნიშნული პერიოდი ბიოლოგიის, კერძოდ ექსპერიმენტული ფიზიოლოგიის ინტენსიური განვითარების ნიშნით ხასიათდება. ამ სფეროს შესწავლაში კარდინალური მნიშვნელობის ძერები მიხდა როგორც ემპირიული, ისე კონცეპტუალური თვალსაზრისით. ფსიქოლოგიის მომავალზე ამან უდიდესი გავლენა მოახდინა: ჯერ ერთი, იგი შეივსო უმდიდრესი ფაქტოლოგიური მასალით, რომელიც მოიპოვეს მომიჯნავე სფეროს მკვლევარებმა. მეორე, და უფრო მნიშვნელოვანი, იმ რწმენის დამკვიდრება იყო, რომ ფსიქიკური მოვლენების შესწავლა წარმატებით შეიძლება საბუნებისმეტყველო-ლაბორატორიული კვლევის გზით. ამ გზამ, საკმაოდ მალე, ფსიქოლოგები საკუთარი ლაბორატორიების კარებამდე მიიყვანა.

დავიწყოთ თავის ტვინის ანატომიური და ფიზიოლოგიური კვლევის მონაცემებით. ამ საქმის ერთ-ერთ პიონერად სამართლიანად ითვლება თავის დროზე დიდი სახელის მქონე ავსტრიელი ანატომი და ექიმი **ფრანც გალი** (1758-1828). მან პირველმა გამოყო ტვინის რუხი და თეთრი ნივთიერება. განსაკუთრებით ფართო გამოხმაურება ჰქონდა მის მოძღვრებას თავის ტვინში ფსიქიკურ თვისებათა *ლოკალიზაციის* შესახებ, რომელსაც *ფრენოლოგია* (ბერძნულად ნიშნავს სულს, ზნეს, ხასიათს) ეწოდა. გალი იზიარებდა ნიჭთა ფსიქოლოგიის მოსაზრებებს თანდაყოლილი ფსიქიკური თვისებების და უნარების შესახებ (იხ. 3.2.). კერძოდ, გალმა დაუშვა აღქმის, მეტყველებს, მეხსიერების, ანგარიშის, მხატვრობის, მუსიკის, პოეზიისა და სხვა უნარის არსებობა. აგრეთვე ისეთი ქარაქტეროლოგიური თვისებებისა, როგორიცაა პატივმოყვარეობა, ცბიერება, გაბედულება, კონტაქტურობა, სიფრთხილე, ქედმაღლობა, მშობლების და შვილების სიყვარული და ა.შ. სულ მან დაასახელა ასეთი 27 უნარ-თვისება.

გალის მიხედვით, თითოეული მათგანი თავის ტვინის ქერქის გარკვეულ აღგილას არის მოთავსებული (ლოკალიზებული), ანუ საკუთარი ორგანო აქვს. აქედან გამომდინარე, მისი მოწაფეების მონაწილეობით (კლეისტი, შპრუცგეიმი) შეიქმნა ე.წ. ფრენოლოგიური რუკა. დაშვებული იყო აგრეთვე, რომ უნარ-თვისებების განვითარებასთან ერთად იზრდება თავის ტვინის შესაბამისი უბნებიც. ეს, თავის მხრივ, აისახება თავის ქალის მოყვანილობაზე, რომელიც ტვინის ფორმას იმეორებს. გალის აზრით, ეს საშუალებას იძლევა

თავის ქალის ფორმის მიხედვით ადამიანის ფსიქიკურ თავისებურებებზე, მისი ამა თუ იმ ნიჭის განვითარების დონეზე ვიმსჯელოთ.

გალის დასკვნები შემოხვევით, მეცნიერულ სანდოობას მოკლებულ დაკვირვებებს ეყრდნობოდა. მაგალითად. მან შეამჩნია, რომ ბავშვები, რომელთაც დიდი და წინ წამოწეული თვალები აქვთ, სიტყვებს კარგად იმახსოვრებენ. აქედან გაკეთდა დასკვნა, რომ სიტყვების დამახსოვრების უნარი ლოკალიზებულია თავის ტვინის იმ ნაწილებში, რომელიც განლაგებულია თვალის ორბიტების უკან. მეხსიერების სხვა ფორმები სხვა ადგილებში არიან ლოკალიზებული; გალმა კი ასეთი რამდენიმე გამოყო: მეხსიერება რიცხვებზე, სახელწოდებებზე, საგნებზე, ადგილებზე. ამ უკანასკნელის ორგანო არის, ამასთანავე, მოგზაურობის სიყვარულის ცენტრი. ამიტომ ის წარმოდგენილია ორი "კოპის" სახით, რომელიც მოთავსებულია ზონაში ცხვირის ძირიდან შუბლის შუა წერტილამდე. შესაბამისად, ადგილის კარგი მეხსიერების მქონე ადამიანს მოგზაურობისკენ სწრაფვაც ახასიათებს. აკრცელებდა რა თავის მოსაზრებებს ცხოველებზეც. გალი თვლიდა, რომ ეს უნარ-თვისება ყველაზე მეტად ჩიტებშია განვითარებული.

მიუხედავად იმისა, რომ ფრენოლოგიას რამდენადმე მყარი და სანდო მეცნიერული დასაბუთება არ გააჩნდა, ის არაჩვეულებრივი პოპულარობით სარგებლობდა იმდროინდელ არამეცნიერულ საზოგადოებაში, მსგავსად ქირომანტიისა. რაც შეეხება მეცნიერებას, ფრენოლოგიამ უდავოდ დადებითი როლი შეასრულა იმ მხრივ, რომ მწვავედ დასვა საკითხი ფსიქიკური ფუნქციების ლოკალიზაციის შესახებ და ნათელყო მისი ექსპერიმენტული კვლევის საჭიროება. ამიტომაც მეცნიერების ისტორიის გადასახედიდან სამართლიანად ეღერს გალის საფლაზე ამოტვიფრული სიტყვები: "თავი შეეიკავოთ მისი გამტყუნებისაგან, იმის გამო, რომ მან არ შეასრულა ის, რასაც სხვები ვერც კი გაბედავენ, თუმცა გაკვალა ის გზა, რომლითაც ისინი წავლენ".

ფრენოლოგიას და, საზოგადოდ, ლოკალიზაციონიზმს დაუპირისპირდა ცნობილი ფრანგი ფიზიოლოგი, თავის ტვინის ექსპერიმენტული ფიზიოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი **პიერ ფლორანსი** (1794-1867). იგი იყენებდა ე.წ. ექსტრიპაციის ანუ ტვინის სათანადო ადგილების ამოკვეთისა და დაშლის მეთოდს. ფრინველებსა და ცხოველებზე ჩატარებულმა ცდებმა აჩვენა, რომ თავის ტვინის ნებისმიერი ადგილის ამოკვეთა მთელი ფსიქიკური აქტივობის მოშლას იწვევს, თანაც მით უფრო ღრმას, რაც უფრო დიდი არეა დაზიანებული. აქედან გაკეთდა დასკვნა, რომ ტვინი მოქმედებს, როგორც მთელი; ფუნქციური თვალსაზრისით ის ერთგვაროვანი მასაა. ამით ფლორანსი მეორე უკიდურესობაში გადავარდა და მთლიანად უარყო თავის ტვინის ფუნქციური არაერთგვაროვნების იდეა, რომელსაც, მართალია არაექსპერიმენტული გზით, ამკვიდრებდა გალი.

მიკროსკოპის გამოგონების შემდეგ დადასტურდა, რომ ტვინის უჯრედოვანი აგებულება, სტრუქტურა არაერთგვაროვანია. ეს ფაქტი კი ეწინააღმდეგებოდა მოსაზრებას ტვინის მოქმედების ფუნქციური ერთგვაროვნების შესახებ, ვინაიდან ორგანოს სტრუქტურასა და ფუნქციას შორის გარკვე-

ული შესაბამისობა უნდა არსებობდეს. და მართლაც, ამ მიმართულებით წარმოებულმა ინტენსიურმა კვლევამ მალე გამოავლინა ისეთი ფაქტები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა ფლორანსის შეხედულებას. ემპირიული კვლევა ორი გზით მიმდინარეობდა: ერთი – თავის ტვინის ლოკალური დაზიანებების მქონე ავადმყოფებზე დაკვირვება (კლინიკური მეთოდოლოგია) და მეორე – თავის ტვინის ანატომიურ-ფიზიოლოგიური შესწავლა სათანადო ზონების დარღვევის, ამოკვეთის, აგრეთვე დენით ან სხადასხვა ნივთიერებით გაღიზიანების საშუალებით (ექსპერიმენტული მეთოდოლოგია).

პირველი გზით მოპოვებულ შედეგებს შორის უნდა აღინიშნოს ფრანგი ანატომის პ. ბროკას მიერ მეტყველების მოტორული ცენტრის (1861) და გერმანელი ფსიქიატრის კ. ვერნიკეს მიერ მეტყველების სენსორული ცენტრის (1873) აღმოჩენა. ორივე შემთხვევაში საქმე ესება მეტყველების დარღვევის (აფაზიის) სხვადასხვა ფორმას. ბროკას ავადმყოფს არ შეეძლო ლაპარაკი, თუმცა სხვისი ნალაპარაკები ესმოდა (მოტორული აფაზია), ხოლო ვერნიკეს პაციენტს თვითონ ლაპარაკი შეეძლო, მაგრამ მოკლებული იყო სხვისი მეტყველების გაგების უნარს, ნორმალური სმენის მუხედავად (სენსორული აფაზია). მათი გარდაცვალების მერე ჩატარებულმა ტვინის პათანატომიურმა გამოკვლევამ გამოავლინა სისხლის ჩაქცევის შედეგად ლოკალური დაზიანების არსებობა ერთ შემთხვევაში შუბლის, ხოლო მეორეში – საფეთქლის წილში. კვლევის მეორე გზით აღმოჩენილ იქნა მოძრაობის ცენტრი – როლანდის ღარში (პითციგი), მხედველობის ცენტრი – კეფის წილში (ბეცი), სმენის ცენტრი – საფეთქლის წილში (მუნკი), ინტელექტუალურ ფუნქციებთან დაკავშირებული ცენტრები – შუბლის წილში.

ყოველივე ეს ამტკიცებდა მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ტვინი ფუნქციურად დიფერენცირებული ორგანოა. უნდა ითქვას, რომ ზოგადად ბროკას და ვერნიკეს აღმოჩენებმა საფუძველი ჩაუყარა "ცენტრების აღმოჩენის პერიოდს" ნევროლოგიაში – აღწერილ იქნა წერის, ხატვის, ანგარიშის და სხვა ცენტრები. ერთი შეხედვით რჩება შთაბეჭდილება, რომ იმდროინდელი ნეირომეცნიერება "ლოკალიზაციონიზმის სენით" იყო შეპყრობილი, მაგრამ, ამასთანავე, ფლორანსის მიერ დაფუძნებული ანტილოკალიზაციონისტური ტრადიციაც განაგრძობდა არსებობას. ტვინის მთლიან მოქმედებაზე მეტყველებდა ახალი მონაცემები იმის შესახებ, რომ: 1) გარკვეულ ფსიქიკურ ფუნქციებთან დაკავშირებული თავის ტვინის ცენტრების დაზიანება არა მხოლოდ ამ ფუნქციების მოშლას, არამედ მთელი ფსიქიკური აქტივობის დარღვევას იწვევს; 2) გარკვეული ცენტრის მთლიანი ექსტრიპაციის მიუხედავად, რამდენიმე ხნის შემდეგ ხდება შესაბამისი ფუნქციის აღდგენა, ვინაიდან ამოკვეთილი ცენტრის როლის შესრულებას ქერქის სხვა უბნები იწყებენ; 3) სხვადასხვა ფსიქიკური ფუნქციის დარღვევა (მაგ., აფაზია) სათანადო ცენტრის პათოლოგიის გარეშეც ვითარდება (გოლცი, ლეშლი, მარი, მონაკოი, გოლდშტაინი და სხვა).

70-80-იან წლებში ინგლისელმა ნევროლოგმა ჯონ ჰიუგლინს ჯექსონმა (1835-1911) ჩამოაყალიბა ახალი შეხედულება ფსიქიკური ფუნქციების ლოკალიზაციის პრობლემის შესახებ, რომლის თანახმად ფსიქიკური ფუნ-

ქციები ტვინის სხვადასხვა დონეზე არის წარმოდგენილი: დაბალზე (ზურგის ტვინი ან ღერო), საშუალოზე (თავის ტვინის ქერქის მოტორული ან სენსორული უბნები) და მაღალზე (თავის ტვინის შუბლის წილი). დარღვევა ამა თუ იმ დონეზე იწვევს ფუნქციის ამა თუ იმ მხარის ამოვარდნას. ევოლუციის პროცესში სდება ცენტრალური ნერვული სისტემის სხვადასხვა დონის განვითარება და ინტეგრაცია. იქმნება კავშირთა სისტემა, რომელიც განაპირობებს ადამიანის რთულ მოქმედებას. ამ ორგანიზებული სისტემის დაშლა ან დეფექტი იწვევს ფსიქიკის სხვადასხვა სახის აშლილობას. ჯეკსონის იდეებმა გარკვეულად გაუსწრო თავის დროს. მათი განვითარება უკვე XX საუკუნეში დ. ჰების მიერ მოხდა.

ამრიგად, XIX საუკუნეში *ლოკალიზაციული* და *ანტილოკალიზაციული* შეხედულებები თანაარსებობდა. თითოეულს თავისი სერიოზული ფაქტოლოგიური ბაზა ჰქონდა, რომელზე დაყრდნობითაც იქმნებოდა ცალმხრივი შეხედულებები. სინამდვილეში, როგორც შემდგომში ნათელი გახდა, ფსიქიკური ფუნქციების თავის ტვინში მოცემულობის ურთულესი პრობლემის გადაწყვეტა ტვინის არადიფერენცირებული და დიფერენცირებული მოქმედების პრინციპების *ინტეგრაციას* გულისხმობს.

ფსიქიკური თვისებების თავის ტვინის გარკვეულ ზონებთან ან ცენტრებთან დაკავშირება თავისთავად, სრულებით არ ნათელყოფდა საკითხს ამ ზონის მოქმედების ნეიროფიზიოლოგიური პრინციპების შესახებ. XIX საუკუნის დასაწყისში არა მარტო თავის ტვინის ანუ სხეულის ყველაზე რთული ორგანოს, არამედ საერთოდ ნერვული სისტემის მოქმედების მექანიზმი შეუსწავლელი იყო. ეს ეხებოდა ზურგის ტვინსაც, რომელზეც ცნობილი იყო მხოლოდ ის, რომ იგი გარკვეულწილად დაკავშირებულია მოძრაობასთან. ამ მხრივ არსებითი მნიშვნელობის დაზუსტებები შეიტანა ინგლისელმა ნევროლოგმა **ჩარლზ ბელმა** (1774-1842). მან უარყო ჯერ კიდევ დეკარტედან მომდინარე შეხედულება იმის შესახებ, რომ ნერვული ბოჭკოები ერთმანეთისაგან არ განსხვავდება. ბელმა ექსპერიმენტულად დაამტკიცა, რომ ზურგის ტვინის წინა და უკანა რქაში სხვადასხვა სახის ნერვი შედის. წინა რქა შეიცავს მოტორულ ნერვებს, რომლებიც მოძრაობას უკავშირდება, ხოლო უკანა რქა, მგრძნობიარე ნერვებს და, შესაბამისად, სენსორულ ფუნქციას. ამით მან რეფლექსის ცნება, როგორც სენსორული ნერვის გაღიზიანებაზე კანონზომიერი პასუხი, ფაქტობრივ მასალაზე დააფუძნა. ცოტა ხანში ფიზიოლოგიის სახელმძღვანელოებში გაჩნდა *რეფლექსური ან ნერვული რკალის* ცნება, რომლის ანატომიური დასაბუთება ბელს ეკუთვნის: აგზნება გაიელის აფერენტულ, მგრძნობიარე ნერვს, გადამუშავდება ზურგის ტვინის მეშვეობით და ეფერენტული ნერვით გადაეცემა სამოძრაო ორგანოს (1811). ეს პრინციპი ათი წლის მერე დამოუკიდებლად აღმოაჩინა ფრანგმა ფიზიოლოგმა ფ. მაჟანდიმ და ის *ბელ-მაჟანდის კანონის* სახელით შეიდა მეცნიერების ისტორიაში. მის მნიშვნელობას ფიზიოლოგიისთვის ჰარვეის მიერ სისხლის მიმოქცევის აღმოჩენას ადარებენ. მაგრამ ბელი უფრო შორს წავიდა და აჩვენა, რომ რეფლექტორული რეაქცია კუნთების ამოძრავებით არ წყდება, ვინაიდან ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა დაემართა კუნთს, სპეციალური

ნერვით იგზავნება უკან, ნერვულ ცენტრში და იქ მუშავდება. ამრიგად, პირველად იქნა ჩამოყალიბებული *უკუკავშირის იდეა*, რომელზეც დაფუძნებულია მოქმედების თვითრეგულაციის თანამედროვე ფსიქოფიზიოლოგიური მოდელები. გარე გაღიზიანება მიდის ტვინში, იქიდან კუნთში, კუნთიდან კი ისევ ტვინში. ასე იკვრება *ნერვული წრე*. ამ წრის რომელიმე პუქტის გაწყვეტა იწვევს მოძრაობის დამახასიათებელ დარღვევას: სამოძრაო ნერვის დაზიანებას მოყვება დამბლა, კუნთიდან ტვინში მიმავალი ნერვის დეფექტის შემთხვევაში თავს იჩენს მოძრაობის კოორდინაციის სხვადასხვა სახის დარღვევა.

ბელისა და მაჟანდის, აგრეთვე ინგლისელი ექიმის მ. ჰოლის და გერმანელი ფიზიოლოგის ი. მიულერის გამოკვლევების შედეგად თანდათან ყალიბდება შეხედულება რეფლექსზე, როგორც ზურგის (და არა თავის) ტვინის მოქმედების მექანიზმზე. მარშალ ჰოლმა (1790-1957) ბევრი მნიშვნელოვანი დაზუსტება შეიტანა რეფლექტორული სამოძრაო აქტების წარმომავლობასა და მიმდინარეობასთან დაკავშირებით, მაგრამ ამ აქტებს მიაკუთვნებდა მხოლოდ იმ მოძრაობებს, რომელთა ბუნება პრინციპულად არაფსიქიკურია; მათში განცდა, შეგრძნება საერთოდ არ მონაწილეობს და ისინი, ასე ეთქვათ, წმინდა ფიზიოლოგიური ხასიათისანი არიან. ამ მხრივ ჰოლი იმდენად შორს მიდიოდა, რომ რეფლექსებად მხოლოდ ისეთ მოძრაობებს მიიჩნევდა, რომლებიც აფერენტული ნერვების უშუალო გაღიზიანებით გამოიწვევა და განასხვავებდა იმ მოძრაობებისაგან, რომელთაც თან ახლავს შეგრძნება (მაგ., ცემინება, ხველა და ა.შ.).

ი. მიულერი რეფლექსის ცნების ასეთი დავიწროების წინააღმდეგი იყო და მიაჩნდა, რომ რეფლექსებად თავის ტვინთან დაკავშირებული ზოგიერთი მოძრაობაც უნდა ჩაითვალოს. მიუხედავად ამისა, იგი, ფაქტობრივად, რეფლექსებს მხოლოდ ზურგის ტვინის მუშაობის დონეზე განიხილავდა. ისეთი ვითარება იქმნებოდა, თითქოს ნამდვილი ფიზიოლოგია (რეფლექსური მოქმედება) მხოლოდ ზურგის ტვინზე ვრცელდება, ხოლო თავის ტვინი "ცხოველური სულების" ადგილსამყოფელად რჩება. ეს ვითარება, ცხადია, ბუნებისმეტყველურ აზროვნებას ვერ დააკმაყოფილებდა. ამიტომ სამოციანი წლებიდან რეფლექტორული პრინციპი თავის ტვინზეც ვრცელდება – იგი წარმოდგენილია, როგორც ორგანო, რომელიც ასახავს სენსორულ ზემოქმედებას და ავტომატურად გადასცემს მას სამოძრაო სფეროს. თ. ლეიოკს შემოაქვს თავის ტვინის ავტომატური მოქმედების აღმნიშვნელი ცნება – "არაცნობიერი ცერებრაციია". მეორე ცნობილმა ინგლისელმა ფიზიოლოგმა ვ. კარპენტერმა მის მიერ შექმნილ მიმართულებას "ფიზიოლოგიურ ფსიქოლოგია" უწოდა და განავითარა თეზისი თავის ტვინის არაცნობიერი (და, მაშასადამე, ფიზიოლოგიური) მოქმედების შესახებ. ამასთანავე, მან შემოიტანა *იდეომოტორული აქტის* ცნება: თავისი არსით ეს რეფლექტორული მოქმედებაა, რომელსაც ავტომატურად იწვევს არა ნერვული დაბოლოების უშუალო გაღიზიანება, არამედ იდეა, ცნობიერი წარმოდგენა ანუ ფსიქიკური მოელენა. ამ ცნებამ სათანადო ადგილი დაიკავა მეცნიერების კატეგორიალურ აპარატში, მაგალითად უ. ჯეიმსის (იხ. 5.4.) და ი. თარხნიშვილის (იხ.

12.1.) სისტემაში.

XX საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს ფიზიოლოგად მართებულად ითვლება **იოჰანეს მიულერი** (1801-1858). მისი მოწაფეები იყვნენ ისეთი კორიფეები, როგორებიც არიან პელმჰოლცი და დიუბუა-რაიმონი, აგრეთვე გამოჩენილი მეცნიერები ლიუდვიგი და ბრიუკე. მათ სახელებთან არის დაკავშირებული ე.წ. ფიზიკო-ქიმიური სკოლა ფიზიოლოგიაში, რომელიც ორმოციან წლებში ჩამოყალიბდა. ეს მკვლევარები კატეგორიულად უარყოფდნენ ყოველგვარ ვიტალიზმს, როგორც მეცნიერებისთვის უცხოს და ცოცხალ ბუნებას მხოლოდ ფიზიკის და ქიმიის კატეგორიებში განიხილავდნენ. მათ, მართლაც, ყველაფერი იღონეს, რათა ფიზიოლოგია ნამდვილი საბუნებისმეტყველო დისციპლინა გამხდარიყო. ორგანიზმი გაგებულ იქნა როგორც სხეული, რომელშიც მოქმედებს ფიზიკის და ქიმიის კანონები, ენერგიის შენახვის პრინციპი და სხვა.

რაც შეეხება თავად მიულერს, იგი ვიტალიზმის გაელენისაგან მთლიანად თავისუფალი არ იყო. მიუხედავად ამისა, მისი ფიზიოლოგიის სახელმძღვანელო (1833-40) დიდი ხნის განმავლობაში ძირითად კომპენდიუმად ითვლებოდა. მასში სოლიდური ადგილი ეთმობა ნერვული სისტემის ფიზიოლოგიას, რეფლექსური რკალის პრინციპს და მურგის ტვინის მუშაობის მექანიზმს, აგრეთვე გრძნობის ორგანოთა ფიზიოლოგიას. ნერვული სისტემის და გრძნობის ორგანოთა ფიზიოლოგიის ჭრილში მიულერმა ჩამოაყალიბა შეხედულება *გრძნობის ორგანოთა სპეციფიკური ენერგიის* შესახებ, რომელსაც დიდი გამოხმაურება ჰქონდა ფიზიოლოგიასა და ფსიქოლოგიაში. ეს შეხედულება ეყრდნობა გარკვეულ უაქტობრივ ვითარებას: რეცეპტორი (მაგ., თვალი) აღექვატური (სინათლით) თუ არაადექვატური (მაგ., ელექტრულით ან მექანიკურით) გამღიზიანებლის საპასუხოდ იძლევა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მოდალობის (ამ შემთხვევაში მხედველობით) შეგრძნებას. ამასთან, სხვადასხვა გრძნობის ორგანოზე მოქმედი ერთი და იგივე გარე სტიმული განსხვავებულ შეგრძნებას იწვევს: მაგალითად, თვალზე და ყურზე მოქმედი ელექტროდენი იძლევა, შესაბამისად, სინათლის და სმენის შეგრძნებას.

მიულერის თანახმად, ეს გაპირობებულია იმით, რომ ყველა სენსორულ ნერვში მოთავსებულია სპეციფიკური ხასიათის ენერგია, რომელსაც ათავისუფლებს ყოველგვარი სახის გამღიზიანებელი – აღეკვატური თუ არაადეკვატური. ამ მხრივ ყველა გამღიზიანებელი ეკვივალენტურია. საბოლოოდ, თითქოს ასე გამოდის – თუ ყოველგვარი გამღიზიანებელი მხოლოდ ისეთ შეგრძნებას იწვევს, რომელიც ამ რეცეპტორისთვის არის დამახასიათებელი, გამღიზიანებლის რაგვარობას მნიშვნელობა არ ჰქონია. მთავარია, როგორ არის მოწყობილი გრძნობის ორგანო, უფრო ზუსტად ის, თუ რა სახის *სპეციფიკური ენერგიაა* მასში მოთავსებული. ჩვენი შეგრძნებების სასიათი განპირობებულია გრძნობის ორგანოს ნერვული ორგანიზაციით. ამ მსჯელობამ შეიძლება საკმაოდ აგნოსტიკურ დებულებამდე მიგვიყვანოს: შეგრძნება სამყაროს ნამდვილ სურათს არ გვაძლევს, ობიექტურ სინამდვილეს კი არ გვითვალისწინებს, არამედ ნერვული აპარატის მოწყობილობის რაგვარობას.

თავდაპირველად მიულერი სწორედ ამდაგვარ თვალსაზრისამდე მივიდა, რომელსაც "ფიზიოლოგიური იდეალიზმიც" კი ეწოდა, მაგრამ ფაქტობრივი მონაცემების გათვალისწინებით მან ერთგვარად შეარბილა თავისი პოზიცია. ადამიანის რწმენას იმის თაობაზე, რომ ის აღიქვამს რეალურ ობიექტებს და არა თავისი ნერვული სისტემის აგებულების სპეციფიკას, ამართლებს სენსორული აპარატის აგებულებასა და გარე ობიექტებს შორის არსებული გარკვეული შესაბამისობა. ამ თვალსაზრისით ადეკვატურ და არაადექვატურ გამღიზიანებლებს შორის დიდი განსხვავებაა. არაადეკვატური გამღიზიანებელი, რომელიც, ვთქვათ, თვალის ნერვს აღიზიანებს, წარმოქმნის საგნის სუბიექტურ განცდას, მაგრამ სისრულის, სიზუსტის, მკაფიობის თუ განაწყერებულობის თვალსაზრისით ის ახლოს ვერ მოვა სინათლის სხივის მოქმედების შედეგად მიღებულ მხედველობით სატთან. განსხვავება სხვა მხრივაცაა. არაადეკვატური გამღიზიანებლები უმეტესად ორგანოს დაცვით რეაქციას იწვევენ (მაგ., თვალის დახუჭვას); თუ ადეკვატური გამღიზიანებლის ყველა საბღურბლე ინტენსიობა შეგრძნებას წარმოქმნის, სულ სხვა სურათია არაადექვატური გამღიზიანებლის შემთხვევაში: ეს უკანასკნელი, როგორც წესი, დიდი ინტენსივობის უნდა იყოს (მაგ., დარტყმა მხედველობის ან სმენი ორგანოზე). ბევრ შემთხვევაში რა ინტენსიეობისაც არ უნდა იყოს არაადეკვატური გამღიზიანებელი, ის უძლური რჩება გამოიწვიოს შეგრძნება: ბგერა საერთოდ ვერ გააღიზიანებს მხედველობის ან შეხების რეცეპტორს, სინათლე სმენის რეცეპტორს და ა.შ. ერთი სიტყვით, მიულერი იძულებული გახდა უარი ეთქვა თავდაპირველ მოსაზრებაზე ყველა გამღიზიანებლის ეკვივალენტურობის შესახებ. რეცეპტორები უპირატესად კონკრეტული სახის გამღიზიანებლის ზემოქმედების მისაღებად არიან განკუთვნილი. სხვადასხვა აგებულების გრძნობის ორგანოები სწორედ იმიტომ გაჩდა, რომ საჭირო იყო განსხვავებულ გამღიზიანებლებთან შეგუება. ის ფაქტი, რომ ყველა რეცეპტორი სპეციფიკურად მოქმედებს, არ უარყოფს მხოლოდ მისთვის შესატყვისი გამღიზიანებლების არსებობას. თუმცა, ეს ფაქტი არც იმას ამტკიცებს, რომ შეგრძნებები გარემოს შესახებ ცნობებს კი არ გვაწვდის, არამედ მხოლოდ სუბიექტის ნერვულ-სენსორული თავისებურებების შესახებ გვაცნობს. ასეა თუ ისე, სპეციფიკური ენერგიის დოქტრინა მეცნიერების ისტორიაში შევიდა, როგორც XIX საუკუნის შეგრძნებათა ფიზიოლოგიისა და ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი განზოგადება.

აღსანიშნავია მიულერის პოზიცია სივრცის აღქმის საკითხთან დაკავშირებით, რომელიც საერთოდ მწვავედ იდგა იმდროინდელი საბუნებისმეტყველო აზროვნების წინაშე. ამ საკითხში მიულერი გერმანულ ტრადიციას მიჰყვება, კერძოდ ეყრდნობა კანტს, რომელსაც მიაჩნდა, რომ სივრცული სქემა აპრიორულია, ანუ იმთავითვე ახასიათებს ცნობიერებას. მიულერი ამ შეხედულებას ფიზიოლოგიის თვალსაზრისით განიხილავს და ამტკიცებს, რომ სივრცულობა თვით გრძნობის ორგანოს თანდაყოლილი თვისებაა და არა ცნობიერების აპრიორული ფორმა, როგორც ეს კანტს ესმოდა. ჩვენი მხედველობა იმთავითვე სივრცულია, ვინაიდან თვალის ბადურაზე არსე-

ბობს სიდიდის, დამორებულობისა და სხვა სივრცული თვისებების შემეგრძნობი სპეციფიკური წერტილები. მიულერი ითვლება ე.წ. *ნატივისტური* თვალსაზრისის ცენტრალურ ფიგურად, რომლის მიხედვითაც სივრცის აღქმა თანდაყოლილია. ამ თვალსაზრისს დაუპირისპირდა ე.წ. *გენეტიზმი*, რომელიც სათავეს ინგლისურ ემპირიზმში იღებს, ხოლო გერმანულ ფილოსოფიაში ერთგვარად ლოტცესთან არის წარმოდგენილი (ის. 3.2. 3.3.). ფიზიოლოგიაში ეს თვალსაზრისი გამოთქვეს ბელმა, შტეინბუხმა და ჰელმჰოლცმა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ სივრცის აღქმა შეძენილია სენსორული მასალის და კუნთური შეგრძნებების ურთიერთობის შედეგად. მიულერის პოზიცია გაიზიარეს ფსიქოლოგმა შტუმფმა და ფიზიოლოგმა ეგალდ ჰერინგმა (1834-1918). ეს უკანასკნელი თვლიდა, რომ თვალს იმთავითვე აქვს სივრცული მხედველობის უნარი. ბადურის სათანადო წერტილები აღიქვამს სიმაღლეს, მიმართულებას და სიღრმეს.

საერთოდ, ჰერინგი გრძნობის ორგანოთა ფიზიოლოგიის ერთ-ერთი ავტორიტეტული მკვლევარი იყო. ცნობილია მისი პოლემიკა ჰელმჰოლცთან შეგრძნებისა და აღქმის პრინციპულ საკითხებზე. ჰელმჰოლცი გენეტისტი იყო, ჰერინგი – ნატივისტი. განსხვავდებოდა მათი თვალსაზრისი ფერთა შეგრძნების საკითხშიც. ჰელმჰოლცი იზიარებდა და იცავდა ფერთა შეგრძნების თეორიას, რომელიც 1801 წელს წარმოადგინა თ. იუნგმა. ამ მოდელის თანახმად, თვალში არსებობს სამი სახის რეცეპტორი (ბოჭკო), რომლებშიც სამგვარი ელემენტარული აგზნების პროცესი მიმდინარეობს; მათ შეესაბამება წითელი, მწვანე და იისფერი შეგრძნებები. დანარჩენი ფერები ამ ბოჭკოების ერთდროული (მეტ-ნაკლები) აგზნების შედეგია. ამ კონცეფციას *სამკომპონენტიანი თეორია* ეწოდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჰერინგმა ჩამოაყალიბა თავის *ფოტოქიმიურ თეორია*, რომლის თანახმად ფერის შეგრძნება დამოკიდებულია ბადურაში მოთავსებული სამი სახის ფოტორეცეფტორში მიმდინარე ასიმილაციისა და დისიმილაციის პროცესებზე. თითოეული რეცეპტორი შეიცავს ქიმიურ სუბსტრატს, რომელიც იძლევა შეგრძნებათა წყვილს: თეთრი-შავი, წითელი-მწვანე, ყვითელი-ლურჯი. დისიმილაციის პროცესი იწვევს წყვილის პირველი წევრის შეგრძნებას, ხოლო ასიმილაციის პროცესი – მეორისას. ამ შეხედულებათა დაპირისპირება მომდევნო საუკუნეშიც გაგრძელდა; საბოლოოდ, გადამწყვეტი უპირატესობა ვერც ერთმა მოიპოვა, ვინაიდან ორივე შემთხვევაში არსებობდა ფაქტები, რომელთა დამაკმაყოფილებელი ახსნა ვერ ხერხდებოდა.

გრძნობის ორგანოთა ფიზიოლოგიის განვითარებაში დიდი დამსახურება მიუძღვის **ერნსტ ვებერს** (1795-1878). მისი კვლევის ძირითადი ობიექტი შეხებისა და კუნთური მგრძნობელობა იყო. ვებერი კანის მგრძნობელობაში განასხვავებდა სამი სახის შეგრძნებას: შეხება, ტემპერატურა და ლოკალიზაცია (გაღიზიანების ადგილმდებარეობა კანის ზედაპირზე). ამ უკანასკნელის შესასწავლად გამოიგონა ხელსაწყო, რომელსაც ესთეზიომეტრი ანუ ვებერის ფარ-

ტალი ეწოდა. ამ ხელსაწყოს გამოყენებით გაირკვა, რომ კანზე ერთდროულად მოქმედი ორი გამღიზიანებლის ლოკალიზაციის დადგენისთვის ანუ ერთმანეთისაგან გარჩევისთვის, ისინი გარკვეული მანძილით უნდა დაშორდნენ ერთმანეთს. ექსპერიმენტებში ესოეგიომეტრით ერთდროულად ღიზიანდებოდა კანის სხვადასხვა წერტილი და ფიქსირდებოდა ის მინიმალური დაშორება, როცა ცდისპირი პირველად იგრძნობდა მათ შორის განსხვავებას. აღმოჩნდა, რომ ეს მანძილი კანის სხვადასხვა ადგილას განსხვავებულია (მაგ., ზურგზე 30-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე თითზე). ვებერი ამას სხვადასხვა ადგილას ნერვული ბოჭკოების განსხვავებული სიხშირით ხსნიდა. მისმა თანამედროვეებმა სწორედ ამ მონაცემებზე გაამახვილეს ყურადღება. მაგრამ, ფაქტობრივად, ვებერის კვლევების ძირითადი მონაპოვარი იყო *სხვაობის ზღურბლის* იდეა, რომელიც ცენტრალური გახდა ფსიქოფიზიკისთვის. ამ ცდებში ხომ, არსებითად, ორი შეგრძნების ერთმანეთისაგან გარჩევა ხდებოდა. გარჩევის მგრძნობელობის უნარი, ანუ სხვაობის ზღურბლი, სხვა მოდალობებშიც შემოწმდა. მაგალითად, კუნთური შეგრძნებისას ცდისპირს უნდა შეემჩნია მინიმალური სხვაობა ორ წონას შორის. აღმოჩნდა, რომ ორ წონას შორის სხვაობის შესამჩნევად მომდევნო წონა წინაზე 1/40 მეტი ან ნაკლები უნდა იყოს. ვებერმა განაზოგადა სხვადასხვა მოდალობაში ჩატარებული გაზომვა და დაასკვნა, რომ საზოგადოდ შეგრძნებათა შორის სხვაობის გასარჩევად საჭიროა, რომ საწყის და მომდევნო გამღიზიანებელთა ინტენსივობას შორის გარკვეული თანაფარდობა არსებობდეს; ამასთანავე, ერთი ორგანოს ფარგლებში ეს თანაფარდობა მუდმივი სიდიდეა. ვებერთან, ფაქტობრივად, მოცემულია მოსაზრება შეგრძნების გაზომვის შესახებ, რომელიც შედგომში შეამოწმა, დააზუსტა და მათემატიკურად გამოხატა ფეხნერმა. მაგრამ სანამ ფესნერსა და მის მიერ ჩამოყალიბებულ ფსიქოფიზიკას შევეხებოდეთ, დავასრულოთ საუბარი გრძნობის ორგანოთა ფიზიოლოგიაზე. აქ გვერდს ვერ ავუვლით XIX საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს მეცნიერ- ბუნებისმეტყველს, ჰელმჰოლცს.

**ჰერმან ჰელმჰოლცის** (1821-1894) შემოქმედება მეტად მრავალფეროვანია. იგი ერთნაირი უფლებით შეიძლება ჩაითვალოს ფიზიკოსად, ფიზიოლოგად და ფსიქოლოგად. ზოგიერთი მეცნიერების ისტორიკოსი ჰელმჰოლცს ფეხნერთან და ვუნდტთან ერთად, ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის უფროსად მიიჩნევს. როგორც ფიზიკო-ქიმიური სკოლის ერთ-ერთი ლიდერი, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ჰელმჰოლცი პრიორიტეტს ფიზიკას ანიჭებდა, და თვლიდა, რომ ფიზიკის კანონები, განსაკუთრებით ენერგიის შენახვის კანონი, ცოცხალ ბუნებაზეც უნდა ვრცელდებოდეს. ამიტომ, ბორინგის თქმით, ფიზიოლოგიაში ჰელჰოლცი უფრო ფიზიკოსი იყო, ხოლო ფსიქოლოგიაში – უფრო ფიზიოლოგი. სწორედ ამის წყალობით მან უთუოდ განამტკიცა ფსიქოლოგიის საბუნებისმეტყველო

საუუძველი.

ჰელმჰოლცი მოღვაწეობდა გერმანიის სხვადასხვა უნივერსიტეტში. ფსიქოლოგიისთვის ყველაზე ნაყოფიერი პერიოდი დაემთხვა მის მუშაობას ჰაიდელბერგში, სადაც მისი ასისტენტი ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის მომავალი ფუძემდებელი ვ. ვუნდტი იყო. აქ შეიქმნა ორი ფუნდამენტური მონოგრაფია: "ფიზიოლოგიური ოპტიკა" და "ტონების შეგრძნება", რომლებიც სამოციან წლებში გამოქვეყნდა და მხედველობისა და სმენის შეგრძნების სფეროში კლასიკურ გამოკვლევებად იქცა. მათ დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა. ორივე ამ ნაშრომს ერთნაირი სტრუქტურა აქვს და სამ ნაწილს შეიცავს: სინათლის და ბგერის ფიზიკა, გრძნობის ორგანოს ანატომია- ფიზიოლოგია და სათანადო მოდალობის შეგრძნების ფსიქოლოგია. შეიძლება ითქვას, რომ ამ მონოგრაფიებში სრულად განხორციელდა ავტორის ფართო მეცნიერული ინტერესები. მანამდე ჰელმჰოლცმა გამოიგონა ხელსაწყო ოფტალმოსკოპი, რომელსაც თვალის შესწავლისთვის რევოლუციური მნიშვნელობა ჰქონდა. უფრო ადრე კი (1850) მან პირველმა გაზომა ნერვში აგზნების გავრცელების სიჩქარე. ამ აგზნების ელექტრული ბუნება ერთი წლით ადრე დაამტკიცა მისმა მეგობარმა დიუბუა-რაიმონმა. ეს უდიდესი აღმოჩენები იყო, რომლებიც საფუძველს აცლიდნენ ვიტალისტურ სპეკულაციებს ნერვში "ცხოველური სულების" გავრცელების თაობაზე. უნდა ითქვას, რომ იმ დროს ვიტალიზმს ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი პოზიციები ჰქონდა. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ ისეთმა დიდმა ფიზიოლოგმაც კი, როგორიც იყო მიულერი, კატეგორიულად უარყო ჰელმჰოლცის მიერ მიღებული შედეგები.

საერთოდ, მიუხედავად იმისა, რომ მიულერი ჰელმჰოლცისთვის დიდ ავტორიტეტს წარმოდგენდა, მათი პოზიციები მთელ რიგ საკითხებში სერიოზულად განსხვავდებოდა. მაგალითად, მიულერი მკაცრი ნატივისტი იყო, ჰელმჰოლცი ასეთივე თანმიმდევრული გენეტისტი. ჰელმჰოლცს მიაჩნდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ შეგრძნების სფეროში მიულერის სპეციფიკური ენერგიის კანონი ფუნდამენტური მნიშვნელობის პრინციპს გამოხატავს და იგი ისევე უდავოა, როგორც ნიუტონის ფიზიკის კანონები, მას მაინც გარკვეული დაზუსტება ესაჭიროება. კერძოდ, ის უნდა გავრცელდეს შეგრძნების მოდალობებიდან შეგრძნების რომელობებზეც, ე.ი. სპეციფიკური ენერგია აქვს არა მხოლოდ ცალკე გრძნობის ორგანოს, არამედ ყოველი რეცეპტორი, მაგალითად თვალი ან ყური, იმდენი სპეციფიკური ენერგიის ორგანოს შეიცავს, რამდენი ძირითადი ფერის თუ ტონის შეგრძნებაც არსებობს. სპეციფიკური ენერგიის კანონის ასეთი ფართო მეთოდოლოგიური გააზრება პროდუქტიული აღმოჩნდა კონკრეტულ კვლევებში, რომლებშიც თითოეული რომელობის შეგრძნებისთვის თავისი სპეციფიკური რეცეპტორი იქნა აღმოჩენილი.

გარდა ამისა, ჰელმჰოლცმა რამდენადმე განსხვავებული შეხედულება გამოთქვა იმაზე, თუ ანალიზატორის რომელ ნაწილშია ჩანერგილი სპეციფიკური ენერგია. მიულერი მას ნერვის ბოჭკოში ათავსებდა. ჰელმჰოლცს მიაჩნდა, რომ არც გამტარ ნერვში და არც გრძნობის ორგანოში რაიმე

სახის სპეციფიკური ფიზიოლოგიური პროცესი არ იჩენს თავს – ისინი მუდამ ერთსახოვან აგზნებას ატარებენ. სპეციფიკური ენერგია მოთავსებულია გრძნობის ორგანოს შესატყვის თავის ტვინის ცენტრში. ამ მოსაზრებას დაუპირისპირდა ვუნდტი. იგი სპეციფიკური ენერგიის სამკეიდროდ თვით რეცეპტორს თელიდა, რომლის აგებულება გარკვეული გაღიზიანებლების მისაღებად ჩამოყალიბდა ხანგრძლივი ევოლუციის პროცესში.

ასეა თუ ისე, ჰელმჰოლცი იზიარებდა მიულერის კანონის მთავარ იდეას იმის შესახებ, რომ შეგრძნება გამოხატავს არა იმდენად საგნის თავისებურებას, რამდენადაც ნერვულ-სენსორული სისტემის მდგომარეობას. გარე სტიმულები ათავისუფლებენ სპეციფიკურ ენერგიას, რაც სათანადო შეგრძნების სახით განიცდება. მაგრამ, ჩვეულებრივ, შეგრძნებები სუფთა სახით არ არსებობენ; ისინი ყოველთვის მოცემული არიან, როგორც საგნის გრძნობადი თვისებები: ჩვენ განვიცდით, რომ სწორედ საგანია შავი, მყერი, ცივი და სხვა. როგორც ბუნებისმეტყველი, ჰელმჰოლცი ვერ უარყოფს გამოცდილებაში მოცემულ კავშირს აღქმის საგანსა და შეგრძნებას შორის. ამასთანავე, იმასაც ვერ ამბობს, რომ შეგრძნება გარე ობიექტს ასახავს, ვინაიდან, შეგრძნების თვისებას, მისი მეთოდოლოგიური პოზიციის თანახმად, ორგანოს თვისება განსაზღვრავს. ამ წინააღმდეგობის დაძლევას ჰელმჰოლცი ე.წ. *სიმბოლოების თეორიით* ცდილობს. ამ თეორიის მიხედვით, საგანი და შეგრძნება ერთმანეთთან არის დაკავშირებული – შეგრძნება ნიშანია, რომელიც ისევე ჰგავს საგანთა რეალურ თვისებას, როგორც იეროგლიფი თავის მნიშვნელობას. შეგრძნება მხოლოდ საგანთა თვისებებს აღნიშნავს, თუმცა ეს საესებით საკმარისია ობიექტებთან ნორმალური და წარმატებული ურთიერთობის დასამყარებლად.

ჰელმჰოლცმა აღმოაჩინა მრავალი ეფექტი თუ ფენომენი მხედველობისა და სმენის სფეროში, რითაც, ფაქტობრივად, სათავე დაუდო ცოდნის ახალ დარგს – *ფსიქოფიზიოლოგიას*. ამავე დროს, მან შექმნა მხედველობისა და სმენის თეორიები, რომლებიც დღესაც მთავარ ამხსნელ მოდელებად რჩებიან. ჰელმჰოლცის მხედველობის თეორიას ზემოთ უკვე შეეხეთ და აღვნიშნეთ, რომ ჰერინგის თეორიის სახით მას სერიოზული კონკურენტი ჰყავს. რაც შეეხება სმენის თეორიას, რომელსაც "რეზონანსის თეორიას" უწოდებენ, იგი, პრაქტიკულად, საყოველთაოდ არის აღიარებული. ამ შეხედულების თანახმად, ლოკოკინაში მოთავსებულ მემბრანაზე გაჭიმულია ნერვული ძაფები, რომლებიც, არსებითად, რეზონატორებს წარმოადგენენ. თითოეული მათგანის აეღერება მხოლოდ გარკვეული სიხშირის ტალღას შეუძლია. რაც უფრო გრძელია ნერვული ძაფი, მით უფრო დაბალია ხმა და პირიქით.

ყოველივე ეს შეგრძნებებს ეხება. რაც შეეხება აღქმას, იგი თითქმის არასდროს არის შედგენილი მხოლოდ აქტუალური სენსორული მონაცემებით. აღქმა ყოველთვის მეტია იმაზე, რაც შეგრძნებებშია მოცემული. აღქმის ხატი შევსებულია გამოცდილებით, რომელიც ასოციაციისა და გამეორების პროდუქტს წარმოადგენს. აღქმაში გამოცდილებისა და სენსორული მონაცემების გაერთიანება არაცნობიერად, დასკვნის მსგავსად მიმდინარეობს. ასე-

თია ჰელმჰოლცის ცნობილი *არაცნობიერი დასკვნის თეორიის* დედააზრი. ერთი შეხედვით ეს თვალსაზრისი იმთავითვე მცდარია, რადგანაც დასკვნა, როგორც აზროვნების ცნობიერი პროცესის შედეგი არ შეიძლება არაცნობიერი იყოს. ჰელმჰოლცი კარგად ხედავდა ამ კონტექსტში აღნიშნული ტერმინის გამოყენების უხერხულობას და პირობითობას. იგი მიუთითებდა, რომ აქ ნამდვილი დასკვნა, ანუ აზროვნების ცნობიერი პროცესი არ იგულისხმება. აღქმის ხატის ჩამოყალიბებისას მხოლოდ დასკვნის მსგავს სენსომოტორულ ან ნერვულ პროცესებთან გვაქვს საქმე, რომელთა ნამდვილი ბუნება ჩვენთვის უცნობია, ხოლო დასკვნასთან შედარება უბრალოდ შედეგის მიხედვით ანალოგიას წარმოადგენს.

ჰელმჰოლცი არაცნობიერი დასკვნის სამ არსებით ნიშანს გამოყოფს: 1) არაცნობიერი დასკვნის შედეგების დაძლევა. შეცვლა ცნობიერების ზემოქმედების გზით ვერ ხერხდება. არაცნობიერი დასკვნა უშუალო და საყოველთაო ხასიათის მქონე განცდაში ვლინდება. ასე მაგალითად, ფერთა კონტრასტის მოვლენა, რომელიც არაცნობიერი დასკვნის გამოვლინებაა, ცნობიერების ზემოქმედებას არ ექვემდებარება. 2) არაცნობიერი დასკვნა გამოცდილების პროდუქტია. მისი შემუშავების მექანიზმი ასოციაციურია. გამეორების გამო ასოციაცია, ანუ არაცნობიერი დასკვნა, ხდება, ერთი მხრივ, დაუძლეველი, ხოლო მეორე მხრივ, ჩვეული და არაცნობიერი. 3) არაცნობიერი დასკვნის მოქმედების საევარაუდო პრინციპი სენსომოტორული კავშირების შექმნაში მდგომარეობს. მაგალითად, დასკვნა საგნის სიღიდის შესახებ ბადურაზე გამოსახულების ზომისა და თვალის კუნთების დაძაბულობის დონის ურთიერთშეჯერების შედეგად მიიღება.

არაცნობიერი დასკვნის თეორიის ისტორიული მნიშვნელობა ისაა, რომ მასში მითითება გაკეთდა ისეთ ფუნდამენტურ ფსიქიკურ პროცესებზე თუ მექანიზმებზე, რომელთა მოცემულობის სახე და მოქმედების წესი ინტროსპექციას არ ექვემდებარება და მხოლოდ ობიექტური ანალიზის გზით შეიძლება იყოს დადგენილი. გარდა ამისა, ეს თეორია შეიცავდა მითითებას სენსორული და ინტელექტუალური კომპონენტების ერთიანობაზე პერცეპტული ხატის ჩამოყალიბების პროცესში, რასაც თანამდეროვე კოგნიტური ფსიქოლოგია მთლიანად აღასტურებს.

## 4.2. ფსიქოფიზიკა

1860 წელს გამოვიდა ფეხნერის წიგნი "ფსიქოფიზიკის ელემენტები". ფსიქოლოგიის ისტორიაში ის მართებულად არის მიჩნეული პირველ ფუნდამენტურ შრომად ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიაში. მართლაც, ფსიქოფიზიკის პრობლემატიკა ჭეშმარიტად ფსიქოლოგიურია, ხოლო კვლევის მეთოდოლოგია – წმინდა ექსპერიმენტული. ჩვენ უკვე დავრწმუნდით, რომ ექსპერიმენტულ ფიზიოლოგიურ კვლევებში ბევრი მართლაც ფსიქოლოგიური საკითხი გამოჩნდებოდა და შესაძლებლობის ფარგლებში შეისწავლებოდა. ეს საკითხები გრძნობის ორგანოთა ფიზიოლოგიისა და შეგრძნების ფსიქოლოგიის გადაკვეთაზე დაისვა. შეგრძნება, როგორც განცდა, ფსიქოლოგიური

მოვლენაა და არა ფიზიოლოგიური. მიუხედავად ამისა, გრძნობის ორგანოთა მოქმედების ფიზიოლოგიური მხარის შესწავლისას აუცილებლად დგებოდა, როგორც საკუთრივ ფსიქოლოგიური, ისე ფსიქოფიზიოლოგიური ანუ ორგანული და ფსიქიკური პროცესების ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებული საკითხები. ფსიქოფიზიკა იმ სახით, როგორც ეს ჩამოყალიბა ფეხნერმა, არის მოძღვრება ფსიქიკურისა (შეგრძნების განცდა) და ფიზიკურის (ობიექტური გამღიზიანებელი) ურთიერთმიმართების შესახებ. ფსიქიკურისა და ფიზიოლოგიურის ურთიერთმიმართებას ფეხნერი გულისხმობდა, თუმცა არ შეისწავლიდა. ფსიქოფიზიკა კვლევის საგნით, პრობლემატიკით ნამდვილ ფსიქოლოგიაა, რაც გასაგებს ხდის იმ გარემოებას, რომ ფეხნერის მოღვაწეობა საფუძველად დაედო შემდგომი დროის ინტენსიურ მუშაობას ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიაში, რომელშიც გამორჩეულად დიდი ადგილი თავდაპირველად სწორედ ფსიქოფიზიკურ პრობლემატიკას ეკავა. ობიექტურად ეს მარილაც ასე იყო, მაგრამ თვით ფსიქოფიზიკის ფუძემდებელს არც კი უფიქრია იმაზე, რომ იგი ფსიქოლოგიას ემსახურებოდა. მისი ერთადერთი ჭეშმარიტი გატაცება ფილოსოფია იყო, ფსიქოფიზიკა კი — მხოლოდ საშუალება ფილოსოფიური დებულებების ემპირიული დასაბუთებისა. ფეხნერი ფსიქოფიზიკას ცოდნის დამოუკიდებელ დარგად მიიჩნევდა, რომელიც ექსპერიმენტულად შეისწავლიდა მატერიისა და სულის ურთიერთმიმართების ფილოსოფიურ პრობლემას. რეალურად კი ფეხნერის მეცნიერულმა მოღვაწეობამ უდიდესი როლი ითამაშა ფსიქოლოგიის განვითარებაში და თითქმის არ დასტყობია ფილოსოფიას. ფეხნერის მეცნიერულ ბიოგრაფიაში ყველაზე მეტად ეს მომენტია აღსანიშნავი.

**გუსტავ თეოდორ ფეხნერმა** (1801-1887) დაამთავრა ლაიფციგის უნივერსიტეტი და მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე ამ ქალაქში გაატარა. ახალგაზრდა ფეხნერმა სახელი გაითქვა, როგორც ბრწყინვალე ფიზიკოსმა ექსპერიმენტატორმა. მან ჩაატარა მნიშვნელოვანი კვლევები ელექტრობასა და ოპტიკაში. ოპტიკური კვალის მოვლენის შესწავლისას, ფერადი ლინზებით მზის ყურებამ მას მხედველობა დაუზიანა. ამას დაერთო ინტენსიური მუშაობით გამოწვეული დეპრესია. ხანგრძლივმა ავადმყოფობამ რადიკალურად შეცვალა ფეხნერის მსოფლმხედველობა. მას გაუღრმავდა რელიგიურ-ფილოსოფიური ცნობიერება და გაეზარდა ინტერესი სულის პრობლემატიკის მიმართ. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო 1844 წელს ფეხნერმა უარი

თქვა ფიზიკოსის აკადემიურ კარიერაზე და მთლიანად ფილოსოფიაზე გადაერთო. მან ბევრი ფილოსოფიური ტრაქტატი დაწერა, მაგრამ ამ შრომებს გამოხმაურება არ მოჰყოლია. და მაინც, რომ არა ფილოსოფიური ინტერესი, იგი ფსიქოფიზიკის ფუძემდებელი ვერ გახდებოდა და ვერც საპატიო ადგილს დაიმკვიდრებდა მეცნიერების ისტორიაში.

ფეხნერი ამტკიცებდა, რომ ცნობიერება გამსჭვალავს სამყაროს. ყოვე-

ლიეე არსებული სულიერია. სული და სხეული განუყოფელია, ესაა არა "სხვადასხვა სუბსტანცია, არამედ ერთი და იმავე პირველარსების (ღმერთის) გამოვლინების ორი ფორმა. მატერიალური იგივე სულიერია, მაგრამ იმ ფორმაში, რომელშიც ამ უკანასკნელს სხვები ხედავენ". სული და სხეული მხოლოდ დამკვირვებლის თვალსაზრისით განირჩევა. რადგან სულიერი მოვლენები, მატერიალური რეალობის მსგავსად, რეალურია. პრინციპში, შესაძლებელი უნდა იყოს მათი გაზომვაც. საკითხის ასეთ დასმაში ფეხნერის ფიზიკოსობა გამოჩნდა. ფეხნერს, გამოცდილ ფიზიკოს ექსპერიმენტატორს, არ სურდა დარჩენა განყენებული ფილოსოფიური მსჯელობების დონეზე. იგი ეძებდა თავისი შეხედულების მეცნიერულ საფუძველს. როგორც შემდგომში თვითონ იხსენებდა, 1850 წლის ოქტომბრის ერთ-ერთ დილას მან ბოლოს და ბოლოს მიაგნო იდეას, რომლის თანახმად ფიზიკური ენერგიის (გამღიზიანებლის) ზრდა შესაგყვისი ფსიქიკური ინტენსივობის (შეგრძნების) საზომად შეიძლება იქნეს გამოყენებული. აქედან მოყოლებული დაიწყო სისტემატური მუშაობა შესაბამისი ფიზიკური და ფსიქიკური მოვლენების ურთიერთმიმართების შესასწავლად. ფეხნერმა შეიმუშავა გაზომვის მეთოდები, რომლებიც ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის ოქროს ფონდში შევიდა, დააღგინა ამ გაზომვათა განმაზოგადებელი მათემატიკური აპარატი, ჩაატარა კლასიკური ექსპერიმენტები სიმძიმის, შესებისა და მხედველობის შეგრძნებათა სფეროში. ამ კვლევა-ძიების შედეგები აისახა "ფსიქოფიზიკის ელემენტებში".

შეიძლება ითქვას, რომ ფეხნერის ფსიქოფიზიკას ორი წინამორბედი ჰყავდა. ესენი არიან ჰერბარტი და ვებერი. ჰერბარტისაგან მომდინარეობს ფსიქიკურის გაზომვის და მათემატიკური გამოსახვის იდეა, აგრეთვე ზღურბლის ცნება. რაც შეესება ვებერს, მის მიერ აღმოჩენილი მიმართება ძირითად და დამატებით გამღიზიანებელს შორის, თვით ფეხნერის შეფასებით, ფსიქოფიზიკის საფუძველია და მას სწორედ ფეხნერმა უწოდა ვებერის კანონი.

ფეხნერი ასე აკონკრეტებს ფსიქოფიზიკის ამოცანებს: დადგინდეს მიმართება, ერთი მხრივ, ფიზიკურსა და სულიერს, ხოლო, მეორე მხრივ, სხეულსა და ფსიქიკას შორის. შესაბამისად გამოიყოფა *გარეგანი ფსიქოფიზიკა* (ტერმინში ფსიქოფიზიკა სწორედ ეს მიმართებაა ასახული) და *შინაგანი ფსიქოფიზიკა*. ეს უკანასკნელი ფსიქოფიზიოლოგიურ პრობლემატიკას ეხება. "ფსიქოფიზიკის ელემენტებში" კვლევის საგანს მხოლოდ გარეგანი ფსიქოფიზიკა წარმოადგენდა. ამასთან, მის ავტორს კარგად ესმოდა, რომ ფიზიკურისა და ფსიქიკურის ურთიერთმიმართების ყველა გამოვლინების შესწავლა შეუძლებელი იქნებოდა და ამიტომ შეიზღუდა იმ სფეროს კვლევით, სადაც ეს მიმართება ყველაზე თვალნათლივ და მკაფიოდ არის წარმოჩენილი. ესაა შეგრძნების სფერო. ამგვარად, ფეხნერის ფსიქოფიზიკა გარე გამღიზიანებლისა და შეგრძნების ინტენსივობათა მიმართებას ეხება.

ფეხნერი შემდეგნაირად მსჯელობს: შეგრძნების განცდის ძალის უშუალო გაზომვა ჩვენ არ შეგვიძლია, ვინაიდან ამისთვის არ არსებობს საზომი ერთეული, ეტალონი. ფიზიკური რაოდენობა უშუალოდ იზომება, რადგანაც არის საზომი ერთეული და შეიძლება იმის განსაზღვრა, თუ რამდენჯერ თავსდება ის ჯასაზომ სიდიდეში. შეგრძნების შესახებ კი მხოლოდ

იმის თქმა შეიძლება, რომ ის მეტია ან ნაკლები მეორე შეგრძნებაზე. სამაგიეროდ, შესაძლებელია უშუალოდ გაიზომოს სტიმულის ან გამღიზიანებლის ის ინტენსივობა, რომელიც საჭირო მინიმალური შეგრძნების გამოსაწვევად. გამღიზიანებლის ინტენსივობის ამ დონეს *შეგრძნების ქვედა ზღურბლი* ეწოდა. ეს ზრურბლი გარკვეული მოდალობის შეგრძნების *მგრძნობელობის* მაჩვენებელია. რაც უფრო სუსტი გამღიზიანებელი იწვევს შეგრძნების განცდის აღმოცენებას, მით უფრო მგრძნობიარეა რეცეპტორი და პირიქით. გარდა ამისა არსებობს *შეგრძნების ზედა ზღურბლიც*. ესაა გამღიზიანებლის ის დონე, რომლის შემდეგ გამღიზიანებლის მატებას შეგრძნების გაძლირება აღარ მოჰყვება. ამრიგად, ქვედა და ზედა ზღურბლი (მათ *აბსოლუტურ ზღურბლს* უწოდებენ) აწესებს იმ საზღვრებს, რომელთა შიგნით შეგრძნების განცდა გამღიზიანებლის ინტენსივობის მატების ან კლების შესაბამისად იცვლება.

როგორ ხდება ეს ცვალებადობა? დადგინდა, რომ შეგრძნების განცდის ცვალებადობის მისაღებად გამღიზიანებლის ინტენსიეობა რაღაც გარკვეული სიდიდით უნდა შეიცვალოს. ამ სიდიდეს *სხვაობის ან განსხვავების ზღურბლი* ეწოდება. ესაა გამღიზიანებლის ორ ინტენსიეობას შორის ის მინიმალური სხვაობა, რომელსაც ადამიანი ამჩნევს, ანუ გამღიზიანებლის ძალის შეცვლის მიმართ შეგრძნების მგრძნობელობის მაჩვენებელია. მაგალითად, იმისთვის, რომ შევამჩნიოთ განსხვავება ორი წონის შეგრძნებას შორის, ერთი მეორეზე 1/40-ით (2,5%) მეტი ან ნაკლები უნდა იყოს. მაშასადამე, ადამიანს შეუძლია განასხვავოს ერთმანეთისაგან 40 და 41 გრამი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ წონებში მინიმალური განსხვავების შესამჩნევად ძირითად წონას ყოველთვის რაიმე გარკვეული ოდენობა (ამ შემთხვევაში 1 გრ.) უნდა დავუმატოთ ან დავაკლოთ. თუკი ძირითადი (ამოსავალი) გამღიზიანებელი არის 80 გრამი, მაშინ მეორე წონისაგან მინიმალური განსხვავების შესამჩნევად უკვე 82 გრამის სიმძიმე იქნება საჭირო. აქ მნიშვნელობა აქვს არა აბსოლუტურ სიდიდეს, არამედ მიმართებას ძირითად (ამ შემთხვევაში 40 და 80 გრ.) და დამატებით გამღიზიანებელს (ამ შემთხვევაში 1 და 2 გრ.) შორის. ვებერმა ექსპერიმენტულად დაადგინა, რომ ამა თუ იმ მოდალობის შიგნით ეს მიმართება მუდმივ სიდიდეს წარმოადგენს: შეგრძნების ცვალებადობის შესამჩნევად გამღიზიანებლის მოცემულ ინტენსივობას ყოველთვის მისი ერთი და იგივე ნაწილი (პროცენტი) უნდა დააკლდეს ან მოემატოს. ფეხნერმა ვებერის კანონი ასე გამოხატა: DR/R – constanta (სადაც DR-დამატებითი გამღიზიანებელია, ხოლო R-ძირითადი გამღიზიანებელი). ყველა მოდალობას განსხვავების ზღურბლის თავისი მაჩვენებელი აქვს. მაგალითად, სიგრძის მხედველობითი შეგრძნების დროს ეს მაჩვენებელი 1/50, ხმის სიმაღლის გარჩევისას – 1/160, სინათლის სიკაშკაშისა – 2/100 და ა.შ.

ვებერი ზომავდა მხოლოდ ზღურბლს, ე.ი. არა თვით შეგრძნების ინტენსიეობას, არამედ მიმართებას გამღიზიანებელსა და შეგრძნებას შორის. ფეხნერი უფრო შორს წავიდა. მან არაპირდაპირი გზით თვით შეგრძნების განცდის გაზომვა განიზრახა. იგი შემდეგნაირად მსჯელობდა: სხვაობის ზღურ-

ბლის დადგენისას გვეძლევა ორ შეგრძნებას შორის არსებული ოდნავ შესამჩნევი განსხვავება. თუ ებერის კანონის შესაბამისად, ამ განსხვავების შესამჩნევად საჭირო გამღიზიანებელთა ინტენსივობა ყოველთვის ერთნაირად იცვლება, შეიძლება დავუშვათ, რომ მათ შესატყვის შეგრძნებებს შორის ოდნავ შესამჩნევი განსხვავებაც ერთნაირი იქნება. ფონის შეგრძნების შემთხვევაში ეს ნიშნავს, რომ სიმძიმის ყოველ ობიექტურ საზღურბლე 2,5 პროცენტიან ცვლილებას, ყოველთვის მოპყვება შეგრძნების განცდის ინტენსივობის ერთნაირი სუბიექტური ცვლილება. აქედან გამომდინარე, შეგრძნების ეს ოდნავ შესამჩნევი განსხვავება შეიძლება გამოყენებულ იქნეს შეგრძნების საზომ ერთეულად. ამ ერთეულის გამოყენებით შესაძლებელია კონკრეტული შეგრძნების სიდიდის (ძალის) დადგენა, შეგრძნებათა ურთიერთშედარება. ამისთვის საკმარისია გამოვიანგარიშოთ, თუ რამდენ ოდნავ შესამჩნევ განსხვავებას, ანუ ერთეულს შეიცავს თითოეული შეგრძნება – ქვედა ზღურბლის მინიმალური შეგრძნებიდან გამღიზიანებლის მოცემულ ინტენსივობამდე.

საბოლოოდ ეს მიმართება გამღიზიანებლისა და შეგრძნების ინტენსივობას შორის ფეხნერმა განაზოგადა შემდეგი ფორმულის სახით: $S = K \log R$, სადაც S არის შეგრძნების ინტენსივობა, ხოლო R – გამღიზიანებლის ინტენსივობა. ამ ფორმულაში, მართლაც, მოცემულია შეგრძნების გაზომვის შესაძლებლობა, რადგანაც იგი იძლევა S-ის ოდენობას R-ის ყოველი მნიშვნელობისთვის. ამრიგად, შეგრძნების ინტენსივობა გამღიზიანებლის ინტენსივობის ლოგარითმის პროპორციულია. ესაა *ფსიქოფიზიკის ძირითადი კანონი*, რომელიც შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირადაც: გამღიზიანებლის ზრდა გეომეტრიული პროგრესიით იწვევს შეგრძნების ზრდას არითმეტიკული პროგრესიით.

ძნელია ფეხნერის ღვაწლის გადაფასება ფსიქოლოგიის განვითარების საქმეში. დ. უზნაძის შეფასებით, "ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის ისტორიაში ფსიქოფიზიკური საკითხების კვლევამ სრულიად განსაკუთრებული როლი შეასრულა: ექსპერიმენტი პირველად ამ გზით შეიჭრა ფსიქოლოგიაში და მთელი ათეული წლების განმავლობაში საკითხების დაყენებასა და მათი კვლევის წესს, საზოგადოდ, ფსიქოფიზიკური განწყობა ქმნიდა. აღვილი გასაგებია, რომ ამ პირობებში ყველაზე უფრო დასრულებული და დამუშავებული მეთოდიკა ფსიქოლოგიაში სწორედ ფსიქოფიზიკას ეკუთვნის". ფეხნერმა შექმნა კლასიკური მეთოდიკები, რომლებიც დღესაც გამოიყენება განსხვავებულ ვითარებაში სხვადასხვა სახის ზღურბლების გასაზომად. მათ შორის შეიძლება აღინიშნოს ე.წ. *საზღვრის მეთოდი*, რომელიც აბსოლუტურ ზღურბლს ადგენს. ამ შემთხვევაში სტიმულის ინტენსივობას თანდათან ზრდიან, სანამ ცდისპირი მას არ უპასუხებს, რაც ოდნავ შესამჩნევი შეგრძნების გაჩენაზე მიუთითებს. როგორც წესი, ამ მეთოდის დაღმავალი ვარიანტიც ტარდება; ასეთ დროს სტიმულის ინტენსივობა თანდათან კლებულობს იმ დონემდე, როცა გამღიზიანებელი სრულიად შეუმჩნეველი გახდება. ამ ორი გაზომვის საშუალო მნიშვნელობა არის აბსოლუტური ზღურბლის მაჩვენებელი. განსხვავების ზღურბლის გასაზომად ფეხნერი იყენებდა ე.წ.

*ოდნავ შესამჩნეი განსხვავებების მეთოდს.* ცდისპირს ეძლევა ორი გამღიზიანებელი, რომელთა ინტენსივობას შორის განსხვავებას იგი ვერ ამჩნევს. შემდეგ იწყება ერთ-ერთი გამღიზიანებლის ინტენსივობის თანდათანობითი მატება იმ დონემდე, როცა ცდისპირი პირველად შეამჩნევს განსხვავებას. ამ მეთოდსაც აქვს დადმაეალი ვარიანტი. გარდა ამისა ფეხნერმა სხვა მეთოდებიც შეიმუშავა.

ფსიქოფიზიკის გარშემო უამრავი ითქვა და დაიწერა. ზოგი რამ დაკონკრეტდა, დაიხვეწა და დაზუსტდა. მაგალითად აღმოჩნდა, რომ ფსიქოფიზიკის ძირითადი კანონი მოქმედებს მხოლოდ გამღიზიანებელთა ინტენსივობის საშუალო დიაპაზონში. გარდა ამისა, ზოგიერთ მოდალობაში ის არ დასტურდება (მაგ., გემოს შეგრძნება). მიუხედავად ამისა ისტორიული თვალსაზრისით ფსიქოფიზიკური კვლევის მნიშვნელობა უზარმაზარია. ფეხნერმა, არსებითად, საფუძველი ჩაუყარა ფსიქოლოგიური პრობლემების სისტემატურ საბუნებისმეტყველო-ექსპერიმენტულ კვლევას. დასაბამი მისცა ფსიქიკურ ფენომენთა რეალურ გაზომვასა და მონაცემების მათემატიკური ენით გამოხატვას.

## 4.3. ფსიქომეტრია

კიდევ ერთი პრობლემატიკა, რომლის ემპირიულმა შესწავლამ საფუძველი ჩაუყარა ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიას, ე.წ. *ფსიქომეტრიას* უკავშირდება. ის გულისხმობს ფსიქიკური პროცესების მიმდინარეობის დროის გაზომვას. ფსიქოლოგიური ცოდნის ეს სფერო, თავის მხრივ, *რეაქციის დროის* კვლევაზე იყო დაფუძნებული. ამ უკანასკნელის შესწავლა პირველად ასტრონომებმა დაიწყეს. ეს ამბავი კარგადაა ცნობილი. 1796 წელს გრინვიჩის ობსერვატორიის დირექტორმა სამსახურიდან დაითხოვა თავისი ასისტენტი იმ საბაბით, რომ იგი ვარსკვლავების მერიდიანზე გავლას თითქმის ერთი წამით (უფრო ზუსტად 0,8 წამით) გვიან აფიქსირებდა, ვიდრე თვითონ. მაშინ ციური სხეულების მერიდიანზე გავლის ფიქსაციის ხერხად გამოიყენებოდა ე.წ. "თვალისა და ყურის მეთოდი". ის საკმაოდ სანდო მეთოდად ითვლებოდა და შემდეგში მდგომარეობდა: ტელესკოპს აქვს ვერტიკალური ხაზების საორიენტაციო ბადე. შუა ხაზი ასტრონომიულ მერიდიანს ემთხვევა. დამკვირვებელმა უნდა დაადგინოს ამა თუ იმ ვარსკვლავის მიერ მერიდიანის ხაზის გადაკვეთის მომენტი, რასაც იგი მხედველობისა და სმენის მონაცემების შეთანხმების გზით აკეთებს. დაკვირვების პროცესში მას ესმის მეტრონომის ტიკტიკი. ამ ტიკტიკის ინტერვალი ერთ წამის ტოლია. დამკვირვებელი ორჯერ იმახსოვრებს ვარსკვლავის ადგილს ტელესკოპის ბადეზე: პირველად იმას, რომელზედაც ის იმყოფებოდა უკანასკნელ წამში მერიდიანის გავლამდე და მეორედ ადგილს, რომელზეც იგი აღმოჩნდა მერიდიანის გავლიდან მომდევნო წამში. ამ ორი წერტილისა და მერიდიანის ხაზის ურთიერთშეფარდებით დგინდება ვარსკვლავის მიერ მერიდიანის გადაკვეთის ზუსტი დრო. მონაცემები წამის მეათედებში გამოიხატება, ამიტომაც 0,8 წამის ტოლი შეცდომა დაუშვებლად ჩაითვალა, ასისტენტს კი

საქმისადმი უდიერი დამოკიდებულება დაბრალდა.

ამ ინციდენტმა ცნობილი გერმანელი ასტრონომის ბესელის ყურადღება მიიპყრო. მან შეადარა ერთმანეთს საკუთარი და სხვა ასტრონომების დაკვირვების შედეგები და მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავება აღმოაჩინა. გამღიზიანებელზე რეაგირების სისწრაფის ამ ინდივიდუალურ სხვაობას *პირადი განტოლება* ეწოდა. ეს მოხდა XIX საუკუნის ოციან წლებში. აქედან მოყოლებული ოთხი ათეული წლის განმავლობაში ასტრონომები ინტენსიურად შეისწავლიდნენ ამ ფენომენს ექსპერიმენტისა და მათემატიკის გამოყენებით. წარმოებდა დამკვირვებლის მოქმედების მოღელირება ე.წ. "ხელოვნური ვარსკვლავის მეთოდით", გამოიგონილ იქნა არაერთი ხელსაწყო, მათ შორის ქრონოსკოპი, რომლის მეშვეობითაც შემდგომში, უკვე ფსიქოლოგიურ ლაბორატორიებში, შესრულდა უამრავი გამოკვლევა რეაქციის დროის კანონზომიერებათა შესასწავლად. სამოციანი წლებისთვის ნათელი გახდა, რომ ეს პრობლემატიკა ფსიქოლოგიურია, ამიტომაც ის, თუ შეიძლება ასე ითქვას, შემდგომი კვლევისთვის ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიას გადაეცა. შესაბამისად, სრული უფლებით შეიძლება იმის მტკიცება, რომ ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, გარკვეულწილად, ასტრონომიის ნიადაგზე აღმოცენდა: ამ მეცნიერებამ გადასცა მას გარკვეული პრობლემატიკა, ზოგიერთი ფაქტი და სათანადო მეთოდიკური აპარატი.

დიდი დამსახურება ფსიქომეტრიის განვითარებაში მიუძღვის პოლანდიელ მკვლევარს ფ. დონდერსს (1818-1889). მან დაიწყო შესწავლა ე.წ. *რთული რეაქციებისა*, რომლებშიც ჩართული იყო სხვადასხვა ფსიქიკური პროცესი. დონდერსისთვის ამოსავალი გახდა ფაქტი, რომ სტიმულზე პასუხი არასდროს არის მყისიერი, ის ყოველთვის დაყოვნებულია და აღემატება აგზნების იმპულსის ნერვში გასასვლელად საჭირო დროს. ჰელმჰოლცის გამოკვლევების წყალობით ეს დრო ცნობილი იყო. დაყოვნების ის ნაწილი, რომელიც ამ დროის მიღმა რჩება, გარკვეული ფსიქიკური პროცესების მიმდინარეობას უნდა მიეწეროს. დონდერსმა ამ პროცესების დიფერენცირება სცადა. მან გამოყო ე.წ. A-რეაქცია ანუ *მარტივი რეაქციის დრო*, რომელსაც ინდივიდი ანდომებს გარკვეულ სტიმულზე გარკვეული რეაქციით პასუხს. სიტუაცია შეიძლება გავართულოთ და მივიღოთ B-რეაქცია, როცა სხვადასხვა სტიმულს სხვადასხვა პასუხი შეესაბამება (აქ არჩევანის ფსიქიკური პროცესია ჩართული) და C-რეაქცია, როდესაც პასუხი სხვადასხვა სტიმულთაგან ერთ-ერთს უნდა გაეცეს (აქ გარჩევის, დიფერენცირების პროცესების მონაწილეობა იგულისხმება). თუ ამ რთული რეაქციის დროს გამოვაკლებთ მარტივი რეაქციის დროს, დაგვრჩება დრო, რომელიც სათანადო ფსიქიკური პროცესების მიმდინარეობაზე იხარჯება.

დონდერსის ხაზი გააგრძელა ავსტრიელმა ფიზიოლოგმა ზ. ექსნერმა. ტერმინი "რეაქციის დრო" სწორედ მან შემოიტანა. ფსიქომეტრიულ გამოკვლევებს დიდი ადგილი ეკავა ვუნდტის პირველი ფსიქოლოგიური ლაბორატორიის სამუშაო გეგმაში. ამ ლაბორატორიაში 1888 წელს გერმანელმა ფსიქოლოგმა ლიუდვიგ ლანგემ გამოავლინა განსხვავება ე.წ. *სენსორულ და მოტორულ* რეაქციებს შორის. აღმოჩნდა, რომ რეაქციის დრო საგრძნობ-

ლად იცვლება იმისდა მისედვით, თუ რაზეა მიმართული (განწყობილი) ცდისპირი – გამღიზიანებელზე თუ მოძრაობაზე. პირველ შემთხვევაში ის უფრო დიდია. ლანგეს ეს კვლევა ფსიქოლოგიის ისტორიაში განწყობის მოვლენის ექსპერიმენტული შესწავლის საწყის პუნქტად არის მიჩნეული (იხ. 6.1.).

დასასრულ შეიძლება ითქვას, რომ ფსიქომეტრიულმა კვლევამ, ფსიქოფიზიკის მსგავსად, სათავე დაუდო ფსიქიკური პროცესების რაოდენობრივი მხარის ცდისეულ შესწავლას და, საბოლოო ჯამში, გზა გაუხსნა ფსიქიკური მოვლენებისადმი ობიექტურ-ექსპერიმენტულ მიდგომას.

*ლიტერატურა*


1. ნათაძე რ. ზოგადი ფსიქოლოგია. თბილისი, 1977.
2. უზნაძე დ. ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები. შრომები, ტ.2. თბილსი, 1960.
3. Дессуар М. Очерк истории психологии. СПб., 2003.
4. Ждан А.Н. История психологии. М., 1990.
5. Самойлов В.О. Иллюстрированный очерк истории физиологии. М., 2005.
6. Фресс П., Пиаже Ж. Экспериментальная психология. т.1-2. М., 1966.
7. Шульц Д.П., Шульц С.Э. История современной психологии. СПб., 1998.
8. Ярошевский М.Г. История психологии. М., 1997.
9. Boring E.G. A history of experimental psychology. New York: Appleton-Century-Crofts. 1950.
10. Brett G.S. History of psychology. (Ed. and abridged by R.S.Peters). London: Unvin LTD, 1953.
11. Klein D.B. A history of scientific psychology. New York – London, 1970.
12. Young R.M. Mind, brain and adaptation in the nineteenth century. Oxford: Clarendon Press, 1970.

# თავი 5. ფსიქოლოგიის როგორც დამოუკიდებელი დისციპლინის პირველი თეორიული სისტემები

## 5.1. ცნობიერების შინაარსების ფსიქოლოგია

ვუნდტი უდიდესი ფიგურაა ფსიქოლოგიის ისტორიაში. ფსიქოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერული დისციპლინის ჩამოყალიბება ყველაზე მეტად მის სახელთან არის დაკავშირებული. მასვე ეკუთვნის ფსიქოლოგიური მეცნიერების პირველი თეორიული სისტემა.

**ვილჰელმ მაქსიმილიან ვუნდტი** (1832-1920) დაიბადა გერმანიაში, ბადენის მიწის პატარა ქალაქ ნეკარაუში, პროტესტანტი პასტორის ოჯახში. სწავლობდა მედიცინას ტიუბინჰემის და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტებში. ერთი სემესტრი გაატარა ბერლინში. აქ ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის მომავალი უფუძმდებელი წვრთნას გადიოდა ექსპერიმენტული ფიზიოლოგიის მამად აღიარებულ იოჰანეს მიულერთან. მაშინდელი გერმანიის უნივერსიტეტების სამედიცინო ფაკულტეტები ფართო აკადემიურ ცოდნას იძლეოდნენ: სტუდენტს საშუალება ჰქონდა გამოსულიყო როგორც პრაქტიკოსი ექიმი, ისე მეცნიერი ფიზიოლოგი. ვუნდტმა სწორედ ეს უკანასკნელი გზა აირჩია. 1855 წელს იგი იცავს სადოქტორო დისერტაციას ჰაიდელბერგში და აქვე იწყებს მუშაობას: კითხულობს ლექციებს პრივატ დოცენტის რანგში და ასრულებს მისი სათაყვანებელი მეცნიერის ჰელმჰოლცის ასისტენტის მოვალეობას. ათი წლის მერე მას ენიჭება ექსტრაორდინალური პროფესორის წოდება. ვუნდტის მოღვაწეობის ჰაიდელბერგული პერიოდი ოც წელს გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში მან გაიარა საკმაოდ გრძელი გზა ფიზიოლოგიიდან ფსიქოლოგიამდე. ეს პროცესი მკაფიოდ აისახა მის ნაშრომებში. თავდაპირველად ისინი წმინდა ფიზიოლოგიური ხასიათისა იყო: "მოძღერება კუნთის მოძრაობათა შესახებ" (1858) და "მასალები გრძნობითი აღქმის თეორიის შესახებ" (1862). ორივე ეს თემა იმდროინდელ ფიზიოლოგიაში ფრიად პოპულარული იყო, თუმცა მათი ვუნდტისეული განხილვა, განსაკუთრებით გრძნობადი აღქმის შემთხვევაში, ბევრ ფსიქოლოგიურ მომენტს შეიცავდა. ვუნდტის ინტერესი ფსიქოლოგიისადმი სულ უფრო იზრდებოდა, რაც გამოვლინდა მისი ლექციების კურსში. ეს კურსი 1863 წელს გამოქვეყნდა წიგნად, სათაურით "ლექციები ადამიანისა და ცხოველის სულის შესახებ". ამ ნაშრომაში უკვე მონიშნულია ფსიქოლოგიის აგების ვუნდტისეული პროგრამის ზოგიერთი პუნქტი. ეს პროგრამა სულ უფრო იხვეწებოდა ლექციების კითხვის კვალდაკვალ, რომელთაც საბოლოოდ "ფიზიოლოგიური ფსიქოლოგიის" კურსი დაერქვა. 1873-74 წლებში გამოდის ვუნდტის განთქმული "ფიზიოლოგიური ფსიქოლოგიის საფუძველე-

ბი", რომელმაც ფსიქოლოგიის განვითარებაში ეპოქა შექმნა. ამ ორტომიან მონოგრაფიაში სისტემატურად არის დალაგებული მთელი იმდროინდელი ფსიქოლოგია და, ამავე დროს, მოცემულია ვუნდტის ორიგინალური ფსიქოლოგიური სისტემა. ეს წიგნი შემდგომში ხუთჯერ გამოიცა. ყოველი მომდევნო გამოცემა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ადრინდელისაგან ახალი მასალის სიუხვით. თვით მოძღვრებამ გაცილებით ნაკლები ცელილება განიცადა.

1875 წლიდან იწყება ვუნდტის სამეცნიერო მოღვაწეობის ლაიფციგის პერიოდი. აქ იგი ფილოსოფიის კათედრას ხელმძღვანელობდა და ერთ ხანს ლაიფციგის უნივერსიტეტის რექტორიც იყო. ფსიქოლოგიის ისტორიისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ 1879 წელს ლაიფციგის უნივერსიტეტში ვუნდტის მიერ დაარსდა ფსიქოლოგიური ლაბორატორია. თავდაპირველად ის რამდენიმე ოთახში იყო განთავსებული, ხოლო ცოტა ხანში გადავიდა სპეციალურ შენობაში და ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ადმინისტრაციული სტატუსი მიიღო. ეს იყო პირველი ოფიციალურად ჩამოყალიბებული დაწესებულება, სადაც მიმდინარეობდა ფსიქოლოგიურ-ექსპერიმენტული კვლევა-ძიება და მზადდებოდა პროფესიონალი ფსიქოლოგების კადრები. ამიერიდან ფსიქოლოგია ორგანიზაციულადაც მეცნიერების დამოუკიდებელი დარგი ხდება, რომელსაც აკადემიური, საუნივერსიტეტო სტატუსი აქვს. აქამდე, როგორც ვიცით, ფსიქოლოგია უპირატესად ფილოსოფოსებისა და ფიზიოლოგების ძალებით ვითარდებოდა. ამ მხრივ ძალიან სიმბოლურია, რომ ექსპერიმენტული ფსიქოლოგიური მეცნიერების ფუძემდებელი იმავდროულად საკმაოდ თვალსაჩინო ფიზიოლოგი და ფილოსოფოსი იყო, თუმცა, საბოლოოდ, ფსიქოლოგია ორივესაგან დამოუკიდებელი გახადა. ვუნდტის ფიზიოლოგობაზე უკვე ითქვა. რაც შეეხება ფილოსოფიას, ოთხმოციანი წლები მისი შემოქმედების ფილოსოფიურ პერიოდად შეიძლება ჩაითვალოს. ზედიზედ გამოდის სქელტანიანი მონოგრაფიები: "ლოგიკა", "ეთიკა" და "ფილოსოფიის სისტემა". პარალელურად ვუნდტი ხელმძღვანელობს ინსტიტუტში მიმდინარე ინტენსიურ ექსპერიმენტულ მუშაობას. ამ კვლევების შედეგები ქვეყნდება მის მიერ 1881 წელს დაარსებულ სამეცნიერო ჟურნალში, რომელსაც "ფსიქოლოგიური კვლევები" ეწოდა.

ვუნდტს ურყევად სწამდა თავისი მოძღვრების ჭეშმარიტებისა და თანმიმდევრულად ახორციელებდა ზოგადი ფსიქოლოგიის აგების იმ პროგრამას, რომელიც ფიზიოლოგიური ფსიქოლოგიის პირველივე გამოცემაში ჩამოაყალიბა. ამ პროგრამის ერთ-ერთი პუნქტი ითვალისწინებდა ფსიქოლოგიის ორი სახეობის ან შტოს არსებობას. პირველი *ფიზიოლოგიური ფსიქოლოგიის* სახელწოდებით არის ცნობილი. ეს არის მეცნიერების ექსპერიმენტული დარგი, რომლის კვლევის ობიექტს ელემენტარული ფსიქიკური პროცესები (შეგრძნება-აღქმა, მარტივი ასოციაციები, რეაქციები, გრძნობები და სხვა) შეადგენს. მაღალი რიგის ფსიქიკური მოვლენები და რთული პროცესები ექსპერიმენტული მეთოდით კვლევას არ ექვემდებარება და უნდა შეისწავლებოდეს კაცობრიობის სულიერი ისტორიის პროდუქტების — ენის, მითოლოგიის, ხელოვნების, მორალის, რელიგიისა და სხვათა ანალიზის გზით.

ამ ფსიქოლოგიას ვუნდტმა *ხალხთა ფსიქოლოგია* უწოდა. XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ვუნდტმა ჩაითვალა, რომ ძირითადად შეასრულა თავისი პროგრამის პირველი ნაწილი და შეუდგა ხალხთა ფსიქოლოგიის წერას. ეს გრანდიოზული თხზულება ოცი წლის განმავლობაში იქმნებოდა და ათი მსხვილტანიანი ტომი მოიცვა. ბოლო წიგნი 1920 წელს გამოიცა. ამავე წელს გარდაიცვალა მისი ავტორი. მან მთლიანად მოასწრო დამოუკიდებელი ფსიქოლოგიური დისციპლინის დაფუძნების საკუთარი პროგრამის განხორციელება.

ვუნდტის ცხოვრების და მოღვაწეობის მნიშვნელობა და მთავარი შინაარსი ფსიქოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების ჩამოყალიბებაში მდგომარეობდა. ამიტომ ფსიქოლოგიის საგნის პრობლემა მისთვის არსებითი იყო. დამოუკიდებელ მეცნიერებას თავისი საკუთარი საგანი, კვლევის სფერო უნდა ჰქონდეს. ფიზიოლოგიიდან წამოსული ვუნდტისთვის საკითხი ასე იდგა: ფსიქოლოგია, როგორც ემპირიული, ექსპერიმენტული დისციპლინა ბუნებისმეტყველების ყაიდაზე უნდა იყოს აგებული. მან უნდა მოიპოვოს უტყუარი ფაქტები, განაზოგადოს ისინი და დაადგინოს კანონზომიერებები. მეორე მხრივ, მას იმ მეცნიერებათაგან განსხვავებული საგანი უნდა ჰქონდეს, რომლებმაც უკვე "დაინაწილეს" ბუნების სინამდვილე. ვუნდტამდელ ემპირიულ ფსიქოლოგიაში ფსიქოლოგიისა და ბუნებისმეტყველების საგანთა გამიჯვნა ლოკიდან მომდინარე ტრადიციის საფუძველზე ხდებოდა. ამ თვალსაზრისის თანახმად, ყოველგვარ გამოცდილებას, რომელიც ადამიანის სულში იდეების სახით არის წარმოდგენილი, ორი წყარო აქვს. პირველია ბუნების ობიექტები და მოვლენები, რომელთა შესახებ იდეებს სული შეგრძნებათა ანუ ე.წ. *გარეგანი ცდის* საშუალებით იძენს. მეორე სახის გამოცდილება თვით სულიერი სამყაროდან მომდინარეობს, ე.წ. *რეფლექსიის ანუ შინაგანი ცდის* საშუალებით. ასე გამოიყო გარეგანი და შინაგანი გამოცდილება და შესაბამისად, ბუნებისმეტყველება და ფსიქოლოგია.

ვუნდტი უკუაგდებს ასეთ გაგებას. შინაგანი და გარეგანი ცდის განსხვავება მართებული არ არის. გრძნობა "შინაგანია", რადგან იგი სუბიექტის მდგომარეობას გამოხატავს, ხოლო აღქმა "გარეგანი", ვინაიდან იგი ობიექტებზე მიუთითებს. ფსიქოლოგიას ორივესთან თანაბრად აქვს საქმე, რამდენადაც ორივე განცდაა. ვუნდტი ასაბუთებს გამოცდილების ერთიანობის პრინციპს. არსებობს მხოლოდ ერთი ემპირიული სინამდვილე, რომელიც ადამიანს ეძლევა. ეს არის მისი *ცნობიერების უშუალო გამოცდილება*, ანუ სუბიექტის განცდა. უშუალო გამოცდილებაში არ გამოიყოფა გარეგანი და შინაგანი, ყოველივე მოცემული უკვე ცნობიერებაა, განცდაა. პირველადი მასალა მხოლოდ ეს არის. უშუალო გამოცდილება ყოველგვარი შემეცნების პირველწყაროა – ბუნებისმეტყველურისაც და ფსიქოლოგიურისაც. მასალის მიხედვით მათი გაყოფა არ შეიძლება, სამაგიეროდ შეიძლება მეცნიერული მიდგომის ანუ *თვალსაზრისის მიხედვით.* თუ უშუალო გამოცდილება განიხილება თავის ნამდვილ, ბუნებრივ მოცემულობაში, სუბიექტის განცდის სახით, იგი ფსიქოლოგიური ცოდნის წყაროდ გვევლინება. ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის გრძნობადი მოცემულობა, ფსიქიკური ფორმა, რომელშიც სულიერი მოვლენები, განცდათა სამყაროა

წარმოდგენილი. ასეთი მიდგომისას სინამდვილე გვეძლევა ხატების, წარმოდგენების, გრძნობების, აზრების, ე.ი. ფსიქიკური მოვლენების ან პროცესების სახით. მაგრამ უშუალო გამოცდილებას შესაძლებელია სხვა თვალსაზრისითაც მივუდგეთ, სახელდობრ, განვიხილოთ მისი შინაარსები სუბიექტურისაგან, განცდისაგან განყენებით, როგორც გარე სამყაროში, ჩვენგან დამოუკიდებლად და თავისთავად არსებული ობიექტები თუ მოვლენები. ასეთი თვალსაზრისით დანახული და გადასხვაფერებული უშუალო გამოცდილება ბუნებისმეტყველების კვლევის საგანს შეადგენს.

ავიღოთ ნებისმიერი ფიზიკური მოვლენა, ამბობს ვუნდტი, მაგალითად, სინათლე, ბგერა, ტემპერატურა ან რომელიც გნებავთ საგანი; ისინი მხოლოდ ფიზიკური ფენომენები კი არ არის, არამედ უთუოდ ფსიქიკურიც. ამრიგად, მთელ სინამდვილეს ორი მხარე აქვს. პირველ ყოვლისა, ის აუცილებლად ჩვენს მიერ განიცდება. ამის გარეშე ის არც იქნებოდა ჩვენი გამოცდილების შინაარსი და, შესაბამისად, შემეცნების საგნად ვერ იქცეოდა. მაშასადამე, გამოცდილებაში არ არსებობს არც ერთი მოვლენა, "ჩვენი სულის ბრძმედში რომ არ იყოს გატარებული". ფსიქოლოგიის საგანი მთელი გამოცდილებაა იმ სახით, როგორც ის ჩვენ გვეჩვენება. ბუნებისმეტყველებაც იმავე გამოცდილებას იკვლევს, ოღონდ ისე, თითქოს ის არავის მიერ არ იყოს განცდილი, თითქოს სავსებით ობიექტურად არსებობდეს. შეიძლება ასეც გვეთქვა: ფსიქოლოგია შეისწავლის გამოცდილებას, როგორც განცდას, სულიერ მოვლენას, ხოლო ბუნებისმეტყველება – ამ განცდის ობიექტურ შინაარსს. მაგალითად, ცისარტყელას ხილვისას აღმოცენებული სენსორული თუ ემოციური განცდები ფსიქოლოგიის საქმეა. ფიზიკა ცისარტყელას შესახებ იტყოდა, რომ ეს არის ფერადი რკალი ცის კამარაზე, რომელიც აიხსნება წვიმის წვეთებში სინათლის გარდატეხით, არეკვლით და დიფრაქციით. ე.ი ფიზიკა მსჯელობს არა იმაზე, რაც უშუალო გამოცდილებაში "ხელშესახებად" არის მოცემული, არამედ ცნებითად კონსტრუირებულ სინამდვილეზე; მისი მონაცემები ცნებითი ბუნებისაა: მატერიის მარადიულობა ცნებისეულია, ვინაიდან არც ერთი ცდა თავისთავად არ არის მარადიული.

რა ამოცანები უნდა გადაჭრას ფსიქოლოგიამ, როგორც მეცნიერებამ უშუალო გამოცდილების შესახებ? პირველ ყოვლისა, საჭიროა დადგინდეს, თუ რა *ელემენტებისაგან* შედგება ცნობიერების ყოველი მოვლენა. შემდგომში უნდა გაირკვეს, თუ რა კავშირებს, რა *ფსიქიკურ შენაერთებს* ქმნის ეს ელემენტები და როგორ ურთიერთობაში იმყოფება ერთმანეთთან; დაბოლოს, ფსიქოლოგიამ უნდა დაადგინოს *კანონები,* რომელთა მიხედვითაც მყარდება კავშირები ცნობიერების ფენომენებს შორის და რომელთაც ექვემდებარება მთელი სულიერი სამყარო.

ფსიქიკურ ელემენტებზე მსჯელობისას ვუნდტი საჭიროდ მიიჩნევს ხაზი გაუსვას შემდეგ გარემოებას: სულიერი სამყაროს ყოველი შინაარსი თავისი ბუნებით რთულია. ამიტომ მოსაზრება ცნობიერების ელემენტების შესახებ იმ გაგებით, რომ ისინია ფსიქიკურ მოვლენათა აუცილებლად მარტივი და დაუნაწევრებელი შემადგენელი ნაწილები, გარკვეულად, ანალიზისა და აბსტრაქციის შედეგია. მიუხედავად ამისა, გაწაფული თვითდაკვირვება საშუ-

ალებას იძლევა, გამოიყოს ისეთი ფსიქიკური ელემენტები, რომელთაგანაც შედგება ყოველი რთული სულიერი წარმონაქმნი. ეს ელემენტები ორი სახისაა: *შეგრძნებები და მარტივი გრძნობები.* ეს უკანასკნელი, როგორც წესი, თან სდევს სინათლის, ხმის, გემოს და ა.შ. შეგრძნებებს, საგნების აღქმას, რომლებიც მოგვწონს ან არ მოგვწონს, ყურადღებისა და ნებელობის აქტებს.

ყოველგვარ შეგრძნებას და გრძნობას ორი აუცილებელი თვისება აქვს: *რომელობა და ინტენსიეობა.* ფსიქიკური ელემენტების დასასიათებისას ჩვენ სწორედ მათში არსებულ რომელობით განსხვავებულობებს აღენიშნავთ. შეგრძნების სფეროში ასე ვასხვავებთ ერთმანეთისაგან, მაგალითად, მწვანეს და წითელს, ცივს და ცხელს, ტკბილს და მწარეს და ა.შ. ეს რომელობები ყოველთვის სხვადასხვა ინტენსივობით არის წარმოდგენილი: სუსტი, საშუალო, ძლიერი, ძალიან ძლიერი. გარდა ამისა, შეგრძნებათა სიმრავლეში გამოიყოფა რამდენიმე სისტემა ისეთი შეგრძნებებისა, რომელთა ელემენტებს შორის არავითარი რომელობითი მსგავსება არ არის. ამიტომ შეგრძნებებს, რომლებიც სხვადასხვა სისტემას მიეკუთვნება, *დისპარატულს* უწოდებენ. ასეთებია ტონი და ფერი, სითბო და დაწოლვა და ა.შ. ვუნდტი შეგრძნებათა რვა ასეთ ჯგუფს გამოყოფს: სინათლის, ბგერის, სუნის, გემოს შეგრძნებებს და ე.წ. *საერთო მგრძნობელობაში* შემავალ შეგრძნებათა ოთხ ჯგუფს: ტკივილის, დაწოლვის, ტემპერატურისა და ორგანულ შეგრძნებებს. თანამედროვე ტერმინოლოგიით, ამ დისპარატულ სისტემებს შეგრძნებათა *მოდალობები* ეწოდება.

რაც შეეხება გრძნობებს, ყოველი მათგანი თვისებრივად განსხვავებულ რომელობას ქმნის. მაგრამ მარტივი გრძნობების დახასიათებისას ვუნდტი არ იფარგლება მხოლოდ *სიამოვნება-უსიამოვნების* განზომილებით, როგორც მანამდე იყო გავრცელებული. იგი გრძნობათა უფრო ზუსტ და ხარისხიან ფენომენოლოგიურ ანალიზს აკეთებს და გამოყოფს აგრეთვე *აგზნება-დამშვიდებისა და დაძაბვა-შვების* კატეგორიებს, რომლითაც ხასიათდება თითოეული გრძნობა. ორი განსხვავებული ფერი, მაგალითად წითელი და ცისფერი, შეიძლება ერთნაირად მოგვწონდეს, მაგრამ მათ მიერ გამოწვეული გრძნობა მაინც განსხვავებული იყოს, ვინაიდან პირველი აგვაგზნებს, მეორე კი გვამშვიდებს. ასევე, მეტრონომის ნელი ბგერის მოსმენისას ჩვენი გრძნობა მნიშვნელოვნად ცვალებადობს. ბგერებს შორის ინტერვალში სულ უფრო ძლიერდება გრძნობა, რომელსაც ყველაზე კარგად სიტყვა "დაძაბვა" გამოხატავს, ხოლო უშუალოდ დარტყმის შემდეგ იგი თავის საწინააღმდეგო ემოციაში გადადის, რომელსაც შვების გრძნობა შეიძლება ეწოდოს. აღსანიშნავია, რომ გრძნობათა ეს მიმართულებები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი არ არის და, ასე ვთქვათ, *ემოციათა სამგანზომილებიან სივრცეს* ქმნის, რომელშიც თითოეული ცალკეული ემოცია თავის ადგილს იჭერს. სიამოვნება-უსიამოვნების მსგავსად, აგზნება-დამშვიდებისა და დაძაბვა-შვების პროცესებს შორისაც გრძნობათა უამრავი რომელობითად განსხვავებული სახეა.

ელემენტები მეტ-ნაკლებად რთულ ფსიქიკურ წარმონაქმნებს, ანუ, ვუნდტის თქმით, "შენაერთებს" ქმნიან. თუ შენაერთი უპირატესად შეგრძნებე-

ბისაგან შედგება, მას *წარმოდგენა* ეწოდება, მიუხედავად იმისა, თუ რომელ სფეროს განეკუთვნება იგი – აღქმის, მეხსიერებისა თუ წარმოსახვის. მაგრამ მთავარი აქ ისაა, რომ ყოველი წარმოდგენის, ისევე როგორც "ყოველი ფსიქიკური შენაერთის თვისება არ ამოიწურება მასში შემავალი ელემენტების თვისებებით; ელემენტების გაერთიანების ძალით ყოველთვის წარმოიქმნება ახალი თვისება".

წარმოდგენა, როგორც რთული ფსიქიკური წარმონაქმნი, არ დაიყვანება ელემენტების ჯამზე. ის მეტია, ვიდრე თავისი შემადგენელი ნაწილები. მასში ახალი თვისებრიობაა მოცემული. რამდენიმე ტონის მიერ შედგენილი მელოდია ამ ტონებზე დაუყვანელი ახალი თვისებრიობაა, რაც თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ის შეიძლება *ტრანსპონირებულ* იქნეს სხვა ტონალობაში, მაგრამ ერთი რამ ცხადია – ამ მელოდიაში შესაძლებელია მისი შემადგენელი ტონების გამოყოფა. სხვადასხვა უერი სურათზე ახალ ერთობლიობას ქმნის, მაგრამ მაინც ერთდროულად არსებობს, ჩვენ შეგვიძლია ისინი გავარჩიოთ ერთმანეთისაგან. ერთი სიტყვით, შეგრძნებები შეიძლება შეურეველად განიცდებოდნენ. ემოციების სფეროში ასეთი რამ არ ხდება. ერთდროულად მოცემული მარტივი გრძნობების შერწყმით მიიღება სრულიად ახალი ერთიანი გრძნობა ან ემოციური მდგომარეობა. მის შექმნაში მონაწილე გრძნობების ცალ-ცალკე განცდა უკვე შეუძლებელია. ამას ვუნდტი *ემოციურ მდგომარეობათა ერთიანობის პრინციპს* უწოდებს. ხოლო შეგრძნებები და წარმოდგენები ყოველთვის დაკავშირებულია გრძნობებთან, ვინაიდან გრძნობა ამ უკანასკნელთა მოცემულობის გარეშე არ წარმოიქმნება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ეს კავშირი არ არის მყარი და ერთნაირი, როგორც სხვადასხვა ინდივიდებში, ისე ერთი ინდივიდის შიგნით. ერთი და იგივე ტონი ან მელოდია სხვადასხვა ინდივიდებში და განსხვავებულ სიტუაციებში სხვადასხვა გრძნობას უკავშირდება.

გრძნობათა გაერთიანების შედეგად ხშირად აღმოცენდება რთული ემოცია, რომელსაც ვუნდტი *აფექტს* უწოდებს. აფექტში აგრეთვე შეიძლება გადავიდეს ცალკეული გაძლიერებული გრძნობა. აფექტი, გარდა იმისა, რომ ის ძლიერი გრძნობაა, ხასიათდება ორგანიზმის შიდა პროცესების ინტენსიფიკაციით და გამომხატველ მოძრაობებთან მჭიდრო კავშირით. აფექტებიდან იღებს სათავეს ნებითი მოქმედებები, რომლებიც სულიერი აქტივობის ურთულეს ფორმას წარმოადგენენ. გრძნობა, აფექტი და ნებელობა ერთიანი აფექტურ-ვოლიტური პროცესის სამ საფეხურს შეადგენენ. ისინი ერთმანეთში გადადიან და ერთმანეთს განსაზღვრავენ. ამავე დროს, არც იმის თქმა შეიძლება, რომ ყველა გრძნობა აფექტში გადადის, ან ყველა აფექტი ნებითი მოქმედებით მთავრდება. იმისთვის, რომ რაიმე მოქმედება მოხდეს, უნდა წარმოიქმნას გრძნობისა და წარმოდგენის კავშირი, რომელიც მას მოამზადებს. ასეთ ფსიქიკურ შენაერთს ვუნდტი მოქმედების *მოტივს* უწოდებს. მოტივის წარმოდგენით მხარეს ეწოდება *მოქმედების საფუძველი*, ხოლო გრძნობით მხარეს – *მოქმედების აღმძვრელი*. როდესაც, მაგალითად, ცხოველი თაეს ესხმის მსხვერპლს, მისი მოქმედების საფუძველი მსხვერპლის პერცეპტული ხატია, ხოლო აღმძვრელი – შიმშილის უსიამოვნო გრძნობა.

ადამიანის შემოსვლებში მკელელობის ქმედების საფუძველი შეიძლება იყოს მტრის განადგურების წარმოდგენა, აღმძვრელი კი – სიძულვილი, ეჭვი, შური და სხვა. მაშინ, როდესაც მოტივის როლში გვეელინება ერთი გრძნობა თავისი თანმხლები წარმოდგენებით, საქმე გვაქვს მარტივ *ნებელობით პროცესთან ანუ იმპულსურ მოქმედებასთან.* ამ შემთხვევაში ნებელობით პროცესს მხოლოდ ერთი მოტივი განსაზღვრავს. მაგრამ, თუ ამ პროცესში რამდენიმე მოტივია ჩართული, თუ გრძნობისა და წარმოდგენის რამდენიმე კომპლექსი ერთდროულად აქტუალიზირდება და სხვადასხვაგვარი მოქმედების შესრულების ტენდენციას ქმნის, მაშინ უკვე ადგილი აქვს *საკუთრივ ნებელობით ან რთულ განზრახულ მოქმედებას.* ამ შემთხვევაში ის მოტივი, რომელიც საბოლოოდ განსაზღვრავს მოქმედებას, თანდათანობით გამოიკვეთება ურთიერთდაპირისპირებული მოტივებიდან. როდესაც მოტივთა ბრძოლა ალტერნატივების ცნობიერი აწონ-დაწონის გზით ხდება და არჩევანის აქტით მთავრდება, ნებელობითი მოქმედება არჩევითი ქმედების სახეს იღებს. ამ პროცესის სპეციფიკურ გრძნობით მხარეს ქმნის ყოყმანის, დაეჭვებისა და გადაწყვეტილების თანმხლები გრძნობები.

ელემენტების ფსიქიკურ შენაერთებად გაერთიანება და ამ შენაერთებს შორის კავშირების დამყარება გარკვეულ ფსიქიკურ მექანიზმს ეფუძნება. ასეთად ვუნდგი *ასოციაციას და აპერცეფციას* მიიჩნევენ. მათ შორის ძირეული განსხვავება ისაა, რომ ასოციაცია ცნობიერების პასიური მექანიზმია, ხოლო აპერცეფცია ყოველთვის აქტიურ ცნობიერ მოქმედებას გულისხმობს. ასოციაცია შეიძლება იყოს ერთდროული (სიმულტანური) და თანმიმდევრული (სუქცესიური). ამასთან ერთად, გამოიყოფა ასოციაციური მექანიზმის სამი სახეობა: *შერწყმა, ასიმილაცია და კომპლიკაცია.* შერწყმა არის ელემენტების (შეგრძნების ან გრძნობის) შერევა. ამავე დროს, შერწყმით მხოლოდ ერთი და იმავე მოდალობის ელემენტები ერთიანდება: ტონები, ფერები და ა.შ. წითლისა და ყვითლის შერევის შედეგად მიღებული ნარინჯისფერი შერწყმის მაგალითია. ასიმილაცია ახალ და ძველ შთაბეჭდილებათა ურთიერთობაში ელინდება. ამ შემთხვევაში თავს იჩენს მიმსგავსებისა და კონტრასტის მოვლენები, რის შედეგად აღქმისა და მეხსიერების სფეროში ხშირად წარმოიქმნება ილუზიები. როდესაც ცხელი წყლის შემდეგ ნელთბილი წყალი ცივად გვეჩვენება, ეს ასიმილაციის გამოვლინებაა. ასიმილაციის მექანიზმით აიხსნება ცნობის მოვლენაც. როდესაც ვხედავთ წიგნს, ჩვენ ადვილად ვცნობთ მას ასიმილაციის მეშვეობით, ვინაიდან ამ წუთას აღქმული წიგნი ასოცირდება უწინ ნანახთან. ცნობა, როგორც ასიმილაციის ფორმა, შეიძლება ორ ეტაპად დაიყოს – ნაცნობობის ბუნდოვანი განცდა და საკუთრივ ცნობის აქტი. ისეც ხდება, რომ ნაცნობობის განცდა გვატყუებს და ცნობის ილუზიაში ვვარდებით – ნაცნობი უცნობად გვეჩვენება ან პირიქით. ასოციაციის მესამე სახეობა, კომპლიკაცია, სხვადასხვა მოდალობის ელემენტების ან სხვადასხვა სახის შენაერთების გაერთიანებას გულისხმობს. შერწყმისაგან მას ისიც განასხვავებს, რომ კომპლიკაციური გაერთანების დროს მის შემადგენელ ნაწილებს არ ეკარგება თავისი თვისებრიობა (როგორც, მაგალითად, ნარინჯისფერის შემთხვევაშია, რომელშიც წითელი

და ყვითელი უშუალოდ აღარ ჩანს). ყველა რთული ინტერმოდალური აღქმა, ვუნდტის აზრით, კომპლიკაციის ნიმუშია: ვაშლი ფორმის, ფერის, გემოს, სუნის ერთიანობაა. შერწყმისა და კომპლიკაციის ცნებები ვუნდტს არსებითად ისევე ესმის, როგორც ჰერბარტს.

შესაძლოა ჰერბარტისგანვეა აღებული ტერმინი *აპერცეფციაც*, მაგრამ მას უფრო გრძელი ისტორია აქვს. აპერცეფციის ცნებას იყენებდა როგორც ემპირიული ფსიქოლოგია, ჰერბარტის სახით, ისე რაციონალური ფსიქოლოგია, კერძოდ ლაიბნიცი, ვოლფი, კანტი. აპერცეფციის გაგებაში, როგორც ჩანს, ვუნდტი უფრო ამ უკანასკნელ ტრადიციას გაჰყვა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ თუ ჰერბარტთან აპერცეფცია აღნიშნავდა ძველ შთაბეჭდილებებთან (ე.წ. აპერცეფციულ მასასთან) მათი მსგავსი ახალი შთაბეჭდილების მიერთების მექანიკურ პროცესს, ვუნდტთან აპერცეფცია სხვა ნიშნით ხასიათდება: ის არის აქტიური, შეგნებული და აზრიანი პროცესი. ცნობიერებაში ყოველი შინაარსი შეიძლება ორგვარი სახით, ე.წ. *პერცეფციის ან აპერცეფციის* სახით იყოს მოცემული: "პერცეფციის ქვეშ ცნობიერებაში რაიმე შინაარსის უბრალო ფაქტობრივი შემოსელა უნდა გვესმოდეს, ხოლო აპერცეფციაში – ამ შინაარსზე ყურადღების მიპყრობა". აპერცეფცირებული შინაარსი ცნობიერების ცენტრში გადადის და ამით უფრო ნათელი და მკაფიო ხდება.

ამის მიუხედავად, აპერცეფცია არ უნდა გაეიგივოთ *ყურადღებასთან*. პირველი ცნების მოცულობა ბევრად უფრო ფართოა. რაიმე შინაარსებზე ყურადღების მიპყრობა მხოლოდ პირობაა იმისა, რომ მათზე სხვადასხვა სახის პროცედურები ჩატარდეს, მათი გადამუშავება მოხდეს. აქ იგულისხმება ცნობიერების შინაარსების დანაწევრება, ურთიერთმიკუთვნება, შედარება, აწონ-დაწონა, შეკავშირება და გაერთიანება. ამ მარტივი აპერცეფციული ოპერაციების საფუძველზე წარმოიქმნება *ანალიზისა და სინთეზის* რთული ოპერაციები. როდესაც ისინი მიმართულია იმაზე, რომ განსხვავებული შესაძლებლობებიდან არჩეულ იქნეს მოქმედების საუკეთესო ვარიანტი, აპერცეფცია *ნებელობის* ფუნქციას ასრულებს. აპერცეფციის ძირითადი ფუნქციებია აგრეთვე *აზროვნება და ფანტაზია*. კერძოდ, აზროვნების ისეთი პროდუქტი, როგორიცაა *მსჯელობა* ანალიზის ოპერაციის შედეგია, რადგანაც მსჯელობაში სუბიექტის და მისი თვისებებისა თუ მოქმედებების გამიჯვნა და შემდგომ მათ შორის არსებული ურთიერთმიმართების დადასტურება ხდება. *ცნება* კი სინთეზის ოპერაციის წყალობით წარმოიქმნება. ამ შემთხვევაში ჩვენ რაიმე ნიშანთვისებას წინ წამოვწევთ და სინთეზის გზით მას თაეის შესაბამისი წარმოდგენებს ვუკავშირებთ. ცნება ზოგადი წარმოდგენაა. იგი ხშირად საკმაოდ ბევრი წარმოდგენის ერთობლიობაა, რომელთაც აერთიანებს საერთო ნიშანთვისება. ზოგადად კი აზროვნების სფეროში აპერცეფცია ცნობიერების შინაარსებს ლოგიკურად აწესრიგებს. ფანტაზიის შემთხვევაში წარმოდგენათა კავშირი შედარებით ნაკლებად მჭიდრო და უფრო თავისუფალია.

აპერცეფციის შედეგად ფსიქიკურ შინაარსებს შორის ყოველთვის მიმართებები დამყარდება. ყურადღება, აზროვნება, წარმოსახვა, ნებელობა – აპერცეფციის გამოვლინებებია. აპერცეფციის ცნების საშუალებით ვუნდტის

სისტემაში ხდება ამ ფსიქიკური პროცესების მნიშვნელობის გარკვევა. მათი მეშვეობით აპერცეფცია ცნობიერების შემაკავშირებელ და მაორგანიზებელ ფუნქციას ასრულებს. ფაქტობრივად იმავე ამოცანას ემსახურება ასოციაციის მექანიზმებიც. მაგრამ, როგორც ითქვა, ასოციაციასა და აპერცეფციას შორის არსებითი განსხვავებაა: პირველი პასიურია, ხოლო მეორე – აქტიური. *აქტიურობა* აპერცეფციის ძირეული თვისებაა და ფენომენალურად არის მოცემული უშუალო გამოცდილებაში; ცნობიერებას იგი ეძლევა თვითაქტიეობის, თვითგანხორციელებისა თუ თვითკონტროლის გრძნობათა სახით.

ერთი სიტყვით, ვუნდტის მიხედვით, აპერცეფცია სულიერი აქტივობისა და მოწესრიგებულობის წყაროა. იგი მოწოდებულია, ახსნას ფსიქიკური ცხოვრების ეს უმნიშვნელოვანესი თავისებურებანი, თუმცა თავად რაიმე ახსნას ან გარეშე დეტერმინაციას არ ექვემდებარება. აპერცეფცია ცნობიერების იმანენტური ნიშანი და უნივერსალური ამხსნელი მექანიზმია. ამ თვალსაზრისით აპერცეფცია იმ "განსაკუთრებული შინაგანი სულიერი ძალის" ნიშნებს შეიძენს, რომლებიც, ნებელობის სახით, ვოლუნტარიზმის მოძღვრებაშია მოცემული. ეს შეხედულება ა. შოპენჰაუერის, ფ. ნიცშეს, ე. ჰარტმანის და სხვათა გავლენით საკმაოდ იყო გავრცელებული იმ ხანის გერმანულ ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ აზროვნებაში. მასში ნებელობა ადამიანის ყოფიერების პირველად და აბსოლუტურ ძალად არის აღიარებული. განსაზღვრავს რა ფსიქიკური პროცესების მსელელობას, ნებელობა არაეითარ ახსნას არ ემორჩილება და, მაშასადამე, არსებითად, ზებუნებრივ საწყისად გეეელინება.

ვუნდტის სისტემაში ნებელობა მართლაც ცნობიერების სტრუქტურის უმთავრესი საწყისის სახეს იღებს. ვუნდტი ამ გარმოებას თავადვე უსვამს ხაზს. იგი თავის ფსიქოლოგიას *ვოლუნტარისტულს* უწოდებს და ამით განასხვავებს მას აღრინდელი ფსიქოლოგიის ინტელექტუალიზმისაგან. ვუნდტის სისტემის ვოლუნტარისტული ბუნება ყველაზე თვალსაჩინოდ იმაში ვლინდება, რომ აქ ნების ცნება ფაქტობრივად ენაცვლება სუბიექტის ან პიროვნების ცნებას. ვუნდტის ფსიქოლოგია არსებითად *უსუბიექტო* ფსიქოლოგიაა. ის, რომ ასოციაციური პროცესები სუბიექტის მონაწილეობის გარეშე მიმდინარეობენ, თავისთავად ცხადია, მაგრამ ცნობიერების მუშაობის უმაღლეს დონეზეც, რომელიც გამსჭვალულია ადამიანის საკუთარი მე-ს განცდით, ვუნდტი არ უშვებს რაიმე გამაერთიანებელი და მაკონტროლებელი ინსტანციის არსებობას პიროვნების სახით და ისევ ნებელობის აპერცეფციულ პროცესს მიმართავს. კანტის მსგავსად, ვუნდტი ამბობს, რომ "ის, რასაც ჩვენ მე-ს ვუწოდებთ, მხოლოდ ნებელობითი აქტის ერთიანობაა, პლუს ჩვენი ფსიქიკური ცხოვრების უნივერასალური კონტროლი, რომელიც ამას შესაძლებლად ხდის". უნდა ითქვას, რომ ვუნდტი ცდილობდა არ დამორებოდა მეცნიერების მოთხოვნებს, დარჩენილიყო კანონზომიერების ჩარჩოებში და გაემიჯნა თავისი ფსიქოლოგიური შეხედულება შოპენჰაუერის ფილოსოფიური ვოლუნტარიზმისაგან. ზემოთ ითქვა, რომ მოტივის სახით ვუნდტმა თითქოს მართლაც მოუნახა ნებელობით პროცესს საფუძველი, მოაცილა მას ირაციონალურ-მისტიკური იერი და დაუმორჩილა ფსიქიკური მიზეზობრიობის

კანონებს, მაგრამ სინამდვილეში ამან საქმეს ვერ უშველა. რეალურად მოტივი, როგორც ‘არმოდგენისა და გრძნობის შენაერთი, ისევ და ისევ აპერცეფციული სინთეზის შედეგია, ხოლო თვით აპერცეფციის ფენომენი აუხსნელი რჩება.

ბოლო საკითხი, რომელიც ვუნდტის ზოგადფსიქოლოგიურ სისტემაშია დამუშავებული, ეს არის საკითხი ფსიქიკის უზოგადესი კანონების ან პრინციპების შესახებ. აქ პირველ რიგში ჩნდება სულის არსის, ან ფსიქიკის სუბსტანციონალობის პრობლემა. ვუნდტი უარყოფს შეხედულებას მატერიალური და სულიერი სუბსტანციების შესახებ. სუბსტანციაზე ლაპარაკი მხოლოდ საბუნებისმეტყველო თვალსაზრისის ფარგლებში შეიძლება, ვინაიდან, როგორც ითქვა, განსხვავება ბუნებისმეტყველებასა და ფსიქოლოგიას შორის მხოლოდ და მხოლოდ თვალსაზრისშია. პირველადი მოცემულობის სახით აღებული უშუალო გამოცდილება ფიზიკოსის მიერ განიხილება სუბიექტისაგან აბსტრაპირებულად, მისგან დამოუკიდებლად, მუდმივად არსებული ობიექტური სინამდვილის სახით. მის ყოველგვარ გამოვლინებას ერთიანი არსი, მყარი და უცვლელი საფუძველი აქვს. მაშასადამე, მისი ბუნება მატერიალურ-სუბსტანციურია. ფსიქოლოგია ამ ობიექტურ მომენტს უგულებელყოფს. ის გამოცდილების მხოლოდ სუბიექტურ-განცდისეულ მხარეს იღებს. ფენომენოლოგიურად, შინაგანად მოცემულ გამოცდილებაში კი მუდამ ცვალებადი მოვლენები და პროცესები გვეძლევა. მათ უკან არაფერია ისეთი, რაც მყარი და უეჭველი სახით თავისთავად არსებობს და მათ განსაზღვრავს. ფსიქიკური მოვლენების მიღმა არ არსებობს რაიმე მარადიული, სულიერ-სუბსტანციური. აქ ყველაფერი აქტუალურია, განცდის ამჟამინდელი მოცემულობაა.

ამ კონტექსტში ვუნდტი აყალიბებს თავის *სულის აქტუალობის პრინციპს.* ტერმინი “აქტუალობა” რამდენიმე მნიშვნელობით იხმარება. ერთი, როგორც სუბსტანციურობის ოპოზიცია. სული არ არის რაიმე არსი ან სუბსტანცია, რომელიც პრინციპულად განსხვავდება ფსიქიკური პროცესებისაგან; ის თვით ამ პროცესების მსვლელობაა. აქედან გამომდინარეობს აქტუალობის მეორე მნიშვნელობაც: ფსიქიკურის აქტუალობა ნიშნავს აქ და ახლა არსებულ განცდას ან პროცესს. მესამე მნიშვნელობით აქტუალობა პასიურობისა და სტატიკურობის ოპოზიციაა; ფსიქიკური აქტიურია, რამდენადაც ის არის გამოცდილების მუდმივი ქმნადობა, აღდგენა ან განახლება. ამ გაგებით იგი პროცესუალური ბუნებისაა. ამავე დროს, ცნობიერების მიმდინარეობა და ცვალებადობა არ არის შემთხვევითი. მას აქვს მიმართულება, რაგვარობა, თანმიმდევრობა, ერთი სიტყვით ის, რაც კანონზომიერების ცნებით აღინიშნება. ფსიქიკური პროცესები კანონზომიერი პროცესებია.

ვუნდტის თეორიულ სისტემაში საგანგებოდ არის დამუშავებული საკითხი ფსიქოლოგიური კანონზომიერების სპეციფიკის შესახებ. ვუნდტის აზრით, ფსიქიკის სფეროშიც უნდა ვილაპარაკოთ მიზეზობრიობაზე, მაგრამ სხვა მნიშვნელობით, ვიდრე ეს ბუნების მეცნიერებათა სფეროში ხდება. იქ *მექანისტური მიზეზობრიობის* თვალსაზრისია გამეფებული. ამ უკანასკნელის თანახმად, შედეგსა და მიზეზს შორის სრული რაოდენობრივი და თვისებრივი

იგივეობა და შესატყვისობაა. შედეგში ვერ მონახავ ისეთ რაიმეს, რაც უკვე მიზეზში არ იყო მოცემული. ფიზიკური მიზეზობრიობა ენერგიის შენახვის პრინციპს ეფუძნება. ეს არ არის უბრალოდ ორი ურთიერთშეთანხმებული მოვლენა, როდესაც ერთი წინ უსწრებს მეორეს, როგორც ამას ჰიუმი უიქრობდა. ფიზიკური მოვლენები მართლაც იწვევენ ერთმანეთს ისე, რომ არასოდეს ირღვევა ენერგიის რაოდენობრივი ექვივალენტობის პრინციპი. მიზეზი ისე გადადის შედეგში, რომ მათი ენერგიები ყოველთვის ექვივალენტური რჩება.

სულ სხვა მდგომარეობაა ფსიქიკურ მოვლენათა სფეროში. რაკი არ არსებობს სულიერი სუბსტანცია, არ არსებობს სულიერი ენერგიაც და, მაშასადამე, *ფსიქიკურ კაუზალობამე* საუბრისას არ იგულისხმება რაიმე სახის ექვივალენტობა. ფიზიკურ სამყაროში მოვლენათა თანაქმედების რეზულტატი ამ მოვლენათა ჯამის ტოლია, ხოლო რთული ფსიქიკური შენაერთი, მისგან განსხვავებით, ყოველთვის ახალი თვისებრიობის მქონეა, თვისებრიობისა, რომელიც არ გამოიყვანება მისი შემადგენელი ელემენტებიდან; იგი მათ უბრალო ჯამზე მეტია. ყოველივე ეს ჯ.ს. მილის "სულის ქიმიის" ანალოგიურია. ვუნდტი ფსიქიკური კაუზალობის ამ თავისებურებას "ფსიქიკური რეზულტანტების" კანონს უწოდებს. ამ კანონში განხორციელებულია ე.წ. *შემოქმედებითი სინთეზის პრინციპი.* იგი შემოქმედებითია იმდენად, რამდენადაც უშუალო გამოცდილების ელემენტების სინთეზი ახალი თვისებრიობის ქმნადობაა.

ფსიქიკური კაუზალობის მეორე კანონია *ფსიქიკურ მიმართებათა კანონი.* ამ კანონის თანახმად, ყოველი კერძო ფსიქიკური შინაარსი მნიშვნელობას იძენს იმ მიმართებაში, რომელშიც ის ცნობიერების სხვა შინაარსებთან იმყოფება. ამ კანონის მოქმედების გამოვლინებაა, რომ ერთი და იგივე შთაბეჭდილება განსხვავებულად განიცდება იმის მიხედვით, თუ ცნობიერების რა შინაარსების კონტექსტშია მოცემული. მაგალითად, სიტყვებს მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ მოცემული ან ნაგულისხმევი წინადადების გათვალისწინებით, ხოლო გამოთქმულ წინადადებას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმ კაემირის წყალობით, რაც მას რაიმე უფრო ფართო მენტალურ კომპლექსთან აქვს. დაბოლოს, კიდევ ერთი კანონი განასხვავებს ფსიქიკურ მოვლენებს ფიზიკური მოვლენებისაგან. ეს არის ე.წ. *კონტრასტის კანონი.* გარკვეულ პირობებში ურთიერთსაწინააღმდეგო ფსიქიკური მოვლენები აძლიერებენ ერთმანეთს. მაგალითად, ძლიერი ტკივილის მერე მცირედი სიამოვნებაც ნეტარებად განიცდება. ასევე, რაიმე ტკბილი კიდევ უფრო ტკბილად გვეჩვენება, თუ ის მყავე საჭმლის მერე გავსინჯეთ. ფსიქიკურის ეს თავისებურება არსებითად განასხვავებს მას ფიზიკურისაგან, სადაც ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენები თუ პროცესები ერთმანათს ასუსტებენ ან სპობენ.

ცნობიერება არის მუდმივად ცვალებადი შინაარსების მსვლელობა. ისინი თანმიმდევრულად ცვლიან ერთმანეთს ფსიქიკური კაუზალობის კანონების შესაბამისად, მაგრამ ეს კანონები მხოლოდ ცნობიერების დახშული სისტემის ფარგლებში მოქმედებს. ამ სისტემაში, ანუ ცნობიერების სამყაროში,

სხვა. არაფსიქიკური ბუნების მოვლენები (ფიზიკური, ფიზიოლოგიური) არ შემოდის. ეს უკანასკნელნი საკუთარ დახშულ სისტემას ქმნიან, სადაც მექანიკური კაუზალობის პრინციპი ბატონობს. ამდენად, საკითხი სხეულისა და სულის, ფიზიოლოგიურისა და ფსიქიკურის ურთიერთობის შესახებ ვუნდტთან ცალსახად არის გარკვეული; იგი *პარალელისტია*. ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური პროცესები არ შეიძლება ურთიერთშემოქმედებდეს[1]. ასეთი რამ შესაძლებელია მხოლოდ ფსიქიკურ, ანუ ცნობიერების მოვლენებს შორის. ფიზიოლოგიური ფენომენები ფსიქოლოგიური მოვლენების რიგში ვერ აღმოჩნდება. ისინი თავის რიგს ქმნიან, რომელიც ფსიქიკური მოვლენების რიგის პარალელურია. სხეულებრივი და სულიერი მოვლენები ერთმანეთს არ განაპირობებს, მაგრამ სრულ შესატყვისობაშია. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ფიზიოლოგიის მონაცემები, მართალია ვერაფერს მაგებენ ფსიქოლოგიურ ახსნას, მაგრამ მაინც ამდიდრებენ და აესებენ ფსიქოლოგიურ კვლევას, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში სხეულებრივი პროცესები ფსიქიკური პროცესების სიმპტომებად გვეველინება ფიზიოლოგიური მონაცემები, რომლებიც საკმარისად ზუსტად იზომება, ხშირად, მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს სულიერი პროცესების რაგვარობასა და დინამიკაზე.

ტერმინი "ფიზიოლოგიური ფსიქოლოგია" ვუნდტმა იმ მეცნიერების აღსანიშნავად იხმარა, რომელსაც თავის ლაბორატორიაში ავითარებდა. აქ, ცხადია, არ იგულისხმება, რომ ფსიქოლოგიის კვლევის საგანი ფიზიოლოგიური მოვლენები უნდა იყოს. ეს ტერმინი მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ფსიქოლოგიამ თავისი კვლევა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, კერძოდ, ფიზიოლოგიის მსგავსად უნდა წარმართოს. ეს ფსიქოლოგიას ექსპერიმენტულ მეცნიერებად აქცევს; იგი საბოლოოდ გამოეყოფა ფილოსოფიას და დამოუკიდებელი პოზიტიური დისციპლინის სტატუსს შეიძენს. ამგვარად, ფიზიოლოგიური ფსიქოლოგია, ფაქტობრივად, *ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიას* ნიშნავს. ვუნდტმა ფსიქოლოგია საბოლოოდ გადააქცია ექსპერიმენტულ მეცნიერებად, მაგრამ ფსიქოლოგიაში ექსპერიმენტის დამკვიდრება სრულებითაც არ ნიშნავს თვითდაკვირვების უარყოფას. იმდენად, რამდენადაც ფსიქოლოგია, ვუნდტის მიხედვით, უშუალო გამოცდილებას ანუ განცდათა სამკვიდროს შეისწავლის, მისი კვლევის ერთადერთ პირდაპირ მეთოდად ინტროსპექცია რჩება. აქ იგულისხმება არა ჩვეულებრივი, ყოფითი, უსისტემო თვითდაკვირვება, არამედ ექსპერიმენტულად ორგანიზებული ინტროსპექცია. ვუნდტის *ექსპერიმენტულ ინტროსპექციაში* თვითდაკვირვება

[1] ფსიქოლოგიის ისტორიის თვალთახედვით, საინტერესოა, რომ ვუნდტის პოზიცია არ იყო თავიდანვე ასე მკაფიოდ და კატეგორიულად განსაზღვრული. თავისი შეხედულებების ფორმირების ადრეულ ეტაპზე, ფიზიოლოგიის პროფესორად ყოფნისას, იგი ასე მკვეთრად არ მიჯნავდა სულსა და სხეულს და ახალი ფსიქოლოგიის შინაარსში გარკვეულ ადგილს ფიზიოლოგიურ პროცესებსაც უთმობდა. "ახალი მეცნიერება, წერდა იგი, იწყება ფიზიოლოგიური პროცესებიდან და ცდილობს იმის ჩვენებას, თუ რა გავლენას ახდენენ ისინი შინაგანი დაკვირვების სფეროზე". მაგრამ, საბოლოოდ, ვუნდტი მყარად დადგა იმ პოზიციაზე, რომ რა კარგადაც არ უნდა გავიგოთ ფსიქიკურის პარალელური ნევროლოგიური ცვლილებები, მათში ვერასდროს აღმოვაჩენთ ცნობიერებას. იმის თქმა, რომ მიკროსკოპში ნერვულ ქსოვილზე ყურებისას, ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ტკივილის შეგრძნებას დავინახავთ, ვუნდტისთვის სრული უაზრობა იყო.

მოწესრიგებული და კონტროლირებადი პროცედურის სახეს იღებს: "ექსპერიმენტის ამოცანა ისაა, რომ შესაძლებელი გახადოს გუსტი თვითდაკვირვება". ცდა ისეა ორგანიზებული, რომ ცდისპირმა თავიდან ბოლომდე და მაქსიმალური ყურადღებით განიცადოს გამოსაკვლევი ფსიქიკური მოვლენა, რათა მის შესახებ სრულყოფილი ანგარიში წარადგინოს. გარდა ამისა, გათვალისწინებულია ექსპერიმენტის სტანდარტული მოთხოვნები, რაც გულისხმობს დაკვირვების მრავალჯერადი *გამეორებისა* და მოვლენის გამომწვევი პირობების *ვარიაციის* შესაძლებლობას.

ამ მეთოდოლოგიურ პრინციპებზე დაყრდნობით ლაიფციგის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში უართო კვლევითი მუშაობა წარიმართა. თუ როგორ მიმდინარეობდა იგი, ამაზე ქვემოთ დაწერილებით ვისაუბრებთ (იხ. 6.1.). აქ მხოლოდ კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ლაბორატორიული კვლევა შედარებით მარტივ ფსიქიკურ პროცესებს ეხებოდა. რაც შეეხება რთულ ფსიქიკურ მოვლენებს, ისეთებს, როგორიცაა ნებისმიერი მეხსიერება, წარმოსახვა, აზროვნება, მაღალი გრძნობები, ნებელობა – ვუნდტი უარყოფდა მათი ექსპერიმენტული შესწავლის შესაძლებლობას იმის საფუძველზე, რომ ამ მოვლენებს ხელოვნურად ვერ გამოვიწვევთ და უცვლელად ვერ გავიმეორებთ. შეუძლებელია, ამბობდა იგი, ლაბორატორიაში მაღალი ინტელექტუალური პროცესებისა თუ რელიგიური ან ზნეობრივი განცდების სურვილისამებრ გამოწვევა. მათ თითქმის არ ახლავს სხეულებრივი ცვლილებები, შეუძლებელია მათი გაზომვა. გარდა ამისა, აღნიშნულ მოვლენებში ყველაზე მეტად იჩენს თავს თვითდაკვირვებასთან დაკავშირებული სირთულეები, რომლებზეც ი. კანტმა და ო. კონტმა გაამახვილეს ყურადღება. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ფსიქიკურ პროცესზე ან განცდაზე დაკვირვების ფაქტი ცვლის ან სპობს ამ უკანასკნელს. სამაგიეროდ, ამ განცდების კვალი აისახება სხვადასხვა ხალხთა კულტურაში – ენაში, ხელოვნებაში, რელიგიაში, სამართალში, მითებში, ადათ-წესებში. აქ უკვე სოციალური ჯგუფების, ტომების, ერების შემოქმედების პროდუქტებთან გვაქვს საქმე. ყოველივე ამის შესწავლით და ურთიერთშედარებით შესაძლებელი ხდება ფსიქიკის ზოგადი კანონების ჩამოყალიბება. ამისთვის არის მოწოდებული ე.წ. *ხალხთა ფსიქოლოგია.*

ფსიქოლოგიის შემდგომმა განვითარებამ ნათლად აჩვენა ვუნდტის მოსაზრების უსაფუძვლობა მაღალი ფსიქიკური პროცესების ექსპერიმენტული შესწავლის შეუძლებლობის შესახებ. ეს აშკარა გახდა მის სიცოცხლეშივე, თუნდაც მეხსიერებისა (ჰ. ებინჰაუსი, გ.ე. მიულერი) და აზროვნების (ვიურცბურგის სკოლა) პროცესების წარმატებული ექსპერიმენტული კვლევის შემდეგ (იხ. 6.1.). მიუხედავად ამისა, ვუნდტი მაინც მყარად იდგა თავიდანვე არჩეულ პოზიციაზე. მართალია, წლების განმავლობაში მას შეექმნა გარკვეული ცვლილებები თავის სისტემაში, მაგრამ პრინციპული საკითხების უმეტესობაში მისი შეხედულება ურყევი იყო. ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ ვუნდტი სულ უფრო ექცეოდა თავისი სისტემის ტყვეობაში, რომლის მიმართ კრიტიკულობას ნაკლებად იჩენდა. სამაგიეროდ, საკმაოდ მკაცრად აკრიტიკებდა მათ, ვინც სხვაგვარად ფიქრობდა. ასეთები

კი მრაველად იყვნენ. ამასთან დაკავშირებით, ფსიქოლოგიის ისტორიის აღიარებული მეტრი ედვინ ბორინგი მიუთითებს, რომ თითქმის ყველა ახალი ფსიქოლოგიური სკოლის (იგულისხმება ფსიქოლოგია XX საუკუნის ოცდაათიან წლებამდე) ჩამოყალიბებას განსაზღვრავდა პროტესტი ვუნდტის ფსიქოლოგიური სისტემის ამა თუ იმ მხარის წინააღმდეგ. იგულისხმება, რომ ვუნდტის ფსიქოლოგია იყო 1) *ინტროსპექციული, 2) ელემენტარისტული, 3) ასოციაციონისტური და 4) ცნობიერების ფსიქოლოგია* (ვუნდტი მხოლოდ ცნობიერი ფსიქიკის არსებობას ცნობდა). პირველს განსაკუთრებით ბიპევიორიზმი შეებრძოლა, მეორეს და მესამეს – გეშტალტფსიქოლოგია, ხოლო მეოთხეს – ფსიქოანალიზი.

ყოველივე ეს, ამავე დროს, იმაზე მიუთითებს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ვუნდტის სამეცნიერო საქმიანობას სხვა ფსიქოლოგები და რაოდენ დიდი იყო მისი ავტორიტეტი. დისკუსიებმა მისი თეორიული პოზიციების გარშემო, ექსპერიმენტის გამოყენების, ფსიქოლოგიის საგნისა და სხვა მრავალი პრობლემის შესახებ, სტიმული მისცა ახალი კონცეფციებისა და მიმდინარეობების გაჩენას, რომელებმაც გაამდიდრეს ფსიქოლოგია ახალი წარმოდგენებით და იდეებით. ვუნდტმა მართლაც კოლოსალური სამეცნიერო მემკვიდრეობა დატოვა. ფსიქოლოგიის ისტორიკოსებმა დათვალეს, რომ 67 წლის განმავლობაში, პირველი სამეცნიერო ნაშრომის გამოცემიდან სიკვდილამდე, ვუნდტმა დაწერა 53735 გვერდი, რაც ნიშნავს საშუალოდ 2,2 გვერდს დღეში. ამასთან, უზარმაზარი მეცნიერული პროდუქცია გაჯერებული იყო ეკლექტიკური იდეებით. მიუხედავად იმისა, რომ ეკლექტიზმი ფსიქოლოგიაში კარგ ტონად არ ითვლებოდა, ვუნდტის ეკლექტიზმმა გარკვეულად პოზიტიური როლი ითამაშა, ვინაიდან სწორედ მან მოიზიდა ვუნდტთან სხვადასხვა წარმომაველობისა და მრწამსის ახალგაზრდა მეცნიერები. ლაიფციგის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ფსიქოლოგიის ნამდვილი მექა იყო. აქ ჩამოდიოდნენ სასწავლებლად და სამუშაოდ ფსიქოლოგიით დაინტერესებული პირები სხვადასხვა ქვეყნიდან. ბევრი მათგანი საყოველთაოდ ცნობილი მკვლევარი გახდა. მათი გვარების უბრალო ჩამოთვლაც კმარა: კიულპე, კლემი, კრიუგერი, კრეპელინი, ლიფსი, მარბე, მიუნსტენბერგი, მოიმანი (გერმანია), სპირმენი, ტიჩენერი (ინგლისი), ენჯელი, კეტელი, სკრიპჩარი, უიტმენი, უორენი, ჰოლი (ამერიკა), მიშოტი, ტიერი (ბელგია), ლემანი (დანია), ბეხტერევი, ნ.ლანგე (რუსეთი), უზნაძე (საქართველო). ვუნდტის ხელმძღანელობით დაცული იყო ორასამდე სადოქტორო დისერტაცია ფსიქოლოგიასა და ფილოსოფიაში. მათ შორის უნდა მოვიხსენიოთ ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებლის, დიმიტრი უზნაძის დისერტაცია ვლადიმერ სოლოვიოვის მოძღვრების შესახებ.

რაც შეეხება ვუნდტის სისტემის *ეკლექტიზმს,* ის ყოველთვის ართულებდა ამ მოძღვრების ნამდვილი ბუნების გარკვევის ამოცანას. განსაკუთრებული თავსატეხი გაუჩინა ფსიქოლოგიის ისტორიკოსებს საკითხმა ვუნდტის სისტემის ელემენტარიზმის შესახებ. მართლაც, რა არის მთავარი ფსიქოლოგიის აგების ვუნდტისეული პროგრამისთვის – ფსიქიკური ელემენტების გამოყოფა და ცხადყოფა თუ რთული ფსიქიკური წარმონაქმნების, ფსიქიკური

შენაერთების შესწავლა? ანალიზია მთავარი თუ სინთეზი? ვუნდტის ყველაზე ავტორიტეტული ამერიკელი მიმდევრის, ტიჩენერის გაელენით, ერთ ხანს აქცენტი ვუნდტის ფსიქოლოგიის ელემენტარისტულ და ანალიტიკურ მხარეებზე იყო გადატანილი. ფსიქოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი ექსპერიმენტული მეცნიერების ამოცანების ფორმულირებისას ვუნდტს პირველ ნომრად მართლაც უშუალო გამოცდილების უმარტივესი ფორმების, მისი ელემენტების გამოყოფა და შესწავლა აქვს დასახელებული. ელემენტები ვუნდტისთვის არაა ცარიელა აბსტრაქცია, ისინი რეალურად არსებობენ, როგორც ჩვენი ცნობიერების ფაქტი. გაწაფულ ინტროსპექციას შეუძლია მათი განცდაში დაფიქსირება. მაგრამ ელემენტების ცხადყოფა სპეციალურ ძალისხმევას მოითხოვს, ხშირად კი ანალიზი უძლურია, როგორც ეს უმაღლესი ფსიქიკური პროცესების შემთხვევაშია. საზოგადოდ, ჩვენი ცნობიერება შედგება ფსიქიკური კომპლექსებისაგან, შენაერთებისაგან ანუ სინთეტური წარმონაქმნებისაგან. ამიტომ ანიჭებს ვუნდტი ესოდენ დიდ მნიშვნელობას იმის გარკვევას, თუ რა სახის შენაერთები არსებობს და რა კანონები განაპირობებენ ელემენტებიდან მათ წარმოქმნას. ამ კანონების რიგში პირველ ადგილზე შემოქმედებითი სინთეზის პრინციპი მოიაზრება. ვუნდტი ასე ამბობს: "არ არსებობს არაეითარი ფსიქოლოგიური სტრუქტურები, რომლებიც თავიანთი მნიშვნელობით ან შინაარსის ღირებულებით შეიძლება დავახასიათოთ, როგორც მათი შემადგენელი ელემენტების ჯამი ან შემადგენელი ნაწილების უბრალო მექანიკური შედეგი". აქედან ჩანს, რომ იგი ცნობს ელემენტებს, მაგრამ არ ცნობს მექანიციზმს ფსიქოლოგიის სფეროში. ამდენად, მართებული იქნება თუ ეიტყვით, რომ ვუნდტის ფსიქოლოგიური სისტემა *ელემენტარისტულიც არის და მთლიანობითიც, ანალიზურიც და სინთეზურიც.*

ეკლექტიზმი შეინიშნება იმაშიც, რომ ვუნდტის ფსიქოლოგია ერთდროულად *ინტროსპექციულიც* არის და *ექსპერიმენტულიც*. ცნობილია, რომ ვუნდტი ტრადიციული ინტროსპექციული ფსიქოლოგიის კატეგორიული მოწინააღმდეგე იყო. ამავე დროს, იმის საჩვენებლად, თუ როგორ ცდებოდნენ ბიჰეეიორიზმის გერმანელი ინტროსპექციონისტი წინამორბედები, როგორც წესი, ვუნდტზე მიუთითებენ. არადა, ვუნდტი ნამდვილად იყო ყველაზე შეუპოვარი მებრძოლი კლასიკური აკადემიური ინტროსპექციის წინააღმდეგ, ვინაიდან ეს უკანასკნელი კაბინეტურ თვითანალიზს ეფუძნებოდა. ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ისტორიკოსის თქმით, მიცვალებულს რომ ასეთი რამ შეეძლოს, ვუნდტის სხეული არა ერთხელ გადატრიალდებოდა კუბოში, თუ გაიგებდა, რომ მას ინტროსპექციული სკოლის მამის სახელს მიაწერდნენ. ვუნდტი საგანგებოდ უსვამდა ხაზს, რომ მისი ახალი ფსიქოლოგია იყენებს თვითდაკვირვებას, როგორც მკაცრ, "ობიექტურ" მეთოდს, რადგან შეუძლია მისი გამეორება და რეგულირება. მიუხედავად ამ განმარტებებისა, თვითდაკვირვება და ექსპერიმენტი განსხვავებულ ფსიქოლოგიურ მეთოდად რჩება. როგორც ქვემოთ დაერწმუნდებით, ამ ეკლექტიზმის შედეგი ის იყო, რომ ექსპერიმენტული ინტროსპექციის მეთოდით ერთი და იმავე საკითხის კვლევა სხვადასხვა ლაბორატორიში განსხვავებულ შედეგს იძლეოდა. ეს "უზუსტო-

ბა" ექსპერიმენტში თეოდორეკეირვების სუბიექტურობას შეჰქონდა, რაც "ობიექტური ფსიქოლოგიის" (ბიპეეიორიზმის) მიმდევრებს არ გამოპპარვია-ათ (იხ. 8.1.).

ვუნდტის ფსიქოლოგიის ეკლექტიზმი იმაშიც ჩანს, რომ ის ერთდროულად *დეტერმინისტულიც* არის და *ეოლუნტარისტულიც*. ვუნდტმა მთელი მოძღვრება შექმნა ფსიქიკური კაუზალობის შესახებ. იგი ამტკიცებდა, რომ ცნობიერების სფეროში ყველაფერი მიმდინარეობს გარკვეული და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი კანონზომიერების მიხედვით. ამავე დროს, იგი თავის სისტემას ეოლუნტარიზმს უწოდებდა და მიიჩნეოდა, რომ ფსიქიკის იმანენტური აქტიეობის უნარი ახსნას არ ექვემდებარება.

ვუნდტის სისტემის ეკლექტიზმი ალბათ ყველაზე მეტად გამოვლინდა მის პოზიციაში ფიზიოლოგიური ფსიქოლოგიისა და ხალხთა ფსიქოლოგიის არსებობის შესახებ. ამ პოზიციას ფსიქოლოგიის ორად გაყოფასთან მიეყავარი, რომელთაგან ერთი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კლასში ხედება, ხოლო მეორე – ე.წ. გონის (ჰუმანიტარულ) მეცნიერებათა კატეგორიაში. გამოდის, რომ ფსიქოლოგია ეკუთვნის *ბუნებისმეტყველებასაც და ჰუმანიტარიასაც*. ასეთი რამის დაშვება ერთიანი დისციპლინის ფარგლებში უმძიმეს მეთოდოლოგიურ პრობლემებს წარმოქმნის, რის შესახებაც ქვემოთ კიდევ ვისაუბრებთ (იხ. 5.7.).

ვუნდტის ღვაწლი ფსიქოლოგიის წინამე არ არის ერთმნიშვნელოვნად შეფასებული. ფსიქოლოგიის ისტორიკოსების ნაწილი მართებულად აღნიშნავს, რომ ფსიქოლოგიის აგების ვუნდტისეული პროგრამა შეიცავდა ისეთ მომენტებს, რომლებიც არსებითად ეწინააღმდეგებოდნენ ფსიქოლოგიის განვითარების ობიექტურ ლოგიკას. ასეთია, მაგალითად, მისი პოზიციის გამოკვეთილი სუბიექტივიზმი; იგი კვლევიდან გამორიცხავს ყველაფერს, რაც არ წარმოადგენს ცნობიერებას – იქნება ეს ადამიანისა და ცხოველის ქცევა თუ არაცნობიერი ფსიქიკა. გარდა ამისა, აღსანიშნავია მისი პოზიციის სტრუქტურალიზმი, რომელიც ზღუდავს ფსიქოლოგიის კვლევითი ამოცანების წრეს ფსიქიკური მოვლენების შემადგენლობის აღწერითა და ახსნით. მაგრამ ფსიქოლოგია ვალდებულია შეისწავლოს ფსიქიკური მოვლენები და პროცესები არა მხოლოდ მათი სტრუქტურის, არამედ მათი დანიშნულების, როლისა და იმ ფუნქციის მხრივაც, რასაც ისინი ასრულებენ ფიზიკურ და სოციალურ გარემოსთან შეგუების პროცესში.

აღსანიშნავია ვუნდტის ფსიქოლოგიის მეთოდური მხარეც. ექსპერიმენტის "მიბმა" ინტროსპექციაზე ზღუდავს მისი გამოყენების ჩარჩოებს. ასეთი ექსპერიმენტის გამოყენება შეუძლებელია ცხოველებზე, ბავშვებზე, სულით ავადმყოფებზე და სხვა. ექსპერიმენტული კვლევის მიღმა რჩება უამრავი ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის საკითხი. გამოყენებითი ფსიქოლოგიის მიმართ ვუნდტი არც იჩენდა რამდენადმე სერიოზულ ინტერესს. მას არასანდოდ მიაჩნდა ბავშვისა და პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში მოპოვებული მონაცემები. ზოგად კანონზომიერებებზე ორიენტირებული ვუნდტი ხელისშემშლელად მიიჩნეოდა ყველაფერს, რაც ინდივიდუალურ განსხვავებებს უკავშირდებოდა. აქედან მომდინარეობს მის მიერ დიფერენცი-

ალური ფსიქოლოგიისა და ტესტოლოგიის მიულებლობა. ზოგადი ფსიქოლოგიის მეტრი დიდი ეჭვით უყურებდა ფსიქოტექნიკის, იურიდიული, სამედიცინო თუ გამოყენებითი ფსიქოლოგიის სხვა დარგების განვითარებას. ამის თვალსაჩინო მაგალითია ის, თუ რა დაუფარავი სარკაზმით ეხმიანებოდა ვუნდტი თავისი ერთ-ერთი უნიჭიერესი მოწაფის, ჰ. მიუნსტენბერგის ამკარად წარმატებულ და საყოველთაოდ აღიარებულ მოღვაწეობას ამ სფეროში.

მაშინ რატომ ითვლება ვუნდტი ფსიქოლოგიის ისტორიის ერთ-ერთ ნიშანსვეტად? რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოეჩვენოს, ვუნდტის თეორიულმა შეხედულებებმა სწორედ რადიკალურად და მკვეთრად გამოთქმული "შეცდომებითაც" შეიტანა დიდი წვლილი მეცნიერების განვითარებაში. უდიდესი ავტორიტეტის მქონე ეკლექტიკოსის შემოქმედებაში ყველა პოულობდა მისაღებსაც და მიულებელსაც; ეს უკანასკნელი კი ხდებოდა შემოქმედების, ახალი იდეებისა და, საბოლოოდ, ფსიქოლოგიის პროგრესის ქვაკუთხედი. ვუნდტის ფსიქოლოგიური სისტემა არც თუ ყოველთვის ადექვატური კრიტიკის სამიზნე გახდა იმათთვის, ვინც ახალ გზებს ეძებდა ჩვენს მეცნიერებაში მაშინ, როდესაც იგი პირველ ნაბიჯებს დგამდა აკადემიური მეცნიერების ასპარეზზე და სერიოზული პრეტენზიების მქონე დამოუკიდებელ დისციპლინად ყალიბდებოდა. იმ დროის პოზიტივისტური სულისკვეთების გათვალისწინებით, ეს სტატუსი ფსიქოლოგიას მისმა ექსპერიმენტულობამ მიანიჭა. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერიმენტირება ფსიქიკის სფეროში ვუნდტს არ დაუწყია, მისი მოღვაწეობა სისტემატური ექსპერიმენტული კვლევების ორგანიზაციის საქმეში ფასდაუდებელია. ვუნდტის ინსტიტუტის ფუნქციონირება აღმოჩნდა ის საბოლოო იმპულსი, რომელმაც ფსიქოლოგიაში ფართო ექსპერიმენტულ კვლევა-ძიებას გზა გაუსსნა. ვუნდტმა შექმნა უდიდესი სამეცნიერო-საგანმანათლებლო სკოლა, რომელიც გაიარა მრავალმა ახალგაზრდა მეცნიერმა მთელი მსოფლიოდან. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ისინი აყალიბებდნენ კვლევით ცენტრებს, სადაც ახალი მეცნიერების აქტიური განვითარება ხდებოდა. ფსიქოლოგიის ისტორიკოსების საერთო შეფასებით, ვუნდტმა უნიშვნელოვანესი როლი ითამაშა მკვლევართა კონსოლიდაციის საქმეში. ისინი თანდათან ჩამოყალიბდნენ პროფესიონალ ფსიქოლოგებად. თავად ვუნდტი კი შეიძლება პირველ პროფესიონალ ფსიქოლოგად ჩაითვალოს.

ვუნდტთან წვრთობაგამოვლილი სპეციალისტების უმრავლესობა მაინც თავისი საკუთარი გზით წავიდა ფსიქოლოგიაში. მათ საფუძველი ჩაუყარეს მთელ რიგ დარგებს, ორიგინალურ თეორიულ ორიენტაციებსა და სამეცნიერო სკოლებს, მაგრამ ერთი მეცნიერი ბოლომდე დარჩა თავისი სათაყვანებელი მასწავლებლის, ვილჰელმ ვუნდტის მიმდევრად. ეს იყო ე. ტიჩენერი.

## 5.2. სტრუქტურული ფსიქოლოგია

**ედვარდ ბრედფორდ ტიჩენერი** (1867-1927) დაიბადა სამხრეთ ინგლისში, ჩიჩესტერში. ოქსფორდში მიიღო ფილოსოფიური განათლება. ერთხანს იქვე მუშაობდა ფიზიოლოგიის კათედრაზე, მაგრამ გული ექსპერიმენტული ფსიქოლოგიისკენ მიუწევდა. ინგლისში იმ დროს ჯერ კიდევ ფილოსოფიურ-ასოციაციონისტური ფსიქოლოგია ბეობდა. ამიტომ ტიჩენერი გაემგზავრა ლაიფციგში, სადაც ორი წელი დაჰყო და ვუნდტის ფიზიოლოგიური ფსიქოლოგიის გულანთებული მოიმხრე გახდა. 1892 წელს მან მიიღო დოქტორის ხარისხი და დაბრუნდა სამშობლოში. ძალიან მალე ტიჩენერი მიხვდა თავისი მეცნიერული მრწამსის სრულ შეუსაბამობას ინგლისური ფსიქოლოგიის სულისკვეთებასთან და იძულებული გახდა გადასახლებულიყო ამერიკაში, სადაც ერთიმეორის მიყოლებით იხსნებოდა ახალი ფსიქოლოგიური ლაბორატორიები. 1893 წელს ტიჩენერი სათაურში ჩაუდგა ერთ-ერთ ასეთ ლაბორატორიას ნიუიორკის კორნელის უნივერსიტეტში, შემოიკრიბა მოწაფეები და შექმნა ე.წ. *სტრუქტურული ფსიქოლოგიის* სკოლა, რომელიც ამერიკაში გერმანული მენტალისტური ფსიქოლოგიის ბასტიონად გადაიქცა. ის გამიჯნული იყო მთელი ამერიკული ფსიქოლოგიისაგან, სადაც უპირატესად ვითარდებოდა ისეთი დარგები, როგორიცაა დიფერენციალური, ცხოველთა, ბავშვის ფსიქოლოგია. მათგან განსხვავებით, ტიჩენერის ფსიქოლოგია კლასიკური, ვუნდტისეული ზოგადი ფსიქოლოგიაა. იგი ექსპერიმენტულია და ინტროსპექტული, მაშინ როცა ამერიკაში სულ უფრო მეტ პოპულარობას კვლევის ობიექტური მეთოდები იძენენ.

ძალიან მალე ტიჩენერის სტრუქტურული ფსიქოლოგია დაუპირისპირდა ე.წ. ფუნქციონალურ ფსიქოლოგიას, რომელიც ბიჰევიორიზმის გაბატონებამდე ამერიკული ფსიქოლოგიის მთავარ თეორიულ ორიენტაციას წარმოადგენდა (იხ. 5.5.). სტრუქტურულ ფსიქოლოგიას არ აინტერესებს, თუ რა როლს ასრულებს ესა თუ ის ფსიქიკური წარმონაქმნი ქცევაში, რა ფუნქცია აქვს მას. სტრუქტურული ფსიქოლოგიის ამოცანა საკუთრივ ცნობიერების შემადგენლობის, სტრუქტურის შესწავლაა. სტრუქტურის ცნება მოიცავს რაიმე მოვლენის შემადგენელ ნაწილებს და მათ შორის არსებულ კავშირებს. აქედან გამომდინარე, სტრუქტურულმა ფსიქოლოგიამ უნდა გამოყოს ცნობიერების უმთავრესი *ელემენტები (ანალიზი)*, გაარკვიოს, თუ რა სახის *კავშირებს* ქმნიან ისინი *(სინთეზი)* და *ახსნას,* თუ რატომ იქმნება სწორედ ასეთი კავშირების კომბინაციები *(კანონები).* ადვილი დასანახია, რომ ტიჩენერთან ფსიქოლოგიური კვლევის ამოცანები არსებითად ისევეა ფორმულირებული, როგორც ვუნდტთან. განსხვავება ეხება აქცენტებს და პრობლემების გადაწყვეტის მეთოდოლოგიას.

მაგალითად, ფსიქოლოგიური ახსნისა და კანონების საკითხს ტიჩე-

ნერი სხვანაირად უდგება. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან იგი, ვუნდტთან შედარებით, გაცილებით ძლიერი პოზიტივისტური ორიენტაციით გამოირჩევა. ტიჩენერი თამამად ლაპარაკობს ანალოგიებზე ფსიქოლოგიასა და ფიზიკას შორის, რასაც მისი მასწავლებელი ძალიან ერიდებოდა. ცხადია, ტიჩენერიც ცდილობს გამიჯნოს ბუნებისმეტყველებისა (ფიზიკის) და ფსიქოლოგიის შესასწავლი მოვლენები. ისიც თვლის, რომ ამის გაკეთება შესაძლებელია უშუალო გამოცდილებისადმი განსხვავებული მიდგომით. ერთ შემთხვევაში გამოცდილება წარმოდგენილია კონკრეტული პიროვნებისაგან სრულიად დამოუკიდებელი, ანუ ობიექტური რეალობის სახით. მეორე შემთხვევაში ჩვენ ამოვდიოართ იქიდან, რომ ეს გამოცდილება მთლიანად პიროვნებაზეა დამოკიდებული და მხოლოდ იმდენად არსებობს, რამდენადაც მას ვინმე აღიქვამს. მაგალითად, ფუნდამენტური ფიზიკური მოვლენები, როგორიცაა სივრცე, დრო, მასა, ყველგან და ყოველთვის მუდმივია, იზომება უცვლელი სიდიდეებით და ამ თვალსაზრისით არ წარმოადგენენ მკვლევარის პიროვნებაზე დამოკიდებულ ცვლადებს[1].

სამაგიეროდ, სუბიექტურ გამოცდილებაში ამ მოვლენათა შეფასება ძალიან ცვალებადობს – ორი ტოლი ხაზი არატოლად გვეჩვენება იმის მიხედვით, თუ საითაა მიმართული ბოლოებში მიბმული ისრები (მიულერ-ლაიერის ილუზია); ორი ტოლი წონის საგნიდან ის გვეჩვენება უფრო მსუბუქი, რომელიც დიდად გამოიყურება (შარპანტიეს ილუზია); დროის ერთნაირი მონაკვეთი ხან ძალიან იწელება, სანაც სწრაფად გარბის, გამომდინარე იქიდან, თუ რა სიტუაციაში ვიმყოფებით. ფიზიკამ იცის, რომ სითბო, არსებითად, მოლეკულების მოძრაობაა, სინათლე – ელექტრომაგნიტური ტალღების გადაადგილება, ხოლო ბგერა – ჰაერის ტალღისებური მოძრაობა. ფიზიკური სამყარო, რომელშიც გამოცდილების ეს სახეები მკვლევარი სუბიექტისაგან დამოუკიდებლად განიხილება, არც თბილია და არც ცივი, არც ნათელია და არც ბნელი, არც ხმაურიანია და არც მდუმარე. მხოლოდ მაშინ, როდესაც გამოცდილება ადამიანზე დამოკიდებულად განიხილება, ჩვენ ვიღებთ განსხვავებულ ტემპერატურას, მრავალ სხვადასხვა ფერს და ტონს. ყოველივე ეს არის ფსიქოლოგიის შესასწავლი საგანი.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქოლოგია ვერ შეიგნებს უშუალო გამოცდილების აღწერით. ფიზიკის მსგავსად, მან მოვლენების ახსნაზეც უნდა იზრუნოს. აქ კი ჩვენ სერიოზულ სირთულეს ვაწყდებით, ვინაიდან "ერთ ფსიქიკურ პროცესს მეორის მიზეზად ვერ განვიხილავთ". ამავე დროს, ვერც ნერვული პროცესები ჩაითვლება ფსიქიკურის მიზეზად, რადგან ისინი მოვლენათა პარალელურ რიგს ქმნიან. მიუხედავად ამისა, ახსნის ამოცანის გადაწყვეტისას ფსიქოლოგიამ ისევ სხეულებრივ პროცესებს უნდა მიმართოს. ისინი არ იწვევენ ფსიქიკურ მოვლენებს, მაგრამ გვეხმარებიან მათი ერთიანობისა და თანმიმდევრობის გაგებაში ისევე, როგორც რუკა გვეხმარება გორაკების, მდინარეების, ქალაქების ადგილმდებარეობის,

[1] ტიჩენერი კლასიკური ნიუტონისეული ფიზიკის წარმოდგენებით ხელმძღვანელობს, რომლებიც საფუძვლიანად შეცვალა რელატივისტური ფიზიკის შემდგომდროინდელმა შეხედულებებმა.

გარკვევაში. ერთი სიტყვით, "ფიზიკა ხსნის მოვლენას მისი მიზეზის დადგენის საშუალებით. ფსიქოლოგია იძლევა ახსნას იმ ნერვულ პროცესებზე მითითების გზით, რომლებიც დაკავირვებად ფსიქიკურ მოვლენებთან ურთიერთკავშირშია. ჩვენ შეგვიძლია გავაერთიანოთ ეს ორივე მეთოდი, თუ ახსნას მივიზნევთ იმ გარემოებათა გარკვევად, რომლებშიც აღწერილი მოვლენა ხორციელდება. "ნამი წარმოიქმნება ჰაერისა და მიწის ტემპერატურების სხვაობის პირობებში; აზრები წარმოიქმნება ნერვულ სისტემაში მიმდინარე გარკვეული პროცესების პირობებში. შესასწავლი ობიექტი და ახსნის წესი ორივე შემთხვევაში არსებითად ერთნაირია". ამრიგად, ტიჩენერის მიხედვით, ფსიქოლოგია თავისი ამოცანებით და საერთო მეთოდოლოგიით ემსგავსება საბუნებისმეტყველო მეცნიერებას, იმავე ფიზიკას და ფიზიოლოგიას. უფრო მეტიც, ახსნით ნაწილში ფსიქოლოგია, ფაქტობრივად, ფიზიოლოგიის კანონებს მიმართავს. ეს პოზიცია საკმაოდ შორდება ვუნდტის თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც სწორედ სპეციფიკური ფსიქოლოგიური კაუზალობის არსებობა განასხვავებს მას ყველა სხვა მეცნიერებისაგან.

ვუნდტის პოზიციიდან ერთგვარი განსხვავება იგრძნობა ფსიქოლოგიური კვლევის მეორე ამოცანასთან დაკავშირებითაც. ეს ამოცანა ელემენტებიდან მიღებული რთული ფსიქიკური მოვლენების დახასიათებასა და მათი წარმოქმნის (სინთეზის) წესის განსაზღვრაში მდგომარეობს. ტიჩენერისთვის მიუღებელია აპერცეფცია და მასთან დაკავშირებული ვუნდტისეული ეოლუნტარიზმი, ვინაიდან ისინი აუხსნელ ძალებსა თუ მექანიზმებს გულისხმობენ. ამავე დროს, აპერცეფციის ცნების გარეშე ძნელი ხდება რთულ ფსიქიკურ შენაერთებზე მსჯელობა ანუ სინთეზის ამოცანის რამდენადმე პროდუქტიული გადაწყვეტა. რაკი ავტორი სხვა ალტერნატივას არ გვთავაზობს, რჩება მხოლოდ *ასოციაციის მასინთეზირებელი მექანიზმი*, რაც ახალი გერმანული ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის მქადაგებელი ტიჩენერის ბრიტანულ ასოციაციურ ფსიქოლოგიასთან პარადოქსულ დაბრუნებას ნიშნავს.

შესაძლოა, ამითაც იყო გამოწვეული, რომ ტიჩენერმა თავისი ექსპერიმენტული კვლევა-ძიების ძირითად ამოცანად *ფსიქიკის ანალიზი* აქცია. ტიჩენერი და მისი თანამშრომლები შესაშური ენთუზიაზმით ეძებდნენ ფსიქიკის ახალ ელემენტებს და მათ თვისებებს შეისწავლიდნენ. ამ კვლევის შედეგად ტიჩენერმა გამოყო ელემენტების სამი ჯგუფი, ესენია: *შეგრძნებები* (აღქმის ელემენტები), *წარმოდგენები* (მეხსიერებისა და ფანტაზიის ელემენტები) და *ემოციური მდგომარეობები* (რთული გრძნობების ელემენტები). შეგრძნებათა და წარმოდგენების ძირითადი ნიშნებია: *რომელობა, ინტენსიურობა, მკაფიობა და ხანგრძლივობა.* წარმოდგენები, როგორც შეგრძნებათა ასლები, მათზე ნაკლებ მკაფიოა, ხოლო ემოციურ მდგომარეობებს ეს თვისება სულ არ ახასიათებს. ამასთან, ტიჩენერი ფიქრობდა რომ გრძნობებს მხოლოდ ორი რომელობა აქვთ — *სიამოვნება და უსიამოვნება.* ამით იგი დაუპირისპირდა ვუნდტს, რომელიც გრძნობების რომელობათა სამგანზომილებიანობის თვალსაზრისზე იდგა. რაც შეეხება შეგრძნებებს (და შესაბამის წარმოდგენებს), ისინი უამრავ რომელობით სახესხვაობას ქმნიან.

ცნობიერების მოვლენები ერთგვარ შინაგან სამყაროს შეადგენენ,

რომელსაც თავისებური მასალა და წყობა აქვს. ტიჩენერი ე.წ. "ფსიქიკის მატერიაზე" ლაპარაკობდა. მისი ანალიზი, ცხადია, მხოლოდ თვითდაკვირვების საშუალებით შეიძლება. იგი თავის ინტროსპექციონიზმში ვუნდტზე შორს მიდიოდა და ლაპარაკობდა განსაკუთრებულ, წმინდა, ან სხვანაირად, *ანალიტიკურ თვითდაკვირვებაზე*. ეს არის სპეციალურად გაწაფული ინტროსპექცია, რომლის მონაცემები გამორიცხავენ ე.წ. *სტიმულის შეცდომას*. თვითდაკვირვებისას ამ შეცდომას ხშირად ვუშვებთ, ვინაიდან ჩვენი შინაგანი სამყაროს აღწერისას, ფაქტობრივად, გარე მოვლენებზე და ობიექტებზე ვსაუბრობთ. სტიმულის შეცდომის დროს ერთმანეთშია არეული თვითონ ფსიქიკური პროცესი და ამ პროცესის სტიმული (გარემოს მოვლენა ან საგანი). ამის თავიდან ასაცილებლად ანალიზური თვითდაკვირვების მონაცემები მხოლოდ "ცნობიერების წმინდა შინაარსებისაგან" უნდა შედგებოდეს. მაგალითად, ინტროსპექციული ანგარიშისას ის კი არ უნდა ვთქვათ, რომ "გზა უსწორმასწორია", რაც გარე ობიექტის თვისებას აღნიშნავს, არამედ ის, რომ "წნევა ტერფებზე სულ უფრო არაერთგვაროვანი ხდება", რაც წმინდა სახით შეგრძნების რაგვარობაზე მიუთითებს. ასევე, ლამპარზე ლაპარაკის ნაცვლად უნდა აღვწეროთ სინათლის, სითბური, სივრცითი და სხვა სახის შეგრძნებები ან უფრო რთული ფსიქიკური მოვლენები, რომელთაც ეს საგანი (სტიმული) იწვევს ცნობიერებაში.

თავის ლაბორატორიაში ტიჩენერი ცდისპირებს ექსპერიმენტულ პირობებში, ხელოვნურად აწედიდა სათანადო სტიმულებს და სიხოვდა ისეთ "რაფინირებულ" ინტროსპექციულ პასუხებს, როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითებშია წარმოდგენილი. ასე შეიქმნა ელემენტარულ შეგრძნებათა სია, რომელიც სენსორული განცდის 44 ათას ნიუანსს შეიცავდა. მათგან უმეტესობა მხედველობით (32 820) და სმენით (11 600) სფეროს მიეკუთვნებოდა. ტიჩენერის შემდეგ მის ლაბორატორიაში ანალიზური ინტროსპექციის უამრავი ოქმი დარჩა. მათ მიმართ ინტერესი აღარავის გამოუჩენია, ვინაიდან შემდგომმა მკვლევარებმა მიიჩნიეს, რომ ეს მონაცემები არ იყო ღირებული არც აკადემიური და არც გამოყენებითი მეცნიერებისთვის. აღსანიშნავია ისიც, რომ გამოყენებით ფსიქოლოგიას თვითონ ტიჩენერი არ ცნობდა, რაც აშკარა დისონანსში იყო ამერიკული ფსიქოლოგიის საერთო პრაქტიკულ სულისკვეთებასთან.

ტიჩენერის მოძღვრება და კვლევა-ძიება არც ევროპული ფსიქოლოგიის განვითარების ძირითად ტენდენციებს ეთანხმებოდა (რა თქმა უნდა, ვუნდტის სკოლის გამოკლებით). ამის სარწმუნო მაგალითია მწვავე კამათი, რომელიც გაიმართა ტიჩენერისა და ეიურცბურგის სკოლებს შორის არათვალსაჩინო აზროვნების პრობლემის გარშემო. ეიურცბურგელებმა აღმოაჩინეს, რომ რაიმეს მოაზრება შესაძლებელია შინაარსის წარმოდგენითი მოცემულობის გარეშე (იხ. 6.1.). ტიჩენერი ამას უჩვეულო სიჯიუტით უარყოფდა. იგი შეუვალი სენსუალისტი იყო და შეგრძნებით საწყისს ფსიქიკურის ყველა გამოვლინებაში ეძებდა. ამაში, შესაძლებელია, მისი დიდი თანამემამულეების, ბრიტანელი სენსუალისტების გაელენაც დავინახოთ. ასეა თუ ისე, იგი თვლიდა, რომ აზროვნების შინაარსი ყოველთვის რაიმე გრძნო-

ბად-თვალსაჩინო ფორმაშია მოცემული და მიაჩნდა, რომ ეიურცბურგელთა *სისტემატური ექსპერიმენტული თვითდაკვირვება* უბრალოდ ვერ იჭერდა იმ სენსორულ ფენომენებს, რომელთა სახითაც არის წარმოდგენილი მნიშვნელობა აზროვნების დროს. ტიჩენერის რწმენით, მისი ოპონენტები სტიმულის შეცდომაში ეარდებიან, როდესაც ამტკიცებენ, რომ რაიმე მნიშვნელობა არათვალსაჩინო ფორმაშია მოცემული, ვინაიდან მისი მოაზრებისას თვითდაკვირვება არ აღასტურებს ცნობიერებაში სათანადო ხატის, წარმოდგენის არსებობას. ტიჩენერის *მნიშვნელობის კონტექსტური თეორიის* თანახმად, ყოველგვარი ცოდნა ობიექტის შესახებ აიგება გრძნობად-წარმოდგენითი ელემენტების ერთობლიობიდან. ასეთ კონტექსტში არსებობს ე.წ. *სენსორული ბირთვი*, რომელსაც უპირატესად ძნელად შესამჩნევი კუნთური და ორგანული შეგრძნებები ქმნიან. მაშინაც, როდესაც კონტექსტის დანარჩენი ელემენტები ცნობიერებაში არაა, სენსორული ბირთვი ყოველთვის სახეზეა. ის ცნობიერებაში მთელ მნიშვნელობას წარმოადგენს და კარგად გავარჯიშებული ანალიზური თვითდაკვირვება მას აუცილებლად აღმოაჩენს. მაშასადამე, აზროვნება მაინც თვალსაჩინო, სენსორულ-წარმოდგენითი ბუნებისაა.

მთელი ეს მსჯელობა ლინების წინააღმდეგ სვლა იყო, ხელოვნური და არაადექვატური თეორიული კონსტრუქცია, რომელიც დისკრედიტირებული სენსუალისტური იდეის გადარჩენას ემსახურებოდა. ტიჩენერის ტიტანური, მაგრამ პრინციპში უნაყოფო შრომა ლოგიკურად ასრულებს ელემენტარისტული ფსიქოლოგიის ხაზს, რომელსაც მეცნიერება ჩიხში შეპყავდა. ტიჩენერმა ეს გზა ბოლომდე გაკეალა, მაგრამ მას აღარავინ გაპყყვა.

## 5.3. ინტენციონალურ-ფენომენოლოგიური ფსიქოლოგია

**ფრანც ბრენტანო** (1838-1917), გერმანიაში გადასახლებული ძველი იტალიური გვარის ჩამომავალი, დაიბადა რაინზე მდებარე ქალაქ მარიენბერგში. ოჯახი მას თავიდანვე სასულიერო პირად ამზადებდა. მიიღო რა საფუძვლიანი საუნივერსიტეტო ფილოსოფიური და თეოლოგიური განათლება მიუნპენში, ეიურცბურგში, ბერლინსა და მიუნსტერში, ბრენტანომ 1862 წელს დაიცვა საღოქტორო დისერტაცია ტიუბინგენში, ორი წლის შემდეგ კი მღვდლად ეკურთხა და დაიწყო ფილოსოფიის სწავლება ეიურცბურგის უნივერსიტეტში. ამ დროისთვის მას უკვე გამოქვეყნებული პქონდა ნაშრომი არისტოტელეს მოძღვრებაზე. უნდა ითქვას, რომ არისტოტელე ბრენტანოსთვის მთელი ცხოერების განმავლობაში კერპად დარჩა. ბრენტანო აქტიურად ჩაება თეოლოგიურ დისკუსიაში პაპის უცოდველობის შესახებ. მას შემდეგ, რაც 1870 წელს ვატიკანმა მიიღო უცოდველობის დოგმა, რასაც ბრენტანო კატეგორიულად არ ეთანხმებოდა, მან ანაფორა გაიხადა და უარი თქვა პროფესორის წოდებაზე,

რომელიც, როგორც მღვდელმა, მიიღო. ამიერიდან იგი მხოლოდ მეცნიერებას ემსახურებოდა. 1874 წელს გამოქვეყნდა ბრენტანოს კლასიკური ნაშრომი "ფსიქოლოგია ემპირიული თვალსაზრისით". თუ გავიხსენებთ, რომ ამავე წელს გამოიცა ვუნდტის "ფიზიოლოგიური ფსიქოლოგიის" მეორე ნაწილი, შეიძლება ითქვას, რომ ეს წელი მარილაც განსაკუთრებულია ფსიქოლოგიის ისტორიისთვის, ეიხაიდან ეს არის თარიღი ორი უმნიშვნელოვანესი წიგნის გამოსვლისა, რომლებმაც არსებითად განსაზღვრეს იმდროინდელი ფსიქოლოგიის სახე. ამ საეტაპო წიგნის გარდა, თავისი ფსიქოლოგიური შეხედულებები ბრენტანოს გადმოცემული აქვს კიდევ ორ ნაშრომში: "შეგრძნების ფსიქოლოგიის შესახებ" (1907) და "ფსიქიკურ ფენომენთა კლასიფიკაციისთვის" (1911). ისე კი ბრენტანოს ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიაში არც თუ ბევრი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული. იგი უფრო "მოლაპარაკე" მეცნიერი იყო, ვიდრე "მწერალი". ბრენტანოს ლექციები ვენის უნივერსიტეტში, სადაც მან 1974 წელს დაიწყო პროფესორად მუშაობა, ძალიან პოპულარული იყო. მის მრავალრიცხოვან მსმენელთა შორის ბევრმა გაითქვა სახელი: მაგალითად, ტ. მასირაკი ჩეხეთის პრეზიდენტი გახდა, სოლო ტ. ფონ ჰეთლინგი – ავსტრიის რეისსკანცლერი. ხოლო მეცნიერთაგან საკმარისია დავასახელოთ ისეთი თვალსაჩინო მოაზროვნეები, როგორიცაა ზ. ფროიდი (ფსიქოანალიზის ავტორი), ე. ჰუსერლი (ფენომენოლოგიური ფილოსოფიის ავტორი), კ. შტუმფი (ბერლინის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი), ა. მაინონგი და ქ. ერენფელსი (გრაცის ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებლები). ვენაში ბრენტანომ ოც წელს იმუშავა. პედაგოგიური საქმიანობიდან წასვლის შემდეგ იგი ათ წელს ცხოვრობდა ფლორენციაში, შემდეგ ციურიხში. ავადმყოფობის მიუხედავად, ბრენტანო სიცოცხლის ბოლომდე განაგრძობდა მუშაობას ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიაში.

ბრენტანო, ვუნდტის მსგავსად, პირველ ყოვლისა იმაზე ფრუნავდა, რომ ფსიქოლოგია დამოუკიდებელ ემპირიულ მეცნიერებად დაემკვიდრებინა. ამიტომ მის წინაშეც ბუნებრივად დადგა ფსიქოლოგიის საგნის პრობლემა, სახელდობრ, საკრამენტული საკითხი ფიზიკურისა და ფსიქიკურის გამიჯვნის შესახებ. ბრენტანომ მისი გადაჭრა სხვა გზით სცადა. როგორც ვნახეთ, ვუნდტისთვის ფიზიკური და ფსიქიკური სინამდვილე ერთიანია – ეს არის უშუალო გამოცდილება, რომელშიც ბუნებისმეტყველებისა და ფსიქოლოგიის საგანთა გამოცალკევება სხვადასხვა თვალსაზრისის საფუძველზე ხდება. რეალობა, მასალა ერთია, განსხვავებულია გნოსეოლოგიური პოზიცია.

ბრენტანოს მიაჩნდა, რომ თვალსაზრისის პრინციპი არ არის საკმარისი. ამ მეცნიერებათა ეპისტემოლოგიური დაფუძნებისთვის მათ იმთავითვე საკუთარი ობიექტი, საგანი უნდა მოეძებნოს. იგი თითქოს ნახულობს კიდეც ასეთ საგანს გამოცდილების იმანენტურ სტრუქტურაში. ამისთვის არ არის საჭირო გამოცდილების (ცნობიერების) სხვადასხვა თვალსაზრისით ანალიზი; საკმარისია მისი განხილვა ისე, როგორც ის ბუნებრივად არის მოცემული. თუ ასე შევხედავთ, დავინახავთ, რომ ემპირიულად მოცემული გამოცდილება არ შედგება მხოლოდ შინაარსებისაგან, რომელთაც ტრადიციული ფსიქოლოგია ხატების, წარმოდგენებისა თუ სხვა, ე.წ. *ფსიქიკური მოვლენების* სახით წარ-

მოაჩენდა. გამოცდილება, პირველ რიგში, შედგება ე.წ. *აქტებისაგან.* აქტები ცნობიერების პირველადი მოცემულობაა. თითოეული აქტი ყოველთვის რაიმე შინაარსს გულისხმობს, ის აუცილებლად რაიმე ობიექტზეა მიმართული. აქ ბრენტანოს შემოაქვს შუა საუკუნეების სქოლასტიკიდან ნასესხები ტერმინი *ინტენცია,* რომელიც ცნობიერების რაიმე საგანზე მიმართულობას აღნიშნავს. თვითონ ინტენციის საგანი, ანუ შინაარსი, ფსიქოლოგიის ობიექტი არ არის. საკუთრივ ფსიქიკური ფენომენი არის *ინტენციონალური აქტი.* ფერი არ არის ფსიქიკური; ფსიქიკურია სედვა, ხედვის აქტი. ან კიდევ, როდესაც ადამიანს სიტყვა ესმის, მისი ცნობიერება ბგერითი-მატერიალური გარსის მიღმა იმ საგნისკენ მიემართება, რომელსაც ის აღნიშნავს. სიტყვის გაგება არის აქტი და, მაშასადამე, ფსიქიკური ფენომენი. ის დაირღვევა, თუკი თავად აქტს აკუსტიკური გამღიზიანებლისა (ბგერის) და მის მიერ აღნიშნული ფიზიკური საგანისაგან დამოუკიდებლად განვიხილავთ. ინტენციონალური აქტი მათზეა მიმართული და მათ გულისხმობს, მაგრამ არც გამღიზიანებელი და არც საგანი თავისთავად, ფსიქოლოგიის შესასწავლ სფეროს არ მიეკუთვნება. ერთი სიტყვით, შინაარსები, რომლებზეც აქტებია მიმართული, ბუნებისმეტყველების საკვლევ სფეროს წარმოადგენს, აქტები — ფსიქოლოგიისას. ამრიგად, აქტისა და მისი შინაარსის ანალიზის გზით, ბრენტანო ბუნებისმეცნიერებათა და ფსიქოლოგიის დიფერენციაციამდე მიდის.

ნათქვამი სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ბუნების ობიექტები თავისთავად, ცნობიერების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად არსებობენ. ერთადერთი, რისი დარწმუნებით თქმაც შეუძლია ცნობიერების ფსიქოლოგიას და მასზე დამყარებულ "მეცნიერულ ფილოსოფიას", არის ის, რომ მათი მოცემულობის ფორმა ყოველთვის აქტის შინაარსად ყოფნაა. ფიზიკური მოვლენები ყოველთვის ფსიქიკური ინტენციის ობიექტებია. თვითონ მათ ინტენციონალობის ნიშანი არ ახასიათებთ. ფიზიკური ობიექტები არ არიან აუცილებლად რაიმეზე მიმართული. ინტენციონალობა ფსიქიკური მოვლენების (აქტების) განსაკუთრებული თვისებაა. ფიზიკურსა და ფსიქიკურს შორის პირველი განმასხვავებელი ნიშანი ფსიქიკურის *იმანენტური ინტენციონალობაა.* ამ აზრს აეტორი მკაფიოდ აყალიბებს: "ყოველი ფსიქიკური ფენომენი ხასიათდება იმით, რასაც შუა საუკუნეების სქოლასტები საგნის ინტენციურ (ან მენტალურ) შინაგან არსებობას უწოდებდნენ და რისთვისაც ჩვენ შეგვეძლო გვეწოდებინა შინაარსისადმი მიმართება, ობიექტზე მიმართულობა ... ყოველი ფსიქიკური ფენომენი რაიმეს შეიცავს, როგორც თავის ობიექტს, თუმცა ყველა ერთგვარად არა. ამის მიხედვით წარმოდგენაში უთუოდ რაღაცის წარმოდგენა ხდება, მსჯელობაში — დადასტურება ან უარყოფა, სიყვარულში — შეყვარება, სიძულვილში — შეძულება და ა.შ.".

მოყვანილი გამონათქვამის მეორე ნახევარში მოცემული მსჯელობა, არსებითად, ეხება ფსიქიკური მოვლენების კლასიფიკაციის საკითხს. ბრენტანო ამტკიცებს, რომ ცნობიერების აქტებში შინაარსის მოცემულობის სხვადასხვა ფორმა არსებობს. ამის მიხედვით იგი აქტების სამ სახეობას გამოყოფს: *იდეაციის, განსჯისა და გრძნობის* აქტებს. იდეაციის აქტებში (შეგრძნება, წარმოსახვა) საგანი ხატის ან წარმოდგენის სახით არის მოცემული. წარმოდგენა

ყველა ფსიქიკური ფენომენის საფუძველია. არ შეიძლება იმსჯელო და არ გქონდეს წარმოდგენა, რაზეა მსჯელობა; არ შეიძლება გიყვარდეს და იმის წარმოდგენა არ გქონდეს, თუ ვინ გიყვარს, ისურვო – სურვილის ობიექტის წარმოდგენის გარეშე და ა.შ. განსჯის აქტებში ხდება დადასტურება ან უარყოფა, შემჩნევა ან მოგონება. აქ აქტის შინაარსი მოცემულია ჭეშმარიტ- მცდარობის განზომილებაში. დაბოლოს, გრძნობის აქტებში საგანი ფასდება, როგორც სასურველი ან მავნე. როგორც ეხედავთ, ცნობიერების მოვლენები ამ შემთხვევაშიც სამ კლასად იყოფა, ოღონდ აქ იგულისხმება არა ფსიქიკური შინაარსები ან სტრუქტურის ელემენტები, არამედ ფსიქიკური პროცესები, აქტები – აქტი აღქმისა, აქტი აზროვნებისა, აქტი ემოციისა.

ამრიგად, ბრენტანოს თვალსაზრისით, ფსიქიკური მოვლენები არის აქტები, აქტის ძირითადი თვისება კი მისი ინტენციონალობაა. გარდა ამისა, აქტს კიდევ აქვს სხვა თვისებები, რომელთა გარეშე მისი ცნობიერი ფენომენის სახით გააზრება შეუძლებელია. საქმე ისაა, რომ, განსაზღვრების თანახმად, აქტში შინაარსი ცნობიერდება, როგორც ინტენციის საგანი, ხოლო ის, რაზეც მიმართულია აქტი (შინაარსი, საგანი) არაფსიქიკურია (ფიზიკურია). მაშინ დგება საკითხი თვით აქტის გაცნობიერების შესახებ. ფაქტია, რომ თუნდაც განსჯის აქტი ცნობიერია, მაგრამ როგორ ხდება ის ცნობიერი? თუ ამ აქტის გასაცნობიერებლად მეორე აქტია საჭირო, მაშინ ეს პირველი აქტი (აზროვნება) სხვა აქტის შინაარსად (საგნად) იქცევა. ამით მას ავტომატურად დაეკარგება ფსიქიკურობის ნიშანი და ფიზიკურ მოვლენად გადაიქცევა, რაც წარმოუდგენელია. გარდა ამისა, თუ მივიღებთ დებულებას, რომ აქტის გაცნობიერება სხვა აქტის მეშვეობით ხდება, მაშინ აქტის გამაცნობიერებელ აქტსაც დასჭირდება გაცნობიერება და შესაბამისი აქტი, ამ უკანასკნელს კიდევ თავისი და ასე, უსასრულოდ. ერთი სიტყვით, აქტის გაცნობიერება შეუძლებელი გახდება.

ამ სირთულეებიდან თავის დასაღწევად ბრენტანოს ფსიქიკურის კიდევ ერთი არსებითი ნიშანი შემოაქვს. მისი აზრით, ფსიქიკურს და ფიზიკურს ისიც განასხვავებს, რომ ერთი ე.წ. *შინაგანი აღქმით* არის მოცემული, მეორე კი – *გარეგანი აღქმით.* ფსიქიკურის (აქტის) შინაგან აღქმაში მოცემულობის თეზისი იმ მტკიცებიდან გამომდინარეობს, რომ აქტები ორმიმართულებიანი ფსიქიკური ფენომენებია. ერთი მხრივ, ისინი მიმართული არიან სხვაზე (შინაარსზე, საგანზე) და ეს არის გარეგანი აღქმა, ხოლო მეორე მხრივ – თავის თავზე, რაც შინაგანი აღქმაა. ყოველ აქტს ასეთი თვისება აქვს: ის აცნობიერებს არაფსიქიკურ შინაარსებს და, იმავდროულად, თვით ამ ფსიქიკურ აქტს. ჩვენ არა მარტო რაიმეს გავიაზრებთ, არამედ ვიცით, რომ ვაზროვნებთ; არა მხოლოდ გვიყვარს ვინმე, არამედ ვაცნობიერებთ, რომ შეყვარებულები ვართ. აქტი უშუალოდ არის მოცემული *თვითცნობიერებაში.* აქტი და მისი *თვითგანცდა,* არსებითად, ერთი და იგივე პროცესია, ამიტომ აქტის გასაცნობიერებლად სხვა აქტი საჭირო არ არის. აქტის თვითგანცდა მოიცავს როგორც *თვითწარმოდგენას,* ისე *თვითშემეცნებასა* და *თვითგრძნობას.*

ფსიქიკურის შინაგან აღქმაში მოცემულობას მჭიდროდ უკავშირდება

ფსიქიკურის კიდევ ერთი სპეციფიკური ნიშანი. ეს არის მისი უშუალო, ნამდვილი და უეჭველი არსებობა, ანუ ე.წ. *ევიდენტურობა.* გარეგანი აღქმის საგნები, როგორც ბუნებისმეტყველების მოვლენები, ყოველთვის ინტენციონალურად არის მოცემული. ისინი თვითონ არ წარმოადგენენ ფსიქიკას და მის გარეთ არსებულად იგულისხმებიან. არის თუ არა მათი ცნობიერებაში მოცემულობა იმის ადექვატური, რაც ისინი სინამდვილეში არიან, ყოველთვის კითხვის ქვეშაა. აქ შესაძლებელია შეცდომები, ილუზიები, პალუცინაციები. რაიმე საგანი შეიძლება სულ სხვა საგნად მოგვეჩვენოს, მაგრამ ფსიქიკურ მოვლენაზე, აქტზე, განცდაზე ეს არ ვრცელდება. ფსიქიკური აქტი ნამდვილად ისეთია, როგორც ის განიცდება. არ შეიძლება გქონდეს რაიმე განცდა და აღმოჩნდეს, რომ ეს განცდა არა გაქვს. შინაგან აღქმაში მოცემული ფსიქიკური მოვლენები *უეჭველად და რეალურად* არსებობენ თავისი ნატურალური სახით. ბრენტანო ასე ამბობს: "შემეცნება, სიხარული, სურვილი არიან ნამდვილად; სინათლე, ბგერა, სითბო – მხოლოდ ფენომენალურად და ინტენციონალურად".

ფსიქიკურის კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანი მისი *სპეციფიკური მთლიანობაა.* ფიზიკური და ფსიქიკური მოვლენები სხვადასხვაგვარად უკავშირდება ერთმანეთს და განსხვავებულ მთლიანობებს ქმნიან. აღქმაში ერთდროულად მოცემული შინაარსი (ფერი, ტონი, სუნი და სხვა) შეიძლება სხვადასხვა ფიზიკურ ობიექტებს თუ ნივთებს მივაკუთვნოთ, მაგრამ მათი შესაბამისი აღქმის აქტები (ხედვა, სმენა, ყნოსვა) და მათთან დაკავშირებული გრძნობები, მოგონებები, მსჯელობები ერთ მთლიან ფსიქიკურ მოვლენას ქმნის და ამ *ფსიქიკური ტოტალობის* ნაწილობრივ ფენომენებად განიცდება. ცნობიერებას, როგორც აქტების მთლიანობას, ბრენტანო აღარებს მდინარეს, სადაც ერთი ტალღა მეორეს მიჰყვება.

ბოლო ნიშანი, რომლითაც ფსიქიკური ხასიათდება, მისი *განუფენლობაა.* ფიზიკური მოელენა ყოველთვის სივრცეშია მოცემული, ანუ განფენილია, ფსიქიკურს კი სივრცესთან არაფერი აქვს საერთო.

ასეთია ბრენტანოს შეხედულება ფსიქიკის შესახებ. ფსიქიკის შემსწავლელი მეცნიერება – ფსიქოლოგია – *ემპირიული მეცნიერებაა.* ის რეალურად არსებულ, სუბიექტურ გამოცდილებაში მოცემულ ცნობიერების მოვლენებს იკვლევს, მაგრამ ეს მოვლენები ცნობიერების შინაარსები კი არ არის, არამედ ცნობიერების აქტები, ოპერაციები. ვუნდტი (და საზოგადოდ სტრუქტურალიზმი) ექსპერიმენტული პროცედურების მეშვეობით უშუალო გამოცდილების სტრუქტურის, მისი შემადგენელი შინაარსების რაგვარობისა და თვისებების შესწავლას შეეცადა, ხოლო ბრენტანომ ფსიქოლოგიური კვლევის ძირითად გზად უშუალო გამოცდილების *სისტემატური დაკვირვება* ჩათვალა. ეს დაკვირვება არ გულისხმობს ლაბორატორიულ, ხელოვნურ პროცედურებს ფსიქიკურ მოვლენებზე და აქტების ბუნებრივი მიმდინარეობის შესწავლის შესაძლებლობას იძლევა. ექსპერიმენტული და ანალიზური ინტროსპექცია აუცილებლად ამახინჯებს ფსიქიკური მოვლენების ბუნებრივ სახეს. ესმოდა რა ტრადიციული თვითდაკვირვების ნაკლოვანებებიც, ბრენტანო გვთავაზობდა აქტების შესწავლის სხვადასხვა ხერხს. მაგალითად, შესაძლებელია აქტის კვლევისას გამოვიყენოთ მეხსიერება და ფანტაზია. ერთ

შემთხვევაში ვისსენებთ, თუ რა განცდები ეროეოდა, ეთქვათ, იდეაციის აქტს, ხოლო მეორეში წარმოვიდგენთ ამ აქტს და ეკვირდებით მის თანმხლებ ფსიქიკურ მდგომარეობებს. ასეა თუ ისე, ბრენტანოს აზრით, ნამდვილმა ემპირიულმა ფსიქოლოგიამ ფსიქიკური აქტები უნდა შეისწავლოს ცალკეული ელემენტების ანალიზისა და საერთოდ რაიმე წინასწარი მოლოდინებისა თუ ეარაუდების გარეშე, ანუ ისე, როგორც უშუალო გამოცდილებაშია მოცემული. კვლევის ასეთ მეთოდოლოგიას ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიაში, განსაკუთრებით ჰუსერლის შემდეგ, *ფენომენოლოგია* ეწოდა და მან დიდი გავლენა მოახდინა ჩვენი მეცნიერების ისტორიულ განვითარებაზე.

ინტროსპექციული კვლევის ეს ორი მეთოდოლოგია გახდა იმ მწვავე დისკუსიის მიზეზი, რომელიც ოთხმოცდაათიან წლებში მიმდინარეობდა ვუნდტსა და ბრენტანოს მოწაფეს, შტუმფს შორის.

**კარლ შტუმფი** (1848-1936) იმ დროისთვის უკვე სახელგანთქმული მეცნიერი იყო. მან დააარსა ფსიქოლოგიური ინსტიტუტები მიუნხენისა და ბერლინის უნივერსიტეტებთან. მის მოწაფეთა შორის იყვნენ ე. ჰუსერლი და გეშტალტფსიქოლოგიური მიმართულების ყველა წამყვანი ფიგურა: მ. ვერთჰაიმერი, ვ. კიოლერი, კ. კოფკა, კ ლევინი. შტუმფის დიდ ავტორიტეტზე მეტყველებს ის, რომ იგი აირჩიეს ფსიქოლოგთა მესამე საერთაშორისო კონგრესის პრეზიდენტად (მიუნჰენი 1896). შტუმფის კვლევის ძირითად საგანს მუსიკალური ტონების ფსიქოლოგია შეადგენდა. ამ თემატიკაში გაერთიანდა მისი ცხოვრების ორი უმთავრესი ინტერესი – მეცნიერება და მუსიკა. თავადაც კარგი მუსიკალური განათლების მქონე შტუმფი (წერდა მუსიკას და უკრავდა რამდენიმე ინსტრუმენტზე) ემპირიულ კვლევაში უპირატესობას პროფესიონალ მუსიკოსთა გამოცდილებას, დაკვირვებას, განცდას ანიჭებდა. ვუნდტი კი, როგორც ვიცით, თვითდაკვირვებაში გაწაფულ ფსიქოლოგებს ენდობოდა. შტუმფის აზრით, ეს ცდისპირები ხელოვნურად შლიდნენ უშუალო გამოცდილებას ელემენტებად და უკარგავდნენ მას ბუნებრიობას. ფენომენოლოგიურად ორიენტირებული ექსპერტი მუსიკოსები სმენასთან დაკავშირებულ განცდას მის ნამდვილ მოცემულობაში აღწერდნენ.

შტუმფის თეორიული შეხედულება, პრინციპში, ბრენტანოს ხაზს აგრძელებს. მისი აზრით, ფსიქოლოგიის შესასწავლი საგანია ე.წ. *ფსიქიკური ფუნქციები*. შტუმფის ფუნქციის ცნება ბრენტანოს აქტის ექვივალენტურია. ამა თუ იმ ფუნქციის სახელწოდებაში მოცემულია იმ ოპერაციის, მოქმედებისა თუ პროცესის თავისებურება, რომელიც მიმართულია რაიმე მოვლენაზე (შინაარსზე): აღქმა, შემჩნევა, მსჯელობა, დაჯგუფება, გაგება, მონდომება, უკუგდება, განზრახვა და სხვა. შტუმფმა, ამავე დროს, ყურადღება გაამახვილა იმ ფსიქიკურ მოვლენებზე (ხატები, წარმოდგენები, აზრები და ა.შ.), რომელთა სტატუსი ბრენტანოს სისტემაში ბოლომდე არ იყო გარკვეული. საქმე ისაა, რომ ბრენტანომ ფსიქიკურ მოვლენებს აქტის იმანენტურ სტრუქ-

ტურაში მოუნახა ადგილი მისი ინტენციონალური შინაარსის სახით. ყოველი აქტი მიმართულია მოვლენაზე, როგორც თავის შინაარსზე, მაგრამ საკუთრივ შინაარსი ფსიქიკური არ არის; ფსიქიკურია მხოლოდ აქტი, მოვლენებს კი შეისწავლის ბუნებისმეტყველება. ეს კონსტრუქცია გაუგებრობათა წყაროდ იქცა. გამოდის, რომ აქტი, თავისი შინაარსით (მოვლენით), ფსიქოლოგიის კვლევის საგანია, ხოლო ცალკე მოვლენა, რომელიც აქტისაგან დამოუკიდებლად არც განიხილება – ბუნებისმეტყველებისა. აქტის ცნების შემოტანა უდავოდ ამდიდრებს ცნობიერების ანალიზს, რომელიც, შინაარსების ფსიქოლოგიის მისედვით, მხოლოდ მოვლენებისაგან შედგებოდა, მაგრამ აქტის ცნებამ არ უნდა განდევნოს ფსიქოლოგიიდან ფსიქიკური მოვლენები. ვაშლის ყურება (აქტი) და ვაშლის ხატი (მოვლენა) ერთადაა და ორივე ფსიქოლოგიის ფარგლებში მოიაზრება. ფსიქოლოგიის გარეთ შეიძლება დარჩეს "ობიექტურად არსებული" ვაშლი, რომლის რეალურ არსებობა-არარსებობაზე მსჯელობას ბრენტანო შეუძლებლად მიიჩნევს და მას მხოლოდ ინტენციის ობიექტად განიხილავს; ამ ობიექტს კი ბუნებისმეტყველება შეისწავლის. აქ თავისთავად იბადება კითხვა: ეინ უნდა შეისწავლოს ვაშლის ფსიქიკური ხატი – ბოტანიკამ?! კიდევ უფრო მეტი უხერხულობა იქმნება, თუ ამ ლოგიკით წარმოსახვის აქტზე ვისაუბრებთ. კენტავრი ფანტაზიის აქტის ინტენციის ობიექტია. საკითხავია, რომელი საბუნებისმეტყველო დისციპლინის კვლევის საგანს წარმოადგენს იგი – იქნებ ზოოლოგიის?! მითოლოგიური არსებები ბუნებაში არ გეხვდებიან, ამიტომ, შინაარსის მხრივ, ისინი ბუნების კი არა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კომპეტენციაში შედიან, რომელთა შესახებ ბრენტანო სულ არაფერს გვეუბნება. უფრო მნიშვნელოვანი აქ ის არის, თუ რა ფსიქიკურ ფორმაშია მოცემული ეს შინაარსი. ამ შემთხვევაში იგი წარმოდგენის სახით გვევლინება. რეალურ საგანს წარმოიდგენთ თუ არარეალურს, წარმოდგენა რჩება წარმოდგენად, ანუ გარკვეულ ფსიქიკურ მოვლენად. ის განსხვავდება ფსიქიკური აქტისაგან (წარმოსახვის ან მოგონების პროცესი) და, ამ უკანასკნელთან ერთად, უთუოდ ფსიქოლოგიის კომპეტენციაში შედის. ამიტომ ფსიქოლოგიის საგნის შემოსაზღვრა აქტებით უმართებულოა.

შტუმფის ცნობიერების ფაქტების ცნობილი კლასიფიკაცია ნაწილობრივ ხსნის ამ სირთულეებს. ფუნქციებთან ერთად და პირველ რიგში, გამოიყოფა ე.წ. *ფსიქიკური მოვლენები* (ფენომენები). ისინი ცნობიერების გრძნობად მონაცემებს (ფერები, ტონები, ხატები, ტკივილისა თუ სიამოვნება-უსიამოვნების განცდები და ა.შ.) და მათ რეპროდუქციულ ფორმებს ანუ წარმოდგენებს აერთიანებენ. მოვლენები მიეკუთვნება სპეციალურ მეცნიერებას, *ფენომენოლოგიას*[1], რომელიც არის ფიზიკისა და ფსიქოლოგიის წინა დისციპლინა, მათი პროპედევტიკა. მოვლენების ცნობიერებაში მოცემულობა ყოველგვარი მეცნიერების – საბუნებისმეტყველოსი თუ გონითის (ანუ ჰუმანიტარულის) პირობაა. შტუმფი გამოყოფს მეცნიერებათა ორ ჯგუფს.

[1] ტერმინი "ფენომენოლოგია" აქ არა კვლევის მეთოდის, არამედ სპეციალური მეცნიერული დისციპლინის მნიშვნელობით იხმარება.

პირველი ჯგუფის ცენტრალური დისციპლინა ფიზიკაა, მეორისა – ფსიქოლოგია. ამდენად, ფიზიკაც და ფსიქოლოგიაც მოვლენათა შესახებ მონაცემებით საბრლოობს. ფიზიკა, მათზე დაყდნობით, მიემართება ობიექტური სინამდვილის პროცესებისკენ, რომელთა არსებობასაც ის მოვლენათა მიღმა უშვებს. ფსიქოლოგია მიემართება მოვლენებთან დაკავშირებული ფსიქიკური ფუნქციებისკენ. სწორედ ეს უკანასკნელნი, როგორც ითქვა, შეადგენენ საკუთრივ ფსიქოლოგიის საკვლევ სფეროს.

განასხვავებდა რა ცნობიერების მოვლენებსა და ფუნქციებს, შტუმფი თვლიდა, რომ ისინი ერთმანეთზე დამოკიდებული არ არიან და დამოუკიდებლად ცვალებადობენ. ამ დებულების დასაბუთებას იგი ფენომენოლოგიური ანალიზით ცდილობს. ერთი მხრივ, შეიძლება ფუნქცია იცვლებოდეს, ხოლო მოვლენა უცვლელი იყოს. ამის მაგალითია ის შემთხვევები, როცა ჩვენ ვამჩნევთ აღრე შეუმჩნეველ ფენომენს, თუმცა ის ობიექტურად არ შეცვლილა: უცებ ყურადღებას მივაქცევთ საათის რეკვას ან ცალკე ტონს აკორდში. აქ ფუნქცია შეიცვალა და არა გამღიზიანებელი, ანუ მოვლენა. მეორე მხრივ, შეიძლება პირიქითაც მოხდეს – მოვლენა შეიცვალოს ფუნქციისაგან დამოუკიდებლად. ამაზე ის ფაქტები მიგვითითებენ, როცა გამღიზიანებლის თანდათანობითი, უწყვეტი ცვლილების პირობებში მისი ცვალებადობის დისკრეტული, ან უცაბედი განცდა გვიჩნდება. ასე ხდება, მაგალითად, როდესაც შეუმჩნეველად შემოგვეპარება ბინდი, თუ სხვა რამეზე გვაქვს მიმართული ყურადღება. შტუმფის ანალიზით, ამ შემთხვევაში ჩვენ თანდათან განვიცდიდით მოვლენის ცვალებადობას (სინათლის კლებას), მაგრამ ვერ ვამჩნევდით ამას, ვინაიდან ყურადღება (ანუ ფუნქცია) მყარად და უცვლელად იყო მიპყრობილი სხვა საგანზე.

ადვილი დასანახია, რომ ეს მსჯელობა შეუმჩნეველი ანუ *არაცნობიერი* ფსიქიკური ფენომენების არსებობას გულისხმობს. მართლაც, შტუმფი ახალი ფსიქოლოგიის იმ შედარებით მცირერიცხოვან ავტორებს მიეკუთვნება, ვინც აღიარებს არაცნობიერ ფსიქიკურ მოვლენებს. ჩვენი ანალიზის კონტექსტში კი მთავარი ის არის, რომ შტუმფმა სცადა ზოგადად ფსიქიკური მოვლენებისა და შინაარსების ერთგვარი რეაბილიტაცია და ისინი ფიზიკისა და ფსიქოლოგიის საფუძვლადმდებარე მეცნიერებაში – ფენომენოლოგიაში მოათავსა. ეს, რა თქმა უნდა, ბევრად უკეთესია, ვიდრე მათი შეტანა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, როგორც ეს ბრენტანოსთანაა. ამავე დროს, დაუქვემდებარა რა ისინი სხვადასხვა მეცნიერებას, შტუმფმა რადიკალურად გამიჯნა ერთმანეთისაგან ცნობიერების მოვლენები და ფუნქციები, თუმცა არათუ ლოგიკა, უბრალოდ საღი აზრიც მოითხოვდა მათ განხილვას ერთი დისციპლინის ფარგლებში. ეს მართლაც ასეა, ვინაიდან, ბოლოს და ბოლოს, ორივე მათგანი ფსიქიკურ რეალობას მიეკუთვნება – ცნობიერს თუ არაცნობიერს. ფსიქოლოგიამ, საბოლოო ჯამში, აქტებიც (ფუნქციები) და მოვლენებიც (შინაარსები) თავისი შესწავლის ობიექტად აქცია. ამით ერთგვარად მოიხსნა ბრენტანოდან წამოსული დაპირისპირება შინაარსისა და აქტის ფსიქოლოგიას შორის და გზა გაეხსნა კონკრეტულ კვლევებს ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის სხვადასხვა ცენტრებში.

ამ კონტექსტში აღსანიშნავია **ედმუნდ ჰუსერლის** (1859-1938) ღვაწლი. მან გარკვევით განაცხადა, რომ აქტებიც (მისი ტერმინოლოგიით "ინტენციონალური განცდები") და მათი შინაარსებიც ("გრძნობადი მონაცემები") ერთ სფეროს, კერძოდ, ცნობიერებას ეკუთვნის. ამ შინაარსების მიღმა იგულისხმება "საგნები", რომლებიც ბუნებისმეტყველებისა და გონისმეცნიერების ინტერესის სფეროს შეადგენენ. ჰუსერლის მაგალითში ისინი ნათლად იმიჯნება. რაიმე საგანი, ვთქვათ კოლოფი, აღქმის აქტში შეიძლება სრულიად განსხვავებული გრძნობადი შინაარსით იყოს მოცემული: მას, შესაძლებელია, ვუყურებდეთ სხვადასხვა მხრიდან, ვსინჯავდეთ ხელით, ვყნოსავდეთ და ა.შ. ასეთ დროს საგანი ერთი და იგივე რჩება, მაგრამ იცვლება გრძნობადი მონაცემები. იგივე ხდება სხვა აქტების დროსაც, მაგალითად ამ საგნის გააზრების შემთხვევაში. აქ თითქოს ყველაფერი გარკვეულია. გარდა ერთისა, რასაც ფსიქოლოგიის საგნის განსაზღვრის კუთხით გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, კერძოდ, რომელი დისციპლინა უნდა შეისწავლიდეს ინტენციონალურ განცდებს (აქტები, ფუნქციები) და გრძნობად მონაცემებს (ფსიქიკური მოელენები, შინაარსები)? ბუნებრივი პასუხი თითქოს ნათელია – ფსიქოლოგია, მაგრამ სწორედ ამას ეწინააღმდეგება ჰუსერლი. ფენომენოლოგიური ფილოსოფიის ფუძემდებლის განწყობა მოგვადად ანტიფსიქოლოგიური იყო. იგი ებრძოდა *ფსიქოლოგიზმს* და სურდა გაეწმინდა ფილოსოფიური შემეცნება ფსიქოლოგიის ყოველგვარი შინაარსისაგან. მიისწრაფოდა რა ცნობიერების საყოველთაო, წმინდა ან ტრანსცენდენტური სტრუქტურების გამოელენისკენ, ჰუსერლმა შეიმუშავა *ფენომენოლოგიური მეთოდი*, რომელიც ე.წ. "რედუქციის პროცედურებს" გულისხმობს. მათი არსი იმაშია, რომ "ნატურალისტურ განწყობათა" გადალახვით გამოიყოს ცნობიერება, როგორც ანალიზის ერთადერთი ობიექტი და შემდგომ თვითონ ცნობიერება გაიწმინდოს ყოველგვარი კულტუროლოგიური, პირველ ყოვლისა, ემპირიულ-ფსიქოლოგიური გამოცდილებისაგან.



ჰუსერლის ურთულეს მოძღვრებაში ფსიქოლოგიისა და ფენომენოლოგიის, როგორც ფილოსოფიის ურთიერთობის პრობლემა სათანადოდ ვერ გადაწყდა. ჰუსერლის პოზიცია ამ საკითხში შემოქმედების სხვადასხვა ეტაპზე იცვლებოდა. ვუნდტიდან მომდინარე ემპირიულ-ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიას იგი თავიდანვე არ ცნობდა მისი ნატურალიზმისა და საბუნებისმეტყველო ელფერის გამო. ჰუსერლის აზრით, ბუნების შემსწავლელი მეცნიერებებისადმი მიბაძვა ფსიქოლოგიას ღუპავს და მუდმივი კრიზისის მდომარეობაში აყენებს. ფენომენოლოგიური რედუქცია საშუალებას იძლევა "გამოირთოს", "ურჩხილებში ჩაისვას" ტრადიციული ფსიქოლოგია, რათა გზა გაეხსნას ნამდვილ ფსიქოლოგიას. მაგრამ ამ ნამდვილი, ანუ *ფენომენოლოგიური ფსიქოლოგიის*, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერული დისციპლინის შესაძლებლობათა დასაბუთება ჰუსერლმა ვერ შეძლო და, საბოლოო ჯამში, იგი

ფენომენოლოგიასთან, ანუ ფილოსოფიასთან გააიგივა. მხოლოდ ამ უკანასკნელის ფარგლებშია შესაძლებელი *წმინდა ცნობიერების* ან *წმინდა სუბიექტურობის* პირდაპირი ჭვრეტა, მისი არსებითი მხარეების გათვალისწინება, ინტუიციური წვდომა. ცნობიერების შემეცნების ყოველგვარი სხვა გზა აუცილებლად მარცხს განიცდის. მაშასადამე, ასე კარგად დახასიათებული ფსიქიკური აქტიც და მოელენაც, საბოლოოდ, ფენომენოლოგიური ფილოსოფიის "საკუთრებად" იქცევა, ხოლო ფსიქოლოგია უსაგნოდ რჩება; იგი, როგორც მეცნიერება, არსებითად, უქმდება.

ფსიქოლოგიის ისტორიის თვალსაზრისით, ეს იყო უკუსვლა, ფილოსოფიაში დაბრუნება, და ეს მაშინ, როდესაც მეცნიერული აზრის მთავარი ექტორი სწორედ საპირისპიროდ იყო მიმართული. აქტიურად მიმდინარეობდა ფსიქოლოგიის, როგორც ცალკე დისციპლინის, მეცნიერებათა სისტემაში დამკვიდრების პროცესი. ამ მხრივ ფსიქოლოგიურ მეცნიერებას უკვე ჰქონდა მიღწეული როგორც ემპირიული მონაცემების მოპოვების, ისე მათი თეორიული გაამრების სარბიელზე. მოგვიანებით, ჰუსერლის იდეებმა გამოხმაურება პპოვა ე.წ. ეგზისტენციალური ფსიქოლოგიის ფარგლებში, რომელიც არასდროს ყოფილა ფსიქოლოგიის განვითარების მაგისტრალური ხაზი.

რაც შეეხება *ფსიქოლოგიურ ფენომენოლოგიას*, ის გულისხმობს ცნობიერების კვლევის მეთოდს, რომელიც ფსიქოლოგიურ დონეზე გამოიყენება. ამ გაგებით, იგი უნდა განვასხვავოთ *ფილოსოფიური ანუ ტრანსცენდენტური ფენომენოლოგიისაგან*, რომელიც მიმართულია მოელენების არსზე და საბოლოო სინამდვილის ცოდნაზე. ფსიქოლოგი, რომელიც ფენომენოლოგიურ მეთოდს იყენებს, უბრალოდ ცდილობს, განიხილოს სულიერი მოვლენა ისე, როგორც ის უშუალოდ არის მოცემული განცდაში. ეს არის ერთგვარი დაკვირვების მცდელობა იმ წინასწარი დაშვებებისა და ეარაუდების გარეშე, რომლებსაც შეუძლიათ დაამახინჯონ უშუალო გამოცდილება ჩვენი თეორიებისა თუ დოგმების შესაბამისად. პირველ რიგში ამით განსხვავდება იგი ექსპერიმენტული ინტროსპექციისაგან, რომლის დროსაც კარგად გაწაფული დამკვირვებელი, გარკვეული სტიმულაციის შემთხვევაში, გადმოსცემს თავის შთაბეჭდილებებს და ცდილობს, დაიყვანოს ისინი უმარტივეს მენტალურ ელემენტებამდე, დაადგინოს მათი თვისებები. ფენომენოლოგიური დაკვირვებისას კი არ არსებობს არავითარი წინასწარი ვარაუდი, რომელიც ეხება შთაბეჭდილებათა რაგვარობას ან თვისებათა ერთობლიობას. უფრო მეტიც, ინტროსპექტულ პასუხებში ობიექტები და მნიშვნელობები მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოს, რათა, ტიჩენერის თქმით, არ მოგვივიდეს "სტიმულის შეცდომა", ხოლო ფენომენოლოგიური კვლევისას ისინი არსებითია. ფენომენოლოგიას აინტერესებს სტიმულებისა და სიტუაციების ის მნიშვნელობები, რომლებიც მათ დამკვირვებლისთვის აქვთ.

ფენომენოლოგიური აღწერის სისტემატური და ეფექტური გამოყენების პირველ მაგალითებს XIX საუკუნის დასაწყისში ვხვდებით. ასეთებია ი. გოეთესა და ი. პურკინიეს კვლევები მხედველობითი აღქმის სფეროში. მოგვიანებით, ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის ჩამოყალიბების შემდეგ, ამ მეთოდს მიმართავდენენ ე. ჰერინგი, კ. შტუმფი, გ.ე. მიულერი, ვ. უნდერი, თ. რიბო

და სხვა. XX საუკუნის დასაწყისში ფენომენოლოგიური კვლევა ახალ საფეხურზე აიყვანეს დ. კაცმა და მ. ვერთჰაიმერმა. მათი ნაშრომები ფერისა და მოძრაობის აღქმას მიეძღვნა. ამ კლასიკურ გამოკვლევებში განხორციელდა ლაბორატორიული ტექნიკისა და ფენომენოლოგიური აღწერის ორგანული შერწყმა, რამაც მოგვიანებით *ექსპერიმენტული ფენომენოლოგიის* სახელწოდება მიიღო. აქ საქმე გვაქვს უშუალო გამოცდილების, განცდის ისეთ თავისებურებათა გამოვლენასთან, რაც პირდაპირ არ გამოიყვანება ფიზიკური სტიმულების თვისებებიდან. ასე აღმოაჩინეს ბევრი საინტერესო ფენომენი ვიზუალური აღქმის სფეროში (კონსტანტობა, ფიგურა-ფონი, სხვადასხვაგვარი ილუზიები). ექსპერიმენტული ფენომენოლოგიის ფარგლებში მუშაობდნენ ისეთი თვალსაჩინო მეცნიერები, როგორიცაა ნ. ახი, კ. ბიულერი, ვ. ბოიტენდაიკი, ვ. კელერი, ვ. კოფკა, ფ. კრიუგერი, ა. მიშოტი, ე. რუბინი და სხვა. ამრიგად, ფენომენოლოგიურ კვლევას ფსიქოლოგიაში დიდი ტრადიცია აქვს და მას სრულიად განსხვავებული ორიენტაციის მკვლევარები აწარმოებდნენ.

ასე წარიმართა ინტენციონალურ-ფენომენოლოგიური ძიებანი, რომელიც წამოიწყო ბრენტანომ ახალი ემპირიული ფსიქოლოგიის დაფუძნების განზრახვით და დაასრულა ჰუსერლმა ფსიქოლოგიის უარყოფით. ამ ფსიქოლოგიურმა მიმდინარეობამ, განსაკუთრებით ბრენტანოსა და შტუმფის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის წყალობით, მნიშვნელოვნად განსაზღვრა ფსიქოლოგიური მეცნიერების შემდგომი სახე. მისი გავლენა მეტ-ნაკლებად აისახა ვიურცბურგის, გრაცის და ბერლინის (იმავე გეშტალტფსიქოლოგიის) სკოლების კვლევითი მუშაობის პრინციპებზე.

დასასრულს, მხოლოდ ერთ გარემოებას აღვნიშნავთ ინტენციონალურ-ფენომენოლოგიური ფსიქოლოგიის სახელწოდებასთან დაკავშირებით. ის გამოსტაგვეს ამ მიმდინარეობის საკვანძო ნიშანს, ეს არის ინტენციონალური აქტების შესწავლა ფენომენოლოგიური მიდგომით. ფსიქოლოგიის ისტორიკოსები მას საკმაოდ ხშირად უწოდებენ *ფუნქციონალურ ფსიქოლოგიას* და ფუნქციონალისტური მიმდინარეობის ევროპულ ვარიანტად მიიჩნევენ. ფსიქოლოგიის ამ მიმდინარეობის შესახებ ქვემოთ საგანგებო საუბარი გვექნება. მაშინ დავრწმუნდებით, რომ ის მომდინარეობს სიტყვა "ფუნქციიდან" და მიუთითებს ფსიქიკის დანიშნულებასა და როლზე ორგანიზმის გარემოსთან შეგუების პროცესში. არც ბრენტანო, არც შტუმფი და მათი მიმდევრები ამ კუთხით არ განიხილავდნენ ფსიქიკას, ხოლო "ფუნქციას" უბრალოდ აქტის ექვივალენტურ ცნებად იყენებდნენ. ნამდვილი ფუნქციონალური ფსიქოლოგია არ მომდინარეობს *აქტ-ფსიქოლოგიიდან* (როგორც თავის სისტემას ბრენტანო უწოდებდა). ფსიქიკის ადაპტაციური თვალსაზრისით განხილვა არ იყო უცხო იმდროინდელი ევროპელი ფსიქოლოგებისთვისაც. მიუხედავად ამისა, ფუნქციონალური ფსიქოლოგია, როგორც ერთიანი მიმდინარეობა, ამერიკული მოვლენა იყო, და თუ ვინმე მისი ნამდვილი წინამორბედია, ეს არის უ. ჯეიმსი.

## 5.4. ცნობიერების ნაკადის ფსიქოლოგია

**უილიამ ჯეიმსი** (1842-1910) დაიბადა შეძლებულ ინტელიგენტურ ოჯახში, ნიუ-იორკში, 1842 წელს. იგი სწავლობდა ევროპისა და ამერიკის სკოლებსა და უნივერსიტეტებში. ყველაზე მეტად დაკავშირებული იყო ჰარვარდთან, სადაც მიიღო განათლება ქიმიაში, მედიცინასა და ფილოსოფიაში. აქვე დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა: ასწავლიდა ფიზიოლოგიას, ფსიქოლოგიას და ფილოსოფიას. ფსიქოლოგიის სხვა უუძემ-ლებლებიეით იგი უთანხმებდა ერთმანეთს ფიზიოლოგიისა და ფილოსოფოსის ინტერესებს. 1875 წლიდან ჯეიმსი ფიზიოლოგიურ ფსიქოლოგიას კითხულობდა და თავიდანვე გამოყო ადგილი ექსპერიმენტული დემონსტრირებისა და სტუდენტების ლაბორატორიული წრთობისთვის. ამ ლაბორატორიას ზოგჯერ რეალურად არსებულ პირველ ფსიქოლოგიურ ლაბორატორიად მიიჩნევენ. თუმცა, სინამდვილეში, ის არასდროს ყოფილა კელევითი ცენტრი, ისეთი, როგორიც იყო ვუნდტის ლაბორატორია. ჯეიმსს არ უყვარდა ექსპერიმენტული სამუშაო და, საბოლოოდ, თავის შემცელელად ლაბორატორიაში გერმანიიდან მოიწვია ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საკმაო სახელის მქონე მეცნიერი ჰ. მიუნსტენბერგი, რომელიც ამერიკაში გამოყენებითი ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი გახდა. ჯეიმსი ბევრს მოგზაურობდა და პირადად იცნობდა წამყვან ევროპელ ფსიქოლოგებს, მათ შორის ვუნდტს, რომლის შესახებ ერთხელ შენიშნა, რომ "იგი არ არის არაეითარი გენიოსი, უბრალოდ პროფესორია, რომლის მოვალეობაა ყველაფრის ცოდნა და ყოველ საკითხზე საკუთარი აზრის ქონა".

1890 წელს გამოქვეყნდა ჯეიმსის გახმაურებული წიგნი "ფსიქოლოგიის პრინციპები", რომელშიც წარმოდგენილი იყო ავტორის ძირითადი ფსიქოლოგიური შეხედულებები. ამ წიგნს უდიდესი წარმატება ხვდა წილად და დღესაც ფსიქოლოგიის კლასიკად ითვლება. მიუხედავად ამისა, ჯეიმსის შეხედულებები ყველამ არ გაიზიარა. მაგალითად, იგივე ვუნდტი, რომელსაც ჯეიმსი აკრიტიკებდა, ამ წიგნის შესახებ ამბობდა: "ეს ბრწყინვალეა, მაგრამ ეს არ არის ფსიქოლოგია". ასეთი შეფასება ნიშანდობლივია იმ ოპონენტისთვის, რომელმაც ვერ დაუკარგა ჯეიმსის ნაწარმოებს ის, რაც საზოგადოდ ახასიათებს მის ტექსტებს – აზრის ნათელი, მოსწრებული და დამაჯერებელი გამოხატვა, რაც თავის მხრივ, დაფუძნებულია სულიერი სამყაროს ანალიზის, თვითდაკვირვების სრულიად გამორჩეულ უნარზე. ამ თვისებების გამო ჯეიმსი ფსიქოლოგიის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ ავტორადაა მიჩნეული. მისი წიგნები თანამედროვე მკითხველსაც იტაცებს. მათ შორის უნდა აღინიშნოს "საუბრები მასწავლებლებთან" (1899) და "რელიგიური გამოცდილების მრავალფეროვნება" (1902). სიცოცხლის ბოლო წლები ჯეიმსმა თითქმის მთლიანად ფილოსოფიურ კელევა-ძიებას მიუძღვნა. მან დაწერა წიგნი "პრაგმატიზმი" (1907), რომელმაც მისი ავტორი ფილო-

სოფიის ამ მნიშვნელოვანი მიმდინარეობის ერთ-ერთ ფუძემდებლად და აღიარებულ ლიდერად აქცია.

ჯეიმსი ცნობიერების ძალიან ზუსტ აღწერით დახასიათებას იძლევა. განსხვავებით შინაარსებისა (ფუნდტი) და სტრუქტურული (ტიჩენერი) ფსიქოლოგიისაგან, სადაც ცნობიერებაში პირველ რიგში დისკრეტული ელემენტების ძიება მიმდინარეობს, ჯეიმსი ცნობიერებას ახასიათებს როგორც პროცესს, ნაკადს. *ცნობიერების ნაკადი* მუდმიეად მიედინება. მისი დანაწევრება ელემენტებად, ჯეიმსის სიტყვებით, ისეთივე უაზრო საქმიანობაა, როგორც წყლის მაკრატლით დაჭრა. ჰერაკლიტე ამბობდა, ერთ და იმავე მდინარეში ორჯერ ვერ შესვალო. ჯეიმსი ამ გამონათქვამის პერეფრაზს აკეთებს და ამტკიცებს, რომ ცნობიერების ერთი და იმავე ნაკადში ორჯერ ვერ მოხვდები. ცნობიერება მუდმივი ცვალებადობაა. ცნობიერების ესა თუ ის მდგომარეობა არასდროს მეორდება იგივე სახით. მეორდება ობიექტი და არა ჩვენი შეგრძნება ან აზრი. როდესაც გამღიზიანებელი ობიექტი (სტიმული) მეორდება, მას შეცვლილი ფსიქიკა უხვდება. ძველი ობიექტი და ახალი ფსიქიკა ერთად ქმნიან ცნობიერების ახალი სახის მდგომარეობას. ჩვენ შეიძლება გვეჩვენებოდეს, რომ რაიმე აზრი მეორდება, მაგრამ სინამდვილეში ყველა აზრი უნიკალურია, თუმცა წინა აზრის მოდიფიკაციაზეა დამოკიდებული. ამავე დროს, ჩვენ ხშირად ვამჩნევთ, თუ რაოდენ შეიცვალა ჩვენი შეხედულებები. ჯეიმსი ძალიან ხატოვნად გადმოსცემს ამ ვითარებას: ზოჯერ ჩვენ თვითონ გვიკვირს, თუ რას ვფიქრობდით ამა თუ იმ მოვლენის შესახებ. წლიდან წლამდე მოვლენებს ახლებურად ვხედავთ. ის, რაც არარეალური გვეჩვენებოდა, რეალურად იქცა; რაც გვაღელვებდა, მოსაწყენი და ჩვეულებრივი გახდა. მეგობრები, რომელებიც განსაზღვრავდნენ ჩვენს სამყაროს, წარსულის მკრთალ აჩრდილებად იქცნენ; ქალები, რომელთაც ვაღმერთებდით, ვარსკვლავები, ტყვები, ზღვები თავისი უსასრულობის განცდით – როგორი მოსაწყენი და პროზაული გახდა ეს ყოველივე. ან თუნდაც წიგნები: რას ვნახულობდით ასეთ მისტიკურს გოეთეს ნაწარმოებებში ან რად ეთელიდით ჯ. ს. მილის თხზულებებს ესოდენ მნიშვნელოვნად?

ამრიგად, ცნობიერების ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი *მუდმივი ცვალებადობაა*, მაგრამ ცნობიერების ნაკადის კიდევ ერთი მახასიათებელი, ცვალებადობასთან ერთად, *უწყვეტობაცაა*. ეს უწყვეტობა, ცხადია, პირობითია. რეალურად ცნობიერებას აქვს ხარვეზები, როგორც, მაგალითად, ძილში, მაგრამ გაღვიძებისას ჩვენ მაშინვე ვუბრუნდებით ცნობიერების ჩვეულ ნაკადს, გვაქვს სრული რწმენა, რომ ეს ცნობიერება მოდის იმ ცნობიერებიდან, რომლითაც დავიძინეთ, ანუ, რომ ის ისეთივეა და ჩვენია. უწყვეტობის თეზისი იმასაც ნიშნავს, რომ ცნობიერების შინაარსები მკვეთრად არასდროს ცვალებადობს, მაგრამ თვისებრივი კონტრასტების არსებობა ჩვენს აზრებში თუ განცდებში თითქოს ამ დებულების საწინააღმდეგოდ მეტყველებს. განა გამაყრუებელი აფეთქება არ ყოფს ორად ცნობიერებას, რომელზეც ის მემოქმედებს? მაგრამ, თუ კარგად ჩაუკვირდებით, დავინახავთ, რომ გრგვინვის ცნობიერება ერწყმის წინარე სიჩუმის ცნობიერებას, რომელიც გრძელდება – ეს ასეა, ვინაიდან, როცა აფეთქების ხმა გვესმის, ჩვენ განვიცდით

არა უბრალოდ გრუხუნს, არამედ გრუხუნს, რომელმაც უეცრად დაარღვია სიჩუმე და მასთან კონტრასტში მოვიდა. ასეთ პირობებში გრეგეინეის განცდა სრულიად განსხვავდება იმავე გრეგეინვის შთაბეჭდილებისაგან, რომელიც მსგავსი ხმების რიგში გვეძლევა. ჩვენ ვიცით, რომ სიჩუმე და ხმაური ერთმანეთს სპობს და გამორიცხავს, მაგრამ გრუხუნის შეგრძნება ამავე დროს იმის ცნობიერებაცაა, რომ ამ მომენტში სიჩუმე შეწყდა. ადამიანის რეალურ ცნობიერებაში საეჭვოა, მოინახოს აწმყოთი იმდენად შეზღუდული განცდა, რომ მასში მინიშნებაც არ იყოს იმაზე, თუ რა უძღოდა წინ. ცნობიერების ყოველი ასლადწარმოქმნილი მოელენა თავისი ძალის, ფოკუსირების, შინაარსისა და მიმართულების ნაწილს იღებს წინმსწრები აზრისაგან ან წარმოდგენისაგან. ამიტომ ცნობიერებას არ ეჩვენება თავისი თავი დანაწევრებულად. ცნობიერების შეღარება ჯაჭვთან ან რიგთან აღექვატურად არ გამოხატავს მის ბუნებას, ვინაიდან მასში ვერ იპოვით შეერთებებს, ის უწყვეტი მიმდინარეობაა. მდინარე ან ნაკადი – აი ის მეტაფორები, რომლებიც ყველაზე უფრო ბუნებრივად აღწერენ ცნობიერებას.

ნაკადის ცვალებადობა და უწყვეტობა არ გამორიცხავს მასში განსხვავებული მდგომარეობების არსებობას. ნამდვილი მდინარის მსგავსად, ცნობიერების ნაკადში გამოიყოფა შეღარებით *მყარი მდგომარეობები*, როდესაც ის ძალზე ნელა მიედინება ან თითქმის მორევივით არის გაჩერებული და დამდგარი. ამასთან, არსებობს გარდამავალი, *სწრაფად წარმავალი მდგომარეობები*, როდესაც ნაკადი იმდენად ჩქარია, რომ აღწერასა და დაკვირვებას არ ემორჩილება. ინტროსპექცია ამ ორთაგან მხოლოდ პირველს აფიქსირებს. ბორინგის შეფასებით, ეს მდგომარეობები შეიძლება შევადაროთ თვალსაჩინო შინაარსებს და არათვალსაჩინო აქტებს, რომლებსაც მოგვიანებით ვიურცბურგის სკოლის წარმომადგენლები გამოკვეთენ (იხ. 6.1.).

ჯეიმსი ცნობიერების ნაკადის შემადგენლობის დიფერენცირებას ახდენს არა მხოლოდ დროის განზომილების თვალსაზრისით, ანუ იმის მიხედვით, თუ რა სიჩქარით მოძრაობს ცნობიერების შინაარსი, არამედ ამ ფსიქიკური მოვლენის გამოკვეთილობის, სინათლის ხარისხის ასპექტითაც. ცნობიერებაში არსებობს გარკვეული და ნათელი ნაწილი ანუ ბირთვი და ბუნდოვანი, ბნელი პერიფერია. ამ უკანასკნელს ჯეიმსი სხვადასხვა სახელებს არქმევს: *ფოჩები, მიმართებათა მარავანდედები, ფსიქიკური ობერტონები*. აქ არსებული ნიუანსების მიუხედავად, ძირითადი არსი ყველგან ერთია — ისინი ცნობიერების მკრთალ ნაწილს, მის ფონს გამოხატავენ. ეს ფონი აზრს და მნიშვნელობას ასოციაციებისა და გრძნობების ქსელიდან იღებს. მაგალითად, თუ ადამიანს დაავიწყდა საგნის სახელი, ეს "შარავანდედი" მოქმედებს, როგორც სქემა და სწორი მიმართულებით წარმართავს აზრს. ამ "ენის წვერზე" მომდგარი, ბუნდოვანი გამოუთქმელი აზრის წყალობით ხდება არასწორი დასახელების უარყოფა და სწორი დასახელების სანქციონირება.

ფსიქოლოგიური ობერტონების ამ დახასიათებაში შეიძლება დავინახოთ ცნობიერების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თვისება, ესაა მისი *სელექციურობა*: ცნობიერებაში ყოველთვის შერჩევა ხდება – ერთი შინაარსი წინ წამოიწევა, მეორე კი უკანა პლანზე გადადის იმის მიხედვით, თუ რა ღირე-

ბულება აქვს მას სუბიექტისთვის. სელექციის მექანიზმს ცნობიერებაში *ყურადღება* წარმოადგენს. "ყურადღება არის გონების რამდენიმე ერთდროულად შესაძლებელი ობიექტიდან ან აზრის მიმართულებიდან ცხად და ცოცხალ ფორმაში ერთის მიღების პროცესი". ერთიზე ფოკუსირება გულისხმობს სხვა შესაძლებლობებისაგან განყენებას, რათა ეფექტურად განხორციელდეს არჩეული მოქმედება. თუმცა, პრინციპში, მოქმედება შეიძლება ყოველგვარი ცნობიერი არჩევანისა და კონტროლის გარეშეც წარიმართოს. ამას ემსახურება *ჩვევის* მექანიზმი, რომელიც ჯეიმსის სისტემაში ყურადღების ცნობიერი მექანიზმის ალტერნატივად არის წარმოდგენილი. ჯეიმსი დიდ აღგილს უთმობს ჩვევების ანალიზს. ჩვევა, როგორც არაინსტინქტური, შეძენილი მოტორული ან მენტალური ავტომატიზმი ძალიან სასარგებლოა. ის აადვილებს და ნაკლებად დამღლელს ხდის საჭირო შედეგის მიღწევის პროცესს, შეაქვს მასში მეტი სიზუსტე. ამ მხრივ ის ერთგვარად ათავისუფლებს ყურადღებას, რომელიც არ არის საჭირო ჩვეული მოქმედებისას. საზოგადოდ, ჩვევა ცნობიერების ანტაგონისტია. ჩვეული მოქმედება, როგორც წესი, არ ცნობიერდება და მთელ რიგ შემთხვევებში ეს ოპტიმალურია და ეფექტური. მაგრამ ვითარება საპირისპიროდ იცვლება, როცა საქმე ცუდ ჩვეულებებთან გვაქვს; ასეთები კი ყველასთან გვხვდება და ზოგჯერ საკმაოდ მრავალადაც. ჯეიმსი თვლის, რომ ამ შემთხვევაში ჩვეულება ვადაიქცევა იმ ძალად, რომელიც აფერხებს პიროვნების განვითარებას და ხელს უშლის მის ბედნიერებას.

ჯეიმსი უდიდეს ყურადღებას უთმობდა *პიროვნების* ცნებას. მისი თანამედროვე ავტორებისაგან განსხვავებით, რომლებიც წმინდა ცნობიერების ფსიქოლოგიას ქმნიდნენ, ჯეიმსი ცდილობდა, გაეფართოვებინა ამ მეცნიერების ფარგლები და ცნობიერება სხვა კატეგორიებთან მიმართებაში მოეყვანა. ამ მცდელობათა წყალობით, იგი მრავალი ახალი ფსიქოლოგიური ორიენტაციის წინამორბედი გახდა. შეიძლება ითქვას, რომ ჯეიმსმა, მეცნიერული ფსიქოლოგიის გარიჟრაჟის დიდი თეორეტიკოსებიდან პირველმა დაამყარა მიმართება ცნობიერებასა და პიროვნებას, "მე"-ს შორის. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ცნობიერების განხილვა პიროვნებისაგან განყენებით დაუშვებელია. ცნობიერება ყოველთვის პიროვნულია იმ აზრით, რომ ის ვინმეს ეკუთვნის, ვინმეს ცნობიერებაა. ჯეიმსი, არსებითად, ინიციატორი გახდა ფსიქოლოგიაში პიროვნებისა და "მე"-ს პრობლემატიკის შემოტანისა. იგი პიროვნების ფსიქოლოგიის პირველი დიდი წარმომადგენელია.

პიროვნებას, ჯემსის აზრით, მიეკუთვნება ყველაფერი, რასაც ადამიანი თავისად მიიჩნევს. აქედან გამომდინარე, "მე"-ში სამი მხარე გამოიყოფა: 1) *მატერიალური "მე"*. მის არსებით ნაწილი ჩვენი სხეულია, მაგრამ ზოგადად, ეს არის იმ სულიერი თუ უსულო ობიექტებისა და მოვლენების ერთობლიობა, რასაც ადამიანი თავისას უწოდებს — მისი ტანსაცმელი, პირადი მოხმარების საგნები, სახლი, მიწა, ანგარიში ბანკში, აგრეთვე მეუღლე, შვილები, წინაპრები, ნათესაობა, მეგობრები და ა.შ. 2) *სოციალური "მე"*. სხვა ადამიანთა მიერ ჩვენი, როგორც პიროვნების აღიარება საზოგადოებრივ პიროვნებად გვაქცევს. ჩვენ არა მხოლოდ გვიყვარს საზოგადოებაში ყოფნა, არამედ გვაქვს თანდაყოლილი მიდრეკილება მივიპყროთ სხვების

ყურადღება. ძნელია წარმოვიდგინოთ, წერს ჯეიმსი, უარესი დასჯა, ვიდრე იყო ისეთ საზოგადოებაში, საღაც არ გაქცევენ ყურადღებას, არ გპასუხობენ კითხვებზე, არ ინტერესდებიან შენი შემოქმედებით, ისე გექცევიან, როგორც უსულო საგანს. ასეთ შემთხვევაში ან სასოწარკვეთილება გეეუფლება, ან ეცოფდებით. ადამიანი, ფაქტობრივად, იმდენი სოციალური პიროვნებისაგან შედგება, რამდენი სხვა ადამიანიც აღიარებს მას. უფრო ზუსტი კი იქნებოდა გვეთქვა, რომ სოციალური "მე" არის ადამიანისთვის აქტუალური სოციალური როლებისა და საზოგადოებრივი ფუნქციების კომპლექსი. 3) *სულიერი "მე"*. პიროვნების ამ ასპექტში ჯეიმსი გულისხმობდა ცნობიერების მდგომარეობათა, ფსიქიკურ უნართა და თვისებურებათა ერთობლიობას, რომლის ბირთვიც პიროვნების აქტიურობის გასცდაა.

პიროვნების ეს ფენები ერთიანობას ქმნიან. მაგრ ინტეგრაცია ცნობიერებაში სპეციფიკური გაცდების სახით აისახება. მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია *თვითშეფასების გაცდა*. თვითშეფასება (საკუთარი თავით კმაყოფილება ან უკმაყოფილება) უშუალოდ არის დაკავშირებული ადამიანის მიერ საკუთარი პიროვნული თვისებების შეფასებასთან და, ასევე, მათ შედარებასთან სხვა ადამიანების თვისებებთან. ის მჭიდროდ არის დაკავშირებული პრეტენზიის დონესთანაც. *პრეტენზიის დონე* — პიროვნების თვითშეფასების სასურველი დონეა, რომელიც ვლინდება პიროვნების მიერ დასახული მიზნების სირთულეში. ადამიანის კმაყოფილება საკუთარი თავით და ცხოვრებით დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აფასებს იგი საკუთარ შესაძლებლობებს, თავის მიზნებსა და დანიშნულებას. განიხილავდა რა თვითშეფასების გავლენას პიროვნების ქცევაზე, ჯეიმსმა გამოიყვანა *თვითპატივისცემის* ფორმულა, რომელიც წარმოადგენს მარტივ წილადს: მისი მრიცხველი გამოხატავს რეალურ *წარმატებას*, ხოლო მნიშვნელი — *პრეტენზიას*. მრიცხველის გადიდებით ან მნიშვნელის შემცირებით წილადი იზრდება. ეს კი ნიშნავს, რომ პრეტენზიებზე უარის თქმა გვაძლევს ისეთივე სასურველ შემსუბუქებას, როგორსაც მათი განხორციელება რეალობაში. ეს ფორმულა საფუძვლად უდევს ადამიანის მისწრაფებას თვითსრულყოფისკენ და წარმატებისკენ, თვითგრძნობას და მასთან დაკავშირებულ სხეულებრივ თუ სულიერ ჯანმრთელობას.

პიროვნებასთან დაკავშირებული გაცდების ანალიზისას ჯეიმსი ვერდს ვერ აუვლიდა *თვითიდენტურობის გაცდას*. მართლაც, ცნობიერებაში პიროვნება მუდამ წარმოდგენილია, როგორც ერთი და იგივე, საკუთარი თავის იდენტური "მე". ამ გაცდის არსებობა ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ "მე"-ს სპეციფიკურ მდგომარეობაში შედიან, აგრეთვე, წინა მდგომარეობათა შინაარსები, რაც "მე"-ს ფუნქციონალური იგივეობის გაცდის საფუძველი ხდება: ახლანდელ წარმოდგენაში მეხსიერების წარმოდგენები შედიან, აზრი წინარე აზრიდან გამომდინარეობს, ემოციური და კოგნიტური მდგომარეობები კი ერთმანეთს გამსჭვალავენ. ამასთან ერთად, თვითიდენტურობის გაცდის საფუძველი, ჯეიმსის ძალინ ზუსტი დაკვირვებების თანახმად, არის სხეულიდან მომდინარე ორგანული შეგრძნებები; ისინი მუდამ არსებობენ და მთელი მენტალური ცხოვრებაც მათ ფონზე იშლება.

სხეულიდან მომდინარე განცდებზე კეთდება აქცენტი ჯეიმსის შეხედულებაშიც ემოციის რაობის შესახებ, რომელიც ფსიქოლოგიის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ემოციის თეორიადაა აღიარებული. ამ თეორიით ჯეიმსი იმის ჩვენებას ცდილობს, თუ რაოდენ მჭიდრო კავშირია ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ პროცესებს შორის. ეს კონცეფცია, რომელსაც შემდგომში *ემოციის პერიფერიული თეორია* ეწოდა, ჯეიმსმა პირველად წარმოადგინა 1884 წელს, წერილში "რა არის ემოცია". იმავე წელს პრაქტიკულად იდენტური თვალსაზრისი გამოთქვა დანიელმა ფიზიოლოგმა კარლ ლანგემ. ფსიქოლოგიაში ეს თეორია *ჯეიმს-ლანგეს თეორიის* სახელით შევიდა. ის უპირისპირდება გავრცელებულ და, ერთი შეხედვით, სრულიად ბუნებრივ შეხედულებას, რომელშიც მოვლენების შემდეგი რიგია დადგენილი: რაიმეს აღქმა იწვევს ემოციას, ხოლო მას მოჰყვება სხეულებრივი ცვლილებები. ჯეიმსის მიხედვით, ემოციურ და სხეულებრივ პროცესებს შორის საწინააღმდეგო მიმართებაა: აღქმა იწვევს სხეულებრივ ცვლილებებს, რომლებიც ორგანულ შეგრძნებათა კომპლექსის სახით განიცდება; ეს განცდა არის ის, რასაც ემოცია ეწოდება. სხეულებრივი პროცესი ემოციას კი არ მოსდევს, არამედ წინ უსწრებს. ამ აზრს ჯეიმსი თავისი ცნობილი "პარადოქსული" გამონათქვამებით გამოხატავს: ჩვენ იმიტომ კი არ ვკანკალებთ, რომ გვეშინია, არამედ იმიტომ გვეშინია, რომ ვკანკალებთ; ან იმიტომ კი არ ვტირით, რომ ვწუხვართ, არამედ იმიტომ ვწუხვართ, რომ ვტირით.

უფრო მეტიც, ეს ემოციები სხვა არაფერია, თუ არა ორგანულ შეგრძნებათა ერთობლიობა. არ არსებობს ცალკე, სპეციფიკური ემოციური განცდა. ეს უკანასკნელი რეალურად ორგანულ შეგრძნებათა კომპლექსის განცდაა. ამ დებულებას ჯეიმსი, ისევ და ისევ, თავისი გამორჩეული თვითდაკვირვების მონაცემებით ასაბუთებს. აიღოთ რაიმე ემოცია, ამბობს იგი, და მოვაცილოთ მასთან დაკავშირებული მთელი სხეულებრივი სიმპტომატიკა. ჩვენ დავინახავთ, რომ ამ ემოციისაგან არაფერი დარჩება; არ დარჩება არავითარი სხვა "ფსიქიკური მასალა", რომელსაც შეიძლება ემოცია ეწოდოს. არ შეიძლება აღწერო შიში და არაფერი თქვა გულისცემაზე, კანკალზე, გაფითრებაზე, სუნთქვის შეკვრაზე ან გახშირებაზე, კუნთურ დაძაბულობაზე და ა.შ. შიშის ამ გამოვლინებების მოცილება თვით შიშის, როგორც ემოციის მოცილებას ნიშნავს. ერთადერთი, რამაც შეიძლება მისი ადგილი დაიკავოს, ეს მხოლოდ ინტელექტუალური შინაარსია, ცივი, გულგრილი მსჯელობა, რომ ის, რაც ხდება, ჩემთვის საშიშია. ეს კი, ცხადია, ემოცია არ არის.

ემოციის გარეგამოხატულებათა შეკავება, შეფერხება, "დაწყნარებული" პოზიციის დაჭერა ემოციის ჩაქრობას იწვევს. პირიქით, ჩვენ შეგვიძლია განზრახ გავაჩინოთ ემოცია, თუ ხელოვნურად გამოვიწვევთ მის შესატყვის გარეგამოხატულებებს. ჯეიმსის თქმით, თუ ადამიანი დიდხანს ბის დარდიანი სახით, დაღვრემილ პოზაში, ოხრავს, ნაღვლიანი ხმით პასუხობს კითხვებზე, მას აუცილებლად დაეუფლება მელანქოლია. ან პირიქით, მხიარული გამომეტყველების მიღებით შეიძლება თავი გაიხალისო. გარდა ამისა, ემოციების გამოწვევა შესაძლებელია გარკვეული ნივთიერებების მიღებით (ალკოჰოლი, ნარკოტიკები). მათ მიერ აღძრული ორგანიზმული ცვლილე-

ბები სათანადო შეგრძნებებს იწვევს, რომლებიც განიცდება, როგორც ემოცია.

ჯეიმს-ლანგეს თეორიის გარშემო დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა დისკუსია. მრავალ გამოკვლევაში, რომელთა შორის აღსანიშნავია გამოჩენილი ფიზიოლოგების ჩარლზ შერინგტონისა და ჯეიმსის მოწაფის უოლტერ კენონის ნაშრომები, ნაცადი იყო ამ თეორიული მოდელის ექსპერიმენტული შემოწმება. ცდების შედეგები ძირითადად მოწმობს იმას, რომ მაშინაც, როცა გარკვეული ანატომიური პროცედურების მეთხებით სხეულიდან მომდინარე ორგანული გაღიზიანების შეგრძნების შესაძლებლობა გამორიცხულია, ცხოველები ამჟღავნებენ მკაფიოდ გამოსატულ შიშის, ბრაზისა და სხვა ემოციებს. ეს შედეგები მიუთითებენ იმაზე, რომ ემოცია არ დაიყვანება ორგანულ შეგრძნებებზე. მიუხედავად ამისა, უეჭველია, რომ მათ შორის უმჭიდროესი კავშირი არსებობს. ამ თეორიაში უდავოდ არსებობს რაციონალური მარცვალი, რის გამოც ის დღესაც ინარჩუნებს თავის მეცნიერულ ღირებულებას.

ჯეიმსი განაზოგადებს ემოციის თეორიის ლეღააზრს და მას უფრო ფართო კონტექსტში განიხილავს. სახელდობრ, იგი ამბობს, რომ "ჩვენ შეგვიძლია თამამად წამოვაყენოთ ზოგადი კანონი, რომლის თანახმადაც არც ერთი ფსიქიკური მოდიფიკაცია არ ხორციელდება, თუ მას არ ახლავს სხეულებრივი ცელილება". აქედან ჩანს, რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ჯეიმსი სხეულებრივის (ფიზიოლოგიურის) და ფსიქიკურის ურთიერთობას. ეს გარემოება პირდაპირ არის ასახული ფსიქოლოგიის ჯეიმსის მიერ შემოთავაზებულ განმარტებაში, რომლის მიხედვითაც ის არის მეცნიერება ფსიქიკური (მენტალური) *მოვლენებისა* და მათი *პირობების* შესახებ. ფსიქიკურ მოვლენებში აქ უმუალო გამოცდილება, ცნობიერება იგულისხმება, ხოლო პირობები ნიშნავს ფსიქიკურის საფუძვლად მდებარე და მის თანმდევ სხეულებრივ (მათ შორის ნეეროლოგიურ) პროცესებს. ჯეიმსის რწმენით, ფსიქიკური ფენომენების განხილვა უნდა მოიცავდეს ანალიზის განცდისეულ (ფენომენოლოგიურ) და ორგანიზმულ (ფიზიოლოგიურ) დონეს. ყველგან, სადაც კი ეს შესაძლებელი იყო, ჯეიმსი ცდილობდა მოენახა სხეულებრივი საფუძვლები თავისი შეხედულებებისთვის და დაედგინა ფიზიოლოგიური კორელატები ყოველი ფსიქიკური მდგომარეობისთვის. ჯეიმსი თვლიდა, რომ ასეთი მიდგომა მეტაფიზიკიდან თავის დაღწევას და ფსიქოლოგიის ნამდვილი საბუნებისმეტყველო მეცნიერების პოზიციებზე დადგომას ნიშნავდა. ყოველ შემთხვევაში, მასში არ უნდა დავინახოთ ცალსახა ფიზიოლოგიური დეტერმინიზმის გამოვლინება. პირიქით, ჯეიმსი ებრძოდა ასეთ თვალსაზრისს და დარწმუნებული იყო იმაში, რომ ფსიქიკა არ არის უბრალოდ ფიზიოლოგიური პროცესების მომყოლი ეპიფენომენი, მათი თანმხლები უფუნქციო და უკუზემოქმედების უნარსმოკლებული მოვლენა. ის გარემოება, რომ ცნობიერების ინტენსიფიკაცია სწორედ ნერვული პროცესების გართულების შემთხვევებში ხდება, იმაზე მიუთითებს, რომ ცნობიერებას, გარკვეულ პირობებში, შეუძლია ჩაერთოს აქტივობის მიზეზობრივ ჯაჭვში. ამ დროს იგი რეალური ძალაა, ფაქტორია, რომელიც თვითონ ზემოქმედებს სხეულებრივ პროცესებზე. ამდენად, ჯეიმსის მიდგომა ფსიქოფიზიოლოგიური

პრობლემისადმი *ინტერაქციონისტულია* – ფიზიოლოგიური და ფსიქიკური პროცესები ურთიერთზემოქმედებენ და ორივე ერთად განსაზღვრავენ ქცევას.

*ქცევის* კატეგორიის განხილვისას ჯეიმსი მარილაც ხშირად მიმართავს ფიზიოლოგიურ და ცერებრალურ ცნებებს. იგი საუბრობს ტვინის უჯრედებსა და ბოჭკოებში გაელილი ნერვული იმპულსების გაძლიერებასა თუ შესუსტებაზე, მათ სიჩქარესა თუ მიმართულებაზე, მათ ურთიერთქმედებაზე და, საბოლოოდ, სამოძრაო ცენტრების აგზნებაზე. მაგრამ, როგორიც არ უნდა იყოს ქცევის ფიზიოლოგიური მექანიზმი, ის ფუნქციონირებს ქცევის ფსიქოლოგიური რეგულაციის სხვადასხვა დონეზე. მათ შორის ყველაზე დაბალია *რეფლექსებისა და ინსტინქტების* დონე, რომელიც თანდაყოლილ და ავტომატურ მოქმედებებს მოიცავს. *ჩვევები და ჩვეულებები* უფრო მაღალ დონეს შეადგენენ, ეისაიდან მათი გამომუშავება თუ შეძენა ცხოვრების პროცესში ხდება, თუმცა ისინიც ცნობიერების მონაწილეობის გარეშე მიმდინარეობენ. თეისებრივად მაღალ დონეზე ავდივართ მაშინ, როდესაც ქცევის ორგანიზაციის საქმეში ერთვება ცნობიერება. აქ უკვე საქმე გვაქვს ე.წ. *ცნობიერ მოქმედებებთან.* ჯეიმსი მათ ორ სახეობას განიხილავს: *იდეომოტორული მოქმედებები* და *ნებელობითი მოქმედებები.* იგი ამოდის იქიდან, რომ აზრი მოძრაობის შესახებ ან მოქმედების მიზნის იდეა უშუალოდ იწვევს სათანადო მოძრაობას, თუ მას არ აფერხებს ცნობიერებაში იმავდროულად არსებული სხვა იდეა. ამ თვალსაზრისს *იდეომოტორული თეორია* ეწოდება. ამ თეორიას, ჯეიმსის გარდა, სხვა დამცველებიც ჰყავდა (ლოტცე, კარპენტერი, მიუნსტენბერგი და სხვა). ჯეიმსის მიხედვით, ადამიანის ცნობიერ მოქმედებათა უმეტესობას ასეთი იდეომოტორული აქტები შეადგენენ.

საკუთრივ ნებელობითი მოქმედება და მისი სანქციონირება ხდება მაშინ, როცა საჭიროა ხელისშემშლელი მოტორული იდეის მოცილება. ამ შემთხვევაში ჩვენი ყურადღება გადადის ერთი ალტერნატივიდან მეორეზე. ყოყმანის ეს უსიამოვნო მდგომარეობა მაშინ მთავრდება, როდესაც ერთ-ერთი იდეა (იგივე მოტივი) საბოლოოდ იმარჯვებს და ყურადღების ცენტრში ექცევა. მაგრამ ეს თავისთავად არ ხდება. ნებელობა აქტიურად მონაწილეობს იმაში, რომ ეს გადაწყვეტილება შედგეს. "ნებისყოფის დაძაბვით ჩვენ ერთ-ერთ მოტივს უპირატეს მნიშვნელობას ვანიჭებთ", ამბობს ჯეიმსი. სუბიექტურად და ფენომენოლოგიურად ეს *დაძაბვის განცდა* ნებისყოფის ტიპური აქტის სპეციფიკური და გამორჩეული მომენტია. ავტორის აზრით, ამ მომენტის არსებობა იმდენად თვალსაჩინოდ არის მოცემული თვითდაკვირვებაში, რომ მისი უარყოფა შეუძლებელია. ის გამოხატავს ნებელობის მუშაობის ორ ძირითად ასპექტს: მოტივის სანქციონირებას, ანუ მოტორული იდეის ყურადღების ცენტრში მოქცევას და ბრუნვას იმაზე, რომ ეს მოტივის გაბატონება დანარჩენებზე მოქმედების დასრულებამდე მყარი იყოს.

ამავე დროს, ჯეიმსი კარგად ხედავს იმასაც, რომ არსებობს სერიოზული შეგღუდვები გადაწყვეტილების მიღებისა და შესრულების გზაზე. არსებობს ფსიქიკური ცხოვრების სფერო, სადაც ნება, უბრალოდ, უძლურია. ნე-

ბელობის ეერაევითარი დაძაბვით ეერ გააკეთებ იმას, რაც არ იცი, ან რაზეც ხელი არ მიგიწვდება: ჩინურის უცოდინარი ადამიანი ამ ენაზე ეერ ალაპარაკდება და სურეილისამებრ ეერც მარსზე გაფრინდება, მაგრამ რეალური შეზღუდვების სფერო ბეერად ფართოა და მისი ნამდვილი საზღვრის დადგენა უკიდურესად რთულია ან სულაც შეუძლებელი. "გადაწყვეტილებები, რომლებზეც დაიხარჯა გარკვეული ძალისხმევა, თანდათან ერწყმიან იმათ, რომლებიც ძალისხმევის გარეშე განხორციელდნენ და ჩვენთვის არც ისე ადვილია იმის განსაზღვრა, თუ ზუსტად სად არის ეს შეზღუდვები". მაშინ, სად გადის საზღვარი უნებლიე და ნებელობით მოქმედებას შორის? უფრო ზოგადად: თუ არ არსებობს აბსოლუტური თავისუფლება, რაც აშკარად ასეა, მაშინ როგორია ნებელობის შესაძლებლობები და საზღვრები? პრინციპში, ჩვენ შეგვიძლია დაედგეთ რადიკალური ეოლუნტარიზმის პოზიციაზე და დავუშვათ, რომ თავისუფალი ნების დაძაბვის აქტი არაფერზე არ არის დამოკიდებული – არც გარე პირობებზე, არც მოტივებზე, არც ხასიათზე, ანუ, მათემატიკური ენით რომ ვილაპარაკოთ, "დამოუკიდებელი ცვლადია"[1]. ამ შემთხვევაში იმის აღიარებაც მოგვიწევს, რომ მის მიერ გამოწვეული ქმედება ამოვარდნილია დეტერმინიზმის ჯაჭვიდან და, შესაბამისად, მეცნიერების შესწავლის ობიექტი ვერ იქნება. მაგრამ, ჯეიმსის აზრით "ფსიქოლოგს შეუძლია წარმოადგინოს მრავალი მოსაზრება დეტერმინიზმის სასარგებლოდ. იგი მონაწილეობს მეცნიერების მშენებლობაში, იქ კი, სადაც ჩვენ ვხედებით "დამოუკიდებელ ცვლადს", მეცნიერებისთვის ადგილი არ არის".

ერთი სიტყვით, ჯეიმსის წინაშე მთელი სიმწავაეით დადგა *ნების თავისუფლების* საკრამენტალური პრობლემა. ეს პრობლემა, როგორც ენახეთ, ანტიკური ხანიდან იდგა იმ მოაზროვნეთა ყურადღების ცენტრში, ვისაც აინტერესებდა ადამიანური ქცევის სპეციფიკა და, ასევე, ზოგადად პიროვნების, როგორც საზოგადოებრივი და მნეობრივი არსების თავისებურება. მოგვიანებით ამ პრობლემამ თავისუფლება-დეტერმინიზმის პრინციპების დაპირისპირების სახე მიიღო. ბუნების მეცნიერებათა ზეობის ხანაში, როდესაც ჯეიმსი მოღვაწეობდა, ამ პრობლემას მეცნიერთა უმეტესობა, მათ შორის ფსიქოლოგებიც, დეტერმინიზმის სასარგებლოდ წყვეტდნენ. ჯეიმსი თავისუფლება-დეტერმინიზმის დიქოტომიის მახეში გაება. მისთვის ორივე ალტერნატივა ერთნაირად მნიშვნელოვანი და სარწმუნო აღმოჩნდა. ფსიქოლოგიის ისტორიაში ალბათ არ მოიძებნება მკვლევარი, რომელიც ასეთი ეგო-ჩართულობით ებრძოდა ამ პრობლემას. ერთ მხარეს იყო მისი ზოგადმეცნიერული წარმოდგენები, მეცნიერების ის მოდელი, რომელიც იმხანად საყოველთაოდ იყო გავრცელებული. ეს მოდელი გულისხმობდა მიზეზობრიობას, კანონზომიერებას, მოვლენის ახსნას მისი გამომწვევი ფაქტორების დადგენის გზით. ჯეიმსი ფსიქოლოგიას ბიოლოგიასთან აკავშირებდა და, მაშასადამე, ფსიქო-

[1] თანამედროვე ფსიქოლოგიაში "დამოუკიდებელი ცვლადის" ტერმინით აღინიშნება ის მოვლენა ან ფაქტორი, რომლის მანიპულირებას ახდენს ექსპერიმენტატორი, რათა შეისწავლოს მისი გავლენა საკვლევ (დამოკიდებულ) ცვლადზე. მაშასადამე, ის განიცდის ექსპერიმენტატორის გავლენას. მაშინ როდესაც დამოუკიდებელი ცვლადი, რომელზეც მიანიშნებს ჯეიმსი, არაფრით არ არის განსაზღვრული.

ლოგიას საბუნებისმეტყველო დარგად თელიდა, სადაც მკაცრი დეტერმინიზმი სუფევს და რომელიც, მისი სიტყვებით, "მუშაობს პრაქტიკული წინასწარმეტყველებისა და კონტროლის მიმართულებით". მას მტკიცედ სჯეროდა, რომ ნამდვილი მეცნიერება, მაშასადამე ფსიქოლოგიაც, მხოლოდ ასეთი შეიძლება იყოს.

მეორე მხარეს იყო არანაკლებ ურყევი და ღრმა რწმენა იმისა, რომ თავისუფალი ნება არსებობს და ის რეალურად ერევა ადამიანის ქცევასა და ცხოვრებაში. ეს რწმენა არ იყო მხოლოდ ვარაუდი ან თეორიული მოსაზრება. ის გამყარებული იყო მისი პირადი გამოცდილებით და, აქედან გამომდინარე, უეჭველი ფაქტის ძალა ჰქონდა. ჯეიმსის ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ თავისი მეცნიერული კარიერის დასაწყისში მან პირდაპირი მნიშვნელობით გამოიყენანა საკუთარი თავი უმძიმესი დეპრესიის მდგომარეობიდან, აიძულა თავისი თავი, წაეკითხა ლექციები და, საბოგადოდ, გაეგრძელებინა ცხოვრება, თუმცა თვითმკვლელობის მძაფრ იმპულსს განიცდიდა. შემდგომში იგი იხსენებდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს მან ირწმუნა თავისუფალი ნების არსებობა და შეგნებულად მოუღო ბოლო ამ მდგომარეობას. მან თქვა: ჩემი თავისუფალი ნების პირველი აქტი იქნება გადაწყვეტილება, ვირწმუნო თავისუფალი ნება და ყოველმხრივ განვამტკიცო ჩემში არსებული მორალური თავისუფლების განცდა.

ამრიგად, ჯეიმსი მეტად მძიმე ალტერნატივის წინაშე აღმოჩნდა: ან კანონზომიერება, დეტერმინიზმი და მეცნიერება, ან თავისუფლება, ინდეტერმინიზმი და რწმენა. აქედან გასაგები ხდება, თუ რატომ მიმართა ჯეიმსმა თავისი გულისყური რელიგიისა და რწმენის ფენომენებისკენ. მისი ზემოთ ნახსენები წიგნი რელიგიური განცდების შესახებ რელიგიის ფსიქოლოგიის კლასიკური ნიმუშია. ჯეიმსი თავს არ მიიჩნევდა რელიგიურ ადამიანად ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით. მიუხედავად ამისა, იგი იმვიათი შეუპოვრობით იცავდა აზრს რელიგიური რწმენის პრაგმატული მიზანშეწონილების თაობაზე. მისი სიტყვებით, "ენერგიულობა და გამძლეობა, სიმამაცე და სასიცოცხლო პრობლემებთან გამკლავების უნარი ახასიათებს იმათ, ვინც რელიგიურია". რელიგიური განცდების საფუძვლიანმა შესწავლამ მიიყვანა დასკვნამდე, რომ ისინი იწვევენ სიხარულს, "დინამიკურ აგზნებას", ამით აძლიერებენ და ახალისებენ სასიცოცხლო ძალებს, ებრძვიან მელანქოლიას, იწვევენ სიმშვიდეს და ჰარმონიას სულში, ეხმარებიან პიროვნებას ახალი საგრისის მოპოვებაში. ამდენად, რელიგია და მასთან დაკავშირებული განცდები სასარგებლოა. პრაგმატიზმის ფილოსოფიის მიხედვით, რომლის ერთ-ერთი თავკაციც ჯეიმსი იყო, ეს მათ ჭეშმარიტებაზეც მიუთითებს. პრაგმატიზმის კონცეფციის თანახმად, ჭეშმარიტება არის იდეა, რომელიც ყველაზე კარგად "მუშაობს", მივყავართ წარმატებასთან, სარგებლობისა და კმაყოფილების მომტანია.

საბოლოოდ, ამავე ლოგიკით იხელმძღვანელა ჯეიმსმა ნების თავისუფლების პრობლემის "გადაწყვეტისას". ნების თავისუფლების განცდა აძლევს ადამიანს რწმენას, რომ იგი არ არის გარეშე ძალების ტყვეობაში და შეუძლია თვითონ წარმართოს საკუთარი ქცევა. ამიტომ იგი ამ ქცევაზე პასუხ-

ისმგებელი ხდება, რაც მისი საზოგადოებრივი და მნეობრიეი ცხოვრების საფუძველია. ამის გათვალისწინებით, ნების თავისუფლების იდეა სასარგებლოა და, პრაგმატული თვალსაზრისით, ჭეშმარიტი. ერთი სიტყვით, ჯეიმსმა ზემოთ აღნიშნული ჩიხიდან გამოსავალი ფსიქოლოგიაში კი არა, პრაგმატიზმის ფილოსოფიაში მონახა. მან აღიარა, რომ "საკითხი ნების თავისუფლების შესახებ წმინდა ფსიქოლოგიურ ნიადაგზე ვერ გადაწყდება" და მისი გადაჭრა მეტაფიზიკას გადაულოცა. მიუხედავად ამისა, ჯეიმსს არ სურდა მთლიანად მოწყვეტოდა მეცნიერების ნიადაგს და ისიც თქვა, რომ ფსიქოლოგიას, როგორც მეცნიერებას, შეუძლია დეტერმინიზმის პრინციპი განახორციელოს იმ შემთხვევაშიც, თუ თავისუფალი ნება რეალობაა. მას შეუძლია თავისუფლება იმ სივრცეში დატოვოს, სადაც "მეცნიერება უბრალოდ ჩერდება".

ამ წინააღმდეგობრივი და არსებითად კაპიტულანტური პოზიციის გამო ჯეიმსმა ბევრი საყვედური დაიმსახურა. თუმცა, ზოგიერთი კომენტატორი, კერძოდ გ. ოლპორტი, მასში დადებით მსარეებსაც ხედავს და ჯეიმსის, როგორც მოაზროვნის პატიოსნებისა და გულწრფელობის გამოვლინებად მიიჩნევს. იმის გათვალისწინებით, რომ თავისუფლება-დეტერმინიზმის დიქოტომიასთან დაკავშირებით ფსიქოლოგიაში შეთანხმება ახლაც არ არის მიღწეული, ჯეიმსის პოზიციის გაგება საეს ებით შეიძლება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ხელი ავიღოთ საკითხის მეცნიერულ კვლევაზე და დავკმაყოფილდეთ პრაგმატული სარგებლიანობის კონსტატაციით.

სხვათა შორის, სარგებლიანობის ამ პრინციპს ჯეიმსი ძალიან ფართოდ ავრცელებს და უყენებს ყველაფერს, მათ შორის ცნობიერების ფუნქციის საკითხსაც. მისი აზრით: "ცნობიერება, როგორც ჩანს, ყველა სხვა ბიოლოგიური ფუნქციის მსგავსად, განვითარდა იმიტომ, რომ იგი სასარგებლოა". აქედან ჩანს, რომ ჯეიმსი ფუნქციონალური ფსიქოლოგიის სათავეებთან დგას. ცნობიერება პირველ რიგში უნდა განვიხილოთ იმ ფუნქციის, იმ როლის მიხედვით, რომელსაც ის ორგანიზმის გარემოსთან შეგუების თვალსაზრისით ასრულებს. ეს ფუნქცია არის ადაპტური მოქმედების უზრუნველყოფა. ამის გარეშე ცნობიერებას აზრი ეკარგება, მისი წარმოშობა გაუგებარი ხდება. ცნობიერება ევოლუციის მსვლელობაში ფორმირდება, როგორც გართულებული ადაპტური პროცესის ორგანიზაციის უნარი. ინსტინქტურ მოქმედებას არ ესაჭიროება ცნობიერება. ის წინასწარი გეგმისა და დასწავლის გარეშე ხორციელდება. მთავარია არსებობდეს გამღიზიანებელი და სათანადო ნერვული მექანიზმი. მოქმედების დასწავლილ და ავტომატიზირებულ ფორმებსაც (ჩვევა, ჩვეულება) არ ესაჭიროება ცნობიერება. მაგრამ, როდესაც ვითარება რთულდება და მოქმედების ეს სახეები ვეღარ წყვეტენ ადაპტაციის ამოცანებს, საქმეში ჩაერთვის ცნობიერება, როგორც სელექციის, ფილტრაციის, პროგნოზირების, დაგეგმვის, შეფასების, სანქციონიერებისა და ა. შ. მექანიზმი. ის ემსახურება აქტივობის რთულ ფორმებს და, ამ აზრით, ობიექტურადაც და სუბიექტურადაც გვევლინება "საბოლოო მიზნებისთვის მებრძოლ" რეალურად მოქმედ ძალად. ეს იდეები შემდგომში ფუნქციონალიზმში განვითარდა.

ის გარემოება, რომ ჯეიმსი ფსიქიკას, ერთი მხრივ, მოქმედების კატეგორიასთან მიმართებაში განიხილავს, ხოლო, მეორე მხრივ, მიუთითებს კავშირზე ცნობიერებას, სხეულებრივ, ნერვულ პროცესებსა და გარემოს შორის, უფლებას აძლევს ფსიქოლოგიის ზოგიერთ ისტორიკოსს, იგი ბიპევიორიზმის უშუალო წინაპრადაც კი გამოაცხადოს. ეს, ალბათ, ერთგვარი გადაჭარბებაა. ვინაიდან ჯეიმსი უფრო ცნობიერების ფსიქოლოგიის წარმომადგენელია, ანუ იმ ფსიქოლოგიისა, რომელსაც კლასიკური ბიპევიორიზმი დაუპირისპირდა. ცნობიერებისა და მოქმედების ურთიერთმიმართება მას, პირველ რიგში, ცნობიერების ფუნქციონალური დახასიათების კუთხით აინტერესებდა, ორთოდოქსული ბიპევიორიზმი კი სრულებით უარყოფს ცნობიერებას და მის მიმართებას ქცევასთან.

საზოგადოდ, ჯეიმსი ბევრი ფსიქოლოგიური მიმდინარეობის სათაურებთან დგას, მაგრამ ერთმანეთშეუნელოვნად არც ერთის არ მიეკუთვნება და დამოუკიდებელი ბუმბერაზი ფიგურაა. მისი ინტერესებისა და მიდგომების დიაპაზონი იმდენად ფართო იყო, რომ ვერ ხერხდებოდა მათი რეალიზაცია ერთი კონკრეტული სკოლის ან ორიენტაციის ფარგლებში. მისი მეცნიერული ცნობისმოყვარეობა ვრცელდებოდა ყველაფერზე, დაწყებული ქცევის ფიზიოლოგიური საფუძვლებიდან, დამთავრებული პიპნოზითა და ცნობიერების უმაღლესი მდგომარეობებით. ფუნქციონალური, ბიპევიორისტული და ჰუმანისტური ფსიქოლოგიის წარმომადგენლები მას თავიანთ ავტორად მიიჩნევენ. პირველ ორთან ჯეიმსის მიმართებაზე უკვე ითქვა. რაც შეეხება ჰუმანისტურ ფსიქოლოგიას, ის ჯეიმსთან კავშირს პიროვნების კატეგორიის მეშვეობით ამყარებს. "მე"-ს სტრუქტურა, თვითგანცდა, თვითშეფასება – ის თემებია, რომლებზეც სწორედ ჯეიმსმა დაიწყო ლაპარაკი და რომლებიც შემდგომში ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ინტერესებშიც მოექცა. მიუხედავად ამისა, ჯეიმსი ვერ ჩაითვლება ჰუმანისტური ფსიქოლოგიის მიმდინარეობის წარმომადგენლად თუნდაც იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი ფენომენოლოგიურ და ეგზისტენციალურ ფილოსოფიას ემყარება, რომელიც არსებითად განსხვავდება ჯეიმსის პრაგმატიზმისაგან და, უმეტეს შემთხვევაში, კიდეც ეწინააღმდეგება მას. აქ შეიძლება აღინიშნოს ე.წ. ტრანსპერსონალური ფსიქოლოგიაც, რომელიც შეისწავლის ცნობიერების შეცვლილ მდგომარეობებს, მისტიკურ განცდებსა და პარაფსიქოლოგიურ ფენომენებს. ჯეიმსი დაინტერესებული იყო ცნობიერების განსხვავებული მდგომარეობებით და მათ გამოსაწვევად საკუთარ თავზე ცდებს ატარებდა ფსიქოაქტიური ნივთიერებების გამოყენებით. დღეს ამ მდგომარეობათა შესწავლა ინტენსიურად მიმდინარეობს და ჯეიმსი ფსიქოლოგიის ფარგლებში კელევის ამ მიმართულების ერთ-ერთ ინიციატორად გვეველინება.

ჯეიმსი ძალიან პოპულარული იყო ამერიკაში. ამას, უდავო მეცნიერული დამსახურებების გარდა, მისი გამორჩეული პირადი თვისებებიც უწყობდა ხელს. ჯეიმსის ნაცნობები მიუთითებდნენ მის იშვიათ ერუდირებულობაზე, კეთილმოსურნეობაზე, დახვეწილ იუმორზე, თავმდაბლობაზე და თვითკრიტიკულობაზე. ამაში გვარწმუნებს ჯეიმსის მიერ მისივე "ფსიქოლოგიის პრინციპების" შეფასება. ამ მონუმენტურ თხზულებაზე, რომელმაც მას საქვეყ-

ნო სახელი მოუტანა, იგი ამბობდა: ეს არის საძაგელი, უმომოდ გაბერილი, წყალმანკით შეპყრობილი ქაღალდის მასა, რომელსაც მხოლოდ ორი ფაქტის დადასტურება შეუძლია: ერთი, რომ ისეთი მეცნიერება, როგორიც ფსიქოლოგიაა, არ არსებობს და მეორე, რომ უილიამ ჯეიმსი არაფრად ვარგა. კიდევ კარგი, რომ თვითშეფასების ფენომენის პირველი მკვლევარი ამ შემთხვევაში ცდებოდა: ამ წიგნმა უოუოდ განამტკიცა ფსიქოლოგიის, როგორც შემდგარი მეცნიერების სტატუსი, მისი ავტორი კი ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მოაზროვნის სახელით შეიდა ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიის ისტორიაში.

## 5.5. ფუნქციონალური ფსიქოლოგია

ჯეიმსის "ცნობიერების ნაკადის" ფსიქოლოგია და ტიჩენერის სტრუქტურული ფსიქოლოგია პირველი ამერიკული თეორიული სისტემებია. ჯეიმსი ყველაზე ავტორიტეტული ამერიკელი ფსიქოლოგი იყო, მაგრამ საკუთარი სკოლა არ შეუქმნია. ტიჩენერსაც დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, მაგრამ მისი სკოლა განზე იდგა ამერიკული ფსიქოლოგიის განვითარების მაგისტრალური ტენდენციებისაგან. XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ყველაზე გავრცელებული მიმდინარეობის სახით ამერიკაში *ფუნქციონალური ფსიქოლოგია* გვეელინება. მის ჩამოყალიბებაზე პირდაპირი ზეგავლენა მოახდინა ჯეიმსმაც და ტიჩენერმაც. ჯეიმსი მართებულადაა მიჩნეული ამ მიმდინარეობის წინამორბედად. *ფუნქციონალიზმი* ეყრდნობა ჯეიმსის იმ დებულებას, რომ ცნობიერება ბიოლოგიური სარგებლიანობით ხასიათდება, რაც გასაგებს ხდის მის წარმოშობასა და განვითარებას. აქედან გამომდინარე, იმის გათვალისწინება, თუ რას აკეთებს ცნობიერება (ფუნქცია), შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანიც იყოს, ვიდრე იმის გარკვევა, თუ რისგან შედგება იგი (შინაარსი). ჯეიმსის მიხედვით, ცნობიერების მთავარი ფუნქციაა არჩევანი. ცნობიერება ყოველთვის მიმართულია გარკვეულ მიზანზე, რომელიც, საბოლოოდ, ემსახურება ორგანიზმის შეგუებას გარემო პირობებთან. მიზნის მიღწევის გზაზე ცნობიერება მუდმივი შეფასების პროცესშია, რაღაცას იწყნარებს ან უკუაგდებს, მოკლედ, არჩევანის, ფუნქციას ახორციელებს.

ტიჩენერი, პირიქით, თავის მთავარ ამოცანას ცნობიერების შინაარსის დადგენაში ხედავდა და ცნობიერების ფუნქციას არ იკვლევდა. ამით იგი არსებითად უპირისპირდებოდა ფუნქციონალიზმს, მაგრამ საინტერესოა, რომ თავისდაუნებურად, სწორედ ტიჩენერმა მისცა სტიმული ფუნქციონალური ფსიქოლოგიის, როგორც სტრუქტურული ფსიქოლოგიისადმი ოპოზიციური სკოლისა და მიმდინარეობის დამკვიდრებას. საქმე ის არის, რომ თავის ნაშრომში "სტრუქტურული ფსიქოლოგიის პოსტულატები" (1898), ტიჩენერმა მკაფიოდ გამიჯნა ფსიქოლოგიის სახეები, დაარქვა მათ სახელები და გამოყო პრიორიტეტები. ეს ანალიზი ეყრდნობა ანალოგიას ბიოლოგიისა და ფსიქოლოგიის სამ სახეობას შორის: ბიოლოგიის ერთი ნაწილი მორფოლოგია – ადგენს, თუ რა ორგანოებისაგან შედგება სხეული, ანუ შეისაწელის მის

*სტრუქტურას*. იმაევეს აკეთებს ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, რომლის ძირითად ბირთეს ტიჩენერის სკოლის წარმომადგენლები ქმნიან. იგი ცნობიერებას შემადგენელ ნაწილებად ყოფს. სტრუქტურული ფსიქოლოგია, ფაქტობრივად, ცნობიერების ანატომიაა. უკვე გამოყოფილ და აღწერილ ორგანოს შეისწავლის ბიოლოგიის შემდეგი დარგი, ფიზიოლოგია. მისი ამოცანაა გაარკვიოს, თუ რას და როგორ აკეთებს ეს ორგანო. ამავე კუთხით განიხილავს სულიერ ცხოერებას ფუნქციონალური ფსიქოლოგია, რომელიც ფსიქიკური სტრუქტურების *ფუნქციას* არკვევს. დაბოლოს, გენეტიკური ბიოლოგია განიხილავს ორგანოების განვითარებას ფილოგენეზში, ემბრიოგენეზში და ონტოგენეზში. შესაბამისად, ევოლუციური ფსიქოლოგია იკვლევს ფსიქიკური სტრუქტურებისა და ფუნქციების *გენეზისის* საკითხებს. აღიარებდა რა ფუნციონალისტური თვალსაზრისის კანონიერებას, ტიჩენერი მოუწოდებდა ფსიქოლოგებს, რომ შეესწავლათ ცნობიერების სტრუქტურა ექსპერიმენტული ინტროსპექციის გზით.

ამ ნაშრომის გამოსვლამდე ორი წლით ადრე **ჯონ დიუიმ** (1859-1952) "ფსიქოლოგიურ რევიუში" გამოაქვეყნა წერილი "რეფლექტორული რკალის თეორია ფსიქოლოგიაში", რომელიც, ფორმალურად, ფუნქციონალური ფსიქოლოგიის ათელის წერტილად არის მიჩნეული. მანამდე მან გამოსცა პირველი ამერიკული სახელმძღვანელო ფსიქოლოგიაში (1886). ჯეიმსის განთქმული "ფსიქოლოგიის საფუძვლების" გამოსვლამდე იგი ძალიან პოპულარული იყო. 1894 წელს დიუი სათავეში ჩაუდგა ფსიქოლოგიის ფაკულტეტს ჩიკაგოს უნივერსიტეტში, სადაც ათი წლის განმავლობაში სასარგებლო საორგანიზაციო სამუშაო ჩაატარა. მან დააფუძნა სასწავლო ლაბორატორია, ჩართო სასწავლო საგნების სიაში პედაგოგიკა, რაშიც გამოვლინდა მისი ინტერესი გამოყენებითი, კერძოდ, განათლების სფეროს საკითხებისადმი (იხ. 6.3.). ამასთანავე, იგი კითხულობდა ლექციებს ფილოსოფიაში (დიუი პრაგმატიზმის ფილოსოფიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია). 1904 წელს დიუი გადავიდა კოლუმბიის უნივერსიტეტში, სადაც, ძირითადად, ფილოსოფიისა და განათლების საკითხებით იყო დაკავებული.



"ფსიქოლოგიურ რევიუში" გამოქვეყნებულ წერილში დიუიმ გაილაშქრა ავტომატიზმის იდეის წინააღმდეგ ფსიქიკური მოქმედების სფეროში. ამისთვის მან მიმართა ე.წ. *რეფლექსური რკალის* ანალიზს. დიუის აზრით, უბრალო რეფლექსიც კი არ არის ელემენტების მექანიკური ჯამი; იგი ამ ელემენტების კოორდინაციაა. სინამდვილეში არ არსებობს თავისთავად სტიმული და რეაქცია. სტიმული მხოლოდ მაშინ არის სტიმული, როცა იწვევს პასუხს, ხოლო პასუხი არის პასუხი, რამდენადაც არსებობს სტიმული. რეფლექსი წარმოადგენს მათ შორის სასარგებლო *კოორდინაციის* დამყარების საშუალებას. ფიზიოლოგიური რეფლექსი ერთმანეთს უთანხმებს სტიმულაციასთან დაკავშირებულ შეგრძნებას, საკუთრივ მოძრაობას და მისგან წა-

მოსულ კინესთეტიკურ შეგრძნებას. ის ამ ელემენტების უბრალო ერთობლიობა კი არ არის, არამედ მთლიანი, კოორდინირებული სენსომოტორული აქტია რომელიც მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურება. მით უფრო ითქმის ეს ფსიქიკურ მოქმედებაზე. აქ შინაგან (მოთხოვნილება) და გარეგან (გამღიზიანებელი) სტიმულაციასა და მოქმედებას შორის *ცნობიერება* ერთვება. ის აფასებს მოქმედების წარმატებულობას მოთხოვნილების დაკმაყოფილების, ე.ი. შეგუების კუთხით. თუ კოორდინაცია გარემოსა და მოქმედებას შორის დაირღვა, სუბიექტი იწყებს წარუმატებლობის მიზეზის გაცნობიერებას; მოძრაობა მუხრუჭდება და ყურადღება მიიმართება შემაფერხებელი ვითარების აქტიურ სტიმულებზე. ამგვარად, ქცევა და მასში მონაწილე ცნობიერება უნდა განიხილებოდეს ცოცხალი არსების *გარემოსთან შეგუების* თვალსაზრისით. ცნობიერი მოქმედების ფუნქცია ორგანიზმის *ადაპტაციაში* მდგომარეობს და ფუნქციონალურმა ფსიქოლოგიამ სწორედ ეს რეალური პროცესი უნდა შეისწავლოს.

ფსიქოლოგიას, რომელიც ორიენტირებულია რეალურ ცხოვრებისეულ პირობებში მიმდინარე ფსიქიკურ მოქმედებაზე, და რომელსაც აინტერესებს მისი *მიზანშეწონილება და ნაყოფიერება*, შეუძლია მოიცვას ინდივიდისა და სამყაროს ურთიერთობათა მთელი მრავალფეროვნება. ამით არსებითად ფართოდება ფსიქოლოგიის მიყენების სფერო. მასში შედის არა მხოლოდ ცნობიერების შინაარსები, არამედ მისი ფუნქცია, ფსიქიკის ინდივიდუალური გამოვლინებები, პრაქტიკული მოქმედება, მისი დასწავლა-ფორმირება, მოტივირება და ა.შ., მოკლედ ყველაფერი, რის შესწავლაზეც უარს ამბობდა სტრუქტურული ფსიქოლოგია. ამდენად, ის ხდება მყარი საფუძველი ფსიქოლოგიის ისეთი დარგებისთვის, როგორიცაა ბავშვისა და პედაგოგიური, დიფერენციალური, კლინიკური, ინდუსტრიული, იურიდიული და სხვა ფსიქოლოგია.

ამერიკული ფსიქოლოგიის გამორჩეული თავისებურება იმაშია, რომ თავისი პირველი ნაბიჯებიდანვე ის ორიენტირებული იყო საზოგადოებრივი პრაქტიკის მოთხოვნებზე. ეს შეესაბამებოდა ამერიკული ცხოვრების წესის ზოგად პრაქტიციზმს. XIX საუკუნის მიწურულს ამერიკას ემიგრანტების ახალი ტალღა დაატყდა. ისინი ჩამოდიოდნენ თავიანთი ენითა და ჩვეულებებით ახალი ცხოვრების დასაწყებად ახალ კულტურაში. საჭირო იყო მათი *სოციალური ადაპტაცია*, შრომითი უზრუნველყოფა, რაც შესაბამისი პროფესიული ცოდნა-ჩვევების ფორმირებას ითვალისწინებდა. აუცილებელი იყო მათი შვილების "ამერიკანიზაცია", რაც განათლების ახალი ფორმების დანერგვას გულისხმობდა. ამ ფონზე ფეხი მოიკიდა ე.წ. პროგრესივიზმმა — საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მოძრაობამ, რომლის დევიზი გახდა რეფორმები, ეფექტურობა და პროგრესი. დიუის ფუნქციონალური ფსიქოლოგია, თავისი აქცენტით ადაპტაციაზე, ზედმიწევნით მოერგო ამ ამოცანებს. იგივე ითქმის დიუის ფილოსოფიურ მრწამსზეც. იგი ქადაგებდა *ინსტრუმენტალიზმს*, პრაგმატიზმის ნაირსახეობას, რომლისთვისაც ცოდნა სინამდვილის კანონების ასახვა კი არა, ადამიანის მოქმედების ინსტრუმენტია. ის მოწოდებულია, გააადვილოს და გააუმჯობესოს ადამიანის ცხოვრება, მათ შორის სოცი-

ალურ სფეროში. ამისთვის კი საჭიროა საზოგადოებრივი კონტროლის და მართვის ოპტიმალური წესების დანერგვა, რაშიც ფსიქოლოგიას დიდი წვლილის შეტანა შეუძლია. ამერიკის ფსიქოლოგიური ასოციაციის საპრეზიდენტო სიტყვაში დიუიმ (1900) ილაპარაკა იმაზე, რომ ფსიქოლოგიამ უნდა იზრუნოს მოსახლეობის ადაპტაციაზე საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა უბანზე. ყველაზე მეტად მას განათლების სფერო აინტერესებდა, სადაც მწვავეულ იდგა "ახალი სკოლის" ორგანიზაციის საკითხი. მასში აქცენტი პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტის უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე კეთდებოდა.

დიუის აღგილი დეკანის თანამდებობაზე დაიკავა ჯეიმს **როულენდ ენჯელმა** (1869-1949) და მომდევნო წლებში ფუნქციონალური ფსიქოლოგიის ე.წ. *ჩიკაგოს სკოლის* ნამდვილი ლიდერი გახდა. დიუისაგან განსხვავებით, რომელიც არ იყო სტრუქტურისა და ფუნქციის მკაცრი გაყოფის მომხრე, ენჯელმა მიიღო ტიჩენერის გამოწვევა. მან სრუქტურალიზმი და ფუნქციონალიზმი ფსიქოლოგიის სრულიად განსხვავებულ სახეებად გამოაცხადა და უპირატესობა, ცხადია, ამ უკანასკნელს მიანიჭა. 1904 წელს ენჯელმა გამოაქვეყნა ფუნქციონალიზმის პოზიციებიდან დაწერილი ფსიქოლოგიის სახელმძღვანელო. იგი ამტკიცებდა, რომ სხეულის ორგანოები, რომლებთან ანალოგიითაც მსჯელობდა ტიჩენერი, განსხვავდება ფსიქიკური ელემენტებისაგან. ბიოლოგიაში ყოველი ორგანო ასრულებს გარკვეულ ფუნქციას, რომელიც

მასთან იმთავითვე განუყრელად არის დაკავშირებული და მის გარეშე არ არსებობს. სოლო ფსიქიკური ელემენტები არ არიან მუდმივი და მხოლოდ გარეგანი ან შინაგანი აღქმის პროცესში წარმოიქმნებიან. ეს იმას ნიშნავს, რომ ფსიქიკის სფეროში ფუნქცია წარმოშობს სტრუქტურას, რაც მის აშკარა პრიორიტეტულობაზე მეტყველებს. გარდა ამისა, განსხვავებით ბიოლოგიური ორგანოებისაგან, რომელთა ანატომირება ყოველთვის ერთნაირ სტრუქტურულ შემადგენლობას გვაჩვენებს, ფსიქიკური სტრუქტურების შინაარსი არამდგრადია. უცელელი მხოლოდ ფსიქიკური ფუნქცია რჩება – შინაარსები სულ იცვლება, მაგრამ ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება, ნებელობა კი რჩება. სტრუქტურული ფსიქოლოგია არა მხოლოდ ბიოლოგიური, არამედ სოციალური თვალსაზრისითაც მიუღებელია, ვინაიდან ცნობიერებას რეალური, ცხოვრებისეული პირობების გაუთვალისწინებლად განიხილავს.

კიდევ უფრო მძაფრად დაუპირისპირდა ენჯელი სრუქტურულ ფსიქოლოგიას ამერიკელ ფსიქოლოგთა საზოგადოების წინაშე წაკითხულ საპრეზიდენტო მოხსენებაში (1906). მან განაცხადა, რომ სტრუქტურული ფსიქოლოგია იყო ისტორიული შეცდომა, ხანმოკლე ფილოსოფიური ანტრაქტი ბიოლოგიურად ორიენტირებული მეცნიერული კვლევების განვითარებაში. მხოლოდ ფუნქციონალური ფსიქოლოგია შეიძლება ჩაითვალოს არისტოტელეს, სპენსერის, დარვინისა და პრაგმატიზმის ტრადიციების ნამდვილ

მემკვიდრედ. ამავე დროს, ფუნქციონალური ფსიქოლოგია არაა მხოლოდ პროტესტი სტრუქტურული ფსიქოლოგიის წინააღმდეგ. ის არის დამოუკიდებელი, ამბიციური მიმართულება, რომელსაც თავისი პროგრამა აქვს. ამ პროგრამის მიხედვით, ფუნქციონალური ფსიქოლოგია, ფსიქიკური ელემენტების ფსიქოლოგიის საწინააღმდეგოდ, არის ფსიქიკური პროცესების ან *გონებრივი ოპერაციების* ფსიქოლოგია. უმთავრესი კი ის არის, რომ ფუნქციონალური ფსიქოლოგია წარმოადგენს *ცნობიერების სარგებლიანობის* ფსიქოლოგიას, რომელშიც ცნობიერება გააზრებულია, როგორც "შუამავალი გარემოსა და ორგანიზმის მოთხოვნილებებს შორის". ცნობიერების, ფსიქიკური პროცესების ფუნქციაა ახალი ვითარებებისადმი შეგუება, *შეგუებით მომსახურეობა.*

შეიძლება ითქვას, რომ ფუნქციონალური ფსიქოლოგია სამი მნიშვნელობით არის "ფუნქციონალური". ერთი მხრივ, ის ფსიქიკური ფუნქციების, ოპერაციების ფსიქოლოგიაა. ამ გაგებით, ის აქტების ფსიქოლოგიაა და არა ცნობიერების შინაარსების ფსიქოლოგია. მეორე მხრივ, მას მხედველობაში აქვს ამ აქტების როლი, მათი დანიშნულება გარემოსთან ადაპტაციის კუთხით. მისთვის მთავარია გაარკვიოს, თუ რა ფუნქციას ასრულებს ფსიქიკა. გარდა ამისა, ფსიქოლოგიის ეს მიმართულება ფუნქციონალურია თავისი საზოგადოებრივი მნიშვნელობის, თავისი სარგებლიანობის ასპექტით. ყოველივე ამისთვის ინტროსპექცია საკმარისი არ არის. აუცილებელია კვლევის *ობიექტური მეთოდების* გამოყენება. ამით გზა იხსნება ფსიქიკის ადაპტაციური ფუნქციის კვლევისკენ ცხოველებთან, ბავშვებთან, სულიერი გადახრების მქონე ინდივიდებთან; მოკლედ, ფსიქიკურის ყველა გამოვლინებაში.

დიუისა და ენჯელის გარდა, ჩიკაგოს სკოლას წარმოადგენენ ჰ. კერი, გ. ლედი, ჯ. მიდი, ა. მური. ჩიკაგოს სკოლასთან ერთად ფსიქოლოგიის ამ მიმართულებას მიეკუთვნება ე.წ. *კოლუმბიის სკოლაც,* რომელსაც **რობერტ ვუდვორთი** (1869-1962) ედგა სათავეში. ვუდვორთის ფორმალური იდენტიფიკაცია რაიმე სკოლასთან პირობითია, რამდენადაც იგი შეგნებული ეკლექტიკოსი იყო და ხაზს უსვამდა თავის მიმღებლურ დამოკიდებულებას სხვა მეთოდოლოგიური პოზიციების მიმართ. იგი აპროტესტებდა ტერმინს "ფსიქოლოგიური სკოლა", და მას მიიჩნევდა ცალკეული თეორიული სისტემის დომინირების პრეტენზიის გამოხატულებად, რაც მეცნიერებაში დაუშვებელია. მიუხედავად ამისა, ვუდვორთის ძირითადი ნაშრომების სულისკვეთება იმდენად ახლოს არის ფუნქციონალურ ფსიქოლოგიასთან, რომ მეცნიერების ისტორიკოსები მას ერთხმად მიიჩნევენ ამ მიმდინარეობის კიდევ ერთი განშტოების ლიდერად.

ვუდვორთმა ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური განათლება მიიღო ჰარვარდის და ნიუ-იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტებში, სადაც შემდგომში 55 წლის განმავლობაში ეწეოდა ნაყოფიერ კვლევით და პედაგოგიურ საქმიანობას. იგი თვლიდა, რომ ფსიქოლოგიური კვლევის საყრდენი პუნქ-

ტია გამღიზიანებელი და მასზე მოტორული პასუხი, მაგრამ რეაქცია მხოლოდ სტიმულის ზემოქმედების შედეგი არ არის. სტიმულისა და რეაქციის ურთიერთმიმართებაში აქტიურად არის ჩართული ორგანიზმი ყველა თავისი ფიზიოლოგიური და ფსიქიკური სისტემით. აქედან გამომდინარე, ფსიქოლოგიის ფორმულა ასე გამოიყურება: *სტიმული – ორგანიზმი – რეაქცია.* მაშასადამე, ფსიქოლოგიის კელეევის სფეროში ექცევა როგორც გარეგანი, ისე შინაგანი, როგორც ქცევა, ისე ცნობიერება. ეს გარემოება აისახება მის მეთოდურ აღჭურვილობაში, რაც გულისხმობს, რომ დაკვირვებასა და ექსპერიმენტთან ერთად ფსიქოლოგიამ ინტროსპექციაც უნდა გამოიყენოს.

თავის სისტემას ეუდვორთი უწოდებდა *დინამიკურ ფსიქოლოგიას*, ან, ხანდახან, *მოტივოლოგიას.* აქედან ჩანს, რომ მისი კელეევითი ინტერესის ძირითადი საგანი იყო მოტივაციური პროცესები. ამავე დროს ვუდვორთს კარგად ესმოდა, რომ ყოველგვარ აქტივობას აქვს როგორც *დინამიკური*, ისე *საშემსრულებლო* ასპექტი, ამიტომ იგი განასხვავებდა *ქცევის მოტივაციას და მექანიზმებს.* ერთი უბრუნველყოფს ქცევას იმპულსით, დინამიზმით, მეორე – საშემსრულებლო ტექნოლოგიით. საათმა რომ იმუშაოს, უნდა არსებობდეს ენერგიის რაიმე წყარო და მოქმედების წესის განმსაზღვრელი მოწყობილობა. ასევეა ქცევის შემთხვევაში. მას აქვს თანდაყოლილი (ინსტინქტები) და შეძენილი (ჩვევები) საშემსრულებლო მექანიზმები. მოტივაცია მათ აქტივაციას ახდენს, ამოქმედებს. ქცევის მექანიზმში, თავის მხრივ, ორი რგოლი გამოიყოფა: *მოსამზადებელი* (განწყობა) და *კონსუმატორული* (რეაქციის დამასრულებელი, რომლის საშუალებითაც მიიღწევა მიზანი).

ოციან წლებში ფუნქციონალური ფსიქოლოგია უაქტობრივად წყვეტს არსებობას და ადგილს უთმობს ბიჰევიორიზმს, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ამერიკული ფსიქოლოგიის წამყვან მიმდინარეობად დარჩება. უნდა ითქვას, რომ ფუნქციონალურმა ფსიქოლოგიამ ნაყოფიერი ნიადაგი შეუქმნა ბიჰევიორიზმს. მან სერიოზულად გააფართოვა ფსიქოლოგიური კელეევის სფერო – არ შეზღუდა იგი ცნობიერებით და აქტიურად შემოიტანა *პრაქტიკული მოქმედება, ქცევა.* ამავე დროს, ფუნქციონალიზმმა ფართოდ გაუღო კარი კელეევის *ობიექტურ მეთოდებს* და წინ წამოსწია ადაპტური *მოქმედების ფორმირების (დასწავლის)* საკითხები. აქ უკვე ჩანს ბიჰევიორიზმის ძირითადი ნიშნები – ქცევის შემსწავლელი "ობიექტური ფსიქოლოგია", რომელსაც ყველაზე მეტად ახალი რეაქციების შეძენის ანუ დასწავლის პროცესის კანონზომიერებათა დადგენა აინტერესებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ფსიქიკის ანალიზი, მისი შეგუებითი ფუნქციის თვალსაზრისით, არა მხოლოდ თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც მნიშვნელოვანი იყო. ამით ამერიკულმა ფუნქციონალიზმმა ძლიერი ბიძგი მისცა გამოყენებითი ფსიქოლოგიის განვითარებას.

ინტენციონალურ-ფენომენოლოგიური ფსიქოლოგიის ანალიზისას აღინიშნა, რომ ეს მიმდინარეობა ზოგჯერ *ევროპული ფუნქციონალიზმის* სახით განიხილება. ითქვა ისიც, რომ ასეთი შეფასება არ უნდა იყოს სწორი. მართალია, ფუნქციონალიზმის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი, ენჯელის მიხედვით, ის არის, რომ იგი გონებრივი ოპერაციების (იგივე აქტები ან

ფუნქციები, ბრენტანოს და შტუმფის გაგებით) ფსიქოლოგიაა, მაგრამ ფუნქციონალიზმის გამორჩეული და ძირითადი მახასიათებელი მაინც სხვაა – იგი ფსიქიკას მისი დანიშნულების, სარგებლიანობის, აღაპტური ფუნქციის კუთხით ხედავს. ანალიზის ეს უმნიშვნელოვანესი ასპექტი ინტენციონალურ-ფენომენოლოგიურ ფსიქოლოგიაში სულ არ იყო გათვალისწინებული, თუმცა ევროპაში იყვნენ მკვლევარები, ვინც ამ თვალსაზრისით განიხილავდა ფსიქიკურ სინამდვილეს. აქ შეიძლება დავასახელოთ ისეთი გამოჩენილი მეცნიერები, როგორიცაა დ. უორდი, გ. სტაუტი (ინგლისი), თ. რიბო, ა. ბინე (საფრანგეთი), ე. კლაპარედი (შვეიცარია).

**ედვარდ კლაპარედი** (1873-1940), ჟენევის უნივერსიტეტის პროფესორი, განსაკუთრებით უსვამდა ხაზს ფუნქციონალური მიდგომის აუცილებლობას. იგი არ მიიჩნევდა ფუნქციონალიზმს დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ფსიქოლოგიურ კონცეფციად, მაგრამ მიაჩნდა ქცევითი და მენტალური მოვლენების განხილვის ერთგვარ ხერხად, რომელსაც უნდა მიმართონ განსხვავებული თეორიული ორიენტაციის მკვლევარებმა. ეს არის ფსიქიკური ფენომენების ანალიზი იმის მიხედვით, თუ რა როლს თამაშობენ ისინი ცხოვრებაში, რა სარგებლობა მოაქვთ ინდივიდისა და გვარისთვის. ასეთმა მიდგომამ ბევრი რამ შეიძლება შესძინოს ფსიქოლოგიას. მაგალითად, სტრუქტურულ თვალსაზრისთან შედარებით, ის ფსიქიკური მოვლენების უფრო სრულყოფილი დახასიათებისა და ურთიერთგამიჯვნის ბევრად უკეთეს შესაძლებლობას ქმნის. ამის საილუსტრაციოდ კლაპარედი მიმართავს რაიმე პრეპარატის მიკროსკოპით შესწავლის ანალოგიას; მიკროსკოპი, ძლიერი გადიდებით, სტრუქტურაში შეღწევის საშუალებას გვაძლევს, მაგრამ ის ვერ დაგვანახვებს, თუ რა ადგილი უკავია პრეპარატის თითოეულ ნაწილს მთელში. ფეხს და ხელს მიკროსკოპის ქვეშ ვერ განასხვავებ, ვინაიდან ორივე ერთ და იმავე კუნთურ და ძვლოვან ქსოვილს შეიცავს.

იგივე ხდება ფსიქოლოგიური კვლევისას. სტრუქტურული თვალსაზრისით შეუძლებელია, მაგალითად, აზროვნებისა და ნებელობის გამიჯვნა – ორივე შეიცავს წარმოდგენებს, აზრებს, მისწრაფებებს, ემოციებს და ა.შ.. ფუნქციონალური კუთხით მათი განხილვა იმის გარკვევას ნიშნავს, თუ რა როლი აკისრია ამ ფსიქიკურ პროცესებს, რა ვითარებაში განიცდება ისინი და რა სიტუაცია წარმოშობს მათ. თუ აზროვნებასა და ნებელობას ასე გავაანალიზებთ, ადვილად დავადგენთ, რომ ისინი ქცევის *დეზადაპტაციით* გამოწვეული პროცესებია, მაგრამ ქცევის შეფერხებამ შეიძლება გამოიწვიოს აზროვნების აქტიც და ნებელობისაც. მათ გასარჩევად საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა არის დეზადაპტაციის მიზეზი. პრობლემა შეიძლება იყოს ქცევის *მიზნის* არჩევა ან მოქმედების *საშუალებათა* გარკვევა. შესაბამისად, ნებელობა დახასიათდება როგორც პროცესი, რომლის ფუნქციაა მიზნის პრობლემის გადაწყვეტა, ხოლო აზროვნება – როგორც პროცესი, რომლის ფუნქციაა საშუალებათა პრობლემის გადაწყვეტა. ფუნქციონალური დახასიათება არ

ესება ფსიქიკური პროცესების სტრუქტურას, მათ ფორმას და ა.შ. თუმცა, მოელენის ზუსტი აღწერისა და გამოკვეთის გზით, იგი სტრუქტურის უფრო ადექვატური ანალიზის შესაძლებლობას ქმნის.

კლაპარედის ფუნქციონალიზმი გასცდა "წმინდა ცნობიერების" ფარგლებს და ფსიქოლოგიის ცენტრალურ პრობლემად *ქცევის პრობლემა* დასახა. იგი ამტკიცებდა, რომ ცნობიერი ფსიქიკური პროცესები მხოლოდ მენტალური აქტივობის ცალკეული სახეობებია, აქტივობისა, რომელიც, ყოველგვარი ქცევის მსგავსად, მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად განხორციელებული ღონისძიებების სერიას წარმოადგენს.

ფუნქციონალური თვალსაზრისი, კლაპარედის აზრით, ზოგადი კანონების დადგენის შესაძლებლობასაც ქმნის. მან თორმეტი ასეთი კანონი ჩამოაყალიბა. ისინი უმთავრესად ესება მოთხოვნილების (მოტივაციის), ქცევისა და ცნობიერების ურთიერთკავშირს ადაპტაციური ფუნქციის ჭრილში. მათ შორის ყველაზე ცნობილია ე.წ. *გაცნობიერების კანონი.* ამ კანონის თანახმად, ცნობიერება ჩნდება მაშინ, როდესაც ადაპტაციური აქტივობა ავტომატურად (არაცნობიერად) აღარ მიმდინარეობს, როდესაც თავს იჩენს რაიმე სირთულე და ინდივიდი იძულებული ხდება, გაითვალისწინოს ქცევის სუბიექტური და ობიექტური გარემოებანი. ამ დროს აღმოცენდება სპეციალური პროცესი, რომელიც სასიათდება "ცნობიერების უეცარი ამოსეთქვით". საგულისხმოა, რომ ამ კანონის ძირითად იდეას ფუნქციონალიზმის სათავეებთან მდგომ დიუისთან ვსედებით. იგი ამბობდა: იქ, სადაც მხოლოდ ისეთი საგნებია, რომლებიც ინდივიდის წინაშე არავითარ პრობლემას არ აყენებენ, ცნობიერებაც არ ფუნქციონირებსო.

კლაპარედი თავისი დროის ერთ-ერთი სახელოვანი მეცნიერი იყო და საკმაო გავლენით სარგებლობდა, განსაკუთრებით, ფრანგულენოვან ფსიქოლოგთა შორის. ფუნქციონალისტური სულისკვეთების შესაბამისად, ისიც დიდ ყურადღებას უთმობდა ფსიქოლოგიური ცოდნის პრაქტიკული გამოყენების საკითხებს. კლაპარედი თვითონ იყო გენეტიკური ფსიქოლოგიის ცნობილი სპეციალისტი და განვითარების პრობლემატიკის კვლევის თვალსაჩინო ორგანიზატორი (იხ. 6.3.).

ფუნქციონალური ფსიქოლოგია უკვე აღარ არის წმინდა ცნობიერების ფსიქოლოგია. იგი განიხილავს ზოგადად შეგუებით აქტიეობას, ქცევას, რომელსაც ფსიქიკური პროცესები ემსახურება. თავის მხრივ, ქცევის ანალიზი განუყოფელია მოტივაციური სფეროს ანალიზისაგან. ამიტომ ფუნქციონალურ ფსიქოლოგიას აინტერესებს მოტივაციის საკითხი (ვუდვორთი, კლაპარედი). ე.წ. "ჰორმული ფსიქოლოგიის" ავტორის, უ. მაკ-დაუგოლის შემოქმედებაში კი ქცევასა და მის მოტივაციასთან დაკავშირებული პრობლემატიკა გაცილებით დიდ ადგილს იკავებს.

## 5.6. ᲰᲝᲠᲛᲣᲚᲘ ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲐ

ჰორმული ფსიქოლოგია ინსტინქტთეორიის სახესხვაობაა, რომელიც შექმნა ინგლისელ-ამერიკელმა ფსიქოლოგმა **უილიამ მაკ-დაუგოლმა** (1871-

1938). მან ინგლისსა და გერმანიაში მიიღო ჰუმანიტარული და სამედიცინო განათლება. ერთხანს მუშაობდა ლონდონში ფიზიოლოგიურ ლაბორატორიაში, 1904 წლიდან კი გახდა ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, სადაც კითხულობდა მენტალური ფილოსოფიის კურსს. 1908 წელს გამოიცა მისი წიგნი "შესავალი სოციალურ ფსიქოლოგიაში", რომელიც სოციალური ფსიქოლოგიის საწყის პუნქტად არის მიჩნეული. შემდეგ წიგნში "ფსიქოლოგია: ქცევის შესწავლა" (1912), მან ჩამოყალიბებული სახე მისცა ჰორმული ფსიქოლოგიის სისტემას. 1920 წელს გადასახლდა აშშ-ი, სადაც შეცვალა მიუსტენბერგი ჰარვარდში. შვიდი წლის შემდეგ ჩაუდგა სათავეში ფსიქოლოგიის ფაკულტეტს დიუკის უნივერსიტეტში ჩრდილოეთ კაროლინაში. წიგნში "ჯგუფური ფსიქოლოგია" განიხილა ინდივიდუალური ფსიქიკა საციონალურ-კულტურულ ჭრილში.

მაკ-დაუგოლი ფსიქოლოგიის ამოცანას ხედავს ქცევის შესწავლაში, რათა შესაძლებელი გახდეს მისი რეგულირება და ცვალებადი გარემოებებისადმი შეგუება. ქცევის აღძერასა და წარმართვას უზრუნველყოფს სპეციალური ფსიქიკური *სისტემა ან მექანიზმი*, რომლის სტრუქტურა და ფუნქცია ფსიქოლოგიამ უნდა გამოიკვლიოს. ამ მექანიზმში გამოიყოფა ორი ასპექტი: *მოტივაციური და სამემსრულებლო*, ან სხვაგვარად, *ენერგეტიკული და შემეცნებითი*. ამ მექანიზმის ბუნების გასარკვევად მაკ-დაუგოლმა მიმართა *ინსტინქტის* ცნებას, რომელიც, ევოლუციური იდეების გაელენით, არც თუ იშვიათად გამოიყენებოდა ქცევის დახასიათებისას. ჯეიმსი, მაგალითად, ინსტინქტში დაუსწავლელი (თანდაყოლილი) მოქმედების სამუალებით გარკვეული სასარგებლო შედეგის მიღწევის უნარს ხედავდა. თუ ჯეიმსისთვის ინსტინქტი ქცევის ერთ-ერთი მექანიზმია, მაკ-დაუგოლთან ის ყოველგვარი აქტივობის ძირეული ამხსნელი პრინციპის სახეს იღებს. ინსტინქტში მოცემულია ყველაფერი, რაც ქცევას ესაჭიროება. პირველ ყოლისა, ეს არის ენერგეტიკა, იმპულსი, მისი ტერმინოლოგიით "ჰორმე" (ბერძნული სიტყვიდან horme, რაც გარკვეული მიზნისკენ მისწრაფებას ნიშნავს). მიზნისკენ სწრაფვა ცოცხალის უნდამენტური ნიშანია და ერთნაირად ახასიათებს ცხოველსა და ადამიანის ქცევას. ის არის ორგანიზმის ბუნებაში ჩანერგილი თანდაყოლილი სასიცოცხლო ანუ *ვიტალური ენერგიის* გამოხატულება, რომელიც ინსტინქტში რეალიზდება. ყოველი ქცევა, ამბობს ავტორი, "ტელეოლოგიურია, მიზანმიმართულია, ორიენტირებულია დასახული მიზნობრივი მდგომარეობის მისაღწევად". აქედან გამომდინარე, თავის თეორიულ სისტემას უწოდებს *ჰორმულს და ტელეოლოგიურს*.

ჰორმული ენერგიის "მარაგი", ისევე როგორც მისი განაწილებისა და "განმუხტვის" გზები, მოცემულია ინსტინქტში. ამიტომ ეს უკანასკნელი ე�აზრებულია რთული წარმონაქმნის სახით, რომელიც სამ, ერთმანეთის ზიმყოლ პროცესს მოიცავს: 1) სელექციური აღქმა, რომელიც გამომდინარეობს ორ-

განიზმის სპეციფიკური მდგომარეობიდან, მიდრეკილების მაგვარად (მაგ., საკვები ობიექტების უფრო ადვილი აღმოჩენა შიმშილის დროს); 2) შესაბამისი ემოციური იმპულსი (ინსტინქტის ბირთვი); 3) მიზნის მიღწევაზე მიმართული საშემსრულებლო აქტივობა (მაგ., გაქცევა შიშის დროს). სხვა სიტყვებით: "ინსტინქტური ქცევის ყოველი ნიმუში მოიცავს ცოდნას რაიმეს შესახებ (ობიექტი), მისადმი დამოკიდებულებას და მისკენ მისწრაფებას ან მისგან განრიდებას". ამგვარად, ინსტინქტს, როგორც ქცევისადმი მიდრეკილებას, დისპოზიციას აქვს *ემოციურ-მოტივაციური, კოგნიტური და მოტორული* ასპექტი. ამა თუ იმ ინსტინქტის კოგნიტური და მოტორული კომპონენტი შეიძლება ცვალებადობდეს ცხოვრებისეული გამოცდილების მიხედვით, მაგრამ ემოციურ-მოტივაციური ბირთვი ყოველთვის უცვლელი რჩება. ამიტომ ყველა ინსტინქტს შეესაბამება თავისი ემოცია, რომელიც მასთან განუყრელ ერთიანობას ქმნის.

თავდაპირველად მაკ-დაუგოლმა გამოყო ადამიანის ინსტინქტ-ემოციის 12 წყვილი: 1) ბრძოლის ინსტინქტი (ბრაზი); 2) გაქცევის ინსტინქტი (შიში და თვითშენახვის გრძნობა); 3) გვარის გაგრძელების ინსტინქტი (სქესობრივი გრძნობა, ეჭვიანობა და ქალური სიმორცხვე); 4) კვებითი ინსტინქტი (შიმშილი); 5) მშობლიური ინსტინქტი (სინაზე); 6) ცნობისმოყვარეობის ინსტინქტი (გაკვირვება); 7) ჯოგური ინსტინქტი (მიკუთვნებულობის გრძნობა); 8) მიუღებლობის ინსტინქტი (ზიზღი); 9) მოპოვების ინსტინქტი (საკუთრების გრძნობა); 10) შენების ინსტინქტი (შემოქმედების გრძნობა); 11) თვითდამკვიდრების ინსტინქტი (აღმაფრენა); 12) თვითდამცირების ინსტინქტი (უხერხულობის გრძნობა).

ინსტინქტის ცნება ერთგვარ უხერხულობას უქმნიდა თავად მაკ-დაუგოლს, რადგან მისი შეხედულების ისეთი წაკითხვის საშუალებას იძლეოდა, თითქოს ქცევა ყოველთვის და მხოლოდ თანდაყოლილი ემოციურ-მოტივაციური დისპოზიციებით არის განსაზღვრული. ამიტომ, გვიანდელ ნაშრომებში, ქცევის ემოციურ-მოტივაციური საფუძველის აღსანიშნავად, მან გამოიყენა ტერმინი *მიდრეკილება*. თავისი არსით ის შეესაბამება *პოტენციურ მოთხოვნილებას*, ანუ ისეთ დისპოზიციას, რომელიც აქტუალიზაციის შემთხვევაში *ტენდენციის, მისწრაფების ან ლტოლვის* სახით ელინდება. საბოლოოდ, მაკ-დაუგოლმა გამოყო 18 მიდრეკილება: 1) საკვების მოპოვება, საკვების ძიება და შენახვა. 2) ზიზღი, მავნე ნივთიერებებისაგან განრიდება; 3) სექსუალობა, არშიყობა და საქორწინო ურთიერთობა; 4) შიში, გაქცევა ან დამალვა სახიფათო და ტკივილის მომგვრელი ზემოქმედებისაგან; 5) ცნობისმოყვარეობა, უცნობი ადგილებისა და საგნების გამოკვლევა; 6) მფარველობა და მშობლიური ზრუნვა, პატარების გამოკვება და დაცვა; 7) ურთიერთობა, თანასწორებს შორის ყოფნა და კონტაქტის ძიება; 8) თვითდამკვიდრება, დომინირება და ლიდერობა, თავის გამოჩენა; 9) დაქვემდებარებულობა, დათმობა, მორჩილება ძლიერისადმი; 10) რისხვა. გაბრაზება და ძალისმიერი მოცილება იმისა, რაც სხვა მიდრეკილებებს აბრკოლებს; 11) დახმარების მოხმობა, აქტიური მოწოდება საშველად, როცა ჩვენი ძალისხმევა წარუმატებლად მთავრდება; 12) შექმნა, თავშესაფრისა და შრომის იარაღის

კეთება; 13) მომპოვებლობა, ყოველივე იმის მოპოვება, ფლობა და დაცვა, რაც სასარგებლოა და მიმზიდველი; 14) სიცილი, სხვა ადამიანების ნაკლოვანებებისა და წარუმატებლობის დაცინვა; 15) კომფორტი, დისკომფორტის მოხსნა ან არიდება; 16) დასვენება და ძილი, უძრაობისკენ, განტვირთვისკენ და ძილისკენ მიდრეკილება დაღლილობის დროს; 17) მაწანწალობა, გადაადგილება ახალ შთაბეჭდილებათა ძიებაში; 18) პრიმიტიულ მიდრეკილებათა ჯგუფი, რომლებიც ემსახურებიან სხეულებრივ პროცესებს, ისეთებს, როგორიცაა ხველა, ცემინება, სუნთქვა, დეფეკაცია და ა.შ.

რაც შეეხება ქცევის საშემსრულებლო ასპექტს, მის აღსანიშნავად მაკ-დაუგოლმა გამოიყენა ტერმინი *უნარი*. შესაბამისად, გამოიყო *შემეცნებითი და მოტორული* უნარები. თუმცა ეს დაყოფა ერთგვარად პირობითია, რადგან, მაკ-დაუგოლის აზრით, ყოველ შემეცნებით უნარს აქვს ბუნებრივი გამოხატულება გარკვეული რეაქციების სახით, სოლო ყოველი სამოძრაო უნარის საორიენტაციო ნაწილში ჩართულია გრძნობადი შთაბეჭდილებები და კოგნიტური სტრუქტურები.

შესაბამისად, დაკონკრეტდა ინსტინქტის ცნებაც. იგი აღნიშნავს მხოლოდ თანდაყოლილ, ფიქსირებულ კავშირს ერთ-ერთ მიდრეკილებასა და შესაბამის უნარს შორის. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ცხოველებშიც კი ეს კავშირი სხვადასხვა დიაპაზონში ცვალებადობს გარემო პირობების გაელენით. ქცევის ინსტინქტური, თანდაყოლილი საწყისი ფატალურად არ განსაზღვრავს ქცევას და ადგილს უტოვებს ადაპტაციურ პროცესს, რაც მიდრეკილებისა და უნარის ახალი კავშირების შეძენაში მდგომარეობს. ამაში ჩანს ფსიქიკური ცხოვრების განვითარების უმთავრესი პრინციპი. ცხოველისაგან განსხვავებით, ადამიანთან კავშირი მიდრეკილებასა და უნარს შორის, ჩვეულებრივ, არ არის ფიქსირებული – ერთი მიდრეკილება უკავშირდება სხვადასხვა უნარებს და პირიქით, ერთი უნარი ემსახურება განსხვავებულ მიდრეკილებებს. როგორც მიდრეკილებები, ისე უნარები შეიძლება გაერთიანდნენ მეტ-ნაკლებად ფართო კომპლექსებში ან სისტემებში. გართულების კიდევ ერთი ხაზი იმაში მდგომარეობს, რომ განვითარების უმაღლეს დონეზე, მიდრეკილებათა საფუძველზე, აღმოცენდება სპეციფიკურად ადამიანური ემოციურ-მოტივაციური წარმონაქმნები – *მოტივები და განწრახვები*. მათი აღმოცენება და ფუნქციონირება ცნობიერების პლანში მიმდინარეობს.

ყოველ მიდრეკილებაში (მისწრაფებაში) "ჩაწერილია" ობიექტები, რომლებზეც ის არის მიმართული. ამ ობიექტების დანაკლისი უარყოფით გრძნობას იწვევს, ხოლო მათი მოპოვება – დადებითს. აქედან გამომდინარე, მაკ-დაუგოლი თვლის, რომ შეიძლება ვილაპარაკოთ გრძნობის ორ პირველად და ძირეულ ფორმაზე, ესენია *სიამოვნება-უსიამოვნება ან კმაყოფილება-უკმაყოფილება*. ეს გრძნობები, ასე თუ ისე, ყველა მისწრაფებას ერთვიან და მათი რეალიზაციის წარმატება-წარუმატებლობაზე მიანიშნებენ.

ორგანიზმის შემეცნებითი ფუნქციების განვითარების კვალდაკვალ ეს გრძნობებიც ვითარდება. ამას განაპირობებს ის გარემოება, რომ შემეცნება ერთდროულად სწვდება ობიექტებისა და სიტუაციების სხვადასხვა ასპექტებს და, ამასთანავე, განჭვრიტავს შესაძლო ემოციურ მდგომარეობას. ეს ქმნის

რამდენიმე მისწრაფების ერთდროული აქტუალიზაციის საშუალებას და, ასევე, ფაქტობრივი და განჭერეტილი წარმატება-წარუმატებლობის გაერთიანების შესაძლებლობას. შედეგად, კოგნიტურად საკმარისად განვითარებულ ცოცხალ ორგანიზმს არა მხოლოდ უბრალო სიამოვნება-უსიამოვნების, არამედ ისეთი გრძნობებიც უვითარდება, რომლებშიც გაერთიანებულია დადებითი და უარყოფითი რომელობა. წარმოიქმნება *რთული გრძნობები*: სევდა, შფოთვა, მონანიება და სხვა. განვითარების პროცესში ისინი ერთიანდებიან კიდევ უფრო რთულ *ემოციურ მდგომარეობებში*: ადამიანი განიცდის ტკბილ სევდას, ტანჯვით შეფერილ სიხარულს, იმედისა და შფოთვის უცნაურ შესამებას.

ყველა ამ შემთხვევაში ძალაში რჩება გრძნობის სპეციფიკური ნიშანი – იგი წარმოიქმნება იმის მიხედვით, თუ რამდენად წარმატებით ან წარუმატებლად ხორციელდება მისწრაფება. გრძნობა მიზანზე მიმართული აქტივობის პროცესის ან შედეგის თანმხლებია. მაკ-დაუგოლი ფიქრობს, რომ ასეთი *გრძნობები* უნდა განვასხვავოთ საკუთრივ *ემოციებისაგან*. მეცნიერებაში ეს ცნებები არ არის საბოლოოდ გამიჯნული, არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი თვალსაზრისი იმაზე, თუ რა პროცესების შედეგად წარმოიქმნება ისინი და როგორია მათი ბუნება. იგი ცდილობს მეტი გარკვეულობა შეიტანოს ამ საკითხში და განასხვაოს გრძნობა და ემოცია "მათი ფუნქციონალური კავშირის მიხედვით მიზანმიმართულ აქტივობასთან, რომელსაც ისინი განსაზღვრავენ და მიჰყვებიან, ეისაიდან ეს კავშირი ორივე შემთხვევაში არსებითად განსხვავებულია".

მაკ-დაუგოლის მიხედვით, ნამდვილი ემოციები წინ უსწრებენ წარმატებას ან წარუმატებლობას და მათზე არ არიან დამოკიდებული. ისინი წარმოიქმნებიან მისწრაფებათა აქტუალიზაციასთან ერთად და მათ თავისებურ ემოციურ შეფერილობას ქმნიან. ამით თითოეული მოქმედი ან განჭერეტილი მისწრაფება საკუთარ თვისებრიობას იძენს, რაც სპეციფიკურად განასხვავებს მას სხვა ტენდენციისაგან. აქ მნიშვნელობა არა აქვს, წარმატებულია მისი რეალიზაცია თუ არა. ამდენად, ყველა სპეციფიკურ მისწრაფებას საკუთარი *ემოციური თვისებრიობა* აქვს. ამ სპეციფიკური განცდის ძირი იმ ორგანულ კომპლექსებსა და შესაბამის შეგრძნებებში უნდა ეძებოთ, რომლებიც თან ერთვიან, ადევილებენ და აძლიერებენ სხეულებრივ აქტივობას. მაკ-დაუგოლი არ იღებს მთლიანად ჯეიმს-ლანგეს თეორიას, მაგრამ მიიჩნევს რომ "სხეულებრივი ორგანიზაციის ყოველი ასეთი სისტემა ორგანიზმის განცდებში აისახება და ამით ყოველ სპეციფიკურ მისწრაფებას თავისებურ განმასხვავებელ თვისებას ანიჭებს – ერთ-ერთი პირველადი ემოციის თვისებას". მოკლედ, ემოცია განსაზღვრავს მისწრაფების გრძნობად რაგვარობას და შეღის ინსტინქტის ან მიღრეკილების ე.წ. *ემოციურ ბირთვში*.

საბოგადოდ, ემოცია-გრძნობა იმის მაჩვენებელია, თუ რაზეა მიმართული აქტივობა (მიზანი) და რამდენად არის ეს მიზანი მიღწეული. მაკ-დაუგოლი გამოყოფს კიდევ ერთ ფსიქიკურ წარმონაქმნს, რომელიც, ემოცია-გრძნობისაგან განსხვავებით, მიზანთან კი არ არის დაკავშირებული, არამედ მისი მიღწევის საშუალებებთან. მას *გემოვნება* ეწოდება. ჩამოყალიბებული გე-

მოვნება განსაზღვრავს იმას, თუ რა გზებით და ხერხებით იქნება რეალიზებული მიზანი.

ემოცია-გრძნობებისა და გემოვნების ერთობლიობა, ავტორის თანახმად, წარმოქმნის *პიროვნების* სამი ქვესტრუქტურიდან ერთ-ერთს, კერძოდ *ხასიათს.* რაც უფრო ორგანიზებულია გრძნობა-გემოვნების სისტემა, მით უფრო მთლიანია პიროვნება, მით უფრო მტკიცეა მისი ხასიათი. პიროვნების მეორე კომპონენტის სახით გამოყოფილია *ინტელექტი.* ინტელექტი არის უნარების ერთობლიობა, რომელიც განსხვავებულ მიდრეკილებებს ემსახურება და პიროვნებაში სასიათისაგან შედარებით დამოუკიდებელ ქვესისტემას ქმნის. პიროვნების მესამე კომპონენტია *ტემპერამენტი.* ის ძლიერ არის დამოკიდებული სხეულის ქიმიურ შემადგენლობაზე, რაც ნერვული სისტემის მდგრადობაზე აისახება. ტემპერამენტი განსაზღვრავს პიროვნების ექსპრესიულობას და, თავისი თანდაყოლილი ბიოლოგიური დეტერმინირებულობის მიუხედავად, გარკვეულწილად ექვემდებარება აღზრდას.

მაკ-დაუგოლის სისტემა მრავალი მხრივაა საინტერესო. მისი ბევრი შეხედულება დღესაც იქცევს მკვლევართა ყურადღებას, განსაკუთრებით მოტივაციის ფსიქოლოგიის სფეროში. ამასთან, მათში სათუო მომენტებიცაა. პირველ რიგში ეს ინსტინქტების სიას ეხება. არ არის ნათელი, რის საფუძველზე გამოიყო სწორედ ეს ინსტინქტები და არა სხვა, რატომ ამდენი და არა მეტი ან ნაკლები. ამასთან, ზოგიერთი ინსტინქტი ისეა დახასიათებული, რომ ძნელი გასარჩევია სხვა ინსტინქტისაგან. მაგალითად, მაწანწალობა, რომელიც შთაბეჭდილებების ძიებაში გადაადგილებად განიმარტება, სავსებით შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ცნობისმოყვარეობის ნაირსახეობა, რომლის შინაარსი უცნობი ადგილებისა და საგნების გამოკვლევას გულისხმობს. მიუხედავად ამისა, მაკ-დაუგოლის შეხედულებები საკმაოდ პოპულარული იყო როგორც ფსიქოლოგიაში, ისე მომიჯნავე დისციპლინებში, მაგალითად, სოციოლოგიაში ან პოლიტოლოგიაში, სადაც ყოველთვის არსებობდა ერთგვარი სწრაფვა საზოგადოებრივი მოვლენების დაკავშირებისა ადამიანთა ფსიქიკურ თვისებებთან თუ ტენდენციებთან. თავის სოციალურ ფსიქოლოგიაში მაკ-დაუგოლი შეეცადა, პირველადი ინსტინქტებიდან გამოეყვანა ძირეული სოციალური ინსტიტუტები (მაგ., ოჯახი, ვაჭრობა) და პროცესები (მაგ., ომები). ამ მხრივ ყველაზე დიდი მნიშვნელობა მიენიჭა *ჯოგურ ინსტინქტს,* რომელიც ადამიანთა ერთად ყოფნას განაპირობებს. მისი მოქმედების შედეგად არის მიჩნეული ისეთი სოციალური პროცესები, როგორიცაა ქალაქების წარმოქმნა და ზრდა, ადამიანთა სხვადასხვა სახის თავყრილობები, შრომისა და დასვენების კოლექტიური ხასიათი და ა.შ. გარდა იმისა, რომ ძირითადი საზოგადოებრივი მოელენების ინსტინქტებიდან გამოყვანა ბევრად უფრო სერიოზულ დასაბუთებას მოითხოვს, ახსნის ასეთი მეთოდოლოგია თავის თავში შეიცავს ტავტოლოგიური მსჯელობის საფრთხეს. მაგალითისთვის განვიხილოთ შემდეგი სქემა: ომები იწყება აგრესიულობის ინსტინქტის მოქმედების გამო, მაგრამ საიდან ვიცით, რომ აგრესიულობის ინსტინქტი არსებობს? იქიდან, რომ ადამიანები ხშირად ომობენ.

თანამედროვე სოციალურ ფსიქოლოგიაში, რომლის სათავეებთანაც

დგას მაკ-დაუგოლი, არ არის მიღებული ადამიანის ქცევის ინსტინქტებიდან გამოყვანა. ყველაზე მეტ პროტესტს ამ ცნებასთან მყარად ასოცირებული თანდაყოლილობის იდეა იწვევს. უნდა აღინიშნოს, რომ მაკ-დაუგოლი თავადაც აცნობიერებდა ამ გარემოებას და მიდრეკილების ცნების შემოტანით ცდილობდა შეერბილებინა სოციალური ქცევის ბიოლოგიურ დეტერმინირებულობასთან დაკავშირებული სირთულეები. მიუხედავად ამისა, ევოლუციურ შეხედულებებს და მათთან დაკავშირებულ თეზისს ქცევითი დისპოზიციების (ინსტინქტებისა და მიდრეკილებების) მეტნაკლები თანდაყოლილობის შესახებ იგი არასდროს უარყოფდა. ეს პოზიცია სრულ შესაბამისობაშია თანამედროვე ფსიქოლოგიური აზრის მძლავრ ნაკადთან, რომელსაც *ევოლუციურ ფსიქოლოგიას ან სოციოგენეტიკას* უწოდებენ. ამ თეორიული ორიენტაციის თანახმად, პროსოციალური, ზნეობრივი ქცევის ზოგიერთ მოდელს, ნაწილობრივ მემკვიდრული საფუძველი აქვს, რომელიც შემდგომში ტრადიციითა და აღზრდით განმტკიცდება. ადამიანის საზოგადოებრივი და ზნეობრივი ქცევა განიხილება, როგორც მემკვიდრულისა და შეძენილის, გენეტიკურისა და სოციალურ-კულტურულის ერთდროული მოქმედების შედეგი. კონკრეტული კვლევებით დგინდება ფსიქიკური მოქმედების ევოლუციურ-გენეტიკური მექანიზმები.

მაკ-დაუგოლის მომდევნო ხანის სოციალური ფსიქოლოგია უმეტესწილად უპირისპირდება გენეტიკურ-დისპოზიციურ მიდგომას და აქცენტს ქცევის შეძენილ და სოციალურად განმტკიცებულ მექანიზმებსა და დისპოზიციებზე აკეთებს. მაგრამ, როგორც არ უნდა ხასიათდებოდეს სოციალური ფსიქოლოგიის მიერ გამოკვლეული ქცევითი დისპოზიციები (ე.წ. ატიტუდები ანუ სოციალური განწყობები), მათ ისეთივე შემადგენლობა აქვთ, რაც მაკ-დაუგოლის მიერ დახასიათებულ ინსტინქტებსა და მიდრეკილებებს; ისინიც იმავე ემოციური, კოგნიტური და ქცევითი კომპონენტებისაგან შედგება (ატიტუდის ე.წ. სამკომპონენტიანი მოდელი). როგორც ჩანს, აქტივობის მიზანშეწონილი წარმართვისთვის ყოველგვარ ქცევით დისპოზიციას ისეთი სტრუქტურა უნდა ჰქონდეს, როგორიც მაკ-დაუგოლმა თითქმის ასი წლის წინ ივარაუდა და რაც ამ თვალსაჩინო მკვლევარის დიდ გამჭრიახობაზე მეტყველებს.

## 5.7. აღწერითი და გაგებითი ფსიქოლოგია

ფსიქოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების პირველი თეორიული სისტემების ანალიზი სრული არ იქნება, თუ არ განვიხილავთ დილთაისა და შპრანგერის შეხედულებებს. მათ ფსიქოლოგიური აზროვნება სხვა მიმართულებით წარმართეს. შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივად აქედან მიეცა დასაბამი ფსიქოლოგიის არასაბუნებისმეტყველო, "ჰუმანიტარულ" გააზრებას, რომლის ფარგლებში XX საუკუნეში შეიქმნა და დღესაც ვითარდება რამდენიმე სერიოზული მეცნიერული მიმდინარეობა.

**ვილჰელმ დილთაიმ** (1833-1911) გერმანელი პროფესორის ტიპური ცხოვრების გზა გაიარა. იგი დაიბადა 1833 წელს პასტორის ოჯახში. სწავ-



ლობდა ჰაიდელბერგისა და ბერლინის უნივერსიტეტებში. ასწავლიდა ბაზელში, კელნში, ბრესლაუში. 1882 წლიდან მოღვაწეობდა ბერლინში და აქვე გარდაიცვალა. თავისი ფსიქოლოგიური შეხედულებები არსებითად გადმოსცა წიგნში: "იდეები აღწერიითი და დამანაწევრებელი ფსიქოლოგიის შესახებ" (1894).

ვილჰელმ დილთაი ე.წ. *სიცოცხლის ფილოსოფიის* ერთ-ერთი წამყვანი ფიგურაა. სიცოცხლის ფილოსოფიის ძირითადი საფუძვლები, არსებითად, არისტოტელეს შექმნილია. შემდეგ ისინი რენესანსის ჰუმანისტებმა განავითარეს (განსაკუთრებით, ნიკოლოზ კუზელმა, ერაზმ როტერდამელმა და იაკობ ბიოემემ), შემდეგ – ლაიბნიცმა, თუმცა საკუთრივ სიცოცხლის ფილოსოფია ფ. ნიცშეს დაფუძნებულია. შემდეგ იგი ფილოსოფიაში განავითარეს ვ. დილთაიმ და, განსაკუთრებით, ა. ბერგსონმა; ბიოლოგიაში – ვიტალისტებმა (განსაკუთრებით, ჰ. დრიშმა და პ. ტეიერ დე შარდენმა); ფსიქოლოგიაში – კ. გ. იუნგმა და ნაწილობრივ, ჰუმანისტურმა ფსიქოლოგიამ. საქართველოში სიცოცხლის ფილოსოფიის წარმომადგენლები იყვნენ კ. კაპანელი და დ. უზნაძე.

სიცოცხლის ფილოსოფია, განსხვავებით მატერიალიზმისაგან და განსხვავებით იდეალიზმისაგან, პირველსაწყისად არც მატერიას მიიჩნევს და არც იდეას. იგი შუალედური პოზიციის დაკავებას ცდილობს და პირველსაწყისად თვით სიცოცხლის მისწრაფებას მიიჩნევს, რომელიც არსებობის სხვადასხვა საფეხურებზე სხვადასხვა სახით ვლინდება. მთელი სამყარო – ესაა განუწყვეტელი ქმნადობა, რაც პირველადი სასიცოცხლო მისწრაფების (სულის) თვითგანფენაა, ანუ დაფარული და შეყურსული პოტენციის აქტუალიზაციაა. ყოველ ცოცხალს იმთავითვე ჩანერგილი აქვს ამ ძირეული და საყოველთაო მისწრაფების მცირე წილი და სწორედ ამითაა განპირობებული როგორც მთელი ბუნების, ისე ცალკეული ინდივიდის ქცევის მიზანშეწონილება. ცხადია, ამ პოსტულატის სათავეა არისტოტელესეული ცნება "ენტელექია" (იხ. 1.2.)

სიცოცხლის ფილოსოფიის კვლევის მთავარი მიმართულებებია: სუბიექტ-ობიექტის გათიშულობის დაძლევა – სასიცოცხლო მისწრაფებაში მათი პირველადი ერთიანობის პოსტულირებით (მაგ., უზნაძისეული 'ბიოსფერო"); შემეცნებაში უპირველესი მნიშვნელობის მინიჭება ინტუიციური წვდომისთვის და ინტუიციის კანონზომიერებათა გამოკვლევა; ბიოლოგიაში – სიცოცხლის ევოლუციის ისეთი თეორიის აგება, რომელიც მატერიალისტურ დარვინიზმს უარყოფს; ფსიქოლოგიაში – არაცნობიერისა და მის გამოვლინებათა შესწავლა.

სიცოცხლის ფილოსოფიის გაელენით ფსიქოლოგიაში დამკვიდრდა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცნება – ყოველგვარი ადაპტაციურ-ჰომეოსტაზური თეორიების უარმყოფელი: დაუკეველი მისწრაფება წონასწორობის მდგომარეობის დარღვევისა და საზღვრების გადალახვისკენ, საკუთარი

არსის მეტად და მეტად განფენისკენ, ტრანსცენდენტირება (ქართულად – მიღმასწრაფება), რაც იმთავითვეა მეტ-ნაკლებად ჩანერგილი თვითეულ ადამიანში, აგრეთვე მცენარეთა და ცხოველთა მთელ სახეობებში. ეს მისწრაფება ხშირად თვითშენახვის უძლიერეს ინსტინქტსაც კი სძლევს და არათუ შეგუების საწინააღმდეგო ქცევის, არამედ, ადამიანის ღონეზე, ზოგჯერ თვით სიცოცხლის გაწირვის მიზეზიც კი ხდება. ამ ცნებას სხვადასხვა ტერმინი და სახესხვაობა აქვს, მაგრამ არსებითი შინაარსი ერთიდაიგივეა: ბერგსონისეული Elan Vital (სასიცოცხლო მისწრაფება, ძალა ანუ ენერგია); იუნგისეული 'ლიბიდო – სასიცოცხლო ენერგია" (ფროიდისეული ეიწრო-სექსუალური ცნებისგან განსხვავებით) და 'ინდივიდუაცია – მისწრაფება თვითობისკენ" (იხ. 7.1); მაკ-დაუგოლის 'ჰორმე" ანუ 'მიზნისკენ მისწრაფება" – სასიცოცხლო ანუ ვიტალური ენერგიის გამოვლინება, რაც ინსტინქტშია განხორციელებული (იხ. 5.6.); უზნაძისეული 'უუნქციონალური ტენდენცია" (იხ. 12.2.); ნიუტენისეული 'თანდაყოლილი დინამიზმი" (იხ. 11.2.); ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ძირითადი ცნება, მაგალითად, 'მისწრაფება თვითაქტუალიზაციისკენ" ანუ 'შინაგანი ზრდის მოთხოვნილება" (იხ. 10.1) და სხვა.

ამრიგად, ფილოსოფიის ეს მიმდინარეობა სიცოცხლის ცნებიდან ამოდის და მას საკმაოდ ფართო დიაპაზონში განიხილავს – ბიოლოგიური არსებობის ფორმიდან ადამიანურ ფორმამდე. დილთაის სწორედ ეს უკანსკნელი აინტერესებს. მისთვის სიცოცხლე შინაგან გამოცდილებაში, ანუ *განცდაშია* მოცემული. განცდა კი, თავის მხრივ, გონის სამყაროსთან, ანუ გონის სიცოცხლესთან არის დაკავშირებული. ამიტომ ფილოსოფია "სულიერი სიცოცხლიდან ამოდის და გონიერ სიცოცხლეს სწვდება".

დილთაის ინტერესთა ცენტრში *გონითი ან ისტორიულ-საზოგადოებრივი* სამყაროს რაობა, მისი არსებობის წესი, ფორმები და მათი შემეცნების საშუალებებია. ამ კონტექსტში მთავარ ამოცანად ისახება საბუნებისმეტყველო და ე.წ. გონისმეცნიერებათა გამიჯვნისა და სპეციფიკის ჩვენების საკითხი. სწორედ *გონისმეცნიერებათა* (იგივე ჰუმანიტარულ-საზოგადოებრივ მეცნიერებათა) დასაბუთების საჭიროებამ მიმართა დილთაის ინტერესი ფსიქოლოგიისკენ. თუ ბუნების მეცნიერებებს ის აერთიანებს, რომ ბუნების მოვლენებს სწავლობენ, გონისმეცნიერებებში შემავალ დისციპლინებს, ისეთებს, როგორებიცაა ისტორია, ეთიკა, ეკონომიკა, ლინგვისტიკა, იურისპრუდენცია, ხელოვნებათმცოდნეობა და სხვა, აერთიანებს ის, რომ მათი კვლევის სპეციფიკური საგანი (მეურნეობა, სამართალი, ხელოვნება, მეცნიერება, მორალი და ა.შ.), ადამიანთა გონითი მოღვაწეობის შედეგია. მათი წყარო ადამიანის სულიერ აქტივობაშია. "ფსიქიკური ფაქტები მათი უმთავრესი შემადგენელი ნაწილია და ამიტომ მათი განხილვა შეუძლებელია ფსიქოლოგიური ანალიზის გარეშე". აქედან გამომდინარე, გონისმეცნიერებათა საფუძველს, მათ ზოგად მეთოდოლოგიას სწორედ ფსიქოლოგია წარმოადგენს. დილთაი ასე ამბობს: ფსიქოლოგია გონისმეცნიერებათა საფუძველია, ისევე როგორც მათემატიკაა ბუნებიმეცნიერებათა საფუძველი.

აქ მთავარია, თუ როგორი ფსიქოლოგია იგულისხმება. რომელ ფსიქოლოგიას შეუძლია აიღოს თავის თავზე ამდენად მნიშვნელოვანი ფუნქცია?

დილთაი დარწმუნებულია, რომ იმქამად გაბატონებული აკადემიური ფსიქოლოგია ამას ვერ შეძლებს. ეს არის არსებითად სტრუქტურული ფსიქოლოგია – ელემენტარისტული, ასოციაციონისტური, ბუნებისმეტყველური. დილთაი ვუნდტის თანამედროვეა. იგი იმ დროს მოღვაწეობდა, როდესაც ფსიქოლოგიაში ვუნდტის შეხედულებები იყო გაბატონებული, თუმცა, იმის თქმაც არ შეიძლება, რომ დილთაი მთლიანად უარყოფს ვუნდტს. ქვემოთ დავინახავთ, რომ ერთ უმნიშვნელოვანეს პუნქტში მისი პოზიცია ემთხვევა ვუნდტისას. და მაინც, დილთაი მკაცრად აკრიტიკებს ძველ ფსიქოლოგიას და ცდილობს ახლის ჩამოყალიბებას, ისეთისას, რომელიც გონისმეცნიერებათა მეთოდოლოგიის როლს შეასრულებს. ძველი ფსიქოლოგია, რომელსაც დილთაი "ახსნითს" უწოდებს, ამას ვერ შეძლებს, ვინაიდან ის ბუნებისმეტყველების პრინციპებზეა დამყარებული. ბუნებისმეცნიერებებს საქმე აქვთ გარეგანი ცდით, შეგრძნებათა გზით მიღებულ ცალკეულ ფაქტებთან და მოვლენებთან, რომელთა შორის, დილთაის აზრით, თავისთავად არავითარი შინაგანი კავშირი არ არის. ამ იზოლირებული ელემენტებისაგან შემდგარი მასალის მოწესრიგება ხდება სპეციალური ჰიპოთეზებისა და ჩვენს მიერ შექმნილი კონსტრუქციების მეშვეობით, რასაც "ახსნას" უწოდებენ. მაგალითად, მოვლენებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირი ჩვენ მიერ შექმნილი კონსტრუქციაა. ჰიუმის მსგავსად, დილთაი ფიქრობს, რომ რეალურად, მიზეზობრიობა არ არსებობს. გარეგან ცდაში მხოლოდ ისაა მოცემული, რომ ერთი მოვლენა მეორეს მოსდევს და არა ის, რომ ერთი მეორეს იწვევს. რაც უფრო ხშირად ხდება ეს, მით უფრო ძლიერდება ჩვენი ვარაუდი, რომ მათ შორის კაუზალური კავშირი არსებობს, მაგრამ, საბოლოო ჯამში, მიზეზობრიობა მაინც მხოლოდ გონების კონსტრუქციად რჩება.

ყოველივე ეს ერცელდება ე.წ. *ახსნით ფსიქოლოგიაზე*, ვინაიდან ისიც იმავე მეთოდოლოგიურ პრინციპზეა აგებული. ფსიქიკური რეალობის ახსნა გულისხმობს ცნობიერების მოვლენებში შეზღუდული რაოდენობის ელემენტების გამოყოფას და შემდეგ, ჰიპოთეზების წამოყენების გზით (ასოციაცია, შერწყმა, აპერცეფცია და ა.შ.), მათგან გაერთიანებული კომპლექსების კონსტრუირებას. კვლევის ეს გზა პრინციპულად მიუღებელია გონისმეცნიერებისთვის, და, მითუმეტეს ფსიქოლოგიისთვის. "ბუნების შემეცნებისას დაკავშირებული კომპლექსები დგინდება ჰიპოთეზების მეშვეობით, ფსიქოლოგიაში კი სწორედ ეს კომპლექსებია პირველადი და განცდაში მუდმივად მოცემული: სიცოცხლე ყველგან მხოლოდ დაკავშირებული კომპლექსების სახით არსებობს". ფსიქოლოგიური ფაქტები იმთავითვე დაკავშირებული მთლიანობების, შინაგან ცდაში მოცემული საბრისიანი კავშირების სახით გვეძლევა. მათი დანახვისთვის, წვდომისთვის სრულებით არ არის საჭირო ელემენტების სინთეზი ჰიპოთეზების საშუალებით. ეს კავშირები, მთლიანობები ჰიპოთეზებიდან არ გამოიყვანება, ხელოვნურად არ კონსტრუირდება. ისინი უშუალოდ განიცდება. ფსიქოლოგს ესაჭიროება ამ განცდების აღწერა და ანალიზი. ფსიქოლოგიამ კი არ უნდა ახსნას, არამედ უნდა ჩასწვდეს სულიერ მთლიანობებს, აღწეროს მათი უშუალო მოცემულობა და, საჭიროების შემთხვევაში, დაანაწევროს ისინი. ამიტომ არის გამოტანილი დილთაის

მთავარი ფსიქოლოგიური თხზულების სათაურში სიტყვები *აღწერითი და დამანაწევრებელი.*

დანაწევრება, ანალიზი, სტრუქტურას გვიხატავს. ფსიქიკური მოვლენები განსხვავებული სირთულის მთლიანი სტრუქტურებია. ფსიქიკურისთვის დამახასიათებელი *მთლიანობისა და სტრუქტურულობის* მითითებით, დილთაი გეშტალტის ცნებას მიუახლოვდა. ერთი მთლიანი სტრუქტურა უფრო რთული მთლიანობის შემადგენლობაში შედის. ყოველი მთლიანობა განიხილება უფრო ფართო კონტექსტში, უფრო დიდ მთლიანობაში. ადამიანს თავისი სულიერი ცხოვრების მთლიანობის, ანუ "მე"-ს განცდაც აქვს. "სწორედ ის, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ამ მთლიანი კავშირის ცნობიერებით, შესაძლებლობას გვაძლევს გავიგოთ თითოეული მდგომარეობა, ცალკეული ქესტი და ცალკეული მოქმედება".

იმას, რაც დროის რომელიმე მოცემულ მომენტში შემოდის ჩვენი ცნობიერების არეალში, *ცნობიერების მდგომარეობა* ეწოდება. ადამიანის „მე" თავის თავს ამ მდგომარეობათა ცვალებადობაში პოულობს, ხოლო მათი ერთიანობა პიროვნების იდენტურობის ცნობიერების სახით გვევლინება. ცნობიერების მდგომარეობები ერთმანეთს იწვევენ. მაგალითად, ზიზღის გრძნობა იწვევს განრიღების ტენდენციას. ცნობიერების მდგომარეობები ერთი მეორეს მიჰყვება, მისდევს. მაგრამ ამ პროცესს ისეთი სახე არა აქვს, როგორც, ვთქვათ, რიგში ჩამწკრივებული ჯარისკაცების მსვლელობას, რომელთა შორის ყოველთვის რაღაც შუალედი არსებობს. ცნობიერების მდგომარეობებს შორის შუალედი არ არის. ყოველ შემთხვევაში, ღვიძილის ცნობიერება უწყვეტია. ცნობიერების მდგომარეობები მუდმივად ენაცვლება ერთმანეთს. აქ ადვილი დასანახია მსგავსება ცნობიერების ნაკადის ჯეიმსისეულ ანალიზთან.

როგორც არ უნდა დახასიათდეს ეს სტრუქტურირებული მთლიანობები და მათ შორის არსებული მიმართებები, მთავარია, რომ ისინი *უშუალოდ განიცდება,* ჩვენი შინაგანი მზერის წინაშეა. ამიტომ ფსიქოლოგიას საშუალება ეძლევა, პირდაპირ დაახასიათოს განცდები და მათი კავშირები, ანუ აღწეროს ისინი. აქ იკვეთება დილთაის ფსიქოლოგიის საკვანძო პრობლემა, კერძოდ ის, თუ როგორ უნდა შეისწავლებოდეს ფსიქიკური სინამდვილე. როგორც ენახეთ, ავტორი აღწერით ფსიქოლოგიაზე ლაპარაკობს და მას ახსნით (საბუნებისმეტყველო) ფსიქოლოგიას უპირისპირებს. მაგრამ, სინამდვილეში, ახსნა და აღწერა არაა ერთმანეთის ოპოზიციური. მეცნიერება ერთსაც გულისხმობს და მეორესაც. ნორმალური კვლევის პროცესი ბუნებისმეტყველებაში იწყება მოვლენის აღწერით, ანუ მისი შეძლებისდაგვარად მუსტი რეგისტრაცია-დახასიათებით, გრძელდება ანალიზით ანუ დილთაისეული "დანაწევრებით" და მთავრდება მისი გამომწვევი მიზეზების გარკვევით ან კანონების დადგენით, რომელთაც ის ემორჩილება, ე.ი. ახსნით. დილთაისთან ფსიქიკის სფეროში *აღწერის ცნება* მიუთითებს განცდისეული კავშირების უშუალო მოცემულობაზე და მათი პირდაპირი ასახვის შესაძლებლობაზე, მაგრამ ფსიქიკურის შემეცნება აღწერით ვერ დასრულდება. ფსიქოლოგიურმა კვლევამ შემდგომი ნაბიჯი უნდა გადადგას. ეს ნაბიჯი

ახსნა ვერ იქნება, ვინაიდან ის, დილთაის მისედვით, კაუზალური კავშირების ჰიპოთეტურ მტკიცებას ნიშნავს და, ამდენად, ბუნებისმეცნიერებათა პროგაგიეაა. ამიგომ "არაასსნითმა ფსიქოლოგიამ", ისევე როგორც ყველა გონისმეცნიერებამ, უნდა მიმართოს მოვლენის არსის *წვდომას*, მის *გაგებას*. დილთაი პირდაპირ ამბობს: "ჩვენ ბუნებას ვხსნით, ხოლო სულიერ ცხოვრებას ვწვდებით". ფსიქოლოგიური კვლევის მიზანი განცდების რეალური მნიშვნელობის წვდომა და სულიერი კავშირების საზრისის დანახვაა პიროვნების მთლიანობიდან.

დილთაისთვის გონისმეცნიერებათა ასპარები *გაგების მეთოდოლოგიის* ასპარეზია. როდესაც საქმე კულტურის (გონითი ცხოვრების) ამა თუ იმ ფენომენის (ნაწარმოების, გამონათქვამის, დებულების, ნორმის და ა.შ) გაგებას ეხება, დილთაი *ჰერმენევტიკის* მეთოდს მიმართავს, რომელიც გულისხმობს მის განმარტებას, ინტერპრეტაციას. ყოველგვარი გაგების პირობა არის გამგებისა და გასაგების მსგავსება, ნათესაობა. ადამიანების ბუნება ზოგადია, საერთოა. დილთაის აზრით, ადამიანთა ეს ერთობა ქმნის მათი ურთიერთგაგების შესაძლებლობას. ეს ხდება მაშინ, როცა გესურს ვწვდეთ სხვისი სულიერი მოღვაწეობის ნაყოფს, ვთქვათ ნაწარმოებს, რომელიც კულტურის კუთვნილება გახდა და მაშინაც, როცა გეწაღია სხვა ადამიანის სულიერი-განცდითი სამყაროს გაგება. ფსიქოლოგიისთვის ეს უკანასკნელია მნიშვნელოვანი.

დილთაის თანახმად, სხვა ადამიანის შინაგანი ცხოვრების წვდომა მაშინ არის შესაძლებელი, როცა ვახდენთ საკუთარი განცდების გადატანას, ტრანსპონირებას მის ფსიქიკურ სამყაროში. ადამიანთა ბუნების არსებითი იგივეობის გამო ჩვენ შეგვიძლია სხვის სულში შთაგრძნობა, მის გამოსახულებაში ჩვენი განცდების გაცოცხლება, "მე-ს კვლავ პოვნა შენში". ნათელია, რომ ეს არ არის მთლად ლოგიკური, რაციონალური პროცესი. დილთაი ამას საგანგებოდ აღნიშნავს: "ყოველ გაგებაში არის რაღაც ირაციონალური, ისევე როგორც თავად სიცოცხლეში. გაგება არ შეიძლება წარმოდგენილი იყოს ლოგიკური მოქმედებების ფორმით". ამით განსხვავდება დილთაის *ტრანსპოზიციის თეორია* იმ შეხედულებებისაგან, რომლებიც სხვა ადამიანთა ფსიქიკაზე დაკვირვების ან გაგების შესახებ არსებობს. მათგან ყველაზე ცნობილია *ანალოგიით დასკვნის თეორია*. ამ კონცეფციის მიხედვით, ჩვენ გვაქვს თვითდაკვირვების გამოცდილებით მიღებული ცოდნა სულიერი მოვლენებისა და მათი სხეულებრივი გამოვლინებების შესახებ. როდესაც სხვა ადამიანში ამა თუ იმ სხეულებრივ ცვლილებას ვხედავთ, დავასკვნით, რომ ის დაახლოებით იმავეს განიცდის, რასაც ჩვენ განვიცდიდით ანალოგიური სხეულებრივი მდგომარეობის შემთხვევაში. მაშასადამე, სხვის ფსიქიკურ ცხოვრებაზე დაკვირვება, არსებითად, რაციონალურ ნიადაგზე ხერხდება.

ეს განსხვავება არ ხსნის პრინციპულ სირთულეს, რომელიც სხვის ფსიქიკაზე დაკვირვების შესაძლებლობის ყველა მსგავს გააზრებას ახლავს. ამ ლოგიკით სხვისი სულიერი სამყაროს შესწავლის მცდელობა უაზრობამდე მიდის, ვინაიდან აღმოჩნდება, რომ სხვაში მხოლოდ იმის გაგება შეგვიძლია, რაც თვითდაკვირვებიდან ჩვენთვის უკვე ცნობილია. უფრო მეტიც, ამ

შეხედულებისა და ე.წ. *შთაგრძნობის თეორიის* მიხედვით, რომლის ნაირსახეობაცაა დილთაის ტრანსპოზიციის კონცეფცია, სხვისი "მე"-ს არამცთუ გაგება, არამედ, ფაქტობრივად, თვით მისი არსებობაც ეჭვის ქვეშ დგება. დილთაის ერთ-ერთი ინტერპრეტატორის შენიშვნით, "კელავგანცდა დილთაისთან ემყარება გასაგებისა და გამგების იგივეობას. "სხვა" ჩემი სხვაგვარად ორგანიზებული შესაძლებლობებია და ამ შესაძლებლობათა აქტუალიზებით მე შემიძლია გავიგო სხვა. მაშასადამე, სხვაში მე გავიგებ ჩემს თავს და ამიტომ სხვა სინამდვილეში არ არსებობს. არსებობს ჩემი "მე" და მისი სხვა პერსპექტივაში მოცემული ანარეკლები" (გ. ცინცაძე).

თავის დროზე მაქს შელერმა (1874-1928) განმარტა, რომ ეს სირთულეები მომდინარეობს ორი, წინასწარ უკრიტიკოდ მიღებული უეჭველი თეზისიდან: 1) სულიერი მოვლენებიდან პირველადად მხოლოდ საკუთარი განცდები გვეძლევა; 2) პირველადად გვეძლევა აგრეთვე ცნობები სხვა ადამიანთა სხეულებრივ ცვლილებათა შესახებ, ხოლო მათ სულიერ ცხოვრებას მეორადად, ამ სხეულებრივ მოცემულობაზე დაყრდნობით ეწვდებით. შელერი ასაბუთებს, რომ საქმის ნამდვილი ვითარება სრულიად სხვაგვარად წარმოჩინდება, თუ მას წმინდა ფენომენოლოგიურად გავაანალიზებთ, ანუ ისე, როგორც ის რეალურად არის, ყოველგვარი წინასწარი თეორიული ვარაუდების გარეშე. სხვისი სულიერი შინაარსები ისევე პირველადად და უშუალოდ გვეძლევა, როგორც საკუთარი. "არაფერია იმაზე ნათელი, ამბობს შელერი, რომ ჩვენ ვიაზრებთ როგორც ჩვენს აზრებს, ისე სხვების აზრებს, შეგვიძლია განვიცადოთ როგორც საკუთარი გრძნობები, ისე სხვათა გრძნობებიც. განა ამის შესახებ ყოველდღიურად არ ელაპარაკობთ? განა მუდამ არ აღვნიშნავთ, მაგალითად, ჩვენი საკუთარი აზრების განსხვავებას იმ აზრებისაგან, რომლებიც ან სადმე ამოგვიკითხავს და ან ვინმესგან მოგვისმენია?". აქ, ცხადია, იგულისხმება ცნობიერების შინაარსები და არა აქტები. ახლა რომ ვფიქრობ, ეს ჩემი აზროვნების აქტია, მაგრამ თვით აზრი შეიძლება სხვისი იყოს. შელერის ეს ანალიზი მნიშვნელოვანია, რამდენადაც დილთაის ტრანსპოზიციის თეორიის სირთულეთა ნიველირებას ახდენს. ტრანსპოზიცია (შთაგრძნობა, პროექცია) სხვისი „მე"-ს არსებობას ეჭვის ქვეშ აღარ დააყენებს, თუ ამოვალთ იქიდან, რომ ადამიანი არ არის თავის თავში ჩაკეტილი, რომ მას საკუთარ განცდებთან ერთად სხვისი განცდებიც უშუალოდ ეძლევა.

როგორც არ უნდა იყოს წარმოდგენილი დილთაისთან გაგების მეთოდი, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ორი სახის ან ორი ტიპის ფსიქოლოგია მის სისტემაში, არსებითად, არის არა *ახსნითი და აღწერითი*, არამედ *ახსნითი და გაგებითი* ფსიქოლოგია. სწორედ გაგებითი ფსიქოლოგიაა გონის მეცნიერებათა საერთო საფუძველი. დილთაის აზრით, მხოლოდ ასეთ ახალ ფსიქოლოგიას და არა ტრადიციულ ახსნით, საბუნებისმეტყველო ფსიქოლოგიას შეუძლია გახდეს ჰუმანიტარული მეცნიერების დასაყრდენი, მისი ორიენტირი და ზოგადი მეთოდოლოგია. ასეთია გაგებითი ფსიქოლოგიის ზოგადმეცნიერული ფუნქცია. დამატებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ახლებურად აგებული ფსიქოლოგია ხსნის ტრადიციული ფსიქოლოგიის

სირთულეებს, რომელთა გამოც ამ უკანასკნელის, როგორც მეცნიერების პოტენცია და რეალური შესაძლებლობანი შეზღუდულია. რად ღირს თუნდაც ის, რომ დიდი მოაზროვნეების, პოეტებისა თუ მწერლების ნაწარმოებები გაცილებით უკეთ წარმოგვიდგენენ ადამიანთა სულიერ სამყაროს, ვიდრე ახსნითი ფსიქოლოგიის საუკეთესო ნიმუშები. დილთაის მიაჩნია, რომ "ჰამლეტში", "მაკბეტსა" თუ "ლირში" მეტი ფსიქოლოგიაა, ვიდრე ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოებში. მწერალთა ქმნილებები მართლაც შეიცავენ ფსიქიკური ცხოვრების ინტუიციური წვდომის განსაცვიფრებელ მაგალითებს, სულიერი მოძრაობის აღწერისა და განსილვის უბადლო ნიმუშებს, მაგრამ ყოველივე ეს მოცემულია ინტუიციურ დონეზე, პოეტური სიმბოლოების, გენიალური ხედვების სახით და არა ცნებითად და სისტემატურად, რის გარეშეც მოვლენის მეცნიერული შესწავლა შეუძლებელია. თავის მხრივ, ახსნით ფსიქოლოგიას არ შესწევს უნარი, წარმოადგინოს ადამიანის სულიერი სამყარო მთელი თავისი სიღრმითა და სიმდიდრით. დილთაის რწმენით, სწორედ აღწერითი (ანუ გაგებითი) ფსიქოლოგია იქნებოდა ის მეცნიერება, რომელიც "შეძლებდა თავისი აღწერის ბადეში მოექცია ის, რასაც ამ პოეტებისა და მწერლების ნაწარმოებები უფრო მეტად შეიცავენ, ვიდრე ამჟამინდელი მოძღვრებანი სულის შესახებ; ეს იქნებოდა ფსიქოლოგია, რომელიც ავგუსტინეს, პასკალისა და ლიხტენბერგის აზრებს – ცალმხრივი მკვეთრი გამუქების გამო ესოდენ შთამბეჭდავთ – საყოველთაო მნიშვნელობის მქონე კავშირში მოიყვანს და აქცევს ადამიანის ცოდნისთვის სასარგებლოდ".

დილთაის სისტემა მრავალმხრივ არის საინტერესო. მან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ფსიქოლოგიურ მეცნიერებაზე. დილთაი ამტკიცებდა, რომ საჭიროა ახალი ფსიქოლოგიის ჩამოყალიბება, რომელიც არ იქნება *ახსნითი* (ჰიპოთეტური მექანიზმები სულიერი სამყაროს შესახებ) და *კონსტრუქციული* (ფსიქიკურ მთლიანობათა აგება ელემენტების შეზღუდული რაოდენობიდან). პირველი პოსტულატი მეცნიერთა იმ მცირე ნაწილმა გაიზიარა, ვინც თვითონ უპირისპირებდა ახსნას გაგებას და სულის კვლევაში ამ უკანასკნელს ანიჭებდა უპირატესობას. მაგრამ ფსიქოლოგების უმეტესობა მიიჩნევდა, რომ ახსნა და მასთან დაკავშირებული პროცედურები, მათ შორის ჰიპოთეტური კონსტრუქციების შექმნა, მეცნიერების და ე.ი. ფსიქოლოგიის განუყოფელი შემადგენელია. აქედან გამომდინარე, ისინი ეკამათებოდნენ დილთაის (ებინჰაუზი, მიუნსტენბერგი და სხვა). ხოლო დილთაის მეორე პოსტულატმა, ანუ ძველი ფსიქოლოგიის ელემენტარიზმის მიუღებლობამ სხვა ფსიქოლოგების დიდი ნაწილის მხარდაჭერა მოიპოვა. დილთაიმ ერთ-ერთმა პირველმა მიიტანა იერიში ვუნდტისეული და, ზოგადად, სტრუქტურული ფსიქოლოგიის ატომიზმზე და ამით წინასწარ განჭვრიტა XX საუკუნის *მთლიანობის ფსიქოლოგიის* (გეშტალტფსიქოლოგია, ლაიფციგის სკოლა) ძირითადი მეთოდოლოგიური წანამძღვრები, რომლებიც ამჟამად საყოველთაოდაა აღიარებული და დამკვიდრებული.

როდესაც დილთაი ახსნით ფსიქოლოგიას უპირისპირდებოდა, იგი პირველ რიგში გულისხმობდა ვუნდტს, რომელიც განასახიერებდა აკადემიურ

ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიას. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამ მეცნიერთა პოზიციებს შორის არა მხოლოდ არსებითი განსხვავება, არამედ თვალსაჩინო მსგავსებაცაა და, თანაც, ღილთაისთვის პრიციპულ საკითხში იმის თაობაზე, თუ მეცნიერებათა რომელ ჯგუფს მიეკუთვნება ფსიქოლოგია. უნდა ითქვას, რომ ეს გარემოება ღილთაის შეუმჩნეველი დარჩა, რაც, ალბათ, თვით ვუნდტის შეხედულების არასაკმარისი თანმიმდევრულობით უნდა აიხსნას. საზოგადოდ, ნიშანდობლიეია, რომ დამოუკიდებელი მეცნიერული ფსიქოლოგიის მშენებლობის პირველივე (ვუნდტისეულ) პროგრამაში ვერ გამოინახა შეჯერებული და არაწინააღმდეგობრივი თვალსაზრისი იმის შესახებ, თუ როგორია მისი მეცნიერული სტატუსი, რა ადგილი უკაეია მას მეცნიერებათა კლასიფიკაციაში. ფიზიოლოგიიდან წამოსულ ვუნდტს ფსიქოლოგიაც ბუნებისმეტყველურად ესმოდა. ყოველ შემთხვეეაში, თავისი საეტაპო წიგნის, "ფიზიოლოგიური ფსიქოლოგიის" დასაწყისშივე იგი წერდა, რომ "ეს ნაშრომი არის ახალი მეცნიერების შექმნის მცდელობა, რომელშიც ფსიქიკური მოვლენები ექსპერიმენტული შესწავლის ობიექტი იქნება". ამასთანაეე, იგი თავიდანვე მიჯნავდა ფიზიოლოგიურ და ხალხთა ფსიქოლოგიას. ამ უკანასკნელს ბუნებისმეტყველების მთავარი იარაღი – ექსპერიმენტი არ მიეყენება და მისი საგანიც ბუნების მოვლენების მიღმაა: "მაღალი ფსიქიკური პროცესები ისეთი ძალებია, რომლებიც მართავენ ისტორიასა და საზოგადოებას. ამდენად, ისინი მოითხოვენ მეცნიერულ ანალიზს, რომელიც გონისმეცნიერებათა კომპეტენციას განეკუთვნება". საბოლოოდ, თავის ძირითად მეთოდოლოგიურ ნაშრომში "ფილოსოფიის შესავალი", ვუნდტმა ჩამოაყალიბა შეხედულება მეცნიერებათა კლასიფიკაციის შესახებ, რომლის მიხედვით ფსიქოლოგია ცალსახად მოთავსდა გონისმეცნიერებათა შორის, და არა მხოლოდ მოთავსდა, არამედ გამორჩეული ადგილიც დაიკავა: "ვინაიდან გონისმეცნიერებათა ურთიერთკავშირის საფუძვლად გვეველინება მათი საერთო დამოკიდებულება სულიერ პროცესებსა და მოვლენებზე, ბუნებრივია, რომ ამ მეცნიერებებიდან ვერ გამოვრიცხავთ ცოდნის იმ დარგს, რომელიც თვით ამ პროცესების უშუალოდ ცნობიერებაში მოცემულ თვისებებს შეისწავლის. ეს დარგი ფსიქოლოგიაა".

ამ თვალსაზრისის სისუსტე აშკარაა – ორი სახის ფსიქოლოგიის არსებობის დაშვება გამორიცხავს მთელი ფსიქოლოგიის მოთავსებას გონისმეცნიერებათა კლასში, ვინაიდან ფიზიოლოგიური ანუ ექსპერიმენტული ფსიქოლოგია უთუოდ ბუნებისმეტყველურია. ფსიქოლოგიის ისტორიაში ვუნდტი ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის ფუძემდებლის სახელით შევიდა, თუმცა, როგორც ირკვევა, შემოქმედების მეორე ეტაპზე მისმა ინტერესებმა მკვეთრად შეიცვალა მიმართულება ჰუმანიტარიისკენ და ფსიქოლოგიის მეცნიერების სტატუსიც ამის შესაბამისად განისაზღვრა. ასეა თუ ისე, ადვილი დასანახია, რომ ვუნდტისა და ღილთაის პოზიცია ამ შემთხვეევაში პრაქტიკულად იდენტურია. ფსიქოლოგიას ორივე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მეთოდოლოგიური საფუძვლის ფუნქციას მიაწერს. ასეთი პოზიცია *ფსიქოლოგიზმის* სახელით არის ცნობილი. ფსიქოლოგიზმისთვის დამახასიათებელია არაფსიქიკური (ლოგიკური, სოციალური, რელიგიური, კულტურული და სხვა) მოვ-

ლენების ფსიქოლოგიური მონაცემების საფუძველზე ახსნის ტენდენცია. ის ერთნაირად მიუღებელია როგორც შესაბამისი დისციპლინებისთვის, ისე საკუთრივ ფსიქოლოგიისთვის: ფსიქოლოგიაში არის ფსიქოლოგიის შეჭრა იმ სფეროებში, სადაც ფსიქოლოგიის კომპეტენცია არ ვრცელდება. არ არსებობს გზა წმინდა ფსიქიკური სუბიექტურობიდან ბეინდიციალური, გონითი კავშირებისკენ. ლილთაის მიხედვით, ფსიქოლოგია განცდის მნიშვნელობას სწვლება, მაგრამ განა შეიძლება ინდივიდუალური განცდიდან გონითი მოვლენების (ხელოვნება, ეკონომიკა, სამართალი და ა.შ.) არსის გაგება?

ლილთაის მოწაფის, ლაიფციგის, ბერლინისა და ტიუბინგენის უნივერსიტეტების პროფესორის **ედუარდ შპრანგერის** (1882-1963) შეხედულება უფრო თანმიმდევრულია. შპრანგერი არ მიაწერს ფსიქოლოგიას განსაკუთრებულ მეთოდოლოგიურ ფუნქციას სხვა მეცნიერებებთან მიმართებაში. იგი კულტურის მოვლენებს *ობიექტური გონის* გამოვლინებად თვლის და სუბიექტური სულის მოვლენებსაც გონით სამყაროსთან მიმართებაში განიხილავს. "ობიექტურ გონში" იგულისხმება ისტორიულად ჩამოყალიბებული *კულტურის სინამდვილე* მთელი თავისი ობიექტური შინაარსით. საკუთრივ ფსიქოლოგიური მეცნიერების დახასიათებისას შპრანგერი, არსებითად, ლილთაის საბს მიაყვება, რომლის ულიდეს დამსახურებად მიიჩნევს, რომ მან "ფსიქოლოგია გაათავისუფლა ბუნებისმეტყველური აზროვნების ტყვეობიდან". სწორედ საბუნებისმეტყველო ფსიქოლოგიას უპირისპირებს იგი გონისმეცნიერებათა ჯგუფში შემავალ ნამდვილ ანუ *გაგებით ფსიქოლოგიას* (ტერმინი მისია).

არსებითია, რომ გაგება შპრანგერს ლილთაისაგან განსხვავებულად ესმის. გაგება არ ნიშნავს შემეცნების ობიექტში, მათ შორის ცნობიერებაში შეღწევას, მასში შთაგრძნობას. გაგების აქტი გაპირობებულია მიზეზებით, რომლებიც ცნობიერების გარეთ მდებარეობენ. განცდას განცდიდანვე ვერ გაიგებ, მაშინაც კი, როცა მისი ყველა შინაგანი კავშირი უშუალოდ გვეძლევა. შეიძლება ასეც გვეთქვა: "თავისთავად აღებული წარმოდგენები, გრძნობები და სურვილები უაზრო მასალაა". სუბიექტის განცდის (საზოგადოდ ფსიქიკურის) გაგება გულისხმობს მის ჩართვას ობიექტური მოვლენების უფრო ფართო წრეში, მათთან დაკავშირებას. ობიექტური მოვლენები კი ორად იყოფა: 1) სხეულები (ბუნება) და 2) მნიშვნელობები და ღირებულებები (გონი, კულტურა). გაგება მხოლოდ იმისი შეიძლება, რასაც *საზრისი* გააჩნია. ასეთია გონითი მოვლენები. როდესაც ჩვენ, ამბობს ავტორი, განვიხილავთ წიგნს (ე.ი. რაღაც მატერიის ნაწილს) როგორც ყიდვა-გაყიდვის საგანს, ამით მას ერთავთ სამეურნეო საზრისულ კავშირებში; შემეცნების ნაწარმოებად განხილვისას მას ერთავთ სამეცნიერო კავშირში; თუ ყურადღებას ვაქცევთ წიგნის გაფორმებას – ესთეტიკურ კავშირში. ჩვენს ცნობიერებაში არსებობენ სხვადასხვა განწყობები, რომელთაგანაც გამომდინა-

რეობენ ეს საგრისები და ყოველი ასეთი საგრისული მიმართულება საგანგებო კანონსა და წესს შეესაბამება. ამდენად, გონის სამყაროში არსებობენ მუდმივი საგრისული მიმართულებები და ღირებულებათა იერარქია. ნაშრომში "სიცოცხლის ფორმები" (1914) შპრანგერი ამტკიცებს, რომ ფსიქოლოგიამ უნდა გაიგოს ინდივიდუალური სულიერი სტრუქტურის მიმართება ობიექტური გონის სტრუქტურასთან. ეს, ფაქტობრივად, ნიშნავს ადამიანთა ღირებულებითი ორიენტაციის ძირითადი ტიპების შესწავლას. ამ ორიენტაციებს შპრანგერმა *სიცოცხლის ფორმები* უწოდა და მის საფუძველად ამა თუ იმ ობიექტურ ღირებულებაზე პიროვნების მიმართულობა ჩათვალა.

ექვსი ძირითადი ღირებულების შესაბამისად შპრანგერი განასასვავებს ადამიანთა ექვს ტიპს: 1) *თეორიული* ადამიანი ყველაზე მეტად შემეცნებით არის გატაცებული. მისთვის მთავარი ღირებულება ჭეშმარიტებაა. იგი შემეცნების განწყობით მოქმედებს მაშინაც, როცა საქმე აქვს ცხოვრების სხვა, შემეცნებასთან ნაკლებად დაკავშირებულ მოვლენებთან: იგი ცდილობს ყველაფერი ცნებებამდე ან ფორმულებამდე დაიყვანოს; 2) *ესთეტიკური* ადამიანისთვის უმაღლესი და აქტუალური ღირებულება მშვენიერება, ხელოვნებაა. იგი ნაკლებად არის მიდრეკილი ცნებებსა და ფორმულებში განსახიერებული აბსტრაქტული აზროვნებისკენ და უპირატესობას ანიჭებს თვალსაჩინო ჭვრეტას, გრძნობადი შინაარსებით ოპერირებას და ესთეტიკურ შეფასებას; 3) *ეკონომიკური* ადამიანი პირველ პლანზე ეკონომიკურ ღირებულებას, მატერიალურ კეთილდღეობას აყენებს. მან იცის ამის ფასი, გონებაში ყოველთვის ანგარიშობს და ყველაფერს უტილიტარული თვალსაზრისით უდგება. მეცნიერებაც და ხელოვნებაც განიხილება უპირატესად მატერიალური სარგებლიანობის თვალსაზრისით; 4) *პოლიტიკური* ადამიანისთვის უმაღლესი ღირებულება ძალაუფლებაა. თავისი მოქმედებითა და მისწრაფებით იგი ბატონობაზეა ორიენტირებული. 5) *სოციალური* ადამიანისთვის ბატონობა კი არა, სხვების სამსახურია ის სფერო, სადაც განსაკუთრებული ხალისით მოქმედებს. მას იმდენად მბრძანებლობა კი არ აინტერესებს, რამდენადაც სოლიდარობა და თანამშრომლობა. სოციალურობა სწორედ თანამშრომლობის ორგანიზაციაა და პრინციპულად განსხვავდება პოლიტიკისაგან, როგორც ძალაუფლების ორგანიზაციისაგან; 6) *რელიგიური* ადამიანისთვის მთავარი ღირებულება, რომელიც აზრსა და მიმართულებას აძლევს მთელ მის ქცევას, არის უმაღლესი საგრისის, სიმართლის, პირველსაწყისის ძიება. იგი ამას უმაღლეს სულიერ ძალაში ან ღმერთში პოულობს, მაგრამ ეს ხდება არა უბრალო შემეცნების, არამედ განსაკუთრებული სულიერი მდგომარეობის მეშვეობით, რაც რელიგიის ენაზე ნიშნავს გამოცხადებას, გეშთაგონებას.

საგანგებოდაა აღნიშნული, რომ ყოველ ცალკეულ ადამიანში ჩანერგილია მიდრეკილება ღირებულებათა ყველა შესაძლო სფეროსადმი, რამდენადაც ისინი გონის სამყაროს უნივერსალურ, ზოგად მიმართულებებს გამოხატავენ. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანთა კონკრეტული ტიპის შემთხვევაში უპირატესობა ერთ გარკვეულ სფეროს ეკუთვნის, რომელიც ინდივიდუალური სულიერი სამყაროს ცენტრია და მეტ-ნაკლებად ახ-

შობს სხვა ღირებულებით განწყობებს. ამ "ზოგადი და მარადიული" ორიენტაციების გამოყოფასთან ერთად, გაგებითმა ფსიქოლოგიამ, როგორც გონისმეცნიერებამ, უნდა გაითვალისწინოს გონის ცხოვრების სხვა ასპექტებიც, მაგალითად, გონის ისტორიული განვითარების ასპექტი და გამოყოს ადამიანის ისტორიული ტიპები ეპოქების მიხედვით. გაგებითი ფსიქოლოგიის სპეციალურმა განსხვავ, *ისტორიულმა ფსიქოლოგიამ* უნდა გაიგოს თითოეული ისტორიული ეპოქის ადამიანის სულიერი მოწყობის სპეციფიკა. ამავე მეცნიერების ფარგლებში უნდა დამუშავდეს ადამიანთა *ჯგუფების ფსიქოლოგია*, სადაც შევა *ნაციონალური ტიპებისა* და *წოდებების ფსიქოლოგია*. ეს უკანასკნელი იგივე კლასების ფსიქოლოგიაა, მაგალითად გლეხის, მუშისა და ა.შ. ამ მიმართულებით კვლევის შემდგომ კონკრეტიზაციას წარმოადგენს *პროფესიათა ფსიქოლოგია*. გონის ფსიქოლოგიის თვალსაწიერში შედის აგრეთვე *სქესის ფსიქოლოგია*. სქესი არ არის მხოლოდ ბიოლოგიური ფუნქციის გამოვლინება. ქალიც და მამაკაციც არიან "კულტურულად გაპირობებული ტიპები", რომლებიც ყველა ეპოქაში განსხვავებულია. დაბოლოს, გამოიყოფა ასაკობრივი ჭრილი და მისი შესაბამისი *ასაკობრივი ფსიქოლოგია*. ბავშვი ცხოვრობს თავის ბავშვურ სინამდვილეში, რომელიც, თავის მხრივ, ურთულესად არის დაკავშირებული მოზრდილების გონით სამყაროსთან. თავად შპრანგერმა სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ყრმობის ფსიქოლოგიას.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ დილთაის აღწერითმა და შპრანგერის გაგებითმა ფსიქოლოგიამ მკაფიოდ და მკვეთრად დააფიქსირა ფსიქოლოგიის ორად გაყოფის ჯერ კიდევ ვუნდტიდან მომდინარე პრინციპი. ფსიქოლოგიის შემდგომი დაქუცმაცების ტენდენცია მალე იმდენად შემაშფოთებელი გახდა, რომ იგი *ფსიქოლოგიის კრიზისად* მოინათლა. ეს ტერმინი პირველად კარლ ბიულერმა იხმარა იმავე სახელწოდების საეტაპო ნაშრომში (1927), სადაც დაადასტურა, რომ ფსიქოლოგიური მეცნიერება გაიხლიჩა სულ ცოტა სამ ნაწილად: ცნობიერების ინტროსპექტულ ფსიქოლოგიად, ობიექტივისტურ-ბიჰევიორისტულ ფსიქოლოგიად და გონისმეცნიერულ-გაგებით ფსიქოლოგიად. ეს მიმდინარეობები იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან მეთოდოლოგიითა და მსოფლმხედველობით, საკვლევი საგნითა და კვლევის პრინციპებით, რომ ფსიქოლოგიის როგორც ერთიანი დისციპლინის არსებობაც კი ეჭვქვეშ დგება. მიუხედავად ამ კონსტატაციისა, არსებული კრიზისული სიტუაციიდან გამოსავალს ბიულერი მაინც მოცემული თეორიული სისტემების ხელოვნურ სინთეზში ხედავს.

საკითხის ასეთ გადაწყვეტას სპეციალისტების უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა, ეინაიდან ეს, არსებითად, შეუთავსებელთა შეთავსებას მოითხოვდა. ფსიქოლოგიური მეცნიერების სფეროში განსვლამ საბუნებისმეტყველო-ახსნით-ექსპერიმენტულსა და გონისმეცნიერულ-გაგებით-შთაგრძნობითს შორის იმდენად პრინციპული და სერიოზული ხასიათი მიიღო, რომ ძნელი წარმოსადგენი ჩანდა ამ ალტერნატივების შესაბამისი თეორიული სისტემების ჰარმონიული კაერთიანება. ამ დიქოტომიებს დაემატა ბადენის ნეოკანტიანური სკოლის ლიდერის, ვ. ვინდელბანდის მიერ მეცნიერებათა

დაყოფა *ნომოთეტურად და იდეოგრაფიულად.* პირველები აფიქსირებენ რეგულარულ მოელენებს და ადგენენ მათ ზოგად კანონებს. მეორენი მიმართული არიან ერთეული მოელენებისა და შემთხვევების შესწავლაზე მათ განუმეორებელ თავისებურებაში. ბუნებისმეცნიერებანი ნომოთეტური არიან, ისტორია და საერთოდ გონისმეცნიერებანი – იდეოგრაფიული. ჰ. რიკერტი, ვინდელბანდის მიმდევარი, არსებითად იგივე პოზიციაზე დგას: ბუნებისმეტველება ახდენს *გენერალიზაციას*, ისტორია-ჰუმანიტარია კი *ინდივიდუალიზაციას.* თვითგამორკვევის პროცესში მყოფ ფსიქოლოგიას ამ დიქოტომიის გათვალისწინებაც მოუხდა, ვინაიდან ის ძალიან ავტორიტეტულმა მეთოდოლოგებმა წარმოადგინეს. გარდა ამისა, მათთვის ფსიქოლოგიის ადგილი ამგვარ დაყოფაში პრინციპული საკითხი იყო: რიკერტის გადმოცემით, ვინდელბანდი იმიტომ წავიდა მეცნიერებათა ახლებურ დაყოფაზე, რომ ვერ მოახერხა ფსიქოლოგიის ცალსახა მიკუთვნება ბუნების ან გონისმეცნიერებებისთვის. ნომოთეტურ-იდეოგრაფიულ დიქოტომიაში კი მან ფსიქოლოგია ერთმნიშვნელოვნად მოათავსა ნომოთეტურ კლასში. ისევე მოიქცა რიკერტიც.

ამრიგად, XX საუკუნის დამდეგისთვის მეცნიერები და ფილოსოფოსები შეთანხმდნენ, რომ ფსიქოლოგია სრულფასოვან, დამოუკიდებელ მეცნიერებად უნდა ეღიარებინათ. მიუხედავად ამისა, იყო აზრთა სხვადასხვაობა იმაზე, თუ რა ტიპის მეცნიერებად შეიძლებოდა ჩათელილიყო ფსიქოლოგია, რა სახის რეალობას შეისწავლიდა და როგორი მეთოდოლოგიურ-მეთოდური პრინციპებით იხელმძღვანელებდა. გამოიკვეთა *ორგვარი ფსიქოლოგიის* იდეა. ერთი ტიპის ფსიქოლოგია საბუნებისმეტყველო მეცნიერებაა, რაც ნიშნავს, რომ ის ადგენს ზოგად კანონებს (მათ შორის მიზეზობრიეს), იყენებს ჰიპოთეტურ კონსტრუქციებს, რომლებსაც ამოწმებს ზუსტი კვლევითი პროცედურებით (ექსპერიმენტი, გაზომვა, სტატისტიკა და ა.შ.). მაშასადამე, ამ ტიპის ფსიქოლოგია არის *საბუნებისმეტყველო, ნომოთეტური და ახსნითი.* წამყვანი სპეციალისტების უმეტესობა ამ პოზიციაზე დადგა (ნ. ახი, ა. ბინე, ჯ. დიუი, ჰ. ებინჰაუსი, ჯ. ენჯელი, ო. კიულპე, კ. მარბე, ა. მესერი, ჰ. მიუნსტენბერგი, პ. ჟანე თ. რიბო, ე. ტიჩენერი, თ. ციპენი, უ. ჯეიმსი და სხვა), ცოტა მოგვიანებით მათ მიუერთდნენ კლასიკური ბიპევიორიზმისა და გეშტალტფსიქოლოგიის წარმომადგენლები. მეორე სახის ფსიქოლოგია გონისმეცნიერულია მთელი იმ შინაარსით, რაც დილთაიმ და შპრანგერმა ჩამოაყალიბეს – *ჰუმანიტარული, გაგებითი, იდეოგრაფიული.* ამ თვალსაზრისის მომხრეთა შორის, ამ ავტორების გარდა, იყვნენ ლ. ბინსვანგერი, მ. შელერი, დ. შტრაუსი, კ. შტუმფი, ე. ჰუსერლი და სხვა ფილოსოფოსები ან ფილოსოფიურად განწყობილი მკვლევარები.

აღსანიშნაეია, რომ რამდენიმე გავლენიანმა მეცნიერმა თავიდანვე *პლურალისტური პოზიცია* დაიკავა. მათ შორის და პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ვუნდტი. მიუხედავად ბოლო პერიოდში გამოთქმული შეხედულებისა ფსიქოლოგიის გონისმეცნიერულობის შესახებ, იგი ბოლომდე რჩებოდა ექსპერიმენტატორად, მუშაობდა ლაბორატორიაში და ფსიქოლოგიის ისტორიაში შევიდა, როგორც ორი სახის – ფიზიოლოგიური და ხალხთა

ფსიქოლოგიის ავტორი. მათ შორის არსებული საგნობრივი და მეთოდური განსხვავების მიუხედავად, ვუნდტისთვის ორივე ახსნითი, ზოგადი კანონების დამდგენი დისციპლინა იყო. ფსიქოლოგია, როგორიც არ უნდა იყოს იგი, სწავლობს ზოგადს და არა ერთეულსა და უნიკალურს. ამ თვისების გამო ასრულებს ხალსთა ფსიქოლოგია ფუძემდებლური დისციპლინის ფუნქციას კულტურის ცალკეული და განსაკუთრებული მოვლენების აღმწერი დარგების მიმართ.

აქ, ამ პუნქტში გადის საზღვარი ვუნდტისა და შტერნის პოზიციას შორის. შტერნი საზოგადოდ წინააღმდეგი იყო იმისა, რომ ურთიერთგამომრიცხაობის თვალსაზრისით განეხილათ ისეთი ოპოზიციები, როგორებიცაა ახსნა და გაგება, ნომოთეტური და იდეოგრაფიული. მეცნიერებაში საერთოდ, და რაც მთავარია, ფსიქოლოგიაში, არც ერთის ჯამორიცხვა არ შეიძლება. ფსიქოლოგია, ბუნებისმეცნიერებათა მსგავსად, ზოგადსა და კანონზომიერს ეძებს, თუმცა მისი კანონები განსხვავდება საყოველთაო მნიშვნელობის მქონე ფიზიკის კანონებისაგან; ისინი უფრო წესებია, რომელთაც "ყოველგვარი პირობის გარეშე კი არა აქვთ ძალა, არამედ მხოლოდ შესაძლონი არიან". ასოციაციის, ფსიქოფიზიკის, მეხსიერებისა და სხვა კანონები, არსებითად, ასეთი წესებია. მიუხედავად ამისა, ფსიქოლოგია ცდილობს ახსნას თავისი საკვლევი მოვლენები მიზეზობრიობის, მიზნობრიობისა და გენეზისის კატეგორიების გამოყენებით (გენეზისური ახსნისას მოვლენა განიხილება, როგორც განვითარების ერთ-ერთი კანონზომიერი ფაზა სხვა ფაზებთან მიმართებაში).

შტერნი პერსონოლოგიური ფილოსოფიისა და პერსონალისტური ფსიქოლოგიური სისტემების ავტორია. მისთვის *ახსნა* კანონზომიერების ძიებაა. ხოლო გაგება საზრისის ძიებას ნიშნავს. რაკი პიროვნება (პერსონა). ისევე როგორც საზოგადოებისა და კულტურის სხვა ფენომენები, აზრიანი მნიშვნელობის მატარებელია, ამიტომ აუცილებელია მისი *გაგება*. მაგალითად, სხვის მიერ ნათქვამი სიტყვა "გაიგება", როგორც მნიშვნელობის მქონე კომუნიკაციის საშუალება. გაგება კიდევ მეტ ფსიქოლოგიურ მნიშვნელობას იძენს, როცა სიტყვები მოსაუბრის განზრახვებსა და ინტერესებს გვიმჟღავნებენ, პიროვნების მთლიანობის წვდომაში გვეხმარება. ამგვარად, შტერნის მიხედვით, ფსიქოლოგიური კვლევა ახსნაც არის და გაგებაც. ფსიქოლოგია კანონებსაც უნდა ეძებდეს და საზრისსაც. რაც მთავარია, ორივე ეს ამოცანა ერთიანი ფსიქოლოგიური მეცნიერების საქმეა და არა "ახსნითი" და "გაგებითი" ფსიქოლოგიებისა, რომლებიც დილთაის, შპრანგერს და მათ მიმდევრებს დამოუკიდებელ დისციპლინებად წარმოუდგენიათ.

ასევე არ შეიძლება ფსიქოლოგიაში ზოგადის (ნომოთეტურის) და ინდივიდუალურის (იდეოგრაფიულის) დაპირისპირება. ორივე ეს მიდგომა მართებულია და არ გამორიცხავს ერთმანეთს. შტერნი იმასაც ამბობს, რომ ისინი ერთმანეთს ავსებენ და ე.წ. "დამატებითობის პრინციპის" მიხედვით არიან დაკავშირებული. ბუნებისმეტყველება ადამიანს განიხილავს ზოგადი კანონების ერთეული გამოვლინების სახით. კულტურასთან მიმართებაში ადამიანი ინდივიდუალობაა. ნომოთეტურისა და იდეოგრაფიულის დიქო-

ტომია მეცნიერებაია გამიჯვნის საფუძველად არ გამოდგება, როგორც ეს ეინდლენბანდსა და რიკერტს წარმოედგინათ. "ეს უფრო თვალსაზრისია და არა კვლევის სფერო. საკმაოდ ხშირად ერთი და იმავე პრობლემის გადაჭრისას ხდება მათი ურთიერთქმედება, ზოგჯერ გაერთიანებაც კი". ასეა, მაგალითად, მედიცინაში. თუ საქმე ეხება დაავადების აღმოცენება-მიმდინარეობისა და მკურნალობის კანონებს, მედიცინა ნომოთეტერი დარგია. ექიმისა და პაციენტის ურთიერთობა კი ნიშნავს ერთეული შემთხვევის შესწავლას, რომელიც, მიუხედავად თავისი მიმდინარეობის ტიპურობისა, განუმეორებელია და განსაკუთრებული. "დიაგნოზი, ამბობს შტერნი, იდეოგრაფიული შემეცნებაა; თერაპია – ინდივიდუალიზირებული მოქმედება. მედიკოსი, რომელიც პატიგრაფიას ატარებს, თავისი ორიენტაციით ძალიან ახლოა ინდივიდუალობის წმინდა ისტორიულ (იდეოგრაფიულ) შემეცნებასთან". შტერნი მოუწოდებს ფსიქოლოგიას, ასეთივე გზით იაროს და მოიპოვოს პიროვნების ინდივიდუალობის იდეოგრაფიული კვლევის უფლება. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ეს სურვილები ეკუთვნის დიფერენციალური ფსიქოლოგიის, ანუ ინდივიდუალურ განსხვავებათა შემსწავლელი დარგის ერთ-ერთ ფუძემდებელს (იხ. 6.2.).

პლურალისტური თვალსაზრისის გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს ცნობილი ეგზისტენციალისტი ფილოსოფოსისა და ფსიქოპათოლოგის კარლ იასპერსის (1882-1969) პოზიციაც. მასზე იგი მყარად იდგა თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის პირველ პერიოდში, როდესაც ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის პროფესორად, ხოლო ფსიქიატრიულ კლინიკაში ასისტენტად მუშაობდა. ამ პერიოდში დაიწერა მისი ცნობილი წიგნი "ზოგადი ფსიქოპათოლოგია" (1913), სადაც ნაცადია მრავალი ფსიქიატრიული ცნების დაზუსტება და ახლებური გააზრება. იასპერსი ამტკიცებს, რომ სულის შესწავლის სფეროში თანაარსებობს ახსნისა და გაგების (შთაგრძნობის, ემპათიური წედომის, ინტერპრეტაციის) მეთოდოლოგია. შესაბამისად, ერთიანი მეცნიერების (ფსიქოლოგიისა და ფსიქოპათოლოგიის) ფარგლებში მოცემულია როგორც *ობიექტური (ემპირიული)*, ისე *სუბიექტური (ფენომენოლოგიური)* ფსიქოლოგია. ეს კი არსებითად იგივეა, რაც ახსნითი და გაგებითი ფსიქოლოგია. პირველი ადგენს ფსიქიკურ მოვლენათა მიზეზებს და, ამდენად, გადის ფენომენოლოგიის ფარგლებს გარეთ, "მიმართავს ისეთ ცნებებს, როგორიცაა ცნობიერების მიღმა არსებული დისპოზიციები, მიდრეკილებები, სულიერი კონსტიტუცია და არაცნობიერი მექანიზმები". მოკლედ, იასპერსის აზრით, ფსიქოლოგიაში კაუზალური კავშირების ძიებას უთუოდ ჩავყავართ ფსიქიკური ცხოვრების ცნობიერების მიღმა არსებულ საფუძვლებში. რაც შეეხება გაგებით ფსიქოლოგიას, იგი ყოველთვის რჩება ცნობიერების ფარგლებში და თავდება იქ, სადაც თავდება ცნობიერება. ეკლექტური მიდგომის კონტექსტში მთავარი ის არის, რომ ორივე მათგანი სავსებით კანონიერია..

არა მხოლოდ პლურალიზმის, არამედ აგრეთვე ეკლექტიზმის პოზიციაზე იდგა რ. ეუდეორთი (იხ. 5.5.). იგი "ფსიქოლოგიური სკოლის" ტერმინის გამოყენებაზეც უარს ამბობდა, ეინაიდან მის უკან ხედავდა ამა თუ იმ

თეორიული სისტემის დომინირების პრეტენზიას, რაც დაუშვებლად მიაჩნდა. მეცნიერული კვლევა ისეთი რთული და მრავალფეროვანი სფეროს შემსწავლელ დარგში, როგორიც ფსიქოლოგიაა, გახსნილი უნდა იყოს განსხვავებული თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომისთვის, მიისწრაფოდეს ყოველივე საუკეთესოს სინთეზირებისკენ, რაც მათში არის. ეს, ცხადია, პირველ რიგში ორგვარი ფსიქოლოგიის დაპირისპირებას ეხება.

ფსიქოლოგიის შემდგომი განვითარება ორგვარი ფსიქოლოგიის განხეთქილების ნიშნით წარიმართა. გაჩნდა ახალი მიმდინარეობები და კვლევითი პროცესის ახალი ფიგურანტები, მაგრამ მსარეთა დაყოფა არსებითად იგივე დარჩა – ორი შეურიგებელი ბანაკი და მათ შორის კომპრომისული პოზიცია. ეს უკანასკნელი ყველაზე თანმიმდევრულად წარმოდგენილია გ. ოლპორტთან, რომლის ე.წ. *სისტემურმა ეკლექტიზმმა* დასვა და გააღმავა ვუდეორთისა და შტერნის მეთოდოლოგიური პოზიცია (ის. 10.1.). ნაკლებ თანმიმდევრულია სხვა ფვიანდელი "ეკლექტიკოსების" შეხედულებები. ისინი უშვებენ ორივე ტიპის ფსიქოლოგიას. მაგრამ აშკარა უპირატესობას ერთერთს ანიჭებენ. მაგალითად, ე. ბორინგი თავის ეკლექტიზმში აშკარა უპირატესობას საბუნებისმეტყველო მიდგომას ანიჭებდა, ხოლო ა. მასლოუ და კ. როჯერსი – ჰუმანიტარულს. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან გაგებითი ფსიქოლოგიის ნიშა დაიკავა ჰუმანისტურმა და, განსაკუთრებით, ეგზისტენციალურმა ფსიქოლოგიამ (რ. ასანჯიოლი, ლ. ბინსვანგერი, მ. ბოსი, ჯ. ბუგენტალი, ი. მინკოვსკი, რ. მეი, ვ. ფრანკლი და სხვა). საბუნებისმეტყველო პარადიგმის თანმიმდევრულ და უკომპრომისო გამტარებლელთა სია მრავალ გამოჩენილ მკვლევარს აერთიანებს. ისინი XX საუკუნის ფსიქოლოგიის ელიტას შეადგენენ: ჰ. აიზენკი, ა. ბანდურა, ჯ. ბრუნერი, ლ. ვიგოტსკი, ვ. კელერი, რ. კეტელი, კ. ლევინი, ჯ. მილერი, ჰ. მიურეი, უ. ნაისერი, ე. ნიუტენი, ჟ. პიაჟე, ჯ. როტერი, ბ. სკინერი, დ. უზნაძე, პ. ჟანე, კ. ჰალი და ბევრი სხვა. რაც შეხეება ზ. ფროიდს, მისი ცალსახა მიკუთვნება რომელიმე ბანაკისადმი რთულია. ფსიქოანალიზის თეორიაში იგი საბუნებისმეტყველო და დეტერმინისტულ თვალსაზრისს იცავდა, მაგრამ პრაქტიკული ფსიქოანალიზი, როგორც კვლევისა და მკურნალობის მეთოდი, ემპირიული მეცნიერების აღიარებული სტანდარტებისაგან საკმაოდ შორს იდგა და უფრო გაგებით-ჰერმენევტიკული პროცედურის ხასიათი ჰქონდა.

საერთო ორიენტაცია საბუნებისმეტყველო მეთოდოლოგიაზე არ გამორიცხავს არსებითი ხასიათის განსხვავებებს ამ ორიენტაციის წარმომადგენელთა თეორიულ შეხედულებებში, რაც აისახა ფსიქოლოგიის ძირითად მიმდინარეობათა სახელწოდებებში (ბიჰევიორიზმი, გეშტალტფსიქოლოგია, კოგნიტივიზმი და ა.შ.). მათი წარმომაველობა უკავშირდება დამოუკიდებელი ფსიქოლოგიური მეცნიერების საწყისი ეტაპის თეორიულ და კვლევით პროგრამებს. მაგალითად, გეშტალტფსიქოლოგიამ ის იდეები განავითარა, რომლებიც ინტენციონალურ-ფენომენოლოგიურ მიმართულებაში იყო მოცემული. ბიჰევიორიზმის შთაგონების წყარო გახდა ანტისტრუქტურალიზმი. ის შეამზადა ფუნქციონალიზმმა, ჰორმულმა ფსიქოლოგიამ და ზოოფსიქოლოგიამ. თანამედროვე კოგნიტური ფსიქოლოგია, არსებითად,

იმ კვლევითი პროგრამების განახლებული ეარიანტია, რომლებიც პირველ ექსპერიმენტულ ლაბორატორიებში განსორციელდა შემეცნებითი ფსიქიკური პროცესების სფეროში (ებინჰაუსი, გ.ე. მილერი, ეიურცბურგის სკოლა და სხვა). დღევანდელი პიროვნების ფსიქოლოგიის კონცეპტუალური სახე ძნელად წარმოსადგენია პირველი პერსონოლოგების (შტერნი, ჯეიმსი, პალტონი, ბინე და სხვა) თეორიული წარმოდგენებისა და ტესტოლოგიური კვლევების გარეშე. ფსიქოანალიზი ნაკლებად იყო განსაზღვრული ადრინდელი ზოგადფსიქოლოგიური კონცეფციებით და უფრო მეტად სამედიცინო ფსიქოლოგიაში არსებული შეხედულებებითა და მასალებით საზრდოობდა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ XX საუკუნის ფსიქოლოგიის განვითარების ძირითადი მიმართულება დიდწილად იმ თეორიულმა და ემპირიულმა კვლევებმა განსაზღვრა, რომლებიც განხორციელდა მეცნიერული ფსიქოლოგიის საწყის ეტაპზე. აქედან გამომდინარე, ჩვენი მომდევნო განხილვის საგანი გახდება ფსიქოლოგიის ზოგიერთი დარგის ისტორიული განვითარება იმ პერიოდამდე, როცა ეს დარგები თანამედროვე სახით ჩამოყალიბდნენ.

*ლიტერატურა*


1. აბაშიძე ე. პერსონალისტური ფსიქოლოგია. თბილისი, 1962.
2. ბოდე ჰ. გონისმეცნიერებითი ფსიქოლოგია. დასავლეთ ევროპის ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმდინარეობები. ტფილისი, 1935.
3. ბოჭორიშვილი ა. ფსიქოლოგიის პრინციპული საკითხები. თბილისი, ნაწილი I-1957, II-1959, III-1962.
4. ბუაჩიძე თ. სიცოცხლის ფილოსოფია. თბილისი, 1991.
5. კაკაბაძე ზ. ეგზისტენციალური კრიზისის პრობლემა და ედმუნდ ჰუსერლის ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგია. თბილისი, 1985.
6. უზნაძე დ. ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები. პრინციპული საფუძვლები და შეგრძნებათა ფსიქოლოგია. შრომები, ტ.2. თბილისი, 1960.
7. ცინცაძე გ. გაგების მეთოდი ფილოსოფიაში და პიროვნების პრობლემა. თბილისი, 1975.
8. ჰოისნერი ა. ვილჰელმ ვუნდტის ფსიქოლოგია. დასავლეთ ევროპის ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმდინარეობები. ტფილისი, 1935.
9. Бакрадзе К.С. Очерки по истории новейшей и современной философии. Тбилиси, 1960.
10. Брентано Ф. О внутреннем сознании. Новые идеи в философии. Вып.15. СПб., 1914.
10. Видельбанд В. Нормы и законы природы. В кн.: Философия культуры: Избранное. М., 1994.
11. Вундт В. Основы физиологической психологии. т.1-2. СПб., 1890-1.
12. Вундт В. Система философии. СПб., 1902.
13. Вундт В. Очерк психологии. М., 1912.
14. Вундт В. Введение в психологию. М., 1912.
15. Вундт В. Проблемы психологии народов. СПб., 2001.
16. Выготский Л.С. Исторический смысл психологического кризиса. Собрание сочинений.

т.1. М., 1982.

17. Гуссерль Э. Философия как строгая наука. Новочеркаск, 1994.
18. Гуссерль Э. Феноменологическая психология (Амстердамские лекции). www.philosophy.ru/librory/
19. Дессуар М. Очерк истории психологии. М., 2003.
20. Джемс У. Что такое эмоция. В кн.: Психология эмоций. Тексты. М., 1984.
21. Джемс У. Психология. М., 1991.
22. Джемс У. Беседы с учителем о психологии. СПб., 1998.
23. Дильтей В. Описательная психология. СПб., 1996.
24. Ждан А.Н. История психологии от античности до наших дней. М., 1990.
25. Кунцман А.Л. Психология мышления Ф.Брентано, Г.Уфуэса, Э.Гусерля и К.Штумпфа. Новые идеи в философии. Вып.16. СПб., 1914.
26. Кюльпе О. Современная философия в Германии. М., 1903.
27. Лихи Т. История современной психологии. СПб., 2003.
28. Мак-Дугалл У. Основные проблемы социальной психологии. М., 1916.
29. Марцинковская Т.Н. История психологии. М., 2001.
30. Рамуль К.А. Из истории психологии. Тарту, 1974.
31. Рикерт Г. Науки о природе и науки о культуре. М., 1998.
32. Роговин М,С, Введение в психологию. М., 1969.
33. Титченер Э.Б. Учебник психологии. т.1-2. СПб., 1914.
34. Фресс П. Развитие экспериментальной психологии. В кн.: Экспериментальная психология. т.1-2. М., 1966.
35. Хеккаузен Х. Мотивация и деятельность. СПб., 2003.
36. Шпигельберг Г. Феноменологическое движение. Историческое введение. М., 2002.
37. Шпрангер Э. Два вида психологии. В кн.: Хрестоматия по истории психологии. 1980.
38. Штерн В. Дифференциальная психология и ее методические основы. М., 1998.
39. Штумпф К. Явления и психические функции. Новые идеи в философии. Вып.4. СПб., 1913.
40. Шульц Д., Шульц С.Э. История современной психологии. СПб., 1998.
41. Ярошевский М.Г., Анциферова Л.И. Развитие и современное состояние зарубежной психологии. М., 1974.
42. Ярошевский М.Г. История психологии. 1996.
43. Ясперс К. Общая психопатология. М., 1997.
44. Boring E. G. A history of experimental psychology. New York: Appleton-Century-Crofts. 1950.
45. Brentano F. Psychology from an empirical standpoint. New York: Humanities Press, 1973.
46. Brett G.S. History of psychology. (Ed. and abridged by R.S.Peters). London: Unvin LTD, 1953.
47. Buhler K. Die kriese der psychologie. Jena, 1927.
48. Claparede E. Autobiography. In C.C. Marchinson (Ed.). A history of psychology in autobiography. Vol.I. Worcester, Massachusetts: Clark University Press, 1930.
49. Claparede E. Psychologie functionalle. Revue Philossophiqe. 1933, 6.

50. Klein D.B. A history of scientific psychology. New York – London, 1970.
51. Koch S., Leary D (Eds.). A century of psychology as a science. New-York: McGraw-Hill, 1985.
52. Leahey T.H. A history of psychology: main currents in psychologycal thought. New Jersey: Prentice Hall, 1992.
53. Mc Dougall W. Autobiography. In C.C. Marchinson (Ed.). A history of psychology in autobiography. Vol.I. Worcester, Massachusetts: Clark University Press, 1930.
54. Robinson D.N. An intellectual history of psychology. The Universisty of Wisconsin Press, 1986.

# თავი 6. ფსიქოლოგიის დარგების განვითარება

## 6.1. ზოგადი ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის განვითარება

ფსიქოლოგიამ დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის სტატუსი უპირველესად მასში ექსპერიმენტული მეთოდის დამკვიდრების გზით მიიღო. საუბარი სწორედ დამკვიდრებაზეა, თორემ ექსპერიმენტს უკვე XVIII საუკუნიდან მოყოლებული. საკმაოდ ხშირად მიმართავდნენ ფსიქიკური სამყაროს აქა თუ იმ მხარის შესწავლის მიზნით. ასეთ ცდებს ატარებდნენ ფიზიკოსები, ასტრონომები, ბიოლოგები, ექიმები, ერთი სიტყვით – ნატურალისტები. ეს საესებით გასაგებია, ვინაიდან იმხანად უკვე საკმაოდ ფართოდ გავრცელებული საბუნებისმეტყველო აზროვნების წესი აღარ კმაყოფილდებოდა მხოლოდ მეტაფიზიკური მსჯელობებით და ყველგან ცოდნის მყარ, ემპირიულ საფუძველს ეძებდა. სამწუხაროდ, მაშინდელი ოფიციალური ფსიქოლოგია, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ თავის "ემპირიულობას" და "ცდისეულობას" უსვამდა ხაზს, სინამდვილეში თითქმის მთლიანად "საწერი მაგიდის ფსიქოლოგიად" რჩებოდა. მისი დებულებები აბსტრაქტული თეორეტიზაციისა და უსისტემო თვითდაკვირვების შეგავების შედეგს წარმოადგენდა.

უფრო მეტიც, სწორედ ამ პერიოდში პრინციპულად დაისვა საკითხი ფსიქოლოგიაში ექსპერიმენტის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ, თანაც ისეთი ავტორიტეტის მიერ, როგორიც იყო ი. კანტი. მას მიაჩნდა, რომ სულის შესახებ მეცნიერების აგება ბუნებისმეცნიერებათა ყაიდაზე შეუძლებელია, ვინაიდან მას გაზომვად სიდიდეებთან არა აქვს საქმე, რაც გამორიცხავს მათემატიკის გამოყენებას. ამასთანავე, ფსიქოლოგია ვერ გამოიყენებს ექსპერიმენტს, "ვინაიდან აქ შინაგანი დაკვირვების მრავალფეროვნება შეიძლება მხოლოდ ჯონებრივად იქნეს დაყოფილი და ვერასდროს იქნება შენახული ისეთი განცალკევებული ელემენტების სახით, რომლებიც შემდგომში საჭიროებისამებრ შეიძლება შეერთდნენ; კიდევ უფრო ნაკლებად ექვემდებარება ჩვენ მიერ წინასწარ დაგეგმილ ცდებს სხვა მოაზროვნე სუბიექტი, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ დაკვირვება თავისთავად ცელის და ამახინჯებს დასაკვირვებელი საგნის მდგომარეობას. ამიტომ მოძღვრება სულის შესახებ ვერასდროს გახდება რაიმე უფრო მეტი, ვიდრე ისტორიული მოძღვრება... შინაგანი გრძნობის, ანუ სულის ბუნების აღწერა, მაგრამ არა მეცნიერება სულის შესახებ". ამრიგად, მათემატიკისა და ექსპერიმენტის გამოყენების საკარაუდო შეუძლებლობის გამო კანტი ფსიქოლოგიას საერთოდ ემპირიული მეცნიერების სისტემის გარეთ ტოვებს. ცოტა მოგვიანებით არსებითად ასეთივე განაჩენს გამოუტანს ფსიქოლოგიას პოზიტივიზმის ფუძემდებელი ო. კონტი.

მაგრამ იმ დროსაც იყვნენ მოაზროვნეები, რომელნიც სხვაგვარად ფიქრობდნენ. კანტამდე ნახევარი საუკუნით ადრე გერმანელი ფილოსოფოსი გ. გაგენი ამტკიცებდა, რომ შესაძლებელია ორი სახის ექსპერიმენტი:

ფიზიკური და ფსიქოლოგიური. მისი სიტყვებით, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ სიახლეა, ის მთელი სერიოზულობით უნდა იქნეს განხილული, ვინაიდან უთუოდ წარმოადგენს, როგორც საკუთარი თავის, ისე სხვების დაკვირვების სანდო საფუძველს. ხოლო კონტის თანამედროვეები და თანამოაზრეები პოზიტივისტური ფილოსოფიის ჩამოყალიბების საქმეში ჯ. ს. მილი და ჰ. სპენსერი კატეგორიულად უარყოფდნენ კონტის ანტიფსიქოლოგიზმს და პირდაპირ მოუწოდებდნენ ფსიქოლოგიას, ხელი მოეკიდა სისტემატური ექსპერიმენტული კვლევისთვის. ჯ. ს. მილი ასე წერდა: "საჭიროა, დაკვირვების გამო უარი ვთქვათ ინტროსპექციაზე. ჩვენ უნდა შევისწავლოთ გონების ოპერაციები მათი გამოვლინებების მიხედვით, იმის მსგავსად, როგორც ვსწავლობთ ელექტრულ ოპერაციებს მათი შედეგების მიხედვით. უნდა მოვახდინოთ ადამიანების და ცხოველების მოქმედებაზე დაკვირვებების ექსპერიმენტული ვარირება, ხოლო დაკვირვების ხარვეზები პიპოთეზის საშუალებით შევავსოთ".

საკმაოდ მალე ფსიქოლოგიური კვლევა სწორედ ასეთი გახდა. ფსიქოლოგიური აზროვნების ლოგიკა სულ უფრო მეტად იხრებოდა ექსპერიმენტისკენ და ამ ტენდენციას კანტისა და კონტის აკრძალვები ვერ შეაჩერებდა. XIX საუკუნის ბოლო მესამედში ფსიქოლოგია ჩამოყალიბდა, როგორც ექსპერიმენტული დისციპლინა. ამით დასრულდა არასისტემატური, შემთხვევითი და არცთუ ყოველთვის სათანადოდ გააზრებული ექსპერიმენტირების ხანა ფსიქიკური მოვლენების სფეროში, რომელიც, უაქტობრივად, საუკუნეთა განმავლობაში გრძელდებოდა.

ცნობებს ფსიქოლოგიური ცდების შესახებ უძველეს დროში მივყავართ. თავი რომ დავანებოთ მონაიხრობს ამოცანების (ან ტესტების) შესახებ, რომელთაც მიმართავდა საბიას დედოფალი მეფე სოლომონის სიბრძნის გამოსავლენად, პირველ შეტყობინებას ფსიქოლოგიური ცდის შესახებ გვაწვდის "ისტორიის მამა" ჰეროდოტე (Vს. ძვ.წ.), რომელიც აღწერს ეგვიპტელი ქურუმებისაგან გაგებულ ამბავს: ფარაონ ფსამეტიხს (VIIს. ძვ.წ.) გაუჩნდა სურვილი, გაერკვია, თუ რომელი ხალხი იყო ყველაზე ძველი. ამის დასადგენად მან ორი ახალშობილი ბავშვი გადასცა მოსაელელად მწყემსს, რომელსაც კატეგორიულად აუკრძალა მათთან ლაპარაკი, უბრძანა ჰყოლოდა ისინი განცალკევებულ ქოხში, ანუ სრულ იზოლაციაში, და მიეყვანა მათთან მხოლოდ თხები, რომელთა რძითაც უნდა გამოეკვება. ასეთი "ექსპერიმენტული სიტუაციის" შექმნით ფსამეტიხს სურდა გაეგო, რომელ სიტყვას წარმოთქვამდენენ პირველად ბავშვები ტიტინის ხანის გასვლის შემდეგ. ორი წლის თავზე, ერთ დღეს, როდესაც მწყემსი შევიდა ქოხში, ხელებგაწვდენილმა ბავშვებმა მიირბინეს მასთან შეძახილებით "ბეკოს!". მას მერე, რაც ეს მომდევნო დღეებშიც გამეორდა, ყველაფერი მოახსენეს ფარაონს. მან ბრძანა გაერკვიათ, რომელი ხალხი ხმარობს ამ სიტყვას და რა მნიშვნელობით. აღმოჩნდა, რომ სიტყვა "ბეკოს" გვხვდება ფრიგიულ ენაში და ნიშნავს "პურს". აქედან ფარაონმა დაასკვნა, რომ უძველესი ხალხი წინა აზიაში მცხოვრები ფრიგიელებია და არა ეგვიპტელები, როგორც მისი ქურუმები ფიქრობდნენ.

უფრო სანდო ცნობებს სხვა ანტიკური წყაროები შეიცავს. მაგალითად, პლატონის ერთ-ერთ დიალოგში ვინმე სოფისტ გიპიუსს თავი მოეკონდა იმით, რომ შეეძლო 50 სახელის დახსომება ერთი წაკითხვით, რისი შემოწმებაც სათანადო ცდის ჩატარებას საჭიროებდა. ასევე მეხსიერების ექსპერიმენტულ კვლევას ეხება პირველი საუკუნის ცნობა, რომელსაც გვაწვდის რიტორი სენეკა, ცნობილი რომაელი ფილოსოფოსის მამა. მას შეეძლო 2000 სიტყვისა და 200 ლექსის ზუსტი აღდგენა მოსმენისთანავე. ეს მიღწევა მართლაც შთამბეჭდავია. ის გულისხმობს მნემონიკის ანუ "მეხსიერების ხელოვნების" აქტიურ გამოყენებას, რაც პრაქტიკული საჭიროებით აიხსნება: წარსულში, ინფორმაციის შენახვისა და გადაცემის საშუალებათა შეზღუდულობის პირობებში, მეხსიერების ძალას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ამგვარი ცდები შუა საუკუნეებშიც გრძელდებოდა. XVI საუკუნის ცნობილი ფრანგი ჰუმანისტი მარკ ანტონიუს მურეტი აღწერს, როგორ უკითხავდნენ ახალგაზრდა კორსიკელ სტუდენტს ერთმანეთთან დაუკავშირებელი ლათინური, ბერძნული და "ბარბაროსული" წარმოშობის სახელების გრძელ სიას, რის შემდეგ მან უშეცდომოდ გაიმეორა ისინი არა მარტო იმავე თანმიმდევრობით, არამედ შებრუნებული თანმიმდევრობითაც; უფრო მეტიც, იგი ასახელებდა მხოლოდ რიგის კენტ წევრებს. მურეტი არ აზუსტებს სახელების რაოდენობას, მაგრამ შენიშნავს, რომ ის იმდენად დიდი იყო, რომ ცდის ბოლოს ყველა, ვინც სახელებს კითხულობდა, იწერდა ან უბრალოდ აკეირდებოდა ცდას, ძალიან დაიღალა. მნემონიკის გამოყენების ფაქტს ადასტურებს ის, რომ სხვა ახალგაზრდამ, რომელიც არ გამოირჩეოდა კარგი მეხსიერებით, კორსიკელთან ერთკვირიანი ვარჯიშის შემდეგ, შეძლო 500 სიტყვაზე მეტის აღდგენა ნებისმიერი თანმიმდევრობით.

ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი, ცხადია, მხოლოდ მეხსიერების სფეროში არ ტარდებოდა. სულ სხვა სფეროს მიეკუთვნება იეზუიტ ანასთასიუს კირხერის მიერ აღწერილი "ქათმის წარმოსახვის საუცხოო ცდა" (1646). ქათამს შეკრული ფეხებით ვათავსებთ იატაკზე. თავდაპირველად ის განთავისუფლებას ცდილობს, შემდეგ კი წყნარდება და ბედს ეგუება. ამ დროს ქათმის თვალის გაყოლებაზე იატაკზე ცარცით ვავლებთ ხაზს, რომელიც წააგავს ბაწარს. შემდეგ ვუხსნით ქათამს ფეხებს. განთავისუფლებული ქათამი აღარ ცდილობს გაქცევას და იმავე მდგომარეობაში რჩება. ამის მიზეზი, მამა კირხერის აზრით, სხვა არაფერია, თუ არა ქათმის ცხოველი ფანტაზია, რომელიც იატაკზე გავლებულ ხაზს თავის შემბოჭავ ბაწრად წარმოიღგენს. კირხერი იმასაც ამატებს, რომ ეს ცდა მრავალჯერ გაუმეორებია, რაც დამსწრეთა გაოცებას იწვევდა და დარწმუნებულია, რომ ეს მოვლენა სხვა ცხოველებთანაც აღინიშნება. უნდა ითქვას, რომ ამ მოვლენის გამოწვევა ხერხდება ყოველგვარი ფეხების შეკვრისა და ხაზის გავლების გარეშეც. ამისთვის საკმარისია ქათმის მოძრაობა იქამდე შევზღუდოთ, სანამ ის არ დაწყნარდება. აქ სინამდვილეში საქმე გვაქვს ჰიპნოზის გამოვლენასთან ცხოველებში. ისიც ცხადია, რომ "ქათმის წარმოსახვა" არაფერ შუაშია. ასევე თუ ისე, ესეც ნამდვილი ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის მაგალითია.

როგორც ითქვა, XVIII საუკუნიდან ფსიქოლოგიურმა ექსპერიმენტმა

გავრცელება დაიწყო. რაც მთავარია, ცდები წმინდა მეცნიერული მიზნებით ტარდება და, უპირატესად, ელემენტარულ ფსიქიკურ პროცესებს, სახელდობრ, მხედველობით შეგრძნებებს ეხება. მაგალითად, ექსპერიმენტულად შეისწავლებოდა ე.წ. ბრმა წერტილის სიღიდე (ბერნული, სმისი, მესენბრუკი, კოვალო და სხვა), მხედველობის სიმახვილე ანუ მხედველობის უმცირესი კუთხე, რომელიც ჯერ კიდევ იძლევა საგანთა დანახვის შესაძლებლობას (გუკი, ბიუფონი, მაიერი, სმისი, ნოლე და სხვა), თანამიმდევრული კვალის ხანგრძლივობა (ფეგნერი, მესენბრუკი, დარსი, ტეტენსი და სხვა), მხედველობითი გამღიზიანებლების გარჩევის ზღურბლი (ბუგე).

ამ ექსპერიმენტების საერთო მეთოდური პრინციპი შემდეგშია: იღებენ გარკვეულ გამღიზიანებელს და თანდათანობით ცვლიან მის ინტენსივობას წინასწარ გამიზნული ეფექტის მიღწევამდე, შემდეგ კი აღგენენ ამ ეფექტის გამომწვევი გამღიზიანებლის ზუსტ სიღიდეს. მაგალითად, მხედველობის ცენტრიდან თანდათან გადააადგილებენ ობიექტს იმ წერტილამდე, სადაც იგი უხილავი გახდება. შემდეგ კი აღგენენ მხედველობის კუთხეს. ამგვარი ექსპერიმენტები იმ მარტივი ფიზიკური ცდების ანალოგიურია, რომლითაც იზომება ფიზიკური მოვლენების ესა თუ ის თვისება. ვთქვათ, რომელიმე სითხის ღუღილის ტემპერატურის გასარკვევად ეს სითხე მიპყავთ დუღილამდე, შემდეგ კი ზომავენ მის ტემპერატურას. შეიძლება ითქვას, რომ ამ ეტაპის ფსიქოლოგიური ექსპერიმენტისთვის დამახასიათებელია შესასწავლი ფსიქიკური მოვლენებისა და მეთოდური ხერხების სიმარტივე, ავრეთვე ნაკლები სიზუსტე და სანდოობა, რაც, თავის მხრივ, ცდების გამეორებათა მცირე რიცხვითა და შედეგების სტატისტიკური დამუშავების დაბალი დონით აიხსნება.

ამ მხრივ ფეხნერის *ფსიქოფიზიკური ექსპერიმენტები* უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. ფსიქოფიზიკური ცდებისთვის დამახასიათებელია ის, რომ აქ გამოიყენება სპეციალურად ამ კვლევისთვის შემუშავებული მეთოდიკა (იხ. 4.2.). გარდა ამისა, ფსიქოფიზიკური კვლევისას ზუსტი და სანდო მონაცემების მისაღებად ცდები მრავალჯერ ტარდება[1], ხოლო შედეგების დამუშავება მათემატიკური მეთოდების გამოყენებით ხდება. აქედან გამომდინარე გადაჭარბება არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ფსიქოფიზიკური კვლევის დანერგვა მოასწავებს ფსიქოლოგიის გადასვლას სხვა მეცნიერებათაგან ნასესხები მეთოდებისაგან საკუთარი ექსპერიმენტული პროცედურების გამოყენებაზე ანუ, არსებითად, ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის ფსიქოლოგიზაციასა და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, გადასვლას მეტ-ნაკლებად დილეტანტური და არაზუსტი ექსპერიმენტიდან მკაცრ და სანდო ექსპერიმენტულ კვლევაზე.

ცნობიერების მოვლენათა ასეთ შესწავლას ისახავდა მიზნად **ვილჰელმ ვუნდტი**, როდესაც 1879 წელს ლაიფციგში პირველი ფსიქოლოგიური

[1] ფეხნერი მართლაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ცდების მრავალჯერად გამეორებას. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ სიმძიმეების აწევასთან დაკავშირებული ცდების ორ სერიაში, რომელთაგანაც თითოეული 32 დღე გრძელდებოდა, სიმძიმეების აწევის რიცხვმა ყოველ სერიაში 24 576 შეადგინა.

კელეეთი ლაბორატორია დააარსა (იხ. 5.1.). ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინის, დასაბამი სწორედ ამ თარიღს უკავშირდება. თუმცა ისიც ცნობილია, რომ რამდენიმე წლით აღრე პატარა ლაბორატორიები მოაწყვეს უ. ჯეიმსმა ამერიკაში, პარეარდის უნივერსიტეტში და გ.ე. მიულერმა გერმანიაში, გიოტინგენის უნივერსიტეტში. მაგრამ, ვუნდტის ლაბორატორიისაგან განსხვავებით, მათ არ ჰყავდათ თანამშრომელთა შტატი. ისინი არა კელეეთ, არამედ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ამოცანების (ლექციების მომზადება და თვალსაჩინო დემონსტრაციები) გადაწყვეტას ემსახურებოდნენ. ლაიფციგის ლაბორატორია მალე ინსტიტუტად გადაკეთდა, რომელშიც მთელი მსოფლიოდან ჩამოსული პირები გადიოდნენ წერთნას ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის ჩატარებაში, ვუნდტის ხელმძღვანელობით ეწეოდნენ კელეეთ მუშაობას. ვუნდტმა და მისმა თანამშრომლებმა შექმნეს არაერთი ახალი ხელსაწყო (მათ შორის საყოველთაოდ ცნობილი ტაქისტოსკოპი). მაგრამ, ყოველ შემთხვევაში საწყის ეტაპზე მაინც, ლაბორატორიის ძირითად აღჭურვილობას ფიზიკური და ფიზიოლოგიური პროცესების გამზომი სხვადასხვაგვარი ქრონოგრაფები, ქრონოსკოპები, მეტრონომები და მსგავსი ხელსაწყოები შეადგენდა. ეს გარემოება თავისთავად მიანიშნებს ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის საბუნებისმეტყველო, უპირატესად ფიზიოლოგიურ წარმომავლობაზე.

ლაიფციგის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში მიმდინარე კელეეა მეთოდიკის თვალსაზრისით *ექსპერიმენტულ ინტროსპექციას* წარმოადგენდა. როგორც უკვე ითქვა, ვუნდტის აზრით ფსიქოლოგია არის მეცნიერება ცნობიერების მოვლენების შესახებ, რომლებზეც პირდაპირი და უშუალო დაკვირვება მხოლოდ ინტროსპექციის გზითაა შესაძლებელი. უაქტობრივად, ექსპერიმენტი ვუნდტისთვის თვითდაკვირვების სისტემატიზაციის საშუალება იყო. იმისთვის, რომ თვითდაკვირვებამ ექსპერიმენტული პროცედურის სახე მიიღოს, იგი მოწესრიგებულ და კონტროლირებად პროცესად უნდა ვაქციოთ. ასეთი ექსპერიმენტული თვითდაკვირვება ოთხ პირობას უნდა აკმაყოფილებდეს: 1) ცდისპირს უნდა შეეძლოს თვითონ განსაზღვროს გამოსაკვლევი ფსიქიკური მოვლენის დაწყების მომენტი; 2) ცდისპირს უნდა შეეძლოს ამ ფენომენის მაქსიმალური ყურადღებით განცდა; 3) შესაძლებელი უნდა იყოს დაკვირვების მრავალჯერადი გამეორება და 4) შესაძლებელი უნდა იყოს მოვლენის გამომწვევი პირობების ვარიაცია.

ვუნდტის თამახმად, ექსპერიმენტი სწრაფმავალი ფსიქიკური პროცესების დაფიქსირებისა და გამეორების საშუალებას იძლევა, რაც ინტროსპექციისთვის მაქსიმალურად კარგ პირობებს ქმნის. ამასთანავე, საჭიროა, რომ ცდისპირიც გარკვეულად გავარჯიშებული იყოს თვითდაკვირვებაში. ვუნდტის ყველაზე ცნობილი და ერთგული მიმდევარი ტიჩენერი იმასაც კი ამბობდა, რომ ყოველი ფსიქოლოგიური ცდა ინტროსპექციის გაკეთილს წარმოადგენსო. თუმცა თვითდკვირვება ექსპერიმენტულ პირობებშიც კი ბევრ ობიექტურ და სუბიექტურ სირთულესთან არის დაკავშირებული. ამიტომ იგი ყოველთვის, ერთგვარად, არაზუსტი და არასრულია. მაშასადამე, საჭიროა მისი კონტროლირება, თვლიდა ვუნდტი. კონტროლის ასეთ საშუ-

ალებად განცდების თანმხლები ფიზიოლოგიური სიმპტომების (გულისცემა, სისხლის მიმოქცევა, სუნთქვის სიხშირე, კუნთური დაძაბულობა, რეაქციის ხანგრძლივობა და სხვა) რეგისტრაცია გვევლინება. ამგვარად, ვუნდტის თანახმად, ნამდვილი ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი გულისხმობს თვითდაკვირვებასა და მისი ობიექტური კონტროლის შეხამებას. ინტროსპექციის გარეშე ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი უბრალო ფიზიოლოგიურ ცდად იქცევა, ხოლო ფიზიოლოგიური მონაცემების რეგისტრაციის გარეშე – ის იქნება წინა ეპოქისთვის დამახასიათებელი უსისტემო თვითდაკვირვება.

ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის ბუნების შესახებ ვუნდტის შეხედულებამ პირდაპირ განსაზღვრა მის მიერ ექსპერიმენტის გამოყენების ფარგლები. ექსპერიმენტული მეთოდის გამოყენება მთელი ფსიქიკური სინამდვილის შესასწავლად შეუძლებელია. მისი გამოყენება მართებულია მხოლოდ ფსიქოლოგიისა და ფიზიოლოგიის მიჯნაზე მყოფი, შედარებით მარტივი ფსიქიკური მოვლენების საკვლევად. რთული ფსიქიკური ფენომენები ექსპერიმენტულ შესწავლას არ ექვემდებარება. ეს-აიდან ამ უკანასკნელთა ექსპერიმენტული კვლევისას შეუძლებელია ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის მიმართ წაყენებული მოთხოვნების დაცვა. ექსპერიმენტული ზემოქმედების შესაძლებლობა მოცემულია მხოლოდ იქ, სადაც არსებობს მყარი და ერთმნიშვნელოვანი კავშირი გამღიზიანებელსა და ფსიქიკურ პროცესს შორის. ასეთი რამ კი მხოლოდ ელემენტარული ფსიქიკური და ფსიქოფიზიოლოგიური მოვლენების სფეროში გვხდება. ამიტომაცაა შესაძლებელი მათი ხელოვნური გამოწვევა, გამეორება, გამოვლენის პირობების ვარირება, ზუსტი დროითი ფიქსაცია, ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც აუცილებელია ექსპერიმენტისთვის. რთული და ცენტრალური ფსიქიკური პროცესების (ფანტაზია, აზროვნება, ნებელობა, მაღალი გრძნობები და ა.შ.) შემთხვევაში ამ ლაბორატორიული პროცედურების შესრულება ან ძალიან შეზღუდულია, ანდა სულაც შეუძლებელი. ვუნდტი მათ შესწავლას სპეციალური დისციპლინის, ე.წ. *ხალხთა ფსიქოლოგიის* ფარგლებში ცდილობდა, რაც, ფაქტობრივად, კულტურულოგიური მასალის ანალიზს ისახავს მიზნად.

ვუნდტი ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის სამ სახეს განასხვავებდა: *შთაბეჭდილების, გამოსახულების და რეაქციის*. პირველ შემთხვევაში მიიღება ინტროსპექციული მონაცემები გარკვეული გამღიზიანებლებით აღძრული შთაბეჭდილების შესახებ, მეორეში – განცდის თანმდევ გამომხატველ მოძრაობათა, ხოლო მესამეში – სამოძრაო თუ სიტყვიერი რეაგირების სიჩქარის შესახებ. შესაბამისად, მათი გამოყენების გზით განსხვავებული ფსიქიკური და ფსიქოფიზიოლოგიური მოვლენები შეისწავლება.

ფსიქოლოგიის ისტორიკოსებმა გამოთვალეს, რომ ვუნდტის ინსტიტუტში შესრულებულ ექსპერიმენტულ კვლევათა ნახევარი ეძღვნებოდა შეგრძნებისა და აღქმის საკითხებს; დაახლოებით 17% – რეაქციის დროს; ყურადღების ელემენტარულ გამოვლინებებს, მარტივ გრძნობებს, წარმოდგენათა ასოციაციებს – 10-10% თითოეულს.

შეგრძნებათა და აღქმის შესწავლა შთაბეჭდილების მეთოდით მიმდინარეობდა. შეგრძნებებიდან ყველაზე მეტი კვლევა შეეხო მხედველობის,

შემდეგ სმენის (სკრიპჩური, კრიუგერი და სხვა) და შეხების (ბლიქსი, გოლდშაიდერი და სხვა) მოდალობებს. შესრულებული იყო რამდენიმე კლასიკური გამოკვლევა ყნოსვის (ცვადემაკერი) და გემოს (კიზოვი) სფეროში. აღქმასთან დაკავშირებული საკითხებიდან ყველაზე მეტი ყურადღება დაეთმო სიდიდის აღქმას, დროის აღქმასა და ოპტიკურ ილუზიებს. 1889 წელს მარგიუსმა პირველად ექსპერიმენტულად გამოავლინა აღქმის ისეთი მნიშვნელოვანი თვისება, როგორიც კონსტანტობაა.

აღნიშვნის ღირსია *რეაქციის დროის* ექსპერიმენტით ჩატარებული კვლევები. საქმე ისაა, რომ ვუნდტი მათზე განსაკუთრებულ იმედს ამყარებდა, ვინაიდან მიაჩნდა, რომ აქ ისსნებოდა გზა ფსიქიკური პროცესების მიმდინარეობის სანგრძლიეობის გაზომვისა, ანუ, მაშინდელი გამოთქმით, ქრონომეტრირებისა. ფსიქოლოგიური კელეების ამ განსრას *ფსიქომეტრია* ეწოდა (ის. 4.3.). მას, უაქტობრივად, ფ. დონდერსმა ჩაუყარა საფუძველი, როცა განასსვავა ერთმანეთისაგან *მარტივი და რთული* რეაქციის დრო. პირველ შემთხვევაში ცდისპირი ერთ გამღიზიანებელზე ერთი რეაქციით პასუხობს. მეორე შემთსვევაში ამოცანა გართულებულია: ცდისპირმა უნდა უპასუხოს რამდენიმე გამღიზიანებლიდან ერთ-ერთს (განსსვავების რეაქცია) ან უპასუხოს რამდენიმე შესაძლო რეაქციიდან ერთ-ერთით (არჩევის რეაქცია). რთულ რეაქციას ბუნებრივია მეტი დრო ესაჭიროება; ამ დროით, უაქტობრივად, იზომება ჩართული ფსიქიკური პროცესების ხანგრძლივობა. ვუნდტის თანამშრომელმა ლუდვიგ ლანგემ 1888 წელს აღმოაჩინა, რომ რეაქციის დრო იცვლება იმის მიხედვით, პროცესის რომელ მსარეზე, მოტორულზე თუ სენსორულზე, არის მიმართული ცდისპირი. ის ნაკლებია, როცა ცდისპირი მომზადებულია (განწყობილია) საპასუხო სამოძრაო რეაქციის სწრაფი შესრულებისთვის და არა სტიმულის სწრაფი აღქმისთვის. ეს განსხვავება, ვუნდის აზრით, განპირობებულია იმით, რომ პირველ შემთხვევაში ხდება გამღიზიანებლის მხოლოდ *პერცეფცია*, ხოლო მეორეში – *აპერცეფცია*. სხვაობა ამ დროებს შორის (ე.წ. *გამოკლების მეთოდი*) იძლევა აპერცეფციისთვის საჭირო დროს. ეს მაჩვენებელი წამის მეათედის ტოლი აღმოჩნდა. ვუნდტი სულ უფრო ართულებდა ექსპერიმენტის სქემას, რთავდა მასში დამატებით აპერცეფციულ პროცესებს, რათა მათი ქრონომეტრირება მოეხდინა. მაგრამ, საბოლოოდ, ამ კვლევამ არ გაამართლა იმედი, არ გამოიღო სანდო და მდგრადი შედეგი.

თვით ლ. ლანგე მის მიერ მიღებულ ეფექტს იმით ხსნიდა, რომ ექსპერიმენტში იქმნება ორი სახის განწყობა – *მოტორული* და *სენსორული*. მოტორულ განწყობას მზადყოფნაში მოჰყავს სამოძრაო სისტემა, რაც აადვილებს რეაქციას. ამის შემდეგ მოტორული განწყობის იდეა გამოყენებულ იქნა სხვა ფენომენების, კერძოდ სიმძიმეების აღქმის სფეროში გამოვლენილი ილუზიების ასასსნელად (მაგ., ე.წ. შარპანტიეს ილუზია, როცა სხვადასხვა სიდიდის, მაგრამ ერთნაირი სიმძიმის საგნები განსხვავებული წონის ობიექტებად განიცდება). ეს მოვლენა მიულერისა და შუმანის მიერ 1889 წელს ჩამოყალიბებული *მოტორული განწყობის თეორიით* იქნა ახსნილი. ამ თეორიის თანახმად, სიმძიმის ილუზიებს მოტორულ აპარატში მიმდინარე

პროცესები განსაზღვრავს. მოგვიანებით მოტორული განწყობის თეორიის საპირისპიროდ დიმიტრი უზნაძემ ჩამოაყალიბა *განწყობის ზოგადფსიქოლოგიური კონცეფცია*, რომელიც ე.წ. *ფიქსირებული განწყობის მეთოდით* ჩატარებული მრავალნაირი ექსპერიმენტული მონაცემით იქნა განმტკიცებული (იხ. 12.2.). ლ. ლანგეს გამოკვლევის ისტორიული მნიშვნელობა ისაა, რომ მან სათავე დაუდო *განწყობის ფენომენის* ექსპერიმენტულ შესწავლას.

რეაქციის დროის ცდებში სტიმული სენსორულია, ხოლო რეაქცია – მოტორული. *ასოციაციური ექსპერიმენტიც* რეაგირების სისწრაფეზეა მიმართული, მაგრამ აქ სტიმულიც და რეაქციაც ვერბალური სასიათისაა. პირველი ვინც დაიწყო ვერბალური ასოციაციების ექსპერიმენტული შესწავლა იყო ფრენსისის ჰალტონი (1879). მან შეადგინა სიტყვების რიგი, რომელსაც რაიმეს აფარებდა და სიტყვებს ერთიმეორის მიყოლებით აჩენდა. ყოველი ახალი სიტყვის გამოჩენისას რთავდა წამზომს და გამორთავდა მამინ, როცა ცნობიერებაში გაჩნდებოდა ამ სიტყვით გამოწვეული რაიმე წარმოდგენა. ჰალტონისთვის ასოციაციების სისწრაფეს გონებრივი პროცესების სისწრაფის მნიშვნელობა ჰქონდა. იგი მათი მეშვეობით ინდივიდუალური გონიერების გაზომვას ცდილობდა (იხ. 6.2.). ვუნდტს, როგორც ცნობილია, ინდივიდუალური განსხვავებები არ აინტერესებდა. მაგრამ ჰალტონის ცდებით იგი ძალიან დაინტერესდა, ვინაიდან ჩათვალა, რომ ამ გზით შესაძლებელია ზოგად კანონზომიერებათა გამოვლენა. გარდა ამისა, ჰალტონის ცდები სრულად ეთანხმებოდა ექსპერიმენტული ინტროსპექციის სქემას – აქაც ხელოვნურად შექმნილ პირობებში სუბიექტი აკვირდება საკუთარ ცნობიერებაში მიმდინარე მოვლენებს. ვუნდტმა გაამარტივა და დახვეწა ასოციაციური ექსპერიმენტი. ამისთვის გამოიყენა ე.წ. გიპის ქრონოსკოპი, რომელსაც ცდისპირი გამორთავდა მაშინ, როდესაც სიტყვა-გამღიზიანებლის საპასუხოდ მას ცნობიერებაში სიტყვა-რეაქცია უჩნდებოდა.

ასოციაციის დრო განსხვავდება იმისდა მიხედვით, თუ რა სახისაა ასოციაცია. ცდების მონაცემების ანალიზმა და კლასიფიკაციამ სამი ტიპის ასოციაციური კავშირი გამოავლინა: 1) სიტყვიერი, რომელიც ცხოვრების პროცესში სიტყვათა შორის ჩამოყალიბებულ მდგრად კავშირებს გამოხატავს; 2) გარეგანი, ანუ შემთხვევითი ნიშნებით დამყარებული კავშირი და 3) შინაგანი, რომელიც დაფუძნებულია ლოგიკურ მიმართებებზე. ამ კვლევის რეალური მნიშვნელობა ისაა, რომ მან გზა გაუხსნა *ასოციაციური მეთოდის* გამოყენებას დიაგნოსტიკური ამოცანების გადასაჭრელად გამოყენებითი ფსიქოლოგიის სხვადასხვა სფეროში – კლინიკურში (კ. იუნგი), იურიდიულში (ა. ლურია) და სხვა.

ყურადღების ფენომენებთან დაკავშირებული პრობლემებიდან ლაიფციგის ლაბორატორიაში განსაკუთრებით ინტენსიურად შეისწავლებოდა საკითხი ორი გამღიზიანებლის (მაგ., მხდველობითი და სმენითი) ერთდროული აღქმის კანონზომიერებათა შესახებ (ე.წ. *კომპლიკაციის ცდები*). საკმაოდ ბევრი გაკეთდა *ყურადღების მოცულობის* დასადგენად. ტაქისტოსკოპური ცდებით გაირკვა, რომ ის 4-6 მარტივი გამღიზიანებლის ტოლია. ვუნდ-

ტის რუსეთიდან ჩამოსულმა მოწაფემ ნიკოლოზ ლანგემ (1858-1921) ყოველმხრივ შეისწავლა მოვლენა, რომელსაც *ყურადღების რხევა* ეწოდა. ნ. ლანგემ დაადასტურა, რომ ნებისმიერი მოდალობის გამღიზიანებელის მიწოდებისას ცდისპირის აღქმის ინტენსიეობა 2-4 წამის პერიოდულობით ირხევა (მატულობს და იკლებს). მანვე გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს ფენომენი *ცენტრალური* ბუნებისაა ანუ გამოწვეულია ყურადღების მოქმედების ტალღისებურობით და არა გრძნობის ორგანოში მიმდინარე პროცესების რითმულობით. სხვათა შორის, ვუდტის კიდევ ერთი გამოჩენილი მოწაფის, ჰ. მიუნსტენბერგის მონაცემების მისედვით, რომლებიც უკვე სხვა, ფრაიბურგის ლაბორატორიაში იქნა მოპოვებული, ყურადღების რხევის პერიოდი უფრო ხანგრძლივია და უკავშირდება გამღიზიანებლის მოდალობას, რის საფუძველზე შემუშავდა ე.წ. *პერიფერიული* თეორია.

მარტივი გრძნობების შესწავლა, ძირითადად, გამოსახულების მეთოდით მიმდინარეობდა და მიმართული იყო ვუნდტის ემოციების სამგანზომილებიანი თეორიის შემოწმებისკენ.

ვუნდტის მიერ ორგანიზებული ექსპერიმენტული კვლევა ეხებოდა მარტივ ფსიქიკურ პროცესებს და მიმდინარეობდა ექსპერიმენტული ინტროსპექციის მეთოდოლოგიით. პირველი, ვინც დაარღვია ფსიქოლოგიური ექსპერიმენტული კვლევის ეს ტრადიცია, იყო გამოჩენილი გერმანელი ფსიქოლოგი **ჰერმან ებინჰაუსი** (1850-1909). მან ყველასაგან დამოუკიდებლად ხელი მოჰკიდა *ნებისმიერი (განზრახული) მეხსიერების* ექსპერიმენტულ შესწავლას, რომელსაც ვუნდტი მაღალ ფსიქიკურ პროცესებს აკუთვნებდა. ებინჰაუსმა აგრეთვე შეიმუშავა კვლევის მეთოდური პრინციპი, რომელშიც თვითდაკვირვება გათვალისწინებული არ იყო.

ებინჰაუსი ფართო ინტერესებით გამოირჩეოდა. ჰალესა და ბერლინში იგი ეუფლებოდა ისტორიას, ფილოლოგიასა და ფილოსოფიას. ბოლოს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ედუარდ ჰარტმანის არაცნობიერის ფილოსოფიის შესახებ. მაგრამ მისი ცნობისმოყვარეობა დაკმაყოფილებული არ იყო და იგი სამი წლით გაემგზავრა საფრანგეთსა და ინგლისში, სადაც ესწრებოდა ლექციებს და ეცნობოდა კულტურას. აქ ებინჰაუსი ინტერესდება ფსიქოლოგიით. პარიზის პატარა ბუკინისტურ მაღაზიაში იგი შემთხვევით წააწყდა ფეხნერის წიგნს "ფსიქოფიზიკის ელემენტები", რომელმაც თავისი მკაცრი მათემატიკური მიდგომით მასზე უზარმაზარი შთაბეჭდილება მოახდინა. ფეხნერის მიერ შეგრძნებათა გაზომვამ დაარწმუნა ებინჰაუსი ფსიქიკური პროცესების ექსპერიმენტული კვლევის პერსპექტიულობაში და დააფიქრა უმაღლესი პროცესების ექსპერიმენტული შესწავლის შესაძლებლობაზე. საბოლოოდ, მან გადაწყვიტა ფსიქიკის გაზომვისა და კანონებში გამოხატვის იდეა მეხსიერებაზე გამოეცადა. ამისთვის საჭირო იყო ისეთი მეთოდის შემუშავება, რომელშიც მოცემული იქნებოდა მეხსიერების საზომი

ერთეული. ასეთ ერთეულად უაზრო მარცვალი იქნა მიჩნეული. ეს მართლაც უაღრესად ნაყოფიერი მიგნება აღმოჩნდა. შინაარსის მატარებელი ვერბალური ან არავერბალური მასალის გამოყენება ართულებს მეხსიერების გაზომვას, რადგანაც ის ყოველთვის ჩვენი ინდივიდუალური წარსულის გამოცდილებით არის გაჯერებული და, ამდენად, სხვადასხვა ასოციაციებითაა დატვირთული. ობიექტური გაზომვისთვის კი აუცილებელია, რომ მასალა ყველასთვის ერთნაირად ინდიფერენტული, ანუ ერთნაირად დამახსოვრებადი იყოს. ამის გათვალისწინებით უაზრო მარცვლების გამოყენება საესებით მართებულია. თუმცა ამ შემთხვევაშიც საჭიროა დასამახსოვრებელი მარცვლების ისე შერჩევა, რომ ისინი არ იწვევდნენ რაიმე სიტყვის ასოციაციას და თანაბრად უცხოები იყვნენ ყველა ცდისპირისთვის.

ამ პრინციპებით ხელმძღვანელობდა ებინჰაუსი, როცა შეადგინა 2300 მარცვალი (ორი თასხმოვანი და შუაში ხმოვანი), დაყო ისინი სერიებად და შეუდგა მეხსიერების კვლევას თავის თავზე, ორი ძირითადი მეთოდით: 1) *დასწავლის მეთოდით*, რაც გულისხმობს მარცვლების რიგის გამეორებას მანამდე, სანამ არ იქნება მიღწეული უშეცდომო რეპროდუქცია; 2) *ეკონომიის ან მომარაგების მეთოდით*, რომელიც აღრე დასწავლილი და დავიწყებული მასალის გარკვეული ხნის მერე გამეორებაში მდგომარეობს. თავდაპირველი და ხელახალი დასწავლისთვის საჭირო გამეორების მაჩვენებლებს შორის სხვაობა იძლევა ე.წ. *მომარაგების კოეფიციენტს.* რაც უფრო მაღალია ამ კოეფიციენტის რიცხვითი მნიშვნელობა, მით უფრო კარგად ყოფილა დასწავლილი მასალა ცდის პირველ ნაწილში. ამ მეთოდით ირკვევა, მაგალითად, რომ აბსოლუტური დავიწყება არ არსებობს. ერთხელ ნასწავლის ხელმეორედ სწავლა ყოველთვის უფრო ადვილია. ეს მხოლოდ ერთ-ერთი კანონზომიერებაა მათ შორის, რაც ებინჰაუსმა თავისი უპრეცედენტო კვლევის შედეგად დაადგინა. ეს, მართლაც, ტიტანური შრომა, სადაც ცდისპირი და ცდის ხელმძღვანელი ერთი ადამიანი იყო, რამდენიმე წელს გაგრძელდა და ყოველდღიურად უზარმაზარი მასალის დამახსოვრებასა და აღდგენას გულისხმობდა. მისი შედეგები ებინჰაუსმა ჩამოაყალიბა ეპოქალური მნიშვნელობის წიგნში — "მეხსიერების შესახებ" (1885). მასში დადგენილი კანონზომიერებანი დღესაც ზოგადი ფსიქოლოგიის ოქროს ფონდს შეადგენს.

აღვნიშნოთ მხოლოდ უმთავრესი: ა) დადგენილ იქნა, რომ არსებობს სრულიად გარკვეული კავშირი მასალის მოცულობასა და დახსომების მსელელობას შორის. მეხსიერების ერთჯერადი მოცულობა 6-8 მარცვლის ტოლი აღმოჩნდა; სწორედ ასეთი ოდენობის მასალის დახსომება შეუძლია ადამიანს ერთი გამეორებით. მასალის შემდგომი მატება აძნელებს დახსომებას, მაგრამ არა პირდაპირპროპორციულად. თუ 6 მარცვლის დახსომებას 1 გამეორება ჰყოფნის, 12 მარცვალის დახსომებას ესაჭიროება არა 2 გამეორება, არამედ 10-12, 24 მარცვალს — 44 და ა.შ. მოგვიანებით ფუკომ ეს კანონზომიერება დახსომებისთვის საჭირო დროის მაჩვენელებს შეუფარდა და ჩამოაყალიბა კანონი, რომლის მიხედვით დახსომების დრო მასალის რაოდენობის კვადრატის პროპორციულად მატულობს. ბ) გაირკვა, რომ მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა ადგილი უკავია დასასსომებელ ერთეულს რიგში. ცდის-

პირები უკეთესად იხსომებენ სერიის პირველ და ბოლო მარცელებს. გ) აღმოჩნდა, რომ მრავალჯერადი გამეორებისას თითოეული გამეორების მნემური ღირებულება ტოლფასი არ არის. ის მით უფრო მცირეა, რაც უფრო დაშორებულია დასაწყისიდან. შესაბამისად, ყველაზე ეფექტურია პირველი გამეორება და პირიქით. დ) უკანასკნელი კანონზომიერება ელინდება მაშინ, როცა გამეორებათა შორის დროის ინტერვალი ჩნდება. აღმოჩნდა, რომ ასეთ შემთხვევაში დასასწავლად საჭირო გამეორებათა რაოდენობა საგრძნობლად კლებულობს, მით უფრო შესამჩნევად, რაც უდრო დიდია იგი (შემდგომ კვლევაში იოსტმა გაარკვია, რომ ინტერვალი აუცილებლად ოპტიმალური უნდა იყოს – არც ძალიან მცირე და არც ძალიან დიდი). ე) ჭარბ გამეორებას, მას მერე, რაც მასალა უშეცდომოდ არის აღდგენილი, მაინც აქვს დადებითი ეფექტი; აგრეთვე ექსპერიმეტულად პირველად გამოვლინდა მეხსიერების ვარჯიშებადობის დამადასტურებელი ფაქტები. ვ) დასწავლის კანონზომიერებებთან ერთად ამ კვლევაში შესწავლილ იქნა დავიწყების კანონზომიერებებიც. ძალიან განზოგადებული სახით დავიწყების ძირითადი კანონი შემდეგია: დავიწყება არის დროის ფუნქცია. უფრო კონკრეტულად კი შეიძლება ასეც ითქვას: რაც უფრო მეტი დრო გადის დასწავლის მომენტიდან, მით უფრო შორს მიდის დავიწყების პროცესი, თუმცა აბსოლუტური დავიწყება, ფაქტობრივად, არასოდეს მიიღწევა. დავიწყების პროცესის ხასიათს გამოხატავს ებინჰაუსის ე.წ. *დავიწყების მრუდი*, რომელიც აჩვენებს, რომ თავიდან დავიწყების ტემპი ძალიან სწრაფია, შემდეგ კი საგრძნობლად კლებულობს და ბოლოს თითქმის აღარ იცვლება.

დასწავლა და დავიწყება შემდგომშიც ინტენსიური ექსპერიმენტული კვლევის საგანი იყო. მიუხედავად ამისა, "თანამედროვე ექსპერიმენტული ფსიქოლოგია ამ საკითხში არსებითად ჯერ კიდევ ებინჰაუსის პოზიციაზე დგას და მთელი მისი მუშაობა ამ უკანასკნელის შევსებისა და დაზუსტების მეტს არაფერს წარმოადგენს". ეს სიტყვები დიმიტრი უზნაძემ ებინჰაუსის გამოკვლევებიდან ნახევარი საუკუნის მერე დაწერა. მეხსიერების ფსიქოლოგიის დღევანდელი გადასახედიდან კიდევ უფრო კარგად ჩანს ებინჰაუსის შრომის მნიშვნელობა.

ფსიქოლოგიის ისტორიის პოზიციიდან ებინჰაუსის მეცნიერული მოღვაწეობის ღირებულება მხოლოდ მის მიერ დადგენილი კანონზომიერებებით არ ამოიწურება. ებინჰაუსმა, ვუნდტთან შედარებით, კვლევაში ორი პრინციპული სიახლე შეიტანა და ამით საგრძნობლად შეუწყო ხელი ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის შემდგომ განვითარებას. ჯერ ერთი, მან, არსებითად, საფუძველი ჩაუყარა ექსპერიმენტის ახალ სახეობას, რომელიც მაქსიმალურად იყო „გაწმენდილი" თვითდაკვირვებისაგან. შესაბამისად, ის უფრო აკმაყოფილებდა ობიექტური მეთოდის მოთხოვნებს. მართლაც, ამ ცდებში აღარ ფიქსირდებოდა სუბიექტის განცდები: ცდისპირს ევალებოდა არა საკუთარ განცდებზე დაკვირვება, არამედ მოქმედება. იგი გარკვეულ ამოცანას (მასალის დასწავლას ან აღდგენას) ასრულებდა, ხოლო ცდის ხელმძღვანელი აღრიცხავდა შედეგებს. საბოლოო ჯამში ხერხდებოდა რაიმე მოვლენასა (დამახსოვრებას ან დავიწყებას) და გარკვეულ ფაქტორს შორის

(გამეორებათა სიხშირე ან დროში განაწილება, მასალის მოცულობა და ა.შ.) ობიექტურად არსებული დამოკიდებულების გარკვევა. აღმოჩენილი ფუნქციური კავშირი გამოისახება სათანადო გრაფიკით. ასეთი მეთოდური მიდგომა გავრცელდა ბევრ სფეროში, განსაკუთრებით კი მრავალრიცხოვან ბიჰევიორისტულ კვლევებში, სადაც შეისწავლებოდა ჩვევათა შემუშავების პროცესი ადამიანებთან თუ ცხოველებთან.

ამრიგად, ებინჰაუსმა დაძლია ვუნდტის ექსპერიმენტის შეზღუდულობა. თვით უმკაცრესი ინტროსპექციონისტი ტიჩენერიც კი უაზრო მარცვლების გამოყენებას აფასებდა, როგორც ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას არისტოტელეს შემდგომ ფსიქოლოგიაში. თუმცა ამ მეთოდით ჩატარებულ ცდებს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ "ინტროსპექციის გაკეთილს", რასაც ტიჩენერი ყველა ფსიქოლოგიური ექსპერიმენტისაგან მოითხოვდა.

ებინჰაუსზე საუბრისას არ შეიძლება გვერდი აუარო ფსიქოლოგიაში მისი მოღვაწეობის სხვა მხარეებსაც, რომლებიც არაა დაკავშირებული ექსპერიმენტულ კვლევასთან. ორი მათგანი განსაკუთრებულად არის გამოსაყოფი. ერთი ეხება მის მიერ შექმნილ სახელმძღვანელოს "ფსიქოლოგიის საფუძვლები" (1902), რომელსაც საოცარი წარმატება ხვდა. ეს მნიშვნელოვანწილად განაპირობა ავტორის თხრობის ნათელმა და საინტერესო სტილმა. ბორინგის შეფასებით ებინჰაუსი იგივე იყო გერმანიისთვის, რაც ჯეიმსი ამერიკისთვის, როგორც იმ ერთადერთი ფსიქოლოგიური სახელმძღვანელოს ავტორი, რომელიც სიამოვნებით იკითხებოდა. მეორე მომენტი უკავშირდება ებინჰაუსის წარმატებულ ორგანიზაციულ-საგამომცემლო მოღვაწეობას. 1890 წელს არტურ კენიგთან ერთად მან დააფუძნა "ფსიქოლოგიისა და გრძნობის ორგანოთა ფიზიოლოგიის ჟურნალი", რომელიც ვუნდტის სკოლისაგან დამოუკიდებელი გერმანელი მკვლევარების ბეჭდვითი ორგანო გახდა.

დაბოლოს, აუცილებელია კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი იმას, რომ ებინჰაუსმა პირველმა დაარღვია ვუნდტის მიერ დადებული ტაბუ მაღალი ფსიქიკური პროცესების ექსპერიმენტულ შესწავლაზე, თანაც გააკეთა ეს არა მხოლოდ მეხსიერების, არამედ აზროვნების მიმართაც. 1897 წელს ებინჰაუსმა შეიმუშავა ე.წ. *დაუსრულებელი წინადადებების მეთოდი* მოწაფეთა გონებრივი უნარების გასაზომად და ამით ექსპერიმენტი ინტელექტუალური პროცესების სფეროშიც შეიტანა.

მეხსიერების კვლევის ებინჰაუსისეული მიდგომა აიტაცა **გეორგ ელიას მიულერმა** (1850-1934), რომელიც სამართლიანად ითვლება თავისი დროის გამოჩენილ ექსპერიმენტატორად. გიოტინგენში მის მიერ ჩამოყალიბებული ლაბორატორია თავისი მნიშვნელობით მეორე იყო გერმანიაში ვუნდტის ლაბორატორიის მერე. აქ წლების განმავლობაში მიმდინარეობდა ინტენსიური ექსპერიმენტული მუშაობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კვლევები შესრულდა ფსიქოფიზიკის, მხედველობითი აღქმისა და მეხსიერების სფეროში. მიულერმა და მისმა თანამშრომლებმა (იოსტი, კალკინსი, ფუკო, შუმანი და სხვა) შექმნეს მეხსიერების კვლევის ახალი მეთოდები, დააზუსტეს ებინჰაუსის ზოგიერთი მონაცემი და გამოაელინეს ახალი კანონზომიერებანი.

რაც შეეხება *აზროვნების* ექსპერიმენტულ კვლევას, ამით ყველაზე მეტად სახელი გაითქვა ე.წ. *ვიურცბურგის სკოლამ.* ამ სკოლის ლიდერად ითვლება გამოჩენილი გერმანელი მეცნიერი ოსვალდ კიულპე (1862-1915). კიულპე ვუნდტის ასისტენტი იყო და მასთან თორმეტ წელს იმუშავა. 1894 წელს იგი დაინიშნა პროფესორად ვიურცბურგის უნივერსიტეტში, სადაც თხუთმეტი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა უძლიერესი შემადგენლობით დაკომპლექტებულ ლაბორატორიას. ვიურცბურგის სკოლას მიეკუთვნება მრავალი ცნობილი მეცნიერი: ნ. ახი, კ. ბიულერი, ო. ზელცი, ა. მაიერი, კ. მარბე, ა. მიშოტი, ა. მესერი, ჯ. ორტი, ჰ. უატი და სხვა. გასაკვირი არ არის, რომ ფსიქოლოგების ამ თანავარსკვლავედმა ნამდვილი გარღვევა მოახდინა მთლიანად ზოგად და, კერძოდ, აზროვნების ფსიქოლოგიაში.

ლაიფციგში ყოფნისას კიულპემ დაწერა სახელმძღვანელო, რომელიც არ შეიცავდა თავს აზროვნების შესახებ. ეს გარემოება ნიშანდობლივია. კიულპე ამ წიგნში აყალიბებს თავის კრედოს – ილაპარაკოს მხოლოდ მეცნიერულ ფაქტებზე. ვინაიდან აზროვნება იმ დროს სრულებით არ იყო ექსპერიმენტულად შესწავლილი, მან არც ჩათვალა შესაძლებლად ელაპარაკა აზროვნების მეცნიერულ ფსიქოლოგიაზე. ყველაფერი, რაც მანამდე აზროვნების შესახებ იყო ცნობილი, ამოიწურებოდა ასოციაციონისტურ-სენსუალისტური შეხედულებით, რომლის თანახმად ფსიქიკის ერთადერთი საშენი მასალა არის შეგრძნებები და წარმოდგენები; შესაბამისად, ეგონათ, რომ აზროვნებაც ამ მასალითაა აგებული. არც აზროვნების პროცესი შეიცავს რაიმე სპეციფიკურს. აქაც, როგორც სხვაგან, ასოციაციის კანონები ბატონობს. ამ კანონების შესაბამისად აზროვნების პროცესში ხდება წარმოდგენების ურთიერთგაპირობება, კომბინირება, გაერთიანება. ცნება არის წარმოდგენათა ერთდროული ასოციაციის პროდუქტი, მსჯელობა – თანმიმდევრულის. კიულპემ და მისმა თანამშრომლებმა ეს შეხედულებანი ძირფესვიანად შეარყიეს.

თავდაპირველად ვიურცბურგში იგივე თემატიკა მუშავდებოდა, რაც ლაიფციგში. მაგრამ მალე კვლევის მეთოდოლოგიაში სპეციფიკური ელემენტი გაჩნდა. ცდისპირებს, რომელთა როლში ლაბორატორიის წევრები გამოდიოდნენ, სთხოვდნენ არა მხოლოდ იმას, რომ ეთქვათ, რომელი საგანია უფრო მძიმე (ფსიქოფიზიკური ექსპერიმენტი), ან ერთ სიტყვაზე მეორეთი ეპასუხათ (ასოციაციური ექსპერიმენტი), არამედ აგრეთვე იმასაც, რომ აღედგინათ, თუ რა შინაარსები უჩნდებოდათ ცნობიერებაში, სანამ გამოიტანდნენ დასკვნას სიმძიმეზე ან წარმოთქვამდნენ სიტყვა-რეაქციას. ამდენად, კვლევამ სხვა შინაარსი მიიღო. აქამდე ინტერესის საგანი იყო რაიმე ზემოქმედების შედეგად აღმოცენებული განცდები. იგულისხმებოდა, რომ ეს განცდები შეიცავდნენ ინფორმაციას ცნობიერების იმ ელემენტების შესახებ, რომელთაგანაც შექმნილია ფსიქიკის სტრუქტურა. ვიურცბურგელებმა თა-

ვიანთ ექსპერიმენტებში თვითდაკვირვების მიმართულება შეცვალეს. ახლა ის წარიმართა თვით მოქმედების მიმდინარეობის განცდაზე. ეს მოქმედება განიხილებოდა, როგორც მსჯელობა, რაც, პრაქტიკულად, აზროვნების პროცესია.

პირველი ასეთი გამოკვლევა 1901 წელს შეასრულა კარლ მარბემ (1869-1953), რომელშიც განხილული იყო წონათა შეფასების პროცესი ფსიქოფიზიკური ექსპერიმენტის ფარგლებში. აღმოჩნდა, რომ მსჯელობა ისე მიმდინარეობს, რომ ცდისპირმა არაფერი იცის მის შესახებ. ყოველ შემთხვევაში ცნობიერებაში არ დასტურდება ის თვალსაჩინო შინაარსები თუ წარმოდგენები, რომლებიდანაც ლოგიკის კანონების შესაბამისად გამომდინარეობს დასკვნები. გაგება, დასკვნა, წვდომა არ ნიშნავს სათანადო სატის გაჩენას ცნობიერებაში. თვით დასკვნა არათვალსაჩინო ფორმაშია მოცემული. ამავე დროს, ამ პროცესში თვითდაკვირვება აღასტურებს განცდებს, რომლებიც მოკლებულია ყოველგვარ სენსორულ შინაარსს. ამ განცდებს *ცნობიერების მდგომარეობები* ეწოდა. იგივე ვითარება აღინიშნა მაიერის და ორტის მიერ იმავე წელს შესრულებულ გამოკვლევაში, სადაც შეისწავლებოდა ასოციაციის ექსპერიმენტში აღმოცენებული განცდები.

თანდათანობით ექსპერიმენტული პროცედურა ტექნიკურად გართულდა, დაიხვეწა და უშუალოდ აზროვნებაზე გახდა მიმართული. მაგალითად, ცდისპირს ოპტიკურად ეძლევა სიტყვა. მან უნდა მონახოს მოცემული სიტყვის თანაქვემდებარე სიტყვა – უფრო ზოგადი ან უფრო კერძო ცნება – ე.ი. ლოგიკური კავშირი დაამყაროს მათ შორის. ეს უკვე ნამდვილი აზროვნებაა. ამასთანავე, ცდისპირს ევალება ამ ამოცანის შესრულების პროცესში აღმოცენებული განცდების აღწერა. ხშირად ეს პროცესი იყოფოდა პერიოდებად ან ინტერვალებად (მოსამზადებელი პერიოდი, გამღიზიანებელი სიტყვის აღქმის, სიტყვა-რეაქციის ძიებისა და საპასუხო სიტყვის გამოელენის პერიოდი). სხვადასხვა ცდაში ცდისპირების ყურადღება ხან ერთ პერიოდზეა მიპყრობილი, ხან მეორეზე. ამ გზით თანდათან გროვდებოდა სრული ინფორმაცია მთლიანად პროცესის მიმდინარეობის შესასებ. ამ ექსპერიმენტულ პროცედურას *სისტემატური ექსპერიმენტული თვითდაკვირვების მეთოდი* უწოდეს. ამასთან, ხაზგასმით აღინიშნებოდა, რომ ამ შემთხვევაში ექსპერიმენტული თვითდაკვირვება *რეტროსპექტულია*. ეიურცბურგელთა ამოსავალი დებულების თანახმად, აზროვნებასთან დაკავშირებულ განცდებზე უშუალო დაკვირვება შეუძლებელია. როგორც კიულპე წერდა, "შეუძლებელია ვიაზროვნოთ და თანაც ისე, რომ მთლიანად მივეცეთ ამ აზრებს, ჩავიძიროთ მათში და, ამავე დროს, დავაკვირდეთ მათ მიმდინარეობას – ფსიქიკის ასეთი გაყოფა ბოლომდე შეუძლებელია. ჯერ პირველი უნდა მოხდეს, შემდეგ მეორე". ეს ნიშნავს, რომ ექსპერიმენტული ინტროსპექცია აზროვნების აქტში კი არ არის ჩართული, არამედ უშუალოდ მოჰყვება მას, ანუ ეს უკუხედვაა, მიმართული პროცესის ინერციაზე, უშუალო მოგონებაში არსებულ კვალზე.

პირველსავე ცდებში გამოჩნდა, რომ სიტყვის მნიშვნელობის გაგებაც კი სრულიად არ მოითხოვს იმ საგნის თვალსაჩინო წარმოდგენას, რომელ-

საც ის აღნიშნავს. ხშირად დასტურდებოდა შემთხვევები, როცა გაგების ფაქტს (მნიშვნელობის, საზრისის, ცნების მოცემულობის განცდა) არ ახლდა სათანადო წარმოდგენა. შესაბამისად, გაკეთდა დასკვნა უხატო და უსიტყვო აზროვნების, ან სხვაგვარად, *არათვალსაჩინო აზროვნების* არსებობის შესახებ.

ვიურცბურგის სკოლის კვლევების დაწყებიდან ძალიან მალე იმავე დასკვნამდე დამოუკიდებლად მივიდა ორი ცნობილი მეცნიერი: ფრანგი ა. ბინე და ამერიკელი რ. ვუდვორთი. ბინე აზროვნების ასოციაციონისტურ გაგებას ებრძოდა და თავის კვლევაში ვიურცბურგელების ანალოგიური მონაცემები მიიღო (1903). ბინეს სიტყვებით, ხატი წიგნის გრავიურების მსგავსია; ისევე როგორც რამდენიმე ილუსტრაცია ვერ გაგვაგებინებს წიგნის შინაარსს, ხატიც ვერ მოგვცემს იმ შინაარსს, რომელიც იაზრება ხატის (წარმოდგენის) განცდისას. აზროვნება, საზოგადოდ, მწირია თვალსაჩინო შინაარსით, სამაგიეროდ, დატვირთულია განცდებით, რომლებსაც არ გააჩნიათ არც გრძნობადი რომელობა (მაგ., ფერი, ტონი და სხვა), არც ინტენსიეობა. ისინი არც სურათებია და არც წარმოდგენები. ამ არათვალსაჩინო განცდების აღსანიშნავად ვიურცბურგის სკოლაში განსხვავებულ ცნებებს იყენებდნენ: *ცოდნა* (კიულპე), *აზრი* (მესერი), *წმინდა აზრი* (ბიულერი), *ცნობიერობა* (ახი).

ვუდვორთი ამბობდა, რომ თვალსაჩინოება მხოლოდ აზრის „სამოსია" და გაშიშვლებულ აზრს ბოლომდე ხელეწიფება თავისი საქმის კეთება. ეს კი ნიშნავს, რომ სუბიექტმა უნდა გააცნობიეროს გარემოში არსებული მიმართებები და მიუსადაგოს მათ თავისი შეგუებითი ქცევა. როგორც ჩანს, იმ დროისთვის შეხედულებამ აზროვნების თვალსაჩინო-წარმოდგენითი ბუნების შესახებ სერიოზული დისკრედიტაცია განიცადა და მისი საწინააღმდეგო მოსაზრებები ერთდროულად გაჩნდა სხვადასხვა ქვეყანაში.

და მაინც, დებულება, რომ აზროვნების პროცესის ძირითადი საშენი მასალა არათვალსაჩინო ფსიქიკური ფენომენებია და არა წარმოდგენები, პირველ რიგში და უმთავრესად ვიურცბურგის სკოლაში ჩატარებული მრავალი ექსპერიმენტული გამოკვლევის განზოგადებაა[1]. ეს დებულება შემდეგ ფაქტოლოგიურ საფუძველს ეყრდნობა: ბევრია ე.წ. წმინდა აზრის წარმოდგენის გარეშე მოცემულობის შემთხვევები. ხშირად აზრისა და ხატის შინაარსი სრულიად განსხვავებულია. ისეც ხდება, რომ წარმოდგენა და გაგება (ცოდნა) არ ემთხვევა ერთმანეთს დროში – ხან ერთი უსწრებს წინ, ხან – მეორე. იგივე ითქმის სინათლის ხარისხზეც – ან ერთია უფრო ნათელი, ან მეორე. გარდა ამისა, ერთი და იგივე აზრი სხვადასხვა სიტყვებით და, მაშასადამე, სხვადასხვა წარმოდგენებით შეიძლება გადმოიცეს. სწრაფი კითხვის ან ლაპარაკის დროს გვესმის აზრი, მაგრამ ცნობიერებაში თითოეული სიტყვის ხატი არ წარმოიქმნება. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ არსებობს მრავალი განყენებული შინაარსის მქონე სიტყვა (მაგ., მდგომარეობა, თვისება, არსი, აუცილებლობა, მიზეზობრიობა, უსასრულობა, მარადიულობა და ა.შ.), რომელთა შესაბამისი წარმოდგენები საერთოდ არ არსებობს; არათვალსა-

[1] ამ მხრივ სპეციალური აღნიშვნის ღირსია მესერის გამოკვლევა, რომელიც სიტყვების მნიშვნელობის გაგებას მიეძღვნა (1906).

ჩინო ფორმაშია მოცემული იმის განცდაც, რომ ვიცით დიდი მოცულობისა და რთული შინაარსის მქონე მოძღვრება; ასეთი განცდის წარმოდგენა პრინციპულად შეუძლებელია.

წმინდა ინტელექტუალურ არათვალსაჩინო განცდებთან ერთად, რომლებიც აზრის, ცოდნის მოცემულობას ადასტურებენ, გამოელინდა აგრეთვე აზროვნების პროცესთან დაკავშირებული ემოციური ელფერის მქონე განცდებიც. ასეთია უკვე ნასსენები *ცნობიერების მდგომარეობები.* მაგალითად, სწორისა და მცდარის, ცნობის, შედარების, დარწმუნებულობის, ყოყმანის, ეჭვის, ძიების, მოლოდინის, მიმართულობისა და სხვა განცდები. ეს, მართლაც, თავისებური განცდებია, განსხვავებული როგორც არათვალსაჩინო განცდებისაგან, ისე ჩვეულებრივი ემოციებისაგან. ამაში დაერწმუნდებით, თუ შევადარებთ ეჭვის ან დარწმუნებულობის ცნობიერების მდგომარეობას რაიმე ცნების მნიშვნელობის წვდომის ან მეცნიერული თეორიის ლედაბრის გაგების განცდას. ადვილი შესამჩნევია, რომ ეს აშკარად სხვადასხვა ბუნების განცდებია.

აზროვნების სპეციფიკური არათვალსაჩინო ფსიქიკური შინაარსების დადგენასთან ერთად ვიურცბურგის სკოლაში წარმოებდა *აზროვნების დინამიკის*, მისი მიმდინარეობის კვლევა და ამ პროცესის *მექანიზმის* ძიება. აღნიშნულმა კვლევამ მეცნიერება გაამდიდრა სპეციფიკური, არაასოციაციური ცნებებითა და ფსიქიკური მექანიზმებით. სახელდობრ, უკვე უატის ცნობილ ადრინდელ კვლევაში ნათლად გამოჩნდა, რომ ე.წ. *შემღუდული ასოციაციის ექსპერიმენტებში*[1] აზროვნების პროცესი განსაზღვრულია ცდისპირის მიერ მიღებული ამოცანის თავისებურებით. თანდათანობით, შემდგომი კვლევების პროცესში, "ამოცანა" ფუნდამენტურ ცნებად გადაიქცა. მიჩნეულ იქნა, რომ ამოცანის მიღება ინდივიდში წარმოქმნის მის გადაწყვეტაზე მიმართულობის მდგომარეობას, რომელიც წარმართავს სწორი პასუხის ძიების პროცესს. აზროვნება აღიწერება, როგორც *ამოცანის გადაწყვეტის პროცესი.* მას იწვევს ამოცანის (პრობლემის) სიტუაცია, ხოლო აგვირგვინებს ამოცანის გადაწყვეტა. ეს უკანასკნელი სუბიექტისთვის აქამდე უცნობი მიმართების მონახვაში, ახალი მნიშვნელობის წვდომაში მდგომარეობს. აზრის წვდომას, მნიშვნელობის გაგებას თავისებური შვების განცდა ახლავს, რომელსაც კარლ ბიულერმა (1907) *აჰა-განცდა* უწოდა. გაგება ნიშნავს ახალი აზრისთვის "ლოგიკური ადგილის მონახვას" იმ სფეროში, რომელსაც ეკუთვნის აზრში ნაგულისხმები ობიექტი ან მოვლენა. ამის შემდეგ აზროვნების პროცესი მთავრდება. აჰა-განცდა აზროვნების პროცესის დასრულებას გამოხატავს.

**ნარცის ახმა** (1871-1946) აიტაცა და განავითარა იდეა აზროვნების პროცესის ამოცანით განსაზღვრულობის შესახებ. მან აღიარა, რომ როდესაც ადამიანი გარკვეული ამოცანის წინაშე დგება, ან, უფრო ფართოდ, რაიმე მიზანს ისახავს, მის მოქმედებას განსაზღვრავს არა წარმოდგენების ან აზ-

[1] ამ ექსპერიმენტებში ცდისპირმა სიტყვა-სტიმულის გაგონებისთანავე უნდა დაასახელოს მასთან გარკვეულ დამოკიდებულებაში მყოფი ცნება: ვთქვათ, უფრო ზოგადი ან უფრო კერძო ცნება, გვარეობითი ან სახეობითი ცნება და ა.შ. პარალელურად ზუსტად იზომება რეაქციის დრო.

რების მონაცვლეობის ასოციაციური ტენდენცია, არამედ ამოცანიდან (მიზნიდან) გამომდინარე *დეტერმინაციის ტენდენცია*. ეს ტენდენცია განაპირობებს არა მხოლოდ აზროვნების, არამედ ყოველგვარი ნებელობითი მოქმედების მიზანმიმართულ და მოწესრიგებულ მიმდინარეობას. მაშასადამე, დეტერმინაციის ტენდენცია საკმაოდ ფართო ცნებაა; ის ესება ნებელობითი მოქმედების ყველა სახეს, მათ შორის აზროვნებასაც. ამდენად, იგი *ნებელობის* მოქმედების მექანიზმს გამოსატავს.

თავის კლასიკურ კელევაში ახი შეეცადა გაეგმომა დეტერმინაციის ტენდენციის, ანუ, მისი აზრით, ნებელობის ძალა. ექსპერიმენტის სქემა ასეთია: ცდისპირი მრავალჯერადი გამეორების გზით იზეპირებს უაზრო მარცელების წყვილებისაგან (მაგ., ღუს-ფალ, მენ-დიქ და ა.შ) შემდგარ მწკრიეს. ამის შემდეგ მას ევალება თვითეული წყვილის პირველი მარცელის გამოჩენისას (მაგ., ღუს ან მენ) უპასუხოს არა წყვილის შესაბამისი წევრით, არამედ წარმოთქვას ეს მარცვალი შებრუნებულად (მაგ., სულ ან ნემ) ან მოუნასოს მას რითმა (მაგ., ღუს-მუს ან მენ-ბენ). პარალელურად იზომება დრო და ფიქსირდება შეცდომები. ახის აზრით, აქ ერთმანეთს უპირისპირდება ორი ტენდენცია: *ასოციაციის რეპროდუქციის ტენდენცია*, რომელიც, ასოციაციის კანონების თანახმად, ამ სიტუაციაში უნდა გაუჩნდეს ინდივიდს, და *დეტერმინაციის ტენდენცია*, რომელიც ამოცანიდან (განზრასვიდან) მომდინარე ნებელობით აქტივობას გამოხატავს. იგულისხმება, რომ ასოციაციის რეპროდუქციის ტენდენციის ძალა განისაზღვრება მარცვლების წყვილების გამეორებათა რაოდენობით. ეს არის *რეპროდუქციის კოეფიციენტი*, რომელიც მით უფრო დიდია, რაც უფრო მეტია გამეორებათა რიცხეი. ის გამოხატავს ნებისყოფის ძალის *ასოციაციურ ექვივალენტს*. ვთქვათ, ეს რიცხეი ასია. ეს ნიშნავს, რომ თუ დეტერმინაციის ტენდენციამ დაძლია რეპროდუქციის მოცემული ტენდენცია, მისი ძალა არანაკლებ ასის ტოლი ყოფილა (*ნებისყოფის კოეფიციენტი*).

მოგვიანებით გაირკვა, რომ ასოციაციური ეკვივალენტით ნებისყოფის გაზომვა ვერ ხერხდება, ვინაიდან ასოციაციის რეპროდუქციის ტენდენცია, რომელსაც დეტერმინაციის ტენდენცია უნდა დაუპირისპირდეს, თავისთავად და ავტომატურად არ წარმოიქმნება მხოლოდ იმიტომ, რომ მას წინ მრავალჯერადი გამეორება უძღვის. კ. ლევინმა სპეციალური ექსპერიმენტებით (1917) აჩვენა, რომ მისი წარმოქმნისთვის საჭიროა დამატებითი მოტივაციის გაჩენა, *რეპროდუქციის განწყობის* შემუშავება.

რაც შეეხება დეტერმინაციის ტენდენციის ცნების საფუძველზე აგებულ თეორიულ მოდელს, იგი შეფასებულია, როგორც ტელეოლოგიური და მექანისტური. ტელეოლოგური იმიტომ, რომ ქცევის განმსაზღვრელი ძალა მიზნის ცნობიერებიდან გამოჰყავს, ხოლო მექანისტური იმდენად, რამდენადაც უშვებს მიზნის წარმოდგენის უშუალო ზემოქმედებას ფსიქიკურ შინაარსებზე და, მაშასადამე, სუბიექტის (პიროვნების) აქტივობას ზედმეტად ხდის.

დეტერმინაციის ტენდენცია დამკვიდრდა ფსიქოლოგიაში სასარგებლო აღწერითი ცნების სახით, რომელიც ქცევის მოწესრიგებულობასა და მიზნისკენ მიმართულობას გამოსატავს. მაგრამ ფსიქიკური მოქმედების, მათ შორის აზროვნების პროცესის, ცნობიერი ამოცანიდან ან მიზნიდან მომდინარე ტენდენციით ახსნას შეიძლება სერიოზული გაუგებრობა მოჰყვეს. უკვე უატის ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ იმის მერე, რაც ცდისპირი მიიღებს, შეგნებულად გაიაზრებს, შეიწყნარებს ამოცანას და მის შესრულებაზე გადავა, ამოცანის საბოლოო მიზანი ცნობიერების არიდან გადის, ყოველ შემთხვევაში, თვითდაკვირვება მის არსებობას აღარ ადასტურებს. ეს ვითარება გამოვლინდა ასის ცდებშიც. ამიტომ მან დაასკვნა, რომ მოქმედების პროცესში მიზნისა და განზრახვის გაცნობიერება თითქმის არ ხდება. დეტერმინაციის ტენდენცია კი პრაქტიკულად ყოველთვის *არაცნობიერ* დონეზე მოქმედებს. გამოდის, რომ მიზანი ცნობიერების გარეთაა და ისე განსაზღვრავს პროცესს. მაგრამ მიზანი, როცა ის მართლაც მიზანია, უთუოდ ცნობიერებაში უნდა იყოს. ხოლო ის, რაც მიზნის მსგავსად მოქმედებს, მაგრამ ცნობიერი არ არის, უკვე საკუთრივ მიზანი აღარაა, სხვა მოვლენაა. ახს კი რაიმე სახის შესედულება აქტივობის რეგულაციის არაცნობიერი ფსიქოლოგიური მექანიზმის შესახებ არ გააჩნია. ამიტომაც დეტერმინაციის ტენდენცია ამხსნელ ცნებად ვერ გამოდგება.

აქ კიდევ ერთი რამ არის საყურადღებო. ახი, ფაქტობრივად, თვითდაკვირვების მონაცემებს იყენებს იმის საჩვენებლად, რომ ცდისპირი ვერ აცნობიერებს აზროვნების პროცესს, თავისი აზრების ამა თუ იმ მიმართულების მიზეზს, ანუ თავისი აზროვნების მექანიზმს. გაუცნობიერებელი დეტერმინაციის ტენდენციების არსებობის ყველაზე დამაჯერებელ მტკიცებად ახი თვლიდა თავის ცდებს პოსტჰიპნოტური შთაგონების ტექნიკის გამოყენებით. მაგალითად, ჰიპნოზის მდგომარეობაში მყოფ ცდისპირს ეუბნებიან: შენ გაჩვენებენ ორ ბარათს, რომლებზეც ეწერება ორი რიცხვი. პირველი ბარათის ჩვენებისას უნდა დაასახელო ამ რიცხვების ჯამი, ხოლო მეორის ჩვენებისას – მათი სხვაობა. შემდეგ ჰიპნოზიდან გამოყვანილ ცდისპირს ეძლევა პირველი ბარათი რიცხვებით 7 და 3, რომელზე შეხედვისთანავე იგი პასუხობს – ათი; ხოლო მეორე ბარათს რიცხვებით 5 და 3 – მოჰყვება პასუხი ორი. კითხვაზე, თუ რატომ წარმოთქვა მან ეს რიცხვები, ცდისპირი მხოლოდ იმის კონსტატაციას ასერხებს, რომ მან სწორედ ამ სიტყვის წარმოთქმის დაუძლეველი სურვილი იგრძნო. მისი თვითდაკვირვება ამაზე მეტს არაფერს ამბობს. მაშასადამე, როგორც ამოცანის მიღება, ისე მისი შესრულება ცნობიერების მიღმა რჩება. ამრიგად, ირკვევა, რომ თვითდაკვირვება ვერ იჭერს აზროვნების პროცესის უმნიშვნელოვანეს მახასიათებლებს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩატარებულმა კვლევამ ინტროსპექციის შეზღუდულობა ამკარად გამოავლინა, ვიურცბურგელები რჩებოდნენ სისტემატური ექსპერიმენტული თვითდაკვირვების აპოლოგეტებად. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ინტროსპექციამ სწორედ ამ სკოლაში მიაღწია თავის ზენიტს. მისი მეშვეობით, მართლაც, მოპოვებულ იქნა საინტერესო მონაცემები, პირველ რიგში ცნობიერების არათვალსაჩინო შინაარსების აღმოჩენის კუთხით.

მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს მონაცემები არ დაადასტურეს ვიურცბურგელთა ოპონენტებმა ვუნდტისა და ტიჩენერის სკოლიდან. ჩაატარეს რა იგივე ცდები, მათ არ მიიღეს ისეთივე შედეგები. საფიქრებელია, რომ მონაცემთა განსხვავებულობა ძირითადად გამოწვეული იყო ცდისპირების არაერთგვაროვანი გამოცდილებით. საქმე ისაა, რომ ორივე სკოლაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ცდისპირთა გაწაფულობას თვითდაკვირვებაში. ცდისპირს უამრავ წინასწარ ცდაში უნდა მიეღო მონაწილეობა, რათა მისი ინტროსპექცია მომზადებულად ჩათვლილიყო. ექსპერიმენტებში, როგორც წესი, მონაწილეობდნენ ამ სკოლის თუ ფსიქოლოგიური მიმდინარეობის წარმომადგენელი სპეციალისტები. ბუნებრივია, რომ წინასწარ ცდებში მათ გამოუმუშავდებოდათ სწორედ იმის გაცნობიერების უნარი, რაც შეესაბამებოდა მათ თეორიულ შეხედულებებს. ექსპერიმენტში მათი მოქმედება (თვითდაკვირვება) ამგვარი განწყობით თუ აპოცანით იყო განპირობებული. ცდისპირები, ცხადია, ამას არ აცნობიერებდნენ, მაგრამ ეს უეჭველად განსაზღვრავდა ექსპერიმენტის შედეგს. გამოდის, რომ ერთნი აწყობილნი იყვნენ შეემჩნიათ თვალსაჩინო შინაარსები, მეორენი კი – არათვალსაჩინო. ამავე დროს, ორივე მხარე ამტკიცებდა ინტროსპექციული ექსპერიმენტის მისეული ვარიანტის სრულყოფილებას, თუმცა ვერ იძლეოდა თვითდაკვირვების მონაცემთა კონტროლის სარწმუნო ხერხს და ამ მეთოდის სანდოობის კრიტერიუმს.

ვიურცბურგის სკოლა XX საუკუნის ათიანი წლების დასაწყისში წყვეტს თავის არსებობას. მან მთლიანად ამოწურა თავი თეორიულად და მეთოდურად. ამ მეცნიერულმა სკოლამ გაამდიდრა ფსიქოლოგია სრულიად ახალი მონაცემებით, აღმოაჩინა რა ცნობიერების არათვალსაჩინო შინაარსები და მაღალი ფსიქიკური პროცესების (აზროვნება, ნებელობა) ამოცანით ან მიზნით დეტერმინირებულობის მოვლენა. ეს მონაცემები საფუძველს აცლიდა იმ დროს ჯერ კიდევ ძალაში მყოფ ცნობიერების ასოციაციურ-სენსუალისტურ თვალსაზრისს.

ვიურცბურგელები შესანიშნავი ექსპერიმენტატორები იყვნენ. მათ უმაღლეს დონეზე აიყვანეს ინტროსპექციული ექსპერიმენტის ტექნიკა და, ამავე დროს, თავისდაუნებურად გამოამზეურეს ამ მეთოდის ყველა მანკიერება. დისკუსიამ ინტროსპექციონისტ-ექსპერიმენტატორებს შორის მთლიანად ინტროსპექციული ფსიქოლოგიის კრიზისი გამოიწვია. სკეპტიციზმმა თვით ამ მიმართულების წარმომადგენლებიც შეიპყრო. ცნობილი ბელგიელი ფსიქოლოგი ალბერტ მიშოტი, რომელიც თავდაპირველად ვიურცბურგის სკოლის დიდი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ ასეთ ინტროსპექციულ ექსპერიმენტებს მნიშვნელობა მხოლოდ საკუთარი თავის დარწმუნებისთვის აქვთ; ის, რისი შემოწმება შეუძლებელია, ვერ იქნება განხილული როგორც მეცნიერული. ბუნებრივია, რომ სხვა ორიენტაციის მეცნიერთა შეფასება არანაკლებ მკაცრი უნდა ყოფილიყო. განსაკუთრებით ეს ეხება იმ მკვლევარებს, რომელთაც ცხოველების ობიექტური მეთოდებით შესწავლის გამოცდილება ჰქონდათ. 1913 წელს გამოქვეყნდა ბიპევიორიზმის მანიფესტად წოდებული ჯონ უოთსონის საყოველთაოდ ცნობილი წე-

რილი, რომელიც ინტროსპექციით გაწბილებული ფსიქოლოგების ნაწილის გულისთქმას გამოხატავდა. თეითდაკვირვება, რომელიც ექსპერიმენტშია ჩართული, პრინციპულად ვერ მოგვცემს სანდო მონაცემებს. ამიტომ ექსპერიმენტში ისეთ მოვლენას უნდა დავაკვირდეთ, რომელიც ობიექტურად და, მაშასადამე, ყველასთვის ერთნაირად არის მოცემული. ასეთია, უოთსონის აზრით, ქცევა.

ეს მეთოდოლოგიური პოზიცია ზოოფსიქოლოგიური კვლევებით იყო შთაგონებული. საუკუნეების მიჯნაზე ცხოველთა ქცევის ექსპერიმენტულმა შესწავლამ უკვე საკმაოდ მოიკიდა ფეხი, განსაკუთრებით ამერიკაში. შემუშავდა კლასიკური მეთოდიკები: პრობლემური ყუთი (თორნდაიკი) და ლაბირინთი (სმოლი), რომელთა უამრავი ვარიაცია დღესაც გამოიყენება. შემდგომში ექსპერიმენტის ტექნიკა კიდევ უფრო დაიხვეწა (იხ. 6.4.).

მთავარი, რაც განასხვავებს ცხოველთა ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიურ შესწავლას ისაა, რომ აქ ცდისპირს ვერ მისცემ ინსტრუქციას და ვერ გამოჰკითხავ ცდის მსვლელობაში აღმოცენებული განცდების შესახებ. ცხოველის ცდაში ჩასართველად ინსტრუქციის ნაცვლად გამოიყენება მისი საგანგებოდ აღმოცენებული ესა თუ ის ბუნებრივი მოთხოვნილება (მაგ., შიმშილი, ტკივილის არიდება და ა.შ.). განცდების ნაცვლად ფიქსირდება მოქმედებისა და შინაგანი ორგანოების გარკვეული პარამეტრები.

ცხოველთა ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიურ კვლევას გარკვეული უპირატესობა აქვს. ჯერ ერთი, ცხოველთა ფსიქიკის მოვლენები გაცილებით მარტივია და, ამდენად, უფრო ადვილია მათი ექსპერიმენტული კვლევა. მეორეც, ცხოველებთან ექსპერიმენტის ჩატარებისას შესაძლებელია ცდის პირობების და ფაქტორების უფრო სრული და ზუსტი კონტროლი. დაბოლოს, ექსპერიმენტული ცხოველების სიცოცხლის ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ადამიანისას. ამიტომ მათთან შესაძლებელია ისეთი კვლევის წარმოება, რომელიც ინდივიდის მთელ სიცოცხლეს მოიცავს; უფრო მეტიც, რამდენიმე მომყოლი თაობის სიცოცხლეზე ვრცელდება. ასეთი კვლევების ჩატარება ადამიანებზე ან ძალზე გართულებულია, ანდა სულაც შეუძლებელი. მაგალითად, ერთ-ერთ კვლევაში იმის გასარკვევად, დეტერმინირებულია თუ არა ნიჭიერება გენეტიკურად, მიმართეს ხელოვნური სელექციის მეთოდს. თეორ თაგვებს ასწავლეს ლაბირინთის გავლა. ცხოველები ორ ჯგუფად გაყვეს: "ჭკვიანები", რომელთაც საუკეთესო შედეგი აჩვენეს, და "სულელები", რომელთაც ლაბირინთის დასასწავლად ყველაზე მეტი დრო დასჭირდათ. თითოეული ჯგუფის შიგნით მოხდა ცხოველების შეჯვარება. შემდგომი თაობის ცხოველებზე იგივე პროცედურა ჩატარდა. აქაც ცხოველები ჯერ დაიყო დასწავლის უნარის მიხედვით და შემდეგ მოხდა მათი შეჯვარება ჯგუფის შიგნით. ასე გამეორდა ექვს თაობაში. შედეგებმა ნათლად აჩვენა, რომ შესაძლებელია დასწავლისადმი გენეტიკური მიდრეკილების გაძლიერება ან შემცირება. "ჭკვიანი" ჯგუფის ცხოველების მაჩვენებელი ყოველ თაობაში საგრძნობლად მატულობდა, ხოლო "სულელთა" ჯგუფში დეგრადაციის გამოხატულმა ტენდენციამ იჩინა თავი. ცდის ბოლოს სხვადასხვა ჯგუფის ცხოველების შორის განსხვავება უნარების მიხედვით თავდაპირ-

ველთან შედარებით ძალიან გაიზარდა. ამის მსგავსი ცდის ჩატარებას ადამიანებზე, რომ არაუერი ვთქვათ ეთიკურ მხარეზე, სულ ცოტა 180 წელიწადი დასჭირდებოდა, თუ თაობას 30 წლით განვსაზღვრავთ. ამ უპირატესობათა გამო ექსპერიმენტები ცხოველებზე ტარდებოდა და ტარდება არა მხოლოდ თვით ცხოველთა ფსიქიკის საკვლევად, არამედ ადამიანის მსგავსი ფსიქიკური თვისებების შესასწავლად.

პარალელურად ექსპერიმენტული მეთოდი გავრცელდა ბავშვებზე. პირველსავე ამერიკულ ფსიქოლოგიურ ლაბორატორიაში, რომელიც 1883 წელს კლარკის უნივერსიტეტში დააარსა ვუნდტის მოწაფემ, ს. ჰოლმა, ცდები ბავშვებზეც ტარდებოდა. იგივე ხდებოდა ევროპაშიც. ბავშვისა და პედაგოგიური ფსიქოლოგიის ავტორიტეტები, კერძოდ, ვ. ანრი, ე. კლაპარედი, ე. მოიმანი და სხვები, პედაგოგიკის რეფორმირების პერსპექტივას სწორედ ექსპერიმენტის დამკვიდრებას უკავშირებდნენ (იხ. 6.3.). ცხადია, ბავშვთან ექსპერიმენტი ბევრ თავისებურებასთან არის დაკავშირებული. რაც უფრო პატარაა ბავშვი, მით უფრო ნაკლებად წააგავს მასზე ჩატარებული ცდა მოზრდილზე განხორციელებულ ექსპერიმენტს. ცხოველისა არ იყოს, პატარა ბავშვს ვერ მისცემ ინსტრუქციას და ვერ მოსთხოვ ანგარიშს. მაგრამ მას ვერც ისე ამოქმედებ, როგორც ცხოველს, ვთქვათ, პრობლემურ ყუთში ან ლაბირინთში. ვ. შტერნი ბავშვის ფსიქოლოგიაში ექსპერიმენტის გამოყენების სხვა სირთულეებსაც აღნიშნავს, სასელდობრ, ესაა გაძნელებული კონტაქტი ბავშვსა და ცდის ხელმძღვანელს შორის, ბავშვის შედარებით სწრაფი დაღლა, განსაკუთრებით ერთგვაროვანი საქმიანობის დროს, ბავშვის ინტერესის სისუსტე ექსპერიმენტის პირობების მიმართ და მისი ყურადღების გაუთვალისწინებელი მერყეობა.

ექსპერიმენტში ბავშვის ჩართვასა და მის აქტიურ მოქმედებასთან დაკავშირებული სირთულეების დასაძლევად ა. ლაზურსკის მიერ 1910 წელს შემოთავაზებულ იქნა ე.წ. *ბუნებრივი ექსპერიმენტის მეთოდი*. ეს მეთოდი ცდის ისეთ ორგანიზაციას გულისხმობს, როდესაც ექსპერიმენტი ბავშვისთვის ბუნებრივ სიტუაციაში და ბუნებრივი ქცევის (თამაში, სწავლა და სხვა) ფარგლებში მიმდინარეობს. ლაბორატორიული ექსპერიმენტისაგან განსხვავებით, ცდისპირმა არც იცის, რომ იგი ცდის მონაწილეა. იგი თავის ჩვეულებრივ და მისაღებ საქმიანობას ეწევა, რომლის შინაარსი და მსვლელობა (მაგ., გაკვეთილის მიმდინარეობის ესა თუ ის ასპექტი) კელეევითი ამოცანების შესაბამისად არის განსაზღვრული.

როგორც ვხედავთ, ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის განვითარება ინტროსპექციასთან დაკავშირებული სირთულეების გამორიცხვის მიმართულებით წარიმართა. ამ მხრივ უკიდურესად რადიკალური პოზიცია ბიპევიორისტებმა დაიკავეს. მათ საერთოდ უარი თქვეს ცნობიერების მოვლენების შესწავლაზე და მთლიანად ქცევის (უპირატესად, ცხოველების) კვლევას მიმართეს (იხ. 8.1.). მაგრამ ეს არ იყო ერთადერთი რეაქცია ცნობიერების ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის სირთულეებზე. ბიპევიორიზმის პარალელურად გერმანიაში ჩამოყალიბდა ძლიერი სამეცნიერო მიმდინარეობა – გეშტალტფსიქოლოგია, რომელიც უფრო გაწონასწორებული პოზიციით გამო-

ირჩევა. ეს გასაგებია, ვინაიდან კლასიკური გეშტალტფსიქოლოგიის ძირითადმა წარმომადგენლებმა მეცნიერული წვრთნა ინტროსპექტული ექსპერიმენტული კვლევის წამყვან ლაბორატორიებში გაიარეს. მ. ვერთჰაიმერმა დისერტაცია დაიცვა ო. კიულპესთან ვიურცბურგში; ვ. კელერი და კ. კოფკა ბერლინში სწავლობდნენ კ. შტუმფთან, ხოლო დ. კაცი და ე. რუბინი გ.ე. მიულერის გიოტინგენის ლაბორატორიიდან გამოვიდნენ.

გეშტალტფსიქოლოგიის მიხედვით, ქცევა და ცნობიერება ორგანულადაა დაკავშირებული ერთმანეთთან. ამდენად, უარის თქმა ცნობიერების შესწავლაზე დაუშვებელია. სხვა ამბავია, რომ მისი კვლევა ახლებურად უნდა წარიმართოს. გეშტალტფსიქოლოგია უარყოფს სტრუქტურული ფსიქოლოგიის ელემენტარიზმს და თავის თეორიულ სისტემას ფსიქიკური მთლიანობის პრიმატზე აფუძნებს (იხ. 9.1.). რაც შეეხება კვლევის მეთოდურ მხარეს გეშტალტფსიქოლოგები, შეგნებული და გაწაფული ექსპერიმენტატორები, ე.წ. *ფენომენოლოგიურ* ორიენტაციას დააღგნენ, რაც მეტწილად მათი მასწავლებლების, განსაკუთრებით შტუმფის და მიულერის გაელენით აიხსნება. ეს მიდგომა გულისხმობს ცნობიერების ფენომენების, განცდების აღწერა-დახასიათებას ყოველგვარი წინასწარი თეორიული ვარაუდებისა თუ დაკვირვების სქემების გარეშე. პირველ რიგში ამით განსხვავდება იგი ტრადიციული თვითდაკვირვებისაგან. ეს უკანასკნელი ფენომენოლოგიურად ორიენტირებულმა მეცნიერებმა გააკრიტიკეს იმის გამო, რომ ის ცნობიერების სამყაროს ცალმხრივად და ფრაგმენტარულად შეისწავლიდა. ვუნდტისა და ტიჩენერის ინტროსპექციულ ექსპერიმენტებში გავარჯიშებული დამკვირვებელი გარკვეული გამღიზიანებლის მიღებისას გადმოსცემს თავის შთაბეჭდილებას ისე, რომ ცდილობს დაიყვანოს იგი ისეთ უმარტივეს მენტალურ ელემენტებამდე, როგორიცაა შეგრძნება, გრძნობა, წარმოდგენა; ამასთანავე, ცდილობს გაარკვიოს მათი თვისებები: რომელობა, ინტენსიურობა, ხანიერება და სხვა. ერთი სიტყვით, ცდისპირი იმთავითვე ანალიზურად არის განწყობილი. ფენომენოლოგიური დაკვირვებისას კი არ უნდა არსებობდეს არავითარი წინასწარი განწყობა, რომელიც ეხება შთაბეჭდილებათა თვისებების ერთობლიობას. განსხვავება უფრო შორსაც მიდის. ანალზური ინტროსპექციის პასუხებიდან ცდილობენ მაქსიმალურად გამორიცხონ ობიექტები და მნიშვნელობები იმისთვის, რომ, როგორც ტიჩენერი ამბობდა, არ მოუვიდეთ ე.წ. "სტიმულის შეცდომა". ეს იმას ნიშნავს, რომ ცდისპირი თვითდაკვირვების მონაცემების გადმოცემისას, ფაქტობრივად, აღწერს საგნებს, სტიმულებს და არა "წმინდა ცნობიერების მონაცემებს". მაგალითად, თვითდაკვირვება მაშინაა თურმე ჭეშმარიტი, თუ ვილაპარაკებთ არა ლამპარზე, რომელიც ანათებს, არამედ მის მიერ გამოწვეულ შეგრძნებებზე, გრძნობებზე და წარმოდგენებზე. ცხადია, რომ ცნობიერების სამყარო, რომელსაც ამდაგვარი "დაკვირვება" წარმოაჩენს, საგნობრივი მნიშვნელობისაგან პრეპარირებულ და, მაშასადამე, არარეალურ, ხელოვნურ სამყაროდ დაიხატება. ცნობიერება თავის ბუნებრივ მოცემულობაში *საგნობრივია*. ცნობიერების არსებითი ნიშანი, როგორც ფენომენოლოგიური მიდგომის ერთ-ერთი ფუძემდებელი ფ. ბრენტანო აღნიშნავდა, არის ინტენციონალობა ანუ საგანზე მიმართუ-

ლობა (იხ. 5.3.). საგნობრივი მნიშვნელობა ფენომენოლოგიური დაკვირვების უცილებელი და არსებითი მომენტია.

ფსიქიკური მოვლენების ფენომენოლოგიური აღწერის სისტემური და ეფექტური გამოყენების პირველ მაგალითებს XIX საუკუნის დასაწყისში ვხვდებით. ასეთია გოეთესა და პურკინიეს კვლევები მხედველობითი აღქმის სფეროში. შემდგომში, ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საწყის ეტაპზე, ამ მეთოდს მიმართავდნენ ჰერინგი, შტუმფი, მიულერი, ფენდერი, რიბო და სხვა. XX საუკუნის დასაწყისში ფენომენოლოგიური კვლევა ახალ საფეხურზე აიყვანეს დ. კაცმა, რუბინმა და ვერთჰაიმერმა, ფერის, ფორმისა და მოძრაობის აღქმისადმი მიეძღვნილ ნაშრომებში. ამ კლასიკურ გამოკვლევებში განხორციელდა ლაბორატორიული ტექნიკისა და ფენომენოლოგიური აღწერის ორგანული შერწყმა, რასაც მოგვიანებით *ექსპერიმენტული ფენომენოლოგია* ეწოდა. ის გულისხმობდა უშუალო გამოცდილების, განცდის ისეთ თავისებურებათა გამოვლენას, რომლებიც პირდაპირ არ განისაზღვრება ფიზიკური სტიმულების თვისებებით. ბუნებრივია, რომ ფსიქოლოგიაში ამ მეთოდის გამოყენება, პირველ რიგში, შესაძლებელი იყო აღქმის სფეროში. ასეთ ექსპერიმენტში ცდისპირს ეკალებოდა "აღქმის საგნის" მაქსიმალურად ზუსტი აღწერა ყოველგვარი ასოციაციური კავშირებისა და მსჯელობების გარეშე (ამ საგნის ამა თუ იმ ცნებისადმი მიკუთვნებულობის შესახებ). ასეთი გზით აღმოჩენილ იქნა მრავალი საინტერესო მოვლენა მხედველობითი აღქმის სფეროში – კონსტანტობა, ფიგურა-ფონი, სხვაღასხვა ილუზია და ა.შ.

კლასიკურ ფსიქოლოგიაში ითვლებოდა, რომ მოსოკულარული აღქმის თავისებურებები შეზღუდულია ბადურის თვისებებით; ფერიც და სიღიდეც თვალის ბადურის ფუნქციებია. ბაგრამ ფენომენოლოგიურ თვალსაზრისს შეუძლია ფერის ფიზიკისა და ბადურის ფიზიოლოგიის უგულებელყოფა; მისი ამოსავალია მხოლოდ განცდის ფენომენოლოგიური მოცემულობა. ასეთმა მიდგომამ აჩვენა, რომ ფერის აღქმა ბევრად არის დამოკიდებული საგნობრივ ვითარებაზე. ამის შესაბამისად **დავით კაცმა** (1886-1953) სამი ტიპის ფერის არსებობა დაადასტურა: 1) ზედაპირის ანუ ორგანზომილებიანი ფერი. ესაა ჩვეულებრივ აღქმული საგნების ფერი; 2) სიღრმის, ანუ სამგანზომილებიანი ფერი, რომელიც უკავშირდება გამჭვირვალე ობიექტებს (ფერადი სითხე ჭურჭელში, შეფერილი აირი) და 3) სიბრტყის ფერი, რომელსაც უსაგნო ფერადი ბრტყელი სივრცის აღქმა იძლევა.

თავის ცნობილ გამოკვლევაში (1911) დ. კაცმა დაამტკიცა, რომ ზედაპირის ფერი შეიძლება დაყვანილ იქნეს სიბრტყის ფერზე, თუკი მას შირმაში გაკეთებული პატარა ხვრელიდან შეეხედაეთ. ასეთ შემთხვევაში ფერს ეკარგება საგნობრიობა, დისტანციურობა და ტენდენცია განსხვავებული განათების პირობებში დარჩეს უცვლელი ანუ *კონსტანტობა*. ეს უკანასკნელი ფრიად მნიშვნელოვანი დასკვნა შემდეგი ცდიდან გაკეთდა: ცდისპირი ორ თეთრ მუყაოს დისკოს უყურებს; ერთი მათგანი ნათურასთან უფრო ახლოა და მეტად არის განათებული, მეორე უფრო მოშორებული და ნაკლებ განათებულია. აქ ფერის კონსტანტობის მოვლენა იჩენს თავს და ორივე დისკოს

ფერი ერთისაირად – თეთრად აღიქმება. ექსპერიმენტის მომდევნო ნაწილში სიტუაცია იცვლება. ცდისპირი იმავე ფერებს უკვე უყურებს შირმის ნახვრეტიდან ისე, რომ ველარ ხედავს მთელ საგანს და შეიგრძნობს მხოლოდ უსაგნო სიბრტყის ფერს. ამ დროს ფერის კონსტანტობა ირღვევა: უკეთ განათებული ფერი თეთრად აღიქმება, ხოლო უარესად განათებული – რუხად.

ამრიგად, ლ. კაცის მიერ ფენომენოლოგიური ექსპერიმენტის გზით მოპოვებულმა ფაქტებმა სენსორული მასალის მონაცემებზე გამოააშკარავა აღქმის კონსტანტობის მოვლენაში საგნობრივობის პრიორიტეტი. ამავე მეთოდით და ამავე დროს შესრულებულ ედგარ რუბინის (1886-1951) კვლევაში კარგად გამოჩნდა ფიგურის (საგნობრივობის) უპირატესობა ფონთან შედარებით. მ. ვერთჰაიმერის ცდებმა კი აჩვენა, რომ მოძრაობის განცდა წარმოიქმნება მაშინაც, როცა ობიექტი სინამდვილეში არ მოძრაობს (ე.წ. ფ-ფენომენი). ექსპერიმენტული ფენომენოლოგიის მიერ დადგენილი ეს ფაქტები საფუძველად დაედო XX საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან მიმდინარეობას – *გეშტალტფსიქოლოგიას* (იხ. 9.1.).

მომდევნო პერიოდში ამ ფსიქოლოგიური მიმდინარეობის ფარგლებში მრავალი ექსპერიმენტული შრომა შესრულდა. ეს ნაშრომები, ძირითადად, შემეცნებით ფსიქიკურ პროცესებს ეძღვნებოდა. ამავე სკოლაში ჩაისახა და შემდგომში დამოუკიდებელი მიმართულების სახე მიიღო ე.წ. *ველის თეორიამ*, რომელიც კურტ ლევინის სახელთან არის დაკავშირებული. ლევინი მოტივაციის ექსპერიმენტული შესწავლის ინიციატორია. მისმა თანამშრომლებმა ამ სფეროში ექსპერიმენტებით მრავალი კანონზომიერება აღმოაჩინეს (იხ. 9.2.).

ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის შესანიშნავი მიღწევებით აღინიშნა კლასიკური *ბიჰევიორიზმის და ნეობიჰევიორიზმის* სხვადასხვა სკოლაში ჩატარებული კვლევები (იხ. თ. 8). განსაკუთრებით ეს დასწავლის კანონზომიერებათა დადგენას ეხება. ამერიკულ ფსიქოლოგიაში ეს პრობლემატიკა ექსპერიმენტული შესწავლის საგანი იყო ათწლეულების განმავლობაში. ამჟამად ამერიკულ და ევროპულ ზოგად ფსიქოლოგიაში დომინირებს მიმდინარეობა, რომელსაც *კოგნიტივიზმი* ეწოდება (იხ. 11.1.). აქ წარმოებული კვლევა, ძირითადად, შემეცნებით პროცესებს შეესება. ის ექსპერიმენტული, აპარატული და მათემატიკური ტექნიკის უმაღლესი დონით გამოირჩევა. ეს ყოველივე უკვე თანამედროვე ფსიქოლოგიის ანალიზის ჩარჩოებში უნდა იქნეს განხილული.

## 6.2. დიფერენციალური ფსიქოლოგიის განვითარება

ეუნდტიდან მომდინარე ფსიქოლოგია ორიენტირებული იყო ფსიქიკის ზოგადი კანონების დადგენაზე. ზოგად ფსიქოლოგიას არა განსხვავებული, არამედ საერთო აინტერესებდა, ხოლო ინდივიდუალური თავისებურებები განზოგადოების ხელისშემშლელ ფაქტორად ითვლებოდა. მაგრამ ამავე დროს, ასეთი მიდგომის პარალელურად გაჩნდა ინტერესი საერთოსაგან განსხვავებული, ინდივიდუალური და თავისებური ფსიქიკური თვისებების

გარკვევისა და შესწავლის მიმართ. ამან, საბოლოოდ, ე.წ. *დიფერენციალურ ფსიქოლოგიამდე* მიგვიყვანა. როგორც ცნობილია, ფსიქოლოგიის ეს განხრა შეისწავლის ადამიანთა შორის არსებულ ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიურ განსხვავებებს, ამ განსხვავებათა მიზეზებს და მათი გამოვლენის საშუალებებს. ამ მიმართულებას, როგორც მეცნიერების დარგს, XIX საუკუნის მეორე ნახევარში საფუძველი ჩაუყარა ჰალტონმა.

თავისთავად, ინტერესი ადამიანთა ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიურ თავისებურებათა დადგენისადმი საზოგადოებაში ყოველთვის არსებობდა და ის. პირველ ყოველისა, წმინდა პრაქტიკული ამოცანებით იყო ნაკარნახევი. საჭირო იყო იმის შეძლებისდაგვარად ზუსტი შემოწმება, გააჩნიათ თუ არა ადამიანებს ამა თუ იმ საქმიანობისთვის აუცილებელი უნარ-თვისებები. ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულში, ბაბილონში, გადაშენერთა სკოლაში ხდებოდა სპეციალური უნარების დადგენა. ძველ ეგვიპტეში ქურუმობის ხელოვნების ასათვისებლად დაიშვებოდნენ მხოლოდ ყველაზე ნიჭიერი ინდივიდები, ვინც მკაცრ ტესტირებას გაიელიდა. სამი ათასი წლის წინ ჩინეთის იმპერიაში შემუშავებული იყო ერთიანი დიაგნოსტიკური სისტემა სახელმწიფო მოხელეთა შერჩევისთვის, რომელიც გარკვეული ფსიქიკური თვისებების გამოვლენას გულისხმობდა. არსებობს იმის მოწმობა, რომ შაო ლინის მონასტერში გამოიყენებოდა ემოციურ-ნებელობითი მდგომარეობის, ვერბალურ-კოგნიტური და ფიზიკური უნარების, ზნეობრივი და სხვა პიროვნული თვისებების შემოწმების ორიგინალური სისტემა.

ანტიკურ ხანაში ტესტირება სწავლების პროცესის აუცილებელ თანმდევ მომენტს წარმოადგენდა. მას მიმართავდენენ სწავლების პროცესის დაწყებამდეც, სახელდობრ, პითაგორა თავის სკოლაში იღებდა მოსწავლეებს, რომლებიც მკაცრ შერჩევას გაუძლებდნენ. მაგრამ ძირითადად, ტესტირება გამოიყენებოდა სწავლების ეფექტურობის გასარკვევად, ფიზიკური და ფსიქიკური ჩვევების დაუფლების დონის შესაფასებლად. ე.წ. სოკრატესეული მეთოდი თავისთავში მოიცავდა სწავლებასა და ტესტირებას (იხ. 1.2.). სოკრატეს მოწაფე პლატონი სახელმწიფოს მოწყობაზე მსჯელობისას ამბობდა, რომ არ არსებობს ორი ერთნაირი ადამიანი. ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ბუნებრივი უნარებით და ამიტომ სხვადასხვა საქმიანობისთვის არიან გამოსადეგნი. იგი გვთავაზობს მეომრებისა და სახელმწიფოს მმართველების შერჩევის პრინციპებს. ეს პრინციპები გულისხმობს მოღვაწეობის ამ სახეობისთვის აუცილებელ თვისებათა შემოწმების ტექნოლოგიას. ამისთვის, პლატონის აზრით, საჭიროა ადამიანები გამოსცადო ყველა ასაკში – ბავშვობაში, ყრმობასა და მოწიფულობაში. დააკვირდე, როგორ მოიქცევიან ისინი, როგორც ბავშვ, ისე წყნარ, სასიამოვნო სიტუაციაში და გაარკვიო, შეძლებენ თუ არა ყველა ვითარებაში მოიქცნენ ზომიერად და ჰარმონიულად, მოუტანონ რაც შეიძლება მეტი სარგებლობა თავის თავსა და სახელმწიფოს. მხოლოდ ისინი, ვინც გაიელიან ამ შემოწმებას, შეიძლება დაინიშნონ მეომრებად და მმართველებად. ყოველივე ეს სხვა არაფერია, თუ არა ინდივიდუალურ თვისებათა ტესტირება.

ტესტირების გამოყენებით ამოცანასთან ერთად დღის წესრიგში დგე-

ბოდა ადამიანთა განსხვავებული ტიპების გამოყოფისა და კლასიფიკაციის თეორიული ამოცანა. პირველი *ტიპოლოგიები* პრაქტიკული გამოცდილებისა და ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისის სინთეზით შემუშავდა. ასეთად უნდა მივიჩნიოთ, მაგალითად, "შეღიცინის მაშის", ჰიპოკრატეს ტემპერამენტის თეორია, რომელიც ტექსტებით დადასტურებული პირველი ტიპოლოგიური სისტემაა. **ჰიპოკრატე** (460-370 ძ.წ.) ამოდიოდა გავრცელებული ნატურფილოსოფიური შეხედულებიდან, რომ ბუნება საგანგებოდ და ადამიანის სხეული კერძოდ, შედგება ოთხი ელემენტისაგან (ცეცხლი, მიწა, წყალი, ჰაერი), რომელთაც თავისი თვისებები ახასიათებთ (სითბო, სიმშრალე, სისველე, სიცივე). ორგანიზმში მათ შეესაბამება ოთხი სუბსტანცია ან სითხე (Humours – ადამიანის ორგანიზმის წვენები). თავისი *ჰუმორალური თვალსაზრისით* ჰიპოკრატე არა მხოლოდ ავადმყოფობათა მიზეზების გაგებას ცდილობდა, არამედ ადამიანების თავისებურებათა გარკვევასაც, რასაც ტემპერამენტს უწოდებდა. *ტემპერამენტის ტიპი* გამოიყოფა იმის მიხედვით, თუ რომელი სითხე ჭარბობს ინდივიდში: თუ ეს არის სისხლი (Sanguis), მაშინ ტიპია *სანგვინიკი*, თუ ნაღველი (Chole) – *ქოლერიკი*, თუ ლორწო (Phlegma) – *ფლეგმატიკი*, ხოლო თუ შავი ნაღველი (Melaina chole) – *მელანქოლიკი*. ტემპერამენტების ეს სახელწოდებები დღემდე შემორჩა ფსიქოლოგიას, მაგრამ ჰიპოკრატეს მიდგომა წმინდა ფიზიოლოგიური იყო. იგი არ უკავშირებდა ტემპერამენტს ადამიანის ფსიქიკურ ცხოვრებას, უფრო ამა თუ იმ ტიპის ადამიანის ორგანიზმის უუნქციონირებაზე ამახვილებდა ყურადღებას და ცალკეული ორგანოების (მაგ., გული ან ღვიძლი) ტემპერამენტზეც კი ლაპარაკობდა.

დროთა განმავლობაში გაჩნდა მოსაზრებები იმის თაობაზე, თუ საკარაუდოდ როგორი ფსიქიკური თვისებები უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომლის ორგანიზმში ესა თუ ის სითხე ჭარბობს. აქედან აღმოცენდა სხვადასხვა ტიპის ტემპერამენტის ფსიქოლოგიური "პორტრეტები". პირველი ასეთი დასასიათება ეკუთვნის ძველი რომის სახელგანთქმულ ექიმს, **კლავდიუს გალენს** (130-200). ახალ დროში **იმანუილ კანტმა** თავის "ანთროპოლოგიაში" (1798) ტემპერამენტის ტიპების ფსიქოლოგიური აღწერების სისტემატიზაცია მოახდინა და მას საბოლოო სახე მისცა, რომელიც ახლაც შენარჩუნებულია. სანგვინიკი ცოცხალია და მოძრავი, სასიათდება უპირატესად დადებითი, სწრაფად ცვალებადი, არც თუ ღრმა ემოციებით. ქოლერიკი ენერგიული, ფიცხი, აფექტური ადამიანია, უპირატესად უარყოფითი და აგრესიული ელფერის, ინტენსიური გრძნობებით. ფლეგმატიკი მშვიდი, არააფექტური, ნელი, მტკიცე, უფრო დადებითი გრძნობების მქონე ადამიანია. მელანქოლიკი ზანტია, ღრმა და ხანგრძლივი ემოციებით, გულჩათსრობილი და პესიმისტური, უფრო ხშირად ცუდ გუნებაზე მყოფი ადამიანია.

მეორე, ე.წ. *კონსტიტუციური მიდგომა*, არა ორგანიზმის ჰუმორალურ ან ენდოკრინულ სისტემას, არამედ ინდივიდის ფიზიკურ კონსტიტუციას, აღნაგობას, სხეულის ცალკეული ნაწილებისა თუ ორგანოების განვითარების დონეს და ურთიერთმიმართებას აქცევს ყურადღებას და ამის მიხედვით აღგენს ადამიანთა ფსიქოლოგიურ ტიპოლოგიას. ასე ცნობილი იტალიელი

სასამართლო ფსიქიატრი, კრიმინალისტიკაში ე.წ. ანთროპოლოგიური მიმდინარეობის უფროსი **ჩეზარე ლომბროზო** (1836-1909) თვლიდა, რომ არსებობს ადამიანის ტიპი, რომელიც ბუნებით მიდრეკილია დამნაშავეობისაკენ. მას ახასიათებს გარკვეული ანატომიურ-ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური თვისებები, რომელთა ჯამი იგი დაბადებიდანვე ფატალურად განწირულია ჩაიდინოს დანაშაული. სხეულებრივ ნიშნებს მიეკუთვნება თავის ქალისა და სახის ასიმეტრიულობა, დამრეცი შუბლი, ჩაბრტყელებული ცხვირი, დიდი ყურები, ეზარმაზარი ყბები, მაღალი ყვრიმალები, თვალების ვიწრო ჭრილი, ტკივილისადმი უგრძნობლობა და სხვა. დამნაშავის ტიპის ფსიქოლოგიურ თავისებურებებს შეადგენს გამწვავებული პატივმოყვარეობა, ცინიზმი, დანაშაულის გრძნობის, მოსანიებისა და სინდისის ქეჯნის უქონლობა, აგრესიულობა, სისასტიკისადმი და ძალადობისადმი მიდრეკილება, შურისმაძიებლობა, ეგზალტირებულობა და სხვა. დამნაშავის ტიპი თავდაპირველად განიხილებოდა ერთგვარი ცხოველური ატავიზმის გამოვლინებად, რომელსაც არ ძალუძს შეეგუოს ცივილიზებული ყოფის ნორმებს. მოგვიანებით ადამიანის ეს ტიპი გაგებულ იქნა, როგორც მნეობრივი პათოლოგიის ერთგვარი ფორმა. ნიშანდობლივია, რომ ტიპოლოგიისადმი კონსტიტუციური მიდგომის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენელი, გერმანელი ფსიქოპათოლოგი **ერნსტ კრეჩმერიც** (1888-1964) სხეულის მოწყობის გარკვეულ ტიპებს, სახელდობრ, პიკნიკურს, ასთენიკურსა და ათლეტურს ძირითადი ფსიქიური ამლილობებისადმი მიდრეკილებას უკავშირებდა. ამერიკელი ფსიქოლოგის, **უილიამ შელდონის** (1898-1957) კლასიფიკაცია შედარებით უფრო რთულია და მრავალფეროვანი, მაგრამ არსებითად, ისიც აგრძელებს კონსტიტუციური ტიპოლოგიის ხაზს.

ტიპოლოგიის კიდევ ერთი მიმართულება საერთოდ არ უკავშირებს ადამიანთა ფსიქოლოგიურ თავისებურებებს ორგანიზმის თანდაყოლილ მახასიათებლებს და მათ ძირითადად აღზრდის და სოციალური ცხოვრების შედეგად მიიჩნევს. ასე განიხილავდა ხასიათის ტიპებს არისტოტელე. ასევე ფიქრობდა მისი მეგობარი და მიმდევარი, თავისი დროის ერთ-ერთი გამოჩენილი სწავლული **თეოფრასტე** (370-285 ძვ.წ.), რომელმაც, შეიძლება ითქვას, საფუძველი ჩაუყარა *ქარაქტეროლოგიას*. ტრაქტატში "ხასიათები" თეოფრასტემ მოგვცა სხადასხვა ხასიათის ტიპების შესანიშნავი აღწერა. ავტორი არ ცდილობს დაასასიათოს პიროვნების ყველა თვისება, არამედ ისე გვაჩვენოს ხასიათი, რომ სწვდეს მის ყველაზე გამოკვეთილ ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიურ თავისებურებას, გამოაელინოს მისი ერთი უმთავრესი ხასიათობრივი ნიშანი, რომელიც პიროვნებას ამა თუ იმ ტიპს მიაკუთვნებს. ასე გამოიყოფა ხასიათის 30 ტიპი: ეჭვიანი, პირმოთნე, ამაყი, პატივმოყვარე, ყბედი, ძუნწი და სხვა. ხასიათის ეს "მუდმივი ნიშნები" დახატულია იმის ანალიზის გზით, თუ როგორ იქცევა ადამიანი განსხვავებული სიტუაციების სერიაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს სიტუაციები ოცდასამი საუკუნის წინანდელი ათენის ცხოვრებიდან არის აღებული, თეოფრასტეს მიერ შექმნილი ქცევისა და ხასიათის ტიპები საკმაოდ შეიძლება გამოვიყენოთ თანამედროვე ადამიანის დახასიათებისთვის.

ხასიათის ტიპების ლიტერატურული პორტრეტების თეოფრასტეს მიერ დამკვიდრებული ტრადიცია გრძელდება ნახა ახალი დროის მოაზროვნეთა ნაშრომებში. ამ მხრივ აღსანიშნავია ფრანგი მორალისტები: მიშელ დე მონტენი – "ცდები" (1580), ფრანსუა დე ლაროშფუკო – "მაქსიმები" (1665), ჟან დე ლაბრიუერი – "ჩვენი დროის ხასიათები და მნე-ჩვეულებები" (1688). ამ დროის თვალსაჩინო მეცნიერთაგან უნდა გამოაყოს ცნობილი ესპანელი ექიმი ხუან უარტე (1530-1592), რომლის წიგნი "მეცნიერებებისადმი ნიჭიერების გამოკვლევა" შეიძლება მივიჩნიოთ პირველ შრომად, რომელიც სპეციალურად დიფერენციალური ფსიქოლოგიის საკითხებისადმი არის მიძღვნილი. უარტეს აინტერესებს ადამიანთა შორის არსებული ინდივიდუალურ განსხვავებათა დადგენა პროფესიული შერჩევის ამოცანების გადასაწყვეტად. ამ კონტექსტში იგი ოთხ ძირითად საკითხს სვამს: 1) როგორია იმ უნარების ბუნება, რომლებიც განაპირობებენ ამ თუ იმ საქმიანობისადმი ადამიანის მიდრეკილებას; 2) როგორი უნარები არსებობს საერთოდ; 3) ხელოვნების თუ მეცნიერების რა დარგები შეესაბამება თითოეულ უნარს; 4) რა ნიშნების მიხედვით შეიძლება შესაბამისი უნარის გამოვლენა.

უარტე გამოყოფს ადამიანის მოღვაწეობის რამდენიმე სფეროს, კერძოდ მედიცინას, სამართალს, სამხედრო საქმეს, სახელმწიფოს მართვას, საეკლესიო-სასულიერო საქმიანობას. თითოეული მათგანი განსაკუთრებულ უნარებს საჭიროებს. უნარებს კი განსაზღვრავს ორგანიზმში ოთხი ნივთიერების თანაფარდობა ანუ ტემპერამენტი. ტემპერამენტის შესახებ მსჯელობა შესაძლებელია სხვადასხვა გარე გამოვლინების მიხედვით, მათ შორის ისეთების, როგორიცაა, მაგალითად, თმის სიმაგრე ან სიცილის თავისებურებები. უარტეს ეს წარმოდგენები დღევანდელი გადასახედიდან სერიოზულად ვერ ჩაითვლება, მაგრამ საკუთრივ ის იდეა, რომ არსებობს მყარი კავშირი შინაგან თვისებებსა და მათ გარეგან გამოხატულებებს შორის ფრიად პოპულარული აღმოჩნდა და, როგორც ზემოთ ვნახეთ, დიფერენციალურ ფსიქოლოგიაში კონსტიტუციურ თეორიებსა და შესაბამის ტიპოლოგიებს დაედო საფუძვლად. უარტე არ უარყოფს აღზრდისა და შრომის მნიშვნელობას ნიჭიერების ფორმირებაში, მაგრამ გადამწყვეტ როლს, ამ მხრივ, ადამიანის ბიოლოგიურ ბუნებას აკისრებს.

ინდივიდუალურ განსხვავებათა სისტემატურ ექსპერიმენტულ კვლევას საფუძველი დაუდო ასტრონომების მიერ აღმოჩენილმა ფაქტმა, რომ მათ დაკვირვებებს შორის არსებული განსხვავებები დამკვირვებელთა ინდივიდუალური თავისებურებებით არის განპირობებული. ზემოთ უკვე იყო საუბარი იმ გახმაურებულ ისტორიაზე. როდესაც გრინვიჩის ობსერვატორიის ხელმძღვანელმა სამსახურიდან დაითხოვა თავისი ასისტენტი, რომელიც არაზუსტად, გარკვეული დაგვიანებით აღრიცხავდა ციური სხეულების გასვლის მომენტს ტელესკოპის კოორდინატთა ბადეზე. მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს ასტრონომი აღმოჩნდა უნებლიე "მსხვერპლი" თავისი შენელებული რეაქციისა. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჯერ ასტრონომების (ბესელი), ხოლო შემდეგ ფიზიოლოგების (დონდერსი, ექსნერი) მიერ ჩატარებული სპეციალური ექსპერიმენტული კვლევით დადასტურდა, რომ რეაქციის

დროის მაჩვენებელი ყველას სხვადასხვა აქვს და ის ადამიანის ინდივიდუალურ-განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს. ამიტომ მას *პირადი განტოლება* უწოდეს (იხ. 4.3.).

თუ ზოგადი ფსიქოლოგიის ფუძემდებლად ვუნდტი შეიძლება მიეიჩნიოთ, კიდევ უფრო დიდი დარწმუნებითა დიფერენციალური ფსიქოლოგიისა და ტესტოლოგიის შემქნელად პალტონი უნდა ჩაითვალოს. **ფრენსის ჰალტონი** (1822-1911) იყო განათლებული გონებრივი შესაძლებლობების მქონე, ბრწყინვალე და ორიგინალური სწავლული (ირიბი მონაცემებით გამოთვალეს, რომ მისი ინტელექტის კოეფიციენტი დაახლოებით 200-ს უდრიდა, რაც, როგორც ქვეყნეთ დაერწმუნდებით, არაჩვეულებრივად მაღალი მაჩვენებელია). პალტონი იყო პერი, შეძლებული ინგლისელი არისტოკრატი. მეცნიერება მისთვის არ იყო კეთილდღეობისა და შემოსავლის წყარო, არამედ თავის ეფალი პროფესია, რომელიც მისი უაღრესად მრავალმხრივი შემეცნებითი ინტერესების რეალიზაციის საშუალებას იძლეოდა. ამიტომ იგი, არც თუ წარუმატებლად ცდილა თავის ძალებს სხვადასხვა სფეროში: კრიმინალისტიკაში (მისი შექმნილია დაქტილოსკოპია), მეტეოროლოგიაში (მან ააგო ატმოსფეროს მდგომარეობის მონაცემების ავტომატურად ჩამწერი ხელსაწყო), გამოიგონა ტელეტაიპი, პერისკოპი, იკვლევდა მოდას, ეთნოგრაფიული ფაქტორების გავლენას მოსახლეობის ვარეგნობაზე, ლოცვის რეალურ ეფექტურობას და სხვა. მაგრამ, მაინც განსაკუთრებულია მისი წვლილი ფსიქოლოგიასა და სტატისტიკაში.

პალტონის მეცნიერული კრედო ევოლუციონისტური შეხედულებების გავლენით ჩამოყალიბდა, რაც, ალბათ, იმანაც განაპირობა, რომ ის და დარვინი ბიძაშვილები იყვნენ. პალტონმა პირველ რიგში ბუნებრივი შერჩევისა და მასთან დაკავშირებული შეძენილი ადაპტური თვისებების მემკვიდრეობით გადაცემის იდეები გაიშინაგნა. ფსიქიკური ნიშნები, ინდივიდუალური თავისებურებები, სახელდობრ ნიჭი, ტალანტი, პალტონის აზრით, მემკვიდრეობით არის განსაზღვრული. ეს აზრია გატარებული პალტონის ნოვატორულ ნაშრომში "მემკვიდრეობითი გენია" (1869), რომელზეც დარვინმა თქვა, რომ ამაზე საინტერესო და ორიგინალური რამ არაფერი წაუკითხავს. პალტონი ამ აზრამდე მივიდა გამოჩენილ ადამიანთა ბიოგრაფიების შესწავლის საშუალებით. შემდგომში მან საკითხის კვლევის ემპირიულ გზას მიმართა და ამ მიმნით ბევრ ცნობილ ინგლისელ მეცნიერს დაუგზავნა სპეციალური ანკეტები რითიც, ფაქტობრივად, დასაბამი მისცა *ანკეტური მეთოდის* გამოყენებას ფსიქოლოგიაში. ცნობილ პიროვნებათა ნათესაური კავშირების შესწავლით იგი მივიდა დასკვნამდე, რომ ნიჭიერება დაკავშირებულია ნათესაობის ხარისხთან და ხასიათთან. ოიხი შვილიდან ერთს აქვს მანსი, ტალანტის მემკვიდრე გახდეს იმ სფეროში, სადაც გამოიჩინა თავი მისმა მშობელმა, მაგალითად, მეცნიერებაში, სპორტში, იურისპრუდენციაში და ა.შ. მთავარია მემკვი-

ღრეობა – გარემო, აღზრდა მეორეხარისხოვანია. აქ მან პირველმა გამოიყენა ე.წ. *ტყუპების მეთოდი* და დაადასტურა მონოზიგოტური (ერთკვერცხუჯრედოვანი) ტყუპების დიდი ფსიქიკური მსგავსება. ყოველივე ეს განზოგადებულია წიგნში "ინგლისელი მეცნიერები" (1874) და "ადამიანის ნიჭიერებისა და მისი განვითარების გამოკვლევა" (1883). წიგნში "ბუნებრივი მემკვიდრეობა" (1889) აეტორი ნიჭის გენეტიკური განსაზღვრულობის დებულებიდან გენოტიპის ხელოვნური შეცვლის იდეაზე გადადის. პალტონს მიაჩნდა, რომ ადამიანთა მოდგმა დეგრადაციის გზაზეა: "ადარ არიან ანტიკური, სოკრატეს დონის ხალხით" – ამბობდა იგი. ამ მდგომარეობის გამოსწორება შესაძლებელია ნიჭიერი ინდივიდების მიზანდასახული სელექციით. ამას უნდა ემსახურებოდეს სპეციალური დარგი, ე.წ. *ევგენიკა*. პალტონმა ევგენიკის ლაბორატორია და საზოგადოება დააარსა. ადამიანთა მოდგმა ისევე შეიძლება გაუმჯობესდეს, როგორც ძაღლებისა ან ცხენების ჯიში, რამდენიმე თაობაში შესაბამისი არჩევითი ქორწინებების გზით. ამისთვის სახელმწიფომ უნდა შემოიღოს მატერიალური სტიმულების სისტემა, რათა წაახალისოს ქორწინება იმ პირებს შორის, ვინც წარმატებით გაიარა ტესტირება.

ბუნებრივია, რომ პალტონის წინაშე აქტუალურად დაისვა საკითხი ადამიანთა გონებრივი შესაძლებლობების ინდივიდუალურ განსხვავებულობათა გამოვლენისა თუ გაზომვის შესახებ. პალტონმა დიდი ენთუზიაზმით მოკიდა ხელი მის გადაწყვეტას. ამ მიზნით მან შექმნა ტესტების სისტემა. მათი საშუალებით იზომებოდა შეგრძნებათა სიმახვილე, რეაქციის დრო, კუნთური ძალა და სხვა მარტივი სენსომოტორული თვისებები. ამისთვის მან გამოიგონა მრავალი ხელსაწყო. მაგალითად, "პალტონის საყვირი" სმენის ზღურბლის დასადგენად, "პალტონის სახაზავი" თვალზომის გამოსაყენებლად, ფოტომეტრი ფერების გარჩევის უნარის გასაზომად, წონებისა და სხვადასხვა ნივთიერებებით სავსე ბოთლების სისტემა, რომლითაც ხდებოდა შესაბამისად კუნთურ-კინესთეტიკური და ყნოსვით შეგრძნებათა შემოწმება, რეაქციის დროის გამზომი ქანქარა და სხვა.

პალტონს მიაჩნდა, რომ მარტივი სენსომოტორული ფუნქციების გაზომვით შესაძლებელია ადამიანის ინტელექტის შეფასება. ამაში თავი იჩინა მისმა სენსუალისტურმა პოზიციამ – გრძნობის ორგანოები გარემოს შესახებ ცნობების ერთადერთი წყაროა და რაც მეტია მათი სიმახვილე, მით მეტი გასაქანი ეძლევა ინტელექტსა და გონებას. შესაბამისად, ნიჭიერ ინდივიდებს უფრო მახვილი შეგრძნებები აქვთ. პალტონმა ყურადღება მიაქცია აგრეთვე იმას, რომ გონებრივი ჩამორჩენილობის, იდიოტიზმის შემთხვევაში ირღვევა სითბოს, სიცივის, ტკივილის და სხვა შეგრძნებათა გარჩევის უნარი და დაასკვნა, რომ რაც უფრო მაღალია სენსორული გარჩევის უნარი, მით მეტია ინტელექტი.

პალტონი არასენსორულ ფსიქიკურ უნარებსაც იკვლევდა. სხვა კონტექსტში უკვე ითქვა, რომ მან პირველმა გამოიგონა *ასოციაციური მეთოდი* და მისი საშუალებით შეისწავლა ასოციაციების სისწრაფე, რასაც გონებრივი პროცესების ტემპის და, მაშასადამე, ინტელექტუალობის მაჩვენებლად მიიჩნევდა (იხ. 6.1.). მანვე სპეციალური კითხვების მეშვეობით იკვლია მეხსიერე-

ბის წარმოდგენების აღმოცენების პროცესი. ამ პროცესის სისწრაფე და წარმოდგენების მრავალფეროვნება აგრეთვე ითვლებოდა გონებრივი ძალის მანიშნებლად. მიუხედავად ამისა, თავის ტესტების სისტემაში ჰალტონი ამ პარამეტრებს არ ზომავდა, შესაძლოა იმიტომ, რომ ეს საკმაოდ რთული და შრომატევადი საქმე იყო, ხოლო პრაქტიკული გამოყენებისთვის ტესტური პროცედურები მაქსიმალურად ხანმოკლე და მარტივი უნდა ყოფილიყო.

ასეა თუ ისე, 1884 წელს ლონდონის მსოფლიო გამოფენაზე ჰალტონმა დააარსა ანთროპომეტრული ლაბორატორია, რომელშიც 3 პენსად ყველას შეეძლო ზომა-წონასთან ერთად გაეზომა თავისი სენსორული და მოტორული უნარები. შემდგომში ეს ლაბორატორია გადაიტანეს ლონდონის სამხრეთ-კენსინგტონის მუზეუმში. სულ ლაბორატორიამ ექვსი წელი იმუშავა და ცხრა ათას ადამიანზე მეტი მონაცემის აკრეფა მოასწრო. მოგვიანებით ჰალტონმა შემოიღო საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა სისტემატური ანთროპოლოგიური გაზომვები. ინდივიდუალურ განსხვავებათა კვლევის ეს პროგრამები საკმაოდ ამბიციურ მიზანს ემსახურებოდა – შაი უნდა გაერკვია ინგლისის მოსახლეობის ადამიანური შესაძლებლობები და ერის ინტელექტუალური პოტენციალი. ამის საჭიროებას ჰალტონი სახელმწიფოსთვის პრაქტიკული ამოცანების გადაჭრაში ხედავდა, კერძოდ მრეწველობის, შეიარაღებული ძალებისა თუ კოლონიური პოლიტიკის სფეროში. ამით ჰალტონმა საფუძველი ჩაუყარა *ტესტირებას*, რომელსაც თავიდანვე პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა.

ჰალტონის კიდევ ერთი დამსახურებაა *მათემატიკური სტატისტიკის* მეთოდების შემოტანა ინდივიდუალურ განსხვავებათა კვლევის პრაქტიკაში და, საზოგადოდ, ფსიქოლოგიაში. ჰალტონმა კარგად შეისწავლა ბელგიელი მათემატიკოსის, ადოლფ კეტლეს ნაშრომები. კეტლემ პირველმა გამოიყენა სტატისტიკური მეთოდები ზოგიერთი ბიოლოგიური (მაგ., ადამიანის წონა ან სიმაღლე) და სოციალური (მაგ., ქორწინება ან თვითმკვლელობა) მოვლენების ანალიზისას და აჩვენა, რომ ისინი გარკვეულ კანონზომიერებებს ემორჩილებიან. სახელდობრ, მათ შესახებ სტატისტიკური მონაცემები ლაგდებიან ე.წ. *ნორმალური განაწილების კანონის* შესაბამისად – ყველაზე ხშირია საშუალო მნიშვნელობასთან ახლომყოფი სიდიდეები, და რაც უფრო მეტია გადახრა საშუალო სიდიდიდან, მით უფრო იშვიათია ასეთი სიდიდე. მაგალითად, საშუალო სიმაღლის ადამიანები ყველაზე გავრცელებულ ჯგუფს შეადგენენ. მაღლები და დაბლები მით უფრო იშვიათად გვხვდებიან, რაც უფრო მეტია მათი დამორება ნორმიდან. ჰალტონმა მართებულად მიიჩნია, რომ გონებრივი უნარების შემთხვევაშიც საშუალო მაჩვენებლიდან გადახრის იგივე კანონზომიერება იჩენს თავს, ანუ რაც უფრო დიდია სისულელისა თუ ნიჭიერების ხარისხი და, მაშასადამე, ნორმიდან დაშორებულობა, მით უფრო იშვიათად გვხვდება ის. კვლევებმა ვარიაციული სტატისტიკის სფეროში ჰალტონი მიიყვანეს ფსიქოლოგიისთვის პრინციპული მნიშვნელობის მქონე *კორელაციური მეთოდის* აღმოჩენამდე. კორელაციური გაზომვა საშუალებას იძლევა გაირკვეს სხვადასხვა ტესტურ მონაცემს შორის კავშირის ხარისხი. გარდა ამისა, ის ფსიქოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტატისტიკური

მეთოდის ე.წ. *ფაქტორული ანალიზის* საფუძველია. კორელაციური მეთოდი შემდგომში გააუმჯობესა ჰალტონის მოწაფემ, კარლ პირსონმა. მან შემოიღო კორელაციის გაზომვის ფორმულა, რომელიც დღემდე ნაყოფიერად გამოიყენება და, რომელსაც, პირსონის *კორელაციის კოეფიციენტი* ეწოდება.

როგორც ეხედავთ, ერთი კაცისთვის ჰალტონმა ძალზე ბევრი გააკეთა. ყველაზე მთავარი, მაინც, ტესტების შექმნება იყო. ფსიქოლოგიური კვლევის ამ ხაზის გაგრძელება ჯეიმს კეტელის (1860-1944) სახელს უკავშირდება. კეტელი ვუნდტის ერთ-ერთი ამერიკელი მოწაფე იყო. მაგრამ უკვე ლაიფციგშივე მან კვლევის საკუთარი მიმართულება მონახა და დაიცვა დისერტაცია რეაქციის დროის ინდივიდუალურ განსხვავებებზე. შემდეგ იგი კემბრიჯში კითხულობდა ლექციებს და აქ ჰალტონის გავლენა განიცადა. ჰალტონმა დაწერა წინასიტყვაობა კეტელის ჟურნალ Mind-ში გამოქვეყნებულ სტატიაზე, რომელშიც პირველად იყო ნახმარი ტერმინი *გონებრივი ტესტი*. მერე იგი გაემგზავრა ამერიკაში, სადაც თავისი აქტიური სამეცნიერო და საორგანიზაციო მუშაობით დასაბამი მისცა მძლავრ ტესტოლოგიურ მოძრაობას. სტუდენტთა ინტელექტის გასაზომად ნიუ-იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტში მის მიერ ორგანიზებულ ფსიქოდიაგნოსტიკურ ლაბორატორიაში კეტელი, ჰალტონის მსგავსად, ძირითადად სენსომოტორულ ფუნქციებს ზომავდა (შეგრძნებათა მგრძნობიარობა, კუნთური ძალა, მოძრაობათა სისწრაფე, რეაქციის და ამოცნობის დრო, ბგერების დამახსოვრების მაჩვენებელი და სხვა). ობიექტურ მონაცემებზე ორიენტირებულ ამერიკაში, ასეთი ტესტების გამოყენება სხვებმაც დაიწყეს, რაც იმითიც იყო განპირობებული, რომ ეს პროცესები აღვილად იზომებოდნენ ობიექტური მეთოდებით. უფრო რიული ფუნქციების გაზომვა კი, იმჟამად, პრაქტიკულად განუხორციელებელ ამოცანად ითვლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნის ბოლოს ამერიკაში ტესტესტოლოგიამ მძლავრი მოძრაობის სახე მიიღო, მალე ცხადი გახდა გონებრივ შესაძლებლობათა დადგენის ამგვარი მეთოდოლოგიის სერიოზული ნაკლოვანება. ჯერ ერთი, ტესტების მონაცემები არ შეესაბამებოდნენ ერთმანეთს და, რაც მათავარია, არ შეესატყვისებოდა არც მასწავლებლების საექსპერტო შეფასებებს და არც აკადემიური მოსწრების მაჩვენებლებს. ამან, ბოლოს და ბოლოს, თვით კეტელიც დაეჭვა იმაში, მართლაც ზომავდა თუ არა მისი ტესტები ინტელექტს.

იმავდროულად ევროპაში განსხვავებული მიდგომა იკიდებდა ფეხს. იქაც დაიწყო გონებრივი ტესტების შემუშავების პროცესი, მაგრამ ისინი თავიდანვე უფრო რთული კოგნიტური ფუნქციების შემოწმებას გულისხმობდნენ. მაგალითად, გამოჩენილი გერმანელი ფსიქიატრის ე. კრეპელინის ტესტებში (1895), რომლებიც ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტების გამოსაკვლევად შეიქმნა, ძირითადად გამოიყენებოდა ელემენტარული მათემატიკური ოპერაციები და იზომებოდა დამახსოვრების, ყურადღების მდგრადობის, დაღლილობისადმი წინააღმდეგობის გაწვევის და სხვა უნარები. მეხსიერების ექსპერიმენტული კვლევის ინიციატორმა ჰერმან ებინჰაუსმა 1897 წელს შექმნა ერთ-ერთი პირველი საკუთრივ ინტელექტუალური ტესტი. დათვლისა და მოგონების უნარებთან ერთად, ის ზომავდა დაუმთავრებელი წი-

ნადადების დასრულების გონებრივ უნარს. ამ *დაუსრულებელი წინადადების ტესტის* მონაცემები მაღალ კორელაციაში აღმოჩნდა მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებასთან.

ნამდვილი გარღვევა გონებრივი ტესტების სფეროში გააკეთა გამოჩენილმა ფრანგმა ფსიქოლოგმა ალფრედ ბინემ (1857-1911). მისი ინტელექტის სკალა კლასიკურია და საყოველთაოდ ცნობილი. ბინე აზროვნების ექსპერიმენტული კვლევის ერთ-ერთი პიონერია. ვიურცბურგის სკოლის წარმომადგენლებთან ერთად მან სრულიად ახლებურ მიდგომას ჩაუყარა საფუძველი ამ სფეროს ზოგადფსიქოლოგიური შესწავლის საქმეში (იხ. 6.1.). მას აინტერესებდა აგრეთვე აზროვნების ონტოგენეტური განვითარების პრობლემატიკაც. ამის გათვალისწინებით საფრანგეთის განათლების სამინისტრომ ბინეს დააკალა შეექმნა ისეთი სკალა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნებოდა გონებაჩამორჩენილი ბავშვების გამოვლენა სპეციალური სკოლებისა და კლასებისთვის. 1905 წელს ბინემ ფსიქიატრ თეოდორ სიმონთან თანამშრომლობით შექმნა ტესტი, რომელიც ამოწმებდა ზოგადად ინტელექტის განვითარების დონეს სხვადასხვა ასაკის ბავშვებში. პრინციპული სიახლე ბინეს მიდგომაში იყო ის, რომ პალგონისა და კეტელისგან განსხვავებით, იგი ზომავდა საკუთრივ კოგნიტურ ფუნქციებს: მეხსიერებას, ყურადღებას, წარმოსახვას და აზროვნებას ანუ მიხვედრილობას, რაც გარჩევის, გაგების და წვდომის ასპექტებს შეიცავდა.

ტესტის შედგენის პროცედურა წმინდად ემპირიული იყო. თუკი ბავშვების 80-90% წყვეტს ამოცანების გარკვეულ სისტემას, მაშასადამე, ეს სისტემა შეესაბამება ამ ასაკის ბავშვების ინტელექტის საშუალო, ნორმალურ დონეს. ამოცანები განლაგებულია მზარდი სირთულის მიხედვით და ზომავენ 3-13 წლის ბავშვების ინტელექტს. ამ დროს დგინდება *გონებრივი ასაკი*. ესაა ის მაჩვენებელი, რომელსაც ბავშვი ღებულობს ინტელექტის სკალაზე. აღირიცხება აგრეთვე *ქრონოლოგიური ასაკი*, ანუ რეალურად რამდენი წლისაა ბავშვი. თუ ამ მაჩვენებლების სხვაობა დადებითია (+), მაშინ სახეზეა გონებრივი ნიჭიერება, თუ ეს მაჩვენებელი უარყოფითია (–), მაშინ გონებრივი ჩამორჩენა. ვ. შტერნმა 1911 წელს შემოიღო ე.წ. *ინტელექტის კოეფიციენტი* (IQ), რომელიც გამოხატავს გონებრივი და ქრონოლოგიური ასაკების შეფარდებას პროცენტებში. IQ კოეფიციენტი გამოითვლება ფორმულით: IQ = *გა/ქა* x 100%, სადაც *გა* – აღნიშნავს ბინე-სიმონის სკალით გამოვლენილ გონებრივ ასაკს, ხოლო *ქა* – ქრონოლოგიურს. ნორმალურად ითვლება კოეფიციენტი 70%-დან 130%-მდე. ამ ზონის ქვევით არის ჩამორჩენა, ზევით კი – ნიჭიერება.

ტესტების კონსტრუირებისას მრავალი რამ უნდა იყოს გათვალისწინებული. ერთ-ერთი უმთავრესია, რომ ინტელექტის ტესტებში მინიმალიზებულ იქნეს გამოცდილებისა და ცოდნის წილი ამოცანების გადაწყვეტაში. პა-

სუხი უნდა გამოსატაევდეს გონებრივ უნარს და არა ინფორმირებულობას (ცოდნა სპეციალური ტესტებით იზომება). მაგალითად, პრესტიჟულ სკოლებში მოსწავლეებმა შესაძლებელია მეტი იციან, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი უფრო ჭკვიანები არიან. ბინე ითვალისწინებდა ამას, მაგრამ ტესტების გამოყენების პირველ ეტაპზე ზოგჯერ ამ მოთხოვნის უგულებელყოფა სდებოდა. ერთ ქვეყანაში გაკეთებულ ტესტს შექანიკურად თარგმნიდნენ და იყენებდნენ ისეთი კონტინგენტის დიაგნოსტიკისთვის, რომელსაც არ გააჩნდა აუცილებელი ინფორმაცია და ჩვეული ტესტური დავალებების სრულყოფილი გააზრებისთვის. მაგალითად, ოციან წლებში ე.წ. პედოლოგიური მოძრაობის ფარგლებში[1] საბჭოთა კავშირში დაიწყეს ბავშვების მასობრივი ტესტირება.

ამ სამუშაოს შედეგების განზოგადებამ გამოაელინა, რომ სოფელი ბავშვების ინტელექტის დონე ნაკლებია ქალაქელებზე და რომ, საზოგადოდ, შეძლებული ოჯახების შვილებს ინტელექტის უფრო მაღალი კოეფიციენტი აქვთ. ეს, თავისთავად არასწორი, ხოლო მუშურ-გლეხური სახელმწიფოსთვის – მით უფრო მიუღებელი შედეგი, გახდა საბაბი მწვავე იდეოლოგიური კამპანიისა, რეპრესიებისა და ქვეყანაში პედოლოგიის განადგურებისა. მოგვიანებით გაირკვა, რომ გამოყენებულ ტესტებში გაიპარა ისეთი შეკითხვები, რომლებიც ბავშვების ნაწილისთვის ძნელად გასაგები იყო. მაგალითად, ბინეს ტესტის ერთ-ერთ ამოცანაში ბავშვმა თანაბრად უნდა გაუყოს ექვსი ფორთოხალი დედას, მამას და თავის თავს. საკმაოდ ხშირად 8-9 წლის ბავშვებსაც კი უჭირდათ მისი გადაწყვეტა, მაგრამ არა იმიტომ, რომ ეერ ყოფდნენ ექვსს სამზე, არამედ იმის გამო, რომ უბრალოდ არ იცოდნენ, რა იყო ფორთოხალი. მოშიმშილე რუსეთში ასეთი ბავშვები მრავალად იყვნენ.

ბინეს მიაჩნდა, რომ თუ ეს პირობა შესრულებულია, ე.ი. თუ ტესტური მასალა ყველასთვის ერთნაირად ნაცნობი და გასაგებია, მაშინ გონიერი ბავშვი ყოველთვის უკეთ შეასრულებს დავალებას, ხოლო ამოცანების დიდი რაოდენობა შესაძლებელს გახდის გამოირიცხოს შემთხვევითობა. ამასთან, ბინე თვლიდა, რომ ინტელექტის დონე მუდმივია და არ არის დამოკიდებული ასაკზე, ანუ რომელ ასაკშიც არ უნდა ჩავატაროთ ტესტირება, კონკრეტული ბავშვის ინტელექტის მაჩვენებელი იქნება ერთნაირი სწავლებისა და აღზრდის პირობების თუ მთელი სოციალური გარემოს ცვალებადობის მიუხედავად. ეს მიანიშნებდა იმაზე, რომ ინტელექტი თანდაყოლილი უნარია და არ ცვალებადობს ცხოვრების განმავლობაში, თუმცა მიიმართება განსხვავებული ამოცანების გადაწყვეტაზე.

ბინე-სიმონის სკალის სრულყოფის პროცესი რამდენიმე წელი მიმდინარეობდა და მისი სამი ვარიანტი იქნა წარმოდგენილი (1905, 1908, 1911).

[1] პედოლოგია წარმოადგენს სამეცნიერო-პრაქტიკულ მიმდინარეობას, რომელიც ჩაისახა XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე. მისი ყურადღების ცენტრში იყო ბავშვი მისი ინდივიდუალური თავისებურებებით. აქედან გამომდინარე პედოლოგია მოითხოვდა ბავშვის ღრმა შესწავლას, მისი ინტერესების, მიდრეკილებებისა და უნარების გამოვლენას, ინდივიდუალურ მიდგომის განხორციელებას მასზე ზემოქმედების საშუალებებისა და მეთოდების არჩევაში (იხ. 6.3.).

ბინეს აეტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ საფრანგეთში სამოციან წლებამდე ეს ტესტები პრაქტიკულად არ შეცვლილა. სამაგიეროდ, ამერიკაში თავიდანვე გამოჩნდა რამდენიმე გადამუშავებული ვარიანტი, რომელთაგან საუკეთესოდაა მიჩნეული 1916 წელს სტენფორდის უნივერსიტეტში ლუის ტერმანის ხელმძღვანელობით გაკეთებული მოდიფიკაცია, რომელიც ცნობილია *სტენფორდ-ბინეს სკალის* სახელწოდებით. ეს ტესტი დღესაც რჩება ინტელექტის გამზომ ერთ-ერთ საუკეთესო ინსტრუმენტად.

ტესტოლოგიური მუშაობა, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში გაიშალა ინდივიდუალურ თავისებურებათა კელეკის სფეროში, ახალ საკითხებს სევმდა. ასე, ინგლისელმა ფსიქოლოგმა **ჩარლზ სპირმენმა** (1863-1945) აღნიშნა, რომ თუ განსხვავებული უნარების (მაგ., მათემატიკური და ლინგვისტური უნარის) გამზომი ტესტებით მიღებული მონაცემები დადებით კორელაციაში არიან ერთმანეთთან ეს ნიშნავს, რომ ისინი აელენენ გარკვეულ გენერალურ ფაქტორს, ანუ *საერთო ინტელექტუალურ უნარს*. ეს არის უნარი, რომელიც ანიჭებს ადამიანს უპირატესობას ყოველგვარ ინტელექტუალურ საქმიანობაში. ამავე დროს, ყოველგვარ ქცევაში გამოიყოფა ფაქტორი, რომელიც სპეციფიკურია მხოლოდ აქტივობის ამ კონკრეტული ფორმისთვის (მაგ., მათემატიკური ამოცანების გადაწყვეტისა ან ლიტერატურული შემოქმედებისთვის). ამდენად, სპირმენმა *ორფაქტორიანი* (საერთო და სპეციფიკური ფაქტორი) მოდელი წარმოადგინა. მას დაუპირისპირდა ე.წ. *მულტიფაქტორული* მიდგომა, რომლის მიხედვით არსებობენ განსხვავებული *პირველადი უნარები* და ლაპარაკი საერთო ფაქტორზე და, მაშასადამე, ერთიან ინტელექტზე უსაფუძვლოა. ამ მიდგომის დამცველების აზრით, არსებობს პირველადი გონებრივი უნარების ფართო სპექტრი ან ინტელექტის რამდენიმე დამოუკიდებელი ტიპი, მაგალითად, ლოგიკურ-მათემატიკური, ხატოვანი, სივრცითი, ლინგვისტური, მუსიკალური და ა.შ. (ლ. ტერსტოუნი, ჯ. გილფორდი და სხვა). დისკუსია ამ მიმართულებით დღესაც გრძელდება.

როგორც აღინიშნა, ტერმინი "ინტელექტის კოეფიციენტი" და მისი გამოთვლის ფორმულა შემოიტანა **ვილიამ შტერნმა** (1871-1938). მასვე ეკუთვნის ტერმინი "დიფერენციალური ფსიქოლოგია" და მისი, როგორც ფსიქოლოგიის ცალკე დარგის პირველი საგანგებო მეთოდოლოგიური დასაბუთება. 1900 წელს გამოსულ წიგნში "ინდივიდუალურ განსხვავებათა ფსიქოლოგია" შტერნი აღნიშნავდა, რომ ბოლო დრომდე ფსიქოლოგია მიმართული იყო ზოგადისა და საერთოს ძიებაზე და თითქმის არ აქცევდა ყურადღებას იმ გასაოცარ მრავალფეროვნებას, რომელშიც ვლინდება ეს საერთო სხვადასხვა პიროვნებაში, ადამიანთა ტიპში, სხვადასხვა სქესში, მოსახლეობის განსხვავებულ ფენაში, ერში და ა.შ. მაგრამ მეცნიერების ყველა პრობლემის გადაჭრა არ შეიძლება "საერთო მიდგომიდან გამომდინარე". არსებული ცალმხრივობის დასაძლევად ერთბელ და სამუდამოდ უნდა გაცნობიერდეს, რომ

ფსიქიკურის *ვარიაბილურობას და დიფერენციაციას* ისეთივე უფლება აქვს, გახდეს მეცნიერული შესწავლის საგანი, როგორც ზოგადფსიქოლოგიურ ფაქტებსა და კანონზომიერებებს. განსხვავებულისა და თავისებურის მიმართ ერთგვარი ინტერესი გაჩნდა, წერდა შტერნი, მაგრამ ის უმეტესად მაინც ზოგადფსიქოლოგიური ანალიზის თანმდევ, არამთავარ პროდუქტად განიხილება. კვლევები, რომლებიც პირდაპირაა მიმართული განსხვავებულობათა შესწავლაზე, ჯერ კიდევ მცირეა და დიფერენციალური ფსიქოლოგიის ზოგადი ფსიქოლოგიისაგან ცნობიერი გამიჯვნის პროცესი მხოლოდ იწყება.

წიგნში "დიფერენციალური ფსიქოლოგია" (1911) შტერნი საგანგებოდ განიხილავს კვლევის ამ მიმართულების წინამორბედებსა და ამასთან დაკავშირებულ ტერმინებს. მაგალითად, ეთოლოგია (როგორც მნეობრივი ქცევის შესწავლა) და ქარაქტეროლოგია (როგორც ხასიათის ტიპების შესწავლა) ძალზე ვიწროა და ვერ ფარავს ინდივიდუალურ განსხვავებათა მთელ სპექტრს. ყოფითი აზროვნებისთვისაც კი ნათელია განსხვავება ხასიათსა და, თუნდაც, ინტელექტს შორის, რომლითაც ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. სახელწოდება *ინდივიდუალური ფსიქოლოგია*, რომელსაც ხმარობდნენ ბინე, კრეპელინი და სხვები, მისაღებია, მაგრამ მას უკვე აქვს თავისი გამოყენების ტრადიცია სოციალური და ხალხთა ფსიქოლოგიის საპირისპიროდ, ე.ი. ის ეხება მხოლოდ ცალკეულ ინდივიდს. ხოლო, მეცნიერების დარგს, რომლის დაფუძნებაც შტერნს განუზრახავს, ინდივიდებს შორის არსებულ განსხვავებებთან ერთად უნდა შეისწავლიდეს ხალხებს, სქესებს, ასაკებს შორის განსხვავებებს, ანუ დიფერენციაციის პრობლემის მთელ წრეს. შტერნის მიხედვით, დიფერენციალურმა ფსიქოლოგიამ უნდა განიხილოს ყველა ეს სახესხვაობა და გამოაელინოს მათი გამომწვევი მიზეზები. აქ პირველ პლანზე გამოდის ურთულესი პრობლემა შინაგანი (მემკვიდრეობა, მიდრეკილება) და გარეგანი (გარემოს ზეგავლენა, აღზრდა, ეტალონები, ნორმები და ა.შ.) ფაქტორების შესახებ. მის გადაწყვეტას შტერნი უდგებოდა ე.წ. *კონვერგენციის თეორიის* მიხედვით, რომელიც ადამიანის ფსიქიკურ თავისებურებათა ჩამოყალიბებას შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ერთობლივი მოქმედების შედეგად განიხილავს.

შტერნის მოსაზრებებმა დიდი გავლენა მოახდინა დიფერენციალური ფსიქოლოგიის დამკვიდრებაზე. ისინი ამჟამადაც ინარჩუნებენ აქტუალობას, რადგან დღესაც ზოგჯერ იჩენს თავს ტენდენცია წარმოაჩინონ დიფერენციალური ფსიქოლოგია მხოლოდ ყოველგვარი ფსიქოლოგიური კვლევის დიფერენციალურ ორიენტაციად და არა ფსიქოლოგიის დამოუკიდებელ დარგად. არადა ფსიქოლოგიას, როგორც, შესაძლოა არც ერთ სხვა მეცნიერებას, ესაჭიროება იმის ცხადყოფა, რომ საერთოსთან ერთად საჭიროა და შესაძლებელი თავისებურის კვლევა, რომ ზოგადის კონკრეტული განხორციელება ყოველთვის შეიცავს ინდივიდუალობის მომენტს, რომ ინდივიდუალურ განსხვავებებში ვლინდება ადამიანის ფსიქიკური მოქმედების ყველაზე ზოგადი კანონზომიერებები, რომ ინდივიდუალური თუ ჯგუფური ვარიაციულობა უნივერსალური ფენომენია და ადამიანური ქცევის არსებითი თვისება. ადამიანის დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური მახასიათებლები

რეალური მოვლენებია, რომლებიც სტაბილურად იჩენენ თავს და ტიპოლოგიზაციასა და კლასიფიკაციას ექვემდებარებიან. მაგალითად, მათემატიკური ან მხატვრული ინტელექტის ტიპის ადამიანი ამ თავის ინდივიდუალურ თავისებურებას მრავალი წლის განმავლობაში და სხვადასხვა სიტუაციაში ავლენს. იგივე ითქმის ტემპერამენტის (მაგალითად სანგვინიკი ან ფლეგმატიკი) თუ ხასიათის (მაგ., პუნქტუალური ან კომუნიკაბელური ადამიანი) ინდივიდუალურ-ტიპოლოგიურ გამოვლინებებზე.

ამ სერიოზულ თეორიულ ინტერესებთან ერთად, დიფერენციალურ ფსიქოლოგიას, როგორც ფსიქოლოგიური კვლევის სპეციალურ დარგს, ასაზრდოებდა მნიშვნელოვანი პრაქტიკული ინტერესიც. ადამიანთა ინდივიდუალურ თავისებურებათა გამოვლენა თავიდანვე სტიმულირებული იყო საზოგადოებრივი პრაქტიკის ამოცანებით, პირველ რიგში, პედაგოგიური და სამედიცინო კუთხით. როგორც ვნახეთ, ბინემ ტესტები შექმნა და გამოიყენა სკოლის მოსწავლეების, ხოლო კრეპელინმა სულით ავადმყოფთა დიფერენციაციისთვის. ძალიან მალე აქტუალური გახდა ტესტების გამოყენება საწარმოო და ზოგადად, პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ამოცანების გადასაწყვეტად. სახელდობრ, ე.წ. *ფსიქოტექნიკის* ფარგლებში გაიშალა მუშაობა საბუშაო პერსონალის *პროფშერჩევისა და პროფორიენტაციის* მიმართულებით. ტერმინი "ფსიქოტექნიკა" შემოიღო შტერნმა, ხოლო ფსიქოტექნიკაში დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური იდეებისა და მეთოდების ყველაზე აქტიური დამნერგავი გახდა მიუნსტენბერგი.

**ჰიუგო მიუნსტენბერგი** (1863-1916) უკვე საკმაოდ ცნობილი თეორეტიკოსი და ექსპერიმენტატორი იყო, როდესაც იგი 1892 წელს ფრაიბურგის უნივერსიტეტიდან ჰარვარდში მიიწვია ჯეიმსმა ლექციების პარალელური ლაბორატორიული სამუშაოს უზრუნველსაყოფად. მიუნსტენბერგმა, ზოგიერთი სხვა ევროპელი ფსიქოლოგისაგან განსხვავებით, ადვილად აუღო ალღო ამერიკული ცხოვრების წესს. მალე იგი თითქმის მთლიანად გადაერთო პრაქტიკულ საქმიანობაზე და გამოყენებითი ფსიქოლოგიის ერთ-ერთ გამოჩენილ ორგანიზატორად მოგვევლინა. მიუნსტენბერგი ამოდიოდა იქიდან, რომ ინდივიდუალური განსხვავებები ადამიანთა შორის უნდა აისახოს მათ პროფესიულ საქმიანობაშიც. ეს ნიშნავს, რომ არსებობს კონკრეტული ადამიანისთვის შესაფერისი და არამესაფერისი პროფესიები. მსხვილი კორპორაციების დაკვეთით მიუნსტენბერგმა შექმნა მრავალი დიაგნოსტიკური მეთოდი მუშების და მომსახურე პერსონალის შესარჩევად. პროფესიული ეარგისიანობის ტესტები იქმნებოდა საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში ყველაზე წარმატებული სპეციალისტების გამოკვლევის საფუძველზე. ამ გზით ელინდებოდა ის უნარ-თვისებები, რომელებიც აუცილებელია კონკრეტული პროფესიისთვის, იქნებოდა ეს სენსომოტორული თუ კოგნიტური ფუნქციები, როგორიცაა მეხსიერება, ყურადღება, ზოგადი, საგოვანი თუ მანიპულაციური ინტელექტი.

## 6.3. ბავშვისა და პედაგოგიური ფსიქოლოგიის განვითარება

მომავალი თაობის მომზადება სრულყოფილი ცხოვრებისთვის ყოველთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანა იყო საზოგადოებისთვის. ამიტომ უძველეს კულტურებსა და ცივილიზაციებში არსებობდა გარკვეული პედაგოგიური პრინციპები და მათი რეალიზაციის ტექნოლოგია. განათლების შინაარსი, სწავლა-აღზრდის ორგანიზაციის წესი და მეთოდები ნაკარნახევი იყო ამა თუ იმ კულტურის "ობიექტური" (სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური, ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა) თავისებურებებით. რაც შეეხება "სუბიექტურ" მხარეს, აღსაზრდელის ფსიქოლოგიურ თავისებურებებს, მათ სერიოზული მნიშვნელობა არ ენიჭებოდა და მხოლოდ მაშინ ითვალისწინებდნენ, როცა საჭირო ხდებოდა იმის გარკვევა, შეეძლო თუ არა აღსაზრდელს მის მიმართ წაყენებული მოთხოვნების შესრულება. პედაგოგიური ფსიქოლოგიის საკითხები თითქმის არ იყო რეფლექსირებული; მათი გადაწყვეტა პრაქტიკულ პლანში, საღი აზრის დონეზე ხდებოდა.

ანტიკურ ფილოსოფიაში იმთავითვე გაჩნდა მოსაზრებები ბავშვის ფსიქიკის განვითარების თაობაზე. სულიერი მოვლენების საფუძვლების ძიებას ანტიკური მოაზროვნეები აეცილებლობით მიჰყავდა ფსიქიკის განვითარების იდეამდე, რაც ლოგიკურად აყენებდა საკითხს განვითარების პროცესის განმსაზღვრელი ფაქტორებისა და ეტაპების შესახებ. აქედან გამომდინარე, ძველი დროის წამყვანი მკვლევარები სულზე (ფსიქიკაზე) თავისი შესაძლებლობების დასამტკიცებლად ხშირად მიუთითებდნენ იმაზე, თუ როგორ აღიქვამს ბავშვი სამყაროს, როგორ ითვისებს ახალ ცნებებს, როგორ რეაგირებს სხვადასხვა სიტუაციაზე და ა.შ. (დემოკრიტე, სოკრატე, პლატონი, არისტოტელე, ეპიკურე, ძენონი, სენეკა, კვინტილიანე, მარკუს ავრელიუსი და ბევრი სხვა). ასე გაგრძელდა მომდევნო ეპოქებში, როგორც ქრისტიანული ტრადიციის (ავგუსტინე, თომა აქვინელი, ერაზმ როტერდამელი, ხუან ვიესი და სხვა), ისე აღმოსავლური ტრადიციის (კონფუცი, ალ-ღაზალი, ავიცენა, ავეროესი და სხვა) ფარგლებში.

შუასაუკუნოვან ევროპაში გაბატონებული იყო დოგმატურ-რელიგიური, სქოლასტიკური განათლება. სქოლასტიკის მთავარი სასწავლო მეთოდია გაზეპირება და დამახსოვრება (როგორც წესი, თვალსაჩინო წარმოდგენისა და გააზრების გარეშე). სქოლასტიკური პედაგოგიკა ყურადღებას არ აქცევდა ბავშვის ფსიქოლოგიას, ბავშვს მხოლოდ გამოსაძერწ და მოსარჯულებელ მასალად განიხილავდა, მიზნად ისახავდა ბავშვის ბუნების დათრგუნვას, რადგან იგი ცოდვილად და მანკიერებისკენ მიდრეკილად მიაჩნდა. სწამდა, რომ მხოლოდ ბუნების დათრგუნვით შეიძლება მნეობრივი და გონიერი ქრისტიანის აღზრდა. ამგვარი მიდგომა, რომელიც XVII-XVIII საუკუნეებში პროტესტანტულმა ეთიკამ კიდევ უფრო გააძლიერა, XX საუკუნის შუახანებამდეც კი შემორჩა. სქოლასტიკური ზეპირობა კი XXI საუკუნეშიც ერთ-ერთ მთავარ სასწავლო მეთოდად რჩება. მხოლოდ რენესანსის სანაში მოხდა გამონათება და ანტიკური ტრადიციის განვითარება, ოღონდ გაცილებით მაღალ დონეზე -- ქრისტიანული ჰუმანიზმისა და ინდივიდუალიზმის დონეზე.

რენესანსის ფილოსოფიაში და, კერძოდ, პედაგოგიკაშიც, სქოლასტიკის საპირისპიროდ, მთავარია *ბუნებითობის* პრინციპი.

რენესანსის ჰუმანისტებმა (იტალიელები ვ. დე ფელტრე, პ. ვერჯერიო და მ. ვეჯიო, ჰოლანდიელი ერაზმი, ინგლისელი თ. მორი, ფრანგები ფ. რაბლე და მ. მონტენი, ჩეხი ი.ა. კომენსკი და სხვანი) კლასიკური პედაგოგიკა დააფუძნეს. რენესანსის ფილოსოფიის თანახმად, ღმერთმა ადამიანი ამქვეყნიურობის გვირგვინად და მეუფედ შექმნა, მოუწყო მას მშვენიერი სამყარო – ლამაზი ბაღი, რომელშიც ადამიანი ბედნიერად უნდა ცხოვრობდეს (ამ სიცოცხლეშივე), გონებით უნდა შეიმეცნებდეს და გულით ესთეტიკურად უნდა განიცდიდეს ამ სამყაროს – ღმერთის დიად ქმნილებას. მაგრამ, ამასთან, ვითარც კეთილ მეუფეს, ადამიანს ამ სამყარობე ზრუნვაც ევალება – როგორც კარგი მებაღე ზრუნავს თავის ბაღზე. სიქველე, თავისუფალი შრომა, სიყვარული, შემოქმედება (ღმერთის მიბაძვა) – აი, ადამიანის მოწოდება და ღვთივსათნო საქმე (უკვე აქედან ჩანს აშკარად, თუ როგორ ძირეულად განსხვავდება რენესანსის სიცოცხლისმოყვარული ფილოსოფია ორთოდოქსული ქრისტიანობის გარდამქმნელი მეორე მძლავრი მოძღვრებისგან – პირქუში პროტესტანტიზმისგან). ჰუმანისტებმა უარყვეს შუასაუკუნეთა სქოლასტიკური საეკლესიო პედაგოგიკა და, ანტიკური ტრადიციების აღორძინებით, დააფუძნეს სწავლება-აღზრდის საერო მოძღვრება მეცნიერებაზე დამყარებით (*განათლების მეცნიერულობა*). ეს იყო ჰუმანიზმის ზოგადი ფილოსოფიის გადატანა კერძოდ ბავშვზე: როგორც ადამიანია ამქვეყნიურობის ცენტრი, ისევე უნდა იყოს ბავშვი სწავლება-აღზრდის ცენტრი, ანუ განათლების მიზანი და არა საშუალება თუ მასალა (თანამედროვე პედაგოგიკაში ამას ეწოდება *პედოცენტრიზმი* ანუ *მოსწავლეზე ცენტრირება*); ამასთან, ყველა ბავშვი განუმეორებელი პიროვნებაა და თავისებური მიდგომა სჭირდება (განათლების *ინდივიდუალიზაცია*); როგორც ადამიანის ცხოვრება უნდა იყოს სისხლსავსე და მრავალმხრივი, ისე ბავშვის აღზრდაც უნდა იყოს მრავალმხრივი: სხეულის, გრძნობის, უნარის, გონებისა და ნების ურთიერთშეწონილი განვითარებით (*ჰარმონიული* განათლება); როგორც მებაღის მუშაობაში მთავარი საფუძველია მცენარეთა ბუნებრივი (ღმერთის მიერ ჩანერგილი) თვისებები, და მებაღე მათ საუკეთესო გაფურჩქნაზე უნდა ზრუნავდეს, ასევე პედაგოგიკის მიზანიც ისაა, რომ ბავშვის სულში ჩანერგილ, თანდაყოლილ უნართა და ჯანსაღ მიდრეკილებათა საუკეთესო გაფურჩქნა-განვითარებას შეუწყოს ხელი, ამასთან, "გასხლას" არაჯანსაღი "წანაზარდები". ესაა თანდაყოლილისა და შეძენილის, ბუნებრივისა და სოციალურის *ურთიერთზემოქმედება* ანუ *ინტერაქცია* – რისი კარგი ხატოვანი მაგალითიცაა სწორედ ბაღი, რომელიც ბუნებრივისა და კულტურულის ჰარმონიულ შერწყმას წარმოგვიდგენს.

ჰუმანისტებმა ყურადღება გაამახვილეს აგრეთვე ბავშვის (ზოგადად, ადამიანის) შემეცნებით უნართა მრავალფეროვნებაზეც: პირველადია უშუალო შეგრძნება (*თვალსაჩინოების პედაგოგიკური პრინციპი*), რომელიც, მომდევნო დონეზე, უნდა განვითარდეს განყენებულ განსჯით აზროვნებად; მეხსიერება მხოლოდ თვალსაჩინო წარმოდგენასთან და აზროვნებასთან

ერთად და მათზე დაყრდნობით უნდა მუშაობდეს (*გააზრებული სწავლების პრინციპი*); ამასთან, დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე უშუალო წვდომას, ანუ ინტუიციას. მიუხედავად თვალსაჩინოების პრინციპის დამკვიდრებისა, რენესანსის გნოსეოლოგია (შემეცნების თეორია) არ იყო ცალმხრივად სენსუალისტურ-ნომინალისტური, რადგან შეუძლებლად მიაჩნდა აზროვნებისა თუ ზნეობის ფორმების განვითარება შეგრძნებებიდან – თანდაყოლილი, ღმერთის მიერ მონიჭებული წინარეფორმების (ნასახების) გარეშე. სწორედ ეს ნასახები უნდა განავითაროს და ჩამოაყალიბოს ბავშვის გამოცდილებამ და ბავშვზე პედაგოგიურმა ზემოქმედებამ.

ახალი დროის ფილოსოფოსთაგან, საინტერესო მოსაზრებები ფსიქიკური განვითარების სხვადასხვა ასპექტებთან დაკავშირებით გამოთქმული აქვთ დეკარტეს, სპინოზას, ლაიბნიცს. მაგრამ ლოკი და რუსო იყვნენ ის მოაზროვნენი, რომლებმაც მთლიანად შეცვალეს ის ინტელექტუალური კლიმატი, სადაც ხდებოდა ბავშვის ფსიქიკური ბუნების, მისი განვითარებისა და ფორმირების საკითხების განხილვა.

**ჯონ ლოკი** ემპირიული ფსიქოლოგიის ფუძემდებლად ითვლება (იხ. 3.1.). იგი ამოდიოდა იქიდან, რომ ადამიანის ფსიქიკური მოწყობა ემპირიული გამოცდილების შედეგია. ადამიანი დაბადებიდან "სუფთა დაფაა", რომელზეც გარემოს ზემოქმედების კვალდაკვალ იწერება ყოველგვარი ცოდნა ბუნების მოვლენებისა თუ საზოგადოებრივი წესების შესახებ. იგი ენერგიულად ებრძოდა ე.წ. თანდაყოლილი იდეების პოსტულატს, რომელსაც ბევრი მომხრე ჰყავდა (დეკარტე, ლაიბნიცი და სხვა). ყველა ახალშობილი ერთნაირია, ხოლო იდეებით აღსავსე ცნობიერებისა და ზნეობრივი პიროვნების ფორმირება სოციალური გარემოცვის, პირველ რიგში, სწავლა-აღზრდის ნაყოფია. განსაკუთრებით დიდია გარემოს ზემოქმედების როლი ბავშვის ცხოვრების პირველ წლებში, როდესაც მისი ფსიქიკა უფრო მოქნილია და მეტად ექვემდებარება მოზრდილების გავლენას.

სასწავლო და აღმზრდელობითი ზემოქმედება გარკვეული მექანიზმებისა და წესების გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს. ამ საკითხთან დაკავშირებული მოსაზრებები ლოკმა ჩამოაყალიბა თავის მთავარ ფილოსოფიურ ნაშრომში "ცდა ადამიანის გონების შესახებ" (1690), ძირითად, პედაგოგიურ ნაშრომში "აზრები აღზრდის შესახებ" (1693) და მისი სიკვდილის შემდეგ გამოცემულ ტრაქტატში "ადამიანის გონების მართვის შესახებ" (1706).

ლოკი ფიქრობდა, რომ ცნობიერება შედგება იდეებისაგან. მარტივი იდეები შეგრძნების გზით შემოდიან ცნობიერებაში. რთული იდეები მარტივი იდეების გადამუშავებით და კომბინირებით წარმოიქმნება. ამის ერთ-ერთ მექანიზმს *ასოციაცია* წარმოადგენს. ლოკი ასოციაციური ფსიქოლოგიის სათავეებთან დგას, თუმცა ასოციაცია სპეციფიკურად ესმის. ამ ტერმინით იგი აღნიშნავს იდეებს შორის არსებულ არაბუნებრივ ან არასწორ კავშირებს. მაგალითად, თუ ბავშვს რაიმე საგანთან ურთიერთობისას უარყოფითი გამოცდილება ჰქონდა, ცნობიერებაში ამ საგნის იდეის გაჩენა ნეგატიურ გრძნობებს და მის გამოყენებაზე უარის თქმას იწვევს, თუმცა ის, შესაძლოა, ძალიანაც სასარგებლო იყოს. ეს შემცდარი დამოკიდებულების

ან ჩვევის მაგალითია, რომელსაც უნდა ვებრძოლოთ. მაგრამ დადებითი გამოცდილებისა და სასარგებლო ჩვევების შეძენა აუცილებელია და ამის ერთ-ერთი საშუალებაა *გამეორება*. გამრავლების ცხრილა ბევრჯერ უნდა წაიკითხო, კბილები ხშირად უნდა გაიხეხო. სწორედ ასე ხდება სათანადო ცოდნა-ჩვევის ფორმირება. კიდევ ერთი საშუალებაა *მიბაძვა*. აქ უზარმაზარი მნიშვნელობა ენიჭება კარგ მაგალითს, რომელსაც ბუნებით მიმბაძველი ბავშვი მიჰყვება. მაგრამ კარგი მოქმედებისა და შეხედულების გამომუშავებისთვის ეს ხშირად არ კმარა. სწავლა-აღზრდის პროცესი *დასჯა-წახალისების* გამოყენებასაც გულისხმობს, მაგრამ აქცენტი წახალისებაზე უნდა გაკეთდეს და შეძლებისდაგვარად, გამოირიცხოს ფიზიკური დასჯა (მაგ., როზგი). ქცევის გარეგან სგიმულებთან ერთად (შექება, საჩუქარი), ლოკი შინაგანი სტიმულების მნიშვნელობაზე ამახვილებდა ყურადღებას. საუბარია იმაზე, რომ გამოყენებულ იქნეს ბავშვის *ცნობისმოყვარეობა*, ის ბუნებრივი მექანიზმი, რითაც ადამიანი დაჯილდოებული იმთავითვეა და საიდანაც, სწორი აღზრდის შემთხვევაში, აღმოცენდება ცოდნისკენ სწრაფვა. ლოკი აღნიშნავდა, რომ აღზრდის რეალურ პროცესში ჩამოთვლილი მექანიზმები ხშირად ერთად მოქმედებენ. მაგალითად, საფიქრალია რომ ბავშვი თავის მშობლებს მიბაძავს, თუ დაინახავს, რომ ისინი ტანსაცმელს საკიდზე ჰკიდებენ. ეს კარგი მოქმედება გამეორებათა შედეგად ჩვეულებად გადაიქცევა და მით უფრო განმტკიცდება, რაც მეტს შეაქებენ მას ამის გამო.

სწავლა-აღზრდის შინაარსი და საშუალებები უნდა შეესაბამებოდნენ ბავშვის ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს. ვერ მოინახება ორი ბავშვი, ამტკიცებდა ლოკი, რომელთა აღზრდისას შესაძლებელი იქნება ზუსტად ერთნაირი მეთოდებისა და ხერხების გამოყენება. ინდივიდის მიდრეკილებების გათვალისწინება აუცილებელია იმისთვისაც, რომ სწავლის პროცესი დადებითი ემოციების ფონზე მიმდინარეობდეს, იყოს საინტერესო, სახალისო და, ამდენად, ეფექტური. ეს, ფაქტობრივად, ნიშნავს, რომ ბავშვები ერთმანეთისაგან იმთავითვე განსხვავდებიან. მათი ინდივიდუალური უნარები და მიდრეკილებები სერიოზულ შეზღუდვებს უქმნიან სწავლების შინაარსისა და მეთოდების განსაზღვრის საქმეს. ლოკი სისულელედ მიიჩნევს იმაზე უიქრსაც, რომ შეეცვალათ ან წინ აღდგომოდნენ ბავშვის ბუნებრივ მიდრეკილებებს. როგორც არ უნდა შეფასდეს ეს დებულება დღევანდელი მეცნიერების თვალსაზრისით, ერთი რამ ცხადია, – ის ეწინააღმდეგება ლოკის ზოგად ემპირისტულ პოზიციას, რომელიც მისი მსოფლმხედველობის ქვაკუთხედია. გამოდის, რომ ბავშვის გონება არ ყოფილა "სუფთა დაფა", ან კიდევ "თიხის ნაჭერი", რომლისაგანაც ყველაფრის გამოძერწვა შეიძლება. განვითარების თეორიების სპეციალისტებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ლოკის პედაგოგიური სისტემის ეს არაითანმიმდევრულობა.



**ჟან-ჟაკ რუსოსთვის** (1712-1778) პოსტულატი ბავშვების თანდაყოლილი ფსიქიკური განსხვავებუ-

ლობის შესახებ, პედაგოგიური კონცეფციის ერთ-ერთი საფუძველი იყო. რუსოს აზრით, ბავშვი ეითარდება ბუნების მიერ დაწერილი გეგმის შესაბამისად. განვითარების პროცესი შინაგნად არის განსაზღვრული. ლოკისაგან განსხვავებით, მას არ სჯერიოდა, რომ სულიერი სფეროს ფორმირება ყოველისშემძლე გარეგანი (პირველ რიგში სოციალური) ზემოქმედების მიხედვით წარიმართება. აღზრდა მხოლოდ მაშინ იქნება ეფექტური, თუ ის შეესაბამება აღსაზრდელის ბუნებრივ უნარებს და მიდრეკილებებს, მისი *განვითარების გეგმას*. აღზრდამ უნდა შექმნას ოპტიმალური პირობები, რათა ამ გეგმის განხორციელება დაუბრკოლებლად წარიმართოს, რათა ბავშვმა თვითონ გამოაელინოს მისი შესაძლებლობები. ბუნება, ამბობდა რუსო, როგორც ფარული მასწავლებელი, აღძრავს ბავშვს, რათა მან ზრდის სხვადასხვა სტადიაზე სხვადასხვა უნარები განვითაროს. ბუნებრივად დაწესებული განვითარების განრიგი ასახავს როგორც ბავშვის ინდივიდუალურ თავისებურებებს (ზოგი ადრე იწყებს სიარულს, ან გვიან იწყებს ლაპარაკს, ზოგი ხელოვნებისკენ არის მიდრეკილი, ზოგი მეცნიერებისკენ და ა.შ.), ასევე განვითარების ზოგად კანონზომიერებებს. ამ კანონზომიერებათა შესაბამისად გამოიყოფა განვითარების ოთხი სტადია ან პერიოდი, რომელთაც ყველა ბავშვი გაიელის. მათი დახასიათება ხდება იმის მიხედვით, თუ რომელი სფეროს განვითარება მიმდინარეობს უპირატესად და როგორ უნდა წარიმართოს აღზრდის პროცესი ბუნების ჩანაფიქრის ოპტიმალური რეალიზაციისთვის.

პირველი პერიოდი, *ჩვილობა* (დაბადებიდან 2 წლამდე), უპირატესად *ფიზიკური განვითარების* სტადიაა. მშობლების ვალია შეუქმნან ბავშვს სათანადო პირობები ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, მაგრამ, ამასთან, იყენენ საკმარისად მომთხოვნები რათა ზედმეტად არ გაანებივრონ შვილი. სხეულებრივი განვითარებისთვის აუცილებელია ფიზიკური ვარჯიშისა და წრთობის ორგანიზება. ამ პერიოდში ბავშვებს არა აქვთ იდეები და გონება. ისინი უბრალოდ განიცდიან ტკივილს ან სიამოვნებას და ამ პროცესში ეცნობიან საგანთა თვისებებს (ცივი, თბილი, მაგარი, რბილი და ა.შ.). ბავშვები, აგრეთვე, იწყებენ დამოუკიდებლად ენის ათვისებას და ამ პროცესში უფროსების საგანგებო ჩარევა, მით უფრო მისი დაჩქარების მცდელობა, არ არის რეკომენდებული.

მეორე პერიოდი, *ბავშვობა* (2-დან 12 წლამდე) ძირითადად *სენსორული განვითარების* სტადიაა. რუსო, ფრანგი განმანათლებლების უმეტესობის მსგავსად, სენსუალისტი იყო და ამიტომ შეგრძნებათა განვითარებას აზროვნების მომავალი განვითარების საფუძვლად მიიჩნევდა. ამ დროს ბავშვი სამყაროს გრძნობის ორგანოების საშუალებით ეცნობა. მას აქვს თავისებური ინტუიციური გონებაც, მაგრამ ის უშუალოდ არის დაკავშირებული სხეულის მოძრაობებთან და შეგრძნებებთან. მაგალითად, ბურთის ზუსტად მსროლელი ბავშვი აელენს სიჩქარისა და მანძილის "ცოდნას". მაგრამ ეს ცოდნა და გონება ძალზე კონკრეტული ხასიათისაა. ამიტომ რუსო ბავშვების ადრეული სწავლების წინააღმდეგ გამოდიოდა. ამ პერიოდში "გონებას სძინავს" და სისტემატური სწავლებაც შემდეგი პერიოდიდან უნდა დაიწყ-

ოსო, ამბობდა იგი.

მესამე პერიოდი, *გვიანი ბავშვობა* (12-დან 15 წლამდე) *აზროვნების განვითარების* სტადიაა. სისტემატური სწავლების დაწყება ამ დროს არის საჭირო, ვინაიდან ბავშვს სწორედ ახლა უჩნდება ჩვენ მიერ მიწოდებული ცოდნის აღეკვატური ვაგებისა და შეთვისების უნარი. ამასთან, სწავლებაში რუსო გულისხმობს გონებრივი განვითარების პროცესს, რომელიც ხორციელდება პროგრამების, განრიგისა და სახელმძღვანელოთა გარეშე. უნდა შეიქმნას ისეთი სიტუაცია, სადაც ბავშვი გამუდმებით სვამს კითხვებს, ხოლო აღმზრდელი პასუხობს. ასეთი წესით ბავშვი აითვისებს გეოგრაფიას, ქიმიას, ფიზიკას, ბიოლოგიას, ე.ი. ბუნებისმეტყველურ საგნებს. სოციალურ-ჰუმანიტარული ცოდნის მიწოდება არ არის რეკომენდებული, რადგან ამ პერიოდში, ისევე როგორც წინა პერიოდებში, ბავშვი არის ასოციალური არსება, ანუ ძირითადად იმაზე ზრუნავს, რაც მისთვისაა სასარგებლო და საკლებად იჩენს ინტერესს სოციალური ურთიერთობებისადმი, რომელთა გარეშე არ არსებობს ზნეობა. ამ პერიოდის ბავშვს რუსო ადარებს რობინზონ კრუზოს: თვითკმარ ადამიანს, რომელიც ეფექტურად ურთიერთობს ფიზიკურ გარემოსთან.

მეოთხე პერიოდი, *მოზარდობის ასაკი* (15-დან 25 წლამდე, ანუ სრულწლოვანებამდე) არის *ზნორალური განვითარების* სტადია. ამ პერიოდში ახალგაზრდა ინდივიდი სოციალურ არსებად იქცევა. იგი აღარ არის თვითკმარი, მას უჩნდება ძლიერი სწრაფვა სხვა ადამიანების, განსაკუთრებით, თანატოლებისადმი. ეს ლიდწილად სქესობრივი მომწიფებით არის განსაზღვრული და, რუსოს წარმოდგენით, 15 წლიდან იწყება. რადიკალურად იცვლება მოზარდის ემოციური სამყარო, ესაა "ქარიშხლებისა და ენებების" ხანა. სოციალურ ურთიერთობებზე ორიენტირებული, ემოციურად აგზნებული და არამდგრადი მოზარდისთვის აუცილებელია კეთილი სურვილების, კეთილი აზრებისა და კეთილი ნების გამომუშავება ანუ ზნეობრივი აღზრდა. ეს მიიღწევა არა დარიგებებით და შეგონებებით, არამედ კარგ ადამიანებთან უშუალო ურთიერთობით, კარგი მაგალითების ჩვენებით. ამ საქმეში თავის ფუნქციას ასრულებს სწავლებაც, განსაკუთრებით ისეთი საგანი, როგორიც ისტორიაა. იგი საშუალებას გვაძლევს დავანახოთ მოზარდს ადამიანური ცხოვრების სცენა წარმოდგენაში უშუალო მონაწილეობის გარეშე.

რუსომ მოგვცა ფსიქიკური განვითარების პირველი გაშლილი *პერიოდიზაცია*, რაც, ცხადია, ძალიან მნიშვნელოვანია ასაკობრივი, კერძოდ, ბავშვის ფსიქოლოგიის ისტორიის თვალსაზრისით. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსოს პერიოდიზაცია უფრო გონებაჭვრეტითი ხასიათისაა. იგი ემყარება არა მის საკუთარ მეცნიერულ დაკვირვებებს, არამედ თეორიულ მოსაზრებებს და საზოგადოების ყოფით გამოცდილებას (ცნობილია, რომ რუსოს არ უყვარდა ბავშვები, არ ჰქონდა მათთან ურთიერთობა არც როგორც მასწავლებელს, არც როგორც მშობელს. მან თავისი ხუთივე შვილი თავიდანვე უპატრონო ბავშვების თავშესაფარში გაამწესა). რუსოს შეხედულებები ბავშვის ფსიქიკური ბუნებისა და ე.წ. *ბუნებრივი აღზრდის* თაობაზე ჩამოყალიბებულია მის ცნობილ წიგნში "ემილი ანუ აღზრდის შესახებ" (1762).

ასაკობრივმა ფსიქოლოგიამ, როგორც ფსიქოლოგიის დამოუკიდებელმა

დარგმა ჩამოყალიბება XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო. ოთხმოციანი წლებიდან მისი განვითარება უკვე საკმაოდ სწრაფი ტემპით წარიმართა. თუმცა პირველი წიგნი, სადაც სისტემატურად ასახულია ბავშვის პირველი ორი წლის ფსიქიკური განვითარება (ავტორის ვაჟის მაგალითზე) 1787 წელს გამოიცა და ეკუთვნის გერმანელ ექიმს დ. ტიედემანს. საკუთარ შვილებზე დაკვირვება ყოველთვის წარმატებით გამოიყენებოდა ბავშვის ფსიქოლოგიაში, მისი განვითარების აღრეულ ეტაპზე კი ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენდა. ასეთია, მაგალითად, ბ. სიგიზმუნდის (1856) ნაშრომი; აგრეთვე ჩ. დარვინის "პატარა ბავშვის ბიოგრაფიული ესკიზი" (1877), სადაც დღიურის ფორმაში გადმოცემულია ავტორის დაკვირვებები მისი შვილის ფრენსის ონტოგენეზზე; დაბოლოს, ი. ტენის შრომა, რომელშიც მისი ქალიშვილის მიერ ენის შეთვისების პროცესია აღწერილი და ენის ისტორიული განვითარების პროცესთან შედარებული. ამგვარი ნაშრომების არსებობის მიუხედავად, ბავშვის ფსიქოლოგიის საწყის პუნქტად მიჩნეულია ინგლისელი ბიოლოგისა და ფსიქოლოგის ვ. პრაიერის კაპიტალური ნაშრომი "ბავშვის სული" (1882). მან უღიდესი რეზონანსი გამოიწვია და მრავალ ენაზე ითარგმნა. პრაიერი ამტკიცებდა, რომ საჭიროა (და შესაძლებელიც) არა მხოლოდ ფსიქიკური განვითარების ცალკეული მხარეების შესწავლა, არამედ ბავშვის მთელი სულიერი ცხოვრების, მისი გონებრივი, ნებელობითი, ზნეობრივი, ესთეტიური ასპექტების ერთიანობის სისტემატური ანალიზი. პირველი თაობის ბავშვის ფსიქოლოგები ერთხმად მიიჩნევენ, რომ პრაიერის წიგნმა, პირდაპირი მნიშვნელობით, გზა გაუკვალა ამ ახალ დარგს. ამავე დროს აღნიშნავენ, რომ "ეს საოცარი წიგნია, სავსე კეთილსინდისიერი და საინტერესო დაკვირვებებით და მწირი საკუთარი აზრებით" (ბიულერი). აქ იგულისხმება, რომ ფაქტების პრაიერისეული ინტერპრეტაცია და მისი თეორიული შეხედულებები მეცნიერებას უკვე ორი ათეული წლის შემდეგ ყველარ აკმაყოფილებდა, იმდენად სწრაფი აღმოჩნდა პროგრესი ამ სფეროში. ამის მიუხედავად, პრაიერის წვლილი მაინც მნიშვნელოვანია, ეისაიდან მან კონკრეტულად აჩვენა ზოგიერთი ობიექტური მეთოდის გამოყენების პერსპექტივა ბავშვის ფსიქიკის კვლევაში.

მართლაც, ობიექტური, პირველ ყოვლისა ექსპერიმენტული მეთოდების დანერგვა, ფსიქოლოგიის ამ დარგის წინსვლის სერიოზული საწინდარი გახდა. თუ არა გარღვევა, რომელიც ფეხნერის, ვუნდტის, ებინჰაუზის, მიულერისა და ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის სხვა ფუძემდებლების წყალობით მოხდა, გენეტიკური ფსიქოლოგიის პრობლემატიკა (ფილოგენეზი და ონტოგენეზი), კვლავაც დარჩებოდა ყოფითი ხასიათის დაკვირვებებისა და ფილოსოფიური ვარაუდების სფეროში. ემპირიული ინტროსპექციული ფსიქოლოგიის ფარგლებში რომ პრაქტიკულად შეუძლებელია იმ სფეროს შესწავლა, სადაც თვითდაკვირვება არსებითად უძლურია (ცხოველის ან ბავშვის ფსიქიკა), ამაზე ზემოთ უკვე საკმარისად ითქვა (იხ. 6.1.). აქ ყველაზე მეტად ჩანს კვლევის *ობიექტური მეთოდების* გამოყენების პროდუქტიულობა.

იმავდროულად, ფსიქოლოგიაში სულ უფრო იკიდებდა ფეხს ე.წ. *გენეტიკური მეთოდოლოგია* ან მიდგომა. იგი გულისხმობდა ფსიქიკური პრო-

ცესებისა და მთელი სულიერი ცხოვრების განხილვას მისი აღმოცენებისა და განვითარების კუთხით. დებულება, რომ ფსიქიკური მოვლენები არ წარმოიქმნებიან გამზადებული სახით, არამედ გაიელიან ფორმირების საკმაოდ ხანგრძლივ გზას და რომ ამ პროცესს თავისი კანონზომიერი ეტაპები გააჩნია, ასაკობრივი ფსიქოლოგიის ქვაკუთხედს წარმოადგენს. ეს იდეა, თავის მხრივ, ევოლუციონისტური აზროვნების ნაყოფია. მას, პირველ რიგში, დარვინის მოძღვრებამ გაუმყარა საფუძველი, მაგრამ მისი გავლენა გასცდა ბუნებისმეტყველებას და გავრცელდა სოციალურ მეცნიერებაზე და ფილოსოფიაზე. აქ უნდა მოვიხსენიოთ პირველი პოზიტივისტები, სახელდობრ ა. ბეინი და, განსაკუთრებით, ჰ. სპენსერი. ემპირიული ფსიქოლოგია, როგორც ვიცით, ძირითადად ფილოსოფიის ფარგლებში ვითარდებოდა. სპენსერი კი ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მოაზროვნე იყო. მან ბევრი რამ გააკეთა იმისთვის, რათა ევოლუციური წარმოდგენების დანერგვის საშუალებით ასოციაციური ფსიქოლოგიის რეფორმირება მოეხდინა. იგი ამტკიცებდა, რომ ფსიქიკა ევოლუციის კანონზომიერი ეტაპია და გარემოსთან ადეკვატური შეგუების უუნქციას ასრულებს (იხ.3.3.). ეს იდეები შემდგომში ფუნქციონალურ ფსიქოლოგიაში განვითარდა, რომელიც ამერიკაში გამოყენებითი დარგების თეორიული საფუძველი გახდა (იხ. 5.5.). მათ შორის ერთ-ერთი ძირითადი აღგილი სწორედ ასაკობრივმა და პედაგოგიურმა ფსიქოლოგიამ დაიკავა.

რადგან ზემოთ სიტყვა ფილოსოფიაზე ჩამოვარდა, უნდა ითქვას შემდეგი: ბავშვის ფსიქოლოგიის ფორმირების პირველ ეტაპზე მიაჩნდათ, რომ ფილოსოფიის ბევრი ბნელი საკითხი შეიძლება გაშუქდეს ან გამარტივდეს იმ აღმოჩენების წყალობით, რომლებსაც მოიტანს ბავშვის ფსიქიკური ცხოვრების საწყისი ეტაპების მეცნიერული შესწავლა. ერთ-ერთი ასეთი საკითხია ის, რაც ემპირიზმისა და რაციონალიზმის მუდმივი დავის საგანს ეხება: რა ავსებს ჩვენ ცნობიერებას შინაარსით – გამოცდილება თუ "თანდაყოლილი იდეების" აქტუალიზაცია. მაგრამ იდეების ან "ცოდნის" (მიუხედავად იმისა, თუ სად იმყოფება იგი – იმთავითვე ინდივიდში თუ მის გარეთ) ადამიანის ნამდვილ კუთვნილებად გადაქცევა იმას ნიშნავს, რომ სუბიექტი მას ცნობიერად უნდა ფლობდეს და საჭიროებისამებრ გამოყენება ხელეწიფებოდეს. ე.ი. ცოდნა აქტიური უნდა იყოს. ამის მისაღწევად კი სათანადო პირობები და მეთოდებია საჭირო. მამასადამე, უნდა მოხდეს ისეთი პროცესის ორგანიზება, რომელიც "ცოდნის" შეთვისებას ან აქტუალიზაციას უზრუნველყოფს. ეს კი, არსებითად, პედაგოგიური პროცესია.

ამ პროცესის გაძლიერებისა და გადახალისების ამოცანა უაღრესად აქტუალური გახდა XIX საუკუნის შუა პერიოდიდან. ის მნიშვნელოვან წილად უკავშირდებოდა საყოველთაო განათლების შემოღებას. მასობრივი სკოლა სულ სხვა მოთხოვნებს აყენებს, ვიდრე საოჯახო განათლება, რომელიც მანამდე წამყვანი იყო. აქ უკვე შეუძლებელია სწავლების ფორმალური და შინაარსეული მხარის განსაზღვრა ცალკეული ბავშვის ინდივიდუალურ თავისებურებებზე დაყრდნობით. ამიტომ დღის წესრიგში დგება განვითარების იმ ასაკობრივი ეტაპებისა და ცოდნის შეთვისების მექანიზმების გარკვევა, რომლებიც საერთოა ყველა ბავშვისთვის. ეს უშუალოდ ასაკობრივი და პედა-

გოგიური ფსიქოლოგიის საქმეა. მხოლოდ ამ ცოდნის საფუძველზეა შესაძლებელი იმის განსაზღვრა, თუ რა, როგორ და როდის უნდა ასწავლოს სკოლამ. ყოველივე ეს საზოგადოებრივ მოთხოვნებს უკავშირდებოდა, კერძოდ, იმის რწმენას, რომ სასკოლო რეფორმა და აღზრდის სისტემის ძირეული გადახალისება, რაც მეცნიერულ საფუძველზე უნდა მომხდარიყო, საზოგადოებრივი ცხოვრების სასურველ ცვლილებებს მოიტანდა. ამ მეცნიერულ საფუძველს მნიშვნელოვან წილად სწორედ ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგია ქმნის.

რეფორმატორული ტენდენცია განსაკუთრებით ძლიერი იყო ამერიკაში. აქ ფეხი მოიკიდა მძლავრმა საზოგადოებრივმა მოძრაობამ, ე.წ. პროგრესივიზმმა, რომელიც ქადაგებდა ინოვაციებს სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში. განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებს სათავეში ჩაუდგა ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე გაელენიანი ინტელექტუალი, პრაგმატიზმის ფილოსოფიისა და ფუნქციონალური ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი **ჯონ დიუი** (იხ. 5.5.). სკოლის რეფორმა, მისი აზრით, აღზრდის ახალ მიზანს უნდა დაექვემდებაროს. ეს მიზანი ზედმიწევნით შეესაბამება პრაგმატიზმისა და ფუნქციონალიზმის იდეებს და ფორმულირებულია, როგორც "განსხვავებულ სიტუაციებთან შეგუება თავისუფალი მეწარმეობის პირობებში". დიუის პედაგოგიური სისტემის დედაბოძი არის პრინციპი: *სწავლება კეთების საშუალებით.* ეს ნიშნავს სასკოლო სისტემის ისეთ აგებას, როდესაც განათლების წყარო არის პედაგოგიურ გარემოში მიმდინარე ბავშვის პრაქტიკული თვითაქტივობა. საიანადო პირობებში მოსწავლეები ბუნებრივად ითვისებენ სოციალური ქცევის კონკრეტულ ჩვევებს და ზოგად გამოცდილებას.

დიუის იდეების გამოცდის პოლიგონად გადაიქცა მის მიერ ჩიკაგოს უნივერსიტეტთან შექმნილი "სკოლა-ლაბორატორია" (1896). მასში სწავლობდნენ 4-დან 13 წლამდე ასაკის ბავშვები. ისინი აღრეული ასაკიდანვე ეჩვეოდნენ ყველაფრის დამოუკიდებლად კეთებას, უპირატესად, თამაშის ქცევის ფარგლებში. უფროსი ასაკის მოსწავლეების "კეთებით სწავლება" შრომით საქმიანობას ემყარებოდა. აღმზრდელს უნდა წარემართა მოსწავლეთა სასწავლო-პრაქტიკული აქტივობა მათი უნარების გათვალისწინებით. დიუი უიქრობდა, რომ სწავლა-აღზრდა თავიდანვე უნდა ეყრდნობოდეს ბავშვის თანდაყოლილ შესაძლებლობებს. სწავლა-აღზრდა ვერ აღმოაცენებს უნარ-შესაძლებლობებს, მას მხოლოდ მათი განვითარება შეუძლია.

განათლების სისტემის ოპტიმიზაციის ამოცანა ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის ჩასახვისა და განვითარების უდიდესი მამოძრავებელი ძალა გახდა. მაგრამ ეს შეუძლებელი იქნებოდა, თუ საერთო ფონის სახით არ იარსებებდა გაკეეული საზოგადოებრივი პოზიცია ბავშვისა და *ბავშვობის,* როგორც ასაკობრივი კატეგორიის მიმართ. საქმე ის არის, რომ უფროსების დამოკიდებულება ბავშვობისადმი, როგორც ადამიანის ცხოვრების გარკვეული ხანისადმი, შესამჩნევად ცვალებადობდა ისტორიის განმავლობაში. კაცობრიობის განვითარების ადრეულ სტადიაზე ბავშვობა პრაქტიკულად არ გამოიყოფოდა ცხოვრების ცალკე პერიოდის სახით, ვინაიდან

თემის პატარა ინდივიდები ეეხმე დადგომისთანავე ერთვებოდნენ საკვების მოპოვების საქმიანობაში შემგროვებლობისა თუ პრიმიტიული იარაღების გამოყენების გზით. ასეთ პირობებში არ იყო არც საჭიროება და არც შესაძლებლობა იმისა, რომ გამოყოფილიყო ცალკე პერიოდი ბავშვის მოსამზადებლად მომავალი სერიოზული საქმიანობისთვის. ბავშვობა სოციალური თვალსაზრისით არც არსებობდა, ვინაიდან ისტორიულად ბავშვობის ცნება უკავშირდება არა ინდივიდის მოუმწიფებლობის ბიოლოგიურ მდგომარეობას, არამედ გარკვეულ სოციალურ სტატუსს, ამ პერიოდისთვის დამახასიათებელ უფლებებსა და მოვალეობებს, ქცევის სპეციფიკურ ფორმებს.

შუა საუკუნეების ევროპაში ბავშვობა, როგორც ასეთი, იგნორირებული იყო. 6-7 წლამდე ინდივიდები ითვლებოდნენ უსუსურ ჩვილებად, ხოლო შემდეგ, პატარა, მინიატურულ მოზრდილებად. მათ საითანადოდ აცმევდნენ და სათანადო ცოდნა-ჩვევებს აბიარებდნენ. მაღალი შობადობისა და სიკვდილიანობის დემოგრაფიულ სიტუაციაში ბავშვობა მიჩნეული იყო სწრაფად წარმავალ და ნაკლებღირებულ პერიოდად. ვითარება შეიცვალა XVII საუკუნიდან. პატარა ბავშვი უკვე განიხილებოდა, როგორც ოჯახის მნიშვნელოვანი წევრი. ბავშვებისადმი გულგრილობა შეიცვალა მათდამი განსაკუთრებული ყურადღებით, განებივრებითაც კი. მაგრამ XVIII საუკუნეში, საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ, ბავშვისადმი, როგორც მშვენიერი სათამაშოსადმი დამოკიდებულება შეცვალა რაციონალური აღზრდის კონცეფციამ. ის დამყარებული იყო მკაცრი დისციპლინის პრინციპზე ოჯახში და სასწავლო დაწესებულებაში. სკოლა თანდათან გადაიქცა უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ ინსტიტუტად, რომელიც ემსახურებოდა მომავალი კვალიფიციური მუშაკებისა და სამაგალითო მოქალაქეების ორგანიზებულ მომზადებას. გადახალისდა ბავშვობის კონცეფციაც. ადამიანის ცხოვრების ეს ხანა გახანგრძლივდა და მასში გამოიყო ყრმობისა და ჭაბუკობის პერიოდი. ტექნიკურმა პროგრესმა და საზოგადოებრივმა ცვლილებებმა XIX საუკუნეში საგრძნობლად გაზარდა მოთხოვნები ბავშვის მომავალი ცხოვრებისთვის მომზადების კუთხით. ბავშვობის პერიოდის მნიშვნელობამ კიდევ უფრო იმატა. ამის გამოძახილი გახდა უკვე ნახსენები მოძრაობა განათლების სისტემის გაუმჯობესების მიმართულებით, რამაც ბიძგი მისცა ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის განვითარებას.

ამრიგად, ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის ჩასახვისა და განვითარების წყაროდ შემდეგი მოვლენები იქცა: ევოლუციურ-გენეტიკური იდეების გავრცელება ბუნებისმეტყველებასა და ფილოსოფიაში, ობიექტური მეთოდების დანერგვა ზოგად ფსიქოლოგიაში, სასკოლო განათლების ოპტიმიზაციის პრაქტიკული მოთხოვნები და საზოგადოებრივ ცნობიერებაში მომხდარი ცვლილებები ბავშვობისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით.

პრაქტიკულ ამოცანებთან ერთად ამ დისციპლინების წინაშე თავიდანვე ფუნდამენტური თეორიული საკითხები დაისვა. მათ შორის ორი შეიძლება განსაკუთრებით გამოიყოს: 1) რა პერიოდებს გაივლის ადამიანი თავისი ონტოგენეტური განვითარების პროცესში და 2) რა ძალები ან ფაქტორები განსაზღვრავენ ამ გენეზისს. ესენი დამოუკიდებელი საკითხებია, მაგრამ,

პრინციპში, პირველის გადაწყვეტის ესა თუ ის ვარიანტი არსებითად უკავშირდება იმას, თუ როგორ არის გააზრებული მეორე საკითხი.

ასაკობრივი პერიოდების გამოყოფა სხვადასხვა საფუძველს ემყარება, კერძოდ იმას, თუ რა საფეხურებს გაიელის ადამიანის ფსიქიკის მომწიფების ბუნებრივი პროცესი, ან იმას, თუ რა გარემო პირობებში უხდება მას ცხოვრება. შესაძლებელია, ამ ფაქტორების ერთიდროული მოქმედებაც. შესაბამისად, იკვეთება სამი შეხედულება განვითარების მამოძრავებელი ძალის შესახებ. ერთის მიხედვით, ფსიქიკურ ონტოგენეზს განსაზღვრავს ბიოლოგიურ მომწიფებასთან დაკავშირებული თანდაყოლილი ფაქტორები (*ბიოგენეტიკური თვალსაზრისი*). მეორის მიხედვით, გადამწყვეტი როლი ენიჭება სოციალურ გარემოს, სწავლა-აღზრდის პირობებს (*სოციოგენეტიკური თვალსაზრისი*); მესამე თვალის, რომ ფსიქიკური განვითარება ბიოლოგიურისა და სოციალურის, მომწიფებისა და აღზრდის ურთიერთქმედების შედეგია (*ინტეგრაქციული თვალსაზრისი*). ასეთია განვითარების სამი ძირითადი კონცეფცია. რომელიც სხვადასხვა მკვლევარის მიერ ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის საწყის ეტაპზეევე იქნა წარმოდგენილი. ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან აღნიშნული კონცეფციები არსებითად რაციონალიზმისა (სტიეიზმისა) და ემპირიზმის დაპირისპირებაში იღებს სათავეს.

ბიოგენეტიკური თვალსაზრისის მომხრე იყო ამერიკაში ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის ფუძემდებელი **სტენლი ჰოლი** (1846-1924). ფსიქოლოგია მან ლაიფციგში, ვუნდტის ხელმძღვანელობით შეისწავლა, მაგრამ ამერიკაში დაბრუნებისას უარი თქვა თავისი მასწავლებლის წმინდა აკადემიურ, ზოგადფსიქოლოგიურ ორიენტაციაზე და თავისი ყურადღება პრაქტიკულ საკითხებზე გადაიტანა, უპირატესად სწავლებისა და ასაკობრივი განვითარების სფეროში. საერთოდ კი, ჰოლი ფსიქოლოგიის ისტორიაში შეეიდა, როგორც მეცნიერების თვალსაჩინო ორგანიზატორი. მან დააარსა ამერიკის პირველი ფსიქოლოგიური კვლევითი ლაბორატორია ბალტიმორის უნივერსიტეტში (1883), პირველი ფსიქოლოგიური ჟურნალი (1887), აგრეთვე ჟურნალი გენეტიკურ და პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში (1891), რელიგიის ფსიქოლოგიაში (1904), გამოყენებით ფსიქოლოგიაში (1915). იგი იყო ამერიკის ფსიქოლოგთა საზოგადოების დაფუძნების ერთ-ერთი ინიციატორი და მისი პირველი პრეზიდენტი (1892).

ჰოლის მეცნიერული ინტერესები საკითხთა ფართო წრეს მოიცავდა. მათ შორის უნდა გამოიყოს კლასიკური გამოკვლევა რელიგიის ფსიქოლოგიაში. მაგრამ ყველაზე დიდი აღიარება მას ბავშვის ფსიქიკური განვითარების სფეროში შესრულებულმა კვლევებმა მოუტანა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი კაპიტალური ნაშრომები "ჭაბუკობა" (1904) და "აღზრდის პრობლემები" (1911). თავის ბოლო წიგნში "დაბერება" (1922) ჰოლმა გააფართოეა ასაკობრივი ფსიქოლოგიის ფარგლები და მისმა კვლევამ არა მხოლოდ

სიცოცხლის საწყისი, არამედ მისი დამასრულებელი პერიოდიც მოიცვა.

მოზარდების შესასწავლად ჰოლმა და მისმა თანამშრომლებმა შეიმუშავეს უამრავი ანკეტა და მათი საშუალებით დიდძალი მასალა დააგროვეს ბავშვის სულიერი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის შესახებ. შემდგომში კვლევის არე გაფართოვდა და სხვა ასაკის ბავშვებიც მოიცვა. ამასთან, ანკეტებს ავსებდნენ როგორც ბავშვები, ისე მშობლები და მასწავლებლები. ეს საშუალებას აძლევდა ჰოლს კომპლექსურად დაეხასიათებინა ბავშვები, დაენახა განვითარების მიღწევები და სირთულეები როგორც თვით ბავშვების, ისე მოზრდილების პოზიციიდან. ჰოლის გავლენით ანკეტური მეთოდი ამერიკაში ძალიან პოპულარული გახდა. მას იყენებდნენ რათა გაერკვიათ, თუ როგორ განიცდიან ბავშვები სოციალურ გარემოს, რა პრობლემების წინაშე დგებიან სახლში, სკოლაში და სხვა. ამ ტიპის კვლევები ისე გავრცელდა, რომ თვით ანკეტური მეთოდი უკვე ასოცირდებოდა ჰოლის, და არა მისი ნამდვილი შემქმნელის, ჰალტონის სახელთან.

კელვეის შედეგად ჰოლი გარკვეულ თეორიულ განზოგადებამდე მივიდა, რომელიც ბავშვის განვითარების კანონზომიერებას ეხებოდა. იგი ე.წ. *რეკაპიტულაციის თეორიის* (ლათინურად recapitulatio – გამეორება) სახით იქნა ჩამოყალიბებული. ეს თეორია ეყრდნობოდა ე. ჰეკელის მიერ ფორმულირებულ *ბიოგენეტიკურ კანონს.* იგი ცხოველური ორგანიზმების ემბრიონალურ განვითარებაზე დაკვირვების შედეგია და ამტკიცებს, რომ ჩანასახი ემბრიოგენეზში იმეორებს იმ ძირითად სტადიებს, რომლებიც გაიარა ამ ბოლოგიურმა გვარმა თავის ფილოგენეტურ განვითარებაში. ჰეკელის ფორმულა ასეთია: ონტოგენეზი არის ფილოგენეზის შეკვეცილი და სწრაფი გამეორება. გაავრცელა რა ეს კანონი ადამიანის ფსიქიკაზე, ჰოლი ამტკიცებდა, რომ ბავშვის განვითარების პროცესი იმეორებს იმ ძირითად სტადიებს, რომლებიც გაიარა კაცობრიობამ თავისი კულტურულ-ისტორიული განვითარების პროცესში. აქედან გამომდინარე, განვითარების ეტაპების თანმიმდევრობა და რაგვარობა თანდაყოლილად არის მოცემული და ყველა ბავშვი მათ აუცილებლად გაივლის.

ჰოლის მოწაფემ, კ. ჰათჩინსონმა რეკაპიტულაციის თეორიის საფუძველზე შექმნა ბიოფსიქიკური განვითარების კონკრეტული პერიოდიზაცია, რომელიც მიჰყვება კაცობრიობის კულტურულ-ისტორიული ცხოვრების სტადიების თანმიმდევრობას. ეს სტადიები გამოიყოფა იმის მიხედვით, თუ როგორ ცვალებადობდა, ისტორიულად, საკვების მოპოვების ხერხები. მისი აზრით, ასეთი ხერხი თავდაპირველად იყო, ჯერ მიწის თხრა და ქექვა, შემდეგ ნადირობა, მწყემსობა, მიწათმოქმედება და ბოლოს წარმოება და ვაჭრობა. შესაბამისად, გამოიყოფა ბავშვობის ხუთი პერიოდი, რომელთაც არა აქვთ მკაფიო საზღვრები: ერთის დაწყება არ ემთხვევა წინარეს დასასრულს. ეს პერიოდებია:

1) დაბადებიდან 5 წლამდე (პირველყოფილი ადამიანის ხანა). ამ პერიოდში ბავშვისთვის, ისევე როგორც პირველყოფილისთვის, "ყველაფრის საზომი არის საჭმელად ვარგისიანობა". ამიტომ მას ყველაფერი პირში მიაქვს და გემოს უსინჯავს. ამავე დროს, ფრიად დაინტერესებულია მიწასთან დაკავ-

შირებული თამაშებით და ფუსფუსით. 2) 4-11წ. (მონადირეობის ხანა). ამ პერიოდის ბავშვებისთვის, როგორც პირველყოფილი მონადირეებისთვის, დამახასიათებელია "შიში ყოველივე უცხოსი, მალულად მოქმედება, გულგრილობა ტკივილისადმი, გმირების თაყვანისცემა, სისასტიკე". თამაშების შინაარსშიც დომინირებს ჩასაფრება, შეშინება, დამალობანა, დატყვევება და ა.შ. 3) 8-12წ. (მწყემსობის ხანა). ამ პერიოდისთვის განსაკუთრებით დამახასიათებელია "ალერსიანობა ცხოველებისადმი და სურვილი გააჩნდეს რაიმე საკუთარი". აქედან გამომდინარე, ბავშვების თამაშებსა და საქმიანობაში დომინირებს: "შინაური ცხოველების მოვლა, მყუდრო თავშესაფრების შენება, გვირაბების თხრა". 4) 11-15წ. (მიწათმოქმედების ხანა). ამ პერიოდს ახასიათებს "წინდახედულების განვითარება და მებაღეობისადმი სწრაფვა". იღვიძებს ამინდისადმი, ბუნების მოვლენებისადმი ინტერესი და მოგაღად, დაკვირვების უნარი. გართობა და თამაშიც ამ შინაარსით არის დატვირთული. 5). 14-20წ. (მრეწველობა-ვაჭრობის ანუ თანამედროვე ადამიანის ხანა). ამ პერიოდში ძლიერდება ფულისამი, დათვლისამი და გაცვლა-გამოცვლისადმი ინტერესი, რაც სათანადო თამაშებში და საქმიანობაში აისახება.

ჰოლი და ჰათჩინსონი თვლიდნენ, რომ ბავშვის ნორმალური განვითარებისთვის აუცილებელია ყველა პერიოდის თანმიმდევრული გავლა. მაგრამ ბავშვს არ შეუძლია რეალურად გადაინაცვლოს იმ ეპოქების შესატყვის სიტუაციებში, რომლებიც მან უნდა გაიაროს. ამიტომ საჭიროა არსებობდეს მექანიზმი, რომელიც ბავშვს იმის საშუალებას მისცემს, რომ ეს საკუთარ გარემოში განახორციელოს. ასეთი სპეციფიკური მექანიზმის როლს თამაში ასრულებს. სახლობანა, ომობანა და სხვა თამაშები ამას ემსახურება. თამაშის საშუალებით ხდება "ისტორიული ინსტინქტების აღმოფხვრა". თამაში, ჰოლის აზრით, არის აუცილებელი ვარჯიში რუდიმენტული და ამჟამად უსარგებლო ფუნქციების გაქრობისთვის. თამაშის დროს ბავშვი ქცევის ისტორიული ფორმების რეალიზაციას ახდენს, რათა საბოლოოდ მოიცილოს ისინი. ეს თავეკომბალას ქცევას ჰგავს, რომელიც გამუდმებით ამოძრავებს კუდს, რათა ის მოიწყვიტოს. ჰოლი აგრეთვე ფიქრობდა, რომ ბავშვის ნახატების ასაკობრივი ცვლილებები ასახავს სახვითი ხელოვნების კაცობრიობის მიერ განვლილ გზას.

ჰოლსა და ჰათჩინსონს მიაჩნდათ, რომ ცივილიზებული ადამიანის სტადია რვა წლის ასაკში, ანუ "მწყემსობის პერიოდში" დგება. ამიტომ ამ დროიდან უკვე შესაძლებელია და საჭიროც არის ბავშვების სისტემატური სწავლება. საზოგადოდ კი სწავლება და აღზრდა უნდა ეფუძნებოდეს განვითარების გარკვეულ დონეს, რომელსაც რეკაპიტულაციის კანონზომიერების მიხედვით მიმდინარე ბუნებრივი მომწიფების პროცესი განსაზღვრავს. ამრიგად, რეკაპიტულაციის თეორიაზე დაყრდნობით, სავსებით პრაქტიკული დასკვნები კეთდებოდა, თუნდაც სასკოლო პროგრამებთან დაკავშირებით. მაგალითად, კითხვის სწავლებისას ზღაპრის საჭიროების დასასაბუთებლად მიმართავდნენ პარალელებს პრიმიტიულ კულტურებთან, სადაც არსებობს ძლიერი მიდრეკილება ყოველივე ზღაპრულისკენ; ესთეტიკური აღზრდის სფეროში საჭიროდ თვლიდნენ ყველა პერიოდის "აღმოფხვრას", რეალიზ-

მიდან მოყოლებული ვიდრე სიმბოლიზმამდე, ფუტურიზმამდე და სხვა იზმებამდე. რელიგიური აღზრდის კუთხით, ბავშვს განიხილავდნენ პაგარა წარმართად და სთავაზობდნენ "გაეტარებინათ" იგი ყველა კონკრეტული რელიგიის ისტორიულ ფორმაში, რათა აღმოეფხრათ ისინი ბავშვის ცნობიერებიდან და მიეყვანათ იგი თანამედროვე კულტურული კაცობრიობის ათეიზმამდე. დღევანდელი გადასახედიდან ყოველივე ეს არასერიოზულად გამოიყურება, მაგრამ XX საუკუნის დასაწყისში ე.წ. პედოლოგიური მოძრაობის ფარგლებში ამ თემებზე ბევრს საუბრობდნენ.

პედოლოგია უშუალოდ არის დაკავშირებული სტენლი ჰოლის სახელთან. გასული საუკუნის პირველ ნახევარში იგი დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ტერმინი *პედოლოგია* (ბერძ. pais, paidos – ბავშვი) ჰოლის მოწაფეს ო. კრისტიანსენს ეკუთვნის; მოგვიანებით ამერიკაში უფრო პოპულარული გახდა ტერმინი child study (ბავშვის შესწავლა). პედოლოგიურ მოძრაობაში გაერთიანებულნი იყვნენ პედაგოგები, ბიოლოგები, პედიატრები, ანთროპოლოგები, სოციოლოგები, ფსიქოლოგები. ოციან წლებში ამ უკანასკნელებმა დომინირებული ადგილი დაიკავეს პედოლოგიურ მოძრაობაში და მოხდა მისი აშკარა ფსიქოლოგიზაცია. პედოლოგიის არსახულ პოპულარობას მთელ მსოფლიოში, პირველ ყოვლისა, მისი მკვეთრად გამოხატული პრაქტიკული მიმართულობა განსაზღვრავდა. ბავშვებთან ურთიერთობისას აღმზრდელები და მასწავლებლები უამრავ პრობლემას აწყდებოდნენ სხვადასხვა სფეროდან, იქნებოდა ეს ბავშვის ჯანმრთელობა, ფსიქიკური უსარები, სოციალური ადაპტაცია თუ სხვა. პედოლოგიას, ჰოლისეული ჩანაფიქრით, კომპლექსურად უნდა მოეველო ამ პრობლემებისთვის.

პედოლოგიური კვლევა-ძიების თეორიულ ბაზად ჰოლი, ბუნებრივია, საკუთარ თვალსაზრისს მიიჩნევდა. მას მართლაც ჰყავდა მიმდევრები, ვინაიდან იმხანად ევოლუციონისტური წარმოდგენების ზეობის ფონზე, ბიოგენეტიკური იდეები საკმაოდ პოპულარული იყო. ბავშვის ფსიქოლოგებს შორის. მიუხედავად ამისა, ჰოლის რეკაპიტულაციის თვალსაზრისის სუსტი მხარეები წამყვანი სპეციალისტებისთვის ცხადი იყო. ეს ეხებოდა კონკრეტულ შეუსაბამობებს ამა თუ იმ ასაკის ბავშვების ქცევით თუ ფსიქიკურ გამოვლინებებსა და იმ მოთხოვნებს შორის, რომლებსაც ამ ასაკს რეკაპიტულაციის თვალსაზრისი უყენებდა. ბავშვს, მაგალითად, შეიძლება უფრო ადრე გაუჩნდეს ინტერესი მანქანებისადმი ან საფრენი აპარატებისადმი, ვიდრე ცხოველებისადმი ან ყვავილებისადმი, რაც, ცხადია, ვერ აიხსნება იმით, რომ კოსმონავტიკის ეპოქა წინ უსწრებს მწყემსობისა ან მიწათმოქმედების ხანას. მაგრამ, დეტალების გარეშეც, თავიდანვე პრინციპულად დაისვა შემდეგი საკითხი: რამდენად კანონიერია ასეთი შორს მიმავალი და, რაც უარესია, სწორხაზოვანი პარალელები ამა თუ იმ ეპოქის საზოგადოების ქცევასა და გარკვეული პერიოდის ბავშვის ქცევას შორის. კულტურის ისტორიისა და პედოლოგიის მონაცემები უკვე მაშინ აყენებდა ეჭვქვეშ ამგვარი მიდგომის მართებულობას. საუბარია მის სწორხაზოვნებასა და უნივერსალობაზე, თორემ გარკვეული პარალელების არსებობის დანახვა, მართლაც, არ არის ძნელი.

მიუხედავად რეკაპიტულაციის კონცეფციის შეზღუდულობისა და გულუბრყვილობისა, ბიოგენეტიკური პრინციპი მაინც საინტერესო და სასარგებლო იყო ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიისთვის, ვინაიდან იგი წარმოადგენდა განვითარების კანონზომიერების ძიების მცდელობას. მასში ნაჩვენები იყო კავშირი ისტორიულ და ინდივიდუალურ განვითარებას შორის. ამ კავშირის გაჩვიალების მიუხედავად, ეს იყო თეორიული კონცეფცია, რომელმაც გზა გაუხსნა სხვა კონცეფციებს. ამაშია მისი უდაეო ისტორიული მნიშვნელობა. გარდა ამისა, ისიც აღსანიშნაეია, რომ ევოლუციური თეალსაზრისი, რეკაპიტულაციის პრინციპის სახით, არსებითად, პირველად მიესალაგა ბავშვს და აღამიანის ფსიქიკის ონტოგენეზის პრობლემატიკას.

პოლისაგან განსხვავებით, მისი ყველაზე ცნობილი მოწაფე **არნოლდ გეზელი** (1880-1961) უფრო მეტად აღრეული ბავშვობის სანით იყო დაინტერესებული. პედაგოგიური და სამედიცინო განათლების მქონე გეზელი ოცდაათ წელზე მეტ ხანს მუშაობდა იელის ნორმალური ბავშვობის კლინიკაში, რის საფუძველზე მოგვიანებით შეიქმნა გეზელის ბავშვის განვითარების ცნობილი ინსტიტუტი. იგი ფსიქიკური ონტოგენეზის კელეეის აღიარებულ ცენტრად გადაიქცა. გეზელი თელიდა, რომ პირველი სამი წლის განმავლობაში ბავშვი თავისი ფსიქიკური განვითარების მნიშვნელოვან ნაწილს გაიელის. განვითარების ტემპი ამ დროს ყველაზე დიდია და შემდგომში თანდათან კლებულობს. ეს დებულება დაედო საფუძველად მის ასაკობრივ პერიოდიზაციას, სადაც სამი პერიოდი გამოიყოფა: დაბადებიდან ერთ წლამდე, ერთიდან სამ წლამდე და სამი წლიდან თვრამეტ წლამდე. შესაბამისად, განვითარების უმაღლესი ტემპი პირველ პერიოდზე მოდის, საშუალო – მეორეზე და დაბალი – მესამეზე.

ბავშვის განეითარების კვლევაში გეზელმა ბევრი სიახლე შეიტანა. მან დაამუშავა ბავშვის განვითარების კომპლექსური დიაგნოსტირების პრაქტიკული სისტემა, რომელშიც მოცემულია მოტორული აქტიეობის, მეტყველების, შეგუებითი რეაქციების, სოციალური კონტაქტების, პიროვნული, ეონებრივი და სხვა მაჩვენებლების ნორმები სხვადასხვა ასაკისთვის სამი თვიდან ექვს წლამდე. ამისთვის გამოიყენება ბავშვზე დაკვირვების ობიექტური მეთოდები: ფოტო და კინო გადაღებები, ე.წ. "გეზელის სარკე" (ცალმხრივი ხედვის მინა). გეზელმა პირველმა გამოიყენა ფსიქოლოგიაში *ლონგიტუდური მეთოდი*, რაც მდგომარეობდა ერთი და იმავე ბავშვის შესწავლაში დიდი ხნის განმავლობაში, უფრო ხშირად დაბადებიდან მოზარდობამდე. მანვე დაიწყო *ტყუპების მეთოდის* სისტემატური გამოყენება იმის ნათელსაყოფად, თუ რა მიმართებაა მომწიფებასა და სწავლებას შორის.

გეზელის აზრით, განვითარება მომწიფების ბუნებრივი პროცესისა და სოციალური ზემოქმედების ერთობლივი ნაყოფია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იგი უპირატესობას ანიჭებდა შინაგან, გენეტიკურად განსაზღვრულ *მომწიფების პროცესს*. სწორედ გენეტიკური პროგრამა განაპირობებს ბავშვის განვითარების მიმდინარეობას ფიქსირებული თანმიმდევრობით. შეიძლება ვარირებდეს განვითარების ტემპი და არა განვითარების სტადიების რაგეარობა და რიგითობა. ინდივიდუალური განსხვავებები განვითარების

ტემპში, ნაწილობრივ, სოციალური გარემოთია განპირობებული, მაგრამ გადამწყვეტი აქაც ბავშვის ინდივიდუალური გენეტიკური პროგრამაა. ამიტომ არ უნდა ვეცადოთ ვასწავლოთ ბავშვს რაიმე იმაზე ადრე, ვიდრე ეს მისი მომწიფების ალგორითმით არის განსაზღვრული. ბავშვი აუცილებლად დაიჭერს თავს, დაჯდება, გაიელის, ალაპარაკდება, როცა ბუნებრივად მზად იქნება სათანადო ფსიქოფიზიკური სისტემები; მაშინ გაუჩნდება ამის შესრულების შესაძლებლობაც და სურვილიც. მანამდე მისი იძულებითი სწავლება არც ეფექტური იქნება და შეიძლება მრავალი გართულებაც გამოიწვიოს. ამასთანავე, ისიც ცხადია, რომ სწავლა-აღზრდა, ზოგადად სოციალური ზემოქმედება, ყოველად აუცილებელია განვითარებისთვის. ასოციალურ სივრცეში, ამბობდა გეზელი, პიროვნების სტრუქტურა საერთოდ ვერ ჩამოყალიბდება. მაგრამ ყოველგვარი გარე ზემოქმედება, სოციალიზაცია მაშინ მიმდინარეობს ოპტიმალურად, თუ ის დამყარებულია შინაგანი მომწიფების კანონზომიერებაზე და მას ეთანხმება.

ამერიკაში გენეტიკური იდეების ერთ-ერთი აქტიური გამტარებელი იყო ჯეიმს ბოლდუინი (1861-1934). ამერიკელი ფსიქოლოგების პირველი თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ცნობილი თეორეტიკოსი, ექსპერიმენტატორი და მეცნიერების ორგანიზატორი ბოლდუინი სოციალური, დიფერენციალური და განვითარების ფსიქოლოგიის სათავეებთან იდგა. ბოლდუინი პრინციპული ევოლუციონისტი იყო. ევოლუციის თეორიის განხილვა კი ორი თვალსაზრისით შეიძლება: პირველი – ორგანიზმზე გარემოს ზემოქმედების კუთხით, რის შედეგადაც ხდება აღაპტაცია და ახალი თვისებების ფორმირება; და მეორე – ინდივიდის მიერ აღაპტაციის შედეგად შეძენილი ახალი სასარგებლო თვისებების მემკვიდრეობით გადაცემის კუთხით. მაშასადამე, ევოლუციურ მიდგომაში განვითარების პრობლემის ორივე ასპექტია გათვალისწინებული, როგორც გარეგანისა და შეძენილის, ისე შინაგანისა და თანდაყოლილის. როდესაც ბავშვის განვითარებაზე ლაპარაკობდა, ბოლდუინი ორივე ამ ასპექტის მნიშვნელობას აცნობიერებდა. მაგრამ, ჰოლისა და გეზელისაგან განსხვავებით, მეტ აქცენტს სოციალური გარემოს როლზე აკეთებდა. ეს მისი ერთი-ერთი ძირითადი წიგნის სათაურიდანაც ჩანს: "სულიერი განვითარება სოციოლოგიური და ეთიკური თვალსაზრისით" (1913). შეიძლება ითქვას, რომ ბოლდუინი უფრო სოციოგენეტიკოსი იყო, ვიდრე ბიოგენეტიკოსი.

ბოლდუინი დიდ ყურადღებას უთმობდა ბავშვის ემოციური სფეროს განვითარებისა და, რაც მთავარია, პიროვნული თვისებების ფორმირების საკითხს. სოციალიზაციის როლი ამ მხრივ გადამწყვეტია. ბავშვის პიროვნული თვისებები გაანიხილებოდა როგორც "გარედან", ანუ კულტურისა და უშუალო სოციალური წრის ობიექტურ კრიტერიუმებთან მიმართებაში, ისე "შიგნიდან", ბავშვის თვითშეფასების გადასახედიდან. აქედან გამომდინარე, ბოლდუინი კატეგორიულად მოითხოვდა პედაგოგიური სისტემის ისეთ რეფორმირებას, რომ საზოგადოებრივ, სასკოლო განათლებას მოეცვა ყველა ბავშვი. რაც შეეხება სკოლამდელ ხანას, აქ უდიდესი როლი ეკუთვნის თამაშს, რომელსაც ბოლდუინი სოციალიზაციის ინსტრუმენტად განიხილავდა. იგი

ხაზს უსვამდა თამაშის მნიშვნელობას, როგორც ისეთი აქტი,ობისა, რომელიც აუცილებელია ადამიანის მოსამზადებლად რთული სოციალური ურთიერთობებისთვის.

პიროვნულ სფეროსთან შედარებით გონებრივი განვითარების სფეროში მემკვიდრეობითი უაქტორის წონა მეტია. მაკრამ ბოლდუინი აქაც სოციალურ უაქტორზე აკეთებს აქცენტს. ამ მხრივ სიშანდობლივია მისი ერთ-ერთი წიგნის სათაური: "გონებრივი განვითარება ბავშვში და საზოგადოებაში" (1895). კაპიტალურ სამტომიან თხზულებაში "გენეტიკური ლოგიკა" (1903-1908) ბოლდუინმა ჩამოაყალიბა ბავშვის კოგნიტური განვითარების კონცეფცია. მისი აზრით, შემეცნებითი სფეროს ონტოგენეზში რამდენიმე საფეხური გამოიყოფა. ჯერ აქტუალიზდება და იხვეწება თანდაყოლილი სენსო-მოტორული რეაქციები. შემდეგ ბავშვი გაიელის მეტყველების განვითარების სტადიას და ბოლოს – ლოგიკური აზროვნების განვითარების საფეხურს. ბოლდუინი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო იმის ჩვენებით, თუ რა დიდ როლს ასრულებს ბავშვის სოციალური გარემოცვა შემეცნებითი ფუნქციების ფორმირების პროცესში. ამ კონტექსტში მან გამოყო აზროვნების განვითარების სპეციალური მექანიზმები: *ასიმილაცია*, ანუ გარემოს ზემოქმედების ინტერიორიზაცია და *აკომოდაცია*, ანუ თვით ორგანიზმის ცვლილება.

ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ ბოლდუინის მოსაზრებებმა უთუოდ იქონია გავლენა კოგნიტური სფეროს ონტოგენეზის ყველაზე თვალსაჩინო მკვლევარის, პიაჟეს შეხედულებათა ფორმირებაზე (იხ. 11.2.). სიცოცხლის მიწურულს ბოლდუინი ევროპაში მოღვაწეობდა, იყო ჟენევის უნივერსიტეტის პროფესორი. აქ მუშაობდნენ ბოლდუინის კოლეგა და მეგობარი კლაპარედი და ამ უკანასკნელის მოწაფე პიაჟე.

პედოლოგია მაშინვე გავრცელდა ევროპაში. აქ მისი ერთ-ერთი ლიდერი უთუოდ **ედვარდ კლაპარედი** გახდა. კლაპარედი თვალსაჩინო ფიგურაა იმდროინდელ ფრანგულენოვან ფსიქოლოგიაში. როგორც თეორეტიკოსი, იგი ეკუთვნის ფუნქციონალური ფსიქოლოგიის ევროპულ ფრთას (იხ. 5.5.). განსაკუთრებულია მისი წვლილი ბავშვის ფსიქოლოგიის განვითარებაში. მან ჟენევაში დააარსა რუსოს სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელიც ევროპაში ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის ერთ-ერთ წამყვან კელევით ცენტრად გადაიქცა. აქ მიმდინარეობდა ბავშვის ფიზიკური, კოგნიტური და პიროვნული განვითარების კომპლექსური კელევა. სწორედ ბავშვის შესწავლის კომპლექსურობაში ხედავდა კლაპარედი პედოლოგიის არსს. იგი მას ორ ნაწილად ყოფდა: *თეორიულ და გამოყენებით* პედოლოგიად. თეორიულმა პედოლოგიამ უნდა შეისწავლოს ონტოგენეზის ფუნდამენტური კანონზომიერებანი, ზოგადად, და ყველა ასაკობრივ ეტაპზე – კონკრეტულად. გამოყენებითი პედოლოგია, თავის მხრივ, მოიცავს ე.წ. *ფსიქოტექნიკას და ფსიქოგნოსტიკას.* ფსიქოტექნიკის მიზანია სხვადასხვა ასაკის ბავშვებისთვის აღეკვატური სასწავლო-აღმზრდელობითი მეთოდების დამუშავება და დანერგვა, ფსიქოგნოსტიკისა – ფსიქიკური განვითარების დონის გარკვევა. ამ უკანასკნელის ფუძემდებლია კლაპარედის პარიზელი კოლეგა **ალფრედ ბინე**. სწორედ მის სახელთან არის დაკავშირებული

ბავშვის ინტელექტუალური განვითარების პირველი *ტესტური მეთოდის* შექმნა, რაზეც უკვე ვისაუბრეთ დიფერენციალური ფსიქოლოგიის ისტორიის კონტექსტში (იხ. 6.2.).

ინტელექტუალური სფეროს ონტოგენეზის საკითხი კლაპარედის კელევით ინტერესებშიც ერთ-ერთი უმთავრესი იყო. ეს დაინტერესებულობა მან გადასცა პიაჟეს, რომელმაც ამ მიმართულებით უდიდესი აღმოჩენები გააკეთა. კლაპარედი იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კოგნიტურ განვითარებას, რომ მას თითქმის აიგივებდა ფსიქიკურ განვითარებასთან. ეს იქიდან ჩანს, რომ ფსიქიკური განვითარების პერიოდიზაციის მისეულ სქემაში ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლის ძირითად კრიტერიუმად კოგნიციის სახეობისა და მათთან დაკავშირებული ინტერესების მონაცვლეობაა შერჩეული. კლაპარედი შემდეგ პერიოდებს გამოყოფს: 1) დაბადებიდან 2 წლამდე. ამ დროს ბავშვი ძირითადად იმით არის დაინტერესებული, თუ როგორ გამოიყურება საგნები. ამიტომ მისი კოგნიტური განვითარება უმთავრესად აღქმის გენეზისს უკავშირდება. 2) 2-დან 3 წლამდე. ამ პერიოდში დომინირებს ვერბალური ინტერესი (სიტყვები და მათი მნიშვნელობები); შესაბამისად, ვითარდება მეტყველების ფუნქცია. 3) 3-დან 7 წლამდე. საკუთრივ აზროვნების განვითარება სწორედ ამ პერიოდიდან იწყება. წამყვან აღგილს ზოგადი ინტელექტუალური ინტერესი იკავებს. 4) 7-დან 12 წლამდე. ამ პერიოდში იწყება სპეციალური ინტერესების ჩამოყალიბება. შემეცნება გამორჩეულად მიემართება გარკვეული საგნებისა თუ მოქმედებებისკენ. ამაში ელინდება ბავშვის კოგნიტური განვითარების ინდივიდუალური თავისებურებები, მისი თანდაყოლილი ინტელექტუალური მიდრეკილებები. 5) 12-დან 18 წლამდე. კლაპარედი ამ პერიოდს სენტიმენტალურს უწოდებს. აქ განვითარება ეთიკური და სოციალური ინტერესების დომინირებით მიმდინარეობს.

ამ მიდრეკილებათა საფუძველზე, მოგვიანებით, უკვე მოზრდილობის ხანაში, თავს იჩენენ მემკვიდრეობითი ფაქტორებით გაპირობებული ე.წ. *სპეციალური ნიჭები და უნარები.* რაც შეეხება ე.წ. *ზოგად ნიჭიერებას*, კლაპარედის აზრით, ის ელინდება ბავშვობის ხანაში და უკავშირდება მისი ყველა გონებრივი თვისების საერთო მაღალ დონეს, ინტელექტუალური საქმიანობის წარმატებულობას. თანდაყოლილი კოგნიტური უნარები, ისევე როგორც სხვა ფსიქიკური თვისებები, *თვითგანვითარების* პრინციპით მოქმედებენ, მაგრამ მემკვიდრეობით მოცემულის აქტუალიზაცია და რეალიზაცია გარკვეული სტიმულებისა და ფაქტორების ზემოქმედების შემთხვევაშია შესაძლებელი. თვითგანვითარებას მოქმედი მექანიზმები ესაჭიროება, რომლებიც განსაზღვრავენ მის ტემპს, მიმართულებას და შინაარსს. ასეთებად ავტორი *თამაშსა და მიბაძვას* მიიჩნევს. ამასთან, თამაში უფრო ქმედითი და უნივერსალური მექანიზმია; მისი საშუალებით ხდება ფსიქიკის ყოველმხრივი განვითარება, საერთო და სპეციალური უნარ-თვისებების აქტუალიზაცია და გაეარჯიშება. ეს ეხება როგორც გონებრივ, ისე აფექტურ და ნებელობით სფეროს. მიბაძვის მექანიზმი უფრო ამ უკანასკნელის განვითარებას ემსახურება. მისი მეშვეობით ბავშვი ეუფლება ახალ მოქმედებას, იძენს მისი შესრულების უნარს. ეს უნარი ასოციაციის პრინციპს ეყრდნობა: მყარდება კავ-

შირი უფროსის მიერ ნაჩვენებ და თვით ბავშვის მიერ შესრულებულ მოქმედებას შორის. ამასთან, თუ ადრეულ ასაკში ათვისებული მოქმედების გამოსაწვევად მისი თვალსაჩინოდ ჩვენებაა საჭირო, შემდგომში სიტყვიერი მითითებაც საკმარისი ხდება.

განვითარების ზოგადი კანონზომიერებისა და მისი სწავლებასთან კავშირის პრობლემაზე მსჯელობისას კლაპარედი განიხილავს ბიოგენეტიკურ კანონს და მისგან გამომდინარე რეკაპიტულაციის პრინციპს. ის გარკვეულ დაზუსტებებს საჭიროებს. კერძოდ, სრულიად უმართებულოა ვიფიქროთ, რომ ადამიანის ემბრიონი მის ბიოლოგიურ წინაპრად გადაიქცევა (მაგ. თევზად, ვინაიდან ლაყუჩები უჩნდება). ასეთივე შეცდომაა იმის მტკიცება, რომ ბავშვი რომელიმე ეტაპზე პირდაპირი მნიშვნელობით ხდება ქვის ან ბრინჯაოს ხანის ადამიანი. ეს, ცხადია, ასე არ არის, ვინაიდან მას არა აქვს მოზრდილი ინდივიდის ის თვისებები, რომელთაც ფლობს პრიმიტიული ადამიანი, მაგალითად, სექსუალობა, მამაცობა და ა.შ. ბავშვის ფსიქოლოგია ყოველთვის "ბავშვური ფსიქოლოგია" იქნება, ამბობს კლაპარედი. ეს არ ნიშნავს თვალის დასუჭვას იმ პარალელებზე, რომლებიც უეჭველად არსებობს ისტორიულ და ინდივიდუალურ განვითარებას შორის. ყველა ბავშვი, ყველა ქვეყანაში და განედზე, აუცილებლად აკეთებს იმას, რასაც ჩვენი წინაპრები აკეთებდნენ. ამ პარალელიზმს ვერ გაუექცევით, მაგრამ რა არის მისი მიზეზი? აქ ორი კონცეფცია არსებობს. ერთის მიხედვით, ეს მსგავსება წარმოიშვება იმის გამო, რომ ახალი თაობა მოკლედ იმეორებს წინა თაობის მიერ განვლილ ფაზებს და ეს ბავშვის მემკვიდრეობაშია ჩაწერილი. სხვა თვალსაზრისით, ეს მსგავსება უბრალო კონფორმულობაა: თუ ინდივიდის განვითარება მოგვაგონებს გვარის განვითარებას, ეს იმიტომ ხდება, რომ ცოცხალი არსება რეგულარული კანონების მიხედვით ყალიბდება, და ბუნება იყენებს იდენტურ საშუალებებს ინდივიდისა და გვარის ევოლუციის განხორციელებისთვის.

პირველი შეხედულება ყველაზე მკაფიოდ ჰოლმა გამოხატა. მეორეს მონასაზი დიუისთან გეხვდება. კლაპარედი მას გაფორმებული კონცეფციის სახეს აძლევს. ფილოგენეზსა და ონტოგენეზში ერთნაირი ლოგიკა მოქმედებს. ამ ლოგიკის შესაბამისად, საბოლოო ორგანოს, ფუნქციის ან მთელი ორგანიზმის მისაღებად საჭიროა დროებით არსებობდნენ უფრო პრიმიტიული წარმონაქმნები, ისევე როგორც შენობის აგებისას საჭიროა დროებითი ხარაჩოები. თუ ბავშვი გაივლის ზოგიერთ ეტაპს, რომელიც გვაგონებს ცხოველს, ველურს ან ბარბაროსს, ეს ეტაპები უნდა განვიხილოთ როგორც აუცილებელი საფეხურები მისი შემდგომი ევოლუციისთვის. ბავშვობის ბარბაროსული ეტაპი წარმოადგენს სტიმულს მოზრდილი ადამიანის უნარების განვითარებისთვის მსგავსად იმისა, როგორც ემბრიონის საზურგე ქორდა არის სტიმული ზურგის კოლონის (ხერხემლის) შემდგომი ჩამოყალიბებისთვის. აქედან დასკვნა: ბავშვის ფსიქიკის თანმიმდევრული პროგრესის გასაგებად და მისთვის სწავლა-აღზრდის კონკრეტული საფეხურის შესარჩევად მიზანშეწონილია დავიხმაროთ ცოდნა კაცობრიობის განვითარების ისტორიიდან.

კლაპარედი იმათაც ედავება, ვინც კატეგორიულად უარყოფს ბიოგე-

ნეტიკურ პრინციპს და მიიჩნევს, რომ აღზრდას არაფერი ესაქმება ბავშვსა და მის პრიმიტიულ წინაპრებს შორის არსებულ ანალოგიასთან. ბავშვი, რომელიც იმყოფება სრულიად განსხვავებულ პირობებში, ეიღრე ველური ან ბარბაროსი, სწრაფად უნდა შეეგუოს აქტუალურ გარემოს. ამისთვის აუცილებელი არ არის იმ შეცდომების გამეორება და იმ შემოვლითი გზების ხელახალი გავლა, რაც გაიარა კაცობრიობამ ევოლუციის პროცესში. პირიქით, ბლონსკის თქმისა არ იყოს, არაევოლუციური ის იქნებოდა, თუ ჩვენ ვაიძულებდით ბავშვს თავის თავზე გამოეცადა კაცობრიობის ინტელექტის ყველა შეცდომა. გარკვეული აზრით, ეს, ალბათ, სწორია. უკიდურესობამდე მიყვანილი ყველა პრინციპი შეიძლება უაზრობამდე დავიდეს. ეს ეხება პედაგოგიურ პრაქტიკაში რეკაპიტულაციის გამოყენებასაც. მართლაც, ძნელი დასაჯერებელია, რომ ბავშვს ესაჭიროება ბუმერანგის ხმარების, დათვებზე ნადირობის ან კერპების თაყვანისცემის სწავლება იმის გამო, რომ "ველური" ან "ბარბაროსული" ინსტინქტების გამოვლენა სასარგებლოა მისი განვითარებისთვის. მიუხედავად ამისა, დიდი სიფრთხილე გვმართებს, რათა მეორე უკიდურესობაში არ გადავეარდეთ. საესებით შესაძლებელია, რომ ის, რაც ჩვენი პედანტური ლოგიკისთვის "შემოვლითი გზა ან შეცდომაა", სინამდვილეში მიზნის მიღწევის ყველაზე მოკლე გზა აღმოჩნდეს, ვინაიდან ეს ის გზაა, რომელიც ბუნებამ გაკვალა. ამ ლოგიკით შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ბაყაყისთვის შემოვლითი გზაა თავკომბალის მდგომარეობის გავლა; უფრო ადვილი არ იქნებოდა, რომ ის თავიდანვე დაბადებულიყო თათებით და, განსაკუთრებით, კუდის გარეშე, რომელიც არის მხოლოდ "შემოვლითი გზა და შეცდომა"?! მაგრამ რეალურად ეს "შეცდომა" ევოლუციურად გამართლებულია. ძალიან აჩქარდებოდნენ ისინი, ვინც დიდი ბაყაყის ფორმირებისთვის თავკომბალას კუდს მოაჭრიდა. ამას ალბათ გააკეთებდნენ კიდეც, ბაყაყებს სკოლები რომ ჰქონოდათო, ირონიულად შენიშნავს კლაპარედი.

XIX და XX საუკუნეების გასაყარზე ბრიტანეთში ჯერ კიდევ ბატონობდა ემპირიული ფსიქოლოგია და მისი ყველაზე მძლავრი მიმდინარეობა – ასოციაციონიზმი. ამიტომ გასაკვირი არ არის რომ ბავშვის ბრიტანული ფსიქოლოგიის პიონერი **ჯორჯ სელი** (1843-1923) ემპირიზმის პოზიციებზე იდგა. იგი ცდილობდა ასოციაციური ფსიქოლოგიის პრინციპები მოერგო ბავშვის განვითარების პრობლემატიკისთვის. სპენსერმა ასოციაციონიზმის პოზიციიდან ფილოგენეზი განიხილა, ხოლო სელიმ – ონტოგენეზი. მან თავისი მოსაზრებები რამდენიმე გახმაურებულ წიგნში ჩამოაყალიბა, რომელთაგან ყველაზე ცნობილია "ბავშვის ფსიქოლოგიის ნარკვევები" (1895) და "პედაგოგიური ფსიქოლოგია" (1915).

სელი ასოციაციური ფსიქოლოგიის ტრადიციულ სქემას მიჰყვება: თავდაპირველად არსებობენ ფსიქიკური ელემენტები, რომლებიც ასოციაციის გზით ერთიანდებიან რთულ ფსიქიკურ წარმონაქმნებში. კერძოდ, ბავშვის ფსიქიკური განვითარება იწყება ფსიქიკური პროცესების თანდაყოლილი ნასახებიდან ანუ ელემენტებიდან. ესენია შეგრძნება, მარტივი გრძნობა, რეფლექსურ-იმპულსური აქტივობა. განვითარების პროცესში მათ საფუძველზე წარმოიქმნება კოგნიტური, ემოციური და ნებელობითი პროცესები. ეს ხდე-

ბა ელემენტების ინტეგრაციით, რაც წარმოშობს ცნებებს, წარმოდგენებს, განზრახვებს და ა. შ. ყოველივე ეს ასოციაციის კანონებს ემორჩილება. აქ სელის ახალი არაფერი უთქვამს. ახალი იყო ყურადღების გამახვილება იმაზე, თუ როგორი ასოციაციები და რა თანმიმდევრობით წარმოიქმნება ბავშვის განვითარების პროცესში. მისი გამოკვლევების თანახმად, თავდაპირველად ყალიბდება სენსომოტორული ასოციაციები მსგავსების კანონის მიხედვით. შემდგომში ბავშვს თანდათან უყალიბდება საგნების ხატები, მეზობლობის კანონის შესაბამისად, სოლო მეორე წლის ბოლოს ჩნდება ასოციაციები, რომლებიც კონტრასტის კანონს ემყარება.

სელიმ თავისებურად გამიჯნა შემეცნებითი, ემოციური და ნებელობით ფუნქციების განვითარების ეტაპები. იგი დაბეჯითებით მოითხოვდა, რომ ეს გაეთვალისწინებინათ სასწავლო პროცესის ორგანიზებისას, სახელდობრ, სკოლაში სასწავლო პროგრამებისა და ბავშვებთან პედაგოგების ურთიერთობის სტილის შეცვლისთვის.

გარდა იმისა, რომ ბავშვის ფსიქოლოგიას შეუძლია და უნდა დაეხმაროს პედაგოგიკას, ის დიდ სარგებლობას მოუტანს მოზრდილი ადამიანის ფსიქიკის საიდუმლოების გახსნის საქმესაც. ყოველი ადამიანური ორგანიზმი, ამბობდა სელი, თავის თავში ატარებს ადამიანური ცნობიერების ჩანასახს. ეს ცნობიერება დაბადებიდანვე იწყებს განვითარებას და იმთავითვე სპეციფიკურად ადამიანური სახე აქვს. თუ ფსიქოლოგი მოახერხებს შეაღწიოს ბავშვის ცნობიერებაში და გაიგოს რა ხდება იქ, იგი გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდება მოზრდილის რთულ ცნობიერებაში გარკვევისას. "შესაძლებელია, ბავშვის სული არც ისე მარტივია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. მაგრამ მკვლევარი ვერ აიღებს ამოსავალ წერტილად ვერც ერთი ცხოველის გონებას, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი შეიცავს ბევრ ადამიანურ ელემენტს, იგი ავლენს მათ სრულიად განსხვავებული, თავისებური ფორმით". სელის ეს სიტყვები მნიშვნელობას იძენს ცხოველისა და ბავშვის ფსიქიკას შორის არსებული იმ პარალელების ფონზე, რომელზეც მითითებენ სხვა ფსიქოლოგები, განსაკუთრებით კი ბიულერი. ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ. აქ კი აღვნიშნავთ, რომ ბიოგენეტიკური იდეები არც სელისთვის იყო უცხო. იგი ხედავდა გარკვეულ კავშირს ისტორიოგენეზსა და ონტოგენეზს შორის და აღნიშნავდა, რომ ადამიანის ცხოვრების პირველი წლები "თითქოს დაპატარავებულ და მრუდე სარკეში გვიჩვენებენ იმ მდგომარეობას, რომელშიც, ალბათ, იმყოფებოდა პირველყოფილი ადამიანი".

გერმანიაში ბავშვის ფსიქოლოგიის ერთ-ერთი უუძემდებელი **ერნსტ მოიმანი** (1862-1915) უფრო მკვეთრად აფიქსირებს განსხვავებას ბავშვისა და მოზრდილის ფსიქიკას შორის და ოთხ ძირითად მომენტზე ამახვილებს ყურდღებას: 1) ბავშვს დასაწყისში არ გააჩნია მოზრდილის ყველა სულიერი თვისება. 2) თვისებების განაწილება ბავშვთან და მოზ-

რდილთან განსხვავებულია. მათთან სხვადასხვა თვისებები დომინირებს. მაგალითად, მოზრდილი ადამიანი უმეტესწილად სიტყვების მეშვეობით აზროვნებს, მცირეწლოვანი ბავშვი კი უფრო მეტად იყენებს თვალსაჩინო წარმოდგენებს საგნების შესახებ. ამასთან, ბავშვსაც შეუძლია იაზროვნოს სიტყვებითი, ხოლო მოზრდილს წარმოდგენებით, მაგრამ მათი თანაფარდობა განსხვავებულია. 3) ბავშვის სულიერი ცხოვრების მოგიერთი გამოვლინება თვისებრივად განსხვავდება მოზრდილისაგან და 4) ბავშვის თვისებები მოზრდილისაგან სარისხობრივადაც, ინტენსიობის თვალსაზრისითაც განსხვავდება.

მოიმანი გერმანიაში ბავშვისა და პედაგოგიური ფსიქოლოგიის თვალსაჩინო ორგანიზატორი იყო. მან ჰამბურგში დააარსა ბავშვის ფსიქიკური განვითარების შემსწავლელი ლაბორატორია და პირველი გერმანული ჟურნალი პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში. მისი კაპიტალური სამტომეული "ლექციები ექსპერიმენტულ პედაგოგიკაში" (1907) იმ დროისთვის ენციკლოპედიური მნიშვნელობის კელევას წარმოადგენდა. პირველ ორ ტომში განხილულია ბავშვის ფსიქოლოგიის, ხოლო მესამეში – პედაგოგიკისა და პედაგოგიური ფსიქოლოგიის, კერძოდ, კითხვის, წერის, თვლისა და ხატვის სწავლების საკითხები.

მოიმანი ბავშვის ორგანიზმს მთლიანობაში განიხილავდა, ანუ მისი ფიზიკური და ფსიქიკური მხარეების ერთიანობაში. იგი ხაზს უსვამდა, რომ აუცილებელია გვქონდეს თითოეული ინდივიდის განვითარების სრული ფსიქოფიზიკური სურათი და გაუმართლებლად მიაჩნდა აღმზრდელების ზედმეტი გატაცება ბავშვის მხოლოდ გონებრივი მოქმედების კონტროლით. ასეთ შემთხვევაში ჩვენ შეიძლება არასწორად მოვექცეთ ბავშვს და მისგან ისეთი რამ მოვითხოვოთ, რისი გაკეთებაც არ ძალუძს ფიზიკური სისუსტის გამო. ბავშვის ნებელობაზე აპელირება ამ შემთხვევაში სრულიად ამაოა, ვინაიდან აქ საქმეს მხოლოდ ფიზიკურ განვითარებაზე ზრუნვა უშველის. ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ სულიერი და ფიზიკური განვითარება ყოველთვის პარალელურად არ მიმდინარეობს. ეს მოიმანმა თავისი კვლევით დაადასტურა. მან ისიც დაამტკიცა, რომ ახალგაზრდა და მოზრდილი ორგანიზმი არა მხოლოდ ფსიქიკური, არამედ ანატომიურ-ფიზიოლოგიური კუთხითაც თვისებრივად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

მოიმანმა აჩვენა, რომ ბავშვის ნორმალური ფიზიკური და ფსიქიკური განვითარება მუდმივი პროცესი არ არის – შეჩერებებსა და პაუზებს შეიცავს. განსაზღვრულ პერიოდებში ეს ყველა ბავშვს ემართება და, ამდენად, კანონზომიერია. საზოგადოდ კი, ყველაზე ადრე ვითარდება ის უნარები, რომლებიც ბავშვის გარემო პირობებთან შეგუებისთვის, თვითშენარჩუნებისთვის არის აუცილებელი. მაგალითად, ბავშვი გაცილებით ადრე იწყებს ორიენტირებას სივრცეში, ვიდრე დროში. საქმე ისაა, რომ პატარას ცხოვრებას დროში აღმზრდელები ანაწილებენ, ხოლო სივრცითი ორიენტაცია უმეტესად მისი საკუთარი საზრუნავია. ასევე, ცოდნა საგნების სივრცითი თვისებების (ფორმა, ზომა და ა.შ.) შესახებ უფრო ადრე შეიძინება, ვიდრე ცოდნა ფერების შესახებ, ვინაიდან პირველი სრულებით აუცილებელია საგნების

ცნობისთვის, ფერები კი ხშირად მხოლოდ ესთეტიკური დამატებაა. ასევე, სხვისი შეტყველების გაგება უფრო ადრე იწყება, ვიდრე დამოუკიდებელი მეტყველება და ა.შ.

გერმანული პედოლოგიის პირველი თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელია აგრეთვე **კარლ გროსი** (1861-1946). მისი წიგნი "ბავშვის სულიერი ცხოვრება" საკმაოდ პოპულარული იყო, მაგრამ განსაკუთრებული აღიარება იმ გამოკვლევებმა მოუტანა, რომლებშიც თამაშის ბუნების გარკვევა იყო ნაცადი. თამაშის მნიშვნელობაზე ბევრ მოაზროვნეს უფიქრია, თუმცა საგანგებო კვლევის საგნად იგი მხოლოდ ბავშვის ფსიქოლოგიის სპეციალურ დარგად ჩამოყალიბების შემდეგ იქცა. გროსმა ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო თამაშის სისტემატური შესწავლა, მდიდარ ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით აჩვენა მისი როლი ცხოველისა და ადამიანის განვითარების საქმეში. გროსის ცნობილ თამაშის თეორიაში ნაჩვენებია, რომ აქტივობის ამ სახის ფუნქცია მომავალი ცხოვრებისთვის მომზადებაა.

გროსს სურდა შეექმნა თეორია, რომელიც დაძლევდა სხვა თეორიების ნაკლოვანებებს. ამიტომ მან კრიტიკულად გააანალიზა იმ დროისთვის არსებული შეხედულებები. ასეთები იყო, მაგალითად, შტაინტალისა და ლაცარუსის თვალსაზრისი, რომელიც თამაშს დასვენების ფუნქციას მიაწერს, სპენსერის კონცეფცია, რომელიც თამაშს ორგანიზმში ჭარბი ენერგიის რეალიზაციის საჭიროებას უკავშირებს, ან კიდევ ჰოლის შეხედულება, რომლის მიხედვით თამაშის ბუნება რეკაპიტულაციის პრინციპის თანახმად არის გააზრებული.

გროსის ე.წ. *ვარჯიშის თეორიის* მიხედვით, ბავშვის თანდაყოლილი რეაქციები არ არის საკმარისი ნორმალური ადამიანური ფუნქციონირებისთვის მომავალში. ბავშვობის პერიოდში უნდა მოხდეს ისეთი ფუნქციებისა და რეაქციების გამომუშავება, რომლებიც რეალური ცხოვრებისეული ამოცანების გადასაჭრელად გამოდგება. ამას ემსახურება თამაში. მასში ხდება მოქმედების ახალი ფორმების შეძენა და სერიოზული ცხოვრებისთვის აუცილებელი ძალების გავარჯიშება. თამაშის საშუალებით ბავშვი მომავალი ცხოვრებისთვის ემზადება. ეს არის თამაშის ობიექტური მიზანი და დანიშნულება. გროსის თქმით, "ჩვენ იმიტომ კი არ ვთამაშობთ, რომ ბავშვები ვართ, არამედ სწორედ იმისთვის გვაქვს ბოძებული ბავშვობა, რომ ვითამაშოთ". ცხადია, მომავალი ცხოვრებისთვის მომზადება არაა მოთამაშე ინდივიდის სუბიექტური მიზანი. თამაშის აქტივობის მასაზრდოებელი წყარო, მისი სტიმული თანდაყოლილი ძალების ამოქმედებაა. ძველ რეაქციებზე დაშენდება ახალი მოქმედებები, რომლებიც უფროსების მოქმედებათა გარეგნულ სახეს იმეორებენ: თოჯინის მოვლა, მანქანის ტარება და სხვა. თამაშის შინაარსი ბავშვის უფროსებისადმი მიბაძვის შედეგია, მიმბაძველობა კი ბავშვის თანდაყოლილი თვისება. ამრიგად, თამაშში ორგანულად არის შერ-

წყმული ინდივიდის მემკვიდრეობითი მოცემულობა და სოციალური გარემოს ზემოქმედება.

გამოჩენილი გერმანელი ფსიქოლოგი ვილიამ **შტერნი** აშუსტებს და აღრმავებს გროსის ანალიზს. იგი გამოყოფს თამაშის ფორმას და შინაარსს. ფორმა უცვლელია და დაკავშირებულია თანდაყოლილი თვისებების გავარჯიშებასთან, რაც თამაშის მთავარ ბიოლოგიურ ფუნქციას წარმოადგენს. შინაარსი ცვალებადია, მას სოციალური გარემო განსაზღვრავს. შედეგად, თანდაყოლილი ფუნქციების ამოქმედების პროცესი თამაშის ქცევაში შეძენილი სოციალური შინაარსით ივსება.

აღვილი შესამჩნევია, რომ განვითარების თვალსაზრისით შტერნის თამაშის თეორიას ავტორის უფრო ფართო შეხედულების მკაფიო კვალი ატყვია. შტერნი პირველი თამაშის პროფესიონალ ფსიქოლოგებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული *ინტერაქციონისტი* იყო. იგი ამოდიოდა იდეიდან, რომ განვითარება ყოველთვის და აუცილებლად თანდაყოლილისა და შეძენილის, შინაგანისა და გარეგანის გაერთიანებული მოქმედების, ანუ კონვერგენციის შედეგია. *კონვერგენციის თეორიის* თანახმად, არსებობს ბავშვის თანდაყოლილი მიდრეკილებები და სასახები, რომლებიც დასრულებული და გამზადებული თვისებები კი არაა, არამედ მხოლოდ პოტენციური შესაძლებლობებია. ფსიქოფიზიკური პოტენციის გადაქცევა სინამდვილედ, რეალურ თვისებად გარეგანი ფაქტორების ზემოქმედებით ხდება. მარცვალში იმთავითვე ჩანერგილია მომავალი მცენარის სახე. მაგრამ როგორი სისწრაფით, რამდენად კარგად და რა სპეციფიკური ფორმით განვითარდება იგი, დამოკიდებულია ნიადაგზე, ამინდზე, მებაღის მზრუნველობაზე და სხვა გარე პირობებზე. ასევეა ბავშვის შემთხვევაში.

განვითარების პროცესში შინაგანისა და გარეგანის ურთიერთქმედება ე.წ. *ინტროცეფციის მექანიზმის* მეშვეობით ხდება. შტერნის მიხედვით, ეს ნიშნავს შინაგანი მიზნების გაერთიანებას სოციალური გარემოდან მომდინარე მიზნებთან. თავდაპირველად მცირეწლოვანი ბავშვის ფსიქიკური შესაძლებლობები არ არის გამოკვეთილი; იგი არ აცნობიერებს საკუთარ თავს, საკუთარ უნარ-მიდრეკილებებს, მიზან-მისწრაფებებს. ყოველივე ამის ჩამოყალიბება, ორგანიზება, დაკონკრეტება და, საბოლოოდ, გაცნობიერება გარემოს ზემოქმედებით მიიღწევა. ბავშვი ცდილობს აიღოს გარედან ის, რაც მას ესაჭიროება და რაც მის შინაგან პოტენციას შეესაბამება, და პირიქით, ბღუდავს ისეთ ზემოქმედებას, რომელიც ამას ეწინააღმდეგება. ცნობიერება მოქმედების შესრულების დაბრკოლების, წინააღმდეგობის გაჩენის შემთხვევაში იჩენს თავს. მისი ფუნქციაა გართულებული ადაპტაციის ხელშეწყობა, მაგრამ გაცნობიერების საგანი ხდება არა მხოლოდ წინააღმდეგობის შემცველი ფიზიკური თუ სოციალური გარემო, არამედ სუბიექტური სამყაროს ის მხარეც, რომლის რეალიზაცია ვერ მოხერხდა მოქმედებაში; ესენია კონკრეტული მისწრაფებები და ფსიქიკური შესაძლებლობები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ინტროცეფციის გართულება ან ფრუსტრაცია მეტი სოციალიზაციისა და თვითრეფლექსიის, საბოლოოდ კი პიროვნების განვითარების წყაროდ იქცევა.

შტერნი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სწორედ პიროვნების, როგორც მთლიანის განვითარებას და ფორმირებას. ეს საესებით კანონზომიერია, შტერნი ხომ დიდი ფსიქოლოგიური სისტემის ავტორია, რომლის ცენტრალურ ცნებას *პიროვნება* (*პერსონა*) წარმოადგენს. შტერნმა პერსონალისტური ორიენტაცია განვითარების პრობლემატიკაზე გადმოიტანა. ამას, ზოგადად, პოზიტიური მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან ბავშვის ფსიქოლოგიის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე მკვლევართა ინტერესი ძირითადად კოგნიტური სფეროს ონტოგენეზისკენ იყო მიმართული. კოგნიცია კი მთლიანი პიროვნების მხოლოდ ერთ-ერთი სფეროა. თუმცა აღსანიშნავია, რომ შტერნმა ამ სფეროს განვითარებაც სპეციალურად იკვლია და სერიოზულ შედეგებსაც მიაღწია. ყველაზე სრულად ისინი გადმოცემულია კლასიკურ ნაშრომებში "ბავშვის ენა" და "აღრეული ბავშვობის ფსიქოლოგია".

შტერნს მიაჩნდა, რომ კოგნიტური სფეროს განვითარება კონკრეტული მიმართულებით, კერძოდ, პერიფერიიდან ცენტრისკენ მიემართება. ამიტომ ონტოგენეზში ჯერ ვითარდება ჭერეტა (აღქმა), შემდეგ წარმოდგენა (მეხსიერება) და ბოლოს აზრი (გონება). ამ გზით, ბავშვი გარემოს ბუნდოვანი ასახვიდან გადადის სამყაროს მოვლენათა არსის შეცნობაზე. გარდამტეხი მომენტი მთელ კოგნიტურ განვითარებაში დგება 1,5-2 წლის ასაკში, როცა მეტყველების ათვისების პროცესი კრიტიკულ ფაზას აღწევს. ამ დროს, შტერნის თქმით, ბავშვი აკეთებს უდიდეს აღმოჩენას თავის ცხოვრებაში — ივი ხვდება, რომ ყველა საგანს შეესაბამება მისი აღმნიშვნელი ბგერითი კომპლექსი, ანუ იმას, რომ ყველა საგანს თავისი სახელი აქვს, ყველა სიტყვას კი — თავისი მნიშვნელობა. საზოგადოდ, მეტყველების ონტოგენეზში სამი ტენდენცია იჩენს თავს: მიმართულობა განცდის გამოსატვაზე, მიმართულობა შეტყობინებაზე და მიმართულობა სიტყვის მნიშვნელობაზე. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. შტერნმა აღწერა მეტყველების დაუფლების ძირითადი ეტაპები ხუთ წლამდე. მათ ცვალებადობას კანონზომიერი ხასიათი აქვს და მიმდინარეობს პასიური მეტყველებიდან აქტიურისკენ, ბგერებიდან სიტყვებისკენ, სიტყვებიდან წინადადებებისკენ.

შტერნმა შეისწავლა აზროვნების განვითარებაც, სახელდობრ, მისი ისეთი ონტოგენეტური ფორმა, როგორიცაა ე.წ. *აუტისტური აზროვნება*. საკითხი აზროვნების ამ ფორმის ბუნებისა და ფუნქციის შესახებ ბავშვის ფსიქოლოგიაში სერიოზული კვლევისა და აზრთა ჭიდილის ასპარეზი გახდა. აქ მხოლოდ შემდეგს აღვნიშნავთ: პიაჟესაგან განსხვავებით, შტერნს მიაჩნდა, რომ აუტისტური აზროვნება უფრო რთული ბუნებისაა, ვიდრე რეალისტური, და ამიტომ, კოგნიტური განვითარების პროცესში, მასზე გვიან უნდა ჩნდებოდეს.

შტერნი ფიქრობდა, რომ ასაკობრივი პერიოდების სახით მოცემული განვითარების ზოგადი კანონზომიერებების გარდა, ყველა ბავშვის შემთხვევაში ინდივიდუალური თავისებურებებიც იჩენს თავს. ეს, პირველ რიგში, ფსიქიკური განვითარების ინდივიდუალურ ტემპში გამოიხატება. შტერნის, როგორც დიფერენციალური ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ინტერესი ბავშვების განვითარების ინდივიდუალური თავისებურებებისადმი

სრულიად ბუნებრივი იყო. მან მსარი აუბა ბინეს და სერიოზული მუშაობა ჩაატარა იმ მეთოდების შესაქმნელად, რომლებიც ბავშვის ინტელექტუალური განვითარების გაზომვისთვის იყო საჭირო. სწორედ შტერნის შემოღებულია ე.წ. *გონებრივი განვითარების კოეფიციენტი IQ* (ის. 6.2.).

ეს სამუშაო მიმდინარეობდა ჰამბურგის პედაგოგიურ ლაბორატორიაში, რომელიც შტერნმა მოიმანის გარდაცვალების შემდეგ ჩაიბარა და აგრეთვე ჰამბურგის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში, რომლის დამაარსებელი და ხელმძღვანელიც იყო ამერიკაში ემიგრაციამდე (1916-1933). ამ ინსტიტუტის მრავალფეროვან კვლევა-ძიებაში, რაც უმთავრესად გამოყენებითი ფსიქოლოგიის კუთხით მიმდინარეობდა, ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის პრობლემატკას უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა. ამავე დროს, შტერნი მოიმანის მიერ შექმნილ პედაგოგიური ფსიქოლოგიის ჟურნალსაც რედაქტორობდა. მოკლედ, შტერნი იყო ბავშვის ფსიქოლოგიის უდიდესი მკვლევარი და გერმანიაში პედოლოგიური მოძრაობის თვალსაჩინო ორგანიზატორი.

ბავშვის ფსიქოლოგია პირველ თაობაში საპატიო ადგილი უკავია გამოჩენილ გერმანელ ფსიქოლოგს, **კარლ ბიულერს** (1879-1963). თავდაპირველად ბიულერი ვიურცბურგის სკოლის წევრი იყო და აქტიურად მონაწილეობდა აზროვნების ექსპერიმენტულ კვლევაში. მას ეკუთვნის ტერმინი "აჰა განცდა", რომელიც გამოხატავს ამოცანის გადაწყვეტის მომენტში გაჩენილ სპეციფიკურ შვების განცდას (ის. 6.1.). ვიურცბურგის შემდეგ ვენაში მოღვაწეობდა, ბოლოს კი ამერიკაში გადასახლდა. შეიცვალა მისი ინტერესებიც, რომლებმაც ზოგადიდან განვითარების ფსიქოლოგიაზე გადაინაცვლეს. ამ მიმართულებით მისი ყველაზე ცნობილი ნაშრომია "ბავშვის სულიერი განვითარება" (1918). წიგნში განხილულია ბავშვის ფსიქოლოგიის ყველა ძირითადი თემა, მოცემულია ავტორის ორიგინალური შეხედულება მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებზე. მათ შორის ყველაზე არსებითია საკითხი ონტოგენეტური განვითარების პროცესის ბუნებისა და მსვლელობის კანონზომიერებათა შესახებ.

ბიულერი ამოდის თეზისიდან: "ბუნება არ აკეთებს ნახტომებს, განვითარება ყოველთვის თანდათანობით მიმდინარეობს". ამიტომ იგი თამამად აელებს პარალელებს ცხოველურსა და ადამიანურს, ბიოლოგიურსა და სოციალურ-კულტურულს, ფილოგენეტურსა და ონტოგენეტურს შორის, ცდილობს აჩვენოს მაიი ერომანეთში გადასვლის უწყვეტობა და თანმიმდევრულობა. განვითარება, საზოგადოდ, მყარ შინაგან კანონზომიერებას ექვემდებარება. უსუსური ახალშობილი სამი წლისთვის შორს იტოვებს განვითარებაში ყველა ცხოველს, ვინაიდან მეტყველებს, მსჯელობს, აკეთებს დასკვნებს, აქვს ერთგვარი მსოფლმხედველობაც, თუმცა, ცხადია, პრიმიტიული და არასაკმარისი; მას აქვს თავისებური ღამოკიდებულება სიმართლისა და ტყუილის,

კეთილისა და ბოროტის, ლამაზისა და უშნოს მიმართ. განვითარების ასეთივე ისტორია აქვს გვარსაც. კაცობრიობაც თანდათან დაეუფლა ენას, ხელოვნებას და კულტურის სხვა მონაპოვარს. მიუხედავად ამისა, ადამიანთა მოდგმა არ არის იზოლირებული ცხოველური სამყაროსაგან, რომელთანაც მჭიდრო ნათესაობა აკავშირებს. ეს უპირველესად იმაში ვლინდება, რომ ცხოველისა და ადამიანის ქცევა თუ ფსიქიკა განვითარების სამ ძირითად სტადიას გაიელის, ესენია: *ინსტინქტი* (სტერეოტიპული, თანდაყოლილი აქტიობა), *დრესურა* (მოქმედების ახალი ფორმების შეძენა) და *ინტელექტი* (პრაქტიკული აზროვნება).

აანალიზებს რა ონტოგენეზს, ბიულერი განსკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ადრეული ბავშვობის ხანას, ვინაიდან სწორედ აქ იჩენს თავს სამივე აღნიშნული მექანიზმი და საფუძველი ეყრება მთელ შემდგომ სულიერ განვითარებას. პირველი წლიდან იწყება ინტელექტის ფორმირება. ბავშვი იწყებს პრიმიტიული იარაღის გამოყენებას, მსგავსად კელერის მიერ შესწავლილი პრიმატებისა. ამიტომ ამ პერიოდს ბიულერი "შიმპანზესმაგვარს" უწოდებს. ინტელექტის განვითარება ჯერ პრაქტიკული, აზრიანი მოქმედების პლანში მიმდინარეობს, ხოლო შემდგომ შინაგან პლანში გადაინაცვლებს. ეს ენის მეშვეობით ხდება. აქედან გამომდინარე, დიდი ყურადღება ექცევა მეტყველების ათვისების პროცესის დახასიათებას. ბიულერი იქიდან ამოდის, რომ "არსებობს სულიერი განვითარების მყარად დადგენილი რიტმი, რომელიც შეიძლება დაჩქარდეს ან დამუხრუჭდეს, მაგრამ მისი სრული გაჩერება შეუძლებელია". ეს ეხება ყველა ფსიქიკურ პროცესსა თუ უნარ-ციას, მათ შორის მეტყველებასაც. იგი განსაზღვრულ რიტმში გაიელის ტრანსფორმაციათა რიგს (ღიღინი, ტიტინი, მიბაძვა, პირველი სიტყვები, წინადადებები, ფრაზები და ა.შ.). საზოგადოდ კი, ბიულერი მიიჩნევს, რომ ამეტყველება გამზადებული ენის უბრალო შეთვისება კი არ არის, არამედ მისი კონსტრუირებაა უფროსებთან ურთიერთობის პროცესში. აქ ბავშვი აკეთებს სამ დიდ აღმოჩენას, რომლებიც ამ პროცესს სამ სტადიად ყოფს. პირველ სტადიაზე ბავშვი აღმოაჩენს სიტყვის "მნიშვნელობას". იგი ხედავს, რომ ბგერათა გარკვეული კომპლექსი იწვევს მოზრდილთა შესაბამის რეაქციას და იწყებს მის განზრახ გამოყენებას. მეორე სტადიაზე აღმოაჩენს, რომ ყველა საგანს თავისი სახელი აქვს. იგი უკვე თვითონ კი არ იგონებს საგნების სახელებს, არამედ უფროსებისაგან იწყებს სათანადო ცნობების მოძიებას. მესამე სტადიაზე ბავშვი გრამატიკის მნიშვნელობას აღმოაჩენს. იგი აუიქსირებს, რომ მიმართებები საგნებს შორის შეიძლება გამოიხატოს სიტყვის ბგერითი მხარის ცვლილებით, მაგალითად: სათამაშო – სათამაშოები.

იგივე ითქმის აზროვნებაზეც. ლოგიკური აზროვნების განვითარება (ცნება, მსჯელობა, დასკვნა) იწყება მეტყველების განვითარების კვალდაკვალ. მას თავისი ტემპი აქვს და კონკრეტული კანონზომიერების შესაბამისად მიმდინარეობს. მაგალითად, ბავშვის ცნებებისა და განსაზღვრებების კვლევისას ბიულერმა დაადგინა, რომ პირველ ხანებში მათში მოცემულია მხოლოდ მითითება საგნის დანიშნულებაზე. მითითებანი გვარისა და სახეობის ნიშნებზე ჩნდება სასკოლო ასაკში და სასკოლო სწავლების გავლენით. ბიულერი

ხაზს უსვამს იმას, რომ აზროვნების პროცესში ხდება ახალი მიმართებების წვდომა და, ამდენად, ეს პროცესი *შემოქმედებითი ბუნებისაა*. აზროვნებისა და შემოქმედების მიმართების კონტექსტში განიხილება ბავშვის მხატვრობის საკითხი. ბიულერმა აჩვენა, რომ ხატვა უშუალოდ მოქმედებს ბავშვის კოგნიტურ განვითარებაზე. ნახატი *გრაფიკული მოთხრობაა*, ის საგნის ასლი კი არ არის, არამედ ბავშვის გონებაში გადამუშავებული მონათხრობია მის შესახებ.

ხატვა ბავშვის შემოქმედებითი აქტივობის ერთ-ერთი გამოვლინებაა და, ამდენად, უშუალოდ არის დაკავშირებული ფანტაზიის ფუნქციასთან. ამ ფუნქციის განვითარების კიდევ ერთი წყაროა ზღაპრები. ბიულერი საგანგებოდ აანალიზებს ზღაპრის წარმოშობისა და დანიშნულების საკითხებს გენეტიკური ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, განსაკუთრებით კი, წარმოსახვისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებასთან მიმართებაში. იგი მიუთითებს მკაფიო პარალელებზე შემოქმედებასა და თამაშს შორის, მაგრამ მათ შორის არსებულ განსხვავებასაც ხედავს, რაც აქტივობის ამ ორი ფორმის განხორციელების ემოციურ-მოტივაციური მექანიზმის თავისებურებაში მდგომარეობს; ბავშვის თამაშის საკითხიც სწორედ ემოციების კონტექსტში განიხილება.

ეს კონცეფცია აშკარად ჰედონისტური ხასიათისაა. ავტორს შემოაქვს ტერმინი *ჰედონალგიური რეაქცია*, რაც გულისხმობს სიამოვნებისა (ჰედონე) და უსიამოვნების (ალგოს) ჩართულობას ცოცხალი ორგანიზმის ყოველგვარ აქტივობაში. ტკბობის საყოველთაო პრინციპის პირველადი გამოვლინებაა სურვილი და დაკმაყოფილება. საამისოდ ბუნებამ შექმნა *ფუნქციონალური სიამოვნების* მექანიზმი, როცა სიამოვნების წყაროს წარმოადგენს არა დაკმაყოფილება, ანუ აქტივობის სურვილი უსიამოვნების მდგომარეობაა, რომელიც აღძრავს "მიზანმიმართულ" აქტივობას, სოლო დაკმაყოფილება სიამოვნების მდგომარეობაა, რომელიც მოჰყვება "მიზნის" მიღწევას. ეს მექანიზმი მოქმედებს იქ, სადაც აქტივობა ჩამოყალიბებულია, ანუ ინსტინქტის სტადიაზე. მაგრამ ის არ არის საკმარისი დრესურის სტადიაზე მიმდინარე აქტივობის გასაგებად. აქ აქტივობა არ არის ფორმირებული, ის ყალიბდება მრავალჯერადი გამეორებითა და ვარჯიშით. მთავარია არა შედეგი, არამედ თვით მოქმედება, მისი მიმდინარეობის პროცესი. ამით მოინახა "დრესურისთვის" (ვარჯიშისთვის) საჭირო დაუღალავი მცდელობებისა და გამეორებების შამოძრავებელი ძალა.

ეს ყოველივე უშუალოდ ეხება თამაშს, რამდენადაც ის, პირველ ყოვლისა, ემსახურება პაგარა ინდივიდის სხეულებრივი თუ სულიერი ფუნქციების გავარჯიშებას და მომავალი ცხოვრებისთვის მომზადებას. ამაშია მისი ბიოლოგიური აზრი, რაც ყველაზე უკეთ გროსმა აჩვენა. ბიულერი ამ ობიექტური ვითარების სუბიექტურ-მოტივაციურ მხარეზე ამახვილებს ყურადღებას და ფუნქციონალური სიამოვნების მექანიზმის საშუალებით ცდილობს, ნათელი გახადოს, თუ რატომ, რა შინაგანი საჭიროების გამო თამაშობს ცხოველი და ადამიანი. იგი ამბობს: "თამაშს ვუწოდებთ ისეთ ქმედებას, რომელიც ხასიათდება ფუნქციონალური სიამოვნებით. ფუნქციონალური სიამოვნებაა ის, რაც მას ინარჩუნებს და რისთვისაც იგი ხორციელდება. აქ მნიშვნელობა

არა აქვს, თუ რა განსხვავებულ შედეგამდე მივყავართ მას და კიდევ რა მიზნებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული".

მაშასადამე, თამაშის შემთხვევაში სიამოვნება თვით მოქმედების პროცესს უკავშირდება. *შემოქმედების* დროს კი სიამოვნების წყარო არის არა ქცევის პროდუქტი ან პროცესი, რომელიც ხშირად საკმაოდ მძიმე და მგანჯველია, არამედ იდეის ჩასახვის, ნაწარმოების შინაგანი მომწიფების მომენტი. სიამოვნება აქ ქცევის საწყისშია. თუ ყოველ ქცევაში პირობითად ორ ფაზას გამოვყოფთ – შინაგანი და გარეგანი მუშაობის ფაზას – შემოქმედების სპეციფიკური სიხარული ან მთლიანად პირველ ფაზას დაუკავშირდება, ან წარმოიქმნება პირველიდან მეორეზე, ანუ გარე გამოვლენილ მოქმედებაზე გადასვლისას.

ამრიგად, ბიულერის მიხედვით, ქცევის ემოციურ-მოტივაციურ მექანიზმთან მიმართებაში განვითარების შემდეგი კანონზომიერება იკვეთება: ინსტინქტურ სტადიაზე სიამოვნება მოქმედების შედეგს, ანუ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას მოჰყვება; დრესურის (ფართო გაგებით თამაშის) სტადიაზე მოქმედებს ფუნქციონალური სიამოვნების ანუ აქტიურობისაგან მიღებული სიამოვნების მექანიზმი; ინტელექტის (ფართო გაგებით შემოქმედების) სტადიაზე სიამოვნება ქცევის რეალიზაციამდეა მხედველობაში მიღებული: განვითარების გარკვეულ დონეზე ბავშვს შეუძლია მოქმედების დაწყებამდე წარმოიდგინოს, თუ რა სიამოვნებას მიიღებს, ვთქვათ, ნაყინისაგან ან თანატოლებთან ურთიერთობისაგან.

გამოსვენილი ქართველი ფსიქოლოგი **დიმიტრი უზნაძე** ცნობილია თავისი განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიით, მაგრამ ზოგადი ფსიქოლოგიის გარდა იგი ნაყოფიერად მუშაობდა სხვა დარგებშიც, მათ შორის, და პირველ ყოვლისა, ბავშვის ფსიქოლოგიაში. უზნაძე შეიძლება ჩაითვალოს პედოლოგების პირველი თაობის წარმომადგენლად. გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ, სადაც იგი ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის ფუძემდებელთან, ვუნდტთან სწავლობდა, უზნაძემ ხელი მოჰკიდა აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას: ასწავლიდა გიმნაზიაში, დაარსებისთანავე სათავეში ჩაუდგა პირველ ქართულენოვან სკოლას "სინათლე" და შექმნა მისთვის დაწყებითი სწავლების კონცეფცია. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე სახელმძღვანელო ძველი მსოფლიოს ისტორიაში, წერილები თეორიულ პედაგოგიკაში და, რაც მთავარია, რუსეთის იმპერიაში ერთ-ერთი პირველი წიგნი ექსპერიმენტულ პედაგოგიკაში (1912). მასში პრინციპულად არის გატარებული აზრი, რომ მეცნიერული პედაგოგიკა მხოლოდ ბავშვის ფსიქოლოგიის ცოდნაზე შეიძლება იქნეს დაფუძნებული. წიგნში წარმოდგენილია მასალა, რომელიც იმ დროისთვის იყო დაგროვებული პედოლოგიაში ყურადღების, ინტერესის, მეხსიერებისა და დაღლილობის საკითხებთან დაკავშირებით.

მომდევნო წლებში უზნაძე მთავარ ყურადღებას თავისი ზოგადფსიქო-

ლოგიური სისტემის, განწყობის თეორიის შექმნას უიმობდა, მაგრამ აგრძელებდა მუშაობას პედოლოგიის სფეროშიც, რაც დაგვირგვინდა წიგნით "პედოლოგია" (1933). შესავალში აეტორი აღნიშნავს, რომ ამ წიგნს მოჰყვება გაგრძელება მეორე ტომის სახით, მაგრამ მას გამოსვლა არ ეწერა, რადგან 1936 წელს, სპეციალური დადგენილებით, საბჭოთა კავშირში აიკრძალა პედოლოგია. ეს იდეოლოგიური კამპანია ნაწილობრივ ინიცირებული იყო ტესტური გაზომვების შეცდომებით, რომელთა მიხედვით შეძლებული ოჯახის ბავშვებს უფრო მაღალი ინტელექტი აღენიშნებოდათ (იხ. 6.2.). ამ დარგის წარმომადგენლებს დაბრალდა "საბჭოთა პედაგოგიკაში ანტიმეცნიერული ბურჟუაზიული პედოლოგიის შესედულებებისა და პრინციპების უკრიტიკო გადმოტანა, პედოლოგიისა, რომელიც ექსპლოატატორული კლასების ბატონობის შენარჩუნების მიზნით ამოცანას ისახავს, დაამტკიცოს ექსპლოატატორული კლასებისა და "უმაღლესი რასების" საგანგებო ნიჭიერება და არსებობის განსაკუთრებული უფლებები, და, მეორე მხრივ, მშრომელი კლასებისა და "დაბალი რასების" ფიზიკური და გონებრივი განწირულობა". პედოლოგია მართლაც სერიოზულად განიხილაედა განვითარების მამოძრავებელი ფაქტორების მნიშვნელობას, მაგრამ არასდროს დაუდგენია კანონი "ბიოლოგიური და სოციალური ფაქტორების, მემკვიდრეობისა და რაღაც უცვლელი გარემოს გაელენით ბავშვის ბედის ფატალური განსაზღვრულობის შესახებ", როგორც ეს ხსენებულ დადგენილებაშია აღნიშნული. მისი გამოსვლის შემდეგ უზნაძემ ერთგვარად დაამუხრუჭა თავისი კვლევა და აღარ უწოდებდა მას პედოლოგიურს. მისი წიგნი "ბავშვის ფსიქოლოგია" მხოლოდ 1947 წელს გამოიცა. ეს იყო წიგნი, რომელზეც აღიზარდა ქართველი ფსიქოლოგებისა და პედაგოგების რამდენიმე თაობა. ბრწყინვალე ერუდიციამ აეტორს საშუალება მისცა, გადმოეცა ბავშვის ფსიქიკური განვითარების სრული სურათი დაბადებიდან უფროსი სასკოლო ასაკის ჩათვლით. წიგნი შეიცავს თვით უზნაძის მიერ ჩატარებული ემპირიული კვლევის მონაცემებს და ორიგინალურ შეხედულებებს მთელ რიგ საკვანძო თეორიულ საკითხებზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ე.წ. *კონცეფციის თეორია*, რომელიც გაშლილი სახით "პედოლოგიაშია" გადმოცემული. მასში ლაპარაკია განვითარების მამოძრავებელი თანდაყოლილი (შინაგანი) და შეძენილი (გარეგანი) ფაქტორების არსებითი კავშირის შესახებ. ეს შეხედულება უზნაძემ შტერნის გახმაურებული კონვერგენციის თეორიის საპირისპიროდ წამოაყენა, რომლის მიხედვით განვითარების პროცესში ერთდროულად მოქმედებს ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორები; ისინი სრულიად განცალკევებული, ავტონომიური ერთეულებია. უზნაძე მართებულად აღნიშნავს, რომ ორი სრულიად გამიჯნული და ჰეტეროგენული მოვლენა ვერ შექმნის ისეთ ჰარმონიულ კავშირს, რომელიც განვითარებას განაპირობებს და ქცევასაც წარმართავს. განვითარებისა და ქცევის დეტერმინაციის გასაგებად უნდა ამოვიდეთ იქიდან, რომ ინდივიდის ყოველგვარ მახასიათებელს აუცილებლად შეესაბამება გარემოში არსებული რაიმე მოვლენა ან გამღიზიანებელი. მოთხოვნილება მისი დაკმაყოფილების საგანს გულისხმობს, შეგრძნების ორგანო – სათანადო გამღიზიანებელს და ა.შ. ეცადოთ, მაგალითად, თვალის, როგორც

ორგანიზმის შინაგანი კუთვნილების, მისი თანდაყოლილი სტრუქტურის ფუნქციის დახასიათება და დაერწმუნებით. რომ სრულიად გარკვეული გარეგანი პირობების, სახელდობრ, სინათლის ფიზიკური მახასიათებლების გათვალისწინების გარეშე ეს შეუძლებელი იქნება. თვალის სტრუქტურა და ფუნქცია პირდაპირ მიგვითითებს იმ გარემოებებზე, რომელთა გარეშე მისი განვითარება წარმოუდგენელია: "ახლა ვიკითხოთ, რა აქვს თვალს თანდაყოლილი, ე.ი. შინაგნად მოცემული, თავისი გარკვეული სტრუქტურა მხოლოდ, თუ ის პირობებიც, რომელშიც ჩვეულებრივ მისი განვითარება წარმოებს, ე.ი. სხივების ზემოქმედება. ჩვენ იძულებული ვიქნებით ვაღიაროთ, რომ რამდენადაც სტრუქტურა ისეთია, რომ მხოლოდ გარკვეულ პირობებს გულისხმობს და ამ პირობებზე მიგვითითებს, ერთიც თანდაყოლილი აქვს მას და მეორეც". აღვილი დასანახია, რომ აქ იშლება საღემარკაციო ხაზი გარეგანსა და შინაგანს შორის. შინაგანში მკაფიოდ არის "ჩასახული" გარეგანი. თავის მხრივ, ეს უკანასკნელიც (ამ შემთხვევაში სინათლის ზემოქმედება) იმ სტრუქტურას გულისხმობს, რომელზეც ზემოქმედება შეუძლია. ელექტრომაგნიტური ტალღა ყურზე ვერ იმოქმედებს, ხოლო ჰაერის ტალღა – თვალზე. ეს ლოგიკა ყველა სხვა შემთხვევაზეც ერცელდება. აქედან გამომდინარე, "შინაგანის ცნება უკვე შეიცავს თავის შინაარსში იმას, რასაც გარეგანად თვლიან, და პირიქით, გარეგანისა იმას, რასაც შინაგანად თვლიან. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ცნებათა შინაარსის ურთიერთისაგან გამოთიშვა სრულიად მოუსერხებელია, და, მაშასადამე, ჩვენს წინაშე შინაგანისა და გარეგანის, თანდაყოლილისა და შეძენილის ცნებათა *კოინციდენციის, ერთიანობის* ფაქტი დგას".

კოინციდენციის თეორია მეთოდოლოგიური საყრდენია სხვა პრინციპული საკითხების გადაწყვეტისთვის. კერძოდ, იგი არსებითად გასაგებს ხდის აღზრდის პროცესის დანიშნულებასა და მნიშვნელობას. მართლაც, თუ შინაგანი ძალა და გარეგანი ზეგავლენა ისეთ მთლიანობას ქმნის, რომ შინაგანი პირდაპირ მიგვითითებს, თუ როგორი ზემოქმედებაა საჭირო მისი განვითარებისთვის, მაშინ, ცხადია, აუცილებელი ხდება სათანადო ზემოქმედებათა შერჩევა და ორგანიზაცია, ანუ ის, რასაც *აღზრდა* ეწოდება. ეს ასეა, ვინაიდან ადამიანის ფსიქოფიზიკური ფუნქციების აქტუალიზაცია და განვითარება დიდწილად იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად სწორად არის მონახული აღმზრდელობითი ზემოქმედების პრინციპები და ხერხები.

ეს ზემოქმედება, თავის მხრივ, შესაბამისად მოდიფიცირებულ გარემოში მიმდინარეობს, გარემოში, რომელიც სოციალური წრის მიერ არის განსაზღვრული და სახეშეცვლილი. ასეთ გარემოს უწნაძე *ასაკობრივ გარემოს* უწოდებს. ყველა ასაკს თავისი სპეციფიკური გარემო აქვს. ხანგრძლივი ისტორიული გამოცდილების საფუძველზე მასში გათვალისწინებული და ორგანიზებულია ის პირობები, რომლებიც შეესატყვისება ბავშვის რეალურ შესაძლებლობებს. ამდენად, ასაკობრივი გარემო, პირველ ყოვლისა, სოციალურად ორგანიზებული გარემოა. იგი უზრუნველყოფს ბავშვის ოპტიმალურ განვითარებას, რამდენადაც მასში მაქსიმალურად არის გათვალისწინებული სათანადო ასაკის ბავშვის ფსიქოფიზიკური ძალები და თავისებუ-

რებანი. ამრიგად, "ერთი მხრივ, ბავშვის ძალთა განვითარება მასზე მომქმედ ასაკობრივ გარემოზეა დამოკიდებული, ხოლო, მეორე მხრივ, პირიქით, თვითონ ასაკობრივი გარემოს შინაარსი ბავშვის ძალთა განვითარების დონით განისაზღვრება".

დაკვირვება ცხადყოფს, რომ ასაკობრივი გარემო, ბავშვის განვითარების კვალდაკვალ, სერიოზულ ცვლილებებს განიცდის და ვიდრე მოზრდილი ადამიანის გარემოს სახეს მიიღებდეს, რამდენიმე თვალსაჩინოდ განსხვავებული ფორმით წარმოგვიდგება. ამდენად, შესაძლებელია, თვალი გავადევნოთ ასაკობრივი გარემოს ცვალებადობას და ამის შესაბამისად, გამოვყოთ ბავშვობის პერიოდები. უზნაძე ასეც იქცევა და თავის *ასაკობრივ პერიოდიზაციას* ამა თუ იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი ასაკობრივი გარემოს თავისებურებებზე აფუძნებს. ასე გამოიყოფა დედის მუცლის, ახალშობილობის, დედის ძუძუს ხანა, აღრეული ბავშვობა, სკოლის წინარე პეროიდი, პირველი, საშუალო და უფროსი სასკოლო პერიოდი.

ასაკობრივი გარემო ბავშვის აქტივობისთვის ოპტიმალურ პირობებს ქმნის. განვითარება მხოლოდ ქცევის პროცესში ხდება, ქცევა კი სუბიექტისა და გარემოს ურთიერთობას წარმოადგენს. მაგრამ თითოეულ ასაკობრივ ეტაპს ქცევათა თავისებური სისტემა ახასიათებს. მასში ყოველთვის მოინახება ისეთი ქცევები, რომლებშიც უპირატესად ხდება ბავშვის განვითარება. ამიტომ კანონზომიერად დგება ამ ქცევების დახასიათების ამოცანა. უზნაძემ ეს ამოცანა ქცევის ფორმათა კლასიფიკაციის ფარგლებში გადაჭრა, რაც საკითხის დამუშავების სიღრმით უნიკალურია ფსიქოლოგიის ისტორიაში. აქ მხოლოდ ყველაზე მთავარს აღვნიშნავთ. კლასიფიკაციის საფუძველს მოთხოვნილებათა ორი სახეობის გამოყოფა წარმოადგენს, ესენია ე.წ. *ფუნქციონალური მოთხოვნილებები*, რომელთა დაკმაყოფილება თვით აქტივობის (ფუნქციონირების) პროცესში ხდება და ე.წ *სუბსტანციონალური მოთხოვნილებები*, რომელთაც სინამდვილის საგნები და მოვლენები აკმაყოფილებენ. შესაბამისად გამოიყოფა ე.წ. *ინტროგენული* ქცევის ფორმები, რომლებიც მიმართულია თვითონ აქტივობაზე, და *ექსტროგენული* ქცევის ფორმები, რომლებიც მიმართულია საგნებსა და ურთიერთობებზე. პირველის ტიპური ფორმაა თამაში, მეორისა – შრომა, ხოლო მათ შორის გარდამავალი ფორმაა სწავლა.

უზნაძე თამაშის ორიგინალური თეორიის ავტორია. ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, ავტორი შინაგანისა და გარეგანის ერთიანობის პრინციპიდან ამოდის. თამაშის შინაგანი მოტივაციური ფაქტორია ფუნქციონალური ტენდენცია. ბავშვი თამაშობს იმიტომ, რომ ესწრაფვის აამოქმედოს მეტნაკლებად მომწიფებული ფსიქოფიზიკური ფუნქციები, რომლებიც ჯერ არაა მიმართული სერიოზული სასიცოცხლო ამოცანების გადაჭრაზე. თამაშის შინაარსიც ნაწილობრივ ამ საფუძვლიდან გამომდინარეობს – იგი ყოველთვის განისაზღვრება სამოქმედოდ აღძრული ფსიქოფიზიკური ძალების შემადგენლობითა და მომწიფების დონით, მაგრამ ამ ძალების აქტუალიზაცია მხოლოდ გარკვეულ ასაკობრივ გარემოშია შესაძლებელი. ეს გარემო, თავის მხრივ, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ფაქტორების შესაბამისად არის ორგანიზებული. "აქედან თავისთავად გამომდინარეობს, რომ ყველა

იმ შინაგან შესაძლებლობათაგან, რომლებიც ბავშვის ფსიქოფიზიკურ ორგანიზმს მოეპოვება, ფუნქციონალურ ტენდენციას ყველაზე უფრო მკაფიოდ ის შესაძლებლობები გამოაჩენენ, რომელნიც გარემოში აუცილებელს შესატყვის პირობებს შეხვდებიან. აქედან ცხადია, რომ ბავშვი ყველგან და ყოველთვის ერთნაირად როდი თამაშობს, არამედ მისი თამაშის სახეები და ფორმები გარემოს მიხედვით იცვლებიან: სოფლელი ბავშვის თამაშის შინაარსი ერთია, ქალაქელი ბავშვისა – მეორე, მღვის ნაპირას მცხოვრების სხვაა და მთიელი ბავშვისა კიდევ სხვა".

სასკოლო ასაკში განვითარება უკვე სწავლის ქცევას მიჰყავს. სწავლასა და თამაშს შორის მსგავსება სწორედ ამაშია – ორივე ფსიქოფიზიკური ძალების განვითარებაზეა მიმართული. მაშასადამე, სწავლის პროცესში ამ ძალების აქტიურობას დამოუკიდებელი, თავისთავადი მნიშვნელობა აქვს და მის მოტივაციურ საფუძველს, თამაშის მსგავსად, ფუნქციონალური მოთხოვნილებები ქმნიან. ისინი ხომ სუბიექტის ძალების ამოქმედებას და, ამდენად, განვითარებას იწვევენ. მაგრამ სწავლა თამაში არ არის, ის ქცევის დამოუკიდებელი ფორმაა. უზნაძე მიუთითებს სწავლის ისეთ თავისებურებაზე, რაც მას არსებითად განასხვავებს თამაშისაგან. თუ თამაშის დროს ბავშვი თვითონ ირჩევს თავისი ფუნქციონალური მოთხოვნილებების დამაკმაყოფილებელ საგანს, სწავლის დროს შებრუნებული ვითარებაა – ბავშვი არ ირჩევს იმას, თუ რა და როგორ უნდა ისწავლოს. ამას უფროსები განსაზღვრავენ მრავალი თაობის ისტორიული და კულტურული გამოცდილების საფუძველზე. ბუნებრივია, რომ ბავშვს დამოუკიდებლად არ შეუძლია ამ მასალის მოპოვება და შეთვისება. "სწავლა ქცევის ისეთი ფორმაა, რომელშიც სამოქმედოდ განწყობილ ინტელექტუალურ ძალებს მათთვის აუცილებელი საგანი გარედან, და ამდენად იძულებით ეძლევა". სწორედ ეს გარემოება განასხვავებს სწავლას თამაშისაგან და აახლოებს მას შრომასთან. ამრიგად, უზნაძის მიხედვით, სწავლა ისეთი ქცევაა, რომელსაც როგორც თამაშის, ისე შრომის ნიშნები აქვს, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის. იგი ქცევის თავისებური ფორმაა.

სწავლასთან დაკავშირებით უზნაძე მრავალ მნიშვნელოვან საკითხს განიხილავს. აქ მხოლოდ უმთავრესს შევეხებით. ეს არის საკითხი სწავლებისა და განვითარების (მომწიფების) ურთიერთმიმართების შესახებ. პედაგოგიური ფსიქოლოგიის ყველა სერიოზული მკვლევარი ეალდებულია, განსაზღვროს თავისი პოზიცია ამ საკვანძო საკითხთან დაკავშირებით, რასაც უზნაძე სრულიად ნათლად აკეთებს. სასწავლო მასალა, ერთი მხრივ, "მოსწავლის ძალთა განვითარების აქტუალური დონისთვის უნდა იყოს შესატყვისი; მეორე მხრივ, საკმარისად უნდა იყოს მას დაშორებული: წინააღმდეგ შემთხვევაში, ე.ი. რომ იგი სავსებით განვითარების აქტუალური დონის შესატყვისი ყოფილიყო, როგორ შეძლებდა იგი წინსვლისა და უფრო მაღალ დონეზე ამაღლების პირობად გამხდარიყო. სასწავლო მასალა, მაშასადამე, ყოველთვის ისეთია, რომ მოწაფის განვითარების აქტუალურ დონეზე მაღალია" მაგრამ, ვინაიდან განვითარებისთვის მისი აქტუალურ დონესთან გარკვეული შესაბამისობაც უნდა იყოს დაცული, საჭირო ხდება მასწავლებლის ჩარე-

ვა, რომელიც ისე აწოდებს მასალას მოწაფეს, რომ მისთვის მისაწვდომი შეიქმნეს. საზოგადოდ, უგნაძის პოზიცია განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ შეიძლება შეფასდეს, როგორც ერთგვარი კომპრომისი ორ დაპირისპირებულ შეხედულებას შორის – ერთი მომწიფების ბუნებრივ პროცესზე აკეთებს აქცენტს (პიაჟე). ხოლო მეორისთვის განმსაზღვრელია სწავლების სოციალურად ორგანიზებული პროცესი (ბრუნერი, ვიგოტსკი) (ის. 11.2.). უგნაძე საუბრობს განვითარების "ბუნებრივ გზაზე", რომელიც, თავისთავად, არასაკმარისია და მოითხოვს შეეხებას სწავლების პროცესით. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ აზრთა ამ ჭიდილს მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა არა აქვს; ის განვითარების ფსიქოლოგიის ღღევანდელ სახესაც განაპირობებს.

## 6.4. ზოოფსიქოლოგიის განვითარება

XIX საუკუნის მეორე ნახევრის და XX საუკუნის დასაწყისის ფსიქოლოგიის სურათი არასრული იქნება *ზოოფსიქოლოგიაში და შედარებით ფსიქოლოგიაში* მიმდინარე კვლევის განხილვის გარეშე. პირველი, როგორც ცნობილია, ცხოველების ფსიქიკას შეისწავლის, ხოლო – მეორე საერთოსა და განმასხვავებელს ადამიანისა და ცხოველის ფსიქიკაში, ახლენს მათი ფსიქიკური ცხოვრების შედარებით ანალიზს. კვლევა-ძიებას ამ მიმართულებით საფუძველი დაუდო **ჩარლზ დარვინმა** (1809-1882). თავის სახელგანთქმულ თხზულებაში "სახეობათა წარმოშობა ბუნებრივი შერჩევის გზით" (1859) მან წამოაყალიბა *ევოლუციური მოძღვრება*, რომელიც ფსიქოლოგიის ისტორიკოსის თქმით "ეპოქის ინტელექტუალურ ფენომენად იქცა და მის გავლენას დაემორჩილა ბიოლოგიაც და ფსიქოლოგიაც" (ე. ბორინგი). განსაკუთრებით ეს ითქმის მისი სამშობლოს – ინგლისის ფსიქოლოგიაზე. ერთი მხრივ, ამ გავლენამ ფ. ჰალტონის მეშვეობით დიფერენციალურ ფსიქოლოგიამდე მიგვიყვანა (ის. 6.2.). მეორე მხრივ, მან დასვა დღის წესრიგში საკითხი ცხოველთა ფსიქიკის შესახებ, ვინაიდან ევოლუციის თეორია მოითხოვს სხვადასხვა სახეობის ცხოველებსა, და შემდგომ, ცხოველებსა და ადამიანს შორის უწყვეტი განვითარების დადასტურებას. იმ დროს კი ჯერ კიდევ კარტეზიანული შეხედულება ბატონობდა, რომლის თანახმად ფსიქიკა, სული აქვს მხოლოდ ადამიანს; ცხოველს ის არ გააჩნია, იგი მხოლოდ ბიოლოგიური მანქანაა; ადამიანსა და ცხოველს შორის ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უფსკრულია. ამის საპირისპიროდ, ევოლუციის თეორია უმწვავესად აყენებს ფსიქიკური განვითარების უწყვეტობის პრობლემას.



დარვინი ფიქრობდა, რომ "არ არსებობს ფუნდამენტური განსხვავება ადამიანისა და უმაღლესი ძუძუმწოვრების ფსიქიკურ უნარებს შორის". მას ეჭვი არ ეპარებოდა იმაში, რომ ცხოველებს აქვთ მრავალი განცდა ისეთი

როგორიცაა ტკივილი, სიამოვნება, უსიამოვნება, სიხარული და ა. შ. ცხოველებს აქვთ მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოს და სხვა შეგრძნებებიან დაკავშირებული განცდები, თანაც ხშირად უფრო მძაფრი, ვიდრე ადამიანს. ისინი ხედავენ სიმშრალს და, მაშასადამე, აქვთ წარმოდგენის უნარი. აქედან გამომდინარე, საჭიროა იმის გარკვევა, თუ როგორია, საზოგადოდ, ფსიქიკის თავისებურებანი ფილოგენეზში და როგორ მიმართებაშია ერთმანეთთან ადამიანისა და ცხოველის ფსიქიკური ცხოვრება.

პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით თავად დარვინმა გადადგა. 1872 წელს გამოქვეყნებულ წიგნში "ემოციის გამოსახვა ადამიანსა და ცხოველებში", დაკვირვებათა მდიდარ მასალაზე და ევოლუციურ კონცეფციაზე დაყრდნობით მან დაასაბუთა ადამიანისა და ცხოველის მთელი რიგი ემოციის (შიში, აგრესიულობა, გაკვირვება და სხვა) გამომხატველ მოძრაობათა წარმოქმნის ერთიანობის თეზისი და მიუთითა მათ შეგუებით მნიშვნელობაზე. დარვინი ლაპარაკობს არა ემოციურ განცდებზე, არამედ გამომხატველ მოძრაობებზე და მიუთითებს, რომ ადამიანთან ისინი ფილოგენეტიურად მიზანშეწონილი და სასარგებლო მოძრაობების ნარჩენებს ანუ რუდიმენტებს წარმოადგენენ. გამძვინვარებული ადამიანის მუშტი, კბილების ღრჭენა, თმების ყალყზე დადგომა და სხვა იმ დროის ქცევის ნიშნებია, როცა იგი მართლაც მუშტებით და კბილებით იბრძოდა, აბურგძვნით კი აშინებდა მოწინააღმდეგეს.

ამგვარად, დარვინმა აჩვენა მემკვიდრეობითობა და მსგავსება ადამიანსა და ცხოველს შორის ემოციების, სახელდობრ, მათი გამოსატულების სფეროში. ევოლუციური მოძღვრების მოწინააღმდეგენი ხაზს უსვამდნენ ადამიანის გამორჩეულობას, უარყოფდნენ მის რაიმე სახის მსგავსებას ცხოველებთან, პირველ რიგში, გონებრივი შესაძლებლობების თვალსაზრისით. ამიტომ მეორე ნაბიჯი ფსიქიკური თვისებების უწყვეტი განვითარების იდეის დასაბუთების გზაზე უნდა ყოფილიყო იმის ჩვენება, რომ ადამიანის კოგნიტურ-ინტელექტუალური უნარები არის მხოლოდ უმაღლესი წერტილი ფსიქიკის ევოლუციურობისა, და რომ ისინი სულაც არაა უცხო ევოლუციური რიგის უფრო დაბალ საფეხურზე მდგომი ცოცხალი არსებებისთვის.

ეს ნაბიჯი გადადგა დარვინის მეგობარმა და თანამშრახველმა **ჯონ რომენესმა** (1848-1894). მის ნაშრომს "ცხოველთა ინტელექტი" (1882) თანამედროვეთა დიდი გამოსმაურება მოპყვა და მეცნიერების ისტორიაში შევიდა, როგორც პირველი წიგნი შედარებით ფსიქოლოგიაში. რომანესმა გააანალიზა კოლოსალური მასალა ცხოველთა ქცევის შესახებ, რომელიც სხვადასხვა გზით იყო მიღებული. გამოიყენებოდა მეცნიერული მონაცემებიც (რომანესმა ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო ცხოველთა ქცევის ლაბორატორიული შესწავლა), მაგრამ უფრო ხშირად ავტორი ეყრდნობოდა სხვადასხვა გადმოცემას ცხოველთა ქცევის თაობაზე. რომანესის მიერ ინფორმაციის მოპოვების ტექნოლოგიას *ანეკდოტების მეთოდი* ეწოდა, რადგანაც

იგი იყენებდა არაკვალიფიცირებული პირების ხშირად ტენდენციურ და ამიტომ არასანდო დაკვირვებებს. რომანესი ამ ისედაც საეჭვო მონაცემების ანტროპომორფიზაციას ახდენდა ანუ გადაჭარბებულად მიაწერდა ცხოველებს ადამიანურ თვისებებს. ასეთი რამ მისთვის ალბათ ბუნებრივიც იყო, ვინაიდან მთელი გულისყური მიმართული ჰქონდა იმისკენ, რომ ეჩვენებინა ფსიქიკის უწყვეტობა ცხოველიდან ადამიანამდე და ამისთვის გაუფაცებით ეძებდა ინტელექტის ნებისმიერ გამოვლინებას უმაღლეს ცხოველებში. ფსიქიკური მოვლენები რომანესის მიერ გამოსახატებოდა კლასიკური ასოციაციონიზმის ცნებებით, რომელიც იმ დროს გაბატონებული მიმდინარეობა იყო ინგლისურ ფსიქოლოგიაში. რომანესის მისეული, *მარტივი იდეები* (შეგრძნებები, აღქმები და მათი რეპროდუქციები) ცხოველსა და ადამიანში ერთნაირია. *რთული იდეები* ანუ ასოციაციის კანონების შესაბამისად მიღებული ფსიქიკური წარმონაქმნები ადამიანის გარდა მხოლოდ ზოგიერთ მაღალგანვითარებულ ცხოველს აქვს. ხოლო *ცნებითი იდეები* "ადამიანის მონოპოლიური კუთვნილებაა".

რომანესი სასტიკი კრიტიკის ქვეშ მოექცა ანეკდოტური მეთოდის არასანდოობის (სუბიექტურობის) და *ანტროპომორფიზმისთვის*. რომანესი კრიტიკოსებს პასუხობდა, რომ ისინი ამოდიან თანამედროვე, ცივილიზებული, მოზრდილი ადამიანის ცნობიერებიდან და ამიტომ აწყლებიან ბევრ თვისებრივ განსხვავებას ცხოველების ფსიქიკისაგან. მაგრამ თუკი "ჩავალთ ქვევით" და ადამიანის წინაპრებს (ანთროპოიდებს, პრიმიტიულ ადამიანებს) და ბავშვებს შეეადარებთ ცხოველს, მაშინ დავინახავთ, რომ სინამდვილეში განსხვავება რაოდენობრივია და არა თვისებრივი.

ასეთი მიდგომის ილუსტრაციად შეიძლება განვიხილოთ რომანესის მიერ მისი შვეტლის კატის ქცევის ანალიზი. ამ კატას შეეძლო რამდენიმე მოხერხებული მოძრაობით საჯინიბოს კარის გაღება. აქაც, როგორც სხვა შემთხვევებში, რომანესი მიმართავს ე.წ. *ანალოგიით ინტროსპექციის მეთოდს* ანუ უშვებს, რომ დამკვირვებელში ისეთივე გონებრივი პროცესები მიმდინარეობს, რაც დასაკვირვებელი ცხოველის ფსიქიკაში. ამის შესაბამისად რომანესი მიიჩნევს, რომ "კატებს ასეთ შემთხვევაში აქვთ გუსტი წარმოდგენა კარის მექანიკური თვისებების თაობაზე; მათთვის ცნობილია, რომ კარის გასაღებად საჭიროა მასზე მიწოლა ... ჯერ ერთი, კატამ უნდა შეამჩნიოს, რომ კარი იღება სახელურის ჩამოწევით და რაზის გაწევით. მეორეც, "გრძნობათა ლოგიკის" საშუალებით მან უნდა დაასკვნას, რომ ადამიანის ხელით შესრულებული მოქმედებები შეიძლება თათითაც გაკეთდეს. როდესაც კატა წინასწარ გააღებს რაზას და უკანა თათებზე მდგომი აწვება კარს, ეს პროცესი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც აღაპტური მსჯელობის შედეგი". ცხადია, რომ რომანესი ამ მსჯელობაში კატას ადამიანურ თვისებებს მიაწერს (ანტროპომორფიზმი).

ანეკდოტური მეთოდიდან მომდინარე საფრთხე საესებით გააცნობიერა გამოჩენილმა ინგლისელმა ბიოლოგმა და ზოოფსიქოლოგმა **კონვეი ლოიდ-მორგანმა** (1852-1936). იგი ებრძოდა ცხოველების ადამიანთან მიმსგავსების წრეგადასულ ტენდენციას; ცდილობდა შეექმნა შედარებითი ფსიქო-

ლოგისთვის უფრო მყარი მეცნიერული საფუძველი და ამით აეწია მისი პრესტიჟი. ამ მიზნით, თავის ცნობილ თხზულებაში "შედარებითი ფსიქოლოგიის შესავალი" (1894) მან ჩამოაყალიბა ე.წ. *მომჭირნეობის კანონი*, რომელიც ლოიდ-მორგანის კანონის სახელითაც არის ცნობილი. მისი ავტორისეული ფორმულირება ასეთია: "დაუშვებელია რაიმე მოქმედების უმაღლესი ფსიქიკური უნარების რეზულტატად მიჩნევა, თუკი შესაძლებელია მისი ახსნა ფსიქოლოგიურ რიგში უფრო დაბალი უნარის საფუძველზე".

წიგნში უხვადაა მოცემული ავტორის საკუთარი ექსპერიმენტები, რომელთაც შუალედური ხასიათი აქვთ ბუნებრივ პირობებში წარმოებულ დაკვირვებასა და ლაბორატორიულ, ხელოვნურ სიტუაციაში ჩატარებულ დაკვირვებას შორის. თავის ცდებში ლოიდ-მორგანი ერთგვარად ცვლიდა ცხოველის ჩვეულ გარემოს და უყურებდა, როგორ მოიქცეოდა ის უჩვეულო სიტუაციაში, შეძლებდა თუ ვერა, გადაესხვაფერებინა თავისი ქცევა, მოერგო ის ახალი პირობებისთვის. ეს არსებითად დასწავლის კვლევა იყო, დასწავლისა, რომელსაც, ავტორის აზრით, ეუფლება ცხოველთა დიდი ნაწილის ქცევა. დასწავლა არის ინსტინქტებზე უფრო მაღალი, მაგრამ იდეების დონეზე მიმდინარე რაციონალურ აზროვნებაზე დაბალი პროცესი. იგი მიმდინარეობს *ცდისა და შეცდომის* გზით. შეცვლილ პირობებში ცხოველი უცებ არ აღწევს საწადელ მიზანს, არამედ მას მერე, რაც ალალბედზე მოსინჯავს სხვადასხვა შესაძლებლობას და შეცდომების შემდეგ მონახავს სწორ მოქმედებას. ცდისა და შეცდომის პრინციპით წარმოებულ მოქმედებაზე ჯერ კიდევ ბეინი ლაპარაკობდა. მაგრამ სამეცნიერო საზოგადოების ყურადღება მან ლოიდ-მორგანის გაელენით მიიპყრო. ის ცენტრალური გახდა თორნდაიკისთვის. მან წამოიწყო ცხოველთა დასწავლის სისტემატური კვლევა, რომელიც შემდგომში მთელ ბიჰევიორისტულ ფსიქოლოგიაზე გავრცელდა.

მთავარი ისაა, რომ ცდისა და შეცდომის პრინციპის მეშვეობით ცხოველის დასწავლა გაიმიჯნა გონიერი მოქმედებისაგან. ლოიდ-მორგანი სწორედ ამას ცდილობდა — არ მომხდარიყო ცხოველთა გონებრივი შესაძლებლობების გადაჭარბული შეფასება და საზღვრის წაშლა ადამიანსა და ცხოველს შორის. ამასთან, იგი, ცხადია, არ უარყოფდა იმას, რომ ცხოველებს აქვთ ფსიქიკა, სხვადასხვაგვარი განცდები და კოგნიტური უნარები, რის გამოც ზოოფსიქოლოგიაში ე.წ. *ფსიქოლოგისტური* მიდგომის უუძემდებლად არის მიჩნეული.

ამავე პერიოდში კიდევ ერთმა დიდმა ბიოლოგმა, ჟაკ ლიობმა (1859-1924) მომჭირნეობის კანონი უკიდურესობამდე მიიყვანა — საერთოდ უარი თქვა რაიმე სახის ფსიქიკურ უნარებზე და ცხოველთა ქცევის ახსნა ფიზიკურ-ქიმიურ პროცესებზე დამყარებული ე.წ. *ტროპიზმებით* სცადა. იგი *მექანიცისტური* მიმართულების უუძემდებელია, რომელმაც დეკარტისეული მიდგომა ცხოველის ქცევისადმი ანუ ცხოველი-ავტომატის იდეა იმდროინდელი მეცნიერული აზროვნების დონეზე ააღორძინა. ამოდის რა ორგანული სამყაროს ერთიანობის თვალსაზრისიდან, ლიობი მიდის ბიოლოგიური აქტივობის ისეთი ფუნდამენტური ფორმის აღიარებამდე, როგორიცაა ტროპიზმი და რომელიც ერთნაირია მცენარისთვის და ცხოველისთვის. ტროპიზმი არის

ორგანიზმის იძულებითი ხასიათის მოძრაობა გარკვეული მიმართულებით, გამოწვეული გარეგანი ფიზიკურ-ქიმიური გამღიზიანებლით (სინათლე, გრავიტაცია, ქიმიური ნივთიერებები და ა.შ.). მზესუმზირას თავთავი მზის სინათლის მოძრაობას "მიჰყვება" (ფოტოტროპიზმი), ხოლო მისი ფესვები ყოველთვის მიმართულია გრავიტაციის ცენტრისკენ ანუ მიწის ზედაპირის პერპენდიკულარულად. ამის მსგავსად, ცხოველური ორგანიზმი, ყოველ შემთხვევაში – უმარტივესი, პირდაპირ მოძრაობს გარკვეული გამღიზიანებლისკენ (დადებითი ტროპიზმი) ან მისგან (უარყოფითი ტროპიზმი). ამ მხრივ ის წააგავს ე.წ. პირობით რეფლექსს, მაგრამ უფრო უნივერსალურია, რადგან სიცოცხლის მცენარეულ ფორმებზეც ვრცელდება. ამდენად, ტროპიზმი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც პროტოპლაზმის აქტიური მოქმედების ყველაზე ელემენტარული ერთეული.

ლიობი ცდილობდა ეჩვენებინა, რომ ტროპიზმი ცხოველური ორგანიზმების განვითარების ყველა დონეზე გვხვდება. მაგრამ სხვა მკვლევრია ექსპერიმენტები იმასაც აჩვენებდნენ, რომ თვით უმარტივესებშიც ტროპიზმები შეიძლება შეიცვალოს – პირობების ვარიაციით შესაძლებელია უარყოფითი ტროპიზმის ჩაქრობა ან დადებითით ჩანაცვლება. ეს ქცევის უნივერსალური პლასტიკურობის და შეგუებითობის მაჩვენებელია. ლიობი, რა თქმა უნდა, იმასაც კარგად უწყის, რომ ცხოველების ქცევითი რეპერტუარი არ ამოიწურება ტროპიზმებით ან სხვა სახის თანდაყოლილი, იძულებითი მოქმედებებით. მაგრამ იგი ცდილობს შეგუების შედეგად შეძენილი (დასწავლილი) ქცევაც ფსიქიკის და მით უმეტეს ცნობიერების ცნებების გარეშე ახსნას. ცხოველურ ორგანიზმს აქვს უნარი, გაარჩიოს გამღიზიანებლები, რაც შეგრძნების ფსიქოლოგიური უნარის ანალოგიაა და შეინარჩუნოს წინა გამღიზიანებლის ზემოქმედება, რაც მეხსიერების ფსიქოლოგიური ფუნქციის ანალოგია. ეს ცოცხალი პროტოპლაზმის ფუნდამენტური თვისებებია. ცხოველი ახალ რეაქციას სწაელობს ამ უნარების წყალობით, რასაც *ასოციაციურ მეხსიერებას* უწოდებს. მისი იმიტაცია შეიძლება თუნდაც ხმის ჩამწერი მოწყობილობით, როგორიცაა ფონოგრაფი. ფონოგრაფს აქვს "უნარი" მიიღოს (გაარჩიოს), ჩაწეროს (შეინახოს) ახალი ინფორმაცია და საჭიროებისამებრ აღადგინოს იგი. ქცევის ვარიაბილობა, ცვალებადობა ასოციაციური მეხსიერების მექანიზმის მოქმედების შედეგია. ის არ მოითხოვს ფსიქიკას და, საბოლოოდ, ორგანული მატერიის თვისებებით არის პირობადებული. ერთი სიტყვით, ლიობი ცხოველის ქცევის ყველა გამოვლინების ახსნას მექანიცისტური თვალსაზრისის საფუძველზე ცდილობს.

ე.წ. გერმანული *ობიექტივისტური სკოლის* წარმომადგენლები (ა. ბეერი, თ. ბეტე, ე. ციგლერი, ი. ფონ იუკსკული) არსებითად გაჰყვნენ ლიობის ხაზს და ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა ცხოველთა ქცევა აღეწერათ ისე, რომ არ მიემართათ არც ფიზიკური და არც ინტროსპექციულ-სუბიექტივისტური ელერადობის მქონე ფსიქოლოგიური ცნებებისთვის. ასე მაგალითად, შეგრძნებების ნაცვლად ისინი რეცეფციაზე საუბრობდნენ, ხოლო კონკრეტულად სმენის შეგრძნების ნაცვლად – ფონორეცეფციაზე; მეხსიერების მაგივრად შემოთავაზებულ იქნა ტერმინი "რეზონანსი" და ა. შ.

საბოგადოდ, ზოოფსიქოლოგიის, მით უფრო შედარებითი ფსიქოლოგიის, ისტორია ს�ილასა (მექანიციზმი) და ქარიბდას (ანტროპომორფიზმი) შორის სელას მოგვაგონებს. აქაა ძირითადი სირთულე. ანტროპომორფიზმი პირდაპირ მიაწერს ცხოველებს ადამიანურ თვისებებს (მსჯელობა, წარმოდგენა, ცნობიერება და სხვა), რასაც ლოგიკურად დასრულებულ ფორმაში ცხოველისა და ადამიანის გაიგივების აბსურდამდე მივყავართ. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ეს უმრავლეს შემთხვევაში მეცნიერული სიმკაცრის, მით უმეტეს, მეცნიერული კეთილსინდისიერების ნაკლებობის გამო არ ხდებოდა. უბრალოდ "კლასიკურ" ცნობიერების ფსიქოლოგიას, რომელსაც ეს ორიენტაცია ეყრდნობოდა. არც გააჩნდა სხვა ცნებები გარდა ხატის, წარმოდგენის, მსჯელობის, დასკვნის, ინტელექტისა და ა.შ. ნათელია, რა სურათი დაიხატება, თუ ცხოველის ქცევას ამ ცნებებით აღვწერთ.

საწინააღმდეგო მიდგომას, მექანიციზმსაც აბსურდამდე მივყავართ. მაგალითად, ნ. მალბრანში ამტკიცებდა, რომ შეიძლება ვაწამოთ ძაღლი და არ მივაქციოთ ყურადღება მის წამებულს, რადგანაც ეს მხოლოდ ცუდად გაზეთილი მექანიზმის ჭრიალია. მექანიცისტური მიმართულება გამოხატავდა ბიოლოგთა პროტესტს ტრადიციული ინტროსპექციული ფსიქოლოგიის მიმართ, რომელსაც იმ დროს გაბატონებული პოზიციები ეკავა. ფსიქიკა ცნობიერებასთან იყო გაიგივებული, ხოლო ამ უკანასკნელის შესწავლა აუცილებლობით გულისხმობს ინტროსპექციას. რა შესაძლებლობები რჩება ამ შემთხვევაში ცხოველთა ფსიქოლოგიას? ვინაიდან თვითდაკვირვება აქ გამორიცხულია, უარი უნდა ეთქვათ ცხოველთა ფსიქიკის შესწავლაზე? გამოსავალი თითქოს ერთია – თუ სხვა ადამიანების განცდებს მათთან ჩვენი განცდების ანალოგიის გზით ეწვდებით (ე.წ. ანალოგიით დასკვნა), ცხოველებთანაც იგივე ხერხს უნდა მივმართოთ. ჩავაყენოთ თავი იმავე ვითარებაში, რომელშიც "ინტელექტის მქონე ცხოველია" მოთავსებული და ჩვენი სულიერი სამყაროს მსგავსად შეეფასოთ მისი ფსიქიკა. როგორც რომანესის შემთხვევაში ვნახეთ, ასეთ მეთოდოლოგიაზე დამყარებული კვლევა აუცილებლად იწვევს ანტროპომორფიზმს. მექანიციზმი მის მიმართ უკიდურეს უარყოფით რეაქციას წარმოადგენს, თუმცა, ცხადია, არც ის ხსნის პრობლემას. ცხოველის მანქანასთან გაიგივება არ არის გამოსავალი.

ის, თუ რა სიფრთხილეა საჭირო ცხოველების გონებრივი შესაძლებლობების შეფასებისას, ძალიან ნათლად გამოჩნდა ე.წ. ჭკვიანი ჰანსის ისტორიის შემთხვევაში. საუკუნის დასაწყისში მთელი მსოფლიო ლაპარაკობდა მოაზროვნე ცხენზე, სახელად ჰანსი. გიმნაზიის ყოფილი შესწავლებელი ფონ ოსტენი შეპყრობილი იყო ყინით დაემტკიცებინა, რომ ცხენებს აზროვნება შეუძლიათ და ეს არ ჩანს იმიტომ, რომ მათთან არავინ საგანგებოდ არ მეცადინეობს. მან შეიმუშავა სპეციალური სქემა, რომლითაც ასოებს უხამებდა რიცხვით მნიშვნელობებს, რათა ცხენს შეძლებოდა ეპასუხა წინა ფეხის ჩლიქის კაკუნით ან თავის ქნევით. თოთხმეტი წლის გამალებული მეცადინეობის შედეგად ჰანსი აკეთებდა თითქმის ყველაფერს, რაც შეუძლია გიმნაზიაგავლილ თორმეტი წლის მოწაფეს. სახელდობრ, ჰანსი მშვენივრად ულობდა შეკრება-გამოკლებას, მარტივ მოქმედებებს წილადებით, შეეძლო

რიცხვების მესამე ხარისხში აყვანა, კითხულობდა და აღგენდა სიტყვებს, არჩევდა ფერებს, სახეებს ფოტოებზე, დროს საათზე და სხვა.

რეგზანანსი ჰანსის უნარების დემონსტრაციისაგან იმდენად დიდი იყო, რომ მთავრობამ შექმნა სპეციალური კომისია ამ ფენომენის შესასწავლად. მასში შედიოდნენ სპეციალისტები ცირკიდან, ზოოპარკიდან, ვეტერინარები, კავალერისტები, ფიზიოლოგები და ფსიქოლოგები. კერძოდ, ცნობილი ბერლინელი პროფესორი კ. შტუმფი. ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ 1904 წელს კომისია მივიდა დასკვნამდე, რომ ჰანსს არავინ არაფერს ჰკარნახობს და რომ ეს რეალობაა და არა მოხერხებული ხრიკი. მაგრამ ეს დასკვნა არ ეთანხმებოდა შტუმფის მეცნიერულ მრწამსს და არ აკმაყოფილებდა მის ცნობისმოყვარეობას. ამიტომ მან შესთავაზა თავის ერთ-ერთ თანამშრომელს, ოსკარ ფუნგსტს ჩაეტარებინა ამ უცნაური მოვლენის საფუძვლიანი მეცნიერული გამოკვლევა.

მთელი რიგი ექსპერიმენტის შედეგად ფუნგსტმა დააღგინა, რომ ჰანსის პასუხების სიზუსტე და სისწორე ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული: რამდენად კარგად იცნობს ცხენი თავის გამომცდელს, რა მანძილი აშორებს მათ, ასეფული აქვს თუ არა თვალები. მაგრამ, უმთავრესია ის, რომ ცხენს ეშლებოდა ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც მისმა გამომცდელმა თვითონ არ იცოდა მიწოდებული ამოცანის პასუხი. ფსიქოლოგის შეუპოვარმა მეცადინეობამ საბოლოოდ ახადა საფარველი ჭკვიანი ჰანსის საიდუმლოებას. გაირკვა, რომ პატრონი ან ნებისმიერი გამომცდელი თავისდაუნებურად "პკარნახობდა" ცხენს სწორ პასუხს. ჰანსი ამჩნევდა მათ არაცნობიერ, არაკონტროლირებად მოძრაობებს, თავის დაქნევას, მიმიკის, სუნთქვის სიხშირის სულ უმნიშვნელო ცვალებადობას, პატრონის კისერზე ვენის ფეთქვას, ხოლო თავზე ცილინდრის ერთმილიმეტრიან მოძრაობასაც კი, და იყენებდა ამას, როგორც სიგნალს იმისთვის, რათა დაეწყო ან შეეწყვიტა ჩლიქების ბაკუნი. ჭკვიანი ჰანსის ისტორია დამაფიქრებელია ზოოფსიქოლოგიური წარმოდგენების განვითარების თვალსაზრისით. მართალია, ფსიქოლოგიურმა კვლევამ ამ შემთხვევაში გააქარწყლა მითი ცხოველის (ცხენის) გამორჩეული ადამიანური, ლინგვისტური და მათემატიკური უნარების შესახებ, მაგრამ ამავე დროს გამოავლინა გასაოცარი უნარები შემჩნევისა, გარჩევისა, დასწავლისა და სხვა, რაც გამორიცხავდა ამ ცხოველის მექანიკურ მოწყობილობად განხილვის შესაძლებლობას.

სწორედ ანგროპომორფიზმის და მექანიციზმის მითების დამსხვრევა დაისახა მიზნად ცხოველთა ქცევის ცნობილმა ამერიკელმა სპეციალისტმა **ჰერბერტ ჯენინგსმა** (1868-1947). იგი არ ეთანხმებოდა ლიობს და შეუძლებლად თვლიდა უმარტივესების დონეზეც კი ქცევის საკმარისად მრავალფეროვანი და ცვალებადი გამოვლინებების ახსნას მხოლოდ ტროპიზმის მექანიზმით. ეს უკანასკნელი ხომ იმას გულისხმობს, რომ ქცევა გარეგანი სტიმულაციის ცოცხალ პროტოპლაზმაზე პირდაპირი ზემოქმედების შედეგია; ფიზიკურ-ქიმიური გამღიზიანებლები უშუალოდ არ განსაზღვრავენ ორგანიზმის რეაქციებს. მიმართება მათ შორის არაერთმნიშვნელოვანია: ერთი და იგივე გარეგანი აგენტი ორგანიზმის სხვადასხვა მდგომარეობის შესა-

ბამისად განსხვავებულ, ზოგჯერ საპირისპირო რეაქციას იწვევს. მაშასადამე, ხდება რეაგირების მოდელის შერჩევა გარკვეული შინაგანი ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც ყოველთვის აშუალებენ გარე გამღიზიანებლისა და ქცევის მიმართებას. ამასთან ერთად, ჯენინგსი წინააღმდეგი იყო ეს შინაგანი ფსიქიკური რეალობა წარმოედგინა ადამიანური ტიპის ცნობიერი ფსიქიკის სახით. თუმცა, ეს არც ისე ადვილი იყო. თავის ყველაზე ცნობილ თხზულებაში "დაბალი ორგანიზმების ქცევა" (1904) მან აღიარა: "ამებაზე დაკვირვებისას ძლიეს ვიკავებდი თავს, რომ მისთვის ცნობიერება არ მიმეწერა".

ასეა თუ ისე, ჯენინგსი შეწონასწორებული პოზიციის შემუშავებისკენ მიისწრაფოდა. მისმა შრომებმა უთუოდ შეუწყო ხელი ამერიკაში შედარებითი და ცხოველთა ფსიქოლოგიის გაერცელებას, რომელიც აქ უფრო ობიექტივისტური მიდგომებისკენ იყო მიდრეკილი. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ყველაზე ობიექტური ფსიქოლოგია – ბიპეეიორიზმი ამერიკაში შეიქმნა და სწორედ ზოოფსიქოლოგიური კვლევებიდან ამოიზარდა. ამერიკაში ასეთი კვლევა გასული საუკუნის დასაწყისში უკვე რეა ლაბორატორიაში მიმდინარეობდა.

შედარებით ფსიქოლოგიას ნამდვილი ექსპერიმენტული დისციპლინის სახე მისცა **ედვარდ თორნდაიკმა**. ამ დისციპლინის ამოცანას იგი ხედავდა იმაში, რომ გაეშუქებინა ფსიქიკური ცხოვრების განვითარება მთლიანად და კერძოდ განეხილა ადამიანური უნარ-თვისებების წარმოქმნის საკითხი. მისი თეორიული შეხედულებები სტიმულსა და რეაქციას შორის კავშირის დამყარებას ეხებოდა; ამიტომ მის სისტემას *კონექციონიზმი* ეწოდება ("კონექცია" კავშირს ნიშნავს) და ის ბიპეეიორიზმის წინამორბედად ითვლება, თუმცა, ზოგჯერ აღრეული ბიპეეიორიზმის ფორმადაც განიხილება. ასეა თუ ისე, თორდაიკმა პირველმა მოიყვანა უმაღლესი ცხოველები ლაბორატორიაში და საგანგებოდ შექმნილი მოწყობილობებით აწარმოა მათი ქცევის შესწავლა. თავდაპირველად მის ლაბორატორიას უილიამ ჯეიმსის სახლის სარდაფი ეკავა. ჯეიმსმა აქ შეხიზნა თავისი ცხოველების მოყვარული მოწაფე უამრავ ძაღლთან, კატასთან თუ ქათამთან ერთად, რამაც, ისტორიკოსის თქმით, მისი ცოლის შეძრწუნება, ხოლო შვილების აღტაცება გამოიწვია. აქ შეისწავლიდა იგი ცხოველების ქცევას ე.წ. *პრობლემური ყუთის* საშუალებით. ეს დანადგარი წარმოადგენდა დახურულ გისოსებიან ყუთს, რომლიდან გამოსელა შეიძლებოდა ან რაზაზე დაჭერით ან ჯაჭვის გამოქაჩვით. მშიერი კატა ან ძაღლი ცდილობს გამოვიდეს ყუთიდან რათა დაეუფლოს საკვებს, რომელიც გალიის წინ დევს. ამისთვის ის მიმართავს ქაოტურ მოძრაობებს: ცდილობს გაძვრეს ყველა ხვრელში, კბენს ან ფხაჭნის გისოსებს და ა.შ. დროთა განმავლობაში ცხოველი მიაგნებს საჭირო მოძრაობას, აღებს კარს და ეუფლება საჭმელს. შემდგომი ცდების პროცესში შეცდომითი რეაქციების რაოდენობა თანდათანობით კლებულობს და ბოლოს რჩება მხოლოდ სწორი რეაქცია, რომელსაც ცხოველი გალიაში მოხვედრისთანავე მიმართავს. ამავე დროს თორნდაიკმა შექმნა ლაბირინთიც, რომელიც თავდაპირველად უბრალოდ აყუდებული წიგნებისაგან იყო გაკეთებული. ამ ლაბირინთში იგი წი-

წილებს უშვებდა. *ლაბირინთის მეთოდი* განავითარა სმოლმა (1900) და ამის შერე ის ცხოველების მიერ ახალი რეაქციების დასწავლის კანონზომიერებათა კვლევის ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტად იქცა.

თავის სადოქტორო დისერტაციაში "ცხოველთა ინტელექტი, ცხოველთა ასოციაციური პროცესების ემპირიული შესწავლა" (1898), თორნდაიკი დაასკვნის, რომ დასწავლისას, ანუ ექსპერიმენტული პრობლემის გადაჭრის დროს, ცხოველი არ ფიქრობს იმაზე, რომ იმყოფება "მშიერ ტყვეობაში", არ განჭვრიტავს, რომ სწორედ ეს მოძრაობა მოუტანს მას წარმატებას და მერე არ მოქმედებს მონახული სწორი რეაქციის შესრულების განზრახვით. მოკლედ, ეს არ არის გონიერი ქცევა. დასწავლა პრობლემურ გალიაში და ლაბირინთში ხორციელდება საჭირო მოძრაობის შემთხვევით მოსახვის და არა მისვედრის ან გაგების გზით. ცხოველები არ აბრალებენენ. მათ არც წარმოდგენები, იდეები აქვთ, ანუ არ გააჩნიათ მესსიერება რაიმეს ცნობიერად დამახსოვრების და მოგონების მნიშვნელობით. ამ დასკვნამდე ავტორი მიდის ქათმებთან მიბაძვით დასწავლის შეუძლებლობის ფაქტიდან გამომდინარე. ქათამი ვერ სწავლობს მეორე ქათმის მიერ ამოცანის შესრულების ხილვის საფუძველზე. წარმოდგენები რომ ჰქონოდა, ის გაიხსენებდა ნანახს. თორნდაიკი იყენებს ლოიდ-მორგანის მოსაზრებას ცდისა და შეცდომის შესახებ და მას დასრულებული კონცეფციის სახეს აძლევს. ცდისა და შეცდომის პროცესში შემთხვევით მოსახვება საჭირო მოქმედება. ეს მოქმედება შემოსახება, განმტკიცდება, დასწავლება იმის გამო, რომ მას მოჰყვება მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული სიამოვნება. განმტკიცების ამ მექანიზმს ეწოდა *ეფექტის კანონი.* სიამოვნების ეფექტი აძლიერებს რეაქციას, უსიამოვნებისა – ასუსტებს. მაშასადამე, სიამოვნება სასარგებლო მოქმედების შენარჩუნების ანუ დასწავლის საფუძველია (იხ. 8.1.).

ეს მნიშვნელოვანი მომენტია. თორდაიკი არ თვლის საჭიროდ ილაპარაკოს კოგნიტურ პროცესებზე ცხოველებთან, მაგრამ იგი არ უარყოფს მათთან ფსიქიკური ცხოვრების სხვა ფორმებს, თუნდაც სიამოვნება-უსიამოვნების განცდებს. მკაცრი ბიჰევიორიზმი კი სრულებით უარს ამბობს რაიმე სახის შინაგანი, სუბიექტური მოვლენების შესწავლაზე არა მხოლოდ ცხოველთან, არამედ ადამიანთანაც. ამ თვალსაზრისის მიხედვით, ფსიქოლოგიამ უნდა იკვლიოს ობიექტურად მოცემული ქცევა. ცხოველების ქცევა ამ მხრივ საუკეთესო მოდელია. ამიტომ სრულებით ბუნებრივია, რომ ბიჰევიორიზმის ოფიციალური ფუძემდებელი **ჯონ უოთსონი** თავის სამეცნიერო მოღვაწეობას ცხოველთა ფსიქოლოგიის სფეროში იწყებდა. ამ სფეროში მან დაიცვა დისერტაცია (1903), ხოლო 1907 წელს გამოაქვეყნა მნიშვნელოვანი წერილი, რომელშიც ამტკიცებდა, რომ თეთრი თაგვების ლაბირინთიდან გამოსვლა მთლიანად "კინესთეტიკურ მეხსიერებაზეა" დაფუძნებული; მოძრაობასთან დაკავშირებული კინესთეტიკური შეგრძნება ერთადერთი აღმოჩნდა, რომლის გამორიცხვაც მან ვერ მოახერხა ისე, რომ არ გაებათილებინა სწავლის ეფექტი. აქედან დასკვნა: ცხოველის ფსიქიკის გაგება ადამიანის ფსიქიკასთან ანალოგიით არ შეიძლება, რამდენადაც ამ უკანასკნელთან სწორედ მაღალი შეგრძნებებია გადამწყვეტი. ცხოველი კი ახერხებს

რთულ სიტუაციებთან შეგუებას მხოლოდ კინესთეტიკური პროცესების მეშვეობით. აქ მთავარია კუნთური მექანიზმი ეფერენტული მოქმედებით და კონტროლით. ფსიქოლოგიის ისტორიკოსის თქმით, თუ ბიჰევიორიზმი არის "კუნთების კრუნჩხვის" ფსიქოლოგია, მის სამშობლოდ უოთსონის ლაბორატორია უნდა ჩაითვალოს (ბორინგი). უოთსონმა ცხოველების ფსიქოლოგიის ობიექტური მეთოდი ადამიანზეც გააერცელა და ასე შექმნა ბიჰევიორიზმი. აქედან დაიწყო ადამიანის ფსიქოლოგიის *მოოლოგიზაცია*, საპირისპიროდ მანამდე გავრცელებული ცხოველთა ფსიქოლოგიის ანთროპომორფიზაციისა. ახლა უკვე ცხოველის ქცევის შესწავლით მიღებული დასკვნები გადაპქონდათ ადამიანზე. რომანესის "რომანტიკულ ხანაში" ფსიქოლოგიური კანონების გადატანა ხდებოდა ზემოდან ქვემოთ, ხოლო უოთსონის "მკაცრი მეცნიერების" პირობებში – ქვემოდან ზემოთ.

თორნდაიკის მერე ცხოველის ქცევის გაგება ცდისა და შეცდომის თეორიის მიხედვით საკმაოდ გავრცელდა ყოველ შემთხვევაში ამერიკაში, სადაც ბიჰევიორიზმი გაბატონდა. მაგრამ მას არ ჰქონდა საყოველთაო მხარდაჭერა. თავი რომ დავანებოთ ამ მოდელის ადამიანზე გადმოტანის საეჭვოობას, მისი უნივერსალურობის საკითხი თვით ცხოველების დონეზეც ეჭვქვეშ დგება. პირველ რიგში ეს ეხება ევოლუციის კიბის უმაღლეს საფეხურებზე მდგომ ცხოველებს, განსაკუთრებით მაიმუნებს. ადამიანის ქცევა გონიერია. ცხოველი თავის პრობლემებს ცდისა და შეცდომის გზით ანუ შემთხვევით და მექანიკურად წყვეტს. დგება საკითხი მათ შორის აქტიეობის გარდამავალი ფორმის არსებობის შესახებ. მისი გადაჭრა ანთროპოიდების ქცევის შესწავლის შედეგად მოხერხდა.

ამ კვლევას ხელი მოკიდა გამოჩენილმა გერმანელმა ფსიქოლოგმა, გეშტალტფსიქოლოგიის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა **ვოლფგანგ კელერმა**. 1913 წელს კელერი კანარის კუნძულებზე მოხვდა, სადაც პირველი მსოფლიო ომის გამო დიდი ხნით მოუწია დარჩენა. აქ იგი ხელმძღვანელობდა ანთროპოიდების შემსწავლელი სადგურის მუშაობას. კელერი, რა თქმა უნდა, კარგად იცნობდა თორნდაიკის შესედულებებს ცხოველების არაგონიერი ქცევის შესახებ, რომელიც ორ ფუნდამენტურ ფაქტს ემყარებოდა: 1) ქცევითი პრობლემის სწორი გადაწყვეტა ფორმირდება თანდათანობით, მრავალჯერადი ცდისა და შეცდომის შედეგად; 2) სწორი გადაწყვეტის შემდეგაც ცხოველი იმეორებს მცდარ მოქმედებებს. ცხადია, რომ გონიერი ქცევის შემთხვევაში საწინააღმდეგო სურათი უნდა იყოს. გონიერი ქცევა მიხვედრას, ამოცანის ამოხსნის წესის უცაბედ წვდომას გულისხმობს. ამ მოელენას *ინსაიგი* ეწოდება. ეს არის ქცევითი ამოცანის არსებით მიმართებათა და მთლიანად სიტუაციის მყისიერი და დასწავლიდან გამოუყენელი გაგება, რითიც მიიღწევა პრობლემის გადაწყვეტა. ის უპირისპირდება პრობლემის გადაჭრის შემთხვევით და "ბრმა" ხერხს, რომელიც ცდისა და შეცდომის მეთოდშია ნაგულისხმევი.

კელერის აზრით, თორნდაიკის ცხოველები იძულებულნი იყვნენ მიემართათ ამ ხერხისთვის, რადგან ექსპერიმენტის სიტუაცია მათ სხვა შესაძლებლობას არ უტოვებდა და არა იმიტომ, რომ ისინი საერთოდ მოკლე-

ბულნი არიან უნარს სხვაგვარად, სახელდობრ, ინსაიტის გზით გადაწყვეტონ ამოცანა. კელერი აღნიშნავდა, რომ თვით პრობლემური ყუთის კონსტრუქციაა ისეთი, რომ ის აიძულებს ცხოველს იმოქმედოს ცდისა და შეცდომის მეთოდით. ყუთში გამოკეტილი ცხოველი ვერ ხედავს, როგორ მოქმედებს "გამომშვები" მექანიზმი, მას უბრალოდ არ შეუძლია "იმსჯელოს" განთავისუფლების გზებზე, ვინაიდან პრობლემის საკვანძო ელემენტები მისგან დაფარულია. სიტუაცია თორნდაიკის ექსპერიმენტებში ცხოველს მხოლოდ ქაოტური ცდებისა და შეცდომების საშუალებას უტოვებდა, ამიტომაც მან დასწავლის თანდათანობითი ხასიათი აღმოაჩინა. თორნდაიკმა განაზოგადა თავისი ეს მონაპოვარი და მიიჩნია, რომ ცხოველები ახალ ადაპტურ მოქმედებას მხოლოდ ასეთი გზით ნახულობენ და ითვისებენ.

კელერი ფიქრობს, რომ ეს დასკვნა არ შეესაბამება სინამდვილეს. თუ ცხოველს მოვათავსებთ ისეთ სიტუაციაში, სადაც მისთვის ხელმისაწვდომი იქნება ინფორმაცია ამოცანის ყველა მნიშვნელოვანი მომენტის შესახებ, იგი სხვაგვარად მიუდგება მის გადაწყვეტას. თავის საყოველთაოდ ცნობილ ცდებში კელერი მაიმუნებს აყენებდა სიტუაციაში, სადაც მათ პირდაპირი გზით არ შეეძლოთ ამოცანის გადაწყვეტა. ამისთვის *შემოვლითი გზის* გამოყენებაა საჭირო და ესაა გონიერი ქცევის კრიტერიუმი. მის კლასიკურ წიგნში "ადამიანის მსგავსი მაიმუნების ინტელექტის შესწავლა" (1917) უამრავი ექსპერიმენტული მაგალითია აღწერილი: შიმპანზე პირდაპირ ვერ წვდება ჭერზე ჩამოკიდებულ ბანანს და ამისთვის იყენებს ოთახში დაყრილ ყუთებს, რომელთაც ერთმანეთზე აწყობს. ან კიდევ გალიაში მყოფი მაიმუნი გარეთ შორიახლოს მდებარე ხილს ჯოხის საშუალებით იზიდავს თავისკენ, ხოლო თუ ჯოხი მოკლეა აგრძელებს მას, რისთვისაც ერთ ბამბუკის ჯოხს მეორეში არჭობს. მაიმუნის ქცევაზე დაკვირვება უფლებას გვაძლევს ვიფარაუდოთ, რომ ის გონიერად მოქმედებს. უმედეგო პირველი ცდის მერე იგი შეფიქრიანებული ჩანს, გამოხატავს გაკვირვებას, რაც აზროვნების პროცესის დასაწყის ეტაპად ითვლება; გარკვეული ხანი ყურადღებით აკვირდება სიტუაციას და შემდეგ, უცბად შეფრთხიალდება, თითქოს იპოვა პასუხი და იწყებს სწორი მოქმედების შესრულებას. ესაა მიხვედრა — აზროვნების პროცესის დასასრული, რომელსაც ადამიანებთან თან ერთვის ვიურცბურგის სკოლაში დახასიათებული ე.წ. "აჰა განცდა" (იხ. 6.1.). რაც მთავარია, ინსაიტის მერე ცხოველი შეცდომას აღარ უშვებს. სახეზეა ერთგვარი *პრაქტიკული განზოგადება*: ახალი ამოცანის ერთჯერადი გადაწყვეტა საკმარისია, რომ ინდივიდი ამ მოქმედებას "ერთხელ და სამუდამოდ" დაეუფლოს. ერთი სიტყვით, კელერის ცდებში თითქოს აზროვნების პროცესის ყველა არსებითი ნიშანია მოცემული. არავითარი გაწვრთნა, ამ მოქმედებათა გამეორება ამისთვის საჭირო არ არის, რადგან მოქმედება გონიერია. თუ, მაგალითად, შიმპანზე ერთხელ შეძლებს ყუთების გამოყენებას მაღლა დაკიდებული საგნის მისაწვდომად, იგი სხვა ანალოგიურ სიტუაციაშიც უმალვე გამოიყენებს ამ საშუალებას. ამას გადატანა ან *ტრანსპოზიცია* ეწოდება.

*გონიერი ქცევის* ბიმდინარეობის სურათი, მისთვის დამახასიათებელი ინსაიტი და ტრანსპოზიცია იმას მოწმობს, რომ იგი აზროვნების პირველი

გამოელინებაა. მას მეტ-ნაკლები აღგილი უკავია ადამიანის ქცევით რეპერტუარშიც. ხოლო ცხოველთა სამყაროში გონიერი ქცევა ალბათ განვითარების მწვერვალია. ის დასტურდება ყველაზე მაღალგანვითარებულ ცხოველებში – ანთროპოიდებში. როგორც ექსპერიმენტულ, ისე ბუნებრივ პირობებში. ვალიაში მყოფი ძაღლის წინ რომ მოათავსოთ ძაფის წვერი, რომლის ბოლოს საკვებია მიბმული, იგი ვერასდროს მიხვდება, რომ ის თავისკენ უნდა მოწიოს და მხოლოდ შემთხვევით თუ გააკეთებს ამას, რის შემდეგაც ანალოგიურ სიტუაციაში ისევ უსუსური აღმოჩნდება. ანთროპოიდი კი მალე მოისაზრებს, როგორ უნდა ჩაიგდოს ხელში საკვები და, შეძლებისდაგვარად სხვა სიტუაციებშიც გამოიყენებს ამ თავის მიგნებას. აქედან გამომდინარე, კელერის ზემოთ მოყვანილი მოსაზრება თორნდაიკის ცდების საწინააღმდეგოდ ბოლომდე მართებული არ უნდა იყოს. ცხოველი მარგო იმიტომ კი არ მიმართავს ცდისა და შეცდომის მეთოდს, რომ ექსპერიმენტული სიტუაცია გონებრივი უნარის გამოელინების საშუალებას არ აძლევს, არამედ ხშირად იმიტომაც, რომ მას ეს უნარი უბრალოდ არ გააჩნია.

კელერის დასკვნები არსებითად დაადასტურა შედარებითი ფსიქოლოგიის ერთ-ერთმა უდიდესმა წარმომადგენელმა **რობერტ იერქსმა** (1876-1959). იგი ორმოცი წლის განმავლობაში ატარებდა ცდებს კიბოებზე, კუებზე, ბაყაყებზე, მგრეხებზე, ყვავებზე, ღორებზე და მაიმუნებზე, რათა ეჩვენებინა ფსიქიკური განვითარების უწყვეტობა ფილოგენეზში. მის გამოკვლევებში ფსიქიკის თანდათანობითი განვითარების იდეამ საფუძვლიანი ემპირიული დასაბუთება მოიპოვა. იერქსმა თავისი შთამბეჭდავი კვლევითი და საორგანიზაციო მოღვაწეობა ფლორიდაში პრიმატების შემსწავლელი დიდი ლაბორატორიის შექმნით დაასრულა და პრიმატოლოგიის, როგორც ცოდნის ცალკე დარგის ფუძემდებლის სახელი მოიპოვა. ეს სამეცნიერო ცენტრი ახლაც მუშაობს და მის სახელს ატარებს.

იერქსის აზრით, უმაღლეს პრიმატებში ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ "რაციონალური" ფსიქიკის არსებობაზე. მაგრამ ეს ცხოველთა ფსიქიკის განვითარების უმაღლესი დონეა. შედარებით დაბალ საფეხურებზე მათი ფსიქიკა უფრო პრიმიტიულია და სხვა ნიშნებით ხასიათდება. როგორც ყველა შედარებითი ფსიქოლოგისთვის, იერქსისთვისაც საკითხი ცხოველებთან ფსიქიკის კრიტერიუმების თაობაზე ერთობ აქტუალური იყო. მეტიც, ამ საკითხს იგი განსაკუთრებული სიმძაფრით აყენებდა და მიაჩნდა, რომ მას არა მხოლოდ ცხოველის, არამედ ადამიანის ფსიქოლოგიისთვისაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. იერქსი ასე მსჯელობდა: როცა ვაფასებთ იმას, თუ რა ხდება ცხოველის და სხვა ადამიანის გონებაში, ორივე შემთხვევაში, არსებითად, ვარაუდებიდან ამოვდივართ. ამიტომ "ადამიანის ფსიქოლოგია გადარჩება ან დაიღუპება ცხოველების ფსიქოლოგიასთან ერთად. თუ დაბალი ცხოველების ფსიქიკური ცხოვრების კვლევა უმართებულოა, მაშინ არც

ადამიანის ცნობიერების კვლევაა უფრო მართებული".

იერქსს მიაჩნდა, რომ ცხოველის ფსიქიკის კრიტერიუმები ორ დიდ ჯგუფად უნდა დაიყოს. პირველში ე.წ. *სტრუქტურული კრიტერიუმები* შედიან: მაგალითად, ცხოველი შეიძლება მივიჩნიოთ ფსიქიკის მატარებლად, რადგანაც აქვს საკმარისად განვითარებული ნერვული სისტემა. სამწუხაროდ, ეს ვერ ჩაითვლება სანდო კრიტერიუმად, ვინაიდან არ არსებობს ერთმნიშვნელოვანი შესაბამისობა ორგანიზმის მორფოლოგიურ-სტრუქტურული აგებულების სირთულესა და მის "ინტელექტუალობას" შორის. ამიტომ უფრო მნიშვნელოვანი და სანდოა ე.წ. *ფუნქციონალური კრიტერიუმები*. ისინი ქცევის ისეთ მახასიათებლებს ეხება, რომლებიც მის გონიერულობაზე მიუთითებენ. მკვლევართა უმეტესობისთვის გონიერების ქცევით გამოხატულებად ცხოველის *დასწავლის უნარი* ითვლებოდა. ცხოველი, რომელსაც დასწავლა არ შეუძლია, რომელიც ვერ ცელის თავის ქცევას ახალი ვითარების შესატყვისად, ცოცხალ აგტომატად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ დასწავლა შეგუების ერთ-ერთი ფორმაა. ზოგადად, შეგუების თვისებაში კი, იერქსის მიხედვით, ფსიქიკური მოქმედების მინიმუმ სამი ტიპი (დონე) შეიძლება გამოვყოთ: 1) *განმასხვავებელი ფსიქიკა*, რომლის მეშვეობით ორგანიზმებს შეუძლიათ ერთი სტიმული მეორისგან გაარჩიონ; ის ყველაზე პრიმიტიულ ცოცხალ არსებებშიც აღინიშნება (მაგ., აქტინიებში); 2) *ინტელექტუალური ფსიქიკა*, რაც, არსებითად, დასწავლის უნარში ვლინდება; 3) *რაციონალური ფსიქიკა*, რომელიც ზემოთ ვახსენეთ და ცხოველის გონიერი ქცევის სახით გამოიხატება.

ფსიქიკის და, შესაბამისად, ქცევის სამი დონის გამოყოფა საკმაოდ გავრცელდა ზოოფსიქოლოგიაში. იერქსის მიერ გამოყოფილი განმასხვავებელი ფსიქიკის ნაცვლად, უფრო ხშირად ლაპარაკობდნენ ინსტინქტური ქცევის პლანში განხორციელებულ ფსიქიკაზე, როგორც თანდაყოლილ და სტერეოტიპულ მოქმედებაზე. მას უპირისპირებდნენ ქცევის ცვალებად და შეძენილ ფორმებს; ამ უკანასკნლთ კი – ინტელექტუალურ ქცევას, რომლის დროსაც მოქმედების შეცვლა დასწავლით კი არა, ინსაიტური წვდომით ხდება. ამ შეხედულებას ჩამოყალიბებული სახე მისცა კარლ ბიულერმა კოგნიტური განვითარების ე.წ. სამსაფეხურეობრივ თეორაში, რომელშიც განასხვავა და ერთმანეთს დაუპირისპირა *ინსტინქტი, დასწავლა და ინტელექტი*.

თორნდაიკის და შემდგომ ბიჰევიორიზმის გაელენით ამერიკულ ზოოფსიქოლოგიაში, ძირითადად, შეისწავლებოდა ქცევის ახალი ფორმების (ჩვევების) ფორმირების პროცესი (დასწავლა). კვლევა მიმდინარეობდა ლაბორატორიულ პირობებში, უპირატესად ხელოვნურად გამოყვანილ ცხოველებზე (თეთრი ვირთხა). კვლევის მეთოდოლოგიის ამდაგვარი ლაბორატორიულობა-ხელოვნურობა თვით ამერიკელი ზოოფსიქოლოგების ნაწილისთვისაც მიუღებელი იყო. თორნდაიკის ცდების დახასიათებისას ეს პოზიცია ძალიან თვალსაჩინოდ გამოხატა აგტორიტეტულმა ამერიკელმა ზოოფსიქოლოგმა უ. მილზმა: "თორნდაიკი ათავსებს კატებს ყუთებში, რომელთა ზომაა მხოლოდ 20, 15, 12 დიუმი და ელოდება მათგან ბუნებრივ მოქმედებას. ეს იგივეა, რომ გამოკეტო ცოცხალი ადამიანი კუბოში, ჩაუშვა მიწაში მისი ნების გარეშე და მისი ქცევის საფუძველზე გააკეთო დასკვნები ნორმალური

ფსიქოლოგიის შესახებ".

ამერიკულისაგან გასხვავებით, ევროპული ტრადიციის მიხედვით, ზოოფსიქოლოგია შეისწავლის ცხოველთა ქცევის ბუნებრივ რეპერტუარს, რომელიც ელინდება ბუნებრივ (საველე) პირობებში და ცხოველთა სახეობის შეგნულვის გარეშე. ცხოველთა ქცევის ამდაგვარ კვლევას ე.წ. *ეთოლოგია* ახორციელებს. თავდაპირველად ორივე მიდგომის წარმომადგენლებს მიაჩნდათ, რომ ცხოველების ქცევის ობიექტური შესწავლა მათ მიერ არჩეული გზით უფრო შესაძლებელი. ამიტომ კვლევის ეს ორი მიმართულება ერთხანს შედარებით იზოლირებულად ეითარდებოდა. ორმოცდაათიანი წლებიდან იწყება მათ შორის სერიოზული კონტაქტები და დისკუსია. სპეციალისტები ღღეს უკვე მათი ერთგვარი სინთეზის შესახებ საუბრობენ.

ეთოლოგიის ცნებითი აპარატი თანდათანობით ეითარდებოდა. პირველი თაობის მკვლევარებიდან, რომელთაც XX საუკუნის დასაწყისში ჩაუყარეს საფუძველი ამ მიმართულებას, განსაკუთრებით გამოიყოფა ჩარლზ უიტმენი, ოსკარ პეისროტი, იაკობ იუსკული და უოლეს კრეიგი. ეთოლოგიამ

თავის მწვერვალს მიაღწია ავსტრიელი **კონრად ლორენცის** (1903-1989) და ჰოლანდიელი **ნიკო ტინბერგენის** (1907-1988) კლასიკურ ნაშრომებში, რომლებისთვისაც მათ 1973 წელს, "ფუტკრების ცეკვის" (ფუტკრების ენის) გამშიფრავ ავსტრიელ კარლ ფრიშთან (1886-1982) ერთად, ნობელის პრემია მიენიჭათ. მათ შეიმუშავეს ცხოველთა ინსტინქტური ქცევის, მისი ონტოგენეტური და ფილოგენეტური განვითარების ახლებური გაგება.

ჯერ კიდევ კრეიგმა შეამჩნია, რომ ცხოველთა მოქმედება თითქოს ორი ნაწილისაგან შედგება: ე.წ. *აპეტიტური* (მოსამზადებელი) და *კონსუმატორული* (დამამთავრებელი) აქტებისაგან. მოქმედების პირველი უაზა გამოიხატება რაიმე მოთხოვნილებით აქტივირებულ საერთო აღგზნებაში და ცხოველის ძიებით ქცევაში ანუ არამიმართულ გადაადგილებაში, გარემოს გამოკვლევაში. ამ აქტივობის პროცესში ცხოველი, როგორც წესი, წააწყდება ხოლმე ე.წ. *ჩამრთველ სტიმულებს*, სხვაგვარად *რელიზერებს*, რომლებიც აღძრავენ საკუთრივ ინსტინქტურ მოქმედებას, ან უფრო ხშირად, მოქმედებათა წყებას. მაგალითად, მტაცებლის კვებითი ქცევა იწყება ქაოტური სირბილით და ტერიტორიის გამოკვლევით. ნადაელის გამოჩენა ქცევას ორგანიზებულს ხდის: ცხოველი ჯერ ეპარება, მერე მისდევს და ბოლოს კლავს

თავის მსხვერპლს, შემდეგ გლეჯს ნანადირევს და ყლაპავს ხორცს. აქტების ამ რიგში მხოლოდ ორი უკანასკნელი წარმოადგენს საკვების მოპოვების ქცევის დამამთავრებელ, საკუთრივ *ინსტინქტურ ფაზას*. ყველაფერი, რაც

მას წინ უსწრებს, შეიძლება მიეწეროს ძიებით, ანუ *არაინსტინქტურ ფაზას.*

ქცევა ყველაზე უფრო პლასტიკურია ძიებით ფაზაში. სწორედ აქ ითვისებს ცხოველი ქცევის ახალ ხერხებს. რაც უფრო ვუახლოვდებით დამამთავრებელ ფაზას, მით უფრო სტერეოტიპული ხდება მოძრაობები; საკუთრივ დამამთავრებელ ფაზაში კი მოძრაობები აბსოლუტურად სტერეოტიპულია, ფიქსირებულია და მაღალორგანიზებული. ამიტომ ეთოლოგიაში მათ ხშირად ინსტინქტურის ნაცვლად უწოდებენ *ფიქსირებულ მოძრაობათა კომპლექსს* (ფმკ). ყველა სახეობას მისთვის დამახასიათებელი ფმკ გააჩნია. კვლევის შედეგად ზოგიერთი მათგანისთვის გამოიყო სპეციფიკური ჩამრთველი სტიმულები. ისინი, შესაძლოა, სრულიად განსხვავებული გამღიზიანებლების სახით წარმოვიდგენენ: გარკვეული ფერის, ფორმის, სუნის, ხმის, მოძრაობის და ა.შ. სახით. რელიზერებს ადარებენ გასაღებს, რომელიც ზუსტად არის მორგებული ბოქლომს (ე.ი. ფმკ-ს). ეთოლოგიაში მათ შეისწავლიან ე.წ. *მოდელების* – ამ სტიმულებისთვის დამახასიათებელი თვისებების მქონე ხელოვნური ობიექტების საშუალებით. რელიზერების გამოჩენისას წყდება ძიებითი აქტივობა და იწყება დამამთავრებელი აქტები ანუ ჩაირთვება ფმკ. ძიებითი და დამამთავრებელი ფაზების თანაფარდობა განსხვავდება სხვადასხვა ცხოველებში. მთავარი კი ის არის, რომ რაც უფრო განვითარებულია ცხოველის ფსიქიკური ორგანიზაცია, მით უფრო გაშლილი და ხანგრძლივია ძიებითი ფაზა, მით უფრო მდიდარი და მრავალფეროვანი გამოცდილების მიღება შეუძლია ცხოველს. ისე კი ფილოგენეტური განვითარების გარკვეული დონიდან მოყოლებული, ცხოველის ფაქტობრივად ყოველ ქცევაში შერწყმულია სახეობისთვის დამახასიათებელი თანდაყოლილი და შეძენილი ქცევის ელემენტები.

## 6.5. სამედიცინო ფსიქოლოგიის განვითარება[1]

სამედიცინო ფსიქოლოგია რამდენიმე ფსიქოლოგიური დარგის ერთობლიობას წარმოადგენს. აქ განხილული იქნება მისი ორი მთავარი განშტოების, ფსიქოპათოლოგიისა და ფსიქოთერაპიის განვითარების ისტორია უძველესი დროიდან გასულის საუკუნის დასაწყისამდე, როდესაც ამ დისციპლინის თანამედროვე სახის ჩამოყალიბება დაიწყო. დავიწყოთ ფსიქოპათოლოგიის ისტორიით.

კაცობრიობის სულიერ ცხოვრებას ყოველთვის ახლდა ფსიქიკური დარღვევები. რამდენადაც ცნობილია, ყველა დასავლურ თუ აღმოსავლურ დიდ კულტურას ერთი და იგივე ფსიქოპათოლოგიური ფენომენები ახასიათებს. მათი გამოვლენის ფორმები და შინაარსი ცვალებადობდა ეპოქის სულისკვეთების, სოციალური გარემოსა და იდეოლოგიის თავისებურებათა შესაბამისად, მაგრამ, წმინდა სამედიცინო თვალსაზრისით, ავადმყოფობა არსებითად იგივე რჩებოდა. ისტორიულ პლანში, ფორმისა და შინაარსის ცვალებადობის თვალსაზრისით, გამორჩეულია ნეიროზები; მაგალითად, ის-

[1] ქვეთავი დაწერილია რამაზ საყვარელიძესთან ერთად.

ტერიის იმ დრამატულ გამოვლინებებს, რომელთა შესწავლითაც ფაქტობრივად დაიწყო ნევროზების კვლევა, დღეს უკვე იშვიათად ვხედებით. შეიცვალა ფსიქოზების შინაარსიც. საკუთარი თავის ცხოველებად წარმოდგენის, ალქაჯების ან დემონების ბრძანებებისადმი დაქვემდებარების ნაცვლად, ბოდვის შინაარსი უკავშირდება ტექნიკური ცივილიზაციის ელემენტებს, უცხოპლანეტელებს თუ პარაფსიქოლოგიურ მოვლენებს.

ისტორიულად ცვალებადობდა საზოგადოების დამოკიდებულებაც სულით დაავადებულთა მიმართ. საფიქრებელია, რომ დედამიწის პრეისტორიული მოსახლეობა ისევე ეპყრობოდა სულით ავადმყოფებს, როგორც დღევანდელი პრიმიტიული ხალხები: აგრესიული და სახიფათო ავადმყოფები ითვლებოდნენ ავი სულების მიერ შეპყრობილებად, მათ ძალიან მკაცრად ექცეოდნენ, სცემდნენ და აგდებდნენ. უწყინარი და მშვიდი ავადმყოფები ზოგჯერ ღმერთების მიერ მონიშნულებადაც ითვლებოდნენ, მათ უელიდნენ და ხშირად ეთაყვანებოდნენ კიდეც. უკვე უძველესი დროიდან სულიერ დაავადებებს შორის ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას ეპილეფსია ახდენდა. უცარი გულყრა, ყვირილი, კონვულსიები, ღუჟი, ჰალუცინაციები და ხილვები კარგად ესადაგებოდა ზებუნებრივ ახსნას: მრისხანე ძალა, ღვთაება ძირს აგდებს ადამიანს და თან აჯილდოებს გამოცხადებისა და წინასწარმეტყველების უნარით. ამ "წმინდა დაავადებით" შეპყრობილნი გამორჩეულ ადამიანებად მიაჩნდათ. პრიმიტიულ სალხებში მათ ანდობდნენ ბელადის, შამანის, ჯადოქარ-ექიმბაშის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას. სულით ავადმყოფები სხვადასხვა კულტურაში არც თუ იშვიათად იწვევდნენ ერთგვარ თრთოლვას, მათ ქედს უხრიდნენ როგორც წმინდანებს, რომელთა პირითაც ლაპარაკობენ ღმერთები. მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, წარსულში სულით დაავადებულთა განსაკუთრებულობა უარყოფითი ნიშნით ხასიათდებოდა და მათი მდგომარეობა ორმაგად მძიმე იყო: ისინი ავადმყოფობითაც და სოციალური მიუღებლობითაც იტანჯებოდნენ.

სულიერი აშლილობების შესახებ უძველესი დროიდან იყო ცნობილი. ბიბლიური გადმოცემის თანახმად, ძ.წ. 2000 წ. მცხოვრები ისრაელის მეფე საული იმდენად ღრმა სევდის შეტევებით იტანჯებოდა, რომ თავის მსახურს სთხოვდა მოეკლა იგი (სუიციდონალური დეპრესია). ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორის ბოდვა იმით გამოიხატებოდა, რომ მას თავი მგლად წარმოედგინა და ოთხზე დადიოდა. პრეტას მეფის გონებადაბინდული ქალიშვილები ტყე-ღრე დახეტიალობდნენ, ბალხს ძოედნენ და თავი ძროხებად მოჰქონდათ. ბერძენი გმირი აიაქსი თავს დაესხა ცხვრის ფარას, ვინაიდან მტრებად მოეჩვენა. ასეთი მაგალითები მრავლადაა. ჩვენთვის საინტერესოა, თუ როგორ ხსნიდნენ ჩვენი შორეული წინაპრები ამ არანორმალურ გამოვლინებებს და როგორ ცდილობდნენ მათ გამოსწორებას.

ფსიქოპათოლოგიის ისტორია ამ კუთხით სამი სახის მიდგომას იცნობს: 1. *მაგიური თვალსაზრისი* ყოველგვარ დარღვევას ბუნებაში და ადამიანში, რისი უშუალო მიზეზიც არ ჩანს, იდუმალი ზებუნებრივი ძალების მოქმედების შედეგად მიიჩნევს; 2. *ორგანული თვალსაზრისი* ჯანმრთელობას და ავადმყოფობას ფიზიკურ-სხეულებრივ ტერმინებში ხსნის და 3. *ფსიქოლო-*

*გიური თვალსაზრისი* ფსიქიკური დაავადების მიზეზებს ფსიქიკაშივე ეძებს. ფსიქიატრიული თუ ფსიქოპათოლოგიური აზრის პროგრესი აისახებოდა პირველ თვალსაზრისზე თანდათანობით უარის თქმასა და დანარჩენი ორის გაძლიერებასა და დაახლოებაში.

ფსიქიკური დაავადების ბუნებისა და მისი მკურნალობის პრინციპების გააზრების ისტორიულად საწყისი ფორმა მაგიური თვალსაზრისია. შინაგანი სნეულება და გონებააშლილობა ავი სულების, დემონური ძალების მოქმედების შედეგია. ეს ბოროტი ჯადოქრები (მაგია — ბერძნულად ჯადოქრობაა) სხეულიდან სულს განდევნიან, მასში თვითონ სახლდებიან ან ავადმყოფობას ათავსებენ. ავადმყოფობა მაშინ გაიელის, როცა ბოროტი ძალები თავის მავნე ზემოქმედებას შეწყვეტენ. ძველი დროის მედიცინა ამისთვის სხვადასხვა ხერხს მიმართავს. შეიძლება დემონებს უბრალოდ ვზა გავუსსნათ ორგანიზმიდან გამოსასვლელად (ანთროპოლოგიური მონაცემებით, ქვის ხანის ადამიანები თავიანთი ტომის წევრებს ზოგჯერ სპეციალურ ხვრელებს უკეთებდნენ თავის ქალაში). მაგრამ დემონების კეთილ ნებაზე დანდობა არ შეიძლება, ამიტომ აუცილებელი ხდება ხეკვნა, მუდარა, მოთაფვლა, თაყვანისცემა, დამუქრება, დაშინება, დასჯა — ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც სულიერზე ზემოქმედებისთვის გამოიყენება. ამას ემსახურება, პრინციპში, შამანებისა თუ ქურუმების რიტუალები, შელოცვები, მსხვერპლშეწირვები და ა.შ. ამ ზომებს ზოგჯერ მაროლა მოჰქონდა შვება, რაც მათი ფსიქოთერაპიული ეფექტურობით აიხსნება. ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

ასეთი მაგიურ-რელიგიური მიდგომა დამახასიათებელია, როგორც პრეისტორიული ხანისთვის, ისე უძველესი ცივილიზაციებისთვის (ეგვიპტე, მესოპოტამია, ინდოეთი, ჩინეთი, სპარსეთი, იუდეა და სხვა). აქ არა მხოლოდ იცნობენ სხვადასხვა სულიერ აშლილობას, არამედ სპეციფიკურადაც უდგებიან მათ. მაგალითად, ასირიელი მეფის ხამურაპის კანონების კოდექსი შეიცავს მკაფიო მითითებებს ეპილეფსიის ნიშნებზე, ხოლო ბაბილონის დემონების პანთეონში ამ დაავადებას თავის სპეციფიკური დემონი ჰყავს — სიგიეის დემონი სახელად იდტა. ძველ ეგვიპტეში გამოაკლინეს ემოციონალური დარღვევის ის ტიპი, რომელსაც მოგვიანებით ბერძნებმა ისტერია უწოდეს. მას ქალურ დაავადებად თვლიდნენ და მის სამკურნალოდ, ისევე როგორც შემდგომდროინდელი დიდი ექიმები ჰიპოკრატე და გალენი, საშვილოსნოს შეპკურებას მიმართავდნენ. ამას აკეთებდნენ საგანგებო სპეციალიზაციის მქონე ქურუმი-მედიკოსები. არსებული წყარობიდან ირკვევა, რომ ასეთი სპეციალიზაცია ძველ ინდოეთშიც არსებობდა — რვა სახის დაავადებაზე საგანგებოდ დახელოვნებულ მკურნალთა შორის იყვნენ სულით ავადმყოფობათა სპეციალისტებიც.

ის გარემოება, რომ ძველ ეგვიპტეში ისტერიას საშვილოსნოს გადაადგილებით ხსნიდნენ და მკურნალობასაც მას უკავშირებდნენ, მიუთითებს იმაზე, რომ ნერვულ-ფსიქიკური აშლილობებისადმი დემონური თვალსაზრისის ფარგლებშიც თავს იჩენდა სხვა მიდგომები, კერძოდ ორგანული. განსაკუთრებით ეს ითქმის ძველ საბერძნეთზე, სადაც ქურუმების გავლენა არ იყო იმდენად დიდი, როგორც სხვა ცივილიზაციებში; რელიგია ისე არ დომინირებდა,

როგორც ეგვიპტესა თუ ბაბილონში. აქ გაბატონებული პოზიცია მეცნიერულმა და ფილოსოფიურმა აზრმა დაიკავა. კლასიკურ ბერძნულ ეპოქაში ნორმად გადაიქცა მოელენების არა მითოლოგიური, არამედ რაციონალური და მატერიალისტური ახსნა. ეს, ცხადია, სულიერი ამლილობების გააზრებაზეც აისახა. "ისტორიის მამა" ჰეროდოტე არა ერთხელ შეხებია სულიერი დაავადებების თემას, მაგრამ თითქმის არასდროს მიუმართავს ტელეოლოგიური ახსნისთვის. მაგალითად, იგი აღწერს სპარტას მეფის კლეომენის სიგიჟეს, რომელიც ხალხს სახეში ჯოხებს ესროდა. ამისთვის მას ბორკილები დაადეს, მაგრამ კლეომენმა მოახერხა მუქარის გზით გამოერთმია მცველისთვის მახვილი, რომლითაც მუცელი დაისერა და მოკედა. კლეომენის უბედურების მიზეზი, აღნიშნავს ჰეროდოტე, გაუგებელი ღვთის უგონო სმა იყო. მაშასადამე, სულიერი სნეულება მატერიალური ფაქტორით არის ახსნილი. ჰეროდოტე პირდაპირ ამბობს: "სულს არ შეუძლია იყოს ჯანმრთელი, თუ სხეული ავადაა". იგივეს იმეორებს ქსენოფონტე: "ყველაფერს – გულმაცივყოობას, სულმოკლეობას, უკმაყოფილებას, მეშლილობას – შეიძლება სხეულის სისუსტე იწვეველეს".

დაისვა საკითხი იმის შესახებაც, თუ სხეულის რომელი ნაწილია განსაკუთრებით დაკავშირებული სულიერ ამლილობასთან. ეს საკითხი, ცხადია, სულის სხეულებრივი ლოკალიზაციის ზოგადი პრობლემის კონტექსტში განიხილებოდა, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ. უძველესი შეხედულება ფსიქიკურ თვისებებს დიაფრაგმას უკავშირებდა. მაგრამ, დიაფრაგმით აზროვნების იდეა, როგორც ჩანს არ გამოდგა დამაჯერებელი და მის ნაცვლად ბერძენმა ექიმებმა და ფილოსოფოსებმა შემოგვთავაზეს ორგანიზმის სხვა ნაწილები, კერძოდ გული და ტვინი. პირველი, ვინც ტვინისმიერი მიდგომა გაახმოვანა, ალბათ პითაგორა იყო. მისი მოწაფე ალკმეონ კროტონელი (VI ძვ. წ.), რომელიც ჰიპოკრატემდე ძველი საბერძნეთის ყველაზე განთქმული ექიმი იყო, შეეცადა ამ იდეის ანატომიური დასაბუთებისთვის მიეკვლია. იგი ეძებდა "არხებს" (ნერვებს), რომელთა საშუალებითაც სმენითი ან მხედველობითი შთაბეჭდილება ტვინამდე მიდის. ტვინი გამოყოფს აზრებს ისევე, როგორც საცრემლე ჯირკვალი ცრემლს. საერთოდ კი, შინაგანი სეკრეციის შესწავლამ იგი ჰუმორალურ ჰიპოთეზამდე მიიყვანა, რომლის მიხედვით, ავადმყოფობა (როგორც ჩანს სულიერიც) ორგანიზმის შემადგენელი სითხეების ურთიერთქმედების შედეგად წარმოიქმნება.



ეს მოსაზრებები საფუძველად დაედო "მედიცინის მამის", **ჰიპოკრატეს** (460-377 ძვ.წ.) სწავლებას. მან ჩამოყალიბებული სახე მისცა ჰუმორალურ თეორიას. ორგანიზმში ოთხი ძირითადი სითხე არსებობს: სისხლი, ლორწო, ნაღველი, შავი ნაღველი. ისინი ორგანიზმის მდგომარეობას ისევე განსაზღვრავენ, როგორც მათი შესაბამისი სტიქიები (ცეცხლი, მიწა, ჰაერი, წყალი) ბუნებისას. როცა სტიქიები წონასწორობაში იმყოფებიან, ბუნებაში ყველაფერი რიგზეა. ასევე, როდესაც ორგანიზმის

სითხეები სწორი თანაფარდოფიი არიან შერეული, რასაც *კრაზა* ეწოდება, ადამიანი ჯანმრთელია; სითხეთა არასწორი თანაფარდობა კი (ე.წ. *დისკრაზია*) ავადმყოფობის მიზეზი ხდება. გამოჯანმრთელება დისკრაზიის კრაზად გადაქცევის გზით ხორციელდება. ამისთვის გამოიყენება წამლები და პროცედურები, რომლებიც ორგანიზმის სითხეების სისტემას აბალანსებენ: სისხლის გამოშვება, სასაქმებელი, პირღებინება. სულიერი აშლილობებისას ხშირად გამოიყენებოდა შხამას ნაყენი.

სულიერი მდგომარეობების გამომწვევი ორგანო არის ტვინი. "უნდა ვიცოდეთ, რომ ტვინიდან და მხოლოდ ტვინიდან აღმოცენდება როგორც სეტარება, სისარული, სიცილი, ხუმრობა, ასევე ტანჯვა, ნაღველი, ტკივილი, ტირილი ... მისგან ვგიჟდებით, ვეაბოდებს, ვეიპყრობს შფოთვა და შიში, ღამითაც და დღისითაც". ამრიგად, ფსიქიკური დაავადებები ტვინს უკავშირდება, უფრო ზუსტად, მისი მოქმედების აშლილობას. მიზეზი, როგორც ყველა სხვა დაავადების შემთხვევაში, სითხეების დისბალანსია. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელი სითხითაა გაჟღენთილი ტვინი და, შესაბამისად, როგორ მდგომარეობაშია ის – ცივი, ცხელი, მშრალი თუ სველი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მაგალითად, ვიღებთ წყნარი ჯონებააშლილობის სურათს; ტვინის ზომაზე მეტი სიმშრალე კი იწვევს აგზნებულ დ აგრესიულ ქცევას. პირველს *მელანქოლია* ეწოდება, მეორეს – *მანია*. თუმცა, ტერმინი "მელანქოლია" ჰიპოკრატეს სკოლაში აღნიშნავს არა მხოლოდ ფსიქიკური დარღვევის გარკვეულ სახეს (დეპრესიული განცდები, შიში, შფოთვა, დათრგუნულობა, უკონტაქტობა და ა.შ.), არამედ ჰუმორალური კონსტიტუციის, ანუ ტემპერამენტის გარკვეულ ტიპსაც (იხ. 6.2). გარდა ამისა, ჰიპოკრატე კარგად იცნობდა *ეპილეფსიას*, რომელსაც სპეციალური ტრაქტატი მიუძღვნა და *ფსიქოპათიებს*, მოსაზღვრე მდგომარეობებს (გაუწონასწორებულობა, გულჩათხრობილობა და ა.შ), რომლებიც, მისივე გაგებით, არ უნდა ჩაითვალოს გამოკვეთილ სულიერ დაავადებად. მანვე შემოიტანა ხმარებაში ტერმინი *ისტერია*.

ამრიგად, ჰიპოკრატეს სკოლაში წარმოდგენილია ფსიქიკური დაავადებების ცერებრალურ-ჰუმორალური თვალსაზრისი. ფსიქოზების ეტიოლოგიაზე უფრო სრულ წარმოდგენას გვიქმნის ჰიპოკრატეს მოსაზრებები იმის შესახებ, თუ როგორ ზემოქმედებს გარემო (კლიმატი, წლის დრო, წყლის შემადგენლობა და ა.შ.) სომატურ (ჰუმორალური ბალანსი) და ფსიქიკურ (ტემპერამენტი) კონსტიტუციაზე, საბოლოო ანგარიშით კი ჯანმრთელობაზე. გავრცელებული შეფასებით, ჰიპოკრატეს სწავლება კონცენტრირებულია სხეულებრივ და ფსიქიკურ დაავადებათა გარეგანი ეტიოლოგიური ფაქტორების გამოვლენაზე. ეს მართალაც ასეა, მაგრამ ჰიპოკრატეს და მის მიმდევრებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ არც მემკვიდრეობის ფაქტორი, თუმცა მას ისეთ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ, როგორც ეს აშკარად ხდება. ტრაქტატში "წმინდა დაავადების შესახებ" ჰიპოკრატე პირდაპირ ამბობს, რომ თუ ფლეგმატიკისაგან მართლაც ფლეგმატიკი იბადება, ნაღელიანისაგან – ნაღველიანი, ჭლექიანისაგან – ჭლექიანი და ა.შ, მაშინ რა გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ეპილეფსიაც არ გადავა მამიდან ან დედიდან რომელიმე შვილზე. უფრო

აღრე პითაგორამ თქვა, რომ "ჩვენ მიდრეკილნი ვართ სათნოებისკენ და ბიწიერებისკენ, ისევე, როგორც ჯანმრთელობისკენ და ავადმყოფობისკენ, და ეს უფრო დამოკიდებულია ჩვენს მშობლებზე და ჩვენი სხეულის შემადგენლობაზე, ვიდრე ჩვენ საკუთარ თავზე".

პირველი ფსიქიატრიული ტრაქტატი, რომელშიც სისტემატიზირებული სახით არის მოცემული ცნობები სულიერი დაავადების სახეებისა და მათი მკურნალობის ხერხების შესახებ ეკუთვნის სწავლულს ძველი რომიდან **ავლუს კორნელიუს ცელსს** (I ს. ჩ.წ.). იგი არ იყო პრაქტიკოსი ექიმი, მაგრამ ფლობდა ენციკლოპედიურ ცოდნას ყველა დარგში, მათ შორის მედიცინაში. მთავარი მის მოძღვრებაში არის სულით ავადმყოფების მკაფიო დაყოფა მშვიდ და აგზნებულ, ძალადობისკენ მიდრეკილ ავადმყოფებად. ასევე, მითითება ამ უკანასკნელთა მიმართ მკაცრი ზომების გატარების შესახებ. ისინი ჯაჭვებით უნდა გვყავდეს დაბმული, სრულიად ბნელ, იზოლირებულ ოთახში, სახეცრად მშიერ მდგომარეობაში – "ასეთია ეიეის ხვედრი".

ცელსის თანამედროვე რომაელი ექიმი **არეტეი** უშუალოდ მკურნალობდა და შეისწავლიდა სულით ავადმყოფებს. მან გაარკვია, რომ მელანქოლიური და მანიაკალური მდგომარეობები მეორდება და ერთმანეთს ენაცვლება, ხოლო ამ ავადმყოფურ პერიოდებს შორის არსებობს ნათელი შუალედები. არეტეიმ პირველად აღწერა პიროვნების სრული დაშლის შემთხვევა და დაადგინა, რომ ინტელექტის დაქვეითება ყველა სულით ავადმყოფს არ აღენიშნება. არეტეი ფსიქიკური დაავადების წარმოქმნის პუმორალურ კონცეფციას უჭერდა მხარს, მაგრამ სომატური გენეზისის გარდა განიხილავდა წმინდა ფსიქოლოგიურ ეტიოლოგიასაც. იგი მიუთითებდა, რომ მელანქოლია, ანუ სულის დათრგუნული მდგომარეობა, რომელიც რაიმე აზრზეა (ბოდეით იდეაზე) კონცენტრირებული, შეიძლება მატერიალური ან სხეულებრივი მიზეზით კი არ იყოს გამოწვეული, არამედ რაიმე სულიერი მღელვარებით. მოკლედ, არეტეისთან წარმოდგენილია ფსიქოლოგიური თვალსაზრისის ელემენტიც, თუმცა, როგორც მთელ ბერძნულ-რომაულ ფსიქიატრიასა და ფსიქოპათოლოგიაში, აქაც დომინირებს ორგანული პარადიგმა.

ამ მხრივ გამონაკლისს **მარკუს ტულიუს ციცერონი** (106-43 ძ.წ.) წარმოადგენს. მან მედიცინის საკითხებზე არა ერთი საინტერესო მოსაზრება გამოთქვა და ყურადღება გაამახვილა ფსიქიკური მდგომარეობის როლზე სხეულებრივი და, განსაკუთრებით, სულიერი დაავადებების აღმოცენებაში (ამიტომ ზოგჯერ მას პირველ ფსიქოსომატოლოგადაც მოიხსენიებენ). სულიერ დარღვევებზე. ციცერონი არ ეთანხმება ჰიპოკრატეს იმაში, რომ მელანქოლიის მიზეზი მხოლოდ შავი ნაღველის მოჭარბებაა. უფრო დიდი მნიშვნელობა, მისი აზრით, წმინდა ფსიქიკურ, ემოციურ ფაქტორებს აქვს, ისეთებს როგორიცაა დარდი, რისხვა, შიში და სხვა.

თავისი დროის ყველაზე განათლებული რომაელი ექიმი **სორანი** (93-138 ჩ.წ.) ჰიპოკრატეს ხაზს მიყვებოდა და კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა სულით ავადმყოფთა მიმართ მკაცრი მეთოდების გამოყენებას. სიბნელე, ამბობდა იგი, აღიზიანებს ადამიანს და უფრო მეტად აბინდებს გონებას, რომელსაც სწორედ განათება ესაჭიროება; რაც შეეხება შიმშილს, იგი ავად-

მყოფს სასიკეთილო სამშრომლების წინაშე აყენებს და ხელს უშლის სხვა მეთოდების, მაგალითად ფიზიკური ვარჯიშების გამოყენებას. ეინც სულით დაავადებულს გარეულ ცხოველს აღარებს და უნდა სული ამოსახადოს შიმშილითა და წყურვილით, თავად არის გიჟი. ჯაჭვები ასახიჩრებენ ავადმყოფებს, ამიტომ მიზანშეწონილია ხელით დავაკავოთ ისინი. სორანი მომხრე იყო ფიზიკური და ფარმაკოლოგიური მეთოდების მინიმიზაციისა და უპირატესობას ანიჭებდა მოწესრიგებულ რეჟიმს, სასიამოვნო საქმიანობას, მეგობრულ, თბილ ატმოსფეროს. ერთი სიტყვით, პრაქტიკული ფსიქიატრიის თვალსაზრისით, სორანი თავისი რბილი მიდგომით დაუპირისპირდა ცელსის მკაცრ მიდგომას.

ეს ორი მიდგომა თანაარსებობდა მომდევნო ისტორიულ ეპოქებში. აღრეულ შუა საუკუნეებში, განსაკუთრებით არაბულ კულტურაში, ეხედებით ფსიქიკური დარღვევებისადმი ჰუმანური მიდგომის მაგალითებს. არაბებმა VIII-IX საუკუნეებში გახსნეს პირველი თავშესაფრები სულით დაავადებულთათვის (ფესო, ბაღდადი, ქაირო, დამასკო). რამდენადაც არაბები თვლიდნენ, რომ ფსიქიკური აშლილობა ღვთიური გავლენის გამოძახილია და არა ეშმაკისეული ხრიკებისა, ამდენად ამ ჰოსპიტლებში პაციენტებისადმი კეთილმოსურნე და მბრუნველი დამოკიდებულება იყო გაერცელებული. შესაძლოა, იგივე ხდებოდა პირველ ქრისტიანულ სამონასტრო ჰოსპიტლებში, მაგალითად ბენედიქტელებთან, სადაც ქრისტიანული გულმოწყალების ატმოსფერო სუფევდა. შემდგომ პერიოდში, ლემონური თვალსაზრისის აღორძინებასთან ერთად, ფსიქიკური აშლილობა ეშმაკის ცდუნებასთან გააიგივეს და, შესაბამისად, მკურნალობაც ბნელი ძალების განდევნით (ე.წ. ეკზარცისი) შემოიფარგლა. ამ ძალებთან ურთიერთობისას კი დელიკატურობა არ იყო რეკომენდებული. ისჯებოდა არა ავადმყოფი, არამედ მასში ჩასახლებული უწმინდური არსება, რომლისთვისაც მაქსიმალური დისკომფორტი უნდა შეექმნათ, რათა მას ადამიანი დაეტოვებინა.

ასეთმა დამოკიდებულებამ თავის აპოთეოზს "კუდიანებზე ნადირობის" ავად სახსენებელ პერიოდში მიაღწია (XIV–XVII ს.). მთელ დასავლეთ ევროპაში გიზგიზებდა კოცონები, სადაც დაიწვა ასობით ათასი სატანით შეპყრობილი ქალი და ბავშვი. იყო სოფლები, სადაც არ დარჩა არც ერთი ქალი. უბედურები უმეტეს წილად აღიარებდნენ თავის კავშირს (ძალიან სწირად ეროტიული სასიათის) ეშმაკთან, ნაწილობრივ, "დაკითხვის" ულმობელი ხერხების გამო, რომელსაც ინკვიზიცია მიმართავდა, ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ თავად სჯეროდათ ამისა. ეს მათ ფსიქიკურ აშლილობაზე მეტყველებს. აქ იყვნენ ისტერიული ქალები, საკუთარი თავის დადანაშაულების ტენდენციის მქონე დეპრესიული ავადმყოფები, დეენის ბოდვით შეპყრობილი ფსიქოტიკები და სხვა. უადავოა, რომ აქ მოქმედებდა მასობრივი შთაგონების მექანიზმები, რამაც გზა გაუხსნა სადო-მაზოხისტური ხასიათის "ფსიქიკურ ეპიდემიას".

მიუხედავად ამ კოშმარისა, სწორედ მოცემულ პერიოდში იხსნება პირველი სპეციალური დაწესებულებები, სადაც ათავსებენ სულით ავადმყოფებს. ისინი ჯერ ვალენსიაში გაიხსნა (1409), ხოლო შემდეგ ესპანეთის

სხვა ქალაქებში. XVI საუკუნეში ასეთი დაწესებულებები ფუნქციონირებას იწყებს გერმანიაში, შვეიცარიაში, შვედეთში, საფრანგეთში. ცოტა უფრო აღრე ლონდონში ამოქმედდა პოსპიტალი ბედლამი, რომელიც საგარელი აღგილის სიმბოლო გახდა. ეს თავშესაფრები სამკურნალო ფუნქციას არ ასრულებდნენ. ისინი მხოლოდ ავადმყოფების იზოლაციას ემსახურებოდა და ნამდვილ საპყრობილეებს წარმოადგენდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დამნაშავე პატიმრებს ასე არაადამიანურად ალბათ იშვიათად ეპყრობოდნენ. და მაინც, ასეთი დაწესებულებების გახსნა წინ გადაგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა ჯერ ერთი იმიტომ, რომ მათი ალტერნატივა ხშირად წამება და დაწვა იყო, მეორეც იმიტომ, რომ მათი რეორგანიზაცია გზას უხსნიდა ნამდვილ ფსიქიატრიას. ამისთვის სულიერი აშლილობებისადმი მიდგომის ძირეული რეფორმირება იყო საჭირო. რადიკალური ნაბიჯები ამ მიმართულებით მხოლოდ XVIII საუკუნეში გადაიდგა. მანამდე არც ფსიქიკურ დაავადებათა ბუნების გარკვევის, არც მათი კლასიფიკაციისა თუ მკურნალობის კუთხით ბევრი არაფერი გაკეთებულა.

ფსიქოტიკების მისნევა ავადმყოფებად, რომელთაც ესაჭიროებათ სათანადო მოპყრობა და მკურნალობა, რეფორმატორული მოძრაობის არსს გამოხატავს. ეს პროცესი პრაქტიკულად ერთდროულად დაიწყო რამდენიმე მოწინავე ქვეყანაში და განმანათლებლობის ინტელექტუალური კლიმატის გამოხატულებას წარმოადგენდა. იტალიაში რეფორმები წამოიწყო ვინჩენცო ჩიორუჯიმ (1759-1820), გერმანიაში იოპან გოთფრიდ ლარგენმანმა (1768-1832), ინგლისში უილიამ ტიუკმა (1732-1822), ამერიკაში ბენჟამენ რაშმა (1745-1813).

ყველაზე ცნობილ რეფორმატორად ითვლება ფრანგი ექიმი **ფილიპე პინელი** (1745-1826). იგი სტუდენტობიდანვე ეზიარა თავისი ეპოქის მოწინავე უილოსოფიურ და სოციალურ იდეებს. 1792 წელს პინელი დიდი ენთუზიაზმით ჩაუდგა სათავეში სამთავრობო კომისიას, რომელსაც უნდა შეექმნა სამედიცინო სასიათის ფსიქიატრიული დაწესებულებები. მან მოხსნა ჯაჭვები ავადმყოფებს, გაათავისუფლა გარემო, დააწესა რეჟიმური და სამკურნალო პროცედურები. გარდა იმისა, რომ ყოველივე ეს დადებითად აისახა ავადმყოფების მდგომარეობაზე, გაჩნდა შესაძლებლობა ფსიქოზების ნამდვილ სურათზე დაკვირვებისა, რომელიც არ იყო სახეშეცვლილი არაადამიანური მოპყრობით გამოწვეული გაბოროტებითა თუ შიშით.

ეს დაკვირვებები საფუძველად დაედო ფსიქიკური დაავადებების პინელისეულ კლასიფიკაციას. მან გამოყო დაავადებათა ხუთი ჯგუფი: მანია, მანია ბოლვის გარეშე, მელანქოლია, ჭკუასუსტობა, იდიოტიზმი. ამ კლასიფიკაციის პრინციპი პათოფსიქოლოგიურია, ვინაიდან ავადმყოფობებს ერთმანეთისაგან განასხვავებს დარღვეული ფსიქიკური ფუნქციების რაგვარობა (ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება, ემოციური და ნებელობითი სფერო) და დარღვევის მოცულობა. მაგალითად, მანია მელანქოლიისაგან აზრითი კომპო-

ნენტის თავისებურებით განსხვავდება – ერთის ბოლოა გავრცელებულია მთელ გარემოცვაზე, მეორისა შეგლუდულია რაიმე საგნით ან საგანთა ჯგუფით. ორივე ამ დაავადებას აქვს სპეციფიკური ემოციურ-ნებელობითი ნიშანი. ეს ნიშანი გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს, მაგალითად მანიების შემთხვევაში, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ ან არ ჰქონდეთ აზრითი კომპონენტი (ბოდვა), მაგრამ მაინც მანიად რჩებოდეს. თავის მხრივ, ჭკუასუსტობა და იდიოტიზმი სწორედ ინტელექტუალური ელემენტის მოცულობით განისაზღვრება. ამ დარღვევათა მიზეზები ორი სახისაა: განმაწყობელი და მწარმოებელი. პირველთა შორის მოიაზრება შემეკვიდრეობა და არასწორი აღზრდა. მეორეთა შორის კი ისეთი ფაქტორები, როგორიცაა თავის ტრავმა, ციება, მენსტრუალური ციკლის უცაბედი დარღვევა, ლოთობა და ა.შ. მაგრამ ფსიქიკური აშლილობის ყველაზე ხშირი მიზეზი მორალური ტრავმაა. ეს მოსაზრებები გადმოცემულია პინელის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებში: "ტრაქტატი სულით დაავადებულთა შესახებ" (1801).

პინელის ყველაზე გამოჩენილი მოწაფე ჟან-ეტიენ-დომენიკ ესკიროლმა (1772-1840) თავისი მასწაელებელი შეცვალა სალპეტრიერის ცნობილ კლინიკაში, რომელიც მალე ნერვულ-ფსიქიკური დაავადებების მკურნალობისა და შესწავლის ევროპული მნიშვნელობის ცენტრი გახდა. მან გააგრძელა პინელის საზი, როგორც თვალსაჩინო პრაქტიკოსმა და ფსიქიატრიული საქმის ორგანიზატორმა და როგორც თეორეტიკოსმა. მან ოდნავ გააფართოვა და დააზუსტა პინელის კლასიფიკაცია. მოგვცა იდიოტიზმის პირველი მკაფიო აღწერა. ამასთან აღნიშნა, რომ ყოველგვარი გონებრივი ჩამორჩენა არ უნდა ჩაითვალოს იდიოტიზმად, ვინაიდან ინტელექტის დაქვეითება ზოგჯერ ინდივიდის თავის თავში მეტისმეტი ჩაღრმავებულობითაა გამოწვეული, რის გამოც იგი ვერ ახერხებს აღეკვატურად გაიაზროს მოცემული საკითხი. ესკიროლმა პირველმა გამიჯნა ერთმანეთისაგან *ჰალუცინაცია* (ეს ტერმინი მას ეკუთვნის) და *ილუზია*. ერთ შემთხვევაში ადამიანს ეჩვენება, რომ აღიქვამს ისეთ რამეს, რაც სინამდვილეში ამჟამად მასზე არ ზემოქმედებს, ხოლო მეორეში შემცდარად აღიქვამს იმას, რაც რელურად ზემოქმედებს მის გრძნობის ორგანოზე. ესკიროლმა შემოიტანა აგრეთვე *რემისიის და ინტერმისიის* ცნებები, დაადგინა სომატური სიმპტომების მნიშვნელობა ფსიქოზების დროს; მან დაუდო საფუძველი *პროგრესული დამბლის* შესწავლას. ყოველივე ეს გადმოცემულია ესკიროლის ორტომიან კლასიკურ თხზულებაში "სულიერი დაავადებები" (1838), რომელიც ნახევარი საუკუნის განმაელობაში სამაგიდო წიგნად იქცა ყველასთვის ვისაც ფსიქიკური აშლილობები აინტერესებდა.

ესკიროლი, ცხადია, ვერდს ვერ აუქცევდა ფსიქოზების ეტიოლოგიის პრობლემას. აქ მისი მიდგომა უფრო ფსიქოლოგიურია. სალპეტრიერში შესწავლილი შემთხვევების დიდ ნაწილში სულიერი დარღვევის მიზეზად იგი ფსიქო-ემოციურ ფაქტორს მიიჩნევს (ოჯახური უსიამოვნებანი, წარუმატებელი სიყვარული, შიში, ეჭვიანობა და ა.შ.). შედარებით მცირე წილი მოდის მემკვიდრეობასა და წმინდა სომატურ მიზეზებზე (მეან-გინეკოლოგიური პროცესები, ციება, სიფილისი და ა.შ.). ფსიქოლოგიური მიდგომა კიდევ უფრო

გამოკვეთილ ხასიათს იღებს XIX საუკუნის პირველი ნახევრის სხვა მკვლევარებთან, ე.წ. "ფსიქიკოსებთან". მათ დაუპირისპირდნენ ისინი, ვინც ფსიქოზების აღმოცენებაში სომატოგენურ ფაქტორებს ანიჭებდნენ უპირატესობას. მეცნიერების ისტორიაში ეს კოლიზია "ფსიქიკოსებისა და სომატიკოსების ბრძოლის" სახელით შეეყრა.

ფსიქიკოსებში საგანგებოდ უნდა აღინიშნოს რამდენიმე სახელი. ქრონოლოგიურად პირველი, ალბათ, გერმანელი ექიმი **იოჰან ქრისტიან რაილია** (1759-1813). იგი აბსოლუტურად დარწმუნებული იყო, რომ სულიერი აშლილობა თავისი არსით ფსიქოლოგიური მოვლენაა და, ამიტომაც, ფსიქოლოგიური ზემოქმედების გზით უნდა განიკურნოს. რაილმა შეიმუშავა ფსიქოლოგიური მკურნალობის გარკვეული მეთოდები და სისტემატური სახით გადმოსცა ისინი სპეციალურ შრომაში (1803). ეს, ალბათ ერთ-ერთი პირველი ტრაქტატია ფსიქოთერაპიაში.

ახალი ნაბიჯი ფსიქოლოგიის მიმართულებით გადადგა თავისი ეპოქის ერთ-ერთმა ყველაზე ორიგინალურმა მკვლევარმა, ესკიროლის მოწაფემ **ჟაკ-ჟოზე მორო დე ტურმა** (1804-1884). მას მიაჩნდა, რომ ფსიქიკური დაავადება ინდივიდის ერთი ორგანოს (ტვინი) ან სისტემის (ნერვული სისტემა) დაზიანების შედეგი კი არ არის, არამედ მთელი პიროვნების დაშლის გამოვლინებაა. იგი ცდილობდა გაეგო მთლიანი პიროვნების სატკივარი, გამოეაშკარავებინა სულიერი აშლილობის უხილავი ფსიქოლოგიური სურათი. ეინანდან იმდროინდელი ემპირიული ფსიქოლოგია სულიერებაში შეღწევის ერთადერთ გზად თვითდაკვირვებას ცნობდა, ამიტომ მოროც კოლეგებს ამ მეთოდის გამოყენებისკენ მოუწოდებდა. იმისთვის, რომ გაიგო რა არის ტკივილი, უნდა თვითონ განიცადო იგი; ასევე საჭიროა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, იქონიო იტროსპექტული ცნობები ბოდვის, დეპრესიის თუ ცნობიერების სხვა ფსიქოტური მდგომარეობის შესახებ. ამ უჩვეულო მდგომარეობების გამოსაწვევად მან მიმართა ჰაშიშს. "ხელოვნური სიგიჟის" ამ მეთოდის გამოყენებით რაილმა *კლინიკური ფსიქოფარმაკოლოგიის* ერთ-ერთი უუძემდებლის სახელი მოიპოვა და გზა გაუხსნა კვლევის იმ მიმართულებას, რომელიც ცნობიერების შეცვლილი მდგომარეობების შესასწავლად ნარკოტიკებს იყენებს.

იდეას, რომ ცნობიერების ყველა შეცვლილი მდგომარეობა ნათესაური ბუნებისაა მისი გამომწვევი მიზეზის მიუხედავად, თავისთავად მივყავართ დასკვნამდე, რომ ფსიქიკურ დაავადებასა და ჯანმრთელობას შორის არ არის პრინციპული განსხვავება (დღევანდელი ე.წ. *ანტიფსიქიატრიის* მთავარი თეზისი). ამიტომ ბუნებრივია, რომ მორომ ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო წერა მოსაზღვრე მდგომარეობების შესახებ. მოროს ზოგადად აინტერესებდა, თუ როგორაა მოცემული ირაციონალური ყოველდღიური რაციონალობის ფარგლებში. ამიტომ, ისიც ბუნებრივია, რომ მან თავისი ყურადღება *სიზმრებისკენ* მიმართა.

მორო, ალბათ, პირველი იყო ვინც პირდაპირ მიუთითა, რომ სიზმრებში შეიძლება ფსიქიკური დარღვევების გაგების გასაღები მოინახოს. სიზმრები, არსებითად, ჰალუცინაციებია, ბოდვის ანალოგებია, ამიტომ ისინი შეიძ-

ლება განვისილოთ, როგორც შემაკავშირებელი რგოლი ნორმალურ და არანორმალურ მდგომარეობებს შორის. სიზმარი არის ნორმალური ადამიანის დროებითი და ხანმოკლე ფსიქოპათოლოგია, გიჟი კი ცხადში ხედავს სიზმრებს. სიზმრებში, როდესაც ადამიანი გამორთულია გარემოსთან აქტიური ურთიერთობის პროცესიდან, თავისუფალ გამოსატულებას პპოულობს შინაგანი, სუბიექტური, ირაციონალური ძალები. ადამიანი ფსიქოზებშიც მოწყვეტილია რეალობას და თავის შინაგან სამყაროშია ჩაკეტილი. იგი ხედავს და წარმოიდგენს იმას, რაც თავად სურს და არა იმას, რაც სინამდვილეშია. ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ ამ შეხედულების ზოგიერთი მომენტი საკმაოდ წააგავს ფსიქოანალიტიკურ კონცეფციას.

მკვლევარისთვის, რომელიც ასე აახლოვებს ნორმალური ფსიქიკის შეცვლილ მდგომარეობას პათოლოგიურთან, ბუნებრივი უნდა ყოფილიყო გარკვეული მიმართებების დამყარება გენიალობასა და სიგიჟეს შორის. ამგვარი მიმართულების მოსაზრებები ფსიქოპათოლოგიის ისტორიაში იშვიათობას არ წარმოადგენს. მოროს მიხედვით, ფსიქიკის ამ ორი სტატუსის მსგავსება განპირობებულია აზროვნების პროცესის უაღრესად დიდი ინტენსიობით. ამან შეიძლება გენიალობამდე მიგვიყვანოს, მაგრამ, თუ ინტელექტუალური ფუნქცია დარღვეულია, მისი პიპერაქტიურობა სიგიჟის სურათს მოგვცემს.

გერმანულ ფსიქოპაიოლოგიაში და ფსიქიატრიაში ფსიქოლოგიურმა მიდგომამ მორალურ-რელიგიური მოძრაობის ხასიათი მიიღო. მისი სულისჩამდგმელი იყო გამოჩენილი ფსიქიატრი **იოპან ქრისტიან ჰაინროტი** (1773-1843). სულიერი დაავადება მას ცოდვის გამოვლინებად მიაჩნდა, რომლის საუკეთესო თერაპია სუფთა სინდისია. ჰაინროტმა ფსიქიკური მოვლენების სამი დონე გამოყო. დაბალ დონეს ინსტინქტური ძალები და გრძნობები შეადგენენ; მათი მიზანი სიამოვნებაა. მეორე დონე – "ეგო", ინტელექტის გამოყენებით ფუნქციონირებს. "ეგო" მხოლოდ საკუთარი თავით არის დაკავებული. მისი ძირითადი მიზანია გარე სამყაროსაგან დაცვა. უმაღლესი დონე, ანუ, ჰაინროტის ტერმინოლოგიით, "ზე ჩვენ", ეგოდან ვითარდება. ის უპირისპირდება საკუთარ თავზე მიმართული ეგოს მისწრაფებებს. გამოხატავს რა სინდისს ადამიანში, "ზე ჩვენ" ყველასთან არ არის სათანადოდ განვითარებული. სინდისის ხმა ზოგან ძლიერია, ზოგან სუსტი; ის ეგოიზმისა და გონიერების მუდმივი კონფლიქტის გამოძახილია. ფსიქიკური ავადმყოფობის წყარო ეგოს სინდისთან კონფლიქტია. შესაბამისად, განკურნების გზა ამ კონფლიქტის მინიმიზაციაა.

ადვილი დასანახია, რომ ჰაინროტის მიერ მოცემული ფსიქიკის დონეების დახასიათება, მათი ურთიერთმიმართება და სახელწოდებებიც კი დიდად წააგავს პიროვნების სტრუქტურის მოდელს (იდი, ეგო, სუპერ ეგო), რომელიც ერთი საუკუნის შემდეგ ჩამოაყალიბა ფროიდმა (იხ. 7.1.). თუ გავი-

თვალისწინებთ ფსიქოანალიზის გავლენას ფსიქოპათოლოგიასა და ფსიქიატრიაზე. განსაკუთრებით ინტერესი ჰაინროტის ფიგურის მიმართ. ამგვარ ინტერესს ამყარებს ის გარემოება, რომ ჰაინროტი თანამედროვე ფსიქოსომატური მედიცინის სათავეებთან დგას. მას ეკუთვნის ტერმინი *ფსიქოსომატიკა* და მკაფიოდ გამოხატული თვალსაზრისი ფსიქიკური ფაქტორის მნიშვნელობის შესახებ სხეულებრივი დარღვევების პათოგენეზში. ჰაინროტი ამ შემთხვევაშიც იქიდან ამოდის, რომ ადამიანი არის "ნებაზე მიშვებული არსება", დაჯილდოებული მოქმედების თვისუფლების უნარით, რომელმაც შეიძლება წაიყვანოს იგი როგორც თვითშენახვისკენ, ისე თვითგანადგურებისკენ. კეთილსა და ბოროტს შორის მოქცეულ ადამიანს უძნელდება არჩევანის გაკეთება და იტანჯება სინდისის ქენჯნით. ვინაიდან სული და სხეული ერთი არსის ორ ასპექტს წარმოადგენს, სულიერი კონფლიქტი არ შეიძლება არ აისახოს სხეულზე. ჰაინროტი სატყენად აღწერს ამ ვითარებას: "მუცლის ღრუს ორგანოებს თავისი ტანჯვის ისტორიის გადმოცემა რომ შეეძლოთ, გაგვაკვირვებდა იმის გაგება, თუ რა ძალით შეუძლია სულს მისი კუთვნილი სხეულის განადგურება. წყობიდან საბოლოოდ გამოსული საჭმლის მომნელებელი სისტემის ისტორიაში, ისევე როგორც ღვიძლისა და ელენთის დარღვეულ ქსოვილებში, საუღლე ვენის, ან დაავადებული საშვილოსნოსა და საკვერცხეების ავადმყოფობის ისტორიებში ჩვენ აღმოვაჩენთ ხანგძლივი, მანკიერი ცხოვრების დამადასტურებელ ნიშნებს, რომლებიც წარუშლელ ასოებად აღიბეჭდნენ ადამიანისთვის აუცილებელი უმნიშვნელოვანესი ორგანოების სტრუქტურაში".

ჰაინროტი დიდი პატივცემით სარგებლობდა მეცნიერთა შორის. მის მოსაზრებებს იმის თაობაზე, რომ სულიერი კონფლიქტი იწვევს სომატურ დაავადებებს, ზრდილობიანი ინტერესით უსმენდნენ, მაგრამ, როცა ცდილობდა დაემტკიცებინა ყველა დაავადების ცოდვილი ცხოვრებიდან წარმომავლობა, საბოგადოება ამას, რბილად რომ ვთქვათ, ეჭვით აღიქვამდა. ისე გამოდიოდა, რომ ვისაც სინდისი სუფთა ჰქონდა შეეძლო წყნარად ეძინა და არ ენაღვლა თავის ჯანმრთელობაზე. ჰაინროტს უყურებდნენ, როგორც რელიგიურ მორალისტს, რომელსაც დაავიწყდა, თუ რა დროში ცხოვრობს. მაგრამ, ჰაინროტის იდეების ფსიქონალიზთან კავშირსაც რომ თავი დავანებოთ, დღეს უკვე ეჭვს აღარ იწვევს, რომ სწორედ ჰაინროტმა შემოიტანა მედიცინაში ის პრინციპები, რომლებიც ფსიქოსომატიკის არსებით მხარეს გამოხატავენ. საჭირო იყო ამ პრინციპების დანახვა რელიგიურ-მორალისტური ბურუსის მიღმა და მათი დაკონკრეტება რეალური მექანიზმების დონეზე. აქამდე მეცნიერება საკმაოდ გვიან მივიდა, თუმცა სხვა "ფსიქიკოსებმა" გარკვეული ნაბიჯები გადადგეს ამ მიმართულებით. მათ შორის ყველაზე ცნობილია კარლ ვილჰელმ იდელერი (1795-1860) და ფრიდრიხ ედუარდ ბენეკე (1798-1858).

როგორც ვხედავთ, ფსიქოლოგიური თვალსაზრისის ლოგიკამ მკვლევარები ფსიქოსომატიკამდე მიიყვანა (ანუ იმის მტკიცებამდე, რომ ფსიქიკური ფაქტორი განაპირობებს არა მხოლოდ სულიერ, არამედ სხეულებრივ პათოლოგიებსაც). ორგანული თვალსაზრისიც, თავის უკიდურეს გამოხატულე-

ბაში, იმ დაშვებამდე მივიდა, რომ ორგანიზმის სხვადასხვა ფუნქციონალური სისტემის დაზიანება შეიძლება ფსიქიკური აშლილობის მიზეზი გახდეს. ასე ფიქრობდა "სომატიკოსების" ბანაკის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი მაქსიმილიან იაკობი (1775-1858). იგი ამტკიცებდა, რომ ფსიქოზური სიმპტომატიკა მხოლოდ ტვინთან არ არის დაკავშირებული, ის შეიძლება გამოიწვიოს ნერვული სისტემის სხვა რგოლების, სისხლძარღვების, ძვლოვან-კუნთური, საჭმლის მომნელებელი, გამრავლებისა თუ სხვა სისტემის პათოლოგიამ. იაკობის პოზიციას სრულად გამოხატავს აფორიზმი: "სულიერი დაავადებები არსებითად მთელი ორგანიზმის დაავადებებია". ნათელია, რომ ეს პოზიცია აზვიადებს შინაგანი ორგანოების დაზიანების მნიშვნელობას და აკნინებს თავის ტვინის როლს ფსიქიკური დაავადებების წარმოქმნაში.

ამ მიდგომას დაუპირისპირდნენ *ნეიროფსიქიატრიული* მიმართულების მკვლევარები, მათ შორის ცნობილი გერმანელი მკვლევარი ალბერტ ცელერი (1804-1877), რომელიც ნორმალურ და არანორმალურ ფსიქიკურ ფუნქციონირებას ცალსახად უკავშირებდა ტვინს და აუცილებლად თელიდა სულით ავადმყოფთა ტვინის პათანატომიურ შესწავლას. განსაკუთრებული წვლილი ამ თვალსაზრისის დამკვიდრებაში მიუძღვის გამოჩენილ მკვლევარსა და მკურნალს **ვილჰელმ გრიზინგერს** (1817-1868). მისი ეპოქალური თხზულება "ფსიქიკურ დაავადებათა პათოლოგია და თერაპია" (1845) ევროპის თითქმის ყველა ენაზე ითარგმნა. გრიზინგერი ამტკიცებდა, რომ სულიერი დაავადებების შესწავლა უნდა იწყებოდეს იმ კონკრეტული ორგანოს დადგენიდან, რომლის დაზიანებაც განაპირობებს აღნიშნულ დაავადებებს. ფიზიოლოგიური და პათოლოგიური გამოკვლევები უჩვენებს, რომ ასეთი მხოლოდ ტვინი შეიძლება იყოს. "ფსიქიატრია ფსიქოლოგიის გარეშე" უნდა ეყრდნობოდეს ტვინის სტრუქტურებისა და იქ მიმდინარე პროცესების ცოდნას. ამ პროცესებს კი, იმდროინდელი ფიზიოლოგიის მონაცემებით, რეფლექსური მექანიზმი უდევს საფუძვლად (იხ. 4.1.).

გრიზინგერმა დასრულებული სახე მისცა "ერთიანი ენდოგენური ფსიქოზის" კონცეფციას, რომლის ძირითადი დებულებები მისმა მასწავლებელმა ცელერმა გამოთქვა. ამ შეხედულების თანახმად, ყოველი ფსიქოზი წარმოადგენს ერთიან ავადმყოფურ პროცესს, რომელიც იწყება აფექტური სფეროს აშლილობით (პირველადი პროცესები) და სრულდება ნებელობითი და ინტელექტუალური ფუნქციების დარღვევით (მეორადი პროცესები). მანია, მელანქოლია, ბოდვა და ჭკუასუსტობა ერთი დაავადების განვითარების სხვადასხვა ეტაპებად განიხილება. გრიზინგერს მიაჩნდა, რომ მის ხელთ არსებული პათანატომიური მონაცემები ამ თვალსაზრისს ამტკიცებდა. პირველი ჯგუფის ფსიქოტური მდგომარეობების დროს ტვინში იშვიათად აღინიშნება სუსტი და შექცევადი ხასიათის მქონე პათოლოგიური ცვლილებები. მეორე ჯგუფის მდგომარეობების შემთხვევაში, განსაკუთრებით ავადმყოფობის დამასრულებელ სტადიაზე, პათოლოგიური ცვლილებები ღრმა და შეუქცევად ხასიათს იღებს. შესაბამისად, გამოთქმულია მოსაზრება, რომ სულიერი დაავადების ბოლომდე განკურნება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა

ის პირველადი ანომალური პროცესების დონეზე მიმდინარეობს (იპოქონდრია, მელანქოლია, მანიაკალური მდგომარეობა და ა.შ.). მეორადი პროცესები გამოიხატება ბოდვის, მთლიანი დეზორიენტაციის, იდიოტიზმისა და კრეტინიზმის სახით და სრულდება საერთო დამბლით.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ტვინის ანატომიურმა, ფიზიოლოგიურმა, პისტოლოგიურმა და ა.შ. კვლევამ ახალი მონაცემებით გაამდიდრა ფსიქოზების ეტიოლოგიის ორგანული თვალსაზრისი, უფრო ზუსტად, მისი ნეიროფსიქიატრიული მიმართულება. თავისი დროის Წამყვანი ნეეროლოგი და პისტოპათოლოგი თეოდორ მაინერტი (1833-1892) სულიერი აშლილობების მიზეზს ტვინის პათოლოგიაში სედავდა. იგი დარᲬმუნებული იყო, რომ ტვინის სისხლმომარაგების ნაკლებობა აგზნების მდგომარეობას იᲬვევს, ხოლო მისი სიჭარბე – დეპრესიას. ფსიქიკური ფუნქციების ცენტრების აღმოჩენა და მთლიანად *ლოკალიზაციონისტური* თვალსაზრისი ასევე ამყარებდა ფსიქოზების ეტიოლოგიის ცერებრალურ მოდელს (იხ. 4.1.). მაინერტის მოᲬაფემ კარლ ვერნიკემ (1848-1905) სახელი გაითქვა მეტყველების ცენტრის აღმოჩენით, თუმცა ფსიქოპათოლოგიის თვალსაზრისით, არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი სხვა აღმოჩენებიც, სახელდობრ ის, რომ თავის ტვინის ორგანული დაზიანება იᲬვევს არა მთლიანად მეხსიერების ფუნქციის მოშლას, არამედ მისი ერთ-ერთი ფორმის – ხანმოკლე მეხსიერების დაკარგვას. ასე გახდა შესაძლებელი ტვინის ორგანულ დაზიანებასთან დაკავშირებული ფსიქოზების გამიᲯნა Წუნქციონალურისაგან. დიდია ვერნიკეს დამსახურება ისეთი მენტალური დარღვევების შესᲬავლაში, როგორიცაა ტვინის ქსოვილების დაბერების შედეგად გამოᲬვეული (სენილური) აშლილობები და ტოქსიკური (კერძოდ ალკოჰოლური) ფსიქოზი.

ეს უკანასკნელი, თავისი გავრცელებულობის გამო, აღრეც იᲬვევდა ინტერესს. ის გარმოება, რომ ქიმიური ნივთიერებები აზიანებს ნერვულ სუბსტრატს და სულიერი აშლილობის მიზეზი ხდება, ორგანული თვალსაზრისისთვის მნიშვნელოვან უაქტობრივ მონაცემს Წარმოადგენს. ეს მონაცემი კიდევ უფრო გაამყარა **ბენედიქტ ავგუსტ მორელმა** (1807-1872), როცა ის განიხილა თავისი ცნობილი *დეგენერაციის ან მემკვიდრეობითი გადაშენების კონცეფციის* კუთხით. საინტერესოა, რომ თუ დარვინი მემკვიდრეობას ევოლუციის ანუ პროგრესის სამსახურში აყენებდა, მორელი მას დეგენერაციის ანუ რეგრესის მექანიზმად მოიაზრებდა. მორელს მიაჩნდა, რომ სხვადასხვა ბიოსოციალურმა Წაქტორმა (ალკოჰოლი, ნარკოტიკები, ინᲬექციური დაავადებები, მავნე პროᲬესიული გარემო და ა.შ.) შეიძლება გამოიᲬვიოს ინდივიდის Წიზიკური და Წსიქიკური დეგენერაცია, რომელიც თაობიდან თაობაში გადადის და ძლიერდება. პირველ თაობაში ეს შეიძლება აისახოს მხოლოდ ნერვულ ტემპერამენტზე (გაღიზიანებადობა, Ჭირვეულობა, თავდაუᲭერელი ხასიათი და სხვა); მეორე თაობაში ეს ნიშნები ძლიერდება, აღინიშნება სისხლის ჩაქცევისა და ნევროზების (ეპილეᲬსია, ისტერია, იპოქონდრია) შემთხვევები; მესამე თაობაში სულიერი დაავადებებისადმი თანდაყოლილი მიდრეკილება გამოკვეთილ ხასიათს იღებს; მეოთხე თაობა უკვე სრულიად დეგენერირდება, როგორც მორალურად და ინტელექტუ-

ალურად, ისე ფიზიკურად. შემდგომ თაობებში დემენტურობა (ჭკუასუსტობა) ისეთ ხარისხს აღწევს, რომ ოჯახი არსებობას წყვეტს. მორელმა აღწერა გადაშენების გზაზე მყოფი ინდივიდები და აჩვენა, რომ თანდაყოლილი დეგენერაციის ნიშნები ელინდებოდა საკმაოდ ადრე, პუბერტატში. ამ დაავადებას მან უწოდა *ნაადრევი ჭკუასუსტობა* (demence precoce) და დაამკვიდრა ცნება, რომელიც შემდგომში ნოზოლოგიის საფუძველი გახდა.

თავის ტვინის პათოლოგია შეიძლება ინფექციური წარმოშობისაც იყოს. ორგანული თვალსაზრისის დიდ წარმატებად ითვლება *პროგრესული დამბლის* გამომწვევი მიზეზის დადგენა. პროგრესული დამბლა ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სნეულებად ითვლებოდა (ფსიქიატრიული პაციენტების დაახლოებით 10%). ის მეცხრამეტე საუკუნეში ხერიოზულ მოტორულ და ფსიქიკურ დარღვევებში (შესამჩნევი ჭკუასუსტობა, ბოდვა ან მძიმე იპოქონდრიული დეპრესია), რაც რამდენიმე წელიწადში პაციენტის სიკვდილით მთავრდებოდა. ამ დაავადებას მთელი საუკუნე ებრძოდნენ და სწავლობდნენ. XIX საუკუნის მეორე ნახევარში გამოითქვა ვარაუდი, რომ ის სიფილისთან არის დაკავშირებული. საუკუნის მიწურულს ეს ვარაუდი ექსპერიმენტულად დადასტურდა ცნობილი ვენელი ფსიქიატრისა და ნერვოპათოლოგის რიხარდ ფონ კრაფტ-ებინგის (1840-1902) მიერ (პროგრესული დამბლით დაავადებულებს შეუყვანეს სიფილიტური წყლულიდან აღებული ნირქი, მაგრამ მათ არ განუვითარდათ მეორადი სიფილისის ნიშნები, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ ისინი უკვე იყვნენ ინფიცირებულნი). შემდგომში ავადმყოფების ტვინში აღმოაჩინეს მკრთალი სპიროქეტა და მალე იპოვეს ინფექციასთან ბრძოლის მეთოდიც (ცივება და მაღალი სიცხე კლავს სპიროქეტას, ამიტომ ავადმყოფებს ასნეულებდნენ მალარიით, რასაც მდგომარეობის შესამჩნევი გაუმჯობესება ან სრული გამოჯანმრთელება მოსდევდა). ახლა ინფექციასთან ბრძოლის ბევრად ეფექტური საშუალებები არსებობს (მაგალითად ანტიბიოტიკები), მაგრამ მალარიით მკურნალობა ისტორიაში შეიდა, როგორც მედიცინის მიერ ფსიქიკურ დაავადებაზე თვალსაჩინო გამარჯვების ფაქტი.

არსებითად ორგანულ თვალსაზრისზე იდგა ერთ-ერთი უმთავრესი ფიგურა ფსიქოპათოლოგიისა და ფსიქიატრიის ისტორიაში **ემილ კრეპელინი** (1856-1926). იგი სწავლობდა ვიურცბურგსა და ლაიფციგში, სადაც ვუნდტის მიერ დაირწა ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის აკვანი. თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის პირველ ეტაპზე (ჰაიდლბერგში) კრეპელინიც გატაცებული იყო ფსიქიკური პროცესების ექსპერიმენტული შესწავლით, მაგრამ ვუნდტისაგან განსხვავებით, მას თავიდანვე აინტერესებდა ნორმიდან გადახრის შემთხვევები და მათ გამოსაწვევად ექსპერიმენტებში იყენებდა სხვადასხვა სახის ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს. ასეთი გზით იკვლევდა იგი გონებრივ მოქმედებას, მეხსიერებას, ყურადღებას. მათი ფუნქციონირების ნაყოფიერების დასადგენად კრეპელინმა შექმნა ფსიქოლოგიური ტესტების ერთ-

ერთი პირველი ვერსია (იხ. 6.2.). იგი პარალელურად შეისწავლიდა ტოქსიკური მდგომარეობების ნეიროფიზიოლოგიურ ასპექტებს. შემდგომში, ეუნდტის რჩევით, მან მიელი ყურადღება კლინიკურ ფსიქიატრიულ კვლევაზე გადაიტანა, რაც გულისხმობდა ფსიქოპათოლოგიური ფენომენების დინამიკის შესწავლას, სხვადასხვა სიმპტომების გარკვეულ ფსიქიკურ დაავადებასთან (ნოზოლოგიასთან) დაკავშირებას და ამ დაავადებათა კლასიფიკაციას. მიუნხენში, სადაც კრეპელინი კვლევით ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა, კოლოსალური სამუშაო ჩატარდა ამ მიმართულებით. მისი შედეგია კრეპელინის საყოველთაოდ ცნობილი ფსიქიკური დარღვევების კლასიფიკაცია, რომელმაც ეპოქა შექმნა მეცნიერებაში და საფუძვლად დაედო იმ კლასიფიკაციას, რომელიც დღეს არის მიღებული. კრეპელინმა ერთ ჯგუფში გააერთიანა სხვადასხვაგვარი აშლილობები, რომელთაც მორელის მიერ შერჩეული სახელწოდება "ნაადრევი ჭკუასუსტობა" მიაკუთვნა. ფაქტობრივად, აქ შედიოდა ფსიქიკური დარღვევების ის ფორმები, რომელთა უმეტესობაც ამჟამად *შიზოფრენიის* ტერმინის ქვეშ ერთიანდება. მათგან გაიმიჯნა ე.წ. *მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზი.* ამ უკანასკნელისთვის დამახასიათებელია ღრმა დეპრესიის, უკიდურესად აგზნებული და სრულიად წყნარი მდგომარეობის პერიოდული მონაცვლეობა. მთავარი ის არის, რომ ამ შემთხვევაში არ ვითარდება სპეციფიკური ჭკუასუსტობა და შესაბამისი მკურნალობით მდგომარეობა შეიძლება მთლიანად გამოსწორდეს. პირველი ჯგუფის დაავადებათა შემთხვევაში პროგნოზი ფატალურია. კლასიფიკაცია მოიცავს სხვა სახის ფსიქიკურ დარღვევებსაც (მაგ., ეპილეფსია, ისტერია, ფსიქოპათია, ინფექციური ფსიქოზები, სიბერით თუ თავის ტვინის სხვადასხვა ტრავმით გამოწვეული აშლილობები და სხვა). მათზე აქ, ცხადია, ვერ შევჩერდებით. მთავარია წარმოვადგინოთ პრინციპი, რომელიც კლასიფიკაციას უდევს საფუძვლად და კრეპელინის კონცეფციის მთელ იდეოლოგიას გამოხატავს: "სულიერი დაავადება არის კანონზომიერი ბიოლოგიური პროცესი, რომელიც დაყოფილია რამდენიმე სახეობად. თითოეულ მათგანს აქვს კონკრეტული ეტიოლოგია, დამახასიათებელი ფიზიკური და ფსიქიკური ნიშნები, ტიპური მიმდინარეობა, პათოანატომიური საფუძველი და თვით ამ პროცესის არსთან მჭიდროდ დაკავშირებული წინასწარ განსაზღვრული გამოსავალი".

კრეპელინის კლასიფიკაცია არ იყო უნაკლო და ბუნებრივია, რომ თავიდანვე ბევრი კრიტიკოსი გამოუჩნდა. ამ კრიტიკის შედეგად მან გარკვეული ცვლილებები განიცადა, და საბოლოოდ, ახალ, თანამედროვე კლასიფიკაციაში გადაიზარდა. კრეპალინის კლასიფიაკციის ისტორიული როლი უდიდესია. ფსიქოპათოლოგიაში ფსიქიკურ დარღვევათა ფორმების კლასიფიცირების ამოცანა უძველესი დროიდან იდგა. კლასიფიკაცია, თავისთავად, ემპირიული მასალის მოწესრიგებაზე მიმართული ანალიტიკური პროცესია, მაგრამ მას, თეორიულთან ერთად, უზარმაზარი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. თუ ტაქსონომია სწორია, მაშინ ერთად დაჯგუფებულ პათოფსიქოლოგიურ მდგომარეობებს მსგავსი მიზეზები ექნებათ, ასევე ერთნაირი იქნება მათი პროგნოზი და მკურნალობა. რაც უფრო კარგია კლასიფიკაცია, მით უფრო ზუსტია დიაგნოსტიკა და ეფექტურია მკურნალობა. კრეპელინის კლა-

სიფიკაცია ეპოქალური მნიშვნელობის სისტემა იყო, რომელმაც უზარმაზარი გაელენა მოახდინა მთელ ფსიქოპათოლოგიასა და ფსიქიატრიაზე.

მიუხედავად ამისა, კრეპელინის სწავლებას, ზოგადად, არაერთგვაროვნად აფასებენ, რაც განპირობებულია მკელევართა პოზიციით. ისინი, ვინც უკიდურეს ორგანულ, ნეეროლოგიურ თვალსაზრისს იზიარებენ (მაგ., მაინერტის და ვერნიკეს სკოლები), კრეპელინს იმას საყვედურობენ, რომ მისი ფსიქოპათოლოგია არის "უტყვინო", ტვინის გარეშე, ვინაიდან მთელი აქცენტი გადაგანილი აქვს კლინიკურ ფაქტებზე და ნაკლებ ყურადღებას უთმობს პათანატომიურ მონაცემებს. კრეპელინი მარილაც ერიდებოდა გამოეთქვა დაუსაბუთებელი ჰიპოთეზები ფსიქიკური დაავადებების ნერვულ სუბსტრატთან დაკავშირებით, მაგრამ აბსოლუტურად დარწმუნებული იყო ამ დაავადებათა პათოგენეზის ორგანულ ბუნებაში. ეს საფუძველს აძლევს ფსიქოლოგიურ თვალსაზრისზე მდგომ ანალიტიკოსებს შეაფასონ კრეპელინის მოღვაწეობა, როგორც ანგიფსიქოლოგიური, ნეიროფიზიოლოგიური მიდგომის კულმინაცია (ფ. ალექსანდერი).

• • •

ახლა კი მოკლედ *ფსიქოთერაპიის* ისტორიაზე შევჩერდეთ. როგორც ცნობილია, ფსიქოლოგიური ცოდნის განვითარების იმ ეტაპს, როცა ფსიქიკად მიჩნეული იყო მეტაფიზიკური რეალობა – სული, მეტაფიზიკური ფსიქოლოგია ეწოდება. ფსიქოლოგიის ისტორიკოსები ამ ეტაპს ხშირად აღწერენ, როგორც არამეცნიერული ცნობიერების მრავალსაუკუნოვან შეცდომას, მაგრამ ფსიქოთერაპიისთვის ამ პერიოდის ასეთი ცალსახა შეფასება მართებული არაა.

მეტაფიზიკურ ფსიქოლოგიას თავისი ფსიქოთერაპიული პრაქტიკა ჰქონდა და აქვს დღესაც – სხვადასხვა სახის შემლოცველები, ნათელმხილველები თუ სექტები, რომლებსაც ადამიანის გამოჯანმრთელების პრეტენზია აქვთ, მეტაფიზიკური ფსიქოლოგიის მოდელებს ეყრდნობიან. მეტაფიზიკური "თეორიის" მოხსნის შემდეგ ფსიქოლოგიური ტექნიკები, რომლებიც მეტაფიზიკურ პარადიგმაში აღმოცენდა ათეული საუკუნეების წინ, საკმაოდ პროდუქტიულია ხოლმე თანამედროვე ფსიქოთერაპიისთვის, მათი პოტენციალი ბოლომდე გახსნილი არც არის.

პირველყოფილ კულტურებში და დღესაც სულის გაგებას ყველგან ერთი საერთო აქვს - სული მიჩნეულია სხეულისა და ყველაფერ სხეულებრივისაგან დამოუკიდებელ რეალობად, სადაც არ მოქმედებს ბუნების (ბერძნ. - phisis) კანონები - სივრცის, დროის, ენერგიის, კაუზალობის, სიცოცხლისა და სიკვდილის. შესაბამისად, ამ რეალობას მეტაფიზიკურს უწოდებენ (ბერძნ. meta ta phisis – ფიზიკის, ბუნების იქითა, ზედა).

რელიგიის ისტორიის პირველი სტადიის აღსანიშნად ტერმინი "ანიმიზმი" (ლათ. anima, animus-იდან, რაც სამშვინველს და სულს ნიშნავს) მეცნიერებაში ედუარდ ბერნეტ ტეილორმა (1832-1917) დაამკვიდრა. იგი ანიმიზმს, ანუ სულთა არსებობის რწმენას თვლიდა "რელიგიურობის მინიმუმად". ანიმიზმი გულისხმობს, რომ გასულიერებულია ყველაფერი, განსაკუთრებით ის, რასაც ცვლილების უნარი გააჩნია - ადამიანი, მისი სხე-

ულის ნაწილები, ცხოველები, მცენარეები, გეოგრაფიული ადგილები, ბუნების ძალები თუ ციური სხეულები.

საყურადღებო სურათს ქმნის სხვადასხვა ენაში არსებული "სულის" ომონიმები (ერთი სიტყვით, სხვადასხვა მნიშვნელობის აღნიშვნა). ბევრგან სული და ჩრდილი ერთი სიტყვით აღინიშნება, რადგან ითვლება, რომ ადამიანის სული მის ჩრდილშიცაა (მაგ.,ამერიკელი ინდიელების ბასუტუს ტომში მიაჩნიათ, რომ თუ ნიანგმა კბილები ჩაასო მდინარის პირას მიმავალი ადამიანის ჩრდილს, იგი ადამიანსაც ჩაითრევს). ამ წარმოდგენების უონზე დამდუპველად ითვლება ჩრდილის დაკარგვა. ცნობილია ევროპულ და აღმოსავლურ ენებში დაფიქსირებული კავშირი (მათ შორის, ომონიმია) სულსა და სუნთქვას შორის (შეადარეთ სულის და სუნთქვის აღმნიშვნელი სიტყვები ინგლისურ და რუსულ ენებში; ასევე - ქართულშიც, სადაც "სუნთქვის" სინონიმებია "სულის კვეთა" და "სულთქმა"). სუნთქვასთან სულის დაკავშირება ბუნებრიეია, რამდენადაც სუნთქვა სიცოცხლის, ანუ სულიერობის ნიშანია.

ყველა ტიპის რელიგიური კულტურა მიიჩნევს, რომ სხეულში სულის ჩასახლება აძლევს სხეულს სიცოცხლეს. შესაბამისად, მიაჩნდათ, რომ სიკვდილი სხეულისაგან სულის სამუდამო წასვლაა. სულის დროებით წასვლად ითვლება ავადმყოფობა. ავადმყოფობის ეს ზოგადი დიაგნოზი მდგომარეობის გართულებისას დაკონკრეტებას მოითხოვს - უნდა დადგინდეს ჯერ ის, თუ რომელმა სულმა მიატოვა სხეული და შემდეგ ის, თუ სად არის ამყამად იგი (უარსოდ არის გავრცელებული რწმენა, რომ ერთ არსებაში სხვადასხვა სულია – სიცოცხლის, საფლავის თავზე მოტრიალე, ჩრდილის, ანარეკლის და ა.შ.). ავადმყოფობასთან და მის დიაგნოზთან კავშირშია სიზმარი და მისი გააზრება. სიზმარს, ავადმყოფობას და სიკვდილს ერთი მიზეზი აქვს – სულის წასვლა სხეულიდან. სიზმარს თითქმის ყველა არქაული კულტურა მიიჩნევს სხეულიდან სულის დროებით გასვლად. თუ დიდხანს არ დაბრუნდა ძილის დროს წასული სული, ადამიანი შეიძლება დაავადდეს ან დაიღუპოს.

სხეულს სული ტოვებს ტრანსის მდგომარეობაშიც, რაც ანიმისტური აზროვნებისთვის არსებითად არ განსხვავდება ძილისაგან. ტრანსში სხეულიდან გამოსული სულის მოგზაურობის თემა ხშირად გეხვდება სხვადასხვა ხალხის მითოლოგიასა და ფოლკლორში, რაც მიუთითებს ამ წარმოდგენის არქაულობაზე. მოსაზრებიდან, რომ სულებს სიზმრის ან მოჩვენების სახით ხედავს ადამიანი, ლოგიკურად გამომდინარეობდა, რომ სულს აქვს იერი. ანიმისტურ კულტურაში ითვლება, რომ სხეულისაგან გათავისუფლებული სული ისევ სხეულის იერს იღებს და სწორედ ამის წყალობით არის ცნობადი. ამდენად, სული ამქვეყნიური გარეგნული ნიშნების მატარებელი არის იმ ქვეყნად.

სული არამარტო ამქვეყნიური ფიზიკური თავისებებით ხასიათდება, არამედ ურთიერთობებითაც. იმქვეყნად ამქვეყნიური ურთიერთობების გაგრძელების იდეა უდევს საფუძვლად ჩვეულებას, რომ მიცვალებულს საფლავში ჩააგანონ საგნები, რომელსაც იგი ამქვეყნად ხმარობდა. მიცვალებულისთვის

სხვა ადამიანების მსხვერპლად შეწირვაც დაკავშირებულია რწმენასთან, რომ შეწირულთა სულები მიცვალებულთან ისეთივე ურთიერთობას გააგრძელებენ, რაც ამქვეყნად ჰქონდათ. ამიტომ, მსხვერპლად იწირებოდნენ მიცვალებულის მსახურები, მონები, ცოლები. ანიმისტური ცნობიერება ცხოველზე სშირად ისევე მსჯელობს, როგორც ადამიანზე, რისი რადიკალური გამოვლენაც არის *ტოტემიზმი*. ხშირად ისევე, როგორც ცნობილ ადამიანს მიეწერება ხოლმე ვვარის დაწყება, წინაპრად მოიაზრება ცხოველი, უფრო ზუსტად - ცხოველის სული. ეს ტოტემისტური დამოკიდებულება შემდეგ ცხოველის გაღმერთების საფუძველი ხდება, რისი ელემენტიც არის თითქმის ყველა რელიგიაში.

განხილულ მასალაში ყველაზე უფრო საინტერესო არის ის, რითაც განსხვავდება სულის ცნება ანიმისტურ კულტურაში გვიანდელთან შედარებით. ერთ-ერთ ამგვარ განსხვავებად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ ანიმისტური ცნობიერებისთვის სული ისევე არის მოცემული ემპირიულ გამოცდილებაში, როგორც ნებისმიერი სხვა რეალობა, იგი დაკვირვებადია, კერძოდ - მას ხედავენ სიზმრებში და ჰალუცინაციებში. ამიტომ სულს მიეწერება ის ნიშნები, რითაც ხასიათდება სიზმრისეული რეალობა – მოელენების განვითარება ზებუნებრივი წესით. ზოგიერთი მკვლევარი (ე.ტეილორი) ამ საერთო ფსიქოლოგიური საფუძველით ხსნის იმას, რომ სულის შესახებ წარმოდგენები არსებთად ერთნაირია ერთმანეთისაგან იზოლირებულ განსხვავებულ კულტურებში.

ანიმისტური მსოფლმხედველობიდან ლოგიკურად გამომდინარეობდა ცხოერების სტრატეგია - სხეულთა სამყაროსთან დაკავშირებული პრაქტიკული პრობლემების გადაჭრისთვის ადამიანს უნდა მოეხდინა გავლენა სულთა სამყაროზე, რომელიც შემდეგ შეცვლიდა ფიზიკურ სინამდვილეს. ამ გზით ცდილობდა ადამიანი მიეღო მისთვის სასურველი ამინდი, ნაყოფიერი ნადირობა ან მოსავალი. ამავე გზით ებრძოდა იგი დაავადებებს და სიკვდილსაც კი. მეტაფიზიკური სინამდვილის ასეთი დაკავშირება პრაქტიკულ პრობლემებთან უკვე გულისხმობდა, რომ უნდა შექმნილიყო სულთა სამყაროსთან ურთიერთობის "ტექნოლოგია" და მისი შემსრულებლის სოციალური ინსტიტუტი. ამგვარი ინსტიტუტი შეიქმნა. სხვადასხვა კულტურაში მას სხვადასხვა სახელი ჰქონდა - ჯადოქარი, მაგი, შამანი, მკურნალი და ა.შ. მსჯელობის გაადვილებისთვის მას შამანი ვუწოდოთ, რადგან ამ პრაქტიკის სახელად დღეს დამკვიდრებულია ტერმინი "შამანიზმი" (გვიანდელ კულტურებში მეტაფიზიკურ სამყაროსთან ურთიერთობა ღვთისმსახურების ფუნქცია გახდა).

შამანიზმი მოიცავს ექსტაზის არქაულ ტექნიკას, ამასთანავე - მისტიკას, მაგიას და რელიგიურ მითოლოგიას (თუმცა, რომელიმე კონკრეტულ რელიგიას შამანიზმი არ განეკუთვნება). შამანი მაგიც არის და ექიმბაშიც. იგი მკურნალობს, როგორც ექიმბაში, და, ამავ დროს, ფაკირისეულ სასწაულებსაც უჩვენებს. ფსიქოთერაპიის თვალით თუ შევხედავთ, სავარაუდოა, რომ შემთხვევითი არ უნდა იყოს სასწაულმოქმედის და მკურნალის ერთ პიროვნებაში გაერთიანება - სასწაული აჩენს რწმენას, რომელიც სჭირდება ფსიქოთერაპიულ მკურნალობას. შამანი ქარიზმატული პიროვნებაა, რომელ-

საც აქვს ტრანსში ჯადასელის, აეადმყოფთა განკურნების, ბუნების ძალების მართვის, ცხოველებსა და ფრინველებთან ურთიერთობის, თუ მიცვალებულთა სამყაროსთან კონტაქტის უნარი. შამანის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია - მკურნალობა, წარმოდგენილია, როგორც შამანის ან მისი დამხმარე სულების ბრძოლა აეადმყოფობის სულთან. აეადმყოფობის სულს შამანი ედავება, ეჩხუბება, აშინებს, შეულოცავს და ა.შ. ითვლება, რომ ამ გზით შამანი ადამიანის სულს ართმევს აეადმყოფობის სულებს ("ბატონებს") და უბრუნებს პატრონს, რაც ამ უკანასკნელის გამოჯანმრთელებას იწვევს. ასე თვლის შამანიც და პაციენტიც. ამ თვალსაზრისს ორივე მაიგანში აყალიბებდა მითოლოგია. მითოლოგიის ერთიანობის მიუხედავად შამანსა და პაციენტს შორის არის განსხვავება - შამანის მოსათხრობიდან გამომდინარე აეადმყოფი გულისხმობს, რომ შამანი იბრძვის მისი სულისთვის, ხოლო ტრანსში მყოფი შამანი უშუალოდ ხედავს და განიცდის ამ "ბრძოლას".

ყველა ექიმბაში, ან ყველა მაგი შამანი არაა. შამანს თავის სპეციალიზაცია აქვს. "შამანი არის სპეციალისტი ტრანსისა, რომლის დროსაც მისი სული, როგორც ითვლება, ტოვებს სხეულს იმისთვის, რომ ავიდეს ზეცაში ან ჩაეშვას ჯოჯოხეთში" (ელიადე). შამანიზმი უფრო მისტიკური ფენომენია, ვიდრე რელიგიური, რომელიც ბევრ რელიგიაშია მოცემული ექსტატური კულტურის სახით. შამანურ საზოგადოებაში ეპილეფსიური ან ისტერიული შეტევა ღმერთებთან შეხვედრად არის მიჩნეული. ბევრგან ადამიანი შამანად ხდება მეხის დაცემის შემდეგ. ექსტატური გამოცდილების ქვეშ იგულისხმება შთამბეჭდავი სიზმრების, ტრანსის, ჰალიცუნაციების და სხვა ამგვარის გამოცდლება. შამანად გახდომის კანდიდატი აეადმყოფური ახალგაზრდაა, მაგრამ შამანად გახდომის შემდეგ აეადმყოფურობა ქრება. როგორც წესი, შამანური პრაქტიკა ხელს უწყობს თვით შამანის გამოჯანმრთელებას (ანუ - შამანის პაციენტი თვით შამანიცაა, რასაც ასე ხშირად ვსვდებით ფსიქოთერაპიის ისტორიაში). შამანები ჰყვებიან, რომ შამანობის დაწყების შემდეგ ისინი უკეთესად გრძნობენ თავს. როცა რაიმე მიზეზით მათ ამ პრაქტიკის საშუალება არა აქვთ, ჯანმრთელობის მდგომარეობა უარესდებათ.

თავისებურია შამანის ღმერთებთან ურთიერთობა. დღევანდელი შამანიც კი საკუთარ თავს ღმერთის ტოლად განიცდის. შამანის "სითამამე" ღმერთებთან, ალბათ, იმ იდეით იხსნება, რომ შამანურ მითოლოგიაში შამანობა ღმერთისაგან იღებს სათავეს.

სულთა სამყაროში მოგზაურობა შამანური პრაქტიკის ზოგადი ელემენტია. არის მკურნალობის კონკრეტული ფორმებიც. ესკიმოსებთან სულის დაკარგვასთან ერთად აეადმყოფობის მიზეზად მიჩნეულია ტაბუს (აბორგის გაკეთება, მოხარშული ხორცის ჭამა და ა.შ.) დარღვევა. ამიტომ სულის ძებნასთან ერთად შამანის სამკურნალო პროცედურებში შედის ჯგუფური აღსარება (რაც ასე პოპულარულია გვიანდელ რელიგიებსა და ფსიქოთერაპიაში). "დიაგნოზს", რომლიდანაც შემდეგ გამომდინარეობს მკურნალობა, სვამს შამანი. იგი სპეციალური ბალახების, ცეკვის და სხვა ტექნოლოგიების გამოყენებინით ეარდება ტრანსში და აღმოცენებული ხილვა მას ჰკარნახობს აეადმყოფობის "მიზეზს".

მკურნალობა შამანურ კულტურაში უშუალოდ გამომძღინარეობს ავადმყოფობის გაგებიდან. ავადმყოფობის, ისევე როგორც სიკეთილის მიზეზი, სულიერი ბუნებისაა. მგრის, მეტოქის ან ცხოველის სულმა შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის დაავადება. ადამიანის სულის მატარებლად ითვლება მისი გამოსახულება, ჩრდილი, თმის კულული და ა.შ. ყოველივე ეს შამანის ინსტრუმენტად შეიძლება გადაიქცეს იმ პროცედურებში, რომელიც წააგავს იმ პროცედურებს, რასაც დღეს ჰიპნოზის ტექნიკას ვეძახით.

ნარკოპიპნოზს გვახსენებს ის, რომ შამანიზმის პრაქტიკაში დიდ ადგილს იკავებს ტრანსის ინტოქსიკაციით გამოწვეული. ყოველ შემთხვევაში, ირანი იცნობდა კანაფის კვამლით ექსტაზში შესვლის პრაქტიკას. ასევე ცნობილი იყო მათთვის ექსტაზი ღვინით თრობისაგან. ექსტაზის მიღწევის უძველესი საშუალებები იყო მარხვა, ყურადღების კონცენტრაცია, ცეკვა დაცემამდე და სხვა ამგვარი.

მორეული აღმოსავლეთის ფსიქოფიზიკური ვარჯიშების უამრავი სისტემა არსებობს. მათ ბევრი რამ აქვთ საერთო, თუმცა განსხვავებებიც ბევრია. რამდენიმე რელიგიამ მსოფლიო რელიგიის მასშტაბს მიაღწია, ხოლო მათში ჩართული ფსიქოფიზიკურ ვარჯიშთა სისტემები მსოფლიო კულტურის საკუთრებად იქცა (რამაც განაპირობა მათი ელემენტების გაჩენა ფსიქოთერაპიის პრაქტიკაში).

ფართოდ არის გავრცელებული სიტყვა *"დაოს"* გამოყენება მეთოდის, საშუალების და გზის აღსანიშნავად. ამ საშუალების მიზანს წარმოადგენდა არამარტო სულის, არამედ სხეულის უკვდავება. უკვდავების მაძიებელთა მიმართ ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იყო ვეგეტარიანელობა. დაოსისტებისთვის უკვდავების მეორე მნიშვნელოვანი პირობა იყო სულის განმტკიცება, რაც მიიღწევა ჰაერის შერწყმით ესენციასთან "ცზინ". ამის მიღწევის საშუალებაა სუნთქვის ვარჯიშები, მოძრაობითი ვარჯიშები და, ხანდახან, წამლები და მასაჟები. დაოსიზმიდან იღებს სათავეს სიგუნის პრაქტიკა.

"ცი"-ს ("ჩი"-ს) ყველასთვის მისაღები განმარტება არ არსებობს. ზოგი ელექტრულ ენერგიად მიიჩნევს, ზოგი - მაგნიტურად, ზოგი-სითბოსად. ვიწროა *ციგუნის* გაგება, როგორც ჯანმრთელობის გასაუმჯობესებელი ვარჯიშების ან მედიტაციის სისტემისა. ადამიანის ენერგია ზეცის და მიწის ენერგიის გავლენის ქვეშაა, ამიტომ ბუნებრივი გზების, ანუ "დაოს" ცოდნა აუცილებელია. ადამიანური "ცი"-ს ცირკულაციის ნორმალიზაციას ემსახურება აკუპუნქტურა, აკუპრესურა, მედიტაცია, ციგუნის ვარჯიშები და ბალახებით მკურნალობა. ამავე მიზანს ემსახურება საბრძოლო ხელოვნების დაუფლება (რის მაგალითსაც იძლევა შაოლინის მონასტერი).

III საუკუნიდან ჩინელებმა აღმოაჩინეს მოძრაობების თერაპიული ეფექტი. დაახლოებით ჩვ.წ. 60-იანი წლებიდან ჩინელებმა გაიცნეს ინდური ბუდიზმი. ინდური ვარიანტი უფრო რელიგიური იყო და შემეცნების და წედომის, ანუ ბუდას მდგომარეობის შექმნის მიზნებს ისახავდა.

*ინდუიზმი* ინდოეთის ხალხების სულიერი ცხოერების სისტემაა, რომლის საფუძველია სანსკრიტული კულტურა, და მოიცავს მეცნიერულ, ფილოსოფიურ, რელიგიურ-მითოლოგიურ, ესთეტიკურ, სოციოლოგიურ, სამართლებრივ თუ

ეთიკურ ცოდნას და ნორმებს. ვედები (რაც მეცნიერებებს ნიშნავს) ძველინდური ლიტერატურის ძეგლია, რომელიც ძ.წ. II ათასწლეულის ბოლოსა და I ათასწლეულის დასაწყისში შეიქმნა არიულ ტომებში. მითოლოგიურ-ფსიქოლოგიური პარალელების შემცველ ნაწილებს უპანიშადები ეწოდება. უპანიშადებს ეფუძნება ინდოეთის ფსიქოლოგიური პრაქტიკა. ინდუიზმი ძ.წ. I ათასწლეულის ბოლოს შეცვალა ვედურმა ბრაჰმანიზმმა. ინდუიზმი აღორძინდა ახალ დროში და გააერთიანა სხვადასხვა ინდური რელიგიური წარმოდგენები. ადრეული ეტაპი ინდუისტური მითოლოგიის ასახულია "მაჰაბჰარატასა" და "რამაიანაში".

ინდუისტურ მითოლოგიაში წამყვანი მოტივია მაგიური ძალა, რომელიც ასკეტიზმით მიიღწევა. სხეულის "მოკვდინება" (ტაპასი) ყველა სურვილის შესრულების, ქვეყნის შექმნისა თუ დაგრევის საშუალებას იძლევა. ჭეშმარიტება ინდური ფილოსოფიისთვის იმდენადაა ფასეული, რამდენადაც ფასეულია გათავისუფლება, დამოუკიდებლობა ჭეშმარიტების წედომის შედეგად. *გათავისუფლება* გულისხმობს ფსიქოლოგიურ სიკვდილს ამქვეყნიური ცხოვრებისადმი და უპირობო არსებობის ფორმით ყოფნას. პიროვნება არაა საბოლოო ელემენტი. ის მხოლოდ განცდების სინთეზია, რომელიც წაიშლება გასხივოსნებისას. თავისუფლების მიღწევის შემდეგ პიროვნების საჭიროება მოხსნილია. თავისუფლების მიღწევაში დიდი როლი აქვს *იოგას* ტექნიკას.

ითვლება, რომ ტერმინ "იოგა"-ს ეტიმოლოგია წარმოდგება ზმნა "იუჯ"-ის ძირიდან, რაც ნიშნავს "ერთად შეკერას", "მარხვას", "შეერთებას". ზოგადად "იოგათი" აღინიშნება ნებისმიერი ასკეტური ტექნიკა და მედიტაციის მეთოდი. იოგას სხვადასხვა სკოლები სხვადასხვა მეთოდებს ანიჭებენ უპირატესობას. მათ შორის "კლასიკურად" იოელება პატანჯალის "იოგა-სუტრა". ასევე არსებობს არასისტემური მეთოდები, არაბრაჰმანული (ბუდისტური, ჯანაისტური) იოგა და ა.შ. ინდოეთის ფილოსოფიური სისტემები განსხვავდება ევროპულისაგან - ისინი, ძირითადად, ადამიანის სულიერ გამოცდილებას აღწერენ. ამ ფილოსოფიურ სისტემებში უსვადაა რჩევები ასკეტიზმის და ჭვრეტის ტექნიკაზე.

როგორც ფსიქოტექნიკა, ასევე ფილოსოფია ინდოეთისთვის ღირებულია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც შეუძლიათ ადამიანის ფსიქიკის განთავისუფლება ტანჯვისაგან. ნებისმიერი ადამიანური გამოცდილება ტანჯვითაა განპირობებული (ტანჯვა ინდური ტექსტებში ყველა უარყოფით ემოციას გულისხმობს). "სხეული ტანჯვაა, რადგან იგი ტანჯვის ჭურჭელია; გრძნობის ორგანოები, გრძნობის ობიექტები, შეგრძნებები - ტანჯვაა, რადგან წარმოადგენენ გზას ტანჯვისკენ; თვით სიამოვნებაც კი ტანჯვაა, რადგან მას ტანჯვა მოსდევს" - ნათქვამია "სანკჰია-სუტრები"-ს კომენტარებში. ტანჯულია ყველაფერი, რაც დროში არსებობს - ღმერთიდან მწერამდე. ადამიანს, განსხვავებით ღმერთებისა და სხვა ცოცხალი არსებებისაგან, შეუძლია დაძლიოს თავის მდგომარეობა, დაძლიოს კარმა და მოსპოს ტანჯვა - ეს, ინდოეთის ყველა ფილოსოფიური და მისტიკური მიმდინარეობისთვის საერთო რწმენა გამორიცხავს პესიმიზმს და სასოწარკვეთას. სკოლები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ არჩეული გზით - ტანჯვისაგან გათავისუფლება ზოგ-

ჯერ მიიღწევა ცოდნის შეძენით (მაგ., ვედანტის და სანკჰიას მოძღვრებებში), ზოგჯერ - ფსიქოტექნიკური საშუალებებით (იოგასა და ბუდისტურ სკოლათა უმრავლესობაში).

იოგა ძირითადად ვითარდებოდა ინდუიზმისა და ბუდიზმის ფარგლებში, თუმცა თვით არ წარმოადგენდა რელიგიურ სისტემას. მისი მიზანია დაიმორჩილოს ცნობიერების ხუთივე მდგომარეობა - სწორი და მცდარი შემეცნება, ძილი, ქვეცნობიერი, წარმოსახვა და მეხსიერება. პატანჯალის იოგას 8 საფეხურიანი სისტემა მოწოდებულია შეაჩეროს ცნობიერების ყველა ფორმის მუშაობა და მოახდინოს უმაღლესი ფსიქოფიზიკური ინტეგრაცია. სწორი პოზის და სხეულის წონასწორობა, კუნთების, შინაგანი ორგანოების და სუნთქვის კონტროლი შევიღა ჰათჰა იოგაში. იოგას ბოლო საფეხურს, "სამეფო იოგას" ეწოდება რაჯა-იოგა და მიმართულ ისახავს ყურადღების, წარმოსახვის და სხვა ცნობიერების ფუნქციების ჩამოშორებას გარე საგნებიდან და საკუთარ თავზე კონცენტრაციას.

*ბუდიზმი* - რელიგიური და ფილოსოფიური მოძღვრებაა, ერთ-ერთი (დროში – იუდაიზმის პარალელურად აღმოცენებული) მსოფლიო რელიგიაა, რომელმაც გაელენა იქონია უფრო გვიანდელ ქრისტიანობასა და ისლამზე. ბუდიზმი ყალიბდება ძ.წ. 6-7 საუკუნეში. მისი დამფუძნებელი არის ინდოელი პრინცი სიდჰარტა გაუტამა. ეს რეალური პიროვნება ცხოვრობდა ჩრდილოეთ ინდოეთში.

სიდჰართჰასთან ძირითადია მოძღვრება გარდასახვის, ნირვანას და მისი მიღწევის გზების შესახებ. პირველივე ასწლეულებში ბუდიზმი 18 სკოლად დაიყო. I საუკუნის ბოლოს ყალიბდება ორი ძირითადი სკოლა: ჰანაიანა ("მცირე წრე") და მაჰაიანა ("დიდი წრე"). ჰანაიანა გადარჩენის ინდივიდუალური გზაა, მაჰაიანა - სხვების სამსახური. ბუდიზმი აგებულია "ოთხ უმაღლეს ჭეშმარიტებაზე" - არსებობს ტანჯვა, მისი მიზეზი, განთავისუფლება და მისი მიღწევის გზა. ტანჯვა მოიცავს ყველა უსიამოვნო ემოციას, რაც სურვილების არსებობითაა განპირობებული. განთავისულება, იგივე ნირვანა, გარე სამყაროსთან პიროვნების ურთიერთობის გაწყვეტაა. არსებობს მისი მიღწევის "რვა გზა": სწორი 1) აზროვნება, 2) მეტყველება, 3) მოქმედება, 4) შემეცნება, 5) ცხოვრება, 6) შრომა, 7) გახსენება და თვითდისციპლინა, 8) კონცენტრაცია. ამ გზების მიღწევას უზრუნველყოფს ეთიკური ნორმების და ფსიქოფიზიკური ვარჯიშების სისტემა. ამ უკანასკნელში ერთიანდება ინდური იოგას, ჩინური დაოსიზმის და ძველი მაგიური რიტუალების ელემენტები. *ნირვანა* ("ჩაქრობა") ბუდიზმში და ჯანაიზმში სულის განსაკუთრებული მდგომარეობაა, როცა დაძლეულია მიწიერი სურვილები და ვნებები, სრული სიმშვიდეა არსებობისა და დროის გარეშე. იგი არის ტანჯვების მიღმა გასელა, სანსარასეული (სანსარა - პიროვნებისა და სულის გარდაქმნების ტანჯვის მომგერელი უსასრულო პროცესი) გარდაქმნების შეწყვეტა. იგი ცნობიერების უმაღლესი ფორმაა, სანსარას საწინააღმდეგო, ბუდად ქცევის პირობა, რაც მარტო ადამიანს შეუძლია. მასზე რაიმე განსაზღვრულის თქმა შეუძლებელია, გარდა იმისა, რომ ეს არის თავისუფლების, სიმშვიდის და ნეტარების მდგომარეობა. ბუდიზმი თვლის, რომ ნირვანა შეიძლება სიცო-

ცხლეშიც იყოს მიღწეული, რადგან ზემოხსენებული პირობების დაცვით შეიძლება ცოცხალი ადამიანის სულიც გათავისუფლდეს სასსარასაგან (ანუ განცდათა მონაცვლეობისაგან და სამყაროს ცვალებადობის განცდისაგან).

ბუდიზმი გასცილდა ინდოეთის საზღვრებს. ჩინეთში ბუდიზმი შეერწყა ლაო-ცზის მოძღვრებას (დაოსიზმს) და ჩამოყალიბდა ჩან-ბუდიზმად. იაპონიაში - ჩინეთიდან გადავიდა და მიიღო ძენ-ბუდიზმის სახე. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ბუდიზმი, განსაკუთრებით - მისი ფსიქოტექნიკა მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. ძენში საგორის (ნირვანას) მდგომარეობის შექმნის ძირითადი ფსიქოტექნიკური ინსტრუმენტია კოანი (იაპონურად - გამოცანა; ჩინურში "გუნან"-ი). წერილობით დადასტურებულია 2 000-მდე კოანი. კოანში ისმის პარადოქსული კითხვა, რომლის ლოგიკური გადაჭრა შეუძლებელია. კლასიკური მაგალითი: "ორი ხელის ხმა არის ტაში; რა არის ერთი ხელის ხმა?". მოწაფის კითხვა: "რა არის ძენი?". მასწავლებლის პასუხი: "ცეცხლზე დადგმული მდუღარე ზეთი". მოწაფის კითხვა: "არსებობს თუ არა ღებულება, რომელიც არც ჭეშმარიტია და არც მცდარი?". მოძღვრის პასუხი: "თეთრ ღრუბელში სიმახინჯის ნასახი არაა" და ა.შ. ძენის მოძღვარი ყველგან ცდილობს მოსწავლეს აკრძნობინოს კითხვის აბსურდულობა პასუხის აბსურდით. ცნობიერების ლოგიკით ეს პასუხი გაუგებარია. დროთა განმაელობაში, როცა მოწაფე უკუაგდებს ლოგიკას, იგი შეიძლება დაეუფლოს კოანის გაგებას, ცნობიერების გასხივოსნების! მძაფრ განცდას ანალიტიკური ლოგიკის გარეშე. ეს განცდა არის საგორი (იაპონურად - გაღვიძება, გასხივოსნება), რომელშიც მოხსნილია ნებისმიერი დაპირისპირება, მათ შორის - ადამიანსა და სამყაროს შორის.

ანიმისტურ და შორეული აღმოსავლეთის ფსიქოტექნიკურ კულტურებს აღრეც ჰქონდათ და ამჟამადაც აქვთ გავლენა ფსიქოთერაპიული მეთოდების არსენალის ჩამოყალიბებაზე. შამანური ტრანსი დღეს გაგებულია როგორც ჰიპნოტური მდგომარეობა, ინდური იოგა – როგორც აუტოჰიპნოზი. ამ ლოგიკით სუგესტიის, ბიჰეიორიზმის, გეშტალტ-თერაპიის თუ ნეიროლინგვისტური პროგრამირების მეთოდებში სხვადასხვა სახით გაჩნდა არქაული ტექნიკის ელემენტები. ჩინურ-იაპონური ვარჯიშების ელემენტები ჭარბადაა ფსიქოლოგიური ტრენინგების სხვადასხვა ვარიანტში. თეორიულ კონსტრუქციებშიც ჩანს ზემოხსენებული პრაქტიკების პირდაპირი თუ ირიბი კვალი. ჰიპნოზის ტექნიკამ ემპირიული საფუძველი ჩაუყარა არაცნობიერი ფსიქიკურის ფსიქოანალიტიკურ თეორიებს. სულის გათავისუფლების აღმოსავლური იდეის გავლენის ნიშნებს ატარებს პიროვნების სპონტანურობისა და თვითრეალიზაციის იდეა ჰუმანისტურ ფსიქოთერაპიაში. ძველი პრაქტიკის ევროპაში შემოსელის კვლა სუგესტიაზე (შთაგონებაზე) გადიოდა.

*შთაგონებას* ფხიზელ თუ ჰიპნოტურ მდგომარეობაში ყოველთვის იყენებდნენ არამარტო შამანები და ქურუმები, არამედ ბელადები, მხედართმთავრები, მკურნალები თუ მისტიფიკატორები. იყენებდნენ სხვადასხვა მიზნით, მათ შორის - ავადმყოფის გამოჯანმრთელებისთვისაც.

ძვ.წ. XVI საუკუნით დათარიღებულ ებერსის პაპირუსში 900-მდე სამკურნალო საშუალებაა აღწერილი. მათ შორის დიდი ადგილი უკავია შელოც-

ვებს, "რომლებიც უნდა წარმოითქვას მკაფიოდ და, რაც შეიძლება, ხშირად დაავადებულ ადგილზე წამლის დადებასთან ერთად". ტექსტში საზგასმულია, რომ ყველა მკურნალობას თან უნდა ახლდეს შელოცვები. მიდგომა, რომ წამალთან ერთად სიტყვაც საჭიროა, ძველი მედიცინის საერთო პრინციპია. ბერძნულ ტაძარში, რომელიც აგებული იყო მკურნალი ღმერთის ასკლეპიუსის პატივსაცემად, იყო სპეციალური ოთახი - აბატონი. რელიგიური რიტუალების შემდეგ ადამიანები შედიოდნენ აბატონში, ხელოვნური ძილით, ე.წ. *ინკუბაციით* (პიპნოზით) იძინებდნენ და ძილში ესმოდათ "ასკლეპიუსის ხმა", რაც განკურნებას იწვევდა. ტრანსის გამოყენებას სამკურნალო მიზნით ხშირად ვხვდებით შამანურ, ანგიკურ და ევროპულ წარმართულ კულტურებში. ტრანსის გარეშე, ფსიზელ მდგომარეობაში შთაგონებით განკურნება კიდევ უფრო ხშირია (მაგ., სვეტონიუსის და ტაციტის გადმოცემით, მეფე პიროსი და იმპერატორი ვესპასიანე მკურნალობდნენ მარჯვენა ფეხის დიდი თითის შეხებით). შთაგონების ანუ *სუგესტიის* ("სუგესტიო" - ლათინურად შთაგონებაა) ტექნოლოგია უხსოვარი დროიდან არსებობს. ევროპელების მიერ შთაგონების გაცნობიერება და მასში ბუნებრივი კანონების ძიება უკავშირდება მესმერის სახელს.

მესმერიზმის საფუძვლების შემზადება დაიწყო უკვე მაშინ, როცა აღორძინების ეპოქაში ევროპაში გაძლიერდა ინტერესი ალქიმიისა და ასტროლოგიის მიმართ. ორი საუკუნის შემდეგ ავსტრიაში დაიბადა **ფრანც ანტონ მესმერი** (1734-1815). ახალგაზრდობაში ძალზე მორიდებულმა ადამიანმა, მდიდარი ცოლის შერთვის შემდეგ, ხელგაშლილი და მრავალფეროვანი ცხოვრება დაიწყო. იგი გატაცებული იყო მუსიკით, მეცნიერებებით, მედიცინით. ენციკლოპედიურ განათლებასთან ერთად სამი დიპლომი ჰქონდა - მედიცინის, სამართლის და ფილოსოფიის დოქტორის. 1766 წელს გახდა ვენის უნივერსიტეტის დოქტორი დისერტაციისთვის "ვარსკვლავებისა და პლანეტების, როგორც მკურნალი ძალების გაელვების შესახებ".

მესმერი პრაქტიკოსი ექიმიც იყო. ისევე, როგორც პარაცელსი, იგი მკურნალობისთვის იყენებდა მაგნიტს. მესმერი სხეულის გასწვრივ უტარებდა მაგნიტს პაციენტებს. შედეგად, მათ ისტერიული შეტევა ეწყებოდათ, რაც ძილით მთავრდებოდა. ძილის შემდეგ პაციენტები განკურნებული იღვიძებდნენ. მოგვიანებით მესმერმა შეამჩნია, რომ მაგნიტის ანალოგიურ შედეგს იძლეოდა მხოლოდ მისი ხელის რამოდენიმეჯერ გატარება სხეულის გასწვრივ (*"პასები"*). მესმერის მეთოდი პოპულარული გახდა მთელ ევროპაში, მისკენ დაიძრნენ პაციენტები სხვადასხვა ქვეყნიდან.

მესმერის მეთოდიკაში მხოლოდ არავერბალური ხერხები იყო - პასები, მუხლებით პაციენტის მუხლების შებოჭვა, შუშის ჯოხით შეხება (ამგვარ შეხებებს მესმერმა *რაპორტი* უწოდა; მოგვიანებით ჰიპნოტიზმში ეს ცნება შემოვიდა ფსიქიკური კავშირის აღსანიშნავად), პაციენტების წინ დადგმული

*"ბაკე"* (ჭურჭელი რომელშიც იყო წყალი, შუშის ნაჭრები, ქვები, რკინის სახერხი და მავთულები) ცხოველურ მაგნეტიზმით – იქიდან მაგნეტიზმი მავთულებით გადაეცემოდა ბაკეს გარშემო შემომსხდარ პაციენტებს, რომლებსაც მავთულების ბოლოები ეკავათ ხელში; ამასთანავე მესმერისტები "დამაგნიტებულ" წყალს ბოთლებით აგზავნიდნენ ევროპის სხვადასხვა ადგილას მცხოვრებ პაციენტებთან. ყველა ამ ხერხით მკურნალობის შედეგი ისეთივე იყო, როგორც მესმერთან უშაულო კონტაქტის დროს - ავადმყოფი იკურნებოდა.

მესმერის თავბრუდამხვევი წარმატების მქონე პრაქტიკა ეფუძნებოდა მესმერის იდეას, რომ მაგნიტურ ძალას ფლობს მისი სხეული. მესმერი მიიჩნეოდა, რომ ავადმყოფობა არის პაციენტის სხეულში ფლუიდების არათანაბარი გადანაწილების შედეგი, რაც უნდა გააწონასწოროს მკურნალობამ, კერძოდ – *ცხოველური მაგნეტიზმის* დიდი კონცენტრაციის მქონე მაგნეტიზიორმა პასებით უნდა მოახდინოს პაციენტის სხეულში მაგნიტური ფლუიდების იმგვარი ჰარმონიული გადანაწილება, როგორიც არის მთელ სამყაროში.

მესმერმა თავის კონცეფცია 1774 წელს წარუდგინა საფრანგეთის აკადემიის და სამეფო სამედიცინო საზოგადოების გაერთიანებულ კომისიას, რომელშიც მონაწილეობდნენ ლავუაზიე, ფრანკლინი, ბაილი და იმ დროის სხვა ცნობილი მეცნიერები. კომისიამ იმდროინდელი აპარატურით ეძება მაგნეტიზმი მესმერში და როცა მისი კვალიც კი ვერ იპოვა, მესმერი გამოაცხადა შარლატანად, ხოლო მიღებული თერაპიული შედეგები მიაწერა მხოლოდ... პაციენტის წარმოსახვას. ეს, ფაქტობრივად, იყო ფსიქოთერაპიული ეფექტის პირველი ფსიქოლოგიური ახსნა. კომისიის მკაცრმა კრიტიკამ მოგვიანებით გაელენა მოახდინა საზოგადოებაზეც, რომელმაც გარიყა მესმერი. იგი შვეიცარიაში მარტოობასა და სიღარიბეში გარდაიცვალა.

მესმერის შემდეგ მესმერიზმს აგრძელებდა მის მიმდევართა მცირე ჯგუფი. ერთ-ერთი მათგანი იყო შოსტენიე დე პიუნსეგიური, რომელმაც 1818 წელს აღმოაჩინა მესმერული ტრანსის ღრმა, კერძოდ, სომნამბულური სტადია. მანვე აღმოაჩინა, რომ ტრანსს იწვევს არამარტო შეხება, არამედ სიტყვაც, შთაგონებაც, რაც უკვე ვეღარ თავსდებოდა მესმერიზმის თეორიაში.

მესმერის მიმდევრებს შორის იყო შარლ ლაფონტენიც, ცნობილი მეიგავეს შვილი. ის ხშირად მართავდა მაგნიტურ სეანსებს ელიტარული საზოგადოების სალონურ შეკრებებზე (ეს სეანსები, რომლის მიზანი იყო შეუცნობელის შემეცნება, ექსპერიმენტული ჰიპნოზის ჩანასახად შეიძლება მიეიჩნიოთ). ერთ-ერთ ამგვარ სეანსს დაესწრო ინგლისელი ქირურგი ბრეიდი.

ტკივილგამაყუჩებლები ჯერ არ იყო აღმოჩენილი, რაც სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა ქირურგიას. ამ ფონზე დაინტერესდა **ჯეიმს ბრეიდი** (1795-1860) მესმერული ტრანსით, მისი ანესთეზიური და თერაპიული ეფექტებით. 1843 წელს ბრეიდმა გამოსცა წიგნი "ნეიროჰიპნოლოგია". მესმერული ტრანსის აღსანიშნად ბრეიდმა შემოიტანა ცნება *ჰიპნოზი*, რაც ბერძნულად ძილს ნიშნავს. ტერმინი უკვე მიგვითითებს, რომ ბრეიდი ჰიპნოზს ძილის ფორმად განიხილავდა. მის არსებით ნიშნად მიაჩნდა, რომ ამ მდგომარეობაში ადამიანს ახასიათებს "მონოიდეიზმი" – მის ცნობიერებაში მხოლოდ

ერთი იღეაა. ბრეიდი ჰიპნოზს იყენებდა ისტერიული დამბლის თუ გულყრის პირობებშიც. კონცეფციის გარდა ბრეიდმა სიახლე შემოიტანა ჰიპნოტიზაციის მეთოდშიც - პაციენტებს აძინებდა ივალის ფიქსაციით რაიმე ბრჭყვიალა წერტილზე. ბრეიდმა ერთ-ერთმა პირველმა შეამჩნია, რომ ადამიანები განსხვავდებიან მგრძნობელობით ჰიპნოტიზაციის მიმართ - *ჰიპნობელურობით*, შეამჩნია ისიც, რომ ჰიპნოზის სიღრმე სხვადასხვანაირია როგორც სხვადასხვა ადამიანთან, ასევე - ერთი ადამიანთან ერთი სეანსის განმავლობაში და ა.შ.

XIX საუკუნის 70-იანი წლებში ცნობილი ნეეროპათოლოგი და ფსიქიატრი **ჟან მარტენ შარკო** (1825-1893) შეიყვანეს კომისიაში, რომელსაც უნდა შეემოწმებინა მეტალოთერაპიის ეფექტურობა ტრანსის პირობებში. კომისიაში მუშაობის დროს შარკო დაინტერესდა ჰიპნოზის ფენომენით, რადგან ნახა, რომ ისტერიის მრავალი სიმპტომის პროვოცირებაც და მოხსნაც შეიძლება ჰიპნოზში. ამის გამო შარკოს მიაჩნდა, რომ ჰიპნოზი ხელოვნურად გამოწვეული ისტერიული ნეეროზია. "მსგავსის მსგავსით" დაძლევის პრინციპით პარიზის სალპეტრიერის კლინიკაში შარკომ დაიწყო ისტერიით დაავადებულებთან ჰიპნოზის გამოყენება.

შარკომ თავისი დიდი ავტორიტეტით ავტორიტეტი მოუპოვა ჰიპნოზის მეთოდს. მისი გავლენით ჰიპნოზს იყენებდნენ ისეთი მეცნიერები, როგორიც იყვნენ პოლ რიეე, ჟილ დე ლა ტურეტი, პიერ ჟანე, შარლ ფერე, ალფრედ ბინე, ჟოზეფ ბაბინსკი და სხვები. შარკომ ბევრი მეთოდიკური სიახლე შეიტანა ჰიპნოტიზაციის ტექნიკაში (მაგ., მოკური მეთოდი), გამოპყო ჰიპნოტიზაციის სტადიები (კატალეფსია, ლეთარგია, სომნამბულიზმი), ფაქტობრივად, საფუძველი ჩაუყარა ექსპერიმენტულ ჰიპნოზს, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა არაცნობიერის ცნებისა და ფსიქოანალიზის ჩამოყალიბებაში. ასევე, შარკოს ავტორიტეტმა განაპირობა დამოკიდებულება ჰიპნოზის, როგორც პათოლოგიური მდგომარეობის მიმართ.

პარიზის კლინიკაში ჰიპნოზით შარკოს დაინტერესების პარალელურად ჰიპნოზის მიმართ ინტერესი ჩნდება საფრანგეთის მეორე ქალაქში – ნანსიში, სადაც სამოციან წლებში ჰიპნოზის კვლევა დაიწყო ექიმმა ა. ლიებომ (1823-1904). იგი სიტყვიერი მთავრონების ტექნიკას იყენებდა. ოთხმოციანი წლებიდან ამ მიმართულებით კვლევას თავეში ჩაუდგა ნანსის უნივერსიტეტის თერაპიული კლინიკის სელმძღვანელი **იპოლიტ ბერნჰეიმი** (1837-1919). მას მიაჩნდა, რომ ჰიპნოზი არის პაციენტის მიერ ჰიპნოტიზიორის შთაგონების უკრიტიკოლ მიღების შედეგი. ნანსელების ფორმულა იყო:

"ჰიპნოზი არ არსებობს, არსებობს მხოლოდ შთაგონება". ამ პოზიციიდან გამომდინარეობდა, რომ ჰიპნოზი აღამიანის ნორმალური ფსიქიკური მექანიზმების მოქმედების შედეგია და არ არის მართებული მისი განხილვა ხელოვნურ ნეკროზად. ბერნჰეიმის (ნანსის სკოლის) თვალსაზრისი ფსიქოლოგიურად ითელებოდა, ხოლო შარკოსი (სალპეტრიერის სკოლის) – ფიზიოლოგიურად. ამ მოსაზრებებიან დაკავშირებით დისკუსია გაიმართა ფიზიოლოგიური ფსიქოლოგიის პირველ საერთაშორისო კონგრესზე პარიზში 1889 წელს. მასში მონაწილეობდნენ აგრეთვე ლიებო, ლეკერინი, ჟანე, ფორელი, ფროიდი, ბეხტერევი და სხვა გამოჩენილი მეცნიერები. კონგრესზე დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ნანსის სკოლამ, ანუ ჰიპნოზის გაიგივებამ შთაგონებასთან.

აღნიშნულმა პროცესებმა ინგლისსა და საფრანგეთის გარდა ჰიპნოზის მიმართ სხვა ქვეყნებშიც გააღვიეა ინტერესი. შეედმა ოტო ეეტერსტრანდმა გამოაქვეყნა წიგნი "ჰიპნოტიზმი და მისი გამოყენება მედიცინაში", სადაც განხილულია სომატურ დაავადებათა (გულის და კუჭის დაავადებები, ასტმა) ჰიპნოზით მკურნალობის საკითხები და პირველად არის განხილული ქრონიკული ალკოჰოლიზმის მკურნალობის პერსპექტიეა. დიდი წვლილი შეიტანეს ჰიპნოტიზმის განვითარებაში გერმანელმა ექიმებმა ლეეენფელდმა და მოლმა. ხარკოვის უნივერსიტეტის ფიზიოლოგმა ე. დანილევსკიმ მრავალრიცხოვან ექსპერიმენტებით იკვლია ჰიპნოზი ცხოველებთან და ეცადა დაესაბუთებინა მისი მსგავსება აღამიანის ჰიპნოტურ მდგომარეობასთან, რაც ეჭვქვეშ აყენებდა როგორც სალპეტრიერის, ისე ნანსის კონცეფციებს, რადგან ცხოველებს, საეარაუდოა, რომ არც ისტერია აქვთ და არც შთაგონებელი სიტყვა ესმით. ჰიპნოზის შესწავლასა და გამოყენებაში დიდი წვლილი შეიტანეს რუსმა ფიზიოლოგებმა ვ. ბეხტერევმა (1857-1927) და ი. პავლოვმა (1849-1936).

სალპეტრიერისა და ნანსის კლინიკებში ჰიპნოზს დაეუფლა ისტერიით დაინტერესებული ფროიდი, ვინაიდან იმ დროისთვის ჰიპნოზი იყო ნეკროზების მკურნალობის გავრცელებული მეთოდი. მოგვიანებით ფროიდმა ნეკროზების მკურნალობის საკუთარი სისტემა შექმნა და მისი მეთოდის წინამორბედი – ჰიპნოზი კატეგორიულად უარყო (იხ. 7.1.). ფსიქოანალიზის დიდ პოპულარობასთან ერთად მისი ფუძემდებლის განწყობილება გადაედო მსოფლიოს მეცნიერებს და მეოცე საუკუნის 50-იან წლებამდე აკადემიურ წრეებში ჰიპნოზი დავიწყებას მიეცა. მხოლოდ საბჭოთა კავშირში, ფსიქოანალიზის იდეოლოგიურად მიუღებლობის გამო, ძირითად ფსიქოთერაპიულ მეთოდად ისევ ჰიპნოსუგესტია რჩებოდა.

1955 წელს ბრიტანეთის სამედიცინო ასოციაციის გადაწყვეტილებით ინგლისში მოხდა ჰიპნოზის სრული რეაბილიტაცია. ამავე წელს საფრანგეთში გამოიცა მედიკო-ქირურგიული ენციკლოპედია, სადაც ჰიპნოზს ცალკე თავი მიეძღვნა. 1958 წელს ამერიკის სამედიცინო ასოციაციამ ოფიციალურად ჩართო ჰიპნოზი სამედიცინო თერაპიაში. 1965 წელს პარიზში ჩატარდა ჰიპნოზის III საერთაშორისო კონგრესი. მიუხედავად ამ ნაბიჯებისა, სამედიცინო პრაქტიკაში დღეს ჰიპნოზს მაინც გაცილებით იშვიათად იყენებენ, ვიდრე

იყენებდნენ მის "ოქროს ხანაში" - შარკოსა და ბერნჰეიმის დროს.

ჰიპნოზმა და ნანსის სკოლაში მის თაობაზე წამოყენებულმა კონცეფციამ მეცნიერთა და პრაქტიკოსთა ყურადღება გადაიტანა შთაგონებასა და მის ეფექტებზე. შთაგონების ქვეშ იგულისხმება ადამიანზე ვერბალური და არავერბალური ინფორმაციით ზემოქმედება, რომლის გაზიარებას ლოგიკური აუცილებლობით მოსდევს გარკვეული ცვლილებები ამ ადამიანის ფსიქიკაში, კერძოდ - მისი კოგნიციის, მოტივაციის, ემოციური მდგომარეობის ან ქცევის შეცვლა. შთაგონების სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ შთამაგონებელი ინფორმაცია აღიქმება კრიტიკის გარეშე. განასხვავებენ შთაგონებას ბუნებრივ ძილში, ჰიპნოტურ მდგომარეობაში, მედიტაციაში (თვითშთაგონება), ჯგუფურ და მედიასთან ურთიერთობებში (კონფორმულობა, რეკლამა) და ა.შ.

განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია პოსტჰიპნოტური შთაგონების ფენომენმა. *პოსტჰიპნოტური შთაგონება* გახდა, ზოგადად, არაცნობიერი ფსიქიკურის და, განსაკუთრებით – არაცნობიერი მოტივის არსებობის ემპირიული დასაბუთება. ჰიპნოზის იმ ფენომენებიდან, რომელიც შთაგონებით მიიღება, ფართოდ ცნობილია ფაქტები, რომელშიც თვალსაჩინოდ მტკიცდება ფსიქოსომატური კავშირის არსებობა. ცნობილია ჰიპნოტური შთაგონებით ადამიანის პულსის, გულისცემის, სუნთქვის, ჯირკვლების სეკრეციის თუ სხვა სომატური პროცესების რეგულაციის ფაქტები. ყველა მათგანი მიუთითებს, რომ სომატური პროცესები დაკავშირებული არის ფსიქიკასთან (თანაც, არაცნობიერ ფსიქიკასთან) და იმართება მის მიერ.

ფსიქოთერაპიის სხვა მეთოდებისაგან განსხვავებით *ნარკოფსიქოთერაპიამ* ნარკოტიკული ნივთიერებები, უმეტესწილად, ბარბიტურატები გამოიყენება. თუმცა ნარკოფსიქოთერაპიის ისტორია არაა დაკავშირებული სუგესტიასთან, ავტორების დიდი ნაწილი ნარკოფსიქოთერაპიას მიიჩნევენ ნარკოტიკულ ძილში წარმოებულ შთაგონებად.

1922 წელს შილდერმა და შეიდეგ სხვა ფსიქოანალიტიკოსებმა ნარკოტიკული ნივთიერებები გამოიყენეს ფსიქოანალიტიკური მკურნალობის გაადვილებისთვის, ვინაიდან ადამიანი ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ კარგავს საკუთარი თავის კონტროლს და გულახდილია. 1936 წელს ჰორსლიმ შემოიტანა ტერმინი "*ნარკოანალიზი*" და იგი ანალიტიკური ფსიქოთერაპიის მოდიფიკაციად განიხილა. ჰორსლი თელიდა, რომ ნარკოანალიზი ამცირებს ფსიქოანალიტიკურ თერაპიაზე დახარჯულ დროს.

ყველაზე ფართო გამოყენება ნარკოფსიქოთერაპიამ ჰპოვა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. ნარკოანალიზი გამოიყენებოდა ამერიკელ და ინგლისელ ჯარისკაცებთან ისტერიული დარღვევების, შიშისა და შფოთვის შემცირებისთვის. კონტაქტისა და ემოციების გამონთავისუფლების გამო პრაქტიკაში განსაკუთრებით ხშირად გამოიყენებოდა ნარკოკატარსისი – ემოციური განმუსტეა ნარკოტიკული ტრანსის პირობებში. მოგვიანებით დასავლეთში გახშირდა ნარკოანალიზი, ნარკოსინთეზი, "ამითალის ინტერვიუ", როგორც ექსპრეს-ფსიქოანალიზის მეთოდები.

ნანსელი აფთიაქარი ემილ კუე (1857-1926) დაკვირვებული კაცი იყო.

შეამჩნია, რომ წამლის მოქმედება მხოლოდ ფარმაკოლოგიურ თვისებებზე არაა დამოკიდებული, რომ იმასაც აქვს მნიშვნელობა, ამ წამლით გამოჯანმრთელების სჯერა თუ არა ადამიანს. დაკვირვებების საფუძველზე კუემ შექმნა ფსიქოთერაპიული დახმარების სისტემა, რომელსაც უწოდა "ცნობიერი *თვითშთაგონების* გზით საკუთარი თავის ფლობის სკოლა". 1910 წლიდან იგი ხსნის ფსიქოთერაპიულ კლინიკას, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობს.

უნდა აღინიშნოს, რომ სამკურნალო თვითშთაგონების მეთოდის შემუშავებაში მონაწილეობდნენ სხვა მკვლევარებიც, მათ შორის ცნობილი ქართველი ფიზიოლოგი იოანე თარხნიშვილი (თარხანოვი). ამ მეთოდს ყველაზე ინტენსიურად იყენებდნენ 20-იან წლებში, მაგრამ დროთა განმავლობაში მის მიმართ ინტერესი შესუსტდა. კუეს მეთოდმა უფრო დიდი გაელენა იქონია ფსიქოთერაპიის ისტორიაზე, ვიდრე პაციენტებზე. არათუ აუტოსუგესტიის მეთოდებზე, არამედ ჰეტეროსუგესტიაზეც და ბიპეეიორისტულ ფსიქოთერაპიაზეც კი მოახდინა გაელენა კუეს მემკვიდრეობამ.

კუეს მიაჩნდა, რომ დაავადების ძირითადი მიზეზი არის ავადმყოფური წარმოსახვა, რომელშიც ელინდება არაცნობიერი "იდ"-ი. წარმოსახვის ძალა კუემ მთის მდინარეს შეადარა, რომელიც ყველაფერს ანგრევს. წარმოსახვის სტიქია აჩენს ავადმყოფობასაც. გამოჯანმრთელების პირობად კუე თვლიდა სულიერ წონასწორობას, რაც სწორი წარმოდგენებით მიიღწევა. სწორი, ჯანმრთელობისთვის საჭირო წარმოდგენების გამომუშავება, კუეს თვალსაზრისით, შესაძლებელია ბეჯითი ვარჯიშით (სწორედ ეს იდეა იყო მისაღები ბიპეეიორიზმისთვის). კუეს კონცეფციაში ჩანს ფროიდის მოძღვრების ძლიერი გაელენა მიუხედავად იმისა, რომ მისი მეთოდიკა არ გულისხმობს ანალიტიკურ პროცედურას.

სამკურნალო წარმოდგენები, რომლებსაც კუემ უწოდა *თვითშეფასების ფორმულები*, თავისი ფორმით ფაქტის კონსტატაციას წარმოადგენს. ფორმულა უნდა იყოს მარტივი და არ უნდა ქონდეს იძულებითი ხასიათი. მაგალითად, სწორი ფორმულაა "მე კარგად ვარ" და არა - "მე უნდა/მინდა ვიყო კარგად". რაც უფრო უბრალო, ხატოვანი იქნება ფორმულა, მით უფრო მაღალი იქნება მისი სამკურნალო ეფექტი. თვითშთაგონებას არ უნდა ახლდეს ნებისყოფის ძალისხმევა და ამ ძალისხმევის განცდა.

ჩიკაგოელმა ექიმმა ედმუნდ ჯეკობსონმა თავისი მეთოდი წარუდგინა სამედიცინო საზოგადოებას 1908 წელს. ... ანუ, დაახლოებით 10 წლის შემდეგ კუეს მეთოდის გაჩენის შემდეგ და 10 წლით ადრე, შულცის მეთოდის გაჩენამდე.

ჯეკობსონი ამოდიოდა იმ ცნობილი ფაქტიდან, რომ ემოციურ დაძაბულობას თან ახლავს განიეზოლიანი კუნთების დაძაბულობა, დამშვიდებას - მათი *რელაქსაცია*. მან შეამჩნია, რომ სხვადასხვა ტიპის ემოციურ დაძაბულობას შეესაბამება გარკვეული ტიპის კუნთების დაძაბვა. მაგალითად, დეპრესიას თან სდევს სასუნთქი მუსკულატურის დაძაბულობა, შიშს - არტიკულაციის და ფონაციის კუნთების დაძაბულობა და ა.შ.

ჯეკობსონს მიაჩნდა, რომ თუ მიზანმიმართული თვითშთაგონებით

ადამიანი მოადუნებს კუნთების გარკვეულ ჯგუფს ("დიფერენცირებული რელაქსაცია"), შესაძლებელია შერჩევით მოხდეს უარყოფითი ემოციების რეგულაცია. ჯეკობსონი თვლიდა, რომ ტვინის ყოველი ნაწილი ფუნქციონირებს პერიფერიულ ნეირომუსკულატურ აპარატთან კავშირში. იქმნება ცერებრონეირომუსკულარული წრე. მიზანშიმართული რელაქსაცია მოქმედებს როგორც პერიფერიაზე, ისე ცენტრზე. რელაქსაციის ქვეშ ჯეკობსონი გულისხმობდა არამარტო კუნთურ რელაქსაციას, არამედ ყველაფერს, რაც დაძაბულობას უპირისპირდება. აქაც მკურნალობა იწყება სა უბრით, სადაც პაციენტს განემარტება რელაქსაციის მექანიზმები და ფსიქოლოგიური შედეგები. შემდეგ, მოდის პროცედურები, რომელშიც პირობითად სამი ეტაპი გამოიყოფა.

*აუტოგენური ვარჯიში* არის თვითშთაგონება რელაქსაციის მდგომარეობაში (პირველი საფეხური) ან აუტოჰიპნოზში. იგი თვითშთაგონების მეთოდების ყველაზე უფრო გავრცელებული ვარიანტია. მას თვითონ აქვს ვარიანტების დიდი რაოდენობა. ამ მეთოდის ავტორია **იოჰან ჰენრიპ შულცი** (1884 -1970), ტერმინი "აუტოგენური ვარჯიში"-ც მას ეკუთვნის. შულცი სწავლობდა პოზნანში, პოტსდამში და ბრესლაუში. ფრანკფურტში ფსიქოლოგიის ინსტიტუტში იგი კითხულობდა ლექციებს ფსიქოთერაპიაში, თუმცა თვითონ პროფესიით დერმატოლოგი იყო. ცოტა ხნის შემდეგ მან მიიღო ნევროპათოლოგის დიპლომი და გახდა დრეზდენის მახლობლად არსებული სანატორიუმის მთავარი ექიმი. 1924 წლიდან შულცი ბერლინში გადავიდა, სადაც შექმნა თავისი 400-ზე მეტი შრომა, მათ შორის - ძირითადია მონოგრაფია "აუტოგენური ვარჯიში - ყურადღებიანი თვითმოდუნება" (1932). განსაკუთრებით ფართო გავრცელება ამ მეთოდმა პპოვა გერმანიაში, აშშ-ში და კანადაში. ორიგინალური კონცეფტუალური ბაზა შულცის მეთოდს არა აქვს. იგი ეყრდნობა ემოციების ნერვული და კუნთური კომპონენტების კვლევას, კუესა და ჯეკობსონის იდეებს და პრაქტიკას, ნანსის სკოლის პიპნოთერაპევტების და რაციონალური ფსიქოთერაპიის პრაქტიკას. მის სისტემაზე ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა იოგამ, რომელსაც შულცმა ჩამოაცილა მისტიკური ინტერპრეტაცია და ევროპული კულტურისთვის მისაღებ (მეცნიერულ) ფორმაში ჩამოაყალიბა, რაც მის ყველაზე დიდ დამსახურებად ითვლება..

სუგესტური ფსიქოთერაპიის პარალელურად დაიბადა მისი ანტიპოდი – *რაციონალური ფსიქოთერაპია.* წიგნი, სადაც გადმოცემული იყო რაციონალური ფსიქოთერაპიის პრინციპები – "ფსიქონევროზები და მათი მკურნალობა" – გამოქვეყნდა 1912 წელს. მისი ავტორი იყო შვეიცარიელი ნევროპათოლოგი, ფსიქიატრი და გამოჩენილი ფსიქოთერაპევტი **პოლ დიუბუა** (1848-1918), რომელსაც მიაჩნდა, რომ ფსიქიკური დარღვევების მიზეზია რაციონალიზმის დეფიციტი. ამიტომ მკურნალობა მდგომარეობდა კრიტიკულობის, ანალიზის, მსჯელობისა და დასკვნის ლოგიკური ჩვევების გამომუშავებაში. შემოგანილი იქნა ცნება "დაავადების შინაგანი სურათი". დიუბუა მიზნად ისახავდა პაციენტში ამ სურათის ჩამოყალიბებას ლოგიკური კანონების საფუძველზე. ლოგიკური კანონების პაციენტში "გადატანისთვის" დიუბუა, ძირითადად, იყენებდა დირექტიულ სტილს და მიმართავდა რჩევას, დარწმუნებას, განმარტებას, ასევე სოკრატესეულ დიალოგსაც. მოგვიანებით სტილისტური ცვლილე-

ბები შეიტანეს პროცელურაში, რამაც პროცესი მიუახლოვა სწავლებას და გაჩნდა ტერმინი ფსიქოგოგიკა (კრონფელდი), რომელიც პაციენტს ასწავლის დაავადების რაციონალური სურათის ჩამოყალიბებას. რაციონალური ფსიქოთერაპია შეიძლება ჩატარდეს ინდივიდუალურადაც და ჯგუფურადაც. ამ უკანასკნელში რაციონალურ მეთოდებს ჯგუფური ფსიქოთერაპიის მეთოდები ემატება. რაციონალურმა ფსიქოთერაპიამ, როგორც დამოუკიდებელმა სკოლამ, ვერ მოიპოვა მნიშვნელოვანი ადგილი ფსიქოთერაპიაში. მაგრამ რაციონალური ელემენტი მეტ-ნაკლები ხარისხით თითქმის ყველა იმ მეთოდში შეედა, სადაც თერაპიის წამყვანი ფორმა არის საუბარი (გეიანდელი ფსიქოანალიზი და ბიპევიორალური ფსიქოთერაპია, ჰუმანისტური ფსიქოთერაპია და ა.შ.). საზოგადოდ კი, რაციონალური ფსიქოთერაპია მის საფუძველადმდებარე პრინციპების მიხედვით ფსიქოთერაპიის კოგნიტურ მიმართულებას მიეკუთვნება და მის ერთ-ერთ მთავარ წინამორბედად უნდა ჩაითვალოს.

დიუბუას დაუპირისპირდა მისი მეგობარი და კოლეგა, სალპეტრიერის კლინიკის პროფესორი ჟოზეფ დეჟერინი (1849-1917). მისთვის მიუღებელი იყო დიუბუას უკიდურესი რაციონალიზმი. გარკვეული ცოდნის მიცემასა და ჭკუის სწავლებაზე დაყვანილი სულიერი თერაპია არაეფექტურია. მსჯელობასა და დარწმუნებას ნევროტიკის სულიერი მდგომარეობის შეცვლა რომ შეეძლოს, მას ფსიქოთერაპია არც დასჭირდებოდა, ვინაიდან ამ ყველაფერს მორალისტების, სულიერი მოძღვრებისა თუ ფილოსოფოსების თხზულებებში მოსახაედა. მსჯელობა და იდეა, თავისთავად, არ არის სამკურნალო საშუალება. იგი ასეთად იქცევა მხოლოდ მაშინ, თუ ამ იდეის მისაღებად საჭირო ემოციურ ძვრას იწვევს. "მსჯელობასა და პაციენტის მიერ ამ მსჯელობის აღქმას შორის არის ელემენტი ... ესაა გრძნობა, განწყობილება. სწორედ გრძნობა ქმნის ნდობის ატმოსფეროს, რომლის გარეშე ... ყოველგვარი ფსიქოთერაპია შეუძლებელია". თუ ასეთი ემოციური ფონი არსებობს, მაშინ თერაპევტის მიერ პაციენტის უბრალო მოსმენასაც სამკურნალო ეფექტი ექნება. საზოგადოდ კი, ფსიქოთერაპიაში მთავარია პაციენტის ექიმისადმი ნდობა და მათი ემოციური ურთიერთქმედება. თბილი, ნდობის გამომწვევი ატმოსფეროს შექნა აუცილებელ პირობად მიაჩნდა თავისი "სამყაროსხედვითი" თერაპიისთვის გერმანელ ექიმს მარცინოვსკისაც (1909). იგი ცდილობდა პაციენტში ჩამოეყალიბებინა სამყაროს ისეთი ხედვა, როდესაც პიროვნება იგრძნობდა თავს სამყაროს ნაწილად, და გააცნობიერებდა თავის ინდივიდუალობასა და თვითღირებულებას ბოგადსაკაცობრიო ფასეულობებთან მიმართებაში. დეჟერინისა და მარცინოვსკის ფსიქოთერაპიულ მეთოდებში შეიძლება ბევრი საერთოს მონახავა ჰუმანისტურ და ეგზისტენციალურ ფსიქოთერაპიასთან.

ამრიგად, თუ გავითვალისწინებთ, რომ სუგესტიურმა ფსიქოთერაპიამ ფსიქოანალიზის ფორმირებაზეც მოახდინა გავლენა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ XIX და XX საუკუნეების გასაყარზე გამოიკვეთა განსხვავებული ფსიქოთერაპიული მიდგომები, რომლებიც შესაბამის ფსიქოლოგიურ თეორიებს დაეფუძნენ და უმთავრეს ფსიქოთერაპიულ სისტემებად ჩამოყალიბდნენ (იხ. თავი 7, 8, 10, 11).

## ლიტერატურა


1. აბაშიძე ე. პერსონალისტური ფსიქოლოგია. თბილისი, 1962.
2. გამყრელიძე შ., გამყრელიძე ა. შიზოფრენია გუშინ, დღეს, ხვალ. ნარკვევები ფსიქიატრიის ისტორიიდან. თბილისი, 2004.
3. თეოფრასტე. დახასიათებანი თქმულნი თეოფრასტეს მიერ. თფილისი, 1889.
4. ნათაძე რ. ზოგადი ფსიქოლოგია. თბილისი, 1977.
5. უზნაძე დ. პედოლოგია. ტფილისი, 1933.
6. უზნაძე დ. ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები. შრომები, ტ.2. თბილისი, 1960.
7. უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია. შრომები, ტ.3-4. თბილისი, 1964.
8. უზნაძე დ. ბავშვის ფსიქოლოგია. შრომები, ტ.5. თბილისი, 1967.
9. უზნაძე დ. პედაგოგიური თხზულებანი. თბილისი, 2005.
10. Александер Ф., Селесник Ш. Человек и его душа: познание и врачевание от древности до наших дней. М., 1995.
11. Анциферова Л.И. Интроспективный эксперимент и исследования в Вюрцбургской школе. В кн.: Основные направления исследований психологии мышления в капиталистических странах. М., 1966.
12. Бине А. Развитие ителлекта у детей. М., 1911.
13. Бюлер К. Духовное развитие ребенка. М., 1924.
14. Гезелл А. Педология раннего возраста. М-Л., 1932.
15. Дежерин Л., Гоклер Е. Функциональные проявления неврозов и их лечение психотерапией. М., 1912.
16. Дессуар М. Очерк истории психологии. СПб., 2003.
17. Дьюи Дж. Школа и общество. М., 1925.
18. Дьюсбери Д. Поведение животных. М., 1981.
19. Дюбуа П. О психотерапии. М., 1913.
20. Гросс К. Душевная жизнь ребенка. Киев, 1916.
21. Ждан А.Н. История психологии. М., 1990.
22. Каннибих Ю.В. История психиатрии. Л-д., 1928.
23. Каннибих Ю.В. Эволюция психотерпевтических идей XIX в. М., 1936.
24. Келер В. Исследование интеллекта человекоподобных обезьян. М., 1930.
25. Клапаред Э. Психология ребенка и экспериментальная педагогика. СПб., 1911.
26. Клапаред Э. Как определять умственные способности школьников. М., 1927
27. Кондрашенко В.Т., Донской Д.И. Общая психотерапия. Минск, 1997.
28. Крейн У. Теории развития. СПб., 2002.
29. Крогиус А.А. Вюрцбургская школа экспериментального исследования мышления и ее значение. Новые идеи в философии. Вып. 16. СПб., 1914.
30. Крепелин Е. Учебник психиатрии для врачей и студентов. М., 1912.
31. Кюльпе О. Современная психология мышления. Новые идеи в философии. Вып. 16. СПб., 1914.
32. Лоренц К. Кольцо царя Соломона. М., 1978.
33. Марцинковская Т.Д. История возрастной психологии. М., 2004.

34. Мейман Э. Лекции по экспериментальной педагогике. М., 1910.
35. Обухова Л.Ф. Детская психология: теории, факты, проблемы. М., 1995.
36. Рамуль К.А. Из истории психологии. Тарту, 1974.
37. Селли Дж. Очерки по психологии детства. М., 1909.
38. Сравнительная психология и зоопсихология. Хрестоматия. СПб., 2004.
39. Судзуки Д. Основные принципы будизма махаяны. Спб., 2002.
40. Тинберген Н. Поведение животных. М., 1969.
41. Узнадзе: антология гуманной педагогики. М., 2000.
42. Фресс П., Пиаже Ж. Экспериментальная психология. т.1-2. М., 1966.
43. Хайнд Р. Поведение животных. М., 1978.
44. Цзюньмин Я. Корни китайского цигун. Киев, 2000.
45. Шерток Л. Гипноз. М., 1992.
46. Шульц Д.П., Шульц С.Э. История современной психологии. СПб., 1998.
47. Штерн В. Психология раннего детства. Пг., 1915.
48. Штерн В. Одаренность детей и подростков и методы ее исследования. М., 1922.
49. Штерн В. Дифференциальная психология и ее методические основы. М., 1998.
50. Ярошевский М.Г. История психологии. М., 1997.
51. Эббингауз Г. Очерк психологии. В кн.: Ассоциативная психология. М., 1998.
52. Элиаде М. Шаманизм: архаические техники экстаза. Киев, 2000.
53. Элиаде М. Йога: бессмертие и свобода. Спб., 2004.
54. Boring E.G. A history of experimental psychology. New York: Appleton-Century-Crofts. 1950.
55. Klein D.B. A history of scientific psychology. New York – London, 1970.
56. Koch S., Leary D (Eds). A century of psychology as a science. New-York: McGraw-Hill, 1985.
57. Leahey T.H. A history of psychology. New Jersy: Prentice-Hall, 1992.

# თავი 7. სიღრმის ფსიქოლოგია და მისი განვითარება

## 7.1 კლასიკური სიღრმის ფსიქოლოგია

*სიღრმის ფსიქოლოგია* ეუწოდება იმ-ას, რომ არსებობს ფსიქიკა ცნობიერების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად. ამდენად, ეს მიმდინარეობა უპირისპირდება ყველა იმ თეორიულ სისტემას, რომელიც ფსიქოლოგიის საგანს ცნობიერებით შემოფარგლავს. სიღრმის ფსიქოლოგიის უშუალო კვლევის საგანს *არაცნობიერი ფსიქიკა* შეადგენს. მაგრამ არაცნობიერი შეისწავლება ფართო კონტექსტში, პიროვნების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით. ამდენად, იგი *პიროვნების* კატეგორიასაც განიხილავს, ოღონდ იმ როლის თვალსაზრისით, რომელსაც მასში არაცნობიერი სფერო თამაშობს. სიღრმის ფსიქოლოგიაში არაცნობიერი ფსიქიკისა და პიროვნების პრობლემები ორგანულად არის დაკავშირებული ერიმანეთთან. ამ მიმდინარეობის ცენტრალური მოძღვრება ფროიდის ფსიქოანალიზია. მას მიეკუთვნება აგრეთვე აღლერის ინდივიდუალური ფსიქოლოგია და იუნგის ანალიზური ფსიქოლოგია.

ზიგმუნდ ფროიდი (1856-1939) დაიბადა ავსტრია-უნგრეთის პროვინცია მორავიაში, ქალაქ ფრაიბერგში, ხელმოკლე ებრაელი კომერსანტის ძრავალშვილიან ოჯახში. 1873 წელს იგი შეკიდა ვენის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. აქვე მიიღო მედიცინის დოქტორის ხარისხი (1881). უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად, ფროიდი მუშაობდა ვენის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში გამოჩენილ მეცნიერთან, ე. ბრიუკესთან, რომელიც ფიზიოლოგიაში ე.წ. ფიზიკო-ქიმიური სკოლის ერთ-ერთ უფროსად ითვლება. მისგან ფროიდმა მკაცრი დეტერმინიზმის იდეა შეითვისა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ფროიდმა კერძო საექიმო პრაქტიკას მოკიდა ხელი. სწორედ ამ პრაქტიკამ მიიყვანა იგი იავის მეცნიერულ შეხედულებებამდე. ფსიქოანალიზს, როგორც თეორიულ სისტემას, კლინიკური მონაცემები უდევს საფუძვლად. გარდა ამისა, ფსიქოანალიზის სახელით არის ცნობილი ფროიდის მიერ შემუშავებული ფსიქოთერაპიული მეთოდიც. მას ფსიქოანალიზის ავტორი მეცნიერული კვლევის მეთოდად განიხილავდა და მთელი სიცოცხლე აქტიურად იყენებდა. ფროიდის სამკურნალო პრაქტიკა უაღრესად ფართო იყო. აღიარების მოპოვების შერე, მასთან მთელი მსოფლიოდან ჩამოდიოდნენ პაციენტები. 1938 წელს, ავსტრიის გერმანიასთან მიერთების შემდეგ, ფროიდის სიცოცხლეს საფრთხე შეექმნა. ფროიდს ძალიან არ სურდა დაეტოვებინა ვენა, მაგრამ მისი და ოჯახის უსაფრთხოების მიზნით იგი იძუ-

ლებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო და, საბოლოოდ, საკმაოდ დიდი სირთულეების გადალახვის შემდეგ, ლონდონში დასახლდა. ფროიდი ერთ წელიწადში გარდაიცვალა პირის ღრუს კიბოთი, რომლის გავრცელების შესაჩერებლად, 1923 წლიდან მოყოლებული, 33 ოპერაცია გადაიტანა და რომელმაც მას განუზომელი ფიზიკური ტანჯვა მიაყენა.

მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციანი წლების მეორე ნახევარში ფროიდი ორჯერ ეწვია საფრანგეთს. იგი გადიოდა სტაჟირებას შარკოსთან პარიზის სალპეტრიელის კლინიკაში და შემდეგ ბერნჰეიმთან ნანსიში. აქ იგი დარწმუნდა, რომ არსებობს ე.წ. ფუნქციონალური დაავადებები (მაგ., ისტერია), რომელთათვისაც დამახასიათებელია მოძრაობის, აღქმის, მეტყველების, მეხსიერების ან სეკრეტორული სახის დარღვევები. ამ დარღვევებს არ გააჩნია რეალური ორგანული საფუძველი; ისინი ფსიქო-ტრავმატული სიტუაციებით გამოწვეულ ფსიქოფიზიოლოგიურ რეაქციებს ან მათ ფრაგმენტებს წარმოადგენენ. ტიპურ შემთხვევად შეიძლება ჩაითვალოს გამუდმებული მენსტრუალური ციკლის მქონე პაციენტი ქალის მაგალითი, რომელსაც ქმარი არ უყვარდა და მასთან გაყრის შემდეგ ეს სიმპტომი გაუქრა. აღმოჩნდა, რომ ფუნქციონალური დარღვევების სიმპტომების მოხსნა შესაძლებელია ფსიქოთერაპიის მეშვეობით. გამოჩენილი ფრანგი ნევროპათოლოგები მ. შარკო, ი. ბერნჰეიმი, ა. ლიებო, პ. ჟანე და ვენელი ექიმი ი. ბრეიერი, რომელსაც ფროიდი იმ სანებში დაუახლოვდა, ამ შემთხვევებში იყენებდნენ ჰიპნოზის ტექნიკას. ავადმყოფს ჰიპნოტურ მდგომარეობაში ალაპარაკებდნენ იმ ვითარების შესახებ, რომელიც მისი დაავადების მიზეზი გახდა. როდესაც ამ მოგონებებს მწვავე ემოციური რეაქცია მოჰყვება, ხდება სიმპტომების მთლიანი ან ნაწილობრივი მოხსნა, ანუ *კათარზისი.* ფროიდის თქმით, "ისტერიულ ავადმყოფებს აწუხებთ მოგონებები. მათი ჩვეულები წარმოადგენს გარკვეული ტრავმული განცდების შესახებ მოგონებების ნარჩენებს ან სიმპტომებს". როგორც წესი, ავადმყოფებისთვის უცნობია პათოგენური გამოვლინებების რეალური მიზეზი და წყარო. ნორმალურ მდგომარეობაში, პათოგენური სცენები და მათი კავშირი სიმპტომებთან ავადმყოფის ცნობიერებიდან განდევნილია. ჰიპნოტური გახსენება ტრავმული განცდების ნარჩენების (სიმპტომების) მოხსნას იწვევს. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ფროიდი და ბრეიერი 1895 წელს ერთობლივად გამოქვეყნებულ წიგნში ისტერიის შესახებ, რომელიც ფსიქოანალიზის საწყის პუნქტად არის მიჩნეული.

ძალიან მალე ფროიდი წყვეტს ურთიერთობას ბრეიერთან. მათი პოზიციების დაშორება ფროიდის მიერ ნევროზის ბუნების სექსუალიზაციაში გამოიხატა. იდეა სექსუალური მომენტის შესაძლო მნიშვნელობის შესახებ ნევროზის ეტიოლოგიაში ფროიდმა პირველად შარკოსაგან მოისმინა. ის ვარაუდის სახით იყო გამოთქმული, მაგრამ ფროიდმა ამ მომენტს უპირველესი მნიშვნელობა მიანიჭა. თვით ფროიდი თავისი მოძღვრების *პანსექსუალიზმს* ემპირიული ფაქტებით ამართლებდა; ფსიქოანალიტიკურ პრაქტიკაში, რომელიც ასოციაციების, სიზმრების, შემცდარი მოქმედებების და ა.შ. ანალიზს გულისხმობდა, იგი ნევროტული დაავადების ძირითადი მიზეზის როლში სექსუალურ სფეროსთან დაკავშირებულ მოვლენებს აწყდებოდა. ამგვარი

ტრავმების სისშირე აღნიშნული სფეროს განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს.

ხსენებულ ფსიქოანალიტიკურ მეთოდებს ფროიდმა მას მერე მიმართა, რაც დარწმუნდა ჰიპნოზის არაეფექტურობაში. კათარზისი ღრმა ჰიპნოტურ მდგომარეობას გულისხმობს, რომლის მიღწევა ყოველთვის არ ხერხდება. მეტიც, ზოგიერთი პიროვნება სულაც არ ექვემდებარება ჰიპნოზს. ყველაზე რთულ შემთხვევებში ჰიპნოზი არ მუშაობდა, იგი ვერ სძლეოდა პაციენტის წინააღმდეგობას. ფროიდის წინ მთელი სიმწვავით დაიდგა ერთი შეხედვით სრულიად გადაუჭრელი ამოცანა – არაჰიპნოტურ, ჩვეულებრივ მდგომარეობაში მყოფი პაციენტისაგან გაეგო ის, რაც თვით ავადმყოფმაც არ იცოდა. აშკარა იყო, რომ არსებობდა რაღაც ძალები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევდნენ მოგონებას. ამ წინააღმდეგობის იდეაზე ააგო ფროიდმა ფსიქოთერაპიის თავისი გაგება: პაციენტის გამოჯანმრთელებისთვის საჭიროა მოიხსნას ეს წინააღმდეგობა. განკურნების მექანიზმი, თავის მხრივ, მიგვანიშნებს დაავადების პროცესზე. დაავადებას სწორედ ის ძალები იწვევს, რომლებიც ახლა ეწინააღმდეგებიან ტრავმული შინაარსის მოგონებას; მათ განდევნეს ცნობიერებიდან შესაბამისი პათოგენური განცდები. ნევროზის ჩამოყალიბებაში უმთავრესი *განდევნის* მექანიზმია.

ფროიდის ფსიქოთერაპიული ტექნიკა თანდათანობით იხვეწებოდა და, საბოლოოდ, ე.წ. *თავისუფალი ასოციაციის* მეთოდის სახე მიიღო. პაციენტს აწვენენ ტახტზე და სთხოვენ მიჰყვეს ასოციაციების დინებას, გულწრფელად ილაპარაკოს ყველაფერზე, რაც სპონტანურად მოუვა თავში, ყოველგვარი კონტროლისა და კრიტიკულობის გარეშე ვერბალიზებული შინაარსის მიმართ. მიღებულ მასალას ფროიდი ფსიქოანალიზის მაღალს უწოდებდა. აუცილებელია მისი გადამუშავება, ინტერპრეტაცია, ვინაიდან წინააღმდეგობის გამო აზრი ან წარმოდგენა, რომელიც სიმპტომს გამოხატავს, მახინჯდება, მისი სხვა აზრით შენიღბვა ხდება. შენიღბული აზრი განდევნილი აზრის შემცველია. რაც მეტია წინააღმდეგობა, მით მეტია დამახინჯება. ამასთან, შენიღბულ აზრს ყოველთვის გააჩნია რაღაც მსგავსება საძიებელ პათოგენურ აზრთან, რაც შესაძლებელს ხდის ამ უკანასკნელის აღდგენას ანალიზის გზით. თავისუფალ ასოციაციებში ამოტივტივებული შემთხვევითი აზრი ან წარმოდგენა სინამდვილეში არ არის შემთხვევითი; იგი დაკავშირებულია განდევნილ შინაარსთან მინიშნების, გადაკრული სიტყვის წესით. ამ კავშირების ანალიზს, მათ გაშიფვრას ფროიდი მაშინ იწყებდა, როდესაც ასოციაციურ ექსპერიმენტში თავს იჩენდა სხვადასხვა სახის გართულება (პაციენტი იბნევა, ენა ებმის, იმეორებს ერთ და იმავე სიტყვას, ჩივის, რომ რაღაცას ვერ იხსენებს, ან სულაც უარს ამბობს სეანსის გაგრძელებაზე და ა.შ.). მას მიაჩნდა, რომ ამ შემთხვევაში ავადმყოფი გაუცნობიერებლად, თავისდაუნებურად ეწინააღმდეგება რაღაც საიდუმლო აზრებს ან სურვილებს. სწორედ აქ ეძებდა ფროიდი იმ ძაფის ბოლოს, რომელსაც შეეძლო მიეყვანა ცნობიერებიდან განდევნილ და აკრძალულ შინაარსებთან.

უკვე ითქვა, რომ ასოციაციურ ექსპერიმენტში ესა თუ ის გამონათქვამი მიანიშნებს ნევროტულ, დაფარულ აზრზე. მინიშნების ეს მექანიზმი ნორ-

მაშიც მოქმედებს და ყოველდღიური ცხოვრების ბევრ მოვლენაში იჩენს თავს, მაგალითად, ანეკდოტებში, ხუმრობებში და ა.შ. ამ საკითხის ფროიდისეული ანალიზის ილუსტრაციას შემდეგი მაგალითი იძლევა: ორი არცთუ კეთილსინდისიერი საქმოსანი საეჭვო გზებით დიდი ქონების მფლობელი გახდა. მათ გაუჩნდათ სურვილი მაღალ საზოგადოებაში მოხვედრილიყვნენ. ამისთვის ცნობილ მხატვარს დაუკვეთეს თავისი პორტრეტები და მოაწყვეს დიდი წვეულება. სტუმრებს შორის იყო სახელგანთქმული კრიტიკოსი, რომელიც მიიყვანეს კელელთან, სადაც პორტრეტები ერთმანეთის გვერდით ეკიდა. კრიტიკოსმა დიდხანს უყურა მათ, მერე მიუთითა სიერცეზე პორტრეტებს შორის და იკითხა, მაცხოვარი სად არისო? კრიტიკოსს უნდოდა ეთქვა: თქვენ ორი ყაჩაღი ხართ იმათ მსგავსად, რომელთა შორისაც ჯვარცმული მაცხოვარი ეკიდა. მაგრამ ამის ნაცვლად კრიტიკოსი ისეთ ფრაზას წარმოთქვამს, რასაც ერთი შეხედვით კავშირი არა აქვს სიტუაციასთან, თუმცა ჩვენ მაშინვე ვხვდებით მის მინიშნებას. ეს მინიშნება ჭეშმარიტი აზრის "შემცველელია". აზრის შენიღბვის მოტივირება, მექანიზმი აქ ისეთივეა, როგორც თავისუფალი ასოციაციების დროს. რატომ არ ითქვა სათქმელი პირდაპირ? იმიტომ, რომ მოცემულ სიტუაციაში ეს არცთუ უსაფრთხო იყო.

იგივე მექანიზმი მოქმედებს სიზმარშიც. ამიტომ სიზმრების ინტერპრეტაცია ფსიქოანალიზის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდია. ფროიდი განასხვავებს სიზმრის ღია ტექსტს ანუ მანიფესტურ სახეს, ფასადს და მის დაფარულ, შენიღბულ, ლატენტურ აზრს. ამ უკანასკნელს ის სურვილები და ტენდენციები შეადგენს, რომლებსაც ადამიანი საკუთარ თავსაც არ უმხელს, რომლებიც მისთვის აბსოლუტურად მიუღებელია. ასეთი აზრები, ჩვეულებრივ, ძლიერ წინააღმდეგობას აწყდებიან და ღვიძილში საერთოდ ვერ ამოდიან ცნობიერებაში. მაგრამ ძილში, როდესაც ცნობიერების კონტროლი შესუსტებულია, ანუ ნაკლები წინააღმდეგობის პირობებში, მათ საშუალება ეძლევა თავი იჩინონ სიზმრისეულ ცნობიერებაში, ოღონდ სახეშეცლილი, შენიღბული, სიმბოლური სახით, ვინაიდან გარკვეული კონტროლი და ცენზურა ძილშიც შენარჩუნეულია. ამიტომ საჭირო ხდება მათი გაშიფვრა, ინტერპრეტაცია, რასაც ფსიქოანალიტიკოსი აკეთებს მათი რეალური მნიშვნელობის გამოსავლენად. *სიმბოლიზაციის* აზრი, რასაც ფროიდი "სიზმრების სამუშაოს" უწოდებს, სიზმრის ნამდვილი შინაარსის შენიღბვაშია. ფსიქოანალიტიკურ *ინტერპრეტაციას* საწინააღმდეგო მიმართულება აქვს – მან ფარდა უნდა ახადოს საიდუმლო მნიშვნელობას. ფროიდის მიხედვით, სიმბოლოები, რითაც არაცნობიერი სარგებლობს, საკმაოდ ტიპურია, მდგრადია და მათი ცოდნა საშუალებას გვაძლევს, აღმოვაჩინოთ შენიღბული და განდევნილი ტენდენციები; მათ ძალიან ხშირად სექსუალური ხასიათი აქვთ. ფროიდის რწმენით, სიზმრისეული მასალა არაცნობიერის სექსუალიზაციას უეჭველად აღასტურებს. აქედან გამომდინარე, ამ სფეროსთან დაკავშირებული სიმბოლიკა განსაკუთრებით მდიდარი და მრავალფეროვანია.

სიზმარს ხედავენ როგორც ავადმყოფური, ისე ჯანმრთელი ფსიქიკის მქონე ადამიანები. ორივე შემთხვევაში მათი აღმოცენებისა და მოქმედების პრინციპები ერთი და იგივეა – განდევნა, სახეცვლილება, კომპრომისული

შინაარსის შექმნა და ა.შ., რაც არაცნობიერი და ცნობიერი სისტემების დაპირისპირების შედეგია. ყოველივე ეს, ფროიდის თქმით, იმაზე მეტყველებს, რომ ფსიქოანალიზი არ არის დამხმარე მეცნიერება ფსიქოთერაპიის სფეროში; ის, საერთოდ, ფსიქიკის შესახებ მოძღვრებაა.

ამაზე მიუთითებს ისეთი სულიერი მოვლენების ანალიზიც, რომლებსაც, როგორც წესი, არ ანიჭებენ რაიმე მნიშვნელობას, მაგრამ რომელთა შესწავლა ფსიქოანალიტიკური კელეფის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ესაა ყოველგვარი სახის *შეცდომითი მოქმედება*, რომელიც მრავალად გვხვდება ყოველდღიურ ცხოვრებაში: წამოცდენები, წერითი ან კითხვითი შეცდომები, განზრახვის ან რაიმე კარგად ნაცნობის დავიწყება (მაგ., სიტყვების, სახელების), საგნების დაკარგვა, დამტვრევა და სხვა. ამას, ჩვეულებრივ, შემთხვევითობით, გულმავიწყობით, უყურადღებობით ხსნიან და გამორიცხავენ მათ ფსიქოლოგიურ დეტერმინაციას. ასევე, სრულებით არ ექცევა ყურადღება იმ ქცევებს, მოძრაობებს, აქტებს, რომლებსაც მათი შემსრულებელი შეიძლება ვერც ამჩნევდეს: ხელში საგნების ტრიალი, რომელიმე მელოდიის გაუთავებელი ღიღინი ან ფრაზის აკვიატებული ჩურჩული და სხვა. სინამდვილეში ასეთი გამოვლინებები სრულიად კონკრეტული ფსიქოლოგიური მნიშვნელობის მატარებელია და ხშირად ისეთი იმპულსებისა და ბრახვების არსებობაზე მიუთითებს, რომლებიც ადამიანებმა საკუთარ ცნობიერებას უნდა დაუმალონ. მათი მეშვეობით ადამიანი ამჟღავნებს თავის საიდუმლოს, სვაშიადს, საგიეარს, დაფარულ სურვილს. ამიტომ, ასოციაციებისა და სიზმრების მსგავსად, საჭიროა მათი ინტერპრეტაცია. ამან, შესაძლოა, განდევნილ შინაარსთან, მისი ნამდვილი სახის ნაიელყოფასთან მიგვიყვანოს და, რამდენადაც ეს საერთოდ შესაძლებელია, არაცნობიერში ჩაგვასვლოს.

თავისუფალი ასოციაციების, სიზმრების, შეცდომითი მოქმედებების ანალიზი წარმოადგენს ფსიქოანალიტიკურ ტექნიკას, რომელიც ერთსაირად მიესადაგება ავადმყოფური და ნორმალური ფსიქიკის თავისებურებების გამოვლენის ამოცანას.

ამ განზოგადებამდე ფროიდი თანდათან მივიდა. პირველ ეტაპზე იგი ნევროზის მკურნალობით შემოიფარგლებოდა (1895-1905). ამ პერიოდში შექმნილ ნაშრომებს შორის აღსანიშნავია: "სიზმრების ახსნა" (1900), "ყოველდღიური ცხოვრების ფსიქოპათოლოგია" (1901), "გონებამახვილობა და მისი კავშირი არაცნობიერთან" (1905), "სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიაში" (1905). 1902 წელს ყალიბდება ფსიქოანალიზით დაინტერესებულ პირთა ჯგუფი, რომელშიც შედიან ექიმები, მწერლები, ხელოვნების მოღვაწენი. ფსიქოანალიზი თანდათან ძალას იკრებს.

თეორიულ პლანში ფროიდი შემდეგი პრინციპებიდან ამოდის. ფსიქიკა არ ამოიწურება ცნობიერებით. უფრო მეტიც, ფსიქიკა აისბერგს წააგავს, რომლის მხოლოდ ზედა, მცირე ნაწილია ცნობიერება, ხოლო უმეტესი ნაწილი არაცნობიერის სიღრმეებშია ჩაძირული. ფსიქოანალიზს არაცნობიერი ფსიქიკის არსებობის შესახებ ფაქტობრივი და თეორიული არგუმენტები გააჩნია. პირველ ყოვლისა, ეს თვით ფსიქოანალიტიკური პრაქტიკაა. ვინაიდან ის წარმატებულია და არაცნობიერის დაშვებაზეა დაფუძნებული, მაშასა-

დამე, არაცნობიერის არსებობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. არაცნობიერი ფსიქიკური პროცესისთვის შინაარსისა და საგრისის მონახვა გარდაქმნის ცნობიერებას (კურნავს მას). შესაბამისად, აქ ჩართული მოვლენები და პროცესები (პიპნოზი, ასოციაცია, სიზმარი, შეცდომითი მოქმედებები) არაცნობიერზე პირდაპირ მიმანიშნებელ ფაქტებად განიხილება.

არსებობს თეორიული არგუმენტებიც. პირველ რიგში, ესაა თეზისი ფსიქიკის უწყვეტობის შესახებ, რაც არაცნობიერის არსებობის დასამტკიცებლად ჯერ კიდევ ლაიბნიცი მიუთითებდა: ცნობიერებაში არსებული ხარვეზები (ცნობიერების დროებითი გაქრობა) იმის მანიშნებელია, რომ ფსიქიკური ცხოვრება ასეთ შემთხვევაში არაცნობიერ ფორმაში მიმდინარეობს. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, თეზისი ფსიქიკურის ფსიქიკურით დეტერმინირებულობის თაობაზე: მასაც მივყავართ არაცნობიერის დაშვებამდე, ვინაიდან ცნობიერებამ ხშირად არ იცის იმის შესახებ, თუ რატომ ან როგორ წარმოიქმნება მისი შინაარსები. არაცნობიერი ფსიქიკური გასაგებს ხდის ცნობიერი პროცესების ურთიერთკავშირს და ცნობიერების შინაარსების ურთიერთგამომდინარეობას. დებულებები ადამიანის ფსიქიკური სამყაროს დიდი მოცულობისა და ცნობიერების ველის შეზღუდულობის შესახებ ასევე ემყარება არაცნობიერი ფსიქიკური რეალობის დამვებას.

საზოგადოდ, ფსიქიკურ სინამდვილეში სამი სფერო გამოიყოფა: 1. *ცნობიერება,* რომელიც განცდადობის ნიშნით ხასიათდება; 2. *წინაცნობიერი* ფსიქიკა, რომელიც ამჟამად არ იმყოფება ცნობიერებაში, მაგრამ მასთან ახლოს არის და ადვილად, სერიოზული წინააღმდეგობების გარეშე შეუძლია შეაღწიოს ცნობიერების ველში, ე.ი. მას აქვს ცნობიერად ქცევის უნარი; სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის *ლატენტური არაცნობიერი,* ან პოტენციური ცნობიერი. წინაცნობიერი შეიცავს მთელ გამოცდილებას, რომელიც ამჟამად ცნობიერებაში არ იმყოფება 3. *არაცნობიერი* – ესაა ცნობიერებიდან განდევნილი ლტოლვები, წარმოდგენები, გრძნობები, რომლებიც ტკივილს აყენებენ და საფრთხეს უქმნიან ცნობიერებას; ამ მიზეზის გამო ისინი ვერასოდეს შეაღწევენ ცნობიერებაში თავისი ბუნებრივი სახით. ეს შეიძლება მოახერხოს მხოლოდ მათმა შენიღბულმა წარმომადგენელმა.

როგორიც არ უნდა იყოს არაცნობიერში მოცემული შინაარსი და მისი იქ მოხვედრის ისტორია, მას აქვს ცნობიერებაში და ქცევაში გამოვლენის ტენდენცია. არაცნობიერი დინამიკური ბუნებისაა; ფსიქოანალიზს *დინამიკურ ფსიქოლოგიასაც* უწოდებენ. აქედან გამომდინარე, არ არის სწორი არაცნობიერის წარმოდგენა ერთგვარი ფსიქიკური საპყრობილეს სახით, რომელშიც ცნობიერების რეპრესირებული შინაარსებია გამომწყვდეული. ასეთი ინტერპრეტაციისას (რაც, სხვათა შორის, არცთუ იშვიათია) იჩრდილება არაცნობიერის დინამიკური ხასიათი, რაც ფროიდის თეორიის ერთ-ერთი მთავარი მომენტია. დათრგუნვა დინამიკური მოქმედებაა და არა სამუდამო გამოკეტვა ფსიქიკის სიღრმეებში. დათრგუნული აზრები და ლტოლვები აქტიურად ცხოვრობენ და გარკვეული სახით ვლინდებიან ნევროტულ სიმპტომებში, სიზმრებში, ფსიქიკურ შეცდომებში თუ სუბლიმირებულ ქცევებში.

ფსიქიკური სტრუქტურა დაფუძნებულია ტენდენციების კონფლიქტზე.

ერთი მხრივ ეს არის მისწრაფებები, რომელთაც წინააღმდეგობას უწევს მეორე ძალა – *ცენზურა*. მისი გაელენით ხდება სურვილების განდევნა არაცნობიერში, რომელიც წარმოადგენს მის აღგილსამყოფელს. ფსიქიკის ამ სტრუქტურული ფენიდან ისინი პერიოდულად გამოდიან ცნობიერებაში და ქცევაში, ოღონდ არა ნატურალური, არამედ სახეშეცლილი, *სიმბოლური და სუბლიმირებული* ფორმით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ხდება ფსიქიკური ენერგიის განტვირთვა და მისი გადართვა პიროვნებისა და საზოგადოებისთვის მისაღებ ქცევებში, მაგალითად შემოქმედებაში, მეცნიერულ ან პოლიტიკურ მოღვაწეობაში. როგორც ვსხედავთ, ფროიდი ასდენს ნევროზებისთვის შექმნილი შეხედულების განზოგადებას ადამიანის ყოველგვარ მოქმედებაზე, ე.ი. მას ზოგადფსიქოლოგიურ სასიათს ანიჭებს.

თავისი განვითარების მეორე ეტაპზე (1905-1920) ფსიქოანალიზი თანდათან ერცელდება და საერთაშორისო აღიარებას აღწევს. 1907 წელს იქმნება ვენის ფსიქოანალიტიკური საზოგადოება, ხოლო 1910 წელს – ფსიქოანალიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაცია. 1909 წელს ს. ჰოლის მიწვევით ფროიდი მიემგზავრება შეერთებულ შტატებში ლექციების წასაკითხად; ამერიკა ეცნობა ფსიქოანალიზს. სულ მალე ამერიკაშიც და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაშიც იქმნება ფსიქოანალიზის საზოგადოებები. ამავე დროს იწყება ფროიდის შეხედულებების კრიტიკაც. მას განუდგნენ უახლოესი და ყველაზე გავლენიანი თანამზრახველები, ა. ადლერი და კ. იუნგი. მათ სიღრმის ფსიქოლოგიის საკუთარი, ერთმანეთთან დაპირისპირებული მიმართულებები შექმნეს. ფსიქოანალიზის პიონერთა შორის ასევე უნდა აღინიშნოს კარლ აბრაჰამი, ოტო რანკი, ერნსტ ჯონსი, შანდორ ფერენცი, ჰანს საქსი.

განვითარების მესამე ეტაპზე (1920-1939) ფროიდის შეხედულებებმა სერიოზული ცელილება განიცადა. ეს აისახა ამ პერიოდის მრავალ შრომაში, რომელთა შორის შეიძლება გამოიყოს "ფსიქოანალიზის შესავალი ლექციები" (1920) და მისი გაგრძელება (1933), "სიამოვნების პრინციპის მიღმა" (1920), "მე და იგი" (1923), "ერთი ილუზიის მომავალი" (1927), "ცივილიზაცია და მის მიმართ უკმაყოფილება" (1930), "ფსიქოანალიზის ნარკვევი" (1939). ცელილებები უმთავრესად შეეხო ფროიდის მოსაზრებებს ლტოლვაზე და პიროვნების სტრუქტურაზე; ამავე დროს, მოძღვრება გაერცელდა სოციალურ და კულტურულ სფეროზე. რაც შეეხება პიროვნების სტრუქტურას, ის განიხილება როგორც სამი დონის წარმონაქმნის ერთიანობა – *იდი (იგი), ეგო ("მე") და სუპერ-ეგო (მე-"მე")*. იდში თავმოყრილია ჩვენი ლტოლვები, რომელთაც ბიოლოგიური ძირი აქვს. იდი ყოველთვის არაცნობიერია; ესაა პრიმიტიული ინსტინქტებისა და ირაციონალური ძალების ქაოტური თარეშის სფერო. ერთადერთი პრინციპი, რომლითაც ეს პრიმიტიული ლტოლვები ხელმძღვანელობს – *სიამოვნების პრინციპია*. იდის სამყაროსთვის უცხოა რაიმე ღირებულება, სიკეთე თუ ბოროტება, ყოველგვარი მორალი; მისთვის არ არსებობს აზროვნების ლოგიკური კანონები, იგი უგრძნობია შეუსაბამობებისა და წინააღმდეგობების მიმართ. იდი არის მომთხოვნი, იმპულსური, ბრმა, ირაციონალური, ასოციალური, ეგოისტური და უაღრესად ჰედონისტური. მის განკარგულებაშია ორი მექანიზმი, რომლითაც ხდება დაძაბუ-

ლობის განტვირთვა. ესაა *რეფლექტორული მოქმედება და პირველადი პროცესი.* რეფლექტორული მოქმედება თანდაყოლილი ავტომატური რეაქციაა (ხველება, ცემინება, ცრემლდენა და სხვა), რომელიც მომენტალურ განტვირთვას იძლევა. თუ ეს არ ხდება, ჩაირთვება ე.წ. პირველადი პროცესი. ამ შემთხვევაში იქმნება მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან ასოცირებული ობიექტის წარმოდგენა და სურვილი კმაყოფილდება ფანტაზიაში. ნორმალურ ადამიანთან პირველადი პროცესის მაგალითია სიზმარი, ფსიქოზით დაავადებულთან — ჰალუცინაცია.

იდი ორგანიზმში ენერგეტიკის ერთადერთი წყაროა. პიროვნების ყველა სტრუქტურა, ასე თუ ისე, მისი ენერგიით საზრდოობს და მას უკავშირდება. ეს, პირველ რიგში, ეხება ეგოს. ეგოს ფუნქცია მდგომარეობს იდის სურვილების დაკმაყოფილებაში რეალობის გათვალისწინებით და რეალობასთან მიმართებაში. ეგო *რეალობის პრინციპით* ხემძღვანელობს. ამ პრინციპის შესაბამისად, ეგო, საჭიროებისამებრ, აბრკოლებს იდის ენერგიის განტვირთვას, მიმართავს მას სხვა არხში ან აწესრიგებს მის თანდათანობით ხარჯვას. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რის საშუალებას იძლევა რეალური ვითარება, რამდენად ხელმისაწვდომია ლტოლვის საგანი. აქედან გამომდინარე, ეგო ასახავს სინამდვილეს, აანალიზებს მას და ახორციელებს ქცევის რეგულაციას. მის განკარგულებაშია მოტორული აპარატი და პერცეპტურ-კოგნიტური ფუნქციები, რომელთაც ფროიდი *მეორად პროცესს* უწოდებს. ამ სტრუქტურის მეშვეობით, სინამდვილის მონაცემებისა და იდის მოთხოვნების გათვალისწინებით იგეგმება და სრულდება ქცევა. ეგო სწორედ იდის სასარგებლოდ იღებს ამ ფუნქციას; წინააღმდეგ შემთხვევაში იდი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სიამოვნების მიღების წყურვილით არის შეპყრობილი, რეალობასთან შეჯახებისას აუცილებლად განადგურდებოდა. ამასთან, იდი მუდამ ცდილობს დაიმორჩილოს ეგო. პიროვნების ამ ორი სტრუქტურული ფენის ურთიერთმიმართებას ფროიდი ადარებს ცხენისა და მხედრის ურთიერთობას. მოძრაობის ენერგია ცხენიდან მომდინარეობს (იდი), მხედრის ფუნქცია მისი მართვაა (ეგო). მაგრამ ზოგჯერ მათ ურთიერთობაში ნაკლებ იდილიური სურათი იხატება, როცა მხედარი იძულებული ხდება ცხენი იქით გააჭენოს, საითაც მას მოესურვება.

სუპერ-ეგო მორალის პრინციპებით ხელმძღვანელობს. ესაა საზოგადოებრივი ნორმების, წესების, აკრძალვების სისტემა, რომელიც გაშინაგნებული, ინტერიორიზირებულია პიროვნების შიერ და მოქმედებს როგორც კრიტიკოსი, ცენზორი. ამით სუპერ-ეგო მოზრდილ ადამიანში იმ როლის შესრულებას განაგრძობს, რომელსაც ასრულებდნენ მშობლები თუ აღმზრდელები მისი სიცოცხლის ადრეულ პერიოდში. გარდა იმისა, რომ სუპერ-ეგო პიროვნებაში, ასე ვთქვათ, სინდისის ადგილსამყოფელია, ის *მე-იდეალის* მატარებელიცაა, რომელთან მიმართებაში ეგო აფასებს და სრულყოფს თავის თავს. ფროიდი აღნიშნავს, რომ სუპერ-ეგოში მოცემულია მუდმივი სწრაფვა სრულყოფისკენ. ის განასახიერებს ყველა იმ წარმოდგენას ადამიანის საუკეთესო და ამაღლებული მხარეების შესახებ, რაც ფსიქოლოგიურად პიროვნებაში შეიძლება იყოს მოცემული. სუპერ-ეგო, ამავე დროს, მკაცრი

მნეობრიები მსაჯულია.

პიროვნების სტრუქტურის ამ სამ წარმონაქმნს თუ კომპონენტს თავისი საკუთარი ინტერესი ამოძრავებს. ვისაც მეტი ძალა აღმოაჩნდება, ის იმარჯვებს. აღვილი დასანახია, რომ იდისა და სუპერ-ეგოს ინტერესები ერთმანეთის საწინააღმდეგოდ არის მიმართული, მათ შორის შეურიგებელი დაპირისპირება და მუდმივი კონფლიქტია. ორივე მათგანი ეგოს ურთიერთგამომრიცხავ მოთხოვნებს უყენებს და სჯის მას, ერთი მხრივ დაუკმაყოფილებელი სურვილების მძაფრი განცდით (იდი) და, მეორე მხრივ, სინდისის ქენჯნისა და არასრულყოფილების მტკივნეული გრძნობით (სუპერ-ეგო). საერთოდ ეგო სამი სახის მუქარის წინაშე დგას და, შესაბამისად, სამი სახის შიში ან შფოთვა ახასიათებს: რეალისტური, ნევროტული და მორალური. *რეალისტური შფოთვა* პასუხია რეალური სამყაროს რეალურ საფრთხეებზე. *ნევროტული შფოთვა* წარმოადგენს ემოციურ პასუხს იმ მოსალოდნელ საფრთხეებზე, რომელსაც ეგოს იდის უკონტროლო სურვილები უქმნის. *მორალური შფოთვა* დაკავშირებულია სუპერ-ეგოს სინდისთან და ელინდება, ქენჯნის, სირცხვილისა და დანაშაულის გრძნობებში. შფოთვის აღკვეთას ან შემცირებას ეგო სპეციალური *დაცვითი მექანიზმებით* ცდილობს. ისინი არაცნობიერად მოქმედებენ და მიმართული არიან აღქმული რეალობის უარყოფაზე ან დამახინჯებაზე. მთავარ დაცვით მექანიზმს *განდევნა* წარმოადგენს, რაც გულისხმობს შემაწუხებელი აზრებისა და იმპულსების გაგანას ცნობიერების ფარგლებს გარეთ. განდევნა ენერგიის დიდ ხარჯვას მოითხოვს და საგრძნობლად ზღუდავს მის რეალიზაციას განვითარებასა და შემოქმედებაზე მიმართულ ქცევებში. ძლიერი ფსიქიკური თავდაცვა ძვირად უჯდება ადამიანს. სრული და საბოლოო განდევნის მიღწევა საკმაოდ რთულია, ამიტომ მიუღებელი ტენდენციები ცნობიერებას პერიოდულად ახსენებს თავს სიზმრებისა და სხვადასხვა შეცდომითი მოქმედებების სახით.

როდესაც განდევნა გართულებულია ან არაეფექტური, საქმეში ერთვება სხვა დაცვითი მექანიზმები. ერთ-ერთი ასეთი მექანიზმია *პროექცია*, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ინდივიდი თავის არასასურველ აზრებს, სურვილებსა თუ ქცევებს სხვას მიაწერს (გამოცდაზე ჩაჭრილი სტუდენტი თავის წარუმატებლობას იმას აბრალებს, რომ პროფესორმა ეს თემა ლექციაზე არ ახსნა, ან არაობიექტურად ჩაატარა გამოკითხვა). დაცვის შემდეგი მექანიზმებია: *ჩანაცვლება* — იდის იმპულსების მიმართვა უფრო მისაწვდომ, ან ნაკლებ სახიფათო ობიექტებზე (ბავშვი, რომელიც მშობლებმა გააბრაზეს, ჯავრს იყრის თავის დაზე, ძაღლზე ან სათამაშოზე); *უარყოფა* — სახიფათო ან ტრავმული რეალობის აღიარებაზე უარის თქმა, მისი უგულებელყოფა (განწირული ავადმყოფი უბრალოდ თვალს ხუჭავს სინამდვილეზე, არ უშვებს სწრაფი აღსასრულის შესაძლებლობას); *რეგრესია* — ფსიქიკური ცხოვრების უფრო ადრეული, უსაფრთხო და სასიამოვნო ფორმებისკენ მიბრუნება (მოზრდილ ადამიანში ისეთი ქცევების გაჩენა, რომლებიც ბედნიერ ბავშვობასთანაა ასოცირებული); *რაციონალიზაცია* — წარუმატებელი ან მიუღებელი ქცევის გამართლება მოგონილი მოსაზრებებით ან მისი სოციალურად მისაღები ინტერპრეტაცია (სამსახური, საიდანაც გაგვაგდეს, არ ვარგოდა).

ზემოთ უკვე ვახსენეთ ე.წ. *სუბლიმაცია*, რომელიც აკრეთვე დაცვით მექანიზმს წარმოადგენს. ეს მექანიზმი განსაკუთრებულია თავისი სოციალური მნიშვნელობით და არსებითად განსხვავდება დანარჩენებისაგან იმით, რომ არ გულისხმობს პირდაპირი წინააღმდეგობის გაწევას იდის ინსტინქტური იმპულსებისადმი. ამ იმპულსებიდან წამოსული ენერგია სხვა, სოციალურად მისაღებ და სასარგებლო არხებში მიიმართება. ქირურგის, ყასბის ან მოკრიეის საქმიანობა შეიძლება სადისტური (აგრესიული) იმპულსების სუბლიმაციას ნიშნავდეს, მასტურბაციასთან დაკავშირებული შფოთი შეიძლება მოიხსნას სათანადო ენერგიის სპორტულ ქცევაში სუბლიმირების გზით და ა.შ.

ფროიდის შეხედულება მოტივაციაზე აშკარად ბიოლოგისტური. იგი არც განასხვავებს ინსტინქტისა და ლტოლვის ცნებებს. ცხოვრებაში ორი რამ არის მთავარი: მე-ს და სახეობის შესარჩუნება. მათ შეესაბამება მე-ს ლტოლვები (შიმშილი, წყურვილი და სხვა) და სექსუალური ლტოლვები. თავისი კონცეფციის განვითარების ბოლო პერიოდში ფროიდმა შეცვალა კლასიფიკაცია და გამოყო *სიცოცხლისა (ეროსი) და სიკვდილის (თანატოსი)* ინსტინქტები. ეს უკანასკნელი აგრესიული, დესტრუქციული ქმედების საფუძველია და ემყარება არაცოცხალ მდგომარეობაში დაბრუნების ჰიპოთეტურ ტენდენციას. ფროიდის აზრით, ორგანული სამყაროსათვის დამახასიათებელია არა მხოლოდ ზრდისა და ცვალებადობის ტენდენცია, არამედ გამეორების, აღდგენის, სტატუს-კვოს შენარჩუნების ტენდენციაც. აქედან გამომდინარე, ყველა ლტოლვა წინანდელი გაწონასწორებული მდგომარეობის აღდგენისკენ მიისწრაფის; მაშასადამე, ნებისმიერი ცოცხალი არსება, საბოლოო ანგარიშით, ცდილობს დაუბრუნდეს თავის საწყის ე.ი. არაორგანულ მდგომარეობას. ეს ინდივიდის მოტივაციურ ბუნებაშია ჩაწერილი სათანადო ტენდენციის – სიკვდილის ინსტინქტის სახით. წამება, ნგრევა, ომები აქედან იღებენ საითავეს. ეროსსა და თანატოსს შორის უპირატესობა მაინც ეროსს ენიჭება. ესაა არსებითად *სქესობრივი ლტოლვა*, ანუ ფროიდის ტერმინოლოგიით, *ლიბიდოს ენერგია*.

ლიბიდო სათავეს სხვადასხვა ორგანული წყაროებიდან მომდინარე ენერგეტიკული ნაკადულებიდან იღებს და მოგვიანებით სინთეზირდება ერთიან, მძლავრ ენერგეტიკულ ნაკადად. აქ ლაპარაკია სხვადასხვა სახის სიამოვნებაზე, რასაც ორგანიზმი სხეულის ამა თუ იმ ნაწილიდან იღებს; მათ *ეროგენული ზონები* ეწოდება. ეროსის ძირითადი მიზანი ორგანული სიამოვნების მიღებაა. ამრიგად, სხეულის სხვადასხვა ნაწილებისთვის დამახასიათებელი ტენდენციები წარმოქმნიან და აკუმულირებას უკეთებენ ენერგიას, რომლის განტვირთვა სიამოვნებას იწვევს. ფროიდის მოტივაციური თეორია ლტოლვის რედუქციის თეორიაა. ის ჰომეოსტატურია და პედონისტური. ამავე დროს, ის, უდავოდ, პანსექსუალურია, ვინაიდან სიამოვნება, რომელზეც ფროიდი ლაპარაკობს, ფართო მნიშვნელობით, სექსუალური ხასიათისაა. პირველადი და ძირეული ლტოლვა სექსუალურია. ამ ლტოლვის გენეზისზე, ანუ იმაზე, თუ რა სახით ჩამოყალიბდება იგი ბავშვობის ასაკში, დამოკიდებულია ადამიანის ფსიქიკის არსებითი ნიშნები: ხასიათის ტიპი, სექსუალური მიღრეკილებები, ვადახრები, ნეიროზები და ა.შ.

როგორც აღინიშნა, თავდაპირველად ლიბიდო ან სექსუალური ლტოლვა რთული შემადგენლობისაა და მოიცავს სხვადასხვა ეროგენული ზონიდან მომდინარე სიამოვნებას. ამასთან, ფსიქოსექსუალური განვითარების პირველ პერიოდში, რომელიც დაახლოებით ექვს წლამდე გრძელდება, გამოიყოფა რამდენიმე ფაზა; ისინი განსხვავებული ეროგენული ზონის დომინირებით ხასიათდებიან. ეს ზონებია ორალური, ანალური და ფალოსური. *ორალურ სტადიაზე* (1,5 წლამდე) ლიბიდოს დაკმაყოფილება პირის ღრუსთან დაკავშირებული კონტაქტებით ხდება – წოვა, კბენა, ღეჭვა. *ანალურ სტადიაზე* (1,5 – 3წ.) ლიბიდონალური სიამოვნების ძირითად წყაროდ ანალური ზონა იქცევა და ფეკალური მასის განდევნა-შეკავების პროცესებს უკავშირდება. *ფალოსურ სტადიაზე* (3 – 6წ.) ბავშვის ინტერესები ცენტრირდება სასქესო ორგანოებით მანიპულირებაზე. თანდათანობით იწყება გენიტალიური ზონის გაბატონების პროცესი. იგი სრულდება ონტოგენეტური განვითარების მეორე პერიოდში ანუ *გარდამავალ ასაკში.* ცალკეული სექსუალური ინსტინქტი დაექვემდებარება *გენიტალიურ ზონას,* რის შედეგადაც მთელი ლიბიდონალური ენერგია მიიმართება გამრავლების უუნქციისკენ. ამაში მდგომარეობს ფსიქოსექსუალური განვითარების პირველი ხაზი. ეინაიდან ეროსის განვითარების პირველ ეტაპზე დაკმაყოფილება საკუთარი სხეულის სხვადასხვა ზონების გაღიზიანებით ხიიდწეევა, მას *აუტოეროტიზმის ეტაპი* ეწოდება. ფსიქოსექსუალური განვითარების მეორე ხაზი აუტოეროტიზმის დაძლევასა და ადეკვატური ობიექტის არჩევაში მდგომარეობს. ნორმალური ცხოვრებისას ეროსი სხვა აღამიანებზე უნდა იყოს მიმართული. ლიბიდოს ტრანსფორმაციას ამ კუთხით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ლიბიდოს პირველი ობიექტი შეიძლება მხოლოდ მშობელი იყოს. ბიჭისთვის ეს დედაა. შესაბამისად, მასში ყალიბდება მამისაღმი ეჭვიანი და მტრული დამოკიდებულება. გოგონასთან ყველაფერი პირიქითაა. ამ დრამატულ სიტუაციას, რომელიც ონტოგენეტური განვითარების ფალოსურ სტადიზე ეითარდება, ფროიდი *ოიდიპოსის და ელექტრას კომპლექსს* უწოდებს. მორალური წნეხის ქვეშ ეს კომპლექსი აუცილებლად განიდევნება ცნობიერებიდან, მაგრამ არაცნობიერისა და, მთლიანად, პიროვნების ფორმირების თვალსაზრისით, მისი მოქმედება ძალზე მნიშვნელოვანი და ხანგრძლივია. ფროიდი ფიქრობს, რომ ეს კომპლექსი და მისი დაძლევის რაგვარობა უპირატეს როლს ასრულებს ნეეროზის ჩამოყალიბებაში. გარდა ამისა, აქ ხდება პიროვნების ძირითადი ღერძის, მისი სუპერ-ეგოს ფორმირება. ამას განაპირობებს *იდენტიფიკაციის მექანიზმი.* ბავშვი თავს აიგივებს მეტოქე მშობელთან (ბიჭი მამასთან, გოგო დედასთან) და ითვისებს მშობლების ღირებულებების სისტემას. იდენტიფიკაციის პროცესი განსაზღვრავს აგრეთვე გენდერულ იდენტურობას – მამაკაცებისადმი ან ქალებისადმი მიკუთვნებულობის განცდას. ამ კომპლექსის გადალახვის შემდეგ დგება *ლატენტური ფაზა,* ხოლო ფსიქოსექსუალური განვითარების მეორე პერიოდში ლიბიდოს ენერგია, საბოლოოდ, პოულობს შესატყვის და მისაღებ გარე ობიექტს.

პიროვნების ხასიათობრივი ნიშნები და ნევროტული გამოვლინებები ძირითადად იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ გაიარა მან ფსიქოსექსუ-

ალური განვითარების გზა. ხასიათიც და ნევროზიც განიხილება, როგორც ამა თუ იმ სტადიისთვის დამახასიათებელი რეაქციების გადმონაშთი. ფროიდის თანახმად, განვითარების ყოველი ახალი ეტაპი იწვევს ფრუსტრაციას (წინარე სურვილებისა და მოქმედებების ბლოკირება), რასაც შეიძლება ხანგრძლივი და სერიოზული შედეგები მოჰყვეს. ამ შემთხვევაში ხდება *ფიქსაცია* ერთ-ერთ სტადიაზე, რაც მისთვის დამახასიათებელი ქცევებისა და განცდების გაბატონებაში გამოიხატება. მაგალითად, ორალურ სტადიაზე ფიქსაცია საფუძველს უქმნის ისეთ ჩვევებს, როგორიცაა ურჩხილების კვნეტა ან მოწევა, აჩენს მიღრეკილებას ბევრი ჭამისკენ, სმისკენ, ლაპარაკისკენ. იმის მიხედვით, თუ ამ სტადიის რომელ ეაზაზე ხდება ფიქსაცია (კბილების ამოსელამდე, ე.ი. ორალურ-პასიური და კბილების ამოსელის მერე, ე.ი. ორალურ-აგრესიული) ფორმირდება სხვადასხვა *ორალური ხასიათი.* პირველ შემთხვევაში – კეთილმოსურნე, პასიური, მიმნდობი, დამოკიდებული; მეორეში – აგრესიული, ცინიკური, დომინირებული. ანალურ სტადიაზე კონფლიქტი და ფიქსაცია დაკავშირებულია ტუალეტთან მიჩვევის აუცილებლობასთან, რასაც ბავშვის მხრიდან შეიძლება მოჰყვეს სათანადო აქტივობის გაძლიერება ან შეკავება. შესაბამისად, ამ სტადიაზე ფიქსაცია ორი ტიპის *ანალურ ხასიათს* იძლევა: ანალურ-გამოდევნითს – ჯიუტი, შფოთიანი, ექსტრავაგანტური, უეთხუმი, ან ანალურ-შეკავებითს – სისუფთავის მოყვარული, ორგანიზებული, პუნქტუალური, ძუნწი. ფალოსურ და შემდგომ გენიტალიურ სტადიაზე ფიქსაციის შედეგია მოზრდილი ინდივიდის სექსზე ცენტრირებულობა, სექსუალური გადახრები და, საზოგადოდ, ამ სფეროსთან დაკავშირებული ფსიქიკური და ქცევითი პრობლემები.

ფროიდი თვლის, რომ ონტოგენეტური განვითარების აღწერილი ეაზები ფსიქიკის ფილოგენეტური განვითარების პარალელურია. ყოველი ინდივიდუალური ბავშვი, ასე თუ ისე, მოკლედ იმეორებს ადამიანთა მოდგმის განვითარების ისტორიას. ძუძუმწოვარა ბავშვი მხოლოდ იდია. ეგო და სუპერ-ეგო მერე ჩნდება. ასეთივე ვითარებაა პირველყოფილ ჯოგში. სოციალური ორგანიზაციის ამ სტადიაზე ინდივიდს არა აქვს შინაგანი კონფლიქტები, მაგრამ არსებობს გარეგანი კონფლიქტი – ინდივიდებს შორის. აქ დამკვიდრებულია მკაცრი მამის მამაკაცური სურვილების აბსოლუტური ტირანია, გამეფებულია მამის შიში. როდესაც კონფლიქტი აპოგეას აღწევს, შვილები ერთიანდებიან და კლავენ მამას. ამავე დროს მათ ესმით, რომ მომავალში იგივე საშიშროება ელოდებათ თავიანთი შვილებისაგან, ამიტომ კრძალავენ ურთიერთმკვლელობას და ინცესტს (სისხლის აღრევას). ასე წარმოიქმნება ტაბუები (აკრძალვები) და მორალური წესები. ამასთან ერთად, ჩნდება მამის მკვლელობასთან დაკავშირებული მასობრივი დანაშაულის გრძნობა, რომელიც რელიგიის განვითარების ბიძგს წარმოადგენს; მამა – ღმერთის პროტოტიპია, ხოლო მამის მკვლელობის დანაშაული – პირველი ცოდვა. მაშასადამე, "ოიდიპოსის კომპლექსში მოცემულია დასაწყისი რელიგიისა, ზნეობისა, საზოგადოებისა და ხელოვნებისა". საზოგადოება ეფუძნება დანაშაულში თანამონაწილეობას, რელიგია – დანაშაულის ცნობიერებას და მონანიებას, ზნეობა იმავეს, რასაც რელიგია და, გარდა ამისა, საზოგადოების

მოთხოვნებს. საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ მატულობს აკრძალვები, რაც ლიბიდონალური ლტოლვების განდევნას იწვევს. ამით არაცნობიერი იდის სფერო ენერგიით ივსება. იდის ნაწილი გარდაიქმნება ეგოდ და წარმოიქმნება სუპერ-ეგო, რომელშიც საზოგადოებრივი ნორმებია გაშინაგნებული და რომელიც შემდგომი სოციალური და ფსიქოლოგიური განვითარების მნიშვნელოვან მამოძრავებელ ძალად იქცევა.

ცივილიზაციის ეტაპზე ინდივიდის მდგომარეობა უფრო რთულდება. პოლიგამიის ინსტიტუტის არსებობისას, თავისუფალი სქესობრივი მოქმედების პირობებში, პირველყოფილი ადამიანი ლიბიდონალური ენერგიის განტვირთვის მხრივ ძლიერ შეზღუდული არ იყო. მას არ სჭირდებოდა თავისი სექსუალური ენერგიის არასექსუალურ მოქმედებაზე გადატანა. ცივილიზაცია, რომელსაც ახასიათებს მონოგამია, სუპერ-ეგოს გაძლიერება და ა.შ., აიძულებს ინდივიდს მოძებნოს სხვა არხები ლიბიდონალური ენერგიის განტვირთვისათვის. იწყება ძლიერი სუბლიმაცია. ფროიდის თქმით, სუბლიმაცია კულტურის განვითარების თვისებაა. ამიტომ თამაშობს ესოდენ დიდ როლს კულტურულ ცხოვრებაში ადამიანის მოღვაწეობის ისეთი ფორმები, როგორიცაა მეცნიერება, ხელოვნება, იდეოლოგია და სხვა. შეზღუდვები სულ უფრო იზრდება და სუბლიმაციის შესაძლებლობაც თანდათან კლებულობს. სრულფასოვანი, სწორი სუბლიმაციის შეუძლებლობის შემთხვევაში ადამიანი ნევროტული ხდება; ლიბიდო თავის გამოსავალს ნევროტულ სიმპტომებში პოულობს. ცივილიზაციის პროგრესი ეროსთან ერთად თანატოსსაც განდევნის. აგრესიულობა, მკვლელობა ბუნებრივია პირველყოფილი მდგომარეობისთვის. ომი სიკვდილის ინსტიქტის გამოვლენის საუკეთესო საშუალებას იძლევა. მაშასადამე, ომი ბიოლოგიურად არის დეტერმინირებული. ძალადობის ყოველგვარი გამოვლინება, განსაკუთრებით კი მისი მასობრივი ფორმები, წარმოადგენს ამ ინსტინქტის ამბოხს სუპერ-ეგოსა და ცივილიზებული საზოგადოების შემაკავებელი ზემოქმედების წინააღმდეგ.

ამრიგად, კულტურისა და პიროვნების მიმართება ფსიქოანალიზში ორმხრივადაა დანახული. ერთი მხრივ, ცივილიზაცია და მისი შემადგენელი კულტურა თრგუნავს ინდივიდის ბუნებას, იწვევს მის ნევროტიზაციას. მეორე მხრივ, სუბლიმაციის გზით იგი სტიმულირებას უკეთებს პოზიტიურ, შემოქმედებით საქმიანობას. ადამიანისთვის შინაგნად დამახასიათებელი აგრესიულობისა და დესტრუქციულობის შეკავებისა და რეგულაციის თვალსაზრისით, ცივილიზაციის საშუალებები საკმაოდ შეზღუდულია.

ფროიდის სისტემა ფსიქოლოგიის ისტორიაში ყველაზე ინტენსიური განხილვის საგანი გახდა. ფსიქოანალიზის განსხვავებულ შეფასებათა შინაარსი და სიმძაფრე ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ ფსიქოლოგიის რომელ მიმდინარეობას მიეკუთვნება ინტერპრეტატორი. ჰუმანიტარული ტიპის ფსიქოლოგიის ამა თუ იმ მიმართულების მკვლევართათვის, საზოგადოდ, მიუღებელია ფროიდის სისტემის მკვეთრად გამოხატული მექანიცისტური, ბიოლოგისტური, რედუქციონისტული, ჰედონისტური ხასიათი. ძლიერ პროტესტს იწვევს ფროიდის მიერ ადამიანის ბუნების შავბნელ ტონებში წარმოდგენა, რომ ადამიანი ეგოისტური, მხოლოდ სიამოვნებაზე მიმა-

რთული, აგრესიული, კონფლიქტური არსებაა. ცხადია, ასეთ დახასიათებას ვერ მიიღებენ ისინი, ვინც ფიქრობენ, რომ ადამიანის ბუნება პრინციპულად დადებითია ან, უკიდურეს შემთხვევაში, ნეიტრალური. ფროიდის მიხედვით, ადამიანი ირაციონალური არსებაა, იგი წარიმართება არაკონტროლირებადი, არაცნობიერი ძალებით. ისეთ შეხედულებებში, სადაც ადამიანი წარმოდგენილია რაციონალურ, გონიერ არსებად, რომელსაც ხელში უჭირავს ქცევის სადავეები, სებისმიერად და ცნობიერად წარმართავს თავის ცხოვრებას, თვითონ ძერწავს საკუთარ თავს, ფროიდის კონცეფცია მკაცრ კრიტიკას იმსახურებს. ფროიდი ამოდის ავადმყოფობიდან და აქ დადასტურებულ მოელენებს ნორმაზე აერცელებს. მკვლევართა ნაწილისათვის, ვისი ინტერესიც კონცენტრირებულია ადამიანის სრულყოფილ, ჯამრთელ და შემოქმედებით ფუნქციონირებაზე, ასეთი მიდგომა ან სრულიად მიუღებელი ან არასაკმარისია. ფროიდი თვლის, რომ პიროვნების ძირითადი სტრუქტურა ადრეულ ბავშვობაში ყალიბდება და უცვლელად რჩება ცხოვრების განმავლობაში. იმ კონცეფციებში, სადაც ხაზი ესმება პიროვნების განუწყვეტელი ცვალებადობისა და განვითარების პრინციპს, ასეთი შეხედულება ნამდვილად ვერ იქნება შეწყნარებული. ფროიდის მიხედვით, ადამიანში გადამწყვეტ როლს მისი წარსული თამაშობს. ჰუმანიტარული პარადიგმით გაერთიანებულ თეორიებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ადამიანის აწმყოსა და მომავალს მიეწერება. ფროიდის მოტივაციის თეორია ჰომეოსტატურია, ჰედონისტური და, ძირითადად, სექსუალურ მოთხოვნილებებზე დაფუძნებული, რაც, ცხადია, ვერ ამოწურავს ადამიანის მოთხოვნილებათა ფართო სპექტრს. ეს შეხედულება მძაფრ წინააღმდეგობას აწყდება იმათი მხრიდან, ვინც არასაკმარისად მიიჩნევს ადამიანის მოტივაციის დაყვანას დაძაბულობის მოხსნის, წონასწორობის აღდგენის ან სიამოვნების მიღების პრინციპებზე და ვინც ყურადღებას ამახვილებს პიროვნული ზრდის, თვითრეალიზაციისა და თვითაქტუალიზაციის ტენდენციებზე. იგივე ითქმის იმ მკვლევარებზე, ვინც მოტივაცია მრავალიანობის იდეიდან ამოდის და დაუშვებლად მიიჩნევს მოტივაციური სფეროს შეზღუდვას ერთი, მით უფრო სექსუალური მოთხოვნილებით.

ყველა ეს მოსაზრება სერიოზულია და საფუძვლიანი. ამავე დროს გასათვალისწინებელია, რომ ფროიდის შეხედულებები უმთავრესად იმიტომ არის მიუღებელი, რომ ფსიქოანალიზში მათი აბსოლუტიზაცია ხდება; ისინი უკიდურესი პოზიციის სახითაა ფორმულირებული. ეს არ ნიშნავს, რომ ამ შეხედულებებში გამოთქმული იდეები მთლიანად და ხელაღებით უარსაყოფია. არც საწინააღმდეგო თვალსაზრისის აბსოლუტიზაცია მოიტანს სიკეთეს, რადგან ეს მეორე უკიდურესობა იქნება. ასეა, მაგალითად, მაშინ, როდესაც ადამიანის შინაგანი ბუნება აღიწერება, როგორც ცალსახად დადებითი და კეთილი. ფროიდისეული სიკვდილის ინსტინქტი იქნებ ფანტაზიის სფეროსაც მიეკუთვნება, მაგრამ იმ მოსაზრების სასარგებლოდ, რომ აგრესიულობა ადამიანის თანდაყოლილი ბუნების ნაწილია და მას გარკვეული ბიოლოგიური ფესვები გააჩნია, სერიოზული თეორიული და ემპირიული არგუმენტები არსებობს. იგივე ითქმის სხვა პოზიციების შესახებაც. ადამიანის, როგორც მომავალზე ორიენტირებული არსების ხატი, სავსებით მისაღებია; ისიც ნათე-

ლია, რომ არც წარსულის მნიშვნელობის უარყოფა შეიძლება, რაზეც ფროიდი ამახვილებს ყურადღებას. ადამიანი, შესაძლოა, მთელი ცხოვრების განმავლობაში ვითარდება, მაგრამ ბევრი ძირეული სტრუქტურა მართლაც ბავშვობის პერიოდში ფიქსირდება. ანალოგიურად, ადამიანში ცნობიერი და რაციონალური მომენტის საგანსმა მართებულია, მაგრამ ამის გამო არაცნობიერი და, თუნდაც, ირაციონალური მომენტის უგულებელყოფა საბედისწერო შეცდომა იქნება. გამართულ თეორიაში ფსიქიკური ცხოვრების არც ერთი ასპექტის ჰიპერტროფირება არ უნდა ხდებოდეს. იქაც, სადაც ფროიდის მიმართ ყველაზე სერიოზული და სამართლიანი კრიტიკაა გამოთქმული (მხედველობაში გვაქვს მისი მოძღვრების პანსექსუალიზმი), არსებითად, იგივე ლოგიკა მოქმედებს. ადამიანის ყოელისმომცველი სექსუალიზაცია, ცხადია, მიუღებელია. მაგრამ სამარალიანი არ იქნება ფროიდის ღვაწლის შეუფასებლობა სექსუალური მომენტის გათვალისწინებაში, რომელიც მანამდე სრულიად იგნორირებული ან მიჩუმათებული იყო.

გამოთქმულია ძალიან ბევრი შენიშვნა ფსიქოანალიზის მეცნიერულ სტატუსთან დაკავშირებით. ფროიდი საერთოდ არ თელიდა საჭიროდ თავისი თეორიის დებულებების შემოწმებას ობიექტური მეცნიერული პროცედურებით და ამტკიცებდა, რომ კლინიკური დაკვირვებები სრულიად საკმარისია, რადგან ისინი მთლიანად და უეჭველად აღასტურებენ ამ დებულებათა ჭეშმარიტებას. ფსიქოანალიზის ფარგლებში წარმოებული დაკვირვებების ხარისხი და მეცნიერული სანდოობა საფუძვლიან ეჭვს იწვევს. ცნობილია, რომ ფროიდი საკმაოდ ხშირად ამახინჯებდა დაკვირვებებს და იყენებდა შთამაგონებელ პროცედურებს. პაციენტები ფსიქოანალიტიკოსზე მიჯაჭვულები ხდებოდნენ და შეგნებულად თუ შეუგნებლად "აწვდიდნენ" მას "საჭირო" ინფორმაციას. ფროიდი არასდროს აკეთებდა ზუსტ ჩანაწერებს სეანსის მსელელობაში; ეს მოგვიანებით ხდებოდა, მეხსიერებაზე დაყრდნობით, ხშირად საკმაოდ დიდი დროითი ინტერვალის მერე. ასეთი მონაცემების სანდოობა ძალიან სათუოა, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ თვით ფსიქოანალიზის შეხედულებას დამახსოვრებისა და დავიწყების შესახებ, რომლის თანახმად ადამიანი მისთვის სასურველს იმახსოვრებს და იმას ივიწყებს, რაც მის სურვილებს ეწინააღმდეგება.

ფროიდს მტკიცედ სწამდა, რომ ფსიქოანალიზის უეჭველ დადასტურებას მისი თერაპიული წარმატებულობა წარმოადგენს. იგი ამბობდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ ფსიქოანალიზს შეუძლია ნევროზის რეალური მოხსნა, რადგან მხოლოდ ის აღმოაჩენს ფსიქიკის სიღრმეში არსებულ სურვილებსა და აზრებს, რომლებიც ნევროზის სიმპტომებს შეესაბამება. არაცნობიერი ტენდენციების გამოვლენის კვალდაკვალ სიმპტომები ქრება და ბოლოს, ნევროზიც იკურნება. სხვა ფსიქოთერაპევტები, ფროიდის აზრით, აღწევენ მხოლოდ ნაწილობრივ და დროებით ეფექტს, ვინაიდან ვერ სწვდებიან ნევროზის ნამდვილ მიზეზს და მხოლოდ შთაგონების გზით აღწევენ მდგომარეობის უმნიშვნელო გაუმჯობესებას.

აქ უნდა ითქვას, რომ პაციენტის მდგომარეობის გაუმჯობესება, თერაპიის შემდეგ, უთუოდ თეორიის სისწორეზე კი არ მიუთითებს, არამედ მხო-

ლოდ იმაზე, რომ პაციენტისა და თერაპევტის ურთიერთობაში, მათ საუბრებში რაღაცა ეფექტური აღმოჩნდა. ზოგადად თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დაიდგეს, რამდენად მართებულია თეორიის ჭეშმარიტების მტკიცება პრაქტიკის წარმატებაზე დაყრდნობით? აბსოლუტურ პრინციპად და კრიტერიუმად ეს, ცხადია, ვერ გამოიდგება. ეფექტური მოქმედება შეიძლება მცდარ თეორიას ეფუძნებოდეს. ბოლოს და ბოლოს, ძველი მეზღვაურები წარმატებით მოგზაურობდნენ პტოლომეს ასტრონომიულ სისტემაზე დაყრდნობით. მაგრამ, თუ მაინც დაეუშვებთ, რომ გამოჯანმრთელება ერთმნიშვნელოვნად დამოკიდებულია ქვემდებარე თეორიის დასაბუთებულობაზე (იგულისხმება, რომ თერაპიის სხვა სისტემები დაუსაბუთებულია და, მაშასადამე, არაეფექტური), ფსიქოანალიზის წარმატების პროცენტი მეტი უნდა იყოს, ვიდრე სხვა სახის ფსიქოთერაპიისა, რაც სრულებით არ შეეფერება სინამდვილეს.

აკადემიურმა ფსიქოლოგიამ არ ირწმუნა ფროიდის არგუმენტები და შეეცადა ფსიქოანალიზის სერიოზული ვერიფიკაცია მოეხდინა. ამ სისტემის პრაქტიკულად ყველა მნიშვნელოვანი დებულება ემპირიული, ექსპერიმენტული შემოწმების საგანი გახდა. ამ მიმართულებით ასეულობით გამოკვლევაა შესრულებული. მიუხედავად ამისა, სურათი ბოლომდე ნათელი არ არის. სპეციალისტების ნაწილი თვლის, რომ ზოგიერთმა პოსტულატმა შემოწმებას გაუძლო. მაგრამ ექსპერტების უმრავლესობას მიაჩნია, რომ ფსიქოანალიზმა ვერ მოიპოვა ემპირიული დასაბუთება. ეს ეხება თეორიის საყრდენ ცნებებს და კონსტრუქტებს (განდევნა, ოიდიპოსის კომპლექსი, სიკვდილის ინსტინქტი, ხასიათის ტიპოლოგია, სიზმრების კონცეფცია და სხვა). თუ ფსიქოანალიზის პოსტულატებიდან ზოგი რამ დასტურდება კიდეც, მათ ნამდვილად ვერ ვუწოდებთ უნივერსალურ და ზოგად კანონებს, როგორც ფროიდი ფიქრობს. ფროიდი სრულიად გაუმართლებელ განზოგადოებებს მიმართავდა. იგი ამოდიოდა კერძო, უნიკალური ფსიქოანალიტიკური გამოცდილებიდან და მას ადამიანის მთელი ბუნების მომცველი ზოგადი კანონზომიერების სახით წარმოაჩენდა. მაგალითად, მას შემდეგ, რაც მოახდინა თავისი ბავშვობისდროინდელი მოგონებების ფაბრიკაცია დღის მიმართ სექსუალური სწრაფვისა და მამის მიმართ ეჭვიანობისა და სიძულვილის თაობაზე, ფროიდმა დასკვნა, რომ საქმე აქვს უნივერსალურ გამოცდილებასთან – ოიდიპოსის კომპლექსთან. ოიდიპოსის კომპლექსის უნივერსალობის წინააღმდეგ, სხვებთან ერთად, თუნდაც ანთროპოლოგების მონაცემები მეტყველებს. აღმოჩნდა, რომ ბევრ კულტურაში, სადაც არ არსებობს ძლიერი პატრიარქალური ავტორიტეტი, სხვაგვარია ურთიერთობები ოჯახში, ვიდრე ფროიდის დროინდელ ევნაში, არაფერი დასტურდება იმის მსგავსი, რასაც ოიდიპოსის კომპლექსის რომანტიკული სამკუთხედი გულისხმობს. ფროიდი კი ფიქრობდა, რომ ოიდიპოსის კომპლექსი აუცილებლად არსებობს ოჯახის ნებისმიერ მოდელში. ამდენად, იდეა ამ კომპლექსის ბიოლოგიური, მემკვიდრეობითი და, მაშასადამე, უნივერსალური ბუნების შესახებ, არ დასტურდება.

იგივე ითქმის განდევნის კონცეფციის შესახებ, რომელიც უმნიშვნელოვანესია ფსიქოანალიზისთვის. იგი, არსებითად, დაფუძნებულია იდეაზე, რომ

ადამიანისათვის მძიმე, მიუღებელი შინაარსები ითრგუნება და განიდევნება ცნობიერებიდან არაცნობიერში. მრავალი გამოკვლევა, რომელიც ამ კონცეფციის შესამოწმებლად ჩატარდა, საერთო ჯამში უარყოფითი შედეგით დამთავრდა. განდევნის კონცეპტის ემპირიული ვერიფიკაციის კრახი ნიშანდობლივია იმიტომ, რომ ის ფროიდის სისტემის ერთ-ერთი ქვაკუთხედია; ეს არის საფუძველი, რომლის გამოცლაც მთელი შენობის დანგრევას გამოიწვევს. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ კრიტიკოსებისათვის პასუხის გაცემისას ფროიდი სწორედ განდევნის მექანიზმზე მიუთითებდა. როცა სხვა არგუმენტი აღარ გააჩნდა, იგი საყვედურობდა კრიტიკოსებს, რომ მათი დაცვითი მექანიზმები არ აძლევს საშუალებას აღიარონ და შეიწყნარონ ისეთი ფაქტები და შეხედულებები, როგორიცაა ინფანტილური სექსუალობა, ოიდიპოსის კომპლექსი, სიკვდილის ინსტინქტი და სხვა. რაც შეეხება სიკვდილის ინსტინქტს, თითქმის ყველა აღიარებს, რომ ეს ფროიდის ყველაზე გაუგებარი და დაუსაბუთებელი პოსტულატია. იგი იმდენადაა გახვეული მეტაფიზიკურ ბურუსში, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება მისი ფორმულირება ემპირიულად შემოწმებადი დებულებების ფორმაში.

ყოველივე ამის მიუხედავად, ფსიქოანალიზში უთუოდ ბევრი რამაა საინტერესო და მიმზიდველი. კარგი ენა ფროიდის ნაწარმოებებს სასიამოვნო საკითხავად აქცევს არა მხოლოდ სპეციალისტებისათვის. ამასთან ერთად, მათში საუბარია ისეთ საკითხებზე, რომლებიც შეძამ იზიდავს ფართო მკითხველის ყურადღებას – სექსი, აგრესიულობა, დესტრუქტულობა, სიზმარი, სულიერი ტრამვები და დაავადებები. ეს, თავისთავადაც, მაცდური თემებია, მით უფრო, თუ მათი განხილვისას არაორდინალური და საკმაოდ სენსაციური მოსაზრებები გამოითქმის. ფსიქოანალიზის შემთხვევაში ყველაფერი სახეზეა, მაგრამ მხოლოდ ეს სამდვილად ვერ ახსნის ფსიქოანალიზის მართლაც გრანდიოზულ პოპულარობას და იმ გაელვებას, რომელიც მან გასული საუკუნის მთელ დასავლურ კულტურაზე მოახდინა. პირველი და გადამწყვეტი მნიშვნელობის გარემოება ამ შემთხვევაში ის უნდა იყოს, რომ ფსიქოანალიზის მეშვეობით კაცობრიობამ არსებითად პირველად შეძლო კარის შეღება არაცნობიერის სინამდვილეში, რომელიც მანამდე ცხრაკლიტულში იყო მოქცეული. ფროიდმა ჩაგვახედა ბნელეთით მოცულ, ცნობიერების მიღმა მდებარე ფსიქიკურ სამყაროში. რამდენად მართებულად დაახასიათა მან იქაურობა, სხვა საკითხია. ფროიდს არ აღმოუჩენია არაცნობიერი, მაგრამ მან აჩვენა მისი უბარმაგარი როლი, რაც, თავისთავად, უკვე იწვევს მსოფლმხედველობრივი მასშტაბის ცვლილებებს ჩვენს წარმოდგენებში ადამიანის ქცევის შესახებ. ფსიქოანალიზის ყველაზე დიდ წარმატებას და მნიშვნელობას თვითონ ფროიდიც ამაში ხედავდა და, უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ მისი თვითშეფასება პრეტენზიის უმაღლეს დონეზეა. ცნობილია მისი მოსაზრება იმის შესახებ, რომ კაცობრიობის თავმოყვარეობამ მეცნიერული აღმოჩენების მხრიდან სამი უმძიმესი შეურაცხყოფა განიცადა. პირველი იყო კოპერნიკი, რომელმაც დაამსხვრია რწმენა, რომ დედამიწა სამყაროს ცენტრს წარმოადგენს (კოსმოლოგიური შეურაცხყოფა). მეორე დარვინი იყო, რომელმაც გააქარწყლა ადამიანთა ქედმაღლური შეხედულება

თავისი განსაკუთრებულობის შესახებ (ბიოლოგიური შეურაცხყოფა). მესამე თვითთან ფროიდია, რომელმაც კაცობრიობას ყველაზე მძიმე, ფსიქოლოგიური შეურაცხყოფა მიაყენა; მან აჩვენა, რომ ადამიანი საკუთარ სულიერ სამყაროშიც არ არის ბატონ-პატრონი, რომ ცნობიერება არაცნობიერი ძალების მუდმივი მეგაველენის ქვეშ იმყოფება. შესაძლებელია, ეს მსჯელობა ზედმეტი თავმდაბლობით არ გამოირჩევა, მაგრამ ფსიქოანალიზის კოლოსალური გაელენა კაცობრიობის კულტურაზე უეჭველია.

გარდა ზემოხსენებული მომენტებისა, ფსიქოანალიზის პოპულარობა კიდევ ერთმა თავისებურებამ განაპირობა – იგი ერთ-ერთი ყველაზე ფართოა ზოგადფსიქოლოგიურ სისტემებს შორის. ფსიქოანალიზი სულიერი და ქცევითი სფეროს უამრავ გამოელინებას მოიცავს: ცნობიერება და არაცნობიერი, მოტივაციური და ემოციური სფერო, ფსიქიკური აშლილობები და ქცევითი გადახრები, ხასიათის ტიპები და პიროვნების განვითარება, სიზმარი, თამაში, შემცდარი მოქმედებები, აგრესია, კონფლიქტი, ოჯახი, ინცესტი, რწმენა, შემოქმედება და ა.შ. მოველენების ფართო მომცველობა ერთხმად არის აღიარებული ფსიქოანალიზის ძლიერ მხარედ, რადგან თეორიის ეს ფორმალური ნიშანი ძალიან დიდი ღირებულების მატარებელია ფსიქოლოგიური კონცეფციების შემფასებლებს შორის.

რადგან თეორიის შეფასების ფორმალურ კრიტერიუმებზე ვსაუბრობთ, აუცილებელია აღინიშნოს კიდევ ერთი – ესაა თეორიის ეერისტიკულობა; თეორიის ღირებულება იმის მიხედვითაც ფასდება, თუ რამდენად ახდენს იგი შემდგომი კვლევებისთვის საჭირო ახალი იდეების სტიმულირებას. ამ მხრივ ფსიქოანალიზი ფრიად მაღალ შეფასებას იმსახურებს, ვინაიდან მან საუუძველი ჩაუყარა არაერთ ახალ მიდგომასა და გამოკვლევას. სხვა საკითხია, შეძლო თუ არა ამ გამოკვლევებმა თვით თეორიის გაღრმავება და განვითარება, ან მისი დებულებებისა და ჰიპოთეზების დადასტურება. ფსიქოანალიზის, როგორც თეორიული სისტემის მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მისი ცნებები და ცნებათა შორის ნაგულისხმები მიმართებები არ არის ცხადი, ნათლად ფორმულირებული; ამან უაღრესად გაართულა, რიგ შემთხვევებში კი უბრალოდ შეუძლებელი გახადა თეორიის ემპირიული შემოწმება. სპეციალისტების დასკვნით, ფსიქოანალიტიკურ კონცეფციასთან დაკავშირებით საკითხი ასე დაისმის: "ან იგი შეძლებს განვითარდეს შემოწმებადი თეორიის დონემდე, ან, არც თუ მორეულ მომავალში, მას შეცვლის სხვა თეორია, რომელიც არც მომცველობის თვალსაზრისით და არც ცნებითი აპარატის ეკონომიურობით მას არ ჩამოუვარდება და, ამავე დროს, იქნება უფრო მისაწვდომი და ღია ექსპერიმენტული გამოკვლევისთვის" (ლ. პერვინი, ო. ჯონი) ეს პროცესი, როგორც ჩანს, დაწყებულია, ვინაიდან ფსიქოლოგიის ისტორიკოსები უკვე მიუთითებენ ფსიქოანალიზის პოპულარობის შემცირების ტენდენციაზე.

**კარლ გუსტავ იუნგი** (1875-1961) კლასიკური სიღრმის ფსიქოლოგიის ერთ-ერთი მიმართულების, *ანალიზური ფსიქოლოგიის* ფუძემდებელია. ბაზელის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ (1900) იუნგმა დაიწყო მუშაობა ციურიხში, ფსიქიატრიულ კლინიკაში, რომელ-

საც გამონენილი ფსიქიატრი ე. ბლეილერი ხელმძღვანელობდა. მან აგრეთვე გაიარა ორწლიანი სტაჟირება პარიზში, პ. ჟანეთან. აქ იწყებს ე.წ. *კონტროლირებადი ასოციაციის* მეთოდის გამოყენებას *კომპლექსის* გამოსავლენად. ეს მეთოდი ასოციაციური ექსპერიმენტის სახეობაა და განსხვავდება ფროიდის თავისუფალი ასოციაციების მეთოდისაგან იმით, რომ აქ პაციენტმა რაც შეიძლება სწრაფად უნდა უპასუხოს მიწოდებულ სიტყვას თავში პირველად მოსული სიტყვით; მისაწოდებელი სიტყვათა რიგი წინასწარაა შედგენილი. პაციენტში კომპლექსის არსებობაზე შემლეული გარემოებები მიუთითებს: ასოციაციური რეაქციის ხანიერების გაგრძელება, სიტყვა-სტიმულის გაუგებრობა, მისი მექანიკური გამეორება, თარგმნა სხვა ენაზე, "მაგარი" სიტყვების ხმარება, არამოტივირებული საცილი და სხვა. პარალელურად იზომება გარკვეული ფიზიოლოგიური მაჩვენებლები: პულსი, სუნთქვის სიხშირე, ფსიქოგალვანური რეაქცია და სხვა. ყოველივე ეს განიხილება, როგორც *კომპლექსის ინდიკატორი*. ანუ მითითება ისეთ ემოციურად დატვირთულ შინაარსზე, რომლის შესახებ სუბიექტს არ სურს და ხშირად არც შეუძლია ლაპარაკი. ამიტომ, მის გამოვლენას ფსიქოთერაპიის კუთხით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. კომპლექსის იუნგისეული გაგება განსხვავდება ფროიდის თვალსაზრისისაგან. იუნგის მიხედვით, კომპლექსი მეტწილად არაცნობიერია, მაგრამ არ არის აუცილებლად ფსიქიკის პათოგენური გამოვლენა. კომპლექსი ეწოდება ფსიქიკური მოვლენების კომბინაციას, გაერთიანებას ემოციონალური შინაარსის გარშემო. იგი არ ეძორჩილება ცნობიერებას, გააჩნია საკუთარი ენერგეტიკული მუხტი, ტენდენცია. კომპლექსის სტრუქტურა რთულია, მასში გამოიყოფა გული ანუ ცენტრი (ემოციონალური შინაარსი) და მეორადი კონსტელაციური ასოციაციები (აზრები, მოგონებები).

1907 წლიდან იწყება იუნგისა და ფროიდის დაახლოება და თანამშრომლობა. იუნგი ახლდა ფროიდს ამერიკაში, სადაც ლექციები წაიკითხა. იუნგი თანდათან წამყვანი ფიგურა ხდება ფსიქოანალიტიკურ მოძრაობაში; იგი ფსიქოანალიტიკოსთა საერთაშორისო საზოგადოების პირველი პრეზიდენტი და ფსიქოანალიტიკური ჟურნალის პირველი რედაქტორია. ფროიდი მას თავის მემკვიდრედაც მიიჩნევდა. მაგრამ მალე თავი იჩინა სერიოზულმა განსვლამ იუნგისა და ფროიდის თეორიულ პოზიციებს შორის. წიგნში "არაცნობიერის ფსიქოლოგია" (1912) იუნგი გამოთქვამს ფრიოიდისაგან განსხვავებულ შეხედულებებს და არ ერიდება მის გაკრიტიკებას, რაზეც ეს უკანასკნელი, როგორც სჩვეულია, მწვავე რეაქციით პასუხობს. ურთიერთობა მათ შორის თანდათან იძაბება. 1914 წელს იუნგი გამოდის ფსიქოანალიტიკოსთა საზოგადოებიდან. მას მერე იგი ფროიდს არ შეხვედრია.

იუნგი, როგორც პრაქტიკოსი ფსიქოთერაპევტი, უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა. ამავე დროს, მან ჩამოაყალიბა თავისი თეორიული შეხედულებების სისტემა, რომელიც ფართოდ გავრცელდა არა მხოლოდ სპეცია-

ლისტებში, არამედ კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებს შორისაც. 1933 წელს იუნგი ხდება ახლად ორგანიზებული ფსიქოთერაპევტთა საერთაშორისო საზოგადოების პრეზიდენტი. 1948 წელს ციურიხში იხსნება იუნგის ინსტიტუტი, სადაც ანალიზური ფსიქოლოგიის სწავლება მიმდინარეობს. 1921 წელს გამოდის იუნგის წიგნი "ფსიქოლოგიური ტიპები", რომელიც მის ძირითად ნაშრომად ითვლება. აქ მოცემულია არა მარტო მოძღვრება პიროვნების ტიპებზე, არამედ იუნგის შეხედულება არაცნობიერზე. თავისი თეორიის ჩამოყალიბებისას მან მდიდარი მასალა გამოიყენა, რომელიც სხვადასხვა კულტურების ფოლკლორის, მითების, რელიგიური შეხედულებების ანალიზის პროცესში მოიპოვა. ამ მასალის შესაგროვებლად იუნგმა სხვადასხვა დროს ბევრი იმოგზაურა. იყო აფრიკაში – ალჟირში, ტუნისში, კენიაში, საპარას რეგიონში; აგრეთვე მექსიკაში, სადაც ინდიელთა კულტურას გაეცნო; ინდუიზმის და ბუდიზმის შესასწავლად კი მან ინდოეთსა და ცეილონზე იმოგზაურა.

ფროიდთან უთანხმოების ძირითადი საგანი გახდა მის მიერ ფსიქიკური ცხოვრების გადაჭარბებული სექსუალიზაცია. ცოტა ხნით აღრე, ამავე მიზეზით, ფროიდს ჩამოშორდა სიღრმის ფსიქოლოგიის კიდევ ერთი კლასიკოსი ადლერი, რომელმაც ფსიქიკური ცხოვრების ძირეულ მოტივაციურ საწყისად ძალაუფლებისკენ სწრაფვა აღიარა. იუნგის აზრით, ფროიდისა და ადლერის საერთო შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მათ მთელი ფსიქიკური ცხოვრების დეტერმინანტად ერთი, თუმცა განსხვავებული ინსტინქტი ან ლტოლვა იგულისხმეს. სინამდვილეში, იუნგის მიხედვით, ადგილი აქვს ინსტინქტების მონაცვლეობას და ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში განსხვავებული მოტივაციური ძალების დომინირებას. იუნგი ლტოლვათა სიმრავლის თეზისს იცავდა, ხოლო საკუთრივ ტერმინი, "ლიბიდო", მისთვის ზოგადად *ფსიქიკურ ენერგიას* აღნიშნავდა, რომელიც სასიცოცხლო პროცესებში ვლინდება, სუბიექტურად კი ლტოლვისა და სურვილის სახით განიცდება. იუნგი არ ეთანხმებოდა იმ გადაჭარბებულ როლსაც, რომელსაც ფროიდი ფსიქიკური სტრუქტურების ჩამოყალიბებაში "ოიდიპოსის კომპლექსს" მიაწერდა. მიუხედავად ამისა, იუნგი ბოლომდე მაღალ შეფასებას აძლევდა ფროიდის მოძღვრებას, თუმცა მას მხოლოდ "სანახევროდ მართებულად" თვლიდა. იუნგის თქმით, ფროიდამდე არაცნობიერს საერთოდ უარყოფდნენ, ფროიდის გაელენით კი იგი ყოველივე უარყოფითის და მიუღებლის გადასაყრელ ადგილად იქცა. სინამდვილეში, იუნგის აზრით, არაცნობიერი, როგორც ბუნებრივი მოვლენა, ნეიტრალურია და "შეიცავს ადამიანური ბუნების ყველა ასპექტს – ნათელსა და ბნელს, სილამაზეს და სიმახინჯეს, სიკეთეს და ბოროტებას, სიბრძნეს და სისულელეს".

როგორც სიღრმის ფსიქოლოგიის წარმომადგენელი, იუნგი გამოყოფს *ცნობიერ და არაცნობიერ ფსიქიკას.* ცნობიერება ფსიქიკის მცირე ნაწილს შეადგენს; იგი პატარა კუნძულს წააგავს, რომელიც გარშემორტყმულია ფართო და ღრმა არაცნობიერი ზღვით. ადამიანს იმის განცდა აქვს, რომ იგი ცნობიერად ცხოვრობს; სინამდვილეში ეს ასე არ არის. "ცნობიერება უცნაური რამაა. ის წყვეტილი ფენომენია. ადამიანის ცხოვრების მეხუთედი თუ მესამედი ან, იქნებ, ნახევარიც კი არაცნობიერ მდგომარეობაში მიმდინარე-

ობს. ჩვენი ბავშვობის პირველი ხანა არაცნობიერად გადის, ყოველ ღამით არაცნობიერში ეიძირებით, და მხოლოდ, განსაზღვრულ შუალედებში სიფხიზლესა და ძილს შორის ვფლობთ მეტ-ნაკლებად ნათელ ცნობიერებას. კაცმა რომ თქვას, ისიც საკითხავია, რამდენად ნათელია ეს ცნობიერება".

სწორედ არაცნობიერი შეადგენს იუნგის ინტერესის ძირითად საგანს. არაცნობიერში, მისი აზრით, ორი დონე ან ორი სისტემა გამოიყოფა: *პირადი და კოლექტიური*. პირადი არაცნობიერი დაუშორებელია ცნობიერებისაგან. ესაა არაცნობიერის ბედა ფენა, რომელიც შედგება ცნობიერებიდან შესული შინაარსებისაგან – დავიწყებული ამრები, ბღურბლსქვედა, სუსტი ენერგიის მქონე პერცეფციები, განდევნილი ტენდენციები და სურვილები, ტრავმატული შინაარსები. ადამიანს არ შეუძლია ყოველთვის ამაღლებულად, სწორად და გაუყალბებლად იფიქროს, შენიშნავს აეტორი. ცდილობს რა შეინარჩუნოს და განამტკიცოს "იდეალური განწყობა", იგი აეტომატურად განდევნის ცნობიერებიდან ყველაფერს, რაც მას ეწინააღმდეგება. ზემოთ აღნიშნული კომპლექსები პირად არაცნობიერში იმყოფებიან. პირადი არაცნობიერის შინაარსები ინდივიდუალური გამოცდილების შედეგია და ამდენად მე-ს, სუბიექტის კუთვნილება, მისი ორგანული ნაწილია. მათი გასელა ცნობიერებიდან განიცდება. როგორც დანაკარგი, შემოსელა კი, როგორც საკუთარის სასურველი დაბრუნება, რაც არც თუ იშვიათად განკურნების, შემსუბუქების ეფექტს იძლევა. კოლექტიური არაცნობიერის მიმართ ეს ეფექტი შებრუნებულია. იგი მე-ს მიმართ გარეგანი და უცხოა, ზოგჯერ უსიამოვნო და სახიფათოც კი. ასეთი შინაარსი განიცდება, როგორც რაღაც ბებუნებრივი, რაც გაოცებას, მოწიწებას, რიდს და, შესაძლოა, შიშსაც იწვევს. ამ მხრივ იგი ძალიან წააგავს იმ განცდებს, რასაც ადამიანში მითოლოგიურ-რელიგიური ცრურწმენები აღძრავენ.

საზოგადოდ, კოლექტიური არაცნობიერის შინაარსები მითოლოგიურ-რელიგიური ცნობიერების ანალოგიურია, ვინაიდან ორივე კაცობრიობის წარსულისა და მეხსიერების გამოვლინებას წარმოადგენს. კოლექტიური არაცნობიერი ფსიქიკის სიღრმისეული ფენაა. ის არ არის დაკავშირებული ინდივიდუალურ ცხოვრებასთან და თანდაყოლილია. კოლექტიური არაცნობიერი იდენტურია ყველა ადამიანთან და თითოეული ინდივიდის სულიერი ცხოვრების საყოველთაო საფუძველს წარმოადგენს. გარკვეული დონეები კოლექტიურ არაცნობიერშიც გამოიყოფა – იგი შედგება ნაციონალური, რასობრივი და ზოგადადამიანური მემკვიდრეობისაგან. ყველაზე ღრმა შრე შეიცავს იმ კვალს, რომელიც ფსიქიკაში ცხოველურმა გამოცდილებამ დატოვა.

კოლექტიური არაცნობიერი შედგება *არქეტიპებისაგან*. არქეტიპი იუნგის სისტემის ერთ-ერთი ყველაზე რთული ცნებაა. არქეტიპი "ესაა ჩვენი წინაპრების გონება, ხერხი, რომლითაც ისინი ფიქრობდნენ და გრძნობდნენ, საშუალება, რომლითაც ისინი სწვლებოდნენ ცხოვრებასა და სამყაროს, ღმერთებსა და ადამიანებს". არქეტიპი ბერძნულად "პირველად წარმოდგენას" ნიშნავს. მაგრამ სინამდვილეში იგი არ არის საკუთრივ წარმოდგენა, ფსიქიკური შინაარსი. ესაა ფორმა შინაარსის გარეშე, რომელიც ორგანიზებას უკეთებს და წარმართავს ფსიქიკურ პროცესებს. არქეტიპი შეიძლება შეეა-

დაროთ მშრალ კალაპოტს, რომელიც განსაზღვრავს მდინარის კონფიგურაციას, მაგრამ მდინარედ გადაიქცევა მხოლოდ მაშინ, როცა მასში წყალი დინებას დაიწყებს. არქეტიპის დანიშნულება სწორედ ისაა, რომ წყალი (ფსიქიკური პროცესი ან ენერგია) გარკვეულ კალაპოტში წარიმართოს. ერთი სიტყვით, ევოლუციური და ისტორიული ფსიქიკური გამოცდილება თანდაყოლილი იდეის, წარმოდგენის ან განცდის სახით არ არის მოცემული. ჩვენს ფსიქიკურ მემკვიდრეობაში ჩანერგილია შესაძლებლობა, მიდრეკილება გარკვეული განცდებისა და რეაქციებისადმი. მაგალითად, იმ მიზეზის გამო, რომ ადამიანებს ყოველთვის ჰყავდათ დედები, ყველა ასალშობილს თან დაყვება დედის აღქმისა და მასზე რეაგირების გარკვეული მიდრეკილება.

არქეტიპი, როგორც წესი, სიმბოლურადაა მოცემული მითოლოგიური ფიგურის სახით და წარმოადგენს წინაპართა უამრავი თაობის გამოცდილების ფორმულირებას, ერთი და იგივე ტიპის უამრავი განცდის ფსიქიკურ დანალექს. მაგალითად, მრავალი თაობა აკვირდებოდა მზის მოძრაობას ზეცაში. განცდების ეს სიმრავლე, საბოლოო ჯამში, დაფიქსირდა კოლექტიურ არაცნობიერში მზის ღვთაების, გაბრწყინებული ციური სხეულის სახით, რომელსაც ადამიანები თაყვანს სცემდნენ. ასევეა დედის არქეტიპიც. იგი გამოიხატება დადებითი და უარყოფითი მნიშვნელობის კრებითი სიმბოლური წარმოდგენის სახით (ვენერა, ღვთისმშობელი, ალი, ალქაჯი და სხვა); მამის არქეტიპი განასახიერებს კაცებისადმი საერთო დამოკიდებულებას (ღმერთი, ბრძენი, გმირი, დესპოტი და სხვა). არქეტიპული სიმბოლოები შეიძლება მოცემული იყვნენ ადამიანების, დემონების, ცხოველების, ბუნების მოვლენების ან საგნების სახით. ამ წარმოდგენების უნივერსალურობა ამჟამინდელ და წარსულ კულტურებში იუნგისთვის იმის დამადასტურებელია, რომ ისინი კოლექტიურ არაცნობიერს მიეკუთვნება.

არქეტიპები ძალიან ბევრია. იუნგი გამოყოფს რამდენიმეს, რომლებსაც, მისი აზრით, უმთავრესი მნიშვნელობა აქვთ პიროვნების ფორმირებისა და ფუნქციონირების თვალსაზრისით. ესენია პერსონა, ჩრდილი, ანიმა, ანიმუსი და თვითონი. *პერსონა* ნიღაბია, რომელსაც ყველა ადამიანი ატარებს სხვებთან ურთიერთობისას. მისი საშუალებით ადამიანი თავს ისეთად და ისე წარმოაჩენს, როგორი სახითაც სურს, რომ საზოგადოებამ შეაფასოს იგი. ეს ნიღაბი შეიძლება ადამიანის რეალურ ბუნებას ფარავდეს. პერსონა იძერწება სოციალური მოთხოვნების, დადგენილი წესებისა და მისაღები პიროვნული თვისებების ზემოქმედებით. იგი მოიცავს ამ პიროვნებისთვის ტიპურ როლებს, ქცევის სტილს, ურთიერთობების მანერას და ა.შ.

თუ პერსონა, ასე თუ ისე, სოციალურ ადაპტაციასთანაა დაკავშირებული, *ჩრდილის არქეტიპი,* პირიქით, სოციალურად მიუღებელ აზრებს, გრძნობებს და მოქმედებებს წარმოაჩენს. ჩრდილი შეიცავს ადამიანში მოცემულ ცხოველურ, ინსინქტურ წარსულს. ამ არქეტიპის სიმბოლიზაცია პირველი ცოდვის, ემმაკის ან მტრის ხატებით ხორციელდება. ამავე დროს, ჩრდილს დადებითი ასპექტიც გააჩნია – იგი ინსტინქტური სასიცოცხლო ძალის შემცველია; გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევისა და სათანადო არხში მიმართვის შემთხვევაში ის შეიძლება სპონტანურობის, შემოქმედებითი აღტკინების, ემოცი-

ური და გონებრივი გასხივოსნების წყარო გახდეს.

*ანიმასა და ანიმუსის* არქეტიპებში ვლინდება იუნგის მიერ მითითებული გარემოება, რომ ყოველ ადამიანში მოცემულია საწინააღმდეგო სქესის გარკვეული თავისებურებები. ანიმა განასახიერებს ქალურ (ფემინურ) ნიშნებს მამაკაცის ფსიქიკაში, ხოლო ანიმუსი მამაკაცურს (მასკულინურს) – ქალში. ეს არქეტიპები ნაწილობრივ ემყარება ორგანიზმში ორივე სქესის ჰორმონების არსებობის ბიოლოგიურ ფაქტს. ისტორიული განვითარების კუთხით, მათში დაფიქსირებულია საწინააღმდეგო სქესთან ურთიერთობის გამოცდილებასთან დაკავშირებული განცდები.

ყველაზე მნიშვნელოვანი არქეტიპი *"თვითობა"* ალბათ ყველაზე ძნელად გასაგები ცნებაა იუნგის სისტემაში. თვითობის ფუნქცია ფსიქიკური ცხოვრების ყველა ასპექტისა და ნაწილის გაერთიანება-მოწესრიგებაა. თვითობა აკავშირებს ცნობიერებასა და არაცნობიერს. უფრო მეტიც, თვითობა პიროვნების მთლიანობას, მისი ყველა მხარის ინტეგრირებასა და ჰარმონიზაციას განაპირობებს. თვითობა შეიცავს "მე"-ს თვითრეალიზაციის ტენდენციას და, ამიტომ, პიროვნული განვითარების მექანიზმის ქვაკუთხედს წარმოადგენს. განვითარება, იუნგის მიხედვით, შიგნიდან დეტერმინირებული პროცესია, რომელიც მიმართულია არაცნობიერში იმთავითვე მოცემული პიროვნების შინაგანი ბირთვის – თვითობის გახსნასა და ჩამოყალიბებაზე. აქ იუნგს შემოაქვს *ინდივიდუალიზაციის* ცნება. ინდივიდუალიზაცია მთელის წარმოქმნის, საკუთარ თვითობად გახდომის პროცესი და მისწრაფებაა. იგი ხელს უწყობს თვითობას გადაიქცეს პიროვნების ცენტრად, რაც, თავის მხრივ, ინდივიდის თვითრეალიზაციას განაპირობებს. განხორციელებული თვითრეალიზაცია ნიშნავს პიროვნების მიერ ყველა თავისი ინდივიდუალური თავისებურების აქტუალიზაციას. ინდივიდუალიზაციის ამ ბოლო წერტილს მხოლოდ განსაკუთრებული თვისებებითა და შესაძლებლობებით დაჯილდოებული ინდივიდები აღწევენ. მაგრამ, პიროვნების სხვადასხვა ძალების ინტეგრირებას ერთ მთლიანში ადამიანთა უმრაველესობა დაახლოებით 35-40 წლის ასაკში აღწევს. იუნგის მიხედვით, ეს არის პიროვნული განვითარების *კრიტიკული პერიოდი* (ე.წ. შუა ხნის კრიზისი), რომელიც ხშირად საკმაოდ რთულად მიმდინარეობს, მაგრამ, ბოლოს სასიკეთო ტრანსფორმაციით მთავრდება.

როგორც ითქვა, არქეტიპებს მეპიროვნული, აუცილებელი და საყოველთაო ხასიათი აქვთ. ამ კონტექსტში იუნგი განიხილავს კოლექტიური არაცნობიერის ტეინთან კავშირის საკითხს. მას მიაჩნია, რომ კოლექტიური არაცნობიერი ტეინის სტრუქტურის ნაწილია და მასთან ერთად მემკვიდრეობით გადაეცემა ინდივიდს. არქეტიპების თანდაყოლილობა და საყოველთაობა მათი ტეინთან კავშირით არის გაპირობებული. ეს არ ნიშნავს, რომ არაცნობიერი და, საზოგადოდ, ფსიქიკური ერთმნიშვნელოვნად არის დეტერმინირებული ტეინის სტრუქტურით. ასე რომ ყოფილიყო, ფსიქოლოგია ფიზიოლოგიაზე იქნებოდა დაყვანილი. იუნგი კატეგორიული წინააღმდეგია ფსიქიკურის სხვა ბუნების მოელენებით ახსნისა. იუნგის მიხედვით, ფსიქიკური, საზოგადოდ, ფსიქიკურითვეა დეტერმინირებული. თუმცა დეტერმინიზმი არ ნიშნავს აუცილებლად მიზეზობრივ კავშირს ფსიქიკურ მოელენებს შორის.

იუნგის აზრით, კაუზალობის ცნება იმ სახით, როგორც საერთოდ იხმარება მეცნიერებაში, არ არის საკმარისი. ფსიქოლოგია, თავისი არსით, მხოლოდ კაუზალობით ვერ ამოიწურება, ვინაიდან ფსიქიკა მიზანმიმართულიცაა. ამიტომ, კაუზალობის პრინციპთან ერთად, რომელიც ნიშნავს მოვლენის გამოწვევას წინა მოვლენის მიერ, საჭიროა *ტელეოლოგიური პრინციპიც*, რომელიც აწმყო მოვლენის მომავლით ახსნას ითვალისწინებს. ამდენად, იუნგის პოზიცია ფსიქიკურის ფსიქიკურით დეტერმინირებულობის შესახებ, სრულებითაც არ გულისხმობს ფსიქიკური მოვლენების განხილვის რაციონალურ-პოზიტივისტურ წესს. "ირაციონალური ფაქტი, რასაც ფსიქიკაც წარმოადგენს, ბევრად უკეთ აღიწერება საგოვან ფორმაში". ამიტომაცაა რომ არქეტიპული შინაარსების მანიფესტაცია, გამოვლინება მითოლოგიური და რელიგიური თემების, დოგმატური და ირაციონალური წარმოდგენების სახით ხდება. აქედანვე გამომდინარეობს იუნგის ინტერესი ისეთი ირაციონალური სფეროების მიმართ, როგორიცაა ალქიმია და ასტროლოგია. არქეტიპული სიმბოლიკის განმარტებისას იგი უხვად იყენებს ამ სფეროებში არსებულ მასალას. გვიანდელ შრომებში იუნგმა შემოიტანა ე.წ. *სინქრონულობის პრინციპი*. ის ერცელდება ერთიდროულად მიმდინარე მოვლენებზე, რომლებიც მიზეზობრივ კავშირში არ იმყოფებიან, მაგრამ რომელთა სინქრონულობა შემთხვევითი არ არის. ისინი უკავშირდებიან ერთმანეთს ისეთი კანონზომიერებით, რომელიც არა ფიზიკური, არამედ "ფსიქოიდური" ხასიათისაა. ასეთი *აკაუზალური* კავშირის დაშვებით იუნგი ცდილობდა გაეხსნა არქეტიპის გაუგებარი, მიუწვდომელი ბუნება. სინქრონულობის გამოვლინებაა მიმართება რაიმე აზრსა და ობიექტურ მოვლენას შორის (რაიმეს გაიფიქრებ და აგისდება), მაგალითად, სიზმრის ახდენა, ტელეპატია, ტელეკინეზი, ნათელმხილველობა და სხვა პარანორმალური მოვლენები.

კოლექტიური არაცნობიერის წვდომის ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს სიზმრების ანალიზი წარმოადგენს. იუნგი აღნიშნავს, რომ სწორედ სიზმრების შესწავლამ მიმართა ფსიქოლოგია ცნობიერი ფსიქიკური მოვლენების არაცნობიერი ასპექტებისკენ. იგი ძალიან სერიოზულად უდგებოდა სიზმრების ანალიზისა და ახსნის საკითხს. ადასტურებდა რა ტიპური სიზმრებისა და სიმბოლოების არსებობას, იუნგს მაინც შეუძლებლად მიაჩნდა იმაზე ოცნებაც კი, რომ შეიქმნება "სიზმრების განმარტებითი ლექსიკონი", რომელშიც ჩვენთვის საინტერესო ყველა სიმბოლოს მნიშვნელობას მოვძებნით. სიზმრების სიმბოლიკის გაშიფვრა ინდივიდუალურ მიდგომას მოითხოვს. არ არსებობს არც ერთი სიზმრის ერთმნიშვნელოვანი და უნივერსალური ინტერპრეტაცია; სიზმრის არც ერთი სიმბოლო არ შეიძლება განვიხილოთ იმ ადამიანისაგან განყენებულად, ვინც ეს სიზმარი ნახა. სიზმრების ფუნქცია, იუნგის მიხედვით, ცნობიერების *შევსებასა და კომპენსაციაში* მდგომარეობს. იუნგი შემდეგნაირად ახასიათებს კომპენსაციის მექანიზმს: "ფსიქიკა თვითრეგულირებადი სისტემაა, რომელიც წონასწორობას ზუსტად ისევე ინარჩუნებს, როგორც სხეული. ყოველ მეტისმეტად შორს მიმავალ პროცესს დაუყოვნებლივ და უეჭველად მოჰყვება კომპენსაცია. ერთ მხარეზე არსებული დანაკლისი მეორე მხარის სიჭარბით კომპენსირდება. ცნობიერ-

სა და არაცნობიერს შორის მიმართება კომპენსატორულია. ეს სიზმრის ინტერპრეტაციის მრავალნაცადი ხერხია. ყოველთვის, როდესაც სიზმრის ახსნას შევუდგებით, კარგი იქნება ეიკითხოთ, თუ რომელი ცნობიერი ატიტუდის კომპენსაცია ხდება". ატიტუდი ამ შემთხვევაში ექსტრავერსია-ინტროვერსიის თვისებას გულისხმობს. ექსტრავერტული პიროვნება თავის არაცნობიერში, ანუ სიზმარში, ინტროვერტულია და პირიქით. კომპენსაციის მექანიზმი ეხება ფსიქიკისა და პიროვნების ყოველგვარ თვისებას თუ პროცესს. მაგალითად, ადამიანი, რომლის ცნობიერებაში მთავარ როლს აზროვნების პროცესი თამაშობს არაცნობიერში და, კერძოდ, სიზმარში ინტუიციაზე იქნება ორიენტირებული; შეგრძნების დომინირებული პროცესი გრძნობით კომპენსირდება და ა.შ. მაგრამ ადამიანები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან იმ გზების არჩევაში, რის მეშვეობითაც მათი არაცნობიერი (სახელდობრ სიზმარი), კომპენსაციის ფუნქციას ასრულებს. ამდენად, სიზმრებისა და მათი სიმბოლიკის მეტნეკლებად დამაკმაყოფილებელი კლასიფიკაცია ძნელი წარმოსაღგენია.

ცნობილია იუნგის შეხედულება პიროვნების ტიპოლოგიის შესახებ. აქ გამოყენებული ცნებები უკვე ვასსენეთ კომპენსაციის მექანიზმზე საუბრისას. პირველ ყოვლისა მხედველობაში გვაქვს ექსტრავერსია და ინტრავერსია, რომლებმაც მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრეს ფსიქოლოგიის ცნებით აპარტში. ტიპოლოგიის საფუძვლად აღებულია ადამიანის ორი სახის *მიმართულობა (ატიტუდი):* გარეთ – *ექსტრავერსია* და შიგნით – *ინტრავერსია.* აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყოველ ადამიანს პრინციპში, ორივე ატიტუდი აქვს. ამიტომ ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ ერთ-ერთის დომინირებაზე. მაშასადამე, ტიპი გამოყოფილი თვისების შედარებით სიჭარბეს ნიშნავს. ექსტრავერსია-ინტროვერსიის პარამეტრი არ ამოწურავს ინდივიდუალობათა ყველა შესაძლო გამოვლინებას. იუნგს დამატებით შემოაქვს ისეთი დისკრიმინაციული ნიშანი, როგორიცაა *ფსიქიკური ფუნქცია.* იგი ოთხ ძირითად ფუნქციას გამოყოფს: *აზროვნება, ემოცია, შეგრძნება და ინტუიცია.* ამ ფუნქციების საშუალებით ადამიანი ორიენტაციას ახდენს გარე და შიგა სამყაროში, ასახავს და შეისწავლის მას. აზროვნება მოვლენების არსისა და მნიშვნელობის გაგებას ემსახურება; გრძნობის (ემოციის) საშუალებით ხდება მოვლენების სუბიექტური შეფასება; შეგრძნების (პერცეფციის) ფუნქცია რეალობის უშუალო და ცნობიერი ასახვაა; ინტუიციის შემთხვევაში ინფორმაციის მოპოვება არაცნობიერ დონეზე მიმდინარეობს. ინტუიციისთვის დამახასიათებელია წინათგრძნობა, მიხვედრა, გაბრწყინება. ერთ-ერთი ფუნქციის დომინირების მიხედვით გამოიყოფა *ინტელექტუალური, სენტიმენტალური, სენზიტიური და ინტუიციური ტიპი.* ექსტროვერსია-ინტრავერსიისა და ფუნქციური პარამეტრების გათვალისწინებით ვღებულობთ პიროვნების რვა ტიპს (მაგ., ექსტრავერტული-ინტელექტუალური ან ინტროვერტული-ინტუიციური ტიპი). დიფერენციალურ ფსიქოლოგიაში ეს ერთ-ერთი გავრცელებული ტიპოლოგიაა. მის საფუძველზე შეიქმნა პიროვნების კვლევის ტესტი (მაიერს-ბრიქსის ტიპის ინდიკატორი).

როგორც ითქვა, იუნგი სახელგანთქმული ფსიქოთერაპევტი იყო. ფსიქო-

თერაპიის ძირითად ამოცანას იგი პიროვნების ცნობიერ და არაცნობიერ სფეროებს შორის ნორმალური კავშირისა და ურთიერთობის დამყარებაში ხედავდა. პაციენტი მოლიანობაში უნდა განიხილებოდეს. თერაპია ანალიტიკოსისა და პაციენტის ძალისხმევათა გაერთიანებაა. მკურნალობის პროცესი ორ სტადიად იყოფა, ესაა *ანალიზური და სინთეზური* სტადიები. ანალიზური სტადია, თავის მხრივ, ორ ეტაპს გაიელის. პირველ ეტაპზე (ე.წ. *აღსარება*) ხდება მასალის შეგროვება. ანალიტიკოსის დახმარებით პაციენტი საუბრობს თავის ცხოვრებაზე, პრობლემებზე, განცდებზე, სიზმრებზე და ა.შ. ამ დროისთვის პაციენტი უკვე თერაპევტზე დამოკიდებული ხდება. მეორე ეტაპზე (ე.წ. *განმარტება*) მიმდინარეობს აღსარების მასალის ინტერპრეტაცია. აქ იუნგის ყურადღების ძირითადი ობიექტია სიზმრები და სიმბოლოები. პაციენტს საკუთარი თავისა და გარესამყაროს ახლებური გაგება უყალიბდება და, ამავე დროს, კიდევ უფრო დამოკიდებული ხდება თერაპევტზე. მკურნალობის სინთეტურ სტადიაზე აგრეთვე ორი ეტაპი გამოიყოფა: *დასწავლა და ტრანსფორმაცია*. ანალიზურ სტადიაზე მიღწეული გაგება და განმარტება საკმარისი არ არის. შემდგომში, საკმაოდ რთული და მნიშვნელოვანი ამოცანა დასწავლაა. ამ ეტაპზე პაციენტს ახალი ჩვევები, ქცევისა და რეაგირების ახალი სტერეოტიპები უყალიბდება. მკურნალობის ბოლო ეტაპი ეძღვნება პაციენტის ანალიტიკოსზე დამოკიდებულების მაქსიმალურ შესუსტებას, ტრანსფორმაციას. აქცენტი გადადის თვით პაციენტზე, მის თვითგანათლებაზე, თვითსრულყოფაზე; ამის შედეგად იგი სულ უფრო პასუხიმგებელი ხდება საკუთარ განვითარებაზე.

იუნგის შეხედულებებმა სერიოზული გამოძახილი პპოვა კულტურის სხვადასხვა სფეროში (თეოლოგია, ისტორია, ხელოვნება და ა.შ.). მაგრამ იუნგის ალქიმიური, ასტროლოგიური, სპირიტუალისტური და პარაფსიქოლოგიური ჩაღრმავებები ყოველთვის იწვევდა აკადემიური მეცნიერების ბუნებრივ პროტესტს; თუმცა, ასევე ბუნებრივი იყო მისი სისტემით აღფრთოვანება იმათი მხრიდან, ვინც მისტიკურ ცნობიერებას ყველაფერზე მეტად აფასებს. თვით იუნგის სულიერებაში მეცნიერება და მისტიკა უცნაურად თანაარსებობდა. საზოგადოდ, ყველა პრეტენზია, რომელიც ფსიქოანალიზის დებულებების დასაბუთებულობასა და ვერიფიცირებადობას ესება, სრულად მიეკენება ანალიტიკურ ფსიქოლოგიასაც.

კლასიკური სიღრმის ფსიქოლოგიის კიდევ ერთ სერიოზულ მიმართულებას ადლერის *ინდივიდუალური ფსიქოლოგია* წარმოადგენს. **ალფრედ ადლერი** (1870-1937) ფროიდის ერთ-ერთი უახლოესი თანამოაზრე იყო, რომელზეც განსაკუთრებულ იმედს ამყარებდა. თავისი კარიერის დასაწყისში ადლერი ფსიქიატრად მუშაობდა ვენაში. მალე ფროიდს დაუახლოვდა და შევიდა 1902 წელს დაარსებულ "ფსიქოანალიტიკურ წრეში". შემდგომში მას ისეთი ფიგურები შეუერთდნენ, როგორიცაა იუნგი და ბლეილერი. გარკვეული პერიოდის მერე იწყება

თეორიული უთანხმოება ადლერსა და ფროიდს შორის, რაც ძირითადად ამ უკანასკნელის შეხედულების პანსექსუალური ხასიათით იყო გამოწვეული. 1911 წელს ისინი საბოლოოდ წყვეტენ ურთიერთობას. ადლერი იწყებს ორიგინალური კონცეფციის შექმნას და აყალიბებს ფსიქოანალიტიკოსთა ახალ ჯგუფს. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მისი პოპულარობა სულ უფრო იზრდება; 1924 წელს იქმნება ინდივიდუალური ფსიქოლოგიის საერთაშორისო საზოგადოება, ტარდება კონგრესები, გამოდის ჟურნალები. 1934 წელს, ავსტრიის ნაცისტური მთავრობის მიერ ინდივიდუალური ფსიქოლოგიის აკრძალვის შემდეგ ადლერი აშშ-ში მიემგზავრება და ნიუ-იორკის სამედიცინო კოლეჯში იკავებს პროფესორის თანამდებობას. იგი შოტლანდიაში გარდაიცვალა სალექციო ტურნეს მსელელობაში.

ადლერი თვლიდა, რომ პიროვნების განვითარებისა და ჩამოყალიბებისთვის პირველადი და ძირეული სექსუალური მოტივაცია კი არ არის, არამედ *არასრულყოფილების განცდა* და მისი კომპენსაციის მექანიზმები. ადამიანი დაბადებიდან ფრიად არასრულყოფილ არსებას წარმოადგენს. არასრულყოფილების განცდას იწვევს როგორც ორგანოების მორფოლოგიურ-ფუნქციონალური განუვითარებლობა, ისე სხვა სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლიან ფიზიკურ და სოციალურ გარემოსთან შეგუებას. იყო ადამიანი, ნიშნავს გქონდეს არასრულყოფილების განცდა. ეს განცდა თავისი ჰიპერტროფირებული გამოვლინებისას *არასრულყოფილების კომპლექსის* სახეს იღებს. საერთოდ კი იგი საყოველთაო, პირველადი და ნორმალური განცდაა. ეს არ არის პასიური მდგომარეობა; იგი პიროვნების განვითარების სტიმულია, ვინაიდან მასში თავის დაძლევის ტენდენციას აჩენს. ეს ამოსავალი ლტოლვა ვლინდება ისეთი კონკრეტული მოტივაციური ტენდენციების სახით, როგორიცაა *უპირატესობის მიღწევა* ან, უკიდურეს ვარიანტში, *ძალაუფლებისკენ სწრაფვა*. ადლერის თქმით, პიროვნების სოციალური მისწრაფებების შესწავლა, არსებითად, უპირატესობის, ძალაუფლებისა და სხვებზე მბრძანებლობის განდევნილი სურვილების გაშიფვრას ნიშნავს. ადლერი, ფაქტობრივად, იმეორებს ფროიდის ცენტრალურ იდეას არაცნობიერი ინსტინქტების თანდაყოლილობის შესახებ. ბიოლოგიური ინსტინქტური ლტოლვების ნაცვლად, ადლერი არასრულყოფილების გრძნობიდან მომდინარე სოციალურ მისწრაფებებზე ლაპარაკობს, რომლებსაც პირველადი და თანდაყოლილი ხასიათი აქვს. ისინი შეადგენენ პიროვნების მოტივაციურ ფუნდამენტს; მათზე აგებულია ე.წ. კონკრეტული *კომპენსაციის მექანიზმები*, რომელთა საშუალებითაც ხდება პირველადი არასრულყოფილების დაძლევა. ადამიანის მთელი ცხოვრება, მისი "ცხოვრების სტილი", "ფსიქიკური კონსტიტუცია", "მოძრაობის ხაზი" არის კომპენსატორული მექანიზმების რეალიზაცია კონკრეტულ ფორმებში. კომპენსაციის მექანიზმებს, კერძოდ *ცხოვრების სტილს*, ძირითადად, ადრეულ ბავშვობაში, 4-5 წლისთვის ეყრება საფუძველი. ცხოვრების სტილი, ერთი მხრივ, გამოხატავს ადამიანის უნიკალურობას, განუმეორებლობას; იგი ინდივიდუალურია. პირველადი, ამოსავალი მოტივაციის მსგავსების მიუხედავად, საბოლოო ჯამში, ყველა თავისებურად წყვეტს არასრულყოფილების დაძლევის ამოცანას. ამიტომ ეწოდება ამ თვალ-

საბრისს *ინდივიდუალური ფსიქოლოგია*. მეორე მხრივ, ფსიქიკური კონსტიტუცია ინდივიდუალობის მუდმივობას და, მაშასადამე, პიროვნების (ხასიათის) გარკვეულ ტიპს გულისხმობს. აღლერი პიროვნების ოთხ ორიენტაციაზე ან ტიპზე ლაპარაკობს. ესენია: *მართველი ტიპი*, მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალისტური ორიენტაციით, დომინირებისა და სხვებისადმი მგრული დამოკიდებულებით; *ამღებლური ტიპი*, რომელიც ორიენტირებულია მითვისებასა და მოპოვებაზე სხვების ინტერესების გაუთვალისწინებლად; *განრიღების ტიპი*, რომლისთვისაც მთავარია წარუმატებლობისაგან თავის არიღება და არა მიღწევისკენ სწრაფვა. ცხოერების ეს სამივე სტილი, პრინციპში, არაადაპტურად და არაჯანსაღად უნდა ჩაითვალოს. ადაპტურს აღლერი მეოთხე, ე.წ. *სოციალურ-სასარგებლო ტიპს* უწოდებს. მასში მოცემულია ძლიერი სოციალურად ორიენტირებულობა, სხვებთან ურთიერთობისა და მათზე ზრუნვის განწყობა. ასეთი პიროვნება სასიცოცხლო ამოცანებს თანამშრომლობისა და კონსტრუქციულობის ვითარებაში წყვეტს.

აღლერის თანახმად, პიროვნების ამა თუ იმ სტრუქტურისა და ორიენტაციის ფორმირებაზე მნიშვნელოვან გავლენას ასდენს ბავშვის *დაბადების რივეთობა*, ანუ ის, თუ რიგით მერამდენე ბავშვია, რა ადგილი უკავია ოჯახში და, აქედან გამომდინარე, რა სოციალური გამოცდილება აქვს მიღებული. პირველი შვილი ყურადღების ცენტრშია მანამ, სანამ არ გაჩნდება მეორე ბავშვი, რაც ბოლოს უღებს მის პრივილეგირებულ მდგომარეობას. ეს მძიმე განცდებს იწვევს, მათ შორის ისეთებს, როგორიცაა დაურწმუნებლობა და უსაფრთხოების დაკარგვა, ეჭვიანობა და მგრული დამოკიდებულება, წარსული მდგომარეობის დაბრუნების სურვილი. შედეგად, შეიძლება ჩამოყალიბდეს ავტორიტარულობა, კონსერვატულობა, ძალაუფლებისკენ სწრაფვა, ლიდერობისკენ მიდრეკილება. თუ "ტახტის დაკარგვასთან" შეგუება ნორმალურად არ ჩაივლის, არსებობს დიდი ალბათობა, რომ მივიღოთ პრობლემური ბავშვი, ხოლო მოზრდილობაში – დამნაშავე, ნეეროტიკი, ალკოჰოლიკი, გარყვნილი პიროვნება. მეორე შვილი ხშირად ხდება ამბიციური, ურჩი, ეჭვიანი, პატივმოყვარე ადამიანი, რადგან მის წინაშე მუდამ დგას ამოცანა აჯობოს თავის უფროს ძმას ან დას. აღლერის აზრით, ყველაზე კარგად ადაპტირებული სწორედ მეორე ბავშვია, ყველაზე პრობლემური კი უმცროსი შვილი. ერთი მხრივ, მას მმობლებიც ანებივრებენ და და-ძმებიც. მაგრამ, მათთან შედარებით უმცროს ბავშვს ნაკლები პრივილეგიები აქვს, რაც იწვევს არასრულყოფილების გრძნობის გაძლიერებას და დამოუკიდებლობის განცდის შესუსტებას. დედისერთას პრობლემა იმაშია, რომ იგი ოჯახის ცენტრია, ამიტომ, მუდმივი ყურადღებისა და კონტროლის ქვეშ იმყოფება. შედეგად, დამოკიდებული და ეგოცენტრული პიროვნება ვითარდება.

აღლერი საგანგებოდ იხილავს კომპენსაციის ერთ გამორჩეულ ფორმას, რომელიც გარკვეული ტიპის ცხოვრების სტილს ქმნის და მას *ჰიპერკომპენსაციას ან ზეკომპენსაციას* უწოდებს. ეს არის თავისებური, არასრულყოფილებაზე განსაკუთრებით ძლიერი რეაქციის ტიპი. ამ შემთხვევაში პიროვნება საგანგებო ძალისხმევით, ნებისყოფის დიდი დაძაბვით, დაუღალავი ვარჯიშით ცდილობს განვითაროს ის ფუნქციები და თვისებები, რომლებიც

მას თავიდან არასრულყოფილად აქვს მოცემული. უღიდესი შეუპოვრობისა და შემართების შედეგად იგი უნიკალურ, უღიდეს შედეგებს სწორედ იმ სფეროში აღწევს, სადაც დეფექტი გააჩნდა. ჰიპერკომპენსაციას ფსიქიკის სფეროში თავისი ანალოგები მოეპოვება ორგანულ პროცესებში. აცრისას ორგანიზმი ავადდება, მაგრამ, ამარცხებს რა დაავადებას, იგი უფრო ჯანმრთელი და ძლიერი ხდება, ვიდრე იყო. ეს პარადოქსული ორგანული პროცესი, რომელიც აავადმყოფობას შეჯამრთელობად, სისუსტეს ძლიერებად, მოწამელას იმუნიტეტად აქცევს, ჰიპერკომპენსაციის გამოვლინებაა. ეს იმით აიხსნება, რომ რაიმე დაზიანებისა თუ საფრთხის წარმოქმნისას ორგანიზმი, როგორც მთლიანი სისტემა, თავს უცრის იმაზე მეტ სასიცოცხლო ძალებსა თუ ორგანულ რესურსებს, ვიდრე ეს კონკრეტული დარღვევის აღმოფხვრისათვის არის საჭირო; ამით იგი დაცულობის უფრო მაღალ გარანტიებს ქმნის. ფსიქიკური აპარატიც აყალიბებს ერთგვარ "ფსიქიკურ შედნაშენს" და განსაკუთრებულად ავითარებს ისეთ ფსიქიკურ პროცესებს, როგორიცაა მეხსიერება, ინტუიცია, ყურადღება, მგრძნობელობა, ინტერესი; ერთი სიტყვით, ქმნის შესრულყოფილებას არასრულყოფილებიდან, გარდაქმნის დეფექტს ნიჭად, ტალანტად. აღლერს მრავალად მოაქვს ამგვარი მაგალითები: ენაბლუ დემოსთენე დიდი ორატორი გახდა, მანეს ასტიგმატიზმი ჭირდა, სმენადაქვეითებული ბეთჰოვენი საბოლოოდ დაყრუვდა. განსაკუთრებით ხშირად მიუთითებდა აღლერი ნაპოლეონზე, რომლის მხედარმთავრულ გენიას ნაწილობრივ მისი სიდაბლით, აგრეთვე, გარკვეული ფიზიკური დეფექტებით გამოწვეული არასრულყოფილების გრძნობით და, შესაბამისად, ამ გრძნობის დასაძლეველად წარმართული ჰიპერკომპენსაციით ხსნიდა.

ცხოვრების სტილისა და კომპენსაციის მექანიზმების დახასიათებასთან დაკავშირებით, აღლერს შემოაქვს *სოციალური გრძნობის* ცნება. ეს გრძნობა არ შეიძინება სოციალიზაციის პროცესში, იგი, ფაქტობრივად, თანდაყოლილია ისევე, როგორც არასრულყოფილების გრძნობა. ადამიანს არ შეუძლია მარტომ გადაწყვიტოს თავისი სასიცოცხლო (კომპენსატორული) ამოცანები, იგი იმთავითვე სოციალურია. ნორმალური განვითარებისთვის ინდივიდი აუცილებლად უნდა ჩაერთოს სოციალურ კონტექსტში, დაიმკვიდროს თავისი ადგილი ჯგუფში, საზოგადოებაში. "თავის სისუსტეში ადამიანს მხოლოდ საზოგადოებაზე დაყრდნობა შეუძლია. შეიძლება ითქვას, რომ მას არ ძალუძს იარსებოს მარტო; არსებობის უნარს იგი მხოლოდ საზოგადოების დახმარებით იძენს. ამიტომ, ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ საზოგადოება იმ ფაქტორის სახით, რომელიც ინდივიდუმის სისუსტის კომპენსირებას ახდენს". უპირატესობისკენ, დომინირებისკენ, ძალაუფლებისკენ სწრაფვა, როგორც ძირეული მოტივაციური ტენდენცია, თავისთავად გულისხმობს სხვას – სოციუმს. ასევე ენა, გონება, ზნეობა, ესთეტიკური გრძნობა თავისი ფორმირებისა და რეალიზაციისთვის მოითხოვს ბავშვის კავშირს ახლობელ ადამიანთან. სხვა ადამიანებთან ურთიერთობა, მათი შემეცნება, ადამიანის საზოგადოებაში ცხოვრების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

სოციალური გრძნობა ძირითადად სამ სფეროში ვლინდება: პროფესიული საქმიანობა, სხვა ადამიანებთან სოციალური კონტაქტი და სიყვარული.

პიროვნება, რომლის სოციალური გრძნობა შესუსტებულია, ან რომელიც სოციალურ ურთიერთობებში შეუერხებებს აწყდება, ვერ აღწევს სრულყოფილ რეალიზაციას ამ სფეროებში, რაც ავტომატურად გამორიცხავს ნორმალურ კომპენსაციას. ამის პირდაპირი შედეგია პიროვნების ავადმყოფური გამოვლინებები ან გადახრები, დევიანტური ქცევები და ა.შ. "ყველა ადამიანის წარუმატებლობაში, ალკოჰოლიზმში, მორფინიზმში, კოკაინიზმში, სქესობრივ დამახინჯებებში, არსებითად ყველა ნერვულ გამოვლინებაში ჩვენ, ფაქტობრივად, შეგვიძლია აღმოვაჩინოთ სოციალური გრძნობის არასაკმარისი დონე".

ამრიგად, ნევროზი (ფსიქოანალიტიკური პრაქტიკის ძირითადი ობიექტი), ადლერის მიხედვით, წარმოადგენს არასრულფასოვანი, წარუმატებელი კომპენსაციის შედეგს ან გამოვლინებას. კულტურის თვალსაზრისით, "ნებისმიერი ნევროზი შეიძლება განისაზღვროს, როგორც არასრულყოფილების გრძნობისაგან თავის დაღწევის არასწორი მცდელობა უპირატესობის გრძნობის მოსაპოვებლად". კომპენსაციის "ნორმალური" საშუალებების ძიების ნაცვლად, ადამიანი "ძირის ავადმყოფობაში", "იმუშავებს ნევროტულ სიმპტომებს", რაც კომპენსაციის მიღწევის თავისებურ ხერხს წარმოადგენს. საკუთრივ გზებისა და ხერხების რაგვარობა დამოკიდებულია კონკრეტულ სოციალურ პირობებზე და ხასიათის ტიპზე. იმას, რასაც ერთი ტიპი ნევრასთენიული ჩივილებით აღწევს, სხვა მოიპოვებს შიშის, ისტერიის, ნევროტული აკვიატებულობის ან, თუნდაც, სომატური აშლილობების გზით. ნევროტიკი, გარკვეული აზრით, ახლობლების ტირანია; იგი დომინირებს გარშემომყოფებზე, ყურადღების ცენტრშია, მასზე გამორჩეულად ზრუნავენ და ა.შ. ერთი სიტყვით, ძალაუფლებისკენ ლტოლვა ამ შემთხვევაში ერთგვარ დაკმაყოფილებას ნახულობს. ფსიქოთერაპიის ზოგადი ამოცანაა ხელი შეუწყოს პაციენტის ცხოვრების სტილისა და საბოლოო მიზნების გადასხვაფერებას, რათა მათ საზოგადოებრივი მნიშვნელობა შეიძინონ. აქედან გამომდინარე, გამოიყოფა ფსიქოთერაპიის სამი ძირითადი ასპექტი: პაციენტის სპეციფიკური ცხოვრების სტილის დადგენა, დახმარება თავის თავის გაგებაში და, რაც მთავარია, მისი სოციალური ინტერესის ფორმირება-გაძლიერება. ამისათვის თერაპევტმა უნდა დაამყაროს თანასწორუფლებიანი ურთიერთობა პაციენტთან მისი პრობლემების თავისუფალი განხილვის, მისი სულიერი სამყაროს შთაგრძნობის გზით და არა თავისუფალი ასოციაციების საშუალებით, როგორც ამას ფროიდი აკეთებდა. ადლერი თვლიდა, რომ ადამიანებს უნდა მიეცეთ საშუალება იმოქმედონ დამოუკიდებლად. მაშასადამე, პაციენტმა მაქსიმალური აქტიურობა უნდა გამოავლინოს, რათა გაიგოს და შეცვალოს თავისი თავი. ეს სრულ შესაბამისობაშია ადლერის იდეებთან მე-ს შემოქმედებითი ძალის შესახებ. იგი თვლიდა, რომ ადამიანს, თავისი ცხოვრების უნიკალური სტილის შესაბამისად, შეუძლია აქტიური და შემოქმედებითი მონაწილეობა მიიღოს საკუთარი პიროვნების ფორმირებაში და, საერთოდ, საკუთარი ბედის განსაზღვრაში.

ადლერის თეორიის ინტერპრეტაცია და შეფასება არაერთგვაროვანია. ზოგჯერ ეჭვის ქვეშ აყენებენ მისი კონცეფციის სიღრმის ფსიქოლოგი-

ისადმი მიკუთვნებულობის მარითებულობას. სიღრმის ფსიქოლოგია არაცნობიერი ფსიქიკის შესახებ მოძღვრებაა. ამ მხრივ ადლერი საგრძნობლად ჩამოუვარდება ფროიდსა და იუნგს, ვინაიდან თითქმის არ იძლევა არაცნობიერის სტრუქტურის დახასიათებას. მისი კონცეფცია უფრო პიროვნების თეორიაა, რასაც ხაზგასმით აღნიშნაედნენ უდიდესი პერსონოლოგები (უ. შტერნი, ჰ. მიურეი, გ. ოლპორტი). თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ სიღრმის ფსიქოლოგიაში შემავალი სისტემები, არცნობიერთან ერთად, ყოველთვის წარმოადგენდნენ პიროვნების თეორიებსაც. ადლერის არაცნობიერი, ფაქტობრივად, არის პიროვნება – მისი ცხოვრების სტილი. ადლერი არაცნობიერ მიზანზე ლაპარაკობს; ის ყალიბდება აღრეულ ბავშვობაში და განსაზღვრავს ცხოვრების სტილს, რომელიც ამ მიზნის ხორცშესხმას წარმოადგენს. არასრულყოფილების გრძნობაც, უმეტეს წილად, არაცნობიერია, თუმცა, ზოგჯერ მისი გაცნობიერებაც ხდება. მაშასადამე, საწყისი მოტივაციური ძალები ადლერთან მაინც არაცნობიერია, რაც სიღრმის ფსიქოლოგიის და, სახელდობრ, ფსიქოანალიზის არსებითი სიშანია. ინდივიდუალური ფსიქოლოგიის ფსიქოანალიზთან კავშირზე ის გარემოებაც მიანიშნებს, რომ ძირითადი პიროვნული სტრუქტურების ჩამოყალიბება, ორივე მათგანის მიხედვით, აღრეულ ბავშვობაში ხდება. ნიშანდობლივია ისიც, რომ ფროიდისა და იუნგის მსგავსად, ადლერიც ვერ ხედავს თვისობრივ განსხვავებას ნორმალური და ავადმყოფური ფსიქიკის მოქმედების ძირეულ მექანიზმებს შორის. ამ მომენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ნეოფროიდიზმში, ისევე როგორც სოციალური ფაქტორების გადამწყვეტ როლს პიროვნების ფსიქიკის ფორმირებასა და ნევროტიზაციაში. აქ უთუოდ უნდა აღინიშნოს ადლერის დამსახურება ფსიქოანალიზის ტრანსფორმაციაში მისი გასოციალურების მიმართულებით. ადლერი პირველი დაუპირისპირდა ფროიდის ბიოლოგიზმს. უპირატესობისა და ძალაუფლებისკენ სწრაფვა, სოციალური გრძნობა ადამიანის ძირეული ნიშნები და ტენდენციებია. თუმცა, ლიბიდონალური ლტოლვების მსგავსად, ისინიც თანდაყოლილი ინსტინქტური ბუნების არიან; სოციალური გარემო მხოლოდ ხელს უწყობს ან აფერხებს მათ რეალიზაციას.

ადლერის თეორიული სისტემა ფსიქოლოგიის ისტორიკოსებს შორის საკამაოდ მაღალი შეფასებით გამოირჩევა. მიუხედავად ამისა, არც მას დაჰკლებია კრიტიკა. შეიძლება ითქვას, რომ ფსიქოანალიზისა და ანალიზური ფსიქოლოგიის მიმართ აკადემიური ფსიქოლოგიის მხრიდან გამოთქმული შენიშვნები მთლიანად ერცელდება ინდივიდუალურ ფსიქოლოგიაზე. აქ გამომუშავებული ცნებები და შეხედულებები არ გამოირჩევა სიცხადით და კონკრეტულობით და, ამიტომ, ნალკებ ექვევდებარება შემოწმებას კონტროლირებადი სისტემატური გამოკვლევებით. ადლერის კლინიკური დაკვირვებების გამეორება და ვერიფიკაცია შეუძლებელია. ისტორიკოსები მიუთითებენ, რომ იგი არც ცდილობდა შეემოწმებინა პაციენტების მიერ მიწოდებული ცნობების სარწმუნოობა; ფროიდისა და იუნგის მსგავსად, ადლერი არ განმარტავდა, როგორ აანალიზებდა პირველად მონაცემებს და რის საფუძველზე მიდიოდა ამა თუ იმ დასკვნამდე.

ადლერის თეორიული სისტემა, მთლიანობაში, ძნელად ექვემდებარება

მეცნიერულ დადასტურებას, მაგრამ მისი ერთი ასპექტი, კერძოდ შეხედულება დაბადების რიგითობის შესახებ, ინტენსიური შესწავლის საგანი გახდა. შედეგებმა, მიუხედავად მაინ არაერთმნიშვნელოვნებისა, დაადასტურა, რომ არსებობს გარკვეული კავშირი ინდივიდის დაბადების რიგითობასა და მის პიროვნულ თავისებურებებს შორის, თუმცა ყოველთვის ისეთი არა, როგორსაც ადლერი ვარაუდობდა.

## 7.2. პოსტფროიდიზმი

სიღრმის ფსიქოლოგია, როგორც ფსიქოლოგიური აზრის გარკვეული მიმართულება, ყოველთვის საკმაოდ მრავალფეროვანი იყო და განსხვავებულ მიმდინარეობებს აერთიანებდა. მას, პრინციპში, მიეკუთვნება ყველა, ვინც ადამიანის ქცევის გაგებაში გადამწყვეტ მნიშვნელობას არაცნობიერ, ინდივიდის "სიღრმიდან" მომდინარე ტენდენციებს ანიჭებს. ამავე დროს, ამ ტენდენციების ბუნება და მოქმედების მექანიზმი ხშირად ძალზე განსხვავებულად არის გაგებული. ეს ვითარება უკვე ე.წ. კლასიკურ სიღრმის ფსიქოლოგიაში გვხვდება, რომელიც ფროიდის, ადლერის და იუნგის სისტემებს აერთიანებს. ყველა მათგანს თავისი მიმდევრები ჰყავს, მაგრამ ცენტრალურ მოძღვრებად უთუოდ ფროიდის ფსიქოანალიზი რჩება. სწორედ მასთან მიმართებაში ახდენდა და ახდენს თვითგამორკვევას ყველა, ვინც ასე თუ ისე აღიარებს და იყენებს ფსიქოანალიტიკურ მეთოდს.

*პოსტფროიდისტულ პერიოდში* ამ თვალსაზრისით დასტურდება მეტ-ნაკლებად გამოკვეთილი სამი პოზიცია, რომელთაც წარმომადგენლობენ: 1) ორთოდოქსალური ფროიდიზმის მიმდევრები; მათ, ძირითადად მიეკუთნებიან მსოფლიო ფსიქოანალიტიკურ ასოციაციაში გაერთიანებული პრაქტიკოსი ფსიქოანალიტიკოსები, რომლებიც გამორჩეული სიმტკიცითა და სიმკაცრით იცავენ ფროიდის მოძღვრების სიწმინდეს; 2) რეფორმატორი ფსიქოანალიტიკოსები; მათი ამოსავალი წერტილი ფროიდის თეორიაა, თუმცა ისინი არ ეთანხმებიან მისი მოძღვრების ზოგიერთ პრინციპულ დებულებას და ცდილობენ ფსიქოანალიზის კონცეპტუალური სისტემის მეტ-ნაკლებად სერიოზულ რეფორმირებას; 3) მკვლევარები, რომლებიც თავიდან ფსიქოანალიზის პოზიციებზე იდგნენ, მაგრამ საბოლოოდ იმდენად დაშორდნენ პირველწყაროს, რომ ამჟამად დამოუკიდებელი მიმდინარეობის წარმომადგენლებადაც შეიძლება ჩაითვალონ. აქ შესაძლებელია დავასახელოთ ისეთი გამოჩენილი მეცნიერები, როგორიცაა ლ. ბინსვანგერი, მ. ბოსი, ჟ. ლაკანი, ჰ. მარკუზე, რ. მეი, პ. რიკერი, ე. ფრანკლი და სხვა. მათი შეხედულებები, არსებითად, სხვადასხვა ფილოსოფიური სისტემებისა (ფენომენოლოგია, ეგზისტენციალიზმი, სტრუქტურალიზმი, მარქსიზმი) და ფსიქოანალიზის დაკავშირების ან სინთეზის შედეგია. აქვე უნდა დავასახელოთ თვალსაჩინო ფსიქოთერაპევტები ა. ბეკი, ა. ელისი, ე. ბერნი, ფ. პერლსი და სხვა, რომლებმაც ფსიქოანალიზის გავლით, საკუთარი ფსიქოთერაპიული სისტემები შექმნეს (კოგნიტური თერაპია, რაციონალურ-ემოციური თერაპია, ტრანსაქციული ანალიზი, გეშტალტთერაპია).

*რეფორმისტულ ფსიქოანალიზში*, ჩვეულებრივ, ორი დიდი მიმართულება გამოიყოფა: *ეგო-ფსიქოლოგია* და *ნეოფროიდიზმი*. ეგო-ფსიქოლოგიისთვის ზოგადად დამახასიათებელია ეგოს როლის წინ წამოწევა, მისი განხილვა არა იდისა და სუპერ-ეგოს უბრალო მარიონეტად, არამედ შედარებით ან საესებით დამოუკიდებელ წარმონაქმნად, რომელიც აქტიურად არეგულირებს ურთიერთობას განსხვავებულ შინაგან ტენდენციებსა და გარემოს შორის. მე-ს გააჩნია განვითარების თავისი გზა და ლოგიკა, საკუთარი სტრუქტურები, რომლებიც თავდაცვას და ადაპტაციას ემსახურებიან. ეგო-ფსიქოლოგიის სხვადასხვა განშტოებებში მე-ს ფუნქციონირების ცალკეული ასპექტებია წინ წამოწეული.

ზიგმუნდ ფროიდის შვილის, ანა ფროიდის (1895-1982) შემოქმედების ერთ-ერთ მთავარ თემას *"მე"-ს დაცვითი მექანიზმები* წარმოადგენდა. ზ. ფროიდი ინსტინქტური ლტოლვებისაგან დაცვის ერთ უმთავრეს მექანიზმზე საუბრობდა – ეს იყო განდევნა. 1936 წელს გამოსულ წიგნში, "მე და დაცვითი მექანიზმები", ანა ფროიდმა პირველმა განიხილა მთელი რიგი დაცვითი მექანიზმი, რითაც მნიშვნელოვნად შეავსო ფსიქოანალიზის კონცეპტუალური სისტემა.

ეგო-ფსიქოლოგიის მეორე საგს 1939 წელს გამოქვეყნებული წერილით, "მე-ს ფსიქოლოგია და ადაპტაციის პრობლემა", ჰაინც ჰარტმანმა (1894-1970) დაუდო სათავე. თუ ფროიდი მხოლოდ იმის კონსტატაციით კმაყოფილდება, რომ ეგო რეალობის პრინციპით ხელმძღვანელობს, ჰარტმანი დაწერილებით განიხილავს იმ ფუნქციებს, რომელთა მეშვეობითაც გარემოსთან ურთიერთობა მყარდება. ესაა ე.წ. *მეორადი ფუნქციები*: აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება, მეტყველება, მოტორიკა; ერთი სიტყვით, ის რაც ტრადიციული ზოგადი ფსიქოლოგიის საგანს წარმოადგენს.

სოციალურ გარემოსთან ადაპტაციას პირველ რიგში საგს უსვამს **ერიკ ერიქსონი** (1902-1990). მან ფსიქოანალიზი ანა ფროიდის ხელმძღვანელობით შეისწავლა ვენაში. ამერიკაში გადასახლების შემდეგ ეწეოდა ფსიქოანალიტიკურ პრაქტიკას და ასწავლიდა ჰარვარდის, იელისა და ბერკლის უნივერსიტეტებში. ერიქსონის აზრით, სოციალურ გარემოში ადამიანის ქცევის ძირითადი ნიშანი *ფსიქოსოციალური იდენტურობაა*, რომელიც სუბიექტურად განიცდება, როგორც მუდმივი იგივეობა თავის თავთან. ამის საფუძველია "მე"-ს მთლიანობითი ხატი, რომელიც, მიუხედავად ასაკობრივი ცვალებადობისა, ყოველთვის ინარჩუნებს ერთი და იმავე მე-სთან მიკუთვნებულობის ნიშანს.

იდენტურობის ჩამოყალიბების პროცესი პიროვნების ფორმირების პროცესია, რომელიც, ფაქტობრივად, მთელი ცხოვრების განმაელობაში მიმდინარეობს. ამიტომ ეგო-ფსიქოლოგიის ამ ვარიანტისთვის განსაკუთრებით დამახასიათებელია აქცენტი მე-ს ონტოგენეტური განვითარების საკითხზე. ერიქსონის აზრით, ფროიდის მიერ აღწერილ ფსიქოსექსუალური განვი-

თარების სტადიებთან ერთად, როცა ხდება ლტოლვის მიმართულების გადანაცვლება აუტოეროტიზმიდან გარე ობიექტისაკენ, არსებობს, აგრეთვე, "მე"-ს განვითარების ის სტადიები, რომელთა მსვლელობაში ინდივიდი აყალიბებს ძირითად ორიენტაციებს საკუთარი თავისა და სოციალური გარემოს მიმართ. ფროიდისაგან განსხვავებით, ერიქსონი ამტკიცებს, რომ პიროვნების ქმნადობის პროცესი არ მთავრდება გარდამავალ ასაკში; იგი გრძელდება მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში.

პიროვნების ფორმირების თვალსაზრისით, გარდამავალ (მოზარდობის) ასაკს ერიქსონის კონცეფციაშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამ პერიოდში მოზარდები სინჯავენ სხვადასხვა სოციალურ როლებს და "მე"-ს სტატუსებს, რათა მონახონ და მოირგონ ისეთი, რომელიც მეტად შეეფერება მათ შინაგან ბუნებას. ერიქსონის მიერ შემოღებული ტერმინი, *მოზარდობის იდენტურობის კრიზისი* გამოხატავს იდენტურობის ძიებასთან დაკავშირებულ კოლიზიებს. ეს კრიზისი, შესაძლოა, ყველაზე მწვავეა, მაგრამ არა ერთადერთი. ერიქსონის მიხედვით, ადამიანი მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში განვითარების რვა *ფსიქოსოციალურ სტადიას* გაიელის. თითოეული მათგანი შეიცავს კონფლიქტს ან კრიზისს. კრიზისი აუცილებლად წარმოიქმნება, რადგან სოციალური და ფიზიკური გარემო ყველა სტადიაზე ახალი ამოცანების წინაშე აყენებს ინდივიდს; მათი გადაწყვეტა ადვილი არ არის, მაგრამ აუცილებელია ინდივიდის განვითარების ახალ დონეზე გადასელისათვის. კრიზისის დაძლევა უთუოდ მოხდება, ოღონდ ადაპტური ან არაადაპტური გზით. რეალური პროგრესი, ცხადია, მხოლოდ პირველს უკავშირდება. თუ კრიზისი ნეგატიურად არის გადაწყვეტილი, ვითარების გამოსწორება შესაძლებელია შემდგომ სტადიაზე ადაპტური გადაწყვეტის გამონახვით. ამიტომ, ოპტიმისტური პერსპექტივა განვითარების ყველა სტადიაზეა შენარჩუნებული. ყველა სტადიაზე არსებობს ცნობიერი კონტროლისა და კორექციის შესაძლებლობა. აქ მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ სტადიების გავლის აუცილებლობა და მათი თანმიმდევრობა გენეტიკურად არის დაპროგრამებული. ერიქსონის *განვითარების ეპიგენეტიკური მოდელის* თანახმად, ფსიქოსოციალური სტადიები *პიროვნების ბეგმის* დროში გაშლაა; განვითარება ამ მხრივ მომწიფების პროცესს ემსგავსება; მომწიფებით დეტერმინირებული პროცესი კი *უნივერსალურ* ხასიათს ატარებს და ყველა კულტურაში ერთნაირად მიმდინარეობს. ერიქსონი, ცხადია, აცნობიერებდა კულტურათა შორის განსხვავებულობის მნიშვნელობას და იკვლევდა კიდეც სტადიების გავლის თავისებურებებს სხვადასხვა კულტურაში, მაგრამ მას უბრალოდ მიაჩნდა, რომ ადამიანის ფორმირების პროცესი ყველა კულტურაში პრინციპულად მსგავსი პრობლემების გადაჭრას გულისხმობს. ყველამ უნდა დაძლიოს პატარა ბავშვის უსუსურობა, მისცეს ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ცოდნა-ჩვევები, გამოიმუშაოს სოციალური თანაცხოვრების წესები; ყველგან წარმოიქმნება იდენტურობის მიღწევის, შემდგომი თაობის გაზრდისა და სიკვდილისათვის თვალის გასწორების პრობლემა. შესაბამისი ამოცანები ყველა კულტურაში დგება, ვინაიდან თვით კულტურა ევოლუციური პროცესის ნაწილს წარმოადგენს.

პირველ სტადიაზე (*ძუძუს ხანა*, დაბადებიდან 1 წლამდე) კრიზისი დაკავშირებულია იმასთან, თუ როგორ უკმაყოფილებს მომვლელი პირი (ძირითადად ესაა მშობელი) ბავშვს მოთხოვნილებებს. შესაბამისად, ვითარდება *ან ბაზისური ნდობა* გარემოსადმი ან *უნდობლობა*. ნდობა-უნდობლობის კონფლიქტის წარმატებული დაძლევის შედეგად შეიძინება ისეთი *დადებითი ფსიქოსოციალური თვისება ან საბაზისო ძალა*, როგორიცაა *იმედი*.

მეორე სტადიაზე (*ადრეული ბავშვობა*, 1-3 წელი) კრიზისი ვითარდება ტუალეტთან მიჩვევისა და სისუფთავის ჩვევების გამომუშავების გარშემო. იმის მიხედვით, თუ როგორ იქცევიან ამ შემთხვევაში მშობლები (დახმარება ან მკაცრი კონტროლი), ბავშვს უვითარდება *აუტონომიურობა ან სირცხვილი და დაურწმუნებლობა*. ამ სტადიის შედეგად შეძენილი საბაზისო ძალა *ნებისყოფაა*.

მესამე სტადიაზე (*სკოლამდელი ასაკი*, 3-6 წელი) კრიზისის პრობლემა სოციალიზაციაში მდგომარეობს. ბავშმა უნდა გაითავისოს საზოგადოებაში მიღებული ნორმები და შეუფარდოს მათ თავისი აქტიურობა. შედეგად ყალიბდება *ინიციატივა ან დანაშაულის გრძნობა*. ინიციატივის თან სდევს *მიზანდასახულების* გამომუშავება.

მეოთხე სტადიაზე (*პირველი სასკოლო ასაკი*, 6-12 წელი) ბავშვს უნდა გამოუმუშავდეს სერიოზული საქმის კეთების, სწავლის, დამოუკიდებელი მუშაობის უნარი. აქედან გამომდინარე, შეიძლება მოხდეს *შრომისმოყვარეობის ან არასრულყოფილების* ფორმირება. შრომისმოყვარეობა *კომპეტენტურობის* საწინდარია.

მეხუთე სტადიაზე (*მოზარდობა*, 12-20 წელი) კრიზისის მთავარი თემებია თანატოლებთან ურთიერთობა, პროფესიისა და ცხოვრების შემდგომი გზის არჩევა. აქ გადამწყვეტი ხდება თავისი მე-ს, თავისი უნარების ადექვატური გაცნობიერება, წარსული გამოცდილებისა და მომავალი მიზნების ინტეგრაცია პიროვნების სტრუქტურაში. ამ გზაზე წარმატების შემთხვევაში ვითარდება *თვითიდენტურობა*, წარუმატებლობის შემთხვევაში – *აღრეული იდენტურობა*. სტადიის დადებითი თვისება *ერთგულებაა*.

მეექვსე სტადიაზე (*ადრეული მოწიფულობა*, 20-35 წელი) კრიზისი სხვა ადამიანებთან, უპირატესად საპირისპირო სქესის წარმომადგენლებთან ახალი ურთიერთობების დამყარებას და ოჯახის შექმნას უკავშირდება. წარმატებული გამოცდილება ამ სარბიელზე *აუტონომიურობას* აჩენს, წარუმატებელი – *იზოლაციას*. სტადიის დადებითი თვისება *სიყვარულია*.

მეშვიდე სტადიაზე (*მოწიფულობა*, 35-65 წელი) ადამიანის საზრუნავი ისაა, რომ შეინარჩუნოს და განავითაროს თავისი აქტიურობა და შემოქმედებითობა მოღვაწეობის ყველა სფეროში (ინტიმური კავშირი, შვილების აღზრდა, პროფესიული საქმიანობა და ა.შ.). თუ ეს მოხერხდა, ვიღებთ *პროდუქტიულობას*, თუ არა – *სტაგნაციას*. სტადიის დადებითი თვისებაა *ზრუნვა*.

მერვე სტადიაზე (*სიბერე*, 65 წლის შემდეგ) ადამიანი ხანდაზმულობის კრიზისში შედის. მან უნდა შეაჯამოს თავისი ცხოვრება, როგორც მთლიანობა, რომელშიც მან განახორციელა თავისი თავი. ამ შემთხვევაში მას არ აშინებს

სიკეთილის გარდაუვალობა, რადგან ხედავს თავის გაგრძელებას შთამომავლობასა და შემოქმედებით წარმატებებში. იგი ხდება *ინტეგრირებული*. წინააღმდეგ შემთხვევაში მას *სასოწარკვეთილება* იპყრობს. ამ სტადიაზე გამომუშავებული საბაზისო ძალა *სიბრძნეა*.

საერთოდ, ეგო-ფსიქოლოგია უფრო კლასიკური ფსიქოანალიზის დამატებას და განვითარებას წარმოადგენს. *ნეოფროიდიზმი* ბევრად უფრო კრიტიკულია ფროიდის თეორიის დებულებების მიმართ და რადიკალურია მათი ტრანსფორმაციის თვალსაზრისით. ეს მიმდინარეობა წარმოიქმნა ამერიკაში XX საუკუნის 30-იან წლებში; მისი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან ე. ფრომი, კ. ჰორნი და ჰ. სალივანი. ნეოფროიდისტები უარყოფენ ფროიდის *ბიოლოგიზმს*, ადამიანის წარმოდგენას ისეთ არსებად, რომელსაც მართავს ფილოგენეზიდან მოძდინარე ინსტინქტური ძალები. ცდილობენ რა მინახონ ერთიანობა ადამიანის ბუნებრივ და სოციალურ საწყისებს შორის, ისინი პრიორიტეტს მაინც საზოგადოებრივ ფაქტორებს ანიჭებენ. შეიძლება ითქვას, რომ ნეოფროიდიზმში ფსიქოანალიზის შესედულებების *სოციალიზაცია* მოხდა; ძირითად საკითხად იქცა სოციალური პროცესები და მათი როლი პიროვნების ქცევისა და ხასიათის ფორმირებაში; დაიწყო და კვლავაც გრძელდება ფროიდის თვალსაზრისის *დესექსუალიზაცია*. გამოყოფილია პირველადი მოტივაციის ისეთი სახეები, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო ლიბიდოსთან, ეროსთან და თანატოსთან. ეს მოტივები ან თავად არიან სოციალური ბუნების, ან ინდივიდისა და სოციალური გარემოს ურთიერთქმედების შედეგად ჩნდებიან. სოციალური გარემოს იმანენტურ მანკიერებათა გამო ეს ურთიერთქმედება ძირეული, ამოსავალი კონფლიქტის შემცველია. ადამიანის ხასიათი და ქცევითი სტრატეგიები ამ კონფლიქტის ნაყოფია; მათ დაცვითი ფუნქცია აქვთ. ხასიათისა და დაცვითი აქტივობის მრავალი ფორმის ყოელისმომცველი დახასიათებით ნეოფროიდისტები საკმაოდ შორს წავიდნენ ფროიდისგან.

ამავე დროს, ნეოფროიდისტები გაგებით ეკიდებიან თანამედროვე ფსიქოანალიზში გავრცელებულ მოწოდებას – უკან ფროიდისკენ, რადგან მათ არასდროს გაუწყვეტიათ ორგანული კავშირი ფროიდის მოძღვრებასთან და ამას თავადაც აღნიშნავენ. როგორც სიღრმის ყოველგვარ ფსიქოლოგიაში, ნეოფროიდიზმშიც შენარჩუნებულია *არაცნობიერის პრიორიტეტი*: ამოსავალი მოტივაციური ძალები, კონფლიქტის წყარო და მისი დაძლევის გზები (მექანიზმები) არაცნობიერია; ასევე შენარჩუნებულია ცნობიერებისა და არაცნობიერის დაპირისპირების ფროიდისეული სქემა – ცნობიერება წინააღმდეგობას უწევს არაცნობიერ იმპულსებს და განდევნის მათ. მკურნალობა არაცნობიერი შინაარსების *გაცნობიერებას* უკავშირდება; ამისთვის, გარკვეულ ნოვაციებთან ერთად, გამოიყენება ფსიქოანალიზის ტრადიციული ხერხები. მართალია, ნეოფროიდიზმში უფრო ხშირად ლაპარაკია არა ნევროტულ სიმპტომებზე, არამედ ნევროტულ ხასიათზე, მაგრამ აქაც შენარჩუნებულია ფროიდის თეზისი ნორმასა და პათოლოგიაში მოქმედი მექანიზმების იდენტურობის შესახებ. ეს პრინციპი საერთოდ ფსიქოანალიზის ქვაკუთხედია, ვინაიდან მისი მტკიცე დაცვის გარეშე იგი ზოგადფსიქოლოგიური კონცეფციის სტატუსს დაკარგავს.

აღნიშნული თავისებურებები ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა ნეოფროიდიზმის გამოჩენილი თეორეტიკოსის ერიხ ფრომის (1900-1980) შემოქმედებაში. ფრომი დაიბადა გერმანიაში. ფილოსოფიური და ფსიქოანალიტიკური განათლების მიღების შემდეგ ერთხანს მუშაობდა ფრანკფურტის სოციალური კვლევების ინსტიტუტში, სადაც მოქმედებდა ერთ-ერთი ძლიერი სოციოლოგიური სკოლა. 1933 წელს ფრომი გადასახლდა ამერიკაში. იგი ეწეოდა ფსიქოანალიტიკურ პრაქტიკას და, ამავე დროს, მოღვაწეობდა კოლუმბიისა და იელის უნივერსიტეტებში. დიდი ხნის განმავლობაში ხელმძღვანელობდა მეხიკოს ფსიქოანალიზის ინსტიტუტს, იყო ნიუ იორკის აკადემიის წევრი. ფსიქოლოგიის, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის, სოციოლოგიის, თეოლოგიის საკითხებზე შექმნილმა შრომებმა მას საერთაშორისო აღიარება მოუტანა.

ფრომის შემოქმედების ცენტრში *ფსიქიკური და სოციალური* ფაქტორების ურთიერთობის საკითხია. თავის კონცეფციაში იგი ცდილობს გააერთიანოს ფროიდისა და მარქსის შეხედულებები. ამგვარი გაერთიანების საფუძველი იყო ფრომის რწმენა, რომ "სოციალური და კულტურული ფონის ცოდნის გარეშე შეუძლებელია სწორად გავიგოთ ფსიქოლოგიური პრობლემები; მაგრამ, ზუსტად ასევე, შეუძლებელია სოციალური მოვლენების გაგება იმის ცოდნის გარეშე, თუ როგორ მოქმედებს მათ საფუძველად მდებარე ფსიქოლოგიური მექანიზმები". რაკი ფრომს უდიდეს ფსიქოლოგად ფროიდი მიაჩნდა, ხოლო უდიდეს სოციალურ ფილოსოფოსად – მარქსი, ბუნებრივია, რომ არჩევანი სწორედ მათზე შეაჩერა. ფრომი თვლიდა, რომ მარქსმა ვერ შეძლო იმის ჩვენება, თუ როგორ გადაღის ეკონომიკური ბაზისი იდეოლოგიურ ზედნაშენში. მათ შორის არსებული უფსკრულის ამოვსება, ფრომის აზრით, შესაძლებელია ფსიქოანალიზის საშუალებით. ამ მიზნით მას შემოაქვს *სოციალური ხასიათის* ცნება. იგი უნდა გაიმიჯნოს ინდივიდუალური ხასიათისაგან. სოციალურ ხასიათში განსაზღვრულია ამა თუ იმ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურით გაპირობებული ადამიანთა ქცევისა და აზროვნების საერთო წესი[1]. იგი წარმართავს ამ საზოგადოების წევრთა ენერგიას საჭირო მიმართულებით, აიძულებს მათ, იმოქმედონ და იფიქრონ საზოგადოების ინტერესების შესაბამისად, რის შედეგადაც წარმოიქმნება ამ კულტურისთვის დამახასიათებელი იდეები და იდეალები. მაგრამ საზოგადოება განსაზღვრავს იმასაც, თუ რა გრძნობები და აზრებია დასაშვები ინდივიდების ცნობიერებაში. მაშასადამე, არსებობს როგორც სოციალური ხასიათი, ისე *სოციალური არაცნობიერი.* ეს უკანასკნელი გულისხმობს ისეთ შინაარსებს, რომლებიც განდევნილია საზოგადოების წევრთა უდიდესი ნაწი-

[1] ფრომი სოციალური ხასიათის შემდეგ ტიპებს გამოყოფს: *რეცეპტიული (მიმღებლური), ექსპლოატაციური, დამგროვებელი, საბაზრო (ხალმიანი), პროდუქტიული.*

ლის ცნობიერებიდან. ეს შინაარსები თუ ტენდენციები ეხება იმ წინააღმდეგობებს, რომლებიც ამ საზოგადოებაში არსებობს და. რომელთა გაცნობიერებამ შეიძლება დაარღვიოს ინდივიდისა და, შესაბამისად, მთელი საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირება (ფრომის თქმით, საზოგადოება არაუერია, თუ არა ინდივიდების ერთიანობა). ამიტომ, საზოგადოების მკურნალობა, ფრომის მისხედვით, მისი წევრების მკურნალობას ნიშნავს. ეს ამოცანა კი ფსიქოანალიზმა უნდა შეასრულოს.

ფრომისთვის, ისევე როგორც ყველა ფსიქოანალიტიკოსისთვის, არაცნობიერი საყრდენი ცნებაა. ფრომის შეფასებით, ფროიდის სხვა დიდ აღმოჩნებს შორის (ოიდიპოსის კომპლექსი, სიკვდილის ინსტინქტი, ინფანტილური სექსუალობა და სხვა) არაცნობიერი ყველაზე ფუნდამენტურია. უბედურება ის არის, რომ მას იგივე ბედი ეწია, რაც დანარჩენებს – მისი რეალური სიღიადე და მნიშვნელობა ერთგვარად გააფერმკრთალა ფროიდის ბიოლოგისტურ-მექანიცისტურმა თვალსაზრისმა. არაცნობიერი არ არის ბნელი ინსტინქტური ძალების სათარეშო ასპარეზი, მანკიერებათა თავშესაფარი. მის შინაარსს შეადგენს, როგორც ბოროტი, ისე კეთილი ბრახვები და მისწრაფებები. ამავე დროს, არ უნდა ეიფიქროთ, რომ არაცნობიერის სფერო მხოლოდ ირაციონალურ ემოციურ-მოტივაციურ შინაარსებს შეიცავს. რაციონალური იდეები და რწმენები მასში ბევრად მეტია, ვიდრე ცნობიერებაში. საქმე ისაა, რომ ჩვენი ცნობიერების რაციონალური შინაარსები თითქმის არ შეიცავს ჭეშმარიტებებს – ეს არის არასწორი ინფორმაციის, ცრურწმენების, ამოჩემებების, რაციონალიზაციებისა და სხვა მსგავსი შინაარსების საბავი. აბროვნების პროცესში ილუზიების ეს სამყარო თითქოს ლოგიკისა და სანდოობის პრინციპების თანახმად ორგანიზდება. ითელება, რომ ცნობიერების აღნიშნული დონე რეალობას ასახავს და ჩვენი ცხოვრება ამ სურათის მიხედვით იგეგმება. მაგრამ სინამდვილეში ეს სურათი სრულებითაც არ შეესაბამება რეალობას. სწორედ ამიტომ იგი არ ითრგუნება; პირიქით, ითრგუნება და განიდევნება ჭეშმარიტი ცოდნა. აქედან გამომდინარე, კითხვაზე, რა არის არაცნობიერი, ფრომი პასუხობს: "ირაციონალური ვნებების გარდა, ესაა თითქმის მთელი ჩვენი ცოდნა რეალობის შესახებ". ჩვენ ვიცით ჭეშმარიტება, მაგრამ ვთრგუნავთ მას; არსებობს არაცნობიერი ცოდნა, რომლის გაცნობიერებაც ცხოვრებას უაღრესად დაამძიმებდა და სახიფათოდ აქცევდა. ამიტომ ადამიანის ენერგიის დიდი ნაწილი იმაზე იხარჯება, რომ დაუმალოს საკუთარ თავს ის, რაც იცის.

მაინც რა შეადგენს ამ ესოდენ ძნელად მისაღები და სუბიექტურად გასაიდუმლოებული ცოდნის შინაარსს? ამ კითხვაზე პასუხი უნდა ვეძიოთ ფრომის შეხედულებაში *ეგზისტენციალური წინააღმდეგობების* შესახებ. ფრომის თანახმად, ცხოველი გარემოსთან ჰარმონიულ დამოკიდებულებაში იმყოფება, რასაც შეგუების ინსტინქტური მექანიზმები განაპირობებს. ადამიანთან ინსტინქტების როლი პრაქტიკულად ნულამდეა დაყვანილი. სამაგიეროდ მას აღმოუცენდა ახალი თვისებები, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია *თვითცნობიერება, გონება და წარმოსახვა*. ამ უნარების განვითარებით დაირღვა ცხოველის არსებობისთვის დამახასიათებელი ჰარმონია; ადამიანი გახდა

ნორმიდან გადასვლა, ანომალია, ბუნების ახირება. მისი არსებობა სავსეა წინააღმდეგობებით: ადამიანი ბუნების ნაწილია, ემორჩილება მის კანონებს, მაგრამ, ამავე დროს, იგი მუდმივად გადის ბუნების სამყაროს ფარგლებს გარეთ, ტრანსცენდენტირებს; იგი თავისთავადია და, ამასთან ერთად, მთელის ნაწილიც; იგი მოკვდავია, იცის ამის შესახებ და ვერ ახერხებს თავისი შესაძლებლობების სრულ განხორციელებას მისთვის განკუთვნილი მოკლე დროის განმავლობაში; ადამიანი მარტოსულია, თავს ერთ-ჯერად და თავისთავად არსებად განიცდის, მაგრამ ვერ იტანს მარტოობას. მისი ბედნიერება სხვებთან კავშირში, მის თანამედროვე, წარსულ და მომავალ თაობებთან თანაზიარებაშია. ადამიანმა არ შეიძლება იცოდეს ყველაფერი, მაგრამ საკუთარი არსებობა მისთვის აუცილებლად გააზრებული უნდა იყოს. ფრომის თქმით, ადამიანი ერთადერთი ცხოველია, რომლისათვისაც მისი არსებობა პრობლემას წარმოადგენს. ეს პრობლემა აუცილებლად უნდა გადაწყდეს. ეგზისტენციალურ წინააღმდეგობებს გვერდს ვერ აუვლი. ადამიანის არსი ამ ფუნდამენტურ წინააღმდეგობებშია მოცემული და ყოველი სიცოცხლე მათზე ინდივიდუალურ პასუხს წარმოადგენს.

ამრიგად, ეგზისტენციალურ წინააღმდეგობებს ის გარემოება ქმნის, რომ გაწყვეტილია ადამიანის კავშირი *ბუნებასთან, სხვა ადამიანებთან და საკუთარ თავთან.* ადამიანს აქვს უნარი ამ ვითარების გაცნობიერების, მაგრამ ეს ცოდნა წინააღმდეგობათა გარდაუვალობის გამო, მეტად მძიმე და მტკივნეულია. ამიტომ, ის ან *განდევნილია* ცნობიერებიდან, ან *შენიღბული და რაციონალიზირებულია.*

ეგზისტენციალური წინააღმდეგობები აისახება არა მხოლოდ და არა იმდენად რაციონალურ, რამდენადაც ემოციონალურ-მოტივაციურ ფორმაში. ეგზისტენციალური კონფლიქტი წარმოშობს მუდმივი გაუწონასწორებლობის მდგომარეობას; ესაა წყარო ადამიანური აქტივობის დინამიკისა. ადამიანს ცხოველისთვის დამახასიათებელი ბიოლოგიური მოთხოვნილებებიც გააჩნია, მაგრამ მათი დაკმაყოფილება სრულყოფილი ადამიანური არსებობისათვის საკმარისი არ არის. ფრომი საგგასმით აღნიშნავს, რომ ადამიანის ფსიქიკის გაგება უნდა ემყარებოდეს იმ მოთხოვნილებების ანალიზს, რომლებიც ეგზისტენციის პრობლემებიდან მომდინარეობს. ეს პრობლემები კი მისგან მოქმედებას მოითხოვენ; ადამიანმა უნდა დაძლიოს უსუსურობა, განკერძოებულობა, დაკარგულობა, ე.ი. უპასუხოს ეგზისტენციალურ წინააღმდეგობებს. ასეთ პასუხად შეიძლება მოგვეველინოს როგორც სიყვარული, მისწრაფება თავისუფლებისკენ, ჭეშმარიტებისკენ, სამართლიანობისკენ, ისე სიძულვილი, სადიზმი, დესტრუქციულობა, ნარცისიზმი და სხვა. ყოველივე ეს ეგზისტენციალური წინააღმდეგობებიდან ნაწარმოები მოთხოვნილებების გამოვლენაა და ადამიანის ხასიათში მყღაენდება. ფრომი მათ ხასიათში ფესვგადგმულ ენებებსაც უწოდებს. საერთოდ, ხასიათისა და მოთხოვნილების ცნებები მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ხასიათი განისაზღვრება, როგორც ყველა არაინსინქტური მისწრაფების "შედარებით მდგრადი სისტემა, რომლითაც ადამიანი მიმართებას ამყარებს ბუნებრივ და ადამიანურ სამყაროსთან". ინდივიდებს შორის ყანსხვავებებს განსაზღვრავს ის, თუ რა ეგზის-

ტენციალური მოთხოვნილებებია გაბატონებული მათ ხასიათში. ხასიათში მოცემულია ინდივიდისთვის ტიპური აღქმის, განცდისა და ქცევის სურათი. ადამიანში ხასიათი ენაცვლება დაკარგულ ინსტინქტებს და ინსტინქტის მსგავსად მოქმედებს. ხასიათის შესაბამისი რეაქციები პიროვნებისთვის მისაღები და ბუნებრივია. იგი არ უფიქრდება შათ; შესაბამისი მისწრაფებებიც უპირატესად გაუცნობიერებელია.

მიუხედავად იმისა, რომ ხასიათი ეგზისტენციალურ წინააღმდეგობებზე ინდივიდუალურ პასუხს წარმოადგენს, მასში აუცილებლად არის მოცემული ნიშნები, რომლებიც საერთოა საზოგადოების ამა თუ იმ ჯგუფისთვის (თემი, ერი, კლასი). ეს კი უკვე სოციალური ხასიათია, რომელზეც ზემოთ იყო ლაპარაკი. იგი სხვადასხვა ქარაქტეროლოგიური სტრუქტურის ბირთვს წარმოადგენს; ესაა ნიმუში, ნორმა, რომელსაც ინდივიდი აღზრდის, სოციალიზაციის პროცესში ითვისებს. ყოველი ინდივიდუალური ხასიათი სოციალურისა და ბუნებრივის სინთეზია. ამასთან, ბუნებრივი გაგებულია არა იმდენად ბიოლოგიურად, რამდენადაც ეგზისტენციალურად.

ადამიანის, როგორც საზოგადოებრივი არსების ისტორია იწყება იქიდან, რომ იგი გამოდის ცხოველური მდგომარეობიდან, რითაც კარგავს ერთიანობას ბუნებასთან და იძენს *თავისუფლებას.* თავისუფლების საკითხს ფრომი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან, მისი აზრით, ადამიანური არსებობა და თავისუფლება თავიდანვე განუყოფელია. თავდაპირველად თავისუფლება შეზღუდულია. ისტორიის ადრეულ საფეხურებზე ადამიანი მჭიდროდ არის დაკავშირებული გვართან, თემთან. იგი სრულიად იკმაყოფილებს მოყვასთან კავშირის, სხვასთან გაერთიანების *წარმმართველ მოთხოვნილებას.* ამასთან, სხვასთან ურთიერთობა არ დაიყვანება ფიზიკურ კონტაქტზე. აქ მთავარია ერთიანობა საზოგადოებაში მიღებულ ღირებულებებთან, ნორმებთან, იდეალებთან. ადამიანი შეიძლება სხვებთან ერთად ცხოვრობდეს და მარტო იყოს, ვინაიდან იგი გაუცხოებულია საზოგადოების სულიერი სამყაროსაგან. პირველყოფილ საზოგადოებაში ასეთი გაუცხოებისაგან მას მითოლოგია და მაგია იცავს. შუა საუკუნეები ფრომის მიერ შეფასებულია სოლიდარობისა და უსაფრთხოების ხანად; ადამიანის თავისუფლება შეზღუდულია მკაცრი სოციალური იერარქიით, მაგრამ ეს წესრიგი მასში დაცულობისა და გულდაჯერებულობის განცდას იწვევს; ამას რელიგიაც აძლიერებს. რენესანსის ეპოქაში საზოგადოების სტრუქტურა იცვლება, ირღვევა ტრადიციული კავშირები, წინა პლანზე წამოიწევს სიმდიდრისა და ძალაუფლების მოპოვების ჟინი; ქრება სოლიდარობა, ძლიერდება ეგოიზმი, ინდივიდუალიზმი. ადამიანი ხდება უფრო თავისუფალი და დამოუკიდებელი, მაგრამ, ამავე დროს, იზოლირებულიც. სწორედ ასეთი იზოლირების შედეგად იჩენს თავს დაურწმუნებლობა, დაუცველობა, შიში, მარტოობა. კაპიტალიზმსა და თანამედროვე საზოგადოებაში ეს პროცესები კიდევ უფრო გაძლიერდა. ადამიანის მდგომარეობა აუტანელი გახდა. მას აღარ სურს თავისუფლება, რომლისაც ეშინია. ეს არის *ნეგატიური თავისუფლება ანუ თავისუფლება რაიმესაგან,* ამ შემთხვევაში ტრადიციული კავშირებისაგან, ერთიანობისაგან, დაცულობისაგან. ადამიანი ცდილობს გაექცეს ასეთ თავისუფლებას და ამის-

თვის გარკვეულ უსიქოლოგიურ მექანიზმებს მიმართავს.

უმწეობის და მარტოობის დაძლევა ორი გზით შეიძლება. ერთ გზას მივყავართ *პოზიტიური თავისუფლებისკენ*, ესაა *თავისუფლება რაიმესკენ*. ადამიანს შეუძლია სპონტანურად დაუკავშირდეს სამყაროს სიყვარულისა და შრომის საშუალებით, თავისი უნარებისა და შესაძლებლობების სრული გამოვლინებით. ამ გზით მას შეუძლია დაიბრუნოს ერთიანობა სხვა ადამიანებთან, სამყაროსთან და თავის თავთან ისე, რომ უარი არ თქვას დამოუკიდებლობაზე და "მე"-ს მთლიანობაზე. მეორე გზა – ესაა გზა უკან, უარის თქმა თავისუფლებაზე იმისთვის, რომ დაძლეული იქნეს მარტოობა. ეს არის გაქცევა აუტანელი სიტუაციიდან. მას იძულებითი ხასიათი აქვს და დაკავშირებულია ინდივიდუალობისა და "მე"-ს მთლიანობის ნაწილობრივ ან სრულ დაკარგვასთან. მას არ მიეყავართ ბედნიერებასთან; იგი ამცირებს შფოთს, აქცევს ცხოვრებას ასატანად, მაგრამ პრობლემის არსებით გადაჭრას ვერ უზრუნველყოფს.

ფრომი თავისუფლებისაგან გაქცევის სამ ძირითად მექანიზმს გამოყოფს: ავტორიტარიზმს, დესტრუქტივიზმს და ავტომატურ კონფორმიზმს. *ავტორიტარიზმი* მოიცავს *სადიზმსა და მაზოხიზმს*. მაზოხისტური პიროვნებისთვის დამახასიათებელია უსუსურობის, უბედნიერობის, ნაკლოვანების გრძნობები. ასეთი ადამიანი მიდრეკილია დააკნინოს საკუთარი თავი, დაექვემდებაროს რაიმეს ან ვინმეს. მაზოხისტური ტენდენციების უკიდურესი გამოვლენაა საკუთარი თავისადმი ვნების, სულიერი ან ფიზიკური ტკივილის მიყენების სურვილი. სადისტურ მისწრაფებებსაც მრავალი სახე აქვს: სხვისი დათრგუნვა, მორჩილებაში ყოლა, ყოველგვარი ექსპლოატაცია და ბოლოს, სხვისთვის ზიანისა და ტანჯვის მიყენება. სადიზმი და მაზოხიზმი ე.წ. *სიმბიოზური განწყობის* რეალიზაციაა. სიმბიოზი, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, არის ისეთი კავშირი ინდივიდებს შორის, როცა ორივე მხარე კარგავს "მე"-ს მთლიანობას და სრული ურთიერთდამოკიდებულების მდგომარეობაში ექცევა. სადისტსაც და მაზოხისტსაც ერთნაირად ესაჭიროება სხვა. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ერთი იმორჩილებს, მეორე კი ექვემდებარება. პირველი წარმოადგენს სიმბიოზის აქტიურ ფორმას, მეორე – პასიურს. ასეა თუ ისე, ორივე შემთხვევაში ადამიანი მტკიცედ უკავშირდება სხვას და ინდივიდუალობისა და თავისუფლების დაკარგვის ხარჯზე თავს აღწევს იზოლირებულობასა და მარტოობას.

*დესტრუქტივიზმი* განსხვავდება ავტორიტარიზმისაგან, რადგან მისი მიზანი სიმბიოზი კი არ არის, არამედ ყოველგვარი ობიექტის განადგურება, რომელთანაც ინდივიდი მიმართებას ამყარებს. განადგურებას ექვემდებარებიან როგორც სხვა ადამიანები, ისე მატერიალური თუ სულიერი ფასეულობები. ამით ხდება უმწეობისა და უძლურების გრძნობის დაძლევა. სადიზმის შემთხვევაში ადამიანი ძალას სხვისი დამორჩილების წყალობით იძენს, ხოლო დესტრუქტივიზმის დროს გარე საშიშროების მოშორების, ლიკვიდაციის საშუალებით.

გაუცხოებისა და მარტოობის დაძლევის ყველაზე გავრცელებულ ხერხს *ავტომატური კონფორმიზმი* წარმოადგენს. ამ შემთხვევაში ადამიანი მთლი-

ანად ისეთი ხლება, როგორც სხვები. ინდივიდი კარგავს თავისთავადობას, გადაიქცევა ავტომატად. განსხვავება საკუთარ "მე"-სა და გარემოცვას შორის იშლება; ამასთან ერთად კი ქრება მარგოობისა და უსუსურობის შიში. კონფორმიზმი წაიგავს *მიმიკრიის* მექანიზმს, როცა ცხოველი საფრთხის სიტუაციაში შეუერილობას იცვლის და ისე ემსგავსება გარემოს, რომ მისგან აღარ გაირჩევა. თავის "მე"-ზე უარის თქმით ადამიანი გადაიქცევა მილიონების მსგავს რობოტად და აღარ განიცდის მარგოობასა და შფოთვას, მაგრამ ეს თავისი პიროვნების დაკარგვის ფასად ჯდება.

როგორც ითქვა, გაუცხოების გადალახვა, სამყაროსთან და სხვებთან ერთიანობის მიღწევა ამ ნეგატიური შედეგების გარეშეც არის შესაძლებელი. ადამიანმა შეიძლება მიაღწიოს პოზიტიურ თავისუფლებას, მაგრამ მისკენ მიმავალი გზა ბევრად უფრო რთულია; ამიტომ უმრავლესობა თავისუფლებისაგან გაქცევას ამჯობინებს. მიუხედავად ამისა, ეს გზა არსებობს და იგი თავისი *თვითთნის* შესაძლებლობების სრულ და შეუზღუდავ გაშლასა და *განხორციელებაში*, სპინოზურ *შემოქმედებით საქმიანობასა და სიყვარულში* მდგომარეობს. ადამიანური არსებობის პრობლემის ნამდვილი გადაწყვეტა სიყვარულშია. "სიყვარული ადამიანში მოქმედი ძალაა, რომელიც მას სხვებთან აერთიანებს; სიყვარული ეხმარება ადამიანს იმაში, რომ გადალახოს მარტოობისა და გაუცხოების გრძნობა და, ამავე დროს, დარჩეს უცვლელი, შეინარჩუნოს თავისი მთლიანობა". ასეთი სიყვარული არსებითად განსხვავდება ფსიქოლოგიური სიმბიოზისაგან. განიხილავს რა სიყვარულის სხვადასხვა ფორმებს (*და-ძმური ანუ მოყვასის, დედობრივი, ეროტიული, საკუთარი თავის, ღმერთის*), ფრომი საგგასმით აღნიშნავს, რომ ის არ არის უბრალოდ ფსიქიკური, სულიერი მდგომარეობა; სიყვარული მოქმედებაა, აქტივობაა და ამიტომ გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლია ეგზისტენციალური პრობლემების ჭეშმარიტი გადაწყვეტის საქმეში.

ნამდვილი სიყვარული აღვილი არ არის. თავისი თავის რეალიზაცია სიყვარულსა და შემოქმედებით შრომაში ცოტას თუ შეუძლია. ცხოვრების ასეთი სტილი და შესაბამისი ხასიათი იშვიათობაა. პოზიტიური თავისუფლების მიღწევა უდიდეს თავდადებას და სიმტკიცეს მოითხოვს. ამ მხრივ ფსიქოანალიზს დიდი დახმარების გაწევა შეუძლია, ვინაიდან იგი, პირველ რიგში, ხასიათის კორექციაა. ერთადერთი, რასაც შეუძლია შეარბილოს ან სულ მოსპოს ის ბოროტება, რაც ხასიათში გამჯდარ დამანგრეველ, აეტორიტარულ თუ კონფორმულ ტენდენციებშია, არის შემოქმედებითი პოტენციალის გაძლიერება, ადამიანის უნარის განვითარება, პროდუქტიულად გამოიყენოს თავისი ძალები.

ადამიანის ბუნებისთვის იმთავითვე დამახასიათებელია მისწრაფება ბედნიერებისკენ, სიყვარულისკენ, თავისუფლებისკენ, სხვებთან ურთიერთობისკენ. ეს ყოველივე ისევე გამომდინარეობს ადამიანის არსიდან, როგორც დამანგრეველი ტენდენციები. ადამიანის ბუნება თავისთავად არ არის არც კეთილი, არც ბოროტი. ადამიანის ბუნებას მისი არსებობის პირობებიდან გამომდინარე წინააღმდეგობები შეადგენს. ეგზისტენციალურ წინააღმდეგობებთან დაკავშირებული იმანენტური კონფლიქტი აუცილებლად მოითხოვს

გადაწყვეტას, რომელიც, პრინციპში, ორი სახის შეიძლება იყოს: *რეგრესული ან პროგრესული.* პირველი, საბოლოო ჯამში, "მე"-ს განადგურებაა და, ამდენად, ბოროტებად უნდა ჩაითვალოს. მეორე "მე"-ს შესაძლებლობების მაქსიმალური ოპტიმიზაციაა და, ამდენად, სიკეთე. *ჰუმანისტური ფსიქოანალიზი,* როგორც ფროიდი ეწოდების თავის მოძღვრებას, მხარში უნდა ამოუდგეს ადამიანს, რათა იგი სწორედ ამ გზას დაადგეს.

ფროიდს მტკიცედ სჯერა ფსიქოანალიტიკური მეთოდის. მისი გამოყენებით პრინციპულად ორი სხვადასხვა მიზანის მიღწევა შეიძლება, ესენია *სოციალური ადაპტაცია და სულის განკურნება.* პირველ შემთხვევაში თერაპია ნეიროტული სიმპტომების მოხსნაში მდგომარეობს. გასული საუკუნის დასაწყისში პაციენტები მიმართავდნენ ფსიქოანალიტიკოსს, ეინაიდან მათ აწუხებდათ მოტორიკის, სენსორიკის, სეკრეციისა და სხვა ფუნქციების დარღვევები. ეს დარღვევები მათ ხელს უშლიდა, შეესრულებინათ ის როლები, რომლებსაც საზოგადოება პკარნახობდა. ანალიტიკური მკურნალობა სოციალურ შეგუებას ემსახურებოდა. მსგავსი სიმპტომების მქონე ავადმყოფები, ცხადია, დღესაც არიან, მაგრამ ისინი უმცირესობას შეადგენენ. *ახალი პაციენტები,* ჩვეულებრივი მნიშვნელობით, ავადმყოფებად ვერც ჩაითვლებიან; მათი საზოგადოებრივი ფუნქციონირება ნორმალურია, მაგრამ ისინი ლაპარაკობენ ერთგვარ *შინაგან სიკვდილზე,* გარკვეეით არც იციან, რა აწუხებთ. ადამიანები უჩივიან უძილობას, დათრგუნულობას; ოჯახურ ცხოვრებას მათთვის ბედნიერება არ მოაქვს, სოლო სამსახურს – კმაყოფილება და სიხარული. ისინი ვერ სვდებიან, რომ ეს სირთულეები მათი ძირეული, სიღრმისეული პრობლემის – *გაუცხოების* გამოვლენის ფორმებია. ჰუმანისტური ფსიქოანალიზი ამ ეითარების გაგებასა და გამოსწორებას ემსახურება. მკურნალობის მიზანი ამ შემთხვევაში იმდენად შეგუებაში კი არ მდგომარეობს, რამდენადაც ადამიანის შესაძლებლობების ოპტიმალურ განვითარებასა და ინდივიდუალურობის მაქსიმალურ რეალიზაციაში. სულის განკურნება ავადმყოფობისა და ნორმის ისეთ კონცეფციას გულისხმობს, რომელიც უპირატესობას აძლევს არა საზოგადოების მოთხოვნებს, არამედ ინდივიდის ღირებულებებს და მოთხოვნილებებს.

საქმე ისაა, რომ პიროვნების განვითარებისა და საზოგადოების ფუნქციონირების ინტერესები ერთმანეთს არ ემთხვევა. ის, ვინც ნორმალურად არის მიჩნეული ადაპტირებულობის ნიშნის მიხედვით, შეიძლება ნეიროტიკზე ნაკლებად ჯანმრთელი აღმოჩნდეს ადამიანური ღირებულებების თვალსაზრისით. კარგი შეგუება ხშირად საკუთარ პიროვნებაზე უარის თქმის ხარჯზე მიიღწევა; ადამიანი ხდება ისეთი, როგორსაც საზოგადოება მოითხოვს, ამიტომაც კარგავს ინდივიდუალურობას და უშუალობას. ამის საწინააღმდეგოდ, ნეიროტიკი შეიძლება ისეთ ადამიანად წარმოვიდგინოთ, რომელიც იბრძვის თავისი პიროვნების შესანარჩუნებლად. მარცხის შემთხვევაში, პიროვნების შემოქმედებითი თვითრეალიზაციის ნაცვლად, იგი გამოსავალს პოულობს ნეიროტულ გამოვლინებებში ან ფანტაზიის სამყაროში. მაგრამ, ადამიანური ღირებულებების კუთხით, იგი ნაკლებად არის დასახიჩრებული, ვიდრე ის "ნორმალური", რომელმაც საერთოდ დაკარგა თავისი ინდი-

ეიდუალურობა. საზოგადოდ, ფრომს მიაჩნია რომ ადამიანთა დაყოფა ნორმალურებად და ნეიროტიკებად მართებული არ არის. ნეიროტულ ადამიანთან პრინციპულად იმაევე მოვლენებს ვხედებით, რასაც ჩვეულებრივ ადამიანთან, ოღონდ ნეიროტიკთან მათ უფრო გამოკვეთილი, მძაფრი და გაცნობიერებული ხასიათი აქვს; ნორმალური ადამიანები ვერც აცნობიერებენ თავისი არსებობის ძირეულ პრობლემებს.

ამ პოზიციაზე დგას კარენ ჰორნიც (1885-1952). განსხვავება ნეიროტულ და ჯანმრთელ ადამიანს შორის მხოლოდ რაოდენობრივია. ეს დებულება გამოთქმულია მის საპროგრამო წიგნში, "ჩვენი დროის ნეიროტული პიროვნება" (1937). აქ ჰორნიმ თავი მოუყარა მოსაზრებებს, რომლებიც გაუჩნდა ხანგრძლივი ფსიქოანალიტიკური პრაქტიკის დროს გერმანიაში და ამერიკაში, სადაც იგი 1932 წელს გადასახლდა. აქ ჰორნი მუშაობდა ჩიკაგოსა და ნიუ-იორკის ფსიქოანალიტიკურ ინსტიტუტებში, ხოლო 1941 წელს დააარსა ამერიკის ფსიქოანალიზის ინსტიტუტი, რომელსაც სიკვდილამდე ხელმძღვანელობდა. ფრომის მსგავსად, ჰორნი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ახალი სოციალური ვითარების შესაბამისად უნდა შეიცვალოს ფსიქოანალიზის თვალსაზრისი ნევროზის ბუნებისა და მკურნალობის თაობაზე. მისი აზრით, ნეიროტულ სიმპტომებზე აქცენტის ნაცვლად, საჭიროა იქიდან ამოვიდეთ, რომ "ამ ფსიქიკურ აშლილობათა ნამდვილი მიზეზი ხასიათის დარღვევაში მდგომარეობს და რომ ნევროტული ხასიათის სტრუქტურის გამოვლენისა და კორექციის გარეშე ჩვენ ვერ შეეძლებთ ნევროზის მკურნალობას". რაც შეეხება ხასიათს, იგი სოციალური ფაქტორებით არის განსაზღვრული. ჰორნი გადაჭრით ამბობს უარს ფროიდის ბიოლოგისტურ ორიენტაციაზე და *სოციალურად ორიენტირებული ფსიქოანალიზის* განვითარებას ცდილობს. პიროვნების, მისი ხასიათის ჩამოყალიბება ადრეულ ბავშვობაში იწყება, მაგრამ შესაძლებელია ძალიან გვიან დასრულდეს. ადამიანი, გარკვეულად, მთელი ცხოვრების განმავლობაში იცვლება. ჰორნი უარს ამბობს ფიქსირებულ ფსიქოსექსუალურ სტადიებზე; მისი აზრით, განვითარება არ მიმდინარეობს უნივერსალური, ბიოლოგიურად განსაზღვრული სტადიების შესაბამისად; ამიტომ ხასიათის ფორმირება მთლიანად გარემოს ფაქტორზეა დამოკიდებული. აქ, ძირითადად, ოჯახური ფაქტორები იგულისხმება; უფრო ფართო კონტექსტში კი – კულტურული და სოციალური ფაქტორები.

ჰორნის თეორიის საყრდენ ცნებას *ძირეული შფოთი* წარმოადგენს. ესაა მარტოობისა და უსუსურობის განცდა, რომელსაც ინდივიდში პოტენციურად მტრული გარემო იწვევს. ის აღმოცენდება სოციალური გარემოს ზეგავლენით, კერძოდ კი მშობლებისა და ბავშვის ურთიერთობის იმ არასასურველი ფორმების შედეგად, რომლებიც ადრეული ასაკიდან იჩენს თავს. ეს შეიძლება იყოს სიყვარულის, გაგების, შემწყნარებლობის დეფიციტი ან გადაჭარბებული მეურვეობა, დამოუკიდებლობისა და თავისუფლების შეზღუ-

ღვა, ერთ-ერთი შეილისთვის უპირატესობის მინიჭება და ა.შ. ამას ჰორნი *მთავარ* ბოროტებას უწოდებს. შფოთი, როგორც ძირეული მოტივაციური ძალა, წარმოშობს სიყვარულისა და ურთიერთობის სურვილს, რომლის უკანაც უსაფრთხოების მოთხოვნილება დგას. ჰორნის თანახმად, ადამიანის აქტივობას ორი მთავარი მისწრაფება განსაზღვრავს: *უსაფრთხოებისა და სურვილების დაკმაყოფილების.* ისინი შეუთავსებელი ტენდენციებია, ვინაიდან სურვილების შეუზღუდავი დაკმაყოფილება აუცილებლად გამოიწვევს დაგმობას ან დასჯას საზოგადოების მხრიდან, რაც რეალურად ემუქრება უსაფრთხოებას.

ჰორნი საგანგებოდ განიხილავს იმას, თუ როგორ აღწევს თავს კონფლიქტურ ვითარებას ნევროტული ადამიანი. იგი აღნიშნავს, რომ ნევროტიკი კი არ მართავს თავის მისწრაფებებს, არამედ პირიქით, მისწრფებები მართავენ მას. კონფლიქტური ტენდენციების არაცნობიერობა და შეუთავსებლობა შეუძლებელს ხდის მათ შორის გაწონასწორებული არჩევანის გაკეთებას. ამიტომ ნევროტული პიროვნება მიმართავს კონფლიქტის დაძლევის არარაციონალურ გზას ან ქცევით სტრატეგიას. თუ ეს სტრატეგია ფიქსირდება, იგი ხასიათთბრივი თვისების ან, ავტორის ტერმინით, *ნევროტული მიდრეკილების* სახეს იღებს.

ჰორნი 10 ასეთ ნევროტულ მიდრეკილებას გამოყოფს: მიდრეკილება გყავდეს ხელმძღვანელი პარტნიორი, მიდრეკილება აღტაცების ობიექტად ყოფნისადმი, ძალაუფლებისადმი, პატივმოყვარეობისადმი, სხვების ექსპლოატირებისადმი და ა.შ. ნევროტულ მიდრეკილებებს გარკვეული საერთო თვისებები აქვს. ისინი არაცნობიერია. ადამიანს არ ესმის, რამდენადაა ამ ტენდენციებით შეპყრობილი და რამდენად განსაზღვრავენ ისინი მის ცხოვრებას. კიდევ უფრო ნაკლებად ცნობიერდება, თუ რატომ აქვს ამ ტენდენციებს მასზე ზემოქმედების ასეთი ძალა. ნევროტულ მიდრეკილებებს აკვიატებული სასიათი აქვთ; ისინი არ წარმართავენ ადამიანს განსხვავებული მიზნების შერჩევისკენ და მას რიგიდულს ხდიან. და ბოლოს, ნევროტული მიდრეკილებები არარეალისტური და პრინციპულად დაუკმაყოფილებელი ხასიათისაა, ხოლო მათი ფრუსტრაცია აუცილებლად იწვევს ძლიერი შფოთის რეაქციას.

წიგნში "ჩვენი შინაგანი კონფლიქტები" (1945) ავტორი აერთიანებს ყველა ამ მიდრეკილებას თუ რეაგირების ტიპს დაცვითი ქცევის სამ გლობალურ სტრატეგიაში: *1) მოძრაობა ადამიანებისკენ 2) მოძრაობა ადამიანებისაგან და 3) მოძრაობა ადამიანების წინააღმდეგ.* თუ ნორმაში ეს ტენდენციები ასე თუ ისე თანაარსებობენ და აწონასწორებენ ერთმანეთს, ნევროზში ისინი მთლიანად ურთიერთგამომრიცხავი ხდებიან და ერთ-ერთი მათგანი იკავებს გაბატონებულ ადგილს. ამის შედეგად, შფოთვა, რომლის შემცირებასაც თითქოს უნდა ემსახურებოდეს ქცევის ეს სტრატეგია, კიდევ უფრო ძლიერდება, რადგან სხვა სტრატეგიების შესაბამისი მოთხოვნილებები არ კმაყოფილდება. საბოლოო ჯამში, ნევროტიკი ექცევა *მანკიერ ნევროტულ წრეში* – ცდილობს შეამციროს შფოთვა იმ ხერხით, რომელსაც ამ უკანასკნელის გაძლიერებისაკენ მივყავართ.

აღნიშნული სამი ქცევითი სტრატეგიის შესაბამისად გამოიყოფა ნევრო-

ტული პიროვნების (ხასიათის) სამი ტიპი: 1) დამთმობი 2) განდგომილი და 3) აგრესიული. *დამთმობი ტიპი* მიისწრაფის ადამიანებისკენ, რომლებიც მასზე დომინირებენ. უყვართ იგი და იცავენ მას; *განდგომილი ტიპი* ერიდება ადამიანებს, უყვარს მარტოობა, არის დამოუკიდებელი და თვითკმარი; *აგრესიული (მტრული) ტიპი* მიმართულია სხვა ადამიანებთან დაპირისპირებისკენ, მას იზიდავს ძალაუფლება, პრესტიჟი, დომინირება. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ, ჰორნის თვალსაზრისით, განსხვავება ნევროზით შეპყრობილ და ნორმალურ პიროვნებას შორის მხოლოდ რაოდენობრივი სახისაა; წინააღმდეგობა კონფლიქტურ ტენდენციებს შორის ნევროტიკთან ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე ჯანმრთელ ადამიანთან.

თავის ბოლო წიგნში, "ნევროზი და პიროვნების განვითარება" (1950), ჰორნი მსჯელობს ნევროტული და ნორმალური პიროვნების განვითარების საკითხებზე. ნორმალური განვითარება *რეალური "მე"-ს* თვითრეალიზაციას ნიშნავს. ძირეულ შფოთთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად ნევროტული პიროვნება იმუშავებს *იდეალიზირებულ "მე"-ს* არააღექვატური, გაღაჭარბებული თვითშეფასებით. ფსიქოთერაპიული მუშაობის მიზანი პაციენტის რეალურ მე-სთან დაბრუნებაში მდგომარეობს. ადამიანმა უნდა მიიღოს საკუთარი თავი ისეთი, როგორიც ის არის – ყველა ნაკლოვანებითა და შეზღუდულობით. ამისთვის საჭიროა შფოთვის შემცირება იმ დონემდე, რომ ადამიანმა შეძლოს ნევროტული სტრატეგიების გარეშე ცხოვრება. ამას ემსახურება ჰორნის მიერ საკმაოდ მოდერნიზებული ფსიქოანალიზი, რომლისთვისაც, ფროიდის ფსიქოანალიზისაგან განსხვავებით, დამახასიათებელია უფრო მეტი ორიენტირებულობა აწმყოზე (და არა წარსულზე) და სტრუქტურაზე (და არა გენეზისზე).

ჰორნი უარყოფს ფროიდის პანსექსუალიზმს და ლიბიდოს თეორიას, ეჭვი შეაქვს ოიდიპოსის კომპლექსისა და სიკვდილის ინსტინქტის არსებობაში, ასევე იდის, ეგოსა და სუპერ-ეგოს ცნებების მართებულობაში და ა.შ. მიუხედავად ამისა, იგი ძალზე მაღალ შეაფასებას აძლევს ფროიდის მიძღვრებას და მიაჩნია, რომ საჭიროა არა მისი უარყოფა, არამედ სრულყოფა. ამასთან დაკავშირებით ჰორნი თვლის, რომ მის კონცეფციას აქვს ფსიქოანალიზისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი, ესენია: შეხედულებათა გარკვეული სისტემა არაცნობიერი პროცესების როლისა და გამოვლენის ფორმების შესახებ და, აგრეთვე, გარკვეული თერაპიული პროცედურების სისტემა, რომლითაც ეს პროცესები ცნობიერდება.

ბევრად უფრო პრობლემატურია ფროიდიზმისადმი **ჰარი სტეკ სალივანის** (1892-1945) შეხედულებათა სისტემის მიკუთვნება. სალივანი ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ფსიქიატრი იყო. იგი წარმატებით უთავსებდა ერთმანეთს სამკურნალო-კლინიკურ, სამეცნიერო-კელევით და სალექციო-პედაგოგიურ საქმიანობას სხვადასხვა დაწესებულებებსა და ქალაქებში (ვაშინგტონი, ნიუ-იორკი,

ტაუსონი). სალივანი გამოირჩეოდა იშვიათი დამოუკიდებლობით და კრიტიკულობით ორთოდოქსალური ფსიქოანალიზის მიმართ. ამასთან, სულიერი მოვლენების განხილვისას, იგი ცოდნის სხვადასხვა დარგის სინთეზის მომხრე იყო. მისი თვალსაზრისი ჩამოყალიბდა გარკვეული ფსიქონევროლოგიური (უ. უატი), კულტურულ-ანთროპოლოგიური (ე. სეპირი, რ. ბენედიქტი) და სოციოლოგიური (ჯ. მიდი) მოსაზრებების გაელენით. რაც შეეხება ფსიქოლოგიას, აქ, ფსიქოანალიზთან ერთად, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ველის თეორია (კ. ლევინი) და სოციალური ბიჰევიორიზმი (ლ. კორტეული). სალივანს ზოგჯერ ამ უკანასკნელი მიმართულების წარმომადგენლადაც თვლიან. ამის საფუძველს ალბათ ის გარემოება იძლევა, რომ ნეობიჰევიორისტების მსგავსად სალივანი ცდილობდა, აეგო ფსიქოლოგია ზუსტი საბუნებისმეტყველო მეცნიერების მსგავსად. ასეა თუ ისე, ფსიქოლოგიის ისტორიაში სალივანი მაინც ნეოფროიდიზმის წარმომდგენელთა შორის განიხილება, ვინაიდან მისთვის ამოსავალი იყო შეხედულება არაცნობიერი ფსიქიკის სამალაეში მოთავსებული მოტივაციური ძალების შესახებ.

ამ ძალების მასაზრდოებელი წყარო, სალივანის თანახმად, ინსტინქტური ლტოლვები კი არა, *ინტერპერსონალური ურთიერთობებია*. ადამიანის მთელი ცხოვრება პიროვნებათშორის ურთიერთობებში მიმდინარეობს. პიროვნება მხოლოდ სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში ყალიბდება და ვლინდება. ეს ურთიერთობა შეიძლება იყოს რეალური ან წარმოსახვითი, მაგრამ ყველა შემთხვევაში ის ჩართულია ადამიანის ქცევაში. ამ აზრით, ადამიანის მთელი ფსიქიკური წყობა ინტერპერსონალური ხასიათისაა. უფრო მეტიც, სალივანი განსაზღვრავს პიროვნებას, როგორც "განმეორებადი პიროვნებათშორისი სიტუაციების შედარებით მდგრად მოდელს, რომლებიც ახასიათებს ადამიანის ცხოვრებას". ეს ნიშნავს, რომ ობიექტური კელევის საგანი ინდივიდები კი არ უნდა იყვნენ, არამედ "პიროვნებათშორის ველებში მიმდინარე მოვლენები და მოქმედებები". ის რაც განსაზღვრავს ადამიანის ქცევას, მოთავსებულია არა მასში, არამედ პიროვნებათაშორის ველში. აშკარაა, რომ ეს მსჯელობა ლევინის ველის თეორიასთან სრულ შესაბამისობაში იმყოფება (იხ. 9.2.).

ინტერპერსონალურ ურთიერთობაში ინდივიდი დაბადებიდანვე შედის. უკვე ახალდაბადებულ ბავშვს უჩნდება ორი ძირითადი ინტერპერსონალური მისწრაფება: დედის (მომვლელის) ალერსის, სითბოს მიღების მოთხოვნილება და შფოთის, წუხილის არიდების ტენდენცია. ეს სოციალური მოტივაცია იმთავითვე თანაარსებობს და თანამოქმედებს ბიოლოგიურ მოტივაციასთან. სითბოს და ალერსის მიღების სწრაფვა ჩართულია ბიოლოგიურ მოტივაციაში იმდენად, რამდენადაც კვებითი, ტემპერატურული თუ სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის აუცილებელია სხვა ადამიანის მზრუნველობა და თანამონაწილეობა. რაც შეეხება შფოთს ის გადაეცემა ბავშვს დედისაგან (ან სხვა უახლოესი პირისაგან), როცა იგი არაკეთილგანწყობილია, შეწუხებულია ან გაბრაზებულია. ეს ვითარება, სალივანის მიერ, დაფიქსირებულია *შფოთის თეორემაში*, რომლის თანახმად შფოთის დაძაბულობა მომვლელ პირში ინდუცირებას უკეთებს შფოთს ჩვილ ბავშვში. შფოთი მძიმედ

მოქმედებს კვებით ან სხვა ორგანიზმულ პროცესებზე და, საბოლოო ჯამში, ბავშვის ჯანმრთელობაზე. მოგვიანებით ის შესაძლოა უარყოფითად აისახოს პიროვნებათშორის ურთიერთობებზეც.

შფოთის არიდების მოთხოვნილება აიძულებს ბავშვს, ყურადღება მიაქციოს იმას, თუ რას იწონებენ უფროსები და რას – არა. ამ შეფასებების გავლენით ურთიერთობის პროცესში ყალიბდება *"მე"-სისტემა*, რომელშიც პერსონიფიკაციის გარკვეული სახეა მოცემული. *პერსონიფიკაციის* ტერმინით აღინიშნება ის წარმოდგენები თავის თავის და სხვების შესახებ, რომელთა პირველადი ფორმები უკვე ადრეულ ბავშვობაშია მოცემული. ისინი შეიძლება იყვნენ ადექვატური და არაადექვატური. "მე"-სისტემის სტრუქტურა თავის თავის პერსონიფიკაციებს შეიცავს. ისინი სამი სახისაა: *კარგი-"მე"*, *ცუდი-"მე"* და *არა-"მე"*. იმის მიხედვით, რომელი – კარგი თუ ცუდი "მე"-ს სტრუქტურა დომინირებს "მე"-სისტემაში, ინდივიდი განსხვავებულად რეაგირებს მნიშვნელოვანი მოთხოვნილებების ფრუსტრაციაზე. ცუდი "მე"-ს იდენტიფიკაციისას სუბიექტი თავის თავს ამტყუნებს, ხოლო კარგი "მე"-ს შემთხვევაში სხვაზე გადაბრალებას ახდენს. "მე"-სისტემის ჩამოყალიბება საკმაოდ ადრეულ ასაკში (12-18 თვე) იწყება ცნობიერების მონაწილეობის გარეშე. საბოლოო სტაბილიზაციას იგი აღწევს გვიანი ყრმობის ეტაპზე, რომელიც პიროვნების განვითარების ბოლო სტადიას წარმოადგენს (სალივანის მიხედვით, მოწიფულობამდე პიროვნება ექვს სტადიას გაივლის). "მე"-სისტემა, როგორც წესი, ნაკლებად ექვემდებარება კრიტიკას და მეტ-ნაკლებად უცვლელი სახით თან გაპყვება ადამიანს მთელი ცხოვრების განმავლობაში. მის შესაცვლელად, არც თუ იშვიათად, საგანგებო ფსიქოთერაპიული ჩარევა ხდება საჭირო.

ინტერპერსონალური ურთიერთობები, ცხადია, ყოველთვის პარმონიული და უკონფლიქტო ვერ იქნება. შფოთი სოციალური ცხოვრების მოუცილებელი მომენტია. ამ ვითარებასთან შეგუების პროცესში პიროვნებაში ფსიქოლოგიური თავდაცვის ერთგვარი მექანიზმი წარმოიქმნება. მისი მოქმედების გამოვლინებაა, როცა ადამიანი თითქოს ვერ ამჩნევს იმას, რაც ეწინააღმდეგება "მე"-სისტემას და იწვევს შინაგან დისკომფორტს. ეს მოვლენა სალივანის კონცეფციაში *შერჩევითი ყურადღების ან დისოციაციის* სახელწოდებით აღინიშნება. ფსიქოთერაპიის მთავარი დანიშნულება, მისი აზრით, მდგომარეობს ისეთი თავდაცვითი მექანიზმების შემუშავებაში, რომლებიც ხელს შეუწყობენ სოციალურ გარემოსთან პარმონიულ შეგუებას. ამ მიზნით გამოიყენება *ფსიქიატრიული ინტერვიუს მეთოდი*, რომელიც გულისხმობს პაციენტთან კონტაქტის პროცესში აქტიურ მემოქმედებას ინტერპერსონალურ ურთიერთობებზე.

სოციალური გარემო, რომელსაც სალივანი კლინიკაში ქმნიდა პერსონალის სპეციალური შერჩევის, სწავლების, პაციენტების თანაცხოვრების ყველა ნიუანსის გათვალისწინებით და ფსიქოთერაპიული სეანსების დროს თავისი გამორჩეული ემპატიური უნარის მეშვეობით, საოცარ თერაპიულ ეფექტებს იწვევდა. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო სალივანის წარმატებები შიზოფრენიის მკურნალობის საქმეში. სალივანმა ამ მიმართულებით გააფარ-

თოვა ფსიქოანალიზი. მან პირველმა გააერცელა ფსიქოანალიტიკური მიდგომა *ფსიქოზებზე*. ფროიდს ფსიქოზები ესმოდა, როგორც კონფლიქტი ინდივიდსა და გარე სამყაროს შორის, რის შედეგადაც ადამიანი გარემოსაგან პირს იბრუნებს. ნეიროზი კი ინტრაფსიქიკურ აშლილობად არის წარმოდგენილი; ის იდის, ეგოსა და სუპერ-ეგოს სტრუქტურების შორის კონფლიქტის შედეგია. ეინაიდან გარე სამყარო სხვა ადამიანებისაგან შედგება, ძირითადი კონფლიქტი ინდივიდსა და მის სოციალურ გარემოს შორის წარმოიქმნება. სალივანი თელის, რომ ეს ერთნაირად მართებულია როგორც ფსიქოზის, ისე ნეიროზის შემთხვევაში, რადგან ინტრაფსიქიკური კონფლიქტები თავდაპირველად პიროვნებათშორისი კონფლიქტებია და განვითარების პროცესში პიროვნულ სტრუქტურებში ინტერნალიზდება. სალივანი უფრო შორსაც მიდის და თელის, რომ პიროვნება, როგორც არსი, როგორც პირადი *ინდივიდუალობა, ილუზიაა*, რადგან ჩვენ არ ვცხოვრობთ თავისთავად, ავტონომიურად და ინდივიდუალურად. ამიტომ აქცენტი უნდა გაკეთდეს არა იმდენად პიროვნებაზე, რამდენადაც ინტერპერსონალურ სიტუაციებზე. ამგვარი მიდგომა, ცხადია, ერცელდება შიზოფრენიაზეც. ყურადღების ცენტრში აქაც სოციალური სიტუაცია უნდა იყოს და არა ავადმყოფი ინდივიდუმი. თავის ამოცანას სალივანი იმაში ხედავს, რომ დაეხმაროს შიზოფრენიით დაავადებულს, პარმონიულად "ჩაეწეროს" სოციალურ გარემოცვაში. ამ დაავადებისას რეალურ ცხოვრებასთან შეგუებისთვის საჭირო უუნქციები არ არის მოშლილი და სამუდამოდ დაკარგული; ისინი მხოლოდ დათრგუნულია და ეს დათრგუნვა ინდივიდისთვის რეალობისაგან გაქცევის საშუალებას წარმოადგენს. ამოცანა ავადმყოფის სოციალური რეალობისკენ შემობრუნება და დათრგუნვის მოხსნაა. წამყვანი ფსიქოანალიტიკოსების შეფასებით, სალივანი, თავისი *ინტერპერსონალური ფსიქიატრიის* მოდელის ფარგლებში, შიზოფრენიის მკურნალობისას დინამიკური ფსიქოთერაპიული მეთოდების გამოყენების უზარმაზარ გამოცდილებას ფლობდა.

თუ სალივანმა ფსიქოანალიზი ფსიქოზებზე გააერცელა, ჰაინც კოხუტი (1913-1981) შეეცადა ფსიქოანალიზი ისეთ პაციენტებთან გამოეყენებინა, რომლებიც უჩიოდნენ შინაგან დეზინტეგრაციასა და სიცარიელეს. მათ შორის ივი ხშირად ხვდებოდა *მოსაზღვრე მდგომარეობებში* მყოფ პირებს და *ნარცისიზმის კომპლექსით* შეპყრობილ ინდივიდებს.

ფსიქოანალიზის გამოყენების სფერომ მოიცვა არა მარტო სხვადასხვა ფსიქიკური და ქცევითი დარღვევები, არამედ ორგანული პათოლოგიებიც, უფრო ფართოდ – ფსიქიკურისა და სხეულებრივის ურთიერთობა. ფსიქოანალიზის ფარგლებში წარმოიშვა *სხეულზე ორიენტირებული და ფსიქოსომატური* მიდგომა. მისი ამოსავალი წერტილი არის თვლისი სულისა და სხეულის ერთიანობის და განუყოფლობის შესახებ. ორგანიზმული პროცესები ფსიქოფიზიოლოგიური ბუნების პროცესებია. ამიტომ მათი ერთ-ერთი მხარის ცვლილება, ასე თუ ისე, იწვევს მთლიანობითი ხასიათის სტრუქტურულ და ფუნქციონალურ ცვლილებებს. აქედან გამომდინარე, ფსიქოანალიზის პროცესში შესაძლებელია მოძრაობა როგორც სხეულიდან სულისკენ, ასევე ფსიქიკიდან სომისკენ. პირველი მიმართულების იდეოლოგი ვილჰელმ რაიხი (1897-1957)

იყო. მისი საერთო ორიენტაცია ასე გამოიხატება – ფსიქიკური სრულფასოვნებისა და სრულყოფილების მისაღწევად აუცილებელია სხეულის ბუნებრივი და თავისუფალი ფუნქციონირების უზრუნველყოფა. ადრინდელ შრომებში რაისი აქცენტს აკეთებს სასიათის საკითხზე და მას *ფსიქოლოგიური ან პიროვნული ჯავშნის* ცნებას უკავშირებს. ხასიათი პიროვნებისთვის ფსიქოლოგიური ჯავშნის ფუნქციას ასრულებს; იცავს მას მრავალრიცხოვანი ინსტინქტური, უპირატესად სექსუალური იმპულსებისაგან. ხასიათში მოცემული თავდაცვითი რეაქციები მეღავნდება შესაბამისი მიმიკის, ჟესტების, პოზების სახით. ემოციების დათრგუნვის უნივერსალურ მექანიზმს *კუნთური რიგიდულობა ანუ კუნთური ჯავშანი* წარმოადგენს. ამ კუნთური დაცვითი რეაქციების შემცირება ან მოხსნა, ფსიქოლოგიური მასალის ანალიზთან ერთად, თერაპიის პროცესში ათავისუფლებს ლიბიდოზულ ენერგიას და შესაბამის ემოციებს, რომლებიც ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში იყო ბლოკირებული კუნთური ჯავშნით.

ფრანც ალექსანდერი (1891-1964) ფსიქოანალიტიკური მკურნალობის იმ მიმართულების საფუძველი იყო, რომელიც ორგანულ დაავადებებზე ფსიქიკური ფაქტორის გავლენას იკვლევდა. 1932 წელს ჩიკაგოს ცნობილ ფსიქოანალიზის ინსტიტუტში მან შექმნა ლაბორატორია, სადაც პირველად დაიწყო *ფსიქოსომატური* პრობლემების შესწავლა ფსიქოანალიზზე დაყრდნობით. ამ კვლევების შედეგად აღიწერა განსხვავებული ტიპის პიროვნებებისათვის დამახასიათებელი კონფლიქტური მოდელები, რომლებიც მჭიდრო კავშირშია გარკვეული სახის დაავადებებთან. მან გამოყო ელემენტარული მოტივაციური ძალების სამი ვექტორი: მიღებისა და გაერთიანების, განდევნისა და დახარჯვა-განადგურების, შენახვისა და დაგროვების სურვილი. ამ არაცნობიერი ტენდენციების კონფლიქტი მათ ბლოკირებას იწვევს. ეს ვითარება კომპენსირდება სპეციფიკური ფსიქოფიზიოლოგიური ან ვეგეტატიური რეაქციებით, რაც, თავის მხრივ, ამა თუ იმ განსაზღვრული ორგანული დაავადების (წყლული, ჰიპერტონია, ასთმა და სხვა) ეტიოლოგიური ფაქტორი ხდება.

ფსიქოანალიზის საგნობრივი ველის გაფართოების კიდევ ერთი მიმართულება *ბავშვის ფსიქოანალიზია*. ბავშვისადმი ინტერესი, პრინციპში, კლასიკური ფსიქოანალიზიდან მომდინარეობს. ფროიდის მიხედვით, ძირითად კომპლექსებს სწორედ ბავშვობაში ეყრება საფუძველი. მაგრამ უშუალოდ ბავშვთან ფსიქოანალიტიკურ მუშაობას ოცდაათიან წლებში მოჰკიდეს ხელი. აქ თავიდანვე ორი მიმართულება გამოიკვეთა – მელანი კლაინის (1882-1960) და ანა ფროიდის. მათი სკოლები ერთმანეთს უპირისპირდება მთელ რიგ სერიოზულ საკითხებში, რომლებიც ეხება როგორც ფსიქოანალიტიკური თეორიის, ასევე პრაქტიკისა და ტექნიკის მნიშვნელოვან ასპექტებს.

რაც შეეხება საზოგადოდ პრაქტიკას, იგი პოსტფროიდულ ეპოქაშიც ფსიქოანალიზის განუყოფელ შემადგენელ ნაწილად რჩება. არსებითად უცვლელია მისი, როგორც ფსიქოთერაპიული მეთოდის ძირეული პრინციპებიც. ესენია სხვადასხვა ტექნიკების საშუალებით (ასოციაციების, სიზმრების, შეცდომითი მოქმედებების ინტერპრეტაცია) არაცნობიერი მასალის ცნობიერებაში ამოტანა და *ტრანსფერი* – გადაუწყვეტელი კომპლექსებისა და კონ-

ულიქტების ანალიტიკოსზე გადატანა, ანუ *პირველსაწყისი ნევროზის* შეცვლა *გადატანის ნევროზით.* ბოლო ეტაპზე ხდება უკვე ინტერპრეტირებული და ტრანსფერის საშუალებით თავიდან განცდილი ფსიქიკური და ქცევითი შინაარსების დაბუშავება, მათთვის უარყოფითი მუსტის მოხსნა, ერთი სიტყვით, განმეორებითი გადატანის ნევროზის პრობლემების გადაწყვეტა.

თერაპევტის ობიექტური და მიუკერძოებელი დამოკიდებულება ხელს უწყობს ყველა ამ პროცესის ეფექტურ წარმართვას. ზ. ფროიდი ანალიტიკოსს ცარიელ ეკრანს ადარებდა, რომელზეც პაციენტი თავისი განცდებისა და როლების პროექციერებას ახდენს. პოსტფროიდისტულ პერიოდში ნათლად გამოჩნდა, რომ ანალიტიკოსი არ შეიძლება იყოს და ვერც იქნება ცარიელი ეკრანი აბსოლუტურად ნეიტრალური პოზიციით. როგორც კონკრეტული პიროვნება, იგი რეაგირებს პაციენტზე. ემოციურად ჩართულია მის პრობლემებში, რასაც ფსიქოანალიზში *კონტრგადატანა* ეწოდება. თანამედროვე ფსიქოანალიზი მაინც ისეთია, რომ ანალიტიკოსის პიროვნების როლი სულ უფრო მეტ წონას იძენს.

საკამათოა ფსიქოანალიტიკურ მეთოდთან დაკავშირებული ისეთი საკითხი, როგორიცაა მკურნალობის ხანგრძლივობა. ტრადიციული შეხედულებით ითვლება, რომ რაც უფრო დიდხანს გრძელდება ანალიზის კურსი, მით მეტია განკურნების ალბათობა. თანამედროვე ფსიქოანალიზში მკურნალობის კურსის ხანგრძლივობის შემცირებისა და მისი ზუსტი დროითი რეგლამენტაციის პრაქტიკა უკვე უარითოდაა გავრცელებული.

კელევისა და მსჯელობის საგანს კლინიკური ფსიქოანალიზის სხვა მომენტებიც წარმოადგენს. საქმე ეხება გარკვეული პრინციპებისა და ტექნიკების ერთგვარ მოდერნიზაციას. ეს პოსტფროიდისტული მოძრაობის ერთი ასპექტია. მეორე ასპექტი, როგორც აღინიშნა, ფსიქოანალიზის გამოყენების სფეროს გაფართოებაში მდგომარეობს — ფსიქოზები, მოსაზღვრე მდგომარეობები, ფსიქოსომატიკა, ბავშვის ანალიზი. ორივე ეს ასპექტი უფრო პრაქტიკას ეხება. მესამე ასპექტი საკუთრივ კონცეფციის ?ეძლგომ განვითარებასთან არის დაკავშირებული. ამ მხრივ, როგორც დაერწმუნდით, მრავალი ახალი ცნება, იდეა თუ შეხედულება გაჩნდა. მაგრამ ძირითადად თეორიული ამბრის ორ მიმართულებაზე შეიძლება ლაპარაკი. ერთ შემთხვევაში ადგილი აქვს ფსიქიკურ ცხოვრებაში "მე"-ს როლისა და მნიშვნელობის გაზრდა-გაფართოებას; აქცენტი კეთდება "მე"-ს ავტონომიურ ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პროცესებისა და მექანიზმების დახასიათებაზე (ეგო-ფსიქოლოგია). მეორე შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება არაცნობიერი და ცნობიერი ფსიქიკის სოციალურ-კულტურულ განპირობებულობას ექცევა (ნეოფროიდიზმი).

ფსიქოანალიზსა და აკადემიურ ფსიქოლოგიას შორის თავიდანვე საკმაოდ რთული ურთიერთობა დამყარდა. საკუთრივ ფროიდი მკაცრად უარყოფითად აფასებდა ტრადიციული ფსიქოლოგიის მიღწევებს და შესაძლებლობებს. არც მოპირდაპირე მხარე იჩენდა ნაკლებ კრიტიკულობას და სკეპტიციზმს. როგორც ზემოთ ენახეთ, აკადემიურ ფსიქოლოგიაში გამოთქმულია საუუძვლიანი შენიშვნები ფსიქოანალიზის და საერთოდ სიღრმის ფსიქოლოგი-

ის მიმართ მათი მონაცემების სანდოობის, კონცეფციების ეალიდობისა და შემოწმებადობის კუთხით. ეს შენიშვნები, არსებითად, პოსტფროიდისტულ სისტემებზეც ერცელდება.

უფრო რთულადაა ვითარება თვით ფსიქოანალიზის ფარგლებში, სადაც ითქმის არ არსებობს შეთანხმებული საკითხი. თუ სპეციალისტები აკადემიური ფსიქოლოგიის წრეებიდან, როგორც წესი, უბრალოდ მიუთითებენ ფსიქოანალიტიკური დებულებების დაბალ სანდოობასა და ვერიფიკაციის სირთულეებზე, თვით ამ მიმდინარეობის წარმომადგენლები საკმაოდ მძაფრად აკრიტიკებენ ერთმანეთის სისტემებს (როგორც დეტალებში, ისე მთლიანად) და ურთიერთსაწინააღმდეგო კონცეფციებს ქმნიან. ამ ვითარებამ უკვე კლასიკურ სიღრმის ფსიქოლოგიაში იჩინა თავი; საკმრისია გავიხსენოთ ამრთა სხვადსხვაობა ფროიდს, იუნგს და ადლერს შორის. ამ უთანხმოებებისა და კონცეპტუალური სიჭრელის უპირველესი მიზეზი ემპირიული მასალისა და თეორიის ურთიერთმიმართების თავისებურებაში მდგომარეობს. თეორიის აგებისას ყოველი ფსიქოანალიტიკოსი თავის თერაპიულ გამოცდილებას ეყრდნობა. მაგრამ კლინიკური სამუშაოს ეს მონაცემები იმთავითვე ინტერპრეტაციას გულისხმობს, რომელიც, თავის მხრივ, უკვე მიღებულ თეორიულ მოსაზრებებს ეფუძნება. ვიღებთ შეკრულ წრეს. შედეგად, ერთისა და იმავე მოქმედებას, გამონათქვამს თუ წარმოდგენას განსხვავებული მნიშვნელობა ენიჭება; და ეს მაშინ, როცა პროცედურული თვალსაზრისით ფსიქოანალიტიკური ტექნიკის ძირეული პრინციპები ყველგან ერთნაირია (ასოციაციების, სიზმრების, შეცდომითი მოქმედებების ანალიზი).

საქმე ისაა, რომ სინამდვილეში ფსიქოანალიტიკური ტექნიკა თეორიისაგან განცალკევებულად არ არსებობს. მაგალითად, სიზმრების გაშიფრვა, ინტერპრეტაცია ყოველგვარი ფსიქოანალიზის შემადგენელი ნაწილია. მაგრამ სიზმრის წაკითხვა აბსოლუტურად განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა შეხედულება აქვს ავტორს სიზმარზე, ფსიქიკაში მის ადგილსა და როლზე და, საერთოდ, არაცნობიერი სფეროს შინაარსეულ და სტრუქტურულ მხარეებზე. ასეთივე შეუთანხმებლობაა სხვა საკითხებშიც. ავიღოთ თუნდაც საკითხი აქტივობის ძირეული მამოძრავებელი ძალების შესახებ. ფროიდი ლაპარაკობს ლიბიდოზე, სიცოცხლისა და სიკვდილის ინსტინქტებზე; იუნგისთვის ლიბიდო სასიცოცხლო ენერგიის ექვივალენტური ცნებაა; ადლერი მთავარ აღმძვრელ ძალად არასრულყოფილების განცდას მიიჩნევს; ეგოფსიქოლოგიაში მე-ს ლიბიდოსაგან განსხვავებული ავტონომიური ძალა მიეწერება; ფრომი მიუთითებს ფუნდამენტურ ეგზისტენციალურ წინააღმდეგობებთან დაკავშირებულ მისწრაფებებზე: სიყვარული, თავისუფლება, დესტრუქტიეიზმი, ავტორიტარიზმი; ჰორნი ამოდის ძირეული შფოთიდან და მას უსაფრთხოებისა და სურვილების დაკმაყოფილების მოთხოვნილებებს უკავშირებს; სალივანი წამყვან მისწრაფებებს ინტერპერსონალურ ურთიერთობებში ხედავს და ამოსავალ მოტივაციად თბილი ურთიერთობებისა და წუხილის არიდების ტენდენციებს მიიჩნევს. არსებობს სხვა მოსაზრებებიც ამ საკვანძო საკითხის გარშემო, რომლის ასეთი თუ ისეთი გადაწყვეტა მთლიანად განსაზღვრავს ფსიქანალიტიკური თეორიისა და პრაქტიკის ხასიათს.

როგორ უნდა განესაჯოთ, რომელი თეალსაზრისია ჭეშმარიტი? ფროიდის და პოსტფროიდისტული ეპოქის ყველა ავტორი ხომ თავისი ანალიტიკური პრაქტიკიდან ამოდის და ამტკიცებს, რომ სწორედ მან დაარწმუნა იგი ამა თუ იმ მოტივაციური ტენდენციის პირველადობასა და პრიორიტეტულობაში. მაშასადამე, საქმე მეთოდში ყოფილა. საგულისხმოა ამ მხრივ ფრომის შეფასება. "მართალია, წერს იგი, ფსიქოანალიზმა ვერ მიაღწია იმ იდეალს, რომლისკენაც მრავალი წელი მიისწრაფოდა აკადემიური ფსიქოლოგია; ასეთი იდეალი ზუსტი ექსპერიმენტული მეთოდების პირდაპირი გამოყენება იყო. მიუხედავად ამისა, იგი, არსებითად, ემპირიულ მეთოდს წარმოადგენს; ესაა მეთოდი, რომელიც ადამიანის შინაგანი ცენზურის მიერ შეკავებული აზრების, სიზმრებისა და ფანტაზიის გულმოდგინე დაკვირვებას ეფუძნება. მხოლოდ არაცნობიერ ძალებზე დამყარებულ ფსიქოლოგიას შეუძლია შეაღწიოს იმ საფარველს მიღმა, რასაც შეცდომაში შემყვანი რაციონალიზაცია ქმნის. ამგვარ რაციონალიზაციას როგორც ცალკეული ადამიანების, ისევე მთელი საზოგადოებების ანალიზისას ვხვდებით". მაგრამ საქმეც ისაა, რომ არაცნობიერში შეღწევისას ყველა ფსიქანალიტიკოსი თავის აღმოჩენებს აკეთებს და ერთმანეთის გამომრიცხავ კონცეფციას ქმნის. ამ ვითარებაში ჭეშმარიტების კრიტერიუმად თითქოს თერაპიის ეფექტურობა უნდა მოგვეელინოს. მაგრამ არც აქაა გამოსავალი, ვინაიდან ყველა საკუთარი თეორიის პრაქტიკულ ნაყოფიერებაზე მოუთითებს, ხოლო რამდენადმე სარწმუნო სტატისტიკა არ არსებობს.

პოსტფროიდისტული პერიოდის შესედულებათა მრავალფეროვნება შეიძლება ფსიქოანალიზის სასიცოცხლო ძალის გამოვლინებადაც შეფასდეს და მისი დასუსტების მაჩვენებლადაც. ამ შეხედულებათა სინთეზი ახალ, ერთიან თეორიულ სისტემაში ამჟამად ნაკლებ შესაძლებლად გამოიყურება და ამის გაკეთება არავის უცდია. მაგრამ, როგორიც არ უნდა იყოს ამ მიმდინარეობის მომავალი, ეჭვსგარეშეა რომ მან უდიდესი გავლენა მოახდინა არა მხოლოდ ფსიქოლოგიური აზრის, არამედ მთელი დასავლური კულტურის ღღევანდელ სახეზე.

*ლიტერატურა*


1. ადლერი ა. ინდივიდუალფსიქოლოგია. დასავლეთ ევროპის ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმდინარეობები. ტფილისი, 1935.
2. იუნგი კ. გ. ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები. თბილისი, 1995.
3. იმედაძე ი. XX საუკუნის ფსიქოლოგიის ძირითადი მიმდინარეობები. თბილისი, 2004.
4. კაკაბაძე ვ. სიღრმის ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლები. თბილისი, 1979.
5. ფროიდი ზ. ფსიქოანალიზი. თბილისი, 1995.
6. Адлер А. Практика и теория индивидуальной психологии. М., 1995.
7. Адлер А. Наука жить. Киев, 1997.
8. Александер Ф., Селесник Ш. Человек и его душа: познание и врачевание от древности

до наших дней. М., 1995.
9. Блюм Г. Психоаналитические теории личности. М., 1996.
10. Джонс Э. Жизнь и творения Зигмунда Фрейда. М., 1997.
11. Зарубежный психоанализ. СПб., 2001.
12. Клонингер С. Теории личности. СПб., 2003.
13. Лейбин В. Фрейд, психоанализ и современная западная философия. М., 1990.
14. Лихи Т. История современной психологии. СПб., 2003.
15. Мадди С. Теории личности. Сравнительный анализ. СПб., 2002.
16. Нельсон-Джоунс Р. Теория и практика консультирования. СПб., 2000.
17. Первин Л., Джон О. Психология личности. Теория и исследования. М., 2000.
18. Ругкевич А.М. От Фрейда к Хайдегеру. М., 1985.
19. Смит Н. Современные системы психологии. СПб., 2003.
20. Фрейд З. Тотем и табу. М., 1924.
21. Фрейд З. О психоанализе. Пять лекций. Хрестоматия по истории психологии. М., 1980.
22. Фрейд З. Введение в психоанализ. Лекции. М., 1989.
23. Фрейд З. Психология бессознательного. СПб., 2002.
24. Фрейджер Р., Фейдимен Д. Личность: теория, упражнения, эксперименты. СПб., 2001.
25. Фромм Э. Бегство от свободы. М., 1990.
26. Фромм Э. Иметь или быть. М., 1990.
27. Фромм Э. Душа человека. М., 1992.
28. Холл К.С., Линдсей Г. Теории личности. М., 1997.
29. Хорни К. Собрание сочинений в 3-х т. М., 1997.
30. Хьел Л., Зиглер Д. Теории личности. СПб., 1997.
31. Шульц Д.П., Шульц С.Э. История современной психологии. СПб., 1998
32. Эриксон Э. Детство и общество. СПб., 1996.
33. Эриксон Э. Идентичность: юность и кризис. М., 1996.
34. Юнг К.Г. Психологические типы. М., 1967.
35. Юнг К.Г. Аналитическая психология. В кн: История зарубежной психологии. Тексты. М., 1986.
36. Юнг К.Г. Структура психики и процесс индивидуализации. М., 1996.
37. Юнг К.Г. Критика психоанализа. СПб., 2000.
38. Ellenberger H. The discoveryn of the unconscious: The history and evolution of dunamic psychiatry. New York: Basic Books, 1970.
39. Grunbaum A. Foundations of psychoanalysis: A philosophical critique. Berkeley: University of California Press, 1984.
40. Sallivan H. The interpersonal theory of psychiatry. New York: Norton, 1953.

# თავი 8. ბიჰევიორიზმი და მისი განვითარება

## 8.1. კლასიკური ბიჰევიორიზმი

1913 წელს ფსიქოლოგიურ რევიუში დაბეჭდილი სტატიით: "ფსიქოლოგია ბიჰევიორისტის თვალსაზრისით" უოთსონმა საფუძველი ჩაუყარა ბიჰევიორიზმს. *ბიჰევიორიზმი* სრულიად ახალი ზოგადფსიქოლოგიური მოძღვრებაა, რომელიც პრინციპულად უპირისპირდება მანამდე არსებულ ფსიქოლოგიებს (შინაარსების ფსიქოლოგია, აქტფსიქოლოგია, სტრუქტურალიზმი, ფუნქციონალიზმი და ა.შ.). ის არის რეაქცია ამ ფსიქოლოგიების სუბიქტივიზმსა და ინტროსპექციონიზმზე. იგი უარს ამბობს ცნობიერების კვლევაზე, რადგანაც მისი შესწავლა თვითდაკვირვებას გულისხმობს. ფსიქოლოგიის საგნად ცხადდება ქცევა, რომელიც ობიექტურ დაკვირვებას და შესწავლას ექვემდებარება.

ჯონ ბროდეს უოთსონის (1878-1958) ბიოგრაფიიდან ნათელი ხდება, თუ ვისი ვაჟლენა დაედო საფუძვლად მისი მეცნიერული მრწამსის ჩამოყალიბებას. იგი სწავლობდა ჩიკაგოს უნივერსიტეტში, ფუნქციონალიზმის ერთ-ერთ ცენტრში, ჯ. ენჯელთან. აქ 1903 წელს დაიცვა დისერტაცია იმის შესახებ, თუ რა შეგრძნებების გამოყენებაა საჭირო ვირთაგვას მიერ ლაბირინთის გავლისას. ეს შრომა მან ზოოფსიქოლოგიის მეტრის, რ. იერქსის ხელმძღვანელობით შეასრულა და ზოოფსიქოლოგიის პროფესორი გახდა. ჩიკაგოშივე სწავლობდა ჟ. ლობთან – ცხოველთა შესწავლისადმი ობიექტივისტური მიდგომის აღიარებულ ლიდერთან. ამ ვევარებს უნდა დაემატოს ჯ. დიუიც, რომელთანაც იგი ფილოსოფიას ეუფლებოდა. დიუი პრაგმატიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელია, თუმცა, როგორც თვით უოთსონი შენიშნავს ავტობიოგრაფიაში – კარგად მაინც არასოდეს მესმოდაო, რას ქადაგებდა დიუი. ზოგადად, უოთსონი ფილოსოფიას ერიდებოდა და თვლიდა, რომ მის ბიჰევიორისტულ პროგრამას არაფერი ჰქონდა საერთო ფილოსოფიასთან. ბორინგის შეფასებით, ბიჰევიორიზმი მართლაც არასისტემატური (არაფილოსოფიური) მოძღვრებაა; ობიექტურად იგი, ცხადია, გარკვეულ ფილოსოფიურ საფუძველზე დგას, თუმცა თვითონ ამაზე არ მსჯელობს. კლასიკური ბიჰევიორიზმის ფილოსოფიურ საფუძველს *პოზიტივიზმი და პრაგმატიზმი* წარმოადგენს. განა სწორედ პოზიტივიზმი არ მოითხოვს გამოირიცხოს მეცნიერებიდან ყველაფერი, რაც უშუალო დაკვირვებას არ ექვემდებარება? ამიტომ განიდევნა ბიჰევიორისტული კვლევიდან ცნობიერებაც და ფიზიოლოგიური მექანიზმებიც. უოთსონი ინტროსპექციონიზმს ებრძვის. მისი წინამორბედი აქაც პოზიტივიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი ო. კონტია. პრაგმატიზმის გავლენა მეღაენდება ბიჰევიორიზმის საერთო განწყობაში, შეხედო მეცნიერებას პრაქტიკული სარგებლიანობის თვალსაზრისით.

რაც შეეხება მეცნიერულ შეხედულებებს, რომლებმაც გაელენა იქონია უოთსონის თეალსაზრისის ჩამოყალიბებაზე, აქ, პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ ცხოველთა ფსიქოლოგია, განსაკუთრებით ე. თორნდაიკი და ობიექტივისტური სკოლა შედარებით ფსიქოლოგიაში (იხ. 6.4.). ამ გამოკვლევებს უოთსონი აფასებდა, როგორც რეაქციას საზოგადოდ ანტროპომორფიზმზე და არაცნობიერების ფსიქოლოგიაზე. თავის ფსიქოლოგიას – ბიჰევიორიზმს, იგი, საკუთრივ სამართლიანად, სწორედ ასეთ ფსიქოლოგიაზე ნეგატიურ რეაქციად მიიჩნევს. აქ ი. პაველოვის და ვ. ბეხტერევის გაელენაზეც შეიძლება ლაპარაკი.

1908-1920 წლებში უოთსონი მუშაობს ჰოპკინსის უნივერსიტეტში, სადაც ამერიკის უძველესი ფსიქოლოგიური ლაბორატორია ფუნქციონირებდა. აქ გამოქვეყნდა მისი ძირითადი შრომები. თავში აღნიშნულ სტატიას, რომელსაც ბიჰევიორიზმის მანიფესტი შეარქვეს და რომლითაც დაიწყო ე.წ. *ბიჰევიორისტული რევოლუცია*, სხვა შრომები მოჰყვა: "ქცევა: შესავალი შედარებით ფსიქოლოგიაში" (1914) და "ფსიქოლოგია როგორც მეცნიერება ქცევის შესახებ" (1919). უოთსონის იდეებმა უზარმაზარი რეზონანსი გამოიწვია და სწრაფადაც გავრცელდა, რაზეც მეტყველებს თუნდაც ის, რომ 1915 წელს, ოცდაჩვიდმეტი წლისა, იგი ამერიკის ფსიქოლოგიური ასოციაციის პრეზიდენტად აირჩიეს. 1920 წელს უოთსონის ბრწყინვალე სამეცნიერო კარიერა მოულოდნელად წყდება და, ოჯახური პირობების გამო, იგი სარეკლამო ბიზნესში გადადის. ოცდახუთი წლის განმავლობაში უოთსონი დიდი ფირმის ვიცეპრეზიდენტი იყო. პერიოდულად გამოდიოდა პოპულარული ლექციებით, რომლებიც გამოქვეყნდა წიგნში "ბიჰევიორიზმი" (1925). ამ წიგნმა გრანდიოზული ინტერესი გამოიწვია მთელ მსოფლიოში. მიუხედავად ამისა, ბიჰევიორიზმი, არსებითად, მაინც ამერიკულ მოვლენად და მიმართულებად დარჩა.

უოთსონის კრიტიკა, უპირველეს ყოვლისა, ცნობიერების ფსიქოლოგიის ინტროსპექციონიზმის წინააღმდეგ არის მიმართული. იმჟამინდელი ფსიქოლოგია, მიუხედავად თავისი ექსპერიმენტულობისა, მართლაც ინტროსპექტული იყო. უოთსონის აზრით, ეს არის იმის მიზეზი, რომ თავისი არსებობის ორმოცდაათი წლის მანძილზე, ფსიქოლოგიამ როგორც ექსპერიმენტულმა და, უდავოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერებამ, ვერ მოახერხა დაემკვიდრებინა თავი სხვა საბუნებისმეტყველო დისციპლინათა გვერდით. თვითდაკვირვების არასანდოობის გამო ჩვენ ვერ ვახერხებთ მივიღოთ ერთნაირი, უტყუარი და სანდო მონაცემები. ამიტომაც გვიჭირს ძირითად საკითხებში შეთანხმება. ერთი და იმავე მოვლენის შესწავლისას თუ ფიზიკაში ან ქიმიაში ვინმემ ვერ მიიღო იგივე ცდისეული მონაცემები რაც სხვებმა, ეს ექსპერიმენტის პირობებს ბრალდება (ან აპარატურა არ არის საკმარისად მგრძნობიარე, ან სუფთა რეაქტიენები არ გამოიყენება და სხვა). ფსიქოლოგიაში ვითარება სხვაგვარია. ამ შემთხვევაში პრეტენზიების აღრესატია არა ექსპერიმენტის პირობები, არამედ დამკვირვებელი. ყველაფრის მიზეზი ცდისპირის თვითდაკვირვების მოუმზადებლობაა. ამიტომაც აკრიტიკებენ ერთმანეთის თვითდაკვირვებას სტრუქტურალისტები და ეიურცბურგელები. ე. ტიჩენერმა ნ. ახს "სტიმულის შეცდომა" მოუნახა – შენ სტიმულებს აღწერ და არა განცდებ-

სო (იხ. 5.2.); ეს მაშინ, როცა ვიურცბურგელთა ე.წ. სისტემატური თვითდაკვირვება ინტროსპექციის მწვერვალია ორგანიზაციისა და ცდისპირთა გაწაფულობის მხრივ (იხ. 6.1). არაოვალსაჩინო შინაარსების აღმოჩენით მათ ინტროსპექციის ბუნებრივი საზღვარი აჩვენეს. ამ არათვალსაჩინო შინაარსში ინტროსპექციით უკვე ვეღარ შეაღწევ; ეს კი ეწინააღმდეგება შინაარსებისა და სტრუქტურული ფსიქოლოგიის მონაცემებს, რომლებიც აგრეთვე უფაქიზესი ინტროსპექციიდან გამომდინარეობენ და ამტკიცებენ, რომ ცნობიერება სენსორულ-წარმოდგენითია, ე.ი. თვალსაჩინოა. ვის შეუძლია ეს დავა გადაწყვიტოს, როცა ორივეს მეთოდი თვითდაკვირვებაა. განა შეძლო ინტროსპექციამ გადაეჭრა ძირეული საკითხი ფსიქიკური ელემენტების რაოდენობისა და ბუნების შესახებ? ზოგი მეცნიერისთვის ხომ გრძნობაც შეგრძნების სახეობაა. თვით შეგრძნების თვისებებიც არ არის გარკვეული. მოდალობას, ინტენსიობას, ხანიერებას უმატებენ ხან განფენილობას, ხან სიცხადეს, ხან მოწესრიგებულობას.

სანამ ინტროსპექციით ვხემძღვანელობათ, ჭეშმარიტებას ვერ დავადგენთ. ამიტომ, ფსიქოლოგიის მიერ ობიექტური მონაცემების მიღების იმედს უოთსონი ისეთი დარგების გამოცდილებაზე ამყარებს, რომლებშიც ინტროსპექცია არ გამოიყენება და დიდი წარმატებით ვითარდება, ესენია: რეკლამის ფსიქოლოგია, იურიდიული ფსიქოლოგია, ტესტოლოგია, პათოფსიქოლოგია, განსაკუთრებით კი ზოოფსიქოლოგია. უოთსონი მიუთითებს, რომ ცხოველის შესწავლა ინტროსპექციას გამორიცხავს; აქ გამოყენებული მეთოდები სავსებით მიესადაგება ბავშვის ფსიქოლოგიასაც. ამიტომ თავი უნდა დავანებოთ თვითდაკვირვებას და გარეგანი დაკვირვებით შემოვიფარგლოთ; იმას უნდა დავაკვირდეთ, რაც ობიექტურად არის მოცემული. ასეთია *მოქმედება, ქცევა*. ფსიქოლოგიამ უარი უნდა თქვას ცნობიერების კვლევაზე და შეისწავლოს ის, რასაც "ადამიანები აკეთებენ დაბადებიდან სიკვდილამდე". ერთხელ და სამუდამოდ უარი უნდა ვთქვათ მენტალისტურ ტერმინოლოგიაზე, ხმარებიდან ამოვიღოთ "აღქმა", "აზროვნება", "წარმოდგენა", "სურვილი" და სხვა (ყოველ შემთხვევაში მათი თავდაპირველი და ჩვეული მნიშვნელობით). უნდა შეიქმნას ახალი ენა და ყველა ფსიქოლოგიური მოვლენა გამოიხატოს ქცევით ტერმინებში, ისეთში, როგორიცაა სტიმული და რეაქცია, ჩვევების შემუშავება, მათი ინტეგრაცია და ა.შ.

უოთსონი ქმნის ფსიქოლოგიას ფსიქიკის გარეშე. იგი არ უარყოფს ფსიქიკის (ცნობიერების) არსებობას, როგორც ამას ზოგჯერ მიაწერენ ხოლმე. იგი, უბრალოდ, თავს არიდებს ამ პრობლემაზე მსჯელობას, ვინაიდან, როგორც თვითონ ამბობს, მასში ჩაღრმავებას აუცილებლად მივყავართ მეტაფიზიკამდე, რომლის გაგონებაც არ სურს. უოთსონი მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ ცნობიერება, ფსიქოლოგიაში დამკვიდრებული მნიშვნელობით, არ შეიძლება სრულყოფილი ექსპერიმენტული შესწავლის ობიექტად იქცეს. მაშასადამე, ფსიქოლოგიამ ქცევა უნდა შეისწავლოს. იგი ამომწურავად აღიწერება S-R (სტიმული-რეაქცია) წყვილით. "ბიჰევიორიზმის მთავარი ამოცანაა შეკრიბოს ადამიანის ქცევაზე დაკვირვებათა მონაცემები, რათა ყოველ მოცემულ შემთხვევაში, ბიჰევიორისტს შეეძლოს იმის თქმა, თუ

როგორი იქნება რეაქცია, ან, თუ რეაქცია სახეზეა, გაარკვიოს რა სიტუაციამ გამოიწვია იგი". ფსიქოლოგიის ძირითადი მიზანი ქცევის *წინასწარმეტყველებასა და მართვაში* (კონტროლში) მდგომარეობს.

*სტიმული* უოთსონისთვის მოცემულ მომენტში ორგანიზმზე მოქმედი გამღიზიანებელია; მაგალითად, ტალღების სხვადასხვა სიგრძის სინათლის სხივები, განსხვავებული სიხშირისა და ამპლიტუდის აკუსტიკური ტალღები, ყნოსვის ორგანოზე მოქმედი ნივთიერების უმცირესი ნაწილაკები და ა.შ. გარდა ამისა, სტიმულის როლი შეიძლება ითამაშოს კუნთების შეკუმშვამ, ჯირკვლების სეკრეციამ და სხვა ორგანულმა პროცესმა, რომელიც მკრძნობიარე ნერვს აღიზიანებს. ორგანიზმზე, როგორც წესი, სტიმულთა ერთობლიობა მოქმედებს; აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ვილაპარაკოთ სიტუაციის ზემოქმედებაზე. რაც შეეხება *რეაქციას*, ამ ტერმინის ქვეშ უოთსონი გულისხმობს იმ ცელილებაია ერთობლიობას, რასაც ადგილი აქვს კუნთებისა და ჯირკვლების მოქმედებისას; ე.ი. რეაქცია ორგანიზმის მოტორული და სეკრეტორული გამოვლინებაა.

ბუნებრივად ისმის კითხვა, ხომ არ არის ყოველივე ეს ფიზიოლოგიის კომპეტენცია? უოთსონს მიაჩნია, რომ ბიჰევიორიზმისა და ფიზიოლოგიის სამოქმედო არეალი განსხვავებულია. იგი ასე მსჯელობს: დავუშვათ, შევეხეთ თვალის რქოვან გარსს (ესაა სტიმული) და გამოვიწვიეთ თვალის დახუჭვა (ესაა რეაქცია). თუ ზუსტად არის აღწერილი სტიმული და რეაქცია და მათ შორის არსებული მიმართების ფაქტი ემპირიულად სანდოა, ბიჰევიორისტის საქმე შესრულებულად უნდა ჩაითვალოს. ფიზიოლოგიის ამოცანაა დაადგინოს შესაბამისი ნერვული კავშირები, მათი მიმართულება, რაოდენობა, ხანგრძლივობა, გავრცელებულობა და ა.შ., ანუ ის, რასაც ნეიროფიზიოლოგია შეისწავლის. ბიჰევიორიზმი არც ფიზიკო-ქიმიურ პრობლემებს ეხება, კერძოდ იმას, თუ რა ფიზიკური ან ქიმიური ბუნებისაა ნერვული იმპულსი, რა ენერგეტიკულ დანახარჯებთან არის დაკავშირებული რაექცია და სხვა. მაშასადამე, ყოველ რეაქციას გააჩნია ბიჰევიორისტული, ნეიროფიზიოლოგიური და ფიზიკო-ქიმიური ასპექტი. უოთსონის ანტიფიზიოლოგიზმი, არსებითად, ნეიროფიზიოლოგიაზეა მიმართული. ამიტომ, პავლოვის მოძღვრებიდან მისთვის მისაღებია მხოლოდ მეთოდიკური ნაწილი, ის ნაწილი, რომელიც პირობითი რეფლექსის შემუშავების (ანუ დასწავლის) პროცესს ეხება. უოთსონი სრულიად უგულვებელყოფდა პავლოვის მოძღვრების ნეიროფიზიოლოგიურ ასპექტს – მოსაზრებებს დროებით კავშირებზე, აგზნებისა და შეკავების პროცესებზე და ა.შ. რაც შეეხება ე. წ. დაკვირვებად ფიზიოლოგიას, იგი პირიქით, უოთსონის კვლევის ძირითად ობიექტს შეადგენდა; მოტორული ან ვისცერალური რეაქციები სწორედ დაკვირვებადი ფიზიოლოგიის სფეროს განეკუთვნება. აქედან გამომდინარე, ნათელი ხდება ერთი მოჩვენებითი შეუსაბამობის მიზეზი: ესაა შეუსაბამობა უოთსონის კატეგორიულ ანტიფიზიოლოგიზმსა და მისი შეხედულებების აშკარად ფიზიოლოგისტურად შეფასებას შორის.

უოთსონი უშვებს თანდაყოლილი და შეძენილი რეაქციების არსებობას. აგრეთვე გამოყოფს ექსპლიციტურ (გარეგან) და იმპლიციტურ (შინაგან) რეაქციებს. რეაქციათა ამ უკანასკნელმა სახეობამ, უოთსონის მიხედვით,

უნდა შეცვალოს ის, რასაც ინტროსპექციული ფსიქოლოგია უწოდებს აზრს, ხატს, იდეას, წარმოდგენას და ა.შ. აზროვნება იმპლიციტური რეაქციის ტიპური ნიმუშია; იგი უნდა აღიწეროს არა წარმოდგენების და აზრების, არამედ მოტორული რეაქციების ტერმინებში.

იმ დროს ფსიქოლოგიაში უკვე მტკიცედ იყო აღიარებული ფსიქიკური ფუნქციების კავშირი სამოძრაო აქტიურობასთან. ცნობილი იყო მაგალითად, მხედველობითი აღქმის დამოკიდებულება თვალის მოძრაობაზე, ემოციებისა – სხეულებრივ პროცესებზე, აზროვნებისა – სამტყველო აპარატზე და ა.შ. ბიჰევიორისტებისთვის ეს საკმარისი იყო სუბიექტური ფსიქიკური პროცესების ობიექტური მოტორული პროცესებით ჩანაცვლებისთვის. ასეთი ლოგიკა, პირველ ყოვლისა, აზროვნების დახასიათებაზე გავრცელდა. უოთსონი ცდილობდა ექსპერიმენტულად ეჩვენებინა არა მხოლოდ მეტყველებისა და აზროვნების მჭიდრო კავშირი, არამედ მათი იდენტურობაც. იგი თხოულობდა ცდისპირს წარმოეთქვა რაიმე ფრაზა; პარალელურად აფიქსირებდა პირის ღრუსა და ხორხის კუნთების მოძრაობას. ამის შემდეგ ცდისპირს ეს ფრაზა გუნებაში უნდა გაემეორებინა. ოსცილოგრაფის ჩანაწერი აფიქსირებდა იმავე მოძრაობებს, ოღონდ უფრო მცირე ამპლიტუდით. უოთსონს მიაჩნდა, რომ ეს მონაცემები ამტკიცებდა მეტყველებისა და აზროვნების იგივეობრივი ბუნების თეზისს – აზროვნება იგივე მეტყველებითი რეაქციაა, რომელიც ზუსტად ისეთივე სახის, ოღონდ უფრო სუსტი მოტორიკის თანხლებით წარიმართება. უოთსონი გრძნობდა, რომ ასეთი შორს მიმავალი დასკვნებისთვის საკმარის ემპირიულ მონაცემებს არ ფლობდა, მაგრამ სწამდა, რომ უფრო მგრძნობიარე ლაბორატორიული მოწყობილობა აუცილებლად დააფიქსირებდა უფრო დამაჯერებელ ფაქტებს. ასეა თუ ისე, იგი თელიდა, რომ ენის სწავლის პროცესში სამეტყველო რეაქცია უკავშირდება გარკვეულ სტიმულს (საგანი). გარეგანი მეტყველება თანდათან, ჩურჩულის სტადიის გავლით, გადადის შინაგანში, იმპლიციტურში. შინაგანი მეტყველება (გაუხმოვანებელი ვოკალიზაცია) კი სხვა არაფერია, თუ არა აზროვნება. მეტყველების დასწავლას, არსებითად, ისეთივე სახე აქვს, როგორც ცხოველის დასწავლას ლაბირინთში, რომელიც ცდისა და შეცდომის გზით მიმდინარეობს. დასწავლა აქაც სტიმულისა და რეაქციის დაკავშირებაში მდგომარეობს, მაგრამ მეტყველების დასწავლის დიდი უპირატესობა ისაა, რომ ამ შემთხვევაში ცდა და შეცდომა საგნებით რეალურ მანიპულირებას არ გულისხმობს და სამეტყველო სიგნალების დონეზე მიმდინარეობს. აქედან გამომდინარე, იგი უფრო ეკონომიურია და არ შეიცავს რისკსა და საფრთხეს, რომელიც ყოველთვის თან ახლავს გარეგან პლანში შესრულებულ შეცდომით რეაქციას.

რეაქციების ჩამოთვლილი სახეების კომბინაცია რეაქციათა ოთხი კლასის გამოყოფის საშუალებას იძლევა: 1) *ექსპლიციტური-შეძენილი* (სამოძრაო ჩვევები – ცეკვა, ჩოგბურთის თამაში, ჩაცმა და ა.შ.); 2) *იმპლიციტური-შეძენილი* (შინაგანი მეტყველება ანუ აზროვნება); 3) *ექსპლიციტური-თანდაყოლილი* (უპირობო რეფლექსები – ცხვირის ცემინება, თვალის დახამხამება, გამოყოფა და ა.შ.); 4) *იმპლიციტური-თანდაყოლილი* (სეკრეცია, შინაგანი ფუნქციების მოქმედებასთან დაკავშირებული მოძრაობები). როგორც უოთ-

სონი აღნიშნავს, ბიჰევიორისტულმა კვლევამ, ბავშვების აქტიეობის შესწავლამ, ნათელყო რომ უაქტობრიეად არ არსებობს რთული თანდაყოლილი რეაქციები, რომელთაც ინსტინქტებს უწოდებენ. თანდაყოლილია მხოლოდ მარტივი უპირობო რეფლექსები. ყველა, მეტნაკლებად რთული ქცევა, შეძენილია. თანდაყოლილ ქცევებთან, ინსტინქტებთან ერთად უარყოფილია სპეციალური თანდაყოლილი ნიჭიც (მსატვრული, მუსიკალური და სხვა). მაშასადამე, ბავშვი იბადება თანდაყოლილი მარტივი რეაქციების შეზღუდული რაოდენობით. გარემოს მიჩანდასახული ცელილების გზით ჩვენ შეგვიძლია წარემართოთ მისი ფორმირების პროცესი საჭირო მიმართულებით. ქცევა დასწავლის შედეგია. დასწავლის საშუალებით ყველაფრის მიღწევა შეიძლება. ამასთან დაკავშირებით უოთსონი ამბობდა: "მომეცით რამდენიმე ჩვილი ბავშვი და შესაძლებლობა აეღზარდო ისინი სპეციალურ იზოლირებულ გარემოში. მე გაძლევთ გარანტიას, რომ შემთხვევით შერჩეული ერთ-ერთი მათგანისაგან ნებისმიერი პროფილის სპეციალისტს გამოვიყვან: ექიმს, აღვოკატს, მხატვარს, ეაჭარს, მათხოვარსა და ქურდასაც კი, მიუხედავად მისი მიდრეკილებებისა, ნიჭისა, მისი წინაპრების საქმიანობისა და რასობრიეი მიკუთვნებულობისა".

ხემძღვანელობდა რა ამ რწმენით, უოთსონმა მცირეწლოვანი ბავშვების შესწავლის მთელი პროგრამა შეიმუშავა. მას სურდა ეჩვენებინა, რომ ქცევის პრაქტიკულად ყველა გამოვლინება თანდაყოლილი კი არა, ცხოვრების პროცესშია შეძენილი. ასეა, მაგალითად, მემარჯვენეობა-მემარცხენეობის შემთხვევაში; მან ამ მოელენის ეერავითარი ბიოლოგიური საფუძველი ვერ აღმოაჩინა. ცდებიდან გამოირკვა, რომ თავდაპირველად არც ერთი ხელი არ არის დომინირებული. ასევე, საყოველთაოდ არის ცნობილი უოთსონის კვლევა-ძიება ემოციური რეაქციების გამომუშავებასთან დაკავშირებით. მან შეისწავლა ჩვილი ბავშვის ემოციური რეაქციები და მათი გამომწვევი გამღიზიანებლები. გამოვლინდა სამი სახის ძირითადი ემოციური რეაქცია: შიში, რომელსაც იწვევს ძლიერი ხმა ან წონასწორობის დაკარგვა; ბრაზი, რომელიც მოსდევს მოძრაობის შეზღუდვას და სიყვარული, რომელიც მოფერების, ხელის გადასმის, დარწევის პასუხია. ეს ემოციური რეაქციები სწავლის გარეშე ჩნდება. უოთსონი თვლიდა, რომ ყველა დანარჩენი ემოცია მათ საფუძველზე აღმოცენდება, როგორც დასწავლის, ან პირობითი რეფლექსის შემუშავების შედეგი.

ამ მიდგომის დემონსტრირებას ემსახურება უოთსონისა და რაინერის კლასიკური გამოკვლევა, რომელშიც თერთმეტი წლის ბავშვს (ალბერტს) უმუშავებდნენ შიშის რეაქციას თეთრ ვირთხაზე. ეს პროცესი პირობითი რეფლექსის გამომუშავების ჩვეულებრივი სქემით მიმდინარეობდა. უპირობო სტიმულს წარმოადგენდა რკინაზე ჩაქუჩის დარტყმით გამოწვეული ძლიერი ხმა, რომელიც იწვევდა შიშის უპირობო რეაქციას. პირობითი გამღიზიანებელი იყო თეთრი ვირთხა, რომელთანაც ბავშვი მანამდე სიამოვნებით თამაშობდა. ექსპერიმენტის მსვლელობაში ცხოველთან გართობის პროცესში ძლიერი ხმის საშუალებით ბავშვში იწვევდნენ შიშის რეაქციას; შედეგად იგი წყვეტდა ცხოველთან თამაშს და ტირილს იწყებდა. რამდენიმე გამე-

ორების შემდეგ ეს რეაქცია წარმოიქმნებოდა უშუალოდ თეთრი ვირთხის დანახვაზე, ანუ მხოლოდ პირობით გამღიზიანებელზე, უპირობო სტიმულის გარეშე. უფრო მეტიც, შიში გავრცელდა სხვა თეთრბეწვიან ობიექტებზეც – კურდღელზე, ქურქზე, ბამბაზე და სანტა კლაუსის წვერიან ნიღაბზეც კი.

გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო უოთსონმა ვერ მოახერხა მუშაობის გაგრძელება ბავშვში შემუშავებული შიშის მოხსნაზე, თუმცა მას კარგად ესმოდა ამ საკითხის მნიშვნელობა. გაღაჩვევა ზოგჯერ შეჩვევაზე უფრო მნიშვნელოვანია. გარკვეული ხნის მერე მას საშუალება მიეცა ჩაეტარებინა ეს სამუშაო თავის სხვა თანამშრომელთან მერი ჯონსთან ერთად. შეარჩიეს სამი წლის ბავშვი, სახელად პიტერი, რომელსაც სიგიჟემდე ეშინოდა ვირთხების, კურდღლების, ბაყაყების და თევზების. თავდაპირველად პიტერს აჩვენებდნენ სხვა ბავშვებს, რომლებიც უშიშრად თამამობდნენ მისთვის შიშის მომგვრელი ობიექტებით და გარკვეულ პროგრესს მიაღწიეს. ამ მეთოდს ამჟამად მოდელირება ეწოდება და ა. ბანდურას და მისი კოლეგების მიერ ფართოდ გამოიყენება (იხ. 11.2.). მაგრამ მოხდა ისე, რომ პიტერს და მის ძიძას შემთხვევით ძაღლი დაესხა თავს და მისი შიშები კელავ აღდგა. ამის შემდეგ გადაწყვიტეს მიემართათ ე.წ. *კონტრგაპირობებისთვის*. პროცედურა შემდეგნაირი იყო: დიდი ოთახის ერთ ბოლოში ბავშვს აძლევდნენ გემრიელ საჭმელებს (მაგალითად ნაყინს და შოკოლადს). ამ დროს ოთახის მეორე ბოლოში დგამდნენ გალიას კურდღლით. რადგან ცხოველი საკმაოდ მოშორებით იყო, იგი არ იწვეოდა დიდ შეშფოთებას. კურდღელს ყოველ დღე უახლოვდებდნენ ბავშვს და თანდათანობით ისეთ მდგომარეობას მიაღწიეს, როცა პიტერი მას ყურადღებას აღარ აქცევდა, ბოლოს კი სრულიად მშვიდად რეაგირებდა მასზე, იყვანდა ხელში და ცდილობდა რაიმე გემრიელით გამასპინძლებოდა. მოხდა ვადასწავლება. ცხოვრების პროცესში შემუშავებული შიშის რეაქცია ჩაქრა და მისი ადგილი სხვა ემოციურმა რეაქციამ დაიკავა. ეს გამოკვლევა ფსიქოლოგიის ისტორიკოსების მიერ ქცევითი თერაპიის გამოყენების პირველ მცდელობად არის მიჩნეული. ბიჰევიორალური ფსიქოთერაპიის სისტემატური გამოყენება მოგვიანებით, ორმოციანი წლების ბოლოს დაიწყო და, პირველ რიგში, ჯ. ვოლპეს სახელს უკავშირდება. ამრიგად, უოთსონმა აჩვენა, რომ ემოციები შეჩვევის და გადაჩვევის შედეგია; ისინი წარმოიქმნებიან, ქრებიან და იცვლებიან დასწავლის კანონების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, გასაგებია, რომ ჩვევის შეძენის, დასწავლის პროცესი ბიჰევიორიზმისთვის მთავარ საკითხს წარმოადგენს. დასწავლის პრობლემატიკას ამერიკულ ფსიქოლოგიაში დღესაც სოლიდური ადგილი უკავია. ამ საკითხის შესწავლისას უოთსონი იმ ხაზს გაჰყვა, რომლის სათავესთან იდგნენ თორნდაიკი და პავლოვი.

**ედვარდ ლი თორნდაიკი** (1874-1949) სამართლიანად ითვლება დასწავლის პრობლემატიკის კვლევის ერთ-ერთ პიონერად და ბიჰევიორიზმის

ერთ-ერთ წინამორბედად, თუმცა თავის შეხედულებათა სისტემას იგი *კონექციონიზმს* უწოდებდა. თორნდაიკი დამსახურებულად არის მიჩნეული ერთ-ერთ უმთავრეს ფიგურად ამერიკული ფსიქოლოგიის ისტორიაში. თავისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობა, რომელიც ძირითადად ჰარვარდის და კოლუმბიის უნივერსიტეტებში წარიმართა, მან უპირატესად დასწავლის კანონზომიერებების შესწავლას და მათ პედაგოგიურ პრაქტიკაში დანერგვას მიუძღვნა. უკვე 1898 წელს შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომში, რომელიც ეძღვნებოდა ცხოველთა ინტელექტის, ანუ დასწავლისუნარიანობის კვლევას, ჩამოყალიბებულია მისი სისტემის ძირითადი პრინციპები. ამ სისტემას თორნდაიკი შემდგომში სულ უფრო სრულყოფდა; ახალ ექსპერიმენტულ ფაქტებზე დაყრდნობით ცვლიდა ზოგიერთ თეორიულ დებულებას და, რაც მთავარია, ცდილობდა გადაეტანა ცხოველთა კვლევისას დადგენილი კანონზომიერებები ადამიანის ქცევაზე საზოგადოდ და, კერძოდ, ადამიანის სწავლაზე. ამგვარი გადატანის შესაძლებლობა თორდაიკში ეჭვს არ იწვევს, ვინაიდან იგი ვერ ხედავს თვისობრივ განსხვავებას ცხოველში და ადამიანში მიმდინარე დასწავლის პროცესებს შორის. იგი პირდაპირ აცხადებს: "ცხოველთა სამყაროს განვითარება, ამ თვალსაზრისით, გამოიხატება სიტუაციასა და საპასუხო რეაქციას შორის კავშირის დამყარების ერთი და იგივე პროცესის რაოდენობრივი ზრდით და რაოდენობრივი გართულებით, რომელიც დამახასიათებელია ყველა ხერხემლიანისთვის და უმდაბლესი ცხოველებისთვისაც, დაწყებული სალამურადან, დამთავრებული ადამიანით". საკითხის ასეთი დასმა, პრინციპში, დამახასიათებელია დასწავლის მთელი ბიჰეეიორისტული თეორიისთვის. ამ თეორიის პირველი ვარიანტი სწორედ თორდაიკს ეკუთვნის.

თორნდაიკის მიხედვით, დასწავლა არის კავშირის ანუ კონექციის დამყარება მოქმედებას (რეაქციას) და სიტუაციას (სტიმულს) შორის (აქედან მოდის სახელწოდება კონექციონიზმი). თვით კონექციის განსაზღვრება წმინდად ფუნქციონალურია და ასე გამოიხატება: კავშირი სტიმულსა და რეაქციას შორის არსებობს მაშინ, თუ მოცემულ სტიმულზე პასუხის აღმოცენების ალბათობა ნულზე მეტია. იმისათვის, რომ S-R კავშირი წარმოიქმნას, უნდა არსებობდეს გარკვეული პირობები, რომელთაც თორნდაიკი ე.წ. *დასწავლის კანონები* სახით აყალიბებს. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა *ეფექტის კანონს* ენიჭება. ამ კანონის თანახმად, "როდესაც სიტუაციასა და საპასუხო რეაქციას შორის კავშირის დამყარების პროცესს თან სდევს ან ცვლის სიამოვნების მდგომარეობა, კავშირის სიმტკიცე იზრდება; როდესაც ამ კავშირს თან სდევს ან ცვლის უსიამოვნების მდგომარეობა, მისი სიმტკიცე მცირდება". თავის მხრივ, სასიამოვნოდ მიჩნეულია ის მდგომარეობა, რომლის გამოწვევასა და შენარჩუნებას ორგანიზმი ესწრაფვის, ხოლო უსიამოვნებად – მდგომარეობა, რომელსაც ორგანიზმი ცდილობს განერიდოს. როგორც ვხედავთ, ეფექტი შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. დადებითი ეფექტი აძლიერებს, ამტკიცებს კავშირს, უარყოფითი ასუსტებს ან სულაც სპობს მას.

*ვარჯიშის კანონში* მოცემულია კანონზომიერება, რომლის მიხედვი-

თაც S- R კავშირის სიმტკიცე გამეორებათა რიცხვის პროპორციულად იზრდება. თუმცა, აქვე ისიც არის აღნიშნული, რომ ეს კანონზომიერება მხოლოდ იმ შემთხვევაში მოქმედებს, თუ ყოველ შემდგომ გამეორებას დადებითი ეფექტი ანუ *განმტკიცება* მოყვება.

*მზაობის კანონი* იმ კავშირზე მიუთითებს, რომელიც დასწავლის სისწრაფესა და ორგანიზმის მოცემულ მდგომარეობას შორის არსებობს. თორნდაიკი აღნიშნავს, რომ "ყოველგვარი ფსიქოლოგიური კავშირი აღბეჭდილია ინდივიდუალური ნერვული სისტემით მის სპეციფიკურ მდგომარეობაში". ვარჯიში, თავის მხრივ, ცელის ორგანიზმის მზაობას, გაატაროს ნერვული იმპულსები. აქ ჩანს მინიშნება ფიზიოლოგიურ სუბსტრატზე, თუმცა დასწავლის ფიზიოლოგიური მექანიზმის შემდგომი დაზუსტება არ ხდება. ძირითადი სამი კანონის გარდა თორდაიკს ჩამოყალიბებული აქვს დასწავლის კერძო კანონები ან პრინციპები.

უოთსონმა უარყო თორნდაიკის ეფექტის კანონი ან დასჯა-წახალისების პრინციპი, ვინაიდან მასში ისეთი მენტალური მოელენებია ჩართული, როგორიცაა სიამოვნება-უსიამოვნების განცდა. მან უარყო მზაობის კანონიც, ვინაიდან აქ ნეიროფიზიოლოგიაა გარეული. ამავე მიზეზის გამო უარყო პავლოვის ნეიროფიზიოლოგიური შეხედულებებიც. მიუხედავად ამისა, უოთსონი პირობით და უპირობო რეფლექსებზე ლაპარაკობს. მისი აზრით, დასწავლისთვის საკმარისია სტიმულისა და რეაქციის თანხვედრა, მოსაზღვრეობა, ერთდროულობა. ეს პოზიცია, ფაქტობრივად, ბიჰევიორისტულ ტერმინებში იმეორებს კლასიკური ასოციაციონიზმის შეხედულებას.

იმავე ტრადიციას განაგრძნობს ედვინ გათრი (1886-1959), რომელიც ვეისთან, ჰანტერთან, ჰოლტთან და ლეშლისთან ერთად, კლასიკური ბიჰევიორიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლად ითვლება. გათრისაც მიაჩნია, რომ ერთდროულობა S-R კავშირის შექმნის ერთადერთ პირობას წარმოადგენს. სტიმული უკავშირდება ბოლო რეაქციას იმ რიგიდან, რომელიც მოცემული სტიმულის ფონზე აღმოცენდება. ამისთვის რაიმე სხვა ფაქტორი, მაგალითად განმტკიცება, საჭირო არ არის.

თორნდაიკის და უოთსონ-გათრის პოზიციამ დასაბამი მისცა ორ თვალსაზრისს დასწავლის ბიჰევიორისტულ თეორიაში. პირველის მიხედვით, დასწავლა შეუძლებელია დადებითი ეფექტის, განმტკიცების გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ საკუთრივ განმტკიცების ბუნება სხვადასხვაგვარად არის გაგებული, იგი ყოველთვის წარმოადგენს დასწავლის აუცილებელ მომენტს. მეორე თვალსაზრისის თანახმად, განმტკიცება სრულებითაც არ არის აუცილებელი დასწავლისთვის. აღნიშნული თვალსაზრისების დაპირისპირებამ, როგორც ქვევით დავრწმუნდებით, განსაკუთრებით იჩინა თავი ნეობიჰევიორიზმში, მაგრამ ამ მხრივ ერთიანი პოზიცია არც კლასიკური ბიჰევიორიზმის მიმდევრებში არსებობდა. მათ შორის განსვლა სხვა საკითხშიც აღინიშნებოდა. ეს იყო პრინციპული მნიშვნელობის საკითხი ქცევის მეცნიერებისა და ფიზიოლოგიის მიმართების შესახებ. უოთსონის თვალსაზრისი ცნობილია; იგი ეყრდნობა შეხედულებას "ცარიელი ადამიანის" შესახებ და გვერდს უვლის, როგორც ცნობიერებას, ისე ნეიროფიზიოლოგიასაც, ვინაიდან არც ერთი

მათგანი არ ექვემდებარება პირდაპირ ობიექტურ დაკვირვებას. გათრი ამ საკითხშიც უოთსონის პოზიციას იცავს. პავლოვთან პაექრობისას იგი შენიშნავს, რომ ტვინის სტრუქტურებში მიმდინარე აგზნების და შეკავების პროცესებზე დაკვირვება არ შეიძლება; აქედან გამომდინარე, ამ ცნებებით ქცევაში რაიმეს ახსნა ყოველთვის იქნება შეუმოწმებელი და წინასწარმეტყველების უნარს მოკლებული.

ამის საწინააღმდეგოდ, ბიჰევიორისტების პირველი თაობის ერთმა ნაწილმა მიზნად სწორედ ის დაისახა, რომ ქცევა ფიზიოლოგიური საშუალებებით აეხსნა. მაგალითად ალბერტ ვეისი (1879-1931) შესაძლებლად მიიჩნევდა ფსიქოლოგიური მოვლენების გამოხატვას ნერვულ სისტემაში მიმდინარე ფიზიკო-ქიმიური პროცესების ტერმინებში. კარლ ლეშლი (1890-1959) წარმატებით შეისწავლიდა დასწავლის ნეიროფიზიოლოგიურ კანონზომიერებებს, რაც ზუსტ შესაბამისობაში არ იყო უოთსონის პოზიციასთან. წიგნში "ტვინის მექანიზმები" (1929), მან განაზოგადა თავისი მრავალწლიანი ექსპერიმენტული კვლევის შედეგები. ლეშლის ცდებში ცხოველებს ტვინის სხვადასხვა უბნებს აცლიდნენ და აკვირდებოდნენ, თუ როგორ იმოქმედებდა ეს ჩვევის შემუშავების პროცესზე (დასწავლაზე) და დასწავლილის შენარჩუნებაზე (მეხსიერებაზე). აღმოჩნდა, რომ ყველა შემთხვევაში ტვინის მასის დაკარგვა უარყოფით გავლენას ახდენს აღნიშნულ პროცესებზე; ამასთანავე, გავლენა მით უფრო დიდია, რაც უფრო მეტი ნივთიერებაა ამოკვეთილი ტვინიდან. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, ლეშლიმ ჩამოაყალიბა *საერთო აქტიურობის პრინციპი, ანუ ტვინის მასის ზემოქმედების კანონი*, რომლის თანახმად, რაც უფრო მეტია თავის ტვინის ქერქის ნივთიერება, მით უკეთ მიმდინარეობს დასწავლა და დასწავლილის შემონახვა და პირიქით, დასწავლის უნარისა და მეხსიერების დაქვეითება ტვინის დაკარგული მასის პირდაპირპროპორციულია. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს ტვინის რომელი უბანია დაზიანებული. თუ დაირღვა ტვინის ერთი ზონა, მის ფუნქციას სხვა უბანი იღებს. ტვინის უბნების ურთიერთჩანაცვლების თვისებას *ექვიპოტენციალობა* ეწოდა და გამოითქვა მოსაზრება, რომ ტვინი მუშაობს როგორც მთლიანი ორგანო. ლეშლის კვლევების მიხედვით, ტვინი გაცილებით მეტ როლს თამაშობს დასწავლაში, ვიდრე ამას უოთსონი უშვებდა. გარდა ამისა, ლეშლი უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ინსტინქტებსა და მემკვიდრეობას.

უოთსონის სისტემას არც უოლტერ ჰანტერის (1889-1953) მონაცემები შეესატყვისებოდა, რომლებიც მან ე.წ. *გადავადებული რეაქციების* კვლევის შედეგად მიიღო. ამ ცდებში, რომლებმაც მის ავტორს გამოჩენილი ექსპერიმენტატორის სახელი მოუტანა, მაიმუნებს აჩვენებდნენ, თუ რომელ ყუთში ათავსებდნენ საკვებს მოცემული ორი ყუთიდან. შემდეგ ცხოველსა და ყუთს შორის დგამდნენ შირმას, რომლის მოშორებაც მაიმუნებს საშუალებას მისცემდა გაეკეთებინა არჩევანი ყუთებს შორის. ცხოველი წარმატებით წყვეტდა ამოცანას – პოულობდა საჭირო ყუთს; ეს ამტკიცებდა, რომ მას არა მხოლოდ პირდაპირი, არამედ გადავადებული რეაქციის უნარიც აქვს. ჰანტერის ექსპერიმენტებმა აჩვენა ღია ქცევის წინმსწრები განწყობის როლი, რომელიც გამოხატავს ორგანიზმის მიმართულობას სტიმულზე და აშუალებს

კავშირს სტიმულსა და რეაქციას შორის. ამ "ჩართული" განწყობის იგნორირება შეუძლებელს ხდიდა ბევრი ქცევითი ფენომენის გაგებას. მეორე მხრივ, მისი დაშვება ეჭვის ქვეშ აყენებდა სტიმულის მიერ რეაქციის პირდაპირი და უშუალო დეტერმინაციის უოთსონისეულ პრინციპს. ამის გათვალისწინებით ჰანტერმა ქცევის მეცნიერებისთვის ახალი სახელწოდებაც შემოიტანა – ანთროპონომია, მაგრამ ეს ტერმინი ვერ დამკვიდრდა.

ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ კლასიკური ბიჰევიორიზმი, რომლის აღმავლობა გასული საუკუნის ათიან წლებში დაიწყო, არ წარმოდგენდა ერთიან და ჩამოყალიბებულ მიმართულებას. ბიჰევიორისტული აზრი საკმაოდ დიდ დიაპაზონში მოძრაობდა და მთელი რიგი პრინციპული საკითხის სხვადასხვაგვარ გადაწყვეტას გვთავაზობდა, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამოსავალ პუნქტში, რომელიც ცნობიერებისა და თვითდაკვირვების უარყოფას გულისხმობდა, უოთსონსა და სხვა ბიჰევიორისტებს შორის სრული თანხმობა სუფევდა. ისტორია ვერერს ვერ აუვლის იმ გარემოებას, რომ ანტიმეტალისტური და ანტიინტროსპექტული ორიენტაცია, რომელიც ბიჰევიორიზმის არსებით ნიშანს წარმოადგენს, უოთსონის პირველივე შრომების გამოქვეყნებისთანავე დამკვიდრდა მთელ ამერიკულ ფსიქოლოგიაში. ბორინგის გადმოცემით, ოციან წლებში ყველა ამერიკელი ფსიქოლოგი, ტიჩენერის და მისი ჯგუფის გარდა, ბიჰევიორისტი იყო. მიუხედავად ამისა, მათი უმრავლესობა თავს ბიჰევიორისტს არ უწოდებდა და ბევრ საკითხზე ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებს გამოთქვამდა.

ბიჰევიორიზმის ესოდენ სწრაფ და ფართო გავრცელებას ამერიკაში თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა. პრაგმატიზმი ფილოსოფიასა და ცხოვრებაში, საქმიანი ცხოვრების წესისთვის დამახასიათებელი პრაქტიციზმი, ზუსტი პროგნოზის, მართვისა და კონტროლისკენ მისწრაფება ვერ ეგუებოდა ცნობიერების კლასიკური ფსიქოლოგიის ჭვრეტით ხასიათს და პრაქტიკულ უნაყოფობას. აქედან გამომდინარე, ამერიკული საზოგადოება მზად იყო ბიჰევიორიზმის აღსაქმელად; იგი აღტაცებით შეხვდა ინტროსპექციული ფსიქოლოგიის უოთსონისეულ კრიტიკას[1]

უოთსონის წიგნი "ბიჰევიორიზმი" შეერთებული შტატების წამყვან გაზეთებში შეფასებულ იქნა, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი შრომა, რომელიც ოდესმე დაწერილა და რომელიც ახალ ეპოქას ქმნის კაცობრიობის ინტელექტუალურ ისტორიაში. ესოდენ დიდ წარმატებას ზოგიერთი სუბიექტური ფაქტორიც განაპირობებდა. პირველ რიგში ეს იყო უოთსონის პიროვნული ძალა, საკუთარი პოზიციის ჭეშმარიტების რწმენა და პოლემიკური ნიჭი. როგორც ზუსტად შენიშნა ვუდვორთმა "ამერიკული ბიჰევიორიზმის აღმოცენება უფრო პროტესტი იყო, ვიდრე აღმოჩენა". კლასიკური უოთსონისეული ბიჰევიორიზმის ყველაზე ძლიერ მხარედ მისი კრიტიკული ნაწილი უნდა ჩაითვალოს.

ბიჰევიორიზმის (ისევე როგორც გეშტალტფსიქოლოგიის) ასპარეზზე

[1] ბიჰევიორიზმი მაინც წმინდა ამერიკული მოვლენა იყო და ევროპაში ყოველთვის გაცილებით ნაკლები პოპულარობით სარგებლობდა.

გამოსელა ფსიქოლგიური მეცნიერების ე.წ. *ღია კრიზისის* ეპოქაში შესელას მოასწავებდა. პრინციპულად ახალი მიმართულების გაჩენა განაპირობა ცნობიერების ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიურმა შეზღუდულობამ, მეთოდიკურმა არასანდოობამ და პრაქტიკულმა არაპროდუქტიულობამ. XX საუკუნის დასაწყისისთვის ცნობიერების კლასიკურმა ფსიქოლოგიამ უაქტობრივად ამოწურა თავისი ევრისტიკული შესაძლებლობები. იგი ფსიქიკურ სინამდვილეში შეღწევას მსოლოდ ინტროსპექტული გზით ცდილობდა. აქ არსებითი მნიშვნელობა არ პქონდა იმას, რომ თვითდაკვირვება ექსპერიმენტულ სიტუაციაში მიმდინარეობდა (სტრუქტურული და ფუნქციონალური ფსიქოლოგია, გრაცის და ვიურცბურგის სკოლა). ამდენად, ბიპევიორიზმის მიერ ინტროსპექტული ფსიქოლოგიის კრიტიკა საესებით სამართლიანი და დროული იყო. ობიექტური მეთოდების დანერგვა და ქცევის კატეგორიის ფსიქოლოგიის ცენტრალურ კატეგორიად გამოცხადებაც, თავისთავად, პროგრესულ ნაბიჯს წარმოადგენდა. მაგრამ ბიპევიორიზმი მეორე უკიდურესობაში გადავარდა. მან საერთოდ მოწყვიტა ერთმანეთს ქცევა და ცნობიერება. ცნობიერების ფსიქოლოგიის მანკიერებათა დაძლევა სრულებითაც არ გულისხმობს ქცევისა და ცნობიერების დაპირისპირებას. სინამდვილეში საჭირო იყო ქცევის ისეთი გააზრება, რომ მასში ცნობიერების ადგილი და ფუნქცია მოძებნილიყო. ახალი ფსიქოლოგიის აშენება მხოლოდ ქცევისა და ცნობიერების (ფსიქიკის) კატეგორიების ურღვევი ერთიანობის საფუძველზე შეიძლებოდა. უოთსონისეულ ბიპევიორიზმს თავისი რადიკალურობის გამო არ შეეძლო და არც უნდოდა ამ მიმართულებით რაიმე პოზიტიური ნაბიჯი გადაედგა. ამ მხრივ უძლური იყო სტრუქტურალიზმიც. ბიპევიორიზმი ქცევას ცნობიერების გარეშე განიხილავდა, სტრუქტურალიზმი – ცნობიერებას ქცევის გარეშე. ამ მიმდინარეობებს შორის შეურიგებელი დაპირისპირება არსებობდა. ამიტომ ბუნებრივია, რომ უოთსონს პირველმა სწორედ სტრუქტურული ფსიქოლოგიის აღიარებულმა ლიდერმა ტიჩენერმა უპასუხა. იგი აღნიშნავდა, რომ მოტორული და ვისცერალური რეაქციები მოვლენთა სხვა რიგს განეკუთნება და არ შედის ფსიქოლოგიის სფეროში. ეს განცხადება იმ თეზისის დასაცავად გაკეთდა, რომლის მიხედვითაც ფსიქოლოგიის ერთადერთ საგანს ცნობიერების მოვლენები შეადგენს. მართალია იგი მიზნად არ ისახავდა ქცევისა და ცნობიერების მიმართების ახლებურ გააზრებას, მაგრამ არსებითად სწორი იყო. რეაქცია, რომელიც მოკლებულია ფსიქიკურ შინაარსს, მართალაც არ წარმოადგენს იმ მოვლენას (ქცევას), რომლითაც ფსიქოლოგია შეიძლება დაინტერესდეს. მოქმედებას ფსიქოლოგიურ ფაქტად სწორედ ეს შინაარსი აქცევს; სხვაგვარად იგი აქტივობის ფიზიოლოგიის ჩარჩოს ვერ გასცდება. უოთსონის მტკიცება, რომ S-R ფორმულით აღწერილი აქტიეობა ფსიქოლოგიის შესწავლის საგანს შეადგენს, სერიოზულ საფუძველს მოკლებულია. გამღიზიანებელზე ყოველგვარი პასუხი (სამოძრაო და სეკრეტორული) შინაგანი, ანუ ფსიქიკური მომენტის გარეშე, სხვა არაფერია, თუ არა *რეფლექსი.* უოთსონი უფსიქიკო ფსიქოლოგიაზე ოცნებობდა, მაგრამ ასეთი მეცნიერების დამკვიდრება ლოგიკურადაც შეუძლებელი იყო და უაქტობრივადაც. დ. უზნაძის შენიშვნისა არ იყოს, ფსიქიკისგან დაცლილი

ბიჰევიორისტული ფსიქოლოგია, ძალაუნებურად, რეფლექსების მოძღვრებად იქცეა.

კლასიკური ბიჰევიორიზმი ოცდაათიანი წლებისთვის წყვეტს თავის არსებობას. მისი ტრანსფორმაციის საფუძველზე იქმნება ნეობიჰევიორისტული შეხედულებები, რომელთა უშუალო გაელენა ფსიქოლოგიაზე დღესაც შესამჩნევია. აქედან გამომდინარე, მართალი იყო უოთსონი, როდესაც ბიჰევიორისტულ მანიფესტში იწინასწარმეტყველა: მიუხედავად ახლადშექმნილი მოძღვრების ხარეეზებისა, ეს "თვალსაბრისი დიდ გაელენას მოახდენს ფსიქოლოგიის იმ ტიპზე, რომელიც მომავალში განვითარდება"; ეს ასეც მოხდა.

## 8.2. ნეობიჰევიორიზმი

უკვე ოციან წლებში, როცა უოთსონისეული ბიჰევიორიზმის პოპულარობა ზენიტს აღწევს, თანდათან შესამჩნევი ხდება მისი შეზღუდულობაც. საქმე ისაა, რომ ორთოდოქსალური ბიჰევიორიზმი S-R ფორმულის იქით არ მიდის; მას იგი საესებით საკმარისად მიაჩნია და საჭიროდ არ თელის მიუთითოს რაიმე ფსიქოლოგიურ ან ფიზიოლოგიურ პროცესებზე, რომლებიც სტიმულსა და რეაქციას შორის მიმდინარეობს. მაგრამ, ფსიქოლოგების მიერ ქცევის შესწავლისას მუდამ იჩენდა თავს შინაგანი, ფსიქიკური ფაქტორები და ბიჰევიორისტები იძულებული იყვნენ გაეთვალისწინებინათ ეს გარემოება. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა ჰანტერის ცდებმა გადავადებულ რეაქციებზე გამოავლინა, რომ ცხოველები უშუალოდ არ რეაგირებენ სტიმულებზე. 1929 წელს რობერტ ეუდეორთმა შემოგვთავაზა ფორმულა S-O-R რითაც პრინციპული ნაბიჯი გადადგა სტიმულსა და რეაქციას შორის მიმართების გამაშუალებელი ჰიპოთეტური კონსტრუქტის შემოსატანად. O (ორგანიზმი) აღნიშნავდა რაღაც უხილავ ფსიქოლოგიური ცელადებს თუ პროცესებს (პირველ რიგში ლტოლვებს). და მაინც, მხოლოდ ე. ტოლმენმა, 1932 წელს, პირველად დაასაბუთა ამ პროცესების ჰიპოთეტური ხასიათი, მათ შუალედური ცელადები უწოდა და შეეცადა დაეხასიათებინა ისინი მკაცრად ობიექტური და ოპერაციული პარამეტრებით. ამ ცელადების თავისებურებები, რაოდენობა, ურთიერთმიმართება და მათი კავშირი სტიმულთან და რეაქციასთან გახდა იმ არაერთგვაროვანი ქცევის მოდელების განმსაზღვრელი ნიშანი, რომელსაც *ნეობიჰევიორისტული მიმდინარეობა* ეწოდა და რომელმაც დიდად განსაზღვრა საბუნებისმეტყველო, ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის სახე 30-60-იან წლებში. ამ მიმდინარეობის ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენლები არიან კ. ჰალი და ე. ტოლმენი. ორივე ფრიად ავტორიტეტული მოაზროვნე იყო და ძლიერ მიმართულებას ედგა სათავეში. მათი შეხედულებები მთელ რიგ პრინციპულ საკითხებში ერთმანეთისაგან განსხვავედებოდა, ისინი ბევრს კამათობდნენ, თუმცა ორივე ყოველთვის ნეობიჰევიორისტული ორიენტაციის ფარგლებში რჩებოდა.

**კლარკ ლეონარდ ჰალი** (1884-1952) თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის პირველ პერიოდში აზროვნების, ნიჭიერების ტესტირებისა და ჰიპნოზის საკითხებს შეისწავლიდა. უკვე ამ გამოკვლევებში იგი ე.წ. *ჰიპოთეტურ-*

*დედუქციური* მეთოდის, ერთგვარ აპრობაციას ახდენს; ეს მეთოდი მისი თეორიული სისტემის საფუძველია. ჰალი ამოდის რამდენიმე ზოგადი ჰიპოთეტური დებულებიდან, რომლებსაც პრინციპებს ან პოსტულატებს უწოდებს. მათი სხვადასხვაგვარი კომბინირებით მიიღება ე.წ. თეორემები ან კერძო დებულებები, რომელთა ექსპერიმენტული შემოწმება შესაძლებელი და აუცილებელია. ის დებულებები, რომლებიც ვერ გაუძლებს ამ შემოწმებას, ახლებით იცვლება. ეს უკანასკნელნი, თავის მხრივ, აგრეთვე გაიელიან ექსპერიმენტულ შემოწმებას. საბოლოოდ იქმნება თეორიული სისტემა, რომელიც პირველადი და მათგან დედუქციურად გამომდინარე მეორადი პრინციპების ერთობლიობას წარმოადგენს, იმის მსგავსად, როგორც ეს ევკლიდეს გეომეტრიაში ან ნიუტონის ფიზიკაშია. ჰალი ცდილობს ამ სისტემის მაქსიმალურ ფორმალიზაციას, დებულებების ზუსტი მათემატიკური ენით გამოხატვას. ფორმალიზაციის თვალსაზრისით, ჰალის სისტემა მართლაც სამაგალითოა ფსიქოლოგიაში.

ამ სისტემის ჩამოყალიბება მან იმის შემდეგ დაიწყო, რაც იელის უნივერსიტეტის კოლეგით ჯგუფს ჩაუდგა სათავეში (1930-1950). აქ ჰალი დიდი გავლენით სარგებლობდა. მის მოწაფეთა, თანამშრომელთა და მიმდევართა შორის იყვნენ გამოჩენილი მეცნიერები – ჯ. ბრაუნი, ჯ. დოლარდი, ნ. მილერი, ჰ. მაურერი, რ. სირსი, კ. სპენსი, კ. ჰოვლენდი და სხვები, ვინც ეპოქა შექმნა ამერიკულ ფსიქოლოგიაში. ჰალის კონცეფციის პირველი ვარიანტი მოცემულია წიგნში "ქცევის პრინციპები" (1943), საბოლოო ვარიანტი კი ასახულია შრომაში "ქცევის სისტემა" (1952), რომელიც მოიცავს 17 პოსტულატს და 133 თეორემას.

როგორც ნამდვილი ნეობიჰევიორისტი, ჰალი ცდილობს გამოაელინოს და შეისწავლოს ის შუალედური ცვლადები, რომლებიც სტიმულსა და რეაქციას შორის არის მოთავსებული. ასეთებია, პირველ რიგში, *ჩვევა* (sHR) და მოთხოვნილება, იგივე ლტოლვა ან *დრაივი* (D). ჩვევის ცნება, ჰალის მიხედვით, გამოხატავს მოტორული და აფექტური პროცესების დაკავშირების გზით შექმნილ ნერვული სისტემის რეალურ მდგომარეობას; ის ელინდება ქცევაში, როგორც ტენდენცია, ანუ სტიმულზე საპასუხო რეაქციის აღმოცენების ალბათობა. რაც უფრო ძლერია ჩვევა, მით უფრო დიდია ეს ალბათობა და პირიქით. დეტალურად არის დახასიათებული ჩვევის შემუშავების ანუ, რაც იგივეა, *დასწავლის პროცესი*. ამ პროცესში უმთავრეს როლს მოტივაციური ფაქტორი ასრულებს. ეს გულისხმობს აქტუალური მოთხოვნილების, დრაივის არსებობას და მის *რედუქციას* (შესუსტებას) სათანადო მოქმედების გზით. ყოველივე ამას *განმტკიცება* ეწოდება. ჰალი განმტკიცების მოქმედებას შემდეგნაირად ახასიათებს: თუ რეაქცია სტიმულზე ასოცირდება მოთხოვნილების დაქვეითებასთან, მატულობს ამ სტიმულის ტენდენცია, გამოიწვიოს მოცემული რეაქცია მომდევნო სიტუაციებში. ასეთი მატებანი ჯამდება და გვაძ-

ლევს ჩვევის საერთო ძალას (sHR), რომელიც წარმოადგენს განმტკიცებათა რიცხვის უბრალო ზრდად ფუნქციას.

მაშასადამე, სტიმულ-რეაქციული კავშირის (sHR) სიმტკიცე მთლიანად დამოკიდებულია განმტკიცების სიხშირეზე. განმტკიცება დასწავლის ძირითადი მექანიზმია. ეს მექანიზმი ლტოლვის შემცირებას, დრაივის რედუქციას გულისხმობს. მაგრამ რას ნიშნავს ეს? ცხადია, რომ აქ არ იგულისხმება მოთხოვნილებით მიღებული სიამოვნების ეფექტი, რომელსაც თორნდაიკმა "ეფექტის კანონი" უწოდა. ობიექტივისტი პალისთვის განმტკიცების ამგვარი მენტალისტურ-ჰედონისტური დახასიათება სრულიად მიუღებელია. იგი მხოლოდ დაკვირვებად და გაზომვად ცვლადებზე ლაპარაკობს. დრაივი არის მდგომარეობა, რომელიც ჰომეოსტაზის დარღვევით წარმოიქმნება და ობიექტური მონაცემებით იზომება, ისეთებით, როგორიცაა დეპრივაციის დრო, სისხლში ქიმიური ნივთიერებების კონცენტრაცია, ამა თუ იმ ინექციის დოზა და ა.შ. მაშასადამე, დრაივის რედუქცია ფიზიოლოგიური წონასწორობის, *ჰომეოსტაზის აღდგენას ან დისბალანსის შემცირებას* ნიშნავს.

პალის თანახმად, არსებობს რამდენიმე *პირველადი დრაივი*, რომელთა დაკმაყოფილების გარეშე ორგანიზმის სიცოცხლის შენარჩუნება შუძლებელია (შიმშილის, წყურვილის, სქესობრივი, ტკივილის გამოყოფის და სხვა). ობიექტებს ან მოვლენებს, რომლებიც მათ რედუქციას ახდენენ (საკვები, სითხე, სექსუალური აქტივობა, მავნე ვითარებისგან განრიდება და ა. შ.) *განმამტკიცებლები* ეწოდება. ორგანიზმის ყოველგვარი აქტივობა, მხოლოდ ამა თუ იმ დრაივის რედუქციას ემსახურება. დრაივ-თეორიაში პირველად დრაივებად მიჩნეულია რამდენიმე ბიოლოგიური მოთხოვნილება. ასევე, გამოთქმულია დებულება, რომ ცხოვრების პროცესში გარემოს სხვადასხვა ნეიტრალური ობიექტების (სტიმულების) პირველად დრაივებთან დაკავშირების გზით წარმოიქმნება ე.წ. *მეორადი, ანუ დასწავლილი დრაივები* და შესაბამისი მეორადი განმამტკიცებლები. ამასთან, იმ ობიექტების როლში, რომელთა დანაკლისსაც მეორადი დრაივები ასახავს, შეიძლება გამოდიოდეს, როგორც ბუნებრივი სტიმულები, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებასთან დაკავშირებული საგნები და მოვლენები. ადამიანისთვის ტიპური სოციალური მოტივები, ამ თეორიით, გაგებულია როგორც სასიცოცხლო მოთხოვნილებებიდან ნაწარმოები მეორადი დრაივების სახე. საზოგადოდ კი ნაგულისხმევია რომ თუ რაიმე აქტივობა არ ემსახურება პირველადი დრაივის რედუქციას, ის მეორადი დრაივით არის მოტივირებული. ამასთან, როგორც პირველადი, ისე მეორადი დრაივის რედუქცია, როგორც დასწავლის მექანიზმი, აძლიერებს და ამტკიცებს სათანადო აქტივობას.

მოტივაცია კიდევ ერთ ფუნქციას ასრულებს. ის აუცილებელია სტიმულსა და რეაქციას შორის შექმნილი კავშირის გამოსავლენად და ასამოქმედებლად ანუ, დასწავლის თეორიის ტერმინით რომ ვთქვათ, მოტივაცია *შესრულების* პირობაა. ცხადია, ორგანიზმს შეიძლება ჰქონდეს ძლიერი ჩვევა, მაგრამ არ გამოავლინოს იგი. შესრულება, ერთი მხრივ, დეტერმინირებულია იმით, თუ რა და როგორ აქვს დასწავლილი ორგანიზმს და, მეორე მხრივ, მისი მოტივაციური სფეროს ამჟამინდელი მდგომარეობით. ამასთან,

ვერც ცალკე ჩვეევა, ვერც დრაივი ვერ გამოიწვევეს საჭირო ქცევას; ამისთვის მათი გაერთიანებული მოქმედებაა საჭირო. ქცევაში ამ ფაქტორების თანამონაწილეობის ასახსნელად ჰალს შემოაქვს კიდევ ერთი შუალედური ცელადი, რომელსაც *რეაქციის პოტენციალი* ეწოდება და რომელიც ჩვევისა და დრაივის ფუნქციას წარმოადგენს: $sE_R = F(sH_R \times D)$.

იმისთვის, რომ ზუსტად გაირკვეს კონკრეტული ქცევის დაწყებისა და განსორციელების პირობები, არც ამ მონაცემების ცოდნაა საკმარისი. საქმე ის არის, რომ რეაქციის პოტენციალზე კიდევ მოქმედებს ერთი ძალა, შუალედური ცელადი – *შეკავება*. რაქციის შესრულება ანტაგონისტურ ზემოქმედებას ახდენს ამ რეაქციის აღძერის პოტენციალზე. შესრულების პროცესში წარმოიქმნება შეკავება, რაც, თავის მხრივ, დაღლილობასთან დაკავშირებული პროცესებითაა გამოწვეული. *შეკავების პოტენციალი* ($J_R$) იზრდება შესრულებული სამუშაოს მოცულობასთან, რეაქციის გამეორების რაოდენობასთან ერთად და პირიქით, დასვენებასთან ერთად ის მცირდება. *რეაქციის ეფექტური პოტენციალის* საბოლოო ფორმულა ასე გამოიყურება: $sE_R = sE_R - J_R$.

ჰალის კონცეფცია ყოველმხრივი განხილვის საგანი გახდა. მაგალითად, ამერიკელ მეცნიერთა შორის მწვავე დისკუსია გაიმართა ჰალის იმ მოსაზრებების გარშემო, რომლებიც მან გამოთქვა განმტკიცების მექანიზმის შესახებ. როგორც ვიცით, ჰალისთვის ეს მექანიზმი დრაივის რედუქციას გულისხმობს და მკაფიოდ ანტიპედონისტური ხასიათისაა. მკვლევართა ნაწილს, რომლებისთვისაც განმტკიცების გაგების პედონისტური ვერსია (ეფექტის კანონი) უფრო სარწმუნო იყო (მაგ., პაულ თომას იანგი) ამტკიცებდნენ, რომ დრაივის რედუქცია, როგორც მოთხოვნილების დაკმაყოფილების ფაქტი, დაკავშირებულია სიამოვნების მიღებასთან და სწორედ ამის გამო ხდება იგი ახალი ჩვევის განმტკიცების საფუძველი. ამ დებულებას ექსპერიმენტული საბუთი მოეპოვება. გამოირკვა, რომ მშიერ ცხოველს შეიძლება დაასწავლო ლაბირინთიდან გამოსვლა მაშინაც კი, როდესაც განამტკიცებელ აგენტად საქარინიანი წყალი გამოიყენება. ასეთ სითხეს არა აქვს კვებითი ღირებულება, ამიტომ მას არ შეუძლია დრაივის რედუქცია გამოიწვიოს, შეამციროს შიმშილის მოთხოვნილება. უფრო მეტიც, ეს სითხე მაშინაც იწვევს განმტკიცებას, როდესაც გარეთ ფისტულის საშუალებით გამოიყვანება და კუჭს საერთოდ ვერ აღწევს. იანგი ამ ეფექტებს მხოლოდ სიტკბოს მიერ გამოწვეულ სიამოვნებას მიაწერს.

ჰალის დებულება, რომ დრაივის რედუქცია დასწავლის ერთადერთი მექანიზმია, სხვა ასპექტითაც გახდა სადავო. ასე მაგალითად, გამოირკვა, რომ დასწავლა მაშინაც ხორციელდება, როდესაც ფისტულის გამოყენების გზით საკვები ან წყალი არ აღწევს კუჭს, ან როდესაც კოპულაციას არ მოყვება ეაკულაცია. ამ ფაქტებს შეფილდი ე.წ. *დამამთავრებელი პასუხის თეორიით* ხსნის. დამამთავრებელი პასუხის ცნება შემოტანილია ეთოლოგების მიერ და აღნიშნავს იმ საბოლოო აქტს, რომელიც აგვირგვინებს, ასრულებს რაიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული აქტების წყებას. შიმშილის ან წყურვილის შემთხვევაში ეს არის ჭამა ან დალევა; სქესობრივი მოთხოვნილების შემთხვევაში – კოპულაცია და ა.შ. ჰალის ზოგიერთი

ოპონენტი ფიქრობს, რომ განმტკიცების ფუნქციას დასწავლის პროცესში ასრულებს დამამთავრებელი პასუხი და არა დრაივ-მდგომარეობის რედუქცია. ამ თვალსაზრისის უარსაყოფად პალმა და მისმა თანამშრომლებმა ჩაატარეს სპეციალური ცდები: მათ საკვები შეჰყავდათ მშიერი ცხოველების კუჭში ან სისხლში უშუალოდ, ე.ი. მოთხოვნილების დაკმაყოფილება ხდებოდა გამოელენილი დამამთავრებელი პასუხის გარეშე. გამოირკვა, რომ დასწავლა ასეთ შემთხვევაშიც ხორციელდება, რაც დრაივ-რედუქციის მოდელის სასარგებლოდ მეტყველებს. სამაგიეროდ, საწინააღმდეგოს ამტკიცებს ე.წ. ნაწილობრივი განმტკიცების ექსპერიმენტებში მიღებული ფაქტები; გამოირკვა, რომ, რიგ შემთხვევებში, დასწავლის ეფექტი იზრდება, თუ განმტკიცება თან ახლავს არა ყველა სწორ რეაქციას, არამედ მხოლოდ მათ გარკვეულ ნაწილს. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ კვლევა და მსჯელობა დრაივ-რედუქციის მექანიზმების გარშემო დასწავლის ფსიქოლოგიის ფარგლებში ამოწურულად ვერ ჩაითვლება.

პალის მთავარი ოპონენტი მაინც ტოლმენი იყო. ისინი ერთმანეთს დასწავლის თეორიის ორ ფუნდამენტურ საკითხში დაუპირისპირდნენ. პირველი დასწავლის ფსიქოლოგიური არსის დადგენას ეხება, რისთვისაც საჭიროა გაირკვეს, თუ რა ახალი კავშირები იქმნება დასწავლის პროცესში და, საერთოდ, რა ფორმით შეინახება გამოცდილება. მეორე საკითხი დასწავლის პროცესს ეხება. აქ მთავარია გავიგოთ, თუ რა პირობებია საჭირო დასწავლის ეფექტის მისაღწევად. პალს მიაჩნდა, რომ დასწავლა ნიშნავს S-R კონექციების (კავშირების) შექმნას დრაივ-რედუქციის საშუალებით, ხოლო ტოლმენი თვლიდა, რომ ამ შემთხვევაში წარმოიქმნება S1-S2 სტრუქტურები რედუქციის მოტივაციური მექანიზმის გარეშე.

**ედვარდ ჩეიზ ტოლმენმა** (1886-1959) უმაღლესი განათლება თავდაპირველად ფიზიკა-მათემატიკის განხრით მიიღო. ამის შემდეგ დაინტერესდა ფსიქოლოგიით; სწავლობდა ჰარვარდში, სადაც მას მიენიჭა დოქტორის წოდება ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დარგში. მანამდე იგი ერთ ხანს ეუფლებოდა ფსიქოლოგიას გერმანიაში, კოფკას ხემძღვანელობით. ალბათ აქედან მომდინარეობს მის მიერ ტრადიციული ფსიქოლოგიის ცნებების მიმღებლობა და ის გახსნილობა, რომელსაც იგი იჩენდა მისი თანამედროვე ევროპული მიმდინარეობების, განსაკუთრებით, გეშტალტფსიქოლოგიისა და ფსიქოანალიზის მიმართ. ამავე დროს, ტოლმენი ყოველთვის რჩებოდა ბიჰევიორისტული მრწამსის პრინციპულ დამცველად. 1918 წლიდან მისი სახელი უკავშირდება ბერკლის (კალიფორნიის) უნივერსიტეტს, სადაც უდიდესი აღიარება მოიპოვა. ეკავა ხელმძღვანელი პოსტები აშშ-ს რიგ სამეცნიერო საზოგადოებებში, იყო ნაციონალური აკადემიის წევრი.

ცნობილია, რომ უოთსონისეულ ბიჰევიორიზმს თავი მოჰქონდა ანტიფილოსოფიური პოზიციით. ტოლმენის შეხედულებას, ისევე როგორც მთელ

ნეობიპევიორიზმს, *ოპერაციონიზმის* სახით ნათლად გამოკვეთილი ფილოსოფიური საფუძველი გააჩნია. ოპერაციონიზმის იდეები, რომელიც თავისი ბუნებით ლოგიკური პოზიტივიზმისა და პრაგმატიზმის ერთგვარ სინთეზს წარმოადგენს, პირველად 1927 წელს გამოთქვა ფიზიკოსმა ბრიჯმენმა ამ მეცნიერების ცნებათა ობიექტურობისა და "მეცნიერულობის" დასადგენად. ოპერაციონიზმის დასრულებულ ფილოსოფიურ სისტემად ჩამოყალიბების საქმეში დიდი წელილი შეიტანეს როგორც ვენის წრის ფილოსოფოსებმა, ისე ნეობიპევიორისტმა ფსიქოლოგებმა. ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი, რომელიც ოპერაციონიზმის ფილოსოფიური თეორიის დამუშავებას განაპირობებდა, ბიპევიორისტული უსიქოლოგიის პრინციპების დასაბუთების სურვილი იყო.

ოპერაციონიზმის მიხედვით, ყოველგვარი მეცნიერული ცნების შინაარსს შეადგენენ არა საგნისა თუ მოვლენის თვისებები, არამედ დაკვირვებადი ოპერაციების (მოქმედებების) სისტემა, რომლითაც ეს ცნება დგინდება. ბრიჯმენი ნათელყოფს ამ დებულებას ფიზიკის ცნებების, სახელდობრ, სიგრძის ცნების მაგალითზე, რომელიც მთლიანად დაიყვანება სიგრძის გაზომვის კონკრეტული ოპერაციების ჯამზე. იგივე ითქმის სხვა ცნებებზეც: სიჩქარე, მასა და ა.შ. თუ ცნება ოპერაციულ კრიტერიუმს ვერ აკმაყოფილებს, ის მეცნიერულ აზრს მოკლებული ხდება. ასეა, მაგალითად, სივრცის უსასრულობის ცნების შემთხვევაში, რომლის შინაარსის დადგენა უსასრულო რაოდენობის ოპერაციების შესრულებას მოითხოვს. იგივე ითქმის ფსიქოლოგიური ცნებების მიმართაც. მათი შინაარსი შესაძლებელია და საჭიროა გამოიხატოს დაკვირვებადი ოპერაციების ტერმინებში, რომელთაც მიმართავს ცდისპირი თუ ექსპერიმენტატორი. ასეთი მიდგომის შემთხვევაში ფსიქოლოგიური ცნებები, რომლებიც თავისი სუბიექტურობის გამო ნაკლებად ექვემდებარება ობიექტურ და ე.ი. მეცნიერულ დახასიათებას, თითქოს ნახულობს თავისი დადგენის ემპირიულად სანდო გზას. საბოლოო ჯამში, ოპერაციონიზმი სწორედ ცნებათა მეცნიერულობის კრიტერიუმების დადგენას ცდილობს. ამიტომ, სავსებით გასაგებია, რომ ისეთ ობიექტივისტურად ორიენტირებულ ფსიქოლოგიას, როგორიც ბიპევიორიზმი იყო, ოპერაციონისტური მეთოდოლოგია ზედმიწევნით ზუსტად მოერგო.

ტოლმენი ამ მეთოდოლოგიას, პირველ რიგში, *შუალედური ცვლადების* შესწავლის ამოცანასთან დაკავშირებით მიმართავს. ამ ცვლადებთან ერთად, რომელთა შემოტანითაც ტოლმენმა მნიშვნელოვნად გაამდიდრა ფსიქოლოგიის ცნებითი აპარატი, გამოიყოფა ე.წ. *დამოუკიდებელი და დამოკიდებული ცვლადები.* დამოუკიდებელ ცვლადებად მიჩნეულია: გარემოს სტიმულები, ორგანიზმული ლტოლვა ანუ დარღვეული წონასწორობის საწყისი ფიზიოლოგიური მდგომარეობა, მემკვიდრეობა, გამოცდილება ანუ ძველი ვარჯიში და ასაკი. ეს ფაქტორები საწყისი მიზეზების სახით განსაზღვრავს ქცევას, ანუ დამოკიდებულ ცვლადს, მაგრამ ამას უშუალოდ, პირდაპირ კი არ აკეთებს, არამედ შუალედურ ცვლადებზე მოქმედების გზით.

თავის მთავარ ამოცანად ტოლმენი იმის ემპირიულ კვლევას მიიჩნევდა, თუ როგორ მიმდინარეობს შუალედური ცვლადების აღმოცენება-ფორმირება და, შემდგომ, მათი ჩართვა-რეალიზაცია ქცევის დეტერმინაციაში.

ამ შუალედურ ცვლადებს მოტივაციური და შემეცნებითი რიგის მოვლენები შეადგენს. მათ აღსანიშნავად ტოლმენი მიმართავს ტრადიციული ფსიქოლოგიის ცნებებს, ასეთებია: მიზანი, მოთხოვნილება, ლტოლვა, მზაობა, განზრახვა, მოლოდინი, გეშტალტი და სხვა. ეს არ ნიშნავს, რომ ტოლმენი ცნობიერების ფსიქოლოგიის ცნებებით ოპერირებს. პირიქით, როგორც ნამდვილი ბიჰევიორისტი, იგი მთლიანად გამორიცხავს ცნობიერების, ინტროსპექციის მონაცემებს. შუალედურ ცვლადებში შემავალი ფენომენებისა და პროცესების დახასიათება ხდება წმინდა ობიექტური მონაცემებით, ოპერაციულად, იმ რეგისტრირებული ცვლილებების საშუალებით, რომლებსაც ისინი იწვევენ კონტროლირებად დამოუკიდებელ ცვლადებსა და ქცევაში. საბოლოო ჯამში, ყველაფერი დაიყვანება ემპირიულად განხორციელებულ კონკრეტულ რეაქციებზე და ოპერაციებზე, რასაც ცდის სიტუაციაში ახორციელებს ცხოველი და მკვლევარი. შუალედური ცვლადის კლასიკური მაგალითია შიმშილი, რომელსაც, როგორც შინაგან მდგომარეობას, ცდისპირში პირდაპირ ვერ დააკვირდები ვერც ადამიანში და ვერც ცხოველში. მიუხედავად ამისა, შიმშილი შეიძლება სავსებით ობიექტურად და ზუსტად დავუკავშიროთ ექსპერიმენტულ ცვლადებს, მაგალითად დროის სანგრძლიობას, რომლის განმავლობაში ორგანიზმი მოკლებული იყო საკვებს, ან დამოკიდებელი ცვლადის, ქცევის მახასიათებლებს – ვთქვათ, შეჭმული საკვების რაოდენობას ან მისი შთანთქვის სიჩქარეს. ამრიგად, არადაკვირვებადი უაქტორი (ამ შემთხვევაში შიმშილი) ზუსტ ემპირიულ შეფასებას ექვემდებარება და ამით ხელმისაწვდომი ხდება გაზომვებისა და ექსპერიმენტული მანიპულაციებისთვის.

როგორც ვხედავთ, ტოლმენის ფსიქოლოგიური შეხედულება სავსებით იმსახურებს თავის ერთ-ერთ სახელწოდებას – *ოპერაციული ბიჰევიორიზმი*. ამავე დროს, ეს სახელწოდება არ არის ერთადერთი, მას აგრეთვე მოიხსენიებენ, როგორც *მოლარულ ბიჰევიორიზმს, მიზნობრივ ბიჰევიორიზმს* და *შემეცნებით ანუ კოგნიტურ ბიჰევიორიზმს*. უნდა ითქვას, რომ ყველა მათგანი სამართლიანია, რადგან სამივე ნაწარმოებია ტოლმენის მიერ გამოყოფილი ქცევის აღწერითი მახასიათებლებიდან. იგი ერთმანეთს უპირისპირებს ქცევის ორგვარ დახასიათებას: *მოლეკულარულს და მოლარულს*. პირველს მიმართავდა უოთსონი მარტივი S-R კავშირების ანალიზისას; ამ კავშირის საფუძველზე აშენებული აქტიურობა მთლიანად აღიწერება ფიზიკურ და ფიზიოლოგიურ ტერმინებში, ანუ დაიყვანება იმ პროცესებზე, რომლებიც რეცეპტორებში, გამტარ გზებში და ეფექტორებში მიმდინარეობს. ტოლმენის სამართლიანი შენიშვნით, ასეთი მოლეკულარული მიდგომით ქცევის რამდენადმე მართებული გაგება შეუძლებელია. მისი აზრით, ყოველგვარი ქცევა მართლაც შეიცავს მოლეკულარულ სეგმენტებს, ანუ ფიზიოლოგიურ კომპონენტებს, მაგრამ იგი არ წარმოადგენს მათ მექანიკურ ჯამს, არ დაიყვანება მათზე; ქცევა ახალი თვისობრიობაა, მას საკუთარი აღწერითი მახასიათებლები და ნიშნები აქვს. ტოლმენს მოჰყავს მოლარული ქცევის მაგალითები: ვირთხა დარბის ლაბირინთში, კატა გამოდის ექსპერიმენტული გალიიდან, ადამიანი მიემართება სახლში სასადილოდ, ქალი ლაპარაკობს ტელეფონზე, მოსწავლე ავსებს ფსიქოლოგიურ ტესტს და ა.შ. მნიშვნელოვანი განსხვავე-

ბების მიუხედავად, მათ აერთიანებთ ის არსებითი გარემოება, რომ მოლარული ქცევა წარმოადგენს მთლიანი ორგანიზმის ერთიან შეგუებით აქტიეობას და არა იზოლირებული სენსო-მოტორული პასუხების რიგს.

მოლარულ ქცევას სამი ძირითადი აღწერითი ნიშანი აქვს. 1) *მიზნობრიობა ან მიზანმიმართულობა.* აქ არ იგულისხმება მიზანი, როგორც ცნობიერების ფენომენი. ქცევა ობიექტურად არის მიმართული რაიმე რეზულტატზე, მიზანზე, მიუხედავად იმისა, გაცნობიერებულია ის თუ არა. ამიტომ, მიზანმიმართულობა ერთნაირად ახასიათებს ცხოველისა და ადამიანის ქცევას; ამ დებულებას მთლიანად ადასტურებს ტოლმენის საეტაპო შრომის სათაური: "მიზნობრივი ქცევა ცხოველებთან და ადამიანთან". 2) მიზნის მისაღწევად გამოყენებულ ობიექტებთან მოპყრობის გარკვეული სურათი. როცა ადამიანი სამსახურიდან სახლში ბრუნდება, მისი ქცევა ხასიათდება არა მხოლოდ საბანაოლო მიზნით, არამედ იმ ობიექტებთან სპეციფიკური მოპყრობის წესით, რომლებიც ქცევის განხორციელების *საშუალებებს* წარმოადგენენ (გზა, ტრანსპორტი და ა.შ.). არსებითად, აქ ლაპარაკია იმაზე, თუ რა კონკრეტული მოქმედებების გამოყენებით სრულდება ქცევა. 3) *სელექტიურობა* საშუალებებად გამოყენებული ობიექტების მიმართ. ამაში ვლინდება ორგანიზმის მზაობა არჩეულ იქნეს ის საშუალებები, რომლებსაც მიზნამდე უმოკლესი გზით მიეყავართ. ერთი სიტყვით, ცხოველისა თუ ადამიანის ქცევაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ იგი მიმართულია მიზანზე, ხორციელდება გარკვეული საშუალებების გამოყენებით და, რომ მიზნისა და საშუალებების მიმართებას გარკვეული სტრუქტურა აქვს. ეს სტრუქტურა პლასტიურია; ამოცანისა და ვითარებების გათვალისწინებით, ინდივიდს საშუალება აქვს, აირჩიოს და ქცევაში ჩართოს სხვადასხვა სენსორული და მოტორული სისტემები. ამაში მეღავნდება ქცევის გონიერება, "გამგებიანობა" ან, უფრო ზუსტად, მისი *შემეცნებითი, კოგნიტური ბუნება.* მაშასადამე, "ქცევა, რომელიც განიხილება როგორც მოლარული, არის მიზნობრივი და კოგნიტური. მიზნები და შემეცნებითი მომენტები შეადგენს მის უშუალო საფუძველს და ქსოვილს".

ყოველივე ეს ადასტურებს, რომ ტოლმენის თეორიის ყველა სახელწოდება, რომელიც დაკავშირებულია ქცევის მოლარულობასთან, მიზნობრიობასთან და კოგნიტურობასთან, კანონიერია. ისიც კანონზომიერია, რომ ყველაზე ხშირად ტოლმენის კონცეფციას კოგნიტურ ბიჰევიორიზმს უწოდებენ. საქმე ისაა, რომ ქცევის შემეცნებითი ხასიათი თეორიაში ვლინდება არა მხოლოდ მოვლენის (ქცევის) აღწერის, არამედ ახსნის დროსაც. ეს განსაკუთრებით იჩენს თავს დასწავლის მექანიზმების დახასიათებისას. ყველა ბიჰევიორისტის მსგავსად, ტოლმენისთვისაც დასწავლის საკითხი ქცევის ფსიქოლოგიის ცენტრალური საკითხია.

ტოლმენის მიხედვით, დასწავლის არსი მდგომარეობს არა S-R კავშირის შექმნასა და გაძლიერებაში, არამედ გარკვეული პერცეპტულ-კოგნიტური სტრუქტურების ჩამოყალიბებაში, რომლებიც შუალედურ ცვლადებს წარმოადგენენ. აქ, ფაქტობრივად, ლაპარაკია *ცოდნაზე,* სიტუაციაში გარკვეულ *ორიენტირებულობაზე.* ეს ცოდნა მოცემულია *მოლოდინების* სახით, რომლებიც აშუალებენ მიზნისა და საშუალებების ურთიერთმიმართებას.

კოგნიტური სტრუქტურის (სხვანაირად გეშტალტის) ჩამოყალიბება ნიშნავს იმდაგვარი მოლოდინის წარმოქმნას, როცა მოცემულ სტიმულზე (S1) გარკვეული მოქმედებით (R1), პასუხის შემთხვევაში გაჩნდება სხვა სტიმული (S2)[1]. კოგნიტური სტრუქტურის ფორმულა ასე გამოიყურება (S1-R1-S2). ამგვარი სტრუქტურები ერთიანდება რთულ სისტემებში, რომლებსაც ტოლმენი *კოგნიტურ რუქებს* უწოდებს. "სწორედ ეს რუქა მიუთითებს ქცევის გზებსა (მარშრუტებსა) და მიმართულებებზე, გარემოს ელემენტების ურთიერთკავშირებზე და, საბოლოო ჯამში, ზუსტად განსაზღვრავს, როგორ საპასუხო რეაქციას განახორციელებს ცხოველი, თუ კი ასეთი საერთოდ არსებობს". ასე მაგალითად, ლაბირინთიდან გამოსვლისას ცხოველი სამოძრაო ჩვევათა ერთობლიობას კი არ იძენს (როგორც ჰალი ფიქრობს), არამედ ლაბირინთის მარშრუტის ცოდნას, გზის კოგნიტურ რუქას. ეს რუქა, ფაქტობრივად, ლაბირინთის ასახვა, *რეპრეზენტაციაა*. მასში, ტოლმენის თქმით, მოცემულია ორიენტაცია სათანადო სტიმულებსა და რეაქციებს შორის არსებულ მიმართებებში: ამ კედლის დანახვისას უნდა გაკეთდეს გარკვეული მოძრაობა (მარჯვნივ გახვევა), რის შემდეგაც გამოჩნდება ახალი სტიმული, რომელზეც სხვაგვარი პასუხი იქნება საჭირო და ასე შემდეგ, მიზნამდე. იქმნება სიგნალთა გამოჩენის მოლოდინების ერთგვარი რიგი. თუ მოლოდინი არ გამართლდება, ქცევა შეიცვლება, თუ გამართლდება, პირიქით, *განმტკიცდება*. მაშასადამე, კოგნიტური რუქების ფორმირების პროცესი მოლოდინების გამართლებისა და არა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გზით ხორციელდება. ტოლმენის აზრით, შემეცნებითი სტრუქტურის წარმოქმნისთვის საჭიროა არსებობდეს გეშტალტის შექმნის ობიექტური პირობები – შინაგანი კუთვნილება, მეზობლობა დროსა და სივრცეში და სხვა (აქ გამოჩნდა გეშტალტფსიქოლოგიის პირდაპირი გავლენა) და მოტივაცია. ეს უკანასკნელი აუცილებელია: 1) რათა ცოცხალი არსება დასწავლის პროცესში აქტიური იყოს და 2) რომ ის, რაც დასწავლილია, გამოვლინდეს. მიუხედავად ამისა, ჰალისაგან განსხვავებით, ტოლმენი უარყოფს დასწავლის პროცესში დრაივის რედუქციის, მოთხოვნილების დაკმაყოფილების აუცილებლობას.

ეს მოსაზრება გარკვეულ ფაქტებს ეყრდნობა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი, უდავოდ, ე.წ. ლატენტური დასწავლის ექსპერიმენტია. ის შემდეგში მდგომარეობს: ლაბირინთში მოთავსებული ვირთაგვების ერთი ჯგუფი ყოველთვის იღებს საჭმელს, ხოლო მეორე ჯგუფის ცხოველთა ქცევის განმტკიცება მხოლოდ რამდენიმე დღის მერე იწყება. მიუხედავად ამისა, მათი დასწავლის ეფექტურობის საბოლოო მაჩვენებლები თითქმის არ განსხვავდება პირველი ჯგუფის ცხოველების მონაცემებისაგან, ე.ი. მათი დასწავლა ბევრად უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე ეს უნდა მომხდარიყო, თუ ლაბირინთი სრულიად უცხო იქნებოდა მათთვის. სავარაუდოა, რომ იმ დღეების განმავლობაში, როცა ცხოველების ქცევა არ მტკიცდებოდა, ისინი მაინც იძენდნენ ლაბირინთში სწორი მოქმედების გამოცდილებას, სწავლობდ-

[1] ჩემი ძაღლი, ამბობდა ტოლმენი, ავტომანქანის საყვირის გაგონებაზე გზაზე გამოდის და ჩემი მანქანის გამოჩენას ელოდება.

ნენ გზას და იყენებდნენ ამ ცოდნას მაშინვე, როგორც კი ამის საჭიროება გაჩნდებოდა, ანუ როდესაც სწორ მოქმედებას განმტკიცება მოჰყვებოდა. ამ ექსპერიმენტებით თითქოს მტკიცდება, რომ დასწავლისთვის მოთხოვნილების დაკმაყოფილება აუცილებელი არ არის. თუმცა არსებობს ამ ცდების სხვაგვარი გააზრებაც, რომლის მიხედვითაც მოცემულ ცდებში მაინც ხდება გარკვეული სახის დრაივის, კერძოდ გამოკვლევის (ცნობისმოყვარეობა) მოთხოვნილების დაკმაყოფილება და, მაშასადამე, განმტკიცება.

ასეა თუ ისე, ტოლმენი თვლიდა, რომ აღნიშნული ექსპერიმენტები მხოლოდ იმას კი არ ამტკიცებს, რომ დასწავლა დრაივის რედუქციის გარეშეც ხორციელდება, არამედ ნაწილობრივ იმასაც, რომ დასწავლისას სწორედ კოგნიტური სტრუქტურები და არა S-R კავშირები იქმნება; ცხოველები ლაბირინთში ორიენტაციას სწავლობენ. ტოლმენს ამ თეზისის გასამტკიცებლად პირდაპირი საბუთიც გააჩნდა. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი კლასიკური ექსპერიმენტები ჯერისებრი ლაბირინთის გამოყენებით. ტოლმენის აზრით, იგივე ითქმის იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც კარგად იცნობენ ქალაქს ან მიდამოს; მათ შეუძლიათ მივიდნენ ერთი წერტილიდან მეორეში სხვადასხვა გზით და მარშრუტით, რადგან აქვთ არემარის კოგნიტური რუქა. არსებითად იგივეს ადასტურებს ექსპერიმენტები, სადაც ცხოველები სწავლობენ ლაბირინთიდან გამოსვლას სირბილით, შემდეგ კი იძულებული ხდებიან ლაბირინთიდან ცურვით (ე.ი. სრულიად სხვა მოძრაობების, რეაქციების გამოყენებით) გამოაღწიონ, რასაც წარმატებით ართმევენ თავს. გარდა ამისა, ნეიროფსიქოლოგიურ ცდებში ხდება სამოძრაო სისტემის სერიოზული დარღვევა, მაგრამ ცხოველის უნარი მონახოს სწორი მიმართულება და უშეცდომოდ მიაღწიოს მიზანს, არ იცვლება.

ტოლმენის შეხედულება დასწავლაზე და ქცევასთან მის მიმართებაზე თითქოს უფრო პროგრესულად გამოიყურება. მართლაც, ჰალისგან განსხვავებით, მან აჩვენა, რომ ცოცხალი არსებები უბრალოდ კი არ რეაგირებენ გარემოცვაზე, ისინი ეცნობიან მას და თავის ქცევაში, მიმდინარე სტიმულებთან ერთად, იყენებენ გამოცდილებაში დაცულ გარემოს რეპრეზენტაციებს. ამავე დროს, ტოლმენის კონცეფციაში სერიოზულ სირთულეს ქმნის ჰომუნკულუსის პრობლემა; იგი არაპირდაპირი ფორმით გულისხმობს რეალური ვირთხის თავში პატარა ვირთხის არსებობას, რომელიც კითხულობს კოგნიტურ რუქებს და ირჩევს ქცევის მიმართულებას. ჰალის მიმდევრებმა ეს სირთულე შეუმჩნეველი არ დატოვეს. და მაინც, მოლარული ქცევის არსებითი ნიშნების დახასიათებით, დასწავლის მექანიზმების ექსპერიმენტულ-თეორიული კვლევით და, რაც მთავარია, შუალედური ცვლადების იდეის შემოტანით, ტოლმენმა უდაოდ, დიდი როლი ითამაშა ქცევის ფსიქოლოგიური შესწავლის საქმეში.

ნეობიჰევიორიზმის (პირველ რიგში, ჰალის) იდეების გადმოტანა პიროვნების ფსიქოლოგიის სფეროშიც სცადეს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია **ჯონ დოლარდის** (1900-1980) **და ნილ მილერის** (1909) კლასიკური შრომა "პიროვნება და ფსიქოთერაპია" (1950). ავტორებს სურთ ხიდის გადება ბიჰევიორიზმსა და ფსიქოანალიზს შორის. ფსიქოანალიზის ბევრი ცნება (განდევნა, გადატანა, იდენტიფიკაცია, სიმპტომი, სუპერ ეგო და სხვა) განხილუ-

ლია ბიჰევიორიზმის ღებულებების ჭრილში. აქ იგულისხმება, როგორც დასწავლისა და მეორადი დრაივების ფორმირების მექანიზმები, ისე მილერის მიერ ჩამოყალიბებული მოტივაციური ტენდენციების კონფლიქტის მოდელი. ამ მოდელში მილერმა გამოიყენა ლევინის მოსაზრება მოტივაციური კონფლიქტის სამი სახის თაობაზე (მიახლოება-მიახლოება, განრიღება-განრიღება და მიახლოება-განრიღება) და ჰალის სკოლაში გამოთქმული ჰიპოთეზა ე.წ. *მიზნის გრადიენტის* შესახებ. ამ ჰიპოთეზის თანასმად, მისწრაფების ძალა მიზან-ობიექტთან მიახლოების კვალდაკვალ იზრდება (*მიახლოების გრადიენტი*). შესაბამისად, განრიღების ტენდენცია მით უფრო დიდია, რაც უფრო მცირეა მანძილი უარყოფითი ვალენტობის მქონე ობიექტამდე (*განრიღების გრადიენტი*). ეს უკანასკნელი ტენდენცია პირველზე უფრო ძლიერია. მილერმა კონფლიქტის ტიპებისა და მიზნის გრადიენტის კონცეპტები ექსპერიმენტულად გაამყარა და შექმნა *მოტივაციური კონფლიქტის საერთო მოდელი.*

მილერმა და დოლარდმა გამოიყენეს ეს მოდელი, აგრეთვე შეხედულება შიშსა და შფოთვაზე, როგორც მეორად დრაივებზე და მათ რედუქციაზე იმის საჩვენებლად, თუ როგორ ხდება ნევროტული ქცევის ფორმირება. განვითარების პროცესში ბავშვმა უნდა მოახერხოს (ისწავლოს) თავისი პირველადი დრაივების (კვებითი იქნება, სექსუალური თუ აგრესიის) სოციალურად მისაღებ ფორმაში რეალიზება. ამ ტენდენციების მიუღებელ ფორმაში გამოვლენა ისჯება უფროსების მიერ. დასჯა იწვევს გარკვეული სტიმულების მიმართ შიშისა ან შფოთვის მეორადი დრაივების ფორმირებას. ეს დრაივები თვითონ ხდება ისეთი აქტივობის აღმძვრელები, რომელიც მათ რედუქციას იწვევს (მაგ., ბრძოლის ან განრიღების რეაქცია), ხოლო ეს რედუქცია, თავის მხრივ, მათ განმტკიცებას უგრუნველყოფს. თუ ამ ყველაფერს მიახლოება-განრიღების ტენდენციების კონფლიქტსაც დავუმატებთ, მივიღებთ იმის სურათს, თუ როგორ ხდება, დასწავლის თეორიის თვალსაზრისით, ნევროტული კონფლიქტების სიმპტომების, ანუ ნევროზის ჩამოყალიბება.

მილერი და დოლარდი იმითაც ინტერესდებიან, თუ როგორაა შესაძლებელი ამ ნევროზების მკურნალობა. ისინი თანმიმდევრულნი არიან და ფსიქოთერაპიის პრინციპებსაც დასწავლის კანონზომიერებების შესაბამისად განიხილავენ. თუ ნევროტული ქცევა დასწავლის შედეგია, ამბობენ ისინი, მაშინ საწინააღმდეგო ეფექტის მიღწევა (დასწაელილის ჩაქრობა) შესაძლებელია იგივე პრინციპების შესაბამისად, რითაც დასწავლა ხორციელდებოდა. ფსიქოთერაპია ქმნის პირობების სისტემას, რომელიც დასწავლილი ნევროტული ჩვევების მოსპობისა და არანევროტული ჩვევების დასწავლის საშუალებას მოგვცემს. ამ შემთხვევაში თერაპევტი "მასწავლებლად" წარმოგვიდგება, ხოლო პაციენტი – "მოწაფედ".

მილერმა და დოლარდმა უთუოდ მისცეს გარკვეული ბიძგი *ქცევითი ფსიქოთერაპიის* განვითარებას, მაგრამ ბიჰევიორალური ფსიქოთერაპიის ფუძემდებლად მაინც **ჯოზეფ ვოლპე** (1915-1997) ითვლება. ბიჰევიორიზმთან სრულ შესაბამისობაში, იგი *ნევროტულ ქცევას* განსაზღვრავს, როგორც დასწავლის პროცესში შეძენილი არაადაპტური ქცევის ჩვევას. ვოლპემ შეიმუშავა სპეციალური ტექნიკა პირობითი, შეძენილი ნევროტული რეაქციების

ჩასაქრობად. ეს ე.წ. *სისტემატური დესენსიბილიზაციაა.* ვოლპე იყენებდა *პროგრესული კუნთური რელაქსაციის* ტექნიკას. პაციენტს ასწაელიან ღრმა რელაქსაციას. შემდეგ, რელაქსაციის მდგომარეობაში, მან თანმიმდევრულად უნდა წარმოიდგინოს გარკვეული სიტუაციები, რომლებიც მის შიშს უკავშირდება. იერარქიული წესით, წინასწარ აღგენს ასეთი სიტუაციების იერარქიულ ნუსხას. თავდაპირველად პაციენტი წარმოიდგენს შფოთვასთან ან შიშთან ყველაზე ნაკლებად ასოცირებულ სიტუაციას. თუ რელაქსაციის ფონზე ის შემაწუხებლად აღარ განიცდება, მაშინ იწყება მუშაობა შედარებით უფრო მძიმე სიტუაციის წარმოდგენაზე და ა.შ. საბოლოოდ, ყველაზე მძიმე სიტუაციებიც კი შიშს აღარ იწვევენ. არსებობს ამ ტექნიკის სხვა ვარიანტებიც. მაგალითად, ზოგიერთ შემთხვევაში, პაციენტს პირდაპირ ათავსებენ ფობიურ სიტუაციაში. ფსიქოკორექციულ და ფსიქოთერაპიულ პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება სხვა სახის ბიპევიორალური მეთოდებიც (თუნდაც იგივე სკინერის "ქეტონების სისტემა", რომელსაც ქვემოთ შეეხებით).

კლასიკური ბიპეეიორიზმის უსაყოფობა S-R სქემის შეზღუდულობით იყო გამოწვეული. პალი, ტოლმენი და მათი მიმდევარი ნეობიპევიორისტები ამ სქემის შუალედური ცვლადებით შევსების გზით ცდილობდნენ ქცევის აღეკვატური მოდელის ჩამოყალიბებას. მაგრამ ისინიც სერიოზული წინააღმდეგობების წინაშე აღმოჩდნენ, რასაც, საბოლოოდ, ნეობიპევიორიზმის კრახი მოყვა. საქმე ისაა, რომ შუალედურ ცვლადებს, ფაქტობრივად, კვლევაში შემოაქონდა ფსიქიკური (შემეცნებითი და მოტივაციური) ფაქტორები, რომელთა გარეშე ორგანიზმისა და გარემოს აქტიური ადაპტაციური ურთიერთმიმართება ანუ ქცევა შეუძლებელია. ნეობიპევიორიზმის მიღწევები, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოდ დასწაელის კანონზომიერებების შესწაელისას გამოვლინდა, სწორედ ამ ვითარების გათვალისწინების შედეგი იყო. მეორე მხრივ, პოზიტივიზმისა და მისი ნაირსახეობის, ოპერაციონიზმის მეთოდოლოგიაზე დამყარებული ობიექტივისტური მიდგომა, რაც საზოგადოდ ყოველგვარი ბიპეეიორიზმის არსებითი ნიშანია, რეალურად შეუძლებელს ხდიდა ამ ცვლადების აღექვატურ გააზრებას. იგი კრძალავდა მათ წარმოდგენას შინაგანი, ფსიქიკური სამყაროს მოვლენების სახით და მოითხოვდა მათ აღწერას ობიექტურად დაკვირვებადი პროცედურებისა და ოპერაციების საშუალებით. ობიექტური ოპერაციებით კი მხოლოდ ობიექტურ ფაქტებს თუ გამოაველენ. ამრიგად, განაგრძობდა რა თეორიაში ფსიქიკის მნიშვნელობის უარყოფას, ნეობიპევიორიზმი, ფაქტობრივად, უშვებდა ქცევაში ფსიქიკის მონაწილეობას. ეს წინააღმდეგობა, ბოლოს და ბოლოს, იმდენად საგრძნობი გახდა, რომ თვით ტოლმენი, თავის ერთ-ერთ ბოლო შრომაში, იძულებული შეიქნა განეცხადებინა: "შუალედურ ცვლადებს მივყავართ ისეთ პიპოთეზებამდე, რომელთა საფუძველია ინტუიცია, საღი აზრი, ფენომენოლოგია და ძალიან ზოგადი, არცთუ მთლად გამოკვეთილი ნეიროფიზიოლოგიური იდეები". ეს აღიარება ძალიან ნიშანდობლივია; ის ეკუთვნის მკვლევარს, რომელმაც ფსიქოლოგიაში შუალედური ცვლადების ცნება შემოიტანა და, აქედან გამომდინარე, შესაძლებლად ჩათვალა ფსიქოლოგიური ცნებებისთვის ობიექტური მნიშვნელობის მინიჭება. მაგრამ, რა უნდა ითქვას ბიპევიორის-

ტზე, რომელიც ეყრდნობა ფენომენოლოგიას და ინტუიციას? 1960 წელს გამოცემულ გახმაურებულ წიგნში "ქცევის გეგმები და სტრუქტურები" ჯ. მილერი, ი. გალანტერი და კ. პრიბრამი შეეცადნენ პასუხი გაეცათ ამ კითხვაზე. ისინი მსჯელობენ, თუ რამდენად აზრიანია, რომ ცნობიერების ფენომენებს, კერძოდ გეგმას, შუალედური ცვლადი ეწოდოს და ამით ოპერაციონალური ბიჰევიორიზმის ტერმინებში გამოიხატოს; საბოლოოდ, ავტორები მიდიან დასკვნამდე, რომ ეს არაფერს მოიტანს, ვინაიდან, თუ ბიჰევიორისტი, პრინციპში თანახმაა საქმე იქონიოს ინტროსპექციის მონაცემებთან, იგი უკვე სუბიექტური ბიჰევიორისტია, მიუხედავად იმისა, სურს მას ეს თუ არა[1]. სწორედ ასე დაემართა ნეობიჰევიორიზმს. სამოციანი წლებიდან ის თანდათანობით თმობდა პოზიციებს; ქცევის მოდელები სულ უფრო მეტად ივსებოდა სუბიექტური შინაარსით. ეს იქამდე გრძელდებოდა, ვიდრე თეორიული პარადიგმა რადიკალურად არ შეიცვალა და ასპარეზზე ახალი მიმდინარეობა – კოგნიტივიზმი არ გამოვიდა.

## 8.3. ოპერანტული ბიჰევიორიზმი

გვიანდელი ბიჰევიორიზმის წამყვან ფიგურას უეჭველად **ბერას ფრედერიკ სკინერი** (1904-1990) წარმოადგენდა. იგი ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული ფსიქოლოგი და ნაციონალური აკადემიის წევრი იყო. სკინერმა დაამთავრა ჰამილტონ-კოლეჯი ნიუ-იორკში და ასპირანტურა ჰარვარდში, სადაც 1931 წელს მიენიჭა ფილოსოფიის დოქტორის წოდება. შემდგომში მოღვაწეობდა მინესოტასა და ინდიანას შტატების უნივერსიტეტებში, ხოლო 1948 წლიდან ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორია. 30-იანი წლებიდან სკინერი შეუდგა დასწავლის მექანიზმების კელევას ცხოველებში – "ორგანიზმების ქცევა" (1938); 50-იანი წლებიდან დაიწყო თავისი მოდელის გავრცელება ადამიანის ქცევაზე – "მეცნიერება და ადამიანის ქცევა" (1953), "ვერბალური ქცევა" (1957), ხოლო 70-იანი წლებიდან სოციალური ქცევისა და საზოგადოებრივი მოვლენების გაგებაზეც – "თავისუფლებისა და ღირსების მიღმა" (1971). განმაზოგადებელი შრომებიდან აღსანიშნავია წიგნები "ბიჰევიორიზმის შესახებ" (1974) და "ფიქრები ბიჰევიორიზმსა და საზოგადოებაზე" (1978).

სკინერის აზრით, მეცნიერება ფაქტებიდან ამოდის და კანონზომიერებისკენ მიემართება. მისი ზოგადი მიზანია მოვლენების პროგნოზირება და მართვა. *ქცევის ანალიზისას* (ასე უწოდებს სკინერი თავის მიდგომას ფსიქოლოგიისადმი) კვლევა უნდა მიმდინარეობდეს მარტივიდან რთულისკენ. ამიტომ, უნდა დაიწყოთ შედარებით დაბალი რიგის ორგანიზმების შესწავლით,

[1] თუმცა ავტორები თავს სუბიექტურ ბიჰევიორისტებს უწოდებენ. ისინი კარგად გრძნობენ ამ ტერმინის წინააღმდეგობრიობას. შემდგომში მიმდინარეობას, რომლის სათავეებთან ისინი იდგნენ კოგნიტური ფსიქოლოგია ეწოდა (იხ. 11.2.).

სადაც უფრო ადვილია ქცევის გამომწვევი გარემო ფაქტორების კონტროლი და მანიპულაცია. ადამიანის ქცევას აქვს თავისი სპეციფიკა, მაგრამ ფუნდამენტური კანონზომიერებები ყველგან ერთია. ამ კანონზომიერებების გამოვლენა შესაძლებელია ერთეული ორგანიზმის შესწავლისას, ამიტომ საჭირო არ არის დიდი რაოდენობის ინდივიდების კელეევასთან დაკავშირებული სტატისტიკური მეთოდების გამოყენება. ასეთია, მოკლედ, სკინერის სისტემის მეთოდოლოგიური პრინციპები. რაც შეეხება საკუთრივ ფსიქოლოგიურ თეორიას, ჰალთან და ტოლმენთან შედარებით, სკინერი უფრო რადიკალური ბიჰევიორიზმისკენ იხრება. იგი ანალიზის ორწევრიან სქემას უბრუნდება და მხოლოდ დაკვირვებად ცვლადებს აღიარებს; ესენია *სტიმული, რეაქცია და განმტკიცება*, რომლებიც ობიექტურად ფიქსირდება და იზომება. მათი ურთიერთიმიმართების ზუსტი აღნუსხვით და დახასიათებით შესაძლებელი ხდება *ქცევის მართვა, კორექცია, კონტროლი*, რაც, სკინერის აზრით, ფსიქოლოგიური მეცნიერების საბოლოო მიზანია. მისი განხორციელება ფსიქოლოგიის პრაქტიკული გამოყენების საშუალებას იძლევა. სწორი, ადაპტური რეაქციების ფორმირების პროცესის კანონზომიერებათა შესასწავლად სკინერმა უამრავი ცდა ჩააგარა. ამისთვის მან გამოიგონა სპეციალური ექსპერიმენტული დანადგარი, რომელსაც შემდგომში სკინერის პრობლემური ყუთი შეარქვეს. ის თორნდაიკის პრობლემური ყუთების პირდაპირი მემკვიდრეა და წარმოადგენს გალიას, რომელშიც დამაგრებულია მანიპულატორი (ბერკეტი ან ღილაკი). გალიაში მოთავსებული მშიერი ცხოველი (სკინერი ცდებს თეთრ ვირთაგვებზე და მტრედებზე ატარებდა) შემთხვევით ეხება (თათით ან ნისკარტით) მანიპულატორს და იღებს განმტკიცებას (საკვებ ბურთულას). ფიქსირდება დაწოლვის ძალა, სიხშირე და ხანგრძლივობა, რაც რაქციების ბევრად უფრო ზუსტი აღრიცხვის საშუალებას იძლევა, ვიდრე, თუნდაც, თორდაიკის ყუთებში იყო შესაძლებელი.

ამ ხელსაწყოთი შეისწავლება რეაქციების გაძლიერებისა ან შესუსტების კანონზომიერებები სხვადასხვა სტიმულებისა (სინათლე, ხმა) და განმამტკიცებელი აგენტების (დადებითი ან უარყოფითი) მიწოდების რეჟიმებთან მიმართებაში. მაგალითად, შესაძლებელია განმტკიცება მხოლოდ გარკვეული სენსორული სიგნალის მერე ხდებოდეს; ასევე შესაძლებელია ცვალებადობდეს თვით *განმტკიცების სქემა* — იყოს *მუდმივი ან ნაწილობრივი*. პირველ შემთხვევაში განმტკიცდება ყველა სწორი რეაქცია. გამოირკვა, რომ განმტკიცების ასეთი რეჟიმის პირობებში რეაქცია სწრაფად გამომუშავდება, მაგრამ სწრაფადვე ქრება. ამ კუთხით უფრო ეფექტურია ნაწილობრივი განმტკიცება. ის, თავის მხრივ, შეიძლება იყოს ორი სახის: *რეგულარული და არარეგულარული (ვარიატიული)*. პირველ შემთხვევაში განმტკიცება ხდება ყოველთვის, რეაქციების გარკვეული რაოდენობის შესრულების ან გარკვეული დროის მონაკვეთის გავლის შემდეგ; მეორე შემთხვევაში, განმტკიცება არ უკავშირდება რეაქციების მკაცრად განსაზღვრულ რიცხვს ან დროის ინტერვალს. ექსპერიმენტებმა უჩვენა, რომ ძლიერი და მყარი რეაქციების მისაღებად ყველაზე ეფექტური სწორედ ვარიატიული განმტკიცების რეჟიმია. თავად განმტკიცება შეიძლება ორი სახის იყოს: *პოზიტიური და ნეგატიური*.

პოზიტიური განმტკიცება რეაქციის შემდეგ დადებითი სტიმულის (მაგ. საკვები, სითხე. სექსუალური კონტაქტი) მიცემას გულისხმობს, ხოლო ნეგატიური განმტკიცებისას უარყოფითი სტიმულაციის (მაგ. ტკივილის მომგერელი ელექტროდენი, უსიამოვნო სმა) მოცილება ხდება.

სკინერი თვლის, რომ ყველა მოქმედება, რეაქცია შეიძლება ორ კლასად დაიყოს. პირველს მიეკუთნება რეაქციები, რომლებსაც პაელოვი შეისწავლიდა. მათ სკინერი *რესპონდენტულს* უწოდებს. ამ შემთხვევაში რეაქცია ყოველთვის არის პასუხი რაიმე სტიმულზე (უპირობო ან პირობით გამღიზიანებელზე). დასწავლა იმაში მდგომარეობს, რომ ძველი რეაქცია (მაგ., ნერწყვის გამოყოფა) უკავშირდება ახალ გამღიზიანებელს (სინათლე ან ბგერა) უპირობო და პირობითი გამღიზიანებლების დროში მეგობლობის გამო. ამასთან, რეაქცია ყოველთვის და ავტომატურად განმტკიცდება. სკინერის ყუთში ცხოველი სხვაგვარ მოქმედებას ახორციელებს. მას *ოპერანტული* რეაქცია ეწოდება, და არ წარმოადგენს უშუალო პასუხს რაიმე სტიმულზე. ახალი რეაქცია (ბერკეტზე დაწოლა, ღილაკზე ნისკარტის დარტყმა) სპონტანურად აღმოცენდება და განმტკიცდება, თუ ის სწორია. ამ შემთხვევაში დასწავლა ახალი რეაქციის მონახვაში და გაძლიერებაში მდგომარეობს. მოქმედება განმტკიცების მიღების საშუალებაა, მისი ინსტრუმენტია; ამიტომ ასეთ დასწავლას, *ინსტრუმენტულსაც* უწოდებენ.

ოპერანტულ რეაქციებს სკინერი აქტიურ ქცევად განიხილავს. სწორედ მათი საშუალებით ხორციელდება გარემოსთან შეგუება. ბუნებრივად მიმდინარე ადაპტაციის პროცესში ოპერანტული ქცევის ფორმირება და შეცვლა განმტკიცებებთან მისი თანხვედრის შემთხვევითობაზეა დამოკიდებული. მაგრამ, თუ მოქმედების განმტკიცებასთან შეუღლების პროცესი მიზანდასახულად არის წარმართული, შესაძლებელი უნდა იყოს ქცევის მართვა ისე, როგორც გვესაჭიროება. ადამიანის ყველა მეტ-ნაკლებად რთული ქცევა ოპერანტული ბუნებისაა და ექვემდებარება იმ ზოგად კანონზომიერებებს, რაც ცხოველთა ქცევის შესწავლის საშუალებით დადგინდა. დასწავლის ფუნდამენტური პრინციპები და მექანიზმები, სკინერის აზრით, თავისუფლად შეგვიძლია მივუყენოთ ადამიანს, როცა მისი ქცევის ფორმირების, კონტროლისა და რეგულაციის ამოცანებია გადასაწყვეტი. აქედან გამომდინარე, *ოპერანტული განმტკიცების ტექნიკა* გამოყენებულ იქნა მოსწავლეებისა და სტუდენტების სწავლებაში, გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვების აღზრდაში, ფსიქიურ დაავადებათა მკურნალობაში და ა.შ. ფსიქიური დაავადება ავადმყოფობად არც განიხილება. ადამიანი ავად კი არ არის, არამედ, უბრალოდ, არაადექვატურად რეაგირებს სტიმულებზე; მას არასწორი ქცევა აქვს ჩამოყალიბებული. ამ დეფექტის გასაგებად და აღმოსაფხვრელად სულიერი ტრავმების, ცნობიერი თუ არაცნობიერი კონფლიქტების, განდევნილი ლტოლვებისა თუ თვითშეფასების მექანიზმებზე კი არ უნდა ვილაპარაკოთ, არამედ ქცევის მართვის პრინციპებს მივმართოთ. ამ პრინციპების თანასმად, ადამიანებს არასწორი, "აეადმყოფური" ქცევა იმიტომ უყალიბდებათ, რომ სოციალურ გარემოში ადაპტური ქცევა არ იყო სათანადოდ განმტკიცებული და ხდებოდა არაადექვატური ქცევის განმტკიცება. ასეა თუ ისე, მდგომარეობის

გამოსწორება, ანუ ქცევის მოდიფიკაცია, გაუმჯობესება, ყველა შემთხვევაში შედარებით უფრო ადაპტური და ადექვატური აქტივობის თანდათანობითი განმტკიცების გზით ხორციელდება.

*ქცევის მოდიფიკაციის ტექნოლოგიის* ერთ-ერთ ვარიანტს ფსიქიატრიულ კლინიკებში გავრცელებული ე.წ. *ჟეტონების სისტემა* წარმოადგენს. პაციენტების მიერ სხვადასხვა პოზიტიური მოქმედებების შესრულება (მაგ., ოთახის დალაგება, მორიგეობა სასადილოში, ინიციატივის გამოჩენა და სხვა) ჯილდოვდება ჟეტონებით; პაციენტებს შეუძლიათ ამ ჟეტონების გადაცვლა მათთვის სასურველ საგნებზე (სიგარეტი, ტკბილეული, ჟურნალი, ბილეთი კინოში და ა.შ.). ფსიქიატრიული კლინიკის მკაცრად კონტროლირებად პირობებში ფაქტობრივად შესაძლებელია, რომ პაციენტის თითქმის ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილება რაიმე "კარგი" ქცევის შესრულებას ან არშესრულებას დაუკავშირდეს. ირკვევა, რომ ჟეტონებით განმტკიცების ეს სისტემა საკმაოდ ეფექტურია არაადაპტური ქცევების ჩაქრობისა და ადაპტური ქცევების ფორმირების თვალსაზრისით. ქცევის მოდიფიკაციის ამ პროგრამამ გაამართლა სხვა სიტუაციებშიც, სახელდობრ, ფონებაჩამორჩენილებთან, დელიკვენტურ მოზარდებთან, აგრესიულ ან აუტისტურ ბავშვებთან, აგრეთვე სასკოლო თუ საოჯახო პრობლემების დარეგულირებისას.

ფართოდ გავრცელდა სკინერის მიერ შექმნილი *პროგრამირებული სწავლების* მეთოდი. სკოლაში საგნების სწავლების ეფექტურობის ასამაღლებლად, აქაც ოპერანტული დასწავლის პრინციპები გამოიყენეს. სკინერი ყოველგვარ ცოდნას განსაზღვრავს, როგორც გარკვეული მასალის გამოყენების უნარს საჭირო შედეგის მისაღწევად. ამიტომ, პედაგოგიურ პროცესში ცოდნის მიღება, არსებითად, ორ რაიმეს გულისხმობს: სწორი მოქმედების მონახვას და მის ფიქსაციას. ამ პრინციპებზე აგებული სასწავლო პროგრამები მოთავსებულია სპეციალურ სასწავლო მანქანებში. პროგრამა წარმოადგენს კადრების გრძელ თანმიმდევრობას; ის შეიცავს გარკვეულ ინფორმაციას შესასწავლი საგნის შესახებ და ტექნოლოგიას, რომელიც უზრუნველყოფს ამ ინფორმაციის ეფექტურ გაგება-შეთვისებას და ცოდნის შემოწმებას. ამისთვის მოწაფეს ინფორმაცია ეძლევა ნაბიჯ-ნაბიჯ, მცირე დოზებით; სასწავლო მასალაში შეტანილია ხარვეზები, გამოტოვებულია სიტყვები ან სიმბოლოები, რომლებსაც მოსწავლე ავსებს და ამით მუდმივად აქტიურ მდგომარეობას ინარჩუნებს; უზრუნველყოფილია უწყვეტი უკუკავშირი და მოსწავლე დაუყოვნებლივ იღებს ინფორმაციას თავისი შედეგების შესახებ; ცოდნის ფიქსაცია-გამყარებისთვის გამოყენებულია გამეორებისა და განმტკიცების სისტემა. ამისთვის გამოიყენება სიტყვიერი წახალისება, შექება ან, უბრალოდ, იმის შეტყობინება, რომ პასუხი სწორია – წარმატება თავისთავად ახდენს სწავლების პროცესის სტიმულირებას. დასჯას საერთოდ არ მიმართავენ. სკინერი თვლის, რომ დასჯა არ აუმჯობესებს დასწავლას, თუმცა სკოლა, ტრადიციულად, ყოველთვის მიმართავდა მას. იცავს რა პროგრამირებულ სწავლებას, სკინერი ამტკიცებს, რომ თანამედროვე სასკოლო სისტემა მთლიანად გაკოტრებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან მას არ შეუძლია სხვაგვარად აიძულოს მოსწავლე ისწავლოს, თუ არ დააშინა იგი უსწავლელობის

მოსალოდნელი შედეგებით. ავტორი თავისი გამოგონების ბევრ უპირატესობაზე მიუთითებს. პროგრამირებული სწავლებისას სწავლის პროცესი მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისად მიმდინარეობს; რთულ მასალაზე გადასვლა მხოლოდ წინა თემების სრულყოფილი ათვისების შემდეგ ხდება; შემთხვევითობა და ეშმაკობა გამორიცხულია, ვინაიდან სწორი პასუხი საკითხში გარკვეულობას გულისხმობს; მოსწავლე ზუსტადაა ინფორმირებული თავისი წარმატებების შესახებ.

დღეს სასწავლო მანქანები კომპიუტერებმა შეცვალა. ამან განუზომლად უფრო ეფექტური და საინტერესო გახადა სწავლის პროცესი. კომპიუტერი ცოდნის (ინფორმაციის) მიწოდების უზარმაზარ შესაძლებლობებს ფლობს. თანაც, კომპიუტერი ცოდნის გადაცემით არ იზღუდება; ის მოსწავლესთან დიალოგში შედის, აძლევს რჩევებს, ახსენებს, მიანიშნებს, აჩვენებს საკითხს სხვადასხვა რაკურსში და ა.შ.

რაც შეეხება *სოციალური ქცევის* ანალიზს, აქ ისეთივე სურათია რაც სხვა სახის ქცევების შემთხვევაში. სკინერს მიაჩნია, რომ სოციალური ქცევის მართვისთვის განმტკიცებების ორგანიზებული და ეფექტური სისტემაა საჭირო. ასეთი მიდგომისას "ლიტერატურა, ფერწერა და ესტრადა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც კარგად გააზრებული განმტკიცებები". ადამიანის შინაგანი სამყაროს გამომხატველი ცნებები – განზრახვა, მიზანი, გონება, თვითცნობიერება და პიროვნებაც კი – "ახსნით ფიქციებად" არის მიჩნეული. მეორე მხრივ, იგნორირებულია ის, რომ ქცევა, პირველ რიგში, აქციაა და არა რეაქცია, რომ მას აქტიური, შინაგნად დეტერმინირებული და შემოქმედებითი ხასიათი აქვს. აქედან გამომდინარე, როცა ყველაფერი განმტკიცებების მონაცვლეობასა და გარეგან კონტროლზეა დაყვანილი, მიღებულ აზრსა და მნიშვნელობას კარგავს ისეთი ცნებები, როგორიცაა თავისუფლება, ვალდებულება, ღირსება და სხვა. თავის სკანდალურად ცნობილ წიგნში "თავისუფლებისა და ღირსების მიღმა", სკინერი აღნიშნულ კატეგორიებს მითებს უწოდებს. ამ შრომაში საზოგადოების პრობლემების გადაჭრისა და სოციალური ჰარმონიის მიღწევის გზად აღიარებულია *ქცევის ტექნოლოგია,* რომელიც, ისევ და ისევ, განმკიცებათა სახეობისა და მათი მიწოდების რეჟიმის კონტროლზე დაიყვანება. სკინერმა, რომელიც ახალგაზრდობაში მწერლობაზე ოცნებობდა, თავის პოპულარულ რომანში "უოლდენ ორი", მხატვრულ ფორმაშიც კი აღწერა ის, თუ როგორ გამოიყურება ასეთი საზოგადოება.

ამ ყველაფრის მიღმა სერიოზული მოსაზრებები და არგუმენტებია, რომლებიც ქცევის დეტერმინირებულობის აუცილებლობას უკავშირდება, ხოლო დეტერმინიზმის პრინციპი, თავის მხრივ, მყარად არის დაკავშირებული მეცნიერებასთან. ფსიქოლოგიის ისტორიაში სკინერი, ალბათ, ყველაზე პრინციპულ დეტერმინისტად უნდა ჩაითვალოს. მისი პოზიცია ერთმნიშვნელოვანია და თანმიმდევრული. "თუ გვსურს გამოვიყენოთ მეცნიერული მეთოდები ადამიანთა ურთიერთობის სფეროში, ჩვენ ვალდებულები ვართ დავუშვათ, რომ ქცევა კანონზომიერებებს ექვემდებარება და დეტერმინირებულია. ჩვენ უნდა ვეცადოთ იმის აღმოჩენას, რომ ადამიანის ქმედებები გარკვეული პირობების შედეგია, და თუ ეს პირობები დადგინდება, ჩვენ შევძლებთ ეი-

წინასწარმეტყველოთ მისი მოქმედებები". აქედან გამომდინარე, სკინერი ნამდვილ ბრძოლას უცხადებს ადამიანის ფილოსოფიაში შექმნილ წარმოდგენებს, რომლებიც, მისი აზრით, შეუძლებელს ხდის ადამიანის ქცევის მეცნიერულ შესწავლას. აქ საუბარია ადამიანის თავისუფლების, ღირსების, პასუხისმგებლობის, შემოქმედების იდეებზე. სკინერი კარგად ხედავს, რომ ამ წარმოდგენებით მთელი დასავლური ცივილიზაციაა გამსჭვალული და მათ ასე აღვილად არავინ დათმობს. "მოწოდება, რომ უკუვაგდოთ ეს შეხედულებები, ნიშნავს დაემუქრო ბევრ სათუთად ნალოლიავებ რწმენას, ძირი გამოუთხარო იმას, რაც ადამიანის ბუნების შთამაგონებელ და შემოქმედებით კონცეფციად გამოიყურება". და მაინც, ამ ნაბიჯის გადადგმა აუცილებელია. ალტერნატივა გამოკვეთილია: ან კანონზომიერება, დეტერმინიზმი და მეცნიერება, ან თავისუფლება, ინდეტერმინიზმი და მითოლოგია. თავისუფლებას ორი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს: ის ან იარლიყია, რომელსაც მივაწერთ ქცევას, როცა არ გვესმის ან არ ვიცით მისი მიზეზები, ან, "თუ თავისუფლება მართლაც არსებობს, ფორმები, რასაც ის იღებს, აბსოლუტურად შემთხვევითი უნდა იყოს". ღირსება ისეთივე ახსნითი ფიქციაა, როგორც თავისუფლება. ჩვენს შიგნით მოთავსებული და საკუთარი ნების მქონე მე-ს იდეის ბოლო დასაყრდენი შემოქმედებაა, მაგრამ ესეც უბრალო მეტაფიზიკური იარლიყია, რომლის მიღმა ქცევის კონკრეტული მიზეზების არცოდნა იმალება. შემოქმედებითი ქცევა არაფრით განსხვავდება სხვა ქცევებისაგან, გარდა იმისა, რომ ელემენტები, რომლებიც მას წინ უსწრებენ და განსაზღვრავენ, ნაკლებად არის შესწავლილი. ქცევის ელემენტები თუ ფაქტორები, სკინერის მიხედვით, ადამიანის გარეთ, რეალურ გარემოში უნდა ვეძებოთ; ამიტომ, ოპტიმალური ქცევის ფორმირება და, საზოგადოდ, ნორმალური ცხოვრების მოწყობა შინაგან "ნებაზე" კი არ არის დამოკიდებული, არამედ გარემო პირობების სწორ და ეფექტურ ორგანიზაციაზე. ქცევა გარემოთი იმართება, მოგვწონს ეს თუ არა; ჩვენი საქმეა მივიღოთ ეს ფაქტი და გარემოცვის ისეთი კონსტრუირება მოვახერხოთ, რომ ის შეესაბამებოდეს ჰუმანისტურ მიზნებს. ამიტომ, პირველ პლანზე წამოიწევს პირობების მანიპულირება და ქცევის კონტროლი.

სკინერის პოზიცია უკომპრომისო და რადიკალურია, სწორედ ამიტომ ეწოდება მის სისტემას *რადიკალური ბიჰევიორიზმი;* მისი მთლიანი გაზიარება ფსიქოლოგთა უმრავლესობისთვის ძნელი აღმოჩნდა. საკმაოდ დიდი პროტესტი გამოიწვია სკინერის სისტემამ ფართო ინტელექტუალურ საზოგადოებრიობაშიც, რაც ბუნებრივიცაა — როგორ შეიძლება ეჭვი შეიტანოს თავისუფლების იდეაში ერმა, რომლის სათავე თავისუფლების დეკლარაციაა. მიუხედავად ამისა, სკინერის პრინციპულობა და თანმიმდევრულობა უდიდეს პატივისცემას იმსახურებს. როგორც სხვა შემთხვევებში, სკინერმა რადიკალური მეთოდით სცადა თავისუფლების პრობლემის გორდიას კვანძის გახსნა: თუ თავისუფლების იდეა ვერ ურიგდება მეცნიერების მოთხოვნებს, აუცილებელია მისი უარყოფა, რაც არ უნდა ძნელი იყოს ეს კულტურული ტრადიციისა თუ მორალური ფილოსოფიის თვალსაზრისით. ქცევის მეცნიერული შესწავლის საქმე ამ პრობლემას ყოველთვის ჩიხში შეპყავდა და ფსიქოლოგიურ

აზროვნებას გამოუვალი წინააღმდეგობების ხლართებში აქცევდა. საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც უ. ჯეიმსი, ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მოაზროვნე ფსიქოლოგიის ისტორიაში; იგი ამბობდა, რომ თავისუფლების ცნება სამეცნიერო ლაბორატორიის კართან უნდა დავტოვოთო. ამავე დროს, შინაგანად სჯეროდა ნების თავისუფლებისა და გამალებით ცდილობდა ფარდა აეხადა ამ პრობლემის საიდუმლოებისათვის, თუმცა, სხვებივით, უშედეგოდ (იხ. 5.4). შეიძლება ითქვას, რომ სკინერმა XXI საუკუნის ფსიქოლოგიას თამამი გამოწვევა ესროლა – შეინარჩუნოს, თუ საჭიროდ ჩათვლის, თავისუფლების იდეა და, ამავე დროს, არ გამოვიდეს ქცევის შესწავლის მეცნიერული ჩარჩოებიდან, დარჩეს დეტერმინაციისა და კანონზომიერების იდეების ერთგული.

საკმაოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად, სკინერს, როგორც თეორეტიკოსს, ფსიქოლოგიაში პრინციპული სიახლე არ შემოუტანია; იგი არსებითად, აგრძელებდა თორნდაიკისა და უოთსონის ხაზს, ხოლო მისი დიდი პოპულარობა, ძირითადად, ბიქეიორალური ტექნიკის პრაქტიკული დანერგვით არის გაპირობებული. ეს შეფასება, გარკვეული აზრით, სამართლიანია, თუნდაც იმიტომ, რომ სკინერი საერთოდ სკეპტიკურად იყო განწყობილი მეცნიერებაში თეორიის როლის მიმართ და საკუთარ თავს "სისტემურ ემპირიკოსად" მიიჩნევდა. და მაინც, თუ მხოლოდ ამით შემოვიფარგლებით, გაუგებარი დარჩება, რატომ ითვლება სკინერი, ფროიდთან ერთად, XX საუკუნის ყველაზე გავლენიან ფსიქოლოგად. საქმე ისაა, რომ სკინერი იყო საბუნებისმეტყველო ან სციენტისტური ფსიქოლოგიის პრინციპების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური გამტარებელი. იგი ფიქრობდა, რომ: 1) მეცნიერების შესწავლის არეში უნდა მოექცეს მხოლოდ ობიექტურად აღრიცხვადი მოვლენები; 2) მკაცრი ექსპერიმენტული პროცედურების საშუალებით დადგინდეს მათ შორის არსებული მიმართებები და 3) გამოვლენილი კანონზომიერებების საფუძველზე შემუშავდეს პრაქტიკული პროგრამები ადამიანების ცხოვრებისეული პრობლემების გადასაჭრელად. ამ მარტივი და ცხადი პრინციპებიდან გამომდინარე, ფსიქოლოგიის საკვლევი სფერო იზღუდება დაკვირვებადი ქცევით, რომელიც, აგრეთვე, აღრიცხვადი და გაზომვადი ფაქტორებითაა გაპირობებული (სიტუაციისა და განმტკიცების რეჟიმების მონაცემები). ფართო ექსპერიმენტული კვლევის შედეგად სკინერმა ერთმნიშვნელოვნად დაადგინა ამ მოვლენებს შორის არსებული ურთიერთკავშირები და აჩვენა, თუ როგორ არის შესაძლებელი ქცევის გაკონტროლება და მართვა ლაბორატორიულ პირობებშიც და სასიცოცხლო ამოცანების გადაწყვეტის პროცესშიც. ზუსტი კანონზომიერებებისა და პრაქტიკული ეფექტურობის დეფიციტით შეშფოთებული ფსიქოლოგებისთვის სკინერის ეს წარმატებები მართლაც შთამბეჭდავად გამოიყურებოდა. სწორედ ეს იყო მიზეზი, რის გამოც მან, სავსებით დამსახურებულად, უდიდესი ავტორიტეტი და აღიარება მოიპოვა.

ყოველივე ამას თავისი შებრუნებული მხარეც აქვს. აღნიშნული მიღწევები ხომ ფსიქოლოგიური რეალობის გამარტივებისა და შეზღუდვის ხარჯზე მოხდა! ფსიქოლოგიური კვლევის მიღმა დარჩა ყველაფერი ის, რაც გარეგან დაკვირვებაში არ ფიქსირდება, ინდივიდის შიგნითაა, მაგრამ მაინც

განსაზღვრავს ქცევას. ამ მოვლენებს არსებობის უფლება კი მიეცა, მაგრამ მათი მეცნიერული შესწავლა შეუძლებლად ჩაითვალა. ცოცხალი არსება, ადამიანი, შავი ყუთია. ჩვენ ვერ დავინახავთ, თუ რა არის მასში. შავი ყუთის შინაარსი პოზიტიური ცოდნის საგანი ვერ გახდება. ამიტომ ფსიქოლოგიის კვლევის სფეროდან გამოირიცხა ცნობიერი და არაცნობიერი პროცესები, პიროვნების თვისებები და დისპოზიციები. ისინი, ვინც ყოველივე ამას ადამიანის ბუნების მოუცილებელ ნაწილად თვლიდნენ, ცხადია, ვერ შეურიგდებოდნენ ეგზომ რადიკალურ თვალსაზრისს. ამიტომ სხვა პოზიციაზე მდგომი მეცნიერები ხშირად გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას სკინერის სისტემის ამა თუ იმ ასპექტის მიმართ. სკინერი, როგორც წესი, ასეთ გამოსვლებს უპასუხოდ არ ტოვებდა. ამ მხრივ საყურადღებოა მისი დისკუსია ხომსკისთან და როჯერსთან.

გამოჩენილი ლინგვისტი ნოამ ხომსკი აკრიტიკებდა ბიჰევიორიზმის, კერძოდ სკინერის თვალსაზრისს მეტყველების პროცესის ბუნების შესახებ, რომელიც გადმოცემულია ცნობილ წიგნში "ვერბალური ქცევა". სკინერის თანასმად, მეტყველება ქცევაა და ექვემდებარება იმავე კანონზომიერებებს, რასაც ყველა ქცევა. მეტყველების სწავლის პროცესში მშობლები დადებითად რეაგირებენ ბავშვის მიერ სიტყვის სწორ ხმარებაზე, გამართულ ფრაზაზე, კარგ გამოთქმაზე და პირიქით, შეძლებისდაგვარად ზღუდავენ არასწორ ვერბალურ რეაქციებს. მეტყველება, სკინერის მიხედვით, მთლიანად შეძენილი, დასწავლილი ქცევაა, რომელიც თითოეული ვერბალური რეაქციის თანდათანობითი განმტკიცების პროცესში ყალიბდება.

ამის საპირისპიროდ, ხომსკი ამტკიცებდა, რომ ენის შეთვისების პროცესის დაყვანა ოპერანტული დასწავლის კანონზომიერებებზე შეუძლებელია. ენის არსებითი კომპონენტები *თანდაყოლილია.* ენა არ ისწავლება ყოველი სიტყვის გამეორების მექანიკურ პროცესში. ბავშვები წარმოთქვამენ გრამატიკულად გამართულ ფრაზებს, რომლებიც არასდროს მოუსმენიათ. ხომსკის აზრით, ეს აიხსნება გარკვეულ *სიღრმივ სტრუქტურებზე* დაფუძნებული ბავშვის იმპლიციტური მიდრეკილებით ენის მიმართ. თანდაყოლილია ენობრივი ინფორმაციის გადამუშავებისა და ენის აბსტრაქტული სტრუქტურების ფორმირების ერთგვარი სქემა, ენის შეთვისების გამოცდილებამდელი მექანიზმი, რომელიც მეტყველების ფორმირების პროცესს განსაზღვრავს. ამით აიხსნება, რომ ბავშვები მთელ მსოფლიოში ერთი ტემპით ითვისებენ ენას და ამ პროცესში ერთსა და იმავე ეტაპებს გაივლიან ერთნაირი თანმიმდევრობით. ამ თანდაყოლილ მექანიზმს სხვაგვარად *ენობრივ ნიჭიერებასაც* უწოდებენ. ხომსკის ფრიად მკაცრი შეფასებით, ადამიანის სამეტყველო აქტიურობის სკინერისეული გააზრებისას ბიჰევიორისტული თეორია აბსურდამდე მიღის და იმდენად შორს სცილდება რეალობას, რომ უკვე მეცნიერებადაც ველარ ჩაითვლება. ფსიქოლოგიის ისტორიკოსებს სამართლიანად მიჩნიათ, რომ ხომსკის კრიტიკამ, რომელიც პირველად 1959 წელს გაისმა, ერთ-ერთი ყველაზე შესამჩნევი გავლენა იქონია ზოგადად ბიჰევიორიზმის დასამარების პროცესზე.

სიღრმივი სტრუქტურების საკითხი მხოლოდ ვერბალურ ქცევასთან

მიმართებაში არ დაისმის. სკინერი საზოგადოდ "ცარიელი ადამიანის" თეზისიდან ამოდის და მხოლოდ გარემოსეულ, სიტუაციურ განსაზღვრულობას აღიარებს. *ინდივიდუალიზმი* საერთოდ ბიპევიორიზმის დამახასიათებელი ნიშანია. სკინერის პოზიცია ამ შემთხვევაშიც რადიკალურია. მის მიერ ფაქტობრივად იგნორირებულია ძველი ის თეორიული და ემპირიული ცოდნა, რომელიც ფსიქოლოგიაში არსებობს პიროვნებისა და სასიათის ტიპების, კონსტიტუციური ნიშნების, ნასასების, დისპოზიციების, მიდრეკილებების, პიროვნული თვისებების და ა.შ. თანამედროვე ფსიქოლოგიას გააჩნია იმის სარწმუნო ემპირიული მონაცემები, რომ ადამიანის აქტივობის მრავალი ასპექტი (კოგნიტური ფუნქციები, ტემპერამენტი, პიროვნული თვისებები, ნიშნები და სხვა) მეტ-ნაკლებად განსაზღვრულია გენეტიკური (თანდაყოლილი) ფაქტორებით. ეს მონაცემები ძირს უთხრის სკინერის მტკიცებას, რომ ადამიანებს შორის ინდივიდუალური განსხვავებებისა და საერთოდ ქცევის განმაპირობებელი ფაქტორები მთლიანად გარემოშია მოთავსებული. სიზუსტისთვის საჭიროა აღინიშნოს, რომ სკინერი არ უარყოფს გენეტიკური ფაქტორების არსებობას, თუმცა მიაჩნია, რომ მათი როლი გადაჭარბებულადაა წარმოდგენილი. მემკვიდრეობის დადგენა შეიძლება ქცევის პროგნოზირებაში დაგვეხმაროს, მაგრამ ის უსარგებლოა ქცევის კორექცია-მართვის თვალსაზრისით, რადგან არ ექემდებარება შეცვლას. ამის გამო სკინერს გამართლებულად მიაჩნია მემკვიდრეობასთან დაკავშირებული მონაცემების იგნორირება.

კრიტიკის მეორე ტალღა წამოვიდა სკინერის იმ მოსაზრებებთან დაკავშირებით, რომლებიც ქცევის მართვასა და კონტროლს ეხება. ამ კუთხით მისი ყველაზე პრინციპული და ავტორიტეტული ოპონენტი კ. როჯერსი იყო. სკინერის თვალსაზრისი შემდეგში მდგომარეობს: არსებობენ ადამიანები, ვინც კონტროლს ტირანიის გამოხატულებად მიიჩნევენ და მოგვიწოდებენ მთლიანად უარი ვთქვათ მასზე. ასეთი პოზიცია არა მხოლოდ უტოპიურია, არამედ მავნეც. კონტროლი სოციალურ ცხოვრებაში ყოველთვის იყო და იქნება, რადგან მის გარეშე საზოგადოება უბრალოდ ვერ იარსებებს. პრობლემა, სკინერის აზრით, მაკონტროლებელი ძალებისა და პირობების მოცილებაში კი არ არის, არამედ მათ მაქსიმალურად გეგმაზომიერ და ეფექტურ გამოყენებაშია. აქამდე კონტროლის ყველაზე გავრცელებული ფორმა დასჯის მექანიზმის გამოყენებას ითვალისწინებდა. სკინერის კვლევებმა აჩვენა, რომ დასჯა არაეფექტურია და ზოგჯერ მავნეც. ქცევა, რომელიც დასჯამ უნდა აღკვეთოს, როგორც წესი, არ ქრება და კვლავ იჩენს თავს. დასჯამ შეიძლება გამოიწვიოს ემოციონალურად და სოციალურად უარყოფითი შედეგები: შფოთვა, შიში, ანტისოციალური ქმედება, დარწმუნებულობისა და თვითპატივისცემის დაქვეითება და ა.შ. დასჯის მუქარამ შესაძლებელია იმაზე უარესი ქცევისკენ უბიძგოს ადამიანს, ვიდრე ის, რომლისთვისაც თავდაპირველად დაისაჯა. ერთი სიტყვით, იშვიათ შემთხვევებში უაღრესად არასასურველი ან სახიფათო ქცევის დასათრგუნად, შესაძლოა გამართლებულიც იყოს დასჯის გამოყენება, მაგრამ საზოგადოდ, უნდა ვეცადოთ შევქმნათ ისეთი გარემო, სადაც არა იძულების, არამედ დადებითი განმტკიცების მეშვეობით გამოვუმუ-

შაევნთ ადამიანებს საზოგადოებრივად მისაღები მოქმედების სტილს ან ქცევის ახალ ფორმებს. ასეთი კონტროლი რბილი, ჰუმანური და ეფექტურია.

სკინერს მიაჩნია, რომ კონტროლი ორმხრივ ხასიათს ატარებს, ანუ ვინც მართავს და ვისაც მართავენ, ერთმანეთს აკონტროლებენ. მას სჯერა, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში კონტროლის ორმხრივობის დონე ისეთი იქნება, რაც გამორიცხავს არაჰუმანურ და ტოტალიტარულ მართვას.

ეს თეზისი კარლ როჯერსში სერიოზულ ეჭვებს აღძრავს. სკინერს მხედველობიდან რჩება, რომ ორმხრივი კონტროლი თითქმის ყოველთვის ასიმეტრიულია. მართალია, მონათმფლობელი და მონა, გარკვეულად, ერთმანეთს აკონტროლებენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათ კონტროლის ერთნაირი შესაძლებლობები გააჩნიათ. ამიტომ საკითხი გამკონტროლებლის ვინაობის, ე.ი. ძალაუფლების შესახებ, დიდი საშიშროების შემცველია. ქცევის მართვის ტექნოლოგია ტირანის ხელში საშარელ იარაღად იქცევა. ესეც რომ არ იყოს, როჯერსი არც იმ მიზნებს აღიარებს, რომლებიც კონტროლის მეთოდების "წესიერი" გამოყენების შემთხვევაში უნდა იქნეს მიღწეული. სკინერისთვის ესაა ადამიანის ბედნიერება, ინფორმირებულობა, გაწაფულობა, ნაყოფიერება. რაც მთავარია, დადებითი განმტკიცების ტექნოლოგია გვეხმარება, რომ ამის მიღწევა ჰარმონიული გზით, წინააღმდეგობისა და აღშფოთების გარეშე შეძლოთ. მეტიც, ადამიანები აკეთებენ იმას, რაც მათ სურთ და თავს თავისუფლად გრძნობენ. ისინი იმართებიან ისე, რომ ვერც ამჩნევენ ორგანიზებულ კონტროლს. როჯერსი ფიქრობს, რომ ეს ადამიანების რობოტიზაციას, პიროვნების დაკარგვას ნიშნავს, რომ კონტროლირებადი ბედნიერება და ნაყოფიერება კარგი ცხოვრება კი არა, ფსევდოთავისუფლება და ფსევდობედნიერებაა. როჯერსი გვთავაზობს სხვა ღირებულებებს, რომლებიც მეცნიერებამ ადამიანის თავისუფალი ბუნების გათვალისწინებით უნდა დაისახოს და ამის შესაბამისი მეთოდებით განახორციელოს. ამ შემთხვევაში მთავარია არა იმდენად შედეგი, რამდენადაც პროცესი, პროცესი თვითაქტუალიზაციისა, შემოქმედებითი პოტენციალის გახსნისა, პასუხისმგებლობის განვითარებისა, მოქნილობისა და მრავალმხრივობის შეძენისა. როჯერსი დარწმუნებულია, რომ ამისთვის საუკეთესო პირობებს მის მიერ შემუშავებული კლიენტზე ორიენტირებული, არადირექტიული ფსიქოთერაპია ქმნის (იხ. 10.1.).

როჯერსი ვერ ეგუება სკინერის მიერ თავისუფლების უარყოფას. მისი აზრით, თავისუფლება ადამიანის მოუცილებელი ნიშანია. ამავე დროს, მას კარგად ესმის, რომ მეცნიერება მოვლენათა დეტერმინირებულობის, პირობადებულობის, კანონზომიერების გარეშე წარმოუდგენელია. "თუ ქცევას განვიხილავთ როგორც მეცნიერულ ფენომენს, ცხადია, უმჯობესი იქნება ჩავთვალოთ, რომ იგი იმ მიზეზითაა გამოწვეული, რომელიც მას წინ უსწრებდა. ეს მეცნიერების მნიშვნელოვანი ფაქტია. მაგრამ ჩვენი ცხოვრების ასეთივე მნიშვნელოვანი ფაქტია პასუხისმგებლობის შემცველი პირადი არჩევანი, რომელიც ადამიანის ყველაზე არსებითი ნიშანია. იგი წარმოადგენს ფსიქოთერაპიის იმ მთავარ მონაპოვარს, რომელიც წინ უსწრებს ყოველგვარ მეცნიერულ გამოკვლევას". სკინერს მიაჩნია, რომ ეს ორი ფაქტი, თუ ისინი მართლაც არსებობენ, ურთიერთგამომრიცხავია.

შენიშვნები სკინერის სისტემის სხვა ასპექტების მიმართაც არსებობს. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ XX საუკუნის ფსიქოლოგთაგან არავის განუცდია ისეთი მძაფრი კრიტიკა და, ამავე დროს, არავინ ყოფილა ისე დაფასებული, როგორც სკინერი. ამ მხრივ მას მხოლოდ ფროიდი თუ შეედრება.

*ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ*


1. იმედაძე ი. XX საუკუნის ფსიქოლოგიის ძირითადი მიმდინარეობები. თბილისი, 2004.
2. ტაბიძე ო. ბიჰევიორისტული ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლები. თბილისი, 1962.
3. უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია. შრომები ტ.3-4, თბილისი, 1964.
4. Лихи Т. История современной психологии. СПб., 2003.
5. Нельсон-Джоунс Р. Теория и практика консультирования. СПб., 2000.
6. Палмер Д., Палмер Л. Эволюционная психология. СПб., 2003.
7. Первин Л., Джон О. Психология личности. Терия и исследования. М., 2000.
8. Роджерс К. Взгляд на психотерапию. Становление личности. М., 1994.
9. Смит Н. Современные системы психологии. СПб., 2003.
10. Спенс К. Теоретический анализ процесса научения. В кн.: Экспериментальная психология. Под. ред. С. Стивенса. Т.2. М., 1963.
11. Толмен Э. Когнитивные карты у крыс и у человека. В кн.: Хрестоматия по истории психологии. М., 1980.
12. Торндайк Э.Л. Процесс учения у человека. М., 1929.
13. Торндайк Э.Л. Принципы обучения основанные на психологии. В кн.: Бихевиоризм. М., 1998.
14. Уотсон Д.Б. Психология с точки зрения бихевиориста. В кн.: Хрестоматия по истории психологии. М., 1980.
15. Уотсон Д.Б. Бихевиоризм. В кн.: Хрестоматия по истории психологии. М., 1980.
16. Уотсон Д.Б. Психология как наука о поведении. В кн.: Бихевиоризм. М., 1998.
17. Хегенхан Б., Олсон М. Теории научения. СПб., 2004.
18. Холл К.С., Линдсей Г. Теории личности. М., 1997
19. Шульц Д.П., Шульц С.Э. История современной психологии. СПб., 1998.
20. Boring E.G. History of experimental psychology. New York: Appleton-Century-Crofts, 1950.
21. Cofer C.N., Appley M. H. Motivation: theory and research. New York: John Wiley. 1966.
22. Dollard J., Miller N.E. Personality and psychotherapy: an analysis in terms of learning, thinking and culture. New York: McGraw-Hill, 1950.
23. Hall C.L. Principles of behavior. New York: Appleton-Century-Crofts, 1943.
24. Klein D.B. A history of scientific psychology. New York – London, 1970.
25. Leahey T.H. A history of psychology. Main currents in psychological thought. New Jersy: Prentice-Hall, 1992.
26. Skinner B.F. Science and human behavior. New York: Macmillan, 1953.
27. Skinner B.F. Beyond freedom and dignity. New York: Knopf, 1971.

28. Skinner B.F. About behaviorism. New York: Knopf, 1974.
29. Tolman E.C. Purposive behavior in animals and men. New York: Appleton-Century, 1932.
30. Tolman E.C. Principles of purposive behavior. In: Koch S. (Eds), Psychology theory. New York: Ronald Press, 1951.
31. Watson J.B. Autobiography. In: Marchinson C.C. (Eds.), A history of psychology in autobiography. Vol.1. Worcester, Massachusetts: Clark University Press, 1930.
32. Woodworth R.S. Contemporary schools of psychology. New York: Holt, 1948.

# თავი 9. გეშტალტფსიქოლოგია და მისი განვითარება

## 9.1. კლასიკური გეშტალტფსიქოლოგია

ბიჰევიორიზმის პარალელურად ევროპაში, კერძოდ გერმანიაში, ყალიბდება ძლიერი მიმდინარეობა *გეშტალტფსიქოლოგია*[1], *ანუ ბერლინის სკოლა*. ბიჰევიორიზმისა არ იყოს, გეშტალტფსიქოლოგია გამოსატაეს პროტესტს ტრადიციული ფსიქოლოგიის მიმართ და ძირფესვიანად ცელის მიდგომებს ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიის, საგნისა და მეთოდის ზოგიერთი არსებითი ასპექტის მიმართ. მისი კრიტიკის ძირითადი სამიზნეა ასოციაციონისტური ფსიქოლოგიის ატომიზმი და მექანიციზმი. ველი ფსიქოლოგიის ელემენტარისტულ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ ფსიქიკური მთლიანობები მეორადი და ელემენტებისაგან შედგენილი მოელენებია, გეშტალტფსიქოლოგიამ დაუპირისპირა თეზისი: მთელი პირველადია და თავად განსაზღვრავს ელემენტებს. ფსიქიკური *მთლიანობის* საკითხი, თავისთავად, ახალი არ იყო. ტრადიციული ფსიქოლოგიისთვისაც ცნობილი იყო, რომ ფსიქიკური ფენომენები ისეთ მთლიანობია, რომელთა თვისებები არ გამოიყვანება შემადგენელი ელემენტების მექანიკური ჯამიდან. ამაზე მიანიშნებდა ჯ. ს. მილის "სულის ქიმია"; იმავეს გამოხატვას ცდილობდა ვ. ვუნდტი თავისი "შემოქმედებითი სითეზის" ცნებით, თუმცა გეშტალტფსიქოლოგიის კრიტიკის მახვილი სწორედ ვუნდტისა და მისი იდეების ნიადაგზე აღმოცენებული სტრუქტურალიზმის სკოლის წინააღმდეგ იყო მიმართული.

მთლიანობის იდეის შემდგომი განვითარება მოხდა ე.წ. *ავსტრიულ ან გრაცის სკოლაში* (XIX საუკუნის 80-იანი და XX საუკუნის 10-იანი წლები). მისი წარმომდგენლებია: ალექსიუს მაინონგი (1870-1920), რისტიან ერენფელსი (1859-1932), შტეფან ვიტაზეკი (1870-1915), ეიქტორ ბენუსი (1878-1927). პირველად 1890 წელს ერენფელსმა შემოიტანა ტერმინი *გეშტალტ-თვისება* (გეშტალტ-ქვალიტეტი) საგანთა ისეთი თვისებების აღსანიშნავად, რომლებიც არ გამოიყვანება ელემენტარული შეგრძნებებიდან. მაგალითად, მელოდიურობა ახალი თვისებაა, რომელიც ტონების უბრალო ჯამს არ წარმოადგენს. გეშტალტ-თვისება გონებრივი აქტების მიერ შექმნილი, აღნაგობის გამომხატველი *რთული ელემენტია*. მისი სპეციფიკური ნიშანია *ტრანსპოზიცია ანუ გადატანა* (სხვა ტონალობაში დაკრული მელოდია იგივე მელოდიად რჩება), და *მინაგანი დასრულებულობა*. ავსტრიულმა სკოლამ მოამზადა გეშტალტფსიქოლოგია, მაგრამ იგი ვერ გასცდა ელემენტების ფსიქოლოგიას. გეშტალტ-თვისების გამოყოფა და იმის თქმა, რომ მთელი მეტია ნაწილზე, არ არის საკმარისი. ელემენტარისტული ორიენტაციის ძირფესვიანი

[1] გერმანულად სიტყვა *გეშტალტი* ნიშნავს ფორმას, სტრუქტურას, მთლიანობით კონფიგურაციას.

შეცვლისთვის საჭიროა ითქვას, რომ მთელს პირველადობაც ეკუთვნის, რომ ის კიდევ ერთი ელემენტი კი არ არის, არამედ მთავარი და "უკანასკნელი მოცემულობაა", რომ ნაწილი (ელემენტი) მთელის ნაწილია, მისგან გამოიყოფა და მხოლოდ მასში პოულობს თავის მნიშვნელობას. ეს დებულებები პირველად ფორმულირებულ იქნა ვერთჰაიმერის წერილში "მოძრაობის ექსპერიმენტული შესწავლა" (1912), რომელიც გეშტალტფსიქოლოგიური მიმდინარეობის ათელის წერგილად ითვლება.



გეშტალტფსიქოლოგიის სამი წამყვანი ფიგურა – ვერთჰაიმერი, კელერი და კოფკა ერთმანეთს 1910 წელს შეხვდნენ, მაინის ფრანქფურტში. ვერთჰაიმერს მოძრაობის აღქმის პრობლემა აინტერესებდა, ხოლო კელერი და კოფკა მისი ცდისპირები იყვნენ და მასთან ერთად აანალიზებდნენ ექსპერიმენტულ მონაცემებს. **მაქს ვერთჰაიმერი** (1880-1943) დაიბადა პრაღაში; აქვე სწავლობდა სამართალს და ფილოსოფიას. ფსიქოლოგიური განათლება მიიღო ბერლინში (კ. შტუმფთან) და ვიურცბურგში (ო. კიულპესთან). 1910 წლიდან იგი ფრანკფურტშია, ხოლო 1922 წელს ბერლინს უბრუნდება. სწორედ აქ მიაღწია გეშტალტფსიქოლოგიამ თავის ზენიტს და ამიტომაც ეწოდა ბერლინის სკოლა. 1933 წლიდან ვერთჰაიმერი ემიგრაციაშია ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ ნიუ-იორკში.

ხსენებულ გამოკვლევაში, ვერთჰაიმერმა ეჭვი შეიტანა იმაში, რომ ცდაში გამოვლენილი აღქმის ხატების გამოყენანა შესაძლებელია პირველადი სენსორული ელემენტებიდან. ექსპერიმენტი ადგენდა, რომ ორი ერთნაირი გამღიზიანებლის (ერთმანეთთან ახლომდებარე ჰორიზონტალური და დახრილი განათებული ხაზი) ეკრანზე მიწოდების მონაცვლეობის სისწრაფე სხვადასხვაგვარ აღქმით ხატებს გვაძლევს – დიდი ინტერვალის შემთხვევაში თანმიმდევრულად მოცემულ განცალკევებულ ხაზებს, მცირე ინტერვალის დროს კუთხეს, ხოლო საშუალო ინტერვალისას დახრილი ხაზის გადანაცვლებას ჰორიზონტალურ მდგომარეობაში. ეს მოჩვენებითი მოძრაობა, რომელსაც Φ-ფენომენი უწოდეს, ნამდვილ მოძრაობად აღიქმება და მისი დახასიათება უნდა მოხდეს ისე, როგორც ის განცდაშია მოცემული. სწორედ ეს გამოარჩევს ე.წ. *ფენომენოლოგიური თვითდაკვირვების მეთოდს,* რომელიც გეშტალტფსიქოლოგიური ექსპერიმენტული კვლევის მთავარ ინსტრუმენტად იქცა: აღვწეროთ გამოცდილება მის უშუალო მოცემულობაში, დაუმახინჯებლად და არა ანალიტიკურად, ე.ი. მასში რაღაც ნაგულისხმევი ნაწილების გამოვლენის მიზნით, რაც ვუნდტისეული ექსპერიმენტული თვითდაკვირვებისთვის იყო დამახასიათებელი. ვერთჰაიმერის აზრით, აღწერილ განცდაში არ უნდა ვეძებოთ ელემენტები, მოძრაობა არ არის გამღიზიანებლებისა და მათი შესატყვისი შეგრძნებების სიეცითი სერია. მოძრაობა უნდა გავიგოთ, როგორც მთლიანობა, გეშტალტი და არა როგორც "შეგრძნებათა კონა". სტიმულსა და ფენომენს შორის, ამ შემთხვევაში, არ არის

ერთმნიშვნელოვანი შესაბამისობა. მოძრაობის ფსიქიკური ფენომენი სახეზეა, თუმცა ფიზიკურად საგანი არ მოძრაობს – იგი არ გაიელის სივცეში ყველა იმ წერტილს, რომელთაგან წამოსული გაღიზიანება შეგრძნებების რიგის სახით უნდა მოგვეცეს, რათა მოძრაობა განვიცადოთ; ასე ფიქრობდა ტრადიციული ფსიქოლოგია.

ტრადიციული ფსიქოლოგია *შეგრძნებათა კონსტანტობის ჰიპოთეზაზეა* აგებული. ეს ტერმინი კელერმა შემოიღო, მასვე ეკუთვნის ამ მეთოდოლოგიური პრინციპის დასაბუთებული კრიტიკა. ძველი ფსიქოლოგია იქიდან ამოდის, რომ ყველა გამღიზიანებელს თავისი შესაბამისი შეგრძნება მოსდევს. რთული გამღიზიანებლის თითოეულ შემადგენელ მომენტს თავისი შეგრძნებითი ელემენტი შეესაბამება და, ამიტომ, სახეზეა შეგრძნებათა კომპლექსი. მაგალითად, აკორდი ტონების კრებაღობაა, ე.ი. აკორდის აღქმა ამ ტონების შესატყვისი შეგრძნებების შეერთების შედეგია. მაგრამ ხომ ფაქტია, რომ აკორდის აღქმა მარტივია, მასში არ განიცდება შესაბამისი შეგრძნებები. მიუხედავად ამისა, დაშვებულია, რომ ისინი აუცილებლად არსებობენ, რადგან კავშირი გამღიზიანებელსა (ტონი) და შეგრძნებას შორის უცელელია (კონსტანტურია). ამ დოგმატური პოსტულატის გადასარჩენად სრულიად მიუღებელი ვარაუდები გამოითქმება, მაგალითად ვარაუდი შეუმჩნეველი შეგრძნებების არსებობის შესახებ; ეს ხდება ცნობიერების ფსიქოლოგიის ფარგლებში, სადაც ამგვარი რამ არაგანცდადი განცდის დაშვების ტოლფასია.

რეალური, ფენომენოლოგიურად მოცემული გამოცდილება არ ადასტურებს კონსტანტობის ჰიპოთეზას. ფენომენოლოგიური მეთოდი, რომელსაც აღიარებს გეშტალტფსიქოლოგია, მოითხოვს ცნობიერების მოვლენების განხილვას თავის უშუალო, ნამდვილ მოცემულობაში; ცნობიერების მონაცემები, სახელდობრ აღქმები, ყოველგვარი წინასწარი დაშვების, მოსაზრების თუ დაკვირვების სქემის გარეშე უნდა იქნეს აღწერილი და განხილული. ანალიტიკური ინტროსპექციით აღჭურვილი ტრადიციული ფსიქოლოგია იქიდან ამოდიოდა, რომ აღქმა არ არის პირველადი მოცემულობა, რომ იგი შენაერთია და ამიტომ უნდა დაიშალოს ელემენტებად, დაყვანილ იქნეს შეგრძნებებზე. აქედან გამომდინარე, ლაბორატორიაში სწორედ შეგრძნებები, ანუ ანალიზის ხელოვნური ნაყოფი შეისწავლებოდა. ფენომენოლოგიურ მეთოდზე დამყარებულ ახალ ფსიქოლოგიას აღქმა შეგრძნებიდან კი არ გამოჰყავს, არამედ პირიქით, თვლის, რომ განცდაში პირველადი მოცემულობა მთელს აქვს და არა ნაწილს. მთელი უშუალოდ განიცდება და ყოველგვარი პრიორიტეტიც მას ეკუთვნის. ძველი ფსიქოლოგიის ობიექტი *ნაწილი (შეგრძნება)* იყო, ახლის ობიექტია *მთელი (აღქმის ხატი).* ფსიქიკის კანონები ნაწილის *(ასოციაციის)* კანონები კი არ არის, არამედ მთელის, ისინი *გეშტალტკანონებია.* აქამდე გეშტალტი ფსიქოლოგიის ერთ-ერთი პრობლემა იყო: არსებობენ ფსიქიკური მთლიანობები და ისინი უნდა შევისწავლოთ. გეშტალტფსიქოლოგიაში მთლიანი ერთ-ერთი მოვლენა ან საკითხი აღარ არის, იგი ძირითადი კანონია, პრინციპია, რომლიდანაც ყველა სხვა ფსიქიკური ფენომენი უნდა იყოს გამოყვანილი და ახსნილი. ასეთია გეშტალტ-

ფსიქოლოგიის კრედო.

ექსპერიმენტული ფენომენოლოგიის მეთოდს აღიარებდნენ აგრეთვე ახალგაზრდა ფსიქოლოგები დ. კაცი და ე. რუბინი, რომლებიც ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის ერთ-ერთ ცენტრში, გიოტინგენის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიურ ლაბორატორიაში მოღვაწეობდნენ გ. ე. მიულერის ხელმძღვანელობით. განიხილავდნენ რა აღქმას ფენომენოლოგიურად, ანუ წინასწარი სტერეოტიპების გარეშე, მათ აღქმის ხატში ახალი თვისებები და კანონზომიერებები აღმოაჩინეს. დ. კაცის გამოკვლევაში გამოიკვეთა აღქმის ხატის ისეთი თვისება, როგორიც *კონსტანტობაა*. მაგალითად, ქაღალდის თეთრი ფერი უცვლელი რჩება განათების ფიზიკური პირობების ცვალებადობის მიუხედავად. ამასთან, რასაც გეშტალტფსიქოლოგიისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, კონსტანტობა ირღვევა, თუ ობიექტი მთლიანი სიტუაციის აღქმის ველიდან ამოვარდნილია, იზოლირებულია; მაშასადამე, აღქმის ეს თვისება მთლიანობითი ბუნებისაა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1915 წელს რუბინის მიერ ორმაგი მნიშვნელობის სურათების მეშვეობით *ფიგურა-ფონის ეფექტის* აღმოჩენას.

გეშტალტფსიქოლოგიის განვითარების პირველ ეტაპზე საკმაოდ მდიდარი უაქტობრივი მასალა იქნა მოპოვებული. ამ მხრივ აღსანიშნავია კელერის გამოკვლევათა სერია ცხოველებზე. **ვოლფგანგ კელერი** (1887-1967) დაიბადა რეველში (ტალინი). საუნივერსიტეტო განათლება მიიღო ტიუბინგენში, ბონში და ბერლინში. აქ შტუმფის ხელმძღვანელობით დაიცვა დისერტაცია სმენის ფსიქოლოგიის საკითხებზე; იმავდროულად ეუფლებოდა ფიზიკას მაქს პლანკთან. 1910 წელს იგი ფრანკფურტში, სადაც ხვდება ვერთჰაიმერსა და კოფკას. 1913 წელს პრუსიის აკადემიის მიწვევით ხდება კანარის კუნძულებზე განთავსებული ანთროპოიდების შემსწავლელი საგურის დირექტორი. პირველი მსოფლიო ომის გამო აქ მას დიდი ხნით მოუწია დარჩენა, რამაც საშუალება მისცა, ფართო კვლევითი სამუშაო გაეშალა. გერმანიაში დაბრუნების მერე მან დაიკავა შტუმფის ადგილი ბერლინის ფსიქოლოგიური ინსტიტუტის ხელმძღვანელის პოსტზე. 1935 წლიდან, გეშტალტფსიქოლოგიის სხვა ლიდერების მსგავსად, განერიდა ფაშიზმს და გადასახლდა შეერთებულ შტატებში, სადაც საკმაოდ წარმატებით მუშაობდა და ერთ ხანს ამერიკის ფსიქილოგიური ასოციაციის პრეზიდენტის მოვალეობასაც კი ასრულებდა.

კელერის პირველი გეშტალტფსიქოლოგიური გამოკვლევა ჩატარდა ქათმებზე და ეხებოდა ტრანსპოზიციის ფენომენის შესწავლას. მას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა მთელისა და ელემენტის ურთიერთმიმართების ბუნების ცხადყოფის კუთხით. ქათმებს ავარჯიშებდნენ, რომ საკენკი აეკენკათ იმ კვადრატიდან, რომელიც უფრო ბაცი იყო ორ მოცემულ კვადრატს შორის. კრიტიკულ ცდაში მათ მიეწოდებოდა კვადრატების წყვილი, სადაც შეჩვეული ფერის კვადრატი მეორეზე უფრო მუქი იყო. ქათმები ამ

მეორეს ირჩევდნენ, ანუ უფრო ბაცს. ეს ცდები ადასტურებს, რომ მნიშვნელობა აქვს მიმართებას, მთლიან სტრუქტურას და არა ელემენტს, მის აბსოლუტურ თვისებას (განათების კონკრეტულ ხარისხს). ის გარემოება, რომ მოცემული ეფექტი მიღებულ იქნა ქათმებთან, მიუთითებს აღქმის სტრუქტურების პირველად და პრიმიტიულ ხასიათზე. სტრუქტურული მთლიანი არ არის მაღალი ფსიქიკური ფუნქციების ჩარევის შედეგი; ის არაა ინტელექტიდან, შემოქმედებითი სინთეზიდან ან რაიმე მსგავსიდან ნაწარმოები თვისება. შემდგომ შრომაში "ადამიანის მსგავსი მაიმუნების ინტელექტის გამოკვლევა" (1917), კელერმა განაზოგადა ანთროპოიდების კვლევისას მიღებული შედეგები. ეს კლასიკური მონოგრაფიაა; მასში ჩამოყალიბებულია მოსაზრებათა სისტემა ამოცანის გადაწყვეტის პროცესის შესახებ, რომელიც აღქმის სტრუქტურის შეცვლის, ახალი გეშტალტის წარმოქმნის მექანიზმს ეფუძნება.

1921 წელს კოფკამ გამოაქვეყნა წიგნი "ფსიქიკური განვითარების საფუძვლები", რომელშიც სტრუქტურის პრინციპზე დაყროდნობით განიხილა ფსიქიკური განვითარების ფაქტები ფილოგენეზში და ონტოგენეზში. კურტ

კოფკა (1886-1941) დაიბადა ბერლინში. სტუდენტური გატაცება ფილოსოფიით შეცვალა ფსიქოლოგიის ინტერესმა. ვერთჰაიმერისა და კელერის მსგავსად, ისიც შტუმფთან სწავლობდა. შემდეგ მუშაობდა ასისტენტად კიულპესთან ვიურცბურგში და შუმანთან ფრანკფურტში, სადაც დაუახლოვდა გეშტალტფსიქოლოგიური ტრიუმვირატის სხვა წევრებს. 1911-1924 წლებში ასწავლიდა გესენის უნივერსიტეტში. გეშტალტფსიქოლოგიის ფუძემდებელთაგან იგი ყველაზე ადრე გადასახლდა ამერიკაში, სადაც 1927 წლიდან სიკვდილამდე ეკავა პროფესორის თანამდებობა სმიტის კოლეჯში ნორპემპტონში (მასაჩუსეტსი). კოფკას აზრით, განვითარება გეშტალტების წარმოქმნაში, დიფერენცირებაში და ამ სტრუქტურებს შორის კავშირების დამყარებაში მდგომარეობს. სულ პატარა ბავშვის სამყაროც ერთგვრად გეშტალტიზებულია, მაგრამ მის გეშტალტები ნაკლებად სტრუქტურირებულია და ისინი განმხოლოებულნი არიან. ვინაიდან გეშტალტის ფორმირებისა და ტრანსფორმაციის პროცესს გარესამყაროს აღქმა განაპირობებს, სწორედ ის წარმოადგენს წამყვან ფუნქციას ფსიქიკურ განვითარებაში. აღქმის ძირითადი ნიშნები (კონსტანტობა, საგნობრიობა, სიზუსტე) თანდათან ყალიბდება, გეშტალტიზაციის თვისების მომწიფებასთან ერთად. თავის ლაბორატორიულ კვლევებში კოფკამ აჩვენა, რომ თავდაპირველად ბავშვს გარე სამყაროს ერთობ ბუნდოვანი და არც თუ ადექვატური სურათი აქვს. ასეთია, მაგალითად, სხვა ადამიანის ხატი ახალშობილთან. ამ გეშტალტში შედის სახე, თმა, ხმა, სუნი, მოძრაობები და სხვა; ამიტომ, თითო ბავშვმა შეიძლება ვერც იცნოს ახლობელი ადამიანი, თუ ის შეიცვლის ვარცხნილობას ან ჩვეულ ტანსაცმელს. რამდენიმე თვეში ვითარება იცვლება, ეს დიფუზური საერთო წარმოდგენა დიფერენცირდება; ადამიანის სახე ცალკე გეშტალტად გამოიყოფა და მისი ნაკვთები

ამ საერთო სტრუქტურაში ერთიანდება; ჩნდება ხმასთან, მიმიკა-პანტომიმიკასთან დაკავშირებული სტრუქტურები. იგივე ითქმის ფერების აღქმის შესახებ. თავდაპირველად ბავშვები აღიქვამენ გარემოს მხოლოდ როგორც შეფერილს და უფეროს; უფერო განიცდება ფონად, შეფერილი – ფიგურად. თანდათან შეფერილობის გეშტალტი დიფერენცირდება თბილ და ცივ ფერებად; უფერო მოგვიანებით კი თბილი ფერის მთლიან სტრუქტურაში გამოიყოფა ყვითელი და წითელი, ხოლო ცივისაში – მწვანე და ლურჯი. საწყისი დიფუზური გეშტალტის დიფერენცირება გრძელდება იქამდე, ვიდრე ყველა ფერის სწორი აღქმა არ ჩამოყალიბდება.

ონტოგენეტური განვითარების კიდევ ერთი ხაზი აღქმითი და ქცევითი ანუ *სენსომოტორული სტრუქტურების* განმტკიცებასა და გართულებაში მდგომარეობს. სენსომოტორული სტრუქტურები ნამდვილად ერთიანი და მთლიანი წარმონაქმნებია – მათი ნაწილებად დაშლა გამარტივების, უკუსელის ტოლფასია. ამრიგად, ამ შემთხვევაშიც გეშტალტი პირველადია. ოღონდ აქ უკვე ლაპარაკია არა ერთი სფეროს (მაგ. აღქმის) შიგნით, არამედ ორი სფეროს კავშირის გამომხატველ მთლიანობაზე. კოფკა იხილავს ასეთი კავშირების შემთხვევებს, ეთქვათ ბგერაზე თავის მობრუნების ან ტაცების პროცესს და ასაბუთებს სენსომოტორული მთლიანობის არსებობას. აქ სახეზეა არა სენსორული და მოტორული ერთეულების ასოციაციური კავშირი, არამედ კომპონენტების ერთიანობა ახალი სტრუქტურული მთლიანობის, ანუ გეშტალტის შიგნით.

1921 წელს გეშტალტფსიქოლოგიური ტრიუმვირატი აარსებს თავის საკუთარ ჟურნალს "ფსიქოლოგიური გამოკვლევები", სადაც იბეჭდება ვერთჰაიმერის საპროგრამო წერილები გეშტალტფსიქოლოგიის შესახებ. ამ წერილებში, კელერის წიგნში "გეშტალტფსიქოლოგია" (1929) და კოფკას მონოგრაფიაში "გეშტალტფსიქოლოგიის პრინციპები" (1935) ჩამოყალიბებულია ამ თეორიის ძირითადი მინაარსი. გეშტალტფსიქოლოგების პუბლიკაციებზე მსჯელობისას უთუოდ უნდა აღინიშნოს კელერის შრომა "ფიზიკური გეშტალტები მოსვენებულ და სტაციონალურ მდგომარეობაში" (1920), რომელშიც განხილულია პრინციპული მეთოდოლოგიური პრობლემები და მოცემულია ე.წ. *იზომორფიზმის კონცეფცია.* აქ გეშტალტის იდეა ფსიქოლოგიის საზღვრებს სცილდება და ზოგადმეცნიერული პრინციპის სახეს იღებს. მთლიანობა სამყაროს (მატერიალური, ცოცხალი, სულიერი) არსებობის პრიციპად და ძირეულ თვისებად არის მიჩნეული. ფიზიკური, ფიზიოლოგიური და ფსიქიკური მოვლენების ურთიერთმიმართების გააზრებას კელერი სწორედ ამ პრინციპების საფუძველზე ცდილობს.

კელერი ამოდის იქიდან, რომ სამყაროში ყველა პროცესი გეშტალტურია. *გეშტალტი უნივერსალური პრინციპია.* ფსიქიკის ახსნა ნიშნავს მისი შესატყვისი (იზომორფული) მთლიანი პროცესის მონახვას ტვინში, რომელსაც, თავის მხრივ, შეესაბამება ფიზიკური პროცესი. კელერს ფიზიკოსის განათლება საშუალებას აძლევს თავისუფლად ილაპარაკოს მაქსველისა და ფარადეის მიერ აღმოჩენილ ველებზე. იგი უშვებს მათ არსებობას ტვინში. თვით ელემენტარული პროცესიც მთლიანია – ერთ ადგილას მომხდარი

ცელილება პრაქტიკულად მთელი სისტემის რეაქციას და ცელილებას იწვევს. ელექტრომაგნიტურ ველს თავისი სტრუქტურა გააჩნია. ის არ იყოფა სეგმენტებად და არ შედგება ნაწილებისაგან, რადგან მისი სრუქტურული მომენტები ერთმანეთისმიერნი არიან: მომენტი მთლიანისმიერია, მთელი მომენტისმიერი. მაშასადამე, ფიზიკურ სამყაროში არსებობს მოელენები, რომელთაც გეშტალტის თვისება გააჩნიათ. ახლა უკვე შესაძლებელი ხდება ფსიქიკურის ფიზიოლოგიური კორელატის ნამდვილად მთლიან, გეშტალტურ ბუნებაზე ლაპარაკი. გეშტალტის აღქმისას, პერცეპტულ აპარატში (თვალის ბადურაზე), იმთავითვე მთლიანი პროცესი ჩნდება და შემდგომში, ამავე სახით ცენტრალურ სფეროზე გადადის. მთელი ოპტიკური სექტორი, პერიფერიიდან ცენტრამდე, ერთ მთლიან გეშტალტურ ველს წარმოადგენს, ისეთივეს, როგორიცაა მაგალითად, მაგნიტური ველი. ფიზიოლოგიური გეშტალტური პროცესები ფიზიკო-ქიმიური პროცესების, ე.ი. ფიზიკური გეშტალტების იზომორფულია. თუ ადამიანი აღიქვამს თეორ წრეს რუხ ფონზე, ეს იმას ნიშნავს, რომ ტვინში არსებობს წრის ფორმის მქონე შემოზღუდული არე. ამ ფიგურის კონტურებზე სპეციფიკური ელექტრული ძალები მოქმედებენ. ისინი უფრო ძლიერნი არიან, ვიდრე მათ გარშემო არსებული ელექტრული ველი, რომელიც რუხ ფონს შეესაბამება. ენერგიის სიმკვრივე ტვინის არეში, რომელიც შეესაბამება ფიგურას, ყოველთვის უფრო მაღალია, ვიდრე ფონის არეში, ამბობს კელერი. აქედან გამომდინარეობს ფიგურა-ფონის ფენომენოლოგია: ფიგურა უფრო გამოკვეთილია, საგნობრივია; კონტური ფიგურას ეკუთვნის, ველის არე კი ფონს; ფიგურა უფრო გეშტალტურია. ასე ხსნის იზომორფიზმის კონცეფცია გეშტალტფსიქოლოგიის ერთ-ერთ ძირითად კანონს – *ფიგურა-ფონის კანონს.*

კიდევ ერთი კანონი, ე.წ. *პრეგნანტობის კანონი,* უკეთესი გეშტალტისკენ, დასრულებული და კარგი ფორმისკენ სწრაფვაში მდგომარეობს. ფიზიოლოგიის სფეროში მასაც თავისი შესაბამისი ტენდენცია მოეპოვება, რომელიც, თავის მხრივ, ფიზიკაში ცნობილი ენერგიის მინიმუმის, ენტროპიის პრინციპზეა დაფუძნებული. ცნობილია, რომ თუ რთულად დახვეულ ლითონის მავთულში ძლიერ დენს გავატარებთ, ეს ფიგურა იქამდე იმოძრავებს, ვიდრე უმარტივეს და ეკონომიურ (წრისებრ) ფორმას არ მიიღებს. ამგვარად, ფსიქიკურ ტენდენციას აქაც პარალელური ფიზიკური ტენდენცია ახლავს და ასეა ყველგან. კელერის იზომორფიზმის თეორია ფსიქოფიზიკური და ფსიქოფიზიოლოგიური პარალელიზმის გეშტალტფსიქოლოგიურ ვარიანტს წარმოადგენს.

აღნიშნული გეშტალტიზაციის კანონები, ფაქტობრივად, აღქმის კანონებია, ვინაიდან ისინი აღქმის სფეროში ჩატარებული მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტებით არის დადგენილი. ამ გამოკვლევებით დამტკიცდა, რომ აღქმა გეშტალტურია, მთლიანია. პირველადი განცდა მთელის განცდაა, ხოლო ნაწილები მთლიანით განისაზღვრება და მისგან გამოიყვანება. ელემენტი ნაწარმოები, მეორადი განცდაა. ამას აღასტურებს სხვადსხვა ილუზიის ეფექტები, მაგალითად ზანდერ-ფუქსის ილუზია, სადაც მოყვითალო-მომწვანო წრე ხან მწვანედ განიცდება, ხან ყვითლად იმის მიხედვით, თუ რა ფერის წრეებს

შორისაა ის მოთავსებული. იმავეზე მეტყველებს მიულერ-ლაიერის ცნობილი ილუზია, სადაც დიდი გეშტალტის შემადგენლობაში შესული ხაზი დიდად გვეჩვენება და პირიქით.

გეშტალტის ჰეგემონია ნაწილებზე იმდენად დიდია, რომ გარკვეულ დონემდე ის დამოუკიდებელი ხდება სენსორული მასალისაგან, ნაწილებისაგან: შეგრძნების მასალა იცვლება, აღქმის გეშტალტი კი უცვლელი რჩება. მაგალითად, შესაძლებელია მელოდიის შესრულება სხვადასხვა ოქტავაში, სამკუთხედის გამოსახვა სხვადასხვა ფერით და ა.შ. ამ მოვლენას, გეშტალტის ტრანსპონირება ეწოდება. გეშტალტს ახასიათებს *შევსებულობა, სისრულე:* გარკვეულ ფარგლებში მას ვერ არღვევს ხარვეზები. ხარვეზი აღქმაში იავსება, ამიტომ ვერ ვამჩნევთ გამოტოვებულ ასოებს სიტყვაში, ხაზის წყვეტას სამკუთხედში და სხვა. ამ მოვლენას *ამპლიფიკაცია* ეწოდება. მისი გამოვლინებაა ე.წ. *დაუმთავრებლობის განცდა* ის მაშინ ჩნდება, როცა ჩვენ ვამჩნევთ ხარვეზს და განცდაში მისი შევსების, დასრულების ტენდენცია აღმოცენდება. ეს სპეციფიკური, დაძაბულობის იერის მქონე და მისწრაფების ტენდენციის შემცველი განცდაა (მაგ., უეცრად შეწყვეტილი მელოდიის დასრულების სურვილი). როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, დაუმთავრებლობის ფენომენის ეს მოტივაციური ასპექტი შემდგომში კელეის საგანი გახდა გეშტალტფსიქოლოგიის საფუძველზე აღმოცენებულ კ. ლევინის სკოლაში.

აღწერილ ფენომენებს სათანადო გეშტალტფსიქოლოგიური კანონები შეესაბამება, მაგრამ ძირითად კანონებად პრეგნანტობისა და ფიგურა-ფონის კანონები რჩება. აღქმის და, განსაკუთრებით, მხედველობის ველი იყოფა ფიგურად და ფონად. ფიგურა დახულია, გაფორმებულია, დაკონკრეტებულია, წინაა წამოწეული; ფონი განიცდება დიფუზურად, ნაკლებ დანაწევრებულად, ის ფიგურის უკანაა, უფრო დიდია და ცუდადაა ლოკალიზებული. რუბინის ორმაგ ფიგურებში, ფიგურა-ფონის მონცელეობის განცდა ამ ფენომენოლოგიას ადასტურებს.

პრეგნანტობა აღქმის კონსტიტუციური პრინციპია. ყოველი გეშტალტი თავის დამახასიათებელ სტრუქტურულ ნიშნებს გამოკვეთს. გეშტალტი მისწრაფის მისთვის დამახასიათებელი ფორმის პრეგნანტული ანუ გამოკვეთილი, მკვეთრი, ზუსტი ჩამოყალიბებისკენ, ე.ი. კარგი გეშტალტისკენ. ამიტომ, ხელით გაელებული ხაზი სწორი გვეჩვენება, წრე კი – მრგვალი; საათის წიკწიკს 3-4 ტაქტიან რიტმებად ვყოფთ (რიტმი კარგი გეშტალტია); 90 გრადუსით მოღუნულ რკალს მართ კუთხედ აღვიქვამთ და ა.შ.

ვერთჰაიმერისა და კელერის ცდებით დადგინდა ის ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ გეშტალტიზაციის პროცესს, ანუ ნაწილების გაერთიანებას მთელში, ესენია: სიახლოვე, მსგავსება, შინაგანი კუთვნილება, დახულობა, უწყვეტობა, მდებარეობა ან განლაგება ერთმანეთის მიმართ, დისპოზიცია ანუ განწყობა, გამოცდილება.

გეშტალტის კანონები აღქმის მასალაზე იქნა დადგენილი და ბუნებრივია, რომ გეშტალტფსიქოლოგიამ, მთლიანობის იდეის გათვალისწინებით, აღქმის პროცესი სრულიად ახლებურად დაახასიათა. ეს ნოვაცია არ შემოიფარგლა აღქმის სფეროთი და სხვა ფსიქიკურ პროცესებზეც გავრცელდა.

მართებულად შეუცვალა რეპროდუქციის და, საერთოდ, *მეხსიერების* მოვლენების გააზრებაც. ტრადიციულ ფსიქოლოგიაში ეს ასოციაციის მექანიზმის გამოყენებით ხდებოდა. ითვლებოდა, რომ ერთი წარმოდგენა მეორის მოგონებას, ასოციაციის რეპროდუქციის ტენდენციის გამო იწვევს. გეშტალტთეორიის მიხედვით, ერთდროული წარმოდგენები მთლიანი სტრუქტურის ნაწილებად განისილება და ერთის მიერ მეორის გამოწვევა ამ სტრუქტურის განახლების ტენდენციითაა გაპირობებული. მაშასადამე, მეხსიერებაშიც გეშტალტის დასრულების კანონი მოქმედებს. საჩვენებლად შეიძლება თუნდაც ვულფის ექსპერიმენტებზე მითითება, სადაც ცდისპირებს გეომეტრიული ნახაზების აღქმის მერე მათ აღდგენას სთხოვდნენ. გამოირკვა, რომ მოგონების პროცესში მეხსიერების წარმოდგენები გარკვეულ ცვალებადობას განიცდიან და ეს ცელილება გეშტალტის გამოკვეთის მიმართულებით წარიმართება. ამრიგად, დამახსოვრების, რეპროდუქციის და დაეიწყების პროცესებიც გეშტალტ-კანონებს ექვემდებარება.

გეშტალტური კანონზომიერებები *აზროვნების* სფეროშიც მოქმედებს. ე.წ. *აზრ-გეშტალტები* აღქმის გეშტალტებს ენათესავება თუნდაც იმიტომ, რომ აზროვნება სივრცით და სენსომოტორულ სქემებს იყენებს და ხშირად იმის გარჩევაც კი ძნელია, ეს აღქმის გეშტალტია თუ აზროვნების. მაგრამ გეშტალტფსიქოლოგები უფრო შორს მიდიან და უშვებენ, რომ ლოგიკური კავშირები – გეშტალტ-კავშირებია, ლოგიკური პროცესები – მსჯელობა, დასკვნა და სხვა – გეშტალტ-პროცესები.

აზროვნების შესწავლა გეშტალტფსიქოლოგიაში საკმაოდ ადრე დაიწყო. მას დასაბამი დაუდო კელერის ზემოხსენებულმა გამოკვლევამ შიმპანზეების ინტელექტის შესახებ. მის გახმაურებულ ექსპერიმენტებში მაიმუნებს უქმნიდნენ პრობლემურ სიტუაციას, რომელშიც მიზნის მიღწევა (საკვების მოპოვება) პირდაპირი გზით შეუძლებელი იყო და ამისთვის უნდა მიემართათ შემოვლითი გზისთვის. მათ უნდა გამოეყენებინათ სხვადასხვა საგნები, რომლებიც იარაღის ფუნქციას ასრულებდნენ, მაგალითად ჯოხი. ბანანის ხელში ჩასაგდებად. ცდის უფრო რთულ ვარიანტებში (ე.წ. ორფაზიანი ამოცანები) მიზნის მისაღწევად ჯერ იარაღის მოპოვება ან შექმნა იყო საჭირო. მაგალითად, მოკლე ჯოხის საშუალებით მაიმუნს უნდა მიეზიდა გალიის გარეთ მდებარე უფრო გრძელი ჯოხი და მისი საშუალებით მისწვდომოდა ბანანს; ძალიან გართულებულ სიტუაციაში საჭირო იყო გრძელი ჯოხის შექმნა ორი არასაკმარისი სიგრძის ბამბუკის ჯოხის ერთმანეთში ჩარჭობით. ცდებმა აჩვენა, რომ პირდაპირი გზით ამოცანის გადაწყვეტის უშედეგო მცდელობის შემდეგ მაიმუნები წყვეტენ უაზრო მოქმედებას, გარკვეული ხანი აკვირდებიან სიტუაციას და მერე უცებ ასრულებენ სწორ მოქმედებას.

კელერის ინტერპრეტაციით ამ ცდებში საქმე გვაქვს ინსაიტის მოვლენასთან. *ინსაიტი* – ამოცანის უცაბედი გადაწყვეტა, მიხვედრაა; აღწერილ შემთხვევაში ეს ნიშნავს მაიმუნის მიერ პრობლემური სიტუაციიდან თავის დასაღწევად აუცილებელი საგნობრივი მიმართებების უცაბედ წვდომას. ამოცანის ასეთი გადაწყვეტა ნამდვილ აზროვნებად არის მიჩნეული და იგი უპირისპირდება პროცესის ბიჰევიორისტულ, სახელდობრ, თორნდაიკისეულ

ინტერპრეტაციას. თორნდაიკის ექსპერიმენტებში პრობლემური გალიიდან გამოსვლის ამოცანა თანდათანობით, მრავალი ცდისა და შეცდომის გაელით წყდება. კელერის აზრით, იქ ცხოველი ისეთ სიტუაციაშია მოქცეული, რომ იძულებულია იაროს ბრმა დასწავლის გზით, რადგან მოკლებულია შესაძლებლობას, აღიქვას პრობლემის ყველა მნიშვნელოვანი ელემენტი. ინსაიტი შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაშინ, თუ სიტუაციის მთელი სტრუქტურა სახეზეა. კელერის ცდებში ინსაიტი აღქმის სრუქტურის ელემენტებს შორის ისეთი მიმართებების წვდომაა, რომლებიც მანამდე გათვალისწინებული არ იყო. ინსაიტი, უაქტობრივად, ახალი გეშტალტის შექმნის ან, როგორც ავტორი ამბობს, გეშტალტის გადასტრუქტურების აქტია.

საზოგადოდ, ინსაიტისთვის რამდენიმე ნიშანია დამახასიათებელი, რომელთაგან უმთავრესია *უცაბედობა ან მყისიერება და ტრანსპოზიცია*. ეს უკანასკნელი წარმოადგენს პრობლემის გადაწყვეტის უკვე მიგნებული სერის გადატანას სხვა მსგავს პრობლემებზე. ტრანსპოზიციის ფენომენის შესწავლას დიდი ყურადღება დაეთმო გეშტალტფსიქოლოგიურ კვლევაში. საერთოდ კი ინსაიტის ცნებამ გეშტალტთეორიაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი დაიკავა და საფუძველად დაედო აზროვნების პროცესის ყველა გამოვლინების დახასიათებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ე.წ. *პროდუქტიული აზროვნების* კვლევა, რომელიც ვერთჰაიმერმა განახორციელა. კელეების შედეგები განზოგადებულია წიგნში "პროდუქტიული აზროვნება", რომელიც ავტორის გარდაცვალების მერე გამოქვეყნდა და მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შრომად ითვლება.

ვერთჰაიმერმა მდიდარ ემპირიულ მასალაზე (ბავშვებზე და მოზრდილებზე მიღებული ექსპერიმენტული მონაცემები, დიდი აღმოჩენების ანალიზი, უაღრესად საგულისხმო საუბრები აინშტაინთან) შეისწავლა შემეცნებითი სტრუქტურების, სახეცვლილების, ტრანსფორმაციის კანონზომიერებები. იგი მივიდა დასკვნამდე, რომ აზროვნების პროცესს პროდუქტიული, *შემოქმედებითი* სასიათი აქვს და გულისხმობს საწყისი მასალის *ცენტრირების შეცვლას*, მის ახალ დინამიკურ მთლიანობად *რეორგანიზაციას ან სტუქტურირებას*. ამ ტერმინებით აღიწერება ინტელექტუალური მოქმედების ლოგიკურისაგან განსხვავებული, რეალური ფსიქოლოგიური ასპექტები. ვერთჰაიმერმა გამოყო აზროვნების პროცესის რამდენიმე ეტაპი. 1) თემის წარმოქმნა, საკითხის დასმა. აქ აღმოცენდება საკითხზე "მიმართული დაძაბულობა", რომელიც მობილიზაციას უკეთებს ადამიანის შემოქმედებით ძალებს. 2) პრობლემის გაცნობიერება და სიტუაციის ყველა ნიუანსის ანალიზი. ამ ეტაპზე პრობლემური სიტუაციის მთლიანი წარმოდგენა ყალიბდება. 3) პრობლემის გადაჭრა, საჭირო სტრუქტურის მონახვა ინსაიტის გზით. სააზროვნო პროცესის ეს სტადია, უპირატესად, არაცნობიერად მიმდინარეობს. 4) სამემსრულებლო სტადია, ანუ ამ სტრუქტურის შესაბამისი რეალიზაციის გზების გამონახვა.

ვერთჰაიმერი განსაკუთრებით აღნიშნავს ამოცანის პირობების შემცველი მონახაზის, *თვალსაჩინო სქემის* მნიშვნელობას. სქემის აღექვატურობა განსაზღვრავს ამოცანის გადაწყვეტის პროცესის მიმართულებას და სისწრაფეს, პრობლემის სხვადასხვა ნიუანსების დანახვისა და, საბოლოო

ჯამში, ახალი გეშტალტის შექმნის სიაღვილეს. აზროვნება სწორედ ეს არის; იგი "სტრუქტურული თვისებებისა და სტრუქტურული მოთხოვნების დანახვაში, გაცნობიერებაში მდგომარეობს; ისეთი მოქმედებების შერჩევაში, რომლებიც ამ მოთხოვნებს შეესაბამებიან, მათ მიერ განისაზღვრებიან და, ამდენად, სიტუაციას ცვლიან მისი სტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებით". რაც უფრო მეტ ახალ მნიშვნელობას იძენს სტრუქტურებში ჩართული საგნები, მით უფრო მრავალფეროვანია აზრითი გეშტალტები და ეფექტურია აზროვნება. გეშტალტების გადასტრუქტურების პროცესი უფრო ადვილად წარიმართება მაშინ, როცა მასალა თვალსაჩინოა; ვერბალური მასალის შემთხვევაში პროცესი რთულდება. ამიტომ ვერთჰაიმერი თვლის, რომ ლოგიკურ აზროვნებაზე საადრეკი გადასვლა ხელს უშლის ბავშვის შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას; იგივე ითქმის, სხვათა შორის, მასალის მექანიკურ გამეორებაზეც. მიუხედავად იმისა რომ ვერთჰაიმერის დასკვნები აზროვნების მთელ პროცესს ეხება და ზოგად ხასიათს ატარებს, მისი გამოკვლევა, უპირატესად, "ვიზუალურ" აზროვნებას უკავშირდება. აქ კვლავ გამოჩნდა ის პრიორიტეტული როლი, რომელსაც გეშტალტფსიქოლოგია აღქმას ანიჭებს.

რადგან სიტყვამ მოიტანა, ისიც ავღნიშნოთ, რომ გეშტალტფსიქოლოგების ყურადღების კონცენტრაცია პერცეფციის საკითხებზე ბუნებრივია და კანონზომიერი. გეშტალტფსიქოლოგები, პირველ ყოვლისა ვუნდტის სისტემის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ამ უკანასკნელის მთავარი დასაყრდენი კი შეკრძნებებისა და აღქმის კვლევის შედეგები იყო. ამიტომ გასაგებია, რომ საკუთარი კვლევა მათაც ამ მიმართულებით წარმართეს, რათა ოპონენტი საკუთარ მინდორზე დაემარცხებინათ. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ პერცეპტული და, განსაკუთრებით, ვიზუალური პროცესების კვლევა ექსპერიმენტული ცვლადების მკაცრი გაკონტროლების საშუალებას იძლევა, რაც ისეთი მომთხოვნი ექსპერიმენტატორებისთვის, როგორც გეშტალტისტები იყვნენ საკმაოდ წონიან გარემოებას წარმოადგენდა.

საინტერესოა გეშტალტფსიქოლოგიისა და ბიჰევიორიზმის ურთიერთმიმართება, ვინაიდან ეს ორი მიმდინარეობა ერთი ტიპის, სახელდობრ, საბუნებისმეტყველო ფსიქოლოგიას მიეკუთვნება. ისინი გარკვეული ხნის განმავლობაში ერთდროულად ვითარდებოდნენ და, რიგ შემთხვევებში, საკმაოდ მძაფრად ეპაექრებოდნენ ერთმანეთს. ამერიკის შეერთებულ შტატებში გეშტალტფსიქოლოგიის შესახებ ოციანი წლების დასაწყისში გაიგეს გეშტალტფსიქოლოგიის ჟურნალში გამოქვეყნებული ვერთჰაიმერის წერილებიდან. უკვე ამ დროს, ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ნეობიჰევიორისტი ტოლმენი, ლაბირინთში ვირთხების ქცევის ახსნისას იყენებს ტერმინებს "საგნობრივი გეშტალტი" და "გეშტალტ ნიშანი". 1924 წელს კორნელის უნივერსიტეტში ლექციებით ჩამოდის კოფკა, ხოლო ერთი წლის მერე ჰარვარდში, კელერი. მალე კოფკა ამერიკაში დასახლდა და მუშაობა დაიწყო სმითის კოლეჯში; 30-იან წლებში, განერიდა რა ნაციზმსა და ანტისემიტიზმს, გეშტალტფსიქოლოგიურმა ტრიუმვირატმა შეერთებულ შტატებში გადაინაცვლა. აქ ისინი დაიქსაქსნენ და გეშტალტფსიქოლოგიამ, როგორც ერთიანმა სკო-

ლამ, ფაქტობრივად, შეწყვიტა თავისი არსებობა.

ფსიქოლოგიის ისტორიკოსებს შორის არ არის ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი აზრი იმის შესახებ, თუ რა გაელენა მოახდინა გეშტალტფსიქოლოგიამ ამერიკულ ფსიქოლოგიაზე. ერთნი ფიქრობენ, რომ ეს გაელენა ერთობ მნიშვნელოვანი იყო. მათი აზრით, გეშტალტფსიქოლოგიას დიდი წელილი მიუძღვის თავდაპირველი, კლასიკური ბიჰევიორიზმის გარდაქმნაში ნეობიჰევიორიზმად. სხვათა შეფასებით, გეშტალტფსიქოლოგიური იდეების გავრცელება ამერიკაში რთულად მიდიოდა; იქ ბიჰევიორიზმის ზეობის ხანა იყო. ამ უკანასკნელისთვის კი გეშტალტფსიქოლოგია თავისი მენტალურობის, ფილოსოფიურობისა და გერმანული აზროვნების "დამძიმებულობის" გამო, ცოტა არ იყოს უცნაურ, არაერთმნიშვნელოვან და "თითქმის მისტიკურ" თეორიად რჩებოდა. როგორც ჩანს, ორივე პოზიცია შეიცავს სიმართლეს და უფრო მიზანშეწონილი იქნება, თუ შუალედური თვალსაზრისით ვიხემძღვანელებთ. ერთგვარი გაელენა ბიჰევიორიზმზე გეშტალტფსიქოლოგიამ უთუოდ იქონია და ამის საჩვენებლად თუნდაც ტოლმენის კონცეფციაზე მითითებაა საკმარისი. ამ გახმაურებულ მოდელში ასიმილირებულია გეშტალტფსიქოლოგიის ზოგიერთი იდეა და პირდაპირ არის ნათქვამი, რომ დასწავლის პროცესში გეშტალტური სტრუქტურების ჩამოყალიბება ხდება (იხ. 8.2.). მეორე მხრივ, ისიც აშკარაა, რომ გეშტალტფსიქოლოგია ეერასდროს უწევდა ამერიკაში სერიოზულ კონკურენციას ბიჰევიორიზმს; მათ შორის ყოველთვის ბევრად მეტი განსხვავება იყო, ვიდრე მსგავსება. ეს ყველაზე კარგად ჩანს ამ ორი თეორიის მიმართებაში ეუნდტიდან მოდინარე კლასიკურ ფსიქოლოგიასთან, რომელსაც ორივე უპირისპირდება, მაგრამ განსხვავებული მოტივებით.

ტრადიციულ ფსიქოლოგიას, ჩვეულებრივ, ხუთი ნიშნით ახასიათებენ. ეს ფსიქოლოგია არის 1) ექსპერიმენტული, 2) ინტროსპექციული, 3) სისტემური ანუ ფილოსოფიური, 4) ელემენტარისტული და 5) ასოციაციონისტური. ექსპერიმენტულობა ერთნაირად მიესადაგება გეშტალტფსიქოლოგიასაც და ბიჰევიორიზმსაც. დანარჩენი ნიშნების მიმართ კი მათი პოზიციები განსხვავებულია. გეშტალტფსიქოლოგია არ უარყოფს კლასიკური ფსიქოლოგიის ინტოსპექციონიზმს; მისი ფენომენოლოგიური მეთოდი ხომ ექსპერიმენტული თვითდაკვირვების სახეობაა. ბიჰევიორიზმის მთავარი და არსებითი ნიშანი კი ინტროსპექციისა და ცნობიერების უარყოფაა. გეშტალტფსიქოლოგია საკმაოდ პოზიტიურად არის განწყობილი ფილოსოფიის მიმართაც – მას არ დაუკარგავს კავშირი დიდ სისტემებთან და მათ პრობლემებთან. კლასიკური ბიჰევიორიზმი (ნეობიჰევიორიზმს ეს ნაკლებად ეხება) გაურბის ფილოსოფიას, თუმცა, მაინც იძულებულია პასუხი გასცეს ზოგიერთ ფილოსოფიურ კითხვას. გეშტალტფსიქოლოგია კატეგორიულად უარყოფს ელემენტარიზმს; ყველაზე მეტად მისთვის სწორედ ეს არის დამახასიათებელი. ბიჰევიორიზმი ცნობიერებასთან ერთად უარყოფს ცნობიერების ელემენტებსაც, მაგრამ ელემენტარიზმზე, როგორც მეთოდოლოგიურ მიდგომაზე, უარს არ ამბობს და, სადაც ხელი მიუწვდება (პირველ ყოველისა ქცევის ანალიზისას), მიუთითებს ელემენტებზე და შეისწავლის მათ (S-R კავშირები, რეფლექსური

რკალი და სხვა). დაბოლოს, გეშტალტფსიქოლოგია გადაჭრით უარყოფს ასოციაციონიზმს, რადგან იგი ელემენტარიზმს გულისხმობს, ხოლო ბიპევიორიზმი საესებით ლოიალურია მის მიმართ; იგი პირდაპირ ლაპარაკობს ასოციაციურ კავშირებზე, თუმცა არა ცნობიერების შინაარსების, არამედ სტიმულისა და რეაქციის ტერმინებში. ზოგიერთ შემთხვევაში ასოციაცია იცელება სხვა, მონათესავე ცნებებით – რეფლექსი, კონექცია და სხვა, მაგრამ ეს საქმის არსებით ვითარებას არ ცელის.

გეშტალტფსიქოლოგიის უდიდესი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან საბოლოოდ გაათავისუფლა ფსიქოლოგია ელემენტარიზმის ბორკილებისაგან. ეს საყოველთაოდ არის აღიარებული. ამაევე დროს, გეშტალტფსიქოლოგიის მიმართ სერიოზულ შენიშვნებსაც გამოთქვამენ. არაერთხელ იქნა მითითებული გეშტალტურობის პრინციპის უკიდეგანო *უნივერსალიზაციის* დაუშვებლობაზე. მართლაც, გეშტალტთეორიაში გეშტალტის კანონები არა მხოლოდ ყველა ფსიქიკურ მოვლენაზე, არამედ, ფაქტობრივად, მთელ სამყაროზე იქნა გავრცელებული. მრავალმა მკვლევარმა აღნიშნა, რომ ყველა მოვლენა თვით ფსიქიკის სფეროშიც არ წარმოადგენს გეშტალტს, ანუ *გარედან გამოყოფილ და შიგნით დიფერენცირებულ მთლიანს.* არსებობს უაღრესად დიფუზური, არასტრუქტურირებული მთლიანობებიც. ეს, როგორც კრიუგერმა აჩვენა, პირველ რიგში, გრძნობებს ეხება[1]. მაგრამ ზოგიერთი აღქმაც, გეშტალტფსიქოლოგიის ეს საჩვენებელი ობიექტი, არაგეშტალტური ბუნებისაა. შტერნის ანალიზში მოცემულია ნამდვილად მთლიანი, მაგრამ გაუნაწევრებელი, არასტრუქტურირებული აღქმის არაერთი მაგალითი. ეს აღქმები ნაკლებადაა პიროვნებისგან გამოყოფილი და სუბიექტურ შინაგან მდგომარეობასთან ერთიანობაში განიცდება. ასეთ განცდებს იწვევს ნიავი სიცხეში, აბაგანა სიცივეში, ყვავილების სურნელი ველზე და სხვა. ეს ნამდვილი აღქმებია, ოღონდ იმდენად ძლიერ შეფერილი ემოციური ტონით, რომ მათი განცდა უფრო ფონის დიფუზურ გაცდას უახლოვდება, ვიდრე ფიგურის დანაწევრებულ გეშტალტს.

რაც შეეხება უფრო შორს მიმავალ უნივერსალიზაციას, უნდა ითქვას, რომ თუ თავდაპირველად გეშტალფსიქოლოგიური კვლევა ზოგადი ფსიქოლოგიის ჩარჩოებში მიმდინარეობდა და კოგნიტურ პროცესებს მოიცავდა, საკმაოდ მალე იგი ფსიქოლოგიის სხვა დარგებზეც გავრცელდა; "მან ზოოფსიქოლოგიაც ჩაირთო. აღმოჩნდა, რომ მაიმუნების აზროვნებაც გეშტალტურია;

[1] მთლიანობის იდეა ერთ-ერთი უმთავრესი იყო ფელიქს კრიუგერის (1874-1948) შემოქმედებაშიც. ვუნდტის გადადგომის შემდეგ იგი სათავეში ჩაუდგა ლაიფციგის სახელგანთქმულ ფსიქოლოგიის ინსტიტუტს. აქ მისი თაოსნობით ჩამოყალიბდა ე.წ. *ლაიფციგის მეორე სკოლა* (იგულისხმება, რომ პირველი ვუნდტის სკოლა იყო), რომელშიც შედიოდნენ ისეთი ცნობილი მკვლევარები, როგორიცაა ჰანს ფოლკელტი (1886-1945), აგრეთვე ფ. ზანდერი და ო. კლემი. ეს სკოლა გეშტალტფიქოლოგიის სკოლის პარალელურად არსებობდა 30-ანი წლების ბოლომდე. ამ შემთხვევაშიც ატომიზმთან დაპირისპირებულ მთლიანობის ფსიქოლოგიასთან გვაქვს საქმე. მთლიანობის საწყის, გენეტიკურად პირველად ფორმად გრძნობა ითვლება, ამიტომ მას ყოველგვარი ფსიქიკური შეიცავს. იგი დიფუზურია და არასტრუქტურირებული. დანაწევრებულობა და სხვა განცდებისაგან გამოყოფილობა უფრო მაღალი დონის მთლიანობების, ე.წ. კოგნიტური გეშტალტებისთვის არის დამახასიათებელი.

იგი გავცელდა ხელოვნებისა და ეთნიკურ ფსიქოლოგიაში – აღმოჩნდა, რომ პირველყოფილი წარმოდგენები მსოფლიოზე და ხელოვნების წარმოშობა აგრეთვე გეშტალტია; ბავშვის ფსიქოლოგიასა და ფსიქოპათოლოგიაში გეშტალტად იქცა ბავშვის განვითარება და ფსიქიკური დაავადება. საბოლოოდ, ერთიან მსოფლმხედველობად გადაქცეული კვალდაკვალ, გეშტალტფსიქოლოგიამ გეშტალტი ისეთ დარგებშიც აღმოაჩინა, როგორიცაა ფიზიკა და ქიმია, ფიზიოლოგია და ბიოლოგია. ლოგიკური ფორმულის სახით ჩამოყალიბებული გეშტალტი სამყაროს საფუძველში აღმოჩნდა. როცა სამყაროს ქმნიდა, ღმერთმა ბრძანა: დე იყოს გეშტალტი – და იგი გაჩნდა ყველგან". ლ. ვიგოტსკის ეს ირონიული შეფასება ერთგვარი გაფრთხილებაა იმათთვის, ვინც კერძო ფსიქიკური მოვლენისა და თუნდაც ძალიან მნიშვნელოვანი პრინციპის მსოფლიო მიზიდულობის კანონის რანგში აყვანას შეეცდება.

გეშტალტფსიქოლოგიის კიდევ ერთი სერიოზული ნაკლი მის უკიდურეს *ობიექტივიზმში* მდგომარეობს. გეშტალტთეორიის თანახმად, ქცევას მთლიანად განსაზღვრავს საგანთა ის ობიექტური მიმართებები და ველის ის ობიექტური სტრუქტურა, რაშიც უნდა გაერკვეს ცნობიერება. ასეა აღქმის შემთხვევაში; ის განიხილება როგორც პასიური პროცესი, რომლის ყველა თვისება ხატის სტრუქტურული ორგანიზაციის კანონზომიერებებით აიხსნება. ასევეა აზროვნებაშიც, მის რომელ ფორმაზეც არ უნდა ვილაპარაკოთ. პრაქტიკული ინტელექტის შემთხვევაში ამოცანის გადაწყვეტა ხდება მთლიანობითი სტრუქტურის, გეშტალტის შექმნის შედეგად, რომელიც მოიცავს როგორც მიზანს (ბანანი), ისე საშუალებას (ჯოხი). უხეშად რომ ვთქვათ, თვითონ მაიმუნი კი არ წყვეტს ამოცანას, არამედ მას თავისთავად აღმოუცენდება გეშტალტი – სიტუაციის მთლიანი ხედვა, საგანთა შორის მიმართებათა წვდომა. იგივე ითქმის პროდუქტიულ აზროვნებაზეც; იგი ისე აღიწერება, თითქოს ამოცანის გადაწყვეტა ადამიანის, სუბიექტის გონებრივი მოქმედების შედეგი კი არაა, არამედ თვითონ ამოცანა ხსნის თავის თავს, თავად მიისწრაფის ამოხსნისკენ. ერთი სიტყვით, გეშტალტთეორიაში იგნორირებულია სუბიექტის, პიროვნების როლი ფსიქიკურ აქტივობაში; იგი ანგარიშს არ უწევს ფსიქიკური მოქმედების შინაგან, სუბიექტისშიერ, პიროვნებიდან მომდინარე დეტერმინაციას. გეშტალტები პიროვნებისაგან დამოუკიდებლად აღმოცენდებიან და მოქმედებენ. გეშტალტის მოწყვეტა პიროვნებისაგან დაუშვებელია. როგორც შტერნი ამბობდა, არ არსებობს გეშტალტი გეშტალტმყოფელის გარეშე. კრიტიკოსები მიუთითებენ, რომ გეშტალტის ფორმირება და ფუნქციონირება, "დამოკიდებულია არა მარტო გარემოს ობიექტურ შემადგენლობასა და სიტუაციის თვისებებზე, არამედ ცნობიერების წინასწარ განწყობაზეც" (კ. მეგრელიძე). დ. უზნაძის ზოგაფსიქოლოგიური კონცეფციის თანახმად კი ეს, პირველ რიგში, სწორედ განწყობაზეა დამოკიდებული. რა თქმა უნდა, გეშტალტფსიქოლოგები ღიად არ უარყოფენ სუბიექტის როლს და გარკვეულად ითვალისწინებენ კიდეც მას (გეშტალტიზაციის ფაქტორებს შორის ვერთჰაიმერი "დისპოზიციის" ფაქტორს აღნიშნავს და ამით მიუთითებს პიროვნების განწყობის როლზე); მაგრამ, არც თეორიული სისტემისა და არც ემპირიული კვლევის დონეზე პიროვნების ფაქტორს

ყურადღება არ ექცევა; იგი, არსებითად, უგულებელყოფილია.

რაც შეეხება საკუთრივ მთლიანობის იდეას, ფსიქოლოგიისთვის იგი მხოლოდ სასარგებლო კი არა, სრულიად აუცილებელი და ფუნდამენტურია. მაგრამ ის შეიძლება ნაყოფიერის ნაცვლად მავნეც აღმოჩნდეს, თუ იმდენად იქნება აბსოლუტიზირებული, რომ ნაწილების ან კერძოს კვლევას შეაფერხებს და სრულებით დაჩრდილავს. გარკვეული აზრით, ასე დაემართა გეშტალტფსიქოლოგიას. უპირატესად აღქმის სფეროში მიმდინარე კვლევა თავიდან ბოლომდე დაექვემდებარა ნაწილების მიმართ მთლიანის აბსოლუტური პეგემონიის იდეას. სავსებით გაუთვალისწინებელი აღმოჩნდა ნაწილის როლი მთელის განსაზღვრულობაში.

## 9.2. ველის თეორია

კ. ლევინის გეშტალტფსიქოლოგიასთან კავშირის შეფასება არაერთმნიშვნელოვანია. ხშირად მას მიიჩნევენ გეშტალტფსიქოლოგიის ერთ-ერთ წარმომადგენლად, რომელმაც, უბრალოდ, ფსიქოლოგიის სხვა სფეროებზე (პიროვნება, მოტივაცია, სოციალური ჯგუფი) განავრცო გეშტალტთეორიის პრინციპები. ლევინს მართლაც ბევრი რამ აკავშირებს გეშტალტფსიქოლოგიასთან. იგი ბერლინში მოღვაწეობდა ამ სკოლის წამყვან ფიგურებთან ერთად. მისი მოძღვრების ცენტრალური ცნება არის დინამიკური ველი, რომლის ყველა პუნქტი ერთმანეთთან ურთიერთობს და ნებისმიერ ადგილას წარმოქმნილი დაძაბულობა იწვევს მისი მოხსნისა და საერთო დინამიკური წონასწორობის აღდგენის ტენდენციას. ლევინს გეშტალტფსიქოლოგიასთან აახლოებს აგრეთვე ორიენტაცია ფიზიკა-მათემატიკურ მოდელებზე. მისთვის არც მთლიანობის, ინსაიტისა თუ იზომორფიზმის იდეებია უცხო. ყოველივე ამასთან ერთად, ლევინის მიერ რეალიზებული მეთოდოლოგიური და თეორიული პრინციპები გამოკვეთილად თავისებური და ორიგინალურია; რაც მთავარია, არსებითად განსხვავებულია კვლევის საგანი. გეშტალტფსიქოლოგია კოგნიტურ, უპირატესად, პერცეპტულ სტრუქტურებს შეისწავლიდა, ხოლო ლევინი — ზოგადად ქცევას. იგი ქცევის მოტივაციის ექსპერიმენტული კვლევის პიონერია, რის გამოც დამოუკიდებელი მიმდინარეობისა და სკოლის შემქმნელად ითვლება. თავად ლევინი ყოველთვის ღრმა პატივისცემას გამოხატავდა თავისი გეშტალტფსიქოლოგი კოლეგების მიმართ, მაგრამ ამავე დროს მკაფიო საზღვარს ავლებდა მათ შეხედულებებთან და სპეციალურად არქმევდა თავის სისტემას ხან *ველის თეორიას*, ხან *დინამიკურ თეორიას*, ხან *ტოპოლოგიურ ფსიქოლოგიას*.

**კურტ ლევინი** (1890-1947) დაიბადა პრუსიაში, ქალაქ მოგილნოში. სწავლობდა ფრაიბურგის, მიუნპენისა და ბერლინის უნივერსიტეტებში. ამ უკანასკნელში 1914 წელს შტუმფის ხელმძღვანელობით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ომის დაწყე-

ბისთანავე გაიწვიეს ჯარში, სადაც ოთხი წელი იმსახურა; იყო მძიმედ დაჭრილი, დაიმსახურა საბრძოლო ჯილდოები. ომის მერე დაუბრუნდა ბერლინის უნივერსიტეტს და ჩაერთო აქტიურ პედაგოგიურ და კელეეით საქმიანობაში. 1933 წელს გერმანიაში ფაშისტური წყობილების დამყარების გამო იძულებული გახდა გადასახლებულიყო აშშ-ში. აქ იგი ჯერ სტენფორდის, შემდეგ კორნელის უნივერსიტეტებში მოღვაწეობდა; 1945 წელს დააარსა და სათავეში ჩაუდგა ჯგუფური დინამიკის კელეეით ცენტრს მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში. ლევინის ძირითადი შრომებია: "განზრახვა, ნებელობა და მოთხოვნილება" (1926), "პიროვნების დინამიკური თეორია" (1935), "ტოპოლოგიური ფსიქოლოგიის პრინციპები" (1936).

ლევინს ფართო მეცნიერული ინტერესები ქონდა – კარგად იცნობდა ფიზიკას, მათემატიკას, ბიოლოგიას. იგი დაინტერესებული იყო ზოგადმეცნიერული, მეთოდოლოგიური საკითხებით და ცდილობდა, გაეაზრებინა ფსიქოლოგიის კრიზისული მდგომარეობა მეცნიერების განვითარების საერთო კანონზომიერებების ფონზე. ამისთვის იგი მიმართავდა ანალოგიას ფიზიკასთან, რომლის დიდი წარმატებები, ლევინის აზრით, დაკავშირებული იყო ძველი, არისტოტელესეული აზროვნების წესიდან ახალ, გალილეისეულ აზროვნების წესზე გადასვლასთან. არისტოტელეს მიხედვით, სამყარო ჰეტეროგენულია, ყველა ფიზიკურ სხეულს თავისი საკუთარი, იმანენტური თვისება გააჩნია. მაგალითად, ობიექტი ზევით იმიტომ მოძრაობს, რომ მსუბუქია; ეს კი იმით არის გამოწეეული, რომ მისი ძირითადი ელემენტი ჰაერია; მძიმე სხეული ქვეეით მოძრაობს, ვინაიდან მისი ძირითადი ელემენტი მიწაა. მაშასადამე, საგანთა "ყოფაქცევა" დეტერმინირებულია მათთვის შინაგანად დამახასიათებელი უცელელი თვისებებით. ამასთან, სამყარო გაყოფილია მიწიერ და ციურ სფეროებად, სხეულთა განსხვავებული თვისებებით. ამიტომ დედამიწის ობიექტებისთვის დამახასიათებელია მოძრაობის ერთი სახე (ვერტიკალური), ხოლო კოსმოსურისთვის – მეორე (ბრუნვადი). ამავე დროს ითვლება, რომ ეს უკანასკნელი მოძრაობის უფრო მაღალ დონეს წარმოადგენს. ერთი სიტყვით, არისტოტელეს მიხედვით, სამყაროს მოვლენები დაყოფილია იარუსებად და მოვლენათა თითოეულ კლასს საკუთარი კანონზომიერება აქვს. კანონზომიერება კი ნიშნავს მოვლენის განმეორებადობას, რეგულარულობას.

ახალი დროის ფიზიკა სრულიად სხვაგვარად განიხილავს სამყაროს. გალილეისეული მიდგომის თანახმად, იგი ამოდის არა საგანთა საკუთარი თვისებებიდან, არამედ მათ შორის არსებული მიმართებებიდან. სამყარო ჰომოგენურია; ყველა საგანი თუ მოვლენა საერთო კანონებს ემორჩილება. ფიზიკა ამ კანონებს ადგენს (მაგ., ნიუტონის მექანიკის კანონები), რაც საშუალებას გვაძლევს, ვიწინასწარმეტყველოთ ყოველი კონკრეტული ობიექტის ქცევა. ლევინის აზრით, ფსიქოლოგია არისტოტელესეული აზროვნების წესით შემოიფარგლა და ამ დონეზე შეჩერდა. ფსიქოლოგიაშიც, მიწიერი და ციური სფეროების გამიჯვნისა არ იყოს, სულიერი სამყარო დაყოფილია მოვლენათა განსხვავებულ კლასებად თავისი საკუთარი თვისებებითა და კანონებით. მათ ფსიქოლოგიის სხვადასხვა დარგი შეისწავლის განსხვავე-

ბული პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით. ლევინის რწმენით, ფსიქოლოგიის პროგრესი შესაძლებელია, თუ ყოველი ფსიქიკური ფაქტი მიზეზობრივი მიმართებების ერთიანი სისტემის საფუძველზე იქნება განხილული. სწორედ ასეთი მიმართებების დადგენა მოგვცემს შესაძლებლობას, *ვიწინასწარმეტყველით* კონკრეტული, კერძო ფსიქოლოგიური მოვლენა; ამის გარეშე ფსიქოლოგია გამართული *საბუნებისმეტყველო მეცნიერების* რანგში ვერასდროს ამაღლდება. აუცილებელია ფსიქოლოგიის *ჰომოგენიზაცია;* კანონის მოქმედება მთელ ფსიქიკურ სფეროზე უნდა ვრცელდებოდეს. ამასთან ერთად, "ყოველი ფსიქოლოგიური კანონი უნდა სრულდებოდეს გამონაკლისის გარეშე". ეს შესაძლებელს გახდის, მოისსნას გადაულახავი საზღვარი და დაპირისპირება ნორმასა და პათოლოგიას, ადამიანსა და ცხოველს, ბავშვსა და მოზრდილს, სულსა და სხეულს შორის. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები უკვე გადადგა ფსიქოანალიზმა და ბიჰევიორიზმმა. თუმცა, განსაკუთრებულ იმედებს, ბუნებრივია, ლევინი მთლიანობის ფსიქოლოგიაზე ამყარებს; მის მიერ ოპტიკურ სფეროში აღმოჩენილი სტრუქტურის (გეშტალტის) კანონები ვალიდური აღმოჩნდა არა მხოლოდ მთლიანად კოგნიტური სფეროს მიმართ, არამედ ისეთი მოვლენების მიმართაც, როგორიცაა ნებელობა, მოტივაცია, ემოცია და ა.შ. მათ კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ პიროვნებისა და მისი ქცევის ორგანიზაციისთვის.

სწორედ ეს პრობლემატიკა გახდა ცენტრალური ლევინის კვლევა-ძიებაში. ყველგან, სადაც არის ქცევა, უნდა არსებობდეს სათანადო დინამიკური, *მოტივაციური ფაქტორი.* ლევინმა მრავალი ექსპერიმენტული და თეორიული გამოკვლევა მიუძღვნა იმის გარკვევას, თუ რა სახისაა ეს ფაქტორი და როგორ მოქმედებს იგი.

ლევინის თანახმად, ყოველგვარი აქტივობის აღმძერელ მიზეზს, მოტორს, ფსიქიკური ენერგიის შემცველი *დაძაბულობის სისტემა* წარმოადგენს. დაძაბულობის სისტემა, არსებითად, წონასწორობის დარღვევის გამოხატულებაა და მისი აღდგენის ტენდენციას შეიცავს. ლევინმა დაძაბულობის დინამიკური სისტემის ორი სახეობის არსებობა დაუშვა; ესენია *ბუნებრივი მოთხოვნილება და კვაზი-მოთხოვნილება.* ნამდვილი ან პირველადი მოთხოვნილებები თანდაყოლილი და მდგრადი ხასიათისაა. კვაზი-მოთხოვნილებები ცხოვრებისეული ამოცანების შესაბამისად მიღებული *გადაწყვეტილებებისა თუ განზრახვების* შედეგად წარმოიქმნება. ფუნქციონალურად, აქტივობის დინამიკის განსაზღვრის თვალსაზრისით, ისინი ბუნებრივ მოთხოვნილებათა ექვივალენტურები არიან. "დინამიკურად, განზრახვა უნდა განისაზღვროს, როგორც კვაზი-მოთხოვნილების, ანუ ერთგვარი დაძაბულობის მდგომარეობის შექმნა, რომელიც ნამდვილ მოთხოვნილებებთან შორს მიმავალ პარალელებსა და რეალურ მიმართებებს ავლენს".

როგორიც არ უნდა იყოს მოტივაციური ფაქტორი, ის ერთმნიშვნელოვნად არ განსაზღვრავს მოქმედების განხორციელებას, შესრულების კონკრეტულ სახესა და გამოვლინებას. ამის დასადგენად საჭიროა გვქონდეს მონაცემები გარემოს შესახებაც. აქედან გამომდინარე, ლევინი დიდ ყურადღებას უთმობს გარემოს ადექვატურ დახასიათებას. *გარემოს ან სიტუაციის*

შემადგენლობაში მას შეპყავს ფიზიკური. სოციალური და ცნებითი სამყაროს ყველა ფაქტი, მაგრამ არა იმ მნიშვნელობით, როგორც ისინი ობიექტურად არსებობენ ან მოიაზრებიან, არამედ მათი ფსიქოლოგიური მნიშვნელობით, ანუ იმის გათვალისწინებით, თუ რა ზეგავლენას ახდენენ ისინი ამჟამად მომქმედ სუბიექტზე. ინდივიდთან, მის მოთხოვნილებებთან თუ კვაზი-მოთხოვნილებებთან კავშირის გამო გარემოს ობიექტები და მოვლენები არ არიან ნეიტრალური, ისინი ამჟღავნებენ ჩვენს მიმართ გარკვეულ "ნებას", გვიწვევენ სამოქმედოდ. კარგი ამინდი, გარკვეული ლანდშაფტი, ამბობს ლევინი, გვიზიდავს სასეირნოდ, ლეკვი – საალერსოდ; კარი ბავშვს უბიძგებს გაღებისა ან დახურვისკენ, კუბიკები – სათამაშოდ, ხოლო შოკოლადის ან ნამცხერის ნაჭერს "უნდა", რომ ის შეჭამონ. გარემოს ობიექტების ამ თვისების აღსანიშნავად ლევინს შემოაქვს ცნება *გამომწვევი ხასიათი* (Aufforderungscharacter). ამ ფენომენის გამოვლენის ფორმები მთლიანად განისაზღვრება დაძაბულობათა სისტემის აქტუალური მდგომარეობით. მაგალითად, იმის მიხედვით, თუ რა ტენდენციასთან არის დაკავშირებული, ობიექტის გამომწვევი ხასიათი ელინდება მისკენ მიზიდულობის ან მისგან უკუქცევის სახით. ასევე ცვალებადია ამ მოვლენის ინტენსიობა; ის ვარირებს *სუსტი მიზიდულობიდან* ე.წ. *ბრძანებით ხასიათამდე*. ბუნებრივი ან პირველადია ისეთი სახის გამომწვევი ხასიათი, როდესაც ობიექტი მოთხოვნილებისა ან კვაზიმოთხოვნილების დაკმაყოფილების პირდაპირ საშუალებას წარმოადგენს, ხოლო მასთან გარკვეულ მიმართებაში მყოფი საგნები და მოვლენები ე.წ. ნაწარმოები გამომწვევი ხასიათისაა. მაგალითად სახლმა, ქუჩამ, ქალაქმა, საღაც საგრფო ცხოვრობს, შეილება თვითონაც შეიძინოს გამომწვევი ხასიათი. ამერიკული პერიოდის შრომებში ობიექტების გამომწვევი ხასიათის გამოსახატად ლევინს დამატებით *ვალენტობის* ტერმინიც შემოაქვს და ლაპარაკობს საგნების დადებით და უარყოფით ვალენტობებზე.

აქტიეობის აღმოცენებისა და მიმდინარეობისთვის საჭირო ძალა, ენერგია, ყოველთვის დაძაბულობის სისტემებიდან, ინდივიდის მოთხოვნილებებიდან მომდინარეობს. ამიტომ გარემოს საგანთა ვალენტობა, მათი გამომწვევი ხასიათი ქცევის აღძვრას როდი ნიშნავს. დინამიკურ პროცესს, რომელსაც ქცევა ეწოდება, ყოველთვის გარკვეული *მიმართულება* გააჩნია. დადებითი და უარყოფითი ვალენტობის მქონე ობიექტები სწორედ ამას ემსახურება – ისინი განსაზღვრავენ ქცევის კონკრეტულ გზას, მარშრუტს, მიმართულებას. მაგალითად, მაგიდაზე დადებული ტკბილეული იზიდავს ბავშვს და იგი პირდაპირ მიემართება მისკენ. მაგრამ, თუ კი მაგიდასა და ბავშვს შორის ძაღლი წევს, იგი ძაღლს შორიდან მოუვლის და მაგიდას მეორე მხრიდან მიუახლოვდება. აქ კარგად ჩანს, რომ გარკვეული მოთხოვნილებით აღძრული აქტიეობის მიმართულება კონკრეტული სიტუაციის ობიექტების მიზიდულობისა და განზიდულობის ძალების მოქმედებით არის განსაზღვრული.

ამრიგად, ფსიქოლოგიური გარემო ქცევის განხორციელების აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს. ეს დებულება ძალაშია ყოველგვარი ქცევის მიმართ, როგორც არ უნდა განსხვავდებოდნენ ეს ქცევები ერთმანეთისაგან გარემოსთან ურთიერთმიმართების თვალსაზრისით; ამ მხრივ კი მნიშვნელო-

ვანი განსხვავებები არსებობს. ლევინი ერთმანეთისაგან მიჯნავს *ველისმიერ, ანუ არადაუფლებულ და ნებელობით, ანუ დაუფლებულ* მოქმედებას. პირველ შემთხვევაში ქცევა ფსიქოლოგიური ველის ვალენტობების შესატყვისად მიმდინარეობს. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, რითაა იგი აღძრული, ბუნებრივი მოთხოვნილებით თუ განზრახვის საფუძველზე წარმოქმნილი კვაზი-მოთხოვნილებით. ორივე შემთხვევაში ვითარება პრინციპულად ერთნაირია – არსებობს დაძაბულობის სისტემა, რომლის შესაბამისად სტრუქტურირდება *ფსიქოლოგიური ველი.* ობიექტები იძენენ მეტნაკლებ ვალენტობას და სათანადოდ განსაზღვრავენ აქტივობის მიმდინარეობას. განზრახული ქცევაც, უმეტესწილად, თავისთავად, ველის ძალების შესაბამისად ხორციელდება და ამიტომ უფრო ველისმიერ მოქმედებებს უნდა მიეკუთვნოს, ვიდრე დაუფლებულ მოქმედებებს. განზრახული არ ნიშნავს აუცილებლად ნებელობითს, როგორც ეს ტრადიციულად ითელებოდა ფსიქოლოგიაში. ლევინი ველისმიერი ქცევის ორ სახეობას განასხვავებს: 1) როცა კავშირი გამომწვევი ხასიათის ობიექტსა და მოთხოვნილებას შორის აშკარაა. მაგალითად, იმპულსურ ქცევაში ურთიერთმიმართება შიმშილსა და საჭმელს შორის, როგორც წესი, თვალსაჩინოდაა მოცემული; ასეთივე მიმართებას ვხედავთ წერილის გაგზავნის განზრახვისა და საფოსტო ყუთის შემთხვევაში. 2) როცა ასეთი კავშირი ნათლად არ ჩანს და აქტივობას შემთხვევითი სიტუაციური ფაქტორები განსაზღვრავს. მოხტუნავე ან გამოგორებული ბურთი, ჩვეულებრივ, დაჭერის ან ფეხის გარტყმის სურვილს აღძრავს, ხოლო ძაფი კოსტუმზე მისი მოცილების ტენდენციას და ა.შ. ნორმის შემთხვევაში ადამიანს შეუძლია არ დაემორჩილოს ამ ტენდენციებს, წინ აღუდგეს დაძაბულობის სხვა სისტემებს და *დაეუფლოს* თავის ქცევას. ლევინის აზრით, სწორედ ასეთ მოქმედებებს უნდა ეწოდოს ნებელობითი. "რასაკვირველია, დაუფლებული მოქმედებაც ექვემდებარება მთლიანი ფსიქიკური ველის ძალებს. მაგრამ, დაუფლებული მოქმედების შემთხვევაში, ადამიანი, ჩვეულებრივ, არ არის მთლიანად ჩართული მოცემულ ველში; გარკვეული ხარისხით ადგილი აქვს შეკავებას, საგნობრივი ვითარების ზემოთ დგომას; აქ უფრო მეტად ხორციელდება მოქმედების კონტროლი. სხვანაირად რომ ვთქვათ, სულიერი სისტემების შემოფარგველა დაუფლებული მოქმედების დროს სხვაგვარია, ვიდრე არადაუფლებული მოქმედებისას, რასაც, პირველ ყოვლისა, "მე"-სისტემის მეტი დამოუკიდებლობა, ანუ მისი უკეთესი ბატონობა განაპირობებს".

"მე"-სისტემა ინდივიდის, პიროვნების შედარებით ღრმა შრეებს მიეკუთვნება. პერიფერიულ შრეებში შემაველ დაძაბულობის სისტემებთან შედარებით, "მე"-სთან დაკავშირებულ დაძაბულობებს ფუნქციონალურად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. საერთოდ კი, ლევინის მიხედვით, პიროვნების სტრუქტურაში შეიძლება გამოიყოს *შიდა და გარე* რეგიონი ანუ *დაძაბულობის სისტემების* სფერო (მოთხოვნილებები და კვაზი-მოთხოვნილებები) და *მოგორულ-პერცეპტული* სფერო. გარემოსთან კავშირი ამ უკანასკნელის საშუალებით მყარდება. გარემოს ზეგავლენა ინდივიდზე პერცეპტული გზით

ხორციელდება, ხოლო დაძაბულობის სისტემების ზეგაელენა გარემოზე – მოტორული სფეროს საშუალებით. პიროვნების მოტივაციური შრეც სტრუქტურირებულია. აქ არსებული რეგიონების რაოდენობა, მათ შორის კომუნიკაციის ინტენსიეობა და საერთოდ, მთელი სასიცოცხლო სიერცის დიფერენცირებულობის ხარისხი ადამიანის განვითარების დონის მაჩვენებლად ითვლება. ასეთივე მაჩვენებელია რეგიონების საზღვრების სიმტკიცე, დაძაბულობის სისტემების ორგანიზაცია და იერარქიზაცია. როგორც ნორმალური ონტოგენეტური პროცესის, ისე ფსიქიკური დაქვეითება-ჩამორჩენის ან რეგრესიის ანალიზი ამ ტერმინებში მიმდინარეობს.

ამრიგად, აქტიეობის პროცესის დასასიათებისთეის ლევინი ორ ძირითად ფაქტორს მიმართავს: ერთი მხრივ, შიდადაძაბულობის სისტემებს და, მეორე მხრივ, ფსიქოლოგიურ გარემოს. ამასთან, იგი საზს უსვამს, რომ ყოველი მაიგანის ზემოქმედება ქცევაზე მხოლოდ ერთიმეორესთან მიმართებაში შეიძლება იქნეს გაგებული. ქცევის დეტერმინაციის პროცესში მოელენები, რომლებიც ინდივიდსა და გარემოს მიეკუთვნებიან, გარკეეულ ერთიანობას, მთლიანობას ქმნიან. ამ რეალობას ლევინი მთლიან ფსიქოლოგიურ ველს ან *ინდივიდის სასიცოცხლო სივრცეს* უწოდებს. ინდივიდის სასიცოცხლო სივრცე (LSp) შეიცავს იმ ფაქტორების ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრავენ ინდივიდის ქცევას (B) გარკეეულ მომენტში, ე.ი. პიროვნებას (P) და გარემოს (E). ყოველივე ეს გამოიხატება ფორმულით: B = F(P,E) = F(LSp). ის გვეუბნება, რომ სასიცოცხლო სივრცის მოცემული სტრუქტურა ფუნქციონალურად განსაზღვრავს ქცევის აღწერით თვისებებს. ავტორი საგანგებოდ აზუსტებს, რომ "ეს მტკიცება ერთნაირად მართებულია როგორც ემოციური აფეთქების, ისე "მიზანდასახული" ქმედებისთვის; როგორც სიზმრისთვის, სურვილისთვის და აზროვნებისთვის, ისე მოქმედებისთვის და მეტყველებისთეის". ლევინი სპეციალურად აღნიშნავს იმასაც, რომ ქცევის მოცემული ფორმულის ორი წევრი, ადამიანის მდგომარეობა (P) და გარემოს თავისებურებები (E), არ არიან ერთმანეთისაგან მთლიანად დამოუკიდებელი. მართებულია დებულება, რომ გარემო განსაზღვრულია პიროვნების მახასიათებლებით E = F(P); ერთი და იგივე ადამიანის სამყარო განსხვავებული იქნება იმის მიხედვით, მშიერია იგი თუ მაძღარი, ენერგიით სავსე თუ დაღლილი და ა.შ. ზუსტად ასევე, სამართლიანი იქნება შებრუნებული მტკიცებაც – ადამიანის მდგომარეობა დამოკიდებულია მის გარემოზე P = F(E); სუბიექტის მდგომარეობა განსხვავებულია გაკიცხვისა და დაჯილდოების სიტუაციაში, კეთილგანწყობილ და მტრულ ატმოსფეროში, დემოკრატიულ და ავტორიტარულ ჯგუფში; ადამიანის აზრთა წყობა, ღირებულებები, განწყობები იმ კულტურის ძლიერ გავლენას განიცდის, რომელშიც იგი აღიზარდა, ასევე იმ სოციალური და ეკონომიკური ჯგუფისა, რომელსაც მიეკუთვნება და ა.შ. ერთი სიტყვით, ქცევის წინასწარმეტყველებისთვის ინდივიდი და მისი გარემოცვა ურთიერთდამოკიდებული ფაქტორების კომპლექსად უნდა ჩაითვალოს. ამ ფაქტორების ერთობლიობა აღინიშნება "სასიცოცხლო სივრ-

ცის" ტერმინით. ეს ყოველივე გრაფიკულად ასე გამოიხატება:




ფსიქოლოგია შეისწავლის იმას, რაც ინდივიდის სასიცოცხლო სივრცეშია მოქცეული. სასიცოცხლო სივრცე "ფსიქოლოგიის სამყაროა", მთელი ფსიქოლოგიური სინამდვილეა. ქცევის ფსიქოლოგიური გაგება მისი გამომწვევი სასიცოცხლო სივრცის ზუსტ დახასიათებას გულისხმობს. ეს კი გარკვეული მეთოდოლოგიური და თეორიული ამოცანების გადაჭრასთან არის დაკავშირებული. პირველ რიგში საჭიროა გაირკვეს, თუ რა მიეკუთვნება სასიცოცხლო სივრცეს და რა – არა. როგორც უკვე ითქვა, გარემოს მხრიდან მასში შეიძლება შევიდეს ფიზიკური, სოციალური და ცნებითი სამყაროს ყველა ფაქტი, რომელიც სუბიექტურად, ფსიქოლოგიურად არსებობს და ამჟამად აქტუალურია ინდივიდისთვის. პიროვნების სისტემის დახასიათებისას გათვალისწინებული უნდა იყოს აქ და ამჟამად მომქმედი ფაქტორები. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ინდივიდისთვის წარსული და მომავალი არ არსებობს. ერთიც და მეორეც უსათუოდ მონაწილეობს სასიცოცხლო სივრცის აგებაში, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი აწმყოსთან არის დაკავშირებული. ლევინის თქმით, მიზანი, რომელიც მომავალში უნდა განხორციელდეს და შიში იმისა, რაც წარსულში მოხდა, რეალური ფსიქიკური მოვლენების სახით აწმყოში არსებობს და მხოლოდ ამიტომ განსაზღვრავს აქტივობას.

უფრო რთულია საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წარმოვადგინოთ, გამოვხატოთ სასიცოცხლო სივრცე. ლევინისთვის ეს პრინციპული მნიშვნელობის მქონე პრობლემაა. რაც უფრო სრულად და ზუსტად იქნება დახასიათებული სასიცოცხლო სივრცე, მით უფრო ღრმად და სწორად იქნება გაგებული კონკრეტული ქცევა. რა საშუალებებით უნდა მოხდეს ეს? ლევინის რწმენით, მისი თანამედროვე ფსიქოლოგიის განკარგულებაში არ არის ასეთი აღწერისთვის აუცილებელი მეცნიერული ენა და მეთოდი. ამიტომ, სასიცოცხლო სივრცის ადექვატური დახასიათებისთვის, იგი მათემატიკას მიმართავს, კერძოდ კი გეომეტრიის ერთ-ერთ ნაწილს – ტოპოლოგიას.

ტოპოლოგია შეისწავლის ისეთ სივრცით მიმართებებს, როგორიცაა ნაწილი-მთელი, ჩართულობა, კავშირის არსებობა-არარსებობა და სხვა. სასიცოცხლო სივრცე იყოფა სხვადასხვა რაოდენობის *სფეროებად, რეგიონებად,* რომელთაც აქვს მეტ-ნაკლებად მყარი ან ცვალებადი ფორმა, გამოყოფილი არიან განსხვავებული სიმტკიცის *საზღვრებით, ბარიერებით* და ა.შ. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ეს სფეროები ერთმანეთთან გარკვეულ *კავშირში* იმყოფება: ახლო და შორი, უშუალო და გაშუალებული, რთული და მარტივი, ნათესაური და ანტაგონისტური; ამაში ელინდება ადამიანის სხვადასხვა ინტერესებისა და ტენდენციების ურთიერთმიმართება.

სასიცოცხლო სივრცეში სხვადასხვა ინტენსივობისა და მიმართულების ძალები მოქმედებს. ლევინს მიაჩნია, რომ *ძალის* ცნების გარეშე საერთოდ შეუძლებელია აქტივობის დინამიკის გაგება. მართალია, ძალის ცნება ფიზიკიდან მომდინარეობს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ფსიქოლოგიაში მისი გამოყენება არ შეიძლება. ლევინი სპეციალურად აღნიშნავს: "როდესაც ვიყენებთ ამგვარ ექვივალენტურ ცნებებს, ჩვენ არ ვცდილობთ ფსიქოლოგიური ცნებების გამოყვანას ფიზიკური ცნებებიდან". ამრიგად, იგი უარს ამბობს ფიზიკურ რედუქციონიზმზე, რაც დამახასიათებელია გეშტალტფსიქოლოგისთვის და, განსაკუთრებით, ე. კელერისთვის (ე.წ. იზომორფიზმის პრინციპი). ლევინი ძალას განიხილავს, როგორც ფსიქო-დინამიკურ ფაქტორს, თუმცა არ ცდილობს მისი ფსიქოლოგიური ბუნების შინაარსობრივ გახსნას და ძალის ფუნქციონალური დახასიათებით კმაყოფილდება: ძალა არის ფაქტორი, რომელიც იწვევს *ლოკომოციას.* ფსიქოლოგიური მოძრაობის (ლოკომოციის) ქვეშ ლევინი გულისხმობს არა მხოლოდ რეალურ გადაადგილებას სივრცეში მიზნის მიმართულებით (ანუ მოტორულ პროცესს), არამედ "შინაგან მოძრაობასაც", ე.ი. წარმოდგენების, აზრების, გრძნობების და ა.შ. ცვალებადობას (ანუ მენტალურ პროცესს). ლოკომოცია, საზოგადოდ, მთელი სიტუაციის სტრუქტურის შეცვლას გულისხმობს. ძალის გრაფიკული გამოხატვა *ვექტორის* საშუალებით ხდება – ვექტორის სიგრძე ძალის ოდენობაზე მიანიშნებს, ხოლო ისარი – მიმართულებაზე. სასიცოცხლო სივრცეში, ჩვეულებრივ, ერთმანეთს უპირისპირდება დადებითი და უარყოფითი ვალენტობის მქონე ობიექტებიდან მომდინარე ძალები; თავად აქტივობა მოცემულ ტოპოლოგიურ არეში არსებული ყველა ძალების ურთიერთქმედების შედეგია. ვექტორების დაჯამებით და გამოკლებით ლევინი ცდილობდა მოენახა მათი ტოლქმედი, რომელიც ინდივიდის მოქმედების ინტენსივობისა და მიმართულების მაჩვენებელი იქნებოდა. ლევინის ფსიქოლოგიური სისტემის მთავარ მიზანს სწორედ ეს წარმოადგენს. ამ მიზნის მისაღწევად ლევინმა მიმართა გრაფიკული სიმბოლოებისა და სივრცითი სქემების ენას. იგი არ დაკმაყოფილდა ტოპოლოგიური სივრცით, რომლითაც არ გამოიხატებოდა დინამიკურ პროცესებთან დაკავშირებული ისეთი ცნებები, როგორიცაა ძალა, მიმართულება, მანძილი; მან შემოიღო ე.წ. *ჰოდოლოგიური სივრცე;* ჰოდოლოგია (Hodos – "გზა" ბერძნულად), ესაა სწავლება მიმართულებებისა და გზების შესახებ. ჰოდოლოგიური სივრცის საშუალებით გრაფიკულად აღიწერება გზები, რომლითაც მიემართება ინდივიდი სასიცოცხლო სივრცის ერთი რეგიონიდან

მეორისკენ. ამით ლევინმა საფუძველი ჩაუყარა ფსიქოლოგიაში მათემატიკური მოდელების გამოყენების ტრადიციას. ეს ტრადიცია, სხვადასხვა სახით, XX საუკუნის ფსიქოლოგიის არა ერთ მიმდინარეობაში გამოვლინდა, განსაკუთრებით კი იმათში, რომლებიც საბუნებისმეტყველო პარადიგმის კალაპოტშია მოქცეული.

ლევინი მხოლოდ უდიდესი თეორეტიკოსი კი არა, ბრწყინვალე ექსპერიმენტატორიც იყო. მის მიერ და მისი ხელმძღვანელობით შესრულდა არაერთი კლასიკური გამოკვლევა, რომლებმაც სათავე დაუდო მრავალი საკითხის ემპირიულ შესწავლას, ერთი მხრივ, ქცევისა და მოტივაციის ფსიქოლოგიის სფეროში და, მეორე მხრივ, სოციალური ფსიქოლოგიის სფეროში. აღსანიშნავია, რომ ლევინის სკოლაში ჩატარებული ექსპერიმენტები უმეტესწილად თეორიიდან გამომდინარეობდა და თეორიის სხვადასხვა ასპექტების დასაბუთებას ემსახურებოდა. ეს ექსპერიმენტული სამუშაო გარკვეულ მეთოდოლოგიურ პრინციპებს ეყრდნობოდა; ერთ-ერთი ფუძემდებლური იყო იდეა ინდივიდუალური შემთხვევის შესწავლის მნიშვნელობის შესახებ. თუ ფსიქიკური მოვლენების სფეროში, ფიზიკური სამყაროს მსგავსად, ზოგადი კანონები მოქმედებს, ყოველგვარი კონკრეტული შემთხვევა კანონზომიერია და არა შემთხვევითი; ამდენად, იგი ისევე იმსახურებს შესწავლასა და გაანალიზებას. როგორც "გასაშუალოებული" შემთხვევა (ამა თუ იმ ასაკის საშუალო ინდივიდი, ამა თუ იმ ჯგუფის საშუალო წარმომადგენელი და სხვა). ის გარემოება, რომ ინდივიდუალური შემთხვევის შესწავლა სშირად ისეთ შედეგს არ გვაძლევს, რასაც თეორია ვარაუდობს, იმით კი არ არის გამოწვეული, რომ პროცესი შემთხვევითია, არამედ იმით, რომ კონკრეტული მოვლენა არასდროს გვეძლევა "სუფთა სახით", არ იმართება მხოლოდ ერთი კანონზომიერებით. ინდივიდუალური შემთხვევისას, როგორც წესი, მოქმედებს კანონების მთელი რიგი, თუმცა, ერთი შეხედვით, შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს საქმე გვაქვს ერთიან პროცესთან. სინამდვილეში აქ ერთმანეთში გარდამავალი პროცესების ერთობლიობაა და თითოეული იმართება თავისი ზოგადი კანონზომიერებით. სერიოზული ყურადღება ექცევა ყოველდღიურ, ბუნებრივ სიტუაციებს, ფენომენის ამა თუ იმ ინდივიდუალურ გამოვლინებას. ამის გამო ლევინის სკოლის ემპირიული კვლევა, მიუხედავად თავისი ლაბორატორიულობისა, ბუნებრივი ექსპერიმენტის გარკვეულ ნიშნებს შეიცავს. ეს ვლინდება უკვე ცდის დაგეგმვაში, მის სცენარში, რომელიც ექსპერიმენტატორს ზოგჯერ საკმაოდ რთული როლის შესრულებას აკისრებს და მისგან გარკვეულ არტისტიზმსაც მოითხოვს. ექსპერიმენტატორს ცდის მსვლელობაშიც უხდება თავისი ქცევის გარკვეულ ფარგლებში ვარირება კონკრეტული სიტუაციის (ცდისპირის ქცევის) შესაბამისად.

ემპირიული კვლევის ეს ნიშნები ყველაზე თვალნათლივ აისახა ე.წ. *შეწყვეტილი მოქმედების* მეთოდით შესრულებული გამოკვლევების ციკლში. მათი უმეტესობა დაძაბულობის სისტემების დინამიკის შესწავლაზე იყო მიმართული. ერთ-ერთ ასეთ გამოკვლევას სკოლის ლიდერის გამჭრიახი დაკვირვება დაედო საფუძვლად. თავის თანამშრომლებთან კაფეში მყოფი ლევინი მოულოდნელად უხმობს ოფიციანტს და ეკითხება, რა დაკვეთები მიიღო მის

მომსახურებაში მყოფი რამდენიმე მაგიდიდან. ოფიციანტი, წიგნაკში ჩაუხედავად, ამომწურავ პასუხს იძლევა. შემდეგ იგივე კითხვას უსვამს კაფედან გამავალი წყვილის დაკვეთასთან დაკავშირებით, რომელსაც ოფიციანტი უკვე მოემსახურა. აქ ოფიციანტი დაყოვნებულ, მერყევ და უზუსტო პასუხს იძლევა. ლევინი სვამს კითხვას – რატომ დაიმახსოვრა ოფიციანტმა უკეთ ის შეკვეთა, რომელიც ჯერ არ შესრულებულა? ასოციაციის კანონების თანახმად, მას უკეთ უნდა დაემახსოვრებინა დასრულებული მოქმედება, რომელშიც ასოციაციების გრძელი რიგია რეალიზებული. პასუხი ასეთია: ოფიციანტს აღარ აქვს მოთხოვნილება დაიმასსოვროს იმ კლიენტის შეკვეთა, რომელიც მიდის. მიზეზი ისაა, რომ სათანადო დაძაბულობის სისტემა მოხსნილია; სხვა შემთხვევებში ასეთი კვაზი-მოთხოვნილება აქტუალურად მოქმედებს.

ამ იდეის შესამოწმებლად ბ. ზეიგარნიკმა ჩაატარა სპეციალური გამოკვლევა, რომელშიც პირველად (1927წ.) იქნა აპრობირებული აღნიშნული შეწყვეტილი მოქმედების მეთოდი. ცდისპირს აძლევენ დავალებების რიგს, რომელთაგან ნახევარს აწყვეტინებენ, ნახევარს კი ასრულებინებენ. შემდეგ მას სთხოვენ აღადგინოს მეხსიერებაში ყველაფერი, რაც გააკეთა. აღმოჩნდა, რომ ცდისპირებს დაუმთავრებელი მოქმედებები თითქმის ორჯერ უკეთ ამახსოვრდებათ. ამ მოვლენას შემდგომში *ზეიგარნიკის ეფექტი* დაერქვა. ამის მიზეზი, ლევინის მიხედვით, დაძაბულობის სისტემების ნაწილობრივ ან სრულ განტვირთვაში უნდა ეძებოთ.

თუ ზეიგარნიკის ცდებში კვაზი-მოთხოვნილების დაკმაყოფილების დინამიკა მნემურ პროცესებზე მისი ზეგავლენის საშუალებით შეისწავლებოდა, ლევინის კიდევ ერთი, რუსეთიდან ჩასული მოწაფის, მ. ოვსიანკინას, გამოკვლევაში დაძაბულობის სისტემის მოქმედების კანონზომიერება უშუალოდ ქცევის შესრულების პროცესში იქნა შემოწმებული. ამ ცნობილ გამოკვლევაში ნათლად გამოჩნდა ექსპერიმენტის ის თავისებურებები, რაზეც ზემოთ იყო ლაპარაკი. აქაც შეწყვეტილი მოქმედების მეთოდია გამოყენებული. ცდისპირებს შესასრულებლად სთავაზობენ საკმაოდ მარტივ და არცთუ საინტერესო დავალებების სერიას; მაგალითად, ცდისპირმა ნაწილებისაგან უნდა ააწყოს ფიგურა, გადათვალოს საგნები, დახატოს გამოსახულება და სხვა. ცდისპირს დავალების შესრულებას შუაში აწყვეტინებენ და სთხოვენ გადავიდეს სხვა მოქმედებაზე. მომდევნო მოქმედება თავისი სტრუქტურით სრულიად განსხვავდება წინასაგან და მას ბოლომდე ასრულებინებენ. ამ დავალების შესრულების მსვლელობისას ექსპერიმენტატორი ახერხებს წინა მოქმედების მასალის ნარჩენების დამალვას, მაგალითად, ვითომ შემთხვევით, მას ზემოდან აფარებს გაზეთს. მეორე მოქმედების დასრულების შემდეგ ცდის ხელმძღვანელი თავს ისე აჩვენებს ცდისპირს, თითქოს რაღაც საქმითაა დაკავებული (რაიმეს ეძებს მაგიდაზე, მიდის ფანჯარასთან, რაღაცას წერს); ამავე დროს, შეუმჩნეველად აკვირდება მის ქცევას. გამოირკვა, რომ ასეთ სიტუაციაში ცდისპირების 86% უბრუნდება წინა, შუა გზაზე მიტოვებულ მოქმედებას. მიღებული შედეგი (ე.წ. *ოვსიანკინას ეფექტი*) მართლაც შთამბეჭდავია. ბოლოს და ბოლოს, ლაპარაკია იმაზე, რომ მოზრდილ, ნორმალურ ადამიანს უჩნდება უძლიერესი ტენდენცია ყოველგვარი დავალების გარეშე,

საკუთარი ინიციატივით კელაე მიუბრუნდეს ისეთ "არასერიოზულ" მოქმედებას, როგორიც, ვთქვათ, ფიგურების აწყობაა. შეწყვეტილი მოქმედებისადმი ესოდენ გამოკვეთილი მისწრაფება, ლევინის შეხედულების თანახმად, სათანადო კვაზი-მოთხოვნილების, დაძაბულობის სისტემის არასრული განტვირთვით, მის მიერ ენერგეტიკული მუხტის შენარჩუნებით აიხსნება.

კელეევის ამ ხაზის გაგრძელებას წარმოადგენს ლევინის სკოლაში შესრულებული შრომების ციკლი, რომლებიც ე.წ. *შენაცვლებითი მოქმედების* შესწავლაზეა მიმართული (ა. მალერი, კ. ლისნერი, ს. სლოსბერგი). მათში განხილულია საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად შესაძლებელია ამოცანით გამოწვეული დაძაბულობის სისტემის თუნდაც ნაწილობრივი განტვირთვა არაპირდაპირი გზით, შენაცვლებითი მოქმედების შესრულების საშუალებით და რა პირობებია ამისთვის საჭირო. აღმოჩნდა, რომ ეს მართლაც შესაძლებელია: თუ შეწყვეტილი მოქმედების შემდეგ ცდისპირი ასრულებს ამ მოქმედების მსგავს ან იდენტურ დავალებას, მას თითქმის არასდროს უჩნდება ტენდენცია დაუბრუნდეს დაუმთავრებელ მოქმედებას. ეს იმას ნიშნავს, რომ მომდევნო მოქმედებამ განტვირთა დაძაბულობის სისტემა, ანუ ნამდვილად შემნაცვლებელი მოქმედების როლი ითამაშა. ლევინის ტერმინოლოგიით, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს კვაზი-მოთხოვნილებების *კომუნიკაციას*, რაც ენერგიის ურთიერთგადადინებაში გამოიხატება. ამ მოვლენას ადამიანის აქტივობაში დიდი ადგილი უკავია.

ექსპერიმენტულად დადგინდა, რომ შენაცვლებითი ეფექტი მით უფრო ძლიერია, რაც უფრო მსგავსია მოქმედებები, რაც უფრო ნაკლებია მათ შორის დროითი ინტერვალი, რაც უფრო რთულია შემნაცვლებელი მოქმედება და რაც უფრო მიმზიდველია იგი. მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, პიროვნულ და სოციალურ მომენტებს.

დაძაბულობის სისტემის აღკვეთის დინამიკას ეხება ე.წ. *სიმაძღრისა და მოყირჭების* მოვლენების კვლევა, რომელიც ა. კარსტენს ეკუთვნის. ბიოლოგიური მოთხოვნილებების შემთხვევაში გამოვლენილია შემდეგი დინამიკა: დეპრივაცია – დაკმაყოფილება – მოყირჭება. ლევინი თვლის, რომ ასეთივე დინამიკას უნდა არსებობდეს კვაზი-მოთხოვნილების შემთხვევაშიც. სპეციალურმა ექსპერიმენტებმა დაადასტურა ეს მოსაზრება. ცდისპირებს ეძლევათ ხანგრძლივი, მონოტონური დავალება, რომლის შესრულება მათ საკმაოდ მალე ბეზრდებათ (მაგ., უნდა დახატონ ხაზები ან წრეები ფურცლების დასტაზე). ვინაიდან ამოცანით შექმნილი დაძაბულობის სისტემა მაინც მოქმედებს, ისინი ცდილობენ გააგრძელონ დავალების შესრულება, მაგრამ ამ პროცესში გარკვეული ცვლილებები შეაქვთ, რითიც იადვილებენ მობეზრებული და არასასურველი საქმის კეთებას; მაგალითად, ცვლიან ხაზების ან წრეების ზომას, სამუშაოს ტემპს, რიტმს და ა.შ. ზოგჯერ მიმართავენ "მიმყოლ" მოქმედებებს: ღიღინებენ, უსტვენენ, ფეხებს აბაკუნებენ. რაც უფრო მატულობს სიმაძღრის დონე, მით უფრო გამოკვეთილი და ხშირი ხდება სტერეოტიპულ მოქმედებაში შეტანილი ცვლილებები, იქამდე, რომ ზოგჯერ იგი ფაქტობრივად სხვა მოქმედების სახეს იღებს. იმ შემთხვევაში, თუ ცდის პირობები გამკაცრდება და მოქმედების ამგვარი ტრანსფორმაციის შესაძ-

ლებლობა გამოირიცხება, ცდისპირები საერთოდ წყვეტენ დავალების შესრულებას, ვინაიდან ის მათთვის აუტანელი ხდება. ამ დროს სიმაძღრე უკვე მოყირჭების სტადიაში გადადის. სიმაძღრის მოელენა გასაგებს ხდის ერთი მოქმედებიდან მეორეზე გადასვლის დინამიკას. მოქმედების განხორციელება ამცირებს მისი შესრულების ტენდენციას, რის გამოც სასიცოცხლო სიერცეში დომინანტური ხდება დაძაბულობის სხვა სისტემები და აქტივობაც მათ შესაბამისად წარიმართება.

აღნიშნული გამოკვლევები, არსებითად, მოტივაციის დინამიკური ასპექტის შესწავლაზე იყო მიმართული, ასეთია დაძაბულობის წარმოქმნა და მისი განტვირთვა, ბლოკირება, გადართვა და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ მოტივაციის პიროვნულ ასპექტს ამ კვლევებში პრაქტიკულად არ ექცეოდა ყურადღება, რიგ შემთხვევაში ის მაინც იჩენდა თავს. იმავე ზეიგარნიკის ზემოთ მოყვანილ გამოკვლევაში, სადაც გაირკვა, რომ დაუმთავრებელი მოქმედება უკეთ აღიბეჭდება მეხსიერებაში, ამ ზოგადი კანონზომიერების გარდა ერთი საგულისხმო მომენტიც დადასტურდა, კერძოდ ის, რომ მნიშვნელობა აქვს მოქმედების პიროვნულ ღირებულებას. ზეიგარნიკის ეფექტი ბევრად მეტია, თუ შეწყვეტილი მოქმედება სუბიექტისთვის მნიშვნელოვანია (ვთქვათ, დაკავშირებულია მის პატივმოყვარეობასთან). ეფექტი ნაკლებია, როცა დავალების შესრულებას ცდისპირი არ განიცდის პიროვნულ მიღწევად. მსგავსი რამ დადასტურდა კარსტენის ცდებშიც, სადაც აღმოჩნდა რომ მოყირჭების მდგომარეობა უფრო ადვილად იქმნება მაშინ, თუ მოქმედება პიროვნულად ნაკლებ ღირებულია. მოტივაციის პიროვნული ასპექტის მნიშვნელობა სათლად გამოჩნდა გამოკვლევებში *პრეტენზიის დონის* შესახებ. ეს ცნება შემოიტანა ლევინის სკოლის ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა ფ. პოპემ. იგი აღნიშნავს მიზნის სირთულის იმ დონეს, რომლისკენაც სუბიექტი მიისწრაფის. ამას განსაზღვრავს, თუ რამდენად წარმატებით დამთავრდა ამოცანის გადაწყვეტის წინა მცდელობა. ცდისპირებს გადასაწყვეტად აძლევენ სხვადასხვა სირთულის გონებრივ ამოცანებს; ისინი თავისუფალი არიან ამოცანის სირთულის შერჩევაში. ცდისპირები თავდაპირველად სირთულის გარკვეულ დონეს ირჩევენ; მომდევნო ეტაპზე, შემდგომი ამოცანების სირთულის შერჩევისას, ისინი თავიანთ პრეტენზიებს ცვლიან. პოპეს მიხედვით, პრეტენზიის დონის ცვლილების დინამიკა დამოკიდებულია მყარ პიროვნულ უაქტორზე, სახელდობრ იმაზე, რომ ადამიანს აქვს ზოგადი ტენდენცია, რაც შეიძლება მაღალ დონეზე შეინარჩუნოს თავისი "მე", ანუ ის, რასაც შემდგომში თვითშეფასება ეწოდა. ეს ზოგადი ტენდენცია წარმოშობს ორ კონფლიქტურ მოტივაციურ ძალას: მისწრაფებას *წარმატებისკენ* და მისწრაფებას *წარუმატებლობის არიდებისკენ*. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ პრეტენზიის დონის სტრუქტურა პიროვნების მოტივაციის მყარი თვისებაა რომელიც განსაზღვრავს მის მიერ მიზნის შერჩევის ხასიათს. ის ინდივიდები, ვისთანაც წარმატების მიღწევის ტენდენცია დომინირებს, ჩვეულებრივ, საშუალო სირთულის, რეალისტურ მიზნებს ისახავენ; წარუმატებლობის არიდებაზე ორიენტირებული პირები კი, როგორც წესი, ირჩევენ ან ძალიან რთულ, ან პირიქით, ძალიან მარტივ მიზნებს.

ძნელი დასანახი არ არის, თუ რა მჭიდრო კავშირი არსებობს პრეტენზიის დონის პრობლემატიკასა და ქცევის ფსიქოლოგიის უფნდამენტურ საკითხებს შორის; ასეთებია: მიღწევის მოტივაცია, ქცევის სუბიექტური ალბათობა, არჩევანი. გადაწყვეტილება, კონფლიქტი და სხვა. ლევინის სამეცნიერო მოღვაწეობის ამერიკულ ეტაპზე მათ დიდი ყურადღება ექცეოდა. ლევინი შინაგანი *კონფლიქტის* ფსიქოლოგიური კვლევის პიონერად ითვლება. ჯერ კიდევ 1931 წელს, სპეციალურ გამოკვლევაში მან განსაზღვრა კონფლიქტი, როგორც ვითარება, როდესაც სუბიექტზე მოქმედებს ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიმართული და დაახლოებით თანაბარი ძალის მქონე ტენდენციები. მანვე მოგვცა კონფლიქტის სახეების კლასიკური დაყოფა მიახლოებისა და განრიდების ტენდენციების ურთიერთმიმართების მიხედვით, ესენია: 1) *მიახლოება-მიახლოების* ტიპის კონფლიქტი, როდესაც მოცემულია თანაბარი დადებითი ვალენტობის მქონე ორი მიზან-ობიექტი. ამ კონფლიქტის კლასიკური მაგალითი ბურიდანის ეირის შემთხვევაა. 2) *განრიდება-განრიდების* ტიპის კონფლიქტი, როდესაც არჩევანი უნდა მოხდეს ორ თანაბრად უსიამოვნო ალტერნატივას შორის. ამის მაგალითია სცილასა და ქარიბდას შემთხვევა ბერძნული მითოლოგიიდან; ყოფაში კონფლიქტის ეს სახე ხშირად იჩენს თავს, როცა მოზრდილები ცდილობენ, დასჯის მუქრით აიძულონ ბავშვი გააკეთოს მისთვის არასასურველი რამ. 3) *განრიდება-მიახლოების* ტიპის კონფლიქტი, როდესაც ერთი და იმავე მიზან-ობიექტთან დაკავშირებულია როგორც მიზიდულობის, ისე უკუქცევის ტენდენციები. ასეთ სიტუაციაშია, მაგალითად, სუბიექტი, რომელსაც უნდა იქორწინოს და ამავე დროს ეშინია დაკარგოს თავისუფლება; ბავშვი, რომელსაც სურს მოეფეროს ძაღლს და თან უფრთხის მას. მოგვიანებით კონფლიქტის ეს ტიპები სისტემატურად იქნა შესწავლილი კ. ჰალის სკოლაში, კერძოდ ნ. მილერის მიერ (იხ. 8.2.).

გადაწყვეტილების მიღებისა და სათანადო ქცევის განხორციელების შედეგად აქტივობის პლანში კონფლიქტი შეიძლება მოხსნილად ჩაითვალოს. ამავე დროს გონებაში, კოგნიციის პლანში, მოცემული ალტერნატივები არსებობას განაგრძობს; მათი დაპირისპირება ქმნის დაძაბულობის სისტემას, რომელიც უნდა აღიკვეთოს ან შემცირდეს. ეს მოსაზრებები დაედო საფუძვლად ლევინის ერთ-ერთი ამერიკელი მოსწავლის, ლ. ფესტინგერის ცნობილ თეორიას, რომელიც სოციალურ ფსიქოლოგიაში გავრცელებულ ე.წ. კოგნიტური შესაბამისობის მოდელებს შორის ერთ-ერთი საუკეთესოა (იხ. 11.2.). საერთოდ, ლევინის იდეები სოციალურ ფსიქოლოგიაში კოგნიტივისტური ორიენტაციის მასაზრდოებელ წყაროდ იქცა. ლევინი სოციალური ფსიქოლოგიის ერთ-ერთ უდიდეს თეორეტიკოსად არის აღიარებული. ცალკეული ინდივიდისა და გარემოს ურთიერთქმედების აღსაწერად შემოღებული ცნებები (ველი, დაძაბულობა, ვალენტობა, ვექტორი და სხვა) მან გამოიყენა სოციალური ჯგუფის შიგნით და ჯგუფებს შორის მიმდინარე პროცესების დახასიათებისთვის. ინდივიდის მსგავსად, ჯგუფი და მისი გარემოცვა ქმნის სოციალურ სივრცეს; მის სტრუქტურაში შედიან ცალკეული ინდივიდები, მიჯრო ჯგუფები, სოციალური ნორმები, ღირებულებები, კომუნიკაციის არხები და ა.შ. ამდენად, ჯგუფური ქცევა ყოველ მომენტში განსაზღვრულია სოცი-

ალურ ველში მოქმედი რეალური ძალებით.

ამ მიმართულებით გაწეული ემპირიული და პრაქტიკული სამუშაო ეყრდნობა ე.წ. *ქმედითი კელეების* მოდელს. თავისი არსით ესაა ფუნდამენტურ-გამოყენებითი კელეების მეთოდი, რომელიც ორი ძირითადი ნიშნით ხასიათდება: სოციალური პრობლემის სისტემატური, უპირატესად ექსპერიმენტული შესწავლა და ძალისხმევა მისი პრაქტიკული გადაწყვეტის მიმართულებით. მაშასადამე, კელეება ჩართულია სოციალური ამოცანების რეალური გადაწყვეტის საქმეში, მაგალითად, ისეთისა, როგორიცაა ჯგუფური ურთიერთობების შეცვლა. ამ იდეოლოგიით, ლევინის ხელმძღვანელობით, ჯგუფური დინამიკის კელეების ცენტრში განხორციელდა მცირე ჯგუფების ფუნქციონირების სხვადასხვა ასპექტების უაღრესად მრავალფეროვანი და ნაყოფიერი კვლევა. შეისწავლებოდა ლიდერობა და მართვის სტილი, ჯგუფური ატმოსფერო და ჯგუფის შეჭიდულობა, აღაპტაცია და კომუნიკაცია ჯგუფში და ჯგუფებს შორის, სოციალური პერცეფცია და ჯგუფის პროდუქტიულობა და სხვა. ლევინი უფრო შორს წავიდა და უშუალოდ პრაქტიკული სამუშაოს ორგანიზაციას მოჰკიდა ხელი. მაგალითად, შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად იგი მიმართავდა ლიდერობის სტილის შეცვლას; ჯგუფის შიგნით და ჯგუფთა შორის წარმოქმნილი კონფლიქტების, მათ შორის რასობრივ ნიადაგზე აღმოცენებული დაძაბულობის შესუსტების მიზნით ლევინი ატარებდა სპეციალურ ტრენინგებს; ისინი, მოგვიანებით, ძალიან პოპულარული "შესვეღრის ჯგუფების" პროტოტიპად იქცნენ. ლევინი დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ გამოყენებითი და თეორიული ფსიქოლოგია მჭიდრო კავშირში უნდა იყოს. თანამშრომლობა ამ სფეროებში მომუშავე სპეციალისტებს შორის საკმაოდ ადვილია, "თუ თეორეტიკოსი ქედმაღლურად არ იბრუნებს პირს გამოყენებითი პრობლემებისაგან და სოციალურ პრობლემებს არ შეეშინდება, ხოლო გამოყენებითი ფსიქოლოგი გააცნობიერებს, რომ არ არსებობს იმაზე უფრო პრაქტიკული რამ, ვიდრე კარგი თეორია". ლევინის მოღვაწეობა ფსიქოლოგიაში ამ თვალსაზრისის შესანიშნავი ილუსტრაციაა.

გ. ოლპორტი, რომელიც პირადად იცნობდა გასული საუკუნის ფსიქოლოგიის ბევრ მთავარ ფიგურას, წერილში "კურტ ლევინის გენია", მას ყველაზე ორიგინალურ მოაზროვნედ მოიხსენიებს. ლევინმა მნიშვნელოვნად განსაზღვრა თანამედროვე ფსიქოლოგიის სახე. ყოველ შემთხვევაში, ეს დარწმუნებით შეიძლება ითქვას საბუნებისმეტყველო ორიენტაციის ფსიქოლოგიაზე. მის მიერ შემოტანილი მრავალი ცნება ფსიქოლოგიური მეცნიერების ორგანული ნაწილი გახდა. მთელ რიგ შემთხვევებში ლევინმა მეცნიერება ფაქტობრივად მიმართა ახალი სფეროების ათვისებისკენ თეორიული და პრაქტიკული კუთხით (მაგ., ჯგუფური დინამიკა); რიგ შემთხვევებში ფსიქოლოგიის წინაშე უკვე მდგარი საკითხების ექსპერიმენტული შესწავლის გზა გაკვალა და მდიდარი ემპირიული მონაცემები მოიპოვა (მაგ., ადამიანის მოტივაციის საკითხი); ასევე, ნათელი მოჰფინა მანამდე არსებულ საკმაოდ ბუნდოვან თეორეტიზაციებს ამა თუ იმ საკითხის გარშემო (ასეთი ბუნდოვანი სახით იყო წარმოდგენილი, მაგალითად, კონფლიქტის მოელენა ფსიქოანალიზში).

რაც უფრო ღრმა და მასშტაბურია თეორიული სისტემა, მით უფრო სერიოზულია მისი შეფასება და მძაფრია კრიტიკა. ყოველ შემთხვევაში, ასეა ფსიქოლოგიაში. გამონაკლისი არც ლევინის სისტემა გამხდარა. ამ სისტემის კონკრეტული ასპექტების მიმართ მრავალი შენიშვნაა გამოთქმული განსხვავებული თეორიული ორიენტაციის მქონე მეცნიერის მიერ. შევჩდეთ მხოლოდ ყველაზე არსებითზე. ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლაში სერიოზული პრეტენზიები არსებობს კვაზი-მოთხოვნილების ცნებასთან დაკავშირებით. შ. ჩხარტიშვილის აზრით, ლევნმა ტერმინი "კვაზი" (ვითომდა) იმიტომაც ისმარა, რომ კვაზი-მოთხოვნილება სინამდვილეში საერთოდ არ არის მოთხოვნილება. კვაზი-მოთხოვნილება განზრახვის მომქმედი ძალის გამოხატულებაა, მაგრამ "გადაწყვეტილება შეიძლება ერთბაშად მოიხსნას, თუ მისი განხორციელება აშკარად მიზანშეუწონელი აღმოჩნდება", მაშინ როდესაც "მოთხოვნილებები არ იხსნებიან და არც მიზანშეწონილებას ღებულობენ მხედველობაში, როცა თავიანთვის საჭირო იმპულსებს იძლევიან". ზ. ხოჯავას აზრით ლევინის შეცდომა იმაშია, რომ მან ნამდვილ მოთხოვნილებებად მხოლოდ ბიოლოგიური მოთხოვნილებანი ჩათვალა და მხედველობაში არ მიიღო მაღალი, პიროვნული ხასიათის მოთხოვნილებათა არსებობა. დაძაბულობის მდგომარეობა, რომელიც გადაწყვეტილების აქტს უკავშირდება, უთუოდ ამ კატეგორიის მოთხოვნოლებათაგან გამომდინარეობს და მაშინ კვაზი-მოთხოვნილების ცნებაც ზედმეტი ხდება.

რა უნდა ითქვას ამ შენიშვნებზე? ნამდვილ მოთხოვნილებებად მხოლოდ ბიოლოგიურ მოთხოვნილებათა აღიარება, მართლაც არ უნდა იყოს მართებული. არსებობს არაორგანიზმული მოთხოვნილებები, რომლებიც თავად წარმოადგენენ გადაწყვეტილების საფუძველს, ხოლო განზრახვის შედეგად აღმოცენებული დინამიკური მდგომარეობა უკვე სხვა ცნებით უნდა დახასიათდეს და არა მოთხოვნილებით, თუნდაც კვაზი-მოთხოვნილებით.

მართებული საყვედურია გამოთქმული იმის თაობაზეც, რომ ლევინის თეორიაში იგნორირებულია ფსიქიკური მოვლენების, სახელდობრ მოთხოვნილებების, როგორც დაძაბულობის სისტემების შინაარსეული მხარე და მხოლოდ მათ დინამიკურ ასპექტზეა გამახვილებული ყურადღება. უფრო მძიმეა შენიშვნა, რომ ლევინი, ფაქტობრივად, აღწერით იფარგლება და იქ ჩერდება, სადაც მოვლენის ახსნის ამოცანა დგება. იგი საკითხსაც არ სვამს იმის შესახებ, თუ რატომ არსებობს მოცემული დინამიკური მიმართებები. ზოგჯერ იმასაც ამბობენ, რომ ლევინის მიერ გაკეთებული ქცევის ტოპოლოგიური და ვექტორული დახასიათება არაფერს ახალს არ ავლენს ქცევაში; ის მხოლოდ გარკვეული ფენომენების პოსტ-ფაქტუმ ილუსტრაციას წარმოადგენს, თვით მოვლენები კი აუხსნელი რჩება. მაგალითად, ლევინის მახვილი თვალი ამჩნევს კვაზი-მოთხოვნილებასა და საგნის გამომწვევ ხასიათს შორის არსებულ მიმართებას, მაგრამ, უზნაძის სამართლიანი შენიშვნისა არ იყოს, ამის დადასტურება, საუკეთესო შემთხვევაში, მოვლენის ზუსტი აღწერაა და არა მისი ახსნა.

ლევინი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც მტკიცედ და თანმიმდევრულად დადგა *ინტერაქციულ* პოზიციაზე. მისთვის ქცევისა და სასიცოცხლო

სიერცის სიტუაციური და პიროვნული ფაქტორები თანაბარუფლებიანი წევრები არიან ფორმულისა B = F(P,E) = F(LSp). შესაბამისად, ყველა, ვინც ამ ფორმულის ერთ-ერთ წევრზე აკეთებს აქცენტს, აეტომატურად მის ოპონენტად იქცევა. პერსონალისტებს მიაჩნიათ, რომ ლევინი სათანადო ყურადღებას არ აქცევს პიროვნებას, მის ისტორიას, ფორმირების პროცესს და ამ პროცესის მექანიზმებს — მემკვიდრეობას, მომწიფებას, დასწავლას და ა.შ. უმრავლეს შემთხვევაში ლევინის სისტემა არც განიხილება პიროვნების კონცეფციად, რაზეც ის ვითარება მეტყველებს, რომ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, პიროვნების თეორიებისადმი მიძღვნილ სქელტანიან კომპენდიუმებში ლევინის სისტემა იგნორირებულია. ეს ერთობ უცნაური და, ამავე დროს, ნიშანდობლივი გარემოებაა.

არანაკლებ მკაცრია სიტუაციონისტების შეფასებაც. მათი ნაწილი (ბრუნსვიკი, ლიპერი, ტოლმენი) ლევინს საყვედურობს, რომ იგი მხედველობაში არ იღებს ობიექტურ გარემოს; ფსიქოლოგიურმა თეორიამ უნდა გაითვალისწინოს, თუ რა გავლენას ახდენს სასიცოცხლო სივრცეზე მის გარეთ მდებარე არაფსიქოლოგიური ვითარება. ამასთან დაკავშირებით ლევინი ასე აყალიბებს თავის პოზიციას: ფსიქოლოგიამ უნდა ილაპარაკოს ფიზიკური და სოციალური სინამდვილის იმ ფაქტორებზე, რომლებიც აქტუალურად მოქმედებენ სასიცოცხლო სივრცეზე. ლაბირინთის ბოლოს, კარს მიღმა დადებული საკვები სასიცოცხლო სივრცის ნაწილი ვერ გახდება, თუ ცხოველს მხედველობის ან ყნოსვის საშუალებით მის შესახებ ცნობები არ მოეპოვება. როდესაც ინდივიდმა იცის, რომ კარს მიღმა საკვებია, ეს ცოდნა, რასაკვირველია, სასიცოცხლო სივრცეშია მოცემული, ვინაიდან ქცევაზე მოქმედებს. ფიზიკური გარემო, რომელიც ამჟამად არ აღიქმება, მაინც ანგარიშგასაწევია სტატისტიკური (ალბათობის) თვალსაზრისით, ანუ იმდენად, რამდენადაც მან შეიძლება მომავალში იმოქმედოს სუბიექტზე. ეს მხედველობაშია მისაღები, მაგრამ ნათლად უნდა გაიმიჯნოს სუბიექტური და ობიექტური ალბათობა. თუ ადამიანი ოთახში ზის და დარწმუნებულია იმაში, რომ ჭერი თავზე არ ჩამოენგრევა, მისი ქცევის პროგნოზირებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ეს *სუბიექტური ალბათობა* და არა ინჟინრის მიერ გამოთვლილი *ობიექტური ალბათობა,* რომლის შესახებ ინდივიდმა არაფერი იცის. ამავე დროს, ლევინს ისიც ესმის, რომ ქცევის გრძელვადიან პერსპექტივაში პროგნოზირებისათვის ჩვენ მოგვიწევს გარკვეულად გავითვალისწინოთ არაფსიქოლოგიურ გარემოსთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემებიც. აქედან გამომდინარე, ლევინი გეთაეაზობს კვლევის ახალ სფეროს — *ფსიქოლოგიურ ეკოლოგიას.* მისი ამოცანაა იმის წინასწარმეტყველება, თუ ობიექტური გარემოს რა ცვლადები იმოქმედებენ ინდივიდის სასიცოცხლო სივრცეზე განსაზღვრულ მომავალში.

სწორია ლევინის თეზისი, რომ პიროვნებისეული გულისხმობს გარემოსეულს და პირიქით; ისიც მართებულია, რომ მხოლოდ ამ ფაქტორების ერთიანობა შეიძლება იყოს ქცევის საფუძველი. კითხვა იმას ეხება, თუ როგორ უნდა გამთლიანდნენ ისინი ისე, რომ შექმნან რაღაც თავისებური რეალობა სასიცოცხლო სივრცის სახით. ეს უკანასკნელი ხომ მდგენელების

უბრალო ჯამი არ არის; იგი ახალი სტრუქტურა, მთლიანობა, *გეშტალტია*, რომელიც თითქოს არც სუბიექტს ეკუთვნის და არც გარემოს. სამწუხაროდ, არც სასიცოცხლო სივრცის სიტყვიერი დახასიათება, არც გრაფიკული გამოსახულება არაფერს გვეუბნება მისი ნამდვილი ონტოლოგიური ბუნების შესახებ. საღ. რომელ ინსტანციაში უნდა შეხვედნენ და გამთლიანდნენ გარემო და ინდივიდი – ეს საკითხი ღიად რჩება. ნახაგიდან ჩანს, რომ ეს არ ხდება პიროვნებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოსახულება სხვაგვარი იქნებოდა და ამაზე პირდაპირი მითითება გაკეთდებოდა. ამავე დროს აღნიშნულია, რომ სასიცოცხლო სივრცე *ფსიქოლოგიური სამყაროა*. თუ ეს ასეა, იგი სუბიექტში უნდა იყოს მოთავსებული; ფსიქოლოგიური სამყაროს ადგილი ფსიქიკაშია. ის, ცხადია, გარემოს გულისხმობს, მაგრამ იმ გარემოს, რომელიც სუბიექტის მიერ არის ასახული და სუბიექტში გადმოტანილი. ამდენად, მოტივაცია და სიტუაცია (ფსიქოლოგიური გარემო) მხოლოდ ინდივიდში შეიძლება შეხვდნენ ერთმანეთს და გაერთიანდნენ, როგორც ქცევის აღმოცენება-შესრულებისთვის აუცილებელი ორი მოცემულობა. აქაც (ანუ სუბიექტის, P-ს შიგნით) მოსაძებნია ისეთი მთლიანი მდგომარეობა, რომელიც მათ განუყრელად დააკავშირებს, პიროვნების მდგომარეობა, რომელიც გაერთიანებს ფსიქიკურ მონაცემებს გარეგანისა და შინაგანის შესახებ და, ამის მეოხებით, ინდივიდის მიერ გარემოში ქცევის განხორციელების მექანიზმის ფუნქციას შეასრულებს. ველის ტოპოლოგიურ თეორიაში ასეთი მექანიზმი საერთოდ არ არის ნაგულისხმები. ლევინის აზრი, პრინციპში, სწორი მიმართულებით მოძრაობდა, მაგრამ მან ვერ მიაღწია საჭირო ცნებამდე და შეხედულებათა სისტემამდე; ვერ მოინახა ის რეალობა, რომელშიც ბუნებრივად იქნებოდა გამთლიანებული აქტივობის დეტერმინაციისთვის აუცილებელი ყველა ფაქტორი. მოტივაციისა და სიტუაციის გაერთიანება გაურკვეველი ბუნებისა და ფენომენოლოგიის მქონე სასიცოცხლო სივრცეში საკითხის გადაწყვეტად ვერ ჩაითვლება. ასეთი ცნებისა და თვალსაზრისის დამუშავების მცდელობა მოცემულია დ. უზნაძის განწყობის ზოგადფსიქოლოგიურ თეორიაში (იხ. 12.2.).

*ლიტერატურა*


1. ბოჭორიშვილი ა. ლაიფციგის სკოლა. დასავლეთ ევროპის ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმდინარეობები. ტფილისი, 1935.
2. ბოჭორიშვილი ა. ფსიქოლოგიის პრინციპული საკითხები. ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის კრიტიკა. თბილისი, 1959.
3. ვერთჰაიმერი მ. გეშტალტფსიქოლოგიური კვლევა. დასავლეთ ევროპის ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმდინარეობები. ტფილისი, 1935.
4. კაკაბაძე ვ. მოთხოვნილების ფსიქოლოგია. თბილისი, 1988.
5. მეგრელიძე კ._აზრის სოციალური ფენომენოლოგია. თბილისი, 1990.
6. უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია. შრომები ტ.3-4. თბილისი, 1964.
7. ჩხარტიშვილი შ. ნებისყოფა და მისი აღზრდა. თბილისი, 1964.
8. ხარაზიშვილი ფ. გეშტალტთეორია. დასავლეთ ევროპის ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმდინარეობები. ტფილისი, 1935.

9. ხოჯავა ზ. მოთხოვნილების ცნების საკითხისათვის უცხოურ ფსიქოლოგიაში. ფსიქოლოგია, ტ.12. თბილისი, 1960.
10. Вертгеймер М. Продуктивное мышление. М., 1987.
11. Выготский Л.С. Исторический смысл психологического кризиса. Собрание сочинений. т.1. М., 1982.
12. Зейгарник Б. В. Теория личности К. Левина. М., 1981.
13. Келер В. Исследование интеллекта человекоподобных обезьян. М., 1930.
14. Келер В. Об изоморфизме. Хрестоматия по истории психологии. М., 1980.
15. Келер В. Некоторые задачи гештальтпсихологии. Хрестоматия по истории психологии. М., 1980.
16. Кофка К. Основы психического развития. М., 1934.
17. Левин К. Разрешение социальных конфликтов. СПб., 2000.
18. Левин К. Теория поля в социальных науках. СПб., 2000.
19. Левин К. Динамическая психология. М., 2001.
20. Марцинковская Т.Д. История психологии. М. 2001.
21. Олпорт Г. Гений Курта Левина. В кн.: Личность в психологии. М., 1998.
22. Фрейджер Р., Фейдимен Д. Личность: теории, эксперименты, упражнения. СПб., 2001.
23. Хегенхан Б., Олсон М. Теории научения. СПб., 2004.
24. Холл К. С., Линдсей Г. Теории личности. М., 1997.
25. Шульц Д. П., Шульц С. Э. История современной психологии. СПб., 1998.
26. Ярошевский М. Г. История психологии. М., 1997.
27. Boring E. G. A history of experimental psychology. New York: Appleton-Century-Crofts. 1950.
28. Leahey T. H. A history of psychology. Main currents in psychological thought. New Jersy: Prentice-Hall, 1992.
29. Levin K. A dynamic theory of personality: Selected papers. New-York: McGraw-Hill, 1935.
30. Marx M.H., Hilix W.A. Systems and theories in psychology. N.Y., 1973.

# თავი 10. ჰუმანისტურ-ეგზისტენციალური მიმდინარეობა

## 10.1. ჰუმანისტური ფსიქოლოგია

XX საუკუნის პირველ ნახევარში ამერიკული ფსიქოლოგიის წამყვანი მიმდინარეობა უთუოდ ბიჰევიორიზმი იყო. გარკვეული გავლენით სარგებლობდა ფსიქოანალიზიც. 60-ანი წლებიდან მათ დაუპირისპირდა "მესამე ძალად" წოდებული ჰუმანისტური ფსიქოლოგია. მან ორგანიზაციულად გააერთიანა მკვლევარები, რომელთაც არ აკმაყოფილებდათ პირველი ორი მიმდინარეობის ნატურალისტური, მექანიცისტური და რედუქციონისტული ტენდენციები. ჰუმანისტური ფსიქოლოგია იმთავითვე არ იყო და არც ამჟამად წარმოადგენს ერთიან თეორულ სისტემას ან სკოლას. ამიტომაც, უფრო ხშირად ლაპარაკობენ *ჰუმანისტურ მიმართულებაზე*, რომელიც არა მხოლოდ მეცნიერულ-თეორიულ საკითხებზე, არამედ პრაქტიკის, სოციალურ ყოფასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაზეა მიმართული. ჰუმანისტური მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, მას სურს თავისუფალი, ჯანსაღი და ღირსეული ადამიანებით წარმოდგენილი საზოგადოების შექმნა. რაც შეეხება ჰუმანისტური ფსიქოლოგიის კონცეპტუალურ სახეს, იგი მიეკუთვნება ფსიქოლოგიური აზროვნების იმ ნაკადს, რომელიც უპირისპირდება ბუნების მოვლენების შემსწავლელი დისციპლინების ყაიდაზე აგებულ ფსიქოლოგიას.

ცნობილია, რომ უკვე XIX საუკუნის ბოლო მეოთხედიდან, ფსიქოლოგიის დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბებისთანავე, მისი განვითარება ორი, ერთმანეთის საწინააღდეგო მიმართულებით წარიმართა. ერთი, ვუნდტიდან მომდინარე უფრო ძლიერი ნაკადი, ბუნებისმეცნიერებათა კალაპოტში მიედინებოდა. აქ ფსიქოლოგია ექსპერიმენტულ მეთოდოლოგიაზე იყო დაფუძნებული. პარალელურად, ვუნდტის თანამედროვეებმა ბრენტანომ, ჰუსერლმა და დილთაიმ საფუძველი ჩაუყარეს ფსიქოლოგიის ალტენატულ, შეიძლება ითქვას, ჰუმანიტარულ გააზრებას, რის ეპისტემოლოგიურ საფუძველსაც სიცოცხლის ფილოსოფია, ფენომენოლოგია და ეგზისტენციალიზმი შეადგენდა. ასეთი ორიენტაციის მქონე ფსიქოლოგია, ამოდიოდა ცნობიერების და პიროვნების უნიკალური, ბუნების პროცესებზე დაუყვანადი თავისებურებებიდან (ინტენციონალობა, მთლიანობა, ობიექტურ ღირებულებებთან კავშირი და სხვა); მას დაუშვებლად მიაჩნდა ადამიანის ფსიქიკის შესწავლა იმ მეთოდებით, რომლებიც ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების კვლევის პროცესში იყო აპრობირებული (იხ. 5.7.).

ამრიგად, ფსიქოლოგიის ორი, დიამეტრულად განსხვავებული ვერსიის არსებობა თავიდანვე იყო დამახასიათებელი ფსიქოლოგიური მეცნიერებისთვის და მთელ მის ისტორიას წითელ ხაზად გაჰყვა. გასული საუკუნის პირველ ნახევარში დომინირებულ ძალას აშკარად საბუნებისმეტყველო ფსიქოლოგია წარმოადგენდა. 50-ანი წლებიდან მოყოლებული, ჰუმანიტარუ-

ლი პარადიგმა ახალ ძალას იკრებს და საბოლოოდ ჰუმანისტური ფსიქოლოგიის სახით ყალიბდება. იგი, როგორც ერთიანი მოძრაობა, *მესამე ძალა* მოიცავს აგრეთვე *ეგზისტენციალურ და ფენომენოლოგიურ* ფსიქოლოგიას. ეს მოძრაობა არ არის ერთგვაროვანი. მისი ერთი ნაწილი (*ეკლექტიკოსების* ფრთა) შედარებით ზომიერ თვალსაზრისს იზიარებს და საბუნებისმეტყველო პარადიგმასთან გარკვეული კომპრომისების მომხრეა (გ. ოლპორტი, მასლოუ, როჯერსი, შ. ბიულერი, ჩაილდი, რიჩლაკი, პოპენი, რიქსი და სხვა); მეორე ნაწილი (*ეგზისტენციალისტების* ფრთა) კატეგორიულად უარყოფს ადამიანის სულიერი სამყაროს შესწავლისას ექსპერიმენტის, გაზომვის, სტატისტიკის და ბუნების კვლევაში დამკვიდრებული სხვა პროცედურების გამოყენების შესაძლებლობას და ამ სფეროში ერთადერთ რელევანტურ მეთოდოლოგიად ე.წ. ფენომენოლოგიურ, გაგებით ან ჰერმენევტიკულ მიდგომას მიიჩნევენ (ბინსვანგერი, ბოსი, ბუგენტალი, მეი, ჯიორჯი, ბერელი, აანტესი და სხვა).

მიუხედავად ამ განსხვავებებისა, ჰუმანისტური მოძრაობის ყველა წარმომადგენელი აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ ადამიანურ არსებობას თავისი უნიკალური ონტოლოგიური თავისებურებები აქვს. აქედან გამომდინარე, მასლოუს სიტყვებით, "მეცნიერების ის მოდელი, რომელიც ნაწარმოებია საგნების, ობიექტების, ცხოველების, პროცესების შესახებ მეცნიერებებიდან შეგდებული და არაადექვატური ხდება მაშინ, როდესაც ჩვენ ვცდილობთ გავიგოთ ინდივიდები". მათთვის ერთნაირად მიუღებელია ბიჰევიორიზმისა და ფსიქოანალიზის არაჰუმანური და რედუქციონისტული მომენტები. ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ასოციაციის პირველმა პრეზიდენტმა ჯ. ბუგენტალმა შემდეგნაირად გამოხატა ეს დამოკიდებულება: ჩვენ, ჰუმანისტი ფსიქოლოგები ვწუხვართ იმის გამო, რომ ფსიქოლოგია ადამიანს განიხილავს როგორც დიდ თეთრ ვირთხას (ბიჰევიორიზმი) ან ნელა მომუშავე კომპიუტერს (კოგნიტივიზმი). ჰუმანისტური ფსიქოლოგია უპირისპირდება აგრეთვე აკადემიურ ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის ელემენტარიზმს, რომელიც ვერ ითვალისწინებს შინაგანი გამოცდილების მთლიანობას. ჰუმანისტურ ფსიქოლოგიაში, წერს ამ მიმდინარეობის მთავარი ჟურნალის რედაქტორი თომას გრინინგი, ადამიანი არ მოიაზრება, როგორც ცოდნა-ჩვევების, კოგნიტური პროცესების, ცნობიერი თუ არაცნობიერი შინაარსების და სხვათა ჯამი, რომელიც შეისწავლება დეპერსონალიზებული ცდისპირების ე.წ. ობიექტური დაკვირვებების სტატისტიკური ანალიზით. ეს ყოველივე ჰუმანისტური ფსიქოლოგების მიერ განიხილება არა მხოლოდ როგორც არასაკმარისი, არამედ, როგორც შეცდომაში შემყვანი წყარო ჩვენი ცოდნისა ადამიანის შესახებ, ცოდნისა, რომელიც არ ავლენს ადამიანის შინაგანი ცხოერების მთელს სისავსესა და სიმდიდრეს.

წინანდელი ფსიქოლოგიის მიუღებლობა იმდენად შორს მიდიოდა, რომ ჰუმანისტური მოძრაობის ფორმირების პროცესში იმაზეც კამათობდნენ, გამოეყენებინათ თუ არა საერთოდ სიტყვა ფსიქოლოგია და ხომ არ აჯობებდა, ასოციაციის პერიოდული გამოცემისთვის "ადამიანის კვლევათა ჟურნალი" ეწოდებინათ. ასეა თუ ისე, საბოლოოდ შეწყნარებულ იქნა ტერმინი

*ჰუმანისტური ფსიქოლოგია*, რომელიც ჯერ კიდევ 1930 წელს გ. ოლპორტმა გამოიყენა. შესაბამისი ჟურნალი დაარსდა 1961 წელს, ხოლო ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ამერიკული ასოციაცია 1962 წელს შეიქმნა. 1970 წელს ის გადაკეთდა საერთაშორისო ორგანიზაციად. ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ფუძემდებლებმა (გ. ოლპორტი, მასლოუ, როჯერსი, მეი, ბუგენტალი, მესტაკესი) ჩამოაყალიბეს მათი საზოგადოების კრედო, რომელიც შეიცავს ოთხ პუნქტს: 1. ყურადღების გამახვილება პიროვნებაზე, როგორც განცდის უნარის მქონე ინდივიდზე და განცდაზე, როგორც ადამიანის შესწავლის პირველად ფენომენზე; 2. ადამიანის მექანიცისტური და რედუქციონისტური გაგების საპირისპიროდ, აქცენტის გაკეთება ისეთ, გამორჩეულად ადამიანურ თვისებებზე, როგორიცაა არჩევანი, შემოქმედებითობა, ღირებულებათა მიღება და თვითრეალიზაცია; 3. კვლევის მეთოდის არჩევა მისი საზრისიანობის მიხედვით; 4. ადამიანის ღირსებისა და ღირებულებების გათვალისწინება, ყოველ ადამიანში მოცემული სპეციფიკური ძალებისა და უნარების განვითარება. ამ თვალსაზრისში მთავარი პიროვნებაა, რომელიც პოულობს თავის თავს და უკავშირდება სხვა ადამიანებსა და სოციალურ ჯგუფებს.

ჰუმანისტური ფსიქოლოგია დაფუძნებულია შემდეგ ძირითად დებულებებზე: ადამიანის მიერ სამყაროსა და თავის თავის განცდა მთავარი ფსიქოლოგიური რეალობაა; ადამიანი წარმოადგენს აქტიურ, მიზანმიმართულ, შემოქმედებით არსებას, პიროვნებას, რომელიც, გარკვეული აზრით, თავისუფალია გარეგანი დეტერმინაციისაგან, ეინაიდან არჩევანს თავისი ნების მიხედვით აკეთებს. სინამდვილე ადამიანს საზრისებსა და ღირებულებებში გარდატეხილი სახით ეძლევა. ამასთან ყოველი ინდივიდი უნიკალურია, ამიტომ, ერთეული შემთხვევის ანალიზი კანონიერიც არის და ნაყოფიერიც. მნიშვნელოვანია, რომ ადამიანის სიცოცხლე ქმნადობისა და არსებობის ერთიან პროცესია – ადამიანი ერთდროულად არის ის, რაც არის და ის, რისკენაც იგი მიისწრაფის. ადამიანი დაჯილდოებულია განვითარებისა და თვითრეალიზაციის თვისებით, რაც მისი ფსიქოლოგიური ბუნების არსებით მხარეს შეადგენს.

**გორდონ ბილარდ ოლპორტი** (1897-1967) თითქმის მთელი შეგნებული ცხოვრება ჰარვარდის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა. აქ მიიღო ფსიქოლოგის დოქტორის წოდება 1922 წელს. მისი დისერტაცია პიროვნების თვისებებს მიეძღვნა, რომელთა შესწავლას იგი მთელი ცხოვრება განაგრძობდა. ამავე წელს ჰარვარდში მიღებული სტიპენდიის წყალობით ოლპორტი ევროპაში გაემგზავრა, სადაც ორი წლის განმავლობაში გადიოდა სტაჟირებას ბერლინში, ჰამბურგსა და კემბრიჯში ფსიქოლოგიის ისეთ მეტრებთან, როგორებიც იყვნენ ვერთჰაიმერი, კელერი, შტერნი და ვერნერი. ჰარვარდში დაბრუნებული ოლპორტი სიკვდილამდე ეწეოდა უაღრესად ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას. იგი იყო ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო და აღი-

არებული ფსიქოლოგი, მრავალი ასოციაციისა თუ საზოგადოების წევრი, ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის (აპა) პრეზიდენტი. ოლპორტს მიღებული ჰქონდა ამერიკის ფსიქოლოგიური ფონდისა და აპა-ს ჯილდოები "მეცნიერებაში გამორჩეული წვლილისთვის".

ოლპორტი დარწმუნებულია, რომ ადამიანის ყველაზე დამახასიათებელი თვისება მისი *უნიკალურობაა*. "ინდივიდუალურობა, წერს იგი, არის ადამიანის ბუნების ძირითადი მახასიათებელი". აქამდე ფსიქოლოგია ზოგადი კანონების დადგენაზე იყო მიმართული. ეს იყო მისი საბედისწერო შეცდომა, ვინაიდან ადამიანის ფსიქიკა მხოლოდ კონკრეტულ და ძალიან პიროვნულ ფორმაში არსებობს, ხოლო განზოგადოებული ადამიანის ფსიქიკა მითია და მეტი არაფერი. არ არსებობს ზოგადი ფსიქოლოგიის ისეთი კანონები, რომლებიც შეიძლება გავრცელდეს ყველა პიროვნებაზე. ამიტომ ფსიქოლოგიამ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ დაადგინოს თავისებური და უნიკალური პიროვნების სტუქტურა.

ოლპორტი მიმართავს ვინდელბანდის მიერ შემოტანილ მეცნიერებათა დაყოფას *ნომოთეტურად და იდეოგრაფიულად*. ნომოთეტური მიდგომა ზოგადი კანონების დადგენაზეა ორიენტირებული, იდეოგრაფიული კი ერთეული მოვლენების შესწავლაზე. პიროვნების დასახასიათებლად სწორედ იდეოგრაფიულ მეთოდოლოგიას უნდა მივმართოთ. ტრადიციულად პიროვნების უნიკალურობას წარმოგვიდგენდნენ ესთეტიკურად განწყობილი ფილოსოფოსები, მოფილოსოფოსო მწერლები ან სხვა ხელოვანები. ოლპორტის აზრით, ფსიქოლოგიამ ბევრი რამ შეიძლება ისწავლოს ხელოვნებისაგან, რათა მის მიერ მოცემული უნიკალური პიროვნების დახასიათება ლიტერატურული აღწერების ფონზე უსუსურად არ გამოიყურებოდეს. დადგა დრო, რომ შეიქმნას პიროვნების უნიკალურობის კვლევის ადექვატური მეცნიერული მეთოდები. მათი გამოყენებით მიღებული შედეგები უნდა იყოს შემოწმებადი და გამოხატვადი, მათ უნდა გააჩნდეთ პროგნოსტული ძალა. ამასთანავე, ოლპორტი არ უარყოფს ისეთი კანონების დადგენის საჭიროებასაც, რომლებიც მრავალ ადამიანზე ვრცელდება. ასეთ კანონებს იგი "მიახლოებითს" უწოდებს, მათი დადგენის გზას კი ტესტური კვლევების სტატისტიკურ ანალიზში ხედავს. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ უპირატესობა ენიჭება იდეოგრაფიულ კვლევას, დაშვებულია ნომოთეტური კვლევის კანონიერებაც, რაც ოლპორტის პოზიციას ამ საკითხში ეკლექტურ ხასიათს ანიჭებს.

ეკლექტიზმი საერთოდ ოლპორტის თეორიული სისტემის ერთ-ერთი მთავარი დამახასათებელი ნიშანია. ოლპორტი, ალბათ, ყველაზე უფრო შეგნებული და თანმიმდევრული ეკლექტიკოსი იყო ფსიქოლოგიის ისტორიაში. თავის მსჯელობებში იგი თავისუფლად უხამებდა ერთმანეთს ფილოსოფიის, სოციოლოგიის, ფილოლოგიისა თუ თეოლოგიის სფეროდან აღებულ ცნებებს. ჰარვარდის უნივერსიტეტში ოლპორტი სათაკვში ჩაუდგა დისციპლინათშორის მოძრაობას და დააფუძნა ე.წ. სოციალური ურთიერთობების დეპარტამენტი, სადაც ფსიქოლოგების, სოციოლოგებისა და ანთროპოლოგების გაერთიანებული კვლევითი პროცესი მიმდინარეობდა. რაც მთავარია, ოლპორტი მომხრე იყო ფსიქოლოგიური კონცეფციების ინტეგრაციისა. ეს აისახა

*პლურალისტური მიდგომის, ან სისტემური ეკლექტიზმის* პრინციპში. ამ პრინციპამდე ოლპორტი თანამედროვე ფსიქოლოგიაში შექმნილი მდგომარეობის საყურადღებო ანალიზის შედეგად მივიდა.

ოლპორტის აზრით, ფსიქოლოგია პარტიკულარიზმის სენითაა შეპყრობილი; არსებობს მრავალი თეორია, რომლებსაც ზოგადობის, ყოველისმომცველობის პრეტენზია აქვთ, მაგრამ სინამდვილეში ფიქსირებულია ადამიანის ბუნების ერთ ან რამდენიმე გამორჩეულ ასპექტზე, რაც მკაცრად განსაზღვრავს კვლევის მიმართულებას. ამასთან, ყოველი მათგანი მხოლოდ საკუთარი მიდგომის ჭეშმარიტებას ცნობს და უარყოფს ყველაფერს, რაც სხვა თეორეტიკოსებისთვისაა მნიშვნელოვანი.

ყოველ თეორიას თავისი საფუძველი გააჩნია. S-R მოდელი სავსებით დამაკმაყოფილებელია იმ შემთხვევაში, თუ ყურადღება არ ექცევა საკუთარი ცნობიერების არსებობას; გარემოთი გაპირობებულობის თვალსაზრისი (ე.წ. ინვაირონმენტალიზმი) მისაღებია, თუ არაფერი ვიცით გენეტიკის არსებობის შესახებ; არაცნობიერის კონცეფცია მაშინაა საკმარისი, თუ დავიიწყებთ, რომ კონფლიქტების უმეტესობა მკაფიოდაა მოცემული ცნობიერებაში და ა.შ. გაუგებრობა მაშინ იწყება, როდესაც მკვლევარები იმის მტკიცებას იწყებენ, რომ მათ მიერ შერჩეული პარამეტრი ან მოდელი ადამიანის მთელ პიროვნებაზე ვრცელდება.

ოლპორტის მიხედვით, ამ ცალმხრივობის დაძლევა და მეცნიერული მონიზმის მიღწევა ფსიქოლოგიაში არსებითად შეუძლებელია, ვინაიდან თეორიათა დაპირისპირება, საბოლოოდ, ფსიქოფიზიკურ მონიზმთან და დუალიზმთან, დეტერმინიზმთან და მიზანმიმართულებასთან დაკავშირებული ანტინომიებიდან მომდინარეობს; აქ კი შეთანხმება პრინციპულად შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, ჩვენ უარი არ უნდა ვთქვათ ერთიანი თეორიის შექმნის იდეაზე. ანარქიის მდგომარეობის დაძლევა ფსიქოლოგიური თეორიის სფეროში აუცილებელია, ოღონდ ეს ამოცანა უნდა გადაწყდეს არა პარტიკულარული თეორიების სინთეზის საშუალებით, რაც არარეალურია, არამედ სისტემური ეკლექტიზმის პრინციპის საფუძველზე. მისი საბოლოო მიზანია ყოველისმომცველი თეორიის აგება, რომელიც ახსნის ადამიანის ბუნებას. უსისტემო ეკლექტიზმისაგან განსხვავებით, სისტემური ეკლექტიზმი შეგნებულად ცდილობს ფსიქოლოგიის ფუნდამენტური პრობლემების გადაწყვეტას. იგი გამოარჩევს და შეაკავშირებს იმას, რასაც მნიშვნელოვნად მიიჩნევს ყოველ კონკრეტულ თეორიაში. სისტემური ეკლექტიზმი მიისწრაფის ადამიანის ბუნების ერთიანი მეტათეორიისკენ, რომელშიც თავმოყრილი იქნება ყველა სანდო მონაცემი – სუბიექტური და ობიექტური, ცნობიერი და არაცნობიერი, მექანისტური და ჰოლისტური, სოციალური და ინდივიდუალური. არც ერთი ვარაუდი ადამიანის ბუნების შესახებ არ უნდა იყოს უარყოფილი, თუ იგი მომდინარეობს კონკრეტული ცხოვრებისეული გამოცდილებიდან; აქ მნიშვნელობა არა აქვს რა გზით არის ის შეძენილი.

ოლპორტის ფსიქოლოგიის საყდენი ცნება არის *პიროვნება*. მთელი ფსიქიკური ცხოვრება განიხილება პიროვნებასთან მიმართებაში, რადგან სწორედ პიროვნებაა ის ინსტანცია, რომელიც ორგანიზებას უკეთებს ფსი-

ქიკურ სამყაროს. ოლპორტი მიუთითებს, რომ ფსიქიკის ორგანიზაცია შეუძლებელია ორგანიზატორის გარეშე; შეგუება გულისხმობს იმას, ვინც ეგუება; მეხსიერება ვერ იარსებებს "მე"-ს დროში განფენილობის გარეშე; სწავლა პიროვნების შეცვლას ითვალისწინებს, ხოლო ცოდნა – თავის მაგარებელს. ამიტომ გასაგებია, რომ ოლპორტი განსაკუთრებული სერიოზულობით ეკიდება პიროვნების ცნების განსაზღვრებას. თავის ერთ-ერთ ძირითად წიგნში, "პიროვნება: ფსიქოლოგიური ინტერპრეტაცია" (1937), ოლპორტმა განიხილა და შვიდ კლასად დააჯგუფა პიროვნების ორმოცდაათზე მეტი განსაზღვრება. იგი შეეცადა ამოეკრიფა ამ განსაზღვრებების საუკეთესო ელემენტები და შემდეგ ფორმულირებამდე მიეიდა: "პიროვნება არის ინდივიდში იმ ფსიქოფიზიკური სისტემების დინამიკური ორგანიზაცია, რომლებიც განსაზღვრავს მის უნიკალურ შეგუებას გარემოსთან". მოგვიანებით, თავის ყველაზე ცნობილ წიგნში "კანონზომიერება და განვითარება პიროვნებაში" (1961), მან ოდნავ დააზუსტა ეს განსაზღვრება და შეგუების ნაცვლად ქცევა და აზროვნება ჩაწერა. ამრიგად, ავტორის განსაზღვრებაში ნაგულისხმევია, რომ პიროვნება მუდმივად იცვლება (დინამიკური ორგანიზაცია), რომ პიროვნება გონებრივისა და სხეულებრივის გაუნაწევრებელი ერთიანობაა (ფსიქოფიზიკური ერთიანობა) და რომ მისი განუმეორებელი თავისებურებები განსაზღვრავს ყოველგვარი სახის აქტივობას (ქცევა და აზროვნება). მრავალი ასპექტის მომცველი ეს გულდასმით შესრულებული განსაზღვრება თანამედროვე ფსიქოლოგიაში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

ოლპორტი გამიჯნავს პიროვნების ცნებას ხასიათისა და ტემპერამენტის ცნებებისაგან. *ხასიათი* პიროვნებისა და მისი ქცევის მნეობრივ შეფასებას გულისხმობს. კარგი ან ცუდი ხასიათი პიროვნების თვისებების სოციალურ-მორალური თვალსაზრისით მისაღებლობას აღნიშნავს. *ტემპერამენტი* გამოხატავს ინდივიდის ემოციური რეაგირების (ემოციების ინტენსიობა, აგზნებადობა და ა.შ.) ბიოლოგიურ, ფიზიოლოგიურ მხარეს. ტემპერამენტი ინდივიდის თანდაყოლილი ნიშანია; იგი გონებრივ შესაძლებლობებსა და ორგანიზმის ფიზიკურ კონსტიტუციასთან ერთად პიროვნების საშენ მასალას წარმოადგენს.

ანალიზის ძირითადი ერთეული, რომელმაც ნათელი უნდა გახადოს, თუ რატომ მოქმედებენ გარკვეულ სიტუაციებში ადამიანები ერთგვაროვნად და, ამავე დროს, ინდივიდუალურად და თავისებურად, ესაა ე.წ. *პიროვნების ნიშანი ან თვისება* (Trait). თვისება არის "ნეიროფსიქიკური სტრუქტურა, რომელსაც შეუძლია მრავალი სტიმული ექვივალენტურად აქციოს; აგრეთვე, აღძრას და წარმართოს ადაპტაციური და ექსპრესიული ქცევის საკმარისად მდგრადი ფორმები". პიროვნების თვისებათა მაგალითებია კომუნიკაბელურობა, აგრესიულობა, გულითადობა, სიხარბე, აკურატულობა, თავაზიანობა, მორიდებულობა და ა.შ. შეიძლება ასეც ითქვას, რომ თვისება გამოხატავს ადამიანის მიდრეკილებას ერთნაირად მოიქცეს სიტუაციების ფართო დიაპაზონში; ვთქვათ, თუ პიროვნება კომუნიკაბელურია, იგი სათანადოდ მოიქცევა სახლშიც, სამსახურშიც, ექსპედიციაშიც და ა.შ.

განსაზღვრებიდან ჩანს, რომ თვისება ქცევას აღძრავს. მაშასადამე, ის

დინამიკური ძალის მქონე მოტივაციური წარმონაქმნია. როგორც პიროვნების სტრუქტურის ელემენტი, თვისება მუდმივად ესწრაფის გამოვლენას; თუ ადამიანს, მაგალითად, ახასიათებს ისეთი პიროვნული თვისება, როგორიც კომუნიკაბელურობაა, იგი კონტაქტის მუდმივ ძიებაში იმყოფება. საკუთრივ მოტივებთან შედარებით, თვისება უფრო ფართო რეგულაციურ უნარს ასრულებს. აღძვრასთან ერთად ის განსაზღვრავს ქცევის სახეს, მის რაგვარობას. ოლპორტი აღნიშნავს, რომ თვისება მოტივაციური, შემეცნებითი და საშემსრულებლო კომპონენტების ერთობლიობაა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია თვისებისა და ჩვევის ურთიერთმიმართების საკითხი. ორივე მათგანი მოქმედების შესრულების თავისებურებას განსაზღვრავს, მაგრამ თვისება ბევრად უფრო მოქნილი და ზოგადი სასიათის წარმონაქმნია; იგი პასუხობს სიტუაციების გაცილებით ფართო წრეს და მრავალი ჩვეული მოქმედების საშუალებით გამოიხატება. მაგალითად, ბავშვს უმუშაოდება ხელების დაბანის ჩვევა. დროთა განმავლობაში იგი ეჩვევა სხვა მოქმედებათა შესრულებასაც – ივარცხნის თმას, აწესრიგებს თავის ტანსაცმელს, მაგიდას და ა.შ. ამ ჩვევების ინტეგრაციის გზით ვღებულობთ ისეთ პიროვნულ თვისებას, როგორიც აკურატულობაა.

ოლპორტი გამოყოფს პიროვნული თვისებების სამ სახეს: კარდინალური, ცენტრალური და მეორადი. ისინი გენერალიზაციისა და დომინირების ხარისხით განსხვავდება ერთმანეთისაგან. *კარდინალური თვისება* იმდენად განზოგადებულია, რომ თუ ის ადამიანში არსებობს, მის ყოველ ქცევას ასვამს დაღს. ესაა პიროვნების მთელი ცხოვრების წარმმართველი ენერგია, რომელიც, ოლპორტის აზრით, ცოტას თუ გააჩნია. მათ საილუსტრაციოდ ავტორი მიმართავს ისტორიული პირებისა და ლიტერატურული პერსონაჟების მაგალითებს, რომელთა სახელებიც საზოგადო სახელებად გადაიქცა; სადიზმი, მაზოხიზმი, შოვინიზმი, დონკიხოტობა, დონჟუანობა გარკვეული პიროვნებებისთვის დამახასიათებელი კარდინალური დისპოზიციების მაგალითებია. მათგან განსხვავებით, *ცენტრალური თვისებები* (სხვანაირად, *პირადი დისპოზიციები*) ყველას აქვს და ისინი პიროვნების მთავარ დამახასიათებელ ნიშნებს შეადგენენ. მათი შენიშვნა ადამიანში სიძნელეს არ წარმოადგენს. ოლპორტის გამოკვლევების მიხედვით, ადამიანებში ცენტრალურ თვისებათა რაოდენობა გასაოცრად მცირეა და საშუალოდ ხუთიდან ათამდე მერყეობს. *მეორადი თვისებები* გაცილებით ნაკლებად განზოგადებული, არცთუ მკაფიოდ გამოვლენილი და ნაკლებად ინფორმატულია პიროვნების დახასიათებისთვის. ისინი გამოხატავენ ადამიანების კონკრეტულ გემოვნებასა და მიდრეკილებებს, რაც უცხო თვალისთვის იოლი აღმოსაჩენი არ არის.

პიროვნების თვისება ოლპორტის თეორიის ცენტრალური ცნებაა. მისი საკვანძო მნიშვნელობის გამო ამ კონცეფციას, ხშირად, *თვისებების თეორიასაც* უწოდებენ. ამასთანავე, ოლპორტს შემოაქვს ცნება *პროპრიუმი*, რომელიც უკავშირდება იმ იდეას, რომ პიროვნება არ არის ერთმანეთთან დაუკავშირებელი თვისებების თუ დისპოზიციების ერთობლიობა, რომ პიროვნებაში მისი სტრუქტურული ელემენტების გამაერთიანებელი, მაორგანიზებელი პრინციპი მოქმედებს. პროპრიუმში შედის შინაგანი სამყაროს ის ნაწილი

(ქცევები, თვისებები, ღირებულებები, მოტივები და სხვა), რომელიც პიროვნების მიერ ყველაზე მნიშვნელოვნად და ახლობლად განიცდება. გამოხატავს *რა პიროვნების ცენტრს*, პროპრიუმი, უაქტობრივად, ისეთი ცნებების იდენტურია, როგორიცაა "მე" და "თვითი". ოლპორტი გამოყოფს პროპრიუმის შვიდ ასპექტს, რომლებიც პიროვნების ონტოგენეტური განვითარების სხვადასხვა სტადიაზე გამოიელინდება. ესენია: საკუთარი სხეულის შეგრძნება, თვითიდენტიფიკაცია, თვითპატივისცემა, პიროვნების გაფართოება, "მე"-ს ხატი, რაციონალური თვითმართვა და პროპრიატული მისწრაფებები. პროპრიუმის ეს უკანასკნელი ასპექტი მოიცავს იმ მოტივებს, რომელთაც ადამიანი საკუთარ, პირად მისწრაფებად განიცდის და მათ საფუძველზე ისახავს თავისი ცხოვრების მნიშვნელოვან მიზნებს. ეს მოტივაციური სისტემა ამთლიანებს პიროვნებას.

თავის შეხედულებას მოტივაციაზე ოლპორტი ფსიქოანალიზთან და ბიჰევიორიზმთან დაპირისპირებაში აყალიბებს. იგი სხვა თეორეტიკოსებზე მეტად უსვამს ხაზს ცნობიერი მოტივაციის მნიშვნელობას. ოლპორტი ამბობდა, რომ სიღრმის ფსიქოლოგია ზოგჯერ ზედმეტად "ღრმად თხრის". იქ სადაც რეალურად მოქმედებენ ცნობიერი მოტივები, საჭირო აღარ არის აუცილებელი ჩაღრმავება არაცნობიერში. იგი გაუმართლებლად მიიჩნევს მთელი მოტივაციური სფეროს დაყვანას რამდენიმე ძირითად მოტივზე. მისი აზრით, არც ის არის სწორი, როდესაც მოტივების ფუნქციონირების ერთადერთ მექანიზმად წონასწორობის, ჰომეოსტაზის პრინციპი მოიაზრება; ადეკვატური შეხედულება მოტივაციაზე პლურალისტური უნდა იყოს. ეს გულისხმობს როგორც მოტივთა მრავალიანობის, ისე მათი წარმოქმნისა და ფუნქციონირების განმსაზღვრელი პრინციპების მრავალგვარობის აღიარებას.

მოტივთა სულ ცოტა ორ სახეობაზე შეიძლება ლაპარაკი; ესენია: *საჭიროების ან დეფიციტის მოტივები და უმაღლესი განვითარების მოტივები*. ჰომეოსტაზის პრინციპი მხოლოდ პირველი სახის მოტივებს მიეყენება. ჰომეოსტაზის ფორმულაში ვერ ეტევა ადამიანის ჭეშმარიტად პიროვნული არსებობის მრავალი ფორმა – ახალი, სულ უფრო რთული მიზნების დასახვა, ახალი ინტერესებისა და ინიციატივების გაჩენა, პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება და ა.შ. მაღალი მოტივაციისთვის დამახასიათებელია დაძაბულობის ძიება, წონასწორობისადმი წინააღმდეგობის გაწევა. ოლპორტი მიუთითებს კრიტიკულ ცხოვრებისეულ სიტუაციებზე, როდესაც მაღალი მოტივაცია დაბალს უპირისპირდება. ასეთ დროს, განსაკუთრებით დრამატულ ვითარებებში, ადამიანი ამჯობინებს დაიღუპოს, ვიდრე უღალატოს თავის "მე"-ს. ოლპორტის ამ მოსაზრებებმა მნიშვნელოვნად განსაზღვრა მოტივაციაზე ჰუმანისტური ფსიქოლოგიის საერთო შეხედულება.

ბევრი თეორია აიგება რწმენაზე, რომ პიროვნებას თავისი წარსული განსაზღვრავს. ოლპორტის თანახმად, პიროვნების ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელს მის მოტივებსა და მიზნებში მოცემული ქმნადობისა და განვითარების პერსპექტივები წარმოადგენს. ოლპორტი ფიქრობს, რომ პიროვნებისთვის გაცილებით მეტი მნიშვნელობა მის მომავალს აქვს; ცნობილია მისი ფრაზა: მითხარი, როგორ წარმოგიდგენია შენი მომავალი და მე გეტყვი,

ვინ ხარ შენ. აქედან გამომდინარე, ისეთ კოგნიტურ ფუნქციებს, როგორიცაა მიზანი, ვეგმა, განზრახვა, მნიშვნელოვანი მოტივაციური როლი ენიჭება. სწორედ ისინი შეადგენენ "მე"-ს საკუთარ დინამიკურ ძალებს, რომლებსაც ფროიდი ყურადღების მიღმა ტოვებდა. იგი თვლიდა, რომ ინდივიდის მოტივაციური აღჭურვილობა უცელელი ინსტინქტური მისწრაფებებისაგან შედგება.

ოლპორტისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ წარმოიქმნება და ფუნქციონირებს მეორადი, მაღალი მოტივები. აქ იგი მკვეთრად უპირისპირდება ნეობიპევიორისტულ თვალსაზრისს, რომლის თანასმადაც ყოველი ახალი აღმძვრელი წარმოიქმნება მაშინ, როცა მანამდე ნეიტრალური სტიმული რაიმე თანდაყოლილი, ორგანული მოთხოვნილების დაკმაყოფილების პროცესს დაუკავშირდება. ასეთი შემთხვევაში სტიმული იძენს ახალი ქცევის აღძვრის უნარს. ამ თვალსაზრისის მიხედვით, ყველა მეორადი, მაღალი, სოციალური მოთხოვნილება არის მხოლოდ ორგანული მდგომარეობის დერივატი, სიგნალი მის მიღმა მყოფი ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა. ნეობიპევიორისტები ამტკიცებენ, რომ მეორადი მოთხოვნილებები ასრულებენ მხოლოდ იმ ფასადის როლს, რომელიც ფარავს მათ საფუძველში მყოფ თანდაყოლილ ორგანულ აღმძვრელებს.

ამ შეხედულების საწინააღმდეგოდ, ოლპორტი აყალიბებს *მოტივთა ფუნქციონალური ავტონომიის* კონცეფციას. მისი დედააზრი ასეთია: მომწიფული ადამიანის მაღალი მოტივები თავისთავადი და უსასრულოდ მრავალფეროვანი სისტემებია. ფუნქციონალური ავტონომიის პრინციპი ნიშნავს იმას, რომ ახალი მოტივები ამოიზრდებიან წინამორბედი მოტივაციური სისტემებიდან, მაგრამ ფუნქციონალურად მათგან დამოუკიდებელი არიან. ქცევა, რომელიც თავდაპირველად აღმოცენდება რომელიმე პირველად მოთხოვნილებასთან დაკავშირებით, როგორც მისი დაკმაყოფილების მომსახურე აქტივობა, დროთა განმავლობაში კავშირს წყვეტს ამ საწყის მოტივთან და გადაიქცევა ფუნქციონალურად დამოუკიდებელ, თვითკმარ მოტივაციურ ერთეულად. ის, რაც მიზნის მიღწევის საშუალება იყო, თვითონ ხდება მიზანი; ობიექტები და მოქმედებები, რომლებიც ოდესღაც მხოლოდ რაიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილების ინსტრუმენტებს წარმოადგენდნენ, თავად იქცევიან ინტერესის საგნად – იძენენ საკუთარ მოტივაციურ ძალას. მაგალითად, სუბიექტი თავდაპირველად ნადირობს საკვების მოპოვების მიზნით. მაგრამ, რაგომ განაგრძობს ნადირობას იმის მერე, რაც გამოკვების პრობლემა მოხსნილია? თუ, როგორც ოლპორტი უწოდებს, "უცელელი მოტივების თვალსაზრისზე" დავრჩებით, ანალიზი ისევ პრიმიტიულ მოტივებთან, ეთქვათ თანდაყოლილ აგრესიულ ტენდენციასთან მიგვიყვანს. ოლპორტი უარს ამბობს ასეთ ინტერპრეტაციაზე. მისი აზრით, როცა სუბიექტი პირველადი საბაზო მოტივაციის გარეშეც განაგრძობს მოქმედებას (ამ შემთხვევაში ნადირობას), ეს იმის გამო ხდება, რომ მას, უბრალოდ, მოსწონს, ეხალისება ეს საქმიანობა. ეს კი არსებითად ნიშნავს, რომ მოწიფული პიროვნების ქცევა არაა ფუნქციონალურად დამოკიდებული იმაზე, თუ რამ წარმართა იგი თავდაპირველად. მაშასადამე, პიროვნება, ფუნქციონალურად მაინც, არ არის პირდაპირ

ამოზრდილი თავისი წარსულის ფესვებიდან.

ნათელია, რომ ეს შესედულება საფუძველიანად განსხვავდება იმ თვალსაზრისისაგან, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება სწორედ ინდივიდის წარსულს, ადრეული პერიოდის ფიქსაციებსა თუ განსაზღვრულობას ენიჭება (ფსიქოანალიზი, ბიჰევიორიზმი და სხვა). ამიგომ გასაკვირი არ არის, რომ ის სერიოზული ანალიზის საგანი გახდა. ეს უთუოდ საინტერესო კონცეფცია მართლაც წარმოშობს გარკვეულ კითხვებს: შეიძლება თუ არა, რომ ყოველი აქტიურობა, ხშირად განმეორების შემთხვევაში, გახდეს ავტონომიური მოტივაციის მატარებელი და რა შეზღუდვები არსებობს ამასთან დაკავშირებით? რაც მთავარია, როგორია მოტივების ავტონომიზაციის ჭეშმარიტი ფსიქოლოგიური მექანიზმი, საიდან მომდინარეობს მოტივის დინამიკური ძალა, თუ მისი კავშირი პირველად აღძვრელებთან დაკარგულია? ამ კითხვებზე დამაჯერებელი პასუხი არ იქნა გაცემული. სპეციალისტების მართებული შეფასებით, ფუნქციონალური ავტონომიის კონცეფციის შესამჩნევი სისუსტე იმაში მდგომარეობს, რომ ის, არსებითად, აღწერით მოდელად რჩება; ოლპორტი არსად მიუთითებს მოტივთა ავტონომიის მოელენის საფუძველადმდებარე ფსიქოლოგიურ პროცესსა თუ მექანიზმზე. ამის გამო ძნელია იმის წინასწარმეტყველება, თუ როდის და რა ვითარებაშია მოსალოდნელი კონკრეტული ავტონომიური მოტივის წარმოშობა.

რადგან სიტყვა წინასწარმეტყველებაზე ჩამოვარდა, უნდა აღინიშნოს, რომ სადავო საკითხად იქცა და მრავალი გამოკვლევის ობიექტი გახდა ისიც, თუ რამდენადაა შესაძლებელი ინდივიდის ქცევის პროგნოზირება მისი პიროვნული თვისებების მიხედვით; რამდენად შეესატყვისება საზოგადოდ ერთმანეთს ქცევა და პიროვნების თვისება. ეს საკითხი, ინტენსიური კვლევის მიუხედავად, დასურულად ვერ ჩაითვლება და კვლავაც რჩება ე.წ. დისპოზიციონიზმისა და სიტუაციონიზმის დაპირისპირების საგნად. მაგრამ, ეს ხელს არ უშლის პიროვნების თეორიების შემსწავლელ სპეციალისტებს, აღიარონ ოლპორტის სისტემის ისეთი კონცეპტების მნიშვნელობა, როგორიცაა პიროვნების თვისება, ფუნქციონალური ავტონომია, პროპრიუმი და სხვა. მათი ნაყოფიერება მრავალგზის გამოვლინდა პერსონოლოგიურ კვლევებში.

სხვა საკითხია, როგორ უნდა ხორციელდებოდეს ასეთი კვლევა. როგორც ზემოთ ვნახეთ, ოლპორტი ეკლექტიზმისკენ მოგვიწოდებს. მაგრამ, რამდენად თანმიმდევრულია იგი ამ მხრივ? უნდა აღინიშნოს, რომ მის მიერ დეკლარირებული მეთოდოლოგია და ემპირიული კვლევა, გარკვეული აზრით, წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან. თეორიულ პლანში ოლპორტი აშკარად იხრება იდეოგრაფიული მიდგომისკენ. სამაგიეროდ, ემპირიულ კვლევაში, უპირატესობა ნომოთეტურ მეთოდოლოგიას ენიჭება. ოლპორტი ფსიქომეტრულ მეთოდებს იყენებს და თავადაც არის რამდენიმეს ავტორი. მათ შორის ყველაზე ცნობილია ღირებულებათა შემსწავლელი ტესტი, რომელიც შპრანგერის ღირებულებით ტიპოლოგიას ეყრდნობა. ბუნებრივად იბადება კითხვა, თუ რამდენად თავსებადია სტანდარტიზირებული ტესტების გამოყენება იდეოგრაფიულ მიდგომასთან, რომელიც, თუ თანმიმდევრულად გატარდა, გულისხმობს, რომ ყოველი ადამიანის შესწავლისას კვლე-

ვის ინსტრუმენტი საგანგებოდ უნდა იქნეს შესაბამისობაში მოყვანილი ამ პიროვნების კონკრეტულ, განუმეორებელ თავისებურებებთან.

ყოველივე ეს უკავშირდება ოლპორტის თეზისს პიროვნების ინდივიდუალურობისა და უნიკალურობის თაობაზე. რომელიც იმდენად რადიკალურადაა ფორმულირებული, რომ, პრინციპში, გამორიცხავს ადამიანის ფსიქიკის სფეროში რაიმე ზოგადი კანონზომიერების ძიების შესაძლებლობას. უნდა ითქვას, რომ ოლპორტის თეორიული სისტემის ამ პუნქტმა ყველაზე დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია იმ ფსიქოლოგთა შორის, რომლებსაც კანონზომიერების დადგენისა და განზოგადების გარეშე მეცნიერული კვლევა ვერ წარმოუდგენიათ. ინდივიდუალობის შესწავლა ზოგადის აღმოჩენაზე უარის თქმას არ უნდა ნიშნავდეს. პიროვნების ფსიქოლოგიის სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ინდივიდის უნიკალურობა პიროვნული თვისებების სხვადასხვა დონის უნიკალურ შეხამებას წარმოადგენს. ამასთან, ეს თვისებები ყველასთვის ერთნაირია. უფრო ზოგად პლანში ეს პოზიცია მკაფიოდ გამოხატა ა. ურანგიშვილმა. მისი თქმით, "პერსონალისტური ფსიქოლოგია, რომელიც უარყოფს პიროვნების შესწავლას ზოგადი ფსიქოლოგიის ფარგლებში, აგებულია კერძოსა და ზოგადის მცდარ ანტითეზაზე ... ერთეული არ არსებობს სხვაგვარად, თუ არა იმ კავშირებში, რომელთაც მიეყავართ ზოგადამდე. ზოგადი არსებობს მხოლოდ ერთეულში და ერთეულის წყალობით "... ზოგადი ფსიქოლოგიისა და პიროვნების ფსიქოლოგიის დაპირისპირება კარგავს ყოველგვარ აზრს – ზოგადი ფსიქოლოგია არის იმავე დროს პიროვნების, ინდივიდუალობის ფსიქოლოგია".

ოლპორტის თეორიულმა სისტემამ ბიძგი მისცა პერსონოლოგიაში *პიროვნული თვისებების მიმართულების* შექმნას. ამ ორიენტაციის ფარგლებში, რომელიც არ მიეკუთნება ჰუმანისტურ ფსიქოლოგიას და აგებულია საბუნებისმეტყველო პარადიგმაზე, მრავალი მკვლევარი მუშაობს. მათ შორის განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებენ ჰანს იურგენ აიზენკი (1916-1997) და რაიმონდ ბერნარდ კეტელი (1905-1998)[1].

ჰუმანისტური ფსიქოლოგიის პრინციპები ყველაზე სრულად და მკაფიოდ მასლოუს შეხედულებათა სისტემაში გამოვლინდა. **აბრაჰამ მასლოუმ** (1908-1970) დაიბადა ნიუ-იორკში, რუსეთიდან გადმოსახლებულ ებრაულ ოჯახში. მან კარგი ექსპერიმენტული წრთობა გაიარა ვისკონსინის უნივერსიტეტის პრიმატების ქცევის შემსწავლელ ლაბორატორიაში, ნეობიპევიორიზმის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენლის ჯ. ჰარლოუს ხელმძღვანელობით. დოქტორის ხარისხის მიღების შემდეგ (1934წ.) იგი ერთ ხანს მუშაობდა ნიუ-იორკში, კოლუმბიის უნივერსიტეტში თორნდაიკის ხელმძღ-

[1] პერსონოლოგიის იმ მიმართულებაში, რომელიც პიროვნული ნიშნების ან თვისებების ფსიქოლოგიად იწოდება, არ არსებობს შეთანხმებული შეხედულება პიროვნების სრულყოფილი დახასათებისთვის საჭირო ნიშნების რაოდენობაზე. პიროვნების უნიკალური ნიშნების ღირებულებაზე ხაზგასმით ოლპორტი, ფაქტობრივად, ნიშნების განუსაზღვრელი რაოდენობის აღიარებამდე მიდის. კეტელს, საერთო ნიშნების რაოდენობა თექვსმეტამდე დაჰყავს, აიზენკი კი სულაც სამი ნიშნით კმაყოფილდება. ბოლო ხანებში სულ უფრო მეტ ძალას იკრებს ახალი მიდგომა, რომელიც ერთგვარ კომპრომისად შეიძლება ჩაითვალოს. ამ შეხედულების თანახმად, პიროვნების არსებითი დახასიათებისთვის აუცილებელი და საკმარისია ხუთი თვისება (ე.წ. "ხუთფაქტორიანი მოდელი").

ვანეობით, ხოლო შემდეგ ბრუკლინის კოლეჯში გადაიყვანა. ნიუ-იორკში გატარებულმა წლებმა დიდი გავლენა მოახდინა მასლოუს ორიენტაციის საბოლოო ჩამოყალიბებაზე. იმ პერიოდში ნიუ-იორკში-მოღვაწეობდნენ ნაციზმს გარიდებული ბრწყინვალე ევროპელი სპეციალისტები: ადლერი, ბენედიქტი, ვერთჰაიმერი, კოფკა, ფრომი, ჰორნი, რომლებთანაც მასლოუს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა. 1951-1968 წლებში იგი სათაყვანო ეღგა ფსიქოლოგიის კათედრას ბრანდეისის ახლადგახსნილ უნივერსიტეტში ბოსტონის მახლობლად.

მასლოუს თავდაპირველი ფსიქოლოგიური ორიენტაცია ბიჰევიორისტული იყო. მისი სადოქტორო საშრომი ეხებოდა მაიმუნების კოლონიაში სექსუალურ ქცევაზე მოქმედი გარეგანი ფაქტორების შესწავლას. როგორც შედარებითი ფსიქოლოგიის სპეციალისტი, იგი ემყარებოდა რწმენას, რომ ცხოველების შეწავლამ შეიძლება საშუალება მოგვცეს გავიგოთ ადამიანის ქცევა, ვინაიდან ადამიანებიც ცხოველებს მიკუთვნებიან. მოგვიანებით მასლოუმ ისევე, როგორც ყველა მისმა თანამშრახველმა ჰუმანისტურმა ფსიქოლოგმა, კატეგორიულად უარყო ყოველგვარი მოდელი, რომელიც ადამიანის ცხოველთან ან მანქანასთან ანალოგიას გულისხმობს. მასლოუს ახალი მრწამსის ჩამოყალიბება დაიწყო ოცდაათიანი წლების ბოლოს, როდესაც მან ხელი მოკიდა ისეთი ადამიანური თვისებების შესწავლას, როგორიცაა ღომინანტობა და თვითპატივისცემა. კელევაში გაჩნდა და განმტკიცდა მოსაზრება, რომ ეს თვისებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სულიერი ჯანმრთელობის თვალსაზრისით. ამ იდეებმა განაპირობა მასლოუს ინტერესები მოტივაციისა და ჯანმრთელობის საკითხის მიმართ, რაც მას მთელი სიცოცხლის განმავლობაში გაპყვა. შემდგომში მასლოუ დაინტერესდა ფენომენოლოგიით და აღმოსავლური ფილოსოფიით, სახელდობრ, ჩინური სისტემით, დაოსიზმით. მასლოუს მიაჩნდა, რომ დასავლურ მეცნიერებაში არსებული მიდგომები მასალის ორგანიზაციისა და აღწერის მიმართ დამყარებულია აბსტრაქტულ სქემებზე და ტონებაჭვრეტით სპეკულაციებზე. მათ სანაცვლოდ უნდა გამოვიყენოთ დაოსური *ჩაურეველი შემეცნება*, უშუალო გამოცდილების ჭვრეტა, მოძრაობა "უკან საგნებისკენ", როგორც ამას ჰუსერლი მოითხოვდა; ეს ნიშნავს ჭეშმარიტ წვდომას, გაგებას, მკვლევარისა და ობიექტის შერწყმას; ობიექტი უნდა მივიღოთ ისე, როგორც ის გვეძლევა, მთლიანად, წინასწარი შეფასებებისა და ვარაუდების გარეშე; მივიღოთ იგი უშუალო მოცემულობაში ანუ *ექსპირიენტულად* (განცდისეულად). ასე უნდა იწყებოდეს ფსიქოლოგიური კვლევა. შემდგომ ეტაპზე, როდესაც დადგება ფენომენოლოგიური გამოცდილების ორგანიზაციის, კლასიფიკაციისა თუ განზოგადების ამოცანა, მოვა პიპოთეზური კონსტრუქციების დროც. მაშასადამე, ამოცანა მდგომარეობს ამ ორი მეთოდოლოგიის ოპტიმალურ ურთიერთშეხამებაში იმის გათვალისწინებით, რომ ყოველთვის მაქსიმალურად ახლოს ვიყოთ უშუალი სასიცოცხლო გამოცდილებასთან.

მოტივაციის კელეეისა და პიროვნების თეორიის განვითარებისას, კერძოდ, თვითაქტუალიზებული ადამიანების შესწავლისას, მასლოუ ამ მეთოდოლოგიურ პოზიციაზე იდგა. თავდაპირველად თვითაქტუალიზებული პიროვნებების შესწავლა არ იყო ჩაფიქრებული ავტორის მიერ, როგორც მეცნიერული კვლევა. მას ბიძგი მისცა მასლოუს ინტერესმა, გაერკვია, თუ რითი განსხვავდებიან მისი სათაყვანებელი მასწავლებლები რუთ ბენედიქტი და მაქს ვერთჰაიმერი სხვებისაგან. მასლოუს აღფრთოვანება ამ პიროვნებებით იმდენად დიდი იყო, რომ ექმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ისინი რაღაც უფრო მეტს წარმოდგენენ, ვიდრე უბრალოდ ადამიანები. ამ საკითხზე ფიქრმა მიიყვანა მასლოუ რწმენამდე, რომ შესაძლებელია ამ ორი ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული პიროვნების ხატის განზოგადება და დაასკვნა, რომ აქ საქმე გვაქვს ადამიანთა გარკვეულ ტიპთან – *თვითაქტუალიზებულ პიროვნებებთან.*

ომის შემდგომ პერიოდში მასლოუ იწყებს თვითაქტუალიზებული პიროვნებების სისტემატურ კელეევას. კლინიკურ ანალიზთან ერთად, იგი იყენებდა ბიოგრაფიულ მეთოდსაც. შეისწავლა რიგი გამოჩენილი ადამიანის სასიცოცხლო გზა (მაგ., ბ. სპინოზა, ა. ლინკოლნი, თ. ჯეფერსონი, უ. ჯემსი, ა. აინშტაინი, ო. ჰაქსლი და სხვა), მასლოუმ გამოჰყო ის თვისებები, რომლებიც განსაკუთრებით გამოარჩევთ თვითაქტუალიზებულ პიროვნებებს. მათ შორისაა: რეალობაზე ორიენტირებულობა, მომთმენლობა და შემწყნარებლობა, უბრალოება და ბუნებრიობა, სპონტანურობა, პრობლემებსა და საქმეებზე ცენტრირება, უმაღლესი ან მისტიკური განცდების ქონა, დამოუკიდებლობა და ავტონომიურობა, აღქმის სიცხოველე, ზეშთაგონებულობა, საზოგადოებრივი ინტერესი, თანაგრძნობა, ხასიათის დემოკრატიულობა, სიკეთისა და ბოროტების, მიზნისა და საშუალების გამიჯვნა, ფილოსოფიური იუმორის გრძნობა, შემოქმედებითობა და არაკონფორმულობა.

ამ პიროვნული სტრუქტურის საყრდენ ღერძს თვითაქტუალიზაციის მოტივი წარმოადგენს. თვითაქტუალიზებული პიროვნების მოტივაციურ სფეროში თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილებას დომინირებული ადგილი უკავია. ადამიანს აქვს მოთხოვნილება აკეთოს ის, რისთვისაც არის მოწოდებული. თუ ადამიანში ჩადებულია მოაზროვნის, მეცნიერის თვისებები, მან უნდა მოახდინოს ამ თვისებათა რეალიზაცია; მხატვრული ნიჭით დაჯილდოებულმა ადამიანმა უნდა ხატოს, პოეტურით – წეროს ლექსები, თუ, რა თქმა უნდა, მას საკუთარ თავთან ჰარმონიაში ყოფნა სურს. "ადამიანი ვალდებულია იყოს ის, რაც მას შეუძლია იყოს. ადამიანი გრძნობს, რომ უნდა შეესაბამებოდეს თავის ბუნებას. ამ მოთხოვნილებას შეიძლება ეწოდოს თვითაქტუალიზაცია".

მასლოუს მიხედვით, თვითაქტუალიზებული პიროვნებები მოსახლეობის უმცირესობას, დაახლოებით 1% შეადგენენ. ბუნებრივია, ისმის კითხვა: რატომ არის ასე? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას მასლოუ ცდილობს *მოტივთა იერარქიული თეორიის* საფუძველზე. ავტორის თანახმად, ერთმანეთისაგან უნდა გამოვყოთ მოტივების, ან ე.წ. *ბაზური მოთხოვნილებების* ხუთი კლასი, რომლებიც დონეების მიხედვით არიან იერარქიზირებული. 1) *ფიზიოლოგიური*

*მოთხოვნილებები* (შიმშილი, წყურვილი, სექსუალური ლტოლვა, ძილი და ა.შ.); 2) *უსაფრთხოების მოთხოვნილებები* (ტკივილის, შიშის, დისკომფორტის და ა.შ. არიდების მოთხოვნილებები, სტაბილური, ორგანიზებული და პროგნოზირებული ცხოვრების მოთხოვნილებები); 3) *სოციალური კავშირებისა და სიყვარულის მოთხოვნილებები* (მარტოობისა და გაუცხოების არიდების, სოციალური მიკუთვნებულობის, იდენტიფიკაციის, სითბოს, სიყვარულის მოთხოვნილებები); 4) *აღიარების და დაფასების მოთხოვნილებები;* აქ ორი ჯგუფი გამოიყოფა: ა) სიძლიერის, დომინირების, მიღწევის, შეჯიბრის, დამოუკიდებლობის მოთხოვნილებები და ბ) პატივისცემის, ყურადღების, დაფასების, აღიარების მოთხოვნილებები; 5) *თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილებები* (ადამიანის უნარ-შესაძლებლობების, პიროვნული პოტენციალის მაქსიმალური რეალიზაციის მოთხოვნილებები).

მოთხოვნილებათა ეს ჯგუფები იერარქიულ რიგს ქმნის. იერარქიის უმდაბლეს დონეს ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები შეესაბამება, ხოლო უმაღლესს — თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილებები. რაც უფრო მაღალია მოთხოვნილება, მით უფრო გვიან წარმოიქმნება იგი გენეტიკურად, მით უფრო ხანგრძლივად შეიძლება მისი დაუკმაყოფილებლობის ატანა; სუბიქტურად იგი ნაკლებ მომთხოვნად განიცდება. მაღალ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ბიოლოგიურ და ფსიქიკურ ფუნქციონირებას უფრო ეფექტურს ხდის და პიროვნულ ბრდას უწყობს ხელს. ოღონდ მაღალ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება იწყება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია რიგში უფრო დაბლა მდგომი მოთხოვნილებები. თუ, მაგალითად, დეპრივირებულია ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები, ინდივიდის მთელი აქტივობა მათ დაკმაყოფილებაზეა მიმართული და სხვა მოთხოვნილებები ამ დროს მისთვის არც არსებობს. დაკმაყოფილების შემდეგ ამ მოთხოვნილებებს აქტუალურობა ეკარგება და ინდივიდს შესაძლებლობა ექმნება იგრძნოს შემდგომი დონის, ანუ უსაფრთხოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე და ა.შ. მაშასადამე, თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილებებმა მხოლოდ მაშინ შეიძლება განსაზღვრონ პიროვნების აქტიურობა, თუ ყველა დანარჩენი მოთხოვნილება ასე თუ ისე დაკმაყოფილებულია. ადამიანთა უმეტესობისთვის ეს ვითარება მიუღწეველია; მათი ქცევა მთელი ცხოვრების განმავლობაში წარმართულია არა თვითაქტუალიზაციაზე, არამედ დაბალი რიგის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. ამიგომაც შეადგენენ თვითაქტუალიზებული პიროვნებები მოსახლეობის უმცირესობას. საჭიროა აღინიშნოს, რომ მასლოუ აღასტურებს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც მოთხოვნილებების დაკმაყოფილების იერარქიული წესი ირღვევა და მაღალი მოთხოვნილებები ქცევის რეალური მოტივები ხდებიან დაბალი მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობის პირობებშიც. მაგრამ, ავტორის თქმით, ეს მხოლოდ ის გამონაკლისია, რომელიც საერთო წესს ადასტურებს.

აღწერილი მოდელი მასლოუმ ჩამოყალიბებული სახით დაალაგა თავის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ წიგნში "მოტივაცია და პიროვნება" (1954). იგი შემდგომშიც სრულყოფდა და ამდიდრებდა თავის შეხედულებებს თვითაქტუალიზაციის შესახებ; სახელდობრ, დაინტერესდა თვითაქტუალიზაციის გან-

ვითარების საკითხით. საქმე ისაა, რომ მასლოუს მიერ შესწავლილი თვითაქტუალიზებული პიროვნებები ძირითადად ასაკოვანი ხალხი იყო, რომელთათვისაც თვითაქტუალიზაცია მათი პიროვნული განვითარების შედეგს, საბოლოო მდგომარეობას წარმოადგენდა. მაგრამ, როგორ შეიძლება დახასიათდეს თვითაქტუალიზაციის კუთხით თუნდაც ეს პიროვნებები მათი ჩამოყალიბების მთელი პროცესის განმავლობაში? ნუთუ თვითაქტუალიზაციისთვის უცხოა დინამიკა, ქმნადობა?

ამ საკითხის დამუშავების პროცესში მასლოუმ შეარბილა თავისი პოზიცია მოტივთა აქტუალიზაციის მკაცრი იერარქიულობის შესახებ. მან თავის მოდელში ე.წ. *ბრძის მოტივაცია* შეიტანა. ესაა განვითარებისკენ სწრაფვის მუდმივ მომქმედი ტენდენცია, რომლის უმაღლეს და საბოლოო სახეს თვითაქტუალიზაცია შეადგენს. თვითაქტუალიზებულ პიროვნებებში ეს მოტივაცია ბატონობს, მაგრამ მისი ელემენტები ყველა ადამიანთან გვხვდება. ავტორი ასე აყალიბებს თავი მოსაზრებას: "თვითაქტუალიზაცია რამდენადმე განხორციელებულ ფაქტს მხოლოდ მცირე რაოდენობის ადამიანებთან წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, უმრავლესობასთან იგი არსებობს იმედის, მისწრაფების, ლტოლვის, ბუნდოვნად სასურველის, მაგრამ ჯერ მიუღწეელის სახით. თვითაქტუალიზაციის ღირებულებები რეალურად არსებობენ მაშინაც, როცა ისინი არაა აქტუალიზებული. ადამიანი ერთდროულად წარმოადგენს იმასაც, რაც ის არის და იმასაც, რისკენაც ის მიისწრაფის".

მასლოუს პოზიციის ფორმირებაში დიდი როლი შეასრულა ფსიქოკონსულტაციური პრაქტიკის მონაცემებმა. იგი დარწმუნდა, რომ ფაქტობრივად ყველა ადამიანში არსებობს მისწრაფება თვითაქტუალიზაციისკენ, უმრავლესობას კი, პრინციპში, შეუძლია თვითაქტუალიზაციისკენ გზის გამონახვა ან დამოუკიდებლად, ან ფსიქოკონსულტანტის დახმარებით. ამრიგად, თვითაქტუალიზაცია არაა მხოლოდ ერთეული პიროვნების სასრული და მუდმივი მდგომარეობა. თვითაქტუალიზაციის პოტენციამ შეიძლება თავი იჩინოს ხანმოკლე ეპიზოდების, მდგომარეობების სახითაც. ამ კონტექსტში მასლოუ ლაპარკობს *საგზერულ განცდებზე*. მათ დასასიათებას ავტორი შემდეგი სიტყვებით ცდილობს: ესაა ყველაზე შესანიშნავი განცდა, ცხოვრების ყველაზე ბედნიერი წამები, მომენტი აღფრთოვანებისა, ნეტარებისა და ექსტაზისა. ეს შეიძლება მოხდეს სიყვარულში, მუსიკის მოსმენისას, წიგნის კითხვის ან შემოქმედებითი აღტკინებისას. ამგვარ საგზერულ განცდებში ადამიანი მაქსიმალურად აველენს თავის შესაძლებლობებს და სწორედ მაშინ ხდება ადამიანი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ესაა ჭეშმარიტი თვითაქტუალიზაციის ეპიზოდები. მაშასადამე, თვითაქტუალიზაცია მხოლოდ გამორჩეულთა ხვედრი არ ყოფილა. "ყოველი ადამიანი, ამბობს მასლოუ, ყოველ საგზერულ განცდამი დროებით იძენს ბევრ იმ თვისებათაგანს, რომლებიც მე აღმოვაჩინე თვითაქტუალიზებულ პიროვნებებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველი დამიანი, ხანმოკლე დროით მაინც, ხდება თვითაქტუალიზებული".

მიუხედავად ამისა, მასლოუს ძირითად ინტერესს შეადგენს არა თვითაქტუალიზაცია, როგორც ერთხელობრივი აქტი, გაბრწყინება, ეპიზოდი, არამედ თვითაქტუალიზაცია, როგორც ცხოვრების სტილი, როგორც სრულყო-

ფილი, განვითარებული პიროვნების არსებობის ფორმა. თაეის საეტაპო წიგნში "ყოფიერების ფსიქოლოგიისკენ" (1962) იგი განსაკუთრებულ ყურადღებას პრობლემის ამ ასპექტზე ამახვილებს და მას *მეტამოთხოვნილებების და ყოფიერების ღირებულებების* ტერმინებში აღწერს. მასლოუ გამიჯნავს მოტივაციის ორ სახეს: პირველი (ე.წ. საბაზო მოტივაცია) ასასიათებს ადამიანებს, რომლებსაც არ მიუღწეეიათ თვითაქტუალიზაციის დონემდე, ხოლო მეორე (ე.წ. მეტამოტივაცია) დამახასიათებელია თვითაქტუალიზაციის, ჭეშმარიტი არსებობის დონეზე მცხოვრები ადამიანებისთვის. ამ პიროვნებებს ყოველთვის აქვთ რაიმე მისია, როლი, მოწოდება, რომლის განხორციელებისთვის მრუნეა მათთვის ყველაზე მნიშვნელოვან და საინტერესო საქმიანობად განიცდება. ეს მოწოდება ყოველთვის რომელიმე უმაღლეს ღირებულებასთან არის დაკავშირებული. მაშასადამე, მეტამოთხოვნილებათა როლს უმაღლესი ღირებულებები ან, როგორც აეტორი უწოდებს, *ყოფიერების ღირებულებები* ასრულებენ. მასლოუ 14 ასეთ ღირებულებას გამოყოფს, მათ შორის არის ჭეშმარიტება, სილამაზე, უნიკალურობა, სრულყოფილება, სამართლიანობა, წესრიგი, უბრალოება, დასრულებულობა, თვითკმარობა და სხვა. პრინციპში, აღნიშნავს მასლოუ, ეს ღირებულებები ან მეტამოთხოვნილებები ყველას აქვს, რადგან ისინი ადამიანის ბუნებას გამოხატავენ, მაგრამ ზოგიერთი ინდივიდი მათ არსებობას ვერც გრძნობს, ხოლო ზოგიერთებისათვის ისინი ქცევის და ცხოვრების განმსაზღვრელი ფაქტორებია.

ამრიგად, მეტამოთხოვნილებები ადამიანის ბუნების ნაწილს შეადგენენ. თანდაყოლილი ბიოლოგიური მოთხოვნილებების მსგავსად, ყველა ადამიანს იმთავითვე ახასიათებს ყოფიერების ღირებულებებისადმი სწრაფვა. "სავსებით გარკვეული და ემპირიული აზრით, ადამიანისთვის აუცილებელია იცხოვროს სილამაზეში და არა სიმახინჯეში, ისევე, როგორც აუცილებელია საკვები მშიერი კუჭისთვის ან დასვენება დაღლილი სხეულისთვის". მეტამოტივები *ინსტინქტოიდური* ხასიათისაა. გარემოს, კულტურას შეუძლია მხოლოდ ხელი შეუწყოს, ან შეაფერხოს მათი აქტუალიზაცია. ის ვითარება, რომ ადამიანების უმრავლესობა ვერ ახერხებს ნამდვილი ყოფიერების დონეზე ასვლას და მეტამოტივირების რეალიზაციას, უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით არის გაპირობებული. ასეა თუ ისე, მეტამოთხოვნილებათა ქრონიკული ფრუსტრაცია იწვევს ფსიქიკურ დაავადებებს ანუ, მასლოუს ტერმინოლოგიით, *მეტაპათოლოგიებს*. ასეთი მდგომარეობები, როგორებიცაა დეპრესია, აპათია, გაუცხოება და სხვა, სწორედ ასეთი უმაღლესი დონის ამლილობების რიცხვს მიეკუთვნება.

მასლოუს, პირველ ყოვლისა, ფსიქიკურად სრულყოფილი, ჯანსაღი ადამიანი აინტერესებს. აბსოლუტურად ჯანმრთელი, ნორმალური, ბედნიერი ადამიანი მეტამოტივირებული პიროვნებაა. მას არ უნდა აწუხებდეს დაბალი რიგის მოთხოვნილებები. მასლოუს აზრით, თუ ადამიანში მუდმივად არის აქტუალიზებული სხვა ფუნდამენტური მოთხოვნილებები, იგი, ფაქტობრივად, ავადაა. ნათელია, რომ სიტყვა "ავადმყოფობა" აქ სპეციფიკური მნიშვნელობით იხმარება. ავადმყოფობა ამ შემთხვევაში ინდივიდისა და სოციალური გარემოს ურთიერთმიმართების ჭრილშია განხილული. მსჯელო-

ბას ასეთი სახე აქვს: ვინაიდან ადამიანი "აეადაა" მისი ფუნდამენტური მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობის გამო, სოლო ბაზური მოტივების ფრუსტრაცია გაპირობებულია მხოლოდ და მხოლოდ ინდივიდის გარეთ არსებული ძალებით და პირობებით, მისი აეადმყოფობა საკუთრივ "საზოგადოების აეადმყოფობის" შედეგია. ჯანმრთელი საზოგადოება ისეთი საზოგადოებაა, სადაც ადამიანებს შეუძლიათ წარმატებით ურთიერთთანამშრომლობა, თავისი პოტენციალის განვითარება და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება სხვათა თავისუფლების შეუზღუდავად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მასლოუს მიერ წარმოდგენილი ჰუმანისტური ფსიქოლოგიის მეტამიზანი კარგი საზოგადოების შექმნაა, ისეთი საზოგადოებისა, რომელშიც შესაძლებელია საკუთარი თავის რეალიზება და თვითაქტუალიზაცია. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა აქტიური ფსიქოკონსულტაციური და ფსიქოკორექციული მუშაობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, იქნება ეს ოჯახი, განათლების სისტემა, ბიზნესი თუ პოლიტიკა.

მასლოუ თვითონ იყო ჰუმანისტური რეფორმების გატარების ინიციატორი ბიზნესისა და ინდუსტრიის სფეროში. მან სპეციალური შრომაც მიუძღვნა მენეჯმენტის ფსიქოლოგიას, რომელიც ითვალისწინებდა ხელმძღვანელსა და შემსრულებელს შორის დემოკრატიული ურთიერთობების დამყარებას უმაღლესი მოტივების შესაბამისად. მისი მიზანი ისეთი სამუშაო სიტუაციის შექმნა იყო, რომელშიც შესაძლებელი იქნებოდა თვითაქტუალიზაცია და პიროვნული ზრდა. იმ რამდენიმე კორპორაციაში, სადაც მასლოუსეული პრინციპები დაინერგა, აღინიშნებოდა შესამჩნევი წარმატება მომსახურეთა პროდუქტიულობის, ეფექტურობისა და ბედნიერების ზრდის მხრივ. ამ შედეგებმა ცხადყო და დაადასტურა მასლოუს თეზისი, რომ პიროვნული ძალების გამოვლენის მაღალი დონე მხოლოდ მაშინ მიიღწევა, როდესაც ეაღიარებთ თვითაქტუალიზაციის მოტივაციას ყველა ადამიანში და ხელს შეეუწყობთ ამ მოტივაციის მაქსიმალურად სრულ რეალიზაციას.

მასლოუ, ალბათ, ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ყველაზე სერიოზული თეორეტიკოსია. მისი იდეები ფართოდაა გავრცელებული თანამედროვე ფსიქოლოგიურ (და არა მხოლოდ ფსიქოლოგიურ) საზოგადოებრიობაში, რაც სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ამ იდეებს ყველა იზიარებს. განსაკუთრებით დიდი გამოხმაურება ჰპოვა მოტივაციის იერარქიულმა მოდელმა, რომელიც მასლოუს შეხედულებათა ქვაკუთხედია. ბევრი მიიჩნევს, რომ ეს არის მოტივთა კლასიფიკაციის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ცდა. ამავე დროს, მოთხოვნილებათა თანმიმდევრული აქტუალიზაციის პრინციპი, რომელზეც აღნიშნული მოდელია დაფუძნებული, აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ზოგიერთი შეფასებით, იგი არსებითად სწორად გამოხატავს საქმის ვითარებას და შეესაბამება ონტოგენეტური განვითარების მონაცემებს, რომლებიც ადასტურებენ მასლოუს მიერ დადგენილ თანმიმდევრობას. მართლაც, სულ პატარა ბავშვისთვის მთავარია ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები; შემდგომ სტადიაზე უფრო მნიშვნელოვანი ხდება უსაფრთხოება. მომდევნო ეტაპზე დომინირებულ ადგილს სოციალური კონტაქტი და თვითშეფასება იკავებს. თვითაქტუალიზაცია თავს იჩენს მხოლოდ გარდამავალ ასაკ-

ში. სრულად კი უკვე მოზრდილობაში რეალიზდება. დომინანტურ იერარქიას აღასტურებენ ექსპერიმენტული მონაცემებიც, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ, რადგან ისინი იერარქიის ორ უმდაბლეს დონეს მოიცავენ. მაგალითად, დიდ ემპირიულ მასალაზეა ნაჩვენები, რომ ძირითად ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებათა (შიმშილი, წყურვილი, გამოყოფის მოთხოვნილება და ა.შ.) დეპრივაციის შემთხვევაში ისინი აბსოლუტურად გაბატონებულ ადგილს იკავებენ ქცევასა და ცნობიერებაში. არსებითად იგივე ითქმის უსაფრთხოებაზეც. დაცულობის მოთხოვნილების დაუკმაყოფილებამ, რასაც ადგილი პქონდა სტიქიური უბედურებების ზონებში, ფაქტობრივად დათრგუნა რიგში მასზე მაღლა მდგომი მოტივები. ეს დასკვნები არ ერცელდება მასლოუს იერარქიის შემდგომ დონეებზე. მონაცემები, რომლებიც არსებობს, მაგალითად სოციალური კონტაქტის მოთხოვნილებათა დეპრივაციასთან დაკავშირებით, არ იძლევა ანალოგიური ერთმნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას. ამიტომ, აეტორთა უმრავლესობა სამართლიანად სვამს საკითხს მასლოუს მოდელის უნივერსალურობის თაობაზე. პირველ რიგში ეს ეხება თვითაქტუალიზაციის პირობებს. მართლაც, აუცილებელია თუ არა ამ პირობების შესაქმნელად ყველა დანარჩენი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, როგორც ამას მასლოუ ამტკიცებს? აქ თითქოს უნდა არსებობდეს დაეჭვების საფუძველი. შეიძლება უამრავი მაგალითის მოყვანა ხელოვნების, მეცნიერების, პოლიტიკის თუ სხვა სფეროებიდან, როდესაც აქ მოღვაწე პიროვნებები შთაგონებით ასრულებდნენ თავის მოწოდებას, ახორციელებდნენ სრულ თვითაქტუალიზაციას საოცარი გაჭირვებისა და მორალური თუ ფიზიკური ტანჯვის მიუხედავად.

ეს კრიტიკული მოსაზრებები, პრინციპში, მართებულია და მათ მასლოუც უწვედა ანგარიშს. გვიანდელ შრომებში მან ერთგვარად შეარბილა იერარქიული მოდელი. კერძოდ, აღიარა, რომ ერთი დონის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება აეტომატურად არ იწვევს მასზე მაღალი დონის მოტივაციის აქტუალიზაციას. თვითაქტუალიზაციის ტენდენციაც არ ჩნდება მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა მოთხოვნილებებია დაკმაყოფილებული. ერთი სიტყვით, მასლოუ გარკვეულ დათმობებზე წავიდა თავისი მოდელის უნივერსალურობის თვალსაზრისით. მაგრამ საკითხი, არსებითად, მაინც ღიად დარჩა. სწორია თუ არა მოტივების იერარქიის მოდელი პრინციპში? მასლოუს ბოლომდე ეჭვი არ ეპარებოდა მის მართებულობაში.

კრიტიკული განსჯის საგანი გახდა თვითაქტუალიზაციის კონცეფციის სხვა ასპექტებიც. ყველაზე მეტი კრიტიკა წილად ხვდა მასლოუს მოსაზრებებს თვითაქტუალიზაციისა და მაღალი, მეტამოთხოვნილებების ე.წ. *ინსტინქტოიდურობის* შესახებ. მასლოუმ ისინი ადამიანის თანდაყოლილი ბუნების ნაწილად ჩათვალა. ვიტალური მოთხოვნილებების მსგავსად, ადამიანი იბადება ჩანერგილი ყოფიერების ღირებულებებით. გარემოს პირობები მხოლოდ მათი აქტუალიზაციის ხელშემწყობ ან დამაბრკოლებელ ფაქტორად არის წარმოდგენილი. ეს თვალსაზრისი ნამდვილად ბიოლოგისტურია; მასში იგნორირებულია სპეციფიკური ადამიანური მოტივაციის ქმნადობის, ფორმირების, გარემოსეული დეტერმინირებულობის უმნიშვნელოვანესი ასპექტი. უნდა

აღინიშნოს, რომ მასლოუს პოზიცია ერთგვარად ესმაურება დღეს უკვე საკმაოდ პოპულარულ *სოციობიოლოგიურ* კონცეფციას, რომლის თანახმად ადამიანის მაღალი მოთხოვნილებები (მაგ., ეთიკური) ევოლუციის შედეგია და მის მემკვიდრულ ნიშან-თვისებას წარმოადგენს. ცხოველთა სამყაროში ალტრუისტული ქცევა მოცემული სახეობისთვის სასარგებლო ფაქტორად გვევლინება. ამის გამო სათანადო (ალტრუისტული) მოტივაცია მტკიცდება და მემკვიდრეობით გადაეცემა. ამ შესედულების ერთ-ერთი მთავარი შემქმნელის, ედუარდ უილსონის თქმით, სოციობიოლოგიის არსი საერთოდ ქცევისა და კონკრეტულად, ადამიანის საზოგადოებრივი ქცევის გენეტიკური განსაზღვრულობის ჩვენებაშია. ამ კონტექსტში აუცილებელია ითქვას, რომ მეორადი მოტივაციის, მაღალი მოთხოვნილებების წარმოშობის პრობლემა რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი. საფიქრებელია, რომ აქ მართლაც არის გარკვეული თანდაყოლილი, მასლოუს ტერმინოლოგიით, ინსტინქტოიდური მომენტები. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევართა უმრავლესობა, განურჩევლად მათი თეორიული ორიენტაციისა, ემხრობა მაღალი მოტივაციის შეძენილობის, მისი უპირატესად სოციალური დეტერმინირებულობის თვალსაზრისს.

ჰუმანისტური ფსიქოლოგიის კიდევ ერთი წამყვანი ფიგურაა **კარლ როჯერსი** (1902-1987). როჯერსი იზრდებოდა საკმაოდ შეძლებულ ოჯახში მკაცრი პროტესტანტული და ფუნდამენტალისტული ტრადიციებით. იგი, თავდაპირველად, თეოლოგიას სწავლობდა ვისკონსინის უნივერსიტეტში, ხოლო შემდგომში ფსიქოლოგიით დაინტერესდა და სწავლა განაგრძო კოლუმბიის უნივერსიტეტში, სადაც მიიღო სამეცნიერო ხარისხი კლინიკური ფსიქოლოგიის სფეროში 1931 წელს. მომდევნო ცხრა წლის განმავლობაში მუშაობდა ნიუ-იორკში ბავშვის ფსიქოლოგიის განხრით. 1940 წლიდან იწყება მისი აკადემიური კარიერა კოლუმბიის, ჩიკაგოსა და ვისკონსინის უნივერსიტეტებში. 1964 წლიდან როჯერსი გადასახლდა კალიფორნიაში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ბიჰევიორალური მეცნიერებების დასავლეთის ინსტიტუტში და ადამიანის შემსწავლელ ცენტრში. როჯერსი ძალიან ბევრს აკეთებდა თავისი ფსიქოთერაპიული სისტემის პოპულარიზაციისთვის. იგი ხშირად მოგზაურობდა, ატარებდა სემინარებსა და სეანსებს სხვადასხვა ქვეყანაში. 1987 წელს ამ მიზნით ეწვია თბილისს.

როჯერსი, პირველ რიგში, პრაქტიკოსი ფსიქოთერაპევტი იყო და მისი პერსონოლოგიური შეხედულებანი სწორედ ამ პრაქტიკაზე დაყრდნობით შემუშავდა. როჯერსის თვალსაზრისის ცენტრალური ცნება "*მე*"-*კონცეფციაა*. ესაა ქცევისა და ცნობიერების თვითრეალიზაციის ძირეული მექანიზმი. "როდესაც ორგანიზმი გარკვეულ ძალისხმევას ახორციელებს თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მის მიერ განცდილ სამყაროში, ამ ძალისხმევის ფორმა თავსებადი უნდა იყოს "მე"-კონცეფციასთან". ეს უკანასკნე-

ლი შეღგება "მე"-ს შეხედულებებისაგან თავისთავზე (*თვითშეფასება*) და იმაზე, თუ როგორი სურს მას იყოს (*იდეალური "მე"*). ჯანმრთელი, ნორმალური, მოწიფული და ჰარმონიული პიროვნების "მე"-კონცეფციაში ეს ელემენტები ურთიერთთავსებადად, როჯერსის ტერმინოლოგიით, *კონგრუენტულად* არიან ინტეგრირებული. "მე"-კონცეფციის დეზინტეგრაციის საშიშროება მაშინ იქმნება, როდესაც ხდება განსხვავება თვითშეფასებასა და იდეალურ მე-ს შორის, თვითშეფასებასა და ადამიანის უშუალო და რეალურ ქცევით გამოცდილებას შორის. "მე"-კონცეფციის დეზინტეგრაცია ელინდება თავის თავში დაურწმუნებლობის, შიშის, შფოთვის და სხვა განცდებში. დასაწყისში შეუმჩნეველი ეს განცდები თანდათან ძლიერი და შემაწუხებელი ხდება. ამ ვითარებიდან ნამდვილი გამოსავალი "მე"-კონცეფციის გადახალისებაში მდგომარეობს. მაგრამ პიროვნება, როგორც წესი, ცდილობს შეინარჩუნოს არსებული "მე"-კონცეფცია; იგი შესაძლებისდაგვარად ებრძვის დეზინტეგრაციულ პროცესებს და დაცვით მექანიზმებს მიმართავს.

როჯერსი ორ ძირითად მექანიზმზე მიუთითებს: 1) *რეალობის აღქმის დამახინჯება* (მაგ., მიუხედავად მარცხისა და წარუმატებლობისა, ადამიანი მაინც მიიჩნევს, რომ ნიჭიერია და უბრალოდ, არ უმართლებს); 2) "*მე"-კონცეფციისთვის საფრთხის შემცველი გამოცდილების იგნორირება* (მაგ., ადამიანი არ აცნობიერებს, თვალს ხუჭავს იმაზე, რომ იგი ბევრს ჭამს, ეწევა, უსეშობს, ფეთხუმია და ა.შ.). ამ მექანიზმებმა შეიძლება გარკვეულ ფარგლებში შეანელონ ან შეარბილონ დეზინტეგრაციული ტენდენციები, მაგრამ არსებითად საქმეს ვერ შველიან. პირიქით, უფსკრული "მე"-კონცეფციასა და რეალობას შორის სულ უფრო იზრდება, რასაც შეიძლება სერიოზული ფსიქოლოგიური დეზადაპტაცია და აშლილობა მოჰყვეს. ასეთ შემთხვევაში უკვე ფსიქოთერაპევტის ჩარევა ხდება საჭირო. ამოცანა იმაშია, რომ ინდივიდს გამოუმუშავდეს საკუთარი თავის ახალი, რეალობის აღექვატური ხატი, და ჩამოუყალიბდეს თავის შესაძლებლობათა შესაბამისი იდეალური მე.

იმისათვის, რომ მივიღოთ უფრო მოქნილი მე-კონცეფცია, საჭიროა მოიხსნას ან მაქსიმალურად შესუსტდეს დაცვითი მექანიზმები, რომლებიც ამახინჯებენ "მე"-კონცეფციას. ეს გზას გაუხსნის პიროვნებაში არსებულ ჯანსაღ ძალას, მიმართულს მის განვითარებაზე და თვითგამოვლენაზე. "რაც არ უნდა ვუწოდოთ მას, ამბობს როჯერსი, ზრდის ტენდენცია, აღძრულობა თვითაქტუალიზაციისკენ თუ წინ მოძრაობის ტენდენცია, ესაა სიცოცხლის მთავარი მამოძრავებელი ძალა, მისწრაფება, რომელზეც დამოკიდებულია მთელი თერაპია. ესაა მთელ ორგანულ და ადამიანურ ცხოვრებაში ჩართული მისწრაფება გავრცელდეს, გაფართოვდეს, გახდეს დამოუკიდებელი, განვითარდეს, გამოაველინოს და აამოქმედოს ორგანიზმის ყველა შესაძლებლობა ისეთ დონემდე, რომ გაძლიერდეს ორგანიზმი ან "მე". ყოველივე ეს პიროვნებაში ღრმა და მნიშვნელოვან ძვრებს გულისხმობს, რაც იმ შემთხვევაში მიიღწევა, თუ ფსიქოთერაპიული სეანსების დროს შექმნილია სათანადო ატმოსფერო და ურთიერთობები. სწორედ ამაზეა მიმართული ფსიქოთერაპიის ის სახე, რომელიც მტკიცედ არის დაკავშირებული როჯერსის სახელთან; მას *არადირექტიული ან კლიენტზე ცენტრირებული თერაპია*

ეწოდება. ამგვარი თერაპია გულისხმობს თერაპევტის მიერ კლიენტისათვის თბილი და მიმღებლური ატმოსფეროს შექმნას, რომელშიც ეს უკანასკნელი სრულ ფსიქოლოგურ დაცულობას და უსაფრთხოებას გრძნობს. თერაპევტი ამყარებს კეთილმოსურნეობას, "უეჭველ დადებით დამოკიდებულებას"; გულწრფელი ინტერესით და ემპატიით ცდილობს სწვდეს მეორე ადამიანის შინაგან სამყაროს, დაინახოს ისე, როგორც ეს უკანასკნელი სედავს მას. ასეთ სიტუაციაში იცვლება კლიენტის დამოკიდებულება თავის თავის მიმართ; იგი ხდება უფრო გულისხმიერი და მიმღებლური თავისი რეალური განცდებისა და თვისებების მიმართ; მას უჩნდება რწმენა თავის თავისა, უძლიერდება თვითკონტროლი და აუტონომიურობა; იგი უკეთესად ახერხებს თვითრეალიზაციას. ერთი სიტყვით, ხდება პიროვნული ზრდა, მე-კონცეფციის ჰარმონიზაცია და რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანა. შედეგად ვიღებთ სრულყოფილად ფუნქციონირებად ინდივიდს, რომელსაც უნარი ექნება წარმატებით და უმტკივნეულოდ გაართვას თავი ცხოვრებისეულ პრობლემებს.

თავისი ფსიქოთერაპიული საქმიანობის მეორე პერიოდში როჯერსის ინტერესმა გადაინაცვლა ინდივიდუალური ფსიქოთერაპიიდან ჯგუფურზე. 60-70-იან წლებში, ბევრწილად როჯერსის გაელენით, ამერიკაში უაღრესად პოპულარული გახდა ე.წ. *შეხვედრის ჯგუფები.* როჯერსი თვლიდა, რომ პიროვნული ცვალებადობა, შინაგანი პოტენციალის ზრდა უფრო სწრაფად ხდება მცირე და ინტენსიურ ჯგუფებში.

კლიენტზე ცენტრირებული მიდგომა ფსიქოთერაპიის ფარგლებს გასცდა და ადამიანურ ურთიერთობათა სხვა სახეებზეც გავრცელდა. საკმაოდ ბევრის მიერ შეწყნარებული და პრაქტიკულად რეალიზებული იქნა როჯერსის მიდგომის მთავარი პრინციპი, რომ *გამაადვილებელი, ფასილიტაციური* ფსიქოლოგიური კლიმატი ხელს უწყობს პიროვნულ ზრდას ყოველგვარ სიტუაციაში, იქნება ეს თერაპევტისა და კლიენტის, მშობლისა და შვილის, მასწავლებლისა და მოსწავლის, ლიდერისა და ჯგუფის, ადმინისტრატორისა და თანამშრომლის თუ სხვა სახის ურთიერთობა. განსაკუთრებული გაქანება მოიპოვა ჰუმანისტურმა მიდგომამ განათლების სფეროში. როჯერსი აღიარებულია თანამედროეობის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო ფსიქოთერაპევტად. იგი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ხვეწდა ფსიქოთერაპიულ ტექნიკას, მაგრამ, როგორც მკვლევარი, არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ ტექნიკის სრულყოფით და ცდილობდა მკაცრი ემპირიული მეთოდებით შეემოწმებინა თავისი მიდგომის მართებულობა. ამაში გამომჟღავნდა მისი მეთოდოლოგიური პოზიცია, რომელსაც ზემოთ ეკლექტიკური ვუწოდეთ. როჯერსი დასაშვებად, ზოგჯერ კი აუცილებლად მიიჩნევს ფენომენოლოგიური და ობიექტურ-პოზიტივისტური მეთოდოლოგიის შეთავსებას (იხ. 5.7.).

როჯერსი შემეცნების სამ გზას გამოყოფს. 1) *შინაგანი, სუბიექტური გამოცდილება,* რომელიც დამყარებულია ე.წ. *ორგანიზმულ გრძნობაზე* და შეადგენს შინაგანი ჰიპოთეზების ფორმულირების წყაროს; 2) *ობიექტური შემეცნება,* რომელიც არსებითად კლასიკურ საბუნებისმეტყველო მეთოდოლოგიას გულისხმობს და 3) *პიროვნებათშორისი ან ფენომენოლოგიური შემეცნება.* ამ შემთხვევაში ემპატია მიმართულია სხვა ადამიანის სუბიექ-

ტური სამყაროს წყლომაზე, იმაზე, თუ რამდენად რელევანტურად შეეფიერეთ მის ფენომენოლოგიურ ველში, მისი საზრისების სისტემაში. ამ გზით მოპოვებული ცოდნა აბსოლუტურად ინდივიდუალურია, მაგრამ ამავე დროს შესაძლებელია მისი განზოგადება და შემოწმება საესებით ობიექტური (ექსპერიმენტული) პროცედურების მეშვეობით. ბიპევიორიზმის ცალმხრიობა იმაში მდგომარეობდა, რომ იგი მხოლოდ მეორე სახის შემეცნებას სცნობდა. ქცევის ნამდვილი მეცნიერული შესწავლა კი სამივე სახის შემეცნებას გულისხმობს. როჯერს სჯერა, რომ სწორედ ჰუმანისტურ ფსიქოლოგიას (რომელსაც იგი ფენომენოლოგიურ-ეგზისტენციალურს უწოდებს) შესწევს ამის უნარი. უფრო მეტიც, როჯერსი დარწმუნებულია, რომ ეს მიმდინარეობა მიგვიყვანს ისეთ თეორიულ დასკვნებამდე, რომლებიც გააოცებენ ტრადიციულ ფსიქოლოგებს, ვინაიდან იგი თავის თავში შეიცავს ახალი მეცნიერების სათავეებს; ეს იქნება მეცნიერება, რომელსაც არ შეეშინდება ხელი მოკიდოს პიროვნების პრობლემას და გამოიყენოს როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური შემეცნება.

უნდა ითქვას, რომ ეს პრეტენზიები ნამდვილად გადაჭარბებულია. მიმდინარეობას, რომელსაც როჯერსი წარმოადგენს არც მაშინ, როდესაც ამას ამბობდა, და არც ახლა, ოთხი ათეული წლის მერე განსაკუთრებული მონაცემებით ან აღმოჩენებით არავინ გაუოცებია, მით უფრო ახალი მეცნიერებით. როჯერსის პოზიცია დამაჯერებლი ჩანს მხოლოდ ორთოდოქსალურ ბიპეეიორიზმთან დაკავშირებით, რომელიც მართლაც იზღუდებოდა მხოლოდ გარედაკვირვებადი ცვლადების გაზომვით. მაგრამ განა იმ ფენომენების (მიზანი, საზრისი, განზრახვა, თვითაღქმა, თვიღშეფასება და ა.შ.) მეცნიერული კვლევის ტრადიციას, რომლებიც პიროვნულ-მოტივაციურ სფეროს მიეკუთვნებიან, ფენომენოლოგიურმა და ეგზისტენციალურმა ფსიქოლოგიამ დაუდო სათავე? XX საუკუნის დასაწყისიდან ევროპულ ფსიქოლოგიაში ეს პრობლემატიკა ყოველთვის აქტუალური იყო. ორმოციანი წლებიდან კი ამ სფეროში უამრავი ექსპერიმენტული კვლევა განხორციელდა. ეს კვლევები ეხება მე-კონცეფციის ისეთ ასპექტებს, როგორიცაა მე-ს ხატი, იდეალური მე, თვითშეფასება, პრეტენზიის დონე, მოლოდინი, ფრუსტრაცია და სხვა. აღსანიშნავია, რომ ეს კვლევები საბუნებისმეტყველო-პოზიტივისტური ორიენტაციით სასიათდება, რომელიც ფენომენოლოგიურ-ეგზისტენციალური მეცნიერული მსოფლმხედველობისათვის ანტაგონისტურია. ამრიგად, სუბიექტური, პიროვნულ-მოტივაციური ფენომენების კვლევას ტრადიციული ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის ფარგლებში ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამ კვლევებს თავისი ლოგიკა და მეთოდოლოგია აქვს; ამიტომ, სინამდვილეს არ შეეფერება ის შეფასება, თითქოს მათ გზა გაუხსნა ფსიქოლოგიის ასპარეზზე მესამე ძალის გამოჩენამ. ის გარემოება, რომ ამ ფენომენებს როჯერსი ფენომენოლოგიურ-ეგზისტენციალურ ცვლადებს უწოდებს, თავისთავად არ აქცევს მათ ჰუმანისტური ფსიქოლოგიის კუთვნილებად; საჭიროა იმის დაზუსტება, თუ რას წარმოადგენს საკუთრივ ფენომენოლოგიური და ეგზისტენციალური ფსიქოლოგია.

ჰუსერლის ფენომენოლოგიისა და ფსიქოლოგიის ურთიერთმიმართება-

ზე ჩვენ ზემოთ უკვე საკმაოდ ვისაუბრეთ (იხ. 5.3.). ფსიქოლოგიურ კვლევაში ფენომენოლოგიური მეთოდის გამოყენება ნიშნავს ცნობიერების მოვლენათა განსილვას განცდებზე უშუალო დაკვირვების საფუძველზე, წინასწარი ვარაუდებისა და თეორიული სქემების გარეშე, რომელთაც შეუძლიათ დაამახინჯონ ფენომენოლოგიური გამოცდილება. ასეთი დაკვირვება შეიძლება ლაბორატორიულ პირობებშიც მიმდინარეობდეს და ე.წ. ექსპერიმენტული ფენომენოლოგიის სახე მიიღოს. ამ მეთოდს ფსიქოლოგიაში დიდი ისტორია აქვს.

ჰუმანისტურ ფსიქოლოგიაში ფენომენოლოგია ძირითად მეთოდად გვევლინება. განსხვავებით ტრადიციული ფსიქოლოგიისაგან, სადაც უპირატესად სხადასხვა ფსიქიკური პროცესების კვლევა მიმდინარეობდა, ჰუმანისტურ ფსიქოლოგიაში ფენომენოლოგიური მეთოდი პიროვნების შესასწავლად გამოიყენება. მესამე ძალის წარმომადგენლები იქიდან ამოდიან, რომ პიროვნების გაგება მხოლოდ მისი საკუთარი თვალსაზრისიდან, მისი სუბიექტური გამოცდილებიდან შეიძლება. მთავარია გავიგოთ, როგორ განიცდის ადამიანი თავის თავს და სასიცოცხლო პრობლემებს. პიროვნების შემეცნების საუკეთესო საშუალებად მიჩნეულია ემპათია-მთავრძნობა, უშუალო შესელა შინაგან სამყაროში, თანაგანცდა, ერთი სიტყვით ის, რასაც როჯერსი ფენომენოლოგიურ შემეცნებას უწოდებს. როჯერსისა და სხვა ეკლექტიკოსების მეთოდოლოგიური პოზიცია განსხვავებული მეთოდების შეუღლებაში მდგომარეობს; სხვების აზრით კი ფენომენოლოგია ჭეშმარიტი შემეცნების ერთადერთ იარაღს წარმოადგენს. ამგვარ ორიენტაციას ხშირად *ეგზისტენციალურ ფსიქოლოგიას* უწოდებენ. თუმცა, ალბათ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ მთელი ჰუმანისტური ფსიქოლოგია ეგზისტენციალურია ისევე, როგორც ფენომენოლოგიური. ერთ-ერთი წამყვანი ეგზისტენციალი ფსიქოლოგის, შ. ბიულერის შეფასებით, თუ ფენომენოლოგია ჰუმანისტური ფსიქოლოგიის მეთოდური საფუძველია, ეგზისტენციალური შესედულებები მის ფილოსოფიურ ბაზისს ქმნის. თუმცა, აქვე უნდა ვახსენოთ ისეთი სისტემებიც, როგორიცაა სიცოცხლის ფილოსოფია და პერსონოლოგია.

## 10.2. ეგზისტენციალური ფსიქოლოგია

ჰუმანისტური ფსიქოლოგია უმთავრესად ფენომენოლოგიურ და ეგზისტენციალურ მეთოდოლოგიას ეყრდნობა. მიუხედავად ამისა, ფორმალურად მაინც, ჰუმანისტური მოძრაობის ფარგლებში, ეგზისტენციალური ფსიქოლოგიის სახით, ცალკე მიმართულება გამოიყოფა. როგორც ცნობილია, ეგზისტენციალიზმში თავად ადამიანის საკუთარი ხედვა, თვალსაზრისი ხდება საბოგადოდ მსოფლხედველობის ათვლის წერტილი. სამყაროს სურათი არ არის ადამიანის მიმართ ტრანსცენდენტური, თავისთავად არსებული და რაციონალურად შემეცნებადი მიზეზ-შედეგობრივი კავშირების რიგი ან ერთობლიობა. სამყაროს სურათი ისე უნდა დაიხატოს, როგორც ადამიანისთვის არის მოცემული; იგი ინდივიდუალური ცნობიერების შინაარსად *არსებობის სამყაროა*. პიროვნულ სამყაროს იმ ღირებულებებისა და საზრისების სტრუქტურა წარ-

მოადგენს, რომელშიც ადამიანი არსებობს (existentia-ლათინურად არსებობაა) და მოქმედებს. ყოველგვარი მოვლენა სამყაროში არსებობს იმდენად და იმდაგვარად, როგორც მას აცნობიერებს, აფასებს და ეპყრობა სუბიექტი.

ადამიანზე ორიენტირებულმა ამ ფილოსოფიამ ღრმა კვალი დააჩნია ჰუმანისტური ფსიქოლოგიის წარმომადგენელთა მსოფლმხედველობას და პირდაპირი გაელენა მოახდინა ეგზისტენციალური ფსიქოლოგიის პრინციპებისა და თემების გააზრებაზე. ამ პრინციპებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი: 1) ყოველი ადამიანი განუმეორებელია; უნიკალურია როგორც მისი შინაგანი სამყარო, ასევე მის მიერ გარე სამყაროს აღქმა და შეფასება; უნიკალურია ადამიანის რეაგირებაც ამ სამყაროზე (იდეოგრაფიული პრინციპი); 2) ადამიანი, პიროვნება არ შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც მისი შემადგენელი ფუნქციებისა ან ელემენტების უბრალო ერთიობლიობა. პიროვნების სუბიექტური, ფენომენალური სამყარო უნდა განიხილებოდეს მთლიანობითი და არა ფრაგმენტული თვალსაზრისით (ჰოლისტური პრინციპი). ეგზისტენციალური ფსიქოლოგიის საბოლოო მიზანია ადამიანის ცხოვრებაში იმ ძირითადი თემის, ტენდენციისა თუ ძალის პოვნა, რომელიც ერთგვარი გასაღები იქნება პიროვნების ბუნების *უნიკალურობისა და მთლიანობის* გასაგებად. რაც შეეხება ეგზისტენციალური ფსიქოლოგიის მთავარ თემებს, ესენია: ა) ცხოვრების საზრისი, ღირებულებების ინდივიდუალური სკალა, ბ) თავისუფლება, არჩევანი, პასუხისმგებლობა, გ) შფოთვა, შიში, აპათია, დ) ადამიანთა შორის ურთიერთობები, სიყვარული, მარტოობა, გაუცხოება.

ჰუმანისტური მოძრაობის (მესამე ძალის) წარმომადგენლებს ბევრი რამ იზიდავს ეგზისტენციალიზმში; პირველ რიგში ის, რომ ამ ფილოსოფიური სისტემის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა ადამიანი მისი არსებობისთვის დამახასიათებელი ყველა პრობლემით და კონფლიქტით. ისინი დაკავშირებული არიან არსებობის ფინალობასთან, სიცოცხლის საზრისის უქონლობასთან ან დაკარგვასთან, ადამიანის თვისებებისა და უნარების რეალიზაციის შეუძლებლობასთან და სხვა. ყოველივე ეს უკმაყოფილების, დაურწმუნებლობის, შფოთვის, ეგზისტენციალური შიშის, სასოწარკვეთილების და, შესაძლოა, ფსიქიკური აშლილობის წყარო ხდება. თავის ძირითად დანიშნულებას ეგზისტენციალური ფსიქოლოგია ამ ვითარების გამოსწორებაში, სხვა ადამიანის სუბიექტური სამყაროს სირთულეების მოხსნაში, მის პარმონიზაციაში ხედავს. ამიტომ გასაგებია, რომ ამ მიმდინარეობის წარმომადგენელთა აბსოლუტური უმრავლესობა ფსიქოთერაპევტებია, რომლებიც უფრო ინდივიდუალური ცნობიერების პრობლემების აღწერით და გაგებით არიან დაინტერესებული, ვიდრე ზოგადი კანონზომიერებებისა და კონცეფციების დადგენით. ამ სულისკვეთებით მუშაობენ მრავალრიცხოვანი ეგზისტენციალისტი ფსიქიატრები და ფსიქოთერაპევტები სხვადასხვა ქვეყანაში. მათი მოსაზრებები ფსიქოპათოლოგიური და ფსიქოთერაპიული პროცესების მიმართ ფრიად განსხვავებულია. ფსიქოთერაპია ამ შემთხვევაში იდეოგრაფიული კვლევის გზას წარმოადგენს. სწორედ ამას გულისხმობს რ. მეი, როცა აღნიშნავს, რომ ეგზისტენციალური ფსიქოლოგია ორიგინალური თეორიული სისტემა

ან სკოლა კი არ არის, არამედ ერთგვარი დამოკიდებულება, პოზიცია თეორიის მიმართ.

ყველაზე ცნობილი ამერიკელი ეგზისტენციალისტი ფსიქოლოგი **როლო მეი** (1909-1994) თავიდანვე ფსიქოკონსულტაციაზე ან ფსიქოთერაპიაზე იყო ორიენტირებული. როგორც ჭეშმარიტი ეგზისტენციალისტი, მეი ადამიანის ბუნების ცენტრალურ მომენტად მის თავისუფლებას მიიჩნევს. მაგრამ თავისუფლება ყოველთვის დაკავშირებულია პასუხისმგებლობასთან როგორც საზოგადოების, ისე, პირველ რიგში, საკუთარი თავის, თავისი ცხოვრებისა და ბედის მიმართ. ჯანმრთელ ადამიანებს არ ეშინიათ თვალი გაუსწორონ ცხოვრების პერსპექტივებს, აფასებენ და უფრთხილდებიან თავისუფლებას, პატიოსნები არიან საკუთარი თავის და სხვების წინაშე. ისინი აცნობიერებენ ცხოვრების სასრულობას, მაგრამ ყოფნით გამბედაობა იცხოვრონ სრულფასოვანი ცხოვრებით. არის ხალხი, რომლებსაც არ ძალუძთ ბიდონ თავისუფლების ტვირთი, აიღონ თავზე ვალდებულება საკუთარი ბედის წინაშე, თმობენ თავისუფლებას, გაურბიან არჩევანს, იმუშაკებენ არაადექვატურ თვითშეფასებას და უყალიბდებათ საკუთარი თავის უმნიშვნელობისა და სამყაროსგან გაუცხოების განცდა.

მეი ეთანხმება ეგზისტენციალურ ფილოსოფიაში მიღებულ მოსაზრებას, რომ იზოლირებულობა, სხვებისაგან და საკუთარი თავისაგან გაუცხოება დამახასიათებელია ყველასთვის, ვინც დღეანდელ დასავლურ საზოგადოებაში ცხოვრობს. მიუხედავად ამისა, ადამიანები მეტ-ნაკლებად მწვავედ განიცდიან ამ მდგომარეობას. განსხვავებულია არა მარტო შესაბამისი განცდების ინტენსივობა, არამედ რომელობაც. ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს სხვადასხვა ეგზისტენციალური განცდის დახასიათებას, როგორც დადებითის (მზრუნველობა, სიყვარული), ისე უარყოფითის (სიკვდილის შიში, შფოთვა, დანაშაული, აპათია და სხვა).

ყველაზე დიდი გამოხმაურება მაინც მეის მიერ ჩატარებულ შფოთვის საფუძვლიან ანალიზს ხვდა. შფოთვა მეის მიხედვით არის "ადამიანის მიერ იმ ღირებულებებისადმი წარმოქმნილი საფრთხის გაცნობიერება, რომელთაც იგი მნიშვნელოვნად მიიჩნევს მისი, როგორც პიროვნების არსებობისთვის". საფრთხე შეიძლება ემუქრებოდეს ადამიანის ფიზიკურ და ფსიქიკურ არსებობას (სიკვდილი და თავისუფლება) ან რაიმე სხვა ღირებულებას (სიყვარული, ურთიერთობა, პრესტიჟი და ა.შ.). მაგრამ მთავარი მნიშვნელობა ენიჭება არსებობის საზრისის დაკარგვას. განიხილება ორი სახის შფოთვა, *ნორმალური და ნევროტული.* ნორმალურ შფოთვას ვერავინ გაექცევა; იგი თან ახლავს ძველ ღირებულებათა უარყოფის ან გადახალისების პროცესს, რაც ყოველთვის დაკავშირებულია პიროვნების ზრდასთან და განვითარებასთან, ამდენად ეს ნორმალური მდგომარეობაა. თუ შფოთვა საფრთხის პროპორციულია, მასთან სავსებით შესაძლებელია გამკლავება ცნობიერების დონეზე. მაგრამ, თუ შფოთვა საფრთხის მიმართ პროპორციული არ არის, იგი ნევროტულ სახეს იძენს და მწვავე კონფლიქტის წყარო ხდება. მისი სათავეა რაიმე ღირებულებისთვის არაადექვატურად დიდი მნიშვნელობის მინიჭება და დოგმის, კერპის რანგში აყვანა. ამ ღირებულებაზე უარის თქმამ შეიძლება

არსებობის საზრისის დაკარგვის საფრთხე შექმნას და ნევროტული ბუნების ეგზისტენციალური შფოთვა გამოიწვიოს. ნევროზისკენ მივყავართ სიცარიელისა და აპათიის განცდასაც, რომელიც თან სდევს გაუცხოებას. სიცარიელე და აპათია აბრკოლებს აქტიურ ცხოვრებას, ჩნდება ნევროტული სიმპტომები, რომლებიც აიწვროებენ და ამახინჯებენ პიროვნების ფენომენოლოგიურ სამყაროს და თრგუნავენ შინაგანი თავისუფლების გრძნობას. შინაგნად არათავისუფალი ადამიანი თავის გარშემო იქმნის ისეთ რეალობას, სადაც მას არ ესაჭიროება არჩევანის გაკეთება, ვალდებულებების აღება. ნევროტული სიმპტომები თავისუფლების და, შესაბამისად, პასუხისმგებლობისაგან გაქცევის მიმნიშნებელია, იმის მაჩვენებელი, რომ ადამიანი არ იყენებს თავის შესაძლებლობებს. ფსიქოთერაპიის მიზანია, დაეხმაროს ადამიანებს თავისუფლების მოპოვებაში, რათა მათ გააცნობიერონ და გამოიყენონ თავიანთი შესაძლებლობები. როდესაც პაციენტი უფრო თავისუფალი ხდება, მისი ნევროტული სიმპტომები, როგორც წესი, ქრება, ნევროტული შფოთვა ადგილს უთმობს ნორმალურს. მაგრამ ეს მხოლოდ თანმხლები ეფექტებია იმ მთავარი მიზნისა, რაც პაციენტის მიერ სრულფასოვანი არსებობისკენ მიმავალი გზის აჩევაში მდგომარეობს. როგორ შეიძლება ამის მიღწევა? რ. მეი, ეგზიტენციალისტი ფსიქოთერაპევტების უმეტესობის მსგავსად, არ ზრუნავს სპეციალური ტექნიკებისა და მეთოდების შემუშავებაზე. გადამწყვეტი მნიშვნელობა *ემპატიას* ენიჭება, რომელიც მეის თქმით, კონსულტირების პროცესის გასაღებს წარმოადგენს. აქ ყოველივე თავისუფალი საუბრის რეჟიმში, ურთიერთიმიმღებლურ ატმოსფეროში ხდება, უაღრესად ფაქიზად, პიროვნების აუტონომიაში ჩარევის გარეშე. ფსიქოთერაპევტი მხოლოდ რბილად უბიძგებს პაციენტს იმისკენ, რომ მან თავის თავზე მუშაობა დაიწყოს და ამით მიაღწიოს გარე და შინაგანი სამყაროს ადექვატურ და უკეთეს გაგებას; საბოლოო ჯამში, იგი უნდა გახდეს ის, რაც არის, დაიბრუნოს თავისუფლება და პასუხისმგებლობა საკუთარ ცხოვრებაზე.

აღვილი შესამჩნევია, რომ ყოველივე ეს საკმაოდ ახლოს არის როჯერსიანულ მიდგომასთან, სახელდობრ, ფსიქოთერაპიის, როგორც ისეთი ადამიანური კონტაქტის გაგებასთან, სადაც იქმნება რბილი, სანდო ურთიერთობა კლიენტთან, სადაც ხორციელდება კლიენტის შინაგანი შემოქმედებითი პოტენციალის აქტუალიზაცია და, შესაბამისად, მისი პიროვნული ზრდა. მიუხედავად ასეთი მსგავსებისა, არის განსხვავებებიც, რაც მეის გაცნობიერებული აქვს. იგი აღნიშნავს ეგზისტენციალური ფსიქოთერაპიული ურთიერთობის შედარებით სანგრძლიობას, ფსიქოთერაპევტის მეტ აქტიურობას და იმასაც, რომ როჯერსის თვალსაზრისი უფრო ოპტიმისტურია. ეგზისტენციალური ფსიქოთერაპევტები უფრო მეტად ამახვილებენ ყურადღებას ადამიანის არსებობის უარყოფით მხარეებზე, სასიცოცხლო კრიზისების ტრაგედიაზე და ა.შ. ეს ბუნებრივიცაა; ამაში მჟღავნდება ეგზისტენციალისტური მსოფლმხედველობის თავისებურება.

კრიტიკოსების აზრით, ეგზისტენციალური ფსიქოთერაპია, ისე როგორც იგი მეისთან არის მოცემული, მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ეფექტური, როდესაც საქმე გვაქვს სამედიცინო თვალსაზრისით პრაქტიკულად ჯანმრ-

თელ ადამიანებთან, რომლებსაც თავისი არსებობის უაზრობა აშფოთებთ. ასეთი კლიენტები მართლაც მრავალად ჰყავს ეგზისტენციალისტ ფსიქოლოგს; იგი არადირექტიულად, მაგრამ მაინც არწმუნებს თავის კლიენტებს იმაში, რომ ყველაფერი მათ ხელშია და მათ თავისუფალ არჩევანზეა დამოკიდებული. ასეთი ზემოქმედების სარგებლიანობა ფრიად საეჭვოა რეალურად ავადმყოფი ადამიანების შემთხვევაში, რომლებიც სწორედ იმიტომ მივიდნენ სამკურნალოდ, რომ მხოლოდ ნებელობის დაძაბვით არ შეუძლიათ მოერიონ აკვიატებულ მოქმედებებს თუ შემაწუხებელ ფსიქოსომატურ აშლილობებს. მეტიც, ასეთმა ზემოქმედებამ შეიძლება ნევროტული სიმპტომების გაძლიერებაც გამოიწვიოს.

როლო მეისა და სხვა *ეგზისტენციალისტ-ანალიტიკოსებისაგან* განსხვავებით **ვიქტორ ფრანკლი** (1905-1997), ვენის მესამე ფსიქოთერაპიული სკოლის (ფროიდის და ადლერის შემდეგ) დამაარსებელი, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ფსიქოთერაპიის ტექნიკას. მის სახელს უკავშირდება მკურნალობის ორი ახალი პრინციპი ან მეთოდი: *დერეფლექსია და პარადოქსული ინტენცია*. დერეფლექსიის მეთოდი მიმართულია იმაზე, რომ აღიკვეთოს თავის სირთულეებზე გაუთავებელი ფიქრი, გადაჭარბებული თვითკონტროლი. მთელმა რიგმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ეს მართლაც ერთობ მნიშვნელოვანი მომენტია; მაგალითად, გამოვლინდა, რომ თანამედროვე ახალგაზრდებს რეალურ კომპლექსებზე მეტად ის აზრი თრგუნავს, რომ მათ კომპლექსები აქვთ. პარადოქსული ინტენციის მეთოდი გულისხმობს თერაპევტის მიერ კლიენტის მომართვას სწორედ იმის გასაკეთებლად, რასაც იგი გაურბის. ამასთან, რიგ შემთხვევებში აქტიურად გამოიყენება იუმორი, რომელსაც ფრანკლი ადამიანის თავისუფლების ერთ-ერთ ფორმად მიიჩნევს.

ფრანკლის, როგორც ეგზისტენციალური ფსიქოთერაპევტის ინტერესი მიმართულია ახალი ტიპის ნევროზების – *ნოოგენური ნევროზებისკენ*, რომლებიც დასაელური სამყაროს მახასიათებლები გახდნენ. რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა ეკონომიკურად, მით მეტია იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც *ეგზისტენციალურ ვაკუუმში* იმყოფება. ესაა ადამიანები ინტერესების, ინიციატიების, ცხოვრების საზრისის გარეშე. სამედიცინო თვალსაზრისით ისინი ჯანმრთელები არიან, რაც ფსიქოთერაპევტებს აყენებს არა კლინიკური სიმპტომების, არამედ ადამიანური პრობლემების წინაშე; ისეთი პრობლემების წინაშე, რომლებიც აქამდე სასულიერო პირების კომპეტენციაში შედიოდა. საზრისის ძიება არ არის პათოლოგია; იგი ჭეშმარიტად ადამიანური არსებობის უპირველესი ნიშანია. ეს უფრო სულიერი დისტრესია, ვიდრე ფსიქიკური დაავადება. მაგრამ ადამიანს ამ შემთხვევაშიც სჭირდება დახმარება. ფსიქოთერაპევტი, ამბობს ფრანკლი, ადამიანს საზრისს ვერ "ჩაუნერგავს", მაგრამ მის ძიებაში, მის დანახვაში დაეხმარება.

ფრანკლის მიდგომას *ლოგოთერაპია*, ანუ ცხოვრების საზრისის მოპო-

ვებაზე მიმართული თერაპია ეწოდება. ცხოვრების საზრისი ყოველ ადამიანს თავისი აქვს. იგი უნდა აცნობიერებდეს პასუხისმგებლობას იმ მიზანთა შესრულებაზე, რომლებშიც მისი ცხოვრების საზრისი რეალიზდება. ნეიროზის შემთხვევაში ადამიანი ან ვერ ხედავს საზრისის მქონე მიზნებს, ან მცდარად განსაზღვრავს მათ, ან ცდილობს ერთი მიზნის მიღწევას მეორის ხარჯზე. ფრანკლი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ არ არსებობს საყოველთაოდ გამორჩეული ცხოვრების საზრისი; ეს იგივეა, რომ გროსმაისტერს დაუსვა კითხვა: "რომელი სელაა ჭაღრაკში ყველაზე კარგი?". საზრისი ყოველთვის უნიკალურია; იგი კონკრეტული პიროვნებისა და კონკრეტული ვითარების გადაკვეთაზე წარმოიქმნება. საზრისი აუცილებლად რაიმე ღირებულებას უკავშირდება. ღირებულებებს ფრანკლი სამ ჯგუფად ყოფს: *შემოქმედების* ღირებულებები (პირველ ყოველისა შრომა), *განცდის* ღირებულებები (ერთ-ერთი უმთავრესია სიყვარული) და *დამოუკიდებლობის* ღირებულებები. ეს რიგი გამოხატავს სამ ძირითად გზას, რომლითაც ადამიანს ცხოვრების საზრისის პოვნა შეუძლია. პირველი ის არის, რასაც იგი აძლევს სამყაროს თავისი ქმნილებებით; მეორე – რასაც იგი სამყაროსაგან იღებს თავისი ქმედებებითა და მათთან დაკავშირებული განცდებით; მესამე ცნობიერი პოზიცია, რომელსაც ადამიანი იკავებს თავისი ბედის მიმართ. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, იყოფა გააზრებულ დამოკიდებულებად ტკივილის, ბრალისა და სიკვდილის მიმართ.

ფრანკლი ადამიანის არსებაში სამ ფენას განიხილავს: *ბიოლოგიურს, ფსიქიკურს და ნოეტურს ანუ გონითს.* სწორედ ამ უმაღლეს განზომილებაშია თავმოყრილი საზრისები და ღირებულებები, რომლებიც განსაზღვრავენ ქვედა დონეების როლს პიროვნული აქტივობის დეტერმინაციაში. ამიტომ ავტორი თავის თვალსაზრისს *სიმაღლის ფსიქოლოგიად* მიიჩნევს და, გასაგები ლოგიკით, განასხვავებს მას სიღრმის ფსიქოლოგიისაგან. მისი შეფასებით ლოგოთერაპია ადამიანის არსებობის მწვერვალისკენ არის მიმართული, ხოლო ფსიქოანალიზი ადამიანის ბუნების უფსკრულებში იხედება.

რადგან ადამიანს გონითი განზომილებაც აქვს, იგი მეტია, ვიდრე ფსიქიკა. ადამიანი გარკვეულად თავისუფალია საკუთარი ფსიქიკური მოცემულობისაგან, მით უმეტეს გარემოსა და მემკვიდრეობისაგან. ამას უკავშირდება მისი ორი ფუნდამენტური უნარი *თვითტრანსცენდენციისა* (საკუთარ ფარგლებს გარეთ გასვლა) და *თვითგანრიდებისა* (პოზიციის დაკავება გარე ვითარებისა და თავის თავის მიმართ). ზემოთ აღნიშნული ორი ფსიქოთერაპიული ხერხის ეფექტურობა, ფრანკლის აზრით, ამ უნარების გამოყენებას ეფუძნება.

მეისა და ფრანკლთან ერთად ყველაზე გამოჩენილ ეგზისტენციალისტ ფსიქოთერაპევტებს მიეკუთნებიან შვეიცარიელი ფსიქიატრები ლუდვიგ ბინსვანგერი და მედარდ ბოსი, რომელთა შეხედულებები *ეგზისტენციალური ანალიზის* სახელითაა ცნობილი; ასევე იგორ კარუზო – *პერსონალისტური ფსიქოთერაპიის* ავტორი; იტალიელი რობერტო ასანჯიოლი – *ფსიქოსინთეზის* შემქმნელი; ინგლისელი ფსიქიატრი რობერტ ლაინგი, *ანტიფსიქიატრიის* ერთ-ერთი ლიდერი; საფრანგეთში მოღვაწე იუჯინ მინკოესკი; ამერიკაში – ჯე-

იმს ბუგენტალი, ამადეო ჯიორჯი და სხვა. ყველა ეს ავტორი საკუთარი გზით მიეიდა ფენომენოლოგიურ-ეგზისტენციალურ თვალსაზრისამდე და, ამავე დროს, გამოკვეთილი ინდივიდუალურობა შეინარჩუნა. მიუხედავად ამისა, ყოველი მაიგანის ფსიქოთერაპიული პრაქტიკა იმ მთავარ დებულებას ეყრდნობა, რომ ადამიანი თავის შესაძლებლობათა საფუძველზე და ღირებულებათა საკუთარი არჩევანის გზით, თვითონ ქმნის თავისი არსებობის *პროექტს*, ცხოვრების წესს. ნამდვილი ანუ *აუთენტური არსებობა* – ესაა გაცნობიერებული, ნებითი, პიროვნულ გადაწყვეტილებასა და პასუხისმგებლობაზე დამყარებული არსებობა. მხოლოდ ამ უკანასკნელს მიეწერება თავისუფლების ნიშანი. არანამდვილი არსებობა ნიშნავს იმას, რომ ადამიანს დაკარგული აქვს თავისი ცნობიერებისა და ნების საშუალებით *ცხოვრების სამყაროს* კონსტრუირების უნარი; იგი გარბის პრობლემებისაგან, თავისუფლებისაგან და ა.შ. ამიტომ ყველა ეგზისტენციალისტი ფსიქოთერაპევტი თუ კონსულტანტი ცდილობს შეაღწიოს პაციენტის შინაგან სამყაროში, განიცადოს ის, რასაც პაციენტი განიცდის და, შემდგომ, დაეხმაროს მას თვითგამორკვევაში, სწორი არჩევანის გაკეთებაში, ჭეშმარიტი მიზნისა და საზრისის პოვნაში, ერთი სიტყვით, საკუთარი თავის განხორციელებაში.

თეორიის გაგება შეიძლება არა მხოლოდ იმის გათვალისწინებით, თუ რას ამტკიცებს იგი, არამედ იმისიც, თუ რას უპირისპირდება, უარყოფს იგი. უკვე ითქვა, რომ ჰუმანისტური ფსიქოლოგია, როგორც მესამე ძალა, უპირისპირდება ბიჰევიორიზმს და ფსიქოანალიზს. მაგრამ ამ სამი მიმდინარეობის ურთიერთმიმართება მაინც სპეციფიკურია. თუ ბიჰევიორიზმსა და ჰუმანისტურ ფსიქოლოგიას შორის ხიდის გადება არსებითად ვერ ხერხდება, ფსიქოანალიზის შემთხვევაში ეს უაქტობრივად უკვე გაკეთებულია. არსებობს აშკარად გარდამავალი, ინტეგრაციული ხასიათის თეორიული სისტემები, ისეთები, როგორიცაა *ჰუმანისტური ფსიქოანალიზი* (ფრომი) ან *ეგზისტენციალური ანალიზი* (ბინსვანგერი, ბოსი). მათ სინთეტურ ხასიათზე თავად სახელწოდებები მეტყველებს. ჰუმანისტური ფსიქოლოგიის, განსაკუთრებით კი მისი ეგზისტენციალური ფრთის წარმომადგენელთა დიდი ნაწილი ერთ დროს ფსიქოანალიტიკური მოძრაობის რომელიმე მიმართულებასთან იყო დაკავშირებული. ეს საკმაოდ გასაგებია, ვინაიდან მათ უმრავლესობას ფსიქოთერაპევტები შეადგენენ, ხოლო ფსიქოანალიზი იყო და არის სერიოზული ავტორიტეტი, რომელსაც ვერც ერთი ფსიქოთერაპევტი გვერდს ვერ აუვლის, თუნდაც მის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულების გამოხატვით. მაგალითად, ბინსვანგერი იუნგთან სწავლობდა და ბოლომდე მეგობრობდა ფროიდთან; ფრანკლის მასწავლებლები იყვნენ ფროიდი და ადლერი, ბოსისა – ჯონსი, რაიხი, ჰორნი; მეიმ ფსიქოანალიტიკური წვრთნა ადლერთან გაიარა და ა.შ. მოგვიანებით ისინი თანდათანობით დაუახლოვდნენ ფენომენოლოგიურ-ეგზისტენციალურ იდეებს და შედარებით დაშორდნენ ფსიქოანალიზს, თუმცა მასთან კავშირი მთლიანად და საბოლოოდ არ გაუწყვეტიათ. ფსიქოანალიზის უდიდეს დამსახურებაზე ფენომენოლოგიურ-ეგზისტენციალური ორიენტაციის ყველა მეცნიერი ლაპარაკობს. მიუხედავად ამისა, გამოთქმულია უამრავი შენიშვნა, რომელიც ფსიქოანალიზის სხვადასხვა

ასპექტებს ეხება. ყველაზე მწვავე კრიტიკა ფსიქოანალიზის მეთოდოლოგიაზეა მიმართული. ეს უკანასკნელი ისევე, როგორც ბიპევიორიზმი, ე.წ. სციენტისტურ ან დეტერმინისტულ-საბუნებისმეტყველო პარადიგმაზე დგას, რის გამოც ხასიათდება რედუქციონიზმით, ნატურალიზმით და მექანიციზმით.

ჰუმანისტური ფსიქოლოგებისთვის ფსიქოანალიზის ტექნიკაც მიუღებელია, ვინაიდან ეს უკანასკნელი პაციენტს თავს ახევევს მკაცრად გარკვეული სქემებიდან გამომდინარე ინტერპრეტაციებს; ეს, რასაკვირველია, პრინციპულად ეწინააღმდეგება ფენომენოლოგიური მეთოდის სულისკვეთებას, რომლისთვისაც მთავარი სწორედ პიროვნებისა და მისი პრობლემების ყოველგვარი წინასწარი სქემებისა და თეალსაზრისებისაგან თავისუფალი წვდომა-გაგებაა.

არსებითი ხასიათისაა შენიშვნები ფსიქოანალიზის მოტივაციის კონცეფციის მიმართ. პირველ რიგში საქმე ეხება ამოსავალი ლტოლვების პომეოსტატურ ხასიათის. ღაძაბულობის რედუქციისკენ სწრაფვის გამოცხადება ადამიანის მოტივაციის ერთადერთ მექანიზმად (რაც, სხვათა შორის, ერთნაირად არის დამახასიათებელი როგორც ბიპევიორიზმის, ისე ფსიქოანალიზისთვის) პიროვნების ჭეშმარიტი ბუნების გაუგებრობის, მისი პრიმიტივიზაციის და ბიოლოგიზაციის ტოლფასია. არავინ უარყოფს იმას, რომ ადამიანს გააჩნია ღაძაბულობის მოხსნისა და წონასწორობის აღდგენის პრინციპით განსაზღვრული მოთხოვნილებები. მაგრამ, თუ ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ ამგვარი მოტივაციის ფარგლებში არსებობს, იგი მხოლოდ ამქამინდელი უსიამოვნებისა და დისკომფორტის არიდებაზე ზრუნავს; აქედან გამომდინარე, ვერ ემსახურება შორს მიმავალ მიზნებსა და მაღალ ფასეულობებს. ნორმალური და ჯანსაღი პიროვნება კი პირველ რიგში მიმართულია თვითგანხორციელებისკენ და საზრისულ-ცხოვრებისეული მიზნების მიღწევისკენ. ამ გზაზე იგი არ ერიდება სირთულეებს, ენერგიის ხარჯვას, დისკომფორტს. იგი ცდილობს გამოხატოს საკუთარი თავი სულ უფრო რთულ, ახალ და საინტერესო ვითარებებში. ამრიგად, პიროვნება თვითონ არღვევს წონასწორობას, არ გაურბის ღაძაბულობას; იგი უფრო მეტად ღაძაბულობის შექმნასა და შენარჩუნებისკენ მიისწრაფის, ვიდრე მისი შემცირებასა და მოხსნისაკენ.

მოცემულ კონტექსტში ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო მაინც ისაა, თუ როგორ შეაქვს ჰუმანისტურ-ეგზისტენციალურ მიმდინარეობას თავისი შემეცნების არეში არაცნობიერი; ფსიქოანალიზი ხომ პირველ რიგში არაცნობიერის შემსწავლელი მოძღვრება და მეთოდია. პიროვნების შესწავლა, მით უმეტეს ფსიქოთერაპია, ცნობიერების ანალიზით არ ამოიწურება და ვერც მისით შემოიფარგლება. ფენომენოლოგიურ-ეგზისტენციალური ორიენტაციის ფსიქოლოგებს და ფსიქოთერაპევტებს ეს კარგად ესმით. სათანადოდ არის შეფასებული ფროიდის ღვაწლიც, რომელმაც, მეის თქმით, არაცნობიერის "მძლავრი" სფეროს აღმოჩენით ადამიანის ბუნებას *სიღრმე* მიანიჭა. მიუხედავად ამის, არაცნობიერის ბუნების გაგებაში ამ ორ მიმდინარეობას შორის არსებითი სახის განსხვავეებაა.

ფსიქოანალიზის მიხედვით, დინამიკური არაცნობიერი მოვლენები აბსოლუტურად მიუწვდომელია პირდაპირი აღქმისთვის როგორც საკუთარ მე-

ში, ასევე სხვაში. ისინი უშუალოდ არ გვეძლევიან; შესაძლებელია მხოლოდ მათი გამოელენა და რეკონსტრუირება ისეთი მასალის ანალიზით, როგორიცაა სიზმრები, მცდარი მოქმედებები ან თავისუფალი ასოციაციები. ფენომენოლოგიური მიდგომის თანახმად კი არაცნობიერი შინაარსების ფიქსაცია და აღწერა შესაძლებელია უშუალო გამოცდილების საზღვრებში. იგი ცდილობს დააღასტუროს არაცნობიერი ფსიქიკური სინამდვილე ცნობიერების ფარგლებიდან გასვლის გარეშე. ამდენად, იგი ურთულესი ამოცანის წინაშე დგას: მან არაცნობიერი უნდა აღმოაჩინოს ფენომენოლოგიური კვლევის გზით, ანუ მონახოს არაცნობიერი ცნობიერებაში.

თეორიულ პლანში ეს ამოცანა ასე წყდება: ცნობიერების ინტენციონალური შინაარსების გარდა არსებობს შინაარსები, რომლებიც ყურადღების საგნად არ ქცეულა, რომლებიც ჯერ-ჯერობით შეუმჩნეველნი არიან. სწორედ ეს შეუმჩნეველი შინაარსები წარმოადგენს იმას, რასაც არაცნობიერი ეწოდება. პრაქტიკულ პლანში ეს ნიშნავს, რომ პაციენტისა და ფსიქოთერაპევტის ემპატიურ ურთიერთობაში ფენომენოლოგიური წედომის გზით ხდება იმის დადგენა, რასაც პაციენტი სათანადოდ ვერ აცნობიერებდა და რაც ხელს უშლიდა მის თვითგანსორციელებას. საფიქრებელია, რომ ასეთი რამ შესაძლებელია მხოლოდ იმ შინაარსების მიმართ, რომელთაც ფროიდი წინაცნობიერს უწოდებდა; ისინი ცნობიერების ფოკუსის მიღმა, გარკვეულ ფონურ ჰორიზონტში იმყოფებიან და ამდენად, პოტენციურად გაცნობიერებადი არიან. მათი შემოტანა ნათელი ცნობიერების ველში მართლაც შესაძლებელია, რადგან ამ შემთხვევაში ფაქტობრივად ადგილი აქვს მხოლოდ ცნობიერების პერიფერიული, მკრთალი და ბუნდოვანი შინაარსების შემჩნევას და გამოამკარავებას. მაგრამ, რაც შეეხება არაცნობიერის კატეგორიის თეორიულ გააზრებას, აქ ჩვენ საქმე გვაქვს არაცნობიერი ფსიქიკის ცნობიერების ჩარჩოებში დასაბუთების მცდელობასთან, რაც სერიოზულ სირთულეებს აწყდება. ი. ბეალავა სამართლიანად შენიშნავს, რომ ამ შემთხვევაში უბრალოდ ცნობიერების ფარგლებია გაფართოებული, იგი შეიცავს როგორც არაცნობიერს, ისე ცნობიერ ფსიქიკურს. ჩვენ ვიცით მხოლოდ ის, რომ ასე გაგებულ ცნობიერებაში მოთავსებულია შეუმჩნეველი და შემჩნეული ფსიქიკური, მაგრამ როგორია კავშირი მათ შორის, ეს საიდუმლოდ არის დაფარული. თუ შეუმჩნეველ ფსიქიკურს კავშირი არა აქვს გაწყვეტილი ცნობიერ ფსიქიკურთან, რატომ უნდა ჩაითვალოს ის არაცნობიერად? არსებითად, ფენომენოლოგიური მიდგომა არაცნობიერი სფეროს მიმართ ცნობიერების ინტენსიობის, განათების ხარისხის მეტ-ნაკლებობაზე მითითებით ამოიწურება. ამიტომ, ფსიქოანალიტიკოსთა აზრით, ეს პოზიცია არაცნობიერი ფსიქიკურის დასაბუთებას კი არა, მისი უარყოფაა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ სიღრმის ფსიქოლოგიის ძირითადი ავტორები არც თუ დიდ ინტერესს იჩენდნენ ფენომენოლოგიური და ეგზისტენციალური კვლევების მიმართ. რაც შეეხება ნეოფროიდიზმს და თანამედროვე ფსიქოანალიზს, აქ ვითარება ერთგვარად შეიცვალა. ისინი ანგარიშს უწევენ ფილოსოფიური და მეცნიერული აზრის ამ მიმართულების პოპულარობას და ცდილობენ შეუხამონ თავიანთ თვალსაზრისს ამ სისტემის ზო-

ერთი ელემენტი; მაგრამ, საერთო ჯამში, მაინც მიიჩნევენ, რომ მან ბევრი ვერაფერი შესძინა ფსიქოთერაპიულ პრაქტიკას. რაც შეეხება ჰუმანისტურ-ეგზისტენციალურ ფსიქოლოგიას, როგორც თეორიულ სისტემას, ფსიქოანალიტიკოსებს შორის უფრო გავრცელებულია შეხედულება, რომ მას არა აქვს მყარი კოორდინატები, მისი მონაცემები შეუმოწმებადია, ხოლო ენა – ლიტერატურული, ამიგომ ძნელია მისი მეცნიერული ღირებულების გამოვლენა და შეფასება.

ასეთივეა დამოკიდებულება მის მიმართ აკადემიურ ფსიქოლოგიაშიც, რომელიც, უპირატესად, სციენტისტურ-საბუნებისმეტყველო კვლევის გზას მიჰყვება. ზემოთ ნახსენებ დისკუსიაზე როჯერსსა და სკინერს შორის, ამ უკანასკნელმა ჩამოაყალიბა თავისი დამოკიდებულება როჯერსის და, მაშასადამე, საერთოდ ჰუმანისტური ფსიქოლოგიის მიმართ (იხ. 8.3.). მას მიაჩნია, რომ კვლევის ფიქსაცია ფენომენოლოგიური სამყაროს ინდივიდუალურ და უნიკალურ ასპექტებზე არსებითად გამორიცხავს განმეორებადი მონაცემების მიღებას, მათ ურთიერთდაკავშირებას და, აქედან გამომდინარე, ზოგადი კანონზომიერებების დადგენას. ამის გამო პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება ადამიანთა ინდივიდუალური და საზოგადოებრივი აქტივობის წინასწარმეტყველება, დაგეგმვა და რეგულაცია. ციკლიზაცია კი ამის გარეშე ვერ იარსებებს.

უაღრესად მკაცრია პიაჟეს პოზიციაც. მას მიაჩნია, რომ ფენომენოლოგიური ფსიქოლოგია ფილოსოფიური დოქტრინის ნაწილია და მეცნიერული ფსიქოლოგიის საფუძვლად ვერ გამოდგება. ფენომენოლოგიას მან უწოდა *პარამეცნიერული ფილოსოფია*, რომლის მთელი სააზროვნო ბაგაჟი დაიყვანება იმ თეორიების კრიტიკაზე, რომლებიც თვით ფსიქოლოგებმა უკვე უარყვეს და წმინდა სპეკულატიურ მსჯელობებზე. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ აკადემიურ ფსიქოლოგიაში ბოლო ხნებამდე საკმაოდ კრიტიკულად აფასებდნენ ფსიქოლოგიის ასპარეზზე გამოსული მესამე ძალის შესაძლებლობებს ყოველგვარი მეცნიერებისთვის აუცილებელი ნიშნების სიზუსტის, შემოწმებადობის, სანდოობის, დასაბუთებულობის ნაკლებობის ან არქონის გამო (ჰ. აიზენკი, ზ. კოხი და სხვა). ამდაგვარად მომართულ მუშაობას ზოგჯერ "პოეტურ ძიებებსაც" კი უწოდებენ.

ასეთ პოზიციას გადაჭარბებული რადიკალიზმის და შეუწყნარებლობის მიუხედავად, გარკვეული გამართლება აქვს. მართლაც, ფსიქოლოგიის დეჰუმანიზაციასთან ბრძოლის საბაბით, ჰუმანისტურ-ეგზისტენციალურმა მიმდინარეობამ ფაქტობრივად უარყო ბევრი ისეთი რამ, რაც ტრადიციული მეცნიერული კვლევის საფუძველს წარმოადგენდა. ძნელი წარმოსადგენია, რა კოორდინატებზე შეიძლება იყოს აგებული რაიმე ემპირიული კვლევის პროგრამა, ან საერთოდ რა სახე უნდა ჰქონდეს ცოდნის სისტემას, თუ არ არსებობს დეტერმინიზმი, მიზეზობრიობა, განმეორადობა; თუ უგულვებელყოფილია ზოგადი კანონების დადგენის, ობიექტური გაზომვის, წინასწარმეტყველების შესაძლებლობა. ნებით თუ უნებლიეთ, ეს რაციონალური შემეცნების გზიდან გადახვევას და ირაციონალურ-ინტუიციური შემეცნების პოზიციაზე გადასვლას ნიშნავს.

ეგზისტენციალიზმის ირაციონალიზმი ეჭვსაგარეშეა. ადამიანის ეგზისტენცია არ შეიძლება აიხსნას მეცნიერების მიერ. ამიტომ, ზოგიერთი მკვლევარი (მაგ., რ. მუსი), ეგზისტენციალიზმს აფასებს მეცნიერული ფსიქოლოგიის ოპოზიციურ მოძღვრებად, თუმცა იგი შეიცავს უამრავ ტერმინს და ცნებას, რომელთა გარეშე ფსიქოლოგიის წარმოდგენა შეუძლებელია. მკაფიოდ გამოხატულ ანტისციენტისტურ პოზიციას აფიქსირებენ ეგზისტენციალური ფსიქოლოგიის წამყვანი ფიგურები, როგორებიცაა ბინსვანგერი, ბოსი, ბუგენტალი, მეი და სხვა.

საბოლოოდ უნდა ითქვას შემდეგი. ჰუმანისტური ფსიქოლოგია, როგორც მესამე ძალა, თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც ფსიქოლოგიური მეცნიერების ასპარეზზე გამოვიდა. ამიტომ უკვე შესაძლებელია მისი შეფასება ისტორიულ პერსპექტივაში. ფსიქოლოგიის ამ მიმდინარეობამ აქცენტი გააკეთა ცნობიერებაზე, ნორმაზე, პიროვნულ ზრდასა და განვითარებაზე, შემოქმედებითობაზე. ამით მან უდავოდ შეუწყო ხელი იმ ერთგვაგარი ცალმხრივობის აღმოფხვრას, რაც ბიპევიორიზმისა და ფსიქოანალიზის გავლენით, დამახასიათებელი იყო ამერიკული ფსიქოლოგიისთვის. იგი ახლაც მიუთითებს იმ პრობლემებზე, რომლებიც წარმოიქმნება თანამედროვე ფსიქოლოგიაში მექანიცისტური თვალსაზრისის ამა თუ იმ გამოვლინებასთან დაკავშირებით.

ჰუმანისტურ-ეგზისტენციალური მიდგომა ერთ-ერთი პირველთაგანი იყო მათ შორის, ვინც ფსიქოანალიზის რეალური ალტერნატივა გახდა ფსიქოთერაპიის სფეროში. ჰუმანისტური ფსიქოლოგიის გავლენით ახალი და საინტერესო ტენდენციები გაჩნდა განათლების სფეროშიც. მთლიანობის, აუტენტურობის, კრეატულობის იდეების გათვალისწინებით ჩამოყალიბდა ჰუმანისტური პედაგოგიკა და პედაგოგიური ფსიქოლოგია; დაიწყო მოტივების იერარქიული მოდელისა და კლიენტზე ცენტრირებული მიდგომის რეალიზაცია საწარმოებსა და ორგანიზაციებში, რამაც გავლენა მოახდინა მართვის, პერსონალის კონსულტირებისა და ატესტირების ტექნოლოგიასა და პოლიტიკაზე.

ერთი სიტყვით, ჰუმანისტურმა ფსიქოლოგიამ შესამჩნევი წვლილი შეიტანა გამოყენებითი ფსიქოლოგიის განვითარებაში და, უფრო ფართოდ, საზოგადოების მოწყობის საქმეში. მან უდავოდ მოახდინა გარკვეული გავლენა ამერიკულ კულტურაზე. მაგალითად, ხშირად აღნიშნავენ, რომ როჯერსის მიდგომა, რომლის მიხედვითაც კლიენტებს ეპყრობიან როგორც თანასწორუფლებიან პირებს, რომელთაც აქვთ "გამოჯამრთელების" შინაგანი უნარი და არ არიან დამოკიდებული ავტორიტეტული ადამიანის ან ექსპერტის სიბრძნეზე, კარგად ესადაგება ამერიკულ დემოკრატიულ ტრადიციას. სხვათა შორის, როჯერსი თვითონ აღიარებდა, რომ ამერიკულ კულტურაზე ჰუმანისტური ფსიქოლოგიის მნიშვნელოვანი გავლენის მიუხედავად, მან ვერ შეძლო მეგავლენის მოხდენა ფსიქოლოგიური აზრის ძირეულ მიმართულებაზე. ეს, ალბათ, კანონზომიერიცაა. ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგიის ისტორიკოსის თომას ლიხის შეფასებით, გრძნობისა და ინტუიციის კულტივირებამ ჰუმანისტური ფსიქოლოგია კვლავ მიიყვანა მეცნიერული რევოლუციის რომანტიკულ უარყოფამდე, თუმცა მას არ ეყო გულწრფელობა, რომ ეს ეღიარებინა. ჰუმანისტურ ფსიქოლოგებს, როჯერსისა და მასლოუს

ჩათელით, თავი ყოველთვის მეცნიერებად მიაჩნდათ, მაგრამ არ აღიარებდნენ იმ ღრმა კონფლიქტს, რომელიც არსებობს ბუნებრივი კანონისა და დეტერმინიზმისადმი მეცნიერების ერთგულებასა და ადამიანის მიზნისა და თავისუფლებისადმი ერთგულებას შორის. "ჰუმანისტურმა ფსიქოლოგებმა მხოლოდ უსაფუძვლო პროტესტი შემოგვთავაზეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების იმპერიალიზმის წინააღმდეგ. თუ მართლაც საჭირო იყო სარჩელის წარდგენა ადამიანის საბუნებისმეტყველო-მეცნიერული, რედუქციონისტური გაგებისადმი, იგი სხვა, უფრო გონივრულ წყაროს უნდა დამყარებოდა" (თ. ლიხი). ფსიქოლოგიის ისტორიკოსები და მეთოდოლოგები საკმაოდ ერთსულოვანი არიან იმაში, რომ ჰუმანისტური ფსიქოლოგია თავისი არსებობის საკმაო ხნის მანძილზე ვერ ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ მეცნიერულ სისტემად თავისი ერთიანი თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპებით. ამ პრინციპების ნაწილი საკმაოდ ბუნდოვანია, ხოლო მათ შორის კავშირი – პირობითი.

ამ შეფასებებს, ალბათ, სერიოზული საფუძველი აქვთ. მიუხედავად ამისა, ეისაიდან ფსიქოლოგია იყო და რჩება საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მსოფლმხედველობის საერთო ინტერესის საგნად, ეს მიმდინარეობა, როგორც ჰუმანიტარული პარადიგმის განსახიერება, ფსიქოლოგიური მეცნიერების განუყოფელ ნაწილად უნდა განვიხილოთ. ამასთან, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჰუმანისტური და ეგზისტენციალური ფსიქოლოგია თავის წვლილს შეიტანს მომავალი ერთიანი ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებაში, თუ ასეთი რამ საერთოდ შესაძლებელია.

*ლიტერატურა*


1. ბოჭორიშვილი ა. ფსიქოლოგიის პრინციპული საკითხები. თბილისი, ნაწილი I-1957, II-1959, III-1962.
2. ბჟალავა ი. ფსიქოზურ განცდათა ფენომენოლოგია. თბილისი, 1968.
3. იმედაძე ი. XX საუკუნის ფსიქოლოგიის ძირითადი მიმდინარეობები. თბილისი, 2004.
4. Грининг Т. История и задачи гуманистической психологии. Вопросы психологии. 1988, 4.
5. Клонингер С. Теории личности. СПб., 2003.
6. Крипнер С., де Карвало Р. Проблема метода в гуманистической психологии. Психологический журнал. 1993, 2.
7. Лихи Т. История современной психологии. СПб., 2003.
8. Маслоу А. Психология бытия. М., 1997.
9. Маслоу А. Мотивация и личность. СПб., 1999.
10. Мей Р. Искусство психологического консультирования. М., 1994.
11. Нельсон-Джоунс Р. Теория и практика консультирования. СПб., 2000.
12. Олпорт Г. Личность в психологии. М., 1998.
13. Первин Л., Джон О. Психология личности. Теория и исследования. М., 2000.
14. Роджерс К. К науке о личности. В кн.: История зарубежной психологии. Тексты. М., 1986.

15. Роджерс К. Взгляд на психотерапию. Становление личности. М., 1994.
16. Роджерс К. Клиентоцентрированная психотерапия. М., 1997.
17. Руткевич А. М. От Фрейда к Хайдегеру. М., 1985.
18. Смит Н. Современные системы психолгии. История, постулаты, практика. СПб., 2003.
19. Франкл В. Человек в поисках смысла. М., 1990.
20. Франкл В. Доктор и душа. СПб., 1997.
21. Фрейджер Р., Фрейдимен Д. Личность: теории, эксперименты, упражнения. СПб., 2001.
22. Хекхаузен Х. Мотивация и деятельность. М., 2003.
23. Хьелл Л., Зиглер Д. Теории личности. М., 1997.
24. Экзистенциальная психология. Под ред. Р. Мея. М., 2001.
25. Allport G.W. Personality: A psychological interpretation. New York: Holt, Rinehart and Wilson, 1937.
26. Allport G. W. Pattern and growth in personality. New York: Springer-Vergal, 1986.
27. Bugental J. F. T. The third force in psychology. Journal of Humanistic Psychology. 1964, 21.
28. Buhler Ch. Basic theoretical concept of humanistic psychology. American Psychologist. 1971, 26.
29. Koch S. Psychological science versus the science-humanism antinomy. American Psychologist, 1961, 16.
30. Leahey T. H. A history of psychology. New Jersy: Prentice-Hall, 1992.
31. Maslow A. The psychology of science. A reconnaissance. New York: Harper and Row, 1966.
32. Mey R. Meaning of anxiety. New York: Roland Press, 1977.
33. Misiak H., Sexton V. S. Phenomenological, existential and humanistic psychologies. New York: Norton, 1973.
34. Muuss R. Existentialism and psychology. Educational Theory. 1976, 6.
35. Patterson C. H. Theories of councellig and psychotherapy. New York: Harper and Row, 1986.
36. Wandersman A., Popen P.J., Ricks D.F. (Eds). Humanism and behaviorism: dialogue and growth. New York: Pergamon, 1976.

# თავი 11. კოგნიტური ფსიქოლოგია

## 11.1. კოგნიტივიზმი როგორც შემეცნების პროცესების ფსიქოლოგია

წინა თავში ჩვენ ვნახეთ, რომ XX საუკუნის სამოციან წლებში ამერიკაში ჩამოყალიბება დაიწყო ჰუმანისტურმა ფსიქოლოგიამ, რომელიც მისმა ლიდერებმა მესამე ძალად მონათლეს. იგულისხმება, რომ იგი, ბიჰევიორიზმითან და ფსიქოანალიზთან ერთად, კიდევ ერთ მასშტაბურ ფსიქოლოგიურ მიმდინარეობას ან ორიენტაციას წარმოადგენს. თანამედროვე ფსიქოლოგიაც, არსებითად, სამი ძირითადი მიმართულებითაა წარმოდგენილი, ოღონდ, ბიჰევიორიზმის ნაცვლად, უკვე *კოგნიტურ ფსიქოლოგიაზე*, ან სხვაგვარად, *კოგნიტივიზმზე* უნდა ვილაპარაკოთ. მან წინა საუკუნის შუა წლებიდან დაიწყო განვითარება, თანდათან გამოდევნა ბიჰევიორისტული ორიენტაცია და მისი ნიშა დაიკავა. ეს შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ კოგნიტურ ფსიქოლოგიას, ბიჰევიორიზმისაგან მნიშვნელოვანი განსხვავებულობის გარდა, მასთან სრულიად გარკვეული ნათესაობაც აკავშირებდა. ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი ფსიქოლოგიური აზრის ამ ორ მიმართულებას შორის ორია: ერთი ის, რომ კოგნიტივიზმი ფსიქიკურ პროცესებს რეალური მოელენების სახით განიხილავს, მაშინ, როდესაც ბიჰევიორიზმის სხვადასხვა ვარიანტებში მათი არსებობა ან უარყოფილია, ან უგულვებელყოფილი, ან, საუკეთესო შემთხვევაში, ჰიპოთეტური ცვლადის ფორმითაა დაშვებული. მეორე – კოგნიტურმა ფსიქოლოგიამ ბიჰევიორიზმისთვის დამახასიათებელი გარეგანი მიზეზობრიობიდან აქცენტი შინაგან მიზეზობრიობაზე გადმოიტანა. რაც შეეხება მათ მსგავსებასა და მემკვიდრეობითობას, აქ, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ კოგნიტივიზმი, ისევე როგორც ბიჰევიორიზმი, პოზიტივისტურად ორიენტირებული ფსიქოლოგიაა თავისი ექსპერიმენტული და სტატისტიკური პროცედურებით, აგრეთვე იმ ჰიპოთეტურ-დედუქციური მეთოდოლოგიით, რომელიც ემპირიული ჰიპოთეზებიდან თეორიის გამოყვანას გულისხმობს. მან შეინარჩუნა ბიჰევიორიზმის ინტერესი მოდელირების მიმართ (ოღონდ მექანიკურ-მანქანური მოდელები კომპიუტერულით შეცვალა) და, აგრეთვე, დასწაელისა და მეხსიერების პრობლემის მიმართ.

უნდა ითქვას, რომ ბიჰევიორიზმის ჩანაცვლება კოგნიტივიზმით საკმაოდ უმტკივნეულოდ მოხდა. ამის მიზეზი თვით ბიჰევიორიზმის ევოლუციასა და ეტაპობრივ ტრანსფორმაციაში უნდა ვეძებოთ. როგორც ცნობილია, ოცდაათიანი წლებიდან კლასიკურ ბიჰევიორიზმს ცვლის ნეობიჰევიორიზმი; სტიმულსა და რეაქციას შორის ჩნდება შუალედური ცვლადები. მიუხედავად იმისა, რომ ამ ცვლადებს, ერთი შეხედვით, საკმაოდ მენტალისტური ელერადობა ჰქონდათ (განზრახვა, მოლოდინი, ცოდნა და სხვა), მათი განსაზღვრება წმინდა ოპერაციონალისტურ, არაფენომენოლოგიურ ხასიათს აგარებდა, რაც, თითქოს, თანხვდებოდა ბიჰევიორიზმისთვის დამახასიათებელ ანტი-

მენტალისტურ პოზიციას. და მაინც, იგივე ტოლმენისეულ ბიპევიორიზმში გამოყენებულ ისეთ ცნებებს, როგორიცაა მიზანი, მიზნობრივი ქცევა, კოგნიტური რუქა, გეშტალტი, არ შეეძლო გარკვეულად არ შეერყია ეს პოზიცია. ამიტომ არის, რომ ტოლმენის თეორიას ხშირად შემეცნებით ან კოგნიტურ ბიპევიორიზმს უწოდებენ და კოგნიტური ფსიქოლოგიის შორეულ წინაპრად მოიხსენიებენ.

დაახლოებით იმავე პერიოდში ბიპევიორიზმს საგრძნობი დარტყმა მიაყენა ერთ-ერთმა ყველაზე აეტორიტეტულმა ამერიკელმა ფსიქოლოგმა რ. ვუდვორთმა; იგი გადაჭრით ამტკიცებდა, რომ ტაბუ, რომელიც ბიპევიორიზმმა დააწო განცდებს, წარმოდგენებს, იდეებს, ამ-უხრუჭებდა ფსიქოლოგიური მეცნიერების განვითარებას. იგი ებრძოდა ბიპევიორიზმისთვის დამახასიათებელ უფსიქიკო ფსიქოლოგიას და თელიდა, რომ ინდივიდის ცნობიერი გამოცდილება მჭიდროდაა დაკავშირებული მის გარე ქცევასთან; ამგვარად, ორივე მათგანი ერთი და იმავე ქმედების ნაწილს წარმოადგენს. ბიპევიორიზმის კლასიკურ სქემაში ვუდვორთმა ორგანიზმი, სუბიექტი (S-O-R) შემოიყვანა და განსაკუთრებული გულისყურით დაიწყო იმ შემეცნებითი ფუნქციების შესწავლა, რომლებიც ქცევის რეგულაციას ახორციელებენ; უპირატესად ეს აღქმას ეხებოდა. ამ მიმართულებით 30-50-იან წლებში მუშაობდნენ როგორც *ფუნქციონალური ფსიქოლოგიის* მიმდევრები (ბრუნსვიკი, ვუდვორთი), ისე, ე.წ. *ახალი ხედვის* (New look) წარმომადგენლები (ბრუნერი, კრეჩი, პოსტმანი და სხვა).

ამ ახალი ხედვის მქონე მკვლევარები აღქმის, პიროვნებისა და სოციალური ფსიქოლოგიის გადაკვეთაზე მუშაობდნენ და ფიქრობდნენ, შეესწავლათ პიროვნება აღქმის მეშვეობით. მათ დაადასტურეს, რომ აღმქმელი სუბიექტის თავისებურებები და სოციალური ფონი მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ იმას, თუ რას და როგორ ხედავს ადამიანი. მაგალითად, ერთი და იმავე მოცულობის მონეტას ღარიბი უფრო დიდად ხედავს, ვიდრე მდიდარი. მაგრამ ყველაზე ცნობილი გამოკვლევები ეხებოდა ე.წ. *პერცეპტული დაცვის* ეფექტებს აღქმაში. გართულებული აღქმის პირობებში ცდისპირებს უნდა ამოეცნოთ სხვადასხვა ემოციონალური შინაარსის სიტყვები – ნეიტრალური და უხამსი (ტაბუირებული). აღმოჩნდა, რომ ამ უკანასკნელთა ამოცნობას მეტი დრო ესაჭიროება. გამოითქვა ვარაუდი, რომ ცდისპირები არაცნობიერად აღიქვამენ ტაბუირებული სიტყვების უარყოფით ემოციურ შინაარსს და თრგუნავენ მის გაცნობიერებას. პერცეპტული დაცვის ფენომენის გარშემო თავიდანვე გაცხოველებული კამათი გაიმართა, რომელიც დღესაც მიმდინარეობს. მაგრამ, მთავარი ის არის, რომ ახალი ხედვა პერცეფციას განიხილავდა აქტიური ცნობიერი და არაცნობიერი პროცესის სახით, რომელიც სგიმულსა (შეგრძნებას) და საპასუხო რეაქციას შორის არის მოთავსებული. ნათელია, რომ ეს ახალი ხედვა ბიპევიორიზმისკენ ნამდვილად არ იყო მიმართული.

იმის დადგენამ, რომ აღქმაში აქტიურად მონაწილეობენ გონება და პიროვნება, ჯერომ ბრუნერის (1915-) ინტერესი იმდროინდელ ამერიკულ ფსიქოლოგიაში მივიწყებული უმაღლესი ფსიქიკური პროცესებისკენ წარმართა. მან ერთ-ერთმა პირველმა წამოიწყო კატეგორიზაციის ექსპერიმენ-

ტული კვლევა და აჩვენა, რომ ახალი ცნების ფორმირება აქტიური ინტელექტუალური პროცესია, რომლის დროსაც სუბიექტი იმუშავებს სხადასხვა სტრატეგიებს და მათ საფუძველზე ახორციელებს სტიმულების მიკუთვნებას სხვადასხვა კონცეპტუალური კატეგორიებისადმი. მოკლედ, აქაც სტიმულსა და რეაქციას შორის მოქცეული კოგნიტური სფერო შეისწავლებოდა. 1960 წელს ბრუნერმა ჯორჯ მილერთან (1920-) ერთად დააფუძნა კოგნიტური კვლევების ცენტრი ჰარვარდის უნივერსიტეტთან. აქ მიმდინარეობდა ისეთი თემების დამუშავება (აღქმა, მეხსიერება, აზროვნება, მეტყველება), რომლებიც ბიჰევიორიზმს საფუძვლიანად გადააეიწყდა.

ამრიგად, თვით ამერიკაში მიმდინარეობდა ბიჰევიორისტული პროგრამის საერთო დისკრედიტაციის პროცესი მისი რადიკალური ანტიმენტალიზმის გამო. საუკუნის მეორე ნახევრისათვის მან უკვე გამოხატული სახე მიიღო. ამას, გარკვეულწილად, ხელი შეუწყო ევროპული ფსიქოლოგიის გაელენამ, სადაც ე.წ. ბიჰევიორისტულმა რევოლუციამ გაცილებით მშვიდობიან ფორმაში ჩაიარა და სადაც ცნობიერება ბოლომდე არასოდეს განდევნილა ფსიქოლოგიიდან. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი ითამაშა ლევინმა და გეშტალტფსიქოლოგიამ, რომლის ყველა წამყვანი ფიგურა, ოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული, ამერიკაში მოღვაწეობდა. ამას უკვალოდ არ ჩაუვლია; მათმა მოწაფეებმა (პაიდერმა, ფესტინგერმა და სხვა), სოციალურ ფსიქოლოგიაში შექმნეს ახალი, ძლიერი მიმართულება, რომელსაც *კოგნიტივისტური ორიენტაცია* ეწოდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორიენტაციაში გაერთიანებულ მოდელებს ტრადიციულად სოციალურ ფსიქოლოგიას აკუთვნებენ, მაინი ავტორები არ აიგივებენ თავს უთუოდ სოციალურ ფსიქოლოგიასთან. შემეცნებითი სტრუქტურებისა და ადამიანის კოგნიტური ორგანიზაციის პრობლემა, ფართო გაგებით, ზოგადფსიქოლოგიურია; სოციალური ფსიქოლოგიისთვის მხოლოდ მისი ზოგიერთი ასპექტია საინტერესო. *კოგნიტური თავსებადობის თეორიები*, რომლებიც ორმოცდაათიანი წლებიდან გამოჩნდნენ, კოგნიტივიზმის, როგორც ქცევის კონცეფციის კონკრეტული სახეობებია. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული თეორიები, პირველ რიგში, სოციალურ ფსიქოლოგიურ მასალას ეფუძნება.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ გასული საუკუნის შუა ხანებში ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომელიც სტიმულს აძლევდა ცნობიერების ფსიქოლოგიის ხელახალ აღორძინებას. მაგრამ კოგნიტური ფსიქოლოგიის დაფუძნების და სწრაფი გავრცელების უშუალო ფაქტორი სხვა რამეა. იგი დაკავშირებულია კიბერნეტიკასთან და გამოთვლითი მანქანების შექმნასთან. როგორც ცნობილია, კიბერნეტიკაში არსებობს დისციპლინათა სინთეზის ძლიერი ტენდენცია. ნორბერტ ვინერის 1948 წელს გამოსულ წიგნში "კიბერნეტიკა ანუ მართვა და კავშირი ცხოველსა და მანქანაში" გაღრმავებულია უკუკავშირების იდეა, რომელსაც მანამდეც ექცეოდა ყურადღება ცოცხალი არსებების მიზანშეწონილი ქცევის ახსნისას; მოცემულია, აგრეთვე, რთული სისტემების მართვის ზოგადი თეორია. კიბერნეტიკა ეყრდნობა იდეას, რომ მართვისა და ინფორმაციის გადამუშავების პროცესი ყოველგვარ რთულ სისტემაში – კომპიუტერშიც და ცოცხალ არ-

სებაშიც – საერთო, თოგად კანონზომიერებებს ემორჩილება. ბიჰევიორისტული კრიზისით გზააბნეული ფსიქოლოგიისთვის ეს პრინციპები, ერთი შეხედვით, უაღრესად პროდუქტიული და ევრისტიკული ჩანდა. იხსნებოდა ახალი გზა შენტალური და, კერძოდ, კოგნიტური პროცესების შემეცნებისკენ. გამოთვლითი მანქანების მსგავსად, ადამიანის ფსიქიკაში ინფორმაცია აისახება, გაიშიფრება, ტრანსფორმირდება, კლასიფიცირდება, შეინახება, რეპროდუცირდება და გამოიყენება. ერთი სიტყვით, ხდება ინფორმაციის გადამუშავება. ბიჰევიორიზმის მიერ ტაბუირებული კოგნიტური პროცესები (აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, წარმოსახვა, ამოცნობა, ამოცანის გადაწყვეტა და სხვა) რეალური მოვლენების სტატუსს იძენენ, როგორც ინფორმაციის გადამუშავების ერთიანი, რთული პროცესის სტადიები თუ ელემენტები. გამოთვლით მანქანასთან ანალოგია, ანუ, როგორც ამბობენ, *კომპიუტერული მეტაფორა,* საშუალებას იძლევა, რომ კოგნიტური პროცესები რეალურად იქნეს შესწავლილი და, შესაძლოა, გაგებულიც. იქმნება უზუსტეს გაზომვებზე დამყარებული ექსპერიმენტული მეთოდიკები; ახალი ცნებებით მდიდრდება ლექსიკონი, რომლითაც აღიწერება კოგნიტური ფუნქციონირების ელემენტები: ინფორმაცია, სისტემის შესავალი, გადამუშავება, კოდირება, პროგრამა და ა.შ. მართალია, თავიდანვე დადგა და ახლაც მწვავედ დგას საკითხი მანქანური და ფსიქიკური პროცესების სტრუქტურულ-ფუნქციონალური იგივეობის მართებულობის შესახებ, მაგრამ ეჭვი არავის ეპარება, რომ კომპიუტერთან ფსიქიკური პროცესების ანალოგიამ შეიძლება გარკვეული სარგებლობა მოუტანოს თანამედროვე ფსიქოლოგიას.

1967 წელს გამოდის ნაისერის საპროგრამო წიგნი "კოგნიტური ფსიქოლოგია". ფსიქოლოგიის ისტორიაში მას ხშირად კოგნიტივიზმის, როგორც ახალი მიმდინარეობის ათვლის წერტილად მოიხსენიებენ. **ულრიკ ნაისერი** (1928-) სწავლობდა ჰარვარდში ჯ. მილერთან და სვარტმორის კოლეჯში ვ. კელერთან; მუშაობდა ბრანდეისის უნივერსიტეტში, სადაც ფსიქოლოგიის ფაკულტეტს სათავეში ა. მასლოუ ედგა.

აღნიშნულ ნაშრომში კოგნიტური ან შემეცნებითი აქტივობა განსაზღვრულია ისეთ ქმედებად, რომელიც ცოდნის ან ინფორმაციის მიღებას, ორგანიზაციასა და გამოყენებას უკავშირდება. კოგნიტური ფსიქოლოგიის ამოცანას იმის დახასიათება წარმოადგენს, თუ როგორ მოძრაობს ინფორმაციის ნაკადი სისტემაში. ამგვარი ინფორმაციული მიდგომა შემეცნებითი ფსიქიკური პროცესების შესწავლის მიმართ ორ ძირითად დაშვებაშია დამყარებული: 1) ფსიქიკაში, როგორც რთულ სისტემაში, ხდება ინფორმაციის ეტაპობრივი გადამუშავება და 2) სისტემის მოცულობა და გამტარუნარიანობა შეზღუდულია; ამას უკავშირდება მოსაზრება ინფორმაციის გადამუშავების პროცესების უწყვეტობის შესახებ.

პირველი დაშვების არსი შემდეგშია: ინფორმაციის გადამუშავების

პროცესი მთელ რიგ ქვეპროცედურებს ან ეტაპებს გაივლის. ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასელისას ინფორმაცია მნიშვნელოვან სახეცვლილებას განიცდის. ამის საილუსტაციოდ შემდეგი ყოფითი ფაქტი გამოდგება – ადამიანი აჩერებს მანქანას წითელ შუქზე. ეს თითქოს მარტივი პროცესი ეტაპებად იყოფა: ჯერ ერთი, ჩვენი მხედველობითი სისტემა რეგისტრაციას უკეთებს წითელ სინათლეს; მეორე, ჩვენ ამოვიცნობთ მოცემულ მხედველობით გამღიზიანებელს, როგორც იმას, რასაც სინამდვილეში წარმოადგენს ანუ, შუქნიშნის წითელ სინათლეს. აქ შემოდის მეხსიერებაში არსებული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყურება შუქნიშნის წითელი სიგნალი; მესამე, ჩვენ ვიყენებთ წესს, რომელიც აგრეთვე მეხსიერებაშია შემონახული – "წითელ სიგნალზე მანქანის გაჩერება აუცილებელია". ცხადია, რომ პრინციპში, ეს პროცესი, შეიძლება უფრო მეტადაც დანაწევრდეს. მაგრამ მიაღწევარი სხვაა; კერძოდ, ის, რომ აღწერილ ეტაპებზე პირველადმა ინფორმაციამ საგრძნობი გარდაქმნა განიცადა. უბრალო მხედველობითი შეგრძნებიდან იგი გადაიქცა ამოცნობილ კატეგორიად (წითელი სიგნალის საგნობრივ აღქმად), რის შემდეგაც, იგი ისევ შეიცვალა და გადაიქცა გარკვეული წესის შესრულების პირობად. აქედან ჩანს, რომ პროცესის ყოველი ეტაპი ან დონე შეესაბამება სტიმულში ჩადებული ინფორმაციის სხვადასხვა ფსიქიკურ კორელატებს. ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასელისას იცვლება ინფორმაციის ფსიქიკური რეპრეზენტაციის სახე.

იგივე მაგალითი შეიძლება განხილულ იქნეს სისტემის ინფორმაციული გამტარიანობისა და მოცულობის თვალსაზრისითაც. ყოველ ეტაპს ინფორმაციის გადამუშავების გარკვეული ფარგლები გააჩნია. თუ შუქნიშნის წითელ სინათლეს დავუმატებთ მოძრაობის მომწესრიგებელ პოლიციელს, რამდენიმე მოსეირნეს და სასწრაფო დახმარების მანქანას, ერთეულთა რაოდენობამ შეიძლება გადააჭარბოს იმ საზღვარს, რომელშიც მხედველობით სისტემას შეუძლია სტიმულთა ერთდროული რეგისტრაცია. ხდება რეგისტრის გადატვირთვა, რასაც მთელი რიგი გართულება შეიძლება მოყვეს. მაგალითად, ინფორმაციის ნაწილი არ შევიდეს სისტემაში; მოხდეს სტიმულური სიტუაციის სრულიად ახლებური კოდირება და მან სხვა სტიმულის სახე მიიღოს (სახიფათო სიტუაცია), ან კიდევ დაიწყოს ინფორმაციის უფრო სელექტიური გადამუშავება – მაგალითად, მთელი ყურადღება დაფიქსირდეს პოლიციელზე და სტრუქტურის დანარჩენი ელემენტები საერთოდ შეუმჩნეველი დარჩეს.

ადამიანის მიერ ინფორმაციის მიღებისა და გადამუშავების უნარის შეზღუდულობის შესახებ შემეცნებითი პროცესების კლასიკურ ფსიქოლოგიაშიც ბევრი რამ იყო ცნობილი. არსებითად, ამაზე მეტყველებს ყურადღების მოცულობასთან და განაწილებასთან, მის რხევადობასთან და მდგრადობასთან დაკავშირებული ფაქტები. კოგნიტურმა ფსიქოლოგიამ ამ ფენომენების ბევრად უფრო ღრმა, ზუსტი და მრავალმხრივი შესწავლა მოახერხა. ამისთვის შეიქმნა მრავალი ახალი, უფაქიზესი და უზუსტესი ლაბორატორიული მეთოდიკა. შემეცნების პროცესში მონაწილე მოელენების უფრო დიფერენცირებული და მკაცრი აღწერა-დახასიათებისთვის შემოღებული იქნა ბევრი ახალი ტერმინი: მხედველობითი, ვერბალური, სიერცითი თუ სხვა კოდები, ანა-

ლოგობრივი და სიერცითი რეპრეზენტაციები, სხადასხვა რიგის იზომორ-ფიზმები, სენსორული რეგისტრები, იკონიკური და ექოიტური მეხსიერება, მრავალგანზომილებიანი სივრცეები, შაბლონები, სტრუქტურული აღწერები, სემანტიკური ბადეები, მულტიკომპონენტური ფაქტორები და პოლოგრამებიც კი. მაგრამ, კოგნიტური ფსიქოლოგიის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტის ს. პალმერის თქმით, ეს ტერმინოლოგიური სიჭარბე სასარგებლო არ აღმოჩ-ნდა იმის გამო, რომ ტერმინებს შორის არსებული მიმართებები და განსხვავე-ბები, უმრავლეს შემთხვევაში, ბოლომდე გასაგები არ არის. ეს კი შეუთავსებე-ლია ცოდნის იმ დარგისათვის, რომელსაც ღრმად ესმის თავისი პრობლემები და სერიოზულად არის მიმართული მათ გადასაწყვეტად, დაასკვნის იგი.

როგორც ვხედავთ, შეფასება საკმაოდ მკაცრია. მიუხედავად იმისა, რომ 70-90-იანი წლები უკვე კოგნიტივიზმის ტოტალური ბატონობის სურათს წარმოაჩენს, დღეს ამ მიმართულების მიღწევების შეფასება თვით მისი წარ-მომადგენლების მხრივაც საკმაოდ თავშეკავებულია. კომპიუტერული მიდ-გომის შემოტანამ თავდაპირველად მართლაც დიდი ენთუზიაზმი აღძრა. ახ-ალი მეთოდიკების სიუხვემ, ცდების დაგეგმვაში, წარმართვაში და მასალის დამუშავებაში გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებამ, ინფორმაციულ-კომპი-უტერულმა ცნებებმა და ანალოგიებმა პროგრესის მათრობელი განცდა გამო-იწვია. გაჩნდა იმედი, რომ კოგნიტური ფსიქოლოგია დაძლევდა ყველა იმ სირთულეს, რომლებმაც, საბოლოო ჯამში, ჩიხში შეიყვანეს შემეცნებითი პროცესების შესწავლა კლასიკურ ფსიქოლოგიაში. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მოლოდინები გადაჭარბებული იყო; ფსიქოლოგიის ისტორიკოსების დას-კვნით, ე.წ. *კოგნიტური რევოლუცია* მითი აღმოჩნდა. კვლევის მეთოდოლო-გიაში კოგნიტური ფსიქოლოგიის დამკვიდრებას თვისებრივი ცვლილება არ მოჰყოლია. მან მართლაც მიაკვლია ტრადიციული ფსიქოლოგიის პრობლე-მების ბევრ ახალ ასპექტს, მაგრამ პარადიგმატული გადატრიალებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. აუცილებელი იყო ამოსავალი მეთოდოლოგიური მიდგომის კარდინალური შეცვლა, რაც, სამწუხაროდ, არ მოხდა. ნაისერი თავის შემაჯამებელ წიგნში "შემეცნება და რეალობა" (1976) გულისტკი-ვილით აღნიშნავს, რომ ინფორმაციის გადამუშავებასთან დაკავშირებული "თანამედროვე კვლევების საფუძველადმდებარე პოსტულატები, ინტროსპექ-ციაზე უარის თქმის მიუხედავად, განსაცვიფრებლად მცირედ განსხვავდება XIX საუკუნის ინტროსპექციული ფსიქოლოგიის პოსტულატებისაგან".

ნაისერი საკმაოდ კრიტიკულია იმ მიმართულების მიმართ, რომლის ერთ-ერთ მთავარ ფიგურასაც თავად წარმოადგენს. მას არ აკმაყოფილებს ცოდნის ის დონე, რომელიც არსებობს მთლიანად შემეცნებითი პროცესების კვლევაში და, კერძოდ, მეხსიერების ფსიქოლოგიაში. ნაისერი ასეთ დასკვნამ-დე მიდის: მეხსიერების ასწლიანმა შესწავლამ საკმაოდ შემაცბუნებელი შედე-გები მოგვცა. ჩვენ დავადგინეთ სანდო ემპირიული განზოგადოებები, მაგ-რამ მათი უმრავლესობა იმდენად აშკარაა, რომ ათი წლის ბავშვისთვისა-ცაა ცნობილი. მეხსიერების თანამედროვე მოდელები თითქოს უშეცდომონი არიან, მაგრამ ისინი იმდენად ცოტას ამბობენ მეხსიერების ყოველდღიური გამოყენების შესახებ, რომ საბოლოო ჯამში, იმავე ბედს იზიარებენ, რაც

დასწავლის თეორიას ეწია. ერთი სიტყვით, კოგნიტური ფსიქოლოგიის მოღვაწეები *ეკოლოგიურად ვალიდური* არ არიან. ეს იმას ნიშნავს, რომ გარკვეული ხელოვნურობისა და ლაბორატორიულობის გამო, ისინი ვერ გამოსატავენ შემეცნებითი პროცესების ყოველდღიურ და ბუნებრივ ფუნქციონირებას. კოგნიტურმა ფსიქოლოგიამ ვერ შექმნა შემეცნებითი პროცესების ერთიანი სურათი. სადღეისოდ არსებობს უამრავი ფაქტი და მინითეორია, რომელთა გაერთიანება მწყობრ სისტემაში ვერ ხერხდება. შეიძლება ითქვას, რომ კოგნიტივისტური მიდგომა, აღრეული მენტალისტური ფსიქოლოგიის მსგავსად, სერიოზულ სირთულეებს განიცდის შინაგანი ფსიქიკური პროცესების ადექვატურ მეცნიერულ ენაზე წარმოდგენის საქმეში.

მაგრამ ნაისერის პრეტენზიები კოგნიტური ფსიქოლოგიის მიმართ უფრო არსებითი და პრინციპული ხასიათისაა. ნაისერს არ აკმაყოფილებს ის გარემოება, რომ კოგნიტივიზმი რჩება მხოლოდ შემეცნების პროცესების ფსიქოლოგიად. ნამდვილმა ფსიქოლოგიამ უნდა დასვას და გადაჭრას უფრო ფუნდამენტური პრობლემები, რომლებიც ადამიანის ბუნებასთან და ქცევის დეტერმინაციასთან არის დაკავშირებული. ეს პრობლემები, ამბობს იგი, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ არ შეიძლება მათი მიტოვება ბიპევიორიზმისა და ფსიქოანალიზის ამარა. რამდენადაც ისინი ქცევისა და პიროვნების ზოგადფსიქოლოგიური თეორიებია, გამოდის, რომ კოგნიტურ ფსიქოლოგიასაც მსგავსი პრეტენზიები უნდა გააჩნდეს. როგორც ჩანს, ნაისერი მართლაც ასე ფიქრობს, ვინაიდან თავის საპროგრამო წიგნში კოგნიტური ფსიქოლოგიის საბოლოო ამოცანად იმას მიიჩნევს, რომ აჩვენოს ცოდნის როლი ადამიანის ქცევის დეტერმინაციაში. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მკითხველისთვის გაუგებარი რჩება, თუ როგორ აპირებს ავტორი ამ ამოცანის გადაწყვეტას, რადგანაც მთელი შრომა ფსიქიკაში ინფორმაციის გადამუშავების პროცესებს ანუ შემეცნების ფსიქოლოგიას ეძღვნება.

იბადება კითხვა, შეიძლება კი, საერთოდ, შემეცნების ფსიქოლოგიიდან, როგორც ზოგადი ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ნაწილიდან, მივიღოთ ზოგადფსიქოლოგიური მასშტაბის კონცეფცია? ცხადია, არ კმარა მხოლოდ იმის თქმა, რომ ქცევა ცოდნით არის განსაზღვრული (რასაც ნაისერი ამბობს კიდეც). კოგნიტურმა ფსიქოლოგიამ ზოგადფსიქოლოგიური თეორიის სახე რომ მიიღოს, აუცილებელია იმ კანონზომიერებათა ჩვენება, თუ როგორ განსაზღვრავს რეალურად ცოდნა ადამიანის ქცევას. აქ კი ნაისერი და მისი ორიენტაციის ყველა მკვლევარი უძლურია რამდენადმე მნიშვნელოვანი და საინტერესო რამ თქვას, ვინაიდან იგი, ფაქტობრივად, ამ პრობლემას არც შეისწავლის. მისი შესწავლის საგანი, ძველი ფსიქოლოგიის ენით რომ ვთქვათ, შემეცნებითი ფსიქიკური ფუნქციებია. აქ მოპოვებული ფაქტები და მათი ამხსნელი თეორიები კერძო, ანუ ე.წ. მცირე ფსიქოლოგიური თეორიებია; ისინი ეხებიან კონკრეტულ ფსიქიკურ პროცესებს (აღქმას, მეხსიერებას, აზროვნებას და, შესაძლოა, მათ კავშირებსაც), მაგრამ არა ადამიანის მთელ ქცევას, მის ყოველგვარ აქტივობას და, მითუმეტეს, პიროვნების ბუნებას. ის ზოგადი, არსებითი, ფუნდამენტური კანონზომიერებანი, რაც ყოველივე ამას უდევს საფუძვლად, პრინციპულად ვერ მოთავსდება მცირე, კერძო თეორიის

ჩარჩოებში.

ნაისერი, როგორც ჩანს, ამას არ აცნობიერებს; იგი აკეთარებს შემეცნების ფსიქოლოგიას და სურს, რომ მან გადაწყვიტოს ქცევისა და პიროვნების საკითხები. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ კოგნიტივიზმის ფარგლებში უკვე საკმაო ხანია არსებობს თეორიები, რომლებიც ყველა ნიშნის მიხედვით უნდა მივაკუთნოთ ქცევის მასშტაბურ კონცეფციებს. პირველ რიგში ეს ეხება *კოგნიტური კონსისტენტობის ან კონგრუენტობის თეორიებს*, რომლებიც ორმოცდაათიან წლებში გამოჩნდნენ ამერიკულ სოციალურ ფსიქოლოგიაში და მასში კოგნიტივისტური ორიენტაცია დაამკვიდრეს. აღსანიშნავია აგრეთვე ქცევის ზოგადი კონცეფცია, რომელიც გადმოცემულია ჯ. მილერის, ი. გალანტერის და კ. პრიბრამის 1960 წელს გამოქვეყნებულ კლასიკურ ნაშრომში "ქცევის გეგმები და სტრუქტურები". ეს თეორიები ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ ერთი არსებითი გარემოება აერთიანებს: ისინი კოგნიტურ ფაქტორებზე დაფუძნებული ზოგადი ამხსნელი თეორიებია. მათი ძირითადი ნიშანი ქცევის კოგნიტური, ცოდნისეული გაპირობებულობის მტკიცებაა.

ამრიგად, კოგნიტივიზმი ან კოგნიტური ფსიქოლოგია, რომელიც თანამედროვე ფსიქოლოგიის ყველაზე გავრცელებულ და გაელენიან მიმდინარეობად შეიძლება ჩაითვალოს, ორი სახით არის წარმოდგენილი: ერთი, როგორც შემეცნებითი პროცესების შემსწავლელი დარგი, თავისი სპეციფიკური მეთოდოლოგიური, მეთოდური, ტერმინოლოგიური და კონცეპტუალური ასპექტებით (ჩვენი ანალიზის კონტექსტში მთავარი ისაა, რომ ყოველგვარი განზოგადება მოცემულ სფეროში *კერძო ან მცირე თეორიის* ფარგლებს არ სცილდება) და მეორე – კოგნიტივიზმი, როგორც საერთო კონცეფცია ადამიანის ყოველგვარი აქტივობის შესახებ, ანუ როგორც *დიდი ზოგადფსიქოლოგიური თეორია*. სამწუხაროდ, სპეციალურ ლიტერატურაში კოგნიტური ფსიქოლოგიის ანალიზისას ეს გარემოება სათანადოდ არ არის გააზრებული. როგორც წესი, მკვლევართა მხედველობის ველში კოგნიტივიზმის მხოლოდ ერთი სახეობა, ერთი მხარე ექცევა და ანალიზიც ამით შემოიფარგლება.

## 11.2. ქცევითი კოგნიტივიზმის ფსიქოლოგიური სისტემები

კოგნიტივიზმის, როგორც შემეცნების ფსიქოლოგიის ძალიან მოკლე და ზოგადი დახასიათების შემდეგ, ცოტა უფრო ფართოდ განვიხილოთ ქცევის ზოგიერთი კოგნიტივისტური კონცეფცია. აქ გვერდეს ვერ აუვლით ჟ. პიაჟეს გიგანტურ ფიგურას, რომლის "გენეტიკური ფსიქოლოგია" შემეცნებითი სტრუქტურების განვითარებას შეისწავლის. შინაარსის მიხედვით ჟენევის სკოლაში მიმდინარე კელევა კოგნიტური ფსიქოლოგიაა, თუმცა მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, იგი საგრძნობლად განსხვავდება ამერიკული კოგნიტივიზმისაგან და გაცილებით ადრეც დაიწყო. ამასთან დაკავშირებით ნაისერი სინანულით აღნიშნავს, რომ პიაჟეს შრომებმა ნეობიჰევიორიზმის ბატონობის დროს ვერ მოიპოვა ფართო აღიარება. ეს მხოლოდ მას მერე მოხდა, რაც კოგნიტივიზმი წამყვან მიმდინარეობად დამკვიდრდა ფსიქო-

ლოგიაში. მან ხელახლა აღმოაჩინა და სათანადოდ შეაფასა პიაჟეს შემოქმედება. ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ პიაჟე იყო პირველი ევროპელი ფსიქოლოგი, რომელმაც 1961 წელს მიიღო ამერიკის ასოციაციის პრესტიჟული ჯილდო "მეცნიერებაში შეტანილი თვალსაჩინო წელილისთვის".

**ჟან პიაჟე** (1896-1980) გასული საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ფსიქოლოგია. მისი უმდიდრესი მეცნიერული შემოქმედება შეიცავს შრომებს ბიოლოგიაში, ლოგიკაში, ეპისტემოლოგიაში. საკუთრივ ფსიქოლოგიაში მისი ინტერესები საკითხების საკმაოდ ფართო სპექტრს აერთიანებს. მიუხედავად ამისა, პიაჟემ დატოვა შეხედულებათა ერთიანი, მწყობრი სისტემა, რომელიც ფსიქოლოგიის ისტორიაში შეიღა *გენეტიკური ფსიქოლოგიის ან ჟენევის სკოლის* სახელწოდებით.

პიაჟე დაიბადა შვეიცარიაში, ნეშტალის უნივერსიტეტის კომუნაში. ამავე უნივერსიტეტში მიიღო განათლება ბიოლოგიის სპეციალობით. მისი პირველი მეცნიერული კვლევები მოლუსკების ქცევის შესწავლას ეძღვნებოდა. ძალიან მალე პიაჟე მთლიანად გადაერთო ფილოსოფიურ-შემეცნებით, ხოლო შემდეგ ფსიქოლოგიურ პრობლემებზე. 1921 წელს კლაპარედი რუსოს სახელობის ინსტიტუტში ლაბორატორიის ხემძღვანელად იწვევს ჯერ სრულიად ახალგაზრდა ნიჭიერ მეცნიერს – პიაჟეს. იგი იწყებს ფართო კვლევა-ძიებას ბავშვის კოგნიტური პროცესების სფეროში, რომელიც, საბოლოოდ, მას საქვეყნო აღიარებას მოუტანს.

პიაჟეს ბიოლოგიურმა ორიენტაციამ თავი იჩინა პირველივე გნოსეოლოგიური ხასიათის შრომაში "გამოკვლევები" (1918). აქ იგი შეეცადა დაესაბუთებინა, რომ ბიოლოგიას ძალუძს თავისი წელილი შეიტანოს კლასიკური ეპისტემოლოგიური პრობლემების გადაჭრაში. ოღონდ ეს უნდა მოხდეს არა ბიოლოგიის მონაცემების უშუალო გადატანით შემეცნების თეორიაში, არამედ მათ შორის შუალედური რგოლების აგების გზით. როგორც პიაჟეს შეხედულებების შემდგომმა განვითარებამ ცხადყო, ეს ადგილი უნდა დაიკავოს *განვითარების ფსიქოლოგიამ და გენეტიკურმა ეპისტემოლოგიამ.* ეს უკანასკნელი პიაჟეს მიერ გაგებულია, როგორც მეცნიერება ცოდნის სხვადასხვა სახეების, ცნებების, შემეცნებითი სტრუქტურების ფორმირების მექანიზმების შესახებ. იგი ეყრდნობა განვითარების ფსიქოლგიის, აგრეთვე ლოგიკისა და მათემატიკის მონაცემებს. 1955 წელს ჟენევაში პიაჟემ დაარსა გენეტიკური ეპისტემოლოგიის საერთაშორისო ცენტრი, რომელსაც სიკვდილამდე ხელმძღვანელობდა. ბიოლოგიასთან კავშირი თავს იჩენს პიაჟეს კონცეფციის ბევრ დებულებაში. თავის მეცნიერულ ავტობიოგრაფიაში იგი აღნიშნავს, რომ პრობლემების უმრავლესობას მაინც ბიოლოგის თვალით უყურებდა. იმავე შრომაში პიაჟე თავის მასწავლებლებად ასახელებს ჟ. ჟანეს – ფსიქოლოგიაში გენეტიკური იდეების აქტიურ გამტარებელს და ე. კლაპარედს – ევროპული ფუქციონალიზმის გამოჩენილ წარმომადგენელს. მათი გაელენა ნათლად აისახა პიაჟეს მეცნიერულ შემოქმედებაში, რომ-

ლისთვისაც განსაკუთრებით დამახასათებელია წინამორბედი ფსიქოლოგიის მთავარ მონაცემთა ერთიან სისტემაში გააზრების ტენდენცია.

პიაჟე კრიტიკულად აანალიზებს ფსიქოლოგიის ძირითად მიმდინარეობებს (ასოციაციონიზმი, სტრუქტურალიზმი, ფუნქციონალიზმი, ბიჰევიორიზმი, გეშტალტთეორია, ფენომენოლოგიურ-ეგზისტენციალური ფსიქოლოგია). მათი სუსტი და ძლიერი მხარეების გაშუქებისას იგი გამოყოფს ფუნდამენტურ პრინციპებს, რომლებსაც უნდა ითვალისწინებდეს ფსიქიკური სამყაროს ყოველგვარი კვლევა. პიაჟეს მიაჩნია, რომ ფსიქიკური მოვლენების გაგება აუცილებლად ნიშნავს მათი როლის, ფუნქციის დადგენას შეგუების პროცესში; ამასთან, ფსიქიკის ანალიზი გულისხმობს მასში სხვადასხვა სახის სტრუქტურების (სქემების, ოპერაციების) გამოვლენას. მაგრამ, მთავარი მაინც ის არის, რომ ამ სტრუქტურების ბუნებისა და მოქმედების წესის გაგება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცნობილია მათი ჩამოყალიბებისა და განვითარების კანონზომიერებანი. ამდენად, *გენეტიკური მიდგომა* ფსიქოლოგიური შემეცნების ძირეულ მეთოდოლოგიურ პრინციპად გვევლინება. პიაჟე მიჯნავს ფსიქოლოგიური კვლევის *ფუნქციონალურ და სტრუქტურულ* ასპექტებს; საკუთარ მიდგომას *სტრუქტურულ-გენეტიკურს* უწოდებს და მას ისეთ შეხედულებებს უპირისპირებს, სადაც აქცენტი კეთდება გენეზისზე და იგნორირებულია სტრუქტურა და პირიქით, შეისწავლება სტრუქტურა მისი განვითარების კანონზომიერებათა ჩვენების გარეშე. პირველი სახის კვლევებს, პიაჟეს აზრით, მიეკუთნება ძველი ასოციაციონისტური თეორიები და დასწავლის თანამედროვე ბიჰევიორისტული მოდელები; მეორეს – ფენომენოლოგია და გეშტალტფსიქოლოგია. ეს უკანასკნელი პიაჟეს განსაკუთრებული ყურადღების ობიექტია, რაც სავსებით ბუნებრივია, ვინაიდან სწორედ გეშტალტფსიქოლოგიამ დაიწყო შემეცნებითი ფსიქიკური სტრუქტურების აქტიური ემპირიული შესწავლა. თვითონ პიაჟეს ყველაზე მეტად ეს აინტერესებდა ფსიქოლოგიაში. აღნიშნავდა რა გეშტალტთეორიის უდიდეს დამსახურებას, პიაჟე არ ეთანხმებოდა მას გეშტალტურობის პრინციპის უნივერსალიზაციაში და იმაში, რომ გეშტალტი განიხილებოდა, როგორც "მარადიული" ფორმა, რომელიც განვითარებას არ ექვემდებარება. პიაჟემ ექსპერიმენტულად დაამტკიცა, რომ ბევრი გეშტალტური თვისება, მაგალითად აღქმის კონსტანტობა, ასაკობრივად ცვალებად ფენომენს წარმოადგენს.

პიაჟე ვერც ბიჰევიორიზმს აუვლიდა გვერდს, რადგან მისი რწმენით, ფსიქიკური სტრუქტურების ფორმირებასა და ფუნქციონირებაზე ლაპარაკი მხოლოდ ქცევის პროცესთან მიმართებაში იძენს აზრს. ამასთანავე, პიაჟეს არ აკმაყოფილებდა ქცევის ბიჰევიორისტული გაგება აქტიურობის შინაგანი, შემეცნებითი პლანის გარეშე, ვინაიდან მისი ინტერესის საგანს სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენდა. ქცევა მოტორულისა და მენტალურის ერთიანობაა; შინაგანი, ფსიქიკური მომენტის გარეშე ქცევის აზრის გაგება საერთოდ შეუძლებელია. ბიჰევიორიზმის ფორმულა S-R არაადეკვატურია, ვინაიდან გარკვეულ სტიმულზე რეაგირებისთვის ორგანიზმს უნდა ჰქონდეს გარკვეული სენზიტიურობა მის მიმართ, ანუ მიდრეკილება, თვისება, უპასუ-

ხოს მას. ეს კი ნიშნავს, რომ ორგანიზმს უკვე გააჩნია გარკვეული სტრუქტურა, რომელშიც მოცემული სტიმული ჩაერთვება, ასიმილირდება. აქედან გამომდინარე, პიაჟე ვთავაზობს სქემას S-(AT)-R სადაც (AT) ნიშნავს სტიმულის (S) ასიმილაციას სტრუქტურაში (T). ქვემოთ ვნახავთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება პიაჟეს კონცეფციაში ასიმილაციის ცნებას. აქ კი მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ, ნეობიჰევიორიზმისაგან განსხვავებით, პიაჟეს მხედველობაში აქვს არა ფენომენოლოგიურ მოცემულობას მოკლებული შუალედური ცვლადები, ჰიპოთეტური კონსტრუქტები, არამედ რეალური ფსიქიკური მოვლენები, შემეცნებითი სტრუქტურები, რომლებიც ქცევაში არიან ჩართული და მის განუყოფელ ელემენტს შეადგენენ.

პიაჟეს თანასმად, ყოველგვარი ქცევა წარმოადგენს *ადაპტაციას.* ინდივიდი მოქმედებს მხოლოდ მაშინ, თუ წარმოიქმნება მოთხოვნილება, ანუ ირღვევა წონასწორობა ორგანიზმსა და გარემოს შორის. ცოცხალი სისტემის აქტიურობა, საზოგადოდ, მიმართულია ამ წონასწორობის აღდგენისკენ. ქცევა გარემოსა და სუბიექტს შორის ურთიერთქმედების, ურთიერთგაცვლის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს. ფიზიოლოგიური პროცესებისაგან განსხვავებით, რომლებსაც მატერიალური ხასიათი აქვთ და სხეულთა შინაგან ცვალებადობას გულისხმობენ, ქცევა არ წარმოადგენს სხეულისა და გარემოს მატერიალურ ურთიერთშეღწევას; იგი ფუნქციონალური ბუნებისაა. ფუნქციონალური ქცევა რთული ტრაექტორიით ხასიათდება. სუბიექტი დიდ მანძილით შორდება ობიექტს სივრცეში (აღქმა) და დროში (მეხსიერება). ასე გაგებული ქცევა ყოველთვის ორ ასპექტს მოიცავს – *აფექტურს და კოგნიტურს.* პირველი ქცევის ენერგეტიკას უზრუნველყოფს, მეორე განსაზღვრავს მის ფორმას, სტრუქტურას, ანუ იმ კონკრეტულ გზებს, რომლებითაც ხდება სუბიექტისა და ობიექტის დაკავშირება. აღქმის, სენსომოტორული ჩვევების, გაგებისა თუ მსჯელობის აქტების ფუნქცია გარემოსა და ორგანიზმს შორის ურთიერთობის სტრუქტურირებაში მდგომარეობს. პიაჟეს კელევის ძირითად საგანს სწორედ ქცევის სტრუქტურულ-კოგნიტური ასპექტი შეადგენს. მაგრამ ყურადღების გარეშე არც ქცევის აფექტური მხარე რჩება. შემეცნებითი სტრუქტურების ფუნქციონირების მექანიზმებზე მსჯელობისას ავტორი საგანგებოდ მიუთითებს, რომ ყოველ მათგანს აქვს საკუთარი მოტივაცია ანუ ემოციურ-ეოლიტური კომპონენტი. ყოველი სტრუქტურა მამოძრავებელ ძალას შეიცავს. ინტელექტუალური სტრუქტურების შემთხვევაში ესაა სპეციფიკური შემეცნებითი მოთხოვნილებები, რომლებიც, თავის მხრივ, სენსორული მოთხოვნილებებიდან ვითარდება. თვალს, პიაჟეს თქმით, ისევე ესაჭიროება მხედველობითი გამღიზიანებელი, როგორც სხეულის ქსოვილებს კვება. სენსორული მოთხოვნილებების განვითარების შედეგად ჩნდება ყურადღების (ორიენტაციის), შემდგომ კი შემეცნების მოთხოვნილებები. საბოლოოდ, ქცევის ანალიზს პიაჟე ფუნდამენტურ დასკვნამდე მიჰყავს; კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ საერთოდ არ შეიძლება გონების გამოცალკევება გრძნობისაგან. "აფექტი და ინტელექტი ყოველგვარი ადამიანური ქცევის ორ ურთირთშემაესებელ ასპექტს წარმოადგენს".

კოგნიტურ და ემოციურ სფეროთა ერთიანობა ყველაზე მკაფიოდ იჩენს

თავს ნებელობითი ქცევის დახასიათებისას. პიაჟეს მიხედვით, ნებელობის პრობლემის არსი იმაშია, რომ თავდაპირველად უფრო სუსტი ტენდენცია გაბატონდება ძლიერზე და წარმართავს ქცევას. ამ ფენომენის ასახსნელად, პიაჟეს აზრით, არ არის საჭირო პიროვნებაში არსებული რაიმე დამატებითი ძალის დაშვება. ნებელობის სფეროში ყველაფერი *ინტელექტუალური* ოპერაციების ანალოგიურად ხორციელდება, ოღონდ ამ შემთხვევაში უნდა ვილაპარაკოთ *ემოციურ* ოპერაციებზე. ისინი დაკავშირებულია ღირებულებათა *შემონახვასა და კოორდინაციასთან.* ხოლო ინტელექტუალური ოპერაციები – მიმართებათა შემონახვასა და კოორდინაციასთან.

როგორ ხორციელდება ნებელობის აქტი? პიაჟე აქ პირველ რიგში ღირებულებათა შემონახვის პრინციპზე მიუთითებს. აფექტური ბუნების ღირებულებები ისევე შემოინახება, როგორც აზრი ინტელექტუალურ ოპერაციებში, რაც საფუძველად ედება ლოგიკურ თანმიმდევრობას. მორალი აფექტურ ღირებულებათა შემონახვის მექანიზმია. გქონდეს ნებელობა, ნიშნავს გაგაჩნდეს *ღირებულებათა პერმანენტული სკალა.* თუკი იგი არსებობს, ჩვენ შეგვიძლია ნებელობითი კონფლიქტი გადავჭრათ აქტუალური ემოციური მდგომარეობის რეალური ღირებულებებისადმი დაქვემდებარების გზით, ანუ ღეცენტრაციის მექანიზმის მეშვეობით. *დეცენტრაცია* პიაჟეს მოძღვრების ერთ-ერთი ცენტრალური ცნებაა და გამოიყენება სოციალიზაციის, კოგნიტური და მორალური განვითარების ანალიზისას. იგი წარმოადგენს ინდივიდის ამჟამინდელი პოზიციის, ცნების, შეხედულების შეცვლას სხვა ვითარებებთან და პოზიციებთან შეპირისპირებისა და ინტეგრაციის გზით.

პიაჟე განიხილავს ნებელობითი ქცევის მაგალითს, როდესაც მუშაობის თავდაპირველად სუსტი ტენდენცია გაბატონდება ყველა სიტუაციურ ტენდენციაზე, რაც სათანადო ქცევის განხორციელების შესაძლებლობას იძლევა. როგორ მოხდა ამ ტენდენციის გაძლიერება? დეცენტრაციის საშუალებით – პასუხობს პიაჟე. დასაწყისში ჩვენ სიტუაციური სურვილების ტყვეობაში ვიმყოფებით. ამ მდგომარეობის დაძლევა ორი გზით არის შესაძლებელი: წარსულის აღდგენით და მომავლის წარმოდგენით, რაც განაპირობებს აქტუალური ღირებულების (სურვილის) დაქვემდებარებას უფრო დიდ ღირებულებათა სკალისადმი, ამ შემთხვევაში ჩემი ამოცანის, საქმის ღირებულებისადმი. იმ მომენტიდან, როცა ძალთა კონფიგურაცია იცვლება და მე ვიწყებ მოქმედებას ჩემი ჩვეულებრივი ღირებულებათა სკალის შესაბამისად (ე.ი. იქიდან მოყოლებული, როდესაც ჩემი აქტუალური სურვილი ჩაერთვება ღირებულებათა პერმანენტულ სკალაში), კონფლიქტი გადაწყვეტილია; აღრინდელი ძლიერი სურვილი სუსტდება და ექვემდებარება ტენდენციას, რომელიც დასაწყისში უფრო სუსტი იყო.

როგოც ითქვა, პიაჟე გამოყოფს ემოციურ და ინტელექტუალურ ოპერაციებს. ინტელექტის საკითხი პიაჟეს ყურადღების ცენტრშია, მაგრამ ინტელექტი არ განიხილება სხვა კოგნიტური პროცესებისაგან მოწყვეტით. ინტელექტი, უფრო დაბალი დონის კოგნიტურ-მოტორული სტრუქტურების მსგავსად (აღქმა, ჩვევა, სენსომოტორიკა, მეხსიერება), შეგუების, წონასწორობის მიღწევის საშუალებაა. "ერთი-მეორის ზემოთ განლაგებულ ამ სტრუქტურათა

თანმიმდევრობა ისეთი რიგის სახით უნდა განიხილებოდეს, რომელიც ევოლუციის კანონების მიხედვით აგება. ყოველი სტრუქტურა უბრუნველყოფს იმ პროცესების უფრო მდგრად და ფარითოდ გავრცელებად წონასწორობას, რომლებიც წინა სტრუქტურაში აღმოცენდნენ. ინტელექტი სხვა არაფერია, თუ არა გვაროვნული სახელწოდება, რომლითაც აღინიშნება კოგნიტური სტრუქტურების ორგანიზაციისა ან წონასწორობის უმაღლესი ფორმები".

*ინტელექტი*, როგორც ყოველგვარი მოქმედება, *ადაპტაციაა*. ამიტომ, მისი უფრო დეტალური დახასიათება საჭიროებს გარკვეული შეხედულების ჩამოყალიბებას მოგადად ადაპტაციაზე. პიაჟეს თანახმად, ყოველგვარი ადაპტაცია, ბიოლოგიური იქნება ის თუ ფსიქიკური, გულისხმობს ორი ურთიერთდაკავშირებული პროცესის განხორციელებას: *ასიმილაციას და აკომოდაციას*. ბიოლოგიური თვალსაზრისით, ასიმილაცია წარმოადგენს გარეგანი ელემენტების ინტეგრაციას ორგანიზმის განვითარებად ან უკვე ჩამოყალიბებულ სტრუქტურებში. ფიზიოლოგიურად ეს ნიშნავს, რომ ორგანიზმი გარედან იღებს გარკვეულ ნივთიერებებს და გადაამუშავებს მათ თავისი სტრუქტურის შესაბამისად. ასიმილაციას, ასეთი ფარითო გაგებით, აღგილი აქვს ქცევის შემთხვევაშიც. ეს ეხება როგორც პერცეპტულ, ასევე ინტელექტუალურ და სხვა ქცევებს. ასიმილაცია არის ახალი ობიექტის, პრობლემური სიტუაციის ჩართვა უკვე არსებულ ქცევით სქემაში. რაც შეეხება აკომოდაციას, იგი არის აღნიშნული სქემის შეცვლა ახალი ვითარების შესაბამისად, მასთან უკეთ შეგუების მიზნით. ყოველგვარი ადაპტაცია, მათ შორის კოგნიტურიც, ასიმილაციისა და აკომოდაციის პროცესების გაწონასწორებული მიმდინარეობაა. სწორედ მათი ერთიანობა განაპირობებს წონასწორობას ორგანიზმსა და გარემოს შორის, რისკენაც ყოველგვარი ცოცხალი სისტემა მიისწრაფის. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ სრული წონასწორობის დამყარება არსებითად შეუძლებელია, ვინაიდან ორგანიზმი მუდმივად განიცდის შიდა ან გარე სტიმულებისა და პროცესების ზემოქმედებას. ამიტომ მთავარია არა წონასწორობა, როგორც ასეთი, არამედ *გაწონასწორების პროცესი*. თვით წონასწორობა, რომლისკენაც მიისწრაფის ყოველგვარი ცოცხალი სისტემა, არ უნდა გავაიგივოთ სიმშვიდესთან ან უძრაობასთან. წონასწორობა, წერს პიაჟე, უნდა გავიგოთ "როგორც კომპენსაცია, რომელიც ხოციელდება სუბიექტის მოქმედების საშუალებით გარეგან პერტურბაციაზე საპასუხოდ და, არავითარ შემთხვევაში, როგორც სიმშვიდის მდგომარეობაში მყოფი ძალების ბალანსი". რაც უფრო მყარია წონასწორობა, მით მეტ აქტივობას მოთხოვს იგი სუბიექტისაგან, მით უფრო აქტიური და გაწონასწორებულია ასიმილაციისა და აკომოდაციის პროცესები. ეს გარემოება ფრიად მნიშვნელოვანია, ვინაიდან მისი გათვალისწინებით პიაჟე უპირისპირდება ქცევის ადაპტაციურ, ჰომეოსტაზურ მოდელებს, რომელთათვისაც ქცევის ანალიზის ათვლის წერტილი წონასწორობის, ბალანსის, უძრაობის მდგომარეობაა. ისინი ვერ უძლებენ სერიოზულ კრიტიკას, როდესაც საკითხი ადამიანის ქცევის სპეციფიკას ეხება.

ყოველი ქცევა, რომელიც კოგნიტური პროცესების მეშვეობით ხორ-

ციელდება. ერთგვარად ათავისუფლებს ორგანიზმს აქ და ამჟამად მოცემულ, უშუალოდ მომქმედ გარემოსთან მიჯაჭვულობისაგან. მათი საშუალებით შესაძლებელი ხდება აღაპტაციური ურთიერთობის დამყარება სივრცეში დაშორებულ ობიექტებთან, მომავლის წინასწარმეტყველება და წარსულის აღდგენა. ინტელექტის როლი ამ მხრივ განსაკუთრებულია. მხოლოდ მას შესწევს უნარი გაითვალისწინოს მოქმედების აღაპტურობისთვის აუცილებელი ყველა გარემოება. "მხოლოდ იგი მიიღტვის ტოტალური წონასწორობისკენ, ესწრაფვის იმას, რომ სინამდვილის მიიღი ერთობლიობის ასიმილაცია და მასში მოქმედების აკომოდირება მიახდინოს, მოქმედების, რომელსაც იგი ათავისუფლებს იმთავითვე არსებულ "აქ და ამჟამად" მოცემულობაზე მონური დაქვემდებარებულობისაგან". ინტელექტით უბრუნველყოფილი მოქმედება ყველაზე რთული, ყოვლისმომცველი და მოქნილი ქცევაა.

ყოველგვარი ფსიქიკური, მათ შორის ინტელექტუალური ქცევა, წარმოიქმნება გარეგანი, მატერიალური მოქმედებიდან. მენტალური მოქმედების უმარტივესი სტრუქტურა არის *სქემა*. სქემები ორი ტიპისაა: სენსომოტორული და კოგნიტური. *ოპერაცია* კოგნიტური სქემის ეროგვარი სახეა, რომელიც გონებრივი განვითარების გარკვეულ ეტაპზე წარმოიქმნება და, საბოლოოდ, ინტელექტუალური აქტივობის ძირითად ელემენტად იქცევა. ოპერაციები *ინტერიორიზირებული* ე.ი. გაშინაგან:ებული გარეგანი მოქმედებებია (მაგ., შეკრება შეიძლება შესრულდეს ჯერ მატერიალურ საგნებზე, შემდეგ კი გონებაში). მაგრამ, ყოველგვარი ინტერიორიზირებული გონებრივი მოქმედება, რომელიც საგნობრივი მოქმედებიდან არის წარმოქმნილი, ჯერ კიდევ არ არის ოპერაცია. იმისთვის, რომ იგი საკუთრივ ოპერაციად იქცეს, მან უნდა შეიძინოს გარკვეული ნიშან-თვისებები. ოპერაციებს პირველ რიგში ის გარემოება გამოარჩევს, რომ ისინი *შექცევადნი* არიან; ოპერაცია ფაქტობრივად რაიმეს გონებრივი გარდაქმნაა, რადგან ამ დროს ობიექტი ან პროცესი ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადადის. ამიტომ ყველა ოპერაციისთვის უნდა არსებობდეს საწინააღმდეგო, სიმეტრიული ოპერაცია, რომელიც აღადგენს ამოსავალ მდგომარეობას (მაგ., შეკრების ოპერაციის საპირისპიროა გამოკლება). გარდა ამისა, მოქმედება მაშინ არის ოპერაცია, თუ იგი *კოორდინირებულია* სხვა ოპერაციებთან, იმათთან, რომლებთანაც მოძრავ მთლიანობით სტრუქტურებს ქმნის. იზოლირებული ოპერაცია გონებრივი ამოცანის სრულყოფილ გადაწყვეტას ვერ მოგვცემს. მაგალითად, არითმეტიკული ან გრამატიკული წესი აბრს მხოლოდ სათანადო მათემატიკურ ან ენობრივ სისტემაში იძენს. ასევეა ცალკეული სივრცითი ან დროითი მიმართებების წვდომის შემთხვევაშიც. არსებითად იგივე ითქმის ემოციურ ოპერაციებზეც, რომლებიც, როგორც ზემოთ დავინახეთ, მხოლოდ ღირებულებათა მუდმივ სისტემასთან მიმართებაში იძენენ ნებელობითი აქტის წარმართვის უნარს.

ოციან წლებში პიაჟემ დაიწყო ბავშვის აზროვნების გენეზისის ემპირიული შესწავლა. კვლევის მეთოდიკური პრინციპების განსაზღვრისას პიაჟე უარს ამბობს გონებრივი კოეფიციენტების ტესტური დადგენის, მისი აზრით, უნაყოფო პრაქტიკაზე და მიმართავს *კლინიკური ან თავისუფალი საუბრის მეთოდს*. ასეთი საუბრისას ბავშვს ეძლევა მის სპონტანურ გამონათქვამებთან

მაქსიმალურად დაახლოებული კითხვები. მაგალითად, რა ამოძრავებს ცაში ღრუბლებს, მდინარეში წყალს, ქარის დროს პაერს? რატომ იძირება პატარა ქვა და დაცურავს დიდი ნავი? რატომ არ ეარდება დაბლა მზე, მთვარე ან ვარსკვლავები? საიდან ჩნდება სიმძრები? და ა.შ. ბავშვის მსჯელობებში, გამონათქვამებში პიაჟე ეძებს იმას, რაც არსებითად განასხვავებს მისი აზროვნების წესს მოზრდილისაგან. თავდაპირველად ასეთ ძირითად თვისებად პიაჟეს ბავშვის *ეგოცენტრიზმი* მიაჩნდა. პატარა ბავშვი საკუთარი დახშული სამყაროს ცენტრია. იგი უკიდურესად ეგოისტურია და ახასიათებს *ბიოლოგიური ეგოიზმი*, რაც თავს იჩენს ორგანული მოთხოვნილებებისა და თამაშის გამოკვეთილ პრიორიტეტში. იგი მოკლებულია ობიექტურობას და კრიტიკულობას საკუთარი თავის მიმართ. ეგოცენტრიზმი თვალსაჩინოდ ელინდება ბავშვის მეტყველებაში. ეგოცენტრული მეტყველება ესაა *მეტყველება თავისთავთან და მეტყველება თავისთავისთვის*; მას არა აქვს ურთიერთობის და გაგებინების უუნქცია; იგი უფრო ბავშვის განცდისა და მოქმედების თანმხლებ მიმენტს, მათ ილუსტრაციას წარმოადგენს. ბავშვის აზროვნებას სხვა თვისებებიც ახასიათებს, ესენია: *ანიმიზმი* – საგნების სულიერი თვისებებით აღჭურვა; *არტიფიციალიზმი* – ბუნების მოვლენების ადამიანის მიერ შექმნილად მიჩნევა; *მაგია* – სიტყვებისა და ჟესტებისათვის საგნებზე ზემოქმედების უნარის მიწერა და სხვა.

ოცდაათიან წლებში პიაჟე მკვეთრად ცვლის თავის მიდგომას ინტელექტის ონტოგენეტური განვითარების საკითხის მიმართ. ინტელექტის განვითარება ახლა უკვე განიხილება როგორც გონებრივი სტრუქტურების თანმიმდევრული ცვალებადობის პროცესი. შესაბამისად, გამოიყოფა ინტელექტის განვითარების ოთხი სტადია. პირველი – *სენსომოტორული ინტელექტის სტადია*. იგი გრძელდება დაბადებიდან 1,5-2 წლამდე. ესაა პერცეპტული და პრაქტიკული მოქმედებების პლანში მიმდინარე რეაქციების ხანა; იგი ამზადებს ეტაპს, როდესაც აქტივობა საკუთრივ გონებრივი მოქმედებებით, ანუ შინაგან პლანში იწარმოებს. ამ დროს ინტელექტი თავისი განვითარების მეორე სტადიაზე გადადის, რომელიც 7-8 წლამდე გრძელდება და *ოპერაციამდელი სტადია* ეწოდება. მართალია ამ სტადიაზე უკვე მოხდა გარეგანი მოქმედებიდან შინაგან მოქმედებაზე გადასვლა, მაგრამ ეს მოქმედება ჯერ კიდევ არ წარმოადგენს ინტელექტუალურ ოპერაციას, ვინაიდან მას არა აქვს შექცევადობის თვისება. პიაჟემ ეს მრავალრიცხოვანი გონებამახვილური ექსპერიმენტების საშუალებით დაადგინა. მაგალითად, თუ უფროსი სკოლამდელი ასაკის ბავშვს ვთხოვთ გადაასხას სითხე დაბალი და ფართო ჭურჭლიდან მაღალ და ვიწრო ჭურჭელში, იგი გეეტყვის, რომ სითხის რაოდენობა გაიზარდა. ამ შემთხვევაში ბავშვს არ შეუძლია გონებაში შეაბრუნოს გადასხმის მოქმედება. იგი იმყოფება უშუალოდ დანახულის შთაბეჭდილების ქვეშ; ვინაიდან მაღალყელიან ჭურჭერლში სითხის დონემ აიწია, მაშასადამე, მისი რაოდენობა მეტია. სკოლამდელი ბავშვის აზროვნება, პიაჟეს თქმით, თვალსაჩინოა. შვიდი წლიდან მოყოლებული ბავშვები ამგვარ შეცდომებს აღარ უშვებენ, მათი გონებრივი მოქმედებები შებრუნებადობის თვისებას იძენენ, რაც *კონკრეტული ოპერაციების* პერიოდის დაწყებას მოასწავებს.

ბავშვი ასრულებს გონებრივ ოპერაციებს, თუმცა, როგორც წესი, ეყრდნობა კონკრეტულ მასალას. ეს არ ნიშნავს, რომ მას მოქმედება მხოლოდ ამჟამად მოცემული საგნებით შეუძლია, მაგრამ მისი ინტელექტის ძირითადი ინტენცია სწორედ ასეთია. 11 წლიდან ბავშვი გადადის *ფორმალური ოპერაციების სტადიაზე*, რომელიც სრულდება 15 წლისთვის. ბავშვს უკვე შეუძლია ფორმალურად განსაზღვროს ცნებები, რომლებსაც მანამდეც იყენებდა, მაგრამ ვერ განსაზღვრავდა. ჩნდება გონებრივი მოქმედების აბსტრაქტულ პლანში წარმართვის უნარი, რაც ჰიპოთეტურ გამონათქვამებზე დაყრდნობით ხდება.

პიაჟეს და მისი თანამშრომლების მრავალწლიანმა გამოკვლევებმა დააღასტურა, რომ "სტადიები ყოველთვის უცვლელი თანმიმდევრობით აღმოცენდება, რასაც იმის დაშვებამდე მივყავართ, რომ აქ გარკვეული ბიოლოგიური ფაქტორი მოქმედებს, ისეთი, როგორიცაა მომწიფება". გარემოს, კერძოდ, პედაგოგიურ ზემოქმედებას, შეუძლია ერთგვარად დააჩქაროს ან შეცვალოს სპონტანური განვითარების პროცესი, მაგრამ მას არსებითად ვერ შეცვლის. აქედან გამომდინარე, პიაჟე ერთმნიშვნელოვნად წყვეტს სწავლებისა და განვითარების ურთიერთმიმართების პრობლემას, რომელიც უმნიშვნელოვანესია პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში. სასწავლო პროცესის ორგანიზაციას, უპირველეს ყოვლისა, უნდა განსაზღვრავდეს ბავშვის ინტელექტუალური განვითარების დონე. ამგვარი პოზიცია სრულებითაც არ არის საყოველთაოდ მიღებული. დიამეტრალურად საწინააღმდეგო მოსაზრებას იცავს ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგი ბრუნერი. იგი საერთოდ უარყოფს კავშირს განვითარებასა და სწავლებას შორის, მიაჩნია რა, რომ პრინციპში შესაძლებელია ნებისმიერი ასაკის ბავშვს ვასწავლოთ ყველაფერი, რაც გვინდა; მთავარია მოინახოს მასალის მიწოდების საჭირო ფორმა. ამ პოლუსებს შორის არის თვალსაზრისი (ვიგოტსკი, უზნაძე და სხვა), რომლის თანახმად სწავლების სირთულის დონე გარკვეულად წინ უნდა უსწრებდეს განვითარების აქტუალურ დონეს. მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდება იგი განვითარების მამოძრავებელი ფაქტორი.

პიაჟე დამსახურებულად ითვლება XX საუკუნის ერთ-ერთ იდიდეს ფსიქოლოგად. მის გავლენას განვითარების ფსიქოლოგიაზე ადარებენ შექსპირის გავლენას ინგლისურ ლიტერატურაზე. მიუხედავად ამისა, ინტელექტის სტადიების კონცეფცია მრავალი ასპექტით გახდა კრიტიკული განხილვის საგანი, თუმცა ნიშანდობლივია, რომ თვითონ კრიტიკოსებს შორისაც არ არსებობს თანხმობა პიაჟეს უმდიდრესი მეცნიერული შემოქმედების შეფასებაში. ზოგი მისი სისტემის თეორიულ ნაწილს თელის საკამათოდ, ზოგი – მეთოდურს, ზოგიც კი ფაქტოლოგიურს. ერთ-ერთი ანალიტიკოსის თქმით, პიაჟეს შეხედულებებთან დაკავშირებით უცნაური მდგომარეობა შეიქმნა; ერთი მხრივ, ინტელექტის განვითარების ვერც ერთი თანამედროვე მკვლევარი ვერ ასცდება იმას, რომ არ დაიმოწმოს პიაჟეს მიერ მოპოვებული ფაქტები და მათი ახსნა. მეორე მხრივ, პიაჟეს არავინ ეთანხმება. ეს შეფასება გარკვეულად ასახავს საქმის ვითარებას, თუმცა მისი ბოლო პასაჟი უდავო გადაჭარბებაა.

მართლაც, არსებობს გამოკვლევები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ადამიანის კოგნიტური განვითარება ყველგან, ყველა კულტურაში ისე მიმდინარეობს, როგორც ეს პიაჟემ დააღწინა. ამასთანავე, არის საწინააღმდეგო მონაცემებიც. მაგალითად, ბრუნერის მიერ ჩატარებულმა "პიაჟეს ფენომენების" კროსკულტურულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ისინი განსხვავებულად ვლინდება სხვადასხვა კულტურებში. ამიტომ მან ჩათვალა, რომ პიაჟეს ფენომენები უნდა განიხილებოდეს ბავშვის მიერ გარკვეული მოთხოვნების შეთვისების კონტექსტში. ეს არის მოთხოვნები, რომლებსაც საზოგადოება უყენებს ბავშვს იმის შესაბამისად, თუ განვითარების რომელ სტადიაზე იმყოფება იგი. კროსკულტურული კვლევების ისეთ განზოგადებასაც ვხვდებით, რომლის თანახმად სტადიების თანმიმდევრობა უნივერსალურია, ხოლო მათი გავლის ტემპი სოციალურ-კულტურული ფაქტორების მიხედვით ცვალებადობს.

არსებობს ექსპერიმენტულად დასაბუთებული კრიტიკა პიაჟეს იმ დებულებისა, რომ ლოგიკური ოპერაციების შემუშავების პროცესი და მისი ასაკობრივი დინამიკა განსაზღვრულია ბავშვის ინტელექტუალური უნარების (ტრანზიტულობა, კონსერვაცია, კლასიფიკაცია და ა.შ.) განვითარების დონით. მრავალი ავტორი უჩვენებს, რომ ბავშვის წარუმატებლობა პიაჟეს ამოცანების შესრულებისას შეიძლება გაპირობებული იყოს მისი სხვა ფუნქციების, კერძოდ ყურადღებისა და მეხსიერების განვითარების ჩამორჩენილობით.

ბევრი გამოკვლევა ჩატარდა იმის გასარკვევად, თუ რამდენად გუსტად აღგენს პიაჟეს მიერ გამოყენებული მეთოდური აპარატი ამა თუ იმ სტადიის ასაკობრივ ჩარჩოებს. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელი გახდა პიაჟეს ამოცანების იმგვარი გადასხვაფერება, რომ ისინი 2-3 წლით უმცროსმა ბავშვებმა ამოხსნეს, ანუ იმ ბავშვებმა, რომლებიც, პიაჟეს მიხედვით, უფრო აღრეულ სტადიაზე იმყოფებოდნენ. საზოგადოდ, პიაჟეს ექსპერიმენტების ტოტალური გადამოწმების შემდეგ, ბევრმა მკვლევარმა ჩათვალა, რომ ისინი ძალზე "რთულებია". როცა იგივე უნარები სხვა, ბავშვის ინტელექტისთვის უფრო მისაწვდომი ამოცანებით შეამოწმეს, აღმოჩნდა, რომ მონაცემები გაცილებით უკეთესია, ვიდრე ამას პიაჟე ვარაუდობდა.

უნდა ითქვას, რომ ეს საკითხი მაინც ღიად რჩება, ვინაიდან, პიაჟეს მომხრეთა აზრით, სწორედ კრიტიკოსები ცდებიან, როცა ბავშვებს მათი ინტელექტის რეალური განვითარების დონესთან შედარებით ბევრად აღვილ ამოცანებს აძლევენ. ეს თემა რომ დავასრულოთ, მოვუსმინოთ პიაჟეს შემოქმედების ერთ-ერთ საუკეთესო მკვლევარს, ფლეიველს. პიაჟეს ემპირიული მონაცემების კრიტიკული შეფასების შემდეგ იგი საკმაოდ ფრთხილად შენიშნავს, რომ პატარა ბავშვებს, ალბათ, მეტი შეუძლიათ, ვიდრე ამას პიაჟე ფიქრობდა, ხოლო მოზარდებსა და მოზრდილებს – უფრო ნაკლებიო.

პიაჟეს სისტემის სხვა ასპექტების მიმართაც არის გამოთქმული სერიოზული შენიშვნები. მათზე აღარ შევჩერდებით. პიაჟეს მიერ შესრულებული გრანდიოზული სამუშაო, ცხადია, ვერ იქნებოდა იდეალური; სირთულეებისა და შეცდომებისგან დაზღვეული არავინაა. მაგრამ, როგორც ამ მოძღვრების დამცველნი ამტკიცებენ, კრიტიკა საკმარისად არ ითვალისწინებს პიაჟეს

მეთოდოლოგიური მიზნების, მეთოდური მიდგომებისა და თეორიული შეხედულებების თავისებურებას. ეს იმითი არის გამოწვეული, რომ ავტორი, ხანგრძლივი კვლევის პროცესში, ამა თუ იმ საკითხზე თვალსაზრისს იცვლიდა. ამიტომ მის უამრავ პუბლიკაციაში წარმოდგენილი მოსაზრებების სრულყოფილი და აღექვატური ანალიზი მეტად რთულია.

აღსანიშნავია, რომ თვითონ პიაჟე საერთოდ არ პასუხობდა თავისი მისამართით გამოთქმული კრიტიკას. ერთადერთი ავტორი, რომელსაც მან სპეციალური წერილით უპასუხა, იყო ვიგოტსკი. ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ახლაც ბევრს მსჯელობენ ამ მეცნიერთა პოზიციების ურთიერთმიმართებაზე. მათ თვალსაზრისებს შორის მართლაც არსებობს როგორც მსგავსება, ისე განსხვავება. ზემოთ უკვე აღინიშნა მათი შეხედულებების სხვადასხვაობა სწავლისა და განვითარების პროცესების ურთიერთმიმართების პრობლემასთან დაკავშირებით. მოკლედ რომ ვთქვათ, პიაჟეს მიხედვით, განვითარება წინ უსწრებს სწავლას; ეს უკანასკნელი შეიძლება საზიანოც აღმოჩნდეს განვითარებისთვის, ვინაიდან ბავშვი ვერ ეჩვევა დამოუკიდებელ აზროვნებას. ვიგოტსკისთვის პირიქით, სწავლა, როგორც სოციალური მოვლენა, წინ უსწებს და აპირობებს განვითარებას.

ადამიანის ფსიქიკის ქმნადობისა და განვითარების საქმეში სოციალური ფაქტორების აბსოლუტური პრიორიტეტი ვიგოტსკის შეხედულებათა ქვაკუთხედია. პიაჟე, ცხადია, არ უარყოფს სოციალური ფაქტორების მნიშვნელობას, მაგრამ წამყვან როლს ფსიქიკურ განვითარებაში *მომწიფების* ბუნებრივ და სპონტანურ პროცესებს ანიჭებს. ერთ შემთხვევაში აქცენტი ფსიქიკის გარეგან დეტერმინაციაზე კეთდება, მეორეში – შინაგანზე.

მოცემული დიქოტომიის კონტექსტში გასაგები ხდება იმ დისკუსიის არსი, რომელიც გაიმართა პიაჟესა და ვიგოტსკის შორის *ეგოცენტრული მეტყველების* საკითხთან დაკავშირებით. ეგოცენტული მეტყველების სტადიაზე ბავშვი არავის მიმართავს, ლაპარაკობს თავის თავთან ისე, თითქოს ხმამაღლა ფიქრობდეს. პიაჟეს თანახმად, ეგოცენტრული მეტყველება ბავშვის აზროვნების *აუტიზმის, ეგოცენტრიზმის* გამოვლენაა. მას უკიდურესად უჭირს სხვის პოზიციაზე დადგომა და, მით უმეტს, თავისი პოზიციის შეცვლა სხვისი პოზიციის გათვალისწინებით. ეგოცენტრიზმი "დეცენტრაციის უკმარისობაა; ეს არის საკუთარი გონებრივი პერსპექტივის შეცვლის შეუძლებლობა როგორც სოციალურ, ისე სხვა ურთიერთობაში". პიაჟე თვლის, რომ კოგნიტური განვითარების კუთხით ეგოცენტრულ მეტყველებას, არსებითად, პოზიტიური ფუნქცია არ გააჩნია; როგორც შუალედური რგოლი, იგი მხოლოდ სათანადო გამოცდილებით უზრუნველყოფს ბავშვს და გზას უხსნის *სოციოცენტრულ*, ანუ ურთიერთობაზე მიმართულ მეტყველებას (მიმართულება შიგნიდან – გარეთ).

ვიგოტსკის მიხედვით, მეტყველების განვითარების ვექტორს საწინააღმდეგო მიმართულება აქვს. ბავშვის (ისევე როგორც მოზრდილის) მეტყველება იმთავითვე სოციალური ბუნებისაა და ურთიერთობას ემსახურება. მემდეგ იგი გაივლის ეგოცენტრულ საფეხურს, რომელიც თან სდევს ბავშვის აქტივობას და მის დაგეგმვასა და მართვას ემსახურება, ე.ი. ის სრულიად

გარკვეული პოზიტიური ფუნქციის მატარებელია. ამ შუალედური სტადიის გაელით, საბოლოოდ, ბავშვი მიდის შინაგან მეტყველებამდე და აზროვნებამდე (მოძრაობა გარედან – შიგნით).

ვიგოტსკი ორიგინალური ზოგადფსიქოლოგიური კონცეფციის ავტორია, რომელმაც, განსაკუთრებით ბოლო ხანებში, მსოფლიო ფსიქოლოგთა ყურადღება მიიპყრო. ამაში, შესაძლოა, გარკვეული როლი იმანაც ითამაშა, რომ ვიგოტსკის თეორიით ისეთი დიდი ავტორიტეტი დაინტერესდა, როგორიც პიაჟე იყო. ყოველ შემთხვევაში, ლიტერატურაში მათი თვალსაზრისები ხშირად ერთ კონტექსტში განიხილება.

**ლევ ვიგოტსკის** (1896-1934) კონცეფციის ყველაზე გავრცელებული სახელწოდება *ფსიქიკის კულტურულ-ისტორიული თეორიაა*. ზოგჯერ მას უწოდებენ ადამიანის უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციების საზოგადოებრივ-ისტორიული წარმოშობის თეორიასაც. ამ შეხედულების ცენტრში მართლაც დგას საკითხი ადამიანის სპეციფიკური ფუნქციების წარმოქმნის შესახებ. ვიგოტსკის ემპირიული კვლევის მეთოდოლოგიაც ამ ფუნქციების ფორმირებას უკავშირდებოდა. ვიგოტსკი ცდილობდა განეხილა ფსიქიკის განვითარება ყველა სახის გენეზისის (ონტოგენეზი, ფილოგენეზი, ანთროპოგენეზი) კუთხით. ეს

ფსიქოლოგიური სისტემა არსებითად კოგნიტური ფუნქციების გენეზისს ეხება. ამიტომ სავსებით ლოგიკურია მისი დახასიათება მოცემულ თავში.

ვიგოტსკის მიხედვით, ადამიანის ფსიქიკის ქვედა ფენას, რომელიც მის ცხოველურ წარმოშობაზე მიანიშნებს, წარმოადგენენ ე.წ. *ნატურალური, დაბალი*, ანუ *უნებლიე პროცესები* (სენსომოტორული, მნემური და სხვა). ადამიანისთვის სპეციფიკური, *უმაღლესი ფსიქიკური პროცესები* (ნებისმიერი ყურადღება, ნებისმიერი მეხსიერება, ლოგიკური აზროვნება და ა.შ.) მათგან არსებითად განსხვავდება. ამ განსხვავებას, პირველ ყოვლისა, უმაღლესი ფსიკური პროცესების *ნებისმიერობა* განაპირობებს. ნატურალურ პროცესებს ადამიანი ვერ აკონტროლებს, ხოლო უმაღლესი ფსიქიკური პროცესები მისი ცნობიერების მართვას ექვემდებარება. რეგულაციის ამგვარი სახე მათი გაშუალებული ხასიათიდან გამომდინარეობს და ხორციელდება კაცობრიობის კულტურულ-ისტორიული განვითარების პროცესში შექმნილი *ნიშნების ან ნიშანთა სისტემის* მეშვეობით. ესენია ენა, დამწერლობა, დათვლის სისტემა და სხვა. ნიშანი კოგნიტური და, საზოგადოდ, უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციების საშუალებად გვეელინება. ნიშნები ქმნიან დამატებით კავშირებს სტიმულსა და რეაქციას შორის (როგორც ქცევით, ისე გონებრივ სფეროში), რაც პროცესის დაუფლების, მისი შეგნებული გამოყენების საფუძველია. ნატურალური, უშუალო ფსიქიკური პროცესები S – R სქემით გამოიხატება; უმაღლესი ფსიქიკური პროცესების სქემაში ამ ორ წევრს შორის მიმართება ნიშნით არის გაშუალებული.

ცხადია რომ ნიშნებს თვითონ ბავშვები არ იგონებენ; მათი შეთვისება

უფროსებთან ურთიერთობის პროცესში ხდება. ამდენად, ნიშანი თავიდან გარეგან პლანში, ურთიეთობის პროცესში ჩნდება, ხოლო შემდგომ გადადის შინაგან, ცნობიერების პლანში: "ბავშვის კულტურული განვითარების ისტორიაში ყოველი ფუნქცია ორ პლანში იჩენს თავს, ჯერ სოციალურში, შემდგომ ფსიქიკურში; ჯერ ადამიანთა შორის, როგორც ინტერფსიქოლოგიური კატეგორია, ხოლო შემდეგ ბავშვის შინაგან სამყაროში, როგორც ინტრაფსიქოლოგიური კატეგორია". ერთი სიტყვით, ხდება ნიშანთა ინტერიორიზაცია, რაც ბავშვის ფსიქიკის განვითარების ძირითად მექანიზმს წარმოადგენს.

ვიგოტსკის თეორია არ გახდა რუსული საბჭოთა ფსიქოლოგიის ერთადერთი და წამყვანი კონცეფცია. მას დაუპირისპირდნენ ე.წ. *ქმედების თეორიის* წარმომადგენლები, როგორც სერგეი რუბინშტეინის (1889-1960), ისე ალექსეი ლეონტიევის (1903-1979) სკოლებიდან. უკიდურესად განზოგადებული სახით, კულტურულ-ისტორიული და ქმედების თეორიების განსხვავების დედააზრი შემდეგზე დაიყვანება: პირველში რეალიზებულია ბიბლიაში მოცემული ფორმულა – "პირველად იყო სიტყვა", ხოლო მეორეში ფორმულა, რომელიც, ჩვეულებრივ, გოეთეს მიეწერება – "პირველად იყო საქმე".

სინამდვილეში სიტყვა და საქმე სულაც არ უპირისპირდება ერთმანეთს, გენეტიკური თვალსაზრისით კი მჭიდრო ურთიერთკავშირშიც იმყოფება: ბავშვები და საზოგადოდ ადამიანები, ენას ურთიერთობის პროცესში ითვისებენ, გარემოსთან გრძნობად-პრაქტიკული კონტაქტების საფუძველზე; ამ პროცესის კვალდაკვალ სიტყვა, მეტყველება, ენა სულ უფრო მეტ გავლენას ახდენს პრაქტიკულ, პერცეპტულ, სააზროვნო და სხვა სახის ქმედების შემდგომ განვითარებაზე და, საზოგადოდ, ადამიანის მთელ აქტივობაზე. ამავე დროს, ამოსავალი პრაქტიკული ქმედების პრიორიტეტი ყოველთვის ძალამი რჩება. ქმედების თეორიის დამცველნი ამტკიცებენ, რომ მათ სწორედ ასე ესმით საქმის ეითარება. ალტერნატული, "არაქმედებითი" თვალსაზრისის მიხედვით, ადამიანისა და მისი ფსიქიკის განვითარების ძირითად "მაწარმოებელ მიზეზს" (ვიგოტსკი) წარმოადგენს ნიშანი, სიტყვა, სიმბოლო და ა.შ.

სხვადასხვა ფორმითა და ხარისხით ფსიქოლოგიაში ამ თვალსაზრისს ავითარებდნენ კ. გოლშტაინი, ა. გელბი, გ. ჰედი, ე. კასირერი, პიაჟე მისი შემოქმედების დასაწყისში და ვიგოტსკი. ამ უკანასკნელის კონცეფცია სათანადო ანგარიშს არ უწევს იმას, რომ თვით მეტყველება ურთიერთობის პროცესში განხორციელებული, ამოსავალი სენსორულ-პრაქტიკული ქმედების საფუძველზე შეითვისება. მეტყველება ქმედებასთან ურთიერთკავშირში და მის კონტექსტში წარმოადგენს მომქმედ ძალას. ამის გარეშე ის იქცევა ადამიანის ფსიქიკური განვითარების თვითკმარ ფაქტორად. ქმედების თეორიის წარმომადგენელთა აზრით, მეტყველების ანალიზი კულტურულ-ისტორიული თეორიის პოზიციებიდან სწორედ ამ მიმართულებით მიემართებოდა.

მთავარი მაინც ის არის, რომ ვიგოტსკის კონცეფცია, არსებითად, ფსიქიკური ფუნქციების თეორიად, ანუ ფსიქიკური პროცესების ფსიქოლოგიად რჩება. საქმე ისაა, რომ ფსიქიკის ყოველგვარი გარეგანი დეტერმინაცია, მათ შორის ნიშნებითაც, ყოველთვის შინაგანით, სუბიექტურით არის გამუ-

ალებული. "სუბიექტი წარმოადგენს ყველა ფსიქიკური პროცესის, მდგომარეობის და თვისების, ცნობიერებისა და არაცნობიერის განვითარების საერთო და ერთიან საფუძველს... ამდენად, სწორედ სუბიექტის მთლიანობაა ობიექტური საფუძველი მისი ყველა ფსიქიკური პროცესის, მდგომარეობისა თუ თვისების მთლიანობისა და სისტემურობისა". ვიგოტსკის თეორიული სისტემა, როგორც უწნაძე იტყოდა, პრაქტიკულად უსუბიექტო ფსიქოლოგიას წარმოადგენს.

ეს შენიშვნა კიდევ უფრო სამართლიანად გამოიყურება განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის პოზიციებიდან, თუ გავითვალისწინებთ მის ამოსავალ დებულებას ქცევის (გნებავთ ქმედების) და ცნობიერების პროცესების არა ნიშნებით (ვიგოტსკი), არამედ სუბიექტის მთლიანობითი მდგომარეობით, განწყობით გაშუალების შესახებ (იხ. 12.2.).

დაუბრუნდეთ უკვე ნახსენებ კოგნიტივისტურ ორიენტაციას სოციალურ ფსიქოლოგიაში. ზემოთ აღინიშნა, რომ იგი, არსებითად, ადამიანური ქცევის ზოგადი კონცეფციაა. მის საფუძველს სწორედ ზოგადფსიქოლოგიური თეორია, სახელდობრ, გეშტალტფსიქოლოგია წარმოადგენს. *სოციალურმა კოგნიტივისტებმა*, რომელთა რიცხვს მიეკუთვნებიან ისეთი თვალსაჩინო ავტორები, როგორიცაა ჰაიდერი, ფესტინგერი, აბელსონი, როზენბერგი, არონსონი, ოსგუდი, ტანენბაუმი, აში, კრეჩი, კრაჩფილდი და სხვები, აითვისეს გეშტალტფსიქოლოგიის ძირეული იდეები და ცნებები — იზომორფიზმი, ხატი, კარგი ფიგურის დომინირება, პრეგნანტობა და ა.შ. ხატის ცნებასთან დაკავშირებული კოგნიტური სტრუქტურების ორგანიზაციის იდეასთან ერთად, კოგნიტივიზმი ეყრდნობოდა მოტივაციის ცნებასაც, რაც ლევინის ველის თეორიის უშუალო გაგრძელებით მოხდა. ლევინის მიერ შესწავლილი ვალენტობა, კონფლიქტი, დასრულებულობისკენ სწრაფვა და დაძაბულობა ქცევითი კოგნიტივიზმის, კერძოდ კი ე.წ. *კოგნიტური თავსებადობის*, როგორც მოტივაციური თეორიების, საყრდენ წერტილად იქცა. მხოლოდ ცოდნა, ინფორმაცია არაა საკმარისი ფაქტორი სოციალური ქცევის გასაგებად. ყველა ქცევის მსგავსად, სოციალურ ქცევასაც ინიციაცია, აღძრა ესაჭიროება. ასეთი მოტივაციური ფაქტორი კი კოგნიტურ სფეროში აღმოცენებული პროცესის შედეგია. ამდენად, მოტივაციური ფაქტორი მეორად, კოგნიტური სფეროდან გამომდინარე ქცევის დეტერმინანტად გეევლინება.

სოციალურფსიქოლოგიური კოგნიტივიზმი არ ამოიწურება კოგნიტური თავსებადობის თეორიებით, მაგრამ, არსებითად, სწორედ ისინი განსაზღვრავენ მის სახეს. კოგნიტური თავსებადობის რამდენიმე თეორიული მოდელი არსებობს. მათ შორის გამოყოფენ ჰაიდერის, ნიუკომის, ოსგუდ-ტანენბაუმის და ფესტინგერის თეორიებს. როგორც საერთოდ კოგნიტივისტური თვალსაზრისისთვის, ისე მათთვისაც ძირეულია თეზისი კოგნიციის, შემეცნებითი პროცესებისა და სტრუქტურების პრიორიტეტის შესახებ ქცევის (სახელდობრ კი სოციალური ქცევის) დეტერმინაციაში. ბიჰევიორიზმის საწინააღმდეგოდ, გამოთქმულია რწმენა, რომ ქცევა, საბოლოო ჯამში, ადამიანის შინაგანი სამყაროდან მომდინარეობს და მის ორგანიზაციას შემეცნებითი პროცესი ახორციელებს. გამოცდილების ორგანიზაციის შედეგად

წარმოიქმნება სხვადასხვა სახის იდეები, რწმენები, მოლოდინები, განწყობები. ისინი სოციალური ქცევის რეგულატორებია. ქცევა სატების, წარმოდგენების, ცნებების, ე.ი. განსხვავებული კოგნიტურ-მენტალური მოელენების ორგანიზაციის შედეგია.

თავსებადობის თეორიებისთვის სპეციფიკურია შემდეგი თეზისი: ყოველგვარი კოგნიტური სტრუქტურა თავისი ბუნებით ისეთია, რომ უნდა იმყოფებოდეს ბალანსურ, ჰარმონიულ, გაწონასწორებულ მდგომარეობაში. ამგვარი მდგომარეობის ყოველგვარი დარღვევა აღძრავს საწყისი ანუ ოპტიმალური მდგომარეობის აღდგენის ტენდენციას. ადამიანის ქცევა მიმართულია იმაზე, რომ მისი კოგნიტური სტრუქტურები მაქსიმალურად იყვნენ გაწონასწორებული. თავსებადობის ამ ძირითად იდეაზე დაყრდნობით, დროის საკმაოდ მცირე შუალედში, 50-60-იან წლებში, რამდენიმე თეორიული მოდელი შეიქმნა. მათ ეწოდათ ბალანსის, კონგრუენტობის, სიმეტრიისა და დისონანსის თეორიები. ეს უკანასკნელი ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობს და, ამიტომ, სწორედ მის ძირითად დებულებებზე შევაჩერებთ ყურადღებას.

*კოგნიტური დისონანსის თეორის* ავტორმა **ლეონ ფესტინგერმა** (1919-1989) სადოქტორო დისერტაცია ლევინის ხელმძღვანელობით დაიცვა აიოვას უნივერსიტეტში. იყო ლევინის ასისტენტი მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ჯგუფური დინამიკის ცენტრში. 1947-1968 წლებში მუშაობდა მიჩიგანის, მინესოტასა და სტენფორდის უნივერსიტეტებში. 1968 წლიდან სიკვდილამდე იყო სოციალური კვლევების ახალი სკოლის პროფესორი ნიუ-იორკში. სარგებლობდა დიდი პოპულარობით, როგორც მკვლევარი და როგორც ლექტორი. მისი ყველაზე ცნობილი მოწაფეებია: ე. არონსონი, ფ. ზიმბარდო, ს. შეხტერი.

როგორც თავსებადობის თეორიების სახეობა, კოგნიტური დისონანსის თეორია ამოდის იმ დებულებიდან, რომ კოგნიტური ელემენტები მიისწრაფიან იყვნენ *თავსებად და კონსისტენსურ* მიმართებაში ერთმანეთთან. *არათავსებადი ანუ დისონანსური* მდგომარეობა უსიამოვნოა და იწვევს მისგან თავის დაღწევის ტენდენციას. დისონანსის რედუქცია შეიძლება მოხდეს ცნობიერებაში კონსონანსური ელემენტების გაზრდის (დამატების) ან თვით დისონანსში მყოფი ელემენტების შეცვლის გზით, რათა ისინი უფრო თავსებადნი გახდნენ. ფესტინგერს მოჰყავს მაგალითი, რომელიც მრავალი ავტორის მიერ გამეორების გამო, ცოტა არ იყოს, "გაცვდა", მაგრამ კვლავაც საკმაოდ დამაჯერებელია და ამ თეორიის დედააზრის თვალსაჩინო ილუსტრაციას წარმოადგენს. თუ მწეველმა აღამიანმა იცის, რომ მოწევა მავნეა ან, უფრო კონკრეტულად, იწვევს კიბოს, იგი იმყოფება დისონანსის მდგომარეობაში. ერთი კოგნიტური ელემენტი – "მე ვეწევი" შეუთავსებელია მეორესთან – "მოწევა იწვევს კიბოს". ნათელია, რომ ამ დისონანსის მოხსნის ყველაზე ეფექტური საშუალება მოწევაზე ხელის აღებაა. მაგრამ, ისიც ცნობილია, რაოდენ ძნელია ამის გაკეთება.

11.2. ჟანე

გან, მაგრამ, ძირითადი განსაზღვრების თანახმად, ყველა მათგანი კოგნიციაა და მათ შორის შეიძლება კონსონანსური და დისონანსური ურთიერთობები დამყარდეს. კოგნიტურ ელემენტებს შორის შესაძლებელია არარელევანტური მიმართებაც არსებობდეს. ამ შემთხვევაში მათ, უბრალოდ, არაფერი აქვთ საერთო ერთმანეთთან.

განსაზღვრების თანახმად, ორი ელემენტი დისონანსურ ურთიერთობაში იმყოფება, თუ ერთი ელემენტის უარყოფა გამომდინარეობს მეორიდან, ანუ ფორმალურად, X და Y დისონანსურები არიან, თუ ის, რაც X-ის უარყოფაა, გამომდინარეობს Y-დან. ფესტინგერი გამოყოფს დისონანსის გამომწვევ ოთხი სახის ვითარებას: 1) ლოგიკური შეუთავსებლობა; 2) შეუთავსებლობა კულტურულ ნორმებთან; 3) მოცემული კოგნიტური ელემენტის შეუთავსებლობა კოგნიციათა უფრო ფართო სისტემასთან; 4) შეუთავსებლობა წარსულ გამოცდილებასთან. შესაძლებელია თითოეული მათგანის ილუსტრაცია ყოფით მაგალითებზე. 1) დავუშვათ, ადამიანს სჯერა, რომ ყველა ადამიანი მოკედაეია და, იმავდროულად, სჯერა იმისიც, რომ იგი, როგორც ადამიანი, იცხოვრებს მუდამ. აქ ერთი კოგნიცია ლოგიკური თვალსაზრისით მეორეს გამორიცხავს; 2) თუ ადამიანს ოფიციალურ ბანკეტზე ხელიდან უსხლტება ქათმის ნაჭერი, იმის ცოდნა, თუ რა ემართება, დისონანსშია იმასთან, რაც მან იცის ოფიციალური სადილის ეტიკეტის შესახებ. სხვა კულტურაში ეს კოგნიციები შეიძლება სულაც არ იყოს დისონანსური; 3) თუ ადამიანი, რომელიც თავს ყოველთვის დემოკრატიული პარტიის მომხრედ თვლიდა, მაგრამ კონკრეტულ არჩევნებში ხმას რესპუბლიკელთა კანდიდატს აძლევს, დისონანსს უნდა განიცდიდეს; 4) თუ ადამიანი წვიმის ქვეშ დგას და არ სველდება, ეს ორი კოგნიცია დისონანსურ ურთიერთობაში იქნება, რადგან მან გამოცდილებით იცის, რომ წვიმა ასველებს ადამიანს. მაგრამ, თუ ისეთ კაცს წარმოვიდგენთ, რომელსაც წვიმა საერთოდ არ უნახავს, მას დისონანსი არ შეექმნება.

ასე წარმოიქმნება დისონანსი, რომელიც, თავის მხრივ, წარმოშობს მისი შემცირების ან სრული მოსპობის ტენდენციას. ფსიქოლოგიურად ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რადგან დისონანსი სწორედ ამიტომ გვევლინება აქტიეობის მოტივაციურ ფაქტორად. ამასთან არის დაკავშირებული შემდგომი დებულებაც – დისონანსის შემცირების მისწრაფება დისონანსის სიდიდის ფუნქციაა. თავად დისონანსის სიდიდე კი დამოკიდებულია კოგნიტური ელემენტების სუბიექტურ მნიშვნელობაზე, ღირებულებაზე. ფესტინგერის თეორიში განხილულია დისონანსის შემცირების ან მოხსნის რამდენიმე ხერხი, რომლებსაც, ჩვეულებრივ, მიმართავენ ადამიანები. ესენია: ა) ქცევითი კოგნიტური ელემენტების შეცვლა. თუ, ვოქვათ, წინააღმდეგობაში მოვიდა გარემოსა და ქცევის შესატყვისი კოგნიციები, ყველაზე უბრალო და ეფექტური გამოსავალი თვით ქცევისა და მასთან დაკავშირებული კოგნიციის შეცლაა. მაგალითად, თუ მავანი წავიდა პიკნიკზე და დაინახა, რომ გაწვიმდა, მას შეუძლია სახლში დაბრუნდეს. ადამიანების ნაწილი თავს ანებებს მოწვევას, როცა მიხვდება, რომ ეს ენებს მათ ჯანმრთელობას; ბ) ქცევითი კოგნიციის შეცვლის მსგავსად, შესაძლებელია გარემოსთან დაკავშირებუ-

ლი კოგნიციის შეცელა, თუმცა ეს გაცილებით უფრო რთული საქმეა; გ) როცა შეუძლებელია რომელიმე დისონანსური ელემენტის შეცელა, დისონანსის შემცირება ხდება ახალი კოგნიტური ელემენტების დამატებით. თუ ადამიანი თავს ვერ ანებებს მოწევას, მას საშუალება აქვს შეამციროს დისონანსი ახალი კონსონანსური ელემენტების შემოყვანის გზით. იგი სელექტიური ხდება ინფორმაციის მიმართ; აქტიურად ეძებს კონსონანსურ ცოდნას და ერიდება დისონანსურ ინფორმაციას. ხალისით ეცნობა მასალებს, სადაც მოცემულია იმ შეხედულების კრიტიკა, რომ მოწევა მავნებელია და, პირიქით, გადაჭარბებულად კრიტიკულია ან სულაც გაურბის იმ მასალების კითხვას, სადაც საპირისპირო მტკიცდება.

ფესტინგერის კოგნიტური დისონანსის თეორია ფრიად სარწმუნო ფაქტოლოგიას ეფუძნება და დებულებების მწყობრ სისტემას ქმნის. ის ნაიელი და მარტივია, თუმცა, საკმაოდ ნათელი ჰიპოთეზების მიუხედავად, ამ თეორიაზე დაყრდნობით ყოველთვის ვერ ხერხდება დისონანსის არსებობის უტყუარი დადასტურება. კრიტიკოსები ისეთ სიტუაციებსაც განიხილავენ, სადაც დისონანსი სახეზეა, მაგრამ არ არსებობს არც ლოგიკური შეუსაბამობა, არც კულტურული ნორმების აშკარა დარღვევა და არც დისონანსის გამომწვევი სხვა ვითარება. მაშასადამე, ისეთი სიტუაციების ცოდნა, რომელშიც დისონანსი შეიძლება წარმოიქმნეს, ყოველთვის არ არის საკმარისი დისონანსის რეალური აღმოცენების პროგნოზირებისთვის. ფესტინგერის მოდელზე დაყრდნობით ძნელია იმის პროგნოზირებაც, თუ კონკრეტულ შემთხვევაში დისონანსის რედუქციის რომელი სტრატეგია იქნება გამოყენებული. ამის წინასწარმეტყველებას ის გარემოება ართულებს, რომ ინდივიდები საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან შეუთავსებლობის მიმართ მგრძნობელობით, მისი აღმოჩენისა და ატანის შესაძლებლობით. ეს პიროვნული მახასიათებლები ფესტინგერის თეორიაში არ არის გათვალისწინებული. იგივე ითქმის ინდივიდის სიტუაციაში ეგოჩართულობის დონეზეც, ანუ იმაზე, თუ რამდენად იღებს იგი პასუხისმგებლობას მოცემულ ვითარებაზე და მოსალოდნელ შედეგებზე. სპეციალურმა გამოკვლევებმა გამოაელინა, რომ პასუხიმგებლობის ფაქტორი მნიშვნელოვნად განაპირობებს იმას, იარსებებს თუ არა კოგნიტურ ელემენტებს შორის დისონანსური ან კონსონანსური ურთიერთობა. დისონანსის წარმოქმნის პირობებთან დაკავშირებით გამოთქმულია მოსაზრება, რომ დისონანსის, როგორც განრიდების ტენდენციის შემცველ უსიამოვნო მდგომარეობას, ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, თუ კოგნიტურ ელემენტებს შორის დიდი განსელაა; მცირე განსელა სასიამოვნოც კი არის.

აღნიშნული შენიშვნები კერძო ხასიათისაა და, უმთავრესად, ფესტინგერის თეორიას ეხება. ამასთან ერთად საჭიროა გამოითქვას ზოგიერთი კრიტიკული მოსაზრება მთელი ამ მიმდინარეობის მიმართ. საქმე ისაა, რომ თავსებადობის ყველა თეორია ჰომეოსტაზის პრინციპზე დაფუძნებული კონცეფციაა. მართალია მათში ლაპარაკია არა ფიზიოლოგიური, არამედ კოგნიტური წონასწორობის აღდგენაზე, მაგრამ ზოგადი ხასიათის კრიტიკული შეფასება, რომელიც საზოგადოდ ჰომეოსტატურ პრინციპს ეხება, მართებულია ამ მიმდინარეობის მიმართაც. როგორც ზემოთ ვნახეთ, პერსონოლოგიური და

ჰუმანისტური ფსიქოლოგიის წარმომადგენლებმა (ოლპორტი, მასლოუ, როჯერსი) ნათლად აჩვენეს, რომ პიროვნება მოქმედებს არა მხოლოდ წონასწორობის აღდგენის, არამედ პირიქით, დაძაბულობის გაზრდის მიზნითაც.

ახლა კი მოკლედ განვიხილოთ ქცევის კოგნიტივისტური თეორიის მეორე კლასიკური ვარიანტი, რომელიც **ჯორჯ მილერმა** (1920-), **იუჯინ გალანტერმა** (1924-) და **კარლ პრიბრამმა** (1919-) ჩამოაყალიბეს თავის საეტაპო წიგნში "ქცევის გეგმები და სტრუქტურები" (1960).

ამ წიგნმა იმთავითვე უღიღესი რეზონანსი გამოიწვია. მასში ჩამოყალიბებული მოდელი საკმაო ხანს ქცევის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ კონცეფციად რჩებოდა. ის, ფაქტობრივად, ჩაენაცვლა ნეობიჰევიორისტულ თეორიებს. ფსიქოლოგიის ისტორიკოსები მას ზოგჯერ "კოგნიტურ ბიჰევიორიზმსაც" უწოდებენ, თუმცა ამგვარი კვალიფიკაცია არ უნდა იყოს მარიგებული, რადგან მოდელი კოგნიტივიზმის აშკარა ნიშნებს ატარებს. ეს ავტორთა მიერ დასახული მთავარი მიზნიდანაც ჩანს: გარკვეულ იქნეს, თუ როგორ შეიძლება შეივსოს ეაკუუში შემეცნებასა და ქცევას შორის. ცხადია, რომ ასეთი მიზანი ბიჰევიორისტული აზროვნების ყოველგვარი გამოვლინებისთვის უცხოა.

მოცემულ თეორიულ მოდელში ცნობიერების (შემეცნებითი სტრუქტურების) ორი ერთეული გამოიყოფა – *გეგმა და ხატი*. სწორედ მათი ურთიერთობის შედეგად წარმოიქმნება ის მოვლენა, რომელსაც ქცევა ეწოდება. პრობლემა, თუ როგორ აღმოცენდება ქცევა გეგმიდან და ხატიდან, წითელ ზოლად გასდევს მთელ ნაშრომს. ავტორებისთვის ანალოგია კომპიუტერსა და ცოცხალ არსებას (ადამიანს) შორის საესებით მისაღებია და სასურველიც. ისინი პირდაპირ ამბობენ, რომ ორგანიზმისთვის გეგმა ის არის, რაც პროგრამა გამოთვლითი მანქანისთვის და რომ გეგმა ყველგან შეიძლება შეიცვალოს ტერმინით *პროგრამა*. ამრიგად, ცნობიერება გეგმის მეშვეობით *ალგორითმულ* ფუნქციას ასრულებს (ოპერაციათა თანმიმდევრობის კონტროლი). ამასთანავე, ცნობიერებას ქცევასთან მიმართებაში *ინფორმაციული* ასპექტიც აქვს. ეს ასპექტი ხატის ცნებაშია ფიქსირებული. "ხატი – ესაა ორგანიზმის მიერ დაგროვილი და ორგანიზებული მთელი ცოდნა საკუთარი თავისა და იმ სამყაროს შესახებ, რომელშიც იგი არსებობს". ხატი შეიცავს ყველაფერს, რაც ორგანიზმმა შეიძინა – შეფასებებს, ცნებებსა და დამოკიდებულებებს, რომლებიც მან ცხოვრების განმავლობაში გამოიმუშავა და ა.შ.

ქცევის აღწერა-დახასიათება მისი სტრუქტურის დადგენას გულისხმობს. ამისთვის კი საჭიროა გამოიყოს ანალიზის ერთეული, ის ელემენტარული პროცესი, რომელიც ათვლის წერტილად გამოდგება. ასეთ ერთეულად მიჩნეულია უკუკავშირის პრინციპზე დაფუძნებული ელემენტარული აქტი, რომელიც T-O-T-E სიმბოლოთია აღნიშნული; T (test) – შემოწმება, O (operate) – ოპერაცია, E (exit) – შედეგი. ყოველგვარი აქტივობა აღიძვრება რეალურ და სასურველ ქცევას შორის არსებული შეუსაბამობით. პირველი *ტესტი* ამ შეუსაბამობას ავლენს. ოპერაცია მიმართულია *შეუსაბამობის* (განსვლის) აღმოსაფხვრელად. *ოპერაციამ* უნდა შეცვალოს სიტუაცია. მოხდა თუ არა ეს და, თუ მოხდა, რამდენად წარმატებულად, ამას შემდგომი შემოწმება

(ტესტირება) გამოაელენს. თუ შეუსაბამობა კვლავ არსებობს, ოპერაცია ხელმეორედ შესრულდება და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ ტესტირება *შესაბამისობას* არ დაადასტურებს. ამდენად, არსებობს უკუკავშირი მოქმედების შედეგსა და შემოწმების ფაზას შორის. მთელი სქემის საკვანძო მომენტი სწორედ ესაა. მოცემულ თეორიულ მოდელში ქცევის ანალიზის ერთეულის განხილვა ე.წ. კიბერნეტიკული ჰიპოთეზის საფუძველზე ხდება. ამ ჰიპოთეზის თანახმად, კომპიუტერული თუ ნერვული სისტემის აგების ძირითად ელემენტს *უკუკავშირის რკალი* წარმოადგენს.

T-O-T-E სქემა არ არის თვითმიზანი. ის მხოლოდ ანალიზის ერთეულია და მან, საბოლოოდ, ყველა მეტნაკლებად რთული ქცევის განხილვის საშუალება უნდა მოგვცეს. ამისთვის აღამიანის რთული ქცევა აღიწერება T-O-T-E-ს პრინციპით მოქმედი კომპლექსური *გეგმების იერარქიების* სახით. ამასთან ერთად დახასიათებულია გეგმების კონსტრუირება-ფორმირების ეტაპები და კანონზომიერებები, ასევე გეგმის სტრუქტურული თვისებები, მაგალითად, მოცულობა, დეტალიზაცია, მოქნილობა და სხვა. ეს ყოველივე, გეგმის რეალიზაციის კონტროლის უკუკავშირის მეკანიზმთან ერთად, ქცევის განხორციელების მეტნაკლებად სრულ სურათს გვაძლევს.

ამრიგად, მილერ-გალანტერ-პრიბრამის კონცეფციის საყრდენი ცნება არის გეგმა. როგორც ითქვა, იგი მჭიდროდაა დაკავშირებული ცოდნასთან (ხატი) და, ამდენად, წარმოადგენს ხიდს ცოდნასა და ქცევას შორის; შემეცნებას (კოგნიციას) და აქტივობას შორის არსებული ვაკუუმი სწორედ მან უნდა ამოაესოს. წარმოდგენილი ოვალსაგრისის ეს ცენტრალური პუნქტი გარკვეულ ეჭვებს ბადებს. ისმის კითხვა, თუ რამდენადაა შესაძლებელი ქცევის უშუალოდ ცოდნიდან გამოყვანა. ასეთი რამ ნაკლებ საეარაუდოა, იმიტომ, რომ ცოდნა, თავისთავად, აქტივობის დინამიკურ წყაროს არ შეიცავს და მოტივაციური ძალა არ გააჩნია. ამ მხრივ არც გეგმას აქვს რაიმე უპირატესობა, რამდენადაც, განმარტების თანახმად, ის მხოლოდ მოქმედებათა თანმიმდევრობას, ანუ ქცევის ოპერაციულ მხარეს განსაზღვრავს. ქცევის მოტივაციური მხარე, ის, თუ რისთვის და რატომ ხორციელდება აქტივობა, გეგმაში არ არის პირდაპირ მოცემული. არა და, აქტივობის აღძვრა, მიზანმიმართულება, მისი სუბიექტური საზრისი და ღირებულება ის აუცილებელი მომენტებია, რომელთა გარეშე ქცევა, როგორც მოვლენა, არ არსებობს. ქცევის ამ ასპექტებს სპეციალური მოტივაციური პროცესები განსაზღვრავენ. მოცემულ მოდელში არაფერია ნათქვამი ამ პროცესების თავისებურებებსა და მათ გეგმასთან კავშირზე. მილერ-გალანტერ-პრიბრამის მოდელი შემოიფარგლება ქცევის შესრულების ტექნოლოგიისა და მასთან დაკავშირებული კოგნიტური მექანიზმის პრინციპების ჩვენებით. ეს, თავისთავად, მნიშვნელოვანია, მაგრამ, მაინც ღიად რჩება საკითხი, თუ რა ამოქმედებს ამ მექანიზმს, რატომ და რისთვის სრულდება T-O-T-E სქემით აღწერილი მოქმედება, თუნდაც მისი პირველი ტესტირების აქტი.

ამ დანაკლისს ნაწილობრივ მაინც ავსებს ბელგიელი მეცნიერის **ჟოზეფ ნიუტენის** (1909-1988) *ქცევითი დინამიკის მიმართებითი თეორია.* იგი აკრიტიკებს T-O-T-E კონცეფციის ავტორებს გადაჭარბებული კიბერნეტიკულ-

კომპიუტერული მიდგომისთვის. კომპიუტერული მოდელების დამუშავებისას საჭირო არ არის გამოთვლითი მანქანის მოქმედების ენერგეტიკული წყაროს საკითხზე მსჯელობა. ადამიანის ქცევის განხილვა კი შეუძლებელია იმის გარკვევის გარეშე, თუ საიდან მომდინარეობს მისი დინამიზმი, რა მოტივაციურ ფორმებში ყალიბდება იგი და როგორ სახეს იღებს სხვადასხვა სიტუაციაში. მიუხედავად ამისა, ნიუტენი ჭეშმარიტ კოგნიტივისტად რჩება. ადამიანის ქცევაში კოგნიტურ პროცესებს განმსაზღვრელი ფუნქცია აკისრია, თუმცა ეს ფუნქცია, მისი აზრით, მოტივაციურ პროცესებთან მიმართებაში ხორციელდება. თავის მხრივ, მოტივაციური პროცესები აქტივობის აღძერასა და მისთვის მიმართულების მიცემას უზრუნველყოფენ.

მოტივაციური თეორიისთვის გადამწყვეტია საკითხი, თუ საიდან მომდინარეობს აქტივობის დინამიზმი. ნიუტენი უარყოფს თვალსაზრისს, რომლის თანასმად ქცევის დინამიზმი ჰომეოსტაზის, წონასწორობის მდგომარეობაშია ჩადებული. დანაკლისი, თავისთავად, ვერ აღძრავს ქცევას, ისევე როგორც საწვავის უქონლობა ვერ გახდება მანქანის ამოძრავების მიზეზი. ღეფიციტი აქტივობის წყაროა იმ თანდაყოლილი დინამიზმის გამო, რომლითაც ორგანიზმი დანაკლისის დაძლევას ცდილობს. აქტივობა არ იწყება და არც მთავრდება ღეფიციტის გაჩენასა და შევსებასთან ერთად. მოსვენების, უმოქმედობის მდგომარეობა, რასაც ჰომეოსტაზის პრინციპი გულისხმობს, არ არსებობს; ცოცხალი ორგანიზმი მუდმივი აქტივობით სასიათდება, რომლის წყარო საკუთარ თავშია მოცემული.

ამრიგად, დაშვებულია *ამოსავალი ან ძირეული დინამიზმის* არსებობა, რომელიც *ინდივიდი-გარემოს* ორგანულ კავშირს ითვალისწინებს. როგორც მცენარეები საჭიროებენ ნიადაგს თავისი თანდაყოლილი პოტენციალის გამოსავლენად, ასევე აუცილებელია ცხოველური ორგანიზმისთვის გარემო, რათა მოახდინოს თავისი ძირეული დინამიზმის რეალიზაცია. გარემო მოიცავს როგორც ბუნებრივ, ისე კულტურულ ობიექტებს. მოტივაციის პროცესი ამ ძირეული დინამიზმის დიფერენცირების, შემდგომი ქცევითი კონკრეტიზაციისა და ფოკუსირების პროცესია. ამ პროცესის შედეგად წარმოიქმნება მრავალრიცხოვანი მოთხოვნილება, რომელიც უკავშირდება ადამიანის ბიოლოგიურ, ფსიქიკურ და სოციალურ ფუნქციონირებას. ასე ყალიბდება ამოსავალი, ზოგადი მოტივაციური ორიენტაციები. მათი შემდგომი კოგნიტური დამუშავების შედეგად წარმოიქმნება ე.წ. *კოგნიტურ-მოტივაციური სტრუქტურები – მიზნები და გეგმები.* ისინი ქცევის ფსიქოლოგიური მექანიზმის ფუნქციას ასრულებენ, დინამიკურ ტენდენციასთან ერთად შეიცავენ გამოცდილებისეულ მონაცემებს სამოქმედო და კოგნიტური სქემების სახით.

ამდენად, ნიუტენის მოდელში დახასიათებულია ქცევის მოტივაციურ-დინამიკური ასპექტი, რომელიც თავსებადობის კოგნიტივისტურ თეორიებთან შედარებით, გაცილებით მართებულად და მრავალმხრივ არის გაშუქებული.

გარდა ამისა, გააზრებულია ქცევის რეგულაციის მექანიზმიც, რომელიც ისეთი კოგნიტურ-მოტივაციური სტრუქტურების მეშვეობით ყალიბდება, როგორიცაა მიზანი და გეგმა. ამ მხრივ ნიუტენი მილერ-გალანტერ-პრიბრამზე შორს მიდის; იგი არ შემოიფარგლება კოგნიტურ-მოტივაციური სტრუქტურების ფუნქციის ჩვენებით და აანალიზებს მათი ქმნადობისა და ფორმირების კანონზომიერებებსაც.

თანამედროვე ქცევითი კოგნიტივიზმის ერთ-ერთ განშტოებას *სოციალურ-კოგნიტური მიმართულება* წარმოადგენს. ამჟამინდელ აკადემიურ ფსიქოლოგიაში, რომლის დიდი ნაწილი კოგნიტივისტური სულისკვეთებითაა გამსჭვალული, ეს თვალსაზრისი ერთ-ერთი ყველაზე აქტორიტეტული და პოპულარულია. როგორც თეორიული სისტემა, ის ჯერ კიდევ ვითარდება და სერიოზული კვლევითი პროგრამების სტიმულირებას ახდენს. ამ მიმართულების წამყვანი ფიგურებია ჯ. როტერი, ა. ბანდურა და უ. მიშელი.

**ჯულიან ბერნარდ როტერი** (1916–) თავდაპირველად ქიმიას ეუფლებოდა, მაგრამ ადლერთან ნაცნობობამ იგი საბოლოოდ ფსიქოლოგიასთან მიიყვანა. ომის დროს სამხედრო ფსიქოლოგი იყო. შემდგომში მუშაობდა ოჰაიოსა და კონექტიკუტის უნივერსიტეტებში.

როტერი ცდილობს ახსნას, რატომ და როგორ ხორციელდება ესა თუ ის ქცევა კონკრეტულ სოციალურ სიტუაციაში. მოცემულ ვითარებაში ქცევის წინასწარმეტყველებისთვის მისი პოტენციალის დადგენაა საჭირო. *ქცევის პოტენციალის* ცნება არ არის ახალი. რეაქციის პოტენციალზე ჯერ კიდევ კ. ჰალი ლაპარაკობდა; ის ამ რეაქციის დასწავლილობის (ჩვევის) და აქტუალური მოთხოვნილების (დრაივის) ფუნქციის სახით იყო წარმოდგენილი (იხ. 8.2.). ქცევის პროგნოზის ან პოტენციალის როტერის ფორმულაში არსებითად გათვალისწინებულია ჰალის ფორმულის შემადგენელი ცვლადები. ამავე დროს, როტერი საკმაოდ შორდება ქცევის დახასიათების მკაცრად ბიჰევიორისტულ პრინციპებს. ქცევის კატეგორიას მაქსიმალურად ფართო კონტექსტში განიხილავს, და გულისხმობს როგორც მოტორულ, ისე კოგნიტურ, ვერბალურ და ემოციურ აქტივობას. გარდა ამისა, როტერი ლაპარაკობს არა რეაქციებთან დაკავშირებულ კონკრეტულ სტიმულებზე, არამედ ფართოდ გაგებულ და მრავალფეროვან სოციალურ სიტუაციებსა და კონტექსტებზე. ეს ნიშნავს, რომ ერთ და იმავე ქცევას სხვადასხვა სიტუაციაში განსხვავებული პოტენციალი შეიძლება ჰქონდეს. მაგალითად, ნათელია, რომ ყვირილს სტადიონის და ეკლესიის სიტუაციაში ერთნაირი პოტენციალი ვერ ექნება.

ქცევა მხოლოდ სიტუაციით არ განისაზღვრება. როტერი, ისევე როგორც სოციალურ-კოგნიტური თვალსაზრისის ბევრი მომხრე, *ინტერაქციონალისტურ* პოზიციაზე დგას. ყოველგვარი ქცევა გარემოსეული და პიროვნებისეული ფაქტორების ურთიერთქმედების შედეგია. ამიტომ კონკრეტულ სიტუაციასთან დაკავშირებული ქცევის პოტენციალის როტერისეული ფორმულა

ორი შინაგანი ცელადის ფუნქციაა, ესენია: სუბიექტური ალბათობა ან მოლოდინი, რომ კონკრეტულ ქცევას რაიმე სახის განმტკიცება მოჰყვება და ის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ინდივიდისთვის ეს განმტკიცება. განმტკიცების ბიჰევიორისტულ ტერმინოლოგიას თუ არ ვიხმართ, ქცევის პროგნოზირება (პოტენციალი) დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მოსალოდნელია სუბიექტისთვის დასახული მიზნის მიღწევა მოცემულ სიტუაციაში ამ ქცევის გზით, და რა ღირებულება გააჩნია მისთვის ამ მიზანსა და შესაბამის მოთხოვნილებას. პირველი მომენტი ქცევისა და პიროვნების *კოგნიტურ* (შემეცნებით) მხარესთანაა დაკავშირებული, მეორე – *მოტივაციურთან*. პროგნოზირებისთვის *მოლოდინის* მაჩვენებლის ცოდნაც არის საჭირო და *ღირებულებისაც*. ეს ცელადები ერთმანეთს ცალსახად არ განსაზღვრავენ; სავსებით შესაძლებელია, ადამიანი დარწმუნებული იყოს, რომ ქცევა წარმატებით დასრულდება, მაგრამ სულაც არ ეჩვენებოდეს მისი განხორციელება მნიშვნელოვნად, ან პირიქით. საბოლოოდ, ქცევის *პროგნოზირების ძირითადი ფორმულა* შემდეგ სახეს იღებს: PB = F(ER xVR). სადაც PB – ქცევის პოტენციალია, ER – განმტკიცების მოლოდინი, VR – განმტკიცების ღირებულება. მოგვიანებით, *პროგნოზირების საერთო ფორმულაში* როტერმა ამ ცელადებს ცოტა უფრო კონკრეტული სახე მისცა, მაგრამ ფაქტიური შინაარსი უცლელი დარჩა: ადამიანი ირჩევს ისეთ მიზნებს, რომელთა მიღწევა მტკიცდება რაც შეიძლება დიდი ალბათობით, ხოლო თვით განმტკიცებას მაქსიმალური სუბიექტური ღირებულება აქვს.

როტერი სერიოზულ ყურადღებას აქცევს ქცევის სუბიექტური ღირებულების განმსაზღვრელი მოთხოვნილებების საკითხს და ამ მოთხოვნილებათა შემდეგ სახეებს გამოყოფს: ფიზიოლოგიური, კონფორტის, აღიარების, დაცულობის, დომინირების, დამოუკიდებლობისა და სიყვარულის მოთხოვნილებები. გარკვეულად კლასიფიცირებულია მოლოდინებიც. ქცევის შესაძლო წარმატებულობის შესახებ მოლოდინები ორ ჯგუფს ქმნიან: ესაა ე.წ. *სპეციფიკური მოლოდინები*, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციებს უკავშირდებიან და ე.წ. *განზოგადებული მოლოდინები*, რომლებიც სხვადასხვა სიტუაციებში მოქმედების შედეგიანობის განზოგადებას წარმოადგენენ.

განზოგადებული მოლოდინების მიხედვით შესაძლებელია პიროვნებათაშორის განსხვავებულობებზე მსჯელობა. როტერმა სახელი გაითქვა ე.წ. *კონტროლის ლოკუსის* აღმოჩენითა და შესწავლით. ეს უკანასკნელი გამოხატავს პიროვნების განზოგადებულ მოლოდინს იმის თაობაზე, თუ საღ მდებარეობს მოქმედების წარმატება-წარუმატებლობის მიზეზი – გარეთ თუ შიგნით. ადამიანები *ექსტერნალური* ლოკუსით ქცევის შედეგებს მათგან დამოუკიდებელ ძალებსა თუ ვითარებებს მიაწერენ. *ინტერნალური* ლოკუსის მქონე პირები მოქმედების გამსაზღვრელად თავის თავს მიიჩნევენ და მის შედეგებზე პასუხისმგებლობას თვითონ იღებენ. ლოკუსის კონტროლის ტიპის გამოსავლენად როტერმა სპეციალური დიაგნოსტიკური მეთოდიკა შექმნა. მრავალი გამოკვლევა მიეძღვნა იმის გარკვევას, თუ რა კავშირი არსებობს ლოკუსის კონტროლსა და ადამიანის აქტივობის სხვადასხვა გამოვლინებებს შორის. დადგენილად ითვლება, რომ თავის თავში დარწმუნებული ინტერნა-

ლები, საშოგადოდ, უფრო ადაპტირებულები, ნაყოფიერები, აქტიურები და ჯანმრთელები არიან, ვიდრე გარეშე ძალებსა თუ ბედს მინდობილი ექსტერნალები.

კონტროლის ლოკუსი, ისევე როგორც ყოველგვარი მოლოდინი, ცხოვრებისეული გამოცდილების პროცესში ყალიბდება, ე.ი. *სოციალური დასწავლის* შედეგია. უფრო მეტიც, მოლოდინი იმთავითვე გულისხმობს საკუთრივ მოქმედების დასწავლის ამა თუ იმ ღონეს. მოლოდინი ქცევის წარმატებულობის შესახებ სიტუაციის გარდა, უთუოდ იმასაც ითვალისწინებს, თუ როგორაა დაუფლებული ინდივიდი კონკრეტულ მოქმედებებს. ადამიანი, რომელმაც არ იცის ჩინური, ვერ ალაპარაკდება ჩინურად. აქ მნიშვნელობა არა აქვს არც მის დარწმუნებულობას, რომ ამისთვის აუცილებლად დაჯილდოვდება და არც ამ ჯილდოს დიდ სუბიექტურ ღირებულებას. ამრიგად, ჰალის ფორმულისა არ იყოს, თუ ჩვევის ძალა, ანუ დასწავლის მაჩვენებელი ნულის ტოლია, ქცევის წარმატებასთან დაკავშირებული მოლოდინი და შესაბამისი ქცევის პოტენციალიც ნულის ტოლი იქნება. აქედან გამომდინარეობს ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც როტერის სისტემაში დასწავლას ენიჭება. შემთხვევითი არ არის, რომ თავის კონცეფციას როტერი *სოციალური დასწავლის* თეორიას უწოდებს.

ამერიკის ერთ-ერთი წამყვანი ფსიქოლოგი, სან-ფრანცისკოს სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, სოციალურ-კოგნიტური მიმართულების მთავარი თეორეტიკოსი **ალბერტ ბანდურა** (1925-) შენიშნავს, რომ ეს თეორია აღექვატურია იმ სოციალური ქცევების წინასწარმეტყველებისთვის, რომლებიც უკვე დასწავლილია. ამავე დროს, როტერის ყურადღების მიღმა რჩება თვით სოციალური ქცევების დაუფლების მექანიზმი. ამ საკითხში როტერი დასწავლის ბიპევიორისტული ფსიქოლოგიის მონაცემებსა და კანონზომიერებებს ეყრდნობა. ბანდურას აზრით, საკითხი ამით არ ამოიწურება და აქ ახალ გარემოებათა გათვალისწინებაა საჭირო.

ბანდურას მიაჩნია, რომ გამოცდილების შეძენა, ამა თუ იმ სოციალურ სიტუაციასთან დაკავშირებული ქცევის ფორმირება, აუცილებლობით არ გულისხმობს ინდივიდის მიერ ამ მოქმედების შესრულებას და მის განმტკიცებას (როგორც, მაგალითად, სკინერი ასაბუთებს). ადამიანს შეუძლია ისწავლოს სხვათა მოქმედების დაკვირვებითაც. ყოველდღიური ცხოვრება ადასტურებს, რომ გამოცდილების შეძენის ამ გზას ჩვენ ყოველ ფეხის ნაბიჯზე მივმართავთ, რაც დახარჯული ძალებისა და დროის დიდ ეკონომიას იძლევა. რიგ შემთხვევაში სხვის შეცდომებზე სწავლა ბევრ სირთულესა და ხიფათს გვარიდებს თავიდან.

სხვა ინდივიდის (მოდელის) მოქმედებაზე დაკვირვებით ამ მოქმედების შეთვისების პროცესს ბანდურა *მოდელირებას* უწოდებს. ეს პროცესი მრავალი ექსპერიმენტით იქნა შესწავლილი. მაგალითად, ერთ-ერთ ცნობილ გამოკვლევაში ბავშვები აკვირდებოდნენ მოზრდილი ადამიანის სხვადასხვაგვარ

მოქმედებებს (აგრესიულს და არააგრესიულს) თოჯინის მიმართ. ისინი ეინც აგრესიას აკეირდებოდნენ, შემდგომში ბევრად უფრო აგრესიულად ეპყრობოდნენ თოჯინას, ვიდრე ისინი, ვინც არააგრესიულ ქცევას აღევნებდნენ თვალყურს, ან სულ არ ჰქონდათ მოდელზე დაკვირვების გამოცდილება. აღსანიშნავია, რომ ქცევის მოდელირება მაშინაც ხდებოდა, როცა ბავშვები უთვალთვალებდნენ არა ცოცხალი მოდელის მოქმედებას, არამედ მის საგელევიზიო ჩანაწერს[1]. ასეთი დასწავლისთვის, პრინციპში, არ არის აუცილებელი არც მოდელის და არც მოსწავლის ქცევის განმტკიცება. თუმცა ირკვევა, რომ მოდელის ქცევის იმიტირების ალბათობა მკვეთრად იზრდება მაშინ, თუ მოდელის ქცევა ჯილდოვდება; ეს თითქმის არ ხდება, როდესაც იგი ისჯება. მაშასადამე, ქცევის შეთვისებისა და განხორციელებისთვის მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ *პირდაპირ*, არამედ *არაპირდაპირ განმტკიცებასაც*, ანუ სხვისი ქცევის შედეგების გათვალისწინებას. მოდელირების ეფექტურობაზე გავლენას ახდენს, აგრეთვე, მოდელის ისეთი თვისებები, როგორიცაა ასაკი, სქესი, სოციალური სტატუსი, კომპეტენტურობა და სხვა.

ბანდურას სოციალურ-კოგნიტური თეორიის დებულება არაპირდაპირი განმტკიცების შესახებ, მოდელის ქცევის შედეგებზე მიღებული ინფორმაციის კოგნიტურ გადამუშავებას გულისხმობს. მოდელირებით დასწავლის მთელი პროცესიც, არსებითად, კოგნიტურ პროცესადაა წარმოდგენილი. მასში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება *ყურადღებას* (მოდელის ქცევის მნიშვნელოვანი ასპექტების გამოყოფა) და *მეხსიერებას* (მოდელის ქცევის შესახებ ინფორმაციის შემონახვა ხატოვანი ან ვერბალური კოდირების საშუალებით).

სოციალური ქცევის შეთვისება უპირატესად მოდელირების პროცესების მეშვეობით ხდება. მაგრამ იმისთვის, რომ მოქმედება პრაქტიკაში განხორციელდეს, მარტო მისი დასწავლა საკმარისი არ არის; აუცილებელია იმის რწმენაც, რომ დასწავლილი მოქმედება ეფექტურად იქნება გამოყენებული. ქცევის რეგულაციის ამ მომენტს ბანდურას კონცეფციაში *თვითეფექტურობა* ეწოდება და განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეწერება.

თვითეფექტურობა არის ადამიანის ცნობიერი წარმოდგენა კონკრეტულ სიტუაციაში წარმატებით მოქმედების უნარის შესახებ. დამიანები მართლაც სხვადასხვაგვარად ფიქრობენ, გრძნობენ და მოქმედებენ იმის მიხედვით, თუ რამდენად კომპეტენტურად თვლიან თავს გარკვეულ ამოცანებთან და ვითარებებთან მიმართებაში. ინდივიდის მიერ თვითკომპეტენტურობის შეფასება ცვალებადობს ქცევის სახის, მისი სირთულისა და სიტუაციის შესაბამისად. სხვა ფაქტორებთან ერთად, თვითეფექტურობა განსაზღვრავს ამა თუ იმ ქცევის შესრულების გადაწყვეტილებას, შეუპოვრობას ამ აქტივობის განხორციელებისას, მის წარმატებულობას და ამასთან დაკავშირებულ ემოციებს — სტრესს, შფოთვას, დეპრესიას, სიამაყეს და სხვა. თვითეფექტურობის მაღალი მაჩვენებელი განაპირობებს ადაპტირებულობისა და ცხოველქმედების მაღალ დონეს და, საბოლოო ჯამში, ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობას.

[1] ამდაგვარი გამოკვლევები საფუძვლად დაედო შეხედულებას იმის შესახებ, რომ აგრესიულობა ადამიანის შეძენილი თვისებაა და მის გამომუშავებაში დიდ როლს თამაშობს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, განსაკუთრებით ტელევიზია.

ამრიგად, თვითეფექტურობა გადაწყვეტილების მიღებისა და ქცევის განხორციელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კოგნიტური მექანიზმია. მის ფორმირებაში ყველაზე დიდ როლს თამაშობს ინდივიდის მიერ ამა თუ იმ მოქმედების წარმატებით შესრულების პირადი გამოცდილება. შესრულების შედეგიანობა განსაზღვრავს თვითეფექტურობას იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად რთული იყო ამოცანა, რა ძალისხმევა დასჭირდა მის გადაჭრას და როგორი იყო გარედან მიღებული დახმარება. მაგალითად, რთული ინტელექტუალური ამოცანის გადაწყვეტა ან ძლიერი მოწინააღმდეგის დამარცხება უფრო მეტად შეუწყობს ხელს თვითეფექტურობის ზრდას, მაგრამ როგორი რთულიც არ უნდა იყოს ამოცანა, თუ მისი გადაწყვეტის ხერხი ეინმემ გვიკარნახა, მაშინ დადებითი შედეგი არ გააუმჯობესებს ამ სფეროში თვითეფექტურობის განცდას. თვითეფექტურობის მოლოდინი შეიძლება გამომუშავდეს არა მხოლოდ ინდივიდის უშუალო გამოცდილებით, არამედ სხვა აღამიანების მოქმედებაზე დაკვირვების გზითაც. ასეთ შემთხვევაში, მართლაც შეიძლება წარმოიქმნას იმის მოლოდინი ან რწმენა, რომ ეს მოქმედება საკმაოდ შესრულებადია. თუმცა, ამისთვის, მოდელის უნარ-შესაძლებლობები დაახლოებით მაინც უნდა შეესაბამებოდეს ინდივიდის ანალოგიურ მონაცემებს. და ბოლოს, თვითეფექტურობაზე საგრძნობ გავლენას ახდენს ფიზიოლოგიური და ემოციური მდგომარეობები. ეს სხვადასხვანაირად იჩენს თავს. ჯერ ერთი, მაღალი აღგზნებულობა ხშირად ობიექტურად აუარესებს ამოცანის შესრულებას და შესაბამის თვითეფექტურობის განცდას; მეორე, კარგი გუნება-განწყობილება თავისთავად ამაღლებს თვითეფექტურობას და მესამე – ისეთი მოქმედებების შესრულებისას, რომლებიც ძალას და გამძლეობას გულისხმობენ, თანმდევი დაღლილობა, სისუსტე ან ტკივილი ადამიანების მიერ განიხილება, როგორც დაბალი ფიზიკური ეფექტურობის ნიშანი. ასეა თუ ისე, ყველა შემთხვევაში თვითეფექტურობის გაზრდა იწვევს ქცევის რეალური ეფექტურობის მატებას და არასასურველი ქცევის მოდიფიკაციას. ამდენად, ბანდურას მიერ თვითეფექტურობა განიხილება, როგორც საზოგადოდ ქცევის კორექციის, კერძოდ კი, ფსიქოთერაპიული რეგულაციის ძირითადი *კოგნიტური მექანიზმი.* ამას ადასტურებს მრავალი გამოკვლევა, განსაკუთრებით შიშისა და შფოთვის ფენომენების მოხსნასთან დაკავშირებით.

ბანდურა აღნიშნავს, რომ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს მოქმედებისთვის საჭირო ჩვევები და თვითეფექტურობის საკმარისი დონე, მაგრამ არ ჰქონდეს მისი შესრულების სურვილი ან აუცილებელი მატერიალური ან ფინანსური რესურსები. პირველ შემთხვევაში საქმე ეხება აქტივობის მოტივაციურ ფაქტორს, მეორეში – სიტუაციურს. საზოგადოდ, ბანდურას მიაჩნია, რომ ქცევა, პიროვნება და გარემო ერთმანეთს განსაზღვრავენ; ეს არის *ურთიერთდეტერმინიზმის ან რეციპროკული დეტერმინიზმის პრინციპი.* ქცევა ცელის გარემოსაც და პიროვნებასაც; ამავე დროს, მათი მუდმივი ზემოქმედებითაა განსაზღვრული.

პიროვნებასთან დაკავშირებულ ცვლადებს – გამოცდილებას, თვითეფექტურობას და მოტივაციას – ბანდურა, უპირატესად, კოგნიტური თვალსაზრისით განიხილავს. მართლაც, დასწავლა შემეცნებითი სტრუქტურების

ფორმაში მოცემული კომპეტენტურობაა; თვითეფექტურობა გაგებულია, როგორც ცნობიერი წარმოდგენა ან მსჯელობა საკუთარ შესაძლებლობებზე. იგივე ითქმის ადამიანურ მოტივაციაზე, რომლის დიდი ნაწილი, ავტორის რწმენით, კოგნიტური პროცესების წყალობით წარმოიქმნება.

მოტივაციაზე მსჯელობისას ბანდურა აღნიშნავს, რომ ქცევას, დიდწილად, მისი შედეგი განსაზღვრავს. ამასთან, შედეგით მოქმედების განსაზღვრა ხდება არა ავტომატურად და უშუალოდ, არამედ ე.წ. *კოგნიტური მოტივატორების* მეშვეობით. ესენია *მოლოდინები* ქცევის შედეგების შესახებ, ანუ *პროგნოზირებული შედეგი.* ეს მოლოდინები, როგორც ქცევის მოტივატორები, კოგნიტური პროცესების საშუალებით გამომუშავდება. ისინი დაკავშირებული არიან მრავალფეროვან ფიზიკურ (საკვები, ტკივილი, სენსორული შთაბეჭდილებები და სხვა) თუ სოციალურ (შეფასება, სტატუსი, ძალაუფლება და სხვა) სტიმულებთან. ადამიანის მოტივაციაში მთავარი მაინც ისაა, რომ მოქმედება უშუალო განმტკიცების გარეშე სორციელდება; იგი მომავალი შედეგების მიღწევაზეა მიმართული. ადამიანებს შეუძლიათ მომავალი მიღწევებისა თუ დანაკარგების წინასწარმეტყველება. ამის საშუალებას მათ აძლევთ იმ *შინაგანი სტანდარტების* არსებობა, რომლითაც ფასდება საკუთარი და სხვისი ქცევები. ამ სტანდარტების სისტემის შესაბამისად ხდება მიზნის დასახვა და იმ განმტკიცებების განსაზღვრა, რომლებიც ქცევებს მოჰყვება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ე.წ. *თვითგანმტკიცებას* ენიჭება; სწორედ ის არის აქტივობის საყრდენი მაშინ, როდესაც ქცევა ხანგრძლივია და არ მოეპოვება გარეგანი განმამტკიცებლები. თვითშეფასების ასეთი გამოვლინებებით, როგორიცაა, ვთქვათ, თვითშექება, სიამაყე, თვითკრიტიკა და დანაშაულის განცდა, ჩვენ შეგვიძლია წავიხალისოთ ან დავისაჯოთ თავი; აქ მნიშვნელოვანია, თუ რა პიროვნული სტანდარტების შესაბამისად ვმოქმედებთ. არსებითად, სწორედ ეს არის ადამიანისთვის ესოდენ დამახასიათებელი თვითრეგულაციის უნარი. ისეთი კოგნიტური მექანიზმების მეშვეობით, როგორიცაა მოლოდინები, სტანდარტები და თვითგანმტკიცება, სუბიექტს შეუძლია თვითონ დაისახოს სამომავლო მიზნები და აკონტროლოს მათი განხორციელების პროცესი. ადამიანური მოტივაციის არსი, ბანდურას აზრით, ამაში მდგომარეობს.

ბანდურას მიერ აღწერილი *თვითრეგულაციის მექანიზმი* განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, რამდენადაც ის წარმოადგენს თანამედროვე კოგნიტური ფსიქოლოგიის ყველაზე არგუმენტირებულ პასუხს დეტერმინაცია-თავისუფლების დილემაზე. როგორც აღინიშნა, ბანდურა გვთავაზობს ე.წ. რეციპროკული დეტერმინიზმის მოდელს, რომლის თანახმად *პიროვნება, ქცევა და სიტუაცია* ურთიერთზემოქმედი აგენტების სამკუთხედის სახით არის წარმოდგენილი. ქცევაზე მოქმედებს პიროვნება და სიტუაცია, მაგრამ ისიც ზეგავლენას ახდენს ორივე მათგანზე. თვითრეგულაციის პრობლემის კონტექსტში მთავარია პიროვნების ქცევაზე ზემოქმედების ამსახველი მიმართება. ბანდურას მიხედვით, პიროვნება, ძირითადად, კოგნიტური სტრუქტურებისა და მათ შორის არსებული კავშირების სისტემის სახით აღიწერება. ამ სისტემაში სრულიად კანონზომიერი, დეტერმინირებული პროცესები მიმდინარეობს.

ბანდურას მიხედვით, ქცევის თვითრეგულაციის პროცესს ფაქტორების მთელი რიგი განსაზღვრავს. მათი ერთი ნაწილი იმ ორიენტირებს ქმნის, რასაც გარემოსა და ქცევის შეფასება ეფუძნება. ცენტრალური ადგილი აქ სტანდარტებს უკავია. სტანდარტი დასწავლის შედეგია; ის იქმნება როგორც პირდაპირი (საკუთარი ქმედების), ისე ირიბი (სხის ქცევაზე დაკვირვების, მოდელირების) გამოცდილების გზით. აეტორიტეტული უფროსების დარიგებით მოზარდი იგებს პატიოსნებისა და სიკეთის ღირებულებას; სხვებზე დაკვირვებით ხედება, რა არის კარგი და რა – ცუდი სხვებისა და საკუთარ ქცევაში; თავისი მოქმედების წყალობით წედება გარე ზემოქმედების სასიამოვნო და მტკიენეულ მხარეებს. ყველა ეს სტანდარტი სუბიექტურია, ვინაიდან ახალი ინფომაცია უკვე მოცემულ ცოდნას უკავშირდება და ინდივიდუალურად გადამუშავდება.

*თვითკონტროლის* ფაქტორების მეორე წყებას კონკრეტული ფსიქიკური უნარები და პროცესები შეადგენს. მათი საშუალებით ქცევის გაკონტროლება ხდება. თვითდაკვირვების უნარის გამოყენებით ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ საკუთარი ქცევის სხვადასხვა მხარეს (ხარისხი, რაოდენობა, ორგინალურობა, თანმიმდევრულობა და ა.შ.), ვმსჯელობთ მისი ღირებულების შესახებ, ვადარებთ გარკვეულ ნიმუშებს, სტანდარტებს, ნორმებს, ვარკვევთ ჩვენი ქცევის მიზეზებს – გარეგანი ვითარებითაა ის გაპირობებული თუ შინაგანი ძალებით (ე.წ. ატრიბუცია). ამ უპირატესად კოგნიტური უნარების გარდა, ქცევის კონტროლი გარკვეულ დადებით და უარყოფით ემოციებსაც ითვალისწინებს; ესაა აქტიური რეაქცია საკუთარ თავზე, რომელიც სტანდარტებთან ქცევის შესაბამისობის მაჩვენებელია, მაგალითად, კმაყოფილება ან უკმაყოფილება თავისი თავით. ამრიგად, მოდელში განიხილება თვითრეგულაციაში ჩართული პროცესების სამი სახე: *თვითდაკვირვება, აზროვნება და ემოციური რეაგირება.*

სტანდარტების ჩამოყალიბებისა და მათთან ქცევის შეუსაბამობის დადასტურების შემდეგ, დგება სათანადო ზომების მიღების დრო. ბანდურა ამას სანქციებს უწოდებს. იგი გამოყოფს *საზოგადოებრივ სანქციებს* და საკუთარ, *შინაგან სანქციებს.* თვითრეგულაცია ამ უკანასკნელს უკავშირდება და ორ ძირითად მექანიზმს მოიცავს. პირველია ე.წ. *შერჩევითი ჩართვა.* ბანდურას რწმენით, ადამიანში არ არის ჰომუნკულუსის სახით მოცემული რაიმე შინაგანი მაკონტროლებელი ინსტანცია (აგენტი), რომელიც, თავისი კრიტერიუმების შესაბამისად, ავტომატურად ახდენს ქცევის სანქციონირებას ან ბლოკირებას. სინამდვილეში ეს კრიტერიუმები (სტანდარტები) "მე"-სისტემაშია მოცემული, რომელიც "თავის თავში შეიცავს კოგნიტურ სტრუქტურებსა და აღქმის ქვეფუნქციებს, ქცევის შეფასებებსა და რეგულაციებს, და თან ისე, რომ არ წარმოადგენს ფსიქიკურ აგენტს, რომელიც აკონტროლებს მოქმედებას". ქცევის შერჩევითი ჩართვა-გამორთვის მექანიზმი მუდამ აქტიურია და მოქმედებს თვითშეფასების სტანდარტებისა და სიტუაციის მონაცემების შესაბამისად. ერთ სიტუაციაში ადამიანმა შესაძლოა ჩათვალოს, რომ ქცევა ეწინააღმდეგება მის სტანდარტებს, ვსებს სხვა ადამიანებს; ასეთ შემთხვევაში ქცევა შეიცვლება. სხვა სიტუაციაში, თუ ადამიანი თვლის, რომ იგივე

ქცევა არ ბღალავს ეინმეს ინტერესებს და მისაღებია მისი სტანდარტებისთვის, განაგრძობს ამ ქცევის შესრულებას.

თვითრეგულაციის მეორე მექანიზმს ბანდურა *შინაგანი კონტროლის გამორთვას* უწოდებს. ამ დროს ადამიანმა შეიძლება განახორციელოს საზოგადოებრივი და მორალური თვალსაზრისით დასაგმობი ქცევები. ეს მექანიზმი, უპირატესად, ორჭოფულ ვითარებებში იჩენს თავს და გვეხმარება შევამციროთ ან სულ ავირიღოთ პასუხისმგებლობა, გავამართლოთ ის კონკრეტული მოქმედება, რომელიც. საზოგადოდ, მიუღებელია ჩვენი სტანდარტების თვალსაზრისით. შინაგანი კონტროლის გამორთვის სხადასხვა ხერხი არსებობს. 1) ქცევის ასლებური განსაზღვრება. ამ შემთხვევაში ადამიანი თავისი მოქმედების მორალურ გამართლებას პოულობს (მკვლელობის ჩადენა შესაძლებელია, თუ ამას სამშობლოს დაცვის აუცილებლობა მოითხოვს), ან მიმართავს გამამართლებელ შედარებას (ნაცისტები ხოლოკოსტის მხეცობას "ევროპის გასუფთავებას" უწოდებდნენ, ქილერები მკვლელობას "კონტრაქტის შესრულებას" არქმევენ). 2) პასუხისმგებლობის სხვაზე დაკისრება (გადაბრალება) ან განაწევრება. ამ შემთხვევაში ადამიანი უარს ამბობს აღიაროს კავშირი თავის მოქმედებასა და მის შედეგს შორის. გადაბრალების დროს ხდება პასუხისმგებობის სხვაზე გადაცემა (ნაცისტები თავს იმართლებდნენ იმით, რომ მხოლოდ მეთაურების ბრძანებებს ასრულებდნენ, ხოლო მოძალადეები იმით, რომ მსხვერპლი მათ პროვოცირებას ახდენდა თავისი სექსუალური გარეგნობით ან სუსტ წინააღმდეგობას უწევდა); განაწევრებისას პასუხისმგებლობა ისეთი რაოდენობის ადამიანებზე ვრცელდება, რომ რეალურად აღარავინ რჩება პასუხისმგებელი (ასეთია პოლიტიკა – ამბობენ არაკეთილსინდისიერი სახელმწიფო მოხელეები; ან – ამას ყველა აკეთებს). 3) ქცევის უარყოფითი შედეგების გაბუნდოვნება, დამახინჯება, არასწორი ინტერპრეტაცია (მამა ამართლებს შვილის ცემას იმით, რომ იგი არ არის ისე ნაბეგვი, როგორც იმსახურებს ან იმით, რომ ეს ბავშვის აღზრდას უწყობს ხელს; მფრინავი ამბობს, რომ მან უბრალოდ ღილაკს დააჭირა ხელი, ბომბები კი ღრუბლებში გაუჩინარდნენ). 4) მსხვერპლის დეჰუმანიზაცია (თეთრი რასის წარმომადგენლები მათ მოწინააღმდეგე ზანგებს ან ინდიელებს ხშირად არც თვლიდნენ ადამიანებად; შესაბამისად, არც დანაშაულის გრძნობა ჰქონდათ მათი მოკვლის გამო).

როგორც ვხედავთ, დასწავლისა, მოტივაციის და თვითრეგულაციის შემთხვევაში საგგასმულია კოგნიტური პროცესების როლი. სწორედ ეს მომენტი – ქცევის კოგნიტური რეგულაცია, განსაკუთრებით დამახასიათებელია ბანდურას *სოციალურ-კოგნიტური თეორიისთვის.* ამიტომ, ის ქცევითი კოგნიტივიზმის ერთ-ერთ ვარიანტად უნდა იქნეს მიჩნეული. თუმცა, თავდაპირველად, დასწავლაზე აქცენტის გამო, ის ბიჰევიორისტული მიმდინარეობის განშტოებად განიხილებოდა, კერძოდ, ნეო-ნეობიჰევიორიზმად ან სოციალურ ბიჰევიორიზმად. თანდათან ბანდურას კონცეფციაში, საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო გონებრივ, შინაგან ფსიქიკურ პროცესებს. ურთიერთდეტერმინიზმის პრინციპის შესაბამისად, ქცევა შინაგანი და გარეგანი ფაქტორების მუდმივი ურთიერთზემოქმედების შედეგის სახით იქნა

წარმოდგენილი. აქცენტი გაკეთდა ცნობიერ თვითეფექტურობაზე და ცნობიერ თვითრეგულაციაზე. ეს კი უკვე ნიშნავდა ბიჰევიორიზმისაგან ფაქტორიე გამიჯვნას. რამდენიც არ უნდა ეზარდოთ "ნეო" წინსართების რაოდენობა, ცნობიერებით ესოდენ გაჯერებული თვალსაზრისი მაინც ვერ ჩაითვლება ბიჰევიორისტულად. ბიჰევიორიზმთან სოციალურ-კოგნიტურ მიდგომას ის აკავშირებს, რომ აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქცევის შეთვისებას, დასწავლას და განმტკიცებას სოციალურ სიტუაციებში; აგრეთვე ისიც, რომ განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ზუსტ ემპირიულ კვლევაზე და მკაცრად კონტროლირებულ მონაცემებზე.

სწორედ აქ გადის მთავარი წყალგამყოფი ფსიქოანალიზსა და სოციალურ-კოგნიტურ თეორიას შორის. ბანდურა აკრიტიკებს ფსიქოანალიზს იმის გამო, რომ ის ეუფლება ისეთ ცნებებს, რომელთა ექსპერიმენტული შემოწმება შეუძლებელია. მას მიაჩნია, რომ ემპირიულმა კვლევებმა ვერ აღმოაჩინეს იმ ტიპის არაცნობიერი ძალები, რომლებიც აღიარებულია ფსიქოდინამიკურ შეხედულებაში. საერთოდ, სოციალურ-კოგნიტურ თეორიაში არაცნობიერის ნაცვლად ხაზგასმულია ცნობიერი შემეცნებითი პროცესების მნიშვნელობა; უარყოფილია, აგრეთვე, ფსიქოანალიზისთვის დამახასიათებელი დისპოზიციონიზმი – ხასიათის ტიპები, რომელთა ფორმირება, აუცილებელი ბუნებრივი სტადიების გაელით, ბავშვობაში ხდება. ამის ნაცვლად, ხაზგასმულია ქცევის სიტუაციური და კოგნიტური სპეციფიკა და ის, რომ ქცევა აწმყოში მოქმედი ძალებითა და მექანიზმებით იმართება.

ფსიქოლოგიის თეორიების შემსწავლელი სპეციალისტების მიერ სოციალურ-კოგნიტერი შეხედულება თანამედროვე აკადემიურ ფსიქოლოგიაში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ და სერიოზულ კონცეფციად არის შეფასებული. მასში მოცემული ახალი თეორიული კონსტრუქციები სანდო ემპირიულ საფუძველზეა აშენებული; ამავე დროს გათვალისწინებულია სხვა ფსიქოლოგიური სისტემების პოზიტიური მონაცემები და გადაგმულია ნაბიჯები მათი ცალმხრივობის დასაძლეველად. ცნობიერების როლის წინ წამოწევა, მოდელირებით გამოცდილების შეძენის კანონზომიერებათა დადგენა, აქტიეობის შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ურთიერთქმედების მაქსიმალური გათვალისწინება, ამ შეხედულების საკმაოდ მიმზიდველი ასპექტებია. მაგრამ რამდენად ორგანულად ერთიანდება მისი სხვადასხვა მომენტები არაწინააღმდეგობრივ თეორიულ სისტემად, ეს კიდევ საკითხავია. ყოველ შემთხვევაში, ავტორიტეტული ექსპერტები თვლიან, რომ სოციალურ-კოგნიტური თეორია უფრო იდეებისა და ცნებების ნარევს წარმოადგენს, ვიდრე ერთიან, მთლიანობით თეორიას. აღნიშნული იდეების და ცნებების ნაწილი ამ თეორიის უნიკალურ წვლილს განაპირობებს, დანარჩენები სხვა თეორიებიდანაა ნასესხები. ეს თეორია "უფრო ზოგადი ორიენტაციაა და არა დაწერილებით დამუშავებული შეხედულება ურთიერთკავშირების სისტემის შესახებ" (ლ. პერვინი და ო. ჯონი). ეს, თუ შეიძლება ითქვას, თეორიული სისტემის ორგანიზაციასთან დაკავშირებული ნაკლოვანებებია. მაგრამ სირთულეები თავს იჩენს, აგრეთვე, თეორიის შემადგენელი ცნებების და კონცეპტების შინაარსის გააზრებისას. პირველ რიგში აქ უნდა აღინიშნოს შეხედულება მოტივაციაზე.

მოტივაციის პროცესის ანალიზი ბანდურასთან, მთლიანად კოგნიტური სტრუქტურებისა (მოლოდინი, სტანდარტი, მიზანი) და მათი მიმართებების დახასიათებით ამოიწურება. საკუთრივ მოტივაციის სპეციფიკა არ ჩანს და ის, არსებითად, კოგნიტური პროცესის სახეს იღებს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე შეხედულებების თანახმად, კოგნიტური, მოტივაციური და ემოციონალური პროცესები ურთიერგაჯერებული და ურთიერთდაკავშირებული პროცესებია; რიგ შემთხვევაში ეს კავშირი იმდენად მჭიდროა, რომ ისინი ერთიანი ფსიქიკური ფენომენის ასპექტებად გვევლინებიან. მაგალითისთვის *ატიტუდის* სამკომპონენტიანი სტრუქტურის მოდელიც იკმარებს. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ფსიქიკური სინამდვილის ამ სამი კლასის მოვლენებს სპეციფიკური სტუქტურულ-ფუნქციონალური თავისებურებები არ გააჩნია. მოტივაციამ უნდა აღძრას ქცევა, ხოლო კოგნიციამ წარმართოს. მოტივაციის პროცესში ამ ფუნქციების გაერთიანება და გარკვეული ინტეგრალური, *კოგნიტურ-მოტივაციური* წარმონაქმნების პროდუცირება ხდება. გავიხსენოთ, როგორაა გაანალიზებული "მოტივაციის კოგნიტური გადამუშავების პროცესი" ნიუტენთან. ამ პროცესის პროდუქტები კონკრეტული მიზნები და გეგმებია. მიზანზე ბანდურაც ლაპარაკობს, მაგრამ ისე, თითქოს ეს უკანასკნელი შემეცნებით სფეროს განეკუთნება; მიზანი წარმოდგენაა, ანუ როგორც ა. ელისი იტყოდა, "ცივი კოგნიციაა". ქცევის წარმართველ ძალად რომ გადაიქცეს, მისმა მოტივაციურმა "ტემპერატურამ" უნდა მოიმატოს, იგი დინამიზმის წყაროს უნდა დაუკავშირდეს. ბანდურა, ფაქტობრივად, არაფერს ამბობს ქცევის აღმძვრელ მოტივაციურ სისტემაზე, რომლის გააზრების გარეშე სრულყოფილი მოგადფსიქოლოგიური თეორიის დაფუძნება წარმოუდგენელია. სანამ ეს არ გაკეთებულა, აუხსნელი რჩება ძირითადი საკითხი – საიდან მომდინარეობს აქტივობა. ბანდურასთვის მიუღებელია ფროიდის პასუხი, მაგრამ ვერც თვითონ ამბობს რაიმე დამარწმუნებელს.

უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ მოტივაციის პრობლემა როტერის მიერ უფრო დამაკმაყოფილებლად არის გაანალიზებული. როტერთან ქცევის პოტენციალის განმსაზღვრელი "განმტკიცების ღირებულება" ცალსახად უკავშირდება რაიმე მოთხოვნილებას და მიუთითებს სუბიექტისთვის მისი დაკმაყოფილების მნიშვნელობაზე. აუცილებელია ისიც აღინიშნოს, რომ სოციალურ-კოგნიტურ კონცეფციაში არ არის გათვალისწინებული ფსიქიკური სინამდვილის ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ასპექტი; საქმე ეხება არაცნობიერს. მოტივაციის გარდა, ბანდურა ამ საკითხშიც უპირისპირდება ფროიდს და უარყოფს არაცნობიერის ფსიქოანალიზურ გაგებას. ეს, შესაძლოა, მართებული იყოს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ბანდურა არანაირ ალტერნატივას არ გვთავაზობს. სოციალურ-კოგნიტურ თეორიაში ამ მხრივ დიდი თეთრი ლაქაა. არა და, დღეს უკვე ძნელია მოინახოს სერიოზული თეორეტიკოსი, ვინც ქცევის ორგანიზაციასა და რეგულაციაში არაცნობიერი პროცესების ყოველგვარ მონაწილეობას უარყოფს. ერთია მხოლოდ, რომ არაცნობიერ მექანიზმებს ზოგ შეხედულებაში მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ზოგში – ნაკლები. საზოგადოდ, ნათელია, რომ ფსიქოლოგიური რეალობის მთელი სივრცის დასაფარავად ზოგადფსიქოლოგიურმა კონცეფციამ არაცნობიერის სფეროც უნდა

მოიცვას. ამავე დროს, როგორც ლ. უზნაძე მოითხოვდა, არაცნობიერი უნდა დახასიათდეს არა ნეგატიურად – როგორც იგივე ფსიქიკა ცნობიერების გარეშე, არამედ პოზიტიურად, არსებობის სპეციფიკური ფორმისა და ფუნქციის ჩვენებით. განხილულ თეორიულ სისტემას, ამ მხრივ, ჯერ კიდევ, ბევრი რამ აკლია.

აქამდე განხილული სისტემების ავტორებს, მათი მკაფიო კოგნიტივისტური ორიენტაციის გარდა, საგულდაგულოდ ჩატარებული ექსპერიმენტული გამოკვლევებისადმი ერთგულებაც აერთიანებდა. ყველა მათგანი ისე აღგენდა და აზუსტებდა ცნებებს, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მათი ემპირიული შემოწმება კონტროლირებად პირობებში. ამდენად, მათი სამუშაო უფრო აკადემიური ფსიქოლოგიის ჩარჩოებში წარმოებდა. ამავე დროს, კოგნიტური მიმდინარეობის ფარგლებში თავიდანვე გამოირჩეოდნენ მკვლევარები, რომლებიც *კლინიკური მეთოდოლოგიის* საფუძველზე მუშაობდნენ. ისინი თეორიულ პრინციპებს ფსიქოთერაპიულ მონაცემებზე დაყრდნობით აყალიბებდნენ და ფსიქოკორექციულ პრაქტიკაში აფუძნებდნენ. საღღეისოდ არსებობს ფსიქოთერაპიული სისტემების მრავალი სახეობა. რომელთა თეორიულ ბაზას, არსებითად, კოგნიტური ფსიქოლოგია შეადგენს.

ამ ორიენტაციის ფსიქოლოგებში ყველაზე გაელენიანი თეორეტიკოსი, ალბათ, **ჯორჯ კელია** (1905-1966). კელიმ მრავალმხრივი განათლება მიიღო ამერიკასა და ინგლისში (ფიზიკა-მათემატიკა, სოციოლოგია, პედაგოგიკა, ფსიქოლოგია). საბოლოოდ კი ფსიქოლოგად ჩამოყალიბდა და დისერტაციაც ამ სფეროში დაიცვა აიოვას უნივერსიტეტში. ომის დროს ემსახურებოდა სამოქალაქო რეისების მფრინავების გაფამზადების საქმეს. ომის შემდგომ ოცი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა კლინიკური ფსიქოლოგიის განყოფილებას ოჰაიოს სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1955 წელს გამოქვეყნდა მისი მთავარი ნაშრომი "პიროვნების კონსტრუქტების ფსიქოლოგია", რომელმაც მაშინვე მიიპყრო ფართო ფსიქოლოგიური საზოგადოებრიობის ყურადღება. მასში დამუშავემული *პიროვნული კონსტრუქტების თეორია* საყოველთაოდ არის ცნობილი.

კელი პიროვნების ფსიქოლოგიის სფეროში კოგნიტივისტური მიდგომის ერთ-ერთი პიონერია. მისთვის შემეცნებითი მხარე ადამიანში იმდენად მნიშვნელოვანია, რომ პიროვნება მეცნიერ-მკვლევარის ანალოგად არის გაგებული. მეცნიერის მსგავსად, ადამიანი აანალიზებს სხვადასხვა ვითარებას, აყალიბებს მათ შესახებ გარკვეულ შეხედულებებს და, ამის საფუძველზე, წინასწარ განჭვრეტს მომავალ მოვლენებს. აქედან გამომდინარეობს ადამიანის ბუნების ორი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი: ერთი ის, რომ იგი უბრალოდ კი არ რეაგირებს გარემოცვაზე, არამედ აქტიურად ქმნის ამ უკანასკნელის შესახებ თავის წარმოდგენას, მის ფსიქიკურ რეპრეზენტაციას და მეორე, რომ იგი ძირითადად მომავალზეა ორიენტირებული. პიროვნე-

ბის არც ერთ მკვლევართან (ალბათ ოლპორტის გარდა) ადამიანის მომავალზე ორიენტირებულობა (ე.წ. პროსპექტულობა) არ არის ისე ხაზგასმული, როგორც კელის სისტემაში. ადამიანს მომავალი აწუხებს, მომავალი ხიბლავს და არა წარსული: იგი ყოველთვის ცდილობს მომავალში შეიხედოს აწმყოს ფანჯრიდან, ამბობს კელი. ეს არსებითად განასხვავებს მის შესედულებებს ფსიქოანალიზისაგან, სადაც აქცენტი წარსულზე კეთდება.

მოვლენების აღსაწერად და ასახსნელად მეცნიერები თეორიულ კონსტრუქციებს მიმართავენ. ამის მსგავსად, ადამიანებიც ქმნიან და იყენებენ კოგნიტურ ანუ აზროვნებით სტრუქტურებს – ე.წ. *კონსტრუქტებს*, რათა მოახდინონ მოვლენებისა და ვიოარებების *კატეგორიზაცია, ინტერპრეტაცია და პროგნოზირება.* აკვირდებიან რა მოვლენებს, ადამიანები აფიქსირებენ მათში მსგავს და კონტრასტულ მხარეებს, ისეთებს, როგორიცაა კარგი-ცუდი, მაღალი-დაბალი, მაგარი-რბილი, წყნარი-აღელვებული, კეთილი-ბოროტი და მრავალი სხვა. ეს პიროვნული კონსტრუქტების მაგალითებია, რომელთა მეშვეობითაც ადამიანები აფასებენ და აწესრიგებენ თავის ცხოვრებისეულ სამყაროს. პიროვნება კონსტრუქტების სისტემას წარმოადგენს.

პიროვნული კონსტრუქტი კელის თეორიის ძირითადი ცნებაა. მასში კონსტრუქტების განსხვავებული სახეები განიხილება იმის მიხედვით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ისინი პიროვნებისთვის (*ცენტრალური და პერიფერიული კონსტრუქტები*), მოვლენების რამდენად ფართო წრეს მოიცავენ (*გამოყენების დიაპაზონი*), რამდენად ექვემდებარებიან სიტყვიერ ფორმულირებას (*ვერბალური და არავერბალური კონსტუქტები*), რამდენად ექვემდებარებიან შეცვლას (*შეღწევადობა-შეუღწევადობა*) და ა.შ. ადამიანები ერთმანეთისაგან იმით განსხვავდებიან, თუ რა სახის და რა რაოდენობის კონსრუქტებს იყენებენ ქცევაში, რამდენად რთულია კონსტრუქტების სისტემის ორგანიზაცია და რამდენად მოქნილია სისტემა გაფართოებისა და ცვალებადობის თვალსაზრისით. ამის მიხედვით ყველა ადამიანის კონსტრუქტების სისტემა უნიკალურია.

როცა კონსტრუქტების სისტემა ვეღარ ახდენს მოვლენების ეფექტურ პროგნოზირებას, საჭირო ხდება მისი შეცვლა. ასეთი სიტუაცია მაშინ იქმნება, როდესაც ადამიანი ახალ ან უცხო მოვლენებს ხვდება, ისეთებს, რომლებიც ან არაა ასახული მის კონსტრუქტებში ან მათ ეწინააღმდეგება. ამ დროს ხდება ახალი კონსტრუქტების შექმნა ან უკვე არსებულის შინაარსის გაფართოება. ეს უკანასკნელი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორია ამა თუ იმ პიროვნების კონსტრუქტების შეღწევადობის დონე. ეს პარამეტრი აღნიშნავს კონსტრუქტების თვისებას, მოახდინოს ახალი ინფორმაციის ასიმილაცია და, შესაბამისად, გარკვეულად შეცვალოს თავისი სტრუქტურა. შეღწევადობის დაქვეითება ადამიანის ფსიქოლოგიური რიგიდულობის გამოხატულებად ითვლება.

კონსტრუქტების სისტემა ქცევის *რეგულაციას* ემსახურება. ამიტომ, ამ სისტემის ფუნქციონირების დეფექტი ქცევის დარღვევას იწვევს. პათოლოგიური ქცევისას ადამიანი ცდილობს შეინარჩუნოს კონსტრუქტების შინაარსი და სტრუქტურა, თუმცა ის ვერ უბრუნველყოფს სწორ წინასწარმეტყველე-

ბას და ქცევის მიზნის მიღწევას. პოზიტიური ცვლილებების პროცესის არსი კონსტრუქტების კოგნიტური სისტემის რეკონსტრუქციაში, მის განვითარებასა და გაუმჯობესებაში მდგომარეობს. ერთ შემთხვევაში ეს შეიძლება გულისმობდეს სისტემაში ახალი კონსტრუქტების შემოტანას, მეორეში – ძველი კონსტრუქტების მოსპობას; ზოგჯერ საჭიროა კონსტრუქტების შინაარსის გაფართოება ან, პირიქით, შეკვეცა, შეღწევადობის გაზრდა და ა.შ. ამ მიზნების მისაღწევად კელიმ შექმნა ფსიქოთერაპიული სისტემა, რომელიც *ფიქსირებული როლების* თერაპიის სახელითაა ცნობილი. კელის ეკუთვნის, აგრეთვე, პიროვნული კონსტრუქტების დიაგნოსტირების ცნობილი მეთოდიკა – *როლური კონსტრუქტების რეპერტუარული ტესტი.*

სამწუხაროდ კელის თეორიაში ღიად არის დატოვებული ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი იმის შესახებ, თუ რა ფაქტორები განსაზღვრავენ კონსტრუქტების შინაარსსა და სტრუქტურას, მაი ადაპტურ ან არაადაპტურ (ავადმყოფურ) თვისებებს. კონსტრუქტების სისტემაში არსებული ამა თუ იმ ღეფექტის წარმომაელობა ახსნას მოითხოვს, რის გარეშეც ძნელია გაირკვეს, თუ სად უნდა ვეძებოთ ავადმყოფობის ფუნდამენტური მიზეზები (ორგანიზმში თუ გარემოში) და, შესაბამისად, გამოვიმუშაოთ მისი პრევენციისა და მკურნალობის ადექვატური სტრატეგია.

**აარონ ბეკის** (1921-) მოდელიც კლინიკური ფსიქოლოგიის ნიადაგზეა შექმნილი. ის, პირველ ყოვლისა, ფსიქიკური დარღვევის მექანიზმის გარკვევასა და შესაბამისი თერაპიის შემუშავებას ემსახურება. ეს ყოველივე კოგნიტური ფსიქოლოგიის ფარგლებში ხორციელდება. ბეკის მიხედვით, ორგანიზმის გარემოსთან ადაპტაციის საკვანძო მომენტს ინფორმაციის გადაუშავება წარმოადგენს. სპეციალური ფსიქიკური ფუნქციონალური აპარატი უზრუნველყოფს გარემოდან ინფორმაციის მიღებას, მის სინთეზირებას და, ამის საფუძველზე, მოქმედების დაგეგმვას. ეს ფუნქციონალური აპარატი, კოგნიტივიზმის სულისკვეთების შესაბამისად, გააზრებულია როგორც კომპიუტერული პროგრამის ანალოგი. პროგრამა განსაზღვრავს შემოსული ინფორმაციის სახეს, მისი გადამუშავების ხერხებს და, აქედან გამომდინარე, პასუხებს. პათოლოგიური პროცესის შემთხვევაში, ინფორმაციის მიღებაგადამუშავებისას, აზროვნება ტენდენციური ხდება და შეცდომების წყაროდ იქცევა. ბეკი კოგნიტური შეცდომების თუ დამახინჯებების საკმაოდ გრძელ სიას აღგენს. ამ სიაში შედის: *უსაფუძველო დასკვნები* – ესაა დასკვნები, რომელიც კეთდება მტკიცებულობების უქონლობისა და, შესაძლოა, რეალობასთან სრული შეუსაბამობის პირობებში. მაგალითად, მომუშავე დედა, რომელიც მძიმე სამუშაო დღის ბოლოს მიდის დასკვნამდე, რომ "იგი ძალიან ცუდი დედაა". *შერჩევითი აბსტრაქცია* – სიტუაციის კონცეპტუალიზაცია კონტექსტიდან ამოღებული დეტალის მიხედვით, რაც ხდება სხვა, უფრო მნიშვნელოვანი ინფორმაციის იგნორირების ფონზე. მაგალითად, ყმაწვილი, რო-

მელიც სმაურიან წვეულებაზე ეჭვიანობას იწყებს იმის გამო, რომ მისმა შეყვარებულმა ოთაღი სხვისკენ მიაბრუნა, რათა უკეთ გაეგონა მისი ნათქვამი. *ზოგენერალიზაცია* – ზედმეტად ფართო და გაუმართლებელი განზოგადება ერთი ან რამდენიმე იზოლირებული შემთხვევის საფუძველზე. მაგალითად, ქალი, რომელიც იმედის გამაცრუებელი პაემანის მერე ასკვნის, რომ "ყველა მამაკაცი ერთსაირია. მე ყოველთვის უარყოფილი ვიქნები". *პერსონალიზაცია* – მოელენების ინტერპრეტაცია პიროვნული მნიშვნელობის თვალსაზრისით, საკუთარ თავთან მიმართებაში. მაგალითად, დეპრესიული ნეეროტიკი გამველელის მოღუშული სახის დანახვაზე ფიქრობს: "მას მე ვეზიზღები". *გადაჭარბება ან დაკნინება* – რაიმე მოვლენის შედეგების გაზვიადება ან მისი მნიშვნელობის აშკარა შემცირება. გადაჭარბების მაგალითია სტუდენტი, რომელიც წინასწარმეტყველებს, რომ აუცილებლად ჩაიჭრება, თუ ოდნავ მაინც ინერვიულებს გამოცდაზე; დაკნინების მაგალითია, როცა ადამიანი უკურნებელი სენით შეპყრობილ დედაზე ამბობს, რომ იგი "ოდნავ გაციებულია". *დიქოტომიური აზროვნება* – მოელენების შეფასება უკიდურეს კატეგორიებში (შავ-თეთრი, ან-ან), მაქსიმალიზმის ნიშნით აღბეჭდილი აზროვნება. მაგალითად, სტუდენტი, რომელიც ფიქრობს, რომ თუ ამ საგანს აუცილებლად ფრიადზე არ ჩააბარებს, იგი უიღბლო და ხელმოცარული კაცი ყოფილა. ამ სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება.

პათოლოგიის შემთხვევაში კოგნიტური დამახინჯება იმ თემების მიმართულებით წარიმართება, საითაც *კოგნიტური ძერა* მოხდა. მაგალითად, დეპრესიის დროს ასეთია დამარცხებისა და უსუსურობის თემა, შფოთვისას – ხიფათისა და ა.შ. ამდენად, ყველა ფსიქიკურ პათოლოგიას აქვს სპეციფიკური პროგრამა ან სქემა. ბეკის *კოგნიტური სქემის* ცნება კელის პიროვნული კონსტრუქტის ცნების ანალოგიურია და გულისხმობს გამოცდილებისა და ქცევის მაორგანიზებელ კოგნიტურ სტრუქტურას. ეს არის შედარებით მდგრადი კოგნიტური მოდელი, რომელიც ადამიანების განწყობების სამუალებით მოქმედებს ინფორმაციის სელექციისა და სინთეზირების პროცესებზე. თავისთავად სქემა არ შეიძლება ჩაითვალოს ნორმალურად ან პათოლოგიურად; მაგრამ იგი შეიძლება იყოს ადაპტური ან არაადაპტური. ამ არაადაპტურობას ყოველთვის თავისებური სახე აქვს. შფოთვისას აქტიურდება *გადარჩენის პროგრამა* – ინფორმაციული ნაკადიდან სუბიექტი ირჩევს *ხიფათის შემცველ სიგნალებს* და თრგუნავს *უსაფრთხოების სიგნალებს*. აქტივობაში ეს გამოვლინდება იმით, რომ ინდივიდი განერიდება ყოველ ობიექტურად ნეიტრალურ სიგნალს, რომელსაც იგი შეცდომით საფრთხის მნიშვნელობას მიაწერს. დეპრესიის პროგრამა მოიცავს სამ მომენტს ანუ ე.წ. *დეპრესიის კოგნიტურ ტრიადას*: ესენია *ნეგატიური წარმოდგენა თავის თავზე*, როგორც წარუმატებელ და უმაქნის ადამიანზე, *ნეგატიური წარმოდგენა სამყაროზე*, როგორც მტრულსა და მაფრუსტრირებელზე და *ნეგატიური წაროდგენა მომავალზე*, როგორც შავბნელსა და უპერსპექტიეოზე. ამგვარი კოგნიცია იწვევს ყოველდღიური სირთულეების გაზვიადებას და მათ განცდას ნამდვილ უბედურებად.

დეპრესიისა და სხვა ნეგატიური კოგნიტური სქემები გამოწვეულია

წარუმატებელი ცხოვრებისეული გამოცდილების დაგროვებით. ეს გამოცდილება ზელ ედება უკვე არსებულ დეპრესიულ სქემას, რომელიც ცხოვრების ადრეულ ეტაპებზე ფორმირდება და ინდივიდში მიდრეკილების სახით ელინდება. უფრო მეტიც, არსებობს სრულიად, გარკვეული მემკვიდრული მიდრეკილებაც დეპრესიისა და სხვა დარღვევების მიმართ. საზოგადოდ სულიერი დარღვევები ბეკის მიერ განიხილება, როგორც ევოლუციური და ბიოლოგიური ფაქტორების ურთიერთქმედება განვითარებისა და გარემოს ფაქტორებთან. ყველა შემთხვევაში ნეგატიური კოგნიტური სქემა დამყარებულია მცდარ ვარაუდებზე, გაზვიადებულია და ძალიან ძნელად, ან სულ არ ექვემდებარება თეითრეგულაციას. ამიტომ ის დასარეგულირებლად საჭირო ხდება კოგნიტური ფსიქოთერაპევტის დახმარება. *კოგნიტური თერაპიის* მიზანი ინფორმაციის გადამუშავებაში არსებული დარღვევის გამოსწორება და აზროვნების ტენდენციურობის აღმოფხერაა. ბეკისეული ფსიქოთერაპიის სტრატეგია მიმართულია *პარტნიორობაზე* თერაპევტსა და პაციენტს შორის, რათა ამ უკანასკნელმა თავისი კოგნიტური შეცდომების რაციონალიზაცია მოახდინოს. ამისთვის მიმართავენ *სოკრატესეულ დიალოგს*: საუბარი მიმდინარეობს საგანგებოდ შერჩეული კითხვების დახმარებით, რაც ემსახურება პრობლემის შესწავლას, პაციენტის აზრებისა და წარმოდგენების იდენტიფიკაციას, იმის გაგებას, თუ რა მნიშვნელობას დებს იგი სიტუაციებსა და მოვლენებში; ასევე, არაადექვატური კოგნიციის შედეგების პროგნოზირებას. შემდგომში, როცა თერაპევტის დახმარებით პაციენტი *აღმოაჩენს* საკუთარი კოგნიციის მცდარობას, მრავალრიცხოვანი კოგნიტური და ქცევითი ტექნიკის საშუალებით იგი ახალ გამოცდილებას შეიძენს და, საბოლოო ჯამში, აყალიბებს რეალისტურ კოგნიციას.

**ალბერტ ელისი** (1913-), *რაციონალურ-ემოციური ფსიქოთერაპიის* ავტორი, აგრეთვე ცდილობს შეცვალოს დამახინჯებული, ირაციონალური კოგნიციები რეალისტური, ადაპტური კოგნიციებით. სახელწოდებიდანაც ჩანს, რომ ავტორი კოგნიტურ და ემოციურ სფეროებს შორის მჭიდრო კავშირის დამვებიდან ამოდის. როგორც ზემოთ დავრწმუნდით, კოგნიტურ ფსიქოლოგიაში ქცევის ანალიზი უმთავრესად კოგნიტურ-აფექტური და კოგნიტურ-მოტივაციური წარმონაქმნების საშუალებით წარმოებს. ელისი ამ კავშირის იდეას სხვადასხვაგვარად ავითარებს. ჯერ ერთი, იგი გამოყოფს ფსიქიკის ერთეულს, რომელშიც ეს კავშირი რეალურად ხორციელდება და რომელიც უშუალოდ განსაზღვრავს ქცევის ხასიათს. ამ ერთეულს ქმნის *რაციონალური და ირაციონალური განწყობები თუ რწმენები*. რაციონალური განწყობების სისტემა ნორმალურ ადამიანებში ფუნქციონირებს. ეს სისტემა პოტენციურ, შესაძლებელ ქცევებს გულისხმობს; კერძოდ, მოვლენების ამა თუ იმ მიმართულებით განვითარების სურვილს იმ უპირატესობათა გამო, რაც ასეთ განვითარებასთან არის დაკავშირებული. იგი არ ეუფლება ინდივიდს მთლი-

ანად ან დიდი ხნით და არ აფერხებს სხვა მიზნების განხორციელებას. ირაციონალური განწყობები სისტ კოგნიტურ-ემოციურ კავშირებს გამოხატავენ. მათ აქვთ მკაცრი მოთხოვნის ხასიათი; აქედან გამომდინარე, ისინი, როგორც წესი, რეალობის მიმართ არაადექვატურნი არიან. ავადმყოფური ქცევა ირაციონალურ განწყობებს თუ რწმენებს უკავშირდება.

კოგნიტურ-ემოციური კავშირების გააზრების კიდევ ერთ ვარიანტს წარმოადგენს შეხედულება *ციი, თბილი და ცხელი კოგნიციების* შესახებ, სადაც კოგნიციების ტემპერატურა მათთან დაკავშირებული გრძნობების ინტენსივობას გამოხატავს. მაგალითად, იმ მამაკაცის კოგნიცია, ვისი ცოლიც გაბრაზებულია, შეიძლება სამი სახის ტემპერატურული რეჟიმით გამოიხატოს: ერთია ციი – "მე ვხედავ, რომ ჩემი ცოლი ფიცხია"; მეორე თბილი – "მე არ მომწონს მისი სიფიცხე და მაღიზიანებს მისი ქცევა", ხოლო მესამე ცხელი – "მე სრულიად ვერ ვიტან მის საქციელს, იმას, რომ შეურაცხყოფას მაყენებს. რაში მჭირდება ასეთი, ნამდვილად მოეკლავ!".

დაბოლოს, როგორც ფსიქოთერაპევტი, ელისი მიიჩნევს, რომ კოგნიტური სფეროს შეცვლა დაკავშირებულია ემოციური სფეროს შეცვლასთან. შესაბამისად, კოგნიტური სფეროს მკურნალობა ემოციური სფეროს მკურნალობას გულისხმობს და, საბოლოო ჯამში, ქცევისას.

ირაციონალური რწმენების რაოდენობა, პრინციპში, უსასრულოა, მაგრამ ელისი მაინც გამოყოფს რამდენიმეს, რომლებიც, მისი დაკვირვებით, ყველაზე ხშირად უქმნიან პრობლემებს პაციენტებს. ასეთია, მაგალითად რწმენა, რომ ყველა უბედურება გარედან არის თავსმოხვეული; მოზრდილი ადამიანისთვის სრულიად აუცილებელია, რომ მისი ყოველი ქმედება სხვებისთვის მოსაწონი იყოს; ბედნიერებისკენ მიმავალი გზა დინების მიყოლა და არაფრის კეთებაა; კატასტროფაა, როცა ყველაფერი ისე არ მიდის, როგორც გსურს; ის, რამაც ერთხელ ძლიერ იმოქმედა თქვენს ცხოვრებაზე, ყოველთვის იმოქმედებს მასზე; უნდა ყველაფერი იცოდე, შეგეძლოს, გესმოდეს და ყველაფერში აღწევედე წარმატებას და ა.შ.

ელისის მიხედვით, ფსიქოთერაპევტის ამოცანაა გამოავლინოს ირაციონალური განწყობები, გაამახვილოს მათზე პაციენტის ყურადღება, მიიღოს აუცილებელი ზომები მათ შესაცვლელად და ადექვატური, რაციონალური კოგნიციის ჩამოსაყალიბებლად; შემდეგი ამოცანაა დადებითი ცვლილებების განმტკიცება. თერაპია გულისხმობს განსხვავებული მეთოდების გამოყენებას კოგნიტურ, ემოციურ და ქცევით დონეზე. ამ მიზნით პაციენტს სხვადასხვა დავალებებს აძლევენ და სთხოვენ შეასრულოს გარკვეული მოქმედებები; მიმართავენ ლოგიკურ არგუმენტაციას, დარწმუნებას, იუმორს, დაცინვასაც კი. ამის მიღწევა უკვე ფსიქოთერაპიული ტექნიკის საკითხია, ტექნიკისა. რომელიც კოგნიტური მიმდინარეობის ფარგლებში დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

*ლიტერატურა*

1. Андерсон Дж. Когнитивная нсихология. СПб., 2002.
2. Бандура А., Уолтерс Р. Принципы социального научения. В кн: Современная зарубежная социальная психология. Тексты. М., 1984.

1. Бек А. Когнитивная психотерапия расстройств личности. СПб., 2002.
2. Брунер Дж. Процесс обучения. М., 1962.
3. Величковский Б.М. Современная когнитивная психология. М., 1982.
4. Выготский Л.С. Сочинения: В 6т. М., 1982.
5. Келли Дж. Психология личных конструктов. СПб., 2000.
6. Клацки Р. Память человека: структуры и процессы. М., 1974.
7. Крейн У. Теории развития. М., 2002.
8. Лихи Т. История современной психологии. СПб., 2003.
9. Мадди С. Теории личности. Сравнительный анализ. СПб., 2002.
10. Марцинковская Т.Д. История психологии. М., 2001.
11. Миллер Дж., Галантер Ю., Прибрам К. Планы и структуры поведения. М., 1965.
12. Миллер Дж. Когнитивная революция с исторической точки зрения. Вопросы психологии. 2005. 6.
13. Найсер У. Познание и реальность. М., 1981.
14. Нельсон-Джоунс Р. Теория и практика консультирования. СПб., 2000.
15. Первин Л., Джон О. Психология личности. Теория и исследования. М., 2000.
16. Пиаже Ж. Избранные психологические труды. М., 1969.
17. Пиаже Ж. Теория Пиаже. В кн.: История зарубежной психологии. Тексты. М., 1986
18. Пиаже: теории, эксперименты, дискуссии. М., 2001.
19. Психологическая наука в России XX столетия. Проблемы истории и теории. М., 1997.
20. Смит Н. Современные системы психологии. СПб., 2003.
21. Солсо Р. Когнитивная психология. М., 1996.
22. Флейвел Дж. Генетическая психология Жана Пиаже. М., 1967.
23. Фрейджер Р., Фрейдимен Д. Личность: теории, эксперименты, упражнения. СПб., 2001.
24. Хьелл Л., Зиглер Д. Теории личности. СПб., 1997.
25. Шульц Д., Шульц С. История современной психологии. СПб., 1998.
26. Bandura A. The self system in reciprocal determinism. American Psychologist, 1978,3.
27. Bandura A. Social foundations of thought and action: A social cognitive theory. Englewood Cliffs, N.J.: Prentice Hall, 1986.
28. Cognitive consistency. Motivational antecedents and behavioral consequents. Feldman S. (Eds). Academic Press, 1966.
29. Festinger L. A theory of cognitive dissonance. Stenford: Stenford University Press, 1957.
30. Leahey T. H. A history of psychology: main currents in psychologycal thought. New Jersey: Printice Hall, 1992.
31. Neiser V. Cognitive psychology. New York: Appleton-Century-Crofts, 1967.
32. Nutten J. Motivation, planning and action. A relational theory of behavior dynamics. Leuven: Leuven University Press; Hillsdale (N.J.): Lawrence Erlbaum Associates, 1984.
33. Patterson C. H. Theories of councellig and psychotherapy. New York: Harper and Row, 1986.
34. Piaget J. Autobiography. A history of psychology in autobiography. Vol.4. Worcester, Massachusetts: Clark University Press, 1952.
35. Rotter J. B. The development and applications of social learning theory: Selected papers. New York: Praeger, 1982.
36. Zejonc R.B. Cognitive theories in social psychology. In C.Linzey, E.Aronson (Eds.). The handbook of social psychology. Vol.2. Massachusetts: Addison-Wesley, 1968.

# თავი 12. ფსიქოლოგია საქართველოში

## 12.1. ფსიქოლოგიური აზრი საქართველოში უზნაძემდე

ქართული ფსიქოლოგიის ისტორია, არსებითად, ორი პერიოდს მოიცავს: უზნაძემდე და უზნაძის შემდეგ. უზნაძის და მისი სკოლის ისტორია საკმაოდ კარგად არის შესწავლილი მრავალი ქართველი და უცხოელი სპეციალისტის მიერ. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან ქართული ფსიქოლოგია მსოფლიო მეცნიერების საგანძურში სწორედ უზნაძის მიერ შექმნილი და მისი მიმდევრების მიერ განვითარებული კონცეფციით, განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიით შევიდა. რაც შეეხება სულიერი სინამდვილის შესახებ უზნაძემდე არსებული ცოდნის ანალიზს, ის მხოლოდ რამდენიმე მკვლევარის ერთეულ ნაშრომებში აისახა. გამონაკლისი მხოლოდ ალექსანდრე ურანგიშვილია, ვინც მთელი სიცოცხლე სისტემატურ კვლევას ეწეოდა ამ მიმართულებით.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი კაპიტალური გამოკვლევა "ნარკვევები ადამიანის ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიიდან საქართველოში". იგი მოიცავს პერიოდს XVII საუკუნიდან XIX საუკუნის პირველი მესამედის ჩათვლით. ავტორი ამ პერიოდს "აღორძინების ხანად" მოიხსენიებს და გულისხმობს ინტელექტუალური ცხოვრების იმ საგრძნობ გამოცოცხლებას, რომელიც "დაცემის ხანას" მოყვა. სოციალურ-პოლიტიკურ ფაქტორებთან ერთად, ეს, ნაწილობრივ, დასავლეთის ფილოსოფიური და მეცნიერული აზრის გავრცელებითაც იყო გაპირობებული. აღნიშნული პერიოდი, ფსიქოლოგიური მეცნიერების განვითარების თვალსაზრისით, ორ ეტაპს მოიცავს: "გარდამავალი ხანა" (XVII-XVIIIს. პირველი ნახევარი), რომელიც წარსულში, დაცემის ხანამდე მოპოვებული ფსიქოლოგიური ცოდნის აღდგენას და ერთგვარ განზოგადებას უკავშირდება და "აღრეული განმანათლებლობა" (XVIIIს. მეორე ნახევრიდან XIXს. პირველი მესამედის ჩათვლით), რომელმიც ცოდნა ადამიანის სულიერი ცხოვრების შესახებ ვითარდებოდა საქართველოს "აღრინდელი ჰუმანიზმის" აღდგენისა და "განმანათლებლობის" კუთხით.

ქართულ ფილოსოფიურ ნაშრომებში, ისევე როგორც რელიგიურ და საერო მწერლობაში, წარმოდგენები სულიერი ცხოვრების განსხვავებული ასპექტების შესახებ, ცხადია, მანამდეც არსებობდა. ამ მხრივ საინტერესოა, აგრეთვე, ე.წ. "ხალხური ფსიქოლოგია", რომელიც გულისხმობს ერის პრაქტიკულ ცხოვრებაში სულიერ მოვლენებზე დაკვირვებათა შედეგად დაგროვილ ცოდნას. ეს გამოცდილება ასახულია მითებში, ანდაზებში, ზნე-ჩვეულებებში და, უპირველესად – ენაში. ქართული ენის ფსიქოლოგიური კუთხით შესწავლა იმას მოწმობს, რომ სულიერი ცხოვრების გამომხატველი სიტყვების დიდი ნაწილი "გულ"-ფუძის მეშვეობით არის წარმოდგენილი. ეს კანონზომიერება ეხება შინაგანი (ფსიქიკური) სამყაროს ყველა მოვლენას, სხვადასხვა სახის განცდებს, პროცესებს და თვისებებს (გულისწყრომა, გულნაკ-

ლულობა, გულისთქმა, გულისყური, გულისხმიერება, გულითადობა, გულგრილობა, გულადობა და ა. შ.). ქართულ ენაში ჩაღებული ხალხური გონის, ხალხური ფსიქოლოგიის ეს თავისებურება ყველა ეპოქისა და ყოველგვარი ხასიათის ნაწარმოებში იჩენს თავს. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქართული სიტყვიერების შედევრის, "ვეფხისტყაოსნის" ფსიქოლოგიური ლექსიკონი.

აანალიზებს რა ქართულ ენაში დალექილ ფსიქოლოგიურ ცოდნას, ფრანგიშვილი იმოწმებს ე. კასირერს. იგი თვლიდა, რომ ენას გააჩნია ისეთი პირველადი, და ფუძისეული ფორმები, რომლებიც არა მხოლოდ გარეგან სამყაროს, არამედ შინაგან, სულიერ სინამდვილესაც ასახავენ. მრავალი ენის შესწავლის შედეგად კასირერი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ენაში პიროვნების ცნება სხეულის რომელიმე ცენტრალური ნაწილის სახელითაა წარმოდგენილი (თავი, გული, კუჭი და სხვა). ქართულმა ენობრივმა გონმა ასეთად გული შეარჩია. ფრანგიშვილის აზრით, ის გარემოება რომ ფსიქიკურ მოვლენებთან დაკავშირებული სიტყვები "გულ"-ფუძიდან არიან ნაწარმოები, ერთ რაიმეზე მიუთითებს, კერძოდ იმაზე, რომ ქართული ენობრივი გონი მათ საერთო საფუძველს უკავშირებს და უფრო მაღალი მთლიანობის, სახელდობრ პიროვნების კონკრეტულ გამოვლინებებად მიიჩნევს. "ქართულ ენაში გულ-სიტყვა ცალკეული ფსიქიკური პროცესების გამოსახვისას იმიტომ გამოდის ამოსაალი მნიშვნელობის როლში, რომ ამით აღინიშნება ფაქტი – პიროვნებაა ფსიქიკურ მოქმედებათა მომწესრიგებელი და მათი მატარებელი" (ა. ფრანგიშვილი).

**სულხან-საბა ორბელიანის** (1658-1725) "ქართული ლექსიკონში" ("სიტყვის კონა"), ფსიქოლოგია პირველად არის წარმოდგენილი, როგორც ფილოსოფიური ცოდნის დარგი. ფსიქოლოგიურ ცნებებს საკმაოდ დიდი ადგილი უკავია ამ ენციკლოპედიური ხასიათის მქონე თხზულებაში. ავტორი ცდილობს წარმოადგინოს ფილოსოფიური რეფლექსიის შედეგად მოპოვებული ცოდნა სინამდვილის სხვადასხვა სფეროს, მათ შორის სულიერი სამყაროს შესახებ. იგი ძირითადად ბერძნული ფილოსოფიური წყაროების თარგმანებით სარგებლობს, თუმცა განმარტებებს იმის მიხედვით არჩევს, თუ რამდენად შეესაბამება ისინი მის საკუთარ შეხედულებებს. ავტორი თვითონვე აღნიშნავს, რომ ყველა ცნების განმარტებას იგი თავის წარმოდგენებთან მიმართებაში განიხილავს. იგივე ითქმის ფსიქოლოგიურ ცნებებზეც, რაც ნიშნავს, რომ სულხან-საბას გაცნობიერებული აქვს მათ შორის არსებული კავშირი, ე.ი. ფლობს ფსიქოლოგიური ცოდნის გარკვეულ სისტემას. ეს სისტემა, რა თქმა უნდა, ეკლექტური ხასიათისაა (არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქმე ორიგინალურ ტრაქტატთან კი არ გვაქვს, არამედ ლექსიკონთან, რომლის უპირველესი ამოცანაა მკითხველს მიაწოდოს "აუცილებელი" და, ამავე დროს, "საადვილოდ აღწერილი" ცოდნა). სულხან-საბა საგანგებოდ არჩევდა, ერთმანეთთან აჯერებდა და სისტემაში მოჰყავდა სხვა ავტორების შეხედულებები (განმარტებები). მართალია ამას იგი შეგნებულად, საკუთარი კრიტერიუმების შესაბამისად აკეთებდა, მაგრამ "ქართულ ლექსიკონში" მოცემული ფსიქოლოგია მაინც არ წარმოადგენს ავტორის საკუ-

თარი მეცნიერული ძიების პროდუქტს და, გარკვეულად, სქოლასტიკის ნიშნებსაც ატარებს. მიუხედავად ამისა, "ქართულმა ლექსიკონმა, როგორც ენციკლოპედიამ, მოამზადა ნიადაგი იმისთვის, რათა სინამდვილის ცოდნა თვით სინამდვილის დამოუკიდებელი ძიებებით შესწავლის საფუძველზე ყოფილიყო მოპოვებული" (ა. ფრანგიშვილი).



ანტონ პირველი (1720-1788) იყო ვახტანგ VI-ის ძმისწული, ქართლის მეფე იესესა და ერეკლე I-ის ასულის ელისაბედის ვაჟი. ქართლის სამეფოს ტახტის მემკვიდრე, უფლისწული თეიმურაზი, როგორც მას ერისკაცობაში ერქვა, იზრდებოდა თელავის სასახლეში, თავის ბიძაშვილთან ერეკლე II-თან ერთად, რომელთანაც მთელი ცხოვრება მჭიდრო მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდა. მეფის კარის წიგნთსაცავებში, დავითგარეჯის წინამძღვრის სპირიდონის ხელმძღვანელობით, მან ფართო განათლება მიიღო. ცხრამეტი წლის თეიმურაზმა უარი თქვა ტახტზე და ბერად აღიკვეცა. ანტონი მისი სასულიერო სახელია. ეს გადაწყვეტილება ნაწილობრივ პირადი ტრაგედიით იყო ნაკარნახევი. მისი დანიშნული, დიდი თავადის გიორგი ამილახვრის ქალიშვილი, თბილისში ლაშქრით შემოსულმა ნადირ-შაჰმა წაპგვარა. სასოწარკვეთილმა ახალგაზრდამ გელათის მონასტერს შეაფარა თავი. განსწავლული და ენერგიული ჭაბუკი სწრაფად დაწინაურდა საეკლესიო იერარქიაში. ჯერ გახდა გელათის მონასტრის წინამძღვარი, შემდეგ ქუთაისის მიტროპოლიტი, ხოლო 1744 წელს, 24 წლის ასაკში – საქართველოს კათალიკოსი. აქედან დაიწყო ანტონ პირველის დაუღალავი და უაღრესად ნაყოფიერი საზოგადოებრივი, საგანმანათლებლო და მეცნიერული მოღვაწეობა. იგი თარგმნის წიგნებს, ქმნის სახელმძღვანელოებს ცოდნის სხვადასხვა დარგში, აარსებს სასწავლო დაწესებულებებს, მათ შორის პირველ ორ სასულიერო სემინარიას თბილისსა (1755) და თელავში (1782), კითხულობს ლექციებს, წერს ორიგინალურ ნაწარმოებებს.

ევროპული ორიენტაციის ანტონი დაუახლოვდა საქართველოში მყოფ კათოლიკე მისიონერებს. ეს კარგად გამოიყენეს მისმა მტრებმა. 1755 წელს საეკლესიო კრებამ ანტონს გაკათოლიკება დასწამა და კათალიკოსობიდან გადააყენა. ანტონი რუსეთს მიემგზავრება, სადაც სინოდი მას ელადიმირის ეპარქიის მთავარეპისკოპოსად ნიშნავს. რუსეთში გატარებული ექვსი წელი მან ნაყოფიერად გამოიყენა – გაეცნო დასავლეთის უახლეს მიღწევებს მეცნიერებისა და ფილოსოფიის სფეროში. ერეკლე II-ის მიწვევით სამშობლოში დაბრუნებულმა ანტონმა, რომელსაც კვლავ უბოძეს კათალიკოსის ტახტი, ამ ცოდნას მრავალი ადამიანი აზიარა. მან შექმნა სამეცნიერო-საგანმანათლებლო სკოლა, რომელმაც ღრმა კვალი დატოვა მთელ ქართულ საზოგადოებრივ და ინტელექტუალურ ცხოვრებაზე. ანტონი დაკძალულია სვეტიცხოველის ტაძარში მღვდელმთავრებისა და ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელთა გვერდით.

ანტონის შემოქმედება მდიდარია და მრავალფეროვანი. მასში ფსიქოლოგიას სერიოზული ადგილი უკავია. ანტონის ფსიქოლოგიური შემოქმედება პირობითად შეიძლება ორ პერიოდად დაიყოს: პირველი – რუსეთში წასვლამდე და მეორე – რუსეთში მოღვაწეობისა და რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ. პირველი პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებია "სპეკალი" (1752). ეს არის ფილოსოფიური შინაარსის თხზულება, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება. მესამე, ყველაზე დიდი ნაწილის სათაურია "სულისთვის" და, ფაქტობრივად, ფსიქოლოგიას წარმოადგენს. მთელი ეს ნაშრომი, არსებითად, ენციკლოპედიური ხასიათისაა; ავტორის მიზანია დაალაგოს მის ხელთ არსებული ცოდნა, რომელიც სხვადასხვა დროის ფილოსოფოსებისა და ეკლესიის მამების ტრაქტატებშია მოცემული. სულის შესახებ მოსაზრებათა შეჯერებისას ანტონი მრავალ ავტორს მოიხსენიებს (ალბერტ დიდი, არისტოტელე, დემოკრიტე, ეპიკური, დუნს სკოტი, კრატილი, ნემესიოს ემესელი, პეტრიწი, პლატონი, პროკლე, სენეკა, თომა აქვინელი, ჰერაკლიტე და სხვა).

მეორე პერიოდში ანტონი ეზიარა ახალ ფილოსოფიასა და ბუნებისმეტყველებას. აქ ერთობ საგრძნობია ლაიბნიც-ვოლფის შეხედულებათა გავლენა, რომლებსაც იგი უმთავრესად ქრისტიან ბაუმაისტერის (1708-1785) თხზულებების საშუალებით გაეცნო. მან თარგმნა ვოლფის სკოლის ამ თვალსაჩინო წარმომადგენლის ყველაზე პოპულარული სახელმძღვანელოები "მეტაფიზიკა" და "ფიზიკა". განსაკუთრებით საინტერესოა ანტონის კომენტარები ამ სახელმძღვანელოებზე. მათში აისახა, თუ როგორ შეიცვალა ან დაზუსტდა ანტონის აზრი ამა თუ იმ საკითხზე "სპეკალში" ფორმულირებულ თვალსაზრისთან შედარებით. ანტონის თვალსაწიერი ფსიქოლოგიის სფეროში საგრძნობლად გაფართოდა, რაც განსაკუთრებით დაეტყო მისი ფსიქოლოგიის "ემპირიულ" ნაწილს. საზოგადოდ, ორივე პერიოდის ფსიქოლოგია შეიცავს როგორც მეტაფიზიკურ-რაციონალურ, ასევე ემპირიულ ნაწილებს. ამასთან, ანტონი იზიარებს ბაუმაისტერის და, შემდგომში ლაიბნიცის აზრს იმის შესახებ, რომ ფსიქოლოგია მეტაფიზიკას მიეკუთვნება. მის შემადგენლობაშია, აგრეთვე ონტოლოგია, კოსმოლოგია და ბუნებრივი თეოლოგია. ეს უკანასკნელი არის სპეკულატური მოძღვრება ღვთაების შესახებ. კოსმოლოგია ფილოსოფიური სწავლებაა სამყაროზე, როგორც მთელზე, ხოლო ფსიქოლოგია – მოძღვრება სულზე, როგორც არამატერიალურ სუბსტანციაზე. მიუხედავად ამისა, ანტონი განიხილავს ამ სუბსტანციის კერძო გამოვლინებებსაც (რაც ივივე ფსიქიკური მოვლენებია), ანუ ეხება ემპირიული ფსიქოლოგიის საკითხებს.

ანტონის მეტაფიზიკურ-რაციონალური ფსიქოლოგიის მიხედვით, სული არის არამატერიალური, სუბსტანციური, მარტივი და უკვდავი. არამატერიალურობა ანუ "უსხეულობა", სულის უმთავრესი ნიშანია. მატერია განფენილია, სული განუფენელი. მას არა აქვს ზომა, წონა. ყოველივე მატერიალური გარეგანი ზემოქმედებით მოძრაობს, სული კი თვითმოძრავია და მეტიც, ცოცხალ არსებათა სხეულები მოჰყავს მოძრაობაში. ამასთანავე, მას სხეულისაგან დამოუკიდებელი, თავისთავადი არსებობა აქვს, ე.ი. სული სუბსტანციაა. სულიერი ძალები და მოვლენები, რომელთაც ანტონი აღნიშნავს

ტერმინით "პსიხე", ამ სუბსტანციის გამოვლინებებია. სული სხეულის იდეალური არსია, ის აქცევს სხეულს ცოცხალ ორგანიზმად. სულისაგან დაშორებული სხეული კვდება, იშლება ნაწილებად და ნადგურდება. სულს არა აქვს ნაწილები, ის მარტივია, რაც მისი მარადიულობის, უკვდავების საწინდარია.

ვოლფისა და ბაუმაისტერის გავლენით, ანტონი ნიჭთა ფსიქოლოგიის თვალსაზრისს ემხრობა. მას მიაჩნია, რომ ფსიქიკური სინამდვილე ("მგრძნობელობითი სული") ე.წ. სულის ნიჭებით ან ძალებით არის წარმოდგენილი. მგრძნობელობითი სული იყოფა *შემეცნებით* და *მოქმედებით* ("ძვრით") ძალებად. ანტონის ინტერესი უმთავრესად შემეცნების პროცესის ფსიქოლოგიაზეა მიმართული. ამ პროცესს ორი საფეხური აქვს: *გრძნობადი* და *რაციონალური*. გრძნობად შემეცნებაში მონაწილე ფსიქიკურ უნარებს *პყრობითი ძალები* შეადგენენ. ისინი, თავის მხრივ, ორ ჯგუფად იყოფა: *შინაგანად* და *გარეგანად*. პირველში ერთიანდება ხუთი შეგრძნება, მეორეში – ხუთი სპეციალური შემეცნებითი პროცესი: *ზოგადი გრძნობა*, *წარმოჩინება*, *ეჭვი*, *აზრი* და *მეხსიერება*. ეს ალბერტ დიდის კლასიფიკაციაა, მაგრამ მთლიანად მას არ იმეორებს.

გრძნობადი შემეცნების ძალების პყრობითობა ნიშნავს იმას, რომ მათი აქტუალიზაცია ობიექტური, საგნობრივი ვითარების არსებობასა და მის ზემოქმედებას გულისხმობს. *შეგრძნებების* წარმოქმნა არისტოტელეს მიხედვით არის გააზრებული. საგანი გრძნობის ორგანოზე მოქმედებს არა მასალით, არამედ ფორმით ("სახით"). შეგრძნება "სახის მიღებას" წარმოადგენს. მაგრამ ეს მიღება უშუალოდ არ ხდება. გამღიზიანებლის ზემოქმედება გაშუალებულია ამ გამღიზიანებელსა და გრძნობის ორგანოს შორის არსებული გარემოთი ("სამიმღებო შუა"). შეგრძნების უნარი გრძნობის ორგანოში შესაძლებლობის სახითაა მოცემული, თანაც, თითოეულ გრძნობის ორგანოს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი შეგრძნების გამოწვევის უნარი აქვს: თვალით მხოლოდ დანახვა შეიძლება, ყურით – მოსმენა. შემეცნების პროცესში შეტანილი წვლილის მხრივ ყველაზე ღირებულია მხედველობა, შემდეგ სმენა.

ზოგადი გრძნობა ანტონთან წარმოდგენილია *აღქმის* გრძნობადი აქტის სახით, რომელიც აერთიანებს ცალკეულ შეგრძნებათა ("კერძოვან გრძნობათა") მონაცემებს. წარმოჩინების ფუნქციას იმ ხატების დაცვა შეადგენს, რომლებიც ზოგად გრძნობაში (აღქმაში) იყო ასახული. "წარმოჩენითი ძალა" მის მიერ დაცულ ხატებს შინაგანი გრძნობის სხვა ძალებს აწვდის. ისინი, არსებითად, ხატის მნიშვნელობის გაცნობიერების საფეხურებია. პირველი საფეხური ზოგადი გრძნობის დონეს მოიცავს, სადაც მოცემულია ხილვის, მოსმენისა და სხვა აქტების ცნობიერება (ხედვის ხედვა, სმენის სმენა და ა.შ.). თანამედროვე კოგნიტური ფსიქოლოგია ამის შესახებ იტყოდა, რომ შემმეცნებელ ფსიქიკურ სისტემაში აღქმის ხატში მოცემული ინფორმაციის შემდგომი გრძნობადი გადამუშავება ხდება. ასე მაგალითად, ეჭვი აცნობიერებს ხატში მოცემული მნიშვნელობის ემოციურ მხარეს. "იჭვის" ძალით აღქმული და წარმოჩენილი შინაარსი ივსება მარტივი ემოციური განცდებით, რის საფუძველზეც აღმოცენდება მიახლოების ან განრიდების ტენდენცია. მაგალითად, მგლის ხატს "იჭვის" საფუძველზე ინსტინქტურად, ანუ "ბუ-

ნებრივად" ერთვის "მტერობის" განცდა, რაც აჩენს გაქცევის მისწრაფებას. გამოდის, რომ ეჭვი არის არა მხოლოდ პყრობითი პროცესი, არამედ აღმძვრელი ძალაც. ეჭვი არ არის ადამიანური (სიტყვიერი) სულის სპეციფიკური უნარი. იგი ნიადაგს უქმნის ცხოველის მარტივ ქცევას და თავს იჩენს აღქმულისა და წარმოჩენილის არარაციონალურ შეფასებაში.

ანტონი სერიოზულად ეკიდება ცხოველისა და ადამიანის სულების გარჩევის საკითხს. ამ უკანასკნელს *სიტყვიერი სული* ეწოდება. სული, ფსიქიკის მნიშვნელობით, ცხოველებსაც აქვთ. მაგრამ ეს არის გონებას და ნებას მოკლებული უსიტყვო სული, დაჯილდოებული გარკვეული პყრობითი ძალებით, პირველ ყოვლისა შეგრძნებით. ერთი სიტყვით, ცხოველი არ არის უსულო არსება, მანქანა, როგორც კარტეზიანელები მიიჩნევდნენ. იგი პრიმიტიული შემეცნების უნარის მქონე ცოცხალი ორგანიზმია.

ცხოველი აზრის უნარის მატარებელიც არის. "პაზრი გინა განზრახვა" დაახლოებით იგივეა, რაც *ფანტაზია*. მისი ფუნქცია სატებისა და მნიშვნელობების ურთიერთკომბინირებაში მდგომარეობს. ამ უნარს მიეწერება ცხოველის ქცევის ისეთი თავისებურებანი, როგორიცაა მომაელის გრძნობა, მსჯელობის ეკვივალენტური პრიმიტიული ცოდნა, არჩევანი და ა.შ. ადამიანის შემთხვევაში აზრითი ძალის მოქმედებას ასწორებს და მიმართავს გონება. ამიტომ მისი გამოვლინებანი ადამიანში ბევრად უფრო მრავალფეროვანია. ამ კონტექსტში ანტონი სვამს საკითხს, თუ რა კანონზომიერებას ემორჩილება კავშირი იდეებს შორის. ცნობიერებაში იდეები იზოლირებულად არ არსებობენ. მათ შორის კავშირი "შინაგან გრძნობაში" მოცემული რეალობაა, ფაქტია. იდეების დაკავშირების კანონზომიერების დასადგენად ანტონი, პირველად ქართულ ფილოსოფიურ მწერლობაში, მიმართავს *ასოციაციის* მექანიზმს. იდეათა კავშირი თავს იჩენს იმაში, რომ ერთი იდეა მეორეს იწვევს. ესაა "იდეათა თანამოყვასობა", ანუ ასოციაცია. იდეა იმ იდეას იწვევს, რომელთან ერთადაც ("თანად") ყოფილა განცდილი. იდეების დაკავშირება, პრინციპში, ფსიქიკური ცხოერების გართულება და განვითარებაა. გამოდის, რომ ასოციაცია განვითარების მექანიზმია. მაგრამ, ადამიანის შემთხვევაში, სულიერი ძალები ძირითადად ვითარდებიან და იზრდებიან ინტელექტის საფუძველზე გარდაქმნის შედეგად.

ეს ეხება *მეხსიერების* უნარსაც, რომელიც ადამიანის დონეზე სულ სხვა სახეს იღებს, ვინაიდან გონების სამსახურში ექცევა. საერთოდ კი მეხსიერება გარკვეულად "წარმოჩენითი ძალის" ფუნქციის გამგრძელებელია. თუ ეს უკანასკნელი "ზოგად გრძნობაში" მოცემული ხატების დაცვას ემსახურება, მეხსიერება ამ ხატების შინაარსს წარსულთან მიმართებაში, ანუ როგორც წარსულში არსებულს ან მომხდარს აცნობიერებს.

რაც შეეხება *რაციონალური შემეცნების* ძალებს, ისინი გენეტიკურადაც და ფუნქციის მხრივაც შემეცნების პროცესის უმაღლეს საფეხურს წარმოადგენენ. განსხვავებით გრძნობადი შემეცნების ძალებისაგან, ისინი სპეციფიკურად ადამიანურ უნარებად ითვლებიან. ასეთად, პირველ რიგში, მიჩნეულია *ყურადღება*. ყურადღების უნარის დასასიათება, რომელიც ანტონმა სპეკალში მოგვცა, პირველია ქართული ფსიქოლოგიური აზრის ისტორიაში.

აქ ყურადღება განხილულია, როგორც დამოუკიდებელი, სპეციფიკურად ადამიანური უნარი და ყოველგვარი ინტელექტუალური აქტიურობის პირობა. ინტელექტუალური ძალების მოქმედება მას შემდეგ იწყება, რაც შესამეცნებელი საგანი ნათლად და გამოკვეთილად იქნება წარმოდგენილი ყურადღების მიერ. საკუთრივ ინტელექტუალურ ძალებს მიეკუთვნება "თნება" – ნაკლებად ზოგადი, არააუცილებელი და არაარსებითი ცოდნა; "მიდმოგონება" – დისკურსიული, ლოგიკური აზროვნება და "გაგონება" – ინტუიციური აზროვნება, აზროვნების საგნის უშუალო წვდომა. ფსიქოლოგიის ისტორიკოსის შეფასებით, რაციონალური შემეცნების ძალებზე ანტონი ისეთს არაფერს ამბობს, რაც არ იყო ცნობილი ადრეული ხანის ქართულ ფილოსოფიურ წყაროებში და რაც არ განზოგადებულა სულხან-საბასთან. სამაგიეროდ, პირველად "სპეკალში" გვხვდება ჩამოყალიბებული თეორია და ცოდნა გრძნობადი შემეცნების პროცესის შესახებ (ა. ფრანგიშვილი).

ანტონის ინტერესი შემეცნების ფსიქოლოგიაზე იყო კონცენტრირებული; ამიტომ სულის "ძერითი ძალების" შესახებ ძალზე მოკლედაა ნათქვამი. აქ საუბარია *ნებელობაზე* და ამ ტერმინში სხვადასხვა მნიშვნელობაა ჩადებული. გონიერ (სიტყვიერ) სულში ის წადილის სახითაა მოცემული, ხოლო უგონო სულში სურვილის ან "სულის თქმის" სახით. ნების კიდევ ერთი მნიშვნელობა გადაწყვეტილების გამოტანის უნარს (ნიჭს) უკავშირდება.

ამ დახასიათების დროს, ანტონი, როგორც ყოველთვის, მიმართავს არა დაკვირვებასა და გამოცდილებას, არამედ სხვადასხვა მოაზროვნეთა წარმოდგენების სისტემატიზაციას და შერიგებას. ზოგჯერ იგი აღწევს მათ "ორგანულ სინთეზს", მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ფსიქოლოგიის (ან, როგორც ანტონი უწოდებს, "ასიხოლოღიის") სისტემის შექმნა ეკლექტიზმით მთავრდება. ეს ერთნაირად ეხება როგორც ანტონის რაციონალურ ფსიქოლოგიას, ისე ემპირიულს. ორივე მათგანი "ასისოლოღიის" ქუდის ქვეშ არის მოქცეული. ანტონმა გააერთიანა ვოლფის მიერ გამიჯნული ფსიქოლოგიის ეს ორი სახე, ანუ უაქტობრივად გაჰყვა ბაუმაისტერს, რომელმაც გერმანიაში ფსიქოლოგიის გადმოცემის ასეთი ტრადიცია დაამკვიდრა. სულის შესახებ მეტაფიზიკურ მსჯელობებს ანტონ კათალიკოსი, ბუნებრივია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ამიტომ, საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ მისი მოძღვრება სულის შესახებ არის რაციონალური (მეტაფიზიკური) ფსიქოლოგია, სადაც ცდისეულ ფსიქოლოგიას სერიოზული ნაწილი აქვს დათმობილი. ანტონის შემდეგ რაციონალური ფსიქოლოგიის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლია იონა ხელაშვილი (1770-1837).

ემპირიულ ფსიქოლოგიაზე აქცენტი უფრო მეტად არის გამოკვეთილი ღირსეული ქართველი ენციკლოპედისტისა და განმანათლებლის იოანე **ბაგრატიონის** (1767-1830) შემოქმედებაში. იგი იყო ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის შვილი. მამის გარდაცვალების შემდეგ, პოლიტიკურ ასპარეზს ჩამოშორებული, სხვა ბაგონიშვილებთან ერთად რუსეთში გადასახლებული იოანე ბაგრატიონი აქტიურ სამწიგნობრო-მთარგმნელობით და ლიტერატურულ-მეცნიერულ მოღვაწეობას ეწეოდა. იგი ავტორია რამდენიმე ლექსიკონისა და ენციკლოპედიისა. მისი შემოქმედების მწვერ-

ვალია "კალმასობა" (1824), რომელიც ლიტერატურული ნაწარმოებიც არის და ენციკლოპედიური ხასიათის თხზულებაც. ის შეიცავს ცნობებს თითქმის ყველა დარგიდან, მათ შორის, და საკმაოდ ბევრს, ფსიქოლოგიიდან. გარდა ამისა, იოანე ბაგრატიონს ეკუთვნის მცირე ზომის წმინდა ფსიქოლოგიური ნარკვევი "ძალნი სულისانი".

იოანე ბაგრატიონი საუბრობს სულის რელიგიურ და მატერიალურ მნიშვნელობებზე (ღმერთი, რომელიც დასაბამს აძლევს ყოველივე ამქვეყნიურს, მათ შორის უკვდავ სულს), მაგრამ მკაფიოდ განმარტავს, რომ ასეთი ცოდნა მეცნიერების საზღვრებში არ მოიპოვება. ამდენად, იგი უშვებს მეტაფიზიკურ-რაციონალურ და ემპირიულ ფსიქოლოგიას. ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს დადებითი მეცნიერული ცოდნის დარგი, ვინაიდან მეცნიერება მხოლოდ ბუნებრივ მოვლენებს შეისწავლის. თუ იონა ხელაშვილს სულიერი მოვლენების ბუნებრივი მიმდინარეობა უმთავრესად მათი ზებუნებრივი საწყისის საჩვენებლად აინტერესებდა, იოანე ბაგრატიონისთვის ფსიქიკურ ცხოვრებას თავისთავადი მნიშვნელობა აქვს. ამ სინამდვილის ემპირიულად მოცემული თვისებები მისი ბუნებრივი განვითარების შედეგის სახით განიხილება. აქ იოანე ბაგრატიონი ლოკსა და კონდილიაკს მიჰყვება. იგი კონდილიაკის ემპირისტულ-სენსუალისტური მოძღვრების დიდ გავლენას განიცდიდა და მისი "ლოგიკაც" თარგმნა. უფრო მეტიც, თავის ნაწარმოებებში იგი კონდილიაკს ხშირად სიტყვა-სიტყვით იმეორებს.

შემეცნების მეთოდი "ემპირიული ანალიზია". სულიერი მოვლენები ისევე უნდა შეისწავლებოდეს, როგორც ყველა სხვა ბუნებრივი საგანი თუ ფენომენი. ამაში იგულისხმება მათი "გამოწვლილებით განრჩევა", ანუ მათი ელემენტებად დაშლა და შემდგომში ახსნა ამ ელემენტების კავშირების საფუძველზე. ფსიქიკურის მთელი შინაარსი ასეთი ანალიზის შედეგად გამოელინდება. ეს კი ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი ატომიზმის ან ელემენტარიზმის პრინციპია, რომელიც ემპირიული ფსიქოლოგიის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს.

სენსუალისტური შეხედულების თანასწორად, ფსიქიკის მთავარი ელემენტი შეგრძნებაა. მთელი სულიერი ცხოვრება შეგრძნებებიდან აღმოცენდება და მათი გარდაქმნის შედეგია. ფსიქიკური ფუნქციები, ანუ "ძალნი სულისانი" შეგრძნებებიდან წარმოიქმნება მათი სასეცელილების საფუძველზე. ეს ფუნქციებია: 1. *ყურადღება*, რაც არსებითად არის შეგრძნების იზოლირებული განცდა; 2. *შეთანასწორება ორთა განცდათა*, ანუ შედარება, რაც ორ შეგრძნებაზე ყურადღების მიქცევას ნიშნავს; 3. *მსჯა* ანუ მსჯელობა, რაც, არსებითად, გრძნობადი მონაცემების შედარების გართულებული ფორმაა; 4. *მიდგონება* ანუ განსჯა, რაც ცნობიერების ერთი იდეიდან მეორეზე გადასვლას ნიშნავს; 5. *წარმოსახვა* – ორი იდეიდან ერთი ახალი იდეის შექმნა; 6. *გონიერება* ანუ ორი მსჯელობიდან (წინამძღვრიდან) ერთის გამოყვანა (დასკვნა); 7. *მეხსიერება, ანუ გაგება*, რაც შთლიანად შემეცნებაა და მოიცავს შეგრძნების გარდაქმნით მიღებულ ყურადღების, შედარების, მსჯელობისა და დასკვნის სულიერ ძალებს.

იოანე ბაგრატიონის მიხედვით, რაც სრულ შესაბამისობაშია სენსუ-

ალისტურ-ემპირიულ ფსიქოლოგიასთან, ფსიქიკური სინამდვილის შემადგენელი პროცესები და შინაარსები (იდეები) ცხოვრებისეული გამოცდილების შედეგად შეძენილ მოვლენებია.

შეგრძნებათა სხვა ფსიქიკურ ფუნქციებში ტრანსფორმაციის პროცესს მამოძრავებელი ძალა, მოქმედების საფუძველი ესაჭიროება. ასეთად *მოთხოვნილებაა* მიჩნეული. სულიერი ცხოვრების დინამიკური წყარო თვით სულში კი არ არის თანდაყოლილად ჩანერგილი, როგორც ამას ნიჭთა ფსიქოლოგია თვლიდა, არამედ ერთ-ერთი სულიერი მოვლენის, კერძოდ მოთხოვნილების უნარიდან მომდინარეობს. ეს უნარიც შეგრძნებიდან არის ნაწარმოები, ვინაიდან დანაკლისის განცდა (სურვილი) შეგრძნობელობის განუყოფელი მხარეა. თუ საჭირო საგნის დანაკლისით გამოწვეულ სურვილს მსჯელობაც ერთვის, ამ მდგომარეობას *ნება* ეწოდება. ნება, პრინციპში, მხოლოდ მოთხოვნილების სახეობაა და არა მისგან განსხვავებული, აქტივობის დამოუკიდებელი საწყისი. ეს ნიშნავს, რომ ნებისყოფის თავისუფლებაზე საუბარი უსაფუძვლოა, ვინაიდან ნება ყოველთვის "საჭიროების" (დანაკლისის) გამოხატულებაა და, მაშასადამე, აუცილებლობის სფეროშია მოქცეული.

საქართველოში ფსიქოლოგიური აზრის მოკლე ისტორიაც ვერ აუვლის გვერდს შესანიშნავი სწავლულისა და მამულიშვილის ს. დოდაშვილის შემოქმედებას. **სოლომონ დოდაშვილი** (1805-1836) დაიბადა სიღნაღის მაზრის სოფელ მაღაროში, მღვდლის ოჯახში. თბილისის სასულიერო სემინარიაში იგი გამორჩეულ მოსწავლედ ითვლებოდა. ამიტომ მისი დამთავრების შემდეგ, მიტროპოლიტ იოანე ბოდბელის ხელშეწყობით, იგი სწავლის გასაგრძელებლად რუსეთში გაემგზავრა და ჩაირიცხა პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის ფილოსოფიურ-იურიდიულ ფაკულტეტზე. 1827 წელს დოდაშვილი წარჩინებით ამთავრებს უნივერსისტეტს და სადოქტორო დისერტაციად წარადგენს ნაშრომს: "ფილოსოფიის კური. პირველი ნაწილი. ლოგიკა". ამ შრომის ღირსებები თავიდანვე ყველასთვის ნათელი იყო. მას ძალიან მაღალი შეფასება მიეცა და იმავე წელს გამოქვეყნდა, რაშიც დოდაშვილს დიდი დახმარება გაუწია ცნობილმა ქართველმა ფილოსოფოსმა და თეოლოგმა, პეტერბურგში გადასახლებული ბატონიშვილების კარის მოძღვარმა, იონა ხელაშვილმა. ამ წიგნის წყალობით დოდაშვილმა ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ქართული და რუსული ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური აზრის ისტორიაში.

სამშობლოში დაბრუნებული დოდაშვილი მრავალფეროვან სამწერლო-ჟურნალისტურ, საგანმანათლებლო და სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევა. იგი აქტიურად არის ჩართული სამოგადოებრივ ცხოვრებაში. 1832 წელს დააპატიმრეს რუსეთის თეითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებაში მონაწილეობისთვის. რომლის მიზანი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იყო. დოდაშვილს თავდაპირველად ჩამოხრჩობა მიესაჯა,

რომელიც შემდგომ ათი წლით გადასახლებით შეუცვალეს. ჭლექით ავადმყოფ დოდაშვილს ვიატკის გუბერნიის კლიმატმა მალე მოუღო ბოლო. იგი იქვე, ვიატკაში დაკრძალეს. 1994 წელს სახელოვანი მამულიშვილის ნეშტი სამშობლოში გადმოასვენეს და მთაწმინდის მწვანეთა ალეაში დაკრძალეს.

თავის "ლოგიკაში" დოდაშვილი განიხილავს ფილოსოფიის შემადგენლობისა და მეცნიერების მეთოდოლოგიის პრობლემატიკას. ამ კონტექსტში იგი გამოთქვამს მოსაზრებებს, რომლებიც ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების დასაბუთებას და მისი კვლევის ხასიათს ეხება. უნდა ითქვას, რომ ლოგიკისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო მისი გამიჯვნა ფსიქოლოგიისაგან. ფსიქოლოგიზმის საფრთხე აქ საკმაოდ მძაფრად იგრძნობა, ვინაიდან ლოგიკა არის სწავლება აზროვნების წესებისა და კანონების შესახებ. აქედან გამომდინარე, შესწავლის სფერო თითქოს ემთხვევა აზროვნების ფსიქოლოგიას. საჭირო ხდება იმის ჩვენება, რომ ლოგიკა "სწორი" აზროვნების უცვლელ, მარადიულ და საყოველთაო წესებს აღგენს, სოლო ფსიქოლოგია ადამიანის აზროვნების ცოცხალ პროცესს შეისწავლის. ფსიქოლოგია არ ახასიათებს აზროვნებას სისწორე-მცდარობის თვალსაზრისით და იკვლევს მას, როგორც ცნობიერების მოვლენას, რეალურ ფსიქიკურ მოქმედებას. აზროვნების ფაქტობრივად მიმდინარე პროცესის კვლევა ემპირიულად შეიძლება, რასაც ვერ ვიტყვით ლოგიკის შესასწავლ პრობლემატიკაზე ანუ იმაზე, როგორ უნდა იაზროვნონ ადამიანებმა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ რეალური ფსიქიკური ცხოვრება აზროვნებით არ ამოიწურება და აზროვნებაზე არ დაიყვანება.

ამგვარად, ფსიქოლოგია განსხვავდება ლოგიკისაგან. იგი განსხვავდება, აგრეთვე, მეტაფიზიკისაგან (მოძღვრება შემეცნებისა და შესამეცნებლის ზოგად კანონებზე). დოდაშვილი ფიქრობს, რომ ლოგიკა, ფსიქოლოგია და მეტაფიზიკა ე.წ. თეორიული ფილოსოფიის ნაწილებს წარმოადგენენ. გარდა ამისა, გამოიყოფა პრაქტიკული ფილოსოფია (ეთიკა, სამართალი, თეოლოგია) და ესთეტიკა. ფილოსოფიის მთლიანმა სისტემამ, რომლის მხოლოდ პირველი ნაწილია ლოგიკა, უნდა მოიცვას ყველა ეს დისციპლინა. მაშასადამე, ფსიქოლოგია დოდაშვილის მიერ საბუთდება, როგორც ფილოსოფიის ცალკე დარგი, რომელიც აღგენს ადამიანის ფსიქიკური მოქმედების კანონზომიერებებს.

რა აქვთ საერთო ფილოსოფიას და, კერძოდ, ლოგიკას ფსიქოლოგიასთან? როგორც ითქვა, ლოგიკა და ფსიქოლოგია ფილოსოფიის დარგებია. ორივე აზროვნებას შეისწავლის, მაგრამ სხვადასხვა ასპექტით. ამავე დროს, თვით ფილოსოფიის ძირითადი ამოცანა ფორმულიერებულია, როგორც ადამიანის მიერ საკუთარი თავის შემეცნება. "ფილოსოფია ნიშნავს ყურადღება მივაპყროთ თავის თავს, ჩავწვდეთ თავის თავს, რათა გამოვიცნოთ და გავიგოთ თვით ჩვენი თავი და ამ გზით დავადგინოთ სამყარო ჩვენში და ჩვენთან". მაგრამ "სამყარო ჩვენში" ფსიქოლოგიის უშუალო კვლევის საგანია. მეტად საყურადღებოა ისიც, რომ "ფილოსოფიაში შემმეცნებელი პირი და შემეცნების უმთავრესი საგანი ადამიანია". მაშასადამე, სხვა მეცნიერებებისაგან განსხვავებით, შემეცნების ობიექტი და სუბიექტი ფილოსოფიაში ერთ-

მანეთს ემთხვევა: ადამიანი ადამიანს შეისწავლის, ცნობიერება ცნობიერებას, აზროვნება აზროვნებას. გამოდის რომ ფილოსოფია, არსებითად, თვითშემეცნებაა. ალბათ შეიძლება იმაზე მსჯელობა, თუ რამდენად ვრცელდება ეს თეზისი ფილოსოფიის ისეთ შემადგენლებზე, როგორიც მეტაფიზიკა ან, თუნდაც, ესთეტიკაა, მაგრამ ლოგიკისა და ფსიქოლოგიის მიმართ იგი უდაოდ მართებულია (მას შემდეგ, რაც ფსიქოლოგია მეცნიერებათა სისტემაში დამკვიდრდა, მის ერთ-ერთ სპეციფიკურ ნიშნად ითვლება ის, რომ აქ ადამიანის მეცნიერული ცნობიერება გადაიქცევა მის მეცნიერულ თვითცნობიერებად). ასეთ შორს მიმავალ პარალელებსა და განზოგადებებს დოდაშვილი არ აკეთებს, მაგრამ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ფილოსოფიის მისეული დახასიათება გარკვეული მნიშვნელობით ფსიქოლოგიურ ხასიათს ატარებს; ყოველ შემთხვევაში ფსიქოლოგიას ფილოსოფიური ცოდნის ორგანულ ნაწილად გულისხმობს.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ასეთი პოზიცია, ფსიქოლოგიის ისტორიის თვალსაზრისით, არ არის პროგრესული. ფსიქოლოგიის განვითარების მაგისტრალური ხაზი ხომ მისი ფილოსოფიისაგან ემანსიპაციასა და დამოუკიდებელ, პოზიტიურ მეცნიერებად გაფორმებაში მდგომარეობდა. მაგრამ აქ საკითხი სხვაგვარად დგას; მთავარი ის კი არ არის, ფორმალურად დისციპლინათა რომელ ჯგუფს აკუთვნებს ავტორი ფსიქოლოგიას, არამედ ის, თუ როგორ აქვს გააზრებული ამ მეცნიერების მეთოდოლოგიური და მეთოდური სახე.

დოდაშვილი პირდაპირ არ ახსენებს ფსიქოლოგიას, მაგრამ მისი პოზიცია ამ პრინციპულ საკითხებზე გარკვევით იკითხება მსჯელობებში ადამიანის მეცნიერული შესწავლის შესაძლებლობის თაობაზე. იგი წერს: "ვეიჩვენეთ თუნდაც ერთი ნაწილი ადამიანის შემადგენლობაში, თუნდაც ერთი მოქმედება ამ მცირე სამყაროში, რომელიც მუდმივ კანონებს არ ექვემდებარებოდეს. მისი შინაგანი იდეალური ცხოერება თავის თავში და თავის მოვლენებში ისევე, როგორც ორგანული და ცხოველური არსებობაც, არ შეიძლება და არც უნდა იყოს შეუწყობელი, უწესრიგო". აზრი ნათელია: "შინაგანი იდეალური ცხოერების" შემსწავლელი მეცნიერება (ფსიქოლოგია), უნდა ამოდიოდეს იმ მასალიდან, რასაც იგი "თავის მოვლენებში" ნახულობს და ხელმძღვანელობდეს კვლევის იგივე პრინციპებით, რითაც ბუნების მოვლენების შემსწავლელი სხვა მეცნიერებები. აქ, არსებითად, ის იგულისხმება, რომ მეცნიერული კვლევა დეტერმინიზმის მეთოდოლოგიური პრინციპის საფუძველზე უნდა მიმდინარეობდეს. რაც შეეხება კონკრეტულ მეთოდურ ხერხებს, საფიქრებელია, რომ ისინიც სხვა მეცნიერებათა მსგავსად უნდა იყვნენ შერჩეული. დოდაშვილთან ჩვენ ვერ ვხვდებით პირდაპირ მოწოდებას ფსიქოლოგიისადმი მიმართოს ექსპერიმენტს, როგორც ამას ორი ათეული წლის შემდეგ გააკეთებს მისი გამოჩენილი კოლეგა, ლოგიკოსი ჯ. ს. მილი, მაგრამ ეს აზრი ფაქტობრივად ნაგულისხმევია და რომ დასცლოდა ქართველ სწავლულს, ამას უთუოდ იტყოდა.

დოდაშვილის ლოგიკა, როგორც ითქვა, მხოლოდ პირველი ნაწილია მის მიერ ჩაფიქრებული იმ ფილოსოფიური სისტემისა, რომელიც ფსიქოლოგი-

ასაც მოიცავს. ეჭვი არ არის, რომ იგი არ შემოიფარგლებოდა ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიური საკითხების გარკვევით და ფსიქოლოგიური ცოდნის სისტემურ დალაგებაზეც იზრუნებდა. თუ გავითვალისწინებთ დოდაშვილის მეცნიერულ კრედოს, მის მსოფლმხედველობრივ პოზიციას, რომელიც გულისხმობს სქოლასტიკური ბორკილებისაგან განთავისუფლებას და გამორიცხავს მეცნიერებაში ყოველივე ზებუნებრივს, საფიქრებელია, რომ მისი ფსიქოლოგია არ იქნებოდა მეტაფიზიკური და მისტიკურ-რელიგიური შინაარსით დატვირთული რაციონალური ფსიქოლოგია[1].

ალბათ ასეთი შინაგანი პოზიციის უქონლობამ არ მისცა საშუალება ქართული ფსიქოლოგიური აზრის მომდევნო თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელს გ. ქიქოძეს (გაბრიელ ეპისკოპოსს), რეალურად განთავისუფლებულიყო ანტონის სკოლის "რაციონალური ფსიქოლოგიის" გავლენისაგან და თავისი "ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები" მთლიანად მეცნიერულ ნიადაგზე დაემკვიდრებინა. ეს ნაშრომი საგანგებო ყურადღებას იმსახურებს თუნდაც იმიტომ, რომ ეს არის ჩვენში შექმნილი ფსიქოლოგიის პირველი სისტემატური კურსი, რომელიც თავისი უდავო ღირსებების გამო კარგა ხანს ასრულებდა სახელმძღვანელოს ფუნქციას რუსეთის იმპერიის სემინარიებში.

**გაბრიელ** (ერისკაცობაში გერასიმე) **ქიქოძე** (1825-1896) დაიბადა ოზურგეთის მაზრის სოფელ ბახვში. 1839-1845 წლებში სწავლობდა თბილისის, ფსკოვისა და პეტერბურგის სასულიერო სემინარიებში. 1849 წელს დაამთავრა პეტერბურგის სასულიერო აკადემია. მაგისტრის ხარისხის მქონე ახალგაზრდა ღვთისმეტყველების გარდა საფუძვლიანად დაეუფლა ფილოსოფიას, ისტორიას, მათემატიკას, ფიზიკას. იმავე წელს დაბრუნდა სამშობლოში და დაიწყო სამსახური თბილისის სასულიერო სემინარიაში ინსპექტორად და რექტორის თანაშემწედ. აქვე ფიზიკისა და მათემატიკის პროფესორის რანგში კითხულობდა შესაბამის კურსებს, ხოლო თბილისის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში ასწავლიდა საღმრთო რჯულს. დიდი პირადი ტრაგედიის გადატანის მერე (მან მოკლე დროში დაკარგა მეუღლე და ხუთი შვილი), 1856 წელს აღიკვეცა ბერად. 1858 წელს დაინიშნა დავითგარეჯის არქიმანდრიტად, შემდეგ იყო გორისა და 1860 წლიდან იმერეთის ეპისკოპოსი. გაბრიელ ეპისკოპოსი დაკრძალულია გელათის ღვთისმშობლის ეკლესიაში.

გაბრიელ ეპისკოპოსი იყო დიდად პატივცემული სასულიერო და საზოგადო მოღვაწე. მისი თაოსნობით დაარსდა საყოველთაოდ ცნობილი "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება", გაიხ-

[1] კომპეტენტური კომენტატორის განმარტებით, "ქართველ ფილოსოფოსთა შორის ს. დოდაშვილი ერთ-ერთი პირველია, ვის შრომებშიც ფილოსოფიური და სამეცნიერო პრობლემების ღირებულება მისი თეოლოგიურ-რელიგიური ძნიშვნელობით არ იზომება". ამასთან, დოდაშვილის "აზროვნების ახალი სტილი ნიშნავს უარის თქმას სამეცნიერო პრობლემის აუცილებელ რელიგიურ ინტერპრეტაციაზე, მაგრამ არა უარის თქმას რწმენაზე" (ლ. მჭედლიშვილი).

სნა რამდენიმე საერო სკოლა და სასწავლებელი, სასულიერო სემინარია. იგი დღენიადაგ იღწვოდა ქართული ეროვნული ინტერესებისთვის; განსაკუთრებული შემართებით იბრძოდა ქართული ენის შესანარჩუნებლად.

გაბრიელის ქადაგებანი გამოირჩეოდნენ უბადო ფორმით და ღრმა თეოლოგიური და მნეობრივი შინაარსით. ისინი გამოიცა ქართულად, რუსულად და ინგლისურად, რაც მათ მიმართ უდიდეს ინტერესზე მეტყველებს. მაგრამ, მისი გონების ყველაზე მნიშვნელოვან ქმნილებას უთუოდ წარმოადგენს "ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები". ეს თხზულება იწერებოდა ავტორის პროფესორობისა და ბერობის პერიოდში. ის გამოქვეყნდა 1858 წელს პეტერბურგში და იყო ერთ-ერთი პირველი სახელმძღვანელო, რომელიც რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე შეიქმნა. ამ წიგნით დიდი ხნის მანძილზე მიმდინარეობდა ფსიქოლოგიის სწავლება რუსეთის სემინარიებში. ეს რუსულად შექმნილი ნაწარმოები ქართულად მხოლოდ 1993 წელს გამოქვეყნდა.

ქიქოძე მკაფიოდ აყალიბებს თავისი ნაშრომის მთავარ მიზანს – დაიწეროს ისეთი ფსიქოლოგია, რომელიც, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მსგავსად, დაეფუძნება ცდებისა და დაკვირვების მონაცემებს და, ამდენად, აღარ იქნება დამოკიდებული "უნაყოფო გონებაჭვრეტაზე". ფსიქოლოგია არის მეცნიერება სულის შესახებ, რომელიც სულიერი მოვლენებისა და ფაქტების სახით არის წარმოდგენილი. შინაგანი დაკვირვების გზით ჩვენ შეგვიძლია მათი შესწავლა ისევე, როგორც გარეგანი დაკვირვებით შევიმეცნებთ ბუნების მოვლენებს. ეინაიდან ჩვენი თვითცნობიერება მუდმივი შინაგანი ცდაა, შესაძლებელია მისი მოქცევა მეცნიერული კვლევის კალაპოტში, სულიერი მოვლენების მიუკერძოებელი აღწერა და ფაქტების ანალიზი. ამგვარად, ფსიქოლოგია გახდება გამართული ცდისეული მეცნიერება.

ავტორის აზრით, ფსიქოლოგია ჯერ არ ასულა ამ დონეზე. ეს მტკიცება ალბათ იმის გამოძახილია, რომ ქიქოძე უფრო მეტად გერმანელ ავტორებს ეყრდნობოდა. გერმანიაში ემპირიულ ფსიქოლოგიას ჰერბარტის სკოლა წარმოადგენდა, მაგრამ უფრო გავრცელებული იყო მეტაფიზიკური ფსიქოლოგია. მას ახლებური სახელწოდება ქ. ეოლფმა მიანიჭა, როცა ერთმანეთს დაუპირისპირა "ემპირიული" და "რაციონალური" ფსიქოლოგია შესაბამისი სახელწოდების წიგნებში. ამას დაემატა კანტის გაელენა (იხ. 3.2), რის შედეგადაც ემპირისტულ იდეებს გერმანიაში ნაკლები გასაქანი მიეცა. ფსიქოლოგიის ისტორიის გამარტივებული სქემის მიხდვით, ემპირიული ფსიქოლოგიის ეტაპი მეტაფიზიკური ფსიქოლოგიის ეტაპს მოსდევს. ეს, ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ ემპირიული ფსიქოლოგია მეჩვიდმეტე საუკუნიდან, ანუ მისი გაფორმებისთანავე ჩაენაცვლა მეტაფიზიკურ ფსიქოლოგიას. "მენტალურ ფილოსოფიაში", რომლის ფარგლებშიც ვითარდებოდა ფსიქოლოგიური შემეცნება, მეტაფიზიკური ფსიქოლოგია კიდევ დიდ ხანს ინარჩუნებდა პოზიციებს. მეთვრამეტე საუკუნიდან კი მას რაციონალური ფსიქოლოგია დაერქვა.

რაციონალური ფსიქოლოგია განიხილავს უკვდავი სულის მეტაფიზიკურ ბუნებას. იგი მიისწრაფვის გონებაჭვრეტით, ონტოლოგიური და გნო-

სეოლოგიური თვალსაზრისით სწვდეს სულის არსს, ანუ იმას, თუ როგორია სული თავისთავად და როგორია ის შემეცნებისთვის. ემპირიული ფსიქოლოგია აღწერს დაკვირვებაში მოცემული ცნობიერების რეალურ მოვლენებს, ახდენს ამ მოვლენების კლასიფიკაციას და აღგენს მათ შორის არსებულ კანონზომიერ კავშირებს. დღევანდელი ფსიქოლოგიის სახე უპირატესად ემპირიული ფსიქოლოგიის პრინციპებმა განსაზღვრა. ამდენად, ქიქოძის "ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები" მასში დეკლარირებული მიზნებით (ემპირიულ ნიადაგზე დადგომა და მეტაფიზიკური სპეკულაციებისაგან გათავისუფლება) უეჭველად მოექცა ფსიქოლოგიის განვითარების იმ კალაპოტში, რომელმაც მისი შემდგომი პროგრესი უზრუნველყო და დამოუკიდებელ ექსპერიმენტულ მეცნიერებად აქცია. სხვა საკითხია, თუ რამდენად შეძლო ავტორმა რაციონალური ფსიქოლოგიისაგან რეალური გათავისუფლება და ცდისეული ფსიქოლოგიის პრინციპების თანმიმდევრული გატარება.

სულიერი მოვლენების შესწავლას ქიქოძე შეგრძნებების ანალიზით იწყებს. შეგრძნებებში სამი ასპექტი უნდა გამოიყოს: 1. შეგრძნებების გამომწვევი ფიზიკური მოვლენა ანუ ვარე ზიზეები; 2. სხეულის ორგანოში, ნერვში და ტვინში მიმდინარე აგზნების ფიზიოლოგიური პროცესი ანუ შთაბეჭდილება და 3. საკუთრივ შეგრძნება, როგორც ფსიქიკური ფენომენი ანუ განცდა. ავტორი დაჟინებით მოითხოვს, არ ავრიოთ ისინი ერთმანეთში და არ დავიყვანოთ ერთმანეთზე. არ შეიძლება შეგრძნების, როგორც ფსიქიკური ფაქტის გაიგივება ფიზიკურ ან ფიზიოლოგიურ მოვლენასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში ფსიქოლოგია ზედმეტი გახდება.

მიუხედავად იმისა, რომ ფიზიოლოგია მაშინ სწრაფად ვითარდებოდა, ცოდნა გრძნობის ორგანოთა მოწყობაზე, სათანადო ცენტრების განლაგებასა და ფუნქციონირების კანონზომიერებებზე ჯერ კიდევ მწირი იყო. ეს ქიქოძის შეხედულებაზეც აისახა (იმის თქმაც საკმარისია, რომ იგი ფრენოლოგიის თვალსაზრისს იზიარებდა). მაგრამ მთავარი მაინც მისი რწმენაა, რომ ფიზიოლოგიისა და ნეეროლოგიის სფეროში არსებული ცოდნა, მისი მასშტაბის მიუხედავად, ვერ ნათელყოფს შეგრძნებისა და სხვა ზონებრივი თუ სამოძრაო უნარების წარმომაელობას. მათი საწყისი არის "სუბსტანცია, რომელიც ადამიანში ყველაფერს შეიგრძნებს და ამოძრავებს, სრულიად განსხვავებულია ტვინისაგან და საეროოდ ყოველგვარი ორგანიზმისაგან. ეს არის არასხეულებრივი, სულიერი სუბსტანცია, რომლის ძირითად ძალას შეგრძნება შეადგენს. ტვინი კი მხოლოდ უკანასკნელი და, ამავე დროს, ცენტრალური ორგანოა, სადაც თავს იყრის ყველა შთაბეჭდილება, რათა საბოლოოდ აისახოს სხვადასხვაგვარი შეგრძნებების სახით ამ უხილავ სუბსტანციაში".

ამრიგად, შეგრძნებასა და მოძრაობას, სულიერი სუბსტანციის სახით, აქვს სხეულისაგან, ტვინისაგან დამოუკიდებელი და მისგან განსხვავებული საწყისი, პირველადი წყარო. ქიქოძე ამ საკვანძო დებულების დასაბუთებას ემპირიულად, უპირატესად ფიზიოლოგიაზე დამყარებული არგუმენტებით ცდილობს. იგი ასე მსჯელობს: ტვინი, სხვა ორგანოების მსგავსად, შედგება ატომებისაგან, მატერიალური ნაწილაკებისაგან, რომელთაც ვერ ექნებათ

ისეთი გასაოცარი უნარი, როგორიც შეგრძნებაა; ერთნაირი ქიმიური შემადგენლობის მქონე ტვინის ყველა უბანში გრძნობის ორგანოებიდან წამოსული ერთნაირი აგზნების პროცესები მიმდინარეობს. მაგრამ შეუძლებელია მატერიის ორ ერთნაირ ნაწილს ჰქონდეს ესოდენ განსხვავებული შეგრძნება (მაგ., განცდა ფერისა და ბგერისა). თუ ამ შეგრძნებებს მართლაც ტვინი განსაზღვრავს, გამოდის რომ ტვინის ერთი ნაწილი ხედავს, მეორე კი ისმენს. ე.ი. ისმენს და ხედავს არა ერთი არსება, არამედ განსხვავებული არსებანი, რაც უაზრობაა. ეს ერცელდება მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან მოძრაობებზეც. ამიტომ, სინამდვილეში, შეგრძნებათა და მოძრაობათა მიზეზი არის არა მატერია (ტვინი), არამედ არანივთიერი შემგრძნები და მამოძრავებელი საწყისი, გონიერი, უხილავი სულიერი ძალა, ერთი განუყოფელი არსება. სუბსტანცია, მოსადა, რომელიც ერთმანეთს ადარებს სხვადასხვა შეგრძნებებს და თანსმობაში მოიყვანს სხვადასხვა მოძრაობები.

ეს "ემპირიული" არგუმენტაცია დღევანდელი მეცნიერების გადასახედიდან დამაჯერებლად ნამდვილად არ გამოიყურება. თუმცა, მთავარი სხვა რამეა, კერძოდ ის, რომ როგორც არ უნდა გაფართოვდეს ჩვენი ცოდნა ნეეროლოგიაში, ფსიქოფიზიოლოგიასა თუ ფსიქოლოგიაში, ის პრინციპულად ვერ მოგვცემს ემპირიულ საბუთებს სულის სუბსტანციური ბუნების ან სხვა მეტაფიზიკური წარმოდგენების დასადასტურებლად. ემპირიულ ფაქტებს ემპირიული სინამდვილის ფარგლებში აქვს ძალა. ავტორი თუ მხოლოდ იმის დამტკიცებას ისურვებდა, რომ შეგრძნება, როგორც ფსიქიკური მოვლენა, არ დაიყვანება ფიზიოლოგიაზე (რაც აბსოლუტურად სწორია), ამისთვის მართლაც საკმარისი იქნებოდა სხეულებრივი და განცდისეული მონაცემების დაპირისპირება. მაგრამ იგი გაცილებით შორს მიდის და ფსიქიკური პროცესების სინამდვილიდან მეტაფიზიკის, უხილავი სულიერი ძალებისა და საწყისების სფეროში გადადის, ანუ ისევ "უნაყოფო გონებაჭვრეტას" უბრუნდება.

სუბსტანციაზე მსჯელობისას ქიქოძე თავადვე აღნიშნავს ამ ცნების ჰიპოთეტურ და გონებაჭვრეტით სასიათს. არსებობს მატერიალური მოვლენები, რომლებიც განფენილია, შემოზღუდული, ნაწილებისაგან შემდგარი და უმოქმედო. არსებობს, აგრეთვე, სულიერი მოვლენები: შეგრძნება, აზროვნება, გრძნობა, მოტივი და სხვა. სუბსტანციის ცნება გულისსმობს ისეთი რაიმეს დაშვებას, რომელიც ამ მოვლენების საფუძველად მდებარეობს, გამოხატავს მათ არსს, აერთიანებს და წარმოშობს მატერიალურ და სულიერ თვისებებსა და ძალებს. შესაბამისად, შეიძლება ვისაუბროთ ორ სუბსტანციაზე – მატერიალურზე და სულიერზე. ეს უკანასკნელი არის არამატერიალური, განუყოფელი, მოქმედი, შემგრძნები, გონიერი... სავსებით შესაძლებელია, მატერიასაც და სულსაც უამრავი სხვა თვისება ჰქონდეს, რომლებსაც ვერასდროს ამოვიცნობთ. ვის ძალუძს ახსნას და გაიგოს სუბსტანციის შინაგანი ყოფიერება, ამბობს ავტორი, და ამით ადასტურებს, რომ აქ არა მხოლოდ ცდისეული მეთოდი, არამედ გონებაჭვრეტაც უძლურია. მით უფრო ეს ითქმის სულის უკვდავების შესახებ. ქიქოძე საგანგებოდ ჩერდება ამ საკითხზე, თუმცა აღიარებს, რომ უკვდავება არ განეკუთვნება სულის იმ თვისებებს, რომლებიც ცდისა და დაკვირვების გზით შეისწავლება. და მაინც, იგი თვლის, რომ

სწორედ ცდისეულ ფსიქოლოგიას შეუძლია მოგვაწოდოს საბუთები იმისთვის, რათა ვირწმუნოთ სულის უკვდავების ჭეშმარიტება. ასეთია ლებულები სულის სუბსტანციურობისა და მისი განუწყვეტელი სრულქმნის შესახებ.

სულის სუბსტანციურობიდან გამომდინარე, მისი სიკვდილი ორი მნიშვნელობით შეიძლება იქნეს გაგებული: ის ან სხეულის მსგავსად უნდა დაიშალოს შემადგენელ ნაწილებად, ან მოისპის სხვა სუბსტანციის ზემოქმედებით. სული მარტივი სუბსტანციაა. მატერიალურისაგან განსხვავებით, მას არ გააჩნია ნაწილები, ელემენტები, რომლებადაც ის დაიშლებოდა. რაც შეეხება სიკვდილის მეორე სახეს – მოსპობას, ის არა მარტო სულისთვის, მატერიისთვისაც უცხოა. ბუნებაში არაფერი ისპობა და არც ერთიდან მეორე სახის არსებობაში გადადის. სულზე. რომელსაც მატერიალურ-ატომარული შემადგენლობა არა აქვს, სხვა სტიქიები (სუბსტანციები) ზემოქმედებას ვერ მოახდენენ და, მაშასადამე, ვერც მოსპობენ. ეს ძალუძს მხოლოდ ღმერთს, რომელიც, ცხადია, ამას არ გააკეთებს.

სულის განუწყვეტელი სრულყოფის არგუმენტი გულისხმობს იმას, რომ სული გასხსნილია მუდმივი შემეცნებისთვის, მისი "უნარები და ძალები კი შეიცავენ მარადიული ყოფნისა და მოღვაწეობის შესაძლებლობას და საწინდარს". ის ფაქტი, რომ ზოგი ფსიქიკური უნარი მოხუცებულობისას სუსტდება, ქიქოძის აზრით, ამ არგუმენტს არ არღვევს. ეს დასუსტება ფსიქიკურ უნარებთან მჭიდროდ დაკავშირებული სხეულებრივი ფუნქციების ცვეთის შედეგია; ის არ გამოხატავს საკუთრივ სულიერი უნარების შინაგან ბუნებას, რაც მათ უსასრულო სრულყოფაში მდგომარეობს. თუმცა, როგორია სინამდვილეში მათი საკუთარი ბუნება, თუნდაც განვითარების უწყვეტობის კუთხით, მკითხველისთვის საიდუმლოდ რჩება, ვინაიდან სხეულებრივი სუბსტრატის გარეშე ფსიქიკური უნარ-თვისებების განვითარება არავის უნახავს. თანამედროვე ფსიქოლოგია იმასაც იტყოდა, რომ ფსიქიკური დისპოზიციების, მაგალითად ინტელექტის არსებობის ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ ზოგიერთი ფსიქიკური უნარის განვითარების დონე ნამდვილად ზღვარდებულია.

სულის უკვდავების ყველაზე ძლიერ საბუთად ქიქოძეს ე.წ. ზნეობრივი საბუთი მიაჩნია. წინა საბუთის მსგავსად, ისიც, არსებითად, ვოლფის რაციონალური ფსიქოლოგიიდან არის ნასესხები. მის მიხედვით, არსებობს აშკარა შეუსაბამობა ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების გამოვლინებასა და უცვლელი ღვთიური სიმართლის ზნეობრივ კანონს შორის. სიკეთე, უმეტესწილად, ვერ იმკის ჯილდოს, ხოლო ბოროტება – სასჯელს. ეს მდგომარეობა არაბუნებრივია და დროებითი. ამიტომ აუცილებლად უნდა დადგეს უპირობო ზნეობრივი სიმართლის დამკვიდრების დრო, დრო იმისა, როდესაც შემოქმედი გაასწორებს ამქვეყნიურობის ზნეობრივ შეუსაბამობებს "მომავალი ჯეროვანი ზღვევით". ამქვეყნიური ცხოვრება მხოლოდ მომზადებაა დამსახურების შესაბამისი მარადიული ცხოვრებისთვის. უკვდავი სული ან ჯილდოდება ან ისჯება. "ეს მაღალი აზრი, გამოცხადება რომ შთაგვაგონებს, საოცრად შეესაბამება იმ შედეგებს, რომელსაც ფსიქოლოგი აღწევს სულის ბუნებასა და თვისებებზე დაკვირვებისა და შესწავლის გზით".

ამ სათუო მტკიცებით სრულდება ქიქოძის "ცდისეული ფსიქოლოგის

საფუძვლები" და მასში კარგად ჩანს ავტორის პოზიციის თავისებურება. იგი ვერც ობიექტური მეცნიერული კვლევის პრინციპებზე ამბობს უარს და ვერც რწმენის დოგმატებზე. სულის უკვდავების დასაბუთება ვერ დაეფუძნება ცდისეული ფსიქოლოგიის ფაქტებს. ვინაიდან ფსიქიკურ სინამდვილეზე დაკვირვების მონაცემებში ამდაგვარი არაფერი ჩანს. ძნელი შესამჩნევი არ უნდა იყოს, რომ ყოველივე ეს ეწინააღმდეგება დასაწყისში დეკლარირებულ პრინციპს – შეიქმნას ფსიქოლოგია მხოლოდ ცდისეული მეთოდისა და მეცნიერული მონაცემების საფუძველზე.

დავუბრუნდეთ სულის სუბსტანციურობის თეზისს. მატერიალურ სუბსტანციასთან ერთად სულიერი სუბსტანციის დაშვება დუალისტურ თვალსაზრისზე დადგომას ნიშნავს. ეს კი უთუოდ აჩენს ამ სუბსტანციათა ურთიერთმიმართების, ანუ ფსიქოფიზიკურ პრობლემას. ფსიქოლოგიის ისტორია აჩვენებს, რომ ეს მუდმივი პრობლემაა. ქიქოძე თავს არიდებს მასზე მსჯელობას მთელ ფილოსოფიურ კონტექსტში, როგორც ეს დეკარტეს, სპინოზას, ლაიბნიცის და სხვათა სისტემებშია მოცემული. იგი ცდილობს მის მაქსიმალურ "გავმპირიულებას" ანუ სხეულებრივი, ორგანიზმული და ფსიქიკური, ცნობიერი პროცესების ურთიერთმიმართების (ე.ი. ფსიქოფიზიოლოგიური პრობლემის) ჭრილში განხილვას. ამ პრობლემას ავტორი კარგად ხედავს. მისი გადაწყვეტის არსებითად ორი ვარიანტიდან – პარალელისტური და ურთიერთზემოქმედების თეორიებიდან – იგი ამ უკანასკნელს ემხრობა. "სულსა და ორგანიზმს შორის ურთიერთდამოკიდებულების არსი ისაა, რომ სული და სხეული არა მხოლოდ თანაარსებობენ, არამედ ურთიერთს განაპირობებენ. სულისა და სხეულის განვითარება, სრულყოფა და საერთოდ, მთელი ცხოვრება მიმდინარეობს არა მხოლოდ პარალელურად, არამედ უწყვეტი ურთიერთზეგავლენით და ისე მჭიდროდ, რომ ისინი ქმნიან არა ორ, არამედ ერთ არსებას – ადამიანს".

ქიქოძეს მრავალი ფაქტი მოპყავს, რითაც ადასტურებს, რომ ორგანიზმული პროცესები ფსიქიკურ პროცესებზე მოქმედებენ და პირიქით. ავტორი იყენებს იმდროინდელი ფიზიოლოგიის მასალას და სპეციალურად განიხილავს ნერვული, სისხლის მიმოქცევის, საჭმლის მონელების, გამოყოფის, სუნთქვისა თუ სხვა სისტემების ფუნქციონირებას იმ კუთხით, თუ რა გავლენას ახდენს ეს შეგრძნებაზე, მეხსიერებაზე, აზროვნებაზე, ემოციებზე, მთლიანად სულის თვითგრძნობაზე და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. ასევე არსებობს უკუზემოქმედების დამამტკიცებელი მონაცემები, გრძნობების მიერ სხვადასხვა ორგანულ სისტემებში გამოწვეულ ცვლილებათა შესახებ. გრძნობების ნიშნის მიხედვით ისინი შეიძლება ან დადებითად აისახონ ფიზიოლოგიურ ფუნქციონირებაზე ან უარყოფითად, და გახდნენ ავადმყოფობის ან განკურნების საფუძველი. ქიქოძე თვითორეგულაციის ფსიქოლოგიურ მექანიზმზეც მიანიშნებს და ამტკიცებს, რომ ნებისყოფას შეუძლია შეამციროს ან სრულიადაც მოსპოს ორგანული გავლენები სულზე (თანამედროვე ფსიქოსომატური მედიცინის მონაპოვართა გადასახედიდან ეს მოსაზრებები საინტერესოდ და აქტუალურად გამოიყურება).

ეს ყოველივე საქმის ფაქტობრივი მხარეა, სადაც ცდისეული ფსიქო-

ლოგიის ავტორი მართლაც მოწოდების სიმაღლეზე დგას. მაგრამ ფაქტების მიღმა ფუნდამენტური თეორიული პრობლემაა, რომლის სიმძიმეს იგი საესებით აცნობიერებს. ნურავინ იფიქრებსო, ამბობს იგი, რომ ეს პრობლემა ცდისეული მონაცემებით გადაწყდება, ან უფრო მეტიც, რომ ის საერთოდ გადაწყვეტადია. როგორ შეუძლია აგზნების ფიზიოლოგიურ პროცესს გახდეს შეგრძნების განცდის მიზეზი ან როგორ იწვევს სულის ნება იმ ცვლილებას ნერვში, რომელიც სხეულს ამოძრავებს; ეს ყოველთვის დარჩება ბუნების გამოუცნობ საიდუმლოებად. ზოგჯერ უკეთესია, შენიშნავს იგი, პატიოსნად ვაღიარით საკითხის გადაჭრის შეუძლებლობა, ვიდრე ისეთნაირად გადავჭრათ, რომ დავუპირისპირდეთ სხვა აღიარებულ ჭეშმარიტებებს.

ახლა გადავინაცვლოთ იმაზე, რაც ნამდვილად უნდა იყოს ე.წ. ცდისეული ფსიქოლოგიის შინაარსი. მხედველობაში გვაქვს ცოცხალი ორგანიზმის ემპირიულად მოცემული შინაგანი სამყაროს დახასიათება მისი შემადგენლობისა და იქ მოქმედ კანონზომიერებათა გამოელენის თვალსაზრისით. სწორედ ცოცხალი არსება და არა ადამიანი, ვინაიდან ეს გამოსატავს ცდისეული ფსიქოლოგიის ავტორის პრინციპულ პოზიციას, რომ სული აქვთ ცხოველებსაც. მათ აქვთ მრავალი შეგრძნება, მეხსიერება, ერთგვარი გაგების უნარი, გრძნობები და ა.შ. როგორც ემპირიული ფსიქოლოგი, ქიქოძე ამას აღასტურებს. განსხვავებას ადამიანსა და ცხოველს შორის იგი იმაში ხედავს, რომ ცხოველების სულიერი უნარები უფრო მარტივია, ვიდრე ადამიანებისა. ადამიანი განსაკუთრებული არსებაა, რაც მისი რწმენით, სამყაროს შემოქმედთან ზიარებით არის გაპირობებული. თეოლოგიური თვალსაზრისით ეს უკანასკნელი ნიშანი უდავოა, მაგრამ თანმიმდევრული ცდისეული ფსიქოლოგია აქაც ემპირიულ ნიშნებს უნდა ეძებდეს, მით უფრო რომ მათი გამოელენა საესებით შესაძლებელია.

ფსიქიკურ პროცესებს, ან, როგორც თვითონ უწოდებს, სულიერ ძალებს, უნარებს, ქიქოძე ორ ჯგუფად ყოფს, სენია *შემეცნებითი* და *სურვილისეული*, ანუ *მოქმედებისეული* უნარები. ამ უკანასკნელში ემოციური და მოტივაციური პროცესები ერთიანდება. პირველში შედის შეგრძნება, ყურადღება, მეხსიერება, წარმოსახვა, აზროვნება. სულიერი უნარები არ უნდა დაიყოს მაღალ და დაბალ უნარებად, ვინაიდან მათ შორის იმდენად მჭიდრო კავშირია, რომ ისინი განუყოფლად და ერთდროულად მოქმედებენ. რომელი უნარიც არ უნდა ამოიღო ამ ერთიანობიდან, ნორმალური ფსიქიკური ფუნქციონირება დაირღვევა, ამიტომ ვერც ერთს ვერ უწოდებ დაბალს.

ეს არ ნიშნავს, რომ ფსიქიკური უნარების ამ რიგში არ შეიძლება გამოიყოს გენეტიკურად პირველადი და ძირითადი უნარი, რომელიც ყველა დანარჩენთა საფუძველს და ჩანასახს წარმოადგენს. ესაა შეგრძნება. "შეგრძნების ძალა ძირითადი უნარია იმის გამო, რომ მისგან, როგორც თავისი წყაროსაგან, გამომდინარეობენ ადამიანის სულის დანარჩენი უნარები". ცხადია რომ ეს არის ემპირიული ფსიქოლოგიისთვის ესოდენ დამახასიათებელი *სენსუალისტური* თეზისი. შეგრძნების პროცესში სული თავისუფალი არ არის, ვინაიდან ის თავისდაუნებურად შეიგრძნობს იმას, რასაც გრძნობის ორგანოები აწვდიან. მას არ შეუძლია არ დაინახოს, არ გაიგონოს და

ა.შ. სულის თავისუფალი მოქმედების პირველი მომენტი ყურადღების ფუნქციონირების შედეგად წარმოიქმნება. სწორედ *ყურადღება* განაპირობებს, რომ სული მასში წარმოქმნილი მრავალი შეგრძნებიდან ერთ-ერთმე ჩერდება: შეხედვა, ყურის მიგდება, დაყნოსვა ყურადღების მოქმედების გამოვლინებებია. ყურადღება სულის ძალაა, რომლის გარეშე საერთოდ არავითარი შემეცნება არ შეიძლება. არ შეიძლება ვიცოდეთ ის, რისთვისაც ყურადღება არ მიგვიქცევია.

ყურადღებით შეპირობებული შეგრძნებები გვაძლევენ *მარტივ იდეებს* ან *წარმოდგენებს*. ყურადღების საშუალებით ადამიანები მათ ამჩნევენ, ერთმანეთს აღარებენ და ამით ცოდნის მასალად აქცევენ. ჩვენს წარმოდგენებს ჯერ კიდევ არ შეიძლება ეწოდოს "ცოდნა" ზუსტი მნიშვნელობით. ეს წარმოდგენები საგნების მხოლოდ თვალსაჩინო თვისებებს შეიცავენ და, როგორც შთაბეჭდილებებისა და შეგრძნებების უშუალო შედეგი, ხშირად მცდარი, არასრული და არასაკმარისი არიან. ყველა წარმოდგენა ინახება *მეხსიერებაში* და მეხსიერებისავე საშუალებით წარსდგება ცნობიერების წინაშე ნამდვილი, ჭეშმარიტი, ზოგადი და ახალი ცოდნის მისაღებად.

ასეთი ცოდნის მოსაპოვებლად შემეცნების პროცესში *აზროვნების* უნარი უნდა ჩაერთოს. განსჯა, მსჯელობა უშუალოდ ემსახურება "წარმოდგენითი ცოდნის" ხარვეზების აღმოფხვრას. მაგალითად, მარტივი წარმოდგენა მაგნიტის შესახებ არის მაგნიტისაგან ჩვენს მიერ მიღებული შთაბეჭდილებების აღდგენა, განსაკუთრებით მისი თვისებისა – მიიზიდოს რკინა. მაგრამ, ეს წარმოდგენა ჯერ კიდევ ვერ ჩაითვლება მაგნიტის ცოდნად. ასეთი ცოდნა იქნება ნათელი, გარკვეული და თანმიმდევრული წესრიგის მქონე ცნობიერება ანუ, არსებითად, მსჯელობა მაგნიტის თვისებათა შესახებ. წარმოდგენა ერთგვარად შეიცავს ასეთ ცოდნას, მაგრამ არა ისე ნათლად და გარკვეულად, როგორც მსჯელობა. გონებას მეტის ცხადყოფა შეუძლია. მას, დასკვნის უნარის გამოყენებით, შეუძლია მსჯელობებიდან გამოიყვანოს მათში ფარული სახით მოცემული ახალი მსჯელობები და, ამ გზით, ფაქტობრივად ახალი ცოდნის წყარო გახდეს. ნამდვილი, მეცნიერული ცოდნა მკაცრი გაგებით, ამ უნარის გამოყენებით მიიღწევა.

ამგვარად, აზროვნება მოიცავს განსჯის (მსჯელობის) და დასკვნის (გონების) უნარებს. პირველი ემსახურება წარმოდგენაში მოცემული ბუნდოვანი ცოდნის ნათელყოფას, ხოლო მეორე – მსჯელობებიდან ახალი ცოდნის წარმოებას. მაგრამ, თუ ჩავუკვირდებით, ენახავთ, რომ აეტორი განსჯას სხვა ფუნქციასაც მიაწერს. ეს არის თვით წარმოდგენის, როგორც საგნისა თუ მოვლენის მთლიანი ხატის შექმნის ფუნქცია. საგნიდან მიღებულ სხვადასხვა შეგრძნებებს ესაჭიროება ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა და საგნის წარმოდგენად გამთლიანება. "ცალკეული, განსხვავებულ გრძნობათა გზით მიღებული შეგრძნებები ჩვენ სულში ერთიანდებიან და ქმნიან ერთ მწყობრ მთელს ისე, რომ საბოლოო წარმოდგენა ყველა გრძნობად საგანზე იქმნება ყველა გრძნობის შთაბეჭდილებათა შეჯერების შედეგად". ქიქოძე ამტკიცებს, რომ ამას განსჯა აკეთებს, რაც გამოკვეთილად *ელემენტარისტული* თვალსაზრისია. ეს თვალსაზრისი შორს დგას თანამედროვე

მეცნიერების მიერ გაზიარებული მთლიანობის ფსიქოლოგიის შეხედულებისაგან, რომლის თანახმად აღქმის ხატი (ან "წარმოდგენა", ქიქოძის მიხედვით) არ წარმოქმნება შეგრძნებების (ელემენტების) საგანგებო გაერთიანების გზით; მთლიანობა აღქმის პირველადი და ძირეული თვისებაა. სამაგიეროდ, ქიქოძის პოზიცია საესებით ტიპურია ემპირიული ფსიქოლოგიისთვის.

ქიქოძე აღქმის ცნებას არ ულობს და აღქმის ფსიქიკურ პროცესზე არ ლაპარაკობს. ადრინდელისაგან განსხვავებით, გვიანდელ ემპირიულ ფსიქოლოგიაში შეგრძნება და აღქმა საკმაოდ მკაფიოდ იყო გაყოფილი. ეს უკანასკნელი წარმოადგენს საგნის თვალსაჩინო მოცემულობას, რომელიც ამ საგნის ცალკეული თვისებების შეგრძნებათა ჯამის სახით გვეძლევა. ემპირიული ფსიქოლოგიის ყველაზე ძლიერ განშტოებაში, ასოციაციონიზმში ამ გაერთიანების მექანიზმად ასოციაცია, კერძოდ კი ერთდროული (სიმულტანური) ასოციაცია იყო მოიაზრებოდა.

*ასოციაციის* შესახებ ქიქოძეც საუბრობს, მაგრამ არა აღქმის, არამედ, ფაქტობრივად, მეხსიერების პროცესთან მიმართებაში. სულიერი შინაარსები ერთმანეთთან დაკავშირებულ სისტემას ქმნიან ისე, რომ "გარკვეული წარმოდგენები მეხსიერებიდან სხვა წარმოდგენებს გამოიხმობენ, გარკვეული აზრები და ამბები გვაგონებენ სხვა აზრებსა და ამბებს. გარკვეული პიროვნების თუ აგდილთა ხილვა აღძრავს სხვა პიროვნებისა და აგდილთა ხატებს". ამას ეწოდება იდეათა კავშირი ან ასოციაცია. მაშასადამე, ასოციაციაზე მსჯელობისას ქიქოძეს მხოლოდ მისი ე.წ. თანმიმდევრული (სუქცესიური) სახეობა აქვს მხედველობაში. ეს ასოციაცია შეიძლება იყოს ბუნებრივი და შემოხვევითი. ბუნებრივია, როდესაც წარმოდგენა საგანზე აღმოაცენებს წარმოდგენებს ამ საგნის თვისებებსა და ნიშნებზე დამყარებით: ზამთარი თოვლს და სიცივეს მოგვაგონებს, ნაცნობი – მის ხასიათს, მუსიკალური ნაწარმოების ფრაგმენტი – მთელ ნაწარმოებს ან მის ავტორს, სახლი – მის მაცხოვრებლებს და ა.შ. შემთხვევითი ასოციაცია წარმოიქმნება შემთხვევითი მიზეზებით და არ გამომდინარეობს მოულენათა შინაგანი, კანონზომიერი მიმართებებიდან. ამგვარი ასოციაციები ინდივიდუალური ხასიათისაა და დამოკიდებულია ადამიანის აღზრდაზე, საქმიანობაზე, ცხოვრების წესზე და ა.შ. ისინი სიზმრების, სხვადასხვა ჩვეულებების, სიმპათია-ანტიპათიის, დამოკიდებულებების, ცრუ შეხედულებებისა და ცრურწმენების დიდი ნაწილის საფუძველს წარმოადგენენ. რატომ აქეთ, მაგალითად, ზოგიერთ ადამიანებს გამორჩეული უბედური დღეები და რიცხვები? იმიტომ, რომ ისინი ოდესღაც მომხდარ წარუმატებლობას დაუკავშირდნენ.

როგორც ცნობილია, ლოკი ასოციაციად მხოლოდ ასეთ არასასურველ კავშირებს მიიჩნევდა. შემდგომში ასოციაციის ცნების შინაარსი გაცილებით გაფართოვდა და მთელი ფსიქიკური ცხოვრების მთავარი შემაკავშირებელი მექანიზმის სახე მიიღო. ქიქოძის ემპირიულ ფსიქოლოგიას ნამდვილად ვერ ვუწოდებთ ასოციაციურს. ასოციაციებზე მსჯელობას ბევრი ადგილი არ ეთმობა და ის განიხილება ფსიქიკის მუშაობის ერთ-ერთ კერძო და შეზღუდული მნიშვნელობის მომენტად. ავტორი სულ არ ახსენებს ე.წ. ასოციაციის კანონებს, რომელთა შესახებ მუდმივად საუბრობდნენ ჯერ კიდევ

არისტოტელეს დროიდან. მათში მოცემულია ასოციაციის განმსაზღვრელი ფაქტორები და პირობები, რომლებიც ერთნაირად ეხება როგორც ბუნებრივ, ისე შემთხვევით ასოციაციებს. ქიქოძის ფსიქოლოგიის *არაასოციაციური* ხასიათი აიხსნება მისი საერთო ორიენტაციით გერმანულ მეცნიერებაზე (ასოციაციური ფსიქოლოგია უპირატესად ბრიტანეთში ვითარდებოდა). თუმცა ასოციაციონიზმის, როგორც ემპირიული ფსიქოლოგიის განშტოების ზოგადი ნიშნები, კერძოდ, სენსუალიზმი და ელემენტარიზმი, ქიქოძის ცდისეული ფსიქოლოგიისთვისაც არის დამახასიათებელი.

ქიქოძის ფსიქოლოგიურ შეხედულებათა ემპირისტულმა ხასიათმა მკაფიოდ იჩინა თავი მის პოზიციაში *თანდაყოლილ იდეებთან* დაკავშირებით. ეს საკითხი, როგორც ცნობილია, ერთ-ერთი საკვანძოა ემპირიზმისა და რაციონალიზმის დაპირისპირებაში. ქიქოძე კატეგორიულად უარყოფს რაიმე თანდაყოლილი, "მზა ცოდნის" ან იდეის არსებობას. ადამიანი მთელ თავის ცოდნას იძენს ან ცდის საშუალებით, ანდა "განაზრებით". თვით ღმერთის იდეაც კი (იმ ერთადეროისა, ვისაც შეეძლო თავიდანვე ჩაედო ადამიანის სულში იდეები) არ არის მოცემული თანდაყოლილი ცნების სახით, ანუ ისე, როგორც იგი ამჟამად არსებობს ჩვენს გონებაში. ეს ცნება უნდა გამომუშავდეს მსჯელობებისა და დასკვნების რიგის შედეგად. თანდაყოლილად კი შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ მიდრეკილება, "სულის აუცილებელი მოთხოვნა" აღიაროს ღმერთი პირველიეე შესაძლებლობისთანავე. იგი თანდაყოლილია ისე, როგორც ადამიანის სულიერი უნარები, მაგალითად, უნარი აზროვნებისა, რომელიც პოტენციურად აქვს ბავშვს დაბადებიდანვე. ეს უნარები განვითარების კვალდაკვალ მტკიცდება და სხვადასხვა ცოდნით მდიდრდება.

შეძენილია არა მხოლოდ ცოდნა, არამედ ადამიანის *ხასიათიც*. ამ ცნებაში ავტორი გულისხმობს "ადამიანის საქმიანობის იმ მუდმივ და საერთო სახეს, რომელიც ყოველთვის ყველა სულიერ ძალთა ერთგვაროვანი განწყობის შედეგია და ამდენად, გამოსატავს სულის შინაგან არსს, ე.ი. მის გონებრივ და ზნეობრივ თავისებურებებს ... შეიძლება ითქვას – ადამიანის ხასიათი, ეს თვით მთლიანად ადამიანია". ხასიათი არ არის დაბადებიდან მოცემული. მისი ფორმირება გარე პირობების უშუალო ზეგავლენით მიმდინარეობს (რელიგიური, ზნეობრივ-პოლიტიკური გარემო, გეოგრაფიულ-კლიმატური პირობები და სხვა). სამაგიეროდ, არსებითად თანშობილად უნდა ჩაითვალოს *ტემპერამენტი*, როგორც ადამიანის ბუნებრივი მიდრეკილება გამოავლინოს ამა თუ იმ სახის გრძნობები და აქტიურობის გარკვეული დონე. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ყოველივე სავსებით დამაჯერებლად გამოიყურება დღევანდელი ფსიქოლოგიის გადასახედიდანაც.

ქიქოძის ფსიქოლოგია *ცნობიერების ფსიქოლოგიაა*. მისთვის ცნებები "სული" და "ცნობიერება", არსებითად, სინონიმურია. თუ სულიერი (ფსიქიკური) მოვლენა სახეზეა, ეს ნიშნავს რომ ის ცნობიერია, ანუ სუბიექტს აქვს მის შესახებ ცნობა, "შინაგანი გრძნობა". ცნობიერება არის უნარი, რომელიც თან ახლავს ყველა სულიერ მოქმედებას: იგი შემადგენელ ნაწილად შედის ყველა სხვა უნარში. როცა ეს უნარი ჩართულია შეგრძნება-

ში, ჩვენ საგნობრივ ვითარებას ვაცნობიერებთ. მაგრამ, ამავე დროს, ეს შეგრძნება ჩვენს თავზე მიგვითითებს – ეს ჩემი შეგრძნებაა. იგივე ითქმის აზროვნებაზე; კიდევ უფრო მეტად ისეთ სულიერ მოელენებზე, როგორიცაა გრძნობები, სურვილები, ვნებები, რომელთა საგანი არის ჩვენი საკუთარი ყოფიერება, ჩვენი მე. აქედან შეიძლება ითქვას, რომ ცნობიერება *თვითცნობიერების* წყაროა. მაგრამ თვითცნობიერება, ქიქოძის გაგებით, უბრალოდ თავის თავზე მიმართული ცნობიერება კი არ არის, არამედ აზრია საკუთარი თავის, საკუთარი ყოფიერების შესახებ. აქედან გამომდინარე, მცირეწლოვან ბავშვს აქვს ცნობიერება, რამდენადაც აქვს შეგრძნებები, მაგრამ არა აქვს თვითცნობიერება, რამდენადაც მისთვის ჯერ კიდევ უცხოა წარმოდგენა, მსჯელობა და ცნება. იგივე ითქმის ცხოველზეც. ამრიგად, თვითცნობიერება, როგორც წარმოდგენა ან აზრი საკუთარი თავის შესახებ, გარკვეულად უახლოვდება დღევანდელ ფსიქოლოგიაში ფართოდ მიღებულ "მე-კონცეფციის" ცნებას.

ბუნებრივია, რომ ქიქოძის ცდისეულ ფსიქოლოგიაში ვერ მოინახებოდა ადგილი *არაცნობიერი* ფსიქიკურის ცნებისთვის. ფსიქოლოგიის რომელი ვერსიაც არ უნდა ავიღოთ, რაციონალური თუ ემპირიული, XIX საუკუნის მიწურულამდე თითქმის მთლიანად ცნობიერების ფსიქოლოგია იყო. ქიქოძე რამდენიმე ადგილას ხმარობს ტერმინს "არაცნობიერი", როგორც მექანიკურის ან ფიზიოლოგიურის სინონიმს. საგანგებოდაა გაანალიზებული გერმანელი ავტორის, კლენკეს "არაცნობიერი აზროვნების" ცნება და ნაჩვენებია, რომ აქ საქმე გვაქვს ორგანიზმულ პროცესთან, "ფიზიოლოგიურ ფაქტთან", რომელიც შეიძლება აისახოს ბუნდოვანი შეგრძნების სახით. მაგრამ აზროვნება ვითარების გარკვევით შეცნობას გულისხმობს. იმაზე, რასაც სული არ სცნობს, რაც მისი საგანგებო ყურადღების საგანი არ არის, ის არც აზროვნებს. ცნობიერება აზროვნებაა, აზროვნება კი ცნობიერება. მაშასადამე, გამოთქმა "არაცნობიერი აზროვნება" შეიცავს წინააღმდეგობას ტერმინებს შორის, დაასკვნის ქიქოძე.

აზროვნების პირველივე ექსპერიმენტულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ის გაჯერებულია არაცნობიერი პროცესებით და შინაარსებით (ვიურცბურგის სკოლა). თანამედროვე კოგნიტური ფსიქოლოგიის მონაცემები ადასტურებს, რომ კოგნიტურ ფუნქციონირებაში ინფორმაციის არაცნობიერ გადამუშავებას უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება. ფსიქოანალიზის გავლენით არაცნობიერი მოტივაციის მრავალი გამოვლინება იქნა შესწავლილი. ქცევის საერთო რეგულაციაში არაცნობიერი განწყობის გადამწყვეტი მნიშვნელობის შესახებ არაერთი მონაცემი მოეპოვება უზნაძის ფსიქოლოგიურ სკოლას. ქიქოძის დროს ეს ყველაფერი ცნობილი არ იყო. ამიტომ მის მიერ ქცევისა და მოტივაციის პრობლემატიკის განხილვა, ბუნებრივია, მთლიანად ცნობიერების ფსიქოლოგიის ჩარჩოებშია მოქცეული.

დაბოლოს, შევეხოთ ქიქოძის შეხედულებას *ნებისყოფასა* და მის *თავისუფლებაზე*, სადაც განსაკუთრებით იკვეთება ემპირიული და რაციონალური ფსიქოლოგიის შეუთავსებლობა. ავტორის თქმით, ნების თავისუფლების საკითხი არსებითად ფილოსოფიური, მეტაფიზიკური საკითხია. მიუხედავად

ამისა, იგი მაინც აპირებს მის გადაწყვეტას თავისი "ფსიქოლოგიის საფუძვლების" შესატყვისად, ანუ ცდისეულად და ემპირიულად, და ამისთვის ნებელობის ფსიქოლოგიას მიმართავს.

საკითხი ასეა ფორმულირებული: "თავისუფალია თუ არა ნება თავის მოქმედებებში, ე.ი. თავისუფლად, იძულების გარეშე გადაწყვეტს თუ არა იმოქმედოს ასე და არა სხვაგვარად, თუ ნებამ ყოველთვის აუცილებლობით უნდა ისურვოს და იმოქმედოს ასე და არა სხვაგვარად". მაგრამ რა არის ნება (ნებისყოფა), როგორც რეალური სულიერი უნარი (ფსიქიკური პროცესი)? ამას ავტორი წიგნის დასაწყისშივე განმარტავს, როცა ახასიათებს ე.წ. მოქმედებისეულ უნარებს თუ ძალებს. მოკლე და მკაფიო ფორმულირებათა სახით წარმოდგენილია ამ ძალების ფენომენოლოგიური სურათი. ყველაფერი იწყება *გასაჭირის* (იმავე მოთხოვნილების) გაჩენით. უნდა არსებობდეს მოქმედების რეალური საჭიროება, აღამიანს რაიმე უნდა დააკლდეს, რომ იგი საეროდ მოქმედებისკენ წარიმართოს. ამ ობიექტური გასაჭირის შესახებ მას ატყობინებს სპეციალური განცდა, უსიამოვნო *გრძნობა მოუსვენრობისა*, რომელიც თავის თავში შეიცავს დანაკლისის აღმოფხვრის ტენდენციას. შემდეგ საფეხურზე ხდება სულის შემეცნებითი უნარების მობილიზაცია გასაჭირისაგან თავის დასაღწევი რესურსების გამოსავლენად (რომელი საგანი, რა მოცულობით შეავსებს დანაკლისს, რა საშუალებებით უნდა იქნეს ის მოპოვებული). სულის ყველა უნარის მიმართულობას გასაჭირისკენ ქიქოძე *სურვილს* უწოდებს, ხოლო მის ყველაზე ძლიერ გამოვლინებას – *ენებას*. ამ პროცესის ბოლო საფეხური *ნება ანუ ნდომაა*. აქ მიიღება *გადაწყვეტილება*, ჩნდება განზრახვა შესრულდეს შესაბამისი მოქმედება. ნება, ფაქტობრივად, გადაწყვეტილებაა და არა თავად მოქმედება. ნების, როგორც სპეციფიკური სულიერი უნარის არსი გადაწყვეტილების მიღებაშია. ნება თავად არის გადაწყვეტილება, სულის განზრახვა, მიმართოს თავისი ძალები სურვილის შესრულებისკენ.

მოქმედებისეული უნარებისა თუ ძალების საილუსტრაციოდ შემდეგი მაგალითია მოყვანილი: დიდი ხნის უჭმელობის შემდეგ თავს იჩენს ჭამის საჭიროება. ის ბადებს მოუსვენრობას, რომელსაც შიმშილი ეწოდება. შიმშილის დროს ადამიანი მიმართავს თავის სულიერ ძალებს საჭიროების დაკმაყოფილებისკენ. განსჯა საჭმლის მიღების აუცილებლობაზე მიუთითებს, ხოლო წარმოსახვა დაკმაყოფილებით მიღებულ სიამოვნებას წარმოუდგენს. სულის ეს მდგომარეობა არის სურვილი. ბოლოს ადამიანი ხედავს პურს და გადაწყვეტს შეჭამოს. ეს გადაწყვეტილება, რომელიც შერწყმულია აზრთან, რომ მას შეუძლია ამ მოქმედების შესრულება, არის ნება, ნდომა.

ახლა დავუბრუნდეთ თავისუფლების ცნების ანალიზს. თავისუფლებაზე საუბარი მხოლოდ სულიერ, გონებით დაჯილდოებულ არსებებთან მიმართებაში შეიძლება. უსულო არსებები ან საგნები მოქმედებენ მექანიკურად და აუცილებლობით ემორჩილებიან გარე ძალების ზემოქმედებას. ამის საპირისპიროდ, გონიერ სულიერ არსებას აქვს უნარი, გაარჩიოს ავი და კარგი, აირჩიოს საუკეთესოდ მიჩნეული მოქმედება და წარმართოს მისკენ თავისი ძალები. ეს კი შესაძლებელია იმიტომ, რომ გონიერებასთან ერთად იგი

თავისუფალიცაა. გონება მხოლოდ აფასებს ვარიანტებს, მაგრამ შემდეგ საჭიროა არჩევანის გაკეთება, რაც თავისუფლების გარეშე შეუძლებელია. მაშასადამე, თავისუფლება და გონიერება აუცილებლობით უკავშირდება ერთმანეთს. ასევე აუცილებლობით გულისხმობს თავისუფლება მოქმედების შესაძლებლობასაც. გონების მიერ საუკეთესოდ მიჩნეული მისწრაფება ვერ განხორციელდება, თუ ადამიანი არ ფლობს სათანადო შესაძლებლობებს, ძალებს ან იარაღებს. თავისუფლების არე მათი არსებობა-არარსებობით არის შეზღუდული. ციხეში მყოფს არა აქვს იმის შესაძლებლობა (თავისუფლება), რომ გამოვიდეს იქიდან, სიმაღლიდან ვარდნილს არ შესწევს ვარდნის შეჩერების ძალა (თავისუფლება). ამგვარად, თავისუფლების ცნება აუცილებელ კავშირშია ამ ორ არსებით თვისებასთან, გონებასთან და გონებით ნაკარნახევის შესრულების შესაძლებლობასთან. ავტორი ცდილობს ამ თვისებათა საფუძველზე ახსნას ნების მოქმედების ყველა გამოვლენა.

ამ მოვლენათა ანალიზი ცდისეულ ფსიქოლოგიაში *მოტივაციის* თემას უკავშირდება. ნება, ფაქტობრივად, გადაწყვეტილების უნარია, ხოლო ეს უკანასკნელი არ არსებობს *მიზეზის ანუ მოტივის* გარეშე. ნება, გადაწყვეტილება ყოველთვის რაიმე მოტივის მოქმედების შედეგია. ნება, უმეტესწილად, ე.წ. *გრძნობადი მოტივების* საფუძველზე, ანუ სიამოვნების ან უსიამოვნების წარმოდგენის გეგავლენით მოქმედებს. ასეა ბავშვების, შეშლილების და იმ ნორმალური მოზრდილი ადამიანების შემთხვევაში, რომლებიც გრძნობათა შთაგონებით ხელმძღვანელობენ. ნების გრძნობადი მოტივირების მაგალითია ძლიერი ვნებით ან აფექტით აღძრული მოქმედება. ამ შემთხვევების დროს ცოტაა თავისუფლება, რადგან გონება სულ არ მონაწილეობს მოქმედებაში. გრძნობადი ლტოლვები შეიძლება თავისუფალი მოქმედების მიზეზი გახდეს იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება მათი რეალიზაციის შესახებ ცნობიერად, "განაზრების" საფუძველზე კეთდება. მიუხედავად იმისა რომ ამ დროს მოქმედება დაბალი, გრძნობისეული მოტივების განხორციელებაზეა მიმართული, ნება მაინც სავსებით თავისუფალია, ვინაიდან არჩევანი გონების კარნახითაა გაპირობებული. მაგალითად, თუ მაეანი ანგარებით და გამდიდრების ლტოლვეით შეპყრობილი გონებით ხელმძღვანელობს თავისი მდაბალი მიზნების მისაღწევად, მისი ნება მაინც უთუოდ თავისუფლად უნდა მივიჩნიოთ.

ადამიანის ნება მოქმედებს წმინდა *გონებისეული მოტივებითაც*. ამ შემთხვევაში ნებას განსაზღვრავს არა შინაგანი მოტივები, არამედ თავად საგნის ობიექტური თვისებები. მაგალითად, ჩვენ ნებაყოფლობით ვემორჩილებით კანონის ავტორიტეტს, ზნეობის ნორმებს, ვასრულებთ მოვალეობას და ამას ვაკეთებთ მიუხედავად იმისა, რომ ეს არ არის სასიამოვნო ან, ყოველ შემთხვევაში, ეწინააღმდეგება გრძნობად მოტივებს, სხეულებრივ სიამოვნებას. "ნების თავისუფლებაში შეიძლება შეეეჭვდეთ, წერს ქიქოძე, როცა ის სხეულის საჭიროებას ექვემდებარება და სასიამოვნო წარმოდგენის მეგავლენით აკეთებს არჩევანს. მაგრამ, როცა ის ემორჩილება გონების მრწამსს და მოქმედებს თავისი გრძნობების მისწრაფების საპირისპიროდ, თავისი სურვილების საპირისპიროდაც კი, აქ უკვე შეუძლებელია უარვყოთ

ადამიანის თავისუფლება".

მოტივები გარკვეულად განსაზღვრავენ ნების მოქმედებას, მაგრამ არ არომეენ მას თავისუფლებას. ეს მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ კავშირს მოტივსა და ქცევას შორის ექნებოდა აუცილებელი ხასიათი, თუ მოტივები გარდუვალად და უსათუოდ წაიყვანდნენ ნებას ამ და არა სხვა მიმართულებით. ასეა, მაგალითად, როცა სიმძიმე იზიდავს სხეულს ცენტრისკენ და არა პირიქით. ნებელობის შემთხვევაში ასეთ დეტერმინაცია არ ხდება. "მოტივები ყოველთვისაა, მაგრამ მათი კავშირი მოქმედებასთან არ არის აუცილებელი, ე.ი. ნებას შეუძლია დაეთანხმოს მათ, მაგრამ შეუძლია მათ არ მისდიოს".

ქიქოძე ამ თვალსაზრისს იცავს. ამასთან თელის, რომ ნების თავისუფლების ყველაზე ნათელ დადასტურებად უნდა ჩაითვალოს ყველას მიერ კარგად ცნობილი გრძნობათა ჭიდილი, შინაგანი გაორება, რომელიც გადაწყვეტილებას ახლავს თან. ნება რომ ფიზიკური კანონების აუცილებლობით მოქმედებდეს, არ იარსებებდა არავითარი გადაწყვეტილება, შინაგანი ბრძოლა, ყოყმანი; არ გვაქნებოდა ისეთი განცდებიც, როგორიცაა სინდისის ქეჯნა და არც ის კმაყოფილება, რომელსაც ვიღებთ ვნებებზე გამარჯვებით. ისინი გვიჩვენებენ, რომ ნება არ დანებდა ცდუნებას, მას არ დაუკარგავს თავისუფლება და არ ქცეულა მონად.

თავისუფლებაზე მსჯელობა მთავრდება იმის მტკიცებით, რომ დედამიწაზე უმაღლესი შესაძლო თავისუფლების მატარებელი მხოლოდ ჭეშმარიტი ქრისტიანია. მისი ამაღლებული, სიკეთით გამსჭვალული სურვილები არ არის გარედან თავსმოხვეული. ქიქოძე მართებულად შენიშნავს, რომ შეიძლება ადამიანი აიძულო გარკვეულად იმოქმედოს, მაგრამ ვერ აიძულებ ისურვოს ასე და არა სხვაგვარად. ჭეშმარიტი ქრისტიანი მიისწრაფვის სიკეთისკენ სრულიად გულწრფელად, ძალდაუტანებელად და, მაშასადამე, თავისუფლად. და თუ იგი თავისუფალია თავის სურვილებში, მით უმეტეს თავისუფალია მოქმედებაში. ქრისტიანული ზნეობრივი კანონი მის მიერ სიამოვნებით სრულდება.

ამრიგად, ნების ძირეული მოშენტი გადაწყვეტილებაა, რომელიც განსჯით არის ნაკარნახევი. ნებისყოფის ფსიქიკური ფუნქციის ასეთი დახასიათება შეხედულებათა იმ კლასში თავსდება, რომლებიც ნებელობის სპეციფიკას გადაწყვეტილების აქტში სედავენ. ამავე ჯგუფში შედის, მაგალითად, დიმიტრი უზნაძის თვალსაზრისიც, რომლის მიხედვით ნებისყოფის პროცესის სამ პერიოდს შორის (გადაწყვეტილების მომზადება, გადაწყვეტილება და გადაწყვეტილების შესრულება) ნებელობისთვის სპეციფიკური სწორედ გადაწყვეტილების მიღებაა. ქიქოძე ერთმანეთისაგან არ ასხვავებს ნებელობით და უნებლიე (იმპულსურ) ქცევას. მთავბეჭდილება ისეთია, რომ მას ყველა მოქმედების ნებასთან დაკავშირება სურს. იგი თავისუფლების გარკვეულ ხარისხს უტოვებს ისეთ მოქმედებასაც, რომელშიც გონება, განსჯა სულ არ მონაწილეობს (ბავშვი, შეშლილი ან აფექტში მყოფი ადამიანი). თუ აქ თავისუფლების თუნდაც მცირე ხარისხია დამვებული, მაშინ, იგივე ოდენობით, აქ ნებაც არსებობს. მაგრამ გაუგებარია, საიდან ჩნდება ან ერთი ან

მეორე; მათთვის ხომ, აეტორისეული განმარტებით, განსჯა აუცილებელია. თავი რომ დავანებოთ ამ ანალიზის წინააღმდეგობრიობას, ის უბრალოდ არასრულია, რამდენადაც არ მოიცავს ქცევას, რომელიც გონების (ცნობიერების) მონაწილეობის გარეშე სორციელდება. მაგალითად, მყარი ჩვეული.

ნებისმიერი ქცევის თავისებურება სწორედ ასეთ (იმპულსურ) ქცევასთან დაპირისპირებაში იჩენს თავს. ამ შემთხვევაში მისწრაფების იმპულსი პირდაპირ, აბროკენებით გაშუალების გარეშე აღძრავს აქტიურობას. ნებელობით ქცევაში ჩართულია გონება (აზროვნება). მაგრამ, აზროვნება საკმარისი არ არის ისეთი რამის გასაკეთებლად, რაც არ ვსურს და რასაც ნებელობა გაკეთებინებს. ამისთვის მას ძალა, აქტიურობის საკუთარი წყარო ესაჭიროება, რომელიც იმპულსური ქცევის აღმძვრელს დაუპირისპირდება. უზნაძე ამბობდა: "ნებელობის პრობლემის ძირი აქ, ამ თავისებურებაში მარხია, და ნებელობის ფსიქოლოგიას განსაკუთრებით იმის გამორკვევა ეევალება, თუ რომელია ის წყარო, საიდანაც ნებელობა მოქმედების ენერგიას იძენს" (უზნაძე). საკითხის ასეთი დასმა ნებელობის არსებითი მხარის, მისი სპეციფიკის გამოვლენაზეა მიმართული.

ქიქოძე სხვაგვარად უდგება ნებელობის საკითხს. იგი მსჯელობს ორი სახის მოტივზე და მათ მიერ აღძრულ ყველა მოქმედებას ნებელობითს უწოდებს. მაგრამ აქ მთავარი ის არის, რომ გონებით დაკვალიანებული ნება შეიძლება ერთასაც დაუპირისპირდეს და მეორესაც. მაშინ გაუგებარი რჩება, თუ საიდან იღებს იგი ამისთვის საჭირო ძალას. გონებას, აზრს, იდეას თავისთავად დინამიკური თვისებები არ გააჩნია და აქტიურობის გამოწვევის უნარს მოკლებულია. ამის გაკეთება მხოლოდ მოტივაციურ წარმონაქმნს შეუძლია.

ნებელობითი მოქმედების ტიპური სიტუაციების დახასითებისას ქიქოძე და სხვა ფსიქოლოგებიც ისეთ მაგალითებს განიხილავენ, სადაც ადამიანი რაიმე ძლიერი აქტუალური მოთხოვნილების იმპულსს უპირისპირდება და იმას აკეთებს, რისი სურვილიც არ გააჩნია, მაგრამ რასაც საჭიროდ თვლის. სწორედ აქ იჩენს თავს ურთულესი თეორიულ პრობლემა: როცა მშიერი ადამიანი უარს ამბობს საჭმელზე და უსიამოვნების მომგვრელ საქმეს პკიდებს ხელს, აუცილებელია გაირკვეს, თუ როგორ ახერხებს იგი ამას. გონების მიერ საჭიროდ მიჩნეულ ქცევას არ გააჩნია ისეთი სუბიექტური მიმზიდველობა, რომ აჯობოს ახლანდელ სურვილს. ამისთვის აუცილებელია საკუთრივ ნებელობასთან დაკავშირებული აღმძვრელი ძალა. სწორედ აქ დგება ნებელობის ფსიქოლოგიის ცენტრალური პრობლემა, რომელსაც ქიქოძე ყურადღების გარეშე ტოვებს.

ეს ნაწილობრივ მაინც აუფასურებს მის მოსაზრებებს ნების თავისუფლების თაობაზე. საქმე ისაა, რომ, მოყვანილი განსაზღვრებით, თავისუფლება ორ რაიმეს გულისხმობს: გონებას და შესაძლებლობებს. აქ არ არის გარკვეული მოტივაციის ადგილი, რომლის გარეშე ვერც ნებელობის საკითხი გადაიჭრება და, მით უფრო, ვერც მისი თავისუფლებისა.

ფსიქოლოგიას დასკვნები ფაქტების საფუძველზე გამოაქვს. ფაქტები კი იმაზე მიუთითებს, რომ ყოველგვარი ქცევა (გადაწყვეტილება) შინაგან-

ადა განსაზღვრული, ანუ მოტივირებულია. "გადაწყვეტილება არასოდეს არ არის მიზეზის გარეშე ... ნება ყოველთვის წარმოიშობა ადამიანში სხვადასხვა მოტივის შედეგად". გვეუბნება ქიქოძე. ეს საყოველთაოდ მიღებული დებულებაა, რომელიც ემპირიული მოცემულობით საბუთდება. ზემოთ მოყვანილ მაგალითს რომ გაეცნეთ, შიმშილი არის მოტივი (სურვილი), რომლის საფუძველზე მიიღება ჭამის გადაწყვეტილება. გამოდის, რომ ნება დეტერმინირებულია მოტივით. იგივე დასკვნა უნდა გაკეთდეს მაშინაც, როცა ჭამის ნაცვლად სხვა მოტივის საფუძველზე სხვა მოქმედების გადაწყვეტილება მიიღება. მაგრამ, ქიქოძის აზრით, ეს ასე არ უნდა იყოს, ვინაიდან ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, აქვს თუ არა კავშირს მოტივსა და ქცევას (გადაწყვეტილებას) შორის აუცილებელი სასიათი. ქიქოძე ასე ამბობს: მოტივი არ ართმევს ადამიანს თავისუფლებას, რამდენადაც ნებას შეუძლია დეთანხმოს მოტივს ან არ მისდიოს მას. მოტივი გარდაუვალად და უსათუოდ არ იწვევს გარკვეულ მოქმედებას.

საიდან ჩანს, რომ ეს კავშირი არ არის აუცილებელი სასიათისა, თუნდაც მოყვანილ მაგალითში? იქიდან სომ არა, რომ შიმშილი (მოტივი) ზოგჯერ იწვევს ჭამის მოქმედებას და ზოგჯერ არა? ეს ფაქტი მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ შიმშილზე უფრო მნიშვნელოვანი მოტივის გაჩენისას გადაწყვეტილება ამ მოტივის სასარგებლოდ შეიცვლება. მაგრამ, პირობების იდენტურობის შემთხვევაში, ე.ი. თუ სხვა ფაქტორები არ ჩაერევა, ეს მოტივი უსათუოდ იმავე გადაწყვეტილებას და მოქმედებას დაედება საფუძველად. ამასთან, გადაწყვეტილების აქტი და შემდგომი ქცევა ყოველთვის რაღაცით მოტივირებული იქნება. ამდენად, ყველა შემთხვევაში, ფსიქოლოგიური ანალიზის დონეზე, მოქმედების მოტივირებულობის ფაქტი მას დეტერმინაციის სფეროში აქცევს, სადაც თავისუფლებაზე საუბარი საკმაოდ რთულია.

მეცნიერების ისტორია გვარწმუნებს, რომ ყველა ვინც განიზრახავს ფსიქოლოგიის რესურსებით გადაწყვიტოს თავისუფლების პრობლემა, ე.ი. ქცევის გარკვეულ სახეობას (ნებელობით ქცევას) მიაწეროს თავისუფლების ნიშანი და შემდეგ ის მეცნიერების მეთოდოლოგიის შესაბამისად იკვლიოს, სერიოზულ სირთულეებს აწყდება. ეს იმიტომ ხდება, რომ მეცნიერება ძალიან ძნელად ეგუება ინდეტერმინიზმსა და თავისუფლებას. დეტერმინისტული წანამძღვრების გარეშე საეჭვოა ეფექტური და მიზანდასახული მეცნიერული კვლევა-ძიება. ამას აღიარებენ როგორც მეცნიერების ფილოსოფოსები (პოზიტივისტები), ისე თავისუფლების ფილოსოფოსები (ეგზისტენციალისტები). თუ ფსიქოლოგია მეცნიერებაა, თანაც ცდისეული მეცნიერება, მაშინ ის უთუოდ იზიარებს ამ მოცემულობას. მან უნდა დაადგინოს ქცევის განმსაზღვრელი კანონზომიერებანი, ანუ იმუშაოს აუცილებლობის და არა თავისუფლების "სივრცეში". ნებელობის ფსიქოლოგიაში მეცნიერების პრინციპებთან თავისუფლების კატეგორიის შეუთავსებლობის აღიარების ყველაზე დრამატული მაგალითია უ. ჯეიმსის კლასიკური ნაშრომი (იხ. 4.4.).

მოცემული საკითხის განხილვა ცდისეულ ფსიქოლოგიაში სრულდება თეოლოგიური მსჯელობით იმის შესახებ, რომ თავისუფლების მაგარებელი მხოლოდ ჭეშმარიტი ქრისტიანია. ეს, შესაძლოა, მართლაც ასეა, მაგრამ

ნათელია, რომ ფსიქოლოგიის, მეტაღრე ცდისეული ფსიქოლოგიის ფარგლებში, ეს თეზისი ვერ დასაბუთდება. საზოგადოდ, როდესაც ცდისეული ფსიქოლოგიის მთელ ტექსტს გასდევს თეოლოგიური და მეტაფიზიკური მსჯელობები, ჩნდება კითხვა წიგნის დასაწყისში გამოთქმული დაპირების თაობაზე, რომ ავტორი უარს იტყვის "უნაყოფო კონებაჭერეტაზე", მოიმარჯვებს ცდისეულ მეთოდს და წარმოაღგენს ახალ, საბუნებისმეტყველო ტიპის მეცნიერებას – ფსიქოლოგიას.

არავინ უარყოფს რაციონალური ფსიქოლოგიის არსებობის უფლებას. ეოლფისა და კანტის განმარტებით, ეს არის სწავლება სულის არსზე, მის მეტაფიზიკურ ბუნებაზე. მისი ამოცანებია: 1. სულის თვისებების დადგენა (მარტივი, თავისუფალი, სუბსტანციური): 2. სულის მიმართების გარკვევა სხვა საგნებთან, როგორც მატერიალურთან (სულის არამატერიალურობის საკითხი), ისევე არამატერიალურთან (მაგ., ცხოველთა სულის საკითხი); 3. სულისა და სხეულის ურთიერთქმედების სხვადასხვა ასპექტების ნათელყოფა და 4. სულის უკვდავების საკითხი დამუშავება, რომელიც უმთავრესია. აღვილია იმის დანახვა, რომ ქიქოძე გულდასმით მიჰყვება ამ სქემას და საფუძველიანად განიხილავს რაციონალური ფსიქოლოგიის ყველა საკითხს. ქიქოძის დროს ასეთი ფსიქოლოგიაც იწერებოდა და ემპირიულიც (ცდისეული). ისინი მკაფიოდ იყო გამიჯნული, ვინაიდან მათი მეთოდოლოგია და შინაარსი რადიკალურად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. რაციონალური ტიპის ფსიქოლოგიას ძირითადად ისინი ქმნიდნენ, ვინც კანტს მიჰყვებოდა და ფსიქოლოგიას, არსებითად, მეტაფიზიკის ნაწილად მიიჩნევდა. იმ ეპოქაში, როდესაც აქტიურად მზადდებოდა ინტელექტუალური ფონი ფსიქოლოგიის ფილოსოფიდან გამოყოფისა და დამოუკიდებელ პოზიტიურ მეცნიერებად გაფორმებისთვის, ასეთი პოზიცია პროგრესულად არ გამოიყურებოდა. ყოველ შემთხვევაში, უმეტესობა აცნობიერებდა, რომ ფსიქოლოგია უნდა დაცლილიყო წმინდა მეტაფიზიკური სპეკულაციებისაგან. XIX საუკუნეში ნამდვილი ემპირიული ფსიქოლოგია ასეც იწერებოდა.

ქიქოძის განაცხადიც ასეთი იყო, თუმცა ეს ჩანაფიქრი ბოლომდე ვერ განხორციელდა. მის ფსიქოლოგიაში მრავალი მონაცემია მოყვანილი, კლასიფიცირებული და თეორიულად გააზრებული. თვალშისაცემია ფიზიოლოგიური მასალის სიუხვე, თუმცა შრომას არც ინტროსპექტული ან ყოფითი დაკვირვებები აკლია. აქ ნათლად გამოვლინდა ავტორის მახვილი თვალი, ქცევასა და განცდაზე დაკვირვების უბადო უნარი, რაც ღიდად დასაფასებელია ახალგაზრდა მკვლევარისთვის (წიგნის გამოსვლისას მას 33 წელი შეუსრულდა). თეორიული მსჯელობებისას იგრძნობა ავტორის ღიდი განსწავლულობა. მისთვის დამახასიათებელია აზრის გადმოცემის მეტად ნათელი სტილი, რთულ საკითხებზე მარტივად საუბრის უნარი, რაც განსაკუთრებით ესაჭიროება სახელმძღვანელოს. თუმცა, ამასთანავე, მან ღიდი ადგილი დაუთმო ისეთ საკითხებზე მსჯელობას, რომელთა ადგილი არ მოაზრება ცდისეულ ფსიქოლოგიაში. სწორედ ამიტომაა ქიქოძის ცდისეული ფსიქოლოგიის შემფასებელთა პოზიცია არაერთგვაროვანი.

პირველივე გამოხმაურებებში ზოგმა ღადებითად შეაფასა შრომის

საბუნებისმეტყველო ხასიათი, ზოგმა კი ეს აეტორს უღიდეს ნაკლად ჩაუთვალა და წიგნი ქრისტიანული ღოგმატების დამრღვევე ერეტიკულ ნაწარმოებად შერაცხა. ეს ითქვა ნაშრომზე, რომელიც თავიდან ბოლომდე გაჯერებულია მსჯელობებით სუბსტანციურ სულსა და მის უკვდავებაზე. მომდევნო საუკუნეშიც იგივე ხდებოდა – ერთნი ცდისეული ფსიქოლოგიის მატერიალისტურ ხასიათს აქებდნენ, მეორენი კი იდეალისტურ-თეოლოგიურ ორიენტაციას აფასებდნენ. ამ პარადოქსის გამიცნობა ადვილია. გააჩნია კრიტიკოსის პოზიციას, ითორემ ქიქოძის ცდისეულ ფსიქოლოგიაში ემპირიულსა და საბუნებისმეტყველოს ისევე იპოვი, როგორც მეტაფიზიკურსა და თეოლოგიურს. მოკლედ, ქიქოძის "ცდისეული ფსიქოლოგიის შესავალი", მიუხედავად სახელწოდებისა, სინამდვილეში ემპირიული და რაციონალური ფსიქოლოგიის ნაზავია. ისინი ვერ ქმნიან პარმონიულ მთლიანობას, მაგრამ, განსხვავებით ანტონის ფსიქოლოგიისაგან, ნაშრომის მკაფიო ორიენტაცია მეცნიერულ მეთოდოლოგიაზე მკითხველში ამკვიდრებს აზრს ფსიქოლოგიის, როგორც სრულფასოვანი პოზიტიური მეცნიერების შესაძლებლობის შესახებ. საბოლოო ანგარიშით, ასეთმა ნაშრომებმა გაუკვალეს გზა ფსიქოლოგიას მეტაფიზიკიდან თავისუფალ ექსპერიმენტულ მეცნიერებამდე.

ქიქოძემ დამსახურებულად დაიკავა საპატიო ადგილი ქართულ კულტურაში. როგორც მღვდელმსახურმა და დიდმა მამულიშვილმა, მან მრავალი სასიკეთო საქმე გააკეთა. როგორც სწავლულმა, შექმნა თხზულება, რომელმაც უთუოდ შეასრულა თავისი ისტორიული როლი – აჩვენა წიგნიერ საზოგადოებას სულიერ სინამდვილესთან მისასვლელი მეცნიერული გზა. ილიამ ქიქოძეზე თქვა: ეს იყო ადამიანი, "ვინც სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა". თუ საქართველოში ვინმეზე ითქმოდა ასეთი რამ, ეს უთუოდ გაბრიელ ეპისკოპოსი იყო.

ქართული ფსიქოლოგიური აზრის განვითარების უზნაძემდელი პერიოდი სრულად ვერ წარმოჩინდება, თუ არ განვიხილავთ გამოჩენილი ფიზიოლოგის, ი. თარხნიშვილის შემოქმედებას, რომელიც გაჯერებულია ფსიქოლოგიური შინაარსით.

**ივანე თარხნიშვილი** (თარხან-მოურავი, თარხანოვი) (1846-1908) დაიბადა თბილისში. 1863 წელს ჩაერიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. მალე იგი ექცევა გამოჩენილი რუსი ფიზიოლოგის ი. სეჩენოვის გავლენის ქვეშ და გადადის პეტერბურგის სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიაში, საიდაც სეჩენოვი ასწავლიდა. 1869 წელს წარჩინებით ამთავრებს აკადემიას, ორი წლის შემდეგ იცავს სადოქტორო დისერტაციას, კიდევ ორი წლის შემდეგ კი აკადემიის სტიპენდიით უცხოეთში მიემგზავრება ორწლიანი მივლინებით ცოდნის გასაღრმავებლად. იგი მუშაობს ევროპის საუკეთესო ლაბორატორიებში და უასდაუდებელ გამოცდილებას იძენს ეოლცის, ბერნარის, შარკოს და სხვათა ხელმძღვანელობით. 1877-1895

წლებში მუშაობს სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიაში პროფესორად და ხელმძღვანელობს ფიზიოლოგიის კათედრას. თარხნიშვილის წასვლის შემდეგ ამ კათედრას პაელოვი ჩაუდგა სათავეში, რომელიც ძალზე მაღალ შეფასებას აძლევდა თავის წინამორბედს. თარხნიშვილი იყო მსოფლიოში ცნობილი მკვლევარი, მრავალი სამეცნიერო საზოგადოებისა და აკადემიის წევრი. ივანე თარხნიშვილი დაკრძალულია პეტერბურგში, ალექსანდრე ნეველის ლავრაში.

თარხნიშვილი იყო გამოჩენილი ფიზიოლოგი ექსპერიმენტატორი. მის სახელს უკავშირდება რამდენიმე საქვეყნოდ ცნობილი აღმოჩენა, განსკუთრებით ბიოელექტრული ეფექტების სფეროში. ამავე დროს, თარხნიშვილი იყო ბუნებისმეტყველი თეორეტიკოსი, სიცოცხლის ფუნდამენტური პრობლემებით დაინტერესებული მოაზროვნე, რომელიც ძირფესვიანად აანალიზებდა ბიოლოგიური ორგანიზმის მიმართებას ფიზიკურთან და ფსიქიკურთან. ფსიქოლოგიის ისტორიისთვის ეს უკანასკნელი მომენტია მნიშვნელოვანი. თარხნიშვილის კვლევა-ძიება მოიცავდა ფიზიოლოგიისა და ფსიქოლოგიის მოსაზღვრე თემებს (ფსიქოფიზიოლოგია, სამედიცინო ფსიქოლოგია, ცნობიერების შეცვლილი მდგომარეობები). იგი პრინციპულად სვამდა საკითხს ფიზიოლოგიურისა და ფსიქიკურის საზღვრებისა და მათი შესასწავლი დისციპლინების ურთიერთმიმართების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ მეთოდოლოგიური ძიებისას თარხნიშვილი ავლენდა იმდროინდელი ფსიქოლოგიის მიღწევების ზედმიწევნით კარგ ცოდნას. ღრმა საბუნებისმეტყველო და ფილოსოფიურ განსწავლულობას.

თარხნიშვილი იმ პერიოდში მოღვაწეობდა, როდესაც ფსიქოლოგია დამოუკიდებელ ექსპერიმენტულ დისციპლინად ყალიბდებოდა. ამ მეცნიერების სათავეებთან იდგა არა ერთი თვალსაჩინო ფიზიოლოგი (ბრედი, ვებერი, პელმპოლცი, ჰერინგი და სხვები). მათ შორის იყო თარხნიშვილის მასწავლებელი სეჩენოვი, ავტორი ფსიქიკური რეგულაციის რეფლექსური კონცეფციისა და მომხრე იმისა, რომ ფსიქოლოგიაში კვლევის ობიექტური მეთოდები დანერგილიყო. თავად თარხნიშვილი თვლიდა, რომ ფსიქოლოგია, როგორც ემპირიული მეცნიერება სულიერი მოვლენების წარმოქმნისა და მიმდინარეობის შესახებ, უნდა გაემიჯნოს მეტაფიზიკას და კვლევა წარმართოს მისთვის სპეციფიკური ინტროსპექციის (სუბიექტური) და ექსპერიმენტის (ობიექტური) მეთოდების შეერთების გზით.

საგულისხმოა, რომ კვლევის ობიექტური მეთოდების გამოყენების აუცილებლობას თარხნიშვილი მხოლოდ თვითდაკვირვების ცნობილი სირთულეების გამო არ ხედავს. საქმე ის არის, რომ ინტროსპექცია მხოლოდ ცნობიერებაში შეღწევის საშუალებაა, ფსიქიკური სინამდვილე კი ცნობიერებით არ შემოიფარგლება. თარხნიშვილს თამამად შემოაქვს *არაცნობიერი ფსიქიკურის* კატეგორია. მისი გამოყენება აუცილებელია, რათა ფსიქიკური მოვლენების ანალიზისას დეტერმინაციის პრინციპი იქნეს შენარჩუნებული. სახელდობრ, თუ ფსიქიკური სინამდვილე ერთმანეთის განმსაზღვრელი მოვლენების უწყვეტ ჯაჭვს წარმოადგენს, მაშინ სულიერი მოვლენები, ცნობიერი ფორმის გარდა, არაცნობიერ ფორმაშიც უნდა არსებობდნენ. წინააღმდეგ

შემთხვევაში სულიერი ცხოვრება ცნობიერების შინაარსების ფრაგმენტების სახით იქნება წარმოდგენილი და გაუგებარი გახდება მათი წარმოქმნის უაქტი. თუ ცნობიერ მოვლენას არ იწვევს მეორე ცნობიერი მოვლენა, მაშინ მის მიზეზად არაცნობიერი ფსიქიკური ფენომენი უნდა მიეიჩნიოთ. ერთი სიტყვით, აქ მეორდება არაცნობიერის დასაბუთების ჯერ კიდევ ლაიბნიციდან მომდინარე არგუმენტაცია, რომელიც ე.წ. "უწყვეტობის პრინციპს" უკავშირდება.

თარხნიშვილი ამით არ კმაყოფილდება. მისი აზრით, არაცნობიერი ფსიქიკურის აღიარების გარეშე აუხსნელი დარჩება უაქტების მთელი რიგი: 1. უაქტი ჩვევისა, ანუ თავდაპირველად ცნობიერი მოქმედებისა, რომელიც გამეორებათა შედეგად გახდა ავტომატური, ცნობიერებას მოკლებული; 2. უაქტი იდეომოტორული მოქმედებისა, რაც გულისხმობს იდეის მიერ ქცევის ავტომატურ გამოწვევას. 3. უაქტი აზროვნების მიმდინარეობისა, როდესაც ცნობიერდება პროცესის მხოლოდ საწყისი და დამამთავრებელი პუნქტები. თარხნიშვილს მიაჩნდა, რომ აზროვნების პროცესის უდიდესი ნაწილი არაცნობიერად მიმდინარეობს. ეს მოსაზრება ძალიან მალე ექსპერიმენტულად დადასტურდა ეიურცბურგის სკოლაში. თარხნიშვილი უშვებს, რომ ამგვარი ვითარება სხვა ფსიქიკური პროცესებისთვისაც არის დამახასიათებელი. ეს ერთგვარი განჭვრიტაა თანამედროვე კოგნიტური ფსიქოლოგიის მონაცემებისა ფსიქიკურ სისტემებში ინფორმაციის არაცნობიერი გადამუშავების შესახებ. მისი მინიშნებები ფსიქიკური პროცესების არაცნობიერ დეტერმინაციასა და მიმდინარეობაზე თანხმობაშია ფსიქოლოგიის განვითარების მაგისტრალურ ტენდენციებთან. რად ღირს თუნდაც მტკიცება, რომ ფსიქოლოგიამ ჯერ კიდევ არ იცის რამდენად მდიდარია არაცნობიერის სფერო, მაგრამ უდავოა, რომ იგი ცნობიერ პროცესებზე გაცილებით ფართოა. არაცნობიერის არსებობასა და მის რეალურ ქმედითუნარიანობაზე განსაკუთრებით თვალნათლივ მეტყველებს შთაგონების ფენომენის სხვადასხვა გამოვლინება (კერძოდ პოსტჰიპნოტური შთაგონება), რომელთაც თარხნიშვილი საგანგებოდ შეისწავლიდა. ფსიქოანალიზი მთლიანად გაიზიარებდა ამ მოსაზრებებს. დასაფასებელი ის არის, რომ ქართველი მეცნიერი ამას ამტკიცებდა ცნობიერების ფსიქოლოგიის ბატონობის ხანაში, ანუ მაშინ, როცა ფსიქოლოგების აბსოლუტური უმრავლესობა ფსიქიკას ცნობიერებასთან აიგივებდა და არაცნობიერზე მხოლოდ ფიზიოლოგიურის მნიშვნელობით ლაპარაკობდა.

თარხნიშვილის მოსაზრებები არაცნობიერის შესახებ არ წარმოადგენს არაცნობიერის თეორიას. ცნობიერების მიმართება არაცნობიერთან, თვით არაცნობიერის ონტოლოგიური ბუნება, მისი არსებობის ფორმა არ არის ნათლად გარკვეული. ძნელი სათქმელია უშვებს თუ არა თარხნიშვილი ისეთი ფსიქიკური შინაარსის არსებობას, რომელიც საერთოდ მოკლებულია განცდის ნიშანს ე.ი. აბსოლუტურად არაცნობიერია. იგი საუბრობს ცნობიერების სხვადასხვა საფეხურებზე. უმაღლესი საფეხური *თვითცნობიერება* ანუ საკუთარი განცდების რეფლექსიის დონეა (ცნობიერების ცნობიერება); უმდაბლესი საფეხურის აღსანიშნავად თარხნიშვილი იყენებს მ. მანასეინას

ტერმინს "сознавательность" (ცნობიერებადობა) და მასში შეგრძნების ელემენტარულ უნარს გულისხმობს. ის არაცნობიერიდან ცნობიერში გარდამავალი საფეხურიც არის და, ამავე დროს, თითქოს არაცნობიერი ფენომენიც. "ჩვენ უნდა დაუშვაი ადამიანში არაცნობიერი ფსიქიკური მოვლენების სფერო, სფერო, რომელიც შეესატყვისება ცნობიერებადობის დაბალ საფეხურებს", წერს თარხნიშვილი. ამ შემთხვევაში არაცნობიერად ითვლება ისეთი განცდადი შინაარსი, რომელიც ცნობიერების უმდაბლეს დონეს შეესაბამება, ანუ არ არის აბსოლუტურად არაცნობიერი. სხვა ადგილას თარხნიშვილი მსჯელობს იმაზე, რომ მძინარე ადამიანში, რომელსაც არა აქვს ცნობიერება და ნებისყოფა, "შეიძლება აღმოცენდეს მეტად მრავალფეროვანი და მეტად ნათელი, თუმცა ფრაგმენტული წარმოდგენები". აქ პირდაპირ არის მითითებული არაცნობიერ განცდებზე, წარმოდგენებზე. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ თარხნიშვილს არაცნობიერი სფერო საკმაოდ ფართოდ აქვს მოაზრებული. მასში შედის *ფსიქიკური პროცესები*, რომლებიც საერთოდ არ განიცდებიან და *ფსიქიკური შინაარსები* (შეგრძნებები, წარმოდგენები), რომლებიც რეფლექსიური ცნობიერების შუქით არ არიან განათებული. ცნობიერება გაგებულია როგორც გარკვეულ მომენტში მოცემული წარმოდგენების ერთობლიობა. ფსიქიკურ ელემენტებს, რომელთაგან ცნობიერების ყველა შინაარსი აიგება, შეგრძნება და გრძნობა წარმოადგენს. პირველადი და უმთავრესი მაინც შეგრძნებაა. გრძნობადი ტონი არის შეგრძნების თანმხლები მოვლენა და გამოხატავს შეგრძნების მიმართების ხასიათს ცნობიერების სხვა შინაარსებთან. ამიტომაც  არის თარხნიშვილის ყურადღება ფოკუსირებული შეგრძნებებზე; შესაძლოა კიდეე იმიტომაც, რომ შეგრძნებები ფსიქოფიზიოლოგიური კვლევის ტრადიციულ ობიექტს წარმოადგენენ.

თარხნიშვილი განიხილავს შეგრძნებისა და გრძნობადი აღქმის საკვანძო საკითხებს ისე, როგორც ისინი იმ დროს იყენენ ფორმულირებული. პირველ რიგში, ეს არის საკითხი იმ მიმართების შესახებ, რომელიც არსებობს ფიზიკური გამღიზიანებლის რაგვარობას, გრძნობის ორგანოს ანატომიურ-ფიზიოლოგიურ თავისებურებასა და სათანადო შეგრძნების განცდის სპეციფიკას შორის. თარხნიშვილი იზიარებს გრძნობის ორგანოთა სპეციფიკური ენერგიის კანონს და მის ჰელმჰოლცისეულ ინტერპრეტაციას ემხრობა, რომლის მიხედვით ანალიზატორის სპეციფიკური ენერგია თავის ტვინის სენსორულ ცენტრშია მოთავსებული. ამავე დროს, სპეციფიკური ენერგიის კანონს იგი მხოლოდ შეგრძნებაია მოდალობას უკავშირებს და არ აერცელებს ინტრამოდალურ რომელობებზე, როგორც ამას იგივე ჰელმჰოლცი მოითხოვდა. განსხვავება ორი მოდალობის შეგრძნებას შორის (მაგ., მხედველობისა და ყნოსვის) მომქმედ გამღიზიანებელთა რაგვარობაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ იმ ენერგიის სპეციფიკაზე, რომელსაც ნებისმიერი გამღიზიანებელი გამოათავისუფლებს სენსორული სისტემის ბოლო პუნქტში – სენსორულ ცენტრში. რაც შეეხება ინტრამოდალურ განსხვავებებს, მაგალითად ფერებს შორის განსხვავებას, ისინი მჭიდრო კავშირშია გარეგამღიზიანებლის თვისებასთან (ფერების შემთხვევაში ეთერის ტალღების რხევის სიხშირესთან). რაც შეეხება გამღიზიანებლისა და გრძნობის ორგა-

ნოს ურთიერთმიმართების საკითხს, აქ თარხნიშვილი საუბრობს გრძნობის ორგანოთა განვითარებაზე. იგი გულისხმობს გრძნობის ორგანოების სპეციალიზაციას, რომელიც გამღიზიანებლის თვისებებით არის განსაზღვრული. ეს სპეციალიზაცია ორი მიმართულებით ხორციელდება. ჯერ ერთი, სხვადასხვა ცხოველები გარკვეული გამღიზიანებლების მიმართ ხდებიან უფრო მგრძნობიარე, და მეორე, განსხვავებული გამღიზიანებლების მისაღებად სპეციალური ორგანოები ვითარდება (სინათლისთვის – თვალი, ბგერისთვის – ყური და ა.შ.). გამოდის რომ გამღიზიანებელსა და გრძნობის ორგანოს შორის გენეტიკურად ჩამოყალიბებული სპეციფიკური მიმართება არსებობს. მიუხედავად ამისა, თარხნიშვილი არა მხოლოდ ძალაში ტოვებს სპეციფიკური ენერგიის კანონს, არამედ მასთან შესაბამისობაში მყოფ ე.წ. სიმბოლოების თეორიასაც იზიარებს. ეს უკანასკნელი, უარყოფს რა შეგრძნებათა მსგავსებას მათ გამომწვევ გამღიზიანებლებთან, შესაძლებლად თვლის საგნებთან ადექვატური ურთიერთობის დამყარებას იმის გამო, რომ საგნების პერცეპტული ხატი რეალური საგნების სიმბოლოს წარმოადგენს (იხ. 5.1.).

საინტერესო და თავისებურია თარხნიშვილის მიერ შეგრძნებების დაყოფა (კლასიფიკაცია) *პროექციის ნიშნის* მიხედვით, ანუ იმის მიხედვით, თუ საით არიან ისინი მიმართული – გარეთ, საგნებსა და მათ თვისებებზე (*ობიექტური ნიშანი*) თუ შიგნით – სხეულსა და მის მდგომარეობებზე (*სუბიექტური ნიშანი*). ობიექტურია მხედველობის, შეხების, სმენის, გემოსა და ყნოსვის შეგრძნებები. სუბიექტური – კუნთური, შიმშილის, წყურვილისა და საერთოდ ორგანული შეგრძნებები.

შეგრძნებათა ობიექტური ნიშანი აუცილებელი პირობაა საგანთა ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობის განცდისთვის; იგი "მე"-სა და "არა მე"-ს გარჩევის პირველად საფუძველს წარმოადგენს. ამ კუთხით გამორჩეულ როლს თამაშობს მხედველობა და შეხება. თარხნიშვილი სპეციალურად აანალიზებს შეგრძნების გარეთ პროეცირების მექანიზმს და ხაზს უსვამს იმ გამოცდილების მნიშვნელობას, რომელსაც ბავშვი შეხებითი შეგრძნების საშუალებით იძენს. შეხების შეგრძნება წარმოიქმნება იმ მოძრაობათა განხორციელებისას, როცა საგანი კანთან მოდის კონტაქტში. სხვა მოძრაობების შემთხვევაში ბავშვს მხოლოდ კუნთური შეგრძნება აქვს. ადარებს რა ერთმანეთს ამ შთაბეჭდილებებს, ბავშვს უჩნდება ბუნდოვანი გრძნობა იმისა, რომ შეხების განცდის წყარო თვითონ იგი, ან მისი მოძრაობა კი არ არის, არამედ რაღაც მის გარეთ მყოფი. "გრძნობის არც ერთი ორგანო არ იძლევა ისეთ მკაფიო განსხვავებას "მე"-სი "არა მეს"-გან, როგორც შეხება ... და, მაშასადამე, შეხება გვაძლევს პირველ მთავარ ელემენტებს თვითცნობიერების განვითარებისთვის და სივრცეში ორიენტაციისთვის".

სივრცის აღქმა, მისი საბოლოო ფორმით, აპრიორული, თანშობილი და გამოცდილებისეული, შეძენილი მომენტების ერთობლივ პროდუქტს წარმოადგენს. რაც შეეხება თანდაყოლილ იდეებს, მათ არსებობას თარხნიშვილი კატეგორიულად უარყოფს. ყოველგვარი ფსიქიკური მინაარსი შეგრძნებიდან აღმოცენდება, მაგრამ მასზე არ დაიყვანება. შეგრძნება მხოლოდ მასალას წარმოადგენს. გონება მას გადაამუშავებს და გვაძლევს ცნებებს,

იდეებს და ა.შ. ცნება იმ სახით, როგორითაც გონებაში არსებობს, შეგრძნებაზე არ დაიყვანება, თუმცა მის საფუძველზე წარმოიქმნება. იდეები გონების მოქმედების პროდუქტს წარმოადგენენ. გრძნობადი მასალა "პირველადი ბიძგია", რომელიც დასაბამს აძლევს ჯერ წარმოდგენებს და შემდგომ ცნებებს. მაშასადამე, შეიძლება გამოიყოს შემეცნების პროცესის სამი დონე, რომელთაც შეგრძნება, წარმოდგენა და ცნება შეესაბამება.

თარხნიშვილი ფიზიოლოგიისა და ფსიქოლოგიის მიჯნაზე აწარმოებდა კელეეას. ამიტომ ბუნებრივია, რომ ფსიქოფიზიკური, უფრო ზუსტად კი ფსიქოფიზიოლოგიური პრობლემა, მისი განსჯის საგანს წარმოადგენდა. მეცხრამეტე საუკუნის არა ერთი გამოჩენილი ფიზიოლოგი იმ აზრამდე მივიდა, რომ აღნიშნული პრობლემა პრინციპულად გადაუჭრელია. თარხნიშვილს კარგად პქონდა გაცნობიერებული ეს სირთულე. მისთვის ამოსავალი იყო დებულება, რომ ფსიქიკური პროცესები წარმოიქმნებიან ფიზიოლოგიურიდან, ანუ ნერვულ სისტემაში მიმდინარე მატერიალური პროცესებიდან, მაგრამ მეცნიერებამ ამ ეტაპზე არ იცის, ეს როგორ ხდება. მან ვერ გადო ხიდი ფიზიოლოგიურსა და ფსიქიკურს შორის, რაც აუცილებელია ფსიქიკურის ასახსნელად. სხეულებრივ და სულიერ მოვლენებს შორის კავშირის არსი, მათი ერთიანობის ბუნება ჯერჯერობით გაუგებარია, მაგრამ ეს დროებითი ვითარებაა. იგი აღმოიფხვრება ბუნების ფუნდამენტური კანონზომიერებების დადგენის, ემპირიული კვლევის ტექნოლოგიის განვითარების კვალდაკვალ.

თარხნიშვილი თავად იყო ასეთი კვლევების დიდი ენთუზიასტი. იგი წლების განმავლობაში შეისწავლიდა ფსიქოფიზიოლოგიის სხვადასხვა საკითხებს. ამ კვლევის შედეგები განზოგადებულია რამდენიმე სპეციალურ ნაშრომში, რომელთაგან აღსანიშნავია წიგნი "სული და სხეული" (1904). იგი ამტკიცებს, რომ ფსიქიკური და ფიზიოლოგიური პროცესების ურთიერთკავშირის შესწავლას "აქვს მაღალი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. აღასტურებს რა სულისა და სხეულის ერთიანობას, ეს კავშირი დაედება საფუძველად მართებულ და სასიკეთო მსოფლმხედველობას ადამიანის ორგანიზმის ჭეშმარიტი ბუნების შესახებ". ავტორს მოპყავს უამრავი ფაქტობრივი მონაცემი იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს ფსიქიკური მოვლენები ორგანიზმის სხვადასხვა ფუნქციაზე (გულის მოქმედება და სისხლის მიმოქცევა, სუნთქვისა და საჭმლის მომნელებელი სისტემები, ნივთიერებათა ცვლა და კუნთური მოძრაობა და სხვა). სხეულზე მოქმედ ფსიქიკურ ფაქტორთა რიგში ემოციონალურ ფაქტორებს, პირველ ყოვლისა აფექტებს, განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ. თარხნიშვილმა სპეციალურად იკვლია მუსიკის გავლენა ადამიანის ორგანიზმზე და დაადგინა, რომ მხიარული მუსიკა აძლიერებს კუნთების მუშაობას და პირიქით. სულისა და სხეულის მჭიდრო ურთიერთობის საუკეთესო ილუსტრაციას ნებელობითი პროცესები წარმოადგენენ. ნებელობა მოქმედებს სხვადასხვა სომატურ პროცესზე მათი გაძლიერების ან შესუსტების მიმართულებით. თარხნიშვილი საგანგებოდ შეისწავლიდა ასეთ მოვლენებს და სპეციალურ ნაშრომში გააანალიზა გულისცემის ნებისმიერი დაჩქარების შემთხვევები. მაგრამ, ემოციურ-ვოლიტური პროცესები გამონაკლისი არ არის; ორგანიზმის სხვადასხვა სისტემაზე შესამ-

ჩნევ გავლენას ახდენს რაციონალური პროცესების ზემოქმედებაც, სახელდობრ, გონებრივი შრომა.

უაღრესად მრავალფეროვანია, აგრეთვე, საპირისპირო მიმართულების, ანუ სომატურის სულიერზე ზემოქმედების გამოვლინებები. ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ორგანული პროცესების დარღვევა მკვეთრად უარყოფითად აისახება ფსიქიკურ ფუნქციონირებაზე. აქედან გამომდინარე, თარხნიშვილი ამტკიცებს, რომ მედიცინაში, ორგანულ მკურნალობასთან ერთად, უნდა დამკვიდრდეს ფსიქოლოგიური მეთოდიც. *ფსიქოთერაპია* ფართოდ უნდა დაინერგოს სამედიცინო პრაქტიკაში. სხვათა შორის, ამ საკითხზე იგი ჯერ კიდევ თავის სადოქტორო დისერტაციაში მსჯელობდა (1871): "ფსიქოლოგია, ფიზიოლოგიის მსგავსად, უნდა შედიოდეს სამედიცინო განათლების შემადგენლობაში, ვინაიდან მხოლოდ მისი საფუძვლების ცოდნა მოგვცემს შესაძლებლობას ცნობიერად მივუდგეთ სულიერ დაავადებებს და მრავალრიცხოვან, ნაკლებად მნიშვნელოვან ფსიქიკურ აშლილობებს, რომლებიც წამდაუწუმ გვხვდებიან ყოველდღიურ ცხოვრებაში". თუ გავითვალისწინებთ, როდის იყო ეს ნათქვამი და რა რთულად იმკვიდრებდა თავს ფსიქოლოგიური მკურნალობა ოფიციალურ სამედიცინო პრაქტიკაში, ნათელი გახდება, თუ რა შესაშური ალღო და გამჭრიახობა ჰქონდა ქართველ მეცნიერს.

თარხნიშვილის შემოქმედებაში დიდი ადგილი ეთმობა ქცევის ფსიქოფიზიოლოგიისა და ფსიქოლოგიის საკითხებს. იგი ქცევის ოთხ ნაირსახეობას გამოყოფს: 1. რეფლექტორული მოძრაობები, რომლებიც არ შეიცავენ ფსიქიკურ ელემენტს; 2. ემოციების გამომხატველი მოძრაობები; 3. იდეომოტორული აქტიობა და 4. ნებელობითი ქცევა. ფსიქოლოგიის ისტორიის კუთხით განსაკუთრებით საინტერესოა ბოლო ორი.

ზემოთ, არაცნობიერი ფსიქიკურის დასაბუთების კონტექსტში, ნახსენები იყო ე.წ. *იდეომოტორული მოქმედება*. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ლოტცესთან, კარპენტერთან და ჯეიმსთან ერთად, თარხნიშვილმა სერიოზული წვლილი შეიტანა ამ პრობლემატიკის დამუშავებაში, რაც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში საკმაოდ პოპულარული გახდა. როგორც ცნობილია, ტერმინი "იდეომოტორული აქტი" იდეის, აზრის მიერ მოძრაობის უშუალო გამოწვევას აღნიშნავს. დაშვებულია, რომ გარკვეულ პირობებში იდეას, თუ მას ხელს სხვა იდეები არ უშლიან, შეუძლია პირდაპირ გადავიდეს მოტორიკაში. იდეომოტორიკა, ფაქტობრივად, განცდების არაცნობიერი გამოვლინებაა მოძრაობაში. მაგალითად, თუ ადამიანი ფიქრობს რაიმეზე, რაც მარცხნივ იმყოფება, მისი კიდურები, თავი ან თვალები სათანადო მოძრაობას ახორციელებენ. აქ მთავარი ის არის, რომ აღნიშნული აქტივობა არ არის შეგნებული ხასიათის და სუბიექტის მიერ საერთოდ გაუცნობიერებელია. სამაგიეროდ მას სხვები ამჩნევენ და შესაბამისი გამომწვევი იდეის "ამოკითხვას" ახერხებენ. თარხნიშვილის აზრით, სწორედ ასეთია იმ მოვლენების რეალური მექანიზმი, რომლებსაც ადგილი აქვთ სპირიტულ სეანსებში. აქ, ისევე როგორც სხვა პარაფსიქოლოგიური ეფექტების შემთხვევაში (გულთმისნობა, მანძილზე აზრის გამოცნობა და ა. შ.) არაფერია ზებუნებრივი.

ყველაფერი იდეომოტორული მოქმედების კანონზომიერებით აიხსნება. იდეომოტორიკის მექანიზმის გამოყენება პროდუქტულია, აგრეთვე, პინოტური და პოსტპინოტური ეფექტების დახასიათებისას. ასეთ დასკვნებამდე მიდის თარხნიშვილი თავის ცნობილ წიგნში "პიპნოტიზმი, შთაგონება და აზრების წაკითხვა" (1886). ამ ნაშრომის ღირსებებზე იუნდაც ის მეტყველებს, რომ იგი ითარგმნა და ორჯერ გამოიცა საფრანგეთში, რომელიც მაშინ ლიდერობდა პიპნოტიზმის მეცნიერული შესწავლის საქმეში. თარხნიშვილი საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერიც გახდა.

ნებისმიერი მოქმედება და მასთან დაკავშირებული ნების თავისუფლების საკითხი თარხნიშვილის შემოქმედების ერთ-ერთ ლეიტმოტივს წარმოადგენს. ამ პრობლემატიკას იგი მთელი ცხოვრება ამუშავებდა, გარკვეულად ცვლიდა და აზუსტებდა თავის მოსაზრებებს. მიუხედავად ამისა, მან მაინც ვერ მოგვცა ნებისყოფის ფსიქოლოგიური პროცესის არსის განსაზღვრება, თუმცა მულმივი ძიების პროცესში იყო და რამდენჯერმე სცადა ნებელობის დახასიათება სხვადასხვა კონტექსტში.

თარხნიშვილი სეჩენოვის მიერ გამოზრდილი ფიზიოლოგი იყო. იგი, ნებელობითი პროცესების ანალიზისას, მიყვებოდა თავისი მასწავლებლის მიერ გაკვალულ გზას. სეჩენოვი მკაცრი ბუნებისმეტყველური პოზიციიდან უდგებოდა ნებისყოფის ცნებას და ცდილობდა ეჩვენებინა, რომ ნებელობითი ქცევა ისევე დეტერმინირებულია, როგორც აქტივობის სხვა ფორმები. დანარჩენი მოქმედებების მსგავსად, ისიც რეფლექტორული ბუნებისაა, ხოლო "ნებელობის სპეციფიკას" მის მიერ აღმოჩენილი ე.წ. "ცენტრალური შეკავების" მექანიზმი გამოხატავს. ნებელობას, როგორც ადამიანის აქტივობის უმაღლეს ფორმას, აქვს თავისი ანატომიურ-ფიზიოლოგიური სუბსტრატი და რთულ რეფლექსს წარმოადგენს. შეკავება ქმნის იმის ილუზიას, რომ რეფლექტორული აქტი გარეგმოქმედებაზე არ არის დამოკიდებული. სინამდვილეში, ფსიქიკური ფენომენების, მაგალითად აზრის ორი მესამედი რეფლექსია, რომლის მამოძრავებელი ნაწილი შეკავებულია. ნების ძალა აიხსნება ცხოვრებისეული გამოცდილების პროცესში შეკავების ცენტრების ვარჯიშით. ამიტომ აღზრდას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. მაშასადამე, ნებელობა ექვემდებარება მეცნიერულ-დეტერმინისტულ შესწავლას. ნებისყოფის, ისევე როგორც ყოველგვარი ქმედების მიზეზი ყოველთვის გარეგან გრძნობით აგზნებაშია, ამბობდა სეჩენოვი. ნებელობა გარემო პირობებით არის დეტერმინირებული და მასზე, როგორც რაიმე თავისუფალ და უპირობო ძალაზე საუბარი საფუძველს მოკლებულია.

თარხნიშვილი თავისი მეცნიერული შემოქმედების პირველ ეტაპზე ძალიან უახლოვდება სეჩენოვის ამ თვალსაზრისს, მაგრამ არ იმეორებს მას. როგორც ფიზიოლოგი, ისიც მკაცრად დეტერმინისტულ პოზიციაზე დგას. ნებისმიერი ქცევის უშუალო მიზეზი ტვინში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესებია, მაგრამ ამ პროცესების აქტივაციისთვის საჭიროა "გარეგანი ბიძგი", რომლის ფუნქციას გარეგამღიზიანებლები ასრულებენ. ისინი წარმოადგენენ ყოველგვარი აქტივობის პირველწყაროს. ამრიგად, ავტორის თქმით, ნება არის ძალა, რომელსაც მიზანშეწონილი ქცევის სახეს აძლევს რეფლექ-

ტორული მექანიზმების რიგი და რომლის სათავე გარეგამღიზიანებელთა ზემოქმედებაშია.

უნდა განვასხვაოთ რეფლექტორული და ნებელობითი მოქმედება. ეს უკანასკნელი გაცილებით უფრო რთულია და არ ხასიათდება უშუალო კავშირით გამღიზიანებელსა და რეაქციას შორის. იგი გაცნობიერებულია: "ნებელობა მხოლოდ იქაა, სადაც არსებობს ცნობიერება; ამიტომ ყველა არაცნობიერი მდგომარეობა ნების არ არსებობით სასიათდება". ავტორი ამბობს, რომ ნებელობითი მოქმედება მიზანშეწონილია და, როგორც ჩანს, მის მიზანმიმართულობას გულისხმობს. მაშასადამე, გამღიზიანებლის ზემოქმედება გაიელის ცნობიერებას, რაც მოქმედებას მიზანმიმართულ აქტივობად აქცევს. ნებელობითი ქცევის ასეთი დახასიათება მის ფსიქოლოგიურ დეტერმინირებულობაზე მიუთითებს. ფსიქიკური უაქტორი აუცილებელია ნებელობითი ქცევის განხორციელებისთვის. ადამიანს აქვს მიზნის წარმოდგენა და მისკენ მიმართული ცნობიერი ტენდენცია, იმპულსი. ისინი ქცევის დეტრმინაციაში ჩართული ფსიქიკური ცვლადებია. ადამიანის ცნობიერებისთვის ეს იმპულსია ქცევის განმსაზღვრელი. სხვა, გენეტიკურად პირველად და უფრო მნიშვნელოვან მიზეზებს იგი ვერ აცნობიერებს და, აქედან გამომდინარე, ქცევას თავისი ცნობიერებიდან (ნებიდან) გამოყვანილად, ე.ი. როგორც თავისუფალს განიცდის.

ცნობიერების გარდა, რომელიც თარხნიშვილის წარმოდგენათა ერთობლიობის მნიშვნელობით ესმის, იგი ისეთ ფსიქოლოგიურ დეტერმინანტზეც საუბრობს, როგორიც ხასიათია. "ადამიანის ქცევებს განსაზღვრავს მისი თანდაყოლილი სასიათი, რაც მისი ორგანიზაციითაა გაპირობებული, მომქმედ წარმოდგენათა ჯამი და ადამიანზე მომქმედი გარე მოტივები; ამ აზრით, მისი ქცევები ზემომითითებული სამი მომენტის აუცილებელი შედეგია და, ამგვარად, აუცილებლობის კანონს ემორჩილება". გარე მოტივები, ალბათ, ფიზიკური და სოციალური ფაქტორებია. ამრიგად, თარხნიშვილთან ქცევის დეტრმინაციის რთული სისტემა იკვეთება — აქტივობის პირველადი გარეგანი მიზეზები, მოძრაობის უშუალო ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური მიზეზები (ცნობიერი შინაარსები, იმპულსები და ხასიათი). მთავარი ისაა, რომ ფსიქიკური ფაქტორი ამ სისტემის აუცილებელი ელემენტია. მისი ფუნქცია და წონა დაზუსტებას საჭიროებს, მაგრამ ზოგადად, ასეთი სქემა დღევანდელი მეცნიერების თვალსაზრისითაც საესებით დამაჯერებლად გამოიყურება.

ამ სქემის ფსიქოლოგიური მდგენელის დეტალიზაციამდე ერთი მომენტი უნდა აღინიშნოს. ეს სქემა "აუცილებლობის კანონს ექვემდებარება" და თავისუფლებას გამორიცხავს. ასეთი პოზიცია გააჟღერა თარხნიშვილმა თბილისში წაკითხულ ლექციებში და, სხვათა შორის, რეცენზენტების, მაგალითად გ. წერეთლის დადებითი შეფასება დაიმსახურა. იგივე თვალსაზრისია წარმოდგენილი ადრინდელ შრომაში "ნერვული სისტემის როლი ცხოველთა მოძრაობაში" (1872). მომდევნო პერიოდში ავტორი ცდილობდა რაღაც ადგილი მაინც მოენახა თავისუფლების ცნებისთვის ისე, რომ დეტერმინიზმის ფუნდამენტური პრინციპისთვის არ ეღალატა.

თარხნიშვილი ღრმად არის ჩახედული ამ პრობლემაში. იგი უარყოფს

მექანიციზმსაც და ვოლუნტარიზმსაც, რომელთაც თავისუფლების პრობლემის გადაწყვეტის ორ უკიდურეს ვარიანტად მიიჩნევს. მექანიციზმი ფსიქიკური ელემენტის შემოტანით დაიძლევა, მაგრამ იგივე ელემენტი, ერთი შეხედვით, ვოლუნტარიზმის საფრთხეს ქმნის. ფსიქიკური, როგორც მომქმედი ფაქტორი, აქტიობის გამომწვევი (მარეგულირებელი) ძალა, ქცევის თვითკმარ და არაფერზე დამოკიდებულ, საკუთარი თავით განსაზღვრულ მომენტად შეიძლება წარმოვიდგინოთ. ამ შემთხვევაში მეცნიერებისთვის დამღუპველ ინდეტერმინიზმის მორევში აღმოვჩნდებით. თარხნიშვილი აღნიშნულ საფრთხეებს აცნობიერებს და ამ პოზიციების დაბალანსების გზას ადგება, შუალედური თვალსაზრისისკენ ესწრაფვის. ამავე დროს, იგი ცდილობს დეტერმინიზმის მყარ ნიადაგს არ მოწყდეს და, ამიტომ, ქცევაში ფსიქიკური მომენტების შესახებ ძალიან ფრთხილად ლაპარაკობს. ასეთი მიდგომა ზოგჯერ იმდენად შორს მიდის, რომ ძნელი გასაგები ხდება, რას და როგორ აკეთებს ფსიქიკა საერთოდ და ცნობიერება – კერძოდ. ავტორი ყველგან ხაზგასმით აღნიშნავს ქცევის გარეგანი განსაზღვრულობის პრიორიტეტს. სიტყვა "დეტერმინაციასაც" მხოლოდ გარეგანი მიზეზობრიობის მნიშვნელობით ხმარობს. ფსიქიკური მეორადი წარმოშობისაა და განსაზღვრულია გარეგანით. ძალიან ფართო მნიშვნელობით ეს, ალბათ, მართებულიცაა, მაგრამ, არ შეიძლება ამ თეზისის აბსოლუტიზაცია. თარხნიშვილი იქამდე მიდის, რომ მთლიანად უარყოფს თანდაყოლილი მომენტის მნიშვნელობას ფსიქიკური თვისებების წარმოქმნაში. იგი, დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ დავახასიათოთ, *სიტუაციონისტურ* პოზიციაზე დგას, მაგრამ ასეთ უკიდურეს თვალსაზრისს ყველაზე რადიკალური სიტუაციონისტიც არ დაეთანხმება.

ზემოთ დავწმუნდით, რომ თარხნიშვილი არა მხოლოდ პირდაპირ მიუთითებს ფსიქიკის რეგულატორულ ფუნქციაზე, არამედ ემპირიულადაც იკვლევს მას. მან დაადგინა, რომ ცნობიერ ნებას გულის მოქმედების შენელების უნარიც კი აქვს. ავტორის სიტყვებით, ნება აძლიერებს მიზანშეწონილ მოთხოვნილებებს და აკავებს ან სულაც ანეიტრალებს ნაკლებად მიზანშეწონილ ტენდენციებს; ნების საშუალებით აღამიანს ძალუძს თავისი შესაძლებლობების ამა თუ იმ მიმართულებით განვითარება. ცხადია, რომ თვითგანვითარების პირობად ჩათვლილ ნებას არჩევანის თავისუფლება უნდა ჰქონდეს და არ ემორჩილებოდეს გარეგანი ზემოქმედებების სტიქიას. ეს, თავის მხრივ, ნებას რეალურად მომქმედ, ავტონომიური ძალის მქონე მიზეზობრივ ფაქტორად აქცევს, რაც უკვე ვოლუნტარიზმია. ამის დაშვება თარხნიშვილისთვის მიუღებელია. ამიტომ, ნებისყოფის ქმედითუნარიანობის ყველა მოყვანილ მტკიცებასთან ერთად, იგი ნების შესაძლებლობების სერიოზულ შეზღუდულობაზეც საუბრობს. მოკლედ, აქ არ ჩანს თანმიმდევრული პოზიცია.

მართალაც, რა არის ნებელობა – ავტონომიური ძალის მქონე, სასარგებლო და აუცილებელი ფსიქიკური ფუნქცია, თუ გარკვეული და მნიშვნელოვანი ფუნქციის არ მქონე, გარემო ფაქტორებით და ფიზიოლოგიური მექანიზმებით გაპირობებული ქცევის რეგულაციის დამატებითი რგოლი? პირველ ეტაპზე თარხნიშვილი, პრინციპში, ამ უკანსკნელ ვერსიას ემხრო-

ბოდა და ნების თავისუფლების განცდას უსარგებლო ილუზიას უწოდებდა. თვითცნობიერება უთუოდ აადასტურებს ამ განცდის არსებობას. ეს არის ფსიქოლოგიური საფუძველი იმის რწმენისა, რომ თავისუფალი ნება არსებობს. მაგრამ, სინამდვილეში, მისი მიზეზი ჩვენი თვითცნობიერების შეზღუდულობაა. ქცევის გამომწვევი მიზეზების რიგიდან ცნობიერება მხოლოდ ქცევის უშუალოდ წინმსწრებ იმპულსს აფიქსირებს და მას ჩვენი "მე"-ს ნებას უკავშირებს. ამიტომ, ჩნდება განცდა, რომ ეს იმპულსი თავისუფალი ნებიდან მომდინარეობს; სინამდვილეში რეალური მიზეზი პიროვნების გარეთაა. მოკლედ, თავისუფლება, როგორც ასეთი, არ არსებობს, *თავისუფლების განცდა* კი მხოლოდ ცნობიერების შეცდომაა.

მოგვიანებით თარხნიშვილი ამ განცდის დადებით მნიშვნელობაზე იწყებს საუბარს და, გარკვეული აზრით, თვით თავისუფლების რეალურობაზეც მიანიშნებს. თავისუფლება, მისი აზრით, ცნობიერების კანონია, აუცილებლობა – გონებისა. ცნობიერების მხრიდან დანახული ქცევა თავისუფლად გამოიყურება, გონების მხრიდან – დეტერმინირებულად. ცნობიერება თავისი განცდების იქით არ იყურება და თავისუფლებას სედავს; შემმეცნებელი გონება კი ყველგან მიზეზობრივ კავშირებს აღმოაჩენს, მათ შორის ნებელობის სფეროშიც. ამიტომ ნება, გარკვეული აზრით, თავისუფალიც არის და დეტერმინირებულიც. ცხადია, რომ ეს მსჯელობა ნების თავისუფლების რეალურობას ვერ დაამტკიცებს. მის ლოგიკას, საბოლოოდ, თავისუფლების უარყოფამდე მიეყავართ, ვინაიდან შემეცნებელი გონება მარტო იმას აღმოაჩენს, რაც სინამდვილეში არსებობს. ცნობიერებას რომ მართლაც თავისუფალი ნება მართავდეს, ამას გონებაც ცხადყოფდა. ფსიქიკური სფეროს დეტერმინირებულობას მეცნიერება იმიტომ უშვებს, რომ იქ მოვლენათა შორის კანონზომიერი კავშირები დასტურდება, იქ წესრიგია და არა ქაოსი, აუცილებლობა და არა შემთხვევითობა. ეს რომ არ იყოს, ფსიქოლოგია, როგორც პოზიტიური მეცნიერება, არც იარსებებდა. მოკლედ, თარხნიშვილის მიერ ცნობიერებისა და გონების ღუალიზმის დაშვებით მოცემული პრობლემა არ წყდება.

რაც შეეხება თავისუფლების განცდას, ის აუცილებელიც არის და სასარგებლოც. ავტორი არ იშურებს მის მიმართ ეპითეტებს და "მიწიერი ცხოვრების მშვენებასაც" უწოდებს. ამ განცდაზე ფილოსოფიასა და მეცნიერებაში ბევრი თქმულა. საუკუნეების მანძილზე (დეკარტეს შემდეგ მაინც) მიდის ბჭობა იმის შესახებ, თუ როგორია მისი ბუნება და რას ნიშნავს იგი სინამდვილეში. უმეტესობის აზრით, ეს განცდა, თავისთავად, არაფერს ამბობს თავისუფლების შესახებ (ბ. სპინოზა, დ. ჰიუმი, პ. ჰოლბახი, ჯ.ს. მილი, ა. შოპენჰაუერი, ბ. რასელი, ბ. სკინერი, ჰ. ლეფკორტი და სხვა). ნაწილი თელის, რომ ის აადასტურებს თავისუფლების რეალურ არსებობას (რ. დეკარტე, კ. ჰემპელი, კ. კემბელი, კ. როჯერსი და სხვა). ი. კანტს მიაჩნდა, რომ ამ განცდის ფაქტი საკმარისია თავისუფლების ემპირიული (და არა ტრანსცენდენტური) დასაბუთებისთვის. ბუნებისმეტყველი თარხნიშვილისთვის კი ასეთი ფენომენოლოგიური არგუმენტაცია (თავისუფლება რეალობაა, ვინაიდან განიცდება), ცოტა არ იყოს, კურიოზულად გამოიყურება, მით უფრო, თუ

გაეითვალისწინებთ კონტექსტს, რომელშიც ავტორი ამ საკითხზე მსჯელობს. მხედველობაში გვაქვს შთაგონების მოვლენები. საქმე ის არის, რომ სწორედ ე.წ. პოსტჰიპნოტური მოქმედება წარმოადგენს ყველაზე სერიოზულ მტკიცებულებას ნების თავისუფლების ფენომენოლოგიური დასაბუთების წინააღმდეგ. ასეთ ქცევას, როგორც წესი, თან ახლავს იმის ცნობიერება, რომ იგი სუბიექტის თავისუფალი არჩევანის შედეგია. მაშინ, როდესაც რაიმე სახის თავისუფლებაზე ამ შემთხვევაში ლაპარაკიც ზედმეტია – ასეთი ქცევა წინასწარ არის დაპროგრამებული და აუცილებლობის წესით სრულდება.

უნდა ვიფიქროთ, რომ როდესაც თარხნიშვილი თავისუფლებას "ფსიქიკურ რეალობას" უწოდებს, ის არ ცდება, ვინაიდან გულისხმობს, რომ თავისუფლების განცდა ფსიქიკის (ცნობიერების) რეალობაა. ცნობიერებაში მართლაც რეალურად არსებობს შეცდომები, ილუზიები და ა.შ. ეს, ცხადია, არ ნიშნავს, რომ ფსიქიკის სფეროში თავისუფლება და ინდეტერმინიზმი სუფევს. ერთი სიტყვით, თუ გაეითვალისწინებთ თარხნიშვილის შეხედულებათა მთელ სისტემას და მასში ნებელობის საკითხზე მოსაზრებების ცვალებადობას, შეიძლება დავასკვნათ, რომ თარხნიშვილს თავისუფლება ესმის, როგორც ცნობიერების შეცდომა, ილუზია. ამავე დროს, იგი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ადამიანის ცხოვრებაში. ერთ-ერთი ინტერპრეტატორის თქმით, თავისუფლების ცნობიერება თარხნიშვილთან "დადებით ილუზიას წარმოადგენს"[1] (ს. ავალიანი).

თარხნიშვილმა მართებულად დაუშვა ფსიქიკური დეტერმინაციისა და რეგულაციის არსებობა, თუმცა ფიზიოლოგიურმა ორიენტაციამ საშუალება არ მისცა თამამად ესაუბრა ქცევის რეგულაციის ფსიქიკურ ასპექტზე. ფსიქიკურში მან ინდეტერმინიზმის საფრთხე დაინახა, მაგრამ ფსიქიკური ელემენტის არსებობა ქცევის სტრუქტურაში თავისთავად არ ნიშნავს თავისუფლების აღიარებას და ინდეტერმინიზმისკენ გზის გახსნას. აქ მთავარია არ დავუშვათ ფსიქიკურში თვითნებური ძალის, ჰომუნკულუსის (პატარა ადამიანის) არსებობა, რომელიც, როგორც ქცევის პირველმიზეზი, ჩვენში ზის და ავტონომიურად მართავს "სხეულის მანქანას", თავად ფსიქიკურ პროცესებს. თავისუფალი, არაფერზე დამოკიდებული ნების წყარო ასეთი ჰომუნკულუსია და არა ფსიქიკური პროცესები, რომელთა რეგულატორული ფუნ-

[1] იმის უარყოფაც არ შეიძლება, რომ რამდენად ილუზორულიც არ უნდა იყოს ეს განცდა, იგი უთუოდ დადებით როლს თამაშობს პიროვნული ადაპტაციის თვალსაზრისით. ამას აჩვენებს ატრიბუციისა და თვითკონტროლის თანამედროვე კვლევები. დადასტურებულად ითვლება, რომ თუ ადამიანები თავისი მოქმედების მიზეზად საკუთარ თავს კი არა, გარე ვითარებას მიიჩნევენ, ქცევის პიროვნული კონტროლის ეფექტურობა საგრძნობლად მცირდება. მრავალი ექსპერიმენტული გამოკვლევა ჩატარდა იმის საჩვენებლად, თუ რა ზემოქმედებას ახდენს აქტივობის ხასიათსა და ნაყოფიერებაზე ცდისპირის რწმენა, რომ მას შუძლია თავისი ქცევის გაკონტროლება. მათი შედეგების განზოგადებისას მკვლევარები შემდეგ დასკვნამდე მიდიან: "იმის განცდა, რომ ყველაფერი კონტროლს ექვემდებარება, ილუზია, რომ ყველას შეუძლია გააკეთოს საკუთარი არჩევანი, პოზიტიურ და განმსაზღვრელ როლს თამაშობს ცხოველქმედების ხელშეწყობის პროცესში. თავისუფლების ილუზიის მოცილება უმტკივნეულოდ, არასასურველი შედეგების გარეშე, შეუძლებელია" (ჰ. ლეფკორტი). საფიქრებელია, რომ ნებისყოფის თავისუფლების იდეა ამიტომაც არის სიცოცხლისუნარიანი.

ქცია ყოველგვარ ქცევაში და, მით უფრო ნებელობითში, აშკარაა; ქმედითობას და სარგებლიანობას მოკლებული ფსიქიკის საჭიროება არც არსებობს. თარსნიშვილის დროს უკვე მომწიფდა აზრი, რომ ფსიქიკური ფაქტორის გარეშე, რომელიც საშუალებას აძლევს ორგანიზმს ორიენტაცია მოახდინოს გარემოში და შეუსაბამოს მას თავისი საპასუხო რეაქციები, შეუძლებელია მიზანშეწონილი აქტიურობის დახასიათება. ფსიქიკური ფაქტორი, ბიოლოგიურ ელემენტთან ერთად, განაპირობებს შეგუებით ქცევას. აქტიურობის გართულებასთან ერთად რთულდება ფსიქიკური რეგულაციაც, რომელიც ნებელობითი ქცევის ღონეზე თავის უმაღლეს საფეხურს აღწევს. სწორედ ფსიქიკური მექანიზმები განაპირობებენ ასეთი ქცევის თავისებურებას (მიზანშეწონილება, მიზანმიმართულობა, შეგნებულობა, განზრახულობა) და უზრუნველყოფენ ქცევის მთელ პროცესს დასაწყისიდან დასრულებამდე.

გადაწყვეტილების მიღებისა და ქცევის რეგულაციის თანამედროვე მოდელების ფარგლებში აქტიურად შეისწავლება კონკრეტული ფაქტორებისა თუ ცვალდების, პროცესებისა თუ ოპერაციების, უნარებისა თუ თვისებების ერთობლიობა და მათი ფუნქციონალური ურთიერთკავშირები. მათი არასრული ჩამონათვალიც შთამბეჭდავია: ეტალონები, ღირებულებები, მოლოდინები, ფსიქოლოგიური ავტოპორტრეტი, თვითშეფასება, პრეტენზიის ღონე, შინაგანი სანქციები, უკუკავშირები, ატრიბუციების, თვითეფექტურობის, ვალენტობის, სუბიექტური ალბათობების მაჩვენებლები, ინსტრუმენტალობა, თვითკონტროლი, ძიება, სელექცია, შედარება, შეფასება, პროგრამირება, სანქციონირება, კორექცია, გადაწყვეტილების მიღების, თავდაცვის, თვითგანმტკიცებისა თუ სხვა სტრატეგიები და ა. შ. ყველა მათგანს რეალური შინაარსი და ფუნქცია აქვს ქცევის რეგულაციაში, რასაც საერთო სახელი – ნებელობა ეწოდებოდა. თანამდეროვე ფსიქოლოგიაში ხდება ამ კოგნიტურ-ვოლიტური სტრუქტურებისა და პროცესების ტესტირება, კორექცია, ფორმირება, მოდელირება, პროგნოზირება. მათ სრულად მიეყენება ფუნდამენტურ და გამოყენებით მეცნიერებში არსებული პროცედურები. ეს გარემოება ძალიან ზღუდავს მათი დასასიათების შესაძლებლობას თავისუფლებისა და ინდეტერმინიზმის კატეგორიებით. ფსიქოლოგიურმა მეცნიერებამ უნდა შეისწავლოს ადამიანის ქცევის რთული და სპეციფიკური (ნებელობითი) ფორმები. ფილოსოფიის პლანში შეიძლება და საჭიროა არის აუცილებლობასა და თავისუფლებაზე მსჯელობა, მაგრამ რეალური კვლევა მოითხოვს გარკვეულ პასუხს კითხვაზე, როგორ არის შესაძლებელი "თავისუფალი პროცესის" მეცნიერული კვლევა?

მეცნიერება ძნელად, მაგრამ განუსრელად მიიწევს წინ ქცევის ფსიქიკური რეგულაციის საიდუმლოების გახსნისკენ. თარხნიშვილის დროს ფსიქოლოგია მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამდა ამ მიმართულებით. ჯერ კიდევ ძლიერი იყო მექანიკისტური, ვოლუნტარისტული და ვიტალისტური შეხედულებები. სწორედ მათგან გათავისუფლება და ქცევის ფსიქოლოგიური მექანიზმის ახლებური გააზრება იყო ყველაზე დიდი ქართველი ფსიქოლოგის, ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებლის დიმიტრი უზნაძის მთავარი ამოცანა.

## 12.2. უზნაძე და მისი სკოლა

გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა **დიმიტრი უზნაძემ** (1886-1950) შექმნა ზოგადფსიქოლოგიური მასშტაბის მოძღვრება, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება XX საუკუნის სხვა ფსიქოლოგიური სისტემებისაგან როგორც მეთოდოლოგიური ამოცანებითა და პრინციპებით, ისე საკუთრივ თეორიის შინაარსით.

უზნაძე დაიბადა ქუთაისის გუბერნიის სოფელ საქარაში (ამჟამად ზესტაფონის რაიონი) შეძლებული გლეხის ოჯახში, სადაც განათლება დიდად ფასობდა. სასკოლო განათლება უზნაძემ ქუთაისის პრესტიჟულ გიმნაზიაში მიიღო, სოლო 1905 წელს გაემგზავრა გერმანიაში, სადაც შევიდა ლაიფციგის უნივერსიტეტში, ფილოსოფიის ფაკულტეტზე. იმ დროს ეს იყო ერთ-ერთი წამყვანი უნივერსიტეტი ბრწყინვალე პროფესურით ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სფეროში. საკმარისია ითქვას, რომ აქ სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა თვით ვილპელმ ვუნდტი – ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის მამამთავარი, მსოფლიოში პირველი ფსიქოლოგიური ლაბორატორიისა და ინსტიტუტის ფუძემდებელი. უზნაძემ სწორედ ამ ინსტიტუტში, ვუნდტის უშუალო ხელმძღვანელობით გაიარა მეცნიერული წრთობა. თავად ვუნდტის გარდა, აქ სხვადასხვა კურსები ისეთ თვალსაჩინო მეცნიერებს მიპყვედათ, როგორიც იყო ბარტი, კრიუგერი, ფოლკელტი, შპრანგერი და სხვა.

1907 წელს უზნაძე წერს თავის პირველ სამეცნიერო შრომას. იგი ლაიბნიცს მიეძღვნა და უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს მიერ პრემიით დაჯილდოვდა. 1909 წელს იგი ქმნის სერიოზულ ნაშრომს ელ. სოლოვიოვის ფილოსოფიურ მემკვიდრეობაზე, რომელშიც დოქტორის სარისხს ანიჭებენ. უზნაძე ამავე წელს ბრუნდება სამშობლოში, როგორც განათლებული ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი. მაგრამ მისი განათლების პროცესი გერმანიაში მიღებული ცოდნით არ სრულდება. საზღვარგარეთ მიღებული დიპლომი რუსეთის იმპერიაში ოფიციალურ დოკუმენტად არ ითვლებოდა. ამიტომ უზნაძე იძულებული გახდა ექსტერნის წესით ჩაებარებინა გამოცდები ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოსოფიურ ფაკულტეტზე და 1913 წელს მიიღო პირველი ხარისხის დიპლომი.

ამ დროისთვის უზნაძე უკვე მთლიანად ჩართულია პრაქტიკულ-საგანმანათლებლო, საზოგადოებრივ-პუბლიცისტურ და სამეცნიერო მოღვაწეობაში. მისი მეცნიერული ინტერესები იმ ხანად მიმართული იყო ლიტერატურათმცოდნეობის, ესთეტიკის თეორიის, ფილოსოფიისა და პედაგოგიკის საკითხებისადმი. ესთეტიკური აღქმის ორიგინალურ გააზრებაზე დაყრდნობით, უზნაძემ ქუთაისში მოღვაწეობის პირველივე წლებში შექმნა ქართველი მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებების ფსიქოლოგიური ანალიზის მშვენიერი ნიმუშები.

უზნაძე სერიოზული ფილოსოფოსი იყო. მისი შემოქმედება ამ სფეროში მოიცავს როგორც ფილოსოფიის ისტორიას (მონოგრაფიები სოლოვიოვისა და ბერგსონის ფილოსოფიური სისტემები შესახებ), ისე აქტუალურ ფილოსოფიურ პრობლემატიკას: სიკეთე და უკეთურება, ომი და ცხოვრების რაობა, პირადი ბედნიერება და ერისა თუ კულტურის სამსახური, ადამიანის ინდივიდუალობა და შემეცნების თავისებურება — აი იმ თემების არასრული ჩამონათვალი, რომელთაც უზნაძე ამუშავებდა. უზნაძის ფილოსოფიურ თხზულებებს დღესაც არ დაუკარგავთ მეცნიერული მნიშვნელობა და აქტუალობა, ხოლო მათი ავტორი კი სამართლიანად ითვლება არა მხოლოდ ქართული ფსიქოლოგიური სკოლის, არამედ ფილოსოფიური სკოლის ერთერთ უუძემდებლადაც.

ძალიან მდიდარია და საინტერესო მისი პედაგოგიური შემოქმედებაც. უზნაძემ წარმოადგინა შეხედულებათა მთლიანი სისტემა, რომელიც მოიცავს როგორც პედაგოგიკის, ისე ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის უმნიშვნელოვანეს საკითხებს (ის. 6.3.). 1910-1916 წლებში უზნაძე აქვეყნებს წერილების სერიას თეორიულ პედაგოგიკაში. განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს წიგნი "შესავალი ექსპერიმენტულ პედაგოგიკაში" (1912), რომელმაც, ფაქტობრივად, სათავე დაუდო საქართველოში ორ ახალ დისციპლინას — ექსპერიმენტულ პედაგოგიკას და ბავშვის ფსიქოლოგიას. ამავე პერიოდში ახალგაზრდა სწავლულმა შექმნა ოთხი სახელმძღვანელო ძველი მსოფლიოს ისტორიაში. ეს იყო ქართულ ენაზე შესრულებული პირველი სერიოზული სახელმძღვანელოები, რომლებზეც დიდი მოთხოვნილება არსებობდა. უზნაძე თავად ასწავლიდა ისტორიას გიმნაზიაში, მაგრამ მისი პრაქტიკულ-პედაგოგიური საქმიანობა ამით არ ამოიწურებოდა. გარემოებებმა მას საშუალება მისცა პრაქტიკაში შეემოწმებინა თავისი პედაგოგიური სისტემა. 1915 წელს ქუთაისში გაიხსნა ქალთა პირველი ქართული სკოლა "სინათლე", რომლის დირექტორად უზნაძე დაინიშნა. მას დაეკისრა სწავლა-აღზრდის პროცესის ორგანიზაციული, შინაარსეული და მეთოდური პრინციპების ჩამოყალიბება და მათი პრაქტიკული განხორციელება. უზნაძემ წარმატებით გაართვა თავი ამ ამოცანას და ორიოდ წელიწადში შექმნა ნოვატორული სკოლა. მან თავისი მუშაობის პრინციპები სპეციალური ანგარიშის სახით გამოაქვეყნა, რომელსაც პრესამ "ბრწყინვალე პედაგოგიური ტრაქტატი" უწოდა.

1917 წელს უზნაძე საცხოვრებლად გადმოდის თბილისში და მთლიანად ერთვება ი. ჯავახიშვილის თაოსნობით განხორციელებულ უზარმაზარი ნაციონალური მნიშვნელობის პროექტში — თბილისის უნივერსიტეტის დაარსებაში. მისი მუშაობის დაწყებისთანავე (1918) უზნაძემ გახსნა ფსიქოლოგიის კათედრა, ფსიქოლოგიური ლაბორატორია და საქართველოში ფსიქოლოგიური მეცნიერების ჩამოყალიბებას შეუდგა. ამ მიმართულებით მან უამრავი რამ გააკეთა. უზნაძე კითხულობდა ლექციებს, მიყავდა ლაბორატორიული მეცადინეობები, წერდა სახელმძღვანელოებს, ქმნიდა ტერმინოლოგიას, ამზადებდა კადრებს. სულ მალე მეცნიერულმა ფსიქოლოგიამ ჩვენში ისეთი ძალა მოიკრიფა, რომ აუცილებელი გახდა საქართველოს

ფსიქოლოგთა საზოგადოების შექმნა (1927). ამ ფაქტით გაცხადდა, რომ ჩვენში არსებობდა სერიოზული სამეცნიერო სკოლა, რომელშიც სახელოვანი ქართველი ფსიქოლოგების მთელი პლეადა გაერთიანდა. თავდაპირველად მისი ერთადერთი ცენტრი უნივერსიტეტი იყო. მოგვიანებით, 1941 წელს შეიქმნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი უზნაძეც იყო. აკადემიის ფარგლებში მან მაშინვე ჩამოაყალიბა ფსიქოლოგიის სექტორი, რომლის ბაზაზეც ორ წელიწადში გაიხსნა ფსიქოლოგიის ინსტიტუტი. უზნაძის ხელმძღვანელობით ამ ინსტიტუტში ძლიერი სამეცნიერო კოლექტივი ჩამოყალიბდა. იგი გახდა ქართული ფსიქოლოგიის ცენტრი, სადაც უზნაძის გარდაცვალების შემდეგაც წარმატებით ვითარდებოდა და ვითარდება მის მიერ შექმნილი განწყობის ფსიქოლოგია. უზნაძე მოულოდნელად გარდაიცვალა ფსიქოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, ე.წ. "ოთხშაბათობაზე", განწყობის შესახებ მსჯელობის დროს.

უაღრესად ფართოა უზნაძის ფსიქოლოგიური ინტერესების სფერო. გარდა ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის საკითხებისა, იგი ერთ ხანს ფსიქოტექნიკის (შრომის ფსიქოლოგიის) საკითხებსაც იკვლევდა. ძალზე მრავალფეროვანია იმ პრობლემების წრე, რომელთაც უზნაძე ამუშავებდა ზოგად ფსიქოლოგიაში. იგი იკვლევდა ფსიქოლოგიის ისტორიის და მეთოდოლოგიის პრობლემატიკას; შეისწავლიდა ცალკეულ ფსიქიკურ ფუნქციებს და გამოთქვა მრავალი საყურადღებო მოსაზრება კოგნიტური, ემოციური და ვოლიტური ფსიქიკური პროცესების შესახებ. მის კალამს ეკუთვნის ორი სქელტანიანი სახელმძღვანელო ზოგად ფსიქოლოგიაში. მაგრამ მისი ცხოვრების მთავარი საქმე, რა თქმა უნდა, განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია იყო.

უზნაძემ კვლევითი მუშაობა ფსიქოლოგიაში გასული საუკუნის ოციან წლებში დაიწყო. ეს იყო პერიოდი, როდესაც ფსიქოლოგია ე.წ. "ღია კრიზისის" ხანაში შევიდა და ტრადიციული ფსიქოლოგიის უნაყოფობა საყოველთაოდ ნათელი გახდა. ევროპასა და ამერიკაში თავი იჩინა ფსიქოლოგიის რეფორმირების ძლიერმა ტენდენციამ. გაჩნდა სრულიად ახალი ფსიქოლოგიური სისტემები (ფსიქოანალიზი, ბიჰევიორიზმი, გეშტალტფსიქოლოგია და ა.შ.), რომლებიც სხვადასხვა ასპექტში დაუპირისპირდნენ კლასიკურ ფსიქოლოგიას. მაგრამ ეს ფსიქოლოგიური კონცეფციები ერთმანეთსაც უპირისპირდებოდნენ და ბევრი მხრივ ურთიერთგამომრიცხავნიც იყვნენ. ფსიქოლოგიური კვლევა განსხვავებული და შეუთავსებელი პროგრამების საფუძველზე მიმდინარეობდა. არ არსებობდა ერთიანი ფსიქოლოგიური მეცნიერება; არსებობდა მრავალი ფსიქოლოგია. საჭირო იყო მოცემული ფსიქოლოგიური სისტემების ძლიერი და სუსტი მხარეების გარკვევა და პრინციპული ხარვეზების დაძლევის გზის პოვნა.

თავდაპირველად უზნაძემ სწორედ ასეთ უმნიშვნელოვანეს მეთოდოლოგიურ სამუშაოს მოჰკიდა ხელი. სათანადო ანალიზის შედეგად იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აქამდე არსებულ ყველა ფსიქოლოგიურ შეხედულებას ერთი საერთო შეცდომა ახასიათებდა. ისინი დაფუძნებულნი იყვნენ შეუმოწმებელ და უკრიტიკოდ მიღებულ მეთოდოლოგიურ პრინციპზე,

რომელსაც უმნაძემ *უშუალობის პოსტულატი* უწოდა. თავის ორიგინალურ ზოგადფსიქოლოგიურ თეორიაში მან ამოცანად აღნიშნული პოსტულატის დაძლევა დაისახა. ამ მეთოდოლოგიურ ამოცანას შემდგომში "უმნაძის ამოცანა" უწოდეს.

უშუალობის პოსტულატი ფსიქოლოგიაში ბუნებისმეტყველების, კერძოდ, ფიზიკის პირდაპირი მიბაძვით იქნა შემოტანილი. იმჟამინდელ ფიზიკაში კი მექანიკური მიზეზობრიობის პრინციპი ბატონობდა, რომლის თანახმად ერთი ფიზიკური მოვლენა უშუალოდ იწვევს მეორეს; მიზეზსა და შედეგს შორის უშუალო კავშირი არსებობს. ეს პრინციპი ფსიქიკის სფეროშიც გადმოიტანეს: რაც არ უნდა იყოს ფსიქიკური მოვლენის მიზეზი, გარემოს ფაქტორი თუ სხვა ფსიქიკური ფაქტი, იგი მას უშუალოდ და პირდაპირ იწვევს. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს ფსიქოფიზიკურ პრობლემასთან დაკავშირებით უშუალობის პრინციპის რომელ ვარიანტთან გვაქვს საქმე. ურთიერთზემოქმედების თეორიის მიხედვით ვარეკანი იწვევს შინაგანს ანუ განცდას. პარალელიზმის მოძღვრების თანახმად, ერთი განცდის მიზეზი მხოლოდ მეორე განცდა შეძლება იყოს. ფსიქიკური ფაქტის უშუალო გამომწვევი ყველა შემთხვევაში ან გარე სტიმულია, ან სხვა ფსიქიკური ფაქტი. განსხვავებული ბუნების მქონე რეალობა, რომელიც მათ ურთიერთობას ამუალებს, ამ სქემაში არ მოიაზრება.

უმნაძის აზრით, უშუალობის პოსტულატს აქამდე არსებული მთელი ფსიქოლოგია ეფუძნება. ასეა კლასიკურ ფსიქოლოგიაში, სახელდობრ ფსიქოფიზიკაში, სადაც გამღიზიანებელი უშუალოდ იწვევს შეგრძნებას; ასევეა ასოციაციონიზმში, სადაც ერთ წარმოდგენას ავტომატურად მოჰყვება მასთან რაიმე სახით დაკავშირებული მეორე წარმოდგენა. იგივე ითქმის ვუნდტზეც, რომელიც ფსიქიკური წარმონაქმნების ახსნას ასეთივე ფსიქიკური მოვლენების უშუალო ურთიერთზემოქმედებით ცდილობს. უშუალობის პოსტულატს ეფუძნება შედარებით ახალი ფსიქოლოგიური შეხედულებებიც. გეშტალტ-ფსიქოლოგია ერთმანეთისაგან მიჯნავს მარტივ, კერძო და რთულ მთლიანობით ფსიქიკურ მოვლენებს და აღნიშნავს, რომ პირველს მეორე განსაზღვრავს. მაგრამ, საქმე ისაა, რომ ორივე ჩვეულებრივი ფსიქიკური მოვლენების სამყაროს კუთვნილებაა და ამიტომ მეკავშირეობის წესიც უშუალო რჩება.

ბიჰევიორიზმის დახასიათება ამ მხრივ არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს. კლასიკური (უოთსონი) და რადიკალური ბიჰევიორიზმის თანამედროვე ვარიანტებში (სკინერი) სტიმული უშუალოდ განსაზღვრავს რეაქციას. რაც შეეხება ნეობიჰევიორიზმს, სადაც ნაცადია სტიმულსა და რეაქციას შორის ე.წ. შუალედური ცვლადების შემოტანა, ძირითადი არსი, პრინციპში, აქაც უცვლელი რჩება. საქმე ისაა, რომ ეს ცვლადები ან წმინდა ოპერაციონალურადაა განსაზღვრული და ამ გამაშუალებლების ჭეშმარიტი ფსიქლოგიური ბუნების შესახებ ვარაუდებიც არ გამოითქმის, ან მათი დახასიათება ისეთი ტერმინებით ხდება (ცოდნა, გეშტალტი, მოლოდინი, ლტოლვა, მიზანი), რომლებსაც ისევ და ისევ ჩვეულებრივ ფსიქიკურ წარმონაქმნებსა და პროცესებთან მიეყავართ. ერთი სიტყვით, "თუ გარემო – ფიზიკური იქნება იგი თუ ფსიქიკური – უშუალოდ მოქმედებს ჩვენს ფსიქიკაზე,

თუ ჩვენი მოტორული და ფსიქიკური პროცესები მათზე მომქმედი სტიმულების უშუალო პასუხს წარმოადგენენ, მაშინ გამოდის, რომ სინამდვილესთან ურთიერთობას სუბიექტი კი არა, მისი ფსიქიკა, ან კერძოდ, მისი მოტორიკა ამყარებს, რომ ჩვენი ქცევა თუ განცდა სუბიექტის არსებითი მონაწილეობის გარეშე ჩნდება და, მაშასადამე, ძალიზე მომქმედი სტიმულებით ერთმნიშვნელოვნად განისაზღვრება". ამრიგად, ასკვნის უზნაძე, კლასიკური ფსიქოლოგია *უსუბიექტო ფსიქოლოგიაა.*

ეს, ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ აქამდე არსებული ფსიქოლოგიისთვის სუბიექტის, პიროვნების ცნება სრულიად უცხოა. პირიქით, ფსიქოლოგიაში ხშირად მიუთითებენ იმაზე, რომ გარე გემოქმედება ერთმნიშვნელოვნად არ განსაზღვრავს ფსიქიკური რეაგირების ამა თუ იმ ფორმას, ვინაიდან მათ შორის სუბიექტია მოთავსებული, რომელიც თავისი თვისებებით აშუალებს ამ ურთიერთობას. უშუალობის პრინციპი ერთი შეხედვით დაძლეულია, მაგრამ უზნაძე აჩვენებს, რომ ეს ასე არ არის. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას ენიჭება, თუ რა შინაარსია ჩადებული ტერმინ სუბიექტში. თუ სუბიექტი მხოლოდ ფსიქიკურ მოვლენათა ერთობლიობად იქნება მიჩნეული (ვუნდტი), საქმის ვითარება არსებითად არ შეიცვლება. ეს ეხება შტერნის პერსონოლოგიასაც, სადაც თითქოს ყველაზე მეტადაა ნაცადი პიროვნების ფენომენის თავისებურებების ჩვენება. მაგრამ შტერნი არ მიუთითებს ისეთ განმასხვავებელ არეზე, სადაც წარმოდგენილი იქნებოდა პიროვნების ცნების სპეციფიკური შინაარსი. აქედან გამომდინარე, იგი იძულებული ხდება პიროვნების დასასიათებისას ისევ ტრადიციული მოვლენებით შემოისაზღვროს. უშუალობის პრინციპი აქაც ძალაში რჩება, ვინაიდან სუბიექტსა და გარემოს შორის ასე გაგებული ურთიერთობა კვლავ ცნობიერების კარგად ცნობილ (შემეცნებითი, ემოციურ თუ ვოლიტურ) პროცესებსა და სინამდვილეს შორის ურთიერთობას ნიშნავს.

ამრიგად, თუ ფსიქოლოგიას მყარ მეთოდოლოგიურ პოზიციაზე დადგომა და იმ ჩიხიდან გამოსვლა სურს, რომელშიც უშუალობის პრინციპის მიღებამ შეიყვანა, მან ამოსავალ წერტილად უნდა დაისახოს არა ფსიქიკური ცხოვრების ცალკეული აქტები, არამედ თვით სუბიექტი, როგორც მთელი, რომელიც სინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში ამ აქტებს მიმართავს და მათ ხასიათსა თუ მიმდინარეობას განსაზღვრავს. ამისთვის საჭიროა მოინახოს ისეთი სპეციფიკური რეალობა, რომელიც სუბიექტის მთლიანობით მდგომარეობას გამოხატავს და, ამ სახით, აშუალებს ურთიერთობას როგორც გარემოსა და ფსიქიკურ აქტივობას, ისე ცნობიერების სხვადასხვა შინაარსებს შორის. აღნიშნული მეთოდოლოგიური მოთხოვნიდან გამომდინარე, სუბიექტის ამ *სპეციფიკურ მდგომარეობას* ორი აუცილებელი ნიშანი უნდა გააჩნდეს: *მთლიანობა* (რადგანაც ყველა კერძო ფსიქიკური პროცესი მისგან გამომდინარეობს) და *არაცნობიერობა* (ვინაიდან ცნობიერების შინაარსების გამაშუალებელი ინსტანცია ცნობიერი მოვლენა ვერ იქნება).

დაისახა რა აღნიშნული მეთოდოლოგიური ამოცანა, უზნაძე ახალი ფსიქოლოგიური სისტემის შექმნას შეუდგა. კვლევა-ძიება თავიდანვე ერთდროულად თეორიულ და ემპირიულ პლანში მიმდინარეობდა. დამუშავდა

სისტემის ცენტრალური ცნება – *განწყობა;* გამოიკვეთა მისი არსებითი ნიშნები. პარალელურად დაიწყო განწყობის სპეციფიკური ფსიქოლოგიური თავისებურებებისა და კანონზომიერებების ექსპერიმენტული შესწავლა.

აღსანიშნავია რომ განწყობის ცნება ფსიქოლოგიისთვის ახალი არ იყო. მისი დამუშავება XIX საუკუნეში დაიწყო და შემდგომ საუკუნეში გაგრძელდა. ზოგ შემთხვევაში იგი ამა თუ იმ ფიქოლოგიური კონცეფციის საყრდენ ცნებადაც კი მოიაზრებოდა (კ. მარბე და სხვა). მაგრამ განწყობის ცნების გამოყენების ყველა შემთხვევაში მასში იგულისხმებოდა რაიმე ემოციური განცდა ან მოტორული მდგომარეობა, რომელიც სხვა განცდაზე (მაგ. აღქმაზე) ან მოტორულ პროცესზე (მაგ. რეაქციის დროზე) მოქმედებს და მათზე მნიშვნელოვან გაელენას ახდენს. ასე გაგებული განწყობა ჩვეულებრივ, კერძო ხასიათის ფსიქოფიზიკურ პროცესს წარმოადგენდა და, ცხადია, ვერ შეასრულებდა ამ პროცესებსა და სინამდვილეს შორის შუამდებარე რგოლის როლს.

სწორედ ეს ფუნქცია აკისრია განწყობას უზნაძის თეორიაში. იგი *უნივერსალური გამამშუალებელი ცელადია* გარემოსა და ცნობიერებას, თვითონ ცნობიერების მოვლენებსა და, აგრეთვე, ცნობიერებასა და ქცევას შორის. ამ ფუნქციების შესრულება მას იმიტომ შეუძლია, რომ მთლიანი სუბიექტის სპეციფიკურ მოდიფიკაციას წარმოადგენს და მის სამოქმედოდ მომართვას განაპირობებს. უზნაძის მიხედვით, მოთხოვნილებით აღძრულ ინდივიდში სიტუაციის ზემოქმედების შედეგად იქმნება სპეციფიკური მთლიანი მდგომარეობა – განწყობა. მისი ფსიქოლოგიური არსი მოთხოვნილებისა და სიტუაციის შესაბამისი აქტივობის განხორციელების მზაობაში მდგომარეობს. განწყობა აქტივობისთვის *მომზადების, მომართვის* მდგომარეობაა, მდგომარეობა, რომელიც ახასიათებს ერთიან *სუბიექტს როგორც მთლიანობას* და არა მის ცალკეულ პროცესსა თუ ფუნქციას.

განწყობა *პირველადი* მდგომარეობაა, რომელთან მიმართებაში სუბიექტში მიმდინარე ყველა ფსიქოფიზიკური პროცესი *მეორადი* ხასიათისაა. ეს პროცესები, ჩვეულებრივ, ქცევას ემსახურება და ამა თუ იმ კონკრეტული ქცევის ფორმაშია მოცემული; ქცევა კი საზოგადოდ "გარე სინამდვილის ზემოქმედებით განისაზღვრება არა უშუალოდ, არამედ გაშუალებულად, სახელდობრ, სუბიექტის ქცევაში მისი მთლიანობითი ასახვის, სუბიექტის ქცევის განწყობის საშუალებით. ქცევის ცალკე აქტები, მთელი ფსიქიკური ცხოვრება, ამისდა მიხედვით, მეორად წარმომობის მოელენას წარმოადგენს". უზნაძის თეორიის ძირითადი სქემა ასათია: *გარემო – სუბიექტი (განწყობა) – ქცევა.* განწყობა გააზრებულია როგორც შუალედური ცელადი გარემოსა და ქცევას შორის. იგი ქცევის უშუალო მიზეზია, ქცევის რეალური ფსიქოლოგიური მექანიზმია. განწყობა წინ უსწრებს ქცევას და განსაზღვრავს მის მიზანშეწონილ ხასიათს; იგი ქცევის *მიზანშეწონილების* საფუძველია. *განწყობა მთლიანი სუბიექტის ქცევისათვის მზაობაა.* მასში თავმოყრილია ყველა ის მომენტი, რომელიც აქტივობის მიზანშეწონილი განვითარებისთვისაა აუცილებელი. ვინაიდან განწყობა მოთხოვნილებისა და სიტუაციის საფუძველზე აიგება, მას შეუძლია აღძრას და წარმართოს ქცევა საჭირო მიმართულებით.

განწყობის ფსიქოლოგია არც მხოლოდ გაშუალების მეთოდოლოგიური

პრინციპის რეალიზაციაა და არც მხოლოდ ქცევის მიზანშეწონილების ამხსნელი თეორიული მოდელი. განწყობა, პირველ ყოვლისა, რეალური მოვლენაა, სუბიექტის სპეციფიკური მთლიანობითი მდგომარეობაა. აქედან გამომდინარე, ის ემპირიულად უნდა იქნეს შესწავლილი. ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის მექაში – ლაიფციგში ნასწავლმა უზნაძემ თავიდანვე მიაგნო განწყობის ექსპერიმენტული კვლევის მარტივ, მოხდენილ და ეფექტურ მეთოდს. ცდისპირს ტაქტილურად (ხელებში) ან ვიზუალურად მიეწოდება ორი არატოლი ბურთი (ან წრე) – ვთქვათ მარჯვნივ დიდი, მარცხნივ პატარა. ყოველი ექსპოზიციისას ცდისპირი აფასებს ბურთების სიდიდეს და აფიქსირებს მათ არატოლობას. ცდის ეს *საფიქსაციო* ნაწილი 10-15 ექსპოზიციას მოიცავს. მოულოდნელად ექსპოზიცია იცვლება და ცდისპირს ტოლი ბურთები (წრეები) მიეწოდება. იწყება ცდის *კრიტიკული* ნაწილი, რომლის დროსაც უმრავლეს შემთხვევაში იქმნება *ილუზია*, ანუ ცდისპირი ობიექტურად ტოლ ბურთებს (წრეებს) არატოლად აფასებს. ილუზია უმეტესწილად *კონტრასტულია*, ე.ი. უფრო დიდად ეჩვენება იმ მხარეს, სადაც მანამდე მცირე ზომის მასალა ეძლეოდა და პირიქით. თუმცა, შედარებით იშვიათად, თავს იჩენს *ასიმილაციური* ილუზიაც, ე.ი. ილუზიური აღქმა საფიქსაციო აღქმის მიმართულებით წარიმართება.

უზნაძის და მისი მოწაფეების ინტენსიური კვლევა-ძიების შედეგად საბოლოოდ და ერთმნიშვნელოვნად დამტკიცდა, რომ ილუზიის რა სახესთანაც არ უნდა გვქონდეს საქმე, ის გამოწვეულია ცდის პირველ ნაწილში დაფიქსირებული განწყობის მოქმედებით. განწყობა, რომელიც იქმნება და მტკიცდება საფიქსაციო ცდაში, განსაზღვრავს და წარმართავს პერცეპტულ პროცესს – აღქმის ილუზიას. ეს მეთოდი *ფიქსირებული განწყობის მეთოდის* სახელითაა ცნობილი, ხოლო მისი გამოყენებით მიღებულ განწყობის ეფექტებს პიაჟემ "უზნაძის ეფექტები" უწოდა. შემდგომმა კვლევებმა აჩვენა, რომ ამდაგვარი განწყობის ეფექტების მიღება შესაძლებელია არა მხოლოდ აღქმის, არამედ აზროვნების, წარმოსახვის, ფსიქო-მოტორული აქტივობის თუ სხვა სფეროში. ეს საკვლევით ადასტურებს იმას, რომ განწყობა ყოველგვარი ფსიქოფიზიკური აქტივობის საფუძველსა და გამსაზღვრელ მექანიზმს წარმოადგენს. უზნაძის მეთოდი უბრალოდ საშუალებას იძლევა განწყობა ხელოვნურად შევქმნათ, გავაძლიეროთ და შემოვინახოთ, დავადგინოთ მისი აქტივობაში გამოვლენის კანონზომიერებანი.

ამრიგად, არსებობს განწყობის ორი სახე: *პირველადი (აქტუალური) და მეორადი (ფიქსირებული)*. განმეორების ან დიდი პიროვნული წონის შემთხვევაში აქტივობის წინ შექმნილი პირველადი განწყობა ფიქსირდება და ლატენტურ ფორმაში გადადის. შემონახული ფიქსირებული განწყობები სათანადო პირობებში აქტუალიზირდებიან და შესაბამის აქტივობას წარმართავენ. მაშასადამე, განწყობათა ფიქსაციის მექანიზმი, უზნაძის თანახმად, საზოგადოდ გამოცდილების შეძენისა და შემონახვის მექანიზმია. რაკი ფიქსირებული განწყობა ყველა იმ არსებითი ნიშნის მატარებელია, რაც საერთოდ განწყობას ახასიათებს, მისი კვლევით შესაძლებელი ხდება იმ სპეციფიკური ზოგადფსიქოლოგიურ თუ დიფერენციალურფსიქოლოგიურ კანონ-

ზომიერებათა დადგენა და შესწავლა, რაც განწყობის მოელენას ახასიათებს. უზნაძის და მისი მიმდევრების რამდენიმე თაობის ფართო კვლევითი მუშაობის შედეგად მოპოვებულ იქნა მრავალი ემპირიული მონაცემი, რამაც უზნაძის სკოლა გამორჩეული ექსპერიმენტული კულტურის სკოლად აქცია.

პირველ რიგში დამტკიცდა თეორიის ძირითადი დებულებები განწყობის ბუნების შესახებ. სახელდობრ, განწყობის *მთლიანობა და არაცნობიერობა*. ამ უკანასკნელის დასადგენად გამოყენებულ იქნა ფიქსირებული განწყობის კლასიკური ცდები, ოღონდ პიპნოტურ მდგომარეობაში. ჰიპნოზში მყოფ ინდივიდს უტარდება საფიქსაციო ცდები; კრიტიკულ ცდებში ბურთები შესაფასებლად ეძლევა ჰიპნოზიდან გამოსვლის შემდეგ. ამ შემთხვევაში ადამიანი სრულიად ჩვეულებრივ ცნობიერ მდგომარეობაში იმყოფება, ოღონდ მას არაფერი ახსოვს ჰიპნოზის დროს განწყობის შესაქმნელად და გასაძლიერებლად ჩატარებული პროცედურების თაობაზე, ე.ი. აქვს ე.წ. პოსტჰიპნოტური ამნეზია. მიუხედავად ამისა, განწყობა თავს მაინც იჩენს – ცდისპირი ილუზორულად აღიქვამს კრიტიკულ ექსპოზიციას. ეს ცდები აფასტურებს, რომ განწყობის წარმოშობისა და მოქმედების პროცესები არ ცნობიერდება. მაშასადამე, განწყობა არაცნობიერია.

მაგრამ არის კი ეს არაცნობიერი პროცესი მთლიანპიროვნებისეული ხასიათისა? ამ ცდების მიხედვით ხომ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ეს ლოკალური, პერიფერიული პროცესია, რომელიც ინდივიდის რომელიმე კერძო, ვთქვათ მოტორულ ან პერცეპტულ სისტემაში წარმოიქმნება და მოქმედებს. უზნაძემ სპეციალურად აჩვენა, რომ ეს ასე არ არის, რომ განწყობა ცენტრალური სახის მოვლენაა და მართლაც სუბიექტის მთლიან მდგომარეობას წარმოადგენს. ამისთვის საფიქსაციო ცდები ხელებით მოსინჯვის გზით ანუ ჰაპტურ არეში ჩატარდა, ხოლო კრიტიკული ცდები მხედველობით არეში (ან პირიქით). გამოირკვა, რომ ამ შემთხვევაშიც ფიქსირებული განწყობის ჩვეულებრივ ეფექტებთან გვაქვს საქმე. მაშასადამე, ხდება განწყობის გაერცელება, ირადიაცია ერთი ფუნქციონალური სისტემიდან მეორეში. ეს, თავის მხრივ, შეუძლებელი იქნებოდა, თუ განწყობა ერთ კერძო პროცესთან, ვთქვათ მოტორულთან ან პერცეპტულთან იქნებოდა დაკავშირებული.

არსებითად იმაეგზე მეტყველებს ექსპერიმენტების სხვა ციკლის მონაცემები, რომლებითაც დადასტურდა, რომ გარკვეულ მასალაზე (მაგ., წრეებზე) ფიქსირებული განწყობა აღვილად ტრანსპონირდება სხვა მასალაზე (მაგ., კვადრატებზე). ე.ი. მიმართებაზე (ამ შემთხვევაში დიდი-პატარა) შექმნილი განწყობა ერთი რომელობითი მასალიდან მეორეზე გენერალიზირდება. უზნაძის ამრით, *ირადიაციისა და გენერალიზაციის* ეფექტები განწყობის მთლიანპიროვნებისეულ ხასიათზე მიუთითებენ. ვინაიდან განწყობილია მთელი სუბიექტი, ეს მდგომარეობა მის ყველა სტრუქტურულ არეში აისახება და ყოველგვარი მასალის აღქმასა თუ სხვა სახის აქტივობაზე ერცელდება.

ფიქსირებული განწყობის ცდებში ილუზია წარმოიქმნება. ისმის კითხვა, ხდება თუ არა ადექვატურ აღქმაზე გადასვლა და, თუ ხდება, როგორ. საკითხი ფიქსირებული განწყობის ჩაქრობას ეხება. აქ გარკვეული კანონზომიერებები გამოვლინდა. აღმოჩნდა, რომ საზოგადოდ განწყობის *შექმ-*

*ნისა და ჩაქრობის* პროცესები განსხვავებულად მიმდინარეობს სხვადასხვა ინდივიდებში. უფრო მეტიც, ამ პროცესების დინამიკის რაგვარობის მიხედვით ადამიანთა ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიურ თავისებურებებზე შეიძლება მსჯელობა. ამდენად, ფიქსირებული განწყობის მეთოდმა დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური მნიშვნელობაც შეიძინა. იმის მიხედვით, თუ რამდენად სწრაფად ფიქსირდება განწყობა, როგორია ილუზიის სიღიდე, მისი ჩაქრობის პროცესის დინამიკა, რამდენად გამძლეა დროში საგანწყობო ეფექტები და სხვა, შესაძლებელია გამოიყოს განწყობის ესა თუ ის ტიპი (მაგ., *სტატიკური ან დინამიკური, პლასტიკური ან ტლანქი, კონსტანტური ან ვარიაბილური, სტაბილური ან ლაბილური*). განწყობის ამ *ფორმალურ-დინამიკურ* მახასიათებლებზე დაყრდნობით პიროვნების ქარაქტეროლიგიურ თვისებებზე შეიძლება ლაპარაკი. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი თუ გაეითვალისწინებთ, რომ განწყობა მართლაც მთლიანი სუბიექტის მოცემულობა და მისი გამოხატვის ფორმაა.

უზნაძის მიერ დაწყებულმა პიროვნების განწყობისეული თავისებურებების შესწავლამ ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლაში ფართო ხასიათი მიიღო. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ე. ნორაკიძისა და მისი თანამშრომლების გამოკვლევები. სახედობრ, დადგენილ იქნა, რომ განწყობის ტიპსა და სხვა ფსიქოდიაგნოსტიკური მეთოდებით მიღებულ მონაცემებს შორის მყარი კორელაციური კავშირი არსებობს. მაგალითად, სოციალური ადაპტაციის თვალსაზრისით დადებითი ნიშნები (მეგობრულობა, კოლექტიურობა, აფილაცია და სხვა), რომლებიც ღგინდება თემატური აპერცეფციის მეთოდით, აღმოაჩნდათ პლასტიკურ-დინამიკური განწყობის მქონე ადამიანებს, ხოლო სოციალური ადაპტაციის მხრივ უარყოფითი ნიშნები — ეგოცენტრიზმი, აგრესიულობა, რიგიდულობა და სხვა — სტატიკური ან ლაბილური განწყობის ტიპებს. ამდენად, ფიქსირებული განწყობის მეთოდმა სერიოზული ფსიქოდიაგნოსტიკური ტექნიკის სახე მიიღო, რომელიც პიროვნების სასიათობრივი თავისებურებების გამოვლენის საშუალებას იძლევა.

ფიქსირებული განწყობის მეთოდის მაღალ ფსიქოდიაგნოსტიკურ პოტენციალზე მიუთითებს გამოკვლევათა ციკლი, რომელიც უზნაძის ხელმძღვანელობით ჩატარდა ფსიქოპათოლოგიის სფეროში. უზნაძე ამოდიოდა მოსაზრებიდან, რომ ფსიქიკური მოქმედების ყოველგვარმა გადახრამ პირველ ყოვლისა მის საფუძვლად მდებარე ფსიქოლოგიურ მექანიზმში ანუ განწყობაში უნდა იჩინოს თავი. ამიტომაც ავადმყოფური ფსიქიკის შემთხვევაში განწყობის შექმნის, მოქმედების და შეცვლის პროცესებს თავისებური ხასიათი უნდა ჰქონდეს. კვლევაში ეს ვარაუდი საესებით დადასტურდა. აღმოჩნდა, რომ ფსიქოპათოლოგიის სხვადასხვა შემთხვევებში ფიქსირებული განწყობის მახასიათებლები არსებითად განსხვავდება ნორმისაგან. ამასთან, ეს განსხვავება ყოველი კონკრეტული დარღვევის შემთხვევაში (შიზოფრენია, ეპილეფსია, ისტერია, ფსიქასთენია და ა.შ.) სპეციფიკურ სახეს ატარებს. კვლევამ ისიც აჩვენა, რომ განწყობის ფორმალური სტრუქტურა გამოჯანსაღების ან მდგომარეობის გაუმჯობესების შესაბამისად იცვლება. შემდგომში ეს კვლევა გასცდა ფსიქოპათოლოგიის სფეროს და მრავალი ფსიქოსომა-

ტური დაავადებაც მოიცვა.

როგორც ეხედავთ, განწყობის ფსიქოლოგიაში *პიროვნებასთან* დაკავშირებული პრობლემატიკა საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი. აქ შეიძლება რამდენიმე ასპექტი გამოიყოს; ზოგადფსიქოლოგიური თვალსაზრისით მოცემულია შეხედულება იმის შესახებ, რომ ქცევის მთლიანი სუბიექტის (მათ შორის პიროვნების) ფსიქოლოგიური არსებობის ფორმა, მოდუსი არის განწყობა. ამ შემთხვევაში მთავარია ის, რომ ქცევის ყოველი სუბიექტი მთლიანია, მაგრამ ყოველი სუბიექტი არ არის პიროვნება (მაგ., ცხოველი). აქედან გამომდინარე, ბუნებრივად დაისმის საკითხი პიროვნების, როგორც სპეციფიკური ადამიანური ქცევის სუბიექტის თავისებურების შესახებ. ქცევისა და ფსიქიკის ადამიანური დონის სპეციფიკის ცხადყოფა უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა. ამას ადასტურებს მისი შეხედულებების სისტემა ნებელობაზე (აგრეთვე ე.წ. ობიექტივაციაზე, რაც ქვემოთ იქნება განხილული). ავტორი ცდილობდა ეჩვენებინა, რომ ნებელობა ადამიანის (პიროვნების) ის უნარია, რომელიც მას ყველა სხვა ცოცხალი არსებისაგან გამოარჩევს. ნებელობის საშუალებით ყალიბდება განწყობა, რომელიც სპეციფიკურ ადამიანურ ქცევას ედება საფუძვლად; ამ განწყობის შექმნისა და მოქმედების კანონზომიერებები მხოლოდ ადამიანისთვის დამახასიათებელ შინაგან და გარეგან ფაქტორებს გულისხმობს. პიროვნების ფსიქოლოგიის კონტექსტში მთავარია ის, რომ პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესების შესაბამისი ქცევის განწყობის შექმნას განსაზღვრავს და ადგილებს წინასწარი მიდრეკილება (დისპოზიცია), რომელიც ადამიანს აქვს აღნიშნული ქცევის მიმართ. ასეთი მიდრეკილება პიროვნების ხასიათის სახითაა მოცემული; *ხასიათი* ნებელობის დისპოზიციაა. იგი ყალიბდება ცხოვრების განმავლობაში გარკვეული ქცევების შესრულებისა და მათი ქვემდებარე განწყობების ფიქსაციის გზით. ასეთი განმტკიცებული, *დისპოზიციური განწყობები* ქმნიან პიროვნების ხასიათის სტრუქტურას. უზნაძე მიუთითებს, რომ "ნებელობის აქტის წარმატება იმაზეა დამოკიდებული, აქვს თუ არა პიროვნებას ამ სიტუაციის ზეგავლენით ამ განწყობის აქტუალიზაციის უნარი, ე.ი. აქვს თუ არა მას ეს განწყობა დისპოზიციურად. მაშასადამე, გამოდის, რომ ის, რასაც ჩვეულებრივ, ხასიათს ეუწოდებთ, ნამდვილად პიროვნების დისპოზიციურ განწყობას, გარკვეულ განწყობათა აქტუალიზაციის უნარს წარმოადგენს". საზოგადოდ პიროვნებას, მის სტრუქტურას ეს განწყობები ქმნიან; ისინი განსაზღვრავენ, თუ რა მიმართულებით წარიმართება ადამიანის მოქმედება კონკრეტულ პირობებში.

შემდგომში დიდი პიროვნული წონის მქონე დისპოზიციური განწყობების, როგორც პიროვნების სტრუქტურის ძირეული ერთეულების, პიროვნული ნიშნების განხილვას უზნაძის სკოლაში სერიოზული ყურადღება მიექცა. ეს ცნება ნაყოფიერად გამოიყენება შ. ნადირაშვილის მიერ, რომელიც ცდილობს მაქსიმალურად წინ წამოსწიოს პიროვნების ზოგადი თეორიის პრობლემატიკა განწყობის ფსიქოლოგიაში და თავის მოდელს "განწყობის ანთროპულ თეორიას" უწოდებს. მის მიერ ნაჩვენებია დისპოზიციური განწყობების შექმნისა და შეცვლის მრავალი მნიშვნელოვანი კანონზომიერება. საბოლოო

ჯამში პიროვნება დისპოზიციური განწყობების სახითაა წარმოდგენილი.

გარდა ამისა, განწყობის თეორიაში პიროვნების პრობლემა დამუშავებულია დიფერენციალურფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც – იგულისხმება პიროვნების განწყობისეული ტიპოლოგია – და სამეცნიერო ფსიქოლოგიის კუთხითაც – შეხედულება განწყობაზე, როგორც პიროვნების ფსიქოფიზიკური სისტემების დარღვევისა და ნორმალიზაციის მექანიზმის შესახებ.

პიროვნების (სუბიექტის) კატეგორიასთან ერთად განწყობის თეორიაში დამუშავებულია ფსიქოლოგიის ისეთი ძირეული კატეგორიებიც, როგორებიცაა *ქცევა, ცნობიერება და არაცნობიერი.* სრულყოფილი, უნივერსალური ზოგადფსიქოლოგიური კოსცეფცია ამ კატეგორიებს ერთიანი პრინციპიდან გამომდინარე უნდა განიხილავდეს. ასეა განწყობის თეორიაში.

როგორაა მასში წარმოდგენილი თუნდაც *არაცნობიერის კატეგორია?* არაცნობიერის სფერო განწყობის სფეროა – ესაა ამოსავალი ღებულება. თეორიის წინაშე მდგარი ძირითადი მეთოდოლოგიური ამოცანიდან გამომდინარე, განწყობა გაგებულია როგორც რეალობა, რომელიც ამუალებს ცნობიერების მიმართებას ფიზიკურთან და ფიზიოლოგიურთან და მიმართებას თავად ცნობიერების მოვლენებს შორის. ამიტომ განწყობა თვითონ აუცილებლად არაცნობიერია. უზნაძე არა ერთხელ აღნიშნავდა, რომ "განწყობა ცნობიერების შინაარსს არ წარმოადგენს, იგი ისეთი კატეგორიის მოვლენაა, რომელიც განცდისეულად არ გვეძლევა, განცდით წრეში არ ხვდება". იგი კატეგორიულად უსვამდა საგს, რომ "ცნობიერი განცდები შეიძლება ჩვენი განწყობის გარკვეული ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდნენ, განწყობისა, რომელიც თავის მხრივ არავითარ შემთხვევაში ჩვენი ცნობიერების შინაარსად არ ჩაითვლება. როგორც ზემოთ დავრწმუნდით, ეს ვითარება ექსპერიმენტულადაც იქნა ნაჩვენები. მაგრამ ღება საკითხი განწყობის ონტოლოგიური ბუნების შესახებ: რა რეალობას ფიეკუთვნება იგი? არის თუ არა ის ფსიქიკური? თეორიის შემუშავების საწყის ეტაპზე უზნაძე ფიქრობდა, რომ განწყობა "სინამდვილის ჯერ უცნობ არეს წარმოადგენს, რომლისთვისაც სუბიექტურისა და ობიექტურის საწინააღმდეგო პოლუსები სრულიად უცხოა და რომელშიც ჩვენ მათი შინაგანი, გაუნაწევრებელი არსებობის შეურყვნელ უაქტთან გვაქვს საქმე". ამ *ქვეფსიქიკურ* არეს თავდაპირველად *ბიოსფერო* ეწოდა. ეს სახელწოდება ნათლად გამოხატავს იმას, რომ შემდგომში განწყობად ცნობილი მოვლენა *სიცოცხლის პრინციპად* იყო წარმოდგენილი; იგი ფსიქოფიზიკურად ნეიტრალურ რეალობად მოიაზრებოდა.

მოგვიანებით უზნაძემ განწყობა ერთმნიშვნელოვნად ფსიქიკის სფეროს მიაკუთვნა. განწყობა *არაცნობიერი ფსიქიკურია.* მაგრამ განწყობის სახით ფსიქიკის ისეთ განსაკუთრებულ სახეობასთან გვაქვს საქმე, რომელიც ჩვენს უშუალო ცნობიერებაში დღემდე დადასტურებული ფსიქიკურისაგან არსებითად განსხვავდება. თუ ფსიქიკურ სამყაროს განვითარების თვალსაზრისით შევხედავთ, საჭირო გახდება "ფსიქიკის ჩვეული საზღვრების გარღვევა" და მისი სპეციფიკური არაცნობიერი ფორმის დაშვება. ფსიქიკა თავიდანვე ცნობიერების სახით ვერ ჩამოყალიბდებოდა. მან ხანგრძლივი ევოლუციური განვითარების გზა გაიარა. უნდა არსებობდეს ათელის წერტილი, განვითარების

ის საწყისი დონე, რომელიც სიცოცხლისა და ფსიქიკურის მიჯნაზეა. განწყობა სწორედ ასეთ არაცნობიერ ფსიქიკურ რეალობას წარმოადგენს. ფსიქიკის განვითარების რა სასეც არ უნდა გვქონდეს მხედველობაში (ფილოგენეზი, ონტოგენეზი, აქტუალგენეზი), განწყობა წინ უსწრებს და აპირობებს ფსიქიკის ჩვეულებრივ გამოვლინებებს (წარმოდგენებს, აზრებს, გრძნობებს და სხვა).

განწყობა ორგანიზმის ჩარჩოებში მოქცეული სინამდვილეა, იგი სუბიექტის მდგომარეობაა და ცნობიერების ყოველგვარი შინაარსი მისი გამოვლინებაა. მაგრამ ეს მხოლოდ ცნობიერებას, განცდას არ ეხება. შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოდ აქტივობაც და ქცევაც, პრინციპში, ფსიქოფიზიკური ბუნებისაა. ქცევაში ჩართული სხეულებრივი და მოტორული პროცესები ცნობიერების (შემეცნებით, ემოციურ, ვოლიტურ) პროცესებთან ერთიანობაში აღმოცენდება იმ არაცნობიერი საწყისიდან, რომელსაც განწყობა ეწოდება. თვით განწყობა კი თავისებური ფსიქიკური ფენომენია, სპეციფიკური რომელობითა და კანონზომიერებით. "როდესაც სუბიექტზე სინამდვილე მოქმედებს იგი, როგორც მთლიანი, უპასუხებს მას, როგორც ეს სპეციფიკური, ეს თავისებური რეალობა, რომელიც წინ უსწრებს კერძოულ ფსიქიკურსა და ფიზიოლოგიურს და მათზე არ დაიყვანება". ამავე დროს "თუ განწყობა სუბიექტის, როგორც მთელის მდგომარეობაა, მაშინ საფიქრებელია, რომ იგი რაიმე გარკვეული, განცდადი, კერძოული ფსიქიკური შინაარსის სახით არ გვეძლევა, რომ იგი ცნობიერებაში მოცემულობის გარეშე მოქმედებს, რომ ამ აზრით იგი არაფენომენალურ პროცესად შეიძლება ჩაითვალოს".

მართალია, განწყობა სუბიექტის მდგომარობაა, მაგრამ ის გარემოთია პირობადებული და ობიექტური შინაარსით არის დატვირთული. განწყობა მოთხოვნილების ფონზე გარემოს, სიტუაციის ზემოქმედებას ასახავს. უზნაძის თქმით, განწყობა სუბიექტში გადმოსული ობიექტური ვითარებაა. და ბოლოს, განწყობის სახით საკმაოდ სომატიზირებულ ფსიქიკასთან გვაქვს საქმე. განწყობა მართლაც მჭიდროდ არის დაკავშირებული სხეულებრივ პროცესებთან. ეს ბუნებრივეიცაა, ვინაიდან ქცევა ფსიქოფიზიკური მოვლენაა, განწყობა კი – მისი რეალიზაციის მექანიზმი. ქცევისათვის მომზადება გულისხმობს როგორც გარკვეული ინფორმაციის არსებობას ორგანიზმის მოტივაციური და ოპერაციული სისტემების შესახებ, ისე მათ მობილიზაცია-მომართვას გარკვეული მოქმედების შესასრულებლად. უფრო ფართო მეთოდოლოგიურ კონტექსტში უზნაძე ლაპარაკობდა, რომ არსებობს "სხეულებრივი და ფსიქიკური, როგორც ერთი მთლიანი მოვლენა – სიცოცხლის მოვლენა. ამიტომ ცალკე შესწავლა არც ერთის შეიძლება (ფსიქიკურის) და არც მეორის (სხეულებრივის). ფსიქოლოგია ამას სწავლობს და საფუძველსაც ხედავს ამისას, განწყობას". ექსპერიმენტული კვლევის შედეგად საფუძვლიანად იქნა შესწავლილი განწყობის მოქმედების კანონზომიერებები სენსომოტორულ სფეროში.

ფსიქოლოგიაში არაცნობიერის შესწავლა ტრადიციულად ფსიქოანალიზის დომინირების ნიშნით მიმდინარეობდა. უზნაძე თავიდანვე დაუპირისპირდა არაცნობიერის ფროიდისტულ გაგებას. მას მიაჩნდა, რომ ფროიდის თვალსაზრისი არაცნობიერის ბუნებისა და წარმოშობის თაობაზე არ ვვა-

ძლევს რაიმე ახალ ცოდნას ფსიქიკის რაობისა და მისი განვითარების შესახებ. ფროიდისეული არაცნობიერი შინაარსები ხომ ჩვეულებრივი ფსიქიკური მოვლენებია, რომლებიც, უბრალოდ, ცნობიერების ნიშანს არიან მოკლებულნი. ცნობიერებიდან გასვლისას (განდევნისას) ისინი ამ ნიშანს კარგავენ, სოლო უკან დაბრუნებისას კვლავ იძენენ და ჩვეულებრივ განცდებად იქცევიან. უზნაძის შეფასებით ფროიდის მიერ არაცნობიერ წარმოდგენაზე ან არაცნობიერ გრძნობაზე ლაპარაკი არაგანცდადი განცდის დაშვების ტოლფასია. ფსიქოანალიზის მიერ დახასიათებული არაცნობიერი, როგორც განცდა მინუს ცნობიერება, მეცნიერებას პოზიტიურს არაფერს აძლევს, ვინაიდან თავისი შინაგანი ბუნებითა და სტრუქტურით, არსებითად, ცნობიერი ფსიქიკის იგივეობრივია. გარდა ამისა, ეს თვალსაზრისი არაცნობიერ და ცნობიერ მოვლენებს ფსიქიკური განვითარების ერთ საფეხურზე ათავსებს. იგი ცნობიერებიდან განდევნილი ფსიქიკაა და, ამდენად, ცნობიერება მისი წარმოქმნის პირობაა; ცნობიერების განვითარებას იგი ვერ აგვიხსნის. უზნაძის მიხედვით კი არაცნობიერი და ცნობიერება ფსიქიკის სხვადასხვა სახეები და სხვადასხვა საფეხურებია. არაცნობიერი, რომელიც განწყობის სახითაა მოცემული, ლოგიკურად და ფაქტობრივად წინ უსწრებს და განსაზღვრავს ცნობიერების ყოველგვარ გამოვლინებას, როგორც აქტუალგენეზში, ისე ფილოგენეზში და ონტოგენეზში.

ფსიქოანალიზისა და განწყობის თეორიის ურთიერთმიმართების საკითხი განსაკუთრებით გამოიკვეთა თბილისის 1979 წლის საერთაშორისო სიმპოზიუმზე, რომელიც არაცნობიერის პრობლემას მიეძღვნა. მისი ჩატარება თბილისში თავისთავად მრავლისმეტყველი ფაქტია, ვინაიდან ეს იყო მსოფლიო ფსიქოლოგიის ისტორიაში ყველაზე წარმომადგენლობითი ფორუმი არაცნობიერის შესახებ. თავის გამოსვლებსა და სიმპოზიუმის ამსახველ მასალებში ქართველმა ფსიქოლოგებმა ნათლად აჩვენეს, რომ არაცნობიერი განწყობა ფუნდამენტური მნიშვნელობის ზოგადფსიქოლოგიურ კატეგორიას წარმოადგენს. მისი გამოყენება აუცილებელი და სასარგებლოა არა მხოლოდ ისეთი "ტრადიციულად ფსიქოანალიტიკური" მოვლენების გასათვალისწინებლად, როგორიცაა ჰიპნოზი, სიზმარი ან ნევროზი, არამედ ყოველგვარი ცნობიერი პროცესის მიმდინარეობის ასახსნელად. საქმე ისაა, რომ ცნობიერი პროცესები და ფსიქიკური აქტივობა საზოგადოდ, მიზანშეწონილი და მიზანმიმართული პროცესებია. ისინი თავიდანვე არიან განსაზღვრულნი პროცესის ბოლო წერტილით, იმით, რაც მისაღწევია და რაც, ცხადია, პროცესის დასაწყისში ცნობიერებაში არ შეიძლება იყოს მოცემული. "ეს შესაძლებელია, მხოლოდ, პროცესის მიმართულების მიმცემი მიმართებების წინასწარი ცნობიერებამდელი ასახვის შემთხვევაში. ცნობიერებას უნდა გააჩნდეს კანონი, რომელიც განაპირობებს მისი გარკვეული მიმართულებით მსვლელობას. ცნობიერების ყველაზე აქტიურ პროცესსაც კი ესაჭიროება ცნობიერებამდელი ასახვა" (მ. საყვარელიძე). ეს არაცნობიერი ასახვის ფორმა, "მოქმედების კანონი" განწყობის ცნების საშუალებით შემოდის ფსიქოლოგიაში.

უდავოა, რომ არაცნობიერის (ე.ი. განწყობის) უშუალო დაკვირვება შეუძლებელია. მაგრამ უზნაძის სკოლაში ნაჩვენებია, რომ არსებობს ცნო-

ბიერების მრავალი მოვლენა, რომელთა აღმოცენებისა და მიმდინარეობის თავისებურებანი გაუგებარი დარჩება, თუ არ დავუშვებთ მათი განმსაზღვრელი არაცნობიერი მექანიზმის, ანუ განწყობის არსებობას. გაუგებარი იქნება, მაგალითად, თუ როგორ ხდება მეხსიერების საცავებიდან სწორედ იმ შინაარსის ამოტანა ცნობიერებაში, რაც აქტუალურად არის საჭირო სუბიექტისთვის. გარდა ამისა, თვით მეხსიერებაში ინფორმაციის შემონახვასაც თავისი არაცნობიერი ფსიქიკური სუბსტრატი ესაჭიროება. გაუგებარი იქნებოდა, თუ როგორ ხდება მეტყველების პროცესში სიტყვების შერჩევა და კონკრეტული გრამატიკული შეთანხმებების გამოყენება, რადგანაც ეს ცნობიერად არ სრულდება და სუბიექტს უკვე გამზადებული ეძლევა მოცემული ვითარების შესატყვისად. ასევე განწყობისეულადაა ფორმირებული მსჯელობისას გამოსათქმელი აზრი, რომელიც, რიგ შემთხვევებში, საერთოდ ვერ იქნება ცნობიერებაში სრული სახით მოცემული, თუნდაც თავისი დიდი მოცულობის გამო. განწყობის ფორმით ფუნქციონირებს მიზანიც, რომელიც დასახვის მერე, როგორც წესი, გადის ცნობიერებიდან, მაგრამ მაინც განაგრძობს მოქმედებას. ეს ჩამონათვალი შეიძლება გაგრძელდეს და სხვა შემეცნებითი, ემოციური თუ ვოლიტური პროცესებიც მოიცვას (შ. ჩხარტიშვილი).

განწყობა, როგორც ფსიქიკური აქტივობის მიზანშეწონილების და მიზანმიმართულობის არაცნობიერი საფუძველი, ფუნქციონალურად და მინაარსეულად არსებითად განსხვავდება იმისგან, რასაც "იდ"-ის საზღვრებში მოქცეული არაცნობიერი წარმოადგენს. ეს უკანასკნელი ირაციონალური ენერგეტიკული წარმონაქმნების სფეროა, სადაც მხოლოდ სიამოვნების პრინციპია გაბატონებული. მისთვის უცხოა ყოველგვარი შეფასება, მორალი; აქ არ მოქმედებს აზროვნებისა და ლოგიკის კანონები. იდი უგრძნობია შეუსაბამობათა და წინააღმდეგობათა მიმართ. მისთვის არ არსებობს დროულობა – წარსული და მომავალი; დრო აწმყოთია შემოფარგლული, ხოლო ის, რაც აქტუალურად არის მოცემული, სრული განუკითხაობისა და ქაოსის მდგომარეობაა. ერთი სიტყვით, ფროიდის მიერ აღწერილი არაცნობიერი ფსიქიკა შეგუებაზე კი არა, მხოლოდ საკუთარ სიამოვნებაზე ბრუნავს. უნაბის განწყობას რაც შეეხება, ის, პირველ ყოვლისა, შეგუებაზე, ქცევის მიზანშეწონილების მიღწევაზეა ორიენტირებული და, ამდენად, "რეალობის პრინციპით" ხელმძღვანელობს. განწყობა სინამდვილის ასახვის სპეციფიკური ფორმაა; რაც უფრო სრულად და სწორად იქნება მასში ასახული გარეგანი და შინაგანი რეალობის მონაცემები, მით უფრო მიზანშეწონილი იქნება მის მიერ გამოწვეული ცნობიერების პროცესები და, საბოგადოდ, ქცევა.

დიდი ხანი არ არის, რაც კოგნიტური ფსიქოლოგიის ფარგლებში დაიწყეს ე.წ. ფსიქოანალიტიკური და კოგნიტური არაცნობიერი პროცესების გამიჯვნა. კოგნიტური არაცნობიერი, ცნობიერების მსგავსად, გონიერი, ლოგიკური და რაციონალურია; შინაარსის თვალსაზრისით იგი არ არის შეზღუდული სექსუალური და აგრესიული ლტოლვებით. ამ სახის არაცნობიერის კვლევა ამჟამად თითქმის მთლიანად სუბსენსორული გამღიზიანებლების მეთოდოლოგიის საფუძველზე მიმდინარეობს. კოგნიტურ ფსიქოლოგიაში ბოლომდე არ მომწიფებულა აზრი, რომ ცნობიერების შესწავლა

მისი ქვემდებარე ფსიქოლოგიური მექანიზმების გამოელენის გარეშე შეუძლებელია, რომ ყოველგვარ ცნობიერს პრინციპულად თან ახლავს და განსაზღვრავს არაცნობიერი ფსიქიკური სინამდვილე. კოგნიცია და კოგნიტური არაცნობიერი აუცილებლობით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და საჭიროა ამ კავშირის ბუნების დადგენა.

უზნაძემ ასეთი არაცნობიერის შესახებ მოსაზრებები ჯერ კიდევ ოციან წლებში გამოთქვა, ხოლო შემდგომში, განწყობის თეორიის სახით, შეხედულებათა ფართო სისტემა შექმნა არაცნობიერის ფუნქციონალური და შინაარსეული ასპექტების შესახებ. ამასთან, განწყობის ფსიქოლოგია არ იზღუდება მხოლოდ არაცნობიერი აღპტაციური მექანიზმების თეორიული დახასიათებით. არსებობს მდიდარი თეორიული და ექსპერიმენტული მასალა არაცნობიერი განწყობის როლის შესახებ განსხვავებული ფსიქიკური პროცესების მიმდინარეობაში. იგი მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორიცაა: აღქმა, აზროვნება, მეტყველება, მეხსიერება, წარმოსახვა, ჩვევა, ნებელობა.

უზნაძე აკრიტიკებდა ფროიდის არაცნობიერის კონცეფციას, მაგრამ აღიარებდა ფსიქოანალიზის წარამატებებს მკურნალობის პროცესში. მისი აზრით, ფროიდი მართლაც სწორად ასერხებდა იმის დადგენას, რაც რეალურად აპირობებდა დაავადების პროცესს. უზნაძე თვლიდა, რომ ეს იყო ე.წ. *არარეალიზებული განწყობები.* ნეკროტული მოელენების გარდა ამ განწყობათა გამოელენებია ფსიქოანალიზის სხვა ფაქტოლოგიაც: წამოცდენები, სიზმრები, ასოციაციები და სხვა. არარეალიზებულ განწყობებად ის შემთხვევებია მიჩნეული, როდესაც განწყობა, რაღაც ვითარების გამო, ვერ ახერხებს მოქმედებაში გადასვლას და განუხორციელებელი რჩება. სუბიექტს მრავალი ასეთი განწყობა აქვს. ისინი მუდამ ისწრაფვიან რეალიზაციისკენ, რაც ელინდება ან აქტიურ ფანტაზიაში (მაგ., შემოქმედება), ან ე.წ. ცნობიერების შეცვლილ მდგომარეობებში (მაგ., სიზმარი ან ოცნება).

მაგრამ განწყობა, პირველ ყოელისა, ჩვეულებრივი, ანუ სიფხიზლის ცნობიერების გამაპირობებელი მექანიზმია. უზნაძისთვის *ცნობიერების კატეგორია* ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია და იგი მრავალი ასპექტით აანალიზებს მას. ცნობიერების ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი ე.წ. *დარწმუნებულობის განცდაა,* განცდა, რომელიც თან ახლავს ცნობიერების პროცესთა უმრავლესობას და რომლის აღმოცენების საიდუმლო ტრადიციული ფსიქოლოგიისთვის დაუძლეველ პრობლემად რჩებოდა. ადამიანი, ჩვეულებრივ, დარწმუნებულია თავისი აღქმის შინაარსის რეალურობაში, მსჯელობის ჭეშმარიტებაში, მოგონების სისწორეში და გადაწყვეტილების მართებულობაში.

ფსიქიკური პროცესები ყოველთვის რაიმეს ასახავენ. თუ ფსიქიკაში ცნობიერების მიღმა არაფერია, მის შინაარსს ვერაფერს შევადარებთ და გაუგებარი დარჩება თუ საიდან ჩნდება რაიმეს სწორად ასახვის რწმენა. განწყობის თეორია აღვილად წყვეტს ამ პრობლემას. ცნობიერი ასახვის გარდა არსებობს არაცნობიერი, მთლიანპიროვნებისეული, *განწყობისეული ასახვაც,* ობიექტური ვითარება სუბიექტის განწყობაში მანამდე აისახება, ვიდრე ცნობიერი განცდის სახით ჩამოყალიბდება. ამიტომ სუბიექტს შეუძ-

ლია ეს ორი რამ ერთმანეთს დაუპირისპიროს და მათი შესატყვისობა დაადასტუროს. "ჩვენი ფსიქიკის მუშაობა ჩვენი განწყობის რეალიზაციას წარმოადგენს, და როდესაც ეს დაუბრკოლებლად ხერხდება, როდესაც ფსიქიკა იმას ასახავს, რაც განწყობშია ასახული, ბუნებრივია, რომ ჩვენ ჩვენი ფსიქიკური მუშაობის სისწორეს განვიცდით, გვიჩნდება დარწმუნებლობა, რომ ჩვენი აღქმა, მსჯელობა, მოგონება ობიექტურ ვითარებას ასახავს".

უზნაძის ეს გამონათქვამი განწყობის დაუბრკოლებელ რეალიზაციას გულისხმობს. მაგრამ რა ხდება მაშინ, როდესაც აქტივობის პროცესში დაბრკოლება ჩნდება და განწყობა შესაბამის პროცესებს ვეღარ იწვევს? შეფერხების ობიექტური ფაქტი ნიშნავს, რომ აქტივობის დამაბრკოლებელი მომენტები არ იყო სათანადოდ ასახული განწყობაში. ამ შემთხვევაში იწყება ცნობიერების განწყობაზე უკუზემოქმედების პროცესი. ყველა დამაბრკოლებელი ფაქტორი ცნობიერების საგნად იქცევა, კოგნიტურად დამუშავდება და სათანადო კორექტივებს შეიტანს განწყობაში. ამის შედეგად განწყობა არსებული ვითარების მიმართ უფრო შესაფერისი და მოქნილი ხდება. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ცნობიერებით განწყობის კორექტირება მისი ფაქტორების (ვთქვათ სიტუაციის) ფსიქიკური აქტივობის უფრო მაღალ დონეზე ასახვისა და დამუშავების საშუალებით ხდება. ამაშია ე.წ. *ობიექტივაციის თეორიის* არსი, რომელიც უზნაძემ თავისი შემოქმედების ბოლო ეტაპზე დაამუშავა.

უზნაძემ მკაფიოდ გამიჯნა ერთმანეთისგან ფსიქიკის მუშაობის *ორი პლანი* და, შესაბამისად, ფსიქიკური ცხოვრების *ორი დონე*. პირველ დონეზე ქცევა უშუალოდ მოცემული მოტივაციისა და სიტუაციის ურთიერთქმედების საფუძველზე შექმნილი განწყობით წარიმართება. შეფერხება, რომლის გადალახვა ამ განწყობით შეუძლებელია, წყვეტს პრაქტიკული აქტივობის პროცესს – ხორციელდება ობიექტივაცია. აქტივობა გადადის მეორე პლანში, რომელიც ცნობიერების სხვადასხვა პროცესების ჩართვას გულისხმობს. იწყება პრობლემური ვითარების გარკვევა, შეფასება, შემეცნება. თუ პრობლემა გადაიჭრება, სათანადო მონაცემები განწყობაში აისახება, გადაახალისებს მას და აქტივობა ისევ პირველ პლანში გაგრძელდება. უზნაძემ და მისმა მიმდევრებმა ჩამოაყალიბეს შეხედულებათა მწყობრი სისტემა იმის შესახებ, თუ რა როლს თამაშობს თითოეული ფსიქიკური ფუნქცია ობიექტივაციის დონეზე გამლილი ცნობიერი აქტივობის პროცესში.

ფსიქოლოგიის ძირეულ კატეგორიებს შორის უზნაძისთვის ერთ-ერთი უმთავრესია *ქცევის კატეგორია*. განწყობა ქცევის მექანიზმად მოიაზრება და, ამიტომ, უზნაძის მოძღვრებას ხშირად ქცევის ზოგადფსიქოლოგიურ თეორიადაც მიიჩნევენ. უზნაძე ქცევას განიხილავს როგორც აღწერითი, ისე ახსნითი თვალსაზრისით. აღწერით ნაწილში იგი ცდილობს მოგვცეს ქცევის სტრუქტურისა და მისი ნაირსახეობების მაქსიმალურად სრული დახასიათება. უზნაძის მიხედვით, ფსიქიკური შინაარსის გარეშე ქცევა არცაა ფსიქოლოგიის საგანი. ფსიქიკისაგან დაცლილი აქტივობა არის *ფიზიკური ქცევა*, რომელსაც შეისწავლის ფიზიოლოგია და ბიჰევიორიზმი.

ქცევის ფსიქოლოგიურ შემადგენლობაში განსაკუთრებით გამოიყოფა

მოთხოვნილება, მოტივი და მიზანი. *მოთხოვნილებას* ქცევის სტრუქტურაში ცენტრალური ადგილი უკავია. ქცევის სტრუქტურის ყველა ელემენტი, ასე თუ ისე, მასთან არის დაკავშირებული. მაგალითად, მოტივი, რომელიც უზნაძის თანახმად გადაწყვეტილების საფუძველს წარმოადგენს, პირველ ყოვლისა ე.წ. მაღალ მოთხოვნილებებში იღებს თავის გარკვეულობას. მიზანი, არსებითად, ცნობიერებაში მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი საგნობრივი ვითარების წინასწარი მოცემულობაა. გარდა ამისა, მოთხოვნილების სახეობების შესაბამისად, ქცევის განსხვავებული ფორმები გამოიყოფა. უზნაძე მოთხოვნილებათა ორ ჯგუფს განასახვავებს – *სუბსტანციონალურ და ფუნქციონალურ* მოთხოვნილებებს. პირველს მიეკუთვნება ყველა მოთხოვნილება, რომელსაც ფიზიკური თუ კულტურული სინამდვილის საგანი და მოვლენა აკმაყოფილებს; ისინი ყოველთვის რაიმე საგნის ან მოვლენის საჭიროების სახით განიცდებიან. ფუნქციონალური მოთხოვნილებები კი ინდივიდის ფსიქოფიზიკური ფუნქციების აქტივობაში მოყვანის ტენდენციის გამოხატავენ. მათ თვით აქტივობა, ფუნქციონირება აკმაყოფილებს. შესაბამისად, გამოიყოფა ქცევათა ორი დიდი კლასი: *ექსტროგენული ქცევები*, რომლებიც სინამდვილის საგნებისა და ღირებულებების შეთვისებასა და შექმნაზე არიან მიმართულნი და *ინტროგენური ქცევები*, რომელთა ფსიქოლოგიური აზრი თვითონ აქტივობის რეალიზაციაში მდგომარეობს. პირველ კლასს მიეკუთვნება ქცევის ისეთი ფორმები, როგორიცაა მოხმარება, მომსახურება, მოელა, ცნობისმოყვარეობა, შრომა, საქმე; მეორეს – თამაში, ესთეტიკური ტკბობა, მხატვრული შემოქმდება, სპორტი, გართობა. მათ შორის თავსდება ქცევის გარდამავალ ფორმად მიჩნეული სწავლა. ქცევათა ეს კლასიფიკაცია ტაქსონომიური პრინციპების სიმარტივითა და ქცევის ძირითადი სახეობების მომცველობის მსრივ დღემდე უნიკალურია ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში.

უზნაძე ქცევების სახეობათა სხვაგვარ დაყოფასაც გვთავაზობს. იგი ასხვავებს *იმპულსურ და ნებისმიერ* ქცევებს. ქცევების ამ ორი კლასის გამოყოფის საფუძველია მათი წარმართველი ფსიქიკური პროცესებისა და მექანიზმების სირთულის დონე. იმპულსური ქცევა იწყება მოთხოვნილების აღმოცენებისთანავე, და მიმდინარეობს სუბიექტის მიერ ქცევის შეფასებისა და კონტროლის გარეშე. რაც შეეხება ნებისმიერ ქცევას, იგი განზრახული, მიზანდასახული და გაცნობიერებული აქტივობაა. ის არის რთული ფსიქიკური მექანიზმებით გაშუალებული ქმედება.

ნებისმიერი ქცევა სამ პერიოდს მოიცავს: მოსამზადებელი, გადაწყვეტილების მიღების და შესრულების. პირველი ორი აუცილებლად ობიექტივაციის დონეზე მიმდინარეობს, მაგრამ ამ პერიოდების ფსიქოლოგიური შინაარსი მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ჯერ ხდება ქცევის შერჩევა მისი მიზანშეწონილების გათვალისწინებით, რაც აზროვნების გამოყენებასა და საერთოდ კოგნიტურ ფუნქციონირებას გულისხმობს. ამას მოყვება ქცევის სუბიექტური ღირებულების დადგენა, მოტივის მონახვა და ბოლოს, მის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება. ეს აქტივობა მოტივაციურ-ვოლიტური პროცესების მეშვეობით ხორციელდება. იგი კოგნიტურ აქტივობასაც გულისხმობს, მაგრამ მასზე არ დაიყვანება და ფსიქიკის მუშაო-

ბის უფრო მაღალ დონეს წარმოადგენს.

ამ ვითარების კონცეპტუალური გააზრება მოცემულია ფსიქიკური აქტივობის "სამდონიან მოდელში", რომელიც შ. ნადირაშვილს ეკუთვნის. მასში გამოიყოფა სამი დონის აქტივობა: პრაქტიკული ანუ იმპულსური ქცევა, თეორიული ანუ შემეცნებითი აქტივობა და ვოლიტური ანუ ნებისმიერი ქმედება. ისინი სირთულით განსხვავებული ქცევებია, რომლებიც *ინდივიდის, სუბიექტის და პიროვნების* დონეზე მიმდინარეობს. აქტივობის ძირეული ფსიქიკური მექანიზმი ყველგან განწყობისეულია. განსხვავება ეხება სათანადო დონის განწყობათა შემადგენელი ფაქტორების თავისებურებებს. ინდივიდის დონეზე განწყობას აქტუალური მოთხოვნილება და აქტუალური სიტუაცია ქმნის; სუბიექტის დონეზე განწყობის შექმნაში შემეცნების მოთხოვნილება და პრობლემური სიტუაცია მონაწილეობს, ხოლო პიროვნების დონეზე განწყობის ფაქტორებად მაღალი მოთხოვნილებები (პიროვნების ღირებულებათა სისტემა) და წარმოსახული სიტუაცია გვევლინება. მაგრამ, ამ განწყობებს შორის განსხვავებას მხოლოდ მათი მოტივაციური და სიტუაციური ფაქტორების შემადგენლობა არ ქმნის. სათანადო განწყობები ინდივიდის, სუბიექტის და პიროვნების არსენალში მყოფი სხვადასხვაგვარი ფსიქოფიზიკური ძალების თუ უნარების გათვალისწინებით ყალიბდება. ამ შემთხვევაში ლაპარაკია განწყობისა და ქცევის კიდევ ერთ, მესამე ფაქტორზე – *ინსტრუმენტულ ან ოპერაციულ შესაძლებლობებზე.*

აღსანიშნავია, რომ განწყობის სტრუქტურაში მესამე ფაქტორის შემოტანის იდეა უცებ არ გაჩენილა. თანდათანობით ნათელი გახდა, რომ მისი გათვალისწინების გარეშე ქცევის მიზანშეწონილების სრულყოფილად ახსნა შეუძლებელი იქნებოდა. თავად უზნაძე ოპერაციულ შესაძლებლობებს არ გამოყოფდა განწყობის დამოუკიდებელ ფაქტორად, თუმცა ქცევის ამ მომენტს სერიოზულ ანგარიშს უწევდა. მისი აზრით, იმისთვის, რომ გარემომ სიტუაციის სახე მიიღოს, ის უნდა აკმაყოფილებდეს რაიმე მითხოვნილებას და შეესაბამებოდეს სუბიექტის შესაძლებლობებს. მშიერი ადამიანისათვის, ამბობდა იგი, "თევზი წყალში" მხოლოდ მაშინ გადაიქცევა აქტუალურ სიტუაციად, თუ მას გააჩნია სათანადო მოქმედების ძალები, პერცეპტული, მოტორული და ინტელექტუალური შესაძლებლობები. "სიტუაციის ცნებაში, მაშასადამე, არა მარტო ის შედის, რომ იგი მომენტალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებებს უნდა შეიცავდეს, არამედ უეჭველად ისიც, რომ იგი სუბიექტის აქტუალური ძალებისათვისაც იყოს შესატყვისი".

ნათელია, რომ ინდივიდის ფსიქოფიზიკური ძალები და უნარები, აგრეთვე შეძენილი ოპერაციული შესაძლებლობები (ცოდნა-ჩვევები) ქცევის მომზადებისა და განხორციელების საქმეში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ. მოთხოვნილებებთან ერთად ისინი შიგნიდან, ინდივიდის მხრიდან განსაზღვრავენ, განეწყობა თუ არა სუბიექტი სამოქმედოდ კონკრეტულ სიტუაციაში. განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის თანახმად, განწყობა ქცევისთვის მომზადების მდგომარეობაა, რომელშიც განსაზღვრულია რა, როგორ და რატომ უნდა გაკეთდეს. ამიტომ, იგი შეიცავს მონაცემებს *მოთხოვნილების, სიტუაციისა და ოპერაციული შესაძლებლობების*

შესახებ. ასეთი მოლელი უფრო აღეკვატურია ქცევის მიზანშეწონილების პრობლემის გადაჭრისთვის. საბოლოო სახე მას შ. ნადირაშვილმა და შ. ჩხარტიშვილმა მისცა.

მკვლევართა უმეტესობა აღიარებს, რომ ქცევა შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ურთიერთქმედების შედეგია. ყოველ შემთხვევაში, თანამედროვე ფსიქოლოგიაში ე.წ. *ინტერაქციული* შეხედულება საკმაოდ არის გავრცელებული. მაგრამ ქცევის ფაქტორთა ურთიერთქმედების მოვლენას შემდგომი ანალიზი ესაჭიროება. ისმის საკითხი, თუ როგორია კავშირი შინაგან და გარეგან ფაქტორებს შორის, რამდენად ორგანული და არსებითია იგი. და ბოლოს, მიზანშეწონილი ქცევის თეორიამ უნდა განმარტოს, თუ რა ფსიქიკურ ფორმაში ხდება ქცევის ფაქტორების გაერთიანება, სად და როგორ მყარდება მათ შორის კავშირი.

ამ ურთულეს კითხვებზე პასუხის ძიებაში უზნაძე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ქცევის თეორიების უმრავლესობა ინდივიდისა და გარემოს პრინციპული განცალკევებულობის შეხედულებიდან ამოდიან. ორგანიზმსა და გარემოს შორის უფსკრული იგულისხმება; მოთხოვნილებები, ინდივიდის ძალები და გარემოს მონაცემები თვითკმარ და აბსოლუტურად განცალკევებულ რეალობებს წარმოადგენენ; მათი დაკავშირება ქცევაში, ანუ ინდივიდის მიერ გარემოში მოთხოვნილების დაკმაყოფილების პროცესში, სრულიად შემთხვევით, ცდებისა და შეცდომების წყების შედეგად ხდება. ამ პრინციპს უზნაძემ ემპირიული კავშირების შემთხვევითობის, ან უბრალოდ, *ემპირიული პოსტულატი* უწოდა. მისი აზრით უნდა ვილაპარაკოთ არა მხოლოდ აქტივობისა და განვითარების პროცესების შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ურთიერთქმედებაზე, ან კონვერგენციაზე, როგორც ეს მაგალითად შტერნთანაა, არამედ მათ პრინციპულ და თავდაპირველ ერთიანობაზე ანუ *კოინციდენციაზე*. თუ ცხოველქმედებისა და განვითარების შინაგანი და გარეგანი გარემოებანი იმთავითვე განცალკევებულნი არიან, მაშინ ვერაფითარი თეორია მათ ვერ გაამთლიანებს. მეცნიერების ისტორია ცხადყოფს, რომ ამგვარ მცდელობებს ყოველთვის ხელოვნური ხასიათი ჰქონდა და უნაყოფო რჩებოდა. ამის ნაცვლად უზნაძე გვთავაზობს აქტივობის შინაგანი და გარეგანი პირობებისა და ფაქტორების პირველადი, არსებითი და გაუნაწევრებელი ერთიანობის იდეას. ესაა ქვაკუთხედი მის შეხედულებათა სისტემისა ცოცხალი ორგანიზმების ფუნქციონირებისა და განვითარების კანონზომიერებათა შესახებ.

უზნაძეს მიაჩნია, რომ ინდივიდის ყოველგვარ მახასიათებელს აუცილებლად შეესაბამება გარემოში არსებული რაიმე მოვლენა ან გამღიზიანებელი. ასე, მოთხოვნილება მის დამაკმაყოფილებელ საგანს გულისხმობს, შეგრძნების ორგანო — სათანადო გამღიზიანებელს და ა.შ. ამიტომ, შინაგანი სისტემების ორგანიზაცია გარეგანი პირობების თავისებურებებთან მიმართებაში ხდება. აქედან გამომდინარე "შინაგანის ცნება უკვე შეიცავს თავის შინაარსში იმას, რასაც გარეგანად თვლიან, და პირიქით, გარეგანი იმას, რასაც შინაგანად თვლიან. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ცნებათა შინაარსის ურთიერთისაგან გამოთიშვა სრულიად მოუხერხებელია, და მაშასადამე,

ჩვენს წინაშე შინაგანისა და გარეგანის, თანდაყოლილისა და შეძენილის ცნებათა კოინციდენციის, ერთიანობის ფაქტი დგას". ეს იმასაც ნიშნავს, რომ მათ შორის კავშირი არსებითია და არა შემთხვევითი.

ერთიანობის ამ პრინციპის ყველაზე თვალსაჩინო რეალიზაციას განწყობის თეორია წარმოადგენს. განწყობის ცნების ერთ-ერთი ძირითადი ღირსება ისაა, რომ მასში ორგანულადაა გაერთიანებული ქცევის შინაგანი და გარეგანი ფაქტორები, ინდივიდი და სიტუაცია. განწყობა ხომ სუბიექტის ისეთი მთლიანობითი მოდიფიკაციაა, რომელშიც *მოთხოვნილების* დასაკმაყოფილებლად საჭირო *ძალები სიტუაციის* შესაბამისადაა მომართული. განწყობა, ასე ვთქვათ, ერთ მთლიანობაში აღულაბებს ქცევის ფაქტორებს და მათი კავშირის ფსიქიკური სუბსტრატის სახით გვეველინება.

*მიზანშეწონილების პრობლემა* ერთ-ერთი უმთავრესი იყო უზნაძესთვის და, *გაშუალების პრობლემასთან* ერთად, განწყობის თეორიის შექმნის ძირითად სტიმულს წარმოადგენდა. ქცევის მიზანშეწონილება იმაში მდგომარეობს, რომ ორგანიზმი მოცემულ გარემოში სწორედ ისეთ აქტებს ახორციელებს, რომლებიც მის აქტუალურ მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ. პრობლემა იმის ახსნას ეხება, თუ როგორაა ეს შესაძლებელი. უზნაძე საგანგებოდ აანალიზებს მისი გადაჭრის ორ კლასიკურ ვარიანტს — მექანიციზმს და ვიტალიზმს. მექანიციზმი ცოცხალ ორგანიზმს განიხილავს როგორც მანქანას, რომლის ფუნქციონირება გარედან მომდინარე ზემოქმედებითაა გაპირობებული. გარემოსა და ინდივიდის ურთიერთობისას, ისევე როგორც თვით ორგანიზმის შიგნით, ფიზიკო-ქიმიური, მექანიკური ხასიათის მიზეზ-შედეგობრივი კანონზომიერებანი მოქმედებენ. ვიტალიზმის მიხედვით, ცოცხალი არსების ქცევის მიზანშეწონილებას სიცოცხლისთვის სპეციფიკური არამატერიალური ფაქტორი, შინაგანი ვიტალური ძალა, ე.წ. ენტელექია ან ფსიქოიდი განსაზღვრავს. უზნაძის შეფასებით ორივე პოზიცია მცდარია. პირველი იმიტომ, რომ უარყოფს ცოცხალი ორგანიზმის სპეციფიკურობას და მისი თავისებურებები მთლიანად არაორგანულ კანონზომიერებებზე დაჰყავს. მეორე მცდარია იმის გამო, რომ უფსკრულს თხრის ორგანულსა და არაორგანულს შორის, მათ აბსოლუტურად განსხვავებულ მოვლენებად მიიჩნევს და სიცოცხლის სპეციფიკურობას არამატერიალურ საწყისში ხედავს.

მიზანშეწონილების პრობლემის ჭეშმარიტი მეცნიერული გადაწყვეტა იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ ცოცხალი ორგანიზმის სპეციფიკას მექანიკურ კანონზომიერებებზე არ დაეიყვანთ და, ამავე დროს, მისი ფუნქციონირების ადაპტურობის ასახსნელად მეტაფიზიკურ ძალებს არ მიმართავთ. ამისთვის კი უნდა გამოიყოს ქცევის რეალური განხორციელებისთვის საჭირო ფაქტორები და დადგინდეს მათი კოორდინირებული თანამოქმედების წესი. განწყობაში ეს ყველაფერი მოცემულია. მასში თავმოყრილია მიზანშეწონილი ქცევის შესრულებისთვის აუცილებელი და საკმარისი პირობები. განწყობა შეიცავს მონაცემებს ინდივიდის მოტივაციური და ოპერაციული სისტემების მდგომარეობისა და სიტუაციური ვითარების შესახებ. ყოველივე ამის საფუძველზე განწყობაში წინასწარ არის მომზადებული ისეთი ქცევა, რომელიც სუბიექტისთვის საჭიროცაა და შესაძლებელიც.

განწყობა, როგორც მიზანშეწონილი ქცევის შესრულების *ფსიქოლოგიური მექანიზმი*, ქცევის მთელი პროცესის მუდმივ მართვა-რეგულაციას უზრუნველყოფს. ქცევა განწყობიდან გამომდინარეობს და, ამიტომ, მასში მოცემული უნდა იყოს განსახორციელებელი აქტიურობის მოდელი. მოქმედების დაწყებამდე განწყობაში მოცემულია ქცევის მონახაზი, მისი ძირითადი პარამეტრები. განწყობა ქცევის ესკიზიაო, ამბობდა უზნაძე. ეს ნიშნავს, რომ განწყობისეულ პროგრამაში მოქმედების ყველა დეტალი არ არის განსაზღვრული. მათი დაზუსტება ქცევის მსვლელობაში ხორციელდება. სამსახურში მიმავალ ადამიანს წინასწარ განწყობის სახით მოცემული აქვს სამოქმედო *სიტუაციური გეგმა*, მაგრამ ამ უკანასკნელში ვერ იქნება ჩაწერილი მისი ყველა ნაბიჯი თუ ოპერაცია, ვინაიდან ისინი კონკრეტული საგზაო ვითარების მიხედვით იგეგმება და სრულდება. ამიტომ წინასწარ ვერ იქნება გაითვალისწინებული. ინფორმაცია აქტუალური სიტუაციის შესახებ პერცეპტულად, ე.წ. *სიტუაციური სატების* სახით შემოდის სუბიექტში და განწყობაში აისახება. აქედან გამომდინარე, განწყობის მუდმივი დაზუსტება და დაკონკრეტება ხდება. ერთი სიტყვით, ქცევის პროცესში სიტუაციური ვითარების განუწყვეტელი ცვალებადობის გამო, განწყობის სტრუქტურა ცვალებად ან "დინებად" ხასიათს იძენს. ესაა განწყობის სტრუქტურის *დინამიკური მოდელის* დედააზრი, რომლითაც შ. ჩხარტიშვილმა გარკვეულად დააზუსტა უზნაძის თვალსაზრისი ქცევის მიზანშეწონილების განწყობისეული მექანიზმის ფუნქციონირების შესახებ.

საყურადღებოა, რომ განწყობის სტრუქტურის პროცესუალურ ცვალებადობას მხოლოდ სიტუაციური ფაქტორის დინამიკა არ განაპირობებს. იგივე ითქმის მოტივაციური ფაქტორის მიმართაც. ადამიანის ქცევა უმეტესწილად მოთხოვნილებათა სისტემით არის მოტივირებული. აქტიურობის პროცესში ამ სისტემის სერიოზული ტრანფორმაცია ხდება. არსებითად იგივე ითქმის შესაძლებლობათა ფაქტორის მიმართაც. ყოველივე ეს პირველ რიგში აისახება განწყობის სტრუქტურაში და, შესაბამისად, ქცევის დინამიკურ თუ შინაარსეულ მახასიათებლებში. განწყობაში მოცემულია აგრეთვე ინფორმაცია აქტიურობის შედეგების შესახებ. ამის შესაბამისად მასში იგეგმება მომდევნო მოქმედებები და ოპერაციები. ერთი სიტყვით, განწყობა, როგორც მიზანშეწონილი ქცევის მექანიზმი, უკუკავშირების პრინციპის საფუძველზე მოქმედებს. ეს განწყობის თეორიას აახლოვებს ქცევის თანამედროვე მოდელებთან, სადაც აღნიშნული პრინციპია გამოყენებული.

რადგან განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის სხვა თეორიებთან მიმართება ვახსენეთ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ განწყობის ფსიქოლოგია საბუნებისმეტყველო, სციენტისტური ტიპის მოძღვრებაა და მისი მიმართება სხვა დიდი მასშტაბის ფსიქოლოგიურ სისტემებთან ამ გარემოებით განისაზღვრება. განწყობის ფსიქოლოგია მიმართულია ზოგადი კანონზომიერებათა და ძირეული მექანიზმების დადგენაზე ზუსტი და შემოწმებადი ექსპერიმენტული პროცედურების საშუალებით. განწყობის ფსიქოლოგიაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფსიქიკური აქტიურობის პროგნოზირებას; განწყობიდან ქცევის წინასწარმეტყველების შესაძლებლობა ერთ-ერთი აქტუალური საკ-

ითხია. და ბოლოს, განწყობის ფსიქოლოგია დეტერმინისტული ფსიქოლოგიაა. ინდეტერმინიზმი უზნაძისთვის მიუღებელია. იგი საზს უსვამს, რომ განწყობის თეორიის მიხედვით, ქცევის არც ერთი რგოლი არ არის ამოვარდნილი მიზეზობრივი ჯაჭვიდან. ამასთან, მას კარგად აქვს გაცნობიერებული მექანიკური კაუზალობის პრინციპების ფსიქოლოგიის სფეროში გადმოტანასთან დაკავშირებული სირთულეები. უზნაძე უშვებს ფსიქოლოგიის სფეროში დეტერმინაციის სპეციფიკური სახის არსებობას. სწორედ ამ მიმართულებით წარმოებული კვლევის შედეგად ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომ განწყობა გამაშუალებელი ინსტანციაა, რომელშიც მოხსნილია სუბიექტობიექტის დაპირისპირება. გარდა ამისა, განწყობაში ქცევა წინასწარაა მოდელირებული. ამიტომ "განწყობა არა მარტო როგორც ნამდვილი მიზეზი მოქმედებს ქცევაზე, არამედ ამავე დროს თითქოს მიზნის მსგავსადაც: როგორც მიზანში წინასწარაა მოცემული ის, რაც შემდგომში უნდა მოხდეს, სწორედ ასეა განწყობაშიც". ეს მოსაზრება თანამედროვე ქცევის მეცნიერებათა თვალსაზრისით ძალიან აქტუალურად გამოიყურება.

ყოველივე აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ უზნაძის განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია თავისი მეთოდოლოგიური ამოცანებით, მეცნიერული იდეალებით და კვლევის პრინციპებით არსებითად განსხვავდება ჰუმანიტარული ტიპის ფსიქოლოგიური კონცეფციებისგან (იხ. 10.1.). სამაგიეროდ, მასთან ბუნებით ნათესაურ ზოგადფსიქოლოგიურ სისტემებთან განწყობის ფსიქოლოგია საკმაოდ მჭიდრო მიმართებას ამყარებს. თვით უზნაძე, მისი დროის ფსიქოლოგიის კრიტიკული ანალიზისას, მუდამ ეძებდა (და პოულობდა კიდეც) პოზიტიურ ელემენტებს ნეობიჰევიორიზმშიც (ტოლმენი), გეშტალტ- და ველის თეორიაშიც (კელერი, ლევინი) და პერსონოლოგიაშიც (შტერნი). რაც შეეხება თანამედროვე ფსიქოლოგიას, აქ თავს იჩენს ბევრი საინტერესო პარალელი განწყობის თეორიასა და ქცევითი კოგნიტივიზმის მთელ რიგ დებულებებს შორის (იხ. 11.2.).

აღსანიშნავია, რომ უზნაძის სკოლაში ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმდინარეობათა შესწავლას და კრიტიკულ ანალიზს, რაც საშუალებას იძლევა სათანადოდ შეფასდეს განწყობის თეორიის ადგილი და როლი მთელი ფსიქოლოგიური მეცნიერების მასშტაბით. ამ ტრადიციას თვითონ უზნაძემ ჩაუყარა საფუძველი თავისი დროის ძირითადი ფსიქოლოგიური კონცეფციების ბრწყინვალე ანალიზით. მსგავსი ანალიზის ნიმუშია ა. ბოჭორიშვილის კაპიტალური ნაშრომი, რომელიც ფსიქოლოგიის საგნის განსხვავებულ გაგებებს ეძღვნება. XX საუკუნის ფსიქოლოგიის ძირითადი მიმდინარეობები განწყობის ფსიქოლოგიის პოზიციებიდან გაანალიზებულია ი. იმედაძის მონოგრაფიაში. სერიოზული გამოკვლევები აქვთ შესრულებული ამ მიმართულებით ე. აბაშიძეს (პერსონოლოგია), ნ. ადამაშვილს (ველის თეორია), ო. ტაბიძეს (ბიჰევიორიზმი), ა. შეროზიას, ვ. კაკაბაძეს (ფსიქოანალიზი), გ. ცინცაძეს (კ. მარბე).

რადგან უზნაძის სკოლაში ჩატარებულ კვლევაზე დავიწყეთ საუბარი, უნდა ითქვას, რომ განწყობის ზოგადფსიქოლოგიურმა თეორიამ ჩამოყალიბების ხანგრძლივი და რთული გზა გაიარა. თვით უზნაძეს მუდამ შეჰქონდა

ცელილებები და დაზუსტებები თავის სისტემაში. სხადასხვა დროს იგი არაერთი ახალი დებულებითა და მონაცემით შეავსო. ეს ტენდენცია შემდგომშიც შენარჩუნდა. განწყობის ფსიქოლოგიის მრავალი ასპექტი ღრმად იქნა დამუშავებული და განვითარებული მის მიერ დაფუძნებული სკოლის სხვადასხვა თაობის მკვლევართა მიერ. განწყობის მოქმედების ზოგად კანონზომიერებათა დადგენაში დიდი წვლილი შეიტანეს უზნაძის თანამშრომლებმა (ე. აბაშიძე, ნ. აღამაშვილი, ბ. ხაჭაპურიძე, გ. ხმალაძე, ზ. ხოჯავა და სხვა). შემდგომში ქართველმა მეცნიერებმა შეიმუშავეს განწყობის კვლევის სხვა ხერხები და მეთოდები (ი. ბჟალავა, ვ. გრიგოლავა, ნ. ელიავა, ა. კინწურაშვილი, რ. ნათაძე, შ. ნადირაშვილი თ. ნონიაშვილი, მ. ჩიტაშვილი, შ. ჩხარტიშვილი, ჯ. ყვავილაშვილი და სხვა), რამაც კიდევ უფრო მრავალმხრივი გახადა ჩვენი ცოდნა განწყობის მოქმედების ემპირიულ კანონზომიერებათა შესახებ. პარალელურად იბეჭდება განმაზოგადებელი ხასიათის თეორიულ-მეთოდოლოგიური გამოკვლევები, რომლებშიც გაანალიზებულია განწყობის ფსიქოლოგიის ძირითადი და განსაკუთრებით აქტუალური საკითხები (ნ. ბერულავა, ი. ბჟალავა, ზ. ვახანია, ი. იმედაძე, შ. ნადირაშვილი, ვ. ნორაკიძე, დ. რამიშვილი, რ. საყვარელიძე, ა. ფრანგიშვილი, ბ. ქოჩორაძე, ზ. ხოჯავა, შ. ჩხარტიშვილი და სხვა);

საქართველოში ზოგადი ფსიქოლოგიის მრავალი საკითხია შესწავლილი განწყობის თეორიის პოზიციიდან. გამოკვლეულია შეგრძნების, აღქმისა და წარმოსახვის პროცესები (ი. ბჟალავა, ჯ. კუპრაშვილი, ი. კუტალაძე, შ. ნადირაშვილი, რ. ნათაძე, მ. რაგოვსკაია, ო. ტაბიძე, გ. ქირია, ზ. ხოჯავა, გ. ხოსროშვილი და სხვა); მეხსიერება (დ. ფარჯანაძე, ა. ფრანგიშვილი, ლ. ყვავილაშვილი, მ. წერეთელი და სხვა); ყურადღება (გ. ბაქრაძე, ა. მოსიაეა, ე. ნეფარიძე და სხვა); აზროვნება (თ. ეგიზაიშვილი, გ. დარახველიძე, ზ. ვახანია, ნ. ელიავა, ნ. კენჭაძე, შ. ნადირაშვილი, რ. ნათაძე, დ. რამიშვილი, მ. ყოლბაია, დ. ძიძიგური და სხვა); ენა და მეტყველება (ა. ალხაზიშვილი, ა. ავალიშვილი, ა. ბაინდურაშვილი, ზ. გაბაშვილი, თ. ზარიძე, ნ. იმედაძე, გ. მჭედლიშვილი, დ. რამიშვილი, რ. საყვარელიძე, ქ. ჩიგოგიძე, ნ. ჭრელაშვილი, დ. ჯვარიშვილიშვილი და სხვა); ემოციები (დ. ბერეკაშვილი, ნ. იმედაძე, რ. მირცხულავა, დ. რამიშვილი და სხვა); ჩვევა (ა. გრიგოლავა, ო. ტაბიძე, ზ. ხოჯავა და სხვა). ტრადიციულად განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა ქცევის ფსიქოლოგიის პრობლემატიკა, რაც სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან განწყობის თეორია პირველი რიგში ცნობილია, როგორც ქცევის ზოგადფსიქოლოგიური კონცეფცია. უზნაძეს გამოთქმული აქვს მრავალი საყურადღებო მოსაზრება ქცევის აღწერით და ახსნით მახასიათებლებთან დაკავშირებით. იგი მსჯელობდა ნებელობასა და მის მოტივაციაზეც. ყოველივე ამან დასაბამი მისცა ფართო დიაპაზონის კვლევებს ქცევისა და მოტივაციის ფსიქოლოგიაში (ა. ალხაზიშვილი, ნ. ბარამიძე, დ. გოგუაძე, ი. იმედაძე, ვ. კაკაბაძე, დ. კიკნაძე, ე. ნადარეიშვილი, შ. ნადირაშვილი, გ. ნიკარაძე, ნ. როგავა, ნ. სარჯველაძე, რ. ქვარცხავა, დ. ჩარკვიანი, შ. ჩხარტიშვილი და სხვა).

როგორც უკვე აღინიშნა, განწყობის თეორია სამედიცინო ფსიქოლოგი-

ის სფეროშიც გავრცელდა. ამ მიმართულებით კვლევას თავად სკოლის უფროსმდებელმა ჩაუყარა საფუძველი, ხოლო შემდგომში ხელმძღვანელობდნენ ი. ბჟალავა და მ. საყვარელიძე. მეცნიერთა რამდენიმე თაობის მიერ ფსიქოლოგიის ინსტიტუტის პათოფსიქოლოგიის განყოფილებაში მნიშვნელოვანი მონაცემები იქნა მიღებული ფსიქიკური გადასრების განწყობისეული გააზრების თვალსაზრისით (შ. ბარკალაია, თ. ბჟალავა, ე. ეაჩნაძე, ნ. ელიავა, ქ. მაყაშვილი, ქ. მდივანი, კ. ცინცაძე, ზ. ჯაფარიძე და სხვა). შემდგომში ამ მიმართულებით ჩატარებულმა კვლევამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო. იგი გასცდა ფსიქოპათოლოგიის სფეროს და ფსიქოსომატური დაავადებებიც მოიცვა (ა. გრიგოლავა, გ. მერაბიშვილი და სხვა). აქვე უნდა აღინიშნოს ნეიროფსიქოლოგიური კვლევა, რომელშიც ომის დროს ბევრი ქართველი ფსიქოლოგი იყო ჩართული და რომელიც შემდგომშიც გაგრძელდა (მ. ბუაჩიძე, თ. გაგოშიძე, რ. მხეიძე და სხვა).

60-იანი წლებიდან თანდათან იკიდებს ფეხს სოციალურ-ფსიქოლოგიური გამოკვლევები. თუმცა, ამ მიმართულებით პირველი ნაშრომი ჩვენში ა. ფრანგიშვილის მიერ შესრულდა ჯერ კიდევ 1943 წელს. იგი მიეძღვნა პანიკის ფსიქოლოგიას. მანამდე კვლევის ეს სფერო სახელმწიფო დონეზე იყო აკრძალული. იგი შეუთავსებადი იყო საბჭოთა იდეოლოგიასთან, რომელიც სოციალურ პროცესებს მხოლოდ პოლიტეკონომიური კუთხით განიხილავდა. დაიწყო უცხოური სოციალური ფსიქოლოგიის თეორიული და ემპირიული მონაცემების ათვისებისა და განწყობის თეორიასთან ასიმილაციის პროცესი. ამ მხრივ განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს შ. ნადირაშვილის მეცნიერული და პედაგოგიური საქმიანობა. უაღრესად მნიშვნელოვან თეორიულ საკითხად იქცა ამერიკულ სოციალურ ფსიქოლოგიაში დამკვიდრებული სოციალური განწყობის – ატიტუდის ცნების გააზრება უმნაძის ზოგადფსიქოლოგიური კონცეფციის თვალსაზრისით. სათანადო კვლევის შედეგად სოციალური განწყობის ცნება ამ თეორიის ბაზაზე დამუშავდა. იგი გასაგებს ხდის ადამიანის ფსიქიკური აქტივობის იმ მექანიზმს, რომლითაც პიროვნების ქმედებაში შემოდის საზოგადოებრივი, ზნეობრივი და სხვა ღირებულებები. სოციალური განწყობა გამოხატავს ადამიანის დადებით ან უარყოფით დამოკიდებულებას ამა თუ იმ ფასეულობის, საქმიანობის, ნორმების, იდეოლოგიის, წეს-ჩვეულებებისა და სხვათა მიმართ. ამიტომ გასაგებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოციალური განწყობების ფორმირების, მოქმედებისა და შეცვლის კანონზომიერებათა გარკვევას. ამ მხრივ ჩვენში სერიოზული მუშაობა ჩატარდა (შ. აბზიანიძე, ლ. არუთინოვა, მ. ბალიაშვილი, ნ. ბელქანია, ნ. ბურდული, რ. მშვიდობაძე, შ. ნადირაშვილი, დ. ნადირაშვილი, რ. ქვარცხავა, ა. ქიტიაშვილი, გ. ყიფიანი, დ. ჩარკვიანი, ე. ჩომახიძე, თ. ჩხეიძე, ნ. ცხვედაძე, ნ. ჭავჭავაძე, ვ. ჭელიძე, მ. ხარშილაძე, რ. ჯორბენაძე, და სხვა). სოციალური განწყობების კვლევამ საგრძნობლად გაამდიდრა ჩვენი ცოდნა განწყობის ფუნდამენტური მექანიზმების შესახებ. ამასთანავე, შეისწავლებოდა და ახლაც შეისწავლება კონკრეტული სოციალურ-ფსიქოლოგიური ფენომენები: სოციალური მოლოდინები, კონფლიქტები, კონფორმიზმი, შეჯიბრი, თანამშრომლობა და ა.შ. (მ. გომელაური,

მ. კეკელია, გ. მაღრაძე, გ. ჩაგანავა და სხვა).

საქართველოში მეცნიერულ-ფსიქოლოგიური კვლევის დასაბამიდანვე დიდი ყურადღება ექცეოდა ბავშვის, ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის საკითხებს. განწყობის თეორიის შექმნის პარალელურად, უზნაძე აქტიურად მუშაობდა ამ მიმართულებით. ოციან წლებში მან შეასრულა რამდენიმე ექსპერიმენტული გამოკვლევა, რომლებშიც შესწავლილი იყო ბავშვის ინტერესი სასწავლო საგნებისადმი, ასევე განზოგადებისა და ცნებაში არსებითის წვდომის ონტოგენეზთან დაკავშირებული საკითხები. მიღებული მონაცემები გერმანულ ჟურნალებში გამოქვეყნდა და სპეციალისტების დიდი ყურადღება დაიმსახურა (ლ. ვიგოტსკი, ა. ლაჩინსი, ს. რუბინშტეინი, ვ. შტერნი და სხვა). ბავშვისა და პედაგოგიური ფსიქოლოგიის სფეროში უზნაძე სიცოხლის ბოლომდე ნაყოფიერად მუშაობდა თავის თანამშრომლებთან ერთად (ნ. ადამაშვილი, ე. კეკერაძე, ბ. ხაჭაპურიძე, ფ. ხუნდაძე და სხვა). 1936 წელს გამოვიდა მისი "პედოლოგია", ხოლო 1947 წელს – "ბავშვის ფსიქოლოგია". ამ კაპიტალურ ნაშრომებში მდიდარ ემპირიულ მასალასთან ერთად მოცემულია ახალი ცნებები და ორიგინალური შეხედულებები ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა განვითარების მამოძრავებელი ძალები (*კონსიდენციის თეორია*), ასაკობრივი პერიოდიზაცია (*ასაკობრივი გარემოს ცნება*), თამაშისა და სწავლის თეორია (*ფუნქციონალური ტენდენციის ცნება*). გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ უზნაძემ სერიოზულად გაამდიდრა განვითარების ფსიქოლოგიის თეორიული ბაზა (იხ. 6.3.).

უზნაძის კვლევას ამ სფეროში ყოველთვის პრაქტიკული მიმართულებაც ჰქონდა. იგი მუდამ ზრუნავდა იმაზე, რომ დახმარებოდა სკოლას სწავლა-აღზრდის პროცესის ოპტიმიზაციის საქმეში. მაგალითად, როდესაც ორმოციანი წლების მეორე ნახევარში, დაისვა საკითხი სასკოლო ასაკის შემცირების თაობაზე, უზნაძემ მაშინვე დაიწყო სასკოლო ასაკის განსაზღვრისა და სკოლისათვის მზაობის საკითხების დამუშავება. მოგვიანებით, 70-იან წლებში, ფსიქოლოგიის ინსტიტუტის პედაგოგიური ფსიქოლოგიის განყოფილებაში შ. ჩხარტიშვილის ხელმძღვანელობით დაიწყო ინტენსიური კვლევა სკოლაში შემსვლელი ბავშვების სასკოლო სწავლებისადმი მზაობასთან და მათ სწავლებასთან დაკავშირებით (ნ. დევიძე, მ. ზარანდია, ი. კეჭაყმაძე, მ. მაღრაძე, თ. მუსერიძე, ი. იმედაძე და სხვა). ამან სტიმული მისცა მრავალმხრივ და კომპლექსურ მუშაობას დაწყებითი სკოლის ფსიქოლოგიურ პრობლემებზე. ამ კვლევას ახორციელებდნენ ი. კოტეტიშვილი და მისი თანამშრომლები (დ. კახიანი, თ. კერძაია, მ. მელიქიშვილი, დ. მირიანაშვილი, მ. ჯაფარიძე და სხვა). მიმდინარეობდა და მიმდინარეობს მუშაობა აღზრდისა და სწავლების პროცესის ოპტიმიზაციის მიმართულებით (ზ. გაბაშვილი, ზ. ვახანია, ა. მოსიავა და სხვა).

საკმაოდ ბევრი გამოკვლევა შესრულდა საინჟინრო და შრომის ფსიქოლოგიაში. დიდ ინტერესს იწვევს ნაშრომები, რომლებიც მიზნად ისახავენ ადამიანის სენსომოტორული, ინფორმაციული, კონსტრუქციულ-ტექნიკური და სხვა უნარებისა და შესაძლებლობების დადგენას, მათი ფსიქოლოგიური მექანიზმების გარკვევას (ო. ბერეკაშვილი, ზ. ბიგვავა, გ. გოროშიძე, ტ. იოსე-

ბაძე, გ. კეჩხუაშვილი, გ. მერაბიშვილი, ი. ფილიპაშვილი, გ. ქირია და სხვა). ამჟამად უფრო პოპულარული ხდება ორგანიზაციის ფსიქოლოგიის პრობლემატიკა (ე. კერესელიძე, ი. კუტალაძე, დ. ჩარკვიანი და სხვა).

საინტერესო შედეგებია მიღებული შედარებითი ფსიქოლოგიის (ნ. ადამაშვილი, დ. ბერეკაშვილი, ლ. რამიშვილი, ნ. ქრელაშვილი და სხვა) სპორტის ფსიქოლოგიის (ა. გრიგოლავა, გ. დვალი, ვ. ნორაკიძე, გ. სამსონაძე და სხვა), შემოქმედების ფსიქოლოგიის (თ. გოგოტიშვილი, დ. დოლიძე, რ. მირცხულავა, ვ. ნორაკიძე, გ. კეჩხუაშვილი) სფეროში.

განწყობის ფსიქოლოგიის განვითარების პროცესი დღესაც მიმდინარეობს, თუმცა ოთხმოცდაათიანი წლებიდან იგი მკვეთრად შენელდა. ეს სრულიად გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური (ანუ, როგორც მეცნიერების მეთოდოლოგიაში ამბობენ, ექსტერნალური) ფაქტორებით იყო გაპირობებული. განწყობის თეორიას უთუოდ გააჩნია ბრდის საკმაოდ მაღალი პოტენციალი, მაგრამ მისი რეალიზაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ გათვალისწინებული და ურთიერთშესაბამისობაში მოყვანილი იქნება მოცემული თეორიის შინაგანი ლოგიკა და თანამედროვე ფსიქოლოგიაში გამოვლენილი ტენდენციები. მათ შორის შეიძლება გამოიყოს თეორიული შეხედულებათა საერთო ჰუმანიზაცია-ანთროპომორფიზაცია, გამოყენებითობის პრიმატი და დისციპლინათშორისი კავშირების გაღრმავება. შესაბამისად, საფიქრებელია, რომ განწყობის ზოგადფსიქოლოგიური სისტემის განვითარების ერთ-ერთი მიმართულება მასში სპეციფიკურ-ადამიანური ელემენტის და. საზოგადოდ, პიროვნების ფსიქოლოგიის მხარის გაძლიერებაში შეიძლება მდგომარეობდეს.

უდავოდ აქტუალურია განწყობის ფსიქოლოგიის საზოგადოებრივ პრაქტიკასთან დაახლოების ამოცანა, რადგან დღეს, ფსიქოლოგიური თეორიის შეფასებისას, ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმად მისი გამოყენებითი ღირებულებაა მიჩნეული. კონცეფცია რეალურ საფუძველს უნდა ქმნიდეს ნაყოფიერი ფსიქოდიაგნოსტიკური და ფსიქოკორექციული (კერძოდ, ფსიქოთერაპიული) მუშაობისთვის. თუ პირველ სფეროში განწყობის ფსიქოლოგიას სრულიად გარკვეული მონაცემები გააჩნია (თუმცა აქაც ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი), მეორე სფერო ფაქტობრივად დაუმუშავებელია და განსაკუთრებულ ძალისხმევას საჭიროებს. ამ ვითარებას თავისი ობიექტური მიზეზები აქვს. პოლიტიკურ-იდეოლოგიური გარემო, რომელშიც მოცემული ფსიქოლოგიური სისტემა ყალიბდებოდა, საერთოდ არ იყო ფსიქოთერაპიის განვითარების ხელშემწყობი. საბჭოთა სახელმწიფოში პერიოდულად მიმდინარე იდეოლოგიურ კომპანიებს შეეწირა გამოყენებითი ფსიქოლოგიის ისეთი დარგები, როგორიცაა ფსიქოტექნიკა და პედოლოგია (ორივეში უზნაძემ სერიოზული ნაშრომების შესრულება მოასწრო). ფსიქოთერაპია იმ გარემოში, სადაც უზნაძის სკოლა ფუნქციონირებდა, თითქმის ყოველთვის ფროიდთან იყო ასოცირებული. ე.წ. "საბჭოთა ფროიდიზმთან" დაკავშირებული კომპანიის შემდეგ იგი ყველაზე მტრულ იდეოლოგიურ საფრთხედ იქნა წარმოდგენილი. სამწუხაროდ, ეს ინერცია საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლომდე გაგრძელდა. აშიგომ ფსიქოთერაპია ფაქტობრივად

არ ვითარდებოდა. ამჟამად ნათლად ჩანს ფსიქოთერაპიის ისეთი კონცეფციისა და ტექნიკის შექმნის საჭიროება, რომელიც, არსებითად, განწყობის ფსიქოლოგიაზე იქნება დაფუძნებული. ამ თეორიაში უთუოდ არსებობს ამის პოტენციალი, თუმცა ამოცანა საკმარისად რთულია. რაც შეეხება დისციპლინათშორის კავშირებს, აქ, პირველ რიგში, მომიჯნავე ბიოლოგიურ და სოციალურ მეცნიერებათა მონაცემია გათვალისწინება იგულისხმება. სოციალურ დისციპლინებთან კონტაქტი სასურველია, რაც იქიდანაც ჩანს, რომ განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის ფარგლებში წარმატებით ვითარდება სოციალურ-ფსიქოლოგიური შესედულებების მთელი სისტემა. განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს სამუშაო, რომელიც წარმოუდგენს ე.წ. *სოციალურ განწყობათა* ბუნების თეორიული გააზრებისა და ემპირიული შესწავლის მიმართულებით.

ამავე დროს საჭიროა, კიდევ უფრო გაძლიერდეს კავშირი ბიოლოგიურ დისციპლინებთან, რასაც ხელს შეუწყობს განწყობის ფსიქოფიზიოლოგიური, ნეიროფსიქოლოგიური და ფსიქოგენეტიკური მიმართულებით კვლევა. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით აქტუალურია იმ მნიშვნელობიდან გამომდინარე, რაც თანამედროვე მეცნიერებაში ენიჭება ფსიქიკისა და პიროვნების გენეტიკური ასპექტების კვლევას. განწყობის ეს მხარე თითქმის შეუსწავლელია, რაც, ასევე, მეცნიერების განვითარების ექსტერნალური ფაქტორებითაა პირობადებული; იგულისხმება სოციალისტურ ქვეყანაში გამეფებული რადიკალური სოციოცენტრისტული დოქტრინა და გენეტიკასთან ბრძოლის კამპანია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ უზნაძეს თავიდანვე ძალზე შეწონასწორებული პოზიცია ეკავა თანდაყოლილობა-შეძენილობის დიქოტომიასთან დაკავშირებით. ამას ნათლად ადასტურებს მისი ზემოთ მოყვანილი კოინციდენციის კონცეფცია, რომელმაც, აღნიშნული მიზეზების გამო, განვითარება ვერ ჰპოვა. შესაბამისად, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, არ ჩატარებულა სერიოზული კვლევა-ძიება განწყობაში მემკვიდრული ელემენტის გამოსავლენად, რომელიც უთუოდ უნდა არსებობდეს თუნდაც იმიტომ, რომ განწყობის ტიპი სანდოდ კორელირებს ტემპერამენტის ტიპთან და პიროვნულ ნიშნებთან; მათი ძლიერი გენეტიკური გაპირობებულობა კი თანამედროვე მეცნიერებაში დადასტურებულად ითვლება.

სხვადასხვა სახის შეფასება განწყობის ფსიქოლოგიას არ დაკლებია. დასავლეთში იგი არსებითად განიხილებოდა ე.წ. "საბჭოთა ფსიქოლოგიის" ნაწილად. ეს, შესაძლოა, ფორმალურად მართებულიც იყო, მაგრამ განწყობის თეორია მაინც ყოველთვის გამოირჩეოდა საბჭოთა ფსიქოლოგიის სხვა კონცეფციებისაგან მთელი რიგი ნიშნებით; პირველ ყოვლისა იმით, რომ ის პრაქტიკულად არ იყო იდეოლოგიზირებული. ეს გარემოება, სხვათა შორის, შედარებით ობიექტურ დასავლელ ექსპერტებსაც არ გამოპარვიათ. (მაგ., ჯ. მაკ-ლიმი). ყველა წამყვანი საბჭოთა თეორეტიკოსი თავისი შეხედულებათა სისტემის აგების საჭიროებას მარქსისტული ფსიქოლოგიის შექმნის აუცილებლობით ასაბუთებდა (ლ. ვიგოტსკი, ა. ლეონტიევი, ს. რუბინშტეინი და სხვა). უზნაძეს არასდროს დაუსვამს ასეთი ამოცანა და არც ოფიციოზის საამებლად მოუხდენია ამგვარი განცხრახვის დეკლარირება. როგორც ზემო-

თაც აღინიშნა, განწყობის თეორიის შექმნის მოტივაცია დაკავშირებულია მეცნიერების ფუნდამენტურ პრობლემებთან, ისეთებთან, როგორიცაა *ფსიქოფიზიკური პრობლემა, სუბიექტის პრობლემა, ქცევის მიზანშეწონილების პრობლემა და ფსიქიკის განვითარების პრობლემა*. ბუნებრივია, რომ იმ სასელმწიფოში, რომელშიც განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია ჩამოყალიბდა, მისი იდეოლოგიური კორექტულობის საკითხი თითქმის მუდმივად იდგა დღის წესრიგში. იგი მრავალჯერ გამხდარა განხილვის, შეფასებისა და უაღრესად მწვავე დისკუსიების საგანი. სამწუხაროდ, ეს დისკუსიები ხშირად სცილდებოდნენ მეცნიერების ჩარჩოებს და ოდეოლოგიური კამპანიის ხასიათს ღებულობდნენ. ქართული ფსიქოლოგიური სკოლის რამდენიმე თაობამ ღირსეულად წარმოაჩინა თავი ამ დისკუსიებში. განსაკუთრებულ მოხსენიებას იმსახურებენ უზნაძის სკოლის პირველი თაობის შესანიშნავი მკვლევარები: ერეკლე აბაშიძე (1902-1956), ანგია ბოჭორიშვილი (1902-1982), იოსებ ბჟალავა (1904-1972), ნინო ელიავა (1900-1973), რევაზ ნათაძე (1904-1984), ვლადიმერ ნორაკიძე (1905-1993), დარეჯან რამიშვილი (1907-1991), ალექსანდრე ფრანგიშვილი (1904-1989), ბარნაბ ხაჭაპურიძე (1905-1974), ზოსიმე ხოჯავა (1903-1990), შალვა ჩხარტიშვილი (1910-1978) და სხვა.

პირველი საჯარო პაექრობა სახელწოდებით "ფსიქოლოგიის ზოგიერთი საკითხი", შედგა თბილისში, 1952 წლის გაზაფხულზე, როდესაც უზნაძის გარდაცვალებიდან ორი წელიც არ იყო გასული. იგი ორგანიზებული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ და ერთგვარ გამოხმაურებას წარმოადგენდა უზნაძის თეორიის წინააღმდეგ მიმართულ იმ წერილებზე, რომლებიც ეკუთვნოდა ფიზიოლოგ დ. გედევანიშვილსა და ფილოსოფოს ა. ქუთელიას. უზნაძის სკოლის წარმომადგენლებმა დამაჯერებლად დაიცვეს განწყობის თეორიის მეცნიერული ღირსება აშკარად იდეოლოგიური ხასიათის მქონე კრიტიკისაგან. ამ სახის კრიტიკა ყველაზე სახიფათოა, ვინაიდან თავისი არსით დოგმატურია და პოლიტიზირებული. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა სავალალო, ხშირად ტრაგიკული შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა ასეთ ბრალდებებს იმდროინდელ საბჭოთა იმპერიაში. ამ დისკუსიას გამოეხმაურა ოფიციოზი და თბილისში ჩამოვიდა სპეციალური კომისია მოსკოვიდან, რომელსაც ცენტრში უნდა წარედგინა დასკვნა უზნაძის ფსიქოლოგიური სკოლის მეცნიერული და პოლიტიკური სახის შესახებ.

სულ მალე ქართული ფსიქოლოგია რეალური საფრთხის წინაშე დადგა. 1955 წლის ივლისში მოსკოვში ჩატარდა თათბირი განწყობის თეორიის გარშემო, რომელშიც მონაწილეობდა იმდროინდელი საბჭოთა ფსიქოლოგიის ყველა წამყვანი ფიგურა. მოხსენებებში, ერთი შეხედვით, მეცნიერული საკითხები განიხილებოდა, მაგრამ ბევრ გამოსვლაში, ღიად ან ქვეტექსტის სახით, ეჭვის ქვეშ დგებოდა უზნაძის თეორიის იდეოლოგიური კორექტულობა. ეს კიდევ უფრო ცხადად გამოვლინდა იმ დისკუსიაში, რომელიც რამდენიმე წელს გრძელდებოდა ცენტრალური ფსიქოლოგიური ჟურნალის ფურცლებზე.

აქ არ შევუდგებით იმის განხილვას, თუ როგორ მიმდინარეობდა პოლემიკა განწყობის თეორიის *იდეალისტურობასა* და პავლოვის სწავლებასთან შესაბამისობის თაობაზე. შედარებით სერიოზულად გამოიყურებოდა შენიშ-

ენა განწყობის *ფსიქიკურობასთან* დაკავშირებით. იმ დროის მოსკოვური ფსიქოლოგიის ერთ-ერთი აეტორიტეტული წარმომადგენელი ასე სვამდა საკითხს: თუ განწყობა არ არის ცნობიერი ფაქტი, იგი არც ფსიქიკური ფაქტია. განწყობის ფაქტები ამომწურავად შეიძლება აეხსნათ ფიზიოლოგიურად; ამიტომ, ფსიქოლოგიური კვლევის ცენტრალურ ცნებად განწყობა ვერ გამოდგება (ბ. ტეპლოვი). უზნაძის მიმდევრებს იმის ახსნა მოუხდათ, რომ ცხოველებს, მაგალითად, არა აქვთ ცნობიერება, მაგრამ აქვთ ფსიქიკა — სწორედ ფსიქიკა და არა მხოლოდ ფიზიოლოგია. გარდა ამისა, ფსიქოლოგია შეისწავლის ე.წ. დისპოზიციებს (ტემპერამენტი, ხასიათი, უნარები), რომლებიც არ არიან ცნობიერების ფაქტები, მაგრამ პიროვნების ფსიქიკურ თვისებებად ითვლებიან. ამდენად, ფსიქიკა არ ამოიწურება ცნობიერებით, ხოლო ის, რაც ცნობიერი არ არის, არ უნდა იქნეს დაყვანილი ფიზიოლოგიაზე.

იქვე გამოითქვა მოსაზრება განწყობის ცნების *უნივერსალიზაციის* დაუშვებლობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით განიმარტა, რომ ფსიქოლოგიაში, როგორც ყველა მეცნიერებაში, არსებობს ცნებათა იერარქია თავისი ზოგადობისა და ფუნდამენტურობის შესაბამისად. ქცევისა და ფსიქიკის ძირეული მექანიზმები, რომელთაც ასე თუ ისე ყველა ზოგადფსიქოლოგიური თეორია მოიაზრებს, ყოველთვის და აუცილებლად ზოგადი სასიათისაა. მეთოდოლოგიაში ცნობილია სისტემური ცნებები — განწყობა სწორედ ასეთი ცნებაა.

გაცილებით არსებითი ხასიათი ჰქონდა კამათს განწყობისა და ქცევის (ქმედების) პირველადობის საკითხის გარშემო. იგი მრავალი წელი მიმდინარეობდა და ნაყოფიერიც გამოდგა, თუნდაც მხარეთა პოზიციების დაზუსტებისა და გაღრმავების თვალსაზრისით. უზნაძის მომხრეები ყოველთვის ამოდიოდნენ იმ მოსაზრებიდან, რომ განწყობა ქცევის მიზანშეწონილების მექანიზმია და, როგორც ასეთი, უნდა აპირობებდეს მას. ოპონენტების აზრი ორად გაიყო. ა. ლეონტიევი და მისი სკოლა კატეგორიულად უარყოფდა თეზისს განწყობის პირველადობის შესახებ. სამოცდაათიან წლებში ა. ასმოლოვი შეეცადა მოენახა განწყობის ცნების ადგილი ლეონტიევის ქმედების თეორიაში. განწყობა განიხილება, როგორც ქმედებიდან ნაწარმოები, მეორადი მოვლენა, რომელსაც ქმედების და მისი სტრუქტურული ელემენტების (მოქმედებები და ოპერაციები) სტაბილიზაციის ფუნქცია ეკისრება. ასე ჩნდება მის მოდელში ე.წ. *საგრისული, მიზნობრივი და ოპერაციული* განწყობები. ამ შეხედულებას აზრი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განწყობას მხოლოდ ქმედების სტაბილიზაციის ფუნქციას მივაწერთ. მაგრამ, თუ განწყობაში იმ მნიშვნელობას ჩავდებთ, რომელიც უზნაძის თეორიაშია, მაშინ იგი უთუოდ ქმედების წინ წარმოიქმნება და მისი სტრუქტურის ყველა ნაწილის მოწესრიგებულ და მიზანშეწონილ განხორციელებას განაპირობებს. განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის თანახმად, განწყობა ქცევის მიმართ პირველადი მოვლენაა.

შემდგომი თვალსაზრისი განწყობა-ქმედების ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით პირველად ს. რუბინშტეინმა ჩამოყალიბა 1955 წლის დისკუსიაზე. მოგვიანებით უაქტობრივად იგივე პოზიცია დაიკავეს ა. ზაპოროჟეც-

მა და ვ. ზინჩენკომ. ამ შეხედულების თანახმად, განწყობა ფუნქციონალურად პირველადია ქმედების მიმართ, ხოლო გენეტიკურად – მეორადი. აღნიშნული მოსაზრება არსებითად რუბინშტეინის ცნობილ პრინციპს ეფუძნება – გარეგანის მოქმედება შინაგანით არის გაშუალებული. რუბინშტეინისთვის განწყობა ასეთი "შინაგანია" და, ამდენად, ფუნქციონირების თვალსაზრისით (ე.ი. აქტუალგენეზში) პირველადია. ეს პოზიცია განწყობის ფსიქოლოგიისთვის პრინციპში მისაღებია, ოღონდ საჭიროა სიცხადის შეტანა თეზისში ქმედების მიმართ განწყობის გენეტიკური მეორადობის შესახებ. იგი საესებით სამართლიანია განწყობის ფაქტორებთან დაკავშირებით. მართლაც, ადამიანის გარემო (სიტუაცია) და მოთხოვნილებები (განსაკუთრებით ე.წ. "მაღალი") კულტუროლოგიური წარმოშობისაა და, შესაბამისად, ისინი ადამიანის ქცევის შედეგს წარმოადგენენ. ასეთი გაგებით განწყობა, გენეტიკურად, ქმედების მიმართ მეორად მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს (იგულისხმება ანტროპოგენეზი, სოციოგენეზი და ონტოგენეზი). მაგრამ ფილოგენეტურად, თუ განწყობა სიცოცხლის პრინციპია, ქცევის ძირეული მექანიზმია, იგი ცალსახად მეორადი მოვლენა ვერ იქნება. საქმე ისაა, რომ შეუძლებელია ჯერ გაჩნდეს ფსიქოფიზიკური მოვლენა, პროცესი (ქცევა) და მხოლოდ ამის შემდეგ შეიქმნას მისი განხორციელების მექანიზმი. განწყობა ქცევის (ქმედების) არსებითი მხარეა. ყველაზე პრიმიტიული ქცევაც იმთავითვე გულისხმობს განწყობისეულ მექანიზმს. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ განწყობისა და ქცევის ურთიერთმიმართების საკითხის გააზრება ფილოგენეტური განვითარების კუთხით კვერცხისა და ქათმის დილემის სახეს იღებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყოველივე ეს პირველად განწყობას ეხება. რაც შეეხება ფიქსირებულ განწყობას, იგი, ფართო მნიშვნელობით, გამეორების, სწავლის, ე.ი. გარკვეული აქტივობის შედეგია და, ამდენად, პრინციპულად მეორადია.

დასავლეთში ყოველთვის იჩენდნენ გარკვეულ ინტერესს უზნაძის სკოლის მიმართ. ამ მხრივ სამი ტენდენცია იკვეთება: ერთ შემთხვევაში უზნაძის განწყობის თეორია განიხილება პიროვნების ფსიქოლოგიის სიბრტყეში. ცდილობენ, რომ ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლაში წარმოდგენილი პიროვნების განწყობისეული ტიპოლოგია მიმართებაში მოიყვანონ პიროვნების ტიპოლოგიის სხვა მოდელებთან. მაგალითად, მიუთითებენ, რომ არსებობს სრულიად გარკვეული შესაბამისობა აიზენკის მიერ გამოყოფილ ფაქტორებსა და განწყობის ტიპებს შორის (ჯ. პრიცუკი, რ. ჰერცოგი და სხვა). მეორე შემთხვევაში უზნაძის და მისი მიმდევრების მიერ მეცნიერებაში შეტანილი წვლილი კოგნიტური ფსიქოლოგიის კუთხით არის შეფასებული. აქ მთავარი ყურადღება ექცევა განწყობის ფსიქოლოგიის ემპირიულ მხარეს: განწყობის ფიქსაციის თუ ჩაქრობის, ილუზიის სიდიდისა თუ ტრანსპოზიციის მიმართებებს კოგნიტური განვითარებისა და ფუნქციონირების ამა თუ იმ ასპექტთან (ბ. ბეინი, ჯ. კუმინსი, ვ. მათეუსი, ჟ. პიაჟე და სხვა). ამასთან, უზნაძის ეფექტების ინტერპრეტაციისას უფრო ხშირად ეყრდნობიან არა თვით მის თეორიას, არამედ სხვა, უპირატესად კოგნიტივისტურ შეხედულებებს. პიაჟე, მაგალითად, მათ განიხილავს ინტელექტის განვითარების საკუთარი

კონცეფციის პლანში, კერძოდ, სენსო-მოტორული ინტელექტის თეისებებთან მიმართებაში. ინტერპრეტაციისთვის გამოიყენება აგრეთვე ლურიას ცენტრალური სინთეზის კონცეფცია, ვერნერ-ყაპერის ორგანიზმულ-გენეტიკური თეორია, უიტკინის ველზე დამოკიდებულების თეორია და სხვა კოგნიტივისტური მოდელები. არსებობს სხვაგვარი მიდგომაც. ასე მაგალითად, კანადელი ფსიქოლოგი რ. პერცოგი თავის კვლევით პროგრამას არსებითად უზნაძის განწყობის თეორიაზე აფუძნებს. იგივე ითქმის იაპონელ მეცნიერზე ი. კავაგუჩიზე.

ქართველმა მკვლევარებმა ნათლად აჩვენეს აღნიშნული ემპირიული ფაქტების განწყობისეული ახსნის უპირატესობა სხვა სახის ინტერპრეტაციებთან შედარებით. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ დასახელებულ მოდელებში ავტორებს ისეთი ცნებები შემოაქვთ, რომლებიც თავისი შინაარსით საკმაოდ უახლოვდებიან უზნაძის განწყობის ცნებას.

გვერდს ვერ ავუქცევთ იმას, რომ ზოგჯერ განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია აბსოლუტურად არაადეკვატურად არის გაგებული. სახელდობრ, ერთ-ერთ რეცენზიაში, რომელიც ინგლისურად უზნაძის წიგნის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით დაიწერა, ფიქსირებული განწყობის მეთოდით ჩატარებული კვლევა-ძიება აღქმის შესწავლად ჩაითვალა, ხოლო ამ მონაცემების განზოგადება ქარაქტეროლოგიის, პათოლოგიის და, საზოგადოდ, ქცევის სფეროში, არაკორექტულად იქნა მიჩნეული. ამრიგად, უზნაძის განწყობის თეორიამ აღქმის თეორიის კვალიფიკაცია მიიღო (რ. ლუნი). ეს, ცხადია, სრულ გაუგებრობას წარმოადგენს, თუმცა, კოგნიტივისტური მიდგომის ფარგლებში გვხვდება საკმაოდ კომპეტენტური შეფასებებიც. მაგალითად, ცნობილი გერმანელი სპეციალისტი ვ. მათეუსი განწყობის თეორიაზე აზროვნების ფსიქოლოგიის კონტექსტში მსჯელობს, მაგრამ კარგად აცნობიერებს ამ კონცეფციის ზოგადფსიქოლოგიურ მასშტაბს. იგი განწყობას მოტივაციურ-კოგნიტურ კონსტუქტს უწოდებს, რომელიც განაპირობებს ქცევის რეგულაციის ორ დონეს (იმპულსურს და ნებელობითს). გარკვეული აზრით, განწყობა მართლაც შეიძლება წარმოვიდგინოთ მოტივაციურ-კოგნიტურ წარმონაქმნად; მასში ხომ გაერთიანებულია მოთხოვნილება, სიტუაცია და შესაძლებლობები, ანუ აქტივობის დინამიკური, შემეცნებითი და გამოცდილებისეული მომენტები. აქ ნათლად იკვეთება გარკვეული პარალელები განწყობის თეორიას და ქცევის (მოტივაციის) კოგნიტივისტურ მოდელებს შორის, მაგალითად, დეცის, იზარდის, ნიუტენის, ჰეკჰაუზენის და სხვა. ამავე დროს მათეუსი განწყობის თეორიას შემეცნებითი პროცესების ამხსნელ მოდელადაც განიხილავს; იგი უპირისპირებს მას თანამედროვე კოგნიტური ფსიქოლოგიის კომპიუტერულ მიდგომას და უჩვენებს უზნაძის შეხედულების უპირატესობას ამ უკანასკნელთან შედარებით. საინტერესოა, რომ უზნაძის ბიოსფერულ კონცეფციას ე. მათეუსი, დღევანდელი ტერმინოლოგიის შესაბამისად, *ეკოლოგიურ სისტემას* უწოდებს. არ არის გამორიცხული, რომ აქაც აღმოჩნდეს საინტერესო მიმართებები თანამედროვე ეკოლოგიურ ფსიქოლოგიასთან.

დაბოლოს, არსებობს შეფასების მესამე სახეობა, რომლის მისედვით

უზნაძის განწყობის თეორია განიხილება ფსიქოანალიზთან მიმართებაში. აქ ორი მიმართულება იკვეთება. ერთ შემთხვევაში უზნაძის თეორია უბრალოდ გაიგივებულია ფსიქოანალიზთან. გერმანელი ფსიქოანალიტიკოსი ე. ლაკვერი პირდაპირ ამბობს, რომ "უზნაძემ და მისმა მიმდევრებმა ფაქტობრივად გადაიღეს ფროიდის მოძღვრება არაცნობიერის შესახებ". ეს, რა თქმა უნდა, სრული გაუგებრობაა. როგორც ზემოთაც აღინიშნა, უზნაძე მკვეთრად უპირისპირდებოდა არაცნობიერის ფროიდისეულ გაგებას. მეორე მიმართულება სწორედ ამას ითვალიწინებს და განწყობის თეორიას ფსიქოანალიზის საბჭოთა ალტერნატივად მიიჩნევს (ჯ. ბროზეკი, ლ. გრეჰემი, დ. სლობინი და სხვა). იგი არსებითად ემთხვევა ზოგიერთი ქართველი ავტორის პოზიციას (ი. ბეალავა, ა. ფრანგიშვილი, ა. შეროზია). თუ გავითვალისწინებთ, რომ უზნაძე თვითონ უპირისპირდებოდა თავისი თეორიით ფსიქოანალიზს და ფროიდის არაცნობიერის განწყობის ცნებით ჩანაცვლების მომხრე იყო (რაზედაც ზემოთ ითქვა), განწყობის ფსიქოლოგიის ამდაგვარი კვალიფიკაცია, პრინციპში, კანონიერად გამოიყურება. არაცნობიერის ცნობილი სპეციალისტი ფ. ბასინი სწორედ ამ კუთხით განიხილავდა უზნაძის კონცეფციას. განწყობის ფსიქოლოგიის ასეთი შეფასება თითქმის დააკანონა უკვე ნახსენებმა თბილისის არაცნობიერის სიმპოზიუმმა. მისი მასალების ფუნდამენტური ოთხტომეულის რედაქტორები ყველანაირად ცდილობდნენ დაემკვიდრებინათ ეს აზრი. ამავე სიმპოზიუმის მონაწილე სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტებმა განიხილეს ფსიქოანალიზისა და განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის მიმართების მრავალი საინტერესო ასპექტი.

*ლიტერატურა*


1. ავალიანი ს. ანტონ პირველი (ცხოვრება, მოღვაწეობა, ფილოსოფიური მსოფლმხედველობა). თბილისი, 1987.
2. ანტონი. სპეკალი. თბილისი, 1991
3. ბერულავა ნ. დიმიტრი უზნაძე: ცხოვრება და შემოქმედება. თბილისი, 1967.
4. ბეჟალავა ი. პათოფსიქოლოგიური მუშაობის ძირითადი შედეგები და პერსპექტივები. "მაცნე", ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის...სერია, 1971, 3.
5. ბუაჩიძე თ. ნების თავისუფლების პრობლემა გაბრიელ ეპისკოპოსის "ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლებში". თ. ბუაჩიძე – ფილოსოფიური ნარკვევები. ტ.2, თბილისი, 2005.
6. გაბრიელ ეპისკოპოსი. ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები. თბილისი, 1993.
7. დოდაშვილი ს. თხზულებანი. თბილისი, 2001.
8. იოანე ბაგრატიონი. კალმასობა. ქართული ფილოსოფიური აზრის იტორიის ნარკვევები. ტ.3. თბილისი, 1973.
9. კუკავა თ. ნარკვევები ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიიდან: XVII-XIX (პირველი ნახევარი). თბილისი, 1967.
10. ნადირაშვილი შ. განწყობის ფსიქოლოგია. ტ.1-2. თბილისი, 1983-1985.
11. ნადირაშვილი შ. განწყობის ანტროპული თეორია. თბილისი, 2001.
12. ნორაკიძე ვ., გრიგოლავა ა. პიროვნების განწყობის სტრუქტურის კვლევის კლინიკურ-ბიოგრაფიული მეთოდი. თბილისი, 1984.

13. ორბელიანი სულხან-საბა. ქართული ლექსიკონი. ტფილისი, 1928.
14. უზნაძე დ. შრომები. ტ.1-6. თბილისი, 1956-1977.
15. უზნაზე დ. განწყობის თეორიის ძირითადი დებულებები. თბილისი, სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ.19, 1941.
16. უზნაძე დ. ფილოსოფიური შრომები. ტ.1-2. თბილისი, 1984-1986.
17. უზნაზე დ. შენიშვნების რვეული. "მაცნე", ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1988, 2,4; 1989, 1.
18. ფრანგიშვილი ა. ნარკვევები ადამიანის ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიიდან საქართველოში. თბილისი, 1959.
19. ფრანგიშვილი ა. ფსიქოლოგიური ნარკვევები. თბილისი, 1987.
20. ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია. ტ.3. თბილისი, 2008.
21. ჩხარტიშვილი შ. განწყობა და ცნობიერება. თბილისი, 1979.
22. Авалиани С. Философские взгляды И.Р.Тархнишвили. Тбилиси, 1957.
23. Асмолов А.Г. Деятельность и установка. М., 1979.
24. Бассин Ф.В. Проблема бессознательного. М., 1968.
25. Бессознательное: природа, функции, методы исследования. Под. ред. Прангишвили А.С., Шерозия А. Е., Бассина Ф. В. Тбилиси, т.1,2,3-1978, т.4-1985.
26. Дмитрий Николаевич Узнадзе Классик Советской Психологии. Тбилиси, 1986.
27. Матеус В. Многоуровневые концепции познания в Российской и Грузинской психологии (к восприятию идей Вюрцбургской школы). Психологический журнал. 1995,4.
28. Обсуждение докладов по проблеме установки на совещании по психологии 1-6 июля 1955 года.
29. Тарханов И.Р. Дух и тело. СПб., 1904.
30. Тарханов И.Р. Внушение, гипнотизм и чтение мыслей. СПб., 1905.
31. Теория установки и актуальные проблемы психологии. Тбилиси, 1990.
32. Прангишвили А.С. Исследования по психологии установки. Тбилиси, 1967.
33. Ходжава З.И. Проблема навыка в психологии. Тбилиси. 1960.
34. Brozek J., Slobin D. I. Psychology in the USSR: a historical perspective. New York: International Arts and Sciences Press, 1972.
35. Hritzuk J., Unruh W., Herzog R. Some Soviet approaches to the study of personality. The Canadian Psychologist, 1969, vol.10, N1.
36. Jansen H.L. An investigation of the integral nature of Soviet concept of set. International Journal of Psychology, 1972, vol.7, N4.
37. Matthaeus W. Sowjetische denk psychologie. Goettingen: Vergal fur Psyghologie, 1988.
38. McLeish J. Soviet psychology: History, Theory, Content. London: Fakenham and Reading, 1975.